სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრო
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 4.

ი. იმნაიშვილი

სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 1957

რედაქტორი ა. შანიძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა . 012
შ რ ო მ ა შ ი გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი წ ყ ა რ ო ე ბ ი . 014
შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი და დ ა თ ქ მ უ ლ ი ნ ი შ ნ ე ბ ი 023
ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა 1

ნაწილი პირველი

სახელთა ბრუნება . . (16—633)

თავი პირველი

არსებითი სახელები და საწყისები

Ⴑ. არსებითი სახელები 20
A. საზოგადო სახელები. 20

I. თანხმოვანფუძიანი სახელები 21
1. ფუძეუკუმშველი სახელები 21
2. ფუძეკუმშვადი სახელები . . . 42
3. კუმშვადი სახელების ნიმუშები . 50

II. ხმოვანფუძიანი სახელები . . 85
1. ფუძეკვეცილი სახელები . 86
2. კუმშვად-კვეცადი სახელები 112
3. ფუძეუკვეცელი სახელები . . 115
უმარცვლო უ-ზე გათავებული ფუძეები 122
4. უა-სა და უე-ზე გათავებული ფუძეები . 127

III. გაუვრცობელი ბრუნვის ნიშნები 132

მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა 134
1. მიცემითი რთულ ზმნებში . . 134
2. მიცემითი ადგილის გარემოებად . 143
3. მიცემითი დროის გარემოებად . 146

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა . 149
1. ნათესაობითი კომპოზიტებში . 150
2. ნათესაობითი დროის გარემოებად . 173
3. ნათესაობითი infinitiv-ის გადმოსაცემად . 174
4. ნათესაობითი წრფელობითის მსაზღვრელად 183
5. ნათესაობითი ზომა-წონის, ფასისა და ასაკის გამომხატველ სიტყვებში 190
6. ნათესაობითი ზოგ თანდებულთან და სახელთან 193
7. ნათესაობითი ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში 196

გვ.

მოქმედებითი ბრუნვა . 198

1. მოქმედებითი ვითარების გარემოებად . . . 199
2. მოქმედებითი გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელობით 203

A. ით ნიშნიანი 203
B. ით-ი ნიშნიანი . 215

3. მოქმედებითი დროის გარემოებად . 219

A. ით ნიშნიანი 219
B. ით-ი ნიშნიანი . 224

4. მოქმედებითი მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობით 226
5. მოქმედებითი პარონომაზიულ გამოთქმებში . 234
6. მოქმედებითი ზოგიერთ ზმნასთან 244
7. მოქმედებითი გარკვეული (სოციალური) მდგომარეობის გამომხატველ ფორმებში 250
8. მოქმედებითი კომპოზიტებში 252
9. მოქმედებითი ზომა-წონისა და სხვა სათვალავთა აღმნიშვნელ სიტყვებში . 261
10. მოქმედებითი სახელის, ტომის, მოდგმისა და მისთ. აღმნიშვნელ სიტყვებში 264
11. მოქმედებითი კითხვაზე რაჲთა? (რით?) . 266
12. მოქმედებითი ზოგ სპეციფიკურ გამოთქმაში . . . 267
13. მოქმედებითი ერთადობის (თანაობის) გამოსახატავად . 268

IV. მრავლობითი რიცხვის წარმოებისათვის 268

1. ნარ-თანიანი მრავლობითი . 269
2. ებიანი მრავლობითი 292
3. ებიანი მრავლობითი ვერ ითანხმებს ზმნას მრ. რიცხვში . 304
4. ებიანი მრავლობითი ითანხმებს ზმნას მრ. რიცხვში 305
5. ებიანი მრავლობითი ნაწილობრივ ითანხმებს ზმნას 308
6. მსახღვრელ-საზღვრულის ებიან მრავლობითში შეთანხმების საკითხი 309
7. ორმაგი მრავლობითი 313
8. კრებითი სახელების მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების საკითხი . 314

V. ნაწევრიანი სახელები 318

ზოგადი ცნობები ნაწევრის შესახებ 318

VI. თანდებულიანი სახელები 320

1. წინ დასმული თანდებულები (წინდებულები) . 321
2. თანდებულები, რომლებიც ორ ბრუნვას ითხოვენ 325

A. მიცემითისა და ნათესაობითის თანდებულები . 325
B. ნათესაობითისა და ვითარებითის თანდებულები . 333
C. ნათესაობითისა და მოქმედებითის თანდებულები . 343
D. მოქმედებითისა და ვითარებითის თანდებულები . 345
E. წრფელობითისა და ნათესაობითის თანდებული 347

3. თანდებულები, რომლებიც ერთ ბრუნვას ითხოვენ . 350
4. რამდენიმე თანდებულიანი სახელი ერთად 355

VII. ნაწილაკიანი სახელები 358

გვ.

B. საკუთარი სახელები 365

I. ადამიანთა სახელები 366
1. წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში 368
2. სახელთა რიგის გამოყენება ფორმათა გასარჩევად . 369
3. მიდრეკილება გათანაბრებისადმი . . . 369
4. ემფატიკური ა მიცემითსა და ნათესაობითში . 373
5. მოქმედებითისა და ვითარებითის წარმოება 375
6. რა ფორმაა „დავითისა“? 379
7. ადამიანთა ზოგიერთი სახელის ბრუნების შესახებ 381
8 რამდენიმე ადამიანის სახელი ერთად 382
9. მრავლობითი რიცხვის საკითხი ადამიანთა სახელებში 385

II. გეოგრაფიული სახელები 391

1. ბრუნვათა წარმოება გეოგრაფიულ სახელებში 392
წრფელობითი 392
სახელობითი 393
მოთხრობითი 395
მიცემითი 396
ნათესაობითი . 403
მოქმედებითი . 406
ვითარებითი 408
წოდებითი . . . 415
2. კუმშვა და კვეცა გეოგრაფიულ სახელებში 416

Q. საწყისები. 421

თავი მეორე

ზედსართავი სახელები

1. ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავები 424
2. ზედსართავი არსებითად . 424
3. ვითარებითი ზედსართავები . 427
4. მიმართებითი ზედსართავები 429
5. მიმღეობანი ზედსართავის როლში . 437
6. ზედსართავი სახელის ბარისხები 441
7. ღფროობითი ბარისხის ფორმები 441
8. ოდნაობითი ბარისხის ფორმები . 452
9. ზედსართავი სახელის ბრუნება . 457
10. „ძნიად“ ტიპის ფორმები ზედსართავისა 462
11. დამოუკიდებლად აღებული ზედსართავის ბრუნების ნიმუშები 464

თავი მესამე

რიცხვითი სახელები

1. მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელები . 466
2. რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელები 467
3. რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფორმა 472
4. რიცხვითი სახელის არსებითთან მრავლობითში შეწყობის საკითხი 475
5. რიცხვების ასოებით გამოხატვა 478
6. რაოდენობით რიცხვითთაგან ნაწარმოები სიტყვები 479
7. რიგობითი რიცხვითი სახელები . 480

გვ.
8. რიგობითი სახელების გამოხატვა ასოების საშუალებით 483
9. წილობითი სახელები . . . 484
10. რიცხვითი სახელების ბრუნება 485

თავი მეოთხე

ნაცვალსახელები

1. პირის ნაცვალსახელები . 487
2. ჩვენებითი ნაცვალსახელები . 497
3. კითხვითი ნაცვალსახელები . . 504
4. კუთვნილებითი ნაცვალსახელები . . 515
5. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები 519
6. მიმართებითი ნაცვალსახელები 520
7. ურთიერთობითი ნაცვალსახელები . 524
8. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები . 526
9. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები . 534
10. უარყოფითი ნაცვალსახელები . 539

თავი მეხუთე

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

I. ატრიბუტული მსაზღვრელი 544

1. ხედსართავი სახელი მსაზღვრელად 545
2. გათიშული მსაზღვრელი 551
3. ორი და მეტი მსაზღვრელი ერთ საზღვრულთან . 552
4. მიმღეობა მსაზღვრელად . 553
5. რიცხვითი სახელი მსაზღვრელად 554
6. ნაცვალსახელი მსაზღვრელად 563

ჩვენებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად 563
კითხვითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად 564
კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად . 565
განსაზღვრებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად 569
განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად 572
უარყოფითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად 574

7. არსებითი სახელი მსაზღვრელად 575

II. მართული მსაზღვრელი 580

1. მსაზღვრელის ადგილი 580

A. მართული მსაზღვრელი წინაა . 581
B. მართული მსაზღვრული ბოლოსაა 585

2. ორმაგი ბრუნება 585

I შემთხვევა 587
II შემთხვევა 592
III შემთხვევა 593
IV შემთხვევა 597

3. რამდენიმე მსაზღვრელი ერთ საზღვრულთან 615
4. განმარტოებული მსაზღვრელი 617

გვ.
5. საკუთარი სახელი მსახღვრელად . 619
ადამიანის სახელი მსახღვრელად 619
გეოგრაფიული სახელი მსახღვრელად 621
6. ებიანი მრავლობითი ორმაგ ბრუნებაში 622
7. სამმაგი ბრუნება 623
8. საკუთარი სახელი მსახღვრელის მსახღვრელად 631
9. დარღვევები სამმაგ ბრუნებაში . 632

ნაწილი მეორე

ბრუნვათა ფუნქციები . (635—758)

თავი პირველი

წრფელობითი ბრუნვის ფუნქციები

1. წრფელობითი ქვემდებარედ . 637
2. წრფელობითი პირდაპირ დამატებად 639
3. წრფელობითი შედგენილ შემასმენელში 642
4. წრფელობითი დროის გარემოებად 649
5. წრფელობითი ვითარების გარემოებად 653
6. წრფელობითი რთულ ხმნებში 658
7. წრფელობითი ბრუნვის ფორმა სხვა ბრუნვათა ფუნქციით . 659
8. წრფელობითი ბრუნვის ფორმა რიცხვითს სახელებში . 660
9. წრფელობითი განსაზღვრებად 660

თავი მეორე

სახელობითი ბრუნვის ფუნქციები

1. სახელობითი ქვემდებარედ 662
ა) ქვემდებარე ერთპირიან (გარდაუვალ) ხმნებთან 663
ბ) ქვემდებარე ორპირიან გარდაუვალ ხმნებთან 664
გ) ქვემდებარე ე. წ. ინვერსიულ ხმნებთან . . 664
დ) ქვემდებარე გარდამავალ ხმნებთან (I სერ.) 666
2. სახელობითი პირდაპირ დამატებად 666
ა) პირდაპირი დამატება II სერიის ფორმებთან 668
ბ) პირდაპირი დამატება III სერიის ფორმებთან . . . 669
გ) პირდაპირი დამატება ვითარებითში დასმულ საწყისთან 671
3. სახელობითი ბრუნვის ფორმა წოდებითის ფუნქციით . 673
4. სახელობითი „ვითარცა"-სთან ზოგიერთ გამოთქმაში 674
5. სახელობითი ვითარების გარემოებად . 675
6. სახელობითი დროის გარემოებად 679

თავი მესამე

მოთხრობითი ბრუნვის ფუნქცია . 862

თავი მეოთხე

მიცემითი ბრუნვის ფუნქციები

1. მიცემითი ქვემდებარედ . 685
2. მიცემითი პირდაპირ დამატებად . 686

გვ.

3. მიცემითი ირიბ დამატებად 687

ა) ირიბი დამატება ორპირიან გარდაუვალ ზმნებთან . 688
ბ) ირიბი დამატება სამპირიან (გარდამავალ) ზმნებთან 688
გ) ირიბი დამატება ე. წ. ინვერსიულ ზმნებთან 689

4. მიცემითი უბრალო დამატებად 689
5. მიცემითი ადგილის გარემოებად 694
6. მიცემითი დროის გარემოებად 697
7. მიცემითი რთულ ზმნებში 700
8. მიცემითი უფროობითი ხარისხის ფორმებთან . 700
9. მიცემითი „ვიდრე"-სთან . 700

თავი მეხუთე

ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციები

A. ნათესაობითი ი-ხა (ჲ-ხა) ნიშნით . 704

1. ნათესაობითი განსაზღვრებად . 704
2. ნათესაობითი უბრალო დამატებად . . . 709
3. ნათესაობითი მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციით 711
4. ნათესაობითი გამოსვლითი ბრუნვის ფუნქციით 713
5. ნათესაობითი ზოგიერთ ზმნასთან . . . 714
6. ნათესაობითი უფროობითი ხარისხის ფორმებთან . 716

B. ნათესაობითი ის (ჲს) ნიშნით 717

7. ნათესაობითი კომპოზიტებში . 717
8. ნათესაობითი დროის გარემოებად . . 718
9. ნათესაობითი infinitiv-ის მნიშვნელობით 718
10. ნათესაობითი წრფელობითის მსაზღვრელად 719
11. ნათესაობითი ასაკის, ფასისა და ზომა-წონის გამომხატველ სიტყვებში 719
12. ნათესაობითი ხოჯ თანდებულთან და სახელთან . 720
13. ნათესაობითი ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში 720

თავი მეექვსე

მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციები

A. მოქმედებითი ით-ა (ჲთ-ა) ნიშნით 721

1. მოქმედებითი უბრალო დამატებად 721
2. მოქმედებითი მიზეზის გარემოებად 723

B. მოქმედებითი ით (ჲთ) ნიშნით 723

3. მოქმედებითი ვითარების გარემოებად . 723
4. მოქმედებითი გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელობით 724

ა) ით ნიშნიანი მოქმედებითი 724
ბ) ით-ი ნიშნიანი მოქმედებითი 725

5. მოქმედებითი დროის გარემოებად 725

ა) ით ნიშნიანი მოქმედებითი 725
ბ) ით-ი ნიშნიანი მოქმედებითი 725

გვ.
6. მოქმედებითი მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობით 726
7. მოქმედებითი პარონომაზიულ გამოთქმებში 726
8. მოქმედებითი ზოგ ზმნასთან 727
9. მოქმედებითი გარკვეული (სოციალური) მდგომარეობის გამომხატველ ფორმებში 727
10. მოქმედებითი კომპოზიტებში 728
11. მოქმედებითი ზომა-წონისა და სხვა სათვალავთა აღმნიშვნელ სიტყვებში 728
12. მოქმედებითი სახელის, ტომის. მოდგმისა და მისთ. აღმნიშვნელ სიტყვაში 728
13. მოქმედებითი კითხვაზე რაჲთა? (რით?) . 729
14. მოქმედებითი ზოგ სპეციფიკურ გამოთქმაში 729
15. მოქმედებითი ერთადობის, თანაობის გამოსახატავად 729
16. მოქმედებითის ით ნიშანი ახალი ფუძეების საწარმოებლად 730

თავი მეშვიდე

ვითარებითი ბრუნვის ფუნქციები

1. ვითარებითი უბრალო დამატებად 731
2. ვითარებითი ადგილის გარემოებად . 735
3. ვითარებითი დროის გარემოებად 740
4. ვითარებითი ვითარების გარემოებად 742
5. ვითარებითი მიზნის გარემოებად 746
6. ვითარებითს ბრუნვაში დასმული საწყისის ბუნება . 750
7. ვითარებითი რთულ ზმნებში 752
8. ვითარებითი კომპოზიტებში 754
9. ვითარებითის ად(დ) ნიშანი ახალი ფუძეების საწარმოებლად 754

თავი მერვე

წოდებითი ბრუნვის ფუნქცია . 757

ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი

ა) პირთა სახელებისა 759
ბ) გაანალიზებული და დამოწმებული ფორმებისა . 761

წინასიტყვაობა

ძველი ქართული ენის სახელთა ბრუნების შესახებ ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა. შედარებით დაუმუშავებელ უბანს წარმოადგენს ბრუნვათა ფუნქციები. წინამდებარე შრომის მიზანია, ერთი მხრივ, თავი მოუყაროს იმას, რაც ამ დარგში გაკეთებულა, და, მეორე მხრივ, ახლად მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე წარმოგვიდგინოს ძველი ქართული ენის სახელთა ბრუნების სრული სურათი, შედარებით ფართოდ დაგვიხასიათოს ბრუნვათა ძირითადი ფუნქციები.

შრომაში რიგი საკითხები ახლებურადაა გაშუქებული, საკითხთა მნიშვნელოვანი წყება კი პირველად აქაა დასმული და კვლევის საგნად ქცეული. ჩვენ ამ სახის საკითხებად მიგვაჩნია: 1. უ-ს რედუქციის დადასტურება უძველეს ძეგლებში; 2. სიტყვის ორმაგი კუმშვის შემთხვევა (ე, ი. ორი ხმოვნის ერთდროულად ამოღების შემთხვევები ბრუნების დროს); 3. ე-ზე ფუძეგათავებული სახელების ებიან მრავლობითში უკვეცლობის მიზეზების ძიება და ახსნის ცდა; 4. ნაწევარი ძველ ქართულში და მასთან დაკავშირებული საკითხები; 5. თანდებულიანი სახელები; თანდებულთა მიერ, როგორც წესი, ორი ბრუნვის მართვის სისტემა; შდე თანდებული ნათესაობითს ბრუნვასთან; 6. მრავლობითი რიცხვის საკითხი ადამიანთა სახელებში; 7. ოდნაობითი ხარისხის ფორმების ახსნის ცდა; 8. მოქმედებითი ბრუნვის ფორმის გამოყენება მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციით; 9. გეოგრაფიულ სახელთა ბრუნების თავისებურებანი; 10. ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში და სხვა.

ყველა აქ აღნიშნული საკითხი ერთნაირი სისრულითა და სიღრმით არ არის განხილული და შესწავლილი (ეს შეუძლებელიც არის ამნაირ შრომაში). ზოგ მათგანზე ავტორს კიდევ მოუხდება დამატებითი მასალების ძიება და დასაბუთების გაღრმავება. მაგრამ ამ ახალი საკითხების დასმა და მათზე გარკვეული პასუხის გაცემა ქმნის საჭირო ნიადაგს, რომელზედაც შემდგომში ამ მიმართულებით კვლევა-ძიება უნდა წარიმართოს.

ეს შრომა დამყარებულია სანდოდ გამოცემული ტექსტებისა და ჩვენი საუკეთესო ხელნაწერების მასალებზე. ასეთმა მასალებმა ბლომად მოიყარა თავი. წიგნის საბოლოოდ გაფორმებისას აღნიშნულ მასალებს (საილუსტრაციო მაგალითებს) ვერ ველეოდით, მათი შემცირება გვეწინააღმდეგა და სიყვარულით ვტოვებდით წიგნში. თუმცა ხანდახან ჩვენც ვგრძნობდით მათ სიჭარბეს, მაგრამ დარწმუნებული ვიყავით, რომ საქმეს ის არ ავნებდა, თითოეულ მათგანს რაღაც ახალი ნიუანსი შემოჰქონდა, საკითხს უფრო გასა-

გებს ხდიდა. თანაც ვფიქრობდით, რომ, როგორც იტყვიან, **кашу маслом не испортишь.**

შესაძლებელია აქა-იქ ამა თუ იმ დებულებისა თუ ცალკე მსჯელობის განმეორებაც მოგვიხდა, მაგრამ ასეთი ხასიათისა და ფართო მოცულობის შრომაში ამის სავსებით აცილება ადვილი საქმე არ აღმოჩნდა.

წიგნის წერისას ვცდილობდით, რომ ისედაც ვრცელი შრომა კიდევ მეტად არ დაგვეტვირთა სქოლიოებით, ამიტომ შეიძლება მითითება ყველა შემთხვევაში სასურველი სისრულით არ იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ყველა მთავარ შრომასა და საკითხზე კია მითითებული.

წიგნის ბოლოს არ დაგვირთავს დასკვნები და ლიტერატურის სია. პირველი იმიტომ, რომ ყოველი ცალკე აღებული საკითხის შესწავლის შემდეგ იქვეა მოცემული სათანადო დასკვნაც, და მისი განმეორება წიგნის ბოლოს საჭიროდ არ ვცანით. შრომაში გამოყენებული ლიტერატურის სია კი იმიტომ არ დაგვურთეთ, რომ ეს ლიტერატურა სათანადო ადგილას თვით წიგნშია სრულად მითითებული და განმეორებით დართვა წიგნის ბოლოში ზედმეტად მივიჩნიეთ.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შრომაზე მუშაობისას ყოველმხრივ მიწყობდნენ ხელს ძველი ქართული ენის კათედრის წევრები, განსაკუთრებით კი კათედრის გამგე პროფ. ა. შანიძე, პროფ. ილ. აბულაძე და დოც. ლ. კიკნაძე. ყველა მათ გულითად მადლობას მოვახსენებთ.

* * *

წინამდებარე წიგნისათვის საჭირო მასალებს დიდი ხნიდან ვაგროვებდით. წიგნის წერას 1954 წლის დასაწყისში შევუდექით და 1955 წლის ზაფხულში დავასრულეთ. ამის შემდეგ გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების სათანადოდ გამოყენება, საწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ.

შრომაში გამოყენებული წყაროები

A. გამოცემული ძეგლები

1. ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბილ. 1944. შემოკლებით: ლიტ. ურთ.
2. ამონიოს, ცხორებაჲ წმიდათა და ნეტართა მამათაჲ, რომელნი მოისრნეს მთასა სინასა და რაითს ბარბაროსთაგან, გამოსცა კ. კეკელიძემ (კიმენი, I, გვ. 28 — 44). აქედან გადმობეჭდილი გვაქვს ეს ტექსტი ჩვენს ქრესტომათიაში. დამოწმებასაც ამ უკანასკნელის მიხედვით ვიძლევით. შემოკლ.: ამონ.
3. ანტიოქ სტრატიკი, წარტყუენვაჲ იერუსალჳმისაჲ, გამოსცა ნ. მარმა (TP, IX, 1909). შემოკლ.: წარტყ.
   ანტიოქელი ნ. ტიმოთე ანტიოქელი.
4. ცხოვრებაჲ და წამებაჲ წმიდისა ანტონი რავახისი, გამოსცა ი. ყიფშიძემ (Христианский Восток, т. II, вып. I, 1913). შემოკლ.: რავახ.
   არიმათიელი ნ. იოსებ არიმათიელი.
5. ბასილი ზარზმელი, ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ, გამოსცა კ. კეკელიძემ (ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 147 — 182. აქედან ტექსტის ერთი ნაწილი ჩვენს ქრესტომათიაშიც არის დაბეჭდილი. ზოგჯერ ამ უკანასკნელი გამოცემიდანაც ვსარგებლობთ. ამ შემთხვევაში ქრესტომათიის გვერდებია მითითებული). შემოკლ.: ზარზმ.
   ბალაჰვარ ნ. სიბრძნჱ ბალაჰვარისი.
6. ბასილი კესარიელი, მჴეცთათჳს სახისა სიტყუაჲ წიგნთაგან თქუმული წმიდისა ბასილი ეპისკოპოსისა კესარიელისაჲ, გამოსცა ნ. მარმა (TP, VI, 1904. აქედან ნაწილი ჩვენს ქრესტომათიაშიც მოხვდა. ზოგჯერ ამ გამოცემითაც ვიმოწმებთ). შემოკლ.: სახისმეტ., სახისმეტყ.
7. ბიბლია, ნაწილი პირველი და მეორე, დაბეჭდილი თბილისში 1884 წ.
   ბოლნელი ნ. იოვანე ბოლნელი.
8. განჩინებაჲ და განწესებაჲ მოძღუართა მიერ მართლ-მორწმუნეთაჲ, რომელსა ჰყოფენ იერუსალჳმს, გამოსცა კ. კეკელიძემ (Иерусалимский канонарь VII века, грузинская версия, Тифлис, 1912). შემოკლ.: იერ. განჩ.

9. გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ, და მის თანა ჴსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ, გამოსცა ნ. მარმა (TP, VII, 1911). შემდეგ ნ. მარის ამ გამოცემიდან ტექსტი უცვლელად გადაბეჭდა თავისი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის I ტომში (1946) ს. ყუბანეიშვილმა. ჩვენ ამ უკანასკნელ გამოცემას ვიმოწმებთ. ტექსტის ნაწილი ჩვენც შევიტანეთ ჩვენს ქრესტომათიაში. ზოგჯერ ადგილები ამ უკანასკნელის მიხედვითაა ნაჩვენები. შემოკლ.: ხანძთ.

10. გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ი. ჯავახიშვილმა, დაიბეჭდა სერიაში „ძველი ქართული ენის ძეგლები", 3, 1946, ა. შანიძის რედაქტორობით. შემოკლ.: ცხორ. იოვ. და ეფთ.

11. ეპიფანე კჳპრელისა თქუმული... ათორმეტთა მათ თუალთათჳს, გამოსკა რ. ბლეიკმა: Studies and Documents, London, 1934. შემოკლ.: თუალთ. (ამ ძვირფასი ძეგლის მ. ჯანაშვილისეული გამოცემა უაშრავ შეცთომას შეიცავს და ენის საკითხების კვლევისათვის ამ გამოცემით სარგებლობას შეუძლებელს ხდის, თუმცა უნდა ითქვას, რომ არც ბლეიკისეული გამოცემა არის დაზღვეული სხვადასხვაგვარი შეცთომისაგან, მაგრამ ასეთები აქ გაცილებით ნაკლებია).
ზარზმელი ნ. ბასილი ზარზმელი.
ზმჳრნელი ნ. მიტროფანე ზმჳრნელი.

12. თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტები და მისი გაუგებარი ადგილები, გამოსცა ა. შანიძემ (თბილ. უნივ. შრომები, ტ. 18, 1941). ეგევე ძეგლი „სიყრმე უფლისაჲ-ს სახელწოდებით უფრო ადრე კ. კეკელიძის მიერ იყო გამოცემული (კიმენი I, გვ. 115 — 117). ჩვენ სათანადო შემთხვევებში ორივე გამოცემა გვაქვს დამოწმებული. შემოკლ.: თომ. სახ. (კიმ. I).

13. თხრობაჲ კოსტანტინეპოლის გარემოცვისაჲ სკჳთაგან, გამოსცა მ. ჯანაშვილმა (Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, ტ. 27, ტფ. 1900). შემოკლ.: თხრობ.

14. იაკობ ცურტაველი, მარტჳლობაჲ შუშანიკისი, გამოსცა ილ. აბულაძემ, 1938. ჩვენ ქვემოთ გვერდები ნაჩვენები გვაქვს ჩვენი ქრესტომათიის მიხედვით, რომელშიც ეს ტექსტი უცვლელად არის გადმობეჭდილი ილ. აბულაძის აღნიშნული გამოცემიდან. შემკლ.: შუშ.

15. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ (ტექსტი, ენობრივი მიმოხილვა და ლექსიკონი დაამზადა სტუდენტმა ვლადიმერ კუპატაძემ, შრომა ინახება ქართული ენის კაბინეტში). შემოკლ.: ილარ. ქართვ.

16. იოვანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, გამოსცა მ. ჯანაშვილმა, 1911. შემოკლ.: ბოლნ.

17. თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ დაბადებულისათჳს და წინაჲთვე განჩინებულისა ცაცხა ზედა ღმრთისა მიერ კეთილისა და ბოროტისა, გამოსცა ი. ჯავახიშვილმა (Хр. Восток, т. II, вып. 3, 1914, გვ. 275—280). შემოკლ.: იოვ. ოქროპ., იშვიათად: Хр. Вост. II.
18. იოვანე საბანისძე, წამებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი. არსებობს რამდენიმე გაძოცემა. ჩვენ დამოწმებული გვაქვს ჩვენივე გამოცემა, რომელიც სვანურ მრავალთავში წარმოდგენილი ტექსტის მიხედვითაა მოცემული (ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, 1953. გვ. 176—202). შემოკლ.: აბო.
19. ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა იოვანე ურჰაელისა კათალიკოსისაჲ, გამოსცა კ. კეკელიძემ (Хр. Восток, т. II, вып. 3, 1913). შემოკლ.: ურჰ.
20. წინაწარმეტყუელებაჲ იონაჲსი, გამოსცა ი. იმნაიშვილმა ლაგურკის ხელნაწერის მიხედვით (ისტ. კრესტ., გვ. 134—137). ვიმოწმებთ ასე: იონა.
21. წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან, მოწაფემან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსმან, და თხრობაჲ აღშჱნებისათჳს ეკლესიისა, რომელი-იგი არს ლუდიას შინა, გამოსცა ნ. მარმა (ТР, II, 1900). შემოკლ.: არიმ.
22. ნეტარისა იპოლიტჱს თქუმული თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ, გამოსცა ნ. მარმა (ТР, III, 1901). შემოკლ.: იპოლ.
23. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1945; ტ. III, 1955. გამოკვლევებს ზოგჯერ თან ახლავს ტექსტები, რომლებსაც ქვემოთ ვიმოწმებთ. შემოკლ.: ეტ. II, ეტ. III.
24. ნ. მარი, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Ленинград, 1940. შემოკლ.: Опис.
25. ნ. მარი, ძველი ქართული ტექსტები, გამოქვეყნებული Patrologia Orientalis-ში (Tome XIX. — Fascicule 5, 1926). აქ არის გამოცემული შემდეგი ტექსტები: 2. პოვნაჲ ნაწილთაჲ წმიდისა სტეფანჱსთა პირველ-დიაკონისა და პირველ-მოწამისაჲ, გვ. 657 — 670 (33 — 46)[1]; 3. მიცვალებაჲ ნაწილთა წმიდისა სტეფანჱსთაჲ პირველ-დიაკონისა და პირველ-მოწამისათაჲ, იერუსალჱმით კოსტანტინეპოლის, გვ. 671 — 689 (47 — 65); 4. თქუმული გრიგოლი ხუცისა ანტიოქელისაჲ წმიდისა პირველ-მოწამისა სტეფანჱსთჳს, გვ. 689 — 699 (65 — 75); 5. თქუმული წმიდისა გრიგოლ ხუცისაჲ: ქებაჲ პირველ-მოწამისა სტეფანჱსი, გვ. 699—706 (75—82); 6. ქებაჲ წმიდისა სტეფანჱსი პირველ-დიაკონისა და პირველ-მოწამისაჲ, გვ. 706—714 (82—90); 7. ჴსენებაჲ წმიდათა მოციქულთა პეტრჱსი და პავლჱსი ჰრომეს შინა უწინარჱს

[1] გვერდების ორგვარი სათვალავიდან ერთი (დიდი) საერთოა, მეორე (მცირე) ნ. მარის აქ დაბეჭდილ შრომას (გამოკვლევასა და ტექსტებს) ეკუთვნის მხოლოდ. ჩვენ გვერდებს ეუჩვენებთ ნ. მარის შრომის მიხედვით.

რვისა დღისა ვარდობისა, წამებაჲ პეტრწსი, გვ. 715—725 (91—101); 8. წამებაჲ წმიდისა პაულჲ მოციქულისაჲ ჰრომს შინა, გვ. 725 — 733 (101—109); 9. წამებაჲ წმიდათა და ყოველად ქებულთა მოციქულთაჲ პეტრწსი და პაულწსი ჰრომს შინა ნერონის მიერ კეისრისა. გვ. 733 — 741 (109—117). ყველა ეს ტექსტი დამოწმებული გვაქვს ასე: PO.

26. ნ. მარი, ძველი ქართული ტექსტები, გამოქვეყნებული ჟურნალში Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества, т. 17, 1906. დამოწმებული გვაქვს ასე: Записки т. 17 (ნ. აქვე წუარო № 39).

27. ნ. მარი, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера (Записки Восточного Отд. Имп. Русск. Арх. Общ. т. XIII. 1901. შემოკლ.: ჰაგ. მას. (ჰაგიოგრაფიული მასალები...).

(ნ. კიდევ ნ. მარის მიერ გამოცემული სხვა ტექსტები აქვე ანბანის რიგზე №№ 3, 6, 9, 21, 22, 39).

28. მარტჳლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ, ჩვენი გამოცემა (ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, 1953, გვ. 160—175). შემოკლ.: ევსტ.

29. მარტჳლობაჲ თეკლაჲსი, გამოსცა ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ (ენიმკის მოამბე, VIII, გვ. 91—124). შემოკლ.: თ ე კ ლ.

მ ე რ ჩ უ ლ ე ნ. გიორგი მერჩულე.

მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ნ. გიორგი მთაწმიდელი.

30. მიტროფანე ზ მ ჳ რ ნ ე ლ ი, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ, გამოსცა კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მ, ტფ. 1920. შემოკლ.: ე კ ლ ე ს.

31. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გამოსცა ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა (Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. 41. 1910, გვ. 48 — 96; вып. 42, 1912, გვ. 1 — 49). ამ ძეგლის ერთი ნაწილი ჩვენც გადმოვბეჭდეთ ჩვენს ქრესტომათიაში შატბერდის ცნობილი კრებულიდან (ქართ. ენის ისტ. ქრესტომათია, 1953, გვ. 267 — 279). ზოგჯერ ამ გამოცემის მიხედვითაც გვაქვს დამოწმებული სათანადო ადგილები. შემოკლ.: მ ო ქ ც., მ ო ქ ც. ქ ა რ თ ლ.

32. მრავალთავი, გამოსცა ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ (ენიმკის მოამბე, ტ. XIV, 1945, გვ. 255—316). შემოკლ.: მ რ ა ვ.

33. ო თ ხ თ ა ვ ი. ძირითად დასაყრდენ ტექსტად მიღებული გვაქვს ა. შ ა ნ ი ძ ი ს გამოცემა: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბილისი, 1945.

ოთხთავის ტექსტის მასალები გამოვიყენეთ აგრეთვე ვლ. ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ ი ს გამოცემით: სახარებაჲ ოთხთავი ორთა ჴელთნაწერთაგან **Ჳ**Გ და **Ჳ**ᲔᲔ წელთაჲთა (მარკოზის თავში: წ ე ლ თ ა ჲ ს ა ჲ), ნაკეთი ა: სახარებაჲ მათწს თავისაჲ, ს.-პეტერბურგი, 1909 წ.; ნაკეთი ბ: სახარებაჲ მარკოზის თავისაჲ, ს.-პეტერბურგი, 1911 წ. ვლ. ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ ს გამოცემის საფუძვლად მიღებული აქვს ტბეთის ხელნაწერი (995 წლისა, აღნიშნავს B ლიტერით),

ვარიანტები ნაჩვენები აქვს ოპიზის, ან, როგორც სხვანაირად ეძახიან, ათონის ხელნაწერის მიხედვით (გადაწერილია 913 წ., აღნიშნავს A ლიტერით).

ტბეთის ოთხთავის მესამე ნაწილი, ლუკას თავი, გამოქვეყნებული გვაქვს ჩვენ (ქართული ენის ისტ. ქრესტომათია, 1953, გვ. 65—122).

ჩვენვე გვეკუთვნის ქსნის ოთხთავის ტექსტის პუბლიკაცია: მარკოზის თავი დაიბეჭდა პუშკინის სახ. თბილ. სახელმწ. პედაგ. ინსტ. შრომებში (ტ. VI, 1949, გვ. 214—239); მათესა და იოვანეს თავები (ნაკლული) — იქვე (ტ. VIII. 1950, გვ. 299 — 342); ლუკას თავი — ჩვენს ქრესტომათიაში (1949 წ. გვ. 60 — 83; 106 — 125).

ნაწყვეტები ალავერდის ოთხთავიდან გამოცემულია ჩვენ მიერ (ქართ. ენის ისტ. ქრესტ. 1949, გვ. 17—32; 1953, გვ. 26—40).

ნაწყვეტები ოთხთავის ტექსტიდან შემონახულია ხანმეტსა და ჰაემეტ ძეგლებში, რომელთაც ქვემოთ ვუჩვენებთ.

პალეოგრაფიული ალბომი ნ. ქართული წერის ნიმუშები.

34. ჟამის-წირვაჲ წმიდისა იაკობ მოციქულისა, ძმისა უფლისა, პირველ მთავარ-ებისკოპოსისა იერუსალემელისაჲ, გამოსცა კ. კეკელიძემ (Древне-грузинский Архиератикон, თბილ. 1912). შემოკლ. ჟამის-წირ. რავახი ნ. ანტონი რავახი (№ 4).

35. რიცხუთაჲ, ნაწყვეტი ძველი ქართული ბიბლიიდან, გამოსცა ილ. აბულაძემ (ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 18, 1941, გვ. 153—157).
საბანისძე ნ. იოვანე საბანისძე.

36. ცხორებაჲ საბა ასურისაჲ, გამოსცა ს. ჯანაშიამ (არილი, 1926, გვ. 4—21). შემოკლ.: საბა ას.

37. საქმე მოციქულთაჲ, გამოსცა ილ. აბულაძემ (ძველი ქართული ენის ძეგლები, 7, თბილისი, 1949).
სახარება ნ. ოთხთავი.

38. სიბრძნე ბალაჰვარისი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1937, შემოკლ.: ბალაჰვ.

39. წამებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ სპევსიპესი, ელასიპესი და მელასიპესი სოფელსა კაბადუკიელთასა, გამოსცა ნ. მარმა (Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества, т. 17, 1906 г.). შემოკლ.: სპევს. (იშვიათად ასეც: Записки, ტ. 17).
სტრატიკი ნ. ანტიოქ სტრატიკი.
ურჰაელი ნ. იოვანე ურჰაელი.

40. ტიმოთე ანტიოქელი, უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა, გამოსცა კ. კეკელიძემ (ენიმკის მოამბე, ტ. VII, 1940). შემოკლ.: ანტიოქ.

41. ფსალმუნი დავითისი. ორი ნაწყვეტი (108, 1—22; 118, 68—80) სხვადასხვა ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ა. შანიძემ (ძველი ქართულის ქრესტომათია, 1935, გვ. 43 — 44). ნაწილი (50 — 51; 57 — 68)

ჩვენ გამოვაქვეყნეთ ჩვენს ქრესტომათიაში (გვ. 137—146) საქართველოს მუზეუმის მეათე საუკუნის ხელნაწერის (A 38) მიხედვით.

42. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955. შემოკლ.; ქართლ. ცხოვრ.

43. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, 1949 (პირველი გამოცემა), 1953 (მეორე გამოცემა), გამოსცა ი. იმნაიშვილმა. აქედან ამოღებულ ძეგლებს ვიმოწმებთ ასე: ისტ. ქრესტ.

44. ქართული წერის ნიმუშები (პალეოგრაფიული ალბომი), გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილ. 1949. შემოკლ.: პალ. ალბ.

45. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კიმენი, ტ. I, 1918; ტ. II, 1946, გამოსცა კ. კეკელიძემ. შემოკლ.: კიმ.

46. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1946. შემოკლ.: ლიტ. ქრესტ.

47. ძველი ქართულის ქრესტომათია, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1935. შემოკლ.: ძვ. ქართ. ქრესტ.

48. ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გამოსცა პ. ინგოროყვამ, თბილ. 1913. შემოკლ.: სას. პოეზ.

49. წარწერები. ბოლნისის სიონის წარწერები, მცხეთის ჯვრის წარწერები, საჰაკდუხტის წარწერა, წყისის წარწერა, ატენის წარწერა დამოწმებულია ა. შანიძის გამოცემის მიხედვით (ძველი ქართულის ქრესტომათია, 1935, გვ. 1—2, 25, 36); უკანგორის წარწერა — ლ. მუსხელიშვილის გამოცემის მიხედვით (არქეოლოგიური ექსკურსიები, 1941, გვ. 12—13; ერედვის წარწერა — რ. მეფისაშვილის გამოცემის მიხედვით (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 10, 1944, გვ. 1043—1051). ყველა ეს წარწერა გადმობეჭდილია ჩვენს ქრესტომათიაში (გვ. 1—3) და დაინტერესებულ პირთ აქაც შეუძლიათ ნახონ ისინი.

50. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვეთი 1 (დაბადებისაჲ, გამოსლვათაჲ), 1947; ნაკვეთი 2 (ლევიტელთაჲ, მსაჯულთაჲ, რუთისი, იობისი, ესაიაჲსი), 1948. გამოსცა ა. შანიძემ.

51. ხანმეტი ტექსტები. აქ უნდა დავასახელოთ შემდეგი ძეგლები:

ა) ხანმეტი ტექსტები, ამოშიფრული და გამოცემული ი. ჯავახიშვილის მიერ (ტფ. უნივ. მოამბე, ტ. II, 1922 — 23 წ., გვ. 371 — 391). მეორედ გამოიცა ახალი მასალების დამატებით იმავე ავტორის „ქართულ პალეოგრაფიაში“ (II გამოც., 1949 წ., გვ. 317 — 366).

ბ) ხანმეტი მრავალთავი, გამოსცა ა. შანიძემ (ტფ. უნივ. მოამბე, ტ. VII, 1927, გვ. 125—152).

გ) ხანმეტი ლექციონარი, გამოსცა ა. შანიძემ (ტფ. უნივ. მოამბე, ტ. IX, 1929, გვ. 329—342). იგივე ძეგლი ავტორმა ფოტოტიპიურად გამოსცა „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიაში (1) 1944 წელს. გამოცემას თან ახლავს ძეგლის მხედრული ტრანსლიტერაცია და სრული სიმფონია.

დ) ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ (ენიმკის მოამბე, ტ. II, 1937, გვ. 36—39).

ყველა ეს ტექსტი თითქმის უკლებლივ გადმობეჭდილი გვაქვს ჩვენს ქრესტომათიაში (გვ. 3—25; 41—46).

52. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947. აქედან ამოღებული ტექსტები დამოწმებული გვაქვს ასე: ი. ჯ ა ვ. ა ღ წ.

52. ჰაემეტი ტექსტები, გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ (ტფ. უნივ. მოამბე, ტ. III, 1923, გვ. 363—388). ეს ტექსტები თითქმის მთლიანად არის გადმობეჭდილი ჩვენს ქრესტომათიაში (გვ. 46—53).

B. ხელნაწერები

1. ბ ი ბ ლ ი ა. ბიბლიური ტექსტები გამოყენებული გვაქვს 2 ხელნაწერის მიხედვით:

ა) ოშკის (ათონის) ბიბლიის მიხედვით, რომლის ფოტოპირები და იქიდან გამოსაცემად გადმოწერილი ტექსტი თავაზიანად დაგვითმო ა. შ ა ნ ი ძ ე მ.

ბ) ლაგურკის ლექციონარის მიხედვით, რომელიც სვანეთიდანაა ჩამოტანილი და ამჟამად დაცულია კარლ მარქსის სახელობის თბილისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში. ამ ხელნაწერში კარგა ბლომად არის შესული საკითხავ მასალად ადგილები ახალი აღთქმის წიგნებიდანაც, განსაკუთრებით სახარებიდან. ტექსტი დიდი სიძველის ნიშნებს ატარებს და ამიტომ ფართოდ ვიყენებთ მას. ხელნაწერს გამოსაცემად ამზადებს დოც. ს ტ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, რომელმაც თავაზიანად გადმოგვცა სარგებლობისათვის მის მიერ გადმოწერილი ტექსტი. ოშკის ბიბლიისაგან განსხვავებით, ამ წიგნის მიხედვით დამოწმებას მოსდევს „ლაგ.“, რაც ნიშნავს „ლაგურკის ხელნაწერს“.

2. გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა ჲ წმიდისა მახარებელისა და ღმრთის-მეტყუელისა იოვანჱსი, რომელი გამოუცხადა მას ღმერთმან.

3. წმიდისა მამისა ჩუენისა ანდრიაჲს მთავარებისკოპოსისა კესარია-კაპადოკიელისაჲ თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა ჲ გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ი ს ა ჲ წმიდისა იოვანე მახარებელისაჲ.

ორივე ეს ძეგლი — გამოცხადებაჲ იოვანჱსი (აპოკალიპსი) და თარგმანებაჲ იოვანჱს გამოცხადებისაჲ — თარგმნილია ქართულად ექვთიმე ათონელის მიერ 975 — 977 წლებში. ორივე ტექსტი გამოსაცემად დამზადებული გვაქვს რამდენიმე ხელნაწერის მიხედვით, რომელთა შორის უძველესია (X ს.) სამი: საქ. მუზ. ხელნაწერები H 1346 და A 397 და სინას მთის ხელნაწერი (ალ. ცაგარლით № 90, ნ. მარით № 85), რომლის მიკროფილმიც ამ უკანასკნელ ხანებში იქნა მიღებული ვაშინგტონიდან. შემოკლ.: გ ა მ ო ც ხ. (=გამოცხადებაჲ იოვანჱსი) და თ ა რ გ მ. გ ა მ ო ც ხ. (=თარგმანებაჲ იოვანჱს გამოცხადებისაჲ).

4. ეპისტოლეები.

ა) კათოლიკე ეპისტოლეების ტექსტი გამოყენებული გვაქვს დოც. ქ. ლორთქიფანიძის მიერ გამოსაცემად გამზადებული შრომის მიხედვით[1]. აქ ტექსტის დასამზადებლად აღებულია შემდეგი ხელნაწერები: 1) საქ. მუზ. ხელნ. S 407, X საუკუნისა (Ჳ რედაქცია); 2) ზემოთ აღნიშნული ლაგურკის ლექციონარი (Ղ რედაქცია); 3) საქ. მუზ. ხელნ. A 584; 4) A 34 (Ղ რედაქცია); 5) A 137; A 677; K—12. ეს უკანასკნელი ხელნაწერი დაცულია სსრკ მეცნ. აკად. ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. სამი უკანასკნელი ხელნაწერი Ծ რედაქციას ქმნის.

ბ) პაველეს ეპისტოლეთა ტექსტით ვისარგებლეთ ქუთაისის ისტორიული მუზეუმის № 176 ხელნაწერის მიხედვით, რომლიდანაც ტექსტი გადმოწერა დოც. პ. ჯაჯანიძემ და სარგებლობისათვის ჩვენ დაგვითმო.

5. მამათა სწავლანი, ტექსტი გამოყენებული გვაქვს სამი ხელნაწერის მიხედვით; ესენია: ა) საქ. მუზ. ხელნ. S 1139 X საუკუნისა, გადაწერილია დავით მამფლის სიცოცხლეში (გარდაიცვალა 943 წ.). ეს ხელნაწერი ძირითადია. ბ) საქ. მუზ. ხელნ. H 1662, გადაწერილია 1040 წ. გ) საქ. მუზ. ხელნ. A 1142, პირი ოშკის „სამოთხისა“ (ეს უკანასკნელი გადაწ. 977 წ.). ჩვენ ზოგჯერ ვსარგებლობდით აღნიშნული პირით. ტექსტს სამივე ხელნაწერის მიხედვით ბეჭდავს ი. აბულაძე. ჩვენ ვსარგებლობდით პატივცემული პროფესორის მიერ დასაბეჭდად დამზადებული ხელნაწერით, რომელიც მან თავაზიანად დაგვითმო. ტექსტის გვერდები უმთავრესად S 1139-ის მიხედვით გვაქვს დამოწმებული; როცა სათანადო ადგილი ამ ხელნაწერში არ მოიპოვება და ის H 1662-ის მიხედვითაა გამართული, ფრჩხილებში ამ ხელნაწერის ფონდის სახელს ვუსვამთ (H); ასევე ვიქცევით, როცა A 1142 ხელნაწერით ვსარგებლობთ (A). შემოკლ.: მამ. სწავ. (S 1139 ხელნაწერისათვის), მამ. სწავ. (H) (H 1662 ხელნაწერისათვის), მამ. სწავ. (A) (A 1442 ხელნაწერისათვის). [წიგნი ამჟამად გამოცემულია ბეჭდურად[2]. ეს შრომა მანქანაზე გადაბეჭდილი იყო, როცა „მამათა სწავლანი“ დაიბეჭდა, ამიტომ აქ ისევ ხელნაწერის გვერდებზეა მითითება].

6. პარხლის მრავალთავი, საქ. მუზ. ხელნ. 95 (XI ს.) შემოკლ.: პარხ. 900 გვერდიდან ზოგჯერ შეიძლება მითითება 10-ით ნაკლები იყოს ნაჩვენები. ასეთ შემთხვევაში აქ მითითებულ რიცხვს 10 უნდა დაემატოს (მაგ., 978+10=988).

7. სვანური მრავალთავი, საქ. მუზ. ხელნ. A 19 (X ს.) შემოკლ.: სვან.

8. სინას მრავალთავი 864 წლისა. ამ ხელნაწერის მიკროფილმის მიღებისას (1956 წ). ჩვენი შრომა უკვე დამთავრებული იყო. ამიტომ მთელი სისრულით ძეგლის გამოყენება შეუძლებელი იყო; იმით ვისარგებლეთ მხოლოდ

[1] ამჟამად ეს შრომა გამოქვეყნებულია.

[2] ძველი ქართული ენის ძეგლები. 8. თბილისი, 1955.

ნაწილობრივ [ნაწილობრივ ეს ძეგლი გამოყენებული გვაქვს ნ. მარის შრომაში (Описание грузинских рукописей Синайского монастыря, 1940) წარმოდგენილი ნაწყვეტებისა (გვ. 2—26; 93—97) და ხელნაწერში დაცული ერთი ძეგლის მიხედვით (ცხორებაჲ სინა-რაითის მამათაჲ), რომელიც გამოაქვეყნა კ. კეკელიძემ (კიმენი, I, 1918, გვ. 28—44). ეს ძეგლი ჩვენც დავბეჭდეთ ჩვენს „ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიაში", 1953, გვ. 202 — 218). ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი დამოწმებულია ასე: ამონ. (=ამონიოსი, ავტორი ძეგლისა)]. შემოკლ.: სინ. მრავ.

9. ფსალმუნი დავითისი, საქ. მუზ. ხელნ. A 38 (X ს.). ტექსტს გამოსაცემად ამზადებს მზექალა შანიძე. მის მიერ გამოსაცემად დამზადებული ხელნაწერი მან თავაზიანად გადმოგვცა სარგებლობისათვის. შემოკლ.: ფსალმ.
10. უდაბნოს მრავალთავი, საქ. მუზ. ხელნ. A 1109 (X ს.). შემოკლ.: უდაბნ.
11. შატბერდის კრებული, საქ. მუზ. ხელნ. S 1141 (973—976 წწ.). შემოკლ.: შატბ.
12. ჰილ-ეტრატის იადგარი, საქ. მუზ. ხელნ. H 2123 (IX—X საუკუნისა). შემოკლ.: ჰილ-ეტრ.

შემოკლებანი და დათქმული ნიშნები

a ხელნაწერის გვერდის პირველი სვეტი.
ა ბ დ ი ა წინაწარმეტყუელებაჲ აბდიაჲსი.
ა ბ ო წამებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი (ნ. წყაროები, A, 17).
ა მ ბ ა კ უ მ წინაწარმეტყუელებაჲ ამბაკუმისი.
ა მ ო ნ. ამონიოს, ავტორი თხზულებისა: ცხორებაჲ წმიდათა და ნეტართა მამათაჲ, რომელნი მოისრნეს მთასა სინასა და რაითს ბარბაროსთაგან (ნ. წყაროები, A, 2).
ა მ ო ს წინაწარმეტყუელებაჲ ამოსისი.
ა ნ გ ი ა (ანგეა) წინაწარმეტყუელებაჲ ანგიაჲსი.
ა ნ ტ ი ო ქ. ტიმოთე ანტიოქელი (ნ. წყაროები, A, 40).
ა რ ი მ. იოსებ არიმათიელი (ნ. წყაროები, A. 21).

b ხელნაწერის გვერდის მეორე სვეტი.
ბ ა ლ ა ჰ ვ, სიბრძნე ბალაჰვარისი (ნ. წყაროები, A, 38).
ბ ა რ უ ქ წინაწარმეტყუელებაჲ ბარუქისი.
ბ ო ლ ნ. იოვანე ბოლნელი (ნ. წყაროები, A, 15).

გ ა ლ ა ტ. გალატელთა მიმართ ეპისტოლჱ პავლჱსი.
გ ა მ ო ს ლ ვ. წიგნი მეორჱ მოსჱსი — გამოსლვათაჲ.
გ ა მ ო ც ხ. გამოცხადებაჲ იოვანჱსი (ნ. წყაროები, B, 2).
გ ო დ ე ბ. გოდებაჲ იერემიაჲსი.
გ რ ა მ. ს ა ფ უ ძ ვ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953.
Г р а м. Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925 г.

დ ა ბ. წიგნი პირველი მოსჱსი—დაბადებისაჲ (ძველი აღთქმის პირველი წიგნი).
დ ა ნ ი ე ლ წინაწარმეტყუელებაჲ დანიელისი.

ე ბ რ. ებრაელთა მიმართ ეპისტოლჱ პავლჱსი.
ე ვ ს ტ. მარტჳლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ (ნ. წყაროები, A, 28).
ე ზ ე კ. წინაწარმეტყუელებაჲ ეზეკიელისი.
1 ე ზ რ ა წიგნი პირველი ეზრაჲსი.
2 ე ზ რ ა წიგნი მეორჱ ეზრაჲსი.
3 ე ზ რ ა წიგნი მესამჱ ეზრაჲსი.
ე კ ლ ე ს. წიგნი ე კ ლ ე ს ი ა ს ტ ე.

ეპისტოლე ნ. კათოლიკე ეპისტოლე.
ეპიტ. გრიგოლ ნაძიანძელი, სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისთჳს.. ეფრემ მცირის თარგმანი. გამოსაცემად დაამზადა თ. ფაშალიშვილმა. ჩვენ ვისარგებლეთ მისი ხელნაწერით.
ესაია წინაწარმეტყუელებაჲ ესაიაჲსი.
ესთერ წიგნი ესთერისი.
ეტ. II, ეტ. III კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1945; ტ. III, 1955.
ეფეს. ეფესელთა მიმართ ეპისტოლე პაველსი.

v (verso) ხელნაწერის ფურცლის მეორე, უკანა გვერდი.

ზარზმ. ბასილი ზარზმელი, ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ (ნ. წყაროები, A, 5).
ზაქარ. წინაწარმეტყუელებაჲ ზაქარიაჲსი.
ზირაქ წიგნი სიბრძნისა ისუ ზირაქისი.

თარგმ. გამოცხ. თარგმანებაჲ გამოცხადებისაჲ წმიდისა იოვანე მახარებელისა და ღმრთის-მეტყუელისაჲ (ნ. წყაროები, B, 3).
თარგმ. ეკლეს. თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ.
თეკლ. მარტჳლობაჲ თეკლაჲსი (ნ. წყაროები, A, 29).
თესალ. თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე პაველსი.
თომ. სახ. თომას სახარების აპოკრიფი (=სიყრმე უფლისაჲ. ნ. წყაროები, A, 12).
თუალთ. ეპიფანე კჳპრელისა თქუმული ათორმეტთა მათ თუალთათჳს (ნ. წყაროები, A, 11).
თხრობ. თხრობაჲ კოსტანტინეპოლის გარე-მოცვისაჲ სკჳთთაგან (ნ. წყაროები, A, 13).

ი. სახარებაჲ იოვანჱს თავისაჲ.
იაკ. ეპისტ. კათოლიკე ეპისტოლე იაკობისი.
იბერ.-კავკ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება".
იგავ. იგავნი სოლომონისნი.
იერ. წინაწარმეტყუელებაჲ იერემიაჲსი.
იერ. განჩ. იერუსალჱმის განჩინება (ნ. წყაროები, A, 8).
ივდით წიგნი ივდითისი.
იობ წიგნი იობისი.
იოვ. ოქროპ. თქუმული იოვანე ოქროპირისაჲ (ნ. წყაროები, A, 16).
იოველ წინაწარმეტყუელებაჲ იოველისი.
იონა წინაწერმეტყუელებაჲ იონაჲსი.
იპოლ. ნეტარისა იპოლიტჱს თქუმული თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ (ნ. წყაროები, A, 22).
ისტ. ქრესტ. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. 1, 1953 (მეორე გამოცემა).

ისუ ნავ. წიგნი ისუ ნავესი.
იუდ. კათოლიკე ეპისტოლე იუდაჲსი.

კათ. ეპისტ. კათოლიკე ეპისტოლე.
1 კათ. იოვ. პირველი კათოლიკე ეპისტოლე იოვანესი.
2 კათ. იოვ. მეორე კათოლიკე ეპისტოლე იოვანესი.
3 კათ. იოვ. მესამე კათოლიკე ეპისტოლე იოვანესი.
კიმ. კიმენი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ტ. I, 1918; ტ. II, 1946 (ნ. წყაროები, A, 45).

კოლას. კოლასელთა მიმართ ეპისტოლე პაელესი.
1 კორ. კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე პავლესი.
2 კორ. კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლე პავლესი.

ლ. სახარებაჲ ლუკაჲს თავისაჲ.
ლაგ. ლაგურკის ლექციონარი (ნ. წყაროები, B, 1).
ლევიტ. წიგნი მესამე მოსესი — ლევიტელთაჲ.
ლიტ. ურთ. იღ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში (ნ. წყაროები, A, 1).
ლიტ. ქრესტ. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, 1946.

მ. სახარებაჲ მათესი თავისაჲ.
1 მაკაბ. წიგნი პირველი მაკაბელთაჲ.
2 მაკაბ. წიგნი მეორე მაკაბელთაჲ.
3 მაკაბ. წიგნი მესამე მაკაბელთაჲ.
მალაქ. წინაწარმეტყუელებაჲ მალაქიაჲსი.
მამ. სწავ. მამათა სწავლანი, საქ. მუზ. ხელნაწერთა ფონდის აღუნიშვნელად გულისხმობს S 1139 ხელნაწერს; H-ის დამატებით [მამ. სწავ. (H)] იგულისხმება H 1662 ხელნაწერი, ხოლო A-ს დამატებით [მამ. სწავ. (A)] — A 1142 ხელნაწერი.
1 მეფ. წიგნი პირველი მეფეთაჲ.
2 მეფ. წიგნი მეორე მეფეთაჲ.
3 მეფ. წიგნი მესამე მეფეთაჲ.
4 მეფ. წიგნი მეოთხე მეფეთაჲ.
მიქია (მიქეა) წინაწარმეტყუელებაჲ მიქიაჲსი.
მოქც., მოქც. ქართლ. მოქცევაჲ ქართლისაჲ (ნ. წყაროები, A, 31).
მოც. საქმე მოციქულთაჲ (ნ. წყაროები, A, 37).
მრ. სახარებაჲ მარკოზის თავისაჲ.
მრავ. მრავალთავი (ნ. წყაროები, A, 32).
მსაჯ. წიგნი მსაჯულთაჲ.

ნ. ნახე.
ნ. კ. ნახე კიდევ.

ნაუმ წინაწარმეტყუელებაჲ ნაუმისი.
ნეემია წიგნი ნეემიაჲსი.
1 ნეშტ. წიგნი პირველი ნეშტთაჲ.
2 ნეშტ. წიგნი მეორე ნეშტთაჲ.

Опис. Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Ленинград, 1940.

ოსე წინაწარმეტყუელებაჲ ოსესი.

От Н. Марр, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими, С.-Петербург, 1908 г.

პალ. ალბ. ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები (პალეოგრაფიული ალბომი), 1949.

პარხ. პარხლის მრავალთავი (საქ. მუზ. ხელნ. A 95).

PO Patrologia Orientalis, რომელშიც გამოაქვეყნა ნ. მარმა ძველი ქართული ტექსტები (ნ. წყაროები, A, 25).

1 პეტ. პირველი კათოლიკე ეპისტოლე პეტრესი.
2 პეტ. მეორე კათოლიკე ეპისტოლე პეტრესი.

ჟამის-წარ. ჟამის-წირვაჲ იაკობ მოციქულისაჲ (ნ. წყაროები, A, 34).

r (recto) ხელნაწერის ფურცლის პირველი გვერდი.
რავახ ცხოვრებაჲ და წამებაჲ წმიდისა ანტონი რავახისი (ნ. წყაროები, A, 4).
რიცხ. წიგნი მეოთხე მოსესი—რიცხუთაჲ (ნ. წყაროები, A, 35).
რომ. ნ. ჰრომ.
რუთ წიგნი რუთისი.

საბა ას. ცხორებაჲ საბა ასურისაჲ (ნ. წყაროები, A, 36).
სას. პოეზ. ძველ-ქართული სასულიერო პოეზია (ნ. წყაროები, A, 48).
სახისმეტ., სახისმეტყ. ბასილი კესარიელი, მჴეცთათჳს სახისა სიტყუაჲ (ნ. წყაროები, A, 6).
სახ. ფუძ. ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
სვან. სვანური მრავალთავი (საქ. მუზ. ხელნ. A 19).
სიბრძ., სიბრძნ. წიგნი სიბრძნისა სოლომონისი.
სინ. მრავ. სინას მრავალთავი 864 წლისა (ნ. წყაროები, B, 8).
სოფონია წინაწარმეტყუელებაჲ სოფონიაჲსი.
სპევს. წამებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ სპევსიპესი, ელასიპესი და მელასიპესი (ნ. წყაროები, A, 39).
1 ტიმ. ტიმოთეს მიმართ პირველი ეპისტოლე პავლესი.
2 ტიმ. ტიმოთეს მიმართ მეორე ეპისტოლე პავლესი.

ტიტ. ტიტეს მიმართ ეპისტოლე პაელესი.
ტობია წიგნი ტობიაჲსი.

უდაბნ. უდაბნოს მრავალთავი (საქ. მუზ. ხელნ. A 1109).
ურჰ. ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა იოვანე ურჰაელისა კათალიკოსისაჲ (ნ. წყაროები, A, 18).

ფილიმ. ფილიმონის მიმართ ეპისტოლე პაელესი.
ფილპ. ფილიპელთა მიმართ ეპისტოლე პაელესი.
ფსალმ. ფსალმუნი დავითისი.

ქართული წერის ნიმუშები ნ. პალ. ალბ:
ქებ., ქებაჲ წიგნი ქებაჲ ქებათაჲ მეფისა სოლომონისი.
ქვ. ქვემოდან.

შატბ. შატბერდის კრებული (საქ. მუზ. ხელნ. S 1141).
შდრ. შეადარე.
შედარ. ლექს. ა. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილ. 1938.
შუშ. მარტკლობაჲ შუშანიკისი (ნ. წყაროები, A, 14).
2 შჯულ. წიგნი მეხუთე მოსესი — მეორე შჯული.

ცხორ. იოვ. და ეფთ. გ. მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი (ნ. წყაროები, A, 10).

ძვ. ქართ. ენა ა. შანიძე, ძველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა): ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ქრესტომათია საშუალო სკოლის IX კლასისათვის (მე-12 გამოც.), 1953.
ძვ. ქართ. ქრესტ. ა. შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია, 1935.

წარტყ. წარტყუენვაჲ იერუსალემისაჲ (ნ. წყაროები, A, 3).
წარწ. წარწერები (ნ. წყაროები, A, 49).

ჭან. გრამ. ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილ. 1936.
ჭილ-ეტრ. ჭილ-ეტრატის იადგარი (საქ. მუზ. ხელნ. H 2123).

ხანძთ. გიორგი მერჩულე, ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ (ნ. წყაროები, A, 9).
Хр. В. Христианский Восток.

ი. ჯავ. აღწ. ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილ. 1947.
ჰაბო ნ. აბო.
ჰაგ. მას. ნ. მარი, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера (Записки Вост. Отд. Имп. Русск. Арх. Общества, т. XIII, 1901).
ჰებრ. ნ. ებრ.
ჰრომ. ჰრომაელთა მიმართ ეპისტოლე პაელესი.

სახარების ტექსტის შემოკლებებთან (მ., მრ., ლ., ი.) მიწერილ ლათინურ ასოებს შემდეგი მნიშვნელობა აქვთ:

A — ოპიზის (ათონის) ოთხთავი 913 წლისა (დაცულია ათონზე).
B — ტბეთის ოთხთავი 995 წლისა (დაცულია ლენინგრადში სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში).
C — ადიშის ოთხთავი 897 წლისა (დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).
D — ჯრუჭის ოთხთავი 936 წლისა (საქ. მუზ. ხელნ. H 1660).
E — პარხლის ოთხთავი 973 წლისა (საქ. მუზ. ხელნ. A 1453).
F — ე. წ. თევდორეს ოთხთავი X ს. (საქ. მუზ. ხელნ. A 98).
g — გაბრიელ პატარაისა X ს. (საქ. მუზ. ხელნ. S 4927).
H — ე. წ. „ანბანდიდი“ X ს. (საქ. ცენტრ. არქ. № 107).
I — ურბნისის ოთხთავი XI ს. (საქ. მუზ. ხელნ. A 28).
K — ე. წ. პალესტინური ოთხთავი 1048 წლისა (საქ. მუზ. ხელნ. A 1741).
L — ქსნის ოთხთავი X ს. (საქ. მუზ. ხელნ. A 509).
M — მესტიის ოთხთავი 1033 წლისა (დაცულია მესტიის მხარეთმცრდნეობის მუზეუმში).
N — ალავერდის ოთხთავი 1054 წლისა (საქ. მუზ. ხელნ. A 484).

ამას გარდა,

X-ით აღინიშნება ტექსტი ხანმეტი ლექციონარისა (=ძველი ქართული ენის ძეგლები. 1) და ხანმეტი მრავალთავისა, რომელიც გამოცემულია ა. შანიძის მიერ.
Y-ით — ხანმეტი ტექსტები, გამოცემული ი. ჯავახიშვილის მიერ (ქართული პალეოგრაფია, 1949, მეორე გამოცემა).
Z-ით — ჰაემეტი ტექსტები, გამოცემული ა. შანიძის მიერ (ტფ. უნივ. მოამბე, ტ. III, 1923).

ლიტერატურის მიმოხილვა

სამეცნიერო ლიტერატურას ძველი ქართული ენის შესახებ გრძელი ისტორია აქვს. მაგრამ ის განსაკუთრებით გადიდდა და გაფართოვდა ამ უკანასკნელ დროს. აქ ჩვენ გვსურს ძალიან მოკლედ თვალი გადავავლოთ ამ ლიტერატურას.

ქართული ენის შესახებ (მათ შორის ძველი ქართული ენის შესახებაც) უწერიათ და ზოგიერთი საკითხის გამო საინტერესო მოსაზრებები გამოუთქვამთ ისეთ გამოჩენილ ენათმეცნიერებს, როგორიცაა ფ. ბოპი, ა. ტრომბეტი და სხვები, ხოლო გ. დეეტერსსა და ფ. ცორელს სპეციალური წიგნებიც აქვთ მიძღვნილი ქართული ენის სხვადასხვა საკითხებისადმი. ჩვენ აქ უმთავრესად ისეთ შრომებზე მივუთითებთ, რომლებშიც ძველი ქართული ენის სახელთა ბრუნება და მასთან დაკავშირებული საკითხებია აღძრული და განხილული.

ფ. ბოპი თავის ცნობილ შრომაში, სხვათა შორის, შეეხო ძველი ქართულის სახელთა იმ თავისებურებას, რომელსაც ქმნის ნათესაობითში დასმული პოსტპოზიციური მსაზღვრელის ბრუნება. ეს მოვლენა მან დაახასიათა როგორც eine merkwürdige syntaktische Erscheinung და ნათესაობითში დასმულ ამნაირ სახელს პირდაპირ adjectiv-ი უწოდა[1].

ძველი ქართულის ამავე მოვლენის შესახებ გამოთქმული აქვს აზრი ა. ტრომბეტისაც[2].

გ. დეეტერსს, როგორც აღვნიშნეთ, სპეციალური წიგნი აქვს მიძღვნილი ქართული ზმნისადმი[3]. შრომა მეტად საყურადღებოა და ავტორს მასში ძალიან საინტერესო დაკვირვებები აქვს მოცემული. მაგრამ ეს წიგნი მხოლოდ ზმნებს ეხება და ამჟამად ჩვენი მიზნებისათვის მასზე ყურადღების შეჩერება არ წარმოადგენს საჭიროებას. სამაგიეროდ იგივე ავტორი სხვა ადგილას ეხება (ძველი) ქართულის სახელთა ბრუნების საკითხებსაც და არა ერთსა და ორს საინტერესო მოსაზრებას აყენებს და თავისებურ ახსნასაც იძლევა[4]. ქვევით, თავის ადგილას, ამ საკითხებზე უფრო ვრცლად მოგვიხდება შეჩერება.

---

[1] F. Bopp, Die kaukasischen Glieder indoeuropäischen Sprachstamms, Berlin, 1847, გვ. 49.

[2] A. Trombetti, Elementi di glottologia, Bologna, 1923, p. 186.

[3] Gorhard Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930.

[4] G. Deeters, Armenisch und Südkaukasisch: Caucasica, Leipzig, 1926, № 3, გვ. 37—82; 1927, № 4, გვ. 1—64.

(ძველი) ქართული ენის შესწავლის საქმეში გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი ცნობილ ენათმეცნიერს ჰ. შუხარდტს (H. Schuchardt), რომელმაც ბევრ სხვა ენასთან ერთად კარგად იცოდა აგრეთვე ქართულიც-ქართული ენის შესახებ მას რამდენიმე საყურადღებო შრომა აქვს გამოქვეყნებული, რომელთაგან აღსანიშნავია Über das Georgische, რომელიც 1895 წელს გამოვიდა. ამ შრომაში ბევრ საკითხთან ერთად საუბარია ძველი ქართული ენის მახვილის შესახებ, აღნიშნულია, რომ სუფიქსი ივ, რომელიც ხშირად გვხვდება ძველ ქართულში, მთელ რიგ შემთხვევებში მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციითაც იხმარებოდა.

ჰ. შუხარდტის სახელთანაა დაკავშირებული ხანმეტი ლექციონარის გადარჩენა, მისი ხელმისაწვდომად გახდომა ქართველოლოგიისათვის და პირველი და ამასთან სწორი შენიშვნები ხანმეტი ფორმების შესახებ[1]. ამ ხანმეტი ხელნაწერისა და მისი ენის თავისებურებათა შესახებ ჰ. შუხარდტის შენიშვნები მოცემულია მის შრომაში Mittheilungen aus georgischen Handschriften, რომელიც ავტორის სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა „თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში“[2].

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ჰ. შუხარდტის შრომა, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში რუსულ ენაზედაც გადმოითარგმნა: О пассивном характере переходного глагола в кавказских языках[3]. ამ შრომაში, სხვათა შორის, ფართოდაა საუბარი ჩვენი მოთხრობითი ბრუნვის შესახებ და, უნდა ითქვას, სწორადაც არის იგი შენიშნული და დაფასებული.

უცხოელთაგან კიდევ უნდა აღვნიშნოთ ცალკე ფ. ცორელი, რომელმაც ქართული ბიბლიური წიგნების თარგმანების ენას სპეციალური შრომა მიუძღვნა[4]. ავტორი ამ წიგნში ფართოდ ეხება სახელთა ბრუნებასაც (წიგნში, აწას გარდა, განხილულია ფონეტიკური საკითხები, ზმნათა უღლება, ზოგიერთი საკითხი სინტაქსიდან). განსაკუთრებით აღსანიშნავია ის თავი, სადაც ავტორი ბრუნვათა ფუნქციებს მიმოიხილავს[5]. წიგნში ზოგი სხვა საკითხიც გვარიანადაა გაშუქებული (მაგალითად, რიცხვითი სახელები, მწკრივთა ხმარების წესი და სხვა), მაგრამ ამ შრომას აქვს დიდი ნაკლიც: 1. ნ. მარის ცნობილ გამოცემებთან ერთად ავტორი დასაყრდენად იყენებს უკრიტიკოდ გამოცემულსა და მრავალი შეცთომით აღსავსე ტექსტებს, როგორიცაა: ძველი აღთქმის თბილისური გამოცემა 1884 წ., ახალი აღთქმის გამოცემები 1816 წ. (მოსკოვისა), 1879 წ. (თბილისისა), მოსეს ხუთი წიგნი (თბილისი, 1900 წ.) და სხვ. ამ არასანდო საფუძველს არ შეეძლო სათანადო

---

[1] ა. შანიძე. ქართული ხელნაწერები გრაცში: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. IX, 1929, გვ. 310 — 353.

[2] თბილ. უნივ. მოამბე, ტ. VIII, 1928, გვ. 347 — 376.

[3] Эргативная конструкция предложения, 1950, Москва, стр. 46 — 73.

[4] F. Zorell, Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung mit Textproben und Wörterverzeichnis, Roma, 1930.

[5] Gebrauch der Kasus, §§ 19 — 25, გვ. 90 — 109.

დაღი არ დაესვა ავტორის მსჯელობისა და დასკვნებისათვის. სწორედ ამნაირ ტექსტებზე დამყარებითაა, რომ ავტორი არ განარჩევს ტ-სა და ჯ-ს და ერთ სიბრტყეზე აყენებს ასეთ ფორმებს: სიტყჳსა, თთჳსა, ზრახჳსა, ლოცჳსა (22, 27), რომელთაგან ორი უკანასკნელი სრულიად უცხოა ძველი ქართულისათვის. აქედანვეა გამოყვანილი შემცთარი დასკვნა, რომ „ქუეყანაჲ“ ხანდახან იკუმშება და გვაქვს ფორმა „ქუეყნისა“-ო (22). იმ შერყვნილ ტექსტებში, რომლებსაც ავტორი ეყრდნობოდა, მსგავსი ფორმები ოღონდაც რომ ბლომად იქნებოდა წარმოდგენილი. ამ ტიპის შეცთომები წიგნში ძალიან ბევრია. 2. ავტორი ხშირად უკრიტიკოდ მიჰყვება ნ. მარის ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკას და მის შეცთომებს იმეორებს. 3. წიგნში სხვაც ბევრი შეუსაბამობა და შეცთომაა. მაგალითად: ბრუნვის ნიშანთა ცხრილში მოქმედებითი ბრუნვისათვის (Instrumental) შეტანილია ნიშნები

მხ. რიცხვი	ნარ-თან. მრ.	ებიანი მრ.
ითა	ითა (?)	ებითა (გვ. 19),

რომელთაგან მეორე, რასაკვირველია, არარსებული ფორმაა როგორც ძველის, ისე ახალი ქართულისათვის; სახელთა ბრუნების პარადიგმებში ნართანიან მრავლობითში სრულებით არაა შეტანილი მოქმედებითი ბრუნვის ნიმუშები (21), თუმცა, როგორც ვნახეთ, ბრუნვის ნიშანთა ცხრილში (19) ამ ბრუნვის ნიშანიცაა წარმოდგენილი[1]; ნათესაობითი ბრუნვის მაგალითებადაა მიჩნეული და ერთადაა სათანადო ადგილას შეტანილი ისეთი ფორმები, როგორიცაა: ა) ადამიანთა სახელები: იობ-ისა, იობ-ისსა, იობ-ის, იობ-ისი; იონა-ჲსა, იონა-ჲსსა, იონა-ჲს, იონა-ჲსი; პეტრჱსა, პეტრჱსსა, პეტრჱს, პეტრჱსი (23); ბ) ნაცვალსახელები: ამის, ამისა, ამისი, მის, მი(ს)სა, მისი; ამათ, ამათსა (36).

ამნაირი შეცთომები წიგნში საკმაოდ ბევრია. ამიტომ ფ. ცორელის ხსენებული გრამატიკა ძველი ქართული ენის სურათს სწორად ვერ წარმოგვიდგენს.

ძველი ქართული ენის შესწავლის საქმეში დიდი შრომა აქვს გაწეული ნ. მ ა რ ს. უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. მარმა მაღალ მეცნიერულ დონეზე კრიტიკულად დაადგინა და გამოსცა ძველი ქართული ენის ტექსტები. ამ ტექსტებს თან ახლდა ფართო ფილოლოგიური ძიებანი და ძეგლის ენის საფუძვლიანი ანალიზი. როგორც წესი, ტექსტი თარგმნილი იყო რუსულსა და სხვა ევროპულ ენებზე, რის გამოც ეს ტექსტები, დაცული ქართულ ენაზე, ხელმისაწვდომი გახდა მთელი მსოფლიოს ამ საქმით დაინტერესებულ მეცნიერთათვის. ნ. მარის ეს გამოცემები და გამოკვლევები იბეჭდებოდა მის მიერვე დაარსებულ სერიაში Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. ამ სერიის II ტომში დაიბეჭდა „წიგნი, რომელი

[1] ვითარებითი ბრუნვის შესახებ (Terminal) ავტორი შენიშნავს, რომ ეს ფორმა აკლიაო.

დაწერა იოსებ არიმათიელმან" (1900), III-ში — ნეტარისა იპოლიტეს თქუმული „თარგმანებად ქებად ქებათად" (1901), V-ში—„წამებად ყრმათა წმიდათად, რიცხჳთ ცხრათად" (1903), VI-ში—„მჴეცთათჳს სახისა სიტყუად" (1904), VII-ში — გვირგვინი ნ. მარის გამოცემებისა — „ცხორებად გრიგოლ ხანძთელისად" (1911), IX-ში — „წარტყუენვად იერუსალჱმისად" (1909).

ასეთივე მაღალი ღირსების იყო ნ. მარის გამოცემები, რომლებიც ქვეყნდებოდა ჟურნალებში: Христианский Восток, Записки Вост. Отд. И. Русского Арх. Общества და სხვა, რომლებზედაც აქ, ცხადია, ვერ შევჩერდებით.

ნ. მარის გამოცემებს ჰქონდა ერთგვარი ნაკლი: ავტორი ტექსტებს ასწორებდა ერთი რაღაც საერთო ნორმის მიხედვით, რომელიც ამ სახით არც ერთ ხელნაწერში არ ყოფილა წარმოდგენილი; ამნაირად გასწორებულ ტექსტში ხშირად იკარგებოდა ამა თუ იმ ძეგლის თავისებურებანი, რაც ენის ისტორიის მთელი რიგი საკითხების კვლევისათვის გზას იმთავითვე ჭრიდა, მაგრამ საერთოდ ნ. მარის გამოცემები სანდო და კრიტიკულ გამოცემებად ითვლება და მათი ავტორის ერთი დიდი დამსახურება სწორედ ამ საქმეში ჩანს.

ძველი ქართული ენის შესწავლისათვის მნიშვნელობა ჰქონდა ნ. მარის-ავე ცნობილ შრომებს „Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими", 1908 წ. და „Грамматика древнелитературного грузинского языка", 1925 წ. მაგრამ ნ. მარის ამ წიგნებს თავიდან დაჰყვა დიდი ნაკლი: პირველი მათგანი, როგორც სათაურიდან ჩანს, ეყრდნობოდა ნ. მარის მცთარ შეხედულებას ქართულისა და სემიტური ენების ნათესაობის შესახებ და ამის მიხედვით მიმოიხილავდა ძველი ქართული ენის სახელების ბრუნებასა და ზმნათა უღლებას. ეგევე პრინციპი ედო საფუძვლად აგრეთვე მის გრამატიკას, ოღონდ უფრო გაღრმავებული და, მაშასადამე, უფრო დაცილებული სინამდვილესა და ნამდვილ მეცნიერულ საფუძვლებს. ქართული სიტყვების ძირთა **სამთანხმოვნიანობა**, ძალად შეზომებული და უსაფუძვლოდ შეფარდებული სემიტური ენების ძირთა სამთანხმოვნიანობასთან, მასში „ენის შესახებ ახალი მოძღვრების" ყალბი დებულებების შეტანა და სხვა ბევრი ამგვარი ცდა იყო ძირითადი მანკი ნ. მარის ამ შრომისა. ნ. მარის გრამატიკის ვრცელი და საფუძვლიანი რეცენზია მოგვცა ა. ჩიქობავამ ჯერ კიდევ 1926 წ.[1].

ნ. მარის „ენის შესახებ ახალი მოძღვრება" ღრმად იქნა გაკრიტიკებული საბჭოთა ენათმეცნიერებაში განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში, როცა ნათლად იქნა მხილებული და დაგმობილი მარის მცთარი შეხედულებანი მთელი რიგი ზოგადენათმეცნიერული საკითხების შესახებ. ნ. მარის ამ

[1] მიმომხილველი, საქართველოს სსრ ისტორიის და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო, I, 1926, გვ. 285 — 350.

შეხედულებებმა, როგორც აღვნიშნეთ, გამოსახულება პოვეს მის ხსენებულ გრამატიკაშიც. ამიტომ ამ წიგნით სარგებლობისას დიდი სიფრთხილე გვმართებს.

ნამდვილი პოზიტიური კვლევა ძველი ქართული ენისა ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებასთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებული ინტენსიობით გაიშალა მუშაობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ეს მუშაობა უმთაურესად ორი მიმართულებით წარიმართა: ა) აუცილებელი შეიქნა სანდო ტექსტებისა და უძველესი ძეგლების მაღალ მეცნიერულ დონეზე გამოცემა, რომ მიღებული დასკვნები და განზოგადებანი მტკიცე საფუძველზე ყოფილიყო დაყრდნობილი; ბ) საჭირო იყო (ძველი) ქართულის ყოველ ცალკე მნიშვნელოვან საკითხზე მონოგრაფიების დაწერა.

ამ მიმართულებებით უდიდესი შრომა ჩაატარა და ფასდაუდებელი შედეგები მოიპოვა ი. ჯავახიშვილმა. ქართულ პალეოგრაფიაზე მუშაობისას მან აღმოაჩინა, ამოშიფრა და გამოსცა ხანმეტი პალიმფსესტების ტექსტები. ეს მოხდა 1923 წ.[1]. ეს აღმოჩენა უდიდესი მოვლენა იყო ქართველოლოგიაში. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ 1937 წელს გამოვიდა იმავე ავტორის ფუნდამენტალური ნაშრომი „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, რომელიც მიზნად ისახავდა გაერკვია ქართული ენის უძველესი აგებულება და მისი ნათესაობა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან. ამ ხაზს შემდეგ ქართველ ენათმეცნიერთა მთელი პლეადა გაჰყვა. ამჟამადაც ფართო მუშაობა წარმოებს ამ მიმართულებით. მას ა. ჩიქობავა მეთაურობს.

ძველი ქართული ენის შესწავლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ა. შანიძეს. მან ორიენე ზემოთ აღნიშნული მიმართულებით დიდი მუშაობა გასწია და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია.

ი. ჯავახიშვილის მიერ ხანმეტი პალიმფსესტების აღმოჩენას იმავე (1923) წელს მოჰყვა ა. შანიძის მიერ ჰაემეტი პალიმფსესტების აღმოჩენა[2]. ამ აღმოჩენებმა, როგორც იმ ხანებში ამბობდნენ, რევოლუცია მოახდინეს ჩვენს ენათმეცნიერებასა და ისტორიაში. მათი წყალობით შეიცვალა და დაზუსტდა ჩვენი შეხედულება ქართული ენის განვითარების უძველესი პერიოდების შესახებ, მტკიცე ნიადაგი შეიქმნა ძველი ქართული ენის სათავეების, ბუნებისა და თვისების საკვლევად[3]. 1927 წ. ა. შანიძემ ხანმეტი ლიტერა-

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. II, 1923. ეხლევე შრომა დამატების სახით შევიდა იმავე ავტორის „ქართულ პალეოგრაფიაში“ (1949 წ., მეორე გამოცემა).

[2] ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. III, 1923.

[3] მარტო ნ. მარი და მისი მიმდევრები არ ცნობდნენ ამ მნიშვნელოვან აღმოჩენებს. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ დაემცირებინათ ამ აღმოჩენების მნიშვნელობა და ამისთვის სხვადასხვა არამეცნიერულ ხერხებს მიმართავდნენ. დამახასიათებელია ამ მხრივ ნ. მარის,

ტურა კვლავ გაამდიდრა ხანმეტი მრავალთავის აღმოჩენით, ამოშიფრვითა და გამოცემით[1], ხოლო ე. წ. ხანმეტი ლექციონარის მეცნიერების ჰორიზონტზე ამოტივტივებამ და მისმა გამოცემამ[2] საბოლოოდ დაადასტურა, რომ „არაბთა შემოსევის წინა ხანებში (ე. ი. მეშვიდე საუკუნის ნახევრამდე) არსებული ქართული მწერლობა არ დაღუპულა ისე კატასტროფულად, როგორც ეს აქამდე გვეგონა“[3]. უკანასკნელად ამ დარგში 1937 წ. გამოქვეყნდა იმავე ავტორის გამოკვლევა „ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები“[4]. სამწუხაროდ, ხანმეტი პალიმფსესტების კვლევისა და ამოშიფრვა-გამოცემის საქმე ამაზე შეწყდა, ამის შემდეგ ამ გზის განგრძობა არავის უცდია. ეს მიტოვებული ფრიად საშური საქმე თავის მკვლევარს მოუთმენლად ელის.

ძველი ქართული ენის შესახებ გამოკვლევათა დარგში პირველი სერიოზული ნაშრომი არის ა. შანიძის ცნობილი მონოგრაფია „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920). შრომაში სანდოდ დადგენილი ტექსტების საფუძველზე მიღებული იქნა სრულიად ახალი დასკვნები ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიის შესახებ. ეს დასკვნები დღესაც ძალაში რჩება. ავტორის ამ შრომას მოჰყვა მთელი რიგი მონოგრაფიები და გამოკვლევები, რომლებიც ძველისა და ახალი ქართულის სხვადასხვა საკვანძო საკითხებს ეხებოდა, როგორიცაა, მაგალითად, გამოკვლევები ხანმეტისა და ჰაემეტი ტექს-

---

ა. გენკოსა და კ. დონდუას წერილები, რომლებიც დაბეჭდილი იყო სწორედ ამ ხანებში დაარსებულ სერიაში Тексты и разыскания по Кавказской филологии, т. I, Ленинград, 1925.

ი. ჯავახიშვილი თავისი „ქართული პალეოგრაფიის“ ბოლოსიტყვაობაში ამის შესახებ შენიშნავდა:

„არაფერი მაქვს ნათქვამი ახლად აღმოჩენილი ხანმეტი პალიმფსესტების გამო კ. დონდუას, ა. გენკოს და აკად. ნ. მარის დაწერილი წერილების შესახებ, რადგან იქ სამეცნიერო მწერლობაში მიღებული კამათის წესები იმდენად არის დარღვეული და ბრძოლის საშუალებათა ისეთი გაურჩევლობაა, რომ კამათს არავითარი აზრი არ აქვს იმისდა მიუხედავად, რომ ღირსეული პასუხის მიცემა შეიძლებოდა. ჯერ კიდევ არსენი ამორტოლმა აღნიშნა, რომ „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყველი, გამომაჩინებელი აღმწერლისაჲ საუკუნოდ, რომლისამე საქებელ ყოფად, ხოლო სხჳსა განქიქებად“ (ქკ'ბი, II, 109), და ამ პირთა წერილების ყოველი მკითხველი თვით იგრძნობს ამ აღმწერელთა რაგვარი თვისებების „გამომაჩინებელიც“ არის ეს მათი ნაწერი. სულ ერთია, ამ ახლადაღმოჩენილი პალიმფსესტების მნიშვნელობის გაკარწყლება ამაო ცდაა, და იმასაც ვნახავთ, როგორც ისინი დაამტკიცებენ, რომ ეს ძეგლები მართლაც IX საუკ. ეკუთვნიან!“ (ქართ. პალეოგრაფია, 1949, გვ. 239).

[1] ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. VII, 1927.

[2] ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. IX, 1929. ავტორმა ეგეგე ძეგლი ფოტოტიპიურად გამოსცა „ძველი ქართული ენის ძეგლების სერიაში“ (I, 1944).

[3] ა. შანიძე, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. II, გვ. 399.

[4] ენიმკის მოამბე, ტ. II, 1937.

ტების აღმოჩენისა და მათი ენის შესახებ[1], ქართული ზმნის საკცევი[2], პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში[3], უმლაუტი სვანურში[4], რომელშიც გაშუქებულია ზოგი ქართული ბრუნვის წარმოშობის ისტორია, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის[5], სადაც დადგენილია წესი ქართული ფონეტიკის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხის—კუმშვის—სფეროში, და ბევრი სხვა.

ა. შანიძეს ეკუთვნის სპეციალური შრომა ძველი ქართულის შესახებ „ძველი ქართული ენა“ (მოკლე მიმოხილვა), რომელიც პირველად 1934 წ. გამოვიდა და დანიშნული იყო საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ[6]. ეს არის, ასე ვთქვათ, ძველი ქართული ენის მოკლე გრამატიკა, რომელიც მოკლედ და სხარტად გადმოგვცემს ძველი ქართულის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის უმთავრეს მოვლენებს. ამ შრომაში ამჟამად ჩვენთვის უფრო მეტად საყურადღებო **სახელები** შედარებით უფრო ვრცლად არის განხილული.

ძველ ქართულსა და მის აქეთა მიჯნას განეკუთვნება მე-11 საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ქართული კულტურის მრავალ უბანზე მომუშავის გიორგი მთაწმიდლის ენა. გიორგი მთაწმიდლის ენის შესწავლას ეხება ა. შანიძის შრომა „გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით“ (ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი: ძველი ქართული ენის ძეგლები, 3, 1946).

ა. შანიძის ვრცელი ნაშრომი „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ (1953) შიგადაშიგ საკმაო რაოდენობით შეიცავს აგრეთვე ძველი ქართული ენის მთელი რიგი მოვლენების განხილვას, მაგალითად, მასში კარგა დაწვრილებითაა ლაპარაკი ნაწევრის შესახებ (გვ. 637—642) და სხვა.

ძველი ქართული ენის კვლევას დიდად შეუწყო ხელი ა. შანიძის მიერ მეცნიერულად დადგენილმა და გამოცემულმა ტექსტებმა. ასეთია, მაგალითად, მისი „ძველი ქართულის ქრესტომათია“, რომელიც 1935 წ. გამოვიდა, ხოლო „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის“ გამოცემა, რომელიც 1945 წელს ეკუთვნის, დიდი მოვლენა იყო ძველი ქართული ენის კვლევის გზაზე. აღნიშნულ შრომას თან მოჰყვა ოშკის ბიბლიის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის გამოცემაც, რომლის პირველი ნაკვეთიც 1947 წ. გამოვიდა, ხოლო მეორე ნაკვეთი — 1948 წ.[7] ა. შანიძის რედაქციითვე

---

[1] თბილ. უნივ. მოამბე, ტ. II, III, IV, VII.

[2] თბილ. უნივ. მოამბე, ტ. VI, 1926.

[3] თბილ. უნივ. შრომები, ტ. I, 1936, გვ. 333 — 340.

[4] არილი, 1925, გვ. 171 — 231.

[5] წელიწდეული, I—II, 1923 — 1924, გვ. 1 — 11.

[6] ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ქრესტომათია; 1 გამოცემა 1934 წ., XII გამოც. 1953 წ.

[7] წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვეთი 1, 1947 წ., ნაკვეთი 2, 1948 წ.

გაჰოსცა ილ. აბულაძემ მოციქულთა საქმის ტექსტები რამდენიმე ძველი ხელნაწერის მიხედვით[1].

ძველი ქართულის ტექსტები ფართო მასშტაბით გამოსცეს აგრეთვე კ. კეკელიძემ და ილ. აბულაძემ. ზემოთ, წყაროებზე საუბრისას, ეს გამოცემები ვრცლად არის განხილული. ამიერიდან, მაშასადამე, ჩვენს ენათმეცნიერებას (და არა მარტო ენათმეცნიერებას) შეექმნა უხვი მასალები ნაყოფიერი კვლევისათვის.

ძველი ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლისათვის ტექსტების კრიტიკული გამოცემის გარდა აუცილებელია ძველი ქართულის მდიდარი ლექსიკური შემადგენლობის შესწავლა და გამოქვეყნება. ამ მხრივ აღსანიშნავია ის დიდი მუშაობა, რომელსაც ძველი ქართული ენის კათედრა ეწევა ა. შანიძის ხელმძღვანელობით. კათედრის წევრთა მიერ დამუშავებული და გამოცემულია ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის ცალკეულ ძეგლთა ლექსიკონები, როგორც მაგალითად:

1. ლექსიკონი გ. მთაწმიდლის შრომისა „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, შეადგინა ა. შანიძემ (ძველი ქართული ენის ძეგლები, 3, 1946, გვ. 84 — 161).
2. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, სახელმძღვანელო VIII (IX) კლასისათვის. ავტორებია: ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე. ლექსიკონი შეადგინა ილ. აბულაძემ (I გამოც. 1934 წ., XII — 1953 წ.).
3. ლექსიკონი წიგნისა „სიბრძნე ბალაჰვარისი“, შეადგინა ილ. აბულაძემ (1937 წ.).
4. შუშანიკის მარტვილობის ლექსიკონი, შეადგინა ილ. აბულაძემ (1938).
5. თეკლას მარტვილობის ლექსიკონი, შეადგინა ილ. აბულაძემ (ენიმკის მოამბე, ტ. VIII, გვ. 227 — 236).
6. ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX — X სს.-ში, 1944 წ. წიგნს ახლავს ავტორის მიერ შედგენილი ქართულ-სომხური (გვ. 219 — 243) და სომხურ-ქართული (243 — 270) ლექსიკონები.
7. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 1949.
8. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, პირველი გამოცემა 1949, ლექსიკონი, გვ. 355 — 489; მეორე გამოცემა 1953, ლექსიკონი, გვ. 409 — 550.

---

[1] საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1949 წ.

ამავე მიზნით კათედრა ამზადებს ძველი ქართული ენის სასწავლო ლექსიკონს ორ ტომად, რომელიც მოიცავს ძველი ქართული ენის ლექსიკის ძირითადს მარაგს (V — X სს). უკვე ამოწერილია სალექსიკონო მასალები ამ საუკუნეების მეცნიერულად გამოცემულ ძეგლთაგან, აგრეთვე ძირითადი ხელნაწერებიდან, და დაწყებულია განმარტება.

ორიეე ამ მიმართულებით (ძველი ქართული ტექსტების გამოცემისა და ლექსიკონების შედგენის ხაზით) დღეს მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რომელსაც ა. შანიძე მეთაურობს.

ძველი ქართული ენის შესწავლის საქმეში დიდი მუშაობა გასწია ა. ჩიქობავამ. ავტორი თანამიმდევრულად მიჰყვება იმ ხაზს, რომელიც ი. ჯავახიშვილმა წამოაყენა. ავტორის ძირითადი მიზანია, დაამტკიცოს ქართველური ენების ნათესაობა მთის კავკასიურ ენებთან. ის ამ მიზნით ეძიებს და არკვევს ქართველურ და კავკასიურ ენათა ტიპოლოგიურ აგებულებას, დაწვრილებით იკვლევს აღნიშნულ ენათა სტრუქტურას, სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღლების მექანიზმს, შეისწავლის ამ მექანიზმის ძირებსა და სათაევებს და ყველგან ცდილობს იპოვოს ადამიანისა და ნივთის კლას-კატეგორიის ნიშნები. ავტორის აზრით, ადამიანისა და ნივთის კატეგორია მკაფიოდ ყოფილა გატარებული უძველეს ქართულსა და მის მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში (აფხაზურში, ადიღეურში, ხუნძურში, ლაკურში, ანდიურსა და სხვებში).

ა. ჩიქობავას მრავალრიცხოვან და მეტად მნიშვნელოვან შრომათაგან აქ დავასახელებთ შემდეგთ, რომელნიც ძველი ქართულის სახელთა ბრუნებას ან მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებიან:

1. ჰანურის გრამატიკული ანალიზი (1936), სადაც ქართულის შესახებაც ვრცლადაა ლაპარაკი.

2. მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის [1].

3. მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში [2].

4. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში (1942).

5. ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის [3].

6. სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში [4].

7. მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში [5].

---

[1] ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 9—28.
[2] თბილ. უნივ. შრომები, ტ. 10, გვ. 167—179.
[3] საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 6, 1942.
[4] თბილ. უნივ. შრომები, ტ. 23, 1942.
[5] საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 2, 3, 1942.

8. გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში[1].

9. გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში[2].

10. Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик[3].

11. მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში[4].

12. მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში[5].

ა. ჩიქობავას აღნიშნულ შრომებში გარკვეულია ძველი ქართულის სახელთა ბრუნების მრავალი საკითხი. მაგრამ ამ შრომათაგან ცალკე უნდა აღინიშნოს „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“. ხსენებულ შრომაში ავტორი განიხილავს (ძველი) ქართულისა და მისი მოძმე ენების — მეგრულ-ჭანურისა და სვანურის სახელთა ფუძის ოდინდელ შედგენილობას. ავტორი შლის ამ ფუძეებს და მათში ეძებს ძირს შეხორცებულ პრეფიქსებსა და სუფიქსებს, რომელთაგან, ავტორის აზრით, ზოგი (პრეფიქსები) ოდესღაც, ძველისძველად ადამიანისა და ნივთის კლას-კატეგორიის ნიშანი იყო, ზოგი კი (სუფიქსები) ფუძის დეტერმინანტ ელემენტს წარმოადგენდა.

ადამიანის კლას-კატეგორიის მაჩვენებელიაო ერთადერთი პრეფიქსი მ-, ნივთისა კი რამდენიმე ნიშანი (ყველა პრეფიქსი):

ს-, დ-, ლ-, ნ-, რ-, ბ-.

პირველი რიგის სახელებად არის მიჩნეული:

მე-გჯპელი, მე-გრელი, მ-ტბევარი, მ-წითური, მ-დაბური (=სოფლელი, სოფელში მცხოვრები), მ-სოფლიო (=სოფელი, სოფელში მცხოვრები), მ-სახური, მ-დიდარი, მე-ზუერე, მ-წიგნობარი და სხვა (გვ. 140 — 168).

მეორე რიგის ნიმუშებად არის დასახელებული:

ს-: ს-ძე, სე-შა → შეშა, სა-ცხოვარი (შდრ. მა-ცხოვარი), ს-რბა, სი-ვლტოლა...

დ-: დი-ნ-კვ-ელ-ი → ჯი-ნ-კვ-ელ-ი, და-თ-ვ-ი, თხ-ელ-ი (შდრ. სვან. დ-თხ-ელ)...

ლ-: ლა-ში (შდრ. ჭან. ლე-შქი; მეგრ. ლე-ჩქვი)...

ნ-: ნი-კაპ-ი, ნე-რწყჳ, ნე-სტჳ, ნე-კი, ნე-ზვი...

---

[1] საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 4, 1944.

[2] საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VII, № 1—2, 1946.

[3] იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. II, 1948.

[4] იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953.

[5] იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 1954.

რ-: რო-კაპი → რუ-კაპი, სადაც იგივე „კაპ" ძირი გვაქვსო, რაც „ნი-კაპ"-ში...

ბ-: ბა-ვ-შე-ი, ბა-ტკან-ი და სხვა (გვ. 169 — 179).

სახელის ფუძის დეტერმინანტად შეიძლება იყოს სუფიქსი, რომელიც შედგება ხმოვნისა და თანხმოვნისაგან, უმთავრესად ნარნარა თანხმოვნისაგან. ასეთებია: ალ, ან, არ,

ელ, ენ, ერ და სხვანი.

მაგალითად:

დედ-ალ-ი, მამ-ალ-ი, ძუ-ალ-ი, ძ-ალ-ი, ჯიმ-ალ (შდრ. ჯიმ-ალ-ეფ-ი)...

ბატკ-ან-ი, თიკ-ან-ი, ძმ-ან (შდრ. გურ. ძმ-ან-ებ-ი)...

წყ-არ-ი...

ულ-ელ-ი, ქს-ელ-ი, მარჯუ-ენ-ი და სხვა (გვ. 10 — 31 და სხვ.).

სუფიქსი შეიძლება გამარტივებული იყოს: მას აკლდეს ხმოვანი (იფქ-ლ-ი ← იფექალ, ვაშ-ლ-ი, სისხ-ლ-ი...), ან თანხმოვანი (ძმ-ა ← ძაძ-ან, დედ-ა ← დედ-ალ).

ასეთი პრეფიქსები და სუფიქსები გამოყოფილია აგრეთვე საწყისებსა და მიმღეობებშიც:

ხ-რბ-ა, ხი-ვლტოლ-ა, მ-ფრინვ-ელ-ი, ხა-ხილ-ვ-ელ-ი, ხილ-ულ-ი, ნა-შრობ-ი და სხვა.

როგორც ვხედავთ, არსებითად რომ ვთქვათ, აქ არის მოცემული სახელთა ფუძეების ეტიმოლოგია; ის, რაც ჩვენ ფუძედ გვესმის, დაშლილია, მოცემულია ცდა, წარმოგვიდგინოს ამ ფუძეთა წარმოშობის გზები, მათი ასეთ ფუძედ შექმნის მიმდინარეობა, ამ ფუძედ ქცევის ისტორია და პირვანდელი მნიშვნელობა. ჩვენ, რასაკვირველია, სახელის ფუძეს ჩვეულებრივი გაგებით ვხმარობთ და ამიტომ ზემოთ აღძრულ საკითხებზე არ გვიხდება ლაპარაკი, მათ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მივმართავთ.

ძველი ქართულის რიგ საკითხს არკვევს აგრეთვე ვ. თოფურია მის მთელ რიგ გამოკვლევებში. სახელთა ბრუნებისათვის განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტორის შემდეგი შრომები:

1. სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში [1].

2. ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში [2].

3. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში [3].

4. ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით [4].

---

[1] თბილ. უნივ. მოამბე, ტ. VII, 1927.

[2] ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 179 — 183.

[3] წაკითხული იყო მოხსენებად ი. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე 1942 წლის 13 აპრილს (გამოქვეყნებულია თეზისები, გვ. 88).

[4] საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 3, 1944.

5. რედუქციისათვის ქართველურ ენებში [1].

ასევე საყურადღებოა ავტორის მოსაზრებანი, გამოთქმული მისივე წერილების სერიებში: „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ და „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“.

ცალკე უნდა აღინიშნოს სტ. ჩხენკელისა და ქ. ძოწენიძის შრომები, რომელნიც სპეციალურად ძველი ქართულის სახელთა ბრუნებას მიეძღვნა. ამათგან პირველი მხოლოდ საკუთარ სახელებს ეხება გარკვეული ძეგლების მიხედვით [2], ხოლო მეორე საერთოდ სახელებს, მაგრამ გარკვეული წიგნების მიხედვით [3].

ჩვენი თემისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე შემდეგი გამოკვლევები: კ. დონდუა — К вопросу о родительном эмфатическом в древнелитературном грузинском [4], მისივე: Об агглютинативном характере грузинского склонения [5], მისივე: О двух суффиксах множественности в грузинском [6], კ. კეკელიძისა — „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში [7], გ. როგავა ი — კუთვნილებითი აფიქსი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვებში) [8], თ. შარაძენიძისა — თა სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითსა და ვითარებითს ბრუნვებში [9], ა. მარტიროსოვისა — თანდებული ქართულში [10], ქ. ძოწენიძისა — გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში [11], მისივე: ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში [12], ა. კიზირიასი — ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობისათვის საზღვრულთან ძველ ქართულში [13], მისივე: ადგილისა და დროის გარემოება ძველ ქართულში [14], ლ. კიკნაძისა — მართული მსაზღვრელის საზღვრულთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში [15] და სხვა.

---

[1] იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, 1946, გვ. 63 — 90.

[2] ს. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 25, 1943.

[3] სახელთა ბრუნება ძველ ქართულში პავლეს ეპისტოლეთა წიგნების მიხედვით, 1950 (ხელნაწ.); დაბეჭდილია ავტორეფერატი.

[4] ИАН, 1930.

[5] Доклады Академии Наук СССР, № 4В, 1931.

[6] Язык и мышление, т. I.

[7] საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 2, 3, 1942.

[8] საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 2, 5, 1942.

[9] თბილ. უნივ. შრომები, ტ. 21, 1945.

[10] იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, 1946.

[11] იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, 1946.

[12] თბილ. უნივ. შრომები, ტ. 30 — 31В, 1947.

[13] იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, 1946.

[14] იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953.

[15] თბილ. უნივ. შრომები, ტ. 45, 1951.

ყველა ეს შრომა ქვევით თავ-თავის ადგილას არის სათანადოდ გათვალისწინებული და გამოყენებული.

როგორც ვხედავთ, ძველი ქართულის სახელთა ბრუნების შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა მოიპოვება, რომელშიც განხილულია სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. განსაკუთრებით ფართოდაა გაშუქებული ბრუნვის ნიშანთა შედგენილობისა და ეტიმოლოგიის საკითხები, უფრო ნაკლებად — ბრუნვათა ფუნქციები.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ზოგი რამ ახალი ითქვას, და ამიტომ აღნიშნულ საკითხზე ცალკე მონოგრაფიის დაწერა გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

ნაწილი პირველი

სახელთა ბრუნება

წინასწარ შეიძლება რამდენიმე შენიშვნა გავაკეთოთ.

1. ძველი ქართული ენის სახელთა ბრუნების შესწავლისას ჩვენ ძირითადად შემოფარგლული ვართ V — X საუკუნეებით. ზოგჯერ გამოვდივართ ამ საზღვრიდან და მიმოვიხილავთ XI საუკ. ძეგლების ენას, რადგან ამ საუკუნეში უკვე კარგად ჩანს ძველი ნორმების რღვევა და მის საფუძველზე ახლის ჩანასახები და ფორმები. V — X საუკუნეების ენა კი ერთგვარ მთლიანობას წარმოადგენს, რომელსაც ახე თუ ისე ერთნაირი სიმტკიცე და ერთი ძირითადი წესი ახასიათებს. ამ ნორმას მიჰყვება სახელთა ბრუნების მთელი სისტემა. მართალია, აქა-იქ ამ ფარგლების ენაშიც გვხვდება ნაირ-ნაირი ფორმები, იშვიათად აქაც არის შემოჭრილი ახალი მოვლენების საწყისები, მაგრამ საერთოდ ამ საუკუნეების ენა ერთგვარი საერთო თვისებებით ხასიათდება, ამ თვისებებს საერთო კალაპოტი და ძირითადი ხაზები აქვთ. ამ ფარგლებიდან გამოსვლა და სხვა საუკუნეების ენის შესახებ მსჯელობა ჩვენ უმთავრესად მაშინ გვიხდება, როცა გვსურს მოვლენის განვითარება, მისი მიმართულება ვუჩვენოთ, როცა კვალდაკვალ მივსდევთ მოვლენის განვითარების გეზს, მის გადასვლას ახალ თვისებრიობაში. ასეთ შემთხვევაში ხშირად გვიხდება აგრეთვე ძველი ქართული ენის ფორმების შედარება თანამედროვე ქართულისა და მისი დიალექტების სათანადო ფორმებთან.

2. გავრცელებულია შეხედულება, რომ სახელი ქართულში მაქსიმალურად მარტივია, ზმნა — უაღრესად რთული[1]. ეს დებულება სწორია, რამდენადაც პირველი ნაწილის ამოსავლად ახალი ქართულია ნაგულისხმევი. მაგრამ დამდენადაც საქმე ძველ ქართულს შეეხება, მასში არსებითი სახელი სრულებითაც არ არის მარტივი, მას ახალ ქართულთან შედარებით მთელი რიგი სირთულეები ახასიათებს. ამ სირთულეს იწვევს, პირველ ყოვლისა, ე. წ. ორმაგი და სამმაგი ბრუნება, — ძველი ქართული ენის სახელის თვისება, როცა მსაზღვრელად გამოყენებული ნათესაობითში დასმული სახელი მეორედ და მესამედ იბრუნვის და, ამრიგად, ასეთ შემთხვევაში ერთ სახელს შეიძლება ორი და სამი ბრუნვის ნიშანი ჰქონდეს ერთდროულად, მაგალითად:

---

[1] ა. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას: ახალ სკოლისაკენ, № 4, 1929, გვ. 61; მისივე: ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 032.

ვითარ იგი შევიდა სახლსა ღმრთ-ისა-სა და პურნი იგი შესაწირავ-ისა-ნ ი შეჰამნა, მ. 12,4; შენ ხარ დანიელ, ძეთაგან ნატყუენავ-ისა-თა-ჲ ჰურიასტან--ისა-თა-ჲ, დანიელ 5,13. ეს მოვლენა ახალ ქართულს არ ახასიათებს. ახალი ქართული ამ ფრაზებს გაცილებით მარტივად გადმოსცემს.

შემდეგ, აღნიშნულ სირთულეს იწვევს ძველ ქართულში ზოგიერთი ბრუნვის ნაირ-ნაირად წარმოება. ამასთან, თითოეულ ასეთ სახეს თავთავისი მოქმედების სფერო აქვს. მაგალითად რომ ავიღოთ ვითარებითი ბრუნვა, აქ მისი წარმოებისას ასეთ მრავალფეროვნებას წავაწყდებით: მოსე... უვარ-ყო **სახელის-დება-დ შვილ-ად** ასულისა ფარაოჲსისა, ებრ. 11, 24; და ვითარცა გემო-იხილა მთავარმან მან წყალი იგი **ღჳნო-დ** გარდაქცეული, ...მიუგო სიძესა მას, ი. 2, 9C; მოიქცეს და წარვიდეს **გალილეა-დ**, ქალაქ-ად თჳსა — **ნაზარეთ-ა**, ლ. 2, 39; გარდავიდა **კახეთ-ა**, მოქც. 57, 5; შთავიდე მე ძისა ჩემისა თანა გლოვით **ჯოჯოხეთ ა**, დაბ. 37, 35; **ხაკურთხეველ-ა** აღვიდოდის, ჟამის წირ. 7, 14; და რაჟამს მოვიდა იგი **ქართლ-დ**, აბო 185, 20; წარავლინნა **ბეთლემ-დ** და ჰრქუა მათ, მ. 2, 8; მოვიდა იესუ **სახ-ი-დ** პეტრესა, მ. 8, 14C; წარვედ **სახე-დ** შენდა, მ. 9, 6D; მოედით თქუენ თჳსაგან ადგი-დ უდაბნოდ, მრ. 6, 31C; ვიდრემდე დაამძიმებდეს საკვესა **მაგრ-ი-ად**, ამბაკუმ, 2, 6. ხაზგასმული ფორმების ნაცვლად დღეს გვექნებოდა: ნაზარეთ-ად, კახეთ-ად... საკურთხეველ-ად... ქართლ-ად, ბეთლემ-ად... სახლ-ად, ადგილ-ად, მაგრ-ად. როგორც ვხედავთ, ვითარებითი ბრუნვის წარმოების ეს სიჭრელე ახალ ქართულში გამარტივებულია და დაყვანილია ერთ-ორ შაბლონურ ყალიბამდე.

შემდეგ, უნდა აღვნიშნოთ კიდევ ძველი ქართულის თანდებულთა ხმარების შედარებითი სირთულე: ძველ ქართულში ერთი თანდებული ორ (ან სამ) ბრუნვას ითხოვს, ახალში კი საქმე გამარტივებულია და, როგორც წესი, ერთი თანდებული ერთ ბრუნვას ახლავს. იშვიათ გამონაკლისს დღეს **გან** თანდებული წარმოადგენს, რომელიც შეიძლება ნათესაობითსაც ახლდეს და მოქმედებითსაც, მაგრამ აქაც მას მოქმედებითთან იმდენად აქვს შეცვლილი თავისი სახე და ბრუნვის ნიშანი, რომ ძნელია მასში მისი პირვანდელი სახეობა დავინახოთ: ქალაქ-ით-გან → ქალაქ-იდ-გან → ქალაქ-იდ-ან; წყარო-ჲთ-გან → წყარო-თ-გან → წყარო-დ-გან → წყარო დ ან. ასეთ თანდებულიან ბრუნვას დღეს ცალკე ბრუნვად განიხილავენ, მას გამოსვლითს უწოდებენ, ძველი თანდებული (ბრუნვის ნიშნის ნაშთთან ერთად) ახალი ბრუნვის ნიშნად არის აღიარებული: ქალაქ-იდან, წყარო-დან[1].

ძველ ქართულში, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ახალ ქართულში, **შეიძლება ყოველი სიტყვა იბრუნოს**. აქ, რასაკვირველია, სახელზე არაა ლაპარაკი (სახელი თავისთავად ბრუნებადი სიტყვაა), აქ მხედველობაში გვაქვს უფორმო სიტყვები, როგორიცაა ნაწილაკები, ზმნიზედები, თანდებულები, კავშირები; აქ მხედველობაში გვაქვს აგრეთვე ზმნებიც; ზმნათა პირიანი ფორმებიც შესაძლებელია იბრუნოს, მას ბრუნვის ნიშნები გაუჩნდეს

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე. გრამატ. საფუძვ. 74 — 75.

(ე. ი. ზმნის პირიანი ფორმა ფუძედ იქნეს გაგებული და ჩვეულებრივი წესით იბრუნოს); ბოლოს, აქ მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ასეთ ფუძედ მთელი შესიტყვება ან წინადადება არის გაგებული და იგი იბრუნება. თქმა არ უნდა, ამ წესს ერთგვარი სიძნელე შეაქვს ძველი ქართულის **ბრუნების** სისტემაში.

აქ ვუჩვენებთ ამ მოვლენის რამდენიმე სანიმუშო მაგალითს:

ჰე, არა: არამედ იყავენ სიტყუაჲ თქუენი: ჰო ჰე და არაჲ არა, მ. 5, 37C. აქ ამ ნაწილაკთა პირველი წყვილები სახელობითად მიდის, ამიტომ ერთვის მათ სახელობითი ბრუნვის ნიშანი (ჰო=ჰე-ჲ, არა-ჲ), მეორე წყვილები შემასმენლისია და ამიტომ წრფელობითად ესმით და არ ურთავენ რაიმე ნიშანს.

სხვა შემთხვევაში ამ „ჰე"-ს ნაწევარიც ახლავს და, ცხადია, იგი სახელობითად ესმით:

არა იყო ჰე და არა, არამედ ჰო იგი მას შინა იქმნა, 2 კორ. 1, 19.

ამენ: და ვითარცა მათ თქუეს **ამენი**, ამონ. 212, 13; რამეთუ ებრაელებრ **ამენი** გამოითარგმანების: იყავნ! თარგ. გამოცხ. 1, 7.

ალელუა: **ალელუაჲ** გალობაჲ არს საღმრთოჲ, ვითარმედ: „აქებდით უფალსო", ხოლო **ამენი** — „იყავნო", იქვე, 19, 4. აქ „ალელუაჲ" ისეთსავე ფორმად არის მიჩნეული, როგორც „გალობაჲ".

ვა: სიტყუათა-ღა საწყინებელთა ასმენნ მას და ჟამსა მას **ვაჲთ** ჰხადინ, ზირაქ 29, 6; ამბავი ამბავსა ზედა იყოს და **ვაჲ ვახა** ზედა იყოს, ეზეკ. 7, 26 (შდრ. **ვაიდამ ვუოში** ჩაგვაგდო: ი. ჭავჭ. მხატვრ. ნაწერები, 1937, გვ. 507).

კჳრიელჱსონ: **კჳრიელჱსონი** ფრიად მრავალი თქჳან, ხანძთ. 144, 26.

გიხაროდენ: სადა ხარ აწ, რომელმან-იგი **გიხაროდენი** მარქუმე, პარხ. 19გ. ზმნის ბრძანებითის ფორმა აქ სახელობითშია დასმული და პირდაპირ დამატებადაა გაგებული. ეს სიტყვა გვხვდება მიცემითშიც: ანგელოზი მახარებელი, **გიხაროდენსა** მღაღადებელი, სას. პოეზ. 263, 145.

შეგესემინ: ფსალმუნი, **შეგესემინთა** დასდებელი, ჰილ-ეტრ. 90.

ასეთივეა აგრეთვე ზმნათა ფორმების ბრუნება, ასე ხშირად რომ გვხვდება ძველი ქართულის საგალობლებში: **უგლოხ-დთხა** (სას. პოეზ. 11), **აკრთ-ხთხა** (იქვე 8), **ადხ-თხა** (იქვე); **აქბ-თხა** (იქვე 9); **ღღტყ-ვხა** (იქვე 7); **მხლ-ესა** (12), **გნძლი-რდსა** (იქვე); **კხრ-სხა** (15) და მრავალი სხვა.

მამაო ჩუენო: სადაჲთ უკუე უწყით ესე, არამედ ლოცვისაგან, რომელ არს **მამაო ჩუენოჲ**, პარხ. 47ხ; ამისთჳს დაიწერა პირისპირ ჩუენსა ლოცვაჲ იგი **მამაო ჩუენოჲსაჲ**, იქვე.

მრწამს: ხოლო წმიდაჲ იგი ითხოვდა ბერისაგან, რაჲთა წართქუას **მრწამსი** და **მამაო ჩუენოჲ** და ეგრეთ საიდუმლოსა მას ეზიაროს, პარხ. 1271.

წმიდაო ღმერთო: ხოლო ჟამის-წირვასა ყოველსა **წმიდაო ღმერთოსა** წინა ქუერექსი ზეცით გარდამოჲდ და კჳრიაკეთა ჟამის-წირვასა **წმიდაო ღმერთოჲ** ექუსი, ხანძთ. 113, 8.

ნეტარ არიან[1]: **ნეტარ არიანნი** და გალობანი წართქუნიან, ხანძთ. 113, 24; წართქუნეს **ნეტარ არიანნი** აღსრულებისა მათისათჳს, პარხ. 971 b.

შეიძლებოდა ზოგი სხვა გარემოებაც გაგვეთვალისწინებინა, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია დავასკვნათ, რომ ძველი ქართულის სახელის ბრუნება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ახალი ქართულისა, რომ სახელთა ბრუნება ძველ ქართულში მაქსიმალურად მარტივი არაა.

3. წინამდებარე შრომაში ჩვენ განზრახული გვაქვს განვიხილოთ ყველა სახელი: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი. მაგრამ, რასაკვირველია, ყველა ამათ ერთნაირი სისრულით ვერ შევისწავლით. მთავარი ყურადღება, რა თქმა უნდა, მიქცეული ექნება არსებითს სახელებს, რომლებთანაც გაერთიანებული იქნება საწყისები; ამათი დაწერილებითი ანალიზის შემდეგ მოკლედ განხილული იქნება სხვებიც.

---

[1] „ნეტარ არიან" (აქედანაა მიღებული „ნეტარარიანი") დავითნის XVII კანონის (ფსალმ. 118) დასაწყისი სიტყვებია და მთელ კანონსაც ეს სახელი ერქვა (ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა უძველესი ქართული „დავითნისა" ტერმინოლოგიისა და ტექსტუალური თავისებურებისა: ეტ. III, 1955, გვ. 120 — 126).

თავი პირველი

არსებითი სახელები და საწყისები

სახელთა ბრუნების მექანიზმის გასაგებად ყველაზე მეტ მასალას არსებითი სახელები იძლევა. საწყისები ბევრი მხრივ არსებითს სახელებს მისდევენ, ზოგ რამეში კი იჩენენ მცირე დამოუკიდებლობას. ამიტომ ჯერ არსებითებზე უნდა შევჩერდეთ ვრცლად, ხოლო შემდეგ მოკლედ საწყისებზედაც ჩამოვაგდოთ ლაპარაკი. აქედანვე უნდა შევნიშნოთ, რომ შიგადაშიგ და გზადაგზა საწყისების მაგალითები არსებითს სახელებთანაც იქნება მოყვანილი, რამდენადაც ამ ორი კატეგორიის სახელებს შორის უფსკრული არ არის და რამდენადაც, მეორე მხრივ, ისინი ერთ წინადადებაში ერთნაირ პირობებში გვეელინებიან.

Ⴂ. არსებითი სახელები

ძველ ქართულში მკაცრი საზღვარია დადებული საზოგადო სახელსა და საკუთარს შორის. ისინი ბრუნების სულ სხვადასხვანაირ სახეს გვიჩვენებენ. საზოგადო სახელები მდიდარია ნაირ-ნაირი ფორმებით, მათ მოეპოვებათ შესაძლებლობა ყველა ბრუნვა და ორივე რიცხვი კარგად აწარმოონ. საკუთარი სახელები კი ამ თვისებებს მოკლებულია. ამიტომ ისინი ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

A. ხაზოგადო სახელები

ფუძეთა მიხედვით სახელები, როგორც ახალ ქართულში, ორ ჯგუფად განიყოფება: ერთს ქმნის ის სახელები, რომელთაც ფუძე თანხმოვანზე უთავდებათ, ე. წ. თანხმოვანფუძიანი სახელები (კაც-ი, სოფელ-ი), მეორეს — ისინი, რომელთა ფუძეც ხმოვანზეა დაბოლოებული, ე. წ. ხმოვანფუძიანი სახელები (მამა-ჲ, ძე-ჲ, ოქრო-ჲ, ძუძუ-ჲ).

იმის მიხედვით, თუ რა ცვლილებები მოუდის ფუძეს ბრუნების პროცესში, ეს ჯგუფებიც, თავის მხრივ, ორ-ორ ქვეჯგუფად იყოფა: თანხმოვანფუძიანებში გვაქვს ფუძეუკუმშველი (კაც-ის-ა) და ფუძეკუმშვადი (სოფლ-ის-ა) სახელები, ხოლო ხმოვანფუძიანებში — ფუძეკვეცილი (მამ-ის-ა, ძ-ის-ა) და ფუძეუკვეცელი (ოქრო-ჲს-ა, ძუძუ-ჲს-ა) სახელები. ერთი სიტყვით, ფუძის თვალსაზრისით, ძველ ქართულშიც ისეთი სურათი გვაქვს, როგორც ახალში. ამ უკანასკნელში ამ ხაზით არაფერი არ შეცვლილა. ბუნებრივია, თუ ამ ჯგუფებს ცალ-ცალკე მიმოვიხილავთ.

I. თანხმოვანფუძიანი სახელები

ფუძის სიმარტივის თვალსაზრისით, უმჯობესია, რომ ჯერ ფუძეუკუმშველი სახელები განვიხილოთ, შემდეგ — ფუძეკუმშვადები.

1. ფუძეუკუმშველი სახელები

ფუძეუკუმშველი სახელები ქართულში (ძველსა და ახალში) ყველაზე გავრცელებულია, ქართულ სახელთა უმეტესობა სწორედ აქ შემოდის. ყველაზე მარტივი ბრუნებაც ამ ტიპის სახელებს აქვთ: არც მათს ფუძეს მოსდის რაიმე ცელილება და არც ბრუნვის ნიშნებს. ერთი სიტყვით, ყველაზე ნორმალური სახე ქართულ სახელთა ბრუნებისა ფუძეუკუმშველ სახელებშია მოცემული. ასე იყო ეს ძველად, ასეა ახალ ქართულშიც. ამიტომ, რა თქმა უნდა, მეთოდურად ამ სახელებით დაწყება სჯობია. ასეთი სახელებია: კაც-ი, ცოლ-ი, თავ-ი, გულ-ი და სხვა.

მაგრამ სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ ფუძეუკუმშველი სახელების ბრუნების განხილვაზე, საჭიროა მოკლედ მაინც შევჩერდეთ ძველი ქართულის ბრუნვებსა და მათს ნიშნებზე, აგრეთვე მრავლობითი რიცხვის გამოხატვის საშუალებებზე. უფრო ვრცლად ამ საკითხებზე ქვეით გვექნება საუბარი.

ბრუნება ძველ ქართულში 8 არის. აქედან 7 დღესაც გვაქვს; ესენია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი. ის მე-8 ბრუნვა, ახალ ქართულს რომ არ მოეპოვება, **წრფელობითია**, მას ბრუნვის ნიშანი არ გააჩნია, სუფთა ფუძის სახით არის წარმოდგენილი: კაც, ქალ, ყურ, თუალ, ფერჴ, ჴელ და სხვა.

ტერმინი „წრფელობითი“ ნაწარმოებია სიტყვიდან „წრფელი“. სიტყვა წ რ ფ ე ლ ი ძველ ქართულში ძალიან ხშირად იხმარება და იმასვე აღნიშნავს, რასაც გამოხატავს ახალი ქართულის **სწორი**, **პირდაპირი**, **მართალი**. მართალია, ძველ ქართულშიც გვხვდება სიტყვა **სწორი**, მაგრამ ის იქ აღნიშნავს „თანასწორს“ „ტოლს“, რასაც ეს მაგალითიც ამტკიცებს: და იტყოდეს, ვითარმედ: უკუანაჲსკნელთა მათ ერთი ხოლო ჟამი დაყვეს და **სწორ** ჩუენდა ჰყვენ იგინი, რომელთა ვიტჳრთეთ სიმძიმე დღისაჲ და სიცხჱ, მ. 20, 12, ე. ი. ჩვენ **გაგვითანასწორეო**. რაც შეეხება **პირდაპირს**, ის ძველ ქართულში სრულებით არ გვხვდება. გვრჩება, მაშასადამე, ძველ ქართულში სწორის, **პირდაპირის** მნიშვნელობით **წრფელი**. ეს წრფელი ძველად ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა. აი ორიოდე ნიმუში: ერსა ქრისტესსა წარუძღუე გზასა **წრფელსა** მართლ-მადიდებლობისასა, სას. პოზ. 98, 6; „გზასა წრფელსა“, ე. ი. **სწორ** გზაზე; განმზადენით გზანი უფლისანი და **წრფელ** ყვენით ალაგნი მისნი, მ. 1, 3. „წრფელ ყვენით“ ამას ნიშნავს: „გაასწორეთ“.

დღევანდელ ქართულში (ჩვეულებრივეს სიტყვახმარებაში) ეს სიტყვა დამოუკიდებლად აღარ იხმარება, მაგრამ ის გვხვდება კომპოზიტში „გულწრფელი“, რომელიც მხოლოდ ადამიანის მიმართ იხმარება და ზნეობრივი კატეგორიის აღმნიშნელ ცნებათა რიგს განეკუთვნება (შდრ. გამოთქმები: გულწრფელი კაცია, გულწრფელად აღიარა, გულწრფელი მუშაკია და სხვ.).

შევნიშნავთ აქვე, რომ ამ სიტყვას ძველსავე ქართულში „ფიცხელი“ [1] და „გულარძნილი“ უპირისპირდებოდა. უკანასკნელი კი აღნიშნავდა **არასწორს, არაპირდაპირს, მრუდს** (გზასთან მიმართებით **ალროჩოლროსაც**). ეს დაპირისპირება კარგად ჩანს ამ მაგალითში: და იყოს გულარძნილი იგი მართლად და ფიცხელი იგი გზად **წრფელად**, ლ. 3, 5.

წრფელი ქართულში არა დგას განმარტოებით, ქართულის მოძმე ენებში მას თავისი შესატყვისი მოეპოვება. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ამას უკავშირებს მეგრულ ჰიფ-ე-ს-ა და ჰანურ მ-ჰიფ-ე-ს. ძირად აქ ნაგულისხმევია **ჰიფ**, რასაც უდრის ქართული **წრფ**: ჰანურ-მეგრულის **ი** ქართულში **რ** თანხმოვნითაა გადმოცემულიო. რაც შეეხება ჰანურ-მეგრულ „ე“-ს, ის დეტერმინანტ-სუფიქსის (-ელ) ნაშთია, ლასის დაკარგვის შემდეგ დარჩენილი. მართალია, **მ-ჰიფ-ე** (ჰან.) და **ჰიფ-ე** (მეგრ.) მნიშვნელობით ცოტა დაცილებულია ქართულ **წრფ-ელ-ს** (მ-ჰიფ-ე, ჰიფ-ე=წვრილი, тонкий), მაგრამ „ერთის მნიშვნელობიდან მეორეზე გადასვლა არ არის ძნელი ასახსნელიო“, დასძენს იქვე ავტორი [2]. აი ამ **წრფელიდან** მომდინარეობს ჩვენი ტერმინი „წრფელობითი“.

ამ სიტყვის პირველი გამოყენება ბრუნვის სახელწოდებად ეკუთვნის ზ. შ ა ნ შ ი ა ნ ს, ქართულ ენაზე შედგენილი პირველი ქართული გრამატიკის ავტორს [3]. ზ. შანშიანს ეს წიგნი ვახტანგ VI-ის ბრძანებით შეუდგენია და დაუმთავრებია იმ სახით, როგორც ის ჩვენამდეა მოღწეული, 1737 წ. 2 დეკემბერს. წიგნი გამოსცა ალ. ც ა გ ა რ ე ლ მ ა 1881 წ. პეტერბურგს. წიგნის სრული სახელწოდებაა: „მოკლე გრამატიკა ქართული ენისა, ქმნული ზურაბ შანშიანისაგან 1737 წელსა“ [4]. ავტორი აღნიშნულ ბრუნვას აქ უწოდებს „საწრფელოს“ [5], რომლის ქვეშაც მას ესმის დღევანდელი სახელობითი. ამას ამტკიცებს ამ ბრუნვისათვის მოყვანილი მაგალითები: კაცი, ქუ**ყ**ყანა, წერო. წრფელობითის შესახებ ლაპარაკი იმ გაგებით, როგორც დღეს ჩვენ გვესმის, აქ არ შეიძლება: თანხმოვანფუძიანი სახელები ყველგან ბინით არის წარმოდგენილი, ხოლო ხმოვანფუძიანებში არსად ჩანს ჲ. ასე რომ, ზ. შანშიანის გრამატიკაში **საწრფელო** იგივე სახელობითია [6].

---

[1] „ფიცხელის“ სხვა მნიშვნელობა აქ არ გვაინტერესებს.

[2] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 231.

[3] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში: ჟურნ. ახალ სკოლისაკენ, 1928, № 3, გვ. 32.

[4] დაწვრილებით ეს გრამატიკა განხილული აქვს ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე ს ნარკვევში „ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები“: საქ. სახელ. მუზეუმის მოამბე, ტ. X—B, გვ. 141—159.

[5] ხა-ში აფიქსებითაა ნაწარმოები აგრეთვე სხვა ბრუნვათა სახელწოდებანიც: სანათესაო, სამიცემადო, სამოქმედო, საწოდებო.

[6] ზ. შანშიანის გრამატიკის სომხურ წყაროში „საწრფელოს“ ადგილას არის ուղղական, რაც აგრეთვე ზემოთ თქმულს უჭერს მხარს (ნ. ილ. აბულაძის დასახელებული შრომა, გვ. 151).

ანტონ კათალიკოზმა თავის ცნობილ გრამატიკაში[1] ეს ტერმინი „წრფელობითის“ სახით იხმარა[2]. როგორც ირკვევა, ამ ტერმინით აღნიშნულ ბრუნვაში ანტონიც სახელობითს გულისხმობდა. მას ამ ბრუნვის ნიმუშად დასახელებული ჰქონდა „ტაძარი, არსებანი, მზენი, ოქრონი, კუნი, ტაძარნი“[3]. ანტონის გავლენა იმდენად დიდი იყო მომდევნო ხანის გრამატიკულ აზროვნებაზე, რომ მის მიმდევრებს დიდი ხნის განმავლობაში არ შეუცვლიათ არა მარტო ბრუნვათა სახელწოდებანი (მათ შორის წრფელობითიც) და მათში ჩადებული შინაარსი, არამედ ის მაგალითებიც კი, რომელთაც ანტონი მიმართავდა. ასე, მაგალითად, ამ ტერმინს იმავე მნიშვნელობით ხმარობენ გაიოზი (1789)[4], ბატონიშვილი დავითი (მისი გრამატიკა 1798 წლამდეა დაწერილი)[5], საქ. არქიეპისკოპოსი ვარლაამი (1802)[6], იესე ჩუბინაშვილი (1816—17)[7], გოდერძი ფირალოვი (1820)[8], ქართველიშვილი იოანე (1825), სოლომონ დოდაშვილი (1830), მ. ბროსე (1834)[9].

წრფელობითი ბრუნვა იმ გაგებით, როგორც დღეს გვესმის ჩვენ, პირველად ხ. მარმა გამოყო. ნ. მარმა მას გაუფორმებელი ბრუნვა (неопределенный падеж) უწოდა და ბრუნვათა შორის მერვე ადგილზე მოაქცია. ამ სახით შეიტანა მან იგი თავის ცნობილ ტაბულებში[10], ხოლო 1925 წ. გამოსულ გრამატიკაში ამ ბრუნვის ფუნქციის გარკვევას სპეციალური პარაგრაფიც კი უძღვნა[11]. ფ. ცორელი ამ ბრუნვას შემასმენლობითს (Prädikativ) უწოდებს და ძირითად ფორმად (Grundform) თვლის. ავტორმა ამ ბრუნვის ფუნქციის გარკვევას სპეციალური თავი მიუძღვნა (Gebrauch des

---

[1] ანტონს თავისი პირველი გრამატიკა 1751 წ. დაუწერია (ალ. ცაგარელი, О грамматической литературе грузинского языка. 1873, გვ. 1—35). თვით ხელნაწერს სხვა ხელით „1753 წ.“ აქვს მიწერილი. ეს წიგნი ხელნაწერის სახით არის ჩვენამდე მოღწეული (საქ. მუზ ხელნ. A 785). მეორე გამოცემა, გადამუშავებული და გაფართოებული, 1767 წ. ეკუთვნის. იგი გამოქვეყნებულია კიდეც 1885 წ.

[2] ამავე პრინციპის მიხედვით აქვს მას აგებული დანარჩენი ბრუნვების სახელწოდებანიც, რომელთაც დღესაც ვხმარობთ: ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, წოდებითი (გვ. 17 და სხვა). ასე რომ, ბრუნვათა დღეს მიღებული სახელწოდებანი, ყოველ შემთხვევაში, პირველად ანტონის გრამატიკაში გვხვდება.

[3] სახელწოდება „სახელობითი“ ანტონის გრამატიკაში არ გვხვდება; ის პირველად ჩვენს გრამატიკულ ლიტერატურაში პლ. იოსელიანს შემოაქვს (1840 წ.).

[4] ა. ცაგარელი, О грамм. лит. გვ. 35—36.

[5] იქვე, 36—38.

[6] იქვე, 38—39.

[7] იქვე, 39—40.

[8] იქვე, 41—43. წიგნი დაწერილია რუსულ-ქართულად; ქართული ნაწილი წარმოადგენს რუსულის თარგმანს. ფირალოვის მაგალითებია წრფელობითისათვის: ერისთავი, ბიძა.

[9] ქართული ენის თვითმასწავლებელი, პარიზი, 1834. ავტორი ამ ბრუნვას სამი სახელწოდებით იხსენიებს; ესაა: წრფელობითი, შემასმენლობითი, სახელობითი (ნ. დასახელებული წიგნი, გვ. 44).

[10] ნ. მარი, ОТ, ტაბ. V, VII.

[11] ნ. მარი, Грамм. § 43, გვ. 29.

Prädikativs), სადაც დაწვრილებით არის განხილული წრფელობითი ბრუნვის ხმარების შემთხვევები ბიბლიურ წიგნებში[1].

წრფელობითი სრულიად კანონიერ ბრუნვად მიიჩნია ა. შანიძემაც, რომელმაც იგი ბრუნვათა შორის პირველ ადგილას მოათავსა. მასვე აქვს განხილული ამ ბრუნვის ფუნქციებიც ძველ ქართულში[2].

ა. ჩიქობავას უხერხულად მიაჩნია წრფელობითის ფორმას ბრუნვა ეწოდოს და მის მაგიერად გაუფორმებელ ფუძეს ხმარობს[3].

წარმოადგენს თუ არა აქ ნაგულისხმევი ფორმა (კაც, ცოლ, ყანა, მამა, დედა) ბრუნვას? ამ კითხვას ჩვენ დადებითად უნდა ვუპასუხოთ. რომ მას გარკვეული ნიშანი არა აქვს, ეს კიდევ არაფერს არ ლაპარაკობს მოცემული დებულების საწინააღმდეგოდ: სპეციალური ნიშანი არც რუსულ человек, сын, отец, გერმ. Mann, Tag-ს გააჩნია, ეს სახელებიც ოდენ ფუძით არის წარმოდგენილი, მაგრამ მაინც გარკვეული ბრუნვებია (именительный, Nominativ). სპეციალური ნიშანი არც დღევანდელი ქართულის **დედა, მამა, დღე, წყარო, ძუძუ** ფუძეებს აქვთ, მაგრამ ეს ოდენ ფუძით მოცემული სახელებიც გარკვეული (სახელობითი) ბრუნვაა. თუ აქ იმ გარემოებას გავიხსენებთ, რომ ამ სახელებს ერთ დროს ჰქონდათ ბრუნვის ნიშანი და მერმე დაეკარგათ, არც ეს გამოდგება საბუთად, რადგან იყო დრო (და არც თუ ისე უხსოვარ წარსულში), როცა სახელობითის ის ნიშანი, რომელსაც ნაცვალსახელური წარმოშობის ისტორია აქვს, არ ერთოდა სახელს, ე. ი. სახელი პირდაპირს (წრფელობითს) ბრუნვაში უნიშნო იყო, სუფთა ფუძე იყო. იყო: კაც, ქალ, ყურ, თუალ, დედა, მამა, და არ იყო: კაც-ი, ქალ-ი, ყურ ი, თუალ-ი, დედა-ი (თუ დედა-ჲ), მამა-ი (თუ მამა-ჲ). მაშინ ეს სახელები მიცემითისა (კაც-ს, მამა-ს) და ნათესაობითის (კაც-ის, მამ-ის) გვერდით გარკვეულ ბრუნვას წარმოადგენდა და ეს ბრუნვაა სწორედ წრფელობითი. თვით ძველ ქართულში ამ ფუძის სახით წარმოდგენილ ფორმებს გარკვეულ შემთხვევებში ვერ შევცვლით ვერავითარი სხვა ფორმით, მათ შორის სახელობითით, და რაღა უნდა ეწოდოს მათ? ხომ არის ძველ ქართულში ამნაირი შემთხვევები: **ხულგრძელ** იქმენ (მ. 18, 29), ხოლო სამოსელი მისი **სპეტაკ** იყო, ვითარცა თოვლი (მ. 17, 2), **კაც** ეწოდა, რამეთუ თქუა წინაწარმეტყუელმან: კაცი არს და ვინ იცნოს იგი (აბო, 182, 33), შენ **კაც ხარ** (ი. 10, 33C); გიყოფიეს თავი შენი **ღმერთ** (იქვე DE)? რა ფორმაა ეს **სულგრძელ, სპეტაკ, კაც, ღმერთ**? ფუძეა და ბრუნვა არა? თუ ბრუნვაა, რომელი ბრუნვაა ეს? ეს არის ბრუნვა, ის გვაქვს ენაში, ის იხმარება წინადადებაში, უმისოდ არ შეიძლება ვიხმაროთ წინადადება, იმას ვერ შევცვლით სხვა ფორმით (სხვა

[1] Franz Zorell, Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung mit Textproben und Wörterverzeichnis. Roma, 1930, გვ. 19—20, 96—98.

[2] ა. შანიძე, ძვ. ქართ. ენა, გვ. 309 და სხვა.

[3] ა. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, 1940, გვ. 13, შნშ. 2. ავტორს ეს აზრი სხვაგანაც აქვს გამეორებული.

ბრუნვით), ის ისეთივე ერთეულია, როგორც კაცად, ხულგრძელად, ხპეტაკად. დიახ, ეს არის ბრუნვა და ამ ბრუნვას ჩვენ წრფელობითს ვუწოდებთ.

რაც შეეხება ტერმინებს, ამაზე უნდა ითქვას შემდეგი: ნ. მარის მიერ შემოღებული **გაუფორმებელი ბრუნვა** უხერხულია ვიხმაროთ, რადგან ეს გაუფორმებელი, როგორც ვნახეთ, საბაბს იძლევა ეკვი იქნეს შეტანილი მის ბრუნვობაში. თანაც უნდა დავუმატოთ, რომ წრფელობითის ნიშანი ისაა, რომ მას ხელშესახები ნიშანი არ გააჩნია: სწორედ ამით განსხვავდება ის სხვა ბრუნვებისაგან: უნიშნობა სხვათაგან განმასხვავებელი ერთგვარი ნიშანია. ეგევე უნდა ითქვას აგრეთვე **გაუფორმებელი ფუძის** შესახებაც.

ფ. ცორელის **შემასმენლობითი** ბრუნვა (Prädikativ) ორი მხრივ არის უხერხული: ჯერ-ერთი, შემასმენლობითად ქართულში ხშირად accusativ-ს (винительный-ს) თარგმნიან და, მაშასადამე, ეს ტერმინი უკვე არის დამკვიდრებული სხვა ცნებისათვის; მეორე მხრივ, შემასმენლობითი გულისხმობს, რომ ეს ბრუნვა მხოლოდ შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად არის გამოყენებული. მართალია, ამ ბრუნვის ხმარების ყველაზე გავრცელებული სახე სწორედ ესაა, მაგრამ არაიშვიათად სხვაგანაც იხმარება, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს შემასმენელთან (Prädikat-თან): ამ შემთხვევაში კი მისთვის შემასმენლობითის დარქმევა გაუმართლებელი იქნებოდა. რაც შეეხება წრფელობითს, ამ სახელს, როგორც ვნახეთ, ჩვენი წინაპრები სახელობითის ნაცვლად ხმარობდნენ; და რადგანაც დღეს ამ ფორმისათვის საბოლოოდ დამკვიდრდა სახელობითი, უმჯობესია კაც, ცოლ, შვილ, მამა ფორმათათვის ისევ წრფელობითი იქნეს გამოყენებული. ახალი ტერმინის სიძნელესა და უხერხულობას თავი რომ დავანებოთ, ეს სახელწოდება (წრფელობითი) კარგადაც შეეფერება ზემოთ ნაჩვენებ ფორმებს. და ჩვენც ქვემოთ ასე მოვიქცევით. აღვნიშნავთ აქვე, რომ წრფელობითი ამ გაგებით პირველად ა. შანიძემ იხმარა[1].

ახლა რომ დაეუბრუნდეთ ზემოთ შეწყვეტილ საუბარს, ბრუნვის ნიშნებსა და რიცხვზე უნდა ვთქვათ შემდეგი: ბრუნვის ნიშნები ყველაზე კარგად თანხმოვანფუძიან სახელებში არის დაცული. აი ეს ნიშნები, როგორც ისინი გვხვდება ძველ ქართულში:

წრფ.	—	ნათ.	ის
სახ.	ი	მოქმ.	ით
მოთხ.	მან	ვით.	ად
მიც.	ს	წოდ.	ო

[1] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ჩვენი „წრფელობითი ბრუნვის საკითხისათვის ძველ ქართულში", 1941 (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი). შრომის ერთი თავი („წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში") არის გამოქვეყნებული პუშკინის სახელ. თბილ. სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომებში, № 3, 1943.

ზოგიერთი ბრუნვის ნიშნის ვარიანტების შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი. აქ კი უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: მიცემითისა, ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვების აქ წარმოდგენილი ნიშნები (სათანადოდ: ს, ის, ით) უფრო ძველ ვითარებას ასახავს, ვიდრე ის მდგომარეობაა, რომელიც ძველ ქართულშია დაცული; ძველ ქართულში მათ ჩვეულებრივ ემატებათ ბრუნვის ნიშნის საერცობი ა, ე. წ. ემფატიკური ა და ეღებულობთ გავრცობილ ბრუნვის ნიშნებს: ს-ა, ის-ა, ით-ა. თითოეული ეს სახე ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში იხმარება და მათს არევას საერთოდ ადგილი არა აქვს. ამ განსხვავებულ შემთხვევებზე ქვემოთ დაწვრილებით მოგვიწევს ლაპარაკი და აქ აღარ განვაგრძობთ სიტყვას. ამნაირად, ბრუნების უფრო ძველი სახეა შემონახული უანო ფორმებში:

მიც. ს
ნათ. ის
მოქმ. ით

უფრო ახალი — ანიანებში:

მიც. ს-ა
ნათ. ის-ა
მოქმ. ით-ა

იგივე ემფატიკური ა ჴვაქვს მრავლობითის ფორმაშიც: კაც-თ-ა, ხე-თ-ა.

ეს გამაერცობელი, ე. წ. ემფატიკური ა ქვევით დეფისით გამოვყოთ და ვიგულისხმოთ, რომ ის წარმოშობით ბრუნვის ნიშანში არ შედის, უფრო მოგვიანო ხანებშია დამატებული და სხვა რიგის მოვლენებითაა გამოწვეული.

ამგვარად, ბრუნვის ნიშანთა ცხრილი თანხმოვანფუძიან სახელებში საბოლოოდ შემდეგს სახეს მიიღებს:

წრფ.	—	ნათ.	ის-ა
სახ.	ი	მოქმ.	ით-ა
მოთხ.	მან	ვით.	ად
მიც.	ს-ა	წოდ.	ო

ძველ ქართულს მოეპოვება სახელთა მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ორი საშუალება: ერთი მხრივ, სუფიქსები ნ და თ (ნ სახელობითსა და წოდებითშია, თ — სხვა ბრუნვებში წრფელობითის გამოკლებით: კაც-ნ-ი, კაც-ნ-ო, კაც-თ-ა), მეორე მხრივ, სუფიქსი ებ. პირველს (ნარ-თანიანს) ძველს ეძახიან, რადგანაც ძველ ქართულში უპირატესად ის იყო გაბატონებული, ახალ ქართულში კი ძალიან შეკვეცილია მისი მოქმედების არე; მეორეს (ებიანს) ახალს უწოდებენ, რადგანაც ის ახალ ქართულშია გაბატონებული, ძველში კი ნაკლებად გვხვდებოდა. წარმოების თვალსაზრისით მათ შორის დიდი განსხვავებაა: ძველს ორი ნიშანი აქვს: ნ და თ. რაც მთავარია, თ უკვე ძველ ქართულში მარტო რიცხვს აღარ გამოხატავს, მასთან ამა თუ იმ

კონკრეტულ შემთხვევაში ესა თუ ის ბრუნვაა დაკავშირებული. რომელიმე ბრუნვის ნიშანი არ იხმარება; ებ კი მარტო რიცხვს გამოხატავს, მას ემატება ცალკეულ შემთხვევაში ბრუნვის ნიშნები. ებ საერთო ქართველური სუფიქსია, რადგანაც ის ეფ-ის სახით გვაქვს აგრეთვე ჭანურსა და მეგრულში (კოჩ-ეფ-ე, კოჩ-ეფ-ი), ნ და თ განცალკევებით დგას, არ გვხვდება მოძმე ენებში სახელთა მრავლობითის მაწარმოებლად, თუმცა ზმნაში კი აწარმოებს მრ. რიცხვს: წერო-ნ, ვ-წერ-თ, ს-წერ-თ.

ძველ ქართულში არსად ჩანს ორობითი რიცხვი.

უფრო დაწვრილებით მრავლობითი რიცხვის წარმოების შესახებ ქვევით გვექნება მსჯელობა. ახლა კი შეიძლება წარმოვადგინოთ ფუძეუკუმშველ სახელთა ბრუნების პარადიგმები.

ჯერ მოვიყვანოთ მაგალითები (შენიშვნები — შემდეგ). სანიმუშოდ ავიღოთ **კაც-ი, ცოლ-ი, თავ-ი, გულ-ი.**

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

წრფ.	კაც	ცოლ	თავ	გულ
სახ.	კაც-ი	ცოლ-ი	თავ-ი	გულ-ი
მოთხ.	კაც-მან	ცოლ-მან	თავ-მან	გულ-მან
მიც.	კაც-ს-ა	ცოლ-ს-ა	თავ-ს-ა	გულ-ს-ა
ნათ.	კაც-ის-ა	ცოლ-ის-ა	თავ-ის-ა	გულ-ის-ა
მოქმ.	კაც-ით-ა	ცოლ-ით-ა	თავ-ით-ა	გულ-ით-ა
ვით.	კაც-ად	ცოლ-ად	თავ-ად	გულ-ად
წოდ.	კაც-ო	ცოლ-ო	თავ-ო	გულ-ო

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

ნარ-თანიანი

წრფ.	—	—	—	—
სახ.	კაც ნ-ი	ცოლ-ნ-ი	თავ-ნ-ი	გულ-ნ-ი
მოთხ.	კაც-თ-ა	ცოლ-თ-ა	თავ-თ-ა	გულ-თ-ა
მიც.	"			
ნათ.	"			"
მოქმ.	"			"
ვით.	"	"	"	"
წოდ.	კაც-ნ-ო	ცოლ-ნ-ო	თავ-ნ-ო	გულ-ნ-ო

ებიანი

წრფ.	კაც-ებ	ცოლ-ებ	თავ-ებ	გულ-ებ
სახ.	კაც-ებ-ი	ცოლ-ებ-ი	თავ-ებ-ი	გულ-ებ-ი
მოთხ.	კაც-ებ-მან	ცოლ-ებ-მან	თავ-ებ-მან	გულ-ებ-მან
მიც.	კაც-ებ-ს-ა	ცოლ-ებ-ს-ა	თავ-ებ-ს-ა	გულ-ებ-ს-ა

ნათ.	კაც-ებ-ის-ა	ცოლ-ებ-ის-ა	თავ-ებ-ის-ა	გულ-ებ-ის-ა
მოქმ.	კაც-ებ-ით-ა	ცოლ-ებ-ით-ა	თავ-ებ-ით-ა	გულ-ებ-ით-ა
ვით.	კაც-ებ-ად	ცოლ-ებ-ად	თავ-ებ-ად	გულ-ებ-ად
წოდ.	კაც-ებ-ო	ცოლ-ებ-ო	თავ-ებ-ო	გულ-ებ-ო

შენიშვნები:

1. ასევე იბრუნვიან აგრეთვე შემდეგი სახელებიც: აერი, აელი, ალაბასტრი, ალაგი, ალიზი, ამბოხი, არმური, ბაკი, ბეჭი, ბიწი, ბიჭი, ბუნი, ბღუარი, გოლი, გრძღაბი, გრწყილი, გჳრგჳნი, გუადრუცი, გუალაგი, გუამი, გუარი, გუელი, გუერდი, გუნდრუკი, გურიტი, ერი, ეშმაკი, ვაზი, ვანი, ვარსკულავი, ვაშლი, ვაცი, ვახში, ველი, ვეცხლი, ზარი, ზუარაკი, ზუერი, ზღურბლი, თაფლი, თაფლუჭი, თესლი, თუალი, თხემი, თხიერი, თხრამლი, იფქლი, კარი, კარაული, კბილი, კერპი, კუართი, ლოდი, მადლი, მატლი, მახჳლი, მზირი, მთხრებლი, მური, მუშაკი, მუჭლი, მღილი, მძივი, მწირი, მწუხრი, ნადი, ნავი, ნათესავი, ნეშტი, ნიავი, ნისლი, ნიში, ნიჭი, პერი, პირი, პური, სადგური, სარი, სახელი, საჭელი (=სახელო, рукав), სერი, სიავი, სირი, სისხლი, სული, ტარი, ტარიგი, ურნატი, უსხი, ფარი, ფასი, ფერი, ფერჭი, ფრცხილი, ფქვილი, ქადაგი, ქალი, ქალაქი, ქარი, ქედი, ქორი, ქურივი, ყინელი, შვილი, შუბლი, შფოთი, შჯული, ჩჩჳლი, ცელი, ცეცხლი, ციცი, ცომი, ცოფი, ცრემლი, ცხჳრი, ძაღლი, ძელი, წათი, წარბი, წარმართი, ჩესი, წილი, წინდი, წუელი, წუერი, წუთი, წული, წუნწუბი, ჭალაკი, ჭირი, ჭური, ხარისხი, ხარკი, ხატი, ხერხი (ამოს 1, 3=шила), ხორშაკი, ჯამლი, ჯევი, ჯელი, ჯერჯი (хитрость), ჯორცი, ჯურელი, ჯეჯლი, ჯურღმული, ჰასაკი და ბევრი სხვა.

გულდასმით რომ დავუკვირდეთ აქ ჩამოთვლილ და მსგავს სახელებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ

ა) ესენი არიან უმეტესად ერთმარცვლიანი სახელები (ქალი, ცოლი, ველი, ვაცი, ჯარი, ჭელი და სხვ.), რომლებშიც გასაგები მიზეზების გამო კუმშვა საერთოდ ნაკლებად ხდება;

ბ) ზოგი მათგანი ნაწარმოები სახელია და ეს გარემოება აკავებს ფუძის შეკუმშვას (შჯული ← სჯული ← საჯ-ულ-ი; სა-დგ-ურ-ი, უ-სხ-ი[1] და სხვ.);

გ) ბევრი მათგანის ფუძე უკვე შეკუმშულია სხვადასხვაგვარი საწარმოებელი აფიქსების დართვის გამო და ამჟამად აღარაფერია შესაკუმშავი (იფქლი ← იფექალი[2]; ასეა თაფლი, ვაშლი, მატლი, ცრემლი, სისხლი[3] და სხვ.);

---

[1] ი. ქავთარაძე, რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში: იბერ.-კავკ. I, გვ. 147, შნშ. 2.

[2] ა. ჩიქობავა, სახ. ფუძ. გვ. 109.

[3] იქვე, გვ. 49, 50, 51 და სხვა.

დ) ზოგი მათგანის ფუძისეული ხმოვანი (უმეტესად უ) უკვე რედუცირებულია და მეორე ხმოვნის შეკუმშვა ამითაა აცილებული (ჯუერელი, წუელი, სუეტი[1] და სხვ.);

ე) ბევრი მათგანის ფუძეში არის ხმოვანი ი და უ, რომელთა შეკუმშვა ქართულში ჩვეულებრივ არ ხდება (პირი, წილი, სული, გული, წული);

ვ) ზემოთ ჩამოთვლილი სახელების დანარჩენ ნაწილში კუმშვა არ ხდება იმ საერთო მიზეზების გამო, რაც აგრეთვე ვერ იწვევს ფუძის შეკუმშვას ისეთ გრძელ სიტყვებში, როგორიცაა: საწამებელად, სადიდებელად, ნელსაცხებელისა და სხვა, ე. ი. ეს სიტყვები უძველესი ქართულის იმ დიალექტურ ფენებს განეკუთვნებიან, რომლებშიც არ იგრძნობოდა ძლიერი დინამიკური მახვილი, რაც ფუძეთა შეკუმშვის უშუალო მიზეზად არის მიჩნეული[2].

2. ძველ ქართულში უკუმშველია ისეთი ფუძეებიც, რომელთაც ახალ ქართულში ყოველთვის კუმშვა ახასიათებს. ამნაირ სახელებზე ერცლად შევჩერდებით ქვემოთ, როცა საუბარი გვექნება სათანადო კუმშვად ფუძეებზე, აქ კი მაინც დავასახელებთ რამდენიმე მათგანს, რომელთაც ერთი შეხედვით მარტივი ფუძეები აქვთ და ახალ ქართულში იმდენად გავრცელებულია მათი შეკუმშული ფორმები, რომ კაცს თვალში ეცემა შეუკუმშველი სახით ხმარება. ასეთი სახელებია:

ა) მ ტ ე რ - ი:

ამიერითგან მოიძულა და **მტერად** შეჰრაცხა, იპოლ. 25, 108; აჰა ესერა მიგეც თქუენ ჴელმწიფებაჲ დათრგუნვად ზედა გუელთა და ღრიაჴალთა და ყოველსა ზედა ძალსა **მტერისასა**, ლ. 10, 19.

ბ) მ ტ უ ე რ - ი:

შეჰრაცხე თავი შენი მსგავსად ჯინჭველისა და ვითარცა მწერისა და **მტუერისა** და სარასირისა შეურაცხად, მამ. სწავ. (H) 249; უბრძანო ტყუენვაჲ და ავრობაჲ და დათრგუნვაჲ ქალაქთაჲ და დასხმად იგინი **მტუერად** გზჲსა, ესაია 10, 6.

გ) ძ უ ა ლ - ი:

ნაცარი იგი და მიწაჲ ჴორცად და **ძუალად** გამოსახა, სვან. 401a; ხუეტდით გუერდთა მისთა **ძუალადმდე**, პარხ. 659b.

დ) ჰ ა მ ბ ა ვ - ი:

ფრიადისა **ჰამბავისა** მისისათჳს ვეტრფიალე მას, პარხ. 1281; განვსწავლნე იგინი **ჰამბავითა** ჴირისა მისისაჲთა, ოსე 7, 12. ასე რომ, ამ სიტყვის შეკუმშვა და მასთან დაკავშირებული ფონეტიკური მოვლენა (ვინის დაკარგვა ა-ს შეკუმშვის შემდეგ ბაგისმიერ ბ-სთან დამეზობლებისას) ძველმა ქართულმა არ იცის.

---

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერ.-კავკ. I, 1946, გვ. 78 — 79.

[2] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 3, 1942; მისივე: სახ. ფუძ. გვ. 108 — 111.

ე) თ უ ა ლ - ი :

ამ სიტყვას, როგორც ცნობილია, სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ახალ ქართულში მისი კუმშვა-არკუმშვა სწორედ ამ მნიშვნელობაზეა დამოკიდებული; სახელდობრ: როცა მას მხედველობის ორგანოს მნიშვნელობა აქვს (ГЛАЗ), არ იკუმშება (თვალისა, თვალითა, თვალად), ხოლო როცა ის ძვირფას ქვასა და ურმის ბორბლებს აღნიშნავს, იკუმშება (ძვირფასი თვლისა, ურმის თვლები). ძველმა ქართულმა ასეთი დიფერენციაცია არ იცის, თუალ-ი ყველა შემთხვევაში უკუმშველია: ხოლო ჩემდა იქმნა ამის ყოველისა თხრობაჲ შეტყუებისათჳს **თუალიხა** მის პატიოსნისა, თუალთ. 52, 15; რამეთუ ამას გჳჩუენებს ზრახვაჲ **თუალიხაჲ** მის პატიოსნისაჲ, თუალთ. 47, 5; ოთხითა რეცა **ურმის-თუალითა**, იპოლ. 8, 61. შდრ. ამას ახალ ქართულშიც ჩვეულებრივი უკუმშველი ფორმები: მაცადე, აღმოგიღო წუელი **თუალისაგან** შენისა, მ. 7, 4; მაცადე და აღმოგიღო წუელი ეგე **თუალით** შენით, იქვე C: უბჯობეს არს შენდა ერთითა **თუალითა** შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა, მრ. 9, 47.

ვ) ს ა ფ უ ძ ვ ე ლ - ი :

რომელმან აღაშენა სახლი მიწასა ზედა თჳნიერ **საფუძველისა**, ლ. 6, 49 Ж; სოფლები იგი წარმართთაჲ დააქცია უფალმან და მოსპნა იგინი **ხაფუძველადმდე** ქუეყანისა, ზირაქ 10, 19.

ზ) ჯ უ ა რ - ი :

ხოლო ჩემდა ნუ ხიყოფინ სიქადულ, გარნა **ჯუარითა** უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა, გალ. 6, 14 (ისტ. ქრესტ. 22); ესე ჯუარი ქრისტჱსი მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღჰუმართე სახელსა მცხეთისა **ჯუარისახა** ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა, წყისის წარწ. (ისტ. ქრესტ. 2); ყოველნი ასონი ჩუენნი **ჯუარად** გამოვიწერნეთ, ისტ. ქრესტ. 42, 8.

თ) მ ღ დ ე ლ - ი :

საშუალო ქართულში ამ სიტყვას წერდნენ ასე: „მღუდელი", რომელიც ახალ ქართულში „მღვდელის" სახით გადმოვიდა. ძველ ქართულში ამ სიტყვაში, ჯერ-ერთი, უმარცვლო უ (თუ ვინი) არ იყო; მეორეც, იგი უკუმშველი იყო[1]: უკუეთუ მე შენგან არა ნათელ-ვიღო, არა ღირს-იჰინოს მეფემან **მღდელიხა** გლახაკისაგან ნათლის-ღებაჲ, სვან. 380b; არა წარწყმდის შჯული **მღდელისაგან**, იერ. 18, 18; მაშინ მოვიდა ყრმაჲ ერთი **მღდელიხაჲ**, 1· მეფ. 2, 13.

---

[1] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ს მოცემული აქვს ამ სიტყვის საინტერესო ეტიმოლოგია: მისი ახრით, იგი წარმომდგარია სიტყვიდან „ღაღად-ი". „ღაღად"-ი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია: ღად + ღად-ი — ღაღად-ი ('შდრ. პაწ-პაწა — პაწაწა, წიპ-წიპო — წიწიპო, ბერ-ბერი — ბებერი: ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატ. საფუძვ. გვ. 151). მარტივი ფუძეა ღად. აქედან მოკმედებითი გვარის მიმღეობა იქნება: მ-ღად-ელ-ი — მღდელი (ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ადიშის ხელნაწერის ბერძნისმები: ენიმკის მოამბე, ტ. XIV, გვ. 95 შმშ). ეს ეტიმოლოგია ძალიან ახლოს უნდა იყოს ჰეშმარიტებასთან როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ.

თ) ნ ი ო რ - ი :

განგაძლნა თქუენ თაფლითა და თქუენ **ნიორისა** მყრალისა გული-გითქუმიდა, სვან. 155ჩ.

ი) განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ე. წ. კუმშვად-კვეცადი სახელები, როგორიცაა ქუეყანა, მოყუარე, მწუხარე. ახალ ქართულში, როგორც ცნობილია [1], ამ სახელებს ფუძე **ეკუმშებათ** (კვეცა არ გვაინტერესებს ამჟამად): ქვეყნის საქმე, მოყვრის შეძენა, შფოთვა მწუხრისა. ძველ ქართულში კი მათ კუმშვა არ ახასიათებდათ: ა) რომელი **ქუეყანისა** ამისგანი არს, **ქუეყანისაგან** არს, ი. 3, 31C; ხოლო ნავი იგი განშორებულ იყო **ქუეყანით** მრავალ უტევან და იგუემებოდა ღელვათაგან, მ. 14, 24; გამოვიდა სიმონ-პეტრე და გაჰოითრევდა ბადესა მას **ქუეყანად**, ი. 21, 11; ბ) **მწუხარითა** პირებითა გამოუჩნდებოდა მათ, სიბრძ. 17, 4; გ) და მზე უენებელად და პატივისა **მოყუარედ** უცხოებასა მას შინა მათსა მოჰსცა მათ, სიბრძ. 18, 3.

ჱ. ზოგი ცალკე აღებული ერთმარცვლიანი სახელი არ იკუმშება, მაგრამ თუ ასეთი სახელი შედის კომპოზიტში სხვა სიტყვასთან ერთად, ე. ი. თუ ის იქცევა ორ ან მეტმარცვლიან სახელად, მაშინ ის იკუმშება. ასეთია, მაგალითად, **კარ-ი**, რომლის სათანადო ბრუნვებია: **კარ-ის-ა, კარ-ით-ა, კარ-ად**, მაგრამ კომპოზიტში კი გვაქვს: **ცისკრისა, ცისკრად**: ვითარცა ნაწუეთი ცუარისა **ცისკრისაჲ**, რომელი გარდამოვალნ ქუეყანად, სიბრძ. 11, 23; **ცისკრად** ალაერდს ილოცა, ერედვ. წარწ. (ისტ. ქრესტ. 3); ასეთია აგრეთვე **ჟამ-ი**; უკუმშველია: **ჟამ-ის-ა, ჟამ-ით-ა, ჟამ-ად**, მაგრამ კუმშვადია: **სამჟამ-ის-ა**: და ვითარცა იყო ჟამი **სამჟამისაჲ**, ზარხმ. (ისტ. ქრესტ. 229, 14). ასეთია კიდევ **თავ-ი**; მისი უკუმშველი სახეა: **თავ-ის-ა, თავ-ით-ა**, თავ-ად და აქედან წარმომდგარი ძველი ქართულისათვის კარგად ცნობილი სიტყვა **თავად-ი** (=ის. თვითონ), ხოლო შეკუმშული ფორმაა: **ერისთვისა**: და რაჟამს მოვიდა იგი ქართლდ, ცხონდებოდა იგი ნერსე **ერისთვისა** თანა, აბო 185, 21; ესე მთავარებისკოპოსი **ერისთავადცა** იყო... ქართლს და ჰერეთს, მოქც. 61, 15. „თავ"-ისგან არის ნაწარმოები **თა(ვ)ობა**, მაგრამ კომპოზიტში ისევ შეკუმშული ფორმა გვაქვს: **ერისთვობა: ერისთვობახა სუმბატისსა**, ძისა დავით მამფლისასა, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 266, 32); **ერისთავთა-ერისთვობასა** სუმბატისსა. იქვე, 266, 30. ასევე: ცალკე აღებული ორმარცვლიანი **ვითარ-ი** არასოდეს არ იკუმშება, მაგრამ, მოემატება თუ არა მას მარცვალი, იგი იჩენს კუმშვის უნარს: ოთხმარცვლიანი **ესევითარ-ი** იკუმშება: ვითარ-მე შემძლებელ არს კაცი ცოდვილი **ესევითრისა** სასწაულისა ყოფად? ი. 9, 16 C (ფორმა მთლიანად სწერია, უქარაგმოდ). DE-ში ჩვეულებრივი შეუკუმშავი ფორმაა: **ესევითარისა**.

მიზეზი აქ განხილული შემთხვევებისა მახვილში უნდა ვეძიოთ: ერთმარცვლიან სიტყვაში (კარ-ის-ა) მახვილი ფუძისეულ ა-ზე მოდიოდა და ეს ა შენახულ იქნა, ხოლო ორმარცვლიან „ცისკრ-ის-ა"-ში მახვილი ფუძისეულ

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატ. საფუძვ. გვ. 97.

ა-ს (კარ) აღარ ხედებოდა და უმახვილო ა ამოღებულ იქნა. საერთოდ შემჩნეულია, რომ ერთმარცვლიან სიტყვებში კუმშვა უფრო იშვიათია, ხოლო ორ და მეტმარცვლიანებში — ხშირი. როგორც დაინახეთ, თვით ერთსა და იმავე სიტყვაში ფუძის შეკუმშვა არ ხდება, თუ ეს ერთმარცვლიანი სიტყვა ცალკე და მარტო დგას, და ხდება, თუ იგივე სიტყვა სხვა სიტყვასთან ერთად ერთ მთლიან რთულ სიტყვას, კომპოზიტს ქმნის[1].

შეუკუმშველი ფუძეების სხვა სახეებზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვევით გვექნება საუბარი.

4. წრფელობითი ბრუნვა, როგორც ვნახეთ, სუფთა ფუძის სახით არის წარმოდგენილი. რა და რა შემთხვევაში იხმარება ის? რა არის მისი ფუნქციები? ამაზე მსჯელობა გვექნება ქვევით წინამდებარე შრომის სათანადო თავებში. ამიტომ აქ აღარას ვიტყვით.

5. სახელობითი ბრუნვა თანხმოვანფუძიან სახელებში მხოლოდ ერთი ნიშნით არის წარმოდგენილი, ეს ნიშანია ი: კაც-ი, ცოლ-ი, თაე-ი. თავისი წარმოშობით ეს ი უკავშირდება „იგი“ ნაცვალსახელს, რომელიც ენაში განსაზღვრულ ნაწევრად იქნა გამოყენებული: კაც იგი → კაც ი → კაცი[2]. დამოუკიდებელი არსებობის უნარს მოკლებული „იგი“-ს ასეთი გაცვეთა და ი მდე დასვლა არ არის ძნელი ასახსნელი. შდრ. „გოგია უიშვილის“ დასაწყისი, სადაც იკითხება: „ — ია ეკუცია კიდევ ჩამოუყენებიათ სოფელში!“[3] ცხადია, რომ იგი → ია, ხოლო აქედან შერწყმის გზით ი მიიღება. მესამე პირისათვის გურულში სხვა სიტყვა (ის) არ მოიპოვება. როცა დავიწყებულ იქნა ამ ახალწარმოშობილი ბრუნვის წარსული, განსაზღვრული ნაწევარი იგი მას კვლავ დაემატა და მივიღეთ, არსებითად რომ ვთქვათ, ორმაგი განსაზღვრა სახელისა: კაც-ი იგი, სადაც ამ იგი-ს ნაშთი ი-ს სახით სახელის ბრუნვის ნიშნადაა ქცეული, ხოლო მეორედ დართული იგი ნაწევრის ფუნქციას ატარებს. ამნაირად, სახელობითი ახლად წარმოშობილი ბრუნვაა[4], მასზე ახალგაზრდა მხოლოდ წოდებითი თუა. სახელობითი ბრუნვის ფუნქციებზე ქვევით იქნება ლაპარაკი.

6. მოთხრობითი ბრუნვის შესახებ იგივე უნდა ითქვას, რაც სახელობითის შესახებ ვთქვით, ესეც გვიან წარმოშობილი ბრუნვაა და, რაც მთავარია, ესეც იმავე იგი ნაცვალსახელიდან მომდინარეობს, მისი მოთხრობითი ბრუნვაა[5]. თუ სახელობითი მიღებულია „კაც + იგი“-დან (რომლიდანაც შემდეგ მივიღეთ კაც-ი), მოთხრობითი მიღებულია „კაც + მან“-იდან,

---

[1] ა. შანიძე, გრამ. საფუძვ. გვ. 27—28; 54—55.

[2] ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: არილი, 1925, გვ 218 — 219.

[3] ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1954, გვ. 129.

[4] ა. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 10, 1939, გვ. 173 და სხვა.

[5] იქვე, გვ. 168.

რომლის სრული სახეც დაცულია ძველ ქართულში, მას იქ არ განუცდია რაიმე ცვლილება: კაცმან, ცოლმან, თავმან. ასე რომ, ეს ორი ბრუნვა, სახელობითი და მოთხრობითი, წარმოშობილია წრფელობითის დაშლის პროცესში, წრფელობითის საფუძველზე, წრფელობითზე ნაწევრის დართვისას:

სახ. კაც იგი → კაც-ი.
მოთხ. კაც მან → კაც-მან [1].

შემდეგ მოთხრობითის ნიშანი გამარტივდა და ახალ ქართულში გვაქვს მისი ორი სახე: მა — თანხმოვანფუძიან სახელებში (კაც-მა, ქალ-მა), მარტო მ — ხმოვანფუძიანებში (დედა-მ, მამა-მ).

7. მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნები ორი სახითაა წარმოდგენილი: გაუვრცობელითა და გავრცობილით, ან, რაც იგივეა, ემფატიკური ანით:

	გაუვრც.	გავრც.
მიც.	კაც-ს	კაც-ს-ა
ნათ.	კაც-ის	კაც-ის-ა
მოქმ.	კაც-ით	კაც-ით-ა

თითოეული ეს სახე გარკვეულ შემთხვევებში იხმარება. ჩვეულებრივ გავრცელებულია შეხედულება, რომ ძველი ქართული სახელების ბრუნება წარმოადგინონ გავრცობილი ბრუნვის ნიშნებით, ემფატიკური ანით. ამასთან, არაფერს, ან სრულიად ცოტასა და არასაკმაოდ ლაპარაკობენ უანო ფორმებზე. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ სახელები მარტივი ბრუნვის ნიშნით არც თუ ისე იშვიათად გვხვდება, განსაკუთრებით ნათესაობითსა და მოქმედებითში, ამიტომ ამ საკითხზე ჩვენ უფრო ვრცლად უნდა შევჩერდეთ. მაგრამ რადგანაც მარტივი და გავრცობილი ბრუნვის ნიშნები დამახასიათებელია ყველა ტიპის საზოგადო სახელებისათვის, ამიტომ უმჯობესია ამ შენიშვნის გაკეთება აღნიშნულ სახელთა ბრუნების მიმოხილვის შემდეგ. ამით ჩვენ, ერთი მხრივ, თავს ავარიდებთ განმეორებას და, მეორე მხრივ, აგვშორდება ზოგიერთი დაბრკოლება, რომელიც წინ დაგვხვდებოდა, გაუვრცობელი ბრუნვის ნიშნებზე ცალ-ცალკე ჯგუფის სახელების მიხედვით რომ გვემსჯელა. ეს მით უმეტეს, რომ ჩვენ ამ საკითხზე ქვევით (ბრუნვათა ფუნქციების გარკვევისას) ერთხელ კიდევ მოგვიწევს შეჩერება.

მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ფუნქციით იხმარება ძველ ქართულში აგრეთვე ივ სუფიქსი. როგორც ჩანს, ივ და ით სუფიქსიანი ბრუნვები ახლო იყვნენ ერთმანეთთან მნიშვნელობით, რადგანაც ეს ფორმები ხშირად ერთმანეთის მონაცვლედ გამოდიან. შდრ. ძლ-ით და ძლ-ივ (ს), ფრჩ-ით და ფრჩ-ივ (=ფეხით), ღმრთ-ით და ღმრთ-ივ, ცხოვლ-ივ და ცოცხლებ-ით და სხვა. ამ გადავარდნილი ბრუნვის ფორმები გაქვავებულადაა შემორჩენილი ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: იბრტყივ (პარხ. 875ვ), იგურდივ, გასწვრივ, უეცრივ, ირგულივ, შეუჩერებლივ, მუდმივ, სხუაფრივ, მჯარ-იღლივ, ხან-

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამ. საფუძვ. გვ. 640—641.

გრძლივ და სხვა[1], ამ გადაეარდნილი ბრუნვის ეს თვისება შემჩნეული და აღნიშნული ჰქონდა ჰ. შუხართს ჯერ კიდევ 1895 წელს[2]. საკითხს სპეციალურად იკვლევდა დ. მაჭავარიანი მის საკანდიდატო დისერტაციაში: Некоторые особенности употребления суффикса iv в древнегрузинском языке, 1955 (Автореферат).

ბ. ვითარებითის ბრუნვასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხს უნდა შევეხოთ.

ა) ახალ ქართულში ვითარებითს ბრუნვაში ხშირად გვხვდება გაერცობილი ბრუნვის ნიშანი; განსაკუთრებით ითქმის ეს პოეზიის შესახებ. ლექსებში ერთობ ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა მოსაზრებით (ხან მეტრის გამო, რომ ყოველ სტრიქონში მარცვალთა თანაბარი რაოდენობა მიიღონ, ხანაც რითმის საჭიროებით) ვითარებითში დასმულ სახელს საერცობ ა-ს ურთავენ.

ორიოდე მაგალითი:

— ირემო, მთასა მყვირალო,
რამ ჩამოგაგდო ბარადა?
— მეუღლე ჩემი მომიკლეს,
დაეხეტები ცალადა.
(ხალხური).

აღმობრწყინდა მზე დიდებულადა
(ი. ჭ. მხატვრული ნაწერები, 1937, გვ. 147).

მიდის ურემი და უეცრადა
ვიღაცამ ტყიდამ ასკუპა ცხენი
(იქვე, 174).

შეერთდით, ძმებო!.. შეერთდით!..
ხელი ხელს მიეცთ ძმურადა
და მტერს დაუხვდით გარეშეს
თამამად... ვაჟკაცურადა!..
(ა. წერეთელი, რჩეული ნაწერები, 1935, გვ. 129).

მაგრამ რა მექნა, რით, როგორ?
გამძარცვეს ერთიანათა:
რაც მე შინ შემოვიტანე,
წაიღეს ძალის ძალათა!
(ირ. ევდ. ლექსები, 1935, ტ. I, გვ. 230).

(ერთიანათა=ერთიანადა,
ძალათა=ძალადა).

[1] ა. შანიძე, წელაწადის ეტიმოლოგიისათვის: წელაწდეული, 1923 — 24, გვ. 6.
[2] Über das Georgische, გვ. 14.

ჩემი დარდი რომ თქვენ გქონდეთ, —
რად ეკვნესი სულ **ერთავადა**, —
მერწმუნეთ, ნაცრისფერ ბუმბულს
შეიღებავედით **შავადა**!

(ი. გრიშ. ლექსები, 1944, გვ. 47).

ამის მიხედვით კაცი იფიქრებდა, თუ ახალი ქართულის ვითარებითში ემფატიკური ა-ს ხმარება ასე ხშირია, ძველში უფრო ხშირი უნდა ყოფილიყოო. ასეც აქვს წარმოდგენილი საქმის ვითარება ქართული ენის ზოგიერთ მკვლევარს. ასე, მაგალითად, ნ. მარს თავის ტაბულებში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად მოცემული აქვს შემდეგი აფიქსები:

	უბრ.	ემფ.
მხ. რ.	ად (და)	ადა
მრ. რ.	ებ-ად	ებ-ადა
	თ (თად)	თა (თადა)[1]

ამის შესაფერისადაა ქვევით წარმოდგენილი ხსენებულ ბრუნვაში სათანადო სახელები:

	ემფ.	
კაც-ად		კაც-ადა
უფლ-ად		უფლ-ადა
სოფლ-ად		სოფლ-ადა
მამა-დ		მამა-და
იონა-დ		იონა-და
მეფე-დ		მეფე-და
პეტრე-დ		პეტრე-და
კალო-დ		კალო-და
რკუ-დ		რკუ-და
მოგუ-ად		მოგუ-ადა
გიორგ-ად		გიორგ-ადა

-ასევეა მრავლობითშიც:

კაც-ებად	ემფ.	კაც-ებადა
უფლ-ებად	„	უფლ-ებადა
სოფლ-ებად	„	სოფლ-ებადა
მამ-ებად	„	მამ-ებადა
იონ-ებად	„	იონ-ებადა
მეფე-ებად	„	მეფე-ებადა
პეტრე-ებად	„	პეტრე-ებადა
კალო-ებად	„	კალო-ებადა

[1] ნ. მარი, OT, ტაბ. V.

რკუ-ებად	ემფ.	რკუ-ებადა
მოგუ-ებად		მოგუ-ებადა
გიორგ-ებად		გიორგ-ებადა [1]

III პირის ნაცვალსახელებიც ამ სახითაა მოცემული:

მ-ად	ემფ.	მ-ადა
ამ-ად		ამ-ადა
იმ-ად		იმ-ადა
მაგ-ად		მაგ-ადა [2]

გრამატიკაში კი საქმე გამოსწორებულია, თუმცა ძველი შეცთომა სულ დაიწყებული არ არის, რამდენადაც სიტყვები „უფლ-ად და სოფლ-ად“ ახსნილია, როგორც მეორეული, შემდგომ მიღებული, გამარტივებული ფორმები, რომლებიც მიღებულია სათანადოდ აქედან: უფლ-ადა, სოფლ-ადა [3].

ნ. მარი აქ მარტო არ არის. მაგრამ საქმის ასე წარმოდგენა ღრმა შეცთომაა: საზოგადო სახელებში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ძველ ქართულში არასოდეს არ გვქონია გავრცობილი ნიშანი ად-ა ან დ-ა; ფორმები „კაც-ადა, მამა-და“... სრულებით არ იცის ძველმა ქართულმა, ეს ფორმები უცხოა მისთვის. ამიტომ ნ. მარის ეს მოსაზრება შეიძლება მხოლოდ ახალი ქართულის გაგლენით აიხსნას, მაგრამ ძველი ქართულისათვის იგი სრულ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს.

ბ) როგორც ვნახეთ, ვითარებითი ბრუნვის ნიშანი თანხმოვანფუძიან სახელებში არის **ად** (კაც-ად). მაგრამ რამდენიმე სახელში, რომელთა ფუძეც ილ-ზე ბოლოვდება, ბრუნვის ნიშნად მარტო **დ** გამოდის: **ადგილ-დ**. ეს დ ისეთივე დამოუკიდებელი (სრული) ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს, როგორიც გვაქვს საზოგადო ხმოვანფუძიანსა (დედა-დ, ძე-დ, წყარო-დ, ძუძუ-დ) და გეოგრაფიულ სახელებში (ქართლ-დ, ჩორ-დ). აქ ყველგან ერთი ხაზი გვაქვს, ყველგან ვითარებითის ნიშნად მხოლოდ დ გვეელინება. მაგრამ ილ-ზე დაბოლოებულ სახელებში ამ დ-ს დართვისას ფუძისეული ბოლოკიდური ლ ხშირად იკარგება ხოლმე და ვღებულობთ ფორმას **ადგი-დ**. ამნაირად, ლასიანი და ულასო ფორმები ორივე შესაძლებელია ძველი ქართულისათვის, გვხვდება ერთიცა და მეორეც. ამ ტიპის სახელები ძველ ქართულში ცოტაა, ამიტომ აქ საჭირო სისრულით წარმოვადგენთ სათანადო მაგალითებს.

1) **ადგ-ილ-ი**: რამეთუ განიბნინეთ თითოეულად **ადგილდ** თჳსა, ი. 16, 32 C; და იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი **ადგილდ-ადგილდ** მ. 24, 7. იგივე ადგილი მარკოზის თავში ასეა გადმოცემული: და იყვნენ ძრვანი **ადგიდ-ადგიდ**, მრ. 13, 8; მოედით თქუენ თჳსაგან **ადგიდ** უდაბნოდ, მრ. 6, 31 C.

---

[1] ნ. მ ა რ ი, OT, ტაბ. VII.

[2] ი ქ ვ ე, ტაბ. VIII.

[3] ნ. მ ა რ ი, Грам. გვ. 45.

მაგრამ შეეხვედებით აგრეთვე სხვა თანხმოვანფუძიან სახელთათვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ ფორმებსაც, სადაც ვითარებითის ნიშანი ად არის და ამის გამო ლ-ც არ არის დაკარგული:

სუეტი იგი ჩამოვიდოდა **ადგილად** თჳსა, მოქც. 25, 1; მიაქციე მახჳლი ეგე **ადგილადვე** თჳსა, მ. 26, 52 C.

იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა დაკარგულია ვითარებითის ნიშანი (დ), სამაგიეროდ შენახულია ფუძისეული ლასი: იყვნენ სიყმილნი და ძრვანი **ადგილ-ადგილ**, მ. 24, 7 ლაგ. ამ უკანასკნელი მაგალითის შესახებ შეიძლებოდა ისეც გვეფიქრა, რომ აქ დონი არც ყოფილა და არც დაკარგულა, რომ ადგილის გარემოებას აქ გადმოსცემს პირდაპირ ფუძე (წრფელობითი ბრუნვა), და მოგვეგონებინა დღევანდელი ქართულის გამოთქმები: ალაგ-ალაგ, მინდორ-მინდორ, ზღვა-ზღვა, მთა-მთა და სხვა. ამ ფუნქციის კისრება უცხო არ უნდა ყოფილიყო წრფელობითი ბრუნვისათვის. მაინც ფაქტია, რომ უდონო ფორმა მხოლოდ ფუძეგაორკეცებულ მაგალითში გვაქვს მოცემული და არა სხვაგან. ამ დაშვებისას ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ეს მაგალითი დამოწმებულია ძალიან ძველ და სხვა მხრივაც თვალსაჩინო არქაიზმების შემცველ ხელნაწერში (ლაგურკის ლექციონარში).

2) ს ი კ უ დ - ი ლ - ი :

მისცეს ძმამან ძმაჲ **სიკუდილდ**, მ. 10, 21; მე შენ თანა მზა ვარ საპყრობილედ და **სიკუდილდ** მისლვად, ლ. 22, 33; მწუხარე არს სული ჩემი ვიდრე **სიკუდიდმდე**, მრ. 14, 34; **სიკუდიდცა** არა გეწყალის თავი შენი, აბო 195, 16.

3) ქ ო რ წ - ი ლ - ი :

და წარაელინნა მონანი თჳსნი მოწოდებად ჩინებულთა მათ **ქორწილ**, მ. 22, 3 C.

4) ყ ი ე - ი ლ - ი :

ვიდრე ქათმის-**ყივილმდე** სამ-გზის უვარ-მყო მე, მ. 26, 34 C. მაგრამ ამის გვერდითაც არის ად ნიშნიანი და ლასდაუკარგველი ფორმაც: ვიდრე ქათმის-**ყივილამდე** სამ-გზის უვარ-მყო მე, მ. 26, 75 C. უეჭველია, რომ ეს უკანასკნელი ფორმა უფრო ახალია და სხვა სახელებთან გათანაბრების მიზნითაა გამოწვეული.

5) ყ ჳ რ - ი ლ - ი :

მჴეცმან მან... **ყჳრიდ** იწყის, რამეთუ განრინებაჲ ჰნებავს... ისმინიან **ყჳრილი** მონადირეთა მათ, მოვიდიან და მოკლიან იგი, სახისმეტ. (ისტ. ქრესტ. 280, 15).

6) ტ ი რ - ი ლ - ი :

და მოეჴსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი... და იწყო **ტირიდ**, მრ. 14, 72; ჰუარიანი იგი... მისდეევდეს მას, ჰგონებდეს, ვითარმედ საფლავად მიეალს იგი **ტირიდ** მისა, ი. 11, 31.

7) ხად-ილ-ი:

მოდრკა მეფე... და ეტყოდა ნინოს: აწ ღირს ვარა **ხადიდ** სახელსა ღმრთისა შენისასა და მჯნელისა ჩემისასა, მოქც. (ისტ. ქრესტ. 275, 38).

8) შეტყუ(ვ)-ილ-ი:

ანუ არა უწყია უკეთურებაჲ იგი აბინერისი, ძისა მის ნერისი, რამეთუ **შეტყუილდ** შენდა შემოვიდა იგი და განცდად შესაეალ-გამოსაეალისა მის შენისა და გულისხმის-ყოფად, რასა შენ იქმ, 2 მეფ. 3, 25.

9) სიც-ილ-ი:

მერმე ჰრქუა: ღმერთი ეგე წარმართთაჲ, მეტყოდე მე, **სიცილდ** იწყოს ვაჲ ჩემდა, ცოდვილისა ამის, პარხ. 811 b.

ასეთივე ფორმით არის წარმოდგენილი ვითარებითში კიდევ ორი სახელი: ერთი მათგანია „ღუაწლი“, მეორე — „სახლი“, რომელთა ვითარებითის ფორმაა სათანადოდ: ღუაწი-დ, **სახი-დ**.

ფორმა **სახიდ** კარგად არის ცნობილი ძველ ქართულში და აქ სათანადო მაგალითებს აღარ დავასახელებთ. მოვიყვანთ ნიმუშებს მხოლოდ „ღუაწიდ“-ის დასამოწმებლად: აჰა ეგერა მეფე წარჰგზავნის მას **ღუაწიდ** და მუნ მოკუდეს[1], პარხ. 699 b; წმიდაჲ გულანდუხტ შემდგომად წარსლვისა ქმრისა თჳსისა **ღუაწიდ** იხარებდა უფლისა მიმართ, იქვე 700 a; და დაწყევეს, რაჲთა არღარა გამოვიდეს დავით მათ თანა ღუაწიდ, 2 მეფ. 21, 17; რაჟამს გესმეს ქმაჲ ძრვისაჲ ადგილსა მას გლოისასა, მაშინღა გამოუჴდე შენ მათ **ღუაწიდ** ბრძოლისა[2], იქვე, 5, 24; ეკლესიაჲ გამოიცადა უკეთურთაგან, იცვალა ჭურჭლითი ჭურჭლად მწჴდობისაგან **ღუაწიდ** და ღუაწლისაგან მწჴდობად ეგო, უდაბნ. 172 ra.

თვით ის ფაქტი, რომ ვითარებითში ეს სახელები -ი -დ სუფიქსებს გვიჩვენებს (ღუაწ-ი-დ, სახ-ი-დ), იმ დასკვნაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ამათ ფუძეშიაც ი უნდა ყოფილიყო: ღუაწ-ილ-ი, სახ-ილ-ი.

„ღუაწლ“-ში **ლ** დეტერმინანტ სუფიქსად არის მიჩნეული, ოღონდ დაკარგულ ხმოვნად ნაგულისხმევია ა: ღუაწ-ალ → ღუაწ-ლ[3]. ჩვენ მიერ ნაპოვნი ფორმა „ღუაწიდ“ მხარს უჭერს **ლ**-ს წინ ი ხმოვნის დაშვებას. მაშინ „ღუაწილი“ სრულიად კანონზომიერი ფორმა იქნებოდა, ძალდაუტანებლად ჩადგებოდა ზემოთ განხილული სახელების რიგში (ადგილი, ქორწილი...) და ბუნებრივად მოგვცემდა ვითარებითში „ღუაწიდ“-ს ისე, როგორც ადგილი → ადგიდ, ქორწილი → ქორწიდ, ტირილი → ტირიდ და სხვა.

რაც შეეხება „სახლ“-ს, ცხადია, რომ ის შეკუმშული ფორმა არის[4], მაგრამ რა ხმოვანი უნდა ვიგულისხმოთ ამოღებულად? ვ. თოფურიას

---

[1] შდრ. იქვე: მეფე წარჰგზავნის მას ბრძოლად. მაშასადამე, ღუაწიდ = ბრძოლად.

[2] შდრ. რამეთუ მაშინ გამოვიდეს უფალი წინაშე შენსა დაცემად უცხო-თესლთა მათ ღუაწლსა მას შინა, 2 მეფ. 5, 24. ღუაწიდ = ღუაწლსა, ე. ი. ბრძოლაში, ბრძოლად.

[3] ა. ჩიქობავა, სახ. ფუძ. გვ. 109.

[4] იქვე, გვ. 50, 51, 128; მისივე: შედარ. ლექს. გვ. 150.

აზრით, მეგრულ-ჭანურის მიხედვით ქართულში საეარაუდებელია ა (სა-ბ-ელ)[1]. მაგრამ აეტორი იქვე დასძენს, რომ მეგრ. ო-ს ეკვივალენტად ქართულში ე-ც არის (ქყორი—მ-წყერ-ი). მაშასადამე, **სახელ უნდა ყოფილიყოო**[2].

ეს **სახელ-ი** „სახლის“ (дом) მნიშვნელობით ახლა უკვე დადასტურებულია უძველეს ძეგლებში. მოვიყვანთ სათანადო მასალებს აქაც: ღმერთმან დაამკჳდრნის ერთ-სახენი **სახელსა**, გამოიყვანნის კრულნი სიმჴნითა თჳსითა, ფსალმ. 67, 6 (Бог одиноких вводит в дом); **სახელიხაგან** ღმრთისა შენისა მოვსპო კერპები და გამოდნობილნი, ნაუმ 1, 14 (Из дома бога твоего); ჶ იერუსალჱმ, ვითარ-იგი დიდ არს **სახელი** ღმრთისაჲ და გრძელ ადგილი საყოფელისა მისისაჲ, ბარუქ 3, 24 (Как велик дом божий); მოხჳნდეს ქებად **სახელსა** უფლისასა, იერ. 17, 26, ხანმ. (ისტ. ქრესტ. გვ. 3, რუს. თარგმ.: В дом господень) და სხვა[3]. ეს არის ამ სიტყვის სრული ფორმა, სადაც უცვლელად არის დაცული სა პრეფიქსიცა და ელ სუფიქსიც. ამ სუფიქსის ხმოვანდაკარგული სახეა საყოველთაოდ ცნობილი სა-ბ-ლ-ი, ხოლო მისი თანხმოვანდაკარგული სახეობა არის სა-ხ-ე, რომელიც აგრეთვე ნაპოვნია. აი ისიც: რასა მეძიებდით მე? არა უწყოდეთა, რამეთუ **სახესა** მამისა ჩემისასა ჯერ-არს ჩემი ყოფაჲ, ლ. 2, 49L (სხვა ხელნაწერებში „სახესა“-ს ნაცვლად გვაქვს ჩვეულებრივი „სახლსა“)[4]. სწორედ ამ სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმაა ძველი ქართულის კარგად ცნობილი **სახე-დ**: თუ მიცემითში გვაქვს **სახე-სა**, ცხადია, აქედან ვითარებითის ფორმა უნდა იყოს **სახე-დ** და არა სხვა რამ.

რაც შეეხება ძველი ქართულის მეორე გავრცელებულ ფორმას „სახ-ი-დ“, იგი „ადგი-დ“, „ქორწი-დ“ ფორმათა ანალოგიით გვავარაუდებინებს, რომ მისი სრული, შეუკუმშავი სახე უნდა ყოფილიყო სა-ხ-ილ-ი, ოაც „სა-ხ-ელ“-ის დიალექტურ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს.

ამნაირად, ძველი ქართულის ცნობილი ფორმები **სახედ**, **სახიდ**, **სახლად** პოულობს ახსნას: **სახედ** ვითარებითის ფორმაა ზემოთ ნავარაუდევი „სა-ხ-ილ“-ისა (შდრ. ადგ-ილ-ი → ადგიდ, სახ-ილ-ი → სახიდ); **სახედ**

---

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერ-კავკ. I, გვ. 83, შნ. 4.

[2] იქვე, ეგეც **სახელ-ი** აღდგენილი აქვს მას იმავე წერილის მეორე ადგილას: და ვითარცა იყავა იესუ სახელსა სიმონ კეთ(?)როვანისასა და ინაჯით ჯედა იგი (იქვე, გვ. 66) = და ვითარცა იყო იესუ **სახლსა** სიმონ კეთროვნისასა და ინაჯით-ჯდა იგი.

[3] ნ. კ. იობ 21, 28 ლაგ.

[4] ი. იმნაიშვილი, ქსნის ოთხთავის რედაქცია: ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 314—315. აქ შეიძლება დავუმატოთ, რომ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში **სახელ-ის** ამ ფორმით გადარჩენისათვის შეეძლო ხელი შეეწყო იმ გარემოებას, რომ სათანადო კონტექსტები კარგად იგუებდა აგრეთვე „სახელის“ (имя) ცნებასაც და გადამწერებს შეიძლება ასე ესმოდათ კიდეც ის. შდრ. „სახელსა უფლისასა“, „სახელისაგან ღმრთისა“ და სხვა, სადაც გადამწერთ შეეძლოთ ეს „სახელი“ (ნამდვილად дом) „სახელადაც“ (имя) მიეჩნიათ. ქართულში ამ ორი სიტყვის დამთხვევა კი ფონეტიკურ ნიადაგზეა ახსნილი: სახელი (имя) — ზაღელი; ხახება = ძახება, სახელის დარქმევა; ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახ. ფუძ. 32.

ასევე კანონზომიერი ფორმაა სიტყვისა **სახე** (სახე — სახედ). ფორმები **სახლი** და აქედან მიღებული **სახლად** დავას არ იწვევს და აქ არ ვეხებით.

აღსანიშნავია, რომ „სახიდ", „სახედ" მხოლოდ მაშინ იხმარება, როცა ისინი მიმართულების ადგილადაა ნაგულისხმევი, ხოლო სხვა შემთხვევაში ისევ „სახლად" არის გამოყენებული. შდრ. მაგალითად: წარვიდა დედაკაცი იგი **სახიდ** თჳსა, მრ. 7, 30; მიერ ჟამითგან წარიყვანა იგი **სახედ** თჳსა, ი. 19,27 C, მაგრამ: არა ესე არსა ბაბილონი დიდი, რომელი მე აღვაშენე **სახლად** სამეუფოდ, დანიელ 4, 28; მან აღაშენოს ტაძარი **სახლად** ჩემდა, 2 მეფ. 7, 13 და სხვ. როგორც ქვეყით ვნახავთ, ვითარებითი ბრუნვის უძველესი ფუნქცია იყო მიმართულების აღნიშვნა. ამ მის უძველეს ფუნქციას შეუბღალავად გადმოსცემს აღნიშნული ბრუნვის სწორედ უძველესი ფორმა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ „სახიდ", „სახედ" არასოდეს არ იხმარება, როცა მასთან დაკავშირებული ზმნით მიმართულება არაა გამოხატული, მაგრამ როცა ასეთი მიმართულება გამოხატულია, მაშინ კი „სახიდ", „სახედ" ფორმების გვერდით თავს იჩენს აგრეთვე „სახლად". ეს გარემოება იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ძველი „სახიდ", „სახედ", რომლებიც მოგვიანო ხანაში არც ისე ნათელი აგებულების ფორმებად ჩანდა, თანდათან დავიწყებას ეძლევა და მათ ადგილას მკვიდრდება ნათელი სახისა და ცნობილი შაბლონის მიხედვით მიღებული „**სახლად**". აი ამის რამდენიმე ნიმუში: აჰა, უფალნო, მოაქციეთ **სახლად** მონისა თქუენისა, დაბ. 19, 2 ლაგ. (მოსალოდნელი იყო: **სახიდ** ან **სახედ** მონისა თქუენისა; მართლაც, ოშკის ბიბლიაში ეს ადგილი ასეცაა გადმოცემული: ...სახიდ მონისა თქუენისა); ამან ელიოზ მოიღო კუართი იგი მაცხოვრისა იესუ ქრისტჱსი მცხეთად, **სახლად** ჩუენდა, მოქც. 9, 12; მიავლინე **სახლად** მამისა ჩემისა, ლ. 16, 27 ლაგ. (ხაზგასმული ფორმა DE-ში წარმოდგენილია ამ სახით: „სახლსა", ხოლო C-ში ასე: „სახედ", როგორც მოსალოდნელი იყო უძველესი ძეგლების ენისათვის); შეიტაცეს ლოთ მათდა შინაგან **სახლად**, დაბ. 19, 10 ლაგ. (ოშკში: **სახიდ**); წარგუალე და შთაეედ **სახლად** მეფისა იუდაჲსა, იერ. 22, 1; წარიყვანეს **სახლად** მათა, პარხ. 789 a; წარმოგუალეთ, ძმანო, **სახლად** ჩემდა, თეკლ. 98, 14 (ვარიანტი: სახედ) და სხვა.

გ) ზოგიერთ სახელს ვითარებითში **ი-ად** დაბოლოება აქვს: **ძნ-ი-ად**, **ფრ-ი-ად**, **მალ-ი-ად**. ასეთი ფორმები უმთავრესად ზედსართავ სახელებში გვაქვს მოცემული. ამიტომ მსგავს მაგალითებს იქ, ზედსართავ სახელებში განვიხილავთ.

დ) **განთიადი**, როგორც ცნობილია, ნაწარმოები სიტყვაა[1]. მისი დაბოლოება **ად** ტექსტების გადამწერებს ჯერ კიდევ ესმით ვითარებითი ბრუნვის ნიშნად და ამიტომ ამ ბრუნვაში ნიშანს აღარ უწერენ; ეს ხდება უმთავრესად მაშინ, როცა ამ სახელს **მდე** თანდებული ერთვის, მაგალითად: დღე ყოველ იმარხავნ და ღამის-თევით დაადგრის **განთიადმდე**, აბო 192, 22; და

[1] ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. I, 1920, გვ. 93—94; ა. ჩიქობავა, შედარ. ლექს. გვ. 200—201.

დააღგრა მღგომარე ზედა ფერჯთა თჳსთა ვიდრე **განთიადმდე**, იქვე, 192, 36; ვიდრე **განთიადმდე**, მოქც. 33, 1.

არ შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს აქ ჩვენ გვქონდეს ვითარებითის დონის ჩვეულებრივი დაკარგვა, მდე თანდებულის დართვით გამოწვეული, რადგან, ჯერ-ერთი, ამ სიტყვაში ეს უნიშნობა თითქმის სისტემატურადაა გატარებული, ხოლო, მეორე მხრივ, რაც მთავარია აქ, თუ ნაჩვენები მიზეზის გამო დ დაიკარგა, რაღა იქნა ა? რატომ არსად არა გვაქვს **განთიად-ა-მდე**? დავსძენთ ბოლოს, რომ ამ სიტყვაში იშვიათად ბრუნვის ნიშანი **ად** დაცულია, მაგალითად: უძილ იქმნნეს **განთიადადმდე**, პარხ. 424 b; მაშინ დადგა იგი ღამესა მას ვიდრე **განთიადადმდე** დაუჯდომელად ვედრებასა შინა, იქვე, 934 a.

ე) ძველ ქართულში არის რამდენიმე ტიპის სახელები, რომელთაც ვითარებითს ბრუნვაში მხოლოდ ა მოეპოვებათ (სადიდებელ-ა და სხვა). ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ **ად** დაბოლოების დ დაკარგულია და ამის შემდეგ მარტო ა არის დარჩენილიო. მაგრამ დონის დაკარგვას აქ არავითარი ფონეტიკური საფუძველი არ გააჩნია, არა ჩანს, რას უნდა გამოეწვია ამ დონის დაკარგვა. ეს ერთი. მეორე: მსგავსი მაგალითები იმდენად ხშირია და ისე გარკვეული ტიპის სახელებში გვხვდება, რომ დონის შემთხვევითსა თუ კანონზომიერ დაკარგვაზე ხელს გვაღებინებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის უფრო სწორი ახსნა ა. ჩიქობავას აქვს მოცემული. მისი აზრით, ვითარებითი ბრუნვისათვის უძველეს ქართულს ჰქონდა ორი ნიშანი: ხმოვანი ა და თანხმოვანი დ. ეს ნიშნები სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა დიალექტური წრის კუთვნილებაა. პირველის ნიმუშია სადიდებელ-ა, სალოცველ-ა, ჯოჯოხეთ-ა, მეორისა — მამა-დ, ძე-დ, წყარო-დ, ძუძუ-დ, ადგი-დ, ჩორ-დ, ქართლ-დ, ბეთლემ-დ. თანხმოვანფუძიან სახელებში გავრცელებული ნიშანი **ად** მიღებულია ამ ორი ნიშნის შეერთებით. ეს უნდა მომხდარიყო გვიან, სწორედ მას შემდეგ, რაც ა ბრუნვის ნიშნად აღარ იგრძნობოდა და აუცილებელი ხდებოდა ამ დროს უფრო გავრცელებული დ-ს დართვა[1]. ვითარებითი ბრუნვის ნიშანზე ქვევით კიდევ გვექნება საუბარი. აქ კი მხოლოდ სათანადო მაგალითების მოყვანით დავკმაყოფილდებით: **ხაკურთხეველ**ა აღვიდოდის, ეამის-წირ. 7, 14; ჴვე-ყო **შეყსეულ**ა ჴმითა მაღლითა, თეკლ. 118, 19; უფროჲს **განცხადებულ**ა ჴმა-ყო, სვან. 377 b; ეგრეცა სიბჭეერე სამოსლისა თჳსისაჲ არს და ეგრეცა **შემხგავსებულ**ა სიძისა მის ძისა მეუფისაჲსა შეიმოსოს სძალმან მან სამკაული სამოსლისა თჳსისაჲ, სვან. 473 b; დავაწერიე სულიერსა ძმასა ჩემსა იოანე საფარელსა **ხალოცველ**ა სულისა ჩემისა (იოვანე ოქროპირის ცხოვრება, საქ. მუზ. ხელნ. H 2124, ანდერძი)[2]; ამენი ღმერთსა **სადიდებელ**ა ჩუენ მიერ (საქ. მუზ. ხელნ.

---

[1] ა. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, 1, 1937, გვ. 19—22.

[2] ამ ხელნაწერის აღწერილობაში აღმწერელს ხახგასმული სიტყვისათვის დ დაუმატებია: სალოცველა(დ) (ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. V, გვ. 78), რაც არ იყო საჭირო.

№ 1138, ფ. 136); და ამისთჳსცა ჳმადღლობ ღმერთსა მოუკლებელა (იქვე, ფ. 136 ც)[1]. რაც შეეხება ფორმებს, როგორიცაა საბერძნეთ-ა, ნაზარეთ-ა, ჯოჯოხეთ-ა და სხვა, ისინი განხილული იქნება გეოგრაფიულ სახელებში.

ვ) იშვიათად ძველ ქართულშიც შევხვდებით ვითარებითის დონის დაყრუებას და თანად ქცევას, რაზედაც ქვევით გვექნება საუბარი.

9. წოდებითი ბრუნვის შესახებ ნ. ქვემოთ.

10. მრავლობითი რიცხვის შესახებ ლაპარაკი იქნება ქვემოთ, ყველა ტიპის სახელების განხილვის შემდეგ.

ფუძეკუმშვადი სახელები

კუმშვა ძველ ქართულში ეხება ოთხ ხმოვანს; ესენია: ა, ე, ო, უ. ჯერ-ჯერობით არ არის დადასტურებული ბრუნების პროცესში ი-ს დაკარგვა.

განვიხილოთ სათანადო სახელების ბრუნება ცალ-ცალკე.

ამოღებულია ა

მხოლობითი რიცხვი

წრფ.	ქმარ	ქათამ	ჴრმალ
სახ.	ქმარ-ი	ქათამ-ი	ჴრმალ-ი
მოთხ.	ქმარ-მან	ქათამ-მან	ჴრმალ-მან
მიც.	ქმარ-ს-ა	ქათამ-ს-ა	ჴრმალ-ს-ა
ნათ.	ქმრ-ის-ა	ქათმ-ის-ა	ჴრმლ-ის-ა
მოქმ.	ქმრ-ით-ა	ქათმ-ით-ა	ჴრმლ-ით-ა
ვით.	ქმრ-ად	ქათმ-ად	ჴრმლ-ად
წოდ.	ქმარ-ო	ქათამ-ო	ჴრმალ-ო

მრავლობითი რიცხვი

ნარ-თანიანი

წრფ.	—	—	—
სახ.	ქმარ-ნ-ი	ქათამ-ნ-ი	ჴრმალ-ნ-ი
მოთხ.	ქმარ-თ-ა	ქათამ-თ-ა	ჴრმალ-თ-ა
მიც.	„		„
ნათ.	„		„
მოქმ.	„	„	„
ვით.	„	„	„
წოდ.	ქმარ-ნ-ო	ქათამ-ნ-ო	ჴრმალ-ნ-ო

[1] ორი უკანასკნელი მაგალითი მოყვანილი გვაქვს ა. ჩიქობავას ხემოთ დასახელებული შრომიდან, გვ. 17.

ებიანი

წრფ.	ქმრ-ებ	ქათმ-ებ	ჯრჩლ-ებ
სახ.	ქმრ-ებ-ი	ქათმ-ებ-ი	ჯრმლ-ებ-ი
მოთხ.	ქმრ-ებ-მან	ქათმ-ებ-მან	ჯრმლ-ებ-მან
მიც.	ქმრ-ებ-ს-ა	ქათმ-ებ-ს-ა	ჯრმლ-ებ-ს-ა
ნათ.	ქმრ-ებ-ის-ა	ქათმ-ებ-ის-ა	ჯრმლ-ებ-ის-ა
მოქმ.	ქმრ-ებ-ით-ა	ქათმ-ებ-ით-ა	ჯრმლ-ებ-ით-ა
ვით.	ქმრ-ებ-ად	ქათმ-ებ-ად	ჯრმლ-ებ-ად
წოდ.	ქმრ-ებ-ო	ქათმ-ებ-ო	ჯრმლ-ებ-ო

ამოღებულია ე

მხოლობითი რიცხვი

წრფ.	მგელ	სოფელ	ღრუბელ
სახ.	მგელ-ი	სოფელ-ი	ღრუბელ-ი
მოთხ.	მგელ-მან	სოფელ-მან	ღრუბელ-მან
მიც.	მგელ-ს-ა	სოფელ-ს-ა	ღრუბელ-ს-ა
ნათ.	მგლ-ის-ა	სოფლ-ის-ა	ღრუბლ-ის-ა
მოქმ.	მგლ-ით-ა	სოფლ-ით-ა	ღრუბლ-ით-ა
ვით.	მგლ-ად	სოფლ-ად	ღრუბლ-ად
წოდ.	მგელ-ო	სოფელ-ო	ღრუბელ-ო

მრავლობითი რიცხვი

ნარ-თანიანი

წრფ.	—	—	—
სახ.	მგელ-ნ-ი	სოფელ-ნ-ი	ღრუბელ-ნ-ი
მოთხ.	მგელ-თ-ა	სოფელ-თ-ა	ღრუბელ-თ-ა
მიც.	„	„	„
ნათ.	„	„	„
მოქმ.	„	„	„
ვით.	„	„	„
წოდ.	მგელ-ნ-ო	სოფელ-ნ-ო	ღრუბელ-ნ-ო

ებიანი

წრფ.	მგლ-ებ	სოფლ-ებ	ღრუბლ-ებ
სახ.	მგლ-ებ-ი	სოფლ-ებ-ი	ღრუბლ-ებ-ი
მოთხ.	მგლ-ებ-მან	სოფლ-ებ-მან	ღრუბლ-ებ-მან
მიც.	მგლ-ებ-ს-ა	სოფლ-ებ-ს-ა	ღრუბლ-ებ-ს-ა
ნათ.	მგლ-ებ-ის-ა	სოფლ-ებ-ის-ა	ღრუბლ-ებ-ის-ა
მოქმ.	მგლ-ებ-ით-ა	სოფლ-ებ-ით-ა	ღრუბლ-ებ-ით-ა
ვით.	მგლ-ებ-ად	სოფლ-ებ-ად	ღრუბლ-ებ-ად
წოდ.	მგლ-ებ-ო	სოფლ-ებ-ო	ღრუბლ-ებ-ო

იკარგება ო, მაგრამ კვალს ტოვებს უმარცვლო უ-ს სახით

მხოლობითი რიცხვი

წრფ.	ნიგოზ	მინდორ
სახ.	ნიგოზ-ი	მინდორ-ი
მოთხ.	ნიგოზ-მან	მინდორ-მან
მიც.	ნიგოზ-ს-ა	მინდორ-ს-ა
ნათ.	ნიგუზ-ის-ა	მინდურ-ის-ა
მოქმ.	ნიგუზ-ით-ა	მინდურ-ით-ა
ვით.	ნიგუზ-ად	მინდურ-ად
წოდ.	ნიგოზ-ო	მინდორ-ო

მრავლობითი რიცხვი

ნარ-თანიანი

წრფ.	—	—
სახ.	ნიგოზ-ნ-ი	მინდორ-ნ-ი
მოთხ.	ნიგოზ-თ-ა	მინდორ-თ-ა
მიც.		
ნათ.	„	„
მოქმ.	„	„
ვით.	„	„
წოდ.	ნიგოზ-ნ-ო	მინდორ-ნ-ო

ებიანი

წრფ.	ნიგუზ-ებ	მინდურ-ებ
სახ.	ნიგუზ-ებ-ი	მინდურ-ებ-ი
მოთხ.	ნიგუზ-ებ-მან	მინდურ-ებ-მან
მიც.	ნიგუზ-ებ-ს-ა	მინდურ-ებ-ს-ა
ნათ.	ნიგუზ-ებ-ის-ა	მინდურ-ებ-ის-ა
მოქმ.	ნიგუზ-ებ-ით-ა	მინდურ-ებ-ით-ა
ვით.	ნიგუზ-ებ-ად	მინდურ-ებ-ად
წოდ.	ნიგუზ-ებ-ო	მინდურ-ებ-ო

იკარგება ო და მისგან დარჩენილი უმარცვლო უ-ც დაკარგულია ბაგის-მიერი ბგერების გავლენით

მხოლობითი რიცხვი

წრფ.	ობოლ	გოდორ	ჰოროლ
სახ.	ობოლ-ი	გოდორ-ი	ჰოროლ-ი
მოთხ.	ობოლ-მან	გოდორ-მან	ჰოროლ-მან
მიც.	ობოლ-ს-ა	გოდორ-ს-ა	ჰოროლ-ს-ა

ნათ.	ობლ-ის-ა	გოდრ-ის-ა	ჰორლ-ის-ა
მოქმ.	ობლ-ით-ა	გოდრ-ით-ა	ჰორლ-ით-ა
ვით.	ობლ-ად	გოდრ-ად	ჰორლ-ად
წოდ.	ობოლ-ო	გოდორ-ო	ჰოროლ-ო

მრავლობითი რიცხვი

ნარ-თანიანი

წრფ.	—	—	—
სახ.	ობოლ-ნ-ი	გოდორ-ნ-ი	ჰოროლ-ნ-ი
მოთხ.	ობოლ-თ-ა	გოდორ-თ-ა	ჰოროლ-თ-ა
მიც.	〃	〃	
ნათ.	〃	〃	
მოქმ.		〃	
ვით.	〃	〃	〃
წოდ.	ობოლ-ნ-ო	გოდორ-ნ-ო	ჰოროლ-ნ-ო

ებიანი

წრფ.	ობლ-ებ	გოდრ-ებ	ჰორლ-ებ
სახ.	ობლ-ებ-ი	გოდრ-ებ-ი	ჰორლ-ებ-ი
მოთხ.	ობლ-ებ-მან	გოდრ-ებ-მან	ჰორლ-ებ-მან
მიც.	ობლ-ებ-ს-ა	გოდრ-ებ-ს-ა	ჰორლ-ებ-ს-ა
ნათ.	ობლ-ებ-ის-ა	გოდრ-ებ-ის-ა	ჰორლ-ებ-ის-ა
მოქმ.	ობლ-ებ-ით-ა	გოდრ-ებ-ით-ა	ჰორლ-ებ-ით-ა
ვით.	ობლ-ებ-ად	გოდრ-ებ-ად	ჰორლ-ებ-ად
წოდ.	ობლ-ებ-ო	გოდრ-ებ-ო	ჰორლ-ებ-ო

ამოღებულია უ

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	
	ნარ-თანიანი	ებიანი
წრფ. შურდულ	—	შურდლ-ებ
სახ. შურდულ-ი	შურდულ-ნ-ი	შურდლ-ებ-ი
მოთხ. შურდულ-მან	შურდულ-თ-ა	შურდლ-ებ-მან
მიც. შურდულ-ს-ა	〃	შურდლ-ებ-ს-ა
ნათ. შურდლ-ის-ა	〃	შურდლ-ებ-ის-ა
მოქმ. შურდლ-ით-ა	〃	შურდლ-ებ-ით-ა
ვით. შურდლ-ად	〃	შურდლ-ებ-ად
წოდ. შურდულ-ო	შურდულ-ნ-ო	შურდლ-ებ-ო

ამოღებულია ა და ე ერთდროულად

	ერთობლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	
		ნარ-თანიანი	ებიანი
წრფ.	სავარძელ	—	სავრძლ-ებ
სახ.	სავარძელ-ი	სავარძელ-ნ-ი	სავრძლ-ებ--ი
მოთხ.	სავარძელ-მან	სავარძელ-თ-ა	სავრძლ-ებ-მან
მიც.	სავარძელ-ს-ა	„	სავრძლ-ებ-ს-ა.
ნათ.	სავრძლ-ის-ა	„	სავრძლ-ებ-ის-ა
მოქმ.	სავრძლ-ით-ა	„	სავრძლ-ებ-ით-ა
ვით.	სავრძლ-ად	„	სავრძლ-ებ-ად
წოდ.	სავარძელ-ო	სავარძელ-ნ-ო	სავრძლ-ებ-ო

შენიშვნები:

1. როგორც დავინახეთ, ფუძეკუმშვადი სახელებიც ისევე იბრუნებიან, როგორც ფუძეუკუმშველები, ბრუნვის ნიშნების მიხედვით მათ შორის არაფითარი სხვაობა არ არის. განსხვავებას ქმნის მხოლოდ ფუძის შეკუმშვა — არშეკუმშვა: კუმშვადები ფუძისეულ ხმოვანს კარგავენ მხ. რიცხვის სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (ქმრ-ის-ა, ქმრ-ით-ა, ქმრ-ად), აგრეთვე ებიანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში. სხვა მხრივ, თანხმოვანფუძიანების ეს ორი კლასი ერთადაა გაერთიანებული და ერთი საერთო ბრუნების ტიპს ქმნის.

2. მაგრამ რა იწვევს ფუძის შეკუმშვას? ეს საკითხი დაწვრილებით აქვს ახსნილი და განმარტებული ა. შანიძეს ერთ-ერთ მის მოცულობით მცირე, მაგრამ დიდი მნიშვნელობის წერილში „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“, რომელიც გამოქვეყნდა 1925 წ.[1] მოგვყავს ამ შრომაში წამოყენებული ძირითადი დებულებები ვ. თოფურიას გადმოცემით:

„ხმოვანთა რედუქციის მეცნიერული აღწერა, მისი გავრცელების დადგენა და ამ მხრივ ქართველურ ენათა და მათ კილოთა ურთიერთობის გაშუქება ეკუთვნის ა. შანიძეს. მისი სხვა მხრივაც საყურადღებო გამოკვლევა „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ შეიცავს შემდეგს დებულებებს:

1. რედუქცია შეეხება ფუძისეულ ხმოვნებს და გამოწვეულია იგი პრეფიქსებისა და სუფიქსების გავლენით;

2. თვით ფუძის შეკუმშვის გამომწვევი პრეფიქსისა და სუფიქსის ხმოვნებიც ექვემდებარება რედუქციის კანონს;

3. „პრეფიქს-სუფიქსების გავლენა ფუძის ხმოვნებზე... განსაკუთრებით ძლიერი უნდა ყოფილიყო ძველად, ქამესური ენების[2] ერთობის ხანაში, ხოლო

[1] ქართული სეანთმეცნიერო სახოგადოების წელიწდეული, I—II, ტფილისი, 1923—24, გვ. 1—11.

[2] იგულისხმება ჭართული, მეგრული და სვანური ენები.

ერთობის დარღვევის შემდეგ, დაცალკევებისა და დაშორების პროცესში, თვითეულ კილოში თაყისებურად განვითარებულა ეს კანონი“;

4. რედუქციის ძველებური ძალა დაცულია სვანურის სამს კილოში (ბალსზემოურსა, ბალსქვემოურსა და ლაშხურში), საკმაოდ შენელებულია იგი სვანურისავე ერთ კილოში — ლენტეხურში და ქართულ ენაში, ხოლო მეგრულ-ჭანურში უკვე უძლურია;

5. ქართულში ფუძის შეკუმშვისას უკვალოდ ამოიღება ა და ე ხმოვნები, ხოლო ო კვალს ტოვებს გ თანხმოვნის სახით და ისიც განსაზღვრულ შემთხვევებში;

6. რედუქციის გამოწვევა ძალუძთ მხოლოდ სუფიქსებს;

7. ზოგი სიტყვა, ძველად რომ რედუქციის კანონს ემორჩილებოდა, ამჟამად გაურბის მას (მაგ., მკერდი — მკრდისა);

8. ცოცხალი დიალექტებიდან რედუქცია უფრო მოქმედია აღმოსავლურ კილოებში, ვიდრე დასავლურში:

9. სვანურში, ქართულისგან განსხვავებით, პრეფიქსიც ისე მოქმედებს, როგორც სუფიქსი და,

10. ა და ე-ს გარდა, ამოიღება ი ხმოვანიც და კვალს ტოვებს ო-სთან ერთად უ-ც წყვილბაგისმიერი ჭ-ს სახით“ [1].

აქ თქმულს კიდევ უნდა დაემატოს შემდეგიც. ა. შანიძე აღნიშნულ წერილში სამართლიანად სვამს საკითხს ძველი ქართულის სხვადასხვა დიალექტური შედგენილობის შესახებ და სწორედ ამ ნიადაგზე ხსნის სალიტერატურო ენაში შემონახული შეკუმშული და შეუკუმშავი სახელების არსებობას. „დიალექტური განსხვავება, — ამბობს ავტორი, — ამ კანონის გამოყენების დროს, რა თქმა უნდა, ძველადაც უნდა ყოფილიყო და წელითი წლად'იც მოწამეა ამისი. მისი პირველი ნაწილი გვიჩვენებს, რომ იგი მიღებული უნდა იყოს ისეთი კილოდან, რომელშიაც რედუქციის კანონი მოდუნებული ყოფილა და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ხმოვანი ყველა ბრუნვაში უნდა შენახულიყო: წელიხა, წელითა, წელად. მაშასადამე, ჩვენ ამ კილოზე უნდა გვქონოდა წელითი წელად და არა წელითი წლად, რომელიც, უეჭველია, მერმეა განვითარებული“ [2].

შემდეგ, აქვეა დასმული საკითხი რედუქციის კანონის მოქმედებისა და მახვილის ურთიერთობის შესახებ; ეს საკითხი მომავალი კვლევის ობიექტადაა დასახული: „თუ რა წილი უდევს რედუქციის საქმეში მახვილს, ეს კიდევ საკვლევია“ [3].

მახვილის საკითხს შემდეგ ყურადღება მიაქცია და მას სპეციალური გამოკვლევები უძღვნა ა. ჩიქობავამ. ავტორის ძიებანი მახვილის შესახებ

---

[1] ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერ.-კავკ., I, 1946, გვ. 64—65.

[2] ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 11.

[3] იქვე, გვ. 7.

გამოქვეყნებულია მის ორ შრომაში, რომელთაგან პირველია მისი ცნობილი მონოგრაფია „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (1942)[1] და მეორე — „მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში“[2].

ავტორის ძირითადი დებულებებია:

1. ძველ ქართულში მახვილი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც უკანასკნელ მარცვალზე, ისე თავ-მარცვალზე, იქნებოდა იგი მეორე მარცვალი ბოლოდან, თუ მესამე.

2. მახვილი იყო ინტენსიური, დინამიკური.

3. მახვილი არ იყო ფიქსირებული, არამედ — მოძრავი.

4. მახვილთან შინაგან კავშირში იყო ხმოვნის დაკარგვა (ფუძეში თუ აფიქსში)[3].

შემდეგ ავტორი ყურადღებას აქცევს ხმოვნის დაკარგვის მეტად ძლიერ ტენდენციას, რომელიც მეღავნდება სიტყვაში **ძლივ, ძლით**, და ამას უპირისპირებს სიტყვებს, რომლებშიც სრულებით არა ჩანს ამნაირი ტენდენცია: **სადიდებელად, უგრძნობელად**.

ამის გამო ავტორი დაასკვნის:

„ინტენსიური მახვილის მქონე ორი დიალექტობრივი (თუ ენობრივი) ფენა ძველ ქართულში ფაქტია: ერთი უპირატესად ბოლო მარცვალზე სვამს მახვილს (ძმა), მეორე უპირატესად—თავ-მარცვალზე (თაფ-ლ, რფქ-ლ).

ორივეში მახვილი ინტენსიურია, დინამიკურია, არაფიქსირებულია. ალბათ, ისეთი კილოებიც იყო, სადაც მახვილი არ იყო არც ინტენსიური და არც დინამიკური, არამედ — მუსიკალური: ფუძეუკუმშველობა ამ კილოს (თუ კილოების) შემონატანია ძველ ქართულში“[4].

ეს დებულებები ამოსავალია ჩვენთვისაც.

განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის მსჯელობა ქართველურ ენებსა და ძველი ქართულის დიალექტებში მახვილის სხვადასხვა სახით და სხვადასხვა ძალით გავრცელების შესახებ. ავტორი ამბობს: „რომ ქართველური ენები და ის ენობრივი (resp. დიალექტობრივი) ფენები, რომელთა კვალიც დარჩენილა ძველს ქართულში, **მახვილის მხრივ განსხვავებული უნდა ყოფილიყო**, ჩანს იმ რყევიდან, რომელსაც ხმოვანთა ამოღების მხრივ ძველს ქართულში ეხვდებით.

ერთს ბუნებრივად მიაჩნდა ისეთი უკუმშავი წარმოება, როგორიცაა **სადიდებელად**, მეორე კი ბუნებრივად მიიჩნევდა ძალ ფუძის შეკუმშვას (ძლ-ი-ერ-... ძლ-ივ...)“[5]. ამ ნაირ-ნაირი წარმოების მაგალითებს ჩვენ ბლომად მოვიყვანთ ქვევით.

---

[1] § 45, 46, გვ. 104—111.

[2] საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 2, 3, 1942.

[3] იქვე, № 3, გვ 398.

[4] იქვე, გვ. 299.

[5] სახ. ფუძ. გვ. 110.

3. კუმშვა ძველსა და ახალ ქართულში დაახლოებით ერთნაირია, უფრო გავრცელებული კი იყო ძველში, თუ მხედველობაში არ გვექნება ძველი ქართულის ისეთი შეუკუმშავი მაგალითები, როგორიცაა: სადიდებელად, საწამებელად.

წინასწარ თქმა იმისა, თუ რომელი სახელი შეიძლება შეიკუმშოს და რომელი არა, არ შეიძლება. ასე, მაგალითად, წყალ-ი იკუმშება (წულ-ის-ა, წულ-ით-ა, წულ-ად), მაგრამ ჭალ-ი არ იკუმშება (ჭალ-ის-ა, ჭალ-ით-ა, ჭალ-ად); ქსელი იკუმშება (ქსულ-ის-ა, ქსულ-ით-ა, ქსულ-ად), მაგრამ ველ-ი — არა (ველ-ის-ა, ველ-ით-ა, ველ-ად). შეიძლება შეიკუმშოს როგორც ორ და მეტმარცვლიანი ფუძეები, ისე ერთმარცვლიანებიც. უფრო ხშირად კუმშვას ექვემდებარება ისეთი სახელები, რომელთაც ამოსაღები ხმოვნის შემდეგ აქვთ ნარნარა ბგერები: რ, ლ, ნ, აგრეთვე მ და ვ, ე. ი. როცა სახელი დაბოლოებულია შემდეგი მარცვლებით:

არ, ალ, ან, ავ, ამ
ერ, ელ, ენ, ევ(?), ემ
ორ, ოლ, ონ, ოვ ომ(?) [1]
ულ

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ყველა სახელი, რომელთაც ეს მარცვლები აქვთ ბოლოს, შეიძლება შეიკუმშოს; ამის საწინააღმდეგო იქნებოდა თუნდაც მარტო ცხენიხ დასახელება, რომელსაც ბოლოს აქვს აღნიშნული მარცვალი (ენ), მაგრამ ფუძე მაინც არ ეკუმშება. ეს არც იმას ნიშნავს, რომ თუ რომელიმე სახელს ასეთი მარცვალი არა აქვს ფუძის ბოლოს, ის არ შეიკუმშება; ამის საწინააღმდეგო იქნებოდა ბეჭედ-ი, რომელიც იკუმშება, თუმცა ფუძის ბოლოს არა აქვს არც ერთი ზემოთ აღნიშნულ მარცვალთაგანი. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ თუ სახელს ფუძის ბოლოს აქვს ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნულ მარცვალთაგანი, იგი **უმეტეს შემთხვევაში** იკუმშება, მაგალითად: ჯრმალ-ი — ჯრმლ-ის-ა, ქმარ-ი — ქმრ-ის-ა, არგან-ი — არგნ-ის-ა, ქათამ-ი — ქათმ-ის-ა, კარავ-ი — კარვ-ის-ა, მგელ-ი — მგლ-ის-ა, ოკერ-ი — ოკრ-ად, ძღუენ-ი — ძღუნ-ის-ა, ურემ-ი — ურმ-ის-ა; ობოლ-ი — ობლ-ის-ა, გოდორ-ი — გოდრ-ის-ა, მკოდავ-ი — მკოდვ-ის-ა, შურდულ-ი — შურდლ-ის-ა და სხვ.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ა და ე ხმოვანი შეიძლება ამოღებულ იქნეს ერთმარცვლიანი სახელებიდანაც, ო და უ კი მხოლოდ ორ ან მეტმარცვლიანი ფუძეებიდან, ერთმარცვლიან სიტყვებში ო (და უ) არასოდეს არ შეიძლება ამოღებულ იქნეს. აქ შეიძლება იმის დამატებაც ღირდეს, რომ ძველ ქართულში დადასტურებული შეკუმშული ფუძეებიდან, სადაც ო იკარგება და ფუძე ორი მარცვლისაგან შედგება, მეორე ხმოვანიც თითქმის ყოველთვის ო არის: ობოლ-ი, ჰოროლ-ი, გოდოლ-ი, გოდორ-ი, მკოდოვ-ი, ჯოჯობ-ი,

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამ. საფუძვ. გვ. 54—55.

კოტორ-ი და სხვ. გამონაკლისს შეადგენს **ნიგოზი** და **მინდორი**, რომელთა მეორე მარცვალი არა ო, არამედ ი არის, ამიტომ ეს ო შეკუმშვისას ტოვებს კვალს უბრუნველის სახით: ნიგუზ-ის-ა.

გავრცელების მიხედვით უველაზე მრავალრიცხოვანია ისეთი სახელები, რომელთაც შეკუმშვისას ა ეკარგებათ (ქმრ-ის-ა); ეს გასაგებიცაა: ქართული სახელების ფუძეებში უველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება არ, ალ, ან, ავ, ად[1] სუფიქსები, რომლებიც იკუმშება; მეორე ადგილი უჭირავს ისეთ სახელებს, სადაც ე იკარგება (სოფლ-ის-ა); ძალიან მცირეა ისეთი ფუძეები, სადაც იკარგება ო (გოდლ-ის-ა), ხოლო ჯერჯერობით ნაპოვნია ერთადერთი სახელი, რომელსაც ეკარგება ფუძისეული უ (შურდლ-ის-ა).

4. აქ დავასახელებთ და ტექსტებიდან დავიმოწმებთ პარადიგმებში წარმოდგენილი ჯგუფების შეკუმშულ ფუძეებს.

ამოღებულია ა

„არ" მარცვლიანი

ავარ-ი: უკუეთუ **ავრის**-ყოფად მოხუალ შენ და წარღებად ნატყუენავისა, ეზეკ. 38, 13 (შდრ. არამედ საპურველსა მათსა წუვიდენ ცეცხლითა და წარმოტყუენნენ წარმტყუენველნი მათნი და წარიღონ **ავარი** მათი, იქვე, 39, 10).

ასარ-ი: **ასარი** დანგი ერთი არს, **ასრის** დანგი ერთი არს, Ծшис. 214, 1 ქვ.

აფთარ-ი: რაჲ მშჳდობაჲ არს **აფთრისაჲ** ძაღლისა თანა, ზირაქ 13, 18.

დამშდვარ-ი, დამშთვარ-ი[2]: განშორებაჲ კერპთ-მსახურებისაგან და სიძვისა და სისხლისა **დამშდვრისა**, მრავ. 292, 18; მიწერად მათა, რაჲთა განეყუენნენ იგინი ჰამად ნაზორევთაგან კერპთაჲსა და სიძვისაგან, **დამშთვრისა** და სისხლისა, მოც. 15, 20.

დამწუარ-ი ნ. მწუარი.

ესევითარ-ი: ვითარ-მე შემძლებელ არს კაცი ცოდვილი **ესევითრისა** სასწაულისა ყოფად, ი. 9, 16 C; **ესევითრითა** მით იგავებითა ეტყოდა მათ სიტყუასა, მრ. 4, 33 C. ორიეე ფორმა ხელნაწერში მთლიანად არის დაწერილი (უქარაგმოდ).

ზამთარ-ი: დაადგრა იგი ეგრეთვე შიშუელი ვიდრე აღსრულებადმდე **ზამთრისა** ამის ფიცხელისა, კიმ. I, 252, 22.

ზენარ-ი: აღიღე ცეცხლი ეგე **ზენრითა** შენითა, სვან. 302 b.

---

[1] ა. შანიძე, გრამ. საფუძვ. გვ. 125—126, 135, 137, 145—147, 590, 594—595 და სხვა; ა. ჩიქობავა, სახ. ფუძ. გვ. 20—29; 70—73; 76—80; 88—90; 93—97.

[2] „დამშდვარი, მაგარი, მედგარი" თუმცა ზედსართავი სახელებია, მაგრამ რადგანაც ეს უკანასკნელნი კუმშვის თვალსაზრისით არაფრით არ განსხვავდებიან არსებით სახელთაგან, მათს კუმშვასაც აქვე განვიხილავთ.

ი ს ა რ - ი: დამძიმებულნი საპურველითა მათითა ვიდოდიან და **იხრებითა** მათითა დაეცნენ და არა მოესრულნენ, იოველ 2, 8.

ლ ა მ პ ა რ - ი: და ხილვად ვითარცა ნაკუერცხალთა ცეცხლისათა აღგზებულთად, ვითარცა პირი **ლამპრისა** აღგზებულისად, ეზეკ. 1, 13.

ლ ა შ ქ ა რ - ი: რამეთუ გუესმინაცა წინადასწარ განბნევად **ლაშქრისა** მათისად, პარხ. 862 გ.

ლ ა ხ უ ა რ - ი: და წარმოიყვანა არფაქსად და ჰოროლსა აღაცუა იგი მთათა ზედა რაგავისთა და **ლახურებითა** თჳსითა მოსრა, ივდით 1, 15; დაპრენით საკნისნი თქუენნი[1] ჴრმლად და მანგლები თქუენი — **ლახურებად**, იოველ 4, 10.

მ ა გ ა რ - ი: და გბრძოდი მე თქუენ... მკლავითა განმზადებულითა **მაგრითა**, იერ. 21, 5.

მ ა ც ხ ო ვ ა რ - ი ნ. ცხოვარი.

მ გ ბ (ვ) ა რ - ი, უ მ გ ბ ვ ა რ - ი: ჰრქუა ესავ იაკობს: გემოჲ მახილვე **მგბრიხა** მაგისგან იფქლისა, დაბ. 25, 30; ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი დიდნი მარხვანი გარდაელნის მცირედითა კალნაბითა **უმგბვრითა**[2], ხანძთ. 113, 38.

მ დ ე ვ ა რ - ი: უკუეთუ ღმერთსა აღუდგენიხარ შენ **მდევრად** ჩემ ზედა, იყავნ ნებად ღმრთისად, 1 მეფ. 26, 19.

მ დ ი დ ა რ - ი: (ღჳნომან) მეფეთად და გლახაკთად ერთ ყუის გონებად, ეგრეცა უფლისად და მონისად და **მდიდრიხად** და მკოდვისად, 2 ეზრა 3, 19.

მ დ უ მ ა რ - ი: შემძლებელ არს მტერი წარწყმედად **მდუმრიხა** სიტყჳთა, მამ. სწავ. 416. აქ ამოსავალი ფორმაა მდუმარი და არა მდუმარე, რასაც ამტკიცებს ეს ადგილი: ფრიად აქებს ქრისტე მყუდროთა და **მდუმართა**, მამ. სწავ. (H) 254. „მდუმარე" რომ ყოფილიყო ამოსავალი, კუმშვაც გვექნებოდა და კვეცაც.

მ ე გ ო ბ ა რ - ი: **მეგობრიხა** და მტერისა ნუ გნებავნ დაცადებად სიტყჳსად, ზირაქ 19, 7.

მ ე დ გ ა რ - ი: ვად ჩემდა ბერისა ამისგან **მედგრიხა**, ამონ. 207, 21.

მ თ ა ვ ა რ - ი: კაცი მჯდომარე საყდარსა დავითისსა **მთავრად** იუდაჲსა, იერ. 22, 31.

მ ო მ კ უ დ ა რ - ი: ვერ დაუთმობდა ურვათა მათ დიდად სურვილითა მით ძისა თჳსისადთა **მომკუდრიხა** მიმართ, პარხ. 1167.

მ ო ძ ღ უ ა რ - ი ნ. მძღუარი.

მ ს ტ ო ვ ა რ - ი: იქმნა იგი **მხტოვრად** სოფლისა, ზირაქ 44, 17.

მ ტ კ ი ვ ა რ - ი: ვითარცა სახედ მუცელსა ყრმათასა განცოცხლებულნი ჰიანი **მტკივრითა** რაჲთამე წამლითა განჴრწნიან, უდაბნ. 51 vb.

---

[1] ხელნ.: თჳნი.

[2] გამოც.: უმბგვრითა.

მტყუვარ-ი: და გამოჩნდეს იგი **მტყუვრად**, ძვ. ქართ. ქრესტ. 57, 16.

მყინვარ-ი: მკერდი მათი არს მსგავსი ლომისაჲ და ჴელნი მათნი არიან— **მყინვრისანი**, ეტ. II, 57, 7; კეთილ არს მსხუერპლი და ახალშესაწირავი არა ცეცხლითა, არამედ **მყინვრითა**, პარხ. 439 გ.

მყუარ-ი: მიაყენა მათა ძაღლის-მწერი, შეჰამნა იგინი და **მყურითა** განრყუნა იგინი, ფსალმ. 77, 52.

მჩუარ-ი: პირნი მათნი **მჩურითა** დაიბურნიან, პარხ. 1206.

მძნობარ-ი: და მათ შეიწყნარეს იგი და ყოველი სოფლები მათი გჳრგჳნებითა და **მძნობრებითა** და ბობღნებითა, იქვით 3, 7.

მძღუარ-ი, მოძღუარ-ი, წინამძღუარ-ი: წარვიდეს ანგელოზი ჩემი **მძღურად** შენდა, გამოსლვ. 23, 23; არა არს მოწაფჱ უფროჲს **მოძღურისა** თჳსისა, მ. 10, 24; შიში და ძრწოლაჲ წარვაველინო წინა-**მძღურად** შენდა, გამოსლვ. 23, 27.

მწიგნობარ-ი: ენაჲ ჩემი ვითარცა საწერელი **მწიგნობრისა** ჴელოვნისაჲ, ფსალმ. 44, 2.

მწუარ-ი, დამწუარ-ი, ნამწუარ-ი: ხოლო მათ მიუპყრეს მას თევზისა **მწურისა** ნახევარი და თაფლისა გოლი, ლ. 24, 42; დედაკაცი ვინმე დაჭურივდა და მოვიდა იგი წმიდისა მის კერეონითა **დამწურითა**, კიმ. I, 303, 23; მოჴდა ჭარი ფიცხელი და განაბნია ნაცარი **ნამწურისა** მისისაჲ, პარხ. 755 ბ. ამ ფუძეებთან ა ყოველ ფორმაში იკარგება: მწურისა, დამწურისა, ნამწურისა, შემწურისა და სხვა.

მჯარ-ი: ხოლო მან თჳთ **მჯრითა** თჳსითა აღიღო და დადვა იგი ურემსა მას ზედა, პარხ. 442 გ; ბრძანა მოჭრაჲ ჴელთა და მკლავთა მისთაჲ ვიდრე **მჯრადმდე**, პარხ. 1183.

ნამწუარ-ი ნ. მწუარი.

ნაცარ-ი: **ნაცრითა** და სკორითა აღივსო თავი მისი, ესთერ 4, 17.

საზღვარ-ი: ეყენებოდეს მას..., რაჲთა წარვიდეს **საზღვრისაგან** მათისა, ლ. 8, 37 E; და მერმე გამოვიდა **საზღვრით** ტჳროსისაჲთ და სიდონისაჲთ, მრ. 7, 31 C.

საყდარ-ი: რომელსა ეწოდა ღირსად დიდი არსენი, ქართლისა კათალიკოზი და მცხეთისა **საყდრისა** გჳრგჳნი დაუჭნობელი, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 254, 13).

საცხოვარ-ი ნ. ცხოვარი.

საძოვარ-ი: ჲ მწყემსნო, რომელნი განაბნევთ და წარსწყმედთ ცხოვართა **საძოვრისაგან** ჩემისა, იერ. 22, 31.

საჴედარ-ი: მოდრკა მეფჱ და ყოველი იგი ლაშქარი, მოვიდა და გარდამოვარდა **საჴედრისაგან** და ეტყოდა ნინოს, მოქც. (ისტ. ქრესტ. 275, 37); რომელმან აღიმაღლა ნიაქარითა მით ცეცხლისაჲთა, ეტლითა მით, **საჴედრებითა** ცეცხლისაჲთა, ზირაქ 48, 9.

საჴმარ-ი, უჴმარ-ი: და არა დაიტევა მისგან ერთიცა **საჴმრად** თავისა თჳსისა, კიმ. I, 203, 11; მე და იგი წარვიდოდეთ **საჴმრისათჳს**, იქვე, 208, 23; და ყოველნი სნეულნი მოვიდოდეს და განიკურნებოდეს და

იქმოდეს საქმესა მონასტრისასა **ხაჯმრითა** თჳსითა, იქვე, 257, 16; ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, რამეთუ **უჯმრად** მდებარე არს ეკლესიაჲ იგი, ზარზმ. (ისტ. ქრესტ. 230, 37); ყოველნი მცონარ და მაგინებელ (ვართ) **უჯმრისა** სიტყჳსათჳს, სვან. 479 b.

საჯსარ-ი: (ძო კაცისაჲ მოვიდა) მსახურებად და მიცემად სული თჳსი **ხაჯსრად** მრავალთა, მ. 20, 28.

სიზმარ-ი: საღმრთოჲთა **სიზმრითა**, თარგმ. გამოცხ. 1, 1.

სპასალარ-ი: ისმინე ჩემი, ჰაბუკო, მოიქეც და ძედ ჩემდა იყო და მე მამად შენდა ვიყო და ყოველთა ზედა **სპასალრად** გყო, კიმ. I, 169, 12.

სტუმარ-ი: კაცი ერთი მოუჴდა მდიდარსა მას **სტუმრად**, 2 მეფ. 12, 4; რამეთუ **სტუმრად** მომივალს ძმაჲ ჩემი, ზირაქ 29, 30.

სუდარ-ი: გამოვიდა მკუდარი იგი, კრული ფერჴით, ჴელით რეზითა, და პირი მისი დახუეულ იყო **სუდრითა**, ი. 11, 44 CM.

ტალავარ-ი: იქმენით თქუენ **ტალავრები** მსგავსად წერილისა მაგის, ნეემია 8, 15.

ტაძარ-ი: (წმიდაჲ შუშანიკ) ძლით წარიყვანეს **ტაძრად**, შუშ. 150, 12; შემძლებელ ვარ დარღუევად **ტაძრისა** მის ღმრთისაჲსა, მ. 26, 61 C; გამოვიდა იესუ **ტაძრით**, მ. 24, 1 C.

უმგბარ-ი ნ. მგბარი.

უჯმარ-ი ნ. საჯმარი.

ფიცარ-ი: სახლი... **ფიცრით** დაწებული, 2 მეფ. 7, 7; და შენ განჰმზადე **ფიცრები** მრავალი ამას ჟამსა და იწყუე წერად, 3 ეზრა 14, 24.

ფუტკარ-ი: მიეედ **ფუტკრისა** და ისწავე, ვითარ იგი მოქმედ არს და ნაშრომი იგი მისი ვითარ კეთილად ქმნის, იგავ. 6, 8.

ქმარ-ი: ხოლო ხურსიპოს მიუთხრა იოვანეს ყოველი, რავდენი ესმა **ქმრისა** მისისაგან, სვან. 242 b.

ცისკარ-ი: ძილი მისი იყო შემდგომად **ციხკრისა** გალობისა, ამონ. 207, 11; დიდსა ორშაბათსა **ცისკრად**, ი. ჯავ. აღწ. 89, 13 ქვ.

ცხედარ-ი: განძლიერდა ფრიად, კადნიერ იქმნა და მიჳიდა **ცხედრად**, პარხ. 1153; არა წეს-იყო შენდა აღკიდებად **ცხედრისა** მაგის, ი. 5, 10 C; კაცთა მოაქუნდა **ცხედრითა** კაცი, ლ. 5, 18.

ცხოვარ-ი, მაცხოვარი-, საცხოვარ-ი: და დაუგო მას წინაშე ოლომფორნესა ტყავი იგი **ცხოვრისაჲ**, იქდით 12, 15; რაოდენ უმჯობეს არს კაცი **საცხოვრისა**, მ. 12, 12 E; მფრინველთაგან ცისათა **მიხაცხოვრადმდე** შესულებეს და წარწყმდეს, იერ. 9, 10; გამოხუედ **მაცხოვრად** ერისა შენისა, ამბაკუმ 3, 13; განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, **მაცხოვრისა** ჩემისა, ლ. 1, 47.

წინამძღუარ-ი ნ. მძღუარი.

„ალ“ მარცვლიანი

ბარკალ-ი: ერთი მათგანი გუემულ იყო ფერჩითა **ბარკლითგან** მისით და კელობდა იგი ფიცხლად, კიმ. I, 244, 30.

დამბალ-ი: ცერცხსა **დამბლისა**, ილარ. ქართვ. ცხ. 19.

დედალ-ი ნ. მამალი.

დედოფალ-ი: და იყო მთავარი იგი დედის-ძმაჲ ნანაჲსი, **დედოფლისაჲ**, მოქც. (ისტ. ქრესტ. 274, 26).

ეკალ-ი: აჰა ესერა მე ამისთჳს დაუჴსნე გზანი მისნი **ეკლითა**, ოსე 2, 6; დააღგეს მას შეთხზული **ეკლისა** გჳრგჳნი, მრ. 15, 17.

კობალ-ი: რომელთამე პირნი მათნი და კბილნი დაემუსრნეს **კობლითა**, პარხ. 882 a; რომელთამე მათგანთა აქუნდა **კობლები** და კუერთხები და ამუდები, იქვე, 871 b; რომელნიმე დაჰლეწდეს წჳვთა კუერთხებითა და რომელნიმე სცემდეს **კობლებითა** პირთა, იქვე, 873 a.

მამალ-ი, დედალ-ი: ხოლო დასაბამითგან დაბადებისაჲთ **მამლად** და **დედლად** შექმნა იგინი ღმერთმან, მრ. 10, 6 C.

მამფალ-ი: ბრძანებაჲ ღმრთივ პატიოსნისა **მამფლისაჲ** და უფლისა ჩემისაჲ მოვიღე, აბო 176, 31.

მანგალ-ი ნ. ჴრმალი.

მართალ-ი, სამართალ-ი: რომელმან შეიწყნაროს მართალი სახელად **მართლისა**, სასყიდელი **მართლისაჲ** მიიღოს, მ. 10, 41; ჩუენ **სამართლად** ღირსი, რომელი ვქმენით, მოგუეგების, ლ. 23, 41.

მაღალ-ი: ძე **მაღლის** ეწოდოს, ლ. 1, 32; რომელთა გუეჩუენა ჩუენ მზე იგი აღმომავალი **მაღლით**, ლ. 1, 78 E.

მდაბალ-ი: საჯა სამართალი **მდაბლისაჲ** და დავრდომილისაჲ, იერ. 22, 16; ვინანდეთ კეთილად **მდაბლითა** სულითა. უდაბნ. 37 vb.

მკალ-ი: აღაელინენით მას ზედა ჰუნენი, ვითარცა სიმრავლე **მკლისაჲ**, იერ. 51, 27; მძლავრთა კაცთა ქალაქისათა წინა-აღუდგების **მკლიხ-მჴამელი** იგი [და] თაფლისა ველურისაჲ, უდაბნ. 177 ra.

მრავალ-ი[1]: იყო... კოლტი ღორებისა **მრავლისხა** მძოვარი, მ. 8, 30C; უნდა მისი ხილვაჲ **მრავლით** ჟამითგან, ლ. 23, 8.

მჩხრეკალ-ი: ლოცვა-ყავთ ამონა **მჩხრეკლისათჳს** ცოდვილისა ფრიად, წმიდანო, Опис. 24, 6; ქრისტე, შეიწყალე სული იოვანე უცბად **მჩხრეკლისაჲ**, საწყალობელისაჲ და ცოდვილისაჲ, იქვე, 217, 1.

ზოგან გვხვდება აგრეთვე „მხრეკელი“ (იქვე, 168, 1 და სხვ.). შეკუმშვისას ეს უკანასკნელიც ისეთ ფორმებს იძლევა, როგორსაც „მჩხრეკალი“ (მჩხრეკლისა, მჩხრეკლითა, მჩხრეკლად). მაგრამ თუ ეს

[1] მრავალი კუმშვის თვალსაზრისით სავსებით ისე მიდის, როგორც მკეცალი და სხვა ამ ტიპის არსებითი სახელები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „მკეცალი“ (და სხვები) ხანდახან შეიძლება შეუკუმშველიც შეგვხვდეს (მკეცალისა), „მრავალი“ კი შეუკუმშველი არასდროს არ შეიძლება იყოს.

შეკუმშული (ზიარი) ფორმები ჩვენ მოყვანილი გვაქვს როგორც „მჩხრეკალ"-ის კუთვნილება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ძველ ტექსტებში „მჩხრეკალი" უფრო გავრცელებულია, ვიდრე „მჩხრეკელი", პრინციპულად კი, როგორც ვთქვით, ორივეს თანაბრად შეუძლია აღნიშნული შეკუმშული ფორმების მოცემა.

მცურვალ-ი (=ლელი, ისლი, осока): ეითარცა მცურვალები ყოველსა წყალსა თანა და კიდეთა მდინარისათა აღმოსცენდის, ზირაქ 40, 16.

მხალ-ი: და იყოს ჩემდა მტილად მხლიხა, 3 მეფ. 21, 2.

მჭევალ-ი: უფალმან კეთილად იზრუნოს მჭევლიხა თჳსისათჳს, ხანძთ. 138, 14.

ნაკუერცხალ-ი: ბრძანა წმიდამან ღმრთისამან, რაჲთა მოილონ კაბიწი რკინისაჲ საჳსე ნაკუერცხლითა მგზებარითა, სვან. 302 a.

საგზალ-ი: თეეზი იგი შეწუეს და შეჰამეს და ნეშტი იგი დაჰმარხეს საგზლად, ტობია 6, 6.

სამართალ-ი ნ. მართალი.

სამშჳალ-ი: ვეცხლითა და ოქროჲთა შემკულ არიან, კუერითა და სამშჳულითა დამტკიცენ იგინი, რაჲთა შეიძრნენ, იერ. 10, 4.

სძალ-ი: განვიდეს მიგებებად სიძისა და ხძლიხა, მ. 25, 1.

უფალ-ი: მოუწოდა კაცად-კაცადსა, თანა-მდებსა უფლიხა თჳსისასა, ლ. 16, 5; დაჲით სულითა წმიდითა ჰხადის მას უფლითა, მ. 22, 43.

ფიქალ-ი: რამეთუ ყოველთა განსუენებისა ზრახვაჲ და ფიქლით გარდართულ სიყუარული გამოჩნდეს, იპოლ. 27, 123.

ყურიმალ-ი: ნუმცა ეიხილავ მე გჳრგჳნსა მას ეკლისასა, ნუცა მონისა მიერ ყურიმლის-ცემასა, პარხ. 407 a; მსახურთა მათ მოიყვანეს ყურიმლის-ცემად იგი, მრ. 14, 65.

ცოცხალ-ი: გულის-სიტყჳთა ცოცხლითა დაუტევებთ ზიარებასა გუამისა მოკლებულისასა, პარხ. 1151.

ძალ-ი: ძლით წარიყვანეს ტაძრად, შუშ. 150, 12; ხოლო ძლით არა შეიპყრეს იგი, უდაბნ. 65 ra.

წამალ-ი: და დადევ ეგე კრძალულად, რამეთუ საკმარ არს ეგე წამლად, ტობია 6, 5; მაშინ ითხოვა ჰურიამან ჭიქაჲ და შთაასხა მას შინა წამლიხა მისგან, რომელ კმა-ეყო ერგასისსა ძაღლსა, ურჰ. 334, 16.

წყალ-ი: მოვიდა დედაკაცი სამარიაჲთ ვსებად წყლიხა, ი. 4, 7; აღმოჴდა მიერ წყლით, მ. 3, 16 C; მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, მ. 3, 11; წინაშე პირსა წყლიხასა, ოსე 10, 7.

ჰაკუნტალ-ი: თუალსა მას... აქუს მსგავსება ჰაკუნტლიხა, თუალთ 6, 28.

ჴრმალ-ი, მანგალ-ი: დაჰრენით საკნისნი თქუენნი ჴრმლად და მანგლები თქუენი — ლახურებად, იოველ 4, 10; რაჟამს იხილა პირები იგი მათი და ჴრმლები ჴდილები, ამონ. 212, 31.

ჯერკუალ-ი: და კიშტს ერთი სხუაჲ ლეღჳთა ჯერკულითა ფრიად, რომელი ვერ საკმელ იყო სიჯერკულითა თჳსითა, იერ. 24, 2.

„ან“ მარცელიანი

არგან-ი: რომელმან **არგანითა** მით, ჯუარითა თჳსითა დაგჳცვნეს ჩუენ, სვან. 464 ბ.

ახოვან-ი, სახელოვან-ი: ჯუარითა მოქადულისა, **ახოვნისა** და **სახელოვნად** განთქუმულისა ბრწყინვალედ შორის წმიდათა შენთა მარტჳლთა და მოწამეთა, ხანძთ. 109, 9.

ბობღან-ი: შესხმითა, ნოვაგითა, და წინწილითა და **ბობღნითა**... შეკრბეს ყოველნიენი, ნეემია 12, 16; და მათ შეიწყნარეს იგი და ყოველი სოფლები მათი გჳრგჳნებითა და მძნობრებითა და **ბობღნებითა**, იქედით 3, 7.

ბოსტან-ი: რომელ-იგი არს მცველ **ბოსტნისა** სამეუფოჲსა, ნეემია 2, 8; გამოიყუანნეს იგინი გუემითა გარე **ბოსტნად** სამამასახლისოჲსა, პარხ. 880 ხ; ნამყოფ იყვნეს ესენი წინაშე **ბოსტნებსა** ქალაქისასა, Опис. 74, 6 ქვ.

გარეგან-ი: ხოლო **გარეგნით** წერილი არიან საშჯელნი ღმრთისანი, თარგმ. გამოცხ. 5, 1.

ებან-ი: რომელნი თანა-უტყუელავთ ჴმასა **ებნისასა**, ამოს 6, 5; არა წინწილითა, არცა **ებნითა** შეიქმნის ჴმაჲ და არცა ტყუელვითა უდებყვნის სასმენელნი, პარხ. 687 ხ.

მახჳლოსან-ი, წათოსან-ი: მოიწია იუდა... და მის თანა ერი **მახჳლოსნები** და **წათოსნები**, მრ. 14, 43 С.

მდელოვან-ი: **მდელოვნად** ველად, სიბრძ. 19, 7.

მისან-ი: რამეთუ ყოველი მეფე დიდი და მთავარი სიტყუასა ესეეითარსა არა იკითხავს ყოვლისაგან **მისნისა** და მოგჳსა და ქალდეველისა, დანიელ 2, 10.

მიწოვან-ი: რამეთუ ცოდავს ნივთისაგან **მიწოვნისა** ადვილად შესამუსრელი ჟურჟერი, სიბრძ. 15, 13.

მტკივან-ი: **მტკივნისა** და ტკბილისა წამლისა დადებაჲ, ანტიოქ. 79, 3.

მჭოვან-ი: სწავლისათჳს უგუნურისა და ცოფისა და **მჭოვნისა** გარდასრულისა, ზირაქ 42, 8.

ოხჯან-ი: ხილვაჲ ესე დღეთა მათ **ოხჯნისათაჲ**, დანიელ, 10, 14.

სახელოვან-ი ნ. ახოვანი.

სტამან-ი: განრცხაჲ სასუმელებისაჲ და **სტამნებისაჲ** და ქუაბებისაჲ და ცხედრებისაჲ, მრ. 7, 4.

ტევან-ი: განმრაელდა კუფხალი უფროჲს **ტევნისა**, სვან. 468 ბ.

უბან-ი: ვითარცა თიჴაჲ **უბნისაჲ** დავთრგუნნე იგინი, ფსალმ. 17, 48; არა უჴდებოდის, არცა ღალადებდეს, არცა ესმეს ვის **უბნებსა** ჴმაჲ მისი, მ. 12, 19 С.

ქოთან-ი: და ჰმნა ათნი **ქოთნის**-სახენი ქუაბნი პილენძისანი, 2 მეფ. 7, 38.

ყორან-ი: სახის-მეტყუელმან თქუა **ყორნისაჲ**, ეითარმედ: ერთ ხოლო მამალი არნ, სახისმეტ. (ისტ. ქრესტ. 287 ,1).

შ რ ო შ ა ნ - ი: ძმის-წული ჩემი შთავიდა მტილსა თჳსსა... დაკრებად **შროშნიხა**, ქებ. 6, 1; ვიხარებდეთ, რამეთუ ვარდითა და **შროშნითა** და სულნელითა ნელსაცხებელითა... ქრისტე ჩუენდა მოვიდა, პარხ. 948 b.

წ ა თ ო ს ა ნ - ი ნ. მახჳლოსანი.

წ ი ლ კ ა ნ - ი: ამან ბაკურ დაიწყო **წილკნიხა** ეკლესიასა, მოქც. 60, 20. გეოგრაფიული სახელებიც სრულიად კანონზომიერად ემორჩილება კუმშვის წესს, განსაკუთრებით ქართული გეოგრაფიული სახელები. ამიტომ ამნაირი სახელები აქაც არის შემოტანილი.

ჴ ე ლ ო ვ ა ნ - ი: ენაჲ ჩემი ვითარცა საწერელი მწიგნობრისა **ჴელოვნიხაჲ**, ფსალმ. 44, 2; ისმინე, ჶ მეფე, რამეთუ ღმერთი ესე შენი ვერ ჴელოვნად გამოთალა ხურომან ეჩოჲთა, პარხ. 1007 a.

„ავ“ მარცვლიანი

ე რ ი ს თ ა ვ - ი: და ესე მთავარებისკოპოსი **ერიხთვადცა** იყო... ქართლს და ჰერეთს, მოქც. 61, 15; რაჟამს მოვიდა იგი ქართლდ, ცხონდებოდა იგი ნერსე **ერიხთვიხა** თანა, აბო 185, 21; ხოლო გურგენ... დაჯდა ერისთავთა-ერიხთვად, ხანძთ. 121, 46.

კ ა რ ა ვ - ი: **კარვად** ცათა აქა იტყჳს, რომლისა მიმსგავსებულად უბრძანა ღმერთმან მოსეს **კარვიხა** ქმნაჲ, თარგმ. გამოცხ. 15, 6.

მ ე ძ ა ვ - ი: მოვედ და გიჩუენო შენ საშჯელი იგი **მეძვიხა** მის დიდისაჲ, გამოცხ. 17, 1; შესმენითა **მეძვიხა** ქალისაჲთა... განიშორა... სარწმუნოჲ ცოლი თჳსი, ხანძთ. 139, 2.

მ პ ა რ ა ვ - ი: რამეთუ **მპარვიხა** სირცხჳლ არს, ზირაქ 5, 17.

ს ა კ ი თ ხ ა ვ - ი: ჯდა და იკითხვიდა საკითხავსა... და ისმენდა სიტყუასა მის **ხაკითხვისასა**, კიმ. I, 218, 5.

ს ა ხ ი ლ ა ვ - ი: და არა უწყი, რაჲ ვთქუა ამის **სახილვისათჳს**, იქვე, 261, 18.

„ამ“ მარცვლიანი

ლ ე რ წ ა მ - ი: ვითარცა გორაენ ურემი სავსჱ **ლერწმითა**, ამოს 2, 13; ექმენ კუერთხ **ლერწმის** სახლსა ისრაჱლისასა, ეზეკ. 29, 6.

ქ ა თ ა მ - ი: ვიდრე-ჲ **ქათმიხა** ჴმობადმდე სამ-გზის უვარ-მყო მე, მ. 26, 34.

ა-ხ ამოლების სხვა შემთხვევები

ვ ე შ ა პ - ი: შჯობს სახლეულობაჲ ლომისაჲ და **ვეშპიხაჲ**, ვიდრე-ლა არა სახლეულებაჲ დედაკაცისა თანა ბოროტისა, ზირაქ 25, 18; ცად ამას ადგილსა ჰაერსა იტყჳს, ხოლო **ვეშპად** — ეშმაკსა, თარგმ. გამოცხ. 12, 3.

ქ ა კ ა ბ - ი: შენ შჯამ ჴოკბისასა და **კაკბიხასა** და ღრღედისასა და მრავალთა სანოვაგეთა, და გლახაკი არა ჰპოვებს პურსაცა ჴმელსა, რომლითამცა განიძღო მუცელი თჳსი, მამ. სწავ. 42.

მოყუას-ი: და თუ უბრძანის (მეფემან) ბრძოლად მოყუასსა **მოყუხისა**, ვერ გარდაჰკდის ბრძანებასა მისსა, 2 ეზრა 4, 4: რომელი გამოჩნდა აწ **მოყუხად** მისა, პარხ. 1129; წმიდაო არეთა, თანა-**მოყუსითურთ** მეოხ გუეყავ წინაშე ქრისტჱსა, ი. ჯავ. აღწ. 31, 9; განთიად ერთშაბათსა მოვიდა მაგდანელი მარიამ **მოყუსებითურთ**, იქვე, 152, 1.

წელიწად-ი: და **წელიწდისა** ჟამნი მუნ დაყვნა, სვან. 275 ჯ: რაჲთა გამოიზარდოს მუნ წელსა და წელთა და კერძოსა **წელიწდისახა** პირისაგან გუელისა მის, გამოცხ. 12, 14.

ამოღებულია 9

„ელ" მარცვლიანი

ბოსელ-ი: გამოგიყვანე შენ **ბოხლისა** მისგან, 2 მეფ. 7, 8; რომელი გამოიყვანა **ბოხლისაგან** ცხოვართაჲსა, სვან. 341 ჯ.

განჯმელ-ი: რომელმან ბრძანა კუერთხისა მის აჰრონისი **განჯმლისა** განედღებაჲ. კიმ. I, 26, 31.

თირკუმელ-ი: და ორნი თირკუმელნი და ცმელი იგი მათ ზედა, რომელ არს ბარკალთაჲ და ღჳძლის-ყურნი იგი **თირკუმლითურთ** მოჰჴადოს, ლევიტ. 3, 10; 6, 34.

კედელ-ი: ამისთჳს ლოდი **კედლისაგან** ღაღადებდეს, ამბაკუმ 2. 10; და დაშთა უბადრუკი იგი მდგომარჱ გძიდესა ზედა **კედლისასა**, პარხ. 762 ხ.

მგალობელ-ი: რომელმან შეჰქმენ ყოველი დაბადებული **მგალობლად** შენდა, ჰიპ-ეტრ. 103 (სრულადაა დაწერილი, უქარაგმოდ).

მგელ-ი: რაჲ-მე ზიარებაჲ არს **მგლისაჲ** და კრავისაჲ, ზირაქ 13, 17.

მკელობელ-ი: უმჯობეს არს შენდა **მკელობლისაჲ** შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორითა ფერჴითა შესლვად გეჰენიასა, მრ. 9, 45; და მოუჴდა მას ერი მრავალი, რომელთა ჰყუანდა მათ თანა **მკელობრები**, ბრმენი, ყრუნი, მ. 15, 30.

მტკაველ-ი: რომელმან განზომნა ცანი **მტკაველითა** თჳსითა და ქუეყანაჲ ბრჭალითა თჳსითა, კიმ. I, 182, 24.

მუცელ-ი: ჰამე ამიერითგან **მუცლისა** წილ გონებითა. თქუენითა, სვან. 466 ხ.

მჴედელ-ი: ძელი არს და ვეცხლი ჴედილი... ქმნული ხუროჲსაჲ და ჴელთა ოქროჲს-**მჴედლისათაჲ**, იერ. 10, 9.

ნავღელ-ი: უკუანაჲსკნელ უმწარეს **ნავღლისა** ჰპოეო, იგავ. 5, 4; განმაძლო მე სიმწარითა და დამათრო მე **ნავღლითა**, გოდ. იერ. 3. 14.

ნათელ-ი: ესე მოვიდა მოწამედ, რაჲთა წამოს **ნათლისა** მისთჳს, ი. 1, 7; ყოველი რომელი იქმნ ბოროტსა, სძულნ ნათელი და არა მოვიდიხ — **ნათლად**, ი. 3, 20 C.

ნელსაცხებელ-ი ნ. საცხებელი.

საბელ-ი: და აღმოზიდეს მას **საბლითა** მით და აღმოიყვანეს იგი მღუძისა მისგან, იერ. 38, 13; მოაქუნდა საეაპროჲ... შეკრული **საბლებითა**, ეზეკ. 27, 24; ქმნა შოლტი **საბლისაჲ** და გამოასხა ყოველი ტაძრისაგან, ი. 2, 15 C.

საგზებელ-ი: ხოლო ლიბანი ვერ კმა-არს **საგზებლად**, ესაია 40, 16 ლაგ.

სათხეველ-ი: სიმონ... და ანდრია, ძმაჲ მისი, ისათხეველებდეს **სათხევლითა**, რამეთუ მთხეველარ იყვნეს, მ. 4, 18 C.

საკურთხეველ-ი: და ოდესმე ესტყორცი ისარი სამოსელსა **საკურთხეველისასა** და განვხია იგი, რავახ 81, 23; რომელი იყო პირისპირ **საკურთხეველისა**, იქვე, 82, 9; მოიქცა **საკურთხეველად** აღმოსაეალით კერძო, ამონ. 212, 4.

სამოსელ-ი: რომელსა პური საჭმლად არა აქუნდა და ჴორცთა საფარველი **სამოსლად** არა ჰქონდა, ევსტ. 164, 11; ანუ არა სული უფროჲს არს საზრდელისა და ჴორცნი **სამოსლისა**, მ. 6, 25.

სანთელ-ი: აღაგზნეს ცეცხლი **სანთლად** და გარე-მოადგეს მათ. იქდით 13, 13; ხოლო იუდა წარიყვანა ერი... და მოვიდა მუნ **სანთლებითა** და ლამპრებითა და საჭურველითა, ი. 18, 3.

სარეცელ-ი: რაჟამს მიხჳდე **სარეცლად** შენდა, მოიჴსენე ზრახვაჲ იგი დღისაჲ მის და შეინანე, პარხ. 447 b; თითოეულსა მათგანსა ეგო **სარეცლად** ქუეყანასა ზედა კილიკი ერთი მცირჱ, პარხ. 1230.

სარკუმელ-ი: შთაგიქდა გოდებაჲ **სარკუმლით** თქუენით და შეჴდა ქუეყანად თქუენდა, იერ. 9, 21; სახლებსა ზედა აღვიდენ და **სარკუმლებით** შევიდენ, ვითარცა მპარავნი, იოველ 2, 9.

სარტყელ-ი: შერტყული **სარტყლითა** ოქროჲსაჲთა, თარგ. გამოცხ. 1. 3; და მისცა თჳსთა ჯამლთა საბელი, რაჲთა **სარტყლად** შეირტყას, ხანძთ. 138, 5; განვლო წყალსა მას ვიდრე **სარტყლადმდე**, ეზეკ. 47, 5.

სასუმელ-ი: **სახუმლად** მისა (იყო) წყალი საწყაულით, ამონ. 207. 7; რამეთუ განსწმედთ გარეშესა **სასუმლისახა** და პარაფსიდისასა, მ. 23, 25 CE.

სასუფეველ-ი: ვიდრემდის ჴიდ ექმნა მათ წიაღსავალ **სასუფეველად**, სვან. 470 b.

სასყიდელ-ი: ყოველისაგან **სახყიდლისა** ვივაკრებდეთ, ამოს 8, 6; ღირს არს მუშაკი **სახყიდლისა** თჳსისა, მ. 10, 10.

ეგეცე სიტყვა შეკუმშულად არის წარმოდგენილი ცნობილ კომპოზიტში: **სასყიდლით-დადგინებულ-ი**: **სახყიდლით-დადგინებულ** არნ და არარაჲ სჭირნ ცხოვართა მათთჳს, ი. 10, 13 C.

საყოფელ-ი: და მივსცე იერუსალჱმი წარსაწყმედელად და **საყოფლად** ვეშაპთად, იერ. 9, 11; ახარა ძმათა თჳსთა ხილვაჲ წმიდისა მის ბერისაჲ და ადგილისაჲ მის კეთილისა **საყოფლისა** ღმრთიე მოცემულისაჲ, ხანძთ. 104, 34.

საშუებელ-ი: და გამოაელინა იგი უფალმან ღმერთმან სამოთხისა მისგან **საშუებლისაჲსა**, დაბ. 3, 23 ლაგ; და კნინითა მით **საშუებლითა** ფრიად იშუებდეს, ვითარცა დიდძალითა სანოვაგითა, ხანძთ. 104, 23.

საცხებელ-ი, ნელსაცხებელ-ი: რომელსა ჰრწმენეს სულნელებითა **საცხებლისა** მისისაჲთა, განმხიარულდენ, იპოლ. 17, 41; უსწრო **ნელსაცხებლითა** ცხებად ჯორცთა ჩემთა, მრ. 14, 8; რაჲსათჳს იქმნა წარწყმედაჲ **ნელსაცხებლისაჲ** ამის, მრ. 14, 4.

საწნეხელ-ი: ვინაჲ გიჴსნა შენ, კალოჲსაგან ანუ **საწნეხლისაგან**, 4 მეფ. 6, 27; და იტყოდიან შენ ზედა შესხმით, ვითარცა მწნეხარნი **საწნეხლისანი**, იერ. 51, 14.

საჭმელ-ი: მერმე მოიღო წმიდამან მან პური, აკურთხა, რაჲთა დაუდვან ვირსა მას **საჭმლად**; და ვითარ შეჭამა პური იგი, მიერითგან იწყო **საჭმლისა** ჭამად ჩუეულებისაებრ, კიმ. I, 289, 36; ნუ გარდაიქცევი შენ პირად-პირადითა **საჭმლითა**, ზირაქ 37, 31.

სახუეველ-ი: საკრველთა ცოდვისათა განჰხეთქს დღეს მაცხოვარი, შეკრული **სახუევლითა**, სას. პოეზ. 73, 110.

სთუელ-ი: ჳამი იყო **სთულისაჲ**, ხანძთ. 150, 16; დღეთა მათ **სთულისათა**, ზირაქ 24, 28.

სოფელ-ი: ესე პირველი **სოფლისა** აღწერაჲ იყო, ლ. 2, 2 E; რაჟამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ **სოფლით**, ლ. 16, 9; მიწერე ყოველსა ქალაქსა და **სოფლებსა**, ესთერ 3, 12.

უღელ-ი: და აწ შენ აღგჳმცირე მონებისაგან მამისა შენისა ფიცხლისა და **უღლისა** მისგან მძიმისა, 3 მეფ. 12. 4.

ფიცხელ-ი: განკურნა ღმერთმან სენისა მისგან **ფიცხლისა**, მოქც. 15, 8; სიტყჳთა **ფიცხლითა** ეტყოდა მათ, სვან. 227 b; სულითა უკეთურითა **ფიცხლად** იგუემებოდა. მოქც. (ისტ. ქრესტ. 274, 24).

ქსელ-ი: და ბუნი ჰორლისა მისისაჲ იყო, ვითარცა ლვიელი **ქსლისაჲ**, 2 მეფ. 21, 20.

ღრუბელ-ი: მოწევნულ არს... დღჱ **ღრუბლისაჲ** და ნისლისაჲ, იოველ 2, 2; ჴმაჲ იყო **ღრუბლით** გამო, მ. 17, 5.

ყოველ-ი[1]: დაიცევენით თავნი თქუენნი **ყოვლისაგან** ანგაჰრებისა, ლ. 12, 15; მოვიდოდეს მისა **ყოვლით** კერძო, მრ. 1, 45; და თანა-შემწე ექმნეს **ყოვლითა** საჴმრითა და ჯორცთა საღუაწითა, ხანძთ. 106, 6; ცოდვასა შინა შობილ ხარ შენ **ყოვლად**, ი. 9, 34.

შესაკრებელ-ი: ესე მთავარი იყო **შესაკრებლისაჲ**, ლ. 8, 41; გამოვიდა მიერ **შესაკრებლით**, მრ. 1, 29.

---

[1] კუმშვის თვალსაზრისით ეს ნაცვალსახელიც ისე მიდის, როგორც „საკურთხეველი“, „ჯინჭველი“, „სამოსელი“ და სხვა მისთანა, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ ეს უკანასკნელნი შეიძლება შეუკუმშავადაც შეგვხვდეს (საკურთხეველისა, ჯინჭველისა, სამოსელისა...), „ყოველი“ კი მუდამ იკუმშება, მისი შეუკუმშავი ფორმა ძველ ქართულში არ არსებობს.

შ ი შ უ ე ლ - ი: რაჲსათჳს ესოდენ შეგუეშინა ამის კაცისაგან შიშულისა, პარხ. 804 b.

წ ე ლ - ი: იყო იგი ათორმეტის წლის ოდენ, მრ. 5, 42; იყო ვინმე დედაკაცი წყაროჲთა სისხლისაჲთა ათორმეტით წლითგან, ლ. 8, 43; იყოს იგი მისა ვიდრე წლადმდე მიტევებისა, ეზეკ. 46, 17.

ჯ ი ნ ჯ ვ ე ლ - ი: მიგუალე ჯინჯვლისა და ჰბაძევდ, ჰ მედგარო, სახისმეტ. (ისტ. ქრესტ. 282, 33); სახის-მეტყუელმან თქუა: სამი სახჳ არს ჯინჯვლისაჲ, იქვე, 282, 35.

„ენ“ მარცვლიანი

ბ რ ძ ე ნ - ი: არა წარწყმდის შჯული მღდელისაგან და ზრახვაჲ ბრძნისაგან, იერ. 18, 18; რაჟამს იტყჳნ, ბრძნად აღაღის პირი და წესი განუჩინის ენასა თჳსსა, ხანძთ. 100, 41.

ყ უ რ ძ ე ნ - ი: სძჳ და თაფლი, სისხლი ყურძნისაჲ, ზირაქ 39, 32.

ჩ უ კ ე ნ - ი: განძლიერდა ფრიად, კადნიერ იქმნა და მივიდა ცაჲედრად გულის-სიტყჳთა მტკიცითა და არა ჩუკნითა, პარხ. 1153.

ძ ღ უ ე ნ - ი: ამისა ძღუნის-შემწირველ ვართ და შობასა აღვიარებთ, სვან. 36 b; ნუ ესრე იტყჳ, ვითარმედ მრავლითა ძღუნითა ჩემითა მომხედოს მე, ზირაქ 7, 9; და მიიღო ჴელითა თჳსითა პური და კუერები და სკიჳი და ლაგჳნითა თაფლი ძღუნად აქაჲსა, 3 მეფ. 14, 4.

„ერ“ მარცვლიანი

ო ჴ ე რ - ი: დაუტევებთ თქუენ სახლთა თქუენთა ოჯრად, მ. 23, 38.

უ შ უ ე რ - ი: აჩუენებდა სიტყჳთა უშურითა, პარხ. 926 b.

„ემ“ მარცვლიანი

ი რ ე მ - ი: ხოლო მან აკურთხნა იგინი და ნაცვალად ირმისა მისცა სხუაჲ საღუაწი ჴორცთაჲ, ხანძთ. 142, 1.

უ რ ე მ - ი: თაჳს-ვიდებთ ჩუენ ურმის-თუალისაგან მოკლვასა და ხუეტასა და განხერხვასა, პარხ. 436 b; და უბრძანეს მძლავრთა მათ მოთრევაჲ ურმებისაჲ და დასხნეს ჴორცნი იგი წმიდათანი მათ ურემთა მათ ზედა, იქვე, 431 a.

„ე“-ს ამოღების სხვა შემთხვევები

ბ ე ჭ ე დ - ი: მიწერე ყოველსა ქალაქსა და სოფლებსა და დაჰბეჭდე ბეჭდითა ამით სამეუფოჲთა, ესთერ 3, 12.

მ ე ყ - ი: ნუუკუე მოვიდეს მყის და გპოვნეს თქუენ მძინარენი, მრ. 13, 36 C; და მყისა შინა განგაოვისუფლონ შენ ტკივილთა მათგან, პარხ. 943 a.

აქედანვეა ნაწარმოები მ ე უ ს ე უ ლ ად: მათ **მეუსეულად** დაუტევეს ბადე მათი და შეუდგეს მას, მ. 4, 20.

მიცემითში, რასაკვირველია, შეუკუმშავი ფორმა უნდა იყოს და გვაქვს კიდეც: და **მეუს** მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი და მოიღო სეტყუად ლიტრისა სწორი, მოქც. (ისტ. ქრესტ. 273, 8).

მ კ ე რ დ - ი: არამედ კართა მათ მოწყალისათა უწყინოდ დგა და ჴმითა მით **მკრდისა** ცემითა მოწყალებასა მას განაღძებდა, პარხ. 468 b; უდაბნ. 59 va; ესე არს ცმელი **მკრდიხად** და ღჳძლის-ყური, ლევიტ. 7, 20; რომელსამე მჴარსა ეხეთქნა და ორად განეპო ვიდრე **მკრდადმდე**, ვიდრემდის ესრეთ მოწყჳდნეს წმიდანი იგი მამანი, კიმ. I, 39, 24 [1]; ისტ. ქრესტ. 213, 38; რომელიმე თავითგან ვიდრე **მკრდადმდე** [2] განპებულ იყო, წარტყ. 61, 21; წუერნი შთავიდოდეს ვიდრე **მკრდადმდე** და ყოველადვე სპეტაკ იყო, ხოლო წამწამნი თუალთა მისთანი მოსცჳეს ტირილითა მისითა. ჰაგ. მასალ. 31.

გამომცემელს (ნ. მარს) ამოღებული ე ხაზგასმულ სიტყვაში აღდგენილი აქვს: მ კ(ე)რ დ ა დ მ დ ე. მას, როგორც ჩანს, ეგონა, რომ აქ ე შემთხვევით აკლია და ფორმას გასწორება ესაჭიროება. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ქართულისათვის სწორედ ასეთი შეკუმშული ფორმებია დამახასიათებელი (მკრდისა, მკრდითა, მკრდად). შეუკუმშავი ფორმები (მკერდისა, მკერდითა, მკერდად) ახალმა ქართულმა დაამკვიდრა, უნდა ვიფიქროთ, გამოთქმის გასაადვილებლად: სიტყვის დასაწყისში ოთხი ზედიზედ მოყრილი თანხმოვნის (მკრდ) გამოთქმა ძნელი იყო და რაკი ამის აცილების საშუალება (არშეკუმშვა) არსებობდა, ენამ იგი გამოიყენა და კუმშვაზე ხელი აიღო.

უ დ ე ბ - ი: რამეთუ უმჯობე [3] ექმნა მას... აღსაარებად უფროჲს ჴრწნილისა მის და **უდბად** სლვისა მრავალ-ჟამისა, პარხ. 469 a; ვერ შემძლებელ ხარ **უდბად** განტევებასა მათსა უსწავლელად, მამ. სწავ. 163; ხოლო იყო ჟამსა რომელსამე მამად მიქელ განშორებულად სენაკსა თჳსსა, მდგომარე მაღალსა კლდესა ზედა მცირედ რაჲმე **უდბად** ხანძთ. 124, 43; რომელმან სრულ ჰყავ საქმე ესე ჴელითა ჩემ ცოდვილისა და **უდბოხა** ივანე საფარელისაჲთა (საქ. მუზ. H ფონდის ხელნაწ. აღწერილობა, ტ. V, გვ. 78, = H 2124, ფ. 255 r).

---

[1] გამომცემელს ამოღებული ე ამ სიტყვაში აღდგენილი აქვს (მკ[ე]რდადმდე), ალბათ, ახალი ქართულის გავლენით. აღდგენა არ იყო საჭირო.

[2] ვარიანტში „მკერდამდე" ყოფილა. გამომცემელს (ნ. მარს) უპირატესობა ამ უკანასკნელისათვის მიუცია და ტექსტში ის დაუტოვებია. აჯობებდა შეკუმშული ფორმა: ძველი ქართულისათვის სწორედ ესაა დამახასიათებელი.

[3] ხელნ.: უმჯობჱ.

ხელნაწერის აღმწერს შეკუმშული „უდბიხა“ გადამწერის შეცთომა ჰგონებია და შიგ ე ჩაუმატებია: უდ(ე)ბისა. გასწორება არ იყო საჭირო: უდბისა (როგორც მკრდისა) ჩვეულებრივი შეკუმშული ფორმაა და ძველი ქართულისათვის სწორედ ესაა დამახასიათებელი.

უცებ-ი: მოხუედით... ვითარ ბრძენი **უცბიხა**, მამ. სწავ. 359; ქრისტე, შეიწყალე მოძღუარი ჩუენი დავით და მიჰაელ **უცბად** მჩხრეკალი, ი. ჯავ. აღწ. 42, 9 ქვ.

ფერჯ-ი: რომელმან გარდააქცია ზღუაჲ ჴმელად და მდინარესა წიაღქდა **ფრჯით**, ფსალმ. 65, 5.

ღმერთ-ი: ვერ ჴელ-ეწიფების **ღმრთიხა** მონებად და მამონაჲსა, მ. 6, 24; იყვნენ ყოველნი **ღმრთით** სწავლულ, ი. 6, 45; თავსა თჳსსა **ღმრთად** გამოაჩინებ, ი. 10, 33 C.

ეს სიტყვა თითქმის ყოველთვის ქარაგმით არის დაწერილი, გახსნილად თითქმის არ გეხვდება. აქ წარმოდგენილი ფორმები საერთო თეორიულ მოსაზრებებსა და ორიოდე ქარაგმაგახსნილ შემთხვევას ეყრდნობა[1].

ხუცეს-ი: მოვიდა იგი **ხუცისა** მის ღამით, კიმ. I, 283, 27; მაშინ სარწმუნოებით და ცრემლით მოვიდა ეპისკოპოსი იგი **ხუციოურთ** ეედრებად მის წმიდისა, იქვე, 283, 32; პატრიარქსა ანტიოქიისასა დომნინოსს ჰნებავს, რაჲთა მაკურთხოს მე **ხუცად**, იქვე, 313, 33.

ამ სიტყვაში ე-ს ამოღებასთან ერთად დაკარგულია თანხმოვანი ს, რაც იმით აიხსნება, რომ ე-ს დაკარგვის შემდეგ ერთად მოხვდა ცს კომპლექსი, რაც ძნელი ასატანია ქართულისათვის[2]. სხვა ბრუნვებში. სადაც კუმშვა არ ხდება, არც ამ ხ-ს დაკარგვისათვის არის საფუძველი და ის დაცულია ყოველთვის[3], მაგალითად: და მეცა, **ხუცეხი** დედოფლისა შუშანიკისი, თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა მას, შუშ. 147, 29; ხოლო **ხუცესმან** მან ვითარ იხილნა იგინი შორით მომავალნი მისა, შეეშინა მას ფრიად. კიმ. I, 284, 2; და პოვა კურნებაჲ და უკუსცა **ხუცესხა** მას ყოველი, რომელი მოელო მისგან, იქვე 283, 33; მიავლინნა მისა პეტრე პატრიარქმან **ხუცესნი** ეკლესიისანი, იქვე, 75, 33; მიუგეს **ხუცესთა** მათ და ჰრქუეს, იქვე, 76, 15.

---

[1] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, 1945, ა. შანიძის წინასიტყვაობა გვ 045 — 046.

[2] თუმცა ერთ-ერთ უძველეს ხანმეტ წარწერაში ეს ცხ კომპლექსი შენახულია: პეტრეს **ხუცსობახა** მე, თათვარახ, აღხუმართე ესე ჯუარი. ეს არის უკანგორის წარწერა: ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერის ხეობაში, 1941, გვ. 12.

[3] ვ. თოფურია, ქართული ენა, განაკვეთი III—IV, 1933, გვ. 16; ა. შანიძე, გრამ. საფუძვ. გვ. 96.

ამოღებულია ო

ა) კვალი რჩება უმარცვლო უ-ს სახით

ნიგოზ-ი: ხოლო იაკობ მოიღო კუერთხი ბრაწისაჲ და **ნიგუზისაჲ** და ძელქვისაჲ ნედლი, დაბ. 30, 37; არგანსა **ნიგუზისასა** ვხედავ მე, იერ. 1, 11 (შდრ. მტილსა **ნიგუზოვანსა** შთაჴედ მიხედვად ნაყოფთა წყაროთასა, ქებ. 6. 10).

ბ) კვალი არ რჩება: უმარცვლო უ დაკარგულია ბაგისმიერი ბგერების გავლენით

გოდოლ-ი: **გოდლები** მისი მოწუეს ცეცხლითა, 2 ეზრა 1, 55; ეგოს... ვიდრე **გოდლადმდე** ანამელისა, ზაქარ. 14, 10.

გოდორ-ი: განაშორნა ტჳრთსა ბეკნი[1] მისნი და ჴელნი მისნი **გოდრითა** მონებასა, ფსალმ. 80, 7; შთასხეს თავები მათი **გოდრებსა**, 4 მეფ. 10, 7.

კოტორ-ი: ამან **კოტრისა** პურისათჳს განსცეს კაცი, იგავ. 28, 21.

მკოდოვ-ი: (ღჳნომან) მეფეთაჲ და გლახაკთაჲ ერთ ყჳის გონებაჲ, ეგრეცა უფლისაჲ და მონისაჲ და მდიდრისაჲ და **მკოდვისაჲ**, 2 ეზრა 3, 19.

ობოლ-ი: პეტრე... განგუეშორა ჩუენგან და დამიტეენა **ობლად**, პარხ 561 b; არა უგულებელს-ყოს ლოცვაჲ იგი **ობლისაჲ** და არცა ქური ვისაჲ, ზირაქ 35, 14.

ჯოჯობ-ი: შენ შჯამ **ჯოჯბისასა** და კაკბისასა და ღრღედისასა და მრავალთა სანოვაგეთა, მამ. სწავ. 42.

ჰოროლ-ი: ჴელთა აქუნდა მეგჳპტელსა მას ჰოროლი; და ბუნი **ჰორლისა** მისისაჲ იყო ვითარცა დჳრ ჴიდისაჲ. და მით **ჰორლითა** გამოუჴდა მას მეგჳპტელი იგი, 2 მეფ. 23, 20; და დაშჳრიდენ რჳმლებსა მათსა საჴნისად და **ჰორლებსა** მათსა — მანგლად, მიქ. 4, 3 ლაგ.

ნ. ცალკე აღნიშვნის ღირსია შემთხვევა, როცა ბრუნების დროს უ ამოიღება. ეს მოუდის „შურდულ" სახელს. რამდენადაც ვიცით, ბრუნების პროცესში უ-ს ამოღება პირველად აქაა დადასტურებული. თუმცა ი-სა და უ-ს რედუქციის შემთხვევებზე არის ლაპარაკი ქართულსა და ქართველურ ენებში[2], მაგრამ ყველა ეს შემთხვევა ცნობილია ქართველური ენების შედარებითი მასალებიდან, ან (ქართულში) მხოლოდ სიტყვა-წარმოების სფეროს განეკუთვნება. იმ ტიპის შემთხვევებში კი, როგორიცაა: ქმარი — ქმრისა, სოფელი — სოფლისა, ობოლი — ობლისა (ე. ი. წმინდად ბრუნების პროცესში), უ-ს ამოღება ჯერ არ არის სადმე აღნიშნული. ძართალია, ამნაირი

[1] ხელნ.: ბჳენი.

[2] ა. ჩიქობავა, შედარ. ლექს. გვ. 276 და სხვა; ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერ.-კავკ. I, 75—82.

მოველენა ჯერ მხოლოდ ერთ სიტყვაშია დადასტურებული, მაგრამ მით უფრო დიდია მისი მნიშვნელობა. მაშასადამე, ახლა შეგვიძლია ვთქვათ: ქართულში სახელთა ბრუნებისას ამოიღება ა, ე, ო და უ.

აქ მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს:

მიავლინნა **შურდლის-ქვანი**[1] და განაბნინა იგინი, 2 მეფ. 22, 15; და უფალი ყოვლისა მპყრობელი შეეწიოს მას და განავლინნეს იგინი, და დაჰფლნენ ქვითა **შურდლისაჲთა**[2] და გამოწოროვნ სისხლი მათი ვითარცა ღჳნოჲ, ზაქარ. 9, 15; რომელი განეცხადა ჰეშმარიტად გოლიათისათჳს ურჩულოჲსა, რომელი-იგი ქვითა **შურდლისაჲთა** დაემჴუა და ძლიერებითა მახჳლისაჲ თჳსისაჲთა მოეკუეთა თავი მისი, პარხ. 367 a.

„შურდულ-ი" შეკუმშულადაა წარმოდგენილი აგრეთვე **მე—ე** აფიქსებით წარმოქმნილ ფორმაშიც: და ყოველმან კაცმან **მეშურდლემან**[3] დაიპყრეს აღსავალი მათი და ესროდეს ქვითა მათ ზედა, იედით 6, 12.

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნული შეკუმშული ფორმებისათვის ამოსავალია არა „შურდული", არამედ „შურდლი" და, მაშასადამე, აქ უ-ს ამოღება არა გვაქვს? ეს დაშვება არ იქნებოდა სწორი, რადგანაც იმავე ძველ ტექსტებში შეუკუმშავ ფორმებად (სახ., მოთხ., მიც.) გვხვდება სწორედ „შურდულ" და არა „შურდლ", მაგალითად: ვითარცა-იგი ვინ შთადვის ქვაჲ **შურდულსჲ**, ეგრეცე მსგავს არს, რომელმან მიჰსცეს დიდებაჲ უგუნურსა, იგავ. 26, 8; განტყორცებასა მას მისსა ჴელთა მათგან თჳსთა ქვისა მის მცირისა **შურდულთაგან**, ზირაქ 47, 5. ამრიგად, ირკვევა, რომ „შურდლის" არის შეკუმშული ფორმა „შურდულ"-ისა და, მაშასადამე, უ ქართულში (ბრუნების დროს) შეიძლება ამოღებულ იქნეს.

მაგრამ ამ სახელს ძველ ქართულში შეუკუმშველადაც ვხვდებით, მაგალითად: „და ვითარცა დავით ესროდე სიტყჳსა **შურდულითა** მწყვალებელთა" (საქ. მუზ. ხელნ. S 425, გვ. 113; იგივეა გადმობეჭდილი პ. ინგოროყვას ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიაში, გვ. 200, 13). ჩანს, რომ, როგორც ბევრი სხვა სახელი, ეს სიტყვაც მკაცრად და აუცილებლობით არ ექვემდებარებოდა კუმშვის წესს; ამის გამო ხან (ზოგიერთ ძეგლში) შეკუმშულად გვხვდებოდა (შურდლის-ქვანი, მეშურდლენი), ხანაც (ზოგიერთ ძეგლში) — შეუკუმშავად (შურდულითა). ახალ სალიტერატურო ქართულს შემკვიდრეობად გადმოეცა შეუკუმშავი სახეობა და იგი დღეს ნორმას წარმოადგენს.

თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ „შურდულში" უ-ს დაკარგვა სავსებით უცხო არ უნდა იყოს ახალი სალიტერატურო ქართულისათვისაც. აქა-იქ

---

[1] ბიბლიის თბილისურ გამოცემაში „შურდლის-ქვანი"-ს ნაცვლად იკითხება „ისარნი" და ალარ წარმოადგენს ჩვენს ინტერესს.

[2] ბიბლიის თბილისურ გამოცემაში შეუკუმშავი ფორმაა მოცემული: „ქვათა მიერ **შურდულჲსათა**".

[3] გვხვდება შეუკუმშავი ფორმაც: ყოველნივე ესე **მეშურდულენი**, რომელნი ესროდეს თმასა და არა შესცთებოდეს, მსაჯ. 20, 16.

დღესაც შეიძლება შეგეხვედეს ამ სიტყვის შეკუმშული ფორმა. აი ამის ერთი მაგალითი:

„თბილისელებისათვის კრიევის უფრო მეტად მიმზიდველი და გრანდიოზული სახეობა იყო სარდასტით (ხის ხმლითა და **შურდლით**[1]) ბრძოლა, რომელიც ზამთარში ეწყობოდა“ („ლელო“, № 3, 1955, 9/1, გვ. IV; წერილის სათაურია „სარდასტის კრიევი“, ავტორია ა. ცამციშვილი). მაგრამ იქვე იკითხება: „ბრძოლის წინ მეომრები ჩოხის კალთებში ბლომად იმარაგებდნენ ქვებსა და ხელჩართული ბრძოლის დაწყებამდე მოწინააღმდეგეს **შურდულით**[1] ტყორცნიდნენ“ (იქვე).

ორივე ეს ფორმა წერილის ავტორისაა. ამათაგან ერთი შეკუმშულია (შურდლით), მეორე — არა (შურდულით). ამავე წერილში ქვევით მოყვანილია ნაწყვეტი გაზ. „დროებიდან“, სადაც სარდასტის კრიევია აღწერილი. ამ ნაწყვეტში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ბევრგან გვხვდება ხან მარტივად, ხანაც ნაწარმოები სახით, მაგრამ არსად შეკუმშული არაა, მაგალითად:

„დავიწყე **შურდულით**[1] ქვის. სროლა“, „**მეშურდულეებისაგან**[1] როგორც სეტყვა, ისე მოსცევოდა ქვები“, „რაკი რხმლებით გადავლენ, მაშინ **შურდულიხ**[1] ხმარება სიმუხთლეს ნიშნავს“, „**მეშურდულეებს**[1] ქვა არ მოახვედრებინოთ ჩემთვის“, „ამ დროს **მეშურდულემ**[1] მოარტყა საათოს მარჯვენა თვალში“, „კრიევის წესის დამრღვევი **მეშურდულიხ**[1] დასჯა ბრძანა“ (იქვე). ყველა 8 შემთხვევიდან 7 შეუკუმშავია, 1 — შეკუმშული, მაგრამ, ამის მიუხედავად, არა გვგონია ეს შეკუმშული ფორმა (შურდლით) კორექტული შეცთომა იყოს: ავტორისათვის (ა. ცომციშვილი) **შურდლით** და **შურდულით** ორივე თანაბრად შესაძლებელი ფორმაა. ამიტომ მან ერთხელ ერთი იხმარა, მეორეჯერ — მეორე. სხვა ექვსი ფორმა, როგორც ვთქვით, ავტორს არ ეკუთვნის, ის გაზ. „დროების“ წერილიდანაა ამოღებული. ასე რომ, „შურდული“ შეკუმშული სახით დღესაც გვეველინება სალიტერატურო ქართულში.

რაც შეეხება კილოებს, შეკუმშული ფორმა იმათთვისაც არ უნდა იყოს უცხო. სტ. მაყვალა მელითაურმა დამიდასტურა, რომ ქართლში მას ხშირად გაუგონია „შურდლის ქვები“.

ქართული ენის ზოგიერთ კილოში გვხვდება ჩვენ თითქოს ამნაირი ამოღება უ ხმოვნისა. ა. ცხადაძის საკანდიდატო დისერტაციაში ერთ ადგილას იკითხება:

„ფუფქვა 2. ბალნის, ძაგრის, **ბუმბლის** გაცლა დამდუღერის შემდეგ დაკლული ცხოველის ან ფრინველის სხეულიდან“[2].

---

[1] ხაზი ჩემია.—ი. ი.

[2] ა. ცხადაძე, იმერული კილოს მარგვული მეტყველება (გრამატიკული მიმოხილვა და ლექსიკონი), 1953, გვ. 315 (ხელნ.).

„ბუმბლის“ ფორმაში უ, რასაკვირველია, ამოღებულია: ბუმბული — ბუმბლის. მაგრამ საქმე ისაა, რომ იმ კუთხეში, რომლის მაგალითსაც ეს სიტყვა წარმოადგენს (იმერ.), ხსენებული სიტყვის ! ახელობითი იქნება ბუმბლი (ბუმბლი, ბუმბლმა, ბუმბლს). აქედან ჩანს, რომ უ თავიდანვეა ამოღებული ყველა ბრუნვაში და ბრუნების პროცესში მის დაკარგვაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მაგრამ რაჭულში ეს სიტყვა ჩვეულებრივი სახით იკუმშება და გვაქვს: ბუმბული, ბუმბულმა, ბუმბულს, ბუმბლის, ბუმბლით, ბუმბლად.

ამნაირი შემთხვევაა, ა. ცხადაძის დადასტურებით, უ-ს დაკარგვა ცნობილ გვარში „წულუკიძე“: სიქთარვაში ეს გვარი მოხუცების მეტყველებაში ასე გამოითქმისო: წლუკიძე[1].

6. კიდევ უფრო საინტერესოა მეორე შემთხვევა, როცა სახელში ბრუნების დროს ერთსა და იმავე დროს ხდება ამოღება ორი ხმოვნისა, ერთგვარი ორმაგი კუმშვა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ. ამნაირი შემთხვევაც პირველად აქ არის დადასტურებული. საქმე ეხება ა-სა და ე-ს ერთდროულ დაკარგვას სიტყვაში ხავარძელ-ი. მოვიყვანოთ მაგალითები: და შაბათსა დღესა გარდამოვდეს ეპისკოპოსნი იგი სახლით მათით და სხდეს ბჭეთა ზედა წმიდისა ლულიანეისთა ხავრძლითა, პარხ. 1250. სავარძელ-ი — სავრძლ--ით-ა. აშკარაა, აქ ორი ხმოვანია ამოღებული: ა და ე. ეს მაგალითი ერთადერთი არაა, იგი გვხვდება კიდევ ადიშის ოთხთავში (მრ. 11, 15). სამწუხაროდ, ადგილი დაზიანებულია, გადამწერს შეცთომა მოსვლია, ტექსტი ამოუფხეკია და შემდეგ წვრილი ასოებით ჩაუწერია შიგ ახალი ტექსტი, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო სიტყვა კი იკითხება ისეთი ფორმით, რომელიც აშკარას ხდის აღნიშნულ სიტყვაში ორი ხმოვნის ამოღებას. რადგანაც ადიშის ოთხთავის ტექსტი ამ ადგილას დაზიანებულია, მოვიყვან ჯერ ჯრუჭ-პარხლის ოთხთავის ტექსტს: „მოვიდა იესუ იერუსალჱმდე და შევიდა ტაძარსა მას და იწყო გამოსხმად განმსყიდელთა და მომსყიდელთა მიერ ტაძრით; და ტაბლები იგი მეკერმეთაჲ განუბნია და სასხდომელები იგი მსყიდელთაჲ მათ ტრედისათაჲ დაუმჴუა“. ადიშის ოთხთავში ამის შესატყვისად გადარჩენილია შემდეგი ნაწყვეტები:

...შევიდა სამღდელოსა (მას
)სა შინა (და ტაბ)ლები იგი მე(

სა)ვრძლები იგი ტრედის მოფარ-
დულთაჲ დაამჴუა (ტაბ. 89 a 1).

ადიშის ოთხთავის ტექსტის ამ დაზიანებული ადგილის მთლიანად ამოკითხვის საქმეს თავი რომ დავანებოთ, ცხადია, რომ ჯრუჭ-პარხლის „სასხდომელები“ აქ გადმოცემულია „(სა)ვრძლები“-თ; შვიდი უკანასკნელი ასო

[1] იმავე პირის გადმოცემით, სიქთარვაში (და ოყრიბაშიც) „ცირეკიძე“-ს ასე გამოთქვამენ: ცრეკიძე, სადაც ი-ც არის შეკუმშული.

კარგად ჩანს. აქ ჩვენთვის ესეც საკმარისია: ...ვრძლები იკითხება, ხოლო ეს ...ვრძლები სხვა არაფერია, თუ არა **სავრძლები**, რომელშიც აგრეთვე იგივე ორი ხმოვანი (ა და ე) ამოღებულია. ამნაირად, ჩვენ მოგვეპოვება ერთისა და იმავე სახელის ორი სხვადასხვა ფორმა, სადაც ორმაგ კუმშვას აქვს ადგილი, ერთსა და იმავე დროს ამოღებულია ა და ე: სავარძელი — სავრძლითა და სავარძელი — სავრძლები.

კი, მაგრამ ხომ არ შეიძლება ამ სიტყვის სახელობითის (მაშასადამე, უკუმშველი) ფორმა იყოს არა **სავარძელი**, არამედ **სავრძელი** და, მაშასადამე, ამოღებული იყოს არა ორი, არამედ ერთი ხმოვანი (ე)? არა, არ შეიძლება. ძველი ქართულის ტექსტებში ეს სიტყვა ჩვენ გვაქვს დადასტურებული სწორედ „სავარძელ“ და არა „სავრძელ“ ფუძით. ერთი ასეთი ძეგლია „წამებაჲ ფილეკტიმონისი“, რომელიც, როგორც ცნობილია, დიდი არქაიზმის მატარებელი ნაწარმოებია. აქ ჩვენ ვკითხულობთ: „მას ჟამსა მეფემან იგი განრისხებული აღვიდა ზედა **სავარძელთა** თჳსთაგან და უპყრნა წუერნი გრიგორისნი, მამისა თჳსისანი და უწყალოდ დაჰფხურიდა მჴცეთა მისთა და სცემდა ყურიმალთა მისთა“, კიმ. I. 145, 13. გვხვდება ეს სიტყვა ამ სახით სხვაგანაც, მაგალითად: „ოცსა წელიწადსა არა დაწუა გუერდსა ზედა, არამედ **სავარძლსა**; სადა-იგი ზინ და იქმნ ჴელთ-საქმარსა, მუნვე ზედა მიიძინის“, საქ. მუზ. ხელნ. A 1105, ფ. 122rb; ასე იკითხება იგი ოშკის ბიბლიის ერთერთ წიგნშიც: რაჟამს-იგი განვიდი ქალაქსა[1] მსთუად, უბანთა ზედა დაიდგმოდეს **სავარძელნი** ჩემნი, იობ 29, 7.

ასე რომ, ორი ხმოვნის ერთდროული ამოღება ბრუნების დროს ფაქტად უნდა ჩაითვალოს. მართალია, ჯერჯერობით ასეთი სიტყვა ერთადერთია ნაპოვნი, მაგრამ მას, ალბათ, სხვაც ამოუდგება გვერდში. ყოველ შემთხვევაში, მისი მნიშვნელობა დიდია.

ახალ ქართულში მსგავს შთაბეჭდილებას ტოვებს **ჭალმები** (ქალმები, ქალმებისა, ქალმებითა), მაგრამ ნამდვილად აქ ორი ხმოვნის ერთდროულ ამოღებასთან არა გვაქვს საქმე: ვინც „ქალმებს“ იტყვის, მისთვის მხოლობითის სახელობითი იქნება **ჭალმანი**, მიცემითისა — **ჭალმანს**. მაშასადამე, ცხადია, რომ **ჭალმან**-ში ერთი (პირველი) ა თავიდანვე ყოფილა ამოღებული და გამოსავალ ფორმად **ჭალმან** უნდა ვიგულისხმოთ; ამ ფორმას შემდეგ ეკარგება მეორე ა, რომელსაც თანხმოვნების თავმოყრის გამო ნ-ც მიჰყვება[2]. ამნაირად, **ჭალმები** ერთდროულად ორმაგი კუმშვის მაგალითად ვერ მიიჩნევა.

7. ჩვენ ზემოთ (გვ. 50—64) ფართოდ წარმოვადგინეთ მასალები ა, ე და ო ხმოვნების ამოღების შესახებ. მაგრამ სურათი სრული და ნამდვილი არ იქნებოდა, თუ აქ არ დავუმატებდით, რომ ტექსტებში ხშირ შემთხვევაში სწორედ ბევრი იმ სახელთაგანი, რომლებიც ზემოთ მოყვანილი იყო, როგორც კუმ-

[1] ხელნ.: ქალაქით.

[2] ა. შანიძე, გრამ. საფუძვ. გვ. 96.

შვის ნიმუშები, შეუკუმშავადაც გვხვდება. მაშასადამე, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, ერთმანეთის გვერდითაა მოცემული საყოფლად და საყოფელად, ცხოვრისა და ცხოვარისა, სასუმლისა და სასუმელისა, საჭმრად და საჭმარად, შესაკრებლისა და შესაკრებელისა და ბევრი სხვა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ (გვ. 47—48), ასეთი სხვადასხვაგვარი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ფორმების გვერდი-გვერდ არსებობა მახვილის მოქმედების სხვადასხვანაირი დონისა და სხვადასხვა დიალექტური ფენების შედეგი უნდა იყოს: „საყოფლად, შესაკრებლისა, საჭმრად“ ისეთი დიალექტური ფენის კუთვნილებაა, რომელშიც ძლიერი დინამიკური მახვილი მოქმედებდა, ხოლო „საყოფელად, შესაკრებელისა, საჭმარად“ იმ დიალექტებში უნდა ყოფილიყო, რომლებშიც მახვილის მოქმედება სუსტი და მოდუნებული იყო. შემდეგ, როცა ამ მახვილის ძლიერი მოქმედების პერიოდმა გაიარა, ძველ სალიტერატურო ქართულში ფენებ-ფენებად შემოგვრჩა (დაილექა) როგორც ერთის, ისე მეორე სახის ფორმები, როგორც ერთი დიალექტური წრისა, ისე სხვა დიალექტური ფენების ფორმები, როგორც **საყოფლად**, ისე **საყოფელად**. შემდეგ და შემდეგ, როცა მახვილის ეს ძლიერი მოქმედება შენელდა, ფუძის შეკუმშვა უკვე ტრადიციის საკითხს წარმოადგენდა[1]. კარგად ამბობს ჰ. შუხართი, რომ მახვილის მიხედვით ახალი ქართული ჰგავს ზღვას ღელვის შემდეგო[2].

ახლა შეიძლება აქ თქმულის საილუსტრაციო მასალა მოვიყვანოთ. დაეყრდნობით მხოლოდ ყველაზე მეტად დამახასიათებელ მაგალითებს.

ბრძენ-ი[3]: პირი **ბრძენისაჲ** შერაცხილ იყოს კრებულსა შორის, ზირაქ 21, 20.

ეშმაკ-ი[4]: ოდესმე ცრუ-წინაწარმეტყუელსა და ანტეს იტყჳს **ეშმაკად** და ეშმაკსა — მჴეცად, და ოდესმე კუალად მათ — მჴეცად და ეშმაკსა — **ეშმაკად**, თარგმ. გამოცხ. 20, 4.

ირემ-ი[5]: სახის-მეტყუელმან თქუა **ირემისაჲ**, ვითარმედ: ჯეკმა მტერ არს გუელისა, სახისმეტ. (ისტ. ქრესტ. 287, 17).

მაჯლოსან-ი[6]: მიიმართა შჳდასითა კაცითა **მახჳლოსანითა** მიწჳევნად მეფესა მას ედომისასა და ვერ შეუძლო, 4 მეფ. 3, 25.

მდევარ-ი[7]: პირისაგან მტერისა და **მდევარისა**, ფსალმ. 43, 17.

მჭევალ-ი[8]: მისცა ლიას... ზელფა, მჭევალი თჳსი მისა **მჭევალად**, დაბ. 29, 24 (ხელნ.).

---

[1] ა. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 3, 1942, გვ. 300.

[2] H. Schuchardt, Über das Georgische, ვენა, 1895, გვ. 14.

[3] ნ. ამ სიტყვის შეკუმშული ფორმები ზემოთ, გვ. 61.

[4] „ „ „ „ „ „ „ 57.

[5] „ „ „ „ „ „ 61.

[6] „ „ „ „ „ „ 56.

[7] „ „ „ „ „ „ 51.

[8] „ „ „ „ „ „ 55.

ნაკუერცხალ-ი[1]: და აღიცსო მჳელი შენი **ნაკუერცხალითა** ცეცხლისაჲთა, ეზეკ. 10, 2.

საბელ-ი[2]: და შთაუტეევს **საბელითა** ორმოსა მას, იერ. 38, 6.

საზღვარ-ი[3]: რომელმან დავდევ ქვაჲ **საზღვარად** ზღუასა, იერ. 5, 22.

სამართალ-ი[4]: ხოლო მე ქრისტიანე ვარ ნებითა ღმრთისაჲთა, რჩულითა და **სამართალითა** ჴეშმარიტისა ღმრთისაჲთა, კიმ. II, 46, 34; და ტაძარი **სამართალითა** მისითა აღეშჱნოს, იერ. 30, 18; და ესე **სამართალები** არს, რომელ წინა-დაუდვა მათ, გამოსლ. 21, 1.

საყოფელ-ი[5]: ვითარ-იგი დიდ არს სახელი ღმრთისაჲ და გრძელ—ადგილი **საყოფელისა** მისისაჲ, ბარუქ 3, 24; წარმოემართნეს **საყოფელად** თჳსა, ხანძთ. 111, 39.

სახელოვან-ი[6]: და დავსხნე იგინი სიქადულად და **სახელოვანად** წინაშე ყოველთა ერთა ქუეყანისათა, სოფონია 3, 20 ლაგ.

საჴედარ-ი[7]: ხოლო ამბა იოვანე გარდაჰჴდა **საჴედარისა** თჳსისაგან, ურჰ. 323, 19.

საჴმარ-ი, უჴმარ-ი[8]: მიაართუ მას იფქლი იგი **საჴმარად** გლახაკთა, კიმ. I, 240, 19; რამეთუ უძლურებასა **უჴმარად** ემხილების, სიბრძ. 2, 11 ლაგ.

სიზმარ-ი[9]: მე გამოგიცხადე შენ დღისა **სიზმარისა** აჴსნაჲ სარგებელად მრავალთა, პარხ. 789 გ.

ძალ-ი[10]: უქადაგა ამბაკომ მთით ჩრდილოჲთ მომაელად **ძალისაგან** უქორწინებელისა, ურჰ. 344, 2.

უჴმარ-ი ნ. საჴმარი.

ფიცხელ-ი[11]: ენებულ იყო ყოველი გუამი მისი ტეხისაგან **ფიცხელისა**, კიმ. I, 259, 7; კუალად სხუაჲ ვინმე კაცი გუემულ იყო **ფიცხელად** ეშმაკისაგან, იქვე, 251, 30; მოიყვანეს მისა ქალი ვინმე **ფიცხელითა** სენითა შეპყრობილი, იქვე, 267, 32.

ძლუენ-ი[12]: თებაელთა მათ მიართუეს (თუალი იგი) **ძლუენად** მეფესა, თუალთ. 7, 27.

---

1 ნ. ამ სიტყვის შეკუმშული ფორმები ხემოთ, გვ. 55.
2 „ „ „ „ „ 59.
3 „ „ „ „ „ 52.
4 „ „ „ „ „ 54.
5 „ „ „ „ „ 59.
6 „ „ „ „ „ 56.
7 „ „ „ „ 52.
8 „ „ „ „ 52.
9 „ „ „ 53.
10 „ „ „ 55.
11 „ „ „ 60.
12 „ „ „ 61.

წ ე ლ ი წ ა დ - ი[1]: განსრულებასა მის **წელიწადისასა** მოვიდეს იგინი წმიდისა მის, კიმ. I, 270, 6; კაიაფა... იყო მღდელთ-მოძღუარი მის **წელიწადისად**, ი. 11, 49.

ჯ ი ნ ჭ ე ე ლ - ი[2]: შეჰრაცხე თავი შენი მსგავსად **ჯინჭველისა** და ვითარცა მწერისა და მტუერისა და სარასირისა შეურაცხად, მამ. სწავ. (H) 249.

ამნაირი უკუმშველი მაგალითების მოყვანა ჩვენ შეგვიძლია დაუსრულებლად, რადგან მით საესეა ძველი ქართულის ტექსტები. ჩვენ აქ განგებ შევარჩიეთ ისეთი ნიმუშები, რომლებიც სხვა ადგილას შეკუმშული სახითაა წარმოდგენილი. ამით ჩვენ გვსურდა გვეჩვენებინა, რომ ეს ორნაირი—შეკუმშული და შეუკუმშველი ფორმები ერთმანეთის გვერდით რაღაც შემთხვევითი და იშვიათი მოვლენები კი არაა, არამედ ისინი ასეთ გარემოცვაში სრულიად ბუნებრივად გამოიყურებიან, ესაა სწორედ ძველი ტექსტებისათვის დამახასიათებელი თვისება. ამნაირ საპირისპირო ფორმებს ჩვენ ეხვდებით მრავალ ტიპურ შემთხვევაში:

ა) ისინი გვხვდებიან ტექსტის ერთისა და იმავე ადგილის გადმოსაცემად სხვადასხვა ხელნაწერში: ჩანს, ერთ გადამწერს (თუ რედაქტორს) ერთნაირი ფორმა (ვთქვათ, შეკუმშული) რომ მიუჩნევია ბუნებრივად. მეორეს ამავე შემთხვევაში მეორენაირი ფორმა (ვთქვათ, შეუკუმშველი) ჩაუთელია ასეთად. ამის მაგალითი ყველგან შეიძლება მოვძებნოთ, სადაც კი ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა ხელნაწერის სახით გვაქვს შემონახული. სანიმუშოდ ავიღოთ რამდენიმე შემთხვევა:

სუდარითა, ი. 11. 44 DE, მაგრამ: სუდრითა (CM)		
საწერტელები, გამოცხ. 9, 10 (H 1346), მაგრამ:		საწერტლები (A 397)
სარტყელები, გამოცხ. 15, 6	„	სარტყლები
ბრძენისა, მამ. სწავ. 179 (S)		ბრძნისა (A)
პატიოსანად, მოც. 20, 24		პატიოსნად (ვარიანტი).

ბ) მსგავსი შემთხვევები მოიპოვება თვით ერთსა და იმავე ხელნაწერში სხვადასხვა ალაგას: ერთი და იგივე გადამწერი (ან რედაქტორი) არ გრძნობს უხერხულობას, ხან (ერთ ადგილას) უკუმშველი ფორმა იხმაროს, ხან (სხვა ადგილას) — შეკუმშული. აი ამის ორიოდე ნიმუში:

თითოეულსა მათგანსა ეგო **ხარეცლად** ქუეყანასა ზედა კილიკი ერთი მცირ, პარხ. 1230; მაგრამ იმავე ხელნაწერში სულ რაღაც რვაოდე გვერდის შემდეგ იკითხება: არავის ჴელ-ეწიფა განწმედად ტაძრისად მის, გინა თუ **ხარეცელსად** დათა მათ დაგებად,იქვე, 1238; ვიდრემდის ჴიდ ექმნა მათ წიაღსავალ **ხახუფევლად**, სეან. 470 b, 7; მაგრამ იქვე ასეთი უკუმშველი ფორმაც არის:

---

[1] ნ. ამ სიტყვის შეკუმშული ფორმები ზემოთ, გვ. 58.

[2] „ „ „ „ „ „ 61.

რაოდენ უფროჲს წეს-არს წმიდათა ქალწულთა დათმენაჲ ჰირისაჲ, დაშრეტაჲ გულის-თქუმისაჲ სასოებისათჳს **სახუფეველიხა**, იქვე, 471 a, 4; დაილეწვოდეს ძუალნი წმიდათანი მათ **მყინვარითა** და დარქუმითა მით **მყინვარიხაჲთა** ჯორცნი მათნი დაიბძარეოდეს, პარხ. 428 b; მაგრამ იქვე, ცხრაოდე გვერდის შემდეგ სწერია: მდინარენი, რომელნი მარადის დიოდეს, **მყინვრითა** მით შეიყუენეს დინებისა მისგან და დგეს. იქვე. 437 b; ან: კეთილ არს მსხუერპლი და ახალშესაწირავი არა ცეცხლითა, არამედ **მყინვრითა**, იქვე, 439 a. ადიშის ოთხთავის ერთ ადგილას იკითხება: არა აღმოგიკითხავს, რამეთუ რომელმან დაჰბადა დასაბამსა, **მამლად** და **დედლად** შექმნა იგინი, მ. 19, 4 C, ხოლო იგივე ნაწყვეტი იმავე წიგნის მეორე ადგილას ასეა გადმოცემული: ხოლო დასაბამითგან დაბადებისაჲთ **მამლად** და **დედლად** შექმნნა იგინი ღმერთმან, მრ. 10, 6 C[1].

გ) ხანდახან გადამწერი (რედაქტორი) უფრო შორს მიდის და ასეთ ნაირ-ნაირ ფორმებს ხმარობს ერთსა და იმავე გვერდზე. კიდევ მეტი: ერთსა და იმავე სტრიქონზე. დავიმოწმოთ აქაც რამდენიმე მაგალითი:

ძმანი იგი იესებდეს მისგან ყოვლისა **ხაჴმრიხა** მათისა, გინა საქმედ პურისა გინა წუენისა, ანუ თუ **ხაჴმარად** ხუროთა, კიმ. I, 258, 37; და მათ დღეთა კაცი ვინმე ვაჭარი ანტიოქელი ეშმაკეულ იქმნა გუემითა **ფიცხელითა** ეშმაკისაგან ფრიად **ფიცხლიხა**, იქვე, 292, 28; **ხახუმელისა** მიერ **ხახუმლად** სიტკბოებასა ცოდვისასა გულისხმა-ჴყოფთ, თარგმ. გამოცხ. 17, 4; რომელთა არა შეუგინებიეს **სამოხელები** მათი, გამოცხ. 5, 4 და: და ვიდოდიან იგინი ჩემ თანა **სამოხლითა** სპეტაკითა, იქვე[2].

ერთსა და იმავე სტრიქონზე ერთისა და იმავე სიტყვის შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმა ერთად! ამაზე მეტი თავისუფლება და შეუზღუდველობა შეუძლებელია. აქედან ჩანს, რომ კუმშვის საკითხი თვით ძველ ქართულში ერთხელ მიღებული და დარჩენილი ტრადიციის საკითხია, ესაა ერთგვარი მოდა, გარკვეული შაბლონი, თავისუფალი და შეუზღუდავი, რომელსაც იყენებენ ისე, ვისაც როგორ სურს.

ბრუნვებს აქ, როგორც ჩანს, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს: ვითარებითს ბრუნვაში ერთ შემთხვევაში შეუკუმშავი ფორმაა მოცემული (საქმარად), ნათესაობითში—შეკუმშული (საქმრისა); მეორე შემთხვევაში კი, პირიქით: სწორედ ვითარებითშია შეკუმშული ფორმა (სასუმლად), ხოლო ნათესაობითში — შეუკუმშავი (სასუმელისა). ასევე ითქმის მოქმედებითის შესახებაც: აქ გეაქვს ფიცხელითა, მაგრამ: სამოსლითა. ასე რომ არ დაისმის საკითხი, თუ რომელი ბრუნვა და რომელი ბრუნვის ნიშანი უფრო მოქმედებს და უფრო იწვევს რედუქციას. აქ ყველგან თანაბარი მდგომარეობაა.

---

[1] სხვა ხელნაწერებში, კერძოდ, DE-ში ხაზგასმული სიტყვების შესატყვისად **მამაკაცი** და **დედაკაცი** აღებული (ი. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 28, 1946, ტ. 30—31 B, 1947).

[2] ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერ.-კავკ. I, გვ. 70—71.

მაგრამ აშკარად ჩანს მაინც რყევა სხვადასხვა ტიპის სიტყვათა კუმშვაში: თუ არ მარცვლიანი სიტყვები უფრო ექვემდებარებიან კუმშვას, ელ მარცვლიანები ასევე ნეტად გაურბიან მას. მეორე მხრივ, მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა არის მორფოლოგიურად ეს არ ან ელ: უველაზე მეტად კუმშვის უნარიანია მ—არ აფიქსებიანი მიმღეობანი (და-მ-წუ-არ-ი—და-მ-წუ-რ-ის-ა, მ-გბ-არ-ი—მ-გბ-რ-ის-ა, მ-კულ-არ-ი—მ-კულ-რ-ის-ა, და-მ-შდ-არ-ი—და-მ-შდ-რ-ის-ა), უველაზე ნაკლებად—მ—(ებ)-ელ, სა—(ებ)-ელ, უ—(ებ)-ელ აფიქსიანები, ეს უკანასკნელნი მაინც, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის უკუმშველია, აქა-იქ თუ შეიძლება შეგვხვდეს შეკუმშული ფორმები, ისიც უფრო მერმინდელ ძეგლებში და ახალი ფორმების მოძალების შედეგად.

6. წოდებითის, როგორც ბრუნვის, შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს დავა. ერთნი მას არ თვლიან ბრუნვად და უბრალოდ წოდებითის ფორმას, მიმართვის ფორმას უწოდებენ. ამ შეხედულებას იცავენ ა. ჩიქობავა[1] და ვ. თოფურია. ამ უკანასკნელს აღნიშნული საკითხისადმი სპეციალური წერილიც აქვს მიძღვნილი[2].

საწინააღმდეგო შეხედულებას იცავს ა. შანიძე, რომელსაც წოდებითი გარკვეულ ბრუნვად მიაჩნია და მას ადგილს ბრუნვათა შორის უძებნის. ა. შანიძესაც სპეციალური წერილი აქვს მიძღვნილი ამ საკითხისადმი[3].

ჩვენ აქ არ შევალთ ამ დავაში. ჩვენ ა. შანიძესთან ერთად წოდებითს ბრუნვად ვთვლით და საკმარისად მიგვაჩნია ის დასაბუთება, რომელიც ავტორს ჰოჰყავს მის ხსენებულ წერილში. ამიტომ წოდებითის ფორმას ჩვენ ქვევით ბრუნვათა შორის განვიხილავთ.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ თანხმოვანფუძიან სახელებში (როგორც კუმშვადებში. ისე უკუმშველებში) წოდებითის ნიშანი იყო ო: კაც-ო, ქმარ-ო, და სხვა.

მაგრამ ძველ ქართულში არის რამდენიმე თანხმოვანფუძიანი სახელი, რომელთაც წოდებითი ბრუნვა ფუძის სახით აქვთ წარმოდგენილი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ სახელებში წოდებითი ბრუნვა წრფელობითი ბრუნვის ფორმას იყენებს. ეს სახელებია: ისრაწლ, მაცხოვარ, მოძღუარ, სახიერ, ქველის-მოქმედ, ხუცეს[4].

---

[1] ა. ჩიქობავა, რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში: ახალ სკოლისაკენ, № 3, 1928, 29 — 39. ავტორს წოდებითი ბრუნვათა რიგიდან ამოღებული აქვს; მისიეე: რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას: ახალ სკოლისაკენ, № 4, 1929, გვ. 61—62. წოდებითი არც აქ ჩანს ბრუნვათა რიგში. ასევეა ამავე ავტორის სხვა შრომებშიც.

[2] ვ. თოფურია, წოდებითი ბრუნვისათვის: კომუნისტური აღზრდისათვის, № 1, 1935. (=სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 36—47)

[3] ა. შანიძე, წოდებითის ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 5, 1942. (=სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 48—55).

[4] ასეთსავე თვისებას გვიჩვენებს ხმოვანფუძიანი „კაცთ-მოყუარე" და „მოწყალე" („მრავალ-მოწყალე", „დიდად მოწყალე"), რომელთაც ცალკე აღარ განვიხილავთ.

ამათგან უმეტესობა ატრიბუტივს წარმოადგენს და ღმერთს, ქრისტეს მიემართება. ზოგი ამათგანი მიმღეობური წარმოშობისაა: მო-ძღუ-არ, (ქეე-ლის-)მო-ქმ-ედ, (ცათ-)მო-ყუ-არ-ე, მო-წყ-ალ-ე; ერთი უფროობითი ხარისხის ფორმას წარმოადგენს (ხ-უ-ც-ე-ს); ერთიც ჩვეულებრივი მიმართებითი ზედსართავია ი-ერ აფიქსებით (სახ-ი-ერ), ხოლო ერთადერთი მათგანი (ისრაჱლ) არსებითი სახელია და ცნობილ ხალხს აღნიშნავს: ცხადია, იგი ვერ იქნება ატრიბუტივად გამოყენებული და, მაშასადამე, ვერც მიემართება ქრისტესა და სხვას, იგი დამოუკიდებლად იხმარება. რაკი ამ სახელების უმეტესობა ქრისტეს (ე. ი. საკუთარი სახელის) ეპითეტს წარმოადგენს, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ამათ ხელი თავიანთი უძველესი ფორმა შეენარჩუნებინათ. ამ დაშვებას უფრო მეტად ამტკიცებს ის ნიშანდობლივი თავისებურება, რომ ამ ეპითეტებთან **უმეტეს შემთხვევაში** არა ჩანს თვით საზღვრული (ქრისტე), იგი მხოლოდ იგულისხმება, ე. ი. ამ საკუთარი სახელის შეგრძნობის (თუ გულისხმობის) მთელი სიმძიმე აღნიშნულ ეპითეტებს აწვება კისრად. ამიტომ, ვიმეორებთ, ადვილი იყო ამათ ასეთ გარემოცვაში **თავიანთი უძველესი ხახე შეენარჩუნებინათ.**

მაგრამ მოვიყვანოთ ჯერ მაგალითები.

1. ი ს რ ა Ჱ ლ: ისმინენ, **ისრაჱლ**, სიტყუანი ესე, 3 ეზრა 17, 28; რასა ითხოვს ღმერთი შენგან, ჲ **ისრაჱლ**, არამედ რაჲთა გეშინოდის მისა, ხანძთ. 101, 41[1].

ძალიან იშვიათად ეს სახელი შეიძლება შეგვხვდეს წოდებითის ო-ს დართვითაც: ჲ **ისრაჱლო**, სას. პოეზ. 77, 13.

ისრაჱლ-ი ძველ ქართულში ჩვეულებრივი საზოგადო სახელია; ის ისე იბრუნვის, როგორც ელ-ზე დაბოლოებული სხვა ჩვეულებრივი არსებითი სახელი, მათ შორის არავითარი განსხვავება არაა. მაგალითად:

ს ა ხ.: რომელმან დამწყსოს ერი ჩემი **ისრაჱლი**, მ. 2, 6; მ ო თ ხ.: ნუუკუე **ისრაჱლმან** არა იცნაა, ჰრომ. 10 19; მ ი ც.: რამეთუ სიბრძნე შეჰყვებოდა **ისრაჱლსა**, იქვე, 11, 26; ნ ა თ.: ხოლო **ისრაჱლიხაჯხ** ესრჱთ იტყჳს, იქვე, 10, 21 და სხვა.

2. მ ა ც ხ ო ვ ა რ: ცოდვილსა ამას მილხინე, **მაცხოვარ**, ჰილ-ეტრ. 90; რაჟამს დაეფალ, **მაცხოვარ**, გულსა ქუეყანისასა, ცანი იგლოვდეს, სას. პოეზ. 19, 3; განსუენებაჲ მიჰმადლე, **მაცხოვარ**, სასუფეველსა შენსა, Опис. 80, 9 ქვ.

---

[1] თვით გ. მ ე რ ჩ უ ლ ე ს აღნიშნული ადგილი მოყვანილი აქვს 2 შჯულიდან (10, 12). ბ. რ უ დ ე ნ კ ო ს მოჰყავს ეს ადგილი და შეცთომით ფიქრობს, რომ „ისრაჱლ“ სახელობითი ბრუნვის ფორმაა: Б. Т. Р у д е н к о, Грамматика грузинского языка, 1940, გვ. 83.

ეს და მსგავსი ფორმები უმეტესად სასულიერო პოეზიაში გვხვდება. მაგრამ ამათ გვერდით ხარაიშვიათად ონიანი მაგალითებიც არის წარმოდგენილი: ამისთჳსცა უღაღადებთ... კეთილის-მყოფელო ყოველთაო **მაცხოვარო** ჩუენო, დიდებაჲ შენდა, სას. პოეზ. 103, 39. აქ **მაცხოვარს** განსაზღვრებები ახლავს და შეიძლება ამას მიეწეროს ო-ს გაჩენა, მაგრამ იშვიათად შეიძლება ცალკე მდგარსაც ჰქონდეს წოდებითის ო: ღირს-მყენ ჩუენ შენ მადიდებელსა, **მაცხოვარო**, წმიდათა მოწამეთა შენთასა, ჰილ-ეტრ. 108 და სხვა [1].

3. მ ო ძ ღ უ ა რ: **მოძღუარ**, მიბრძანე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა, მ. 8, 21; **მოძღუარ**, გუნებავს შენგან სასწაულისა ხილვაჲ მ. 12, 38; **მოძღუარ**, რომელი მცნებაჲ უფროჲს არს შჯულსა შინა, მ. 22, 36; **მოძღუარ**, არას ჰზრუნავა, რამეთუ წარეწყმდებით. მრ. 4, 38; **მოძღუარ**, პური ვაშე, ი. 4, 31 ც.

იშვიათად ამ სახელს წოდებითში აღმოაჩნდება გვიანდელი ო-ც: თქუენ მხადით: **მოძღუარო** და უფალო, და კეთილად სთქუთ, რამეთუ მე ვარ, ი. 13, 13. შეიძლება აქ ეს ო იმიტომ იყოს წარმოდგენილი, რომ მის გვერდით მეორე სახელიცაა წოდებითში დასმული, რომელსაც ამ ბრუნვაში ბუდამ ო ჰქონდა (უფალო), და ერთმანეთთან შეუძლებლად მიიჩნიეს სხვადასხვანაირად გაფორმება ამ სახელებისა: მოძღუარ და უფალო(?). აღსანიშნავია, რომ ადიშის ოთხთავში ორივე სახელი ერთნაირი ფორმითაა მოცემული, ოღონდ სხვა (მოქმ.) ბრუნვაში: თქუენ მხადით მე **მოძღურიო** და უფლით. ცხადი უნდა იყოს, რომ „მოძღუარ"-ისათვის ო-ს დამატება „უფალო"-ს ბრალია და მისგანაა გამოწვეული.

ოთხთავში კიდევ არის სამი შემთხვევა, როცა ამ სახელს წოდებითში ო აქვს: **მოძღუარო** სახიერო, რაჲ-მე კეთილი ვქმნე, რაჲთა მაქუნდეს ცხორებაჲ საკუნოჲ, მ, 19, 16 [2]; მრ. 10, 17; ლ. 18, 18. მაგრამ სამივე შემთხვევაში ერთი და იგივე ადგილია გადმოცემული და სამივე შემთხვევაში ამ სახელს ახლავს მსაზღვრელი „სახიერო", რასაც უნდა მიეწეროდეს

---

[1] გ. ტ ა ბ ი ძ ე ს ერთ-ერთ თავის ცნობილ ლექსში („შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში") ეს სიტყვა წოდებითს ბრუნვაში ნახმარი აქვს სწორედ ძველებური ფორმით, უონოდ:

დაჰკრიან უდაბნო ქარები,
მტანჯავენ და ეიცი: გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ხარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!

(გ. ტ ა ბ ი ძ ე, ლექსები, 1927, გვ. 247)

სხვა საკითხია, არის ეს licentia poetica (რითმისათვის დასჭირდა ავტორს), თუ ძველებური ხელნაწერების კითხვისას პოეტის მეხსიერებაში დარჩენილი ზომხიბლავი ფორმა. ფაქტია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს საინტერესო დამთხვევასთან: როგორც პოეტს აქვს გამოყენებული, სწორედ ასევე იხმარებოდა ის ძველად, თუ ეს სახელი წოდებითში იყო დასმული.

[2] ეს ადგილი ასევეა წარმოდგენილი აგრეთვე ხანმეტ ნაწყვეტშიც: ი. ჯავახიშვილი„ ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 340.

„მოძღუარო“-ს ო-ს გამოწვევა. მაგრამ ეს ონიანი ფორმა მაინც მერმინდელია, უფრო ძველი ვითარება შემონახული უნდა ჰქონდეს ადიშის ოთხთავს, სადაც ამ სამი ადგილიდან ორი მართლაც ამ ო-ს გარეშეა წარმოდგენილი: **მოძღუარ ძველის-მოქმედ**, რაჲ კეთილი ექმნე, რაჲთა მაქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, მ. 19, 16 C: მრ. 10, 17 C. როგორც ვხედავთ, აქ ჯერ კიდევ არა აქვს წოდებითის ო არც საზღვრულს (მოძღუარ), არც მის მსაზღვრელს (ქველის-მოქმედ). ადიშის ოთხთავის მესამე ადგილი (ლ. 18, 18) კელაე „მოძღუარო სახიერო“-ს იმეორებს, რადგან, როგორც ცნობილია, ამ წიგნის ეს ადგილი არ წარმოადგენს ე. წ. ადიშურ რედაქციას, ის სხვა რედაქციის ტექსტითაა შევსებული[1].

სხვა შემთხვევები ამ სახელთან ო-ს გამოყენებისა მერმინდელი მდგომარეობის გავლენით უნდა ავხსნათ, მაგალითად: **მოძღუარო**, ხანძთ. 129, 6; საღმრთოო **მოძღუარო**, იქვე, 140, 40; სტეფანე, **მოძღუარო** ღმრთის მსარებისაო, ისტ. ქრესტ. 291, 8; და ეთქუ: რაჲ არს, **მოძღუარო**, სვან. 255 ს.

როდესაც ეს სახელი (მოძღუარ) შედის კომპოზიტში „მღდელთ-მოძღუარი“, ე. ი. როცა მას სხვა მნიშვნელობა აქვს და თანაც ისევ მსაზღვრელი ახლავს, მაგრამ ამ შემთხვევაში წინ დასმული, იგი, როგორც ჩვეულებრივ სხვა სახის მსაზღვრელთან, ონ-დართული ფორმით გვევლინება: განერი ღელვათა უგუემელად, **მღდელთ-მოძღუარო** გრიგოლი, სას. პოეზ. 132, 121; აღეგზენ შენ საცნაურითა საღმრთოჲსა მის შურისა ცეცხლითა, ღირსო **მღდელთ-მოძღუარო** გრიგოლი, იქვე, 132, 124; **მღდელთ-მოძღუარო** კლიმი და აღათანგელოზ ღირსო, იქვე, 126, 155; და განშუენდი ქრისტეს ეკლესიასა, **მღდელთ-მოძღუარო** იოვანე, იქვე, 134, 10.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველა აქ მოყვანილ შემთხვევაში ეს „მღდელთ-მოძღუარი“ წარმოადგენს მსაზღვრელს, მას მოსდევს თავისი საზღვრული (გრიგოლი, კლიმი, იოვანე), მაგრამ ეს აქ არ თამაშობს განსაკუთრებულ როლს, რადგან ჩვენ გვხვდება ეს რთული სახელი გარკვეული საზღვრულის გარეშეც. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაშიც ამ ჩავარდნილ საზღვრულად გარკვეული პიროვნება ადვილად იგულისხმება. მაგალითები: მზის-თუალის სახედ გამოჰბრწყინდი, წმიდაო **მღდელთ-მოძღუარო**, და განანათლენ ყოველნი ცის-კიდენი, სას. პოეზ. 202, 36; შეიღება სისხლითა მით შენითა, **მღდელთ-მოძღუარო**, საღმრთოჲ იგი ტრაპეზი, იქვე, 127, 183. ამ მაგალითებიდან პირველ შემთხვევაში საზღვრულად ბასილი იგულისხმება, მეორეში — კლიმი.

4. სახიერ: ვერ თაეს-იდევ ხილვად, **სახიერ**, სამეუფოჲსა ხატისა შენისა, ი. ჯავ. აღწ. 157, 23; პალ. ალბ. 98, 2; მშჯდობაჲ მიეც, **სახიერ**,

[1] ი. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 28, 1946; ტ. 30—31B, 1947.

საყუარელთა მათ წენთა ძოწაფეთა, სას. პოეზ. 18, 37: გარდასცეალე უკუდავებად, **სახიერ**, სას. პოეზ. 111, 253.

ყველა აქ მოყვანილ მაგალითში „სახიერ“ ცალკე შედიოდა როგორც ერთადერთი თვალსაჩინო ფორმა მიმართვისა, რომელსაც თან არ ახლავს სხვა მსაზღვრელი თუ საზღვრული. უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც ასეთ შემთხვევაშიც იხმარება ონ-დართული ფორმაც, რაც შემდეგდროინდელი ამბებით უნდა იყოს გამოწვეული: აჩუენე, **სახიერო**, თჳთებად ორთა ბუნებათა, სას. პოეზ. 217, 125; დიდებად შენდა, **სახიერო**, Ошис. 166, 5: შემოსე მე, **სახიერო**,... სამოსელი იგი უხრწნელებისად, სას. პოეზ. 229, 28.

უფრო ხშირად ეს მერმინდელი ო თავს მაშინ იჩენს, როდესაც აღნიშნული სახელი (სახიერო) თვით გვეელინება მსაზღვრელად: მიუწდომელო ღმერთო **სახიერო**,... ესე ვედრებად შეიწირე, Ошис. 225, 7; მოვედ აწ, ჲონაო **სახიერო** და სარწმუნოო, მუშაკო ქრისტეს ვენაჳისაო, სას. პოეზ. 119. 124.

მნიშვნელობა არა აქვს, რასაკვირველია, იმას, თუ რომელ ადგილზე იჱყოფება ეს მსაზღვრელი: საზღვრულის წინ, თუ მის შემდეგ. უკანასკნელის მაგალითები ზემოთ იყო ნაჩვენები, პირველის ნიმუში იქნებოდა: კეთილ, **სახიერო** მონაო, რამეთუ მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, იყავ შენ კელმწიფე ათთა ქალაქთა ზედა, ლ. 19, 17.

5. ქველის-მოქმედ: მოძღუარ **ქველის-მოქმედ**, რად კეთილი ეჴმნე, რადთა მაქუნდეს ცხორებად საუკუნოდ, მ. 19, 16 C; მრ. 10. 17 C; უფალო **ქველის-მოქმედ**, ლიტ. ურთ. 104, 14; წჱიდა-ყავ შესაველებელი ესე ჩუენი..., **ქველის მოქმედ** და კაცთ მოყუარე, ჰილ-ეტრ. 235; ჱხოლოო **ქველის-მოქმედ**, აცხოვნენ სულნი ჩუენნი, იქვე 78; **ქველის-მოქმედ** მაცხოვარ, დამიფარენ მარჯუენეთან შენთან, იქვე. 121; გეეედრებით, **ქველის-მოქმედ**, მაცხოვარო ჩუენო, იქვე, 118; უხაროდა სასოებითა სასუფეველისა შენისათა, **ქველის-მოქმედ** ქრისტე, ღმერთო ჩუენო, იქვე, 108.

ამ ძველისძველი წარმოშობის ფორმებთან ერთად გეხვდება აგრეთვე უფრო გვიანდელი, ონ-დართული სახეც ამ ბრუნვისა: ჱხოლოო **ქველის-მოქმედო** და მოყუარეო, Ошис. 155, 6 ქვ.; უფალო კაცთ-მოყუარეო და **ქველის-მოქმედო**, იქვე, 156, 6; შემიწყალე, **ქველის-მოქმედო** ღმერთო, და მაცხოვნე მე, ჰილ-ეტრ. 111.

ასეთი ახალი ფორმებისათვის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს ზემოთ მოყვანილი მაგალითები, რომლებშიც საზღვრული ონით არის მოცემული, ქველის-მოქმედს კი ჯერ ეს ო არ შეუძენია: უფალო **ქველის-მოქმედ**, ლიტ. ურთ. 104, 14. ასეთივეა აგრეთვე შემთხვევა, როცა წოდებითის ო მსაზღვრელს აქვს, ქველის-მოქმედი კი საზღვრულადაა წარმოდგენილი და ისევ ფუძის სახით გვეელინება: **მხოლოო ქველის-მოქმედ**, ჰილ-ეტრ. 78.

6. ხუცეს: მოხუმზადე შესაწირავი, **ხუცეს**, ერსა და მოვიდეს, ისტ. ქრესტ. 25, 22; **ხუცეს**, და მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ, შუშ.

147, 39; **ხუცეს**, მაგას ნუ იტყჳ, იქვე, 151, 14; **ხუცეს** მიუძღუანოა სამკაული ესე მისი, იქვე, 151, 23; **ხუცეს**, რად მწუხარე ხარ, იქვე, 157, 3: ჩემდა მოიხილე, **ხუცეს**. ისტ. ქრესტ. 297, 34; ნუ დაშურები, **ხუცეს**, თხრად ბორცუსა მას ოდენ, იქვე, 300, 22 და სხვა.

იშვიათად აქაც გვაქვს ონიანი ფორმები: და მრქუა პირველ-მოწამემან სტეფანე: **ხუცეხო**! და ვთქუ: იტყოდე, უფალო, პარხ. 124 a; ესე და ესე ჩუენებით ბრძანებულ არს შენდა თქუმად, უფალო **ხუცეხო**, იქვე, 127 a; **ხუცეხო**, ნუ განებავს ბორცხსა თანა საქმედ, იქვე.

ეს უკანასკნელი ადგილი ამ ხელნაწერისა (A 95) უდრის ზემოთ მოყვანილ მოწმობას (ნუ დაშურები, **ხუცეს**, თხრად ბორცუსა მას ოდენ) მეორე ხელნაწერისას (A 19) და, როგორც ვხედავთ, სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი ორსავე ხელნაწერში. ცხადია, უფრო ძველი ვითარება ამ შემთხვევაში სვანურ მრავალთავს (A 19) აქვს დაცული. აქ, ამ მაგალითზე ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ თანდათანობით და გულმოდგინედ ცვლიან შორეული წარსულის ფორმებს ახლით. ასეთი გზა უნდა ჰქონდეს განვლილი აქ მოყვანილ ყველა სხვა სახელს.

ორი დარჩენილი სახელი (კაცთ-მოყუარე, მოწყალე), როგორც ვთქვით, ხმოვანფუძიანია, თავისებურს არაფერს შეიცავს და აქ ცალკე აღარ შევეხებით.

ჩვენ ზემოთ ვუჩვენეთ, რომ ძველი „მოძღუარ“-ის გვერდით გვხვდება ხოლმე ახალი „მოძღუარო“. ეს თავისებურება მარტო ამ „მოძღუარ“-ს არ ეხება. ზემოთ ჩვენ საკმაო სიცხადით დავადასტურეთ ერთმანეთის გვერდით არსებობა ისეთი საწინააღმდეგო, ძველი და ახალი ფორმებისა, როგორიცაა ხუცეს და ხუცესო, მაცხოვარ და მაცხოვარო, სახიერ და სახიერო, ქველის-მოქმედ და ქველის-მოქმედო, ისრაჱლ და ისრაჱლო და სხვ. ეს გარემოება სრულებით არაა შემთხვევითი, პირიქით, ეს ენის განვითარების შინაგანი კანონების ერთ-ერთი გამოვლინებაა, როცა ერთდროულად გვაქვს ხოლმე ენაში ძველი, დრომოჭმული და კვდომის გზაზე დამდგარი ფორმები, ერთი მხრივ, და ახალი, თანდათან რომ იკაფავს გზას და მტკიცდება და ძლიერდება, ფორმები, რომლებსაც მომავალი ეკუთვნის, მეორე მხრივ. აი ამ ძველის, თანდათანობით რომ კვდება, აქა-იქ შემორჩენილი ნაშთია მოძღუარ, ხუცეს და მსგავსი ფორმები.

„ისრაჱლის“ მაგალითზე ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ეს სახელი ყველა სხვა ბრუნვაში ჩვეულებრივად იბრუნება, ის მხოლოდ წოდებითში ამჟღავნებს თავისებურებას. ასევე უნდა ითქვას ყველა სხვა ზემოთ განხილული სახელის შესახებაც: ყველა ისინი ჩვეულებრივად იბრუნვიან, სხვა ბრუნვები ყველა მათგანს ჩვეულებრივი წესით აქვთ ნაწარმოები, თავისებურებას ყველა ისინი მხოლოდ წოდებითში იჩენენ, აქ წრფელობითი ბრუნვის ფორმით გვევლინებიან.

რატომ ხდება ეს ასე?

როგორც არაერთხელ იყო ზემოთ აღნიშნული, **სახიერ**, **მაცხოვარ** და სხვა უფრო ძველია, პირველადია, ხოლო **სახიერო**, **მაცხოვარო** და სხვა —

შედარებით უფრო ახალი, მეორეული. თავდაპირველად ყველა სახელი წოდებითი ბრუნვისათვის წრფელობითი ბრუნვის ფორმას (ანუ სუფთა ფუძეს) იყენებდა. ამ მხრივ არ იყო განსხვავება საკუთარ და საზოგადო სახელთა შორისაც. საკუთარმა სახელებმა ასეთი მდგომარეობა დღემდისაც შემოინახეს, ხოლო საზოგადო სახელებმა ამის შემდეგ ორი საფეხური გამოიარეს: ჯერ იყო და, სახელობითი ბრუნვის წარმოქმნასთან ერთად მათ წოდებითის გამოსახატავად ამ ახლად ჩამოყალიბებული ბრუნვის ფორმა გამოიყენეს. ამ მდგომარეობის ასახვა უნდა გვქონდეს შემდეგს მაგალითებში:

1) და შენ, ბეთლემ, **ქუეყანაჲ ეგე იუდაჲსი**, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა, მ. 2, 6 D. „ქუეყანაჲ ეგე იუდაჲსი“ წოდებითი ბრუნვის შინაარსს შეიცავს, რასაც ბერძნული შესატყვისი ადგილიც ამტკიცებს: καὶ σὺ, Βηθλεὲμ, γῆ Ἰούδα[1].

ჩვენთვის საინტერესო სახელი ამ სახით ოთხთავის აღნიშნული ადგილიდან გადასულია სხვა ხელნაწერებშიც, მაგალითად: და შენ, ბეთლემ, **ქუეყანაჲ ეგე იუდაჲსი**, არასადა[2] უმწემჱს ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა, კიმ. I, 186, 29. ნ. კიდევ ი. ჯავ. აღწ. 84, 12. ქვ.; სას. პოეზ. 80, 131; მრავ. 285, 11.

უფრო მოგვიანო დროის ქართულით ეს ადგილი ასე იქნებოდა წარმოდგენილი: და შენ, ბეთლემ, ქუეყანაო იუდაჲსო, რაც გვაქვს კიდეც მთელ რიგ ხელნაწერებში, მაგალითად: და შენ, ბეთლემ, **ქუეყანაო იუდაჲსო**, არა[3] ნაკლულევან ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა, სვან. 36 a; მრავ. 268, 13; სას. პოეზ. 76. 8.

2) მიუგო იესუ და ჰრქუა მას: **ჱ ნათესავი ურწმუნოჲ და გულარძნილი**! ვიდრემდის თქუენ თანა ვიყო, ვიდრემდის თავს-ვიდებდე თქუენსა, მ. 17, 17; მრ. 9, 19; ლ. 9, 41. რომ აქ ხაზგასმული სახელები წოდებითის შინაარსით არის ნახმარი, ამაში გვარწმუნებს: ა) ბერძნული შესატყვისი ადგილი, სადაც ჩვენთვის საინტერესო სახელები სწორედ წოდებითის ფორმით არის გადმოცემული. Ὦ γενεὰ ἄπιστος καὶ διεστραμμένη და ბ) ადიშის ოთხთავის შესატყვისი ადგილი, რომელშიც ახალი, ონიანი ფორმა არის მოცემული: **ჱ ნათესავო ურწმუნოო და გულარძნილო**, მ. 17, 17 C. ასევე ონით არის ეს სიტყვები გადმოცემული ამავე ძეგლის მეორე ადგილასაც (მრ. 9, 19 C), მაგრამ მესამეგან (ლ. 9, 41 C) ისევ ინიანი (სახელობითის) ფორმაა წარმოდგენილი. აიხსნება ეს იმით, რომ ადიშის ოთხთავის ეს ადგილი არ ეკუთვნის ე. წ. ადიშურ რედაქციას, ის აქ სხვა რედაქციის ტექსტიდანაა შემოტანილი.

3) რამეთუ ეტყოდა მას იესუ: **ხული ეგე არაწმიდაჲ**, განეედ კაცისა მაგისგან, მრ. 5. 8. „სული ეგე არაწმიდაჲ“ ნიშნავს შემდეგდროინდელ

---

[1] ეს ადგილი მსგავსი ფორმით (წოდ.) არის მოცემული სხვა ძეგლებშიც.

[2] გამოც.: არაჲ სადა.

[3] ხელნ.: არაჲ.

გამოთქმას: „სულო არაწმიდაო" და ამ აზრითაც არის ნახმარი; ეს მტკიცდება იმავე ორი საბუთით, ზემოთ რომ იყო მოყვანილი: ბერძნული შესატყვისითა და ადიშის ოთხთავის ჩვენებით: ბერძნულში წოდებითია გამოყენებული (τὸ πνεῦμα τὸ ἀκάθαρτον), წოდებითია აგრეთვე წარმოდგენილი ადიშის ოთხთავშიც: განვედ, **სულო არაწმიდაო**, მაგის კაცისაგან!

4) გიცით შენ, ვინ ხარ, **წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ**, მრ. 1, 24 DE. ადიშის ოთხთავში ამ ადგილას წოდებითის ონიანი ფორმებია მოცემული: გიცი შენ, ვინ ხარ, **წმიდაო ღმრთისაო** (იქვე C).

ასეთივე ხასიათისაა აგრეთვე ქვემოთ მოყვანილი სხვა მაგალითებიც, რომლებიც სხვადასხვა ხელნაწერებიდან არის ამოღებული:

5) საკვედარი ეგე ჩემი ეტლთა შინა ფარაოჲსთა გამსგავსე შენ, **მახლო ბელი ეგე ჩემი**, იპოლ. 8, 107. ამ წინადადების „მახლობელი ეგე ჩემი" წოდებითის შინაარსითაა ნახმარი. მართლაც, „მახლობელი" ცოტა ქვემოთ წოდებითის ონით არის გადმოცემული: საკვედარსა მას ჩემსა გამსგავსე შენ ეტლთა მათ ფარაოჲსთა, **მოახლებულო** ჩემდა, იქვე, 8, 120 (მახლობელი ეგე ჩემი=მოახლებულო ჩემდა).

6) და თუ არა საცნაურ იქმნე, **შუენიერი** დედათა შორის, რომელ-ეგე იქადოდე და იტყოდე, იქვე, 7, 10. რომ აქ **შუენიერი** წოდებითის შინაარსითაა გამოყენებული, ამას ამტკიცებს ამავე სახელის გადმოცემა სწორედ წოდებითის ო ნიშნით მოყვანილი ტექსტის ცოტა ზემოთ: უკუეთუ არა საცნაურ იყო შენ, **შუენიერო** დედათა შორის, იქვე, 7, 5.

7) იხარებდ, **ქუეყანაჲ**, მკჳდრითურთ, სას. პოეზ. 74, 131.

8—9) **ღმერთი ეგე წარმართთაჲ**, მეტყოდე მე, პარხ. 811ს; **ღმერთნი ეგე წარმართთანი**, მეტყოდეთ მე, რამეთუ რისხვით და გულის-წყრომით მოსრულ ვარ თქუენ ზედა, პარხ. 812a.

10) და აწ განძლიერდი, ზორობაბელ, იტყჳს უფალი, და განძლიერდი, ისო იოსედეკისო, **მღდელი ეგე დიდი**, ანგეა 2, 4.

11) მხიარულ იყავ, **ასული** ეგე, იერ. განჩ. 68.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი 11 მაგალითიდან უმეტესობა (8) ისეთებია, რომლებშიც სახელები განსაზღვრულია, მათ ახლავთ განსაზღვრული ნაწევარი **ეგე**[1] (ქუეყანაჲ ეგე, სული ეგე, წმიდაჲ ეგე, მახლობელი ეგე, ღმერთი ეგე, ღმერთნი ეგე, მღდელი ეგე, ასული ეგე). კაცს შეუძლია, ამიტომ, იფიქროს, სწორედ ეს ნაწევარია მიზეზი, რომ წოდებითი არაა გამოყენებული, რომ წოდებითს ერიდება ენა, წოდებითში **ეგე** (და არც სხვა ნაწევარი) არ იხმარებაო. ამაზე უნდა შევნიშნოთ, რომ **ეგე** ნაწევარი უეჭველია, **აბრკოლებს** წოდებითის გამოყენებას; მართლაც, განსაზღვრული სახელის გადატანა წოდებითში შეუძლებელია, მაგრამ ეს გარემოება რომ არ არის,

[1] ზოგ მათგანს ამასთან ერთად სხვა განსაზღვრებაც ახლავს (მღდელი ეგე დიდი).

ერთადერთი მიზეზი, იქიდანაც ჩანს, რომ ამ 8 მაგალითის გარდა კიდევ რჩება 3 შემთხვევა, სადაც ნაწევარი ეგე[1] არა ჩანს, მაგრამ სახელი მაინც სახელობითი ბრუნვის ფორმით გამოხატავს წოდებითის შინაარსს (ნათესავი, შუენიერი, ქუეყანაჲ). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ სამი სახელიდან ერთი (ქუეყანაჲ) ორივე სახით გვხვდება: ნაწევრით და უნაწევროდ, მაგრამ ორივე შემთხვევაში სახელობითში დგას. აქედან ცხადია, რომ ნაწევარი ხელს უწყობს სახელს სახელობითში იდგეს, ნამდვილად კი ამ მოვლენას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ეს სახელობითი ძველი ვითარების ნაშთია, როცა სახელი წოდებითის შინაარსისათვის სახელობითს იყენებდა.

დასკვნა, რომელიც ზემოთ თქმულიდან უნდა გამოვიტანოთ, შემდეგია: მას შემდეგ, რაც ქართული ბრუნების სისტემაში გაჩნდა სახელობითი და თანდათანი გაქრობის გზას დაადგა წრფელობითი, ამ ახლად მოვლენილი ბრუნვის ფორმა გამოიყენეს მიმართვის სახელებმა. მაგრამ ამ მდგომარეობაში ყოფნა მათ დიდხანს არ მოუხდათ. მალე თვით მათ გაუჩნდათ ბრუნვის ნიშანი ო და ამით საბოლოოდ მოეღო ბოლო მათ მიერ საკირო ფორმათა სესხებას ხან ერთი (წრფ.), ხან მეორე (სახ.) ბრუნვისაგან. ამ საკუთარი ფორმის გაჩენა არც ისე შორეულ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, რადგანაც თვით ძველ ქართულში არაიშვიათად გვხვდება ჩვენ ამ (მიმართვითი) სახელების მიერ განვლილი ორივე საფეხურის აშკარა კვალი (I. წოდ=წრფ.; II. წოდ.=სახ.: მოძღუარ, ქუეყანაჲ ეგე).

სხვა საკითხია, თუ საიდან არის წარმოშობილი წოდებითი ბრუნვის ეს ნიშანი: არის ის ის ბგერა, რომელიც ძველსავე ქართულში წინ უძღოდა ამ ბრუნვაში დასმულ სახელს („აღდეგ სწრაფით, ჱ დედაკაცო, და წარვედ სახიდ შენდა", კიმ I, 217, 27), თუ სულ სხვა წარმოშობისაა[2]. ფაქტი ის არის, რომ ამიერიდან წოდებითს (საზოგადო სახელებისათვის) თავისი საკუთარი ნიშანი მოეპოვება და სხვაზე აღარაა დამოკიდებული. მაშასადამე, წოდებითმა ბრუნვამ დღემდე განვითარების სამი საფეხური გამოიარა: I. პირველად იგი თავისი მიზნისათვის წრფელობითს ბრუნვას იყენებდა (მოძღუარ, სახიერ). ადამიანთა სახელებში ეს ფორმა შერჩა მას დღემდისაც, რადგანაც ეს სახელები წოდებითში დღესაც ფუძის სახით არის წარმოდგენილი (პლატონ! დავით! თამარ! გიორგი!). II. სახელობითის ჩამოყალიბების შემდეგ იგი ამ ბრუნვას დაესესხა (ქუეყანაჲ ეგე, ჱ ნათესავი). III. ბოლოს გაუჩნდა მას სპეციალური ნიშანი ო და საკუთარი სახე მიიღო (მოძღუარო

---

[1] სხვა ნაწევარი (ესე, იგი) აქ უადგილოა, რადგანაც წოდებითის ფორმა მიმართვისას იხმარება, ხოლო მიმართვა ეხება მხოლოდ მეორე პირს. განსახღვრულ ნაწევრებში მეორე პირს შეეფერება მხოლოდ ეგე (ესე პირველი პირისათვისაა განკუთვნილი, იგი — მესამისათვის).

[2] დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ ნ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, წოდებითი ბრუნვისათვის: კომუნისტური აღზრდისათვის, № 1, 1935; ა. შ ა ნ ი ძ ე, წოდებითის ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში: საქ. მეც. აკად. მოამბე, ტ. III, № 5, 1942.

სახიერო, ქუეყანაო იუდაჲსო, ნათესაოო ურწმუნოო). აი, განვითარების ამ სამსაფეხურიანი სისტემის პირველი საფეხურის გადმონაშთები უნდა იყოს ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ფორმები წოდებითისა (მოძღუარ, ხუცეს, სახიერ და სხვ.).

საინტერესოა აქ აღინიშნოს შემდეგიც: წოდებითი ბრუნვის მიერ განვლილი საფეხური, რომელზედაც ჩვენ გვქონდა ლაპარაკი, პირველია, მაშასადამე, ყველაზე უძველესი. თვით ამ (გადმონაშთ) სახელთა აგებულება და შინაარსიც ამ სიძველეზე მიუთითებს. ამათგან „მოწყალე“-ს შესახებ კარგა ხანია მოგვეპოვება ი. ჭავჭავაძის ძვირფასი და გონებამახვილური დაკვირვება და დასკვნები, რომლებიც სინამდვილეს კარგად უნდა ასახავდნენ[1]. ეს დასკვნები შემდეგ თავისებურად შეფასებული და გამოყენებული აქვს თავის შრომაში ი. ჯავახიშვილს[2]. „ხუცეს“-ის სიძველე კარგად არის ცნობილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში[3]. იგი ყურადღებას იქცევს თავისი ძველი შინაარსითაც (=უფროსი; შდრ. სვან. ხოშა და მეგრ. უჩაში=უფროსი) და, უფრო მეტად, ფორმითაც: სხვა რომ არა იყოს რა, ეს არის ერთადერთი სახელი უფროობითი ხარისხისა, რომელმაც შემოგვინახა უძველესი (ხანმეტი) წარმოება: ხ-უ-ც-ე-ს-ი.

აქ აღსანიშნავია აგრეთვე მიმღეობური წარმოების უძველესი სახეც:

მო-ძღუ-არ, ე. ი. ვინც უძღვის;
მო-ქმ-ედ, ე. ი. ვინც იქმს, ვინც აკეთებს;
მო-ყუ-არ-ე, ე. ი. ვინც სხვას ჲყვარებს, ვისაც სხვა უყვარს.

ასეთივე წარმოშობისაა აგრეთვე მო-წყ-ალ-ე-ც.

პირველი შეხედვით „მა-ცხოვ-არ“-იც მიმღეობის ფორმა ეგონება კაცს, მაგრამ ნამდვილად იგი უნდა მომდინარეობდეს სახელური ფუძიდან ცხოვ-არ: მა-ცხოვ-არ-ი და სა-ცხოვ-არ-ი საპირისპირო ფორმებია, რომლებშიც თავსართები (მა, სა) კლას-კატეგორიის ნიშნადაა მიჩნეული: მ ადამიანთა კლასისა, ს ნივთის კლასისა, არ ყველგან დეტერმინანტი სუფიქსია[4]. შინაარსით იგი ნიშნავს იმას, ვინც აცხოვრებს, ვინც აცოცხლებს, მერმე: ვინც იხსნის, ვინც გადაარჩენს, ე. ი. მხსნელს, спаситель-ს („სა-ცხოვ-არ“-იც ის არის, რაც აცხოვრებს, შემდეგ საერთოდ საქონელი, შემდეგ, დავიწროებული მნიშვნელობით — ცხვარი)[5].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული, ტ. VI, 1927, გვ. 97.

[2] ი. ჯავახიშვილი, ი. ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, ენიმკის მოამბე, ტ. II, გვ. 12.

[3] ნ. მარი, Грам. გვ. 60—61, 69; ა. შანიძე, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. II, 1922 — 23, გვ. 410; მისივე: პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. I, 1936, გვ. 338; მისივე: გრამ. საფუძვ. გვ. 96, 145.

[4] ა. ჩიქობავა, სახ. ფუძ. გვ. 160—161.

[5] იქვე, გვ. 161—163.

აქ ნაჩვენები სიტყვათა მაწარმოებელი აფიქსები (მო—არ, მა—არ, მო—ედ, მო—არ-ე) წარმოშობით ძალიან ძველია და სიძველის გამო დიდი ხანია მკვდარია და ახალ სალიტერატურო ენაში სრულებით არაა გამოყენებული. უყურადღებოდ არც ის გარემოება შეიძლება დავტოვოთ, რომ ყველა აქ აღნიშნულ სახელს პრეფიქსად სწორედ მანით შემდგარი ფორმანტი მოეპოვება (მ—ო, მ—ა), ეს მანი კი ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებაში დიდ სიძველეზე მიუთითებს[1]. ყველა ამის გამო ჩვენ გვგონია, სრულებით არაა შემთხვევითი, რომ წოდებითი ბრუნვის განვითარების ზემოთ აღნიშნული პირველი, უძველესი საფეხურის ნაშთები სწორედ ამ უძველესი წარმოშობის სახელებში შემოგვენახა[2].

წოდებითი ბრუნვის წარმოებას ძველ ქართულში აქვს კიდევ სხვა თავისებურებანი.

1) ერთი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი უცხო ენიდან (უფრო მეტად ბერძნულიდან) შემოსული საზოგადო სახელი ამ ბრუნვაში უნიშნოდაა წარმოდგენილი. მოვიყვანოთ ჯერ მაგალითები:

1. **ეპისკოპოს**: ამას კაცსა ნამარხევად მიგითუალავ, ჱ **ეპისკოპოს**, მოწამებითა ღმრთისაჲთა, მამ. სწაე. 320; მომეც მე, ჱ **ეპისკოპოს**, ნამარხევი იგი ჩემი, რომელი მიგეც შენ მოწამებითა ღმრთისაჲთა, იქვე, 441; წმიდაო **ეპისკოპოს** სტეფანე, ლიტ. ურთ. 197, 5.
2. **დიაკონ**: მრქუა მე: ძმაო **დიაკონ**, ჩუენებაჲ ვიხილე და ფრიად შეძრწუნებულ ვარ, პარხ. 1244; მაშინ მრქუა მე ეპისკოპოსმან: უფალო **დიაკონ**, ვიხაროთ დღეს ანგელოზთა თანა, ღმრთისა თანა, იქვე, 1250; მრქუა მე: ძმაო **დიაკონ**, ოდეს მიხჳდე იერუსალჱმდ, მოიძიე მონაზონი საჳურისი, იქვე, 1254.
3. **პატრიაქ**: ირწმუნე ჩემი, ჱ **პატრიაქ**, რამეთუ არა არს შენდა შენდობა, პარხ. 921 b.
4. **კეისარ**: ჰრქუა მას კეისარმან: ცოცხალ ხარა? ხოლო მან ჰრქუა: ცოცხალ ვარ, უფალო **კეისარ**, PO, 103, 10; აწ უკუე იგი კეისარ-ყოფად არსა? პატროკლე ჰრქუა: ჰე, **კეისარ**, იქვე, 103. 15; კმა-არს, **კეისარ**, რამეთუ კაცნი ესე ჩუენნი არიან და ჰჯოც ჰრომთა ერსა, იქვე, 105, 8.

ყველა ეს სახელი სხვა ბრუნვებში ჩვეულებრივი, საზოგადო სახელებისათვის დამახასიათებელი ფორმით არის წარმოდგენილი, მაგალითად: ქრისტე, დაჲით **ეპისკოპოსი** კრებულითურთ... შეიწყალე, ბოლნ. წარწ.;

---

[1] ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი.

[2] ნ. ჩქენი „წრფელობითი ბრუნვის საკითხისათვის ძველ ქართულში, 1941, საკანდ. დისერტაცია, გვ. 206 — 224 (ხელნაწერი); ჩქენივე: წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში: პუშკინის სახ. თბ. სამასწ. ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1943, გვ. 269 — 289; სტ. ჩხენკელი: საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 25, 1945, გვ. 162 — 165.

ვითარ ესმა ესე **ეპისკოპოსსა** მას, განრისხნა მის ზედა ფრიად. კიმ. I, 283, 19; და მასვე ჩუენებასა მრქუა მე **ეპისკოპოსმან**, ისტ. ქრესტ. 299, 5; და ოდეს ჴმა-ყო **დიაკონმან** მან, პარხ. 1245; ხოლო პატროკლეს ეშინოდა შესლვად **კეისრისა**... ჰრქუა მას **კეისარმან**, PO, 103, 7; ჰრქუა ნერონ **კეისარსა** დიდითა ჴმითა წმიდამან პავლე, იქვე, 108, 4.

ყველა ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ამ სახელთა ბრუნებისას თაეისებურებას ადგილი აქვს მხოლოდ წოდებითში. რით უნდა იყოს გამოწვეული ეს გარემოება? რომ დავუკვირდეთ აქ წარმოდგენილ სახელთა შინაარსს, ადვილად შევნიშნავთ, რომ ოთხივე მათგანი **პიროვნებას** წარმოადგენს და გარკვეულ სამოხელეო წოდებაზე მიუთითებს, პირველი სამი—საეკლესიო ცხოვრების ხაზით, მეოთხე (კეისარი)—საერო ცხოვრებაში. ეს ტიტული მხოლოდ ადამიანების მიმართ იხმარება. ამიტომ ხომ არ არის ეს სახელები გაიგივებული საკუთარ სახელებთან? ხომ არ ესმით ისინი როგორც საკუთარი სახელები? (საკუთარ სახელებს კი, როგორც ცნობილია, და როგორც ქვევით ფართოდ გაეცნობით, წოდებითში არ ჰქონდათ და ამჟამადაც არა აქვთ ბრუნვის ნიშანი ო). ასეთი კითხვა მით უფრო კანონიერია, რომ აღნიშნულ სახელებს ხშირად წინ უძღვის ხოლმე თავისი მსაზღვრელი: წჩიდა, ძმა: წმიდაო **ეპისკოპოს**, ძმაო **დიაკონ**. აბა რატომ არის „**ძმაო** დიაკონ"-ში პირველი სახელი ო-თი წარმოდგენილი, მეორე — უნიშნოდ? რაც შეეხება კეისარს, იგი, როგორც საერო იერარქიის უმაღლესი წარმომადგენელი, როგორც ერთადერთი პირი, გადამწერის შეგნებაში უფრო მეტად არის აღქმული, როგორც საკუთარი სახელი. ამიტომ ვერ ბედავს, წოდებითში მას საზოგადო სახელების ჩვეულებრივი ნიშანი ო დაუწეროს. ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანია და არა მარტო უცხო წარმოშობის სახელებს შეეხება. ამნაირი შეგნება და ამნაირი მოპყრობა ამ ტიტულისადმი ქართული „მეფის" მიმართაც იჩენს თავს. ბევრ ხელნაწერში ეს სახელი წოდებითში სწორედ ასე უნიშნოდ, საკუთარ სახელსავით არის ხოლმე მოცემული[1]. ყველაზე ხშირად ასეთი შემთხვევები ძველი აღთქმის წიგნებში (განსაკუთრებით, მეფეთა წიგნებში) გვხვდება, უფრო ნაკლებად — სხვა ხელნაწერებშიც.

დავიმოწმოთ მაგალითები: იწყო სიტყუად მეფისა მიმართ და თქუა: ისმინე, **მეფე**, კიმ. I, 133, 15; იქვე გვხვდება აგრეთვე შემდეგი მაგალითებიც: წმიდამან ფილეკტიმონ თქუა: **მეფე**, მაცადე, ვიდრემდე ვეტყოდი რასმე მას, 134, 13; ჰე, **მეფე**, ეგე საგონებელ არს, 134, 27; არამედ უწყოდე, რამეთუ შეცთომილ ხარ მაგათგან, **მეფე**, 134, 34; ნუ სცთები, **მეფე**, 134, 36; 148, 30; უწყებულმცა არს შენდა, უფალო ჩუენო **მეფე**[2],

[1] ხომ არ ჰქონდა მნიშვნელობა აგრეთვე იმ ენას, რომლიდანაც ითარგმნებოდა ძეგლი? სომხურიდან თარგმნილებში, მაგალითად, უფრო ხშირია ასეთი ნიმუშები (სომხურს კი წოდებითი არა აქვს და მის მაგიერად სახელობითს იყენებს). ასეთია ფილეკტიმონის წამება (კიმენი, I, 133 —160).

[2] ხელნ.: მეფუ.

2 ეზრა 6, 8; ქმენ, ჯ **მეფე**[1], რომელი სათნო არს წინაშე თუალთა შენთა, პარხ. 1156; ნუ ცუდად დაშურები, ჯ **მეფე**[1], იქვე, 1162; მიუგო ნეტარმან ნინო მეფესა და ჰრქუა: **მეფე**[1], შენ უკუნისამდე ცხოვნდი სახელითა ქრისტესითა, მოქც. 13, 15; რაჲთა უწყებულ იყო შენ, **მეფე**[1], იქვე, 14, 6; ხოლო აწ, **მეფე**[1], ახლოს არს მიახლებაჲ შენი ღმრთისა, იქვე, 15, 3 და ბევრი სხვა. მაგრამ გაცილებით უფრო ხშირად ეს სახელი წოდებითის ჩვეულებრივი ნიშნით (ო-თი) არის წარმოდგენილი. და ეს ეხება არა სხვა ხელნაწერებს, არამედ თვით იმათაც, რომლებშიც ეს **მეფე** ფუძის სახით, უნიშნოდ იყო მოცემული. მაგალითები სწორედ იმავე ძეგლებიდან: ჯერ-არს უკუე, **მეფეო**, რაჲთა ახარო მათ, პარხ. 1156. ეგევე ადგილი სწორედ ასეთი სახითაა წარმოდგენილი აგრეთვე ი. ჯავ. აღწ. 172, 34; ხოლო მან ჰრქუა: უკუეთუ გრწმენეს, ჯ **მეფეო**, მართლ-მადიდებელი სარწმუნოებაჲ და შეერთო ღმრთისა ეკლესიასა, ცხონდეს ძჳ შენი, სვან. 284 a და ბევრი სხვა.

2) წოდებითის ნიშანი, როგორც წესი, არის **ო**. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა იმას, სახელი თანხმოვანფუძიანია, თუ ხმოვანფუძიანი; ამ უკანასკნელ შემთხვევაში სულ ერთია, რამდენმარცვლიანია სახელი, ის ყველგან და ყოველთვის **ონითაა** გამოხატული, ძველმა ქართულმა არ იცის ამ ონის რედუქცია, მისი ვინად ქცევა და ამ გზით სულ დაკარგვა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

3. წოდებითს ბრუნვაში დასმულ სახელს ხშირად წინ უძღვის ხოლმე მიმართვის ხმოვანი. ჯ : ჯ დედაკაცო, დიდ არს სარწმუნოებაჲ ეგე შენი, მ. 15, 28; გეევდრები შენ, მამაო ჯ აბრაამ, ლ. 16, 27 C; ჯ უცნობელნო, გულითა სარწმუნოებისათჳს ყოველსა ზედა, ლ. 24, 25.

აი ეს ჯ თუ **ო** უნდა იყოს შესული სახელში და გადაქცეული წოდებითის ნიშნად. ეს შეხედულება ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს ეკუთვნის და იგი სწორი უნდა იყოს[2].

II. ხმოვანფუძიანი სახელები

ხმოვანფუძიანი სახელებიც, როგორც აღნიშნული გვქონდა ზემოთ, თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა: ერთს შეადგენს **კვეცადი** სახელები; ეს ის სახელებია, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურ ხმოვნებად აქვთ **ა** და **ე** და რომელნიც ამ ხმოვნებს იკვეცენ მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში (**ა** კლასს, ამას გარდა, ეს **ა** ეკვეცება აგრეთვე მთელ ებიან მრავლობითში); მეორე ჯგუფს ეკუთვნის **უკვეცელი** სახელები; ეს ის სახელებია, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურ ხმოვნებად აქვთ **ო** და **უ** და რომელნიც ამ ხმოვნებს არც ერთ ბრუნვასა და არც ერთ რიცხვში არ იკვეცენ.

---

[1] ხელნ.: მეფჳ.

[2] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, წოდებითი ბრუნვისათვის: კომუნისტური აღზრდისათვის, № 1, 1935, გვ. 25.

ხმოვანფუძიანთა ეს ორი ჯგუფი განსხვავდება ერთიმეორისაგან როგორც ფუძის მიხედვით, ისე ბრუნვის ნიშნებითაც. ამიტომ ისინი უნდა განვიხილოთ ცალ-ცალკე.

ფუძის თვალსაზრისით უფრო მარტივი სახე აქვთ უკვეცელ სახელებს (როგორც თანხმოვანფუძიანებში უკუმშველებს ჰქონდათ), ბრუნვის ნიშანთა მიხედვით — კვეცილებს. ფუძის კვეცა შედარებით ადვილად დასაძლევია, უფრო რთულია ბრუნვის ნიშანთა ვარიაციები. ამიტომ მეთოდურად ჯობია კვეცილები ადრე განვიხილოთ, უკვეცელები — შემდეგ.

1. ფუძეკვეცილი სახელები

ჯერ წარმოვადგინოთ ბრუნების ნიმუშები, შენიშვნები შემდეგ გავაკეთოთ. ცალ-ცალკე განვიხილოთ ავრეთვე ა და ე ფუძიანები. მაგალითებად ავიღოთ პირველისათვის დედა, მამა, ძმა, მეორისათვის მოწაფე, ძე, საუნჯე.

კვეცება ა

მხოლობითი რიცხვი

წრფ.	დედა	მამა	ძმა
სახ.	დედა-ჲ	მამა-ჲ	ძმა-ჲ
მოთხ.	დედა-მან	მამა-მან	ძმა-მან
მიც.	დედა-ს-ა	მამა-ს-ა	ძმა-ს-ა
ნათ.	დედ-ის-ა	მამ-ის-ა	ძმ-ის-ა
მოქმ.	დედ-ით-ა	მამ-ით-ა	ძმ-ით-ა
ვით.	დედა-დ	მამა-დ	ძმა-დ
წოდ.	დედა-ო	მამა-ო	ძმა-ო

მრავლობითი რიცხვი

ნარ-თანიანი

წრფ.	—	—	—
სახ.	დედა-ნ-ი	მამა-ნ-ი	ძმა-ნ-ი
მოთხ.	დედა-თ-ა	მამა-თ-ა	ძმა-თ-ა
მიც.	„	„	
ნათ.	„	„	
მოქმ.	„	„	
ვით.	„	„	„
წოდ.	დედა-ნ-ო	მამა-ნ-ო	ძმა-ნ-ო

ებიანი

წრფ.	დედ-ებ	მამ-ებ	ძმ-ებ
სახ.	დედ-ებ-ი	მამ-ებ-ი	ძმ-ებ-ი
მოთხ.	დედ-ებ-მან	მამ-ებ-მან	ძმ-ებ-მან
მიც.	დედ-ებ-ს-ა	მამ-ებ-ს-ა	ძმ-ებ-ს-ა
ნათ.	დედ-ებ-ის-ა	მამ-ებ-ის-ა	ძმ-ებ-ის-ა
მოქმ.	დედ-ებ-ით-ა	მამ-ებ-ით-ა	ძმ-ებ-ით-ა
ვით.	დედ-ებ-ად	მამ-ებ-ად	ძმ-ებ-ად
წოდ.	დედ-ებ-ო	მამ-ებ-ო	ძმ-ებ-ო

ამ ტიპის სახელებია კიდევ:

ავაზა, აკლდამა, ბაგა, გზა, გულ-ფიცხელობა, გუდა, და (сестра), დაბა, ელვა, ენა, ზროხა, თივა, თმა, თხა, კამარა, კონა, ლავრა, ლანკლა, მთა, მიწა, მონა, ნუსხა, რქა, სათნოება, სასა, სასოება, სტოვა, ტაბლა, უშჯულოება, უცომოება, ქარტა, ქვა, ყანა, ყრმა, შეშა, ცა, ძაძა, ძლიერება, ძნა, წმიდა, წჯმა, ჭია, ჭიქა, ჯაჯა, ჭმა, ჯუეზა, ჰურია და სხვა.

ასეთივეა აგრეთვე საწყისებიც:

ბრძოლა, დამარხვა, დაცვა, კითხვა, ლოცვა, სლვა, წერა, წნეხა, ჭამა, ხილვა, ჯოცა და სხვა.

ი კ ვ ე ც ე ბ ა ე

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

წრფ.	მოწამე	საუნჯე	ძე
სახ.	მოწამჲ (მოწამე-ჲ)	საუნჯჲ (საუნჯე-ჲ)	ძჲ (ძე-ჲ)
მოთხ.	მოწამე-მან	საუნჯე-მან	ძე-მან
მიც.	მოწამე-ს-ა	საუნჯე-ს-ა	ძე-ს-ა
ნათ.	მოწამ-ის-ა	საუნჯ-ის-ა	ძ-ის-ა
მოქმ.	მოწამ-ით-ა	საუნჯ-ით-ა	ძ-ით-ა
ვით,	მოწამე-დ	საუნჯე-დ	ძე-დ
წოდ.	მოწამე-ო	საუნჯე-ო	ძე-ო

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

ნარ-თანიანი

წრფ.	—	—	—
სახ.	მოწამე-ნ-ი	საუნჯე-ნ-ი	ძე-ნ-ი
მოთხ.	მოწამე-თ-ა	საუნჯე-თ-ა	ძე-თ-ა
მიც.	»	»	»

ნათ.	მოწამე-თ-ა	საუნჯე-თ-ა	ძე-თ-ა
მოქმ.		„	„
ვით.	„	„	„
წოდ.	მოწამე-ნ-ო	საუნჯე-ნ-ო	ძე-ნ-ო

ებიანი

წრფ.	მოწამე-ებ	საუნჯე-ებ	ძე-ებ
სახ.	მოწამე-ებ-ი	საუნჯე-ებ-ი	ძე-ებ-ი
მოთხ.	მოწამე-ებ-მან	საუნჯე-ებ-მან	ძე-ებ-მან
მიც.	მოწანე-ებ-ს-ა	საუნჯე-ებ-ს-ა	ძე-ებ-ს-ა
ნათ.	მოწამე-ებ-ის-ა	საუნჯე-ებ-ის-ა	ძე-ებ-ის-ა
მოქმ.	მოწამე-ებ-ით-ა	საუნჯე-ებ-ით-ა	ძე-ებ-ით-ა
ვით.	მოწამე-ებ-ად	საუნჯე-ებ-ად	ძე-ებ-ად
წოდ.	მოწამე-ებ-ო	საუნჯე-ებ-ო	ძე-ებ-ო

ამ ტიპის სახელებია კიდევ:

ბადე, ბზე, ბჭე, დედა-მძუძე, დირე, დღე, ეპისტოლე, ზღუდე, თბე, თორნე, კბოდე, კიბე, კიშტე, კლდე, კლიტე, მამა-მძუძე, მახე, მდინარე მეზუერე, მეინაჯე, მეკარე, მეკერმე, მეკეცე, მემრუშე, მემტილე, მერუვე, მესათხევლე, მესტუმრე, მეუდაბნოე, მეუფე, მეფე, მეფსალმუნე, მეშფოთე, მეპურპლე, მეხარბე, მეჯრმლე, მზე, მთოვარე, მნე, მონადირე, მორეწე, მორწმუნე, მოქალაქე, მოძმე, მოწაფე, მოწესე, მოწყალე, მოხარკე, მოველე, პურის-მტე, საბრჯე, სავანე, საეენაჯე, საზეთე, საზუერე, საინაჯე, საკარე, სალტე, სამარე, სამარტჯლე, საწოთხე, სანახე, სანოვაგე, სასანთლე, საფასე, საქმე, საქუფთე, საპურპლე, სახე, სეფე, სიბერე, სიბრმე, სიბრძნე, სიგრძე, სივრცე, სიზრე, სიმართლე, სიმაღლე, სიმდაბლე, სიმდიდრე, სიმრავლე, სიმტკიცე, სიმძიმე, სიმძლავრე, სიმჭნე, სიპოხე, სიფიცხე, სიღრმე, სიყრმე, სიცოფე, სიცოცხლე, სიცრუვე, სიცხე, სიძე, სიწმიდე, სიშაბჯკე, სკორე, უპე, ფრთე, ღამე, ღელე, ყურე, ციხე, ხე, ჯელმწიფე, ჰუნე და სხვა.

შენიშვნები:

1. კუმშვა, როგორც ვნახეთ, სამ ბრუნვაში ხდებოდა (ნათესაობითსა, მოქმედებითსა და ვითარებითში), კვეცა კი მხოლოდ ორ ბრუნვაში ხდება; ეს ბრუნვებია: ნათესაობითი და მოქმედებითი. ვითარებითი ბრუნვა აქ გამორიცხულია, რადგანაც ხმოვანფუძიან სახელებში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად მოდის დ (მამა-დ, ძე-დ), ე. ი. თანხმოვანი, ამიტომ, ბუნებრივია, ის ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის ამოღებას (შეკვეცას) ვერ გამოიწვევს. ა-ზე დაბოლოებული სახელები ამის საბუთად ვერ გამოდგებოდა: **მამად** შეიძლება გარეგნულად ასეც დაიშალოს: **მამ-ად** და მაშინ ვითარებითში კვეცის შეუძლებლობის საკითხი მოხსნილია. მაგრამ ამ დაშვების წინააღმდეგ

ლაპარაკობს ხმოვანფუძიანი სახელების ყველა სხვა ჯგუფი, სადაც ვითარებითში ბრუნვის ნიშნად მხოლოდ დ გამოიყოფა: ძე-დ, წყარო-დ, ძუძუ-დ. თუ ამათგან წყარო და ძუძუ უკვეცელია და ამას დავაბრალებთ დაშვებული ად-ის ა-ს დაკარგვას, მაშინ რად არ იკვეცება ძე და რად გვაქვს ძე-დ და არა ძ-ად? მაშასადამე, გამოდის, რომ კვეცა მხოლოდ ორ ბრუნვაში ხდება და ამიტომ გვაქვს: მამ-ის-ა, მამ-ით-ა, ძ-ის-ა, ძ-ით-ა.

2. როცა ვლაპარაკობთ, კვეცა მხოლოდ ორ ბრუნვაში ხდებაო, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლობითი რიცხვი; მრავლობითი რიცხვის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, მაშინ მივიღებდით, რომ ნარ-თანიან მრავლობითში არსად არ ხდება კვეცა, რადგან ხმოვნით დაწყებული (ან მარტო ხმოვნით წარმოდგენილი) სუფიქსი აქ სახელს არსად არ დაერთვის, ებიან მრავლობითში კი გარკვეულ სახელებში კვეცა ყველა ბრუნვაში ხდება, რადგან კვეცის გამომწვევი მიზეზი, მრავლობითობის ებ სუფიქსი, აქ ყველა ბრუნვას ერთვის.

3. თუმცა, მაშასადამე, მხოლობითი რიცხვის მიხედვით მამა და ძე ერთნაირი სახელებია, ისინი ერთნაირად იკვეცებიან ნათესაობითსა და მოქმედებითში, მათ შორის მაინც დიდი განსხვავებაა სწორედ კვეცის თვალსაზრისით: ა-ზე ფუძეგათავებული სახელები ებიან მრავლობითში იკვეცება ჩვეულებრივი წესის მიხედვით, ხოლო ე-ზე ფუძეგათავებული სახელები ამ მრავლობითში არ იკვეცება. ამიტომაა, რომ გვაქვს

ერთი მხრივ		მეორე მხრივ
წრფ.	მამ-ებ	ძე-ებ
სახ.	მამ-ებ-ი	ძე-ებ-ი
მოთხ.	მამ-ებ-მან	ძე-ებ-მან
მიც.	მამ-ებ-ს-ა	ძე-ებ-ს-ა
ნათ.	მამ-ებ-ის-ა	ძე-ებ-ის-ა
მოქმ.	მამ-ებ-ით-ა	ძე-ებ-ით-ა
ვით.	მამ-ებ-ად	ძე-ებ-ად
წოდ.	მამ-ებ-ო	ძე-ებ-ო

რატომ არის ეს ასე? რატომ კვეცს ი ე-ს (ძ-ის-ა, ძ-ით-ა) და რატომ ვერ კვეცს ე იმავე ე-ს (ძე-ებ)? ეგევე ე ხომ თავისუფლად კვეცს ა-ს (მამ-ებ-ი)? ამის ახსნა ძნელია. მაგრამ შეიძლება აქ უმნიშვნელო არ იყოს იმ გარემოების გახსენება, რომ სახელთა კვეცის ყველა შესაძლებლობიდან ეს არის ერთადერთი შემთხვევა, სადაც ერთმანეთს ხვდება ორი ე, ერთი ფუძისა, მეორე მრავლობითის მაწარმოებელი ებ სუფიქსისა, და მათი შეხვედრისას ვღებულობთ ერთ გრძელ ე-ს, შერწყმულს ორი ე-საგან. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ძველ ტექსტებში ეს გრძელი ე ხან ორი ე-თი გამოიხატებოდა, ხან ერთით გადმოიცემოდა. ეს გასაგებიცაა: ბუნებრივი გრძელი

ხმოვნები ქართულმა საერთოდ არ იცის[1]; ამიტომ ეს შერწყმული ე, რომელიც პოზიციურად გრძელი ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს, ზოგს გრძლად ესმის, ზოგს ჩვეულებრივ. პირველნი მას ორი ე-თი გადმოსცემენ წერაში, მეორენი — ერთით. ძველ ხელნაწერთა ეს ხშირი რყევა ამ საკითხში სრულებითაც არ უნდა იყოს შემთხვევითი, აქ არის არსებითად რყევა, თუ როგორ გადმოიცეს ის ერთი გრძელი ბგერა (ე), რომელიც ორი (მოკლე) ენისაგან არის მიღებული.

დავასახელებთ ამის მაგალითებს: „სამარე“ ადიშის ოთხთავში ებიან მრავლობითში ორჯერ არის ნახმარი, ერთგან ორი ე-თი, მეორეგან — ერთით: 1) რამეთუ მოვიდეს ჟამი, რომელსა ყოველნი რომელნი ისხნენ სამარეებსა, ისმინონ ჴმისა მისისაჲ, ი. 5, 28 C; 2) რამეთუ აშენებთ თქუენ საფლავებსა მას წინაწარმეტყუელთასა და განაშუენებთ სამარებსა მას მართალთასა, მ. 23, 29C. მართალია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში „სამარე“ „ძეგლის“ შინაარსით არის ნახმარი, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა: სიტყვა მაინც ერთია, ფორმები ორივე მნიშვნელობისათვის ერთი და იგივეა. არ იქნება ინტერესმოკლებული აღვნიშნოთ, რომ პირველ შემთხვევაში, როცა ეს სიტყვა ორი ე-თია წარმოდგენილი, ხელნაწერში გადატანილია სწორედ ამ ე-თა საზღვარზე: სამარე | ებსა. ასეთ შემთხვევაში წინა სტრიქონის ბოლო ასოს თუ ასოების ზედმეტად გადმოტანა მომდევნო სტრიქონზე სხვაგანაც ხშირად გვხვდება, მაგალითად: ქრო | როდეს ქარნი, მ. 7, 25 D (=ქროდეს; რო გადატანისას განმეორებულია); მო | ონანი, მ. 21, 36C (=მონანი; ო გადატანისას განმეორებულია); მოიწ | იწა მკაჲ, მრ. 4, 29 D (=მოიწია მკაჲ; წ ზედმეტადაა გადატანილი) და სხვა. ჩანს, ამ სიტყვაში ორის ნაცვლად ერთი ე შემთხვევით არ უნდა იყოს მოცემული. სრულიად ამ სახით გვხვდება ეს სიტყვა აგრეთვე სხვა ხელნაწერებშიც, მაგალითად: რომელნი დაძინებულ არიან სამარხებსა, პარხ. 890 b; ფსალმ. 67, 6; 87, 6; რომელნი დამკჳდრებულ იყვნეს სამარებსა, თუალთ. 74, 32; რომელნი დამარხულ იყვნეს სამარებსა, იქვე, 75, 3; 75, 5; მოღებად სცნა ძუალნი იგი სამარებისა მისგან, 4 მეფ. 23, 16; და არა უტეონ მძორებსა მათსა დადებად სამარებსა შინა, გამოცხ. 11, 9 (A 397); სამარები მათი სახლებ მათდა იყო, ფსალმ. 48, 12.

ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი 10 მაგალითი ამოღებულია სხვადასხვა ხელნაწერიდან და მეცნიერულად გამოცემული ტექსტებიდან. ამავე ხელნაწერებსა და ტექსტებში სამარე ორი ე-თი მხოლოდ ორჯერ შეგვხვდა; ერთი მათგანი ზემოთ იყო ნაჩვენები (ი. 5, 28 C), მეორეს აქვე მოვიყვანთ: და ყოველნიე იგი მუნ ივსენებიან და ადგილიცა იგი მათი და სამარეები, ძვ. ქართ. ქრესტ. 50, 15.

ამნაირად, სულ 12 მაგალითიდან ებიან მრავლობითში ორი ე-თი 2 შემთხვევა გვაქვს, ერთი ე-თი — 10.

---

[1] ა. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. IV, 1924.

ასეთი მდგომარეობა მარტო ამ სიტყვაში როდი გვაქვს. სხვა ე ფუძიანი სახელებიც ხშირად გეხვდება ცალი ე-თი, ჩართალია, არა ასეთი დიდი შეფარდებით (10 : 2), მაგრამ მაინც. რადგანაც აქ აღძრულ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს ქართულში სახელთა კვეცის ბუნების დასადგენად, სათანადო მაგალითებს სრულად წარმოვადგენთ:

მე ყუაელ ველის, ვითარცა **შროშანი ღელებსა**, იპოლ. 17, 18; ესრე სახედცა საქმენი მართალთანი ბრწყინვენ და **ღელებსა** ყუაელან, იქვე, 17, 25; მას ჟამსა შევიდა სახლსა მას წინაშე **მოწამებისა** მის და აღადგინა ქალი იგი, იქვე, 27, 52; რასაღა გჳქმან **მოწამებ**, მრ. 14, 63 C. ეს ადგილი მათეს თავში ადიშის ძეგლში მხოლობითი რიცხვით არის გადმოცემული: რაჲსაღა გჳქმს **მოწამე**, მ. 26, 65C; DE-ში მრავლობითია, მაგრამ ნარიანი: რაჲსაღა გჳქმან **მოწამენი**. ადიშის ძეგლის ზემოთ ნაჩვენებ საინტერესო წაკითხვას (მოწამებ) ლაგურკის ხელნაწერი ეხმაურება: რაჲსა-ღა გუიქმს **მოწამები** (მ. 26, 65 ლაგ.). ეს მაგალითი ადიშურისაგან იმითაა განსხვავებული, რომ აქ **მოწამები** სახელობითის ფორმითაა მოცემული, მაშინ როდესაც ადიშის ხელნაწერში უფრო ძველი ფორმით, წრფელობითით არის წარმოდგენილი. არის კიდევ მეორე, თავისთავად მნიშვნელოვანი განსხვავებაც: აქ ამ ებიან მრავლობითს ზმნა არ ეთანხმება მრავლობითში (რაჲსაღა **გუიქმს** მოწამები), ადიშის ძეგლში კი შეთანხმება გვაქვს (რასაღა **გჳქმან** მოწამებ). მაგრამ მთავარი აქ ეს არაა. მთავარი ისაა, რომ ორივე ძეგლში ეს სახელი ებიან მრავლობითში ერთი ე-თია წარმოდგენილი. ჩვენთვის აქ ამას აქვს მნიშვნელობა. სხვა მაგალითები:

იყო მას შინა **მდინარები** და სარწყავნი უხუებით, მამ. სწავ. 270; და აღაშჱნა დაჱით ქუეყანასა მას იდუმელთასა **ციხები** და მოქმედები მოჰჭადა და ძეგლები აჰმართა, 2 მეფ. 8, 14; უბანთაცა ზედა გამოაქუნდეს უძლურნი და დასდგმიდეს ცხედრებითა და **საკაცებითა**, მოც. 5. 15 (ასეი ყველა რედაქციაში და ყველა ხელნაწერში'); აღმოჴენით ნაღუარევსა მას **გუბები**[1], 4 მეფ. 3, 15; საქმესა მას წმიდათა მოციქულთასა კათოლიკითურთ და **ებიხტოლებით** პაველე მოციქულისაჲთ წარკითხვად და აღწერად მიბრძანე, მოც. გვ. 214 ,20. ვარიანტში იკითხება „ეპისტოლებით". აქ ბანის ნაცვლად პარია მოცემული, მაგრამ, რაც მთავარია ახლა ჩვენთვის, ერთი ე აქაცაა დატოვებული.

...და ინაჴ-იდგეს **პურიხ-მტეებმან** ას-ასმან და ერგასის-ერგასისმან, მრ. 6, 40 C (=პურის-მტეებმან); ჰრულოდა მათ, რომელნი-იგი სხდეს **ჰუნებსა**, ფსალმ. 75, 7; და მოვიდა ნემან ეტლებითა და **ჰუნებითა** თჳსითა, 4 მეფ. 5, 9; რომელი-იგი მოვიდა ეტლებითა და **ჰუნებითა** და სამოსელთა ბრწყინვალებითა და ფრიადითა აკაზმულობითა, ანტიოქ. 98, 15; ერი ძლიერი მოხუეულ იყო გარემო ქალაქსა მას და **ჰუნები** და ეტლები, 4 მეფ. 6, 15; ისწავეთ,

[1] ხელნაწერშია „გობები", მაგრამ აქ „ო"-სა და „უ"-ს ჩვეულებრივი აღრევა გვაქვს. ტექსტში, რასაკვირველია, „გუბეები" იგულისხმება (რუსულ თარგმანშია рыв).

რომელსა-იგი **ბრწყინვალები** ტაძრები აღუქმნიეს და ფართოები სახლები და მაღლები ზღუდეები, უდაბნ. 99 rb; და საჴმარ არს მახჳლები, **საჴორცები** და **ხაჭონდაჭრები** და ცეცხლი შესაწუველად ჴორცისა, ეპიტ. 139, 3 ქვ.; ეტლეები იგი მათი და **ჰუნები** ვითარ-იგი წარღუნა წყალმან მეწამულისა ზღჳსაჲნ, 2 შჯულ. 11, 4 ლაგ. (უნდა იყოს შებრუნებით: ეტლები და ჰუნები); მჴედრები და **ჰუნები** შთასთხია ზღუასა, იერ. განჩ. 91, 10; ეტლები იგი მათი და **ჰონები** (=ჰუნები) დაიჴსნა და სპარაზენებაჲ აღპურვილთა მათთა დაინთქა, წარტყ. 11, 5. ეგევე ადგილი H 341-ში ასეა გადმოცემული: ეტლები მათი და **ჰუნები** მათი დაიჴსნა და დაიმჴუა (გვ. 627). აქ გასწორებულია ბგერა **უ**-ს გადმოცემის ორთოგრაფია, მაგრამ (ჩვენი მიზნისათვის) ძირითადი დატოვებულია: მრავლობითში გვაქვს მხოლოდ ერთი **ე**.

...ყოველსა, რომელსა არა არს **ფრთენ** და ქეც წყალთა შინა, საძაგელ არს ესე თქუენდა, ლევიტ. 11, 12; რამეთუ აქუნდა მათ სახელებ... **კჳკჳრისსახებ**, კიმ. I, 117, 19; აღმოვიდა ბაბილოვნით იერუსალჵმდე ცოლით, შვილით მისით... ეტლებითა შემკულებითა, **ჰუნებითა**, ტაიპებითა, კიმ. I, 166. 24; ვიშჳენე მე სახლებ... ვიქმენ მე მტილები და **სამოთხები**, ეკლეს. 2, 5 (ოშკი); რომელნი-იგი ერთვე არიან ადგილსა მას **მეფასებისახა**, 2 ეზრა 8, 45; არს მეცნიერება ჴეშმარიტ და საესჵ არს იგი **სიმძლავრებითა** და სიცრუვითა, ზირაქ 19, 21; კრეტსამბელი მისი და **ხაკარები** მისი, ეზეკ. 40, 38 (შდრ. სიფართოჵ **საკარეთაჲ** მათ, იქვე, 40, 48); და აქუნ ჴელთა მათთა **სახები** კერპებისაჲ და კუერთხები, კიმ. I, 105, 25 (ვარიანტი); მრავალსა კაცებსა მუნ **მდგომარებსა**, თეკლ. 105, 19; თავნი მათნი შეეყენნეს ქუაბთა შინა და ჴურელთა ქუეყანისათა, ანუ თუ სენაკებსა შინა **მცირებსა**, Опис. 67, 2; და მოადგინო მას ბანაკები და მოაწყო მას გარემო **მეისრები**, ეზეკ. 4, 2; წარმოიღო ლახურები იგი ოქროჲსაჲ და **ხალტები**, 3, მეფ. 14, 26; სიტყჳსა მისებრ მძლავრისა განაშიშულნეს იგინი და დაჰკიდნეს თავ-დამართ და გუემნეს გუემითა უწყალოჲთა არგნებითა **მძიმებითა**, ლიტ. ქრესტ. 239, 6.

მსგაესი შემთხვევა უნდა გვქონდეს შატბერდის კრებულის ერთ ადგილას, სადაც იკითხება „ჴელმწიფებითურთ“. „ჴელმწიფებითურთ“ შეიძლება კაცმა გაიგოს ორგვარად: ა) მხოლობითად, რომლის წრფელობითიც იქნება „ჴელმწიფება (ჴელმწიფება—ჴელმწიფებითურთ); ბ) მრავლობითად, რომლის წრფელობითაც იქნება „ჴელმწიფე“ (ჴელმწიფე—ჴელმწიფებითურთ). ჩვენ გვგონია, კონტექსტით ეს უკანასკნელი უნდა იგულისხმებოდეს. რადგანაც ფორმა სადავოა, ამიტომ ამ ადგილს შედარებით სრულად წარმოვადგენთ:

„შეითქუნეს მეფენი ქუეყანისანი და მთავარნი შეკრბეს ერთად უფლისათჳს და ცხებულისა მისისათჳს, ნანდჳლვე შეკრბეს ძესა შენსა ზედა იესუს ჰეროდე და პონტიელი პილატე **ერითურთ** და **ჴელმწიფებითურთ**, რაოდენ ჴელმან შენმან და მარჯუენემან შენმან წინაჯსწარ განჰმზადა ყოფად“ (შატბ. 313 b).

გამოთქმა „შეკრბეს... ჰეროდე და პილატე **ერითურთ** და „ჴელმწიფებითურთ“ გვაფიქრებინებს, რომ აქ მეორე ხაზგასმულ სიტყვაში მრავლობითი

რიცხვი იგულისხმება. **ერი** და **ჴელმწიფე** აქ თითქო ხელშესახებად წარმოგვიდგენს საქმის ნამდვილ ვითარებას; **ჴელმწიფება** კი აქ, გვგონია, არ იქნებოდა გამართლებული.

ჩვენი **აზრით**, შეიძლება ამავე მიზნისათვის გაბოგვადგეს ცნობილი ტერმინი „სანახები“: წარვიდეს ყოველსა მას **სანახებსა** და მოართუეს ყოველი ბოროტად ენებული, მ. 14, 35; რაჲთა წარვიდენ გარემო დაბნებსა და **სანახებსა** და იყიდონ თავისა მათისა, რაჲ-იგი ჰპოონ, მრ. 6,36 და სხვა.

ამ საინტერესო სიტყვის მხოლობითის ფორმა უნდა იყოს „სანახე“, რასაც მრავლობითში უნდა მოეცა „სანახეები“ ან „სანახები“. ამათგან პირველი არსად არ გვხვდება, მეორე — ხშირად.

დავიმოწმოთ სათანადო მაგალითები. აქ ნიმუშებად გამოგვადგება როგორც მხოლობითი რიცხვის, ისე **თანიანი** მრავლობითის ფორმები.

პირველის მაგალითებია:

გუასწავე საიდუმლოჲ შობისა შენისაჲ, ვითარ ანუ რომლითა ღონითა შეუძლო ცნობად შენდა, ანუ რომელსა უკუე **სანახესა** მივიყუანო გონებაჲ ესე, რომელ შენ მომანიქე, კიმ. I, 175, 7; ეპიფანე რაჲ ნათესავით იყო ფინიკელთაჲ, **სანახისაგან** ელეეთრეპოდისა, ი. ჯავ. აღწ. 18, 1.

მეორის მაგალითებია:

ვიდღდით ნათელსა, ვიდრეღა ნათელი თქუენ თანა არს, რამეთუ მოგზაურ იქმნების ვითარცა ნაზარეველი **სანახეთაგან** გალილეველთაჲსა, სვან. 389 a; პარხ. 284 a.

ებ რომ ფუძეში არ შედის, ამას ამტკიცებს ფორმა **სანახეთი** (სა-ნა-ხ-ეთ-ი), რომელიც ლაგურკის ლექსიონარში გვხვდება:

და მიხედა პირსა ზედა... ყოველსა მის ქუეყანისა **სანახეთიხასა**, დაბ. 19, 28 ლაგ. ოშკის ხელნაწერში ამას ცვლის ჩვეულებრივი **„ებ“**-იანი ფორმა: ...პირსა ყოველსა ქუეყანისა **სანახებიხასა**.

ამნაირად, გამოდის, რომ **სანახები** ისეთივე ფორმაა მრავლობითისა, როგორც სამარები, მისი მხოლობითია **სანახე**, რაც დადასტურებულია ძეგლებით. მაშასადამე, „სანახები“, როგორც „სამარები“, მრავლობითს ერთი ენით წარმოგვიდგენს [1].

ამრიგად, ჩვენ აქ მოვიყვანეთ 48 მაგალითი. სადაც **ე**-ზე ფუძეგათავებული სახელები ებიან მრავლობითში მხოლოდ ერთი **ე**-თია დაცული. ამ 48 მაგალითიდან ზოგი ფუძე მეორდება: სამარე 10-ჯერ, ჰუნე — 9-ჯერ, მოწამე — 2-ჯერ, ღელე — 2-ჯერ, სახე — 2-ჯერ, სანახე — 3-ჯერ [2]. მაშასადამე,

---

[1] ძველი აღთქმის წიგნებში ხშირად გვხვდება „საყურები“ (მოიღო კაცმან მან ხაყურები ოქროჲსაჲ, დაბ. 24, 22). მაგრამ ის არ უნდა იყოს ჩვენი მაგალითების მსგავსი: მისი მხოლობითი არის ხაყურ-ი და არა საყურე: და შეასხენ მას საყურნი და სალტენი ჴელთა მისთა, დაბ. 24, 47.

[2] ასეთი მაგალითები (სანახები) აუარებელია, მაგრამ ჩვენ აქ სამით დავკმაყოფილდით.

სულ გამოდის 26 განსხვავებული ფუძე (ბრწყინვალე, გუბე, ებისტოლე, მდგომარე, მდინარე, მეისრე, მეფასე, მოწამე, მცირე, მძიმე, ჰურის-მტე, საკარე, საკაცე, სალტე, სამარე, სამოთხე, სანახე, საქონდაქრე, სახე, საჯორ-ცე, სიმძლავრე, ფრთე, ღელე, ციხე, ჭელმწიფე, ჰუნე).

როგორღაა მდგომარეობა საწინააღმდეგო მაგალითების მხრივ? იმავე ძეგლებში, საიდანაც ამოღებულია ზემოთ მოყვანილი ნიმუშები, ორი ენით შეგვხვდა სულ 49 მაგალითი, რომელთაგან დიდი ნაწილი (29) მეორდება. ვუჩვენებთ აქ ამ სახელებს უკონტექსტოდ, მხოლოდ ადგილების დამო-წმებით:

ბჭეებ, ზირაქ 29, 29; ბჭეები, ნეემია 6, 1; ეზეკ. 48, 31; ბჭეებსა, სო-ფონია 2, 14; ბჭეებითა, იობ 38, 8 ლაგ.; Οιπιc. 154, 1; ზღუდეები, უდაბნ. 99 rb; კიბეები, კიმ. II, 198, 25; კლდეებსა, იერ. 4, 29; კლიტეებ, ზირაქ 28, 29; მარჯუეები, კიმ. I, 166, 30; მდგომარეები ჯორები[1], უდაბნ. 32 vb; მოთხეებსა, კიმ. I, 166, 30; ლაკნები იგი საესეები, თარგმ. გამოცხ. 15, 7; სალტეები, დაბ. 24, 30; სამარეები, ძვ. ჭართ. ქრესტ. 50, 15; სამარეებსა, მ. 23, 29 C; სამოთხეებ, იერ. 29, 28; სამოთხეები, იერ. 29, 5; ეკლეს. 2, 5; საფასეები, 2 ეზრა, 2, 13; სახეები, კიმ. I, 105, 25; სიბრძნის-მოყუარეები,, PO, 108, 3; ფრთეები, ზაქარ. 5, 9; ფრთეებითა, ჰილ-ეტრ. 296 v, 7; ძეებ, დაბ. 22, 20; ეზეკ. 23, 4; იერ. 29, 5 — 6 (ორჯერ); ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 274, 3); გამოსლვ. 21, 4; 2 კორ. 6, 19; ძეებსა, 1 ეზრა 10, 44; ძეებით, 2 ეზრა 5, 1; ძეებითურთ, ოსე [4], 14; ხეები, ეზეკ. 47, 7; ხეებსა, მრ. 8, 24C; ჭელმწიფეებსა, კიმ. I, 77, 16; ჰუნეები, ზაქარ. 9, 10 ლაგ.; 4 მეფ. 6, 14; გამოსლვ. 14, 9; 15 21 ლაგ.; ჰუნეებსა, იერ. 22, 4; 46, 9; ჰუნეებითა, 4 მეფ. 6, 17; ეზეკ. 38, 15; იერ. 6, 23; 2 ეზრა 2, 30.

ამ 49 მაგალითში განუმეორებელი ფუძე არის 20.

ორიეე ტიპის მაგალითებში გვხვდება 8 საერთო სიტყვა, ესენია: მდგო-მარე, სალტე, სამარე, სამოთხე, სახე, ფრთე, ჭელმწიფე, ჰუნე.

რა გამოირკვა? ე-ზე ფუძეგათავებული სახელები ებიან მრავლობითში ხან ორი ე-თია წარმოდგენილი (49 შემთხვევა, 20 ფუძე), ხანაც ერთით (48 შემთხვევა, 26 ფუძე), ე. ი. მდგომარეობა დაახლოებით თანაბარია. ვამბობთ „დაახლოებით“, რადგან თუ მხედველობაში არ მივიღებთ განმეო-რებულ ფორმებს, მაშინ სპარბობს ისეთი მაგალითები, რომლებშიც მრავ-ლობითი ერთი ე-თია მოცემული (სამარები). ასეთი ცალკე ფუძეები 26-ია, ხოლო ისეთი შემთხვევები, როცა მრავლობითის ფორმები ორი ე-თია გამო-ხატული (სამარეები), ცალკე ფუძეების სახით მხოლოდ 20-ია. მაშასადამე, ასეთი დაახლოებით ერთნაირი მოპყრობა ე-ს შეკვეცისა თუ მისი არშეკვე-ცისადმი ისევ და ისევ გვაფიქრებინებს, რომ „სამარების“ ტიპის მაგალი-თებში ე-ს შემთხვევითს დაკლებასთან არ უნდა გვქონდეს საქმე[2]. აქ ეს

[1] ხელნ.: ჯურები.

[2] ზოგან მართლაც შეიძლება ეს მოკვლენა გადამწერის უბრალო შეცთომით იყოს გამო-წვეული (ასეთი შემთხვევები ყველაზე მეტად A 38 ხელნაწერში გვხვდება), მაგრამ ზემოთ მო-

ორი ე შერწყმული უნდა იყოს პოზიციურად, ამიტომ იგი სხვა, ჩვეულებრივი ე-საგან განსხვავებით გრძლად გამოითქმოდა. აი ეს პოზიციური სიგრძეა, რომ ზოგ ხელნაწერს ორი ე-თი აქვს გადმოცემული, ზოგსაც — ერთით. ეს იმის მიხედვით, ვინ როგორ აღიქვამდა მას: შედარებით გრძლად, თუ ჩვეულებრივად (მოკლედ)[1].

მრავლობითში ორის ნაცვლად ერთი ე გვხვდება შემდგომი ხანის სალიტერატურო ქართულში, პროზასა და პოეზიაში. ჩვენ აქ დავიმოწმებთ „ვეფხის-ტყაოსანის" ორ ადგილს, სადაც, მართალია, სარითმო სიტყვებში, მაგრამ მაინც ორი ე-ს ნაცვლად ერთი ე არის წარმოდგენილი. ეს ადგილებია:

ქვე დაუყრია მოყმები, ვინც უფრო გულოვანია (1241, 3)
ვერ იქირვიდეს სარანგნი, მუნ იყო არ-სიწყნარები (1179, 2)

შესაძლებელია აქ ეს რითმისათვის იყოს ჩადენილი: საჭირო იყო რითმა შესწყობოდა სიტყვას: ზ-არები, რომელსაც ეხმაურება არ-სიწყნ-არები (ორი დანარჩენიც ასეთია: ნ-არები, მოიგე-არები).

მსგავსი მაგალითები დ. გურამიშვილისათვისაც არ არის უცხო; ამასთან, ასეთი მაგალითები გვხვდება როგორც ლექსებში, ისე პროზაშიც.

აი ეს მაგალითებიც:

ცარიცინს იქით მოსკომდი
ეტლებ-უნებით ხლდომაო (დავითიანი, 1955, გვ. 103, სტრ. 245, 4).
უნებით = ჰუნეებით.

კიდევ:

გიმრაველოს ღორები, აქლემნი, ჯორები,
ეტლებ-უნები (იქვე, 231, 350, 4).
აქაც უნები = ჰუნეები.

მაგრამ ასეთი შემთხვევა მარტო ამ ერთ სიტყვაში არა გვაქვს, იგი გვხვდება სიტყვაში „ღამე":

ყვანილი ყველა შემთხვევის აქამდე დაყვანა და ამ მიზეზით ახსნა გაგვხდის იძულებულს, თითქმის ყველა ძველი გადამწერი (რედაქტორი) უვიცად გამოვაცხადოთ, რაც უხერხული იქნებოდა.

[1] ზოგჯერ ორი ე გვხვდება „ეტლის" მრავლობითის ფორმაში: ეტლეები (2 შჯულ. 11, 4 ლაგ.; 4 მეფ. 6. 14), ეტლეებითა (ეზეკ. 23, 25; 26, 7; 4 მეფ. 6, 17), რაც „ჰუნეების" ანალოგიით უნდა აიხსნას: როგორც ვნახეთ, ეს ორი სიტყვა ხშირად ერთადაა ხოლმე მოცემული. ამიტომ „ჰუნეების" ორი ე ანალოგიით ეტლზედაც გადადის და ვღებულობთ „ეტლეებს". რაც შეეხება ორ სხვა სახელს (გზეები, 3 მეფ. 18, 6; ყრმეებისა, მ. 15, 38C), აქაც ორი ე-ს გაჩენა ე ფუძიანი სახელების მრავლობითის (ძეები, ბჭეები, ჰუნეები) საერთო გავლენას უნდა მიეწეროს: „გზებ"-სა და „ყრმებ"-ში ისე კარგად არ ჩანსო მრავლობითის მაწარმოებელი ებ სუფიქსი. შდრ. „წლეები", რომელსაც დღეს ხშირად ნახავს კაცი მოწაფეთა რვეულებში (და არა მარტო იქ).

მით ვსტირ, თვალთ ცრემლი მიბნელებს,
დღენი მჩანს მე ღამებადა (იქვე, 104, 554, 4).

რასაკვირველია, არ იქნებოდა სწორი, თუ ამ მოვლენას ლექსის საჭიროებით ავხსნიდით: პოეტს შეეძლო ამის აცილება სხვადასხვა გზით, მაგრამ ამის აუცილებლობა მისთვის არ არსებობდა. რომ ეს ასეა, ჩანს იქიდან, რომ იგივე სახელი (ღამე) სწორედ ამნაირი ფორმით (ერთი ე-თი) ნახმარი აქვს მას იმ არხაში, რომელიც მირიან ბატონიშვილს მიართვა პოეტმა:

იმათი გავიგონე დიდროანს ღამებში შესაქცევლად ქართლურის წიგნების დამჭირნოება“ (იქვე, 288).

გვხვდება ასეთი რამ ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღში“:

და მამაჩემსა მოხუცსა, ძმაო,
წამოეჭიდნენ მისივ მოძმენი (ი. ჭავჭ. მხატვრული ნაწერები, 1937, გვ. 187).

შესაძლებელია ეს მაგალითიც მხოლოდ ლექსის საჭიროებით არ იყოს გამოწვეული და აქ ტრადიციას ერთგვარი წილი ედოს.

კილოებში ამნაირი შემთხვევები დღეს ბევრია. აქ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია ამ დებულების დასაბუთებას შევეცადოთ (აქ არცაა ეს საჭირო).

მეორე მხრივ, ე-ს შეუკვეცლად შენარჩუნებას ხელს უნდა უწყობდეს ამ ბგერის ბუნების თავისებურება, მისი ერთგვარი მიდრეკილება, კვეცას აბრიდოს თავი. ე-ს ამნაირი ტენდენცია კარგად ჩანს როგორც ძველს, ისე ახალ ქართულშიც. აქ შეიძლება გაკვრით აღვნიშნოთ რამდენიმე ფაქტი.

ძველ ქართულში:

თავი რომ დაეანებოთ ისეთ ფორმებს, როგორიცაა ეგრჱთ, ესრჱთ, რომელთა უკვეცელობა ცნობილია, უნდა დავასახელოთ შემდეგი:

გარეშე:

გარეშჱთა ეჩათ მდაბლად და შინაგანითა სულითა ეეძიებთ პატივსა და დიდებასა, მამ. სწავ. 385; ვითარმცა გარეშჱთა ამით ხოლო სათნოვეყვენით მას, უდაბნ. 58 rb; შეწყნარებისათჳს გაგონებისა, მომავალისა გარეშჱთ, შატბ. 28 b; არამედ შეუცავს მას გუამი გარეშჱთ, იქვე, 51 b.

ზოგჯერ ამ სიტყვის ჱ დაშლით არის ხოლმე მოცემული, როგორც ძველი ქართულის ზოგიერთ სკოლაში იყო მიღებული: გარეშეჲთა განთხზვითა თმისაჲთა, 1 პეტ. 3, 3; და შემემოსა სამოსელი და სახჱ მჴედართაჲ გარეშეჲთა ხატითა, ი. ჯავ. აღწ. 167, 12.

ხანდახან შეიძლება ეს ჲ-ც დაიკარგოს და (ან ჱ-ს მაგიერად პირდაპირ) მივიღოთ ე: გარეშეთ გქონან შენ მაღლითა ღმრთისაჲთა მრავალნი ძლიერნი, მამ. სწავ. 96; გარეშეთ სწავლიედ და შინაგან ეწყალიედ, მამ. სწავ. (H) 158.

დასასრულ, მოვიყვან ერთ საინტერესო ფორმას, რომელშიც **Ѳ**-სთან ერთად **ѯ**-ც არის წარმოდგენილი: ვითარმცა **გარეშѲѧთა** ამით ხოლო სათნოვეყვენით მას, პარხ. 466 **გ**. ამ უკანასკნელი მაგალითის მიხედვით კარგად ჩანს, რომ გადამწერი **Ѳ**-ს **ე**-დ გამოთქვამდა, სავანაირად შეუძლებელი იყო **Ѳ**-სათვის **ѯ**-ს დამატება.

აქა-იქ შეუკვეცლად გვხვდება ზოგიერთი სხვა სახელიც. ასეთებია: ანტე. არე, ელვარე, იქედნე, სასიკუდინე, ყურე და სხვა.

ა ნ ტ ე: სიტყვა ბერძნულია და „ანტექრისტეს“ ნიშნავს. ეს სახელი ზოგჯერ შეკვეცილად გვხვდება, ზოგჯერ შეუკვეცლად. იოვანეს გამოცხადების თარგმანებაში, რომელიც X საუკუნის სამოცდაათიან წლებში ქართულად უთარგმნია ექვთიმე მთაწმიდელს (H 1346), ერთმანეთის გვერდით ერთიც გვხვდება და მეორეც, მაგალითად: პირისაგან **ანტჱსა** (6, 16), მოსლვასა **ანტჱსსა** (7, 1).

ა რ ე: რაჟამს გამოკრტოვიედ რტონი მათნი დღეთა **არѲსთა** და ყუავილგარდაფენილ იქმნიან ნაყოფთა გამოღებად სიტკბოებისათა, განმხიარულდის ეკლესიაჲცა, სვან. 457 b (შდრ. იყვნედ მათა დღენი ესე თჳსა მის **არისად** მეათორმეტესა დღესა მეათხუთმეტისა მის თჳსასა, ესთერ 10, 3).

ე ლ ვ ა რ ე: და ხიყო განზრახვასა მას მათსა ამისთჳს, და აჰა ორ კაც ჴედამოხადგეს მათ სამოსლითა **ელვარѲთა**, ლ. 24, 4 X (ხანმ. ლექც.). ეს ფორმა აქ შემთხვევით არ უნდა იყოს, იგივე ფორმა (ელვარѲთა) დაცულია აგრეთვე მესტიის (M) ოთხთაეშიც (სწორედ ამავე ადგილას).

ი ქ ე დ ნ ე: ჳ შენდა, ნაშობო და ასულო ასპიტისა და **იქედნეჲსაო**, რაჲსა გამოითხოვ თავსა წინამორბედისასა, ჭილ-ეტრ.. 225.

ს ა ს ი კ უ დ ი ნ ე: დაღათუ შეგცოდე შენ და მოვიწყალ წყლულებითა **სასიკუდინეთა**, არა მივიელტი მკურნალისა თჳნიერ შენსა, მამ. სწავ. 328. „სასიკუდინეთა“ აქ, რასაკვირველია, მბოლობითს რიცხვშია დასმული: ის რომ მრავლობითად გაეიგოთ (მოქმედებითისად, რაც ძნელია და იშვიათად ხდება საერთოდ), მაშინ მრავლობითში უნდა იყოს აგრეთვე მისი საზღვრულიც „წყლულებითა“, მაგრამ ტექსტში ეს სიტყვა მხოლობითშია (წყლულება—წყლულებითა) და არა მრავლობითში (რა თქმა უნდა, სრულებით შეუსაბამო იქნებოდა გეფიქრა, რომ „წყლულებითა“ „წყლულის“ **ებ**იანი მრავლობითია და მსაზღვრელი მას თანიან მრავლობითში ეთანხმებაო: ასეთი არევა არსად არ ხდება). რომ აქ მხოლობითის მოქმედებითი ბრუნვა გვაქვს, ამას ამტკიცებს აგრეთვე ვარიანტი, რომელიც მეორე (H) ხელნაწერშია მოცემული: წყლულებითა **სასიკუდინოჲთა**. დამახასიათებელია, რომ ეს „სასიკუდინეთა“ სწორედ ასეთ პირობებში სხვაგანაც გვხვდება: თუალითა **სასიკუდინეთა** გუხედვიდიან, პარხ. 856 **ჲ** (სასიკუდინეთა = სასიკუდინითა, სასიკუდინოჲთა).

ყურე: ხოლო პავლე აღიესო სულითა წმიდითა და ჰრქუა მას წინაშე ყოველისა ერისა: კეისარ, ჩუენ არა ხოლო თუ შენისა **ყურესთა** ერთისაგან ერსა ვკრებთ, არამედ ყოველისაგან სოფლისა, PO, 104, 14[1].

ახალ ქართულში:

ე ახალ ქართულშიც იჩენს ასეთ ბუნებას: რიგ შემთხვევებში ის არ იკვეცება. თავი რომ დავანებოთ „ძე"-ზე დაბოლოებულ სახელებს, რომელთა შეუკვეცლობაც საკუთარი სახელების ანალოგიით შეიძლება აეხსნათ, მაინც რჩება რამდენიმე შემთხვევა, როცა ამ ე-ს შეკვეცა ან სულ არ ხერხდება, ან მეტად ჭირს.

ხალხურ გამოთქმაში ხშირია და აქა-იქ ლიტერატურაშიც გვხვდება ზოგიერთი სახელი, რომლის ბოლოკიდური ე არ არის მოკვეცილი. ასეთია **დონე, ოკეანე, მატიანე** და სხვა. ასეთია აგრეთვე **მე—ე, მო—ე** და **სა—ე** აფიქსებით ნაწარმოები სახელები (მეტყევე, მეეზოვე; სასიმინდე, საქაღალდე). ასეთ სახელებში ბოლოკიდური ე-ს შეკვეცაზე უარის თქმა ერთგვარად გასაგებია: ე მაწარმოებელია და მისი დაკარგვა საწყის სიტყვასთან დაბრუნების შთაბეჭდილებას ქმნის: სასიმინდიდან || სიმინდიდან, საქაღალდიდან || ქაღალდიდან, საფულიდან || ფულიდან და სხვა. ე-ს შენარჩუნება მათს მკაცრ საზღვარს ქმნის: სასიმინდედან — სიმინდიდან, საფულედან — ფულიდან და სხვა. „სასიმინდედან"-ის დამწერის ცნობიერებაში, უეჭველია, ერთგვარ ანალოგიას წარმოადგენს „ლურჯი"-სა და „ლურჯა"-ს, „ქერი"-სა და „ქერა"-ს ცნობილი ისტორია. მართალია, ამ ორი წყების მაგალითები განსხვავდება ერთმანეთისაგან: პირველში სუფიქსს გარდა პრეფიქსიც გვაქვს (სა-სიმინდ-ე — სიმინდი), მეორეში მხოლოდ სუფიქსი თამაშობს განმასხვავებელ როლს, მაგრამ ენაში ისე ძლიერია ახლობელ ფორმათა შორის გრამატიკული დიფერენციაციისადმი მისწრაფება, რომ ზემოთ ნაჩვენები პრეფიქსული სხვაობა (სასიმინდიდან სიმინდიდან) უძლური გამოდგა შეაკავოს აღნიშნული მისწრაფება და მოკვეცოს სუფიქსი ე. ერთი სიტყვით, აქ არის მოცემული ცდა, ახსნას, თუ **მეორე მხრივ**, რატომ არ ხდება ე ბოლოკიდურიან სახელებში ამ ე-ს მოკვეცა (ერთ მიზეზზე ზემოთ იყო საუბარი).

ჩვენ აქ დავიმოწმებთ ახალი ქართული ლიტერატურიდან მაგალითებს, სადაც არ ხდება ე-ს მოკვეცა. მარტივი და ნაწარმოები სახელები ერთად იქნება მოყვანილი. ერთად იქნება აგრეთვე მოცემული ნათესაობითისა და მოქმედებითის მაგალითები.

„მაგრამ აიღეთ **მეტყევეს** მდგომარეობა, რომელსაც ესაჭიროება დაითვალოს ერთ ჰექტარზე რამდენია „ფიჭვი" (ი. პ ე რ ე ლ მ ა ნ ი, ცოცხალი მათემატიკა, ქართ. თარგმ. 1950, გვ. 70; =**მეტყევის**).

---

[1] აღსანიშნავია, რომ აქ ჩამოთვლილი უკვეცელი სიტყვების დიდ ნაწილს ე-ს წინ ნარნარა რ, ნ თანხმოვნები აქვს: ესრე, ეგრე, ელვარე, ყურე, არე, სასიკუდინე, იქიდნე (მაგრამ: ანტე, გარეშე).

„ აქეთ, ბავშვებო! მე მომყეთ! — დაიძახა სერიოჟამ და **მეეზოვეს-კენ** გაექანა“ (ევგენი შვარცი, პირველკლასელი გოგონა, საბლიტგამი, 1951, გვ. 11; =**მეეზოვისაკენ**).

„ეს მცირე სირცხვილი როდია იმ **მონადირესათვის**, რომელსაც გაფრენილი ფრინველების მოკვლა შეუძლია“ (ჩარლზ დარვინი, ბუნებისმეტყველის მოგზაურობა დედამიწის გარშემო გემ „ბიგლით“, ქართ. თარგმ. სეით იაშვილისა, 1951, გვ. 57; =**მონადირისათვის**).

„25 **სამიზნედან** მხოლოდ 22-ის დაზიანებას ახერხებს“ („ლელო“, № 57, 1954, გვ. III; =**სამიზნიდან**).

„20 **მონაწილედან**. მხოლოდ გროსმაისტერებს ავერბახს, პეტროსიანსა და ტაიმანოვს არ წაუგიათ პარტია“ („კომუნისტი“, 29. I. 1954, გვ. IV; =**მონაწილიდან**).

„**მორიგესათვის** ეძლიათ ახსნა-განმარტება“ („ნიანგი“, № 9, 1954, გვ. III; =**მორიგისათვის**).

„**სასარჩულეთი**“ (გაზ. „გამარჯვება“, 1. VII, 1952, გვ. III; =**სახარჩულით**).

„**ოკეანეს** ქარები“ (ილია ერენბურგი, „შვიდი დღე ჩილეში“: „ახ. კომ“., 7. IX. 1954, გვ. IV; =**ოკეანის**).

„ძნელია ერთი მათგანის **მეორესაგან** გარჩევა“ (შ. რადიანი, ფიქრები პოეზიაზე, ლიტ. გაზ. № 36, 1954, 3. IX, გვ. IV; =**მეორისაგან**).

„**საქაღალდედან** ამოაქვს გაზეთი... **საქაღალდედან** ამოაქვს ახალი გაზეთი“ (ალიო ადამია, „უძილო ღამე“: „მნათობი“, № 8, 1954, გვ. 53; =**საქაღალდიდან**).

„ლევან, ლევან! გავგიჟდი! მეტი არა ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა **საყურეს** თამაშმა გადამრია“ (ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945, გვ. 96; =**საყურის**).

„აჰკიდა საჩქაროზედ **სახმიმდღედან** გამოზიდული ტომრებით სიმინდი და ღომი“ (ა. ფურცელაძე, რჩეული ნაწერები, 1951, გვ. 44; =**სახიმინდიდან**).

„ის მეორე სართულის წვერიდან გაჰყურებდა ძირის სართულის **ხაპყრობილეს** კარებს“ (იქვე, 76; =**საპყრობილის**).

„მიუხედავად სხეულის სიდიდისა, იგი ძლიერ მაღლა ფრინავს და ხშირად ზღვის **დონედან** 7.000 მეტრ სიმაღლეზე ადის“ („ცხოველების ახალი დიდი ჯგუფი“: „ახ. კომ.“ № 2, 1955, გვ. IV; =**დონიდან**).

„დირექტორის **ეპისტოლეს** შესახებ ვიტყოდით“ (გ. შუბაძე. „ცენტრალური ფიგურა“: „კომუნისტი“, № 25, 1955. გვ. III; =**ეპისტოლის**).

„ენერგია და შეუპოვრობა **მოკრივესათვის** კარგი თვისებაა“ (შ. გუგუშვილი, „მოსკოვისა და საქართველოს „სპარტაკის“ მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრა“: „ლელო“, № 44, 1955; =**მოკრივისათვის**).

„ეს უფრო ერთი თემიდან მეორეზე გადახტომასა ჰგავს, ერთი საკითხის **მეორეთი** შეცვლას“ (გ. ციციშვილი, „უსახურობისა და ტრაფარეტულობის წინააღმდეგ“: „ლიტ. გაზ.“, № 12, 1955, გვ. III; =**მეორით**).

„მისი მოთხრობა ცოცხალ **სინამდვილედან** ამოღებულ „ცხოვრების ნაჭერია“ (იქვე, გვ. IV; = **სინამდვილიდან**).

„ყოველივე ეს მოითხოვდა **მოჯარითესაგან** დიდ გამოცდილებას“ (ბ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, „მთაწმინდა“, 1955, გვ. 9; = **მოჯარითისაგან**).

აქ აღარ შევუდგები ადგილების დამოწმებას, დავასახელებ მხოლოდ შიშველ მაგალითებს, რომლებიც ჩვენში გამოსული წიგნებიდან და ჩვენი ეურნალ-გაზეთებიდან არის ამოღებული:

ექვსი **მოკრივედან**, **მეშვიდედან** მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა, **მოხევეს** სასცენო მოღვაწეობა, მეზღვაურები **ხშირ-ხშირად** გამოდიოდნენ **საცეცხლედან**, მოჩანდა **ოკეანეს** ლურჯი სივრცე, შუქით **მოცემციმეთი**, რუსულ ხალხურ სიმღერაში საუბარია შვიდი **მართვეს** დაბადება-გაზრდაზე, ვაბტანგ **მეექვსეს** სიგელში ნათქვამია, **საპყრობილეს** დანგრევის შემდეგ, **კბოდედან** დაბლა ჩაიხედა, ყოველი მათგანი ნიშან **მძიმეთი** უნდა იქნეს განცალკევებული, შეუფარდა ეს ამბავი თავისი **საფულეს** დაკარგვას, ვალდებული იყო **მემამულესათვის** დაებრუნებინა ადგილ-მამული, საფრანგეთი კისრულობდა **ეგვიპტეს** ევაკუაციას და ბევრი სხვა.

დასასრულ, აქ უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება. როგორც ცნობილია, უცხო ენიდან შემოსული სახელები ქართულში დედაენის წესების კვალობაზე გადაიხარშება და შესაბამ ქართულ სახელსავით იბრუნება ხოლმე. ასე, მაგალითად, გეომეტრია, რევოლუცია, ირიგაცია ისე იბრუნება, როგორც ჩვენი ია, შვრია, სია (სია — სიის, სიით, გეომეტრია — გეომეტრიის, გეომეტრიით). მაგრამ ამ წესს არ ემორჩილება უცხო ენიდან შემოსული ზოგიერთი სახელი, რომლებიც **ე**-ზეა დაბოლოებული. ასეთია, მაგალითად, **ბე**, ნათესაობითში ითქმის **ბესი**[1] (და არა **ბისა**, როგორც იყო მოსალოდნელი); ამნაირია აგრეთვე ცნობილი სიტყვები: იუბილე, ტირე, კუპე, კაშნე, კომუნიკე, ატაშე[2] და სხვა, რომელნიც ნათესაობით-მოქმედებითში ჩვეულებრივ არ იკვეცება და ჟღაქვს: **იუბილეს** გასამართავად, **ტირეს** დაწერა, **კაშნეს** ფერი, **კომუნიკეს** მიხედვით, **კუპეს** კარები, სამხედრო **ატაშეს** თანხლებით და სხვ.[3].

ყველა ზემოთ თქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ: **ე**-ზე ფუძეგათავებული სახელები **ებიან** მრავლობითში არ იკვეცება იმიტომ, რომ

ა) აქ ადგილი აქვს ორი **ე**-ს შერწყმას, რომელიც შედეგად გვაძლევს ერთ, პოზიციურად გრძელ **ე**-ს, რომელსაც ძველად ხან ერთი **ე**-თი გადმოსცემდნენ ხოლმე, ხან ორით. შემდგომმა ქართულმა ამ შემთხვევაში ორი **ე**-ს წერა დააკანონა და ახალ ქართულში ის ერთადერთ ნორმად ითვლება.

ბ) ქართულ **ე**-ს თავიდანვე ჰქონდა მიდრეკილება კვეცისათვის აერიდებინა თავი. შეიძლება ეს ჩვენი **ე**-ს განსაკუთრებული ფონეტიკური ბუნე-

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950.

[2] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 038; მ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ნასესხებ სახელთა ერთი ჯგუფის ბრუნების თავისებურებისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (თეზისები), თ. ს. უ. სტუდენტთა X სამეცნ. კონფერენცია, 1948, გვ. 69.

[3] იშვიათად ჩვენს პრესაში კაცი შეხვდება ამ სახელთა (განსაკუთრებით იუბილეს) შეკვეცილ ფორმებსაც (ნ. „მნათობი“, 1956, № 12, გვ. 72).

ბით აიხსნებოდეს. ახალ ქართულში ე-ს აღნიშნული მიდრეკილება გრძელდება.

გ) ზოგიერთ შემთხვევაში (უფრო ახალ ქართულში) ე ფუძიან სახელთა შეუკვეცლობა შეიძლება გრამატიკული დიფერენციაციისადმი ძლიერი მისწრაფებით აიხსნებოდეს („სასიმინდიდან“ ჰგავს საწყის სიტყვას „სიმინდიდან“, ამიტომ, რომ გაირჩეს,—სასიმინდედან. შდრ. ლურჯის და ლურჯასი).

4. ძველ ქართულში არის ორიოდე ე ფუძიანი სახელი, რომლებიც შეკვეცილად არის წარმოდგენილი მესამე ბრუნვაშიც, ვითარებითში. შინაარსით ორივე სახელი „ჯოგს“, „ნახირს“, „ფარას“ აღნიშნავს. ერთი მათგანია **არვე**, მეორე—**მროწლე**. ჩვენ შეგვხვდა თითო შემთხვევა, როცა ეს სახელები ვითარებითში იკვეცება. ეს შემთხვევებია:

1. მივედ **არვად** მამისა შენისა და მომგუარენ ორნი თიკანნი ჩჩჳლნი და პოხილნი, დაბ. 27, 9 ლაგ. ოშკის ხელნაწერში „არვე“-ს სცვლის „ცხოვარი“: წარვედ **ცხოვრად**... სხვა ბრუნვებში, რასაკვირველია, ისევ „არვე“ გვაქვს: **არვენი** წარმართთანი ველურნი აღავსებენ ბაკსა მას მჴეცთ-შეუვალსა, Ps. 87, 7. მაშასადამე: **არვე — არვად**.

2. და **მროწლად** მირბიოდა იგი და მოიბნა მიერ ორნი ზუარაკნი და ოთხი ვერძი, ტობია 7, 19.

საბას მითითებული აქვს ამ სახელისათვის დაბ. 26, 14. ოშკის ბიბლიაში სათანადო ადგილზე „სამწუსოჲ“ იკითხება, ხოლო ნაბეჭდ ბიბლიაში (თბ. გამოც.) **არვე** და **მროწლეა**, მაგალითად: და იყო მისსა პირუტყუი **არვე** ცხოვართა, და **მროწლე** ძროხათა.

ამავე მნიშვნელობით გვხვდება საბას მიერ დამოწმებული „მროწეული“-ც: და სამწუსოჲ და **მროწეული** მისცა განსარყუნელად, იგდით 2, 27; აღვედ და განჰმზადე თავი შენი, რამეთუ შეჯამა მახჳლმან **მროწეული** შენი, იერ. 46, 14. აშკარაა, რომ **მროწლე** და **მროწეული** ერთი ძირისაგან მიღებული სხვადასხვა ფუძეა: მ-როწ-ლ-ე და მ-როწ-ე-ულ-ი. ჩვენ მიერ მოყვანილი ფორმა (**მროწლად**), ცხადია, „მროწლე“-ს ვითარებითი ბრუნვაა. მაშასადამე: **მროწლე—მროწლად**. გამოდის, რომ ვითარებითში ე იკვეცება.

რა იწვევს ამ კვეცას? ლ. კიკნაძემ ქართული ენის კათედრის ერთ-ერთ სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში (1944 წ.) წამოაყენა ახალი შეხედულება. მისი აზრით, ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ყველგან და ყოველთვის გამოსავალი არის **ად**. სადაც ეს **ად** არა ჩანს, მიზეზი ფონეტიკაში უნდა ვეძიოთ. მაშასადამე, ა და ე ფუძიანი სახელები, მისი აზრით, ვითარებითში ასე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: დედა+ად→დედ-ად; ძე+ად→ძ-ად. როგორც ვნახეთ, რომ **დედ-ად** ასე დაიშალოს, ამას არ ახლავს პრაქტიკული დაბრკოლება, ხოლო **ძ-ად** კი არა გვაქვს არც ძველსა და არც ახალ ქართულში, არც კილოებში. ამის მიუხედავად, ავტორი ნახულობს რამდენიმე ფორმას, რომელთა დახმარებითაც ცდილობს წამოყენებული შეხედულების გამართლებას. მისი არგუმენტებია:

ა) ვითარებითი ბრუნვის (ისევე, როგორც ყოველი სხვა ბრუნვის) ნიშანი **ერთი** სუფიქსი უნდა ყოფილიყო (-**ად**);

ბ) ახალ ქართულში გვხვდება ფორმები „მოწმად“, „მტლად“:

— მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს
და შენს სახელსა **მტლად** დავედები (ი. ჭ. 186).

ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს აც აქვს ნახმარი „მეფად“:

ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით,
თქვენში აღზრდილა პატარა კახი **მეფად** და გმირად
(ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, 1945, გვ. 49).

სამივე შემთხვევაში ავტორი **ე**-ს შეკვეცის მიზეზად ვითარებითის „ად“ სუფიქსს თვლის. თუ **ად** სუფიქსმა არა, აბა რამ შეკვეცა **ე**-ო, კითხულობს ავტორი.

გ) ავტორს მოჰყავს იგივე „მოწმად“, ამას უმატებს ცნობილ კუმშვადკვეცად სახელებს, როგორიცაა: **ქვეყნად, ფანჯრად, ქარხნად** და კითხულობს: უკანასკნელ **ა**-ს თავი რომ დავანებოთ, რომელიც ფორმალურად ფუძესაც შეიძლება მივაკუთვნოთ და ბრუნვის ნიშანსაც (ქვეყნა-დ, ქვეყნ-ად), მეორე **ა**ნის ამოგდება რაღას უნდა დავაბრალოთ? ამის გამო ავტორი ფიქრობს, ვითარებითი ბრუნვის ნიშანი აქაც **ად** იყო, ამ **ად**-ის გამოა შეკუმშული „ქვეყანა“ და მისი ტიპის სხვა სიტყვები, ამ **ად**-ის გამოა, რომ გვაქვს **მტლად, მეფად, მოწმად**; ძველად ყველა **ე** ფუძიანი სახელი ასე უნდა ყოფილიყო, ეს მაგალითები ძველი ვითარების ნაშთიაო. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ორი მაგალითი (არვად, მროწლად) ავტორს რომ ჰქონოდა, ამათაც იმ ძველი ვითარების ბეღნიერ გადმონაშთად მიიჩნევდა.

ავტორის მოსაზრებებს და მის მიერ დამოწმებული ორი-სამი მაგალითი საკმარისი არ არის ასეთი მნიშვნელოვანი დებულების დასასაბუთებლად. ჯერ-ერთი, ყველა ეს მაგალითი, რომლებიც ავტორს მოჰყავს, ახალი ქართულისა და მისი დიალექტებისათვისაა დამახასიათებელი და საეჭვოა თავისი ხასიათით: **მტლად** ფორმის გვერდით გვაქვს აგრეთვე უფრო კანონიერი **მტლედ**. სამივე ეს სიტყვა (მტლად, მეფად, მოწმად) სხვა **ა** ფუძიანების ანალოგიით არის ნახმარი. რაც შეეხება შუა ხმოვნის კუმშვას, ის სულ ახალი მოვლენაა და სიძველის ნიშნად, რა თქმა უნდა, არ გამოდგება, ის ძველ ქართულშიც არ გვქონია, ძველად ვითარებითში იყო: **ქუეყანად, მოწამედ** და, მაშასადამე, კუმშვაზე იქ შეუძლებელია ვილაპარაკოთ. ეს მოხდა, ვიმეორებთ, ახალ ქართულში სხვა კუმშვადი სახელების ტრაფარეტის გავლენით.

ჩვენი აზრით, **არვად, მროწლად** ფორმების ახსნა მარტივად შეიძლება: აქ ჩვენ კვეცა უნდა გვქონდეს თანხმოვანფუძიანისა და **ე** ფუძიანი სახელების უბრალო ანალოგიით. ამ ანალოგიას ჰქონდა საქმაო საფუძველი: თანხმოვანფუძიანი სახელები (კუმშვადი და უკუმშველი), აგრეთვე **ა** ფუძიანი სახელები,

რომლებიც ვითარებითში ა-დ-ს იძლევა, ძალზე ბევრია. ეს სიჭარბე არის სწორედ ანალოგიის საფუძველი. გვაქვს:

კარავი — კარვად
მპარავი — მპარვად
ნერვი — ნერვად
რვა — რვად
ბარვა — ბარვად

მაშასადამე, უნდა გვქონდესო:

არვე — არვად, ასევე:
მრომწლე — მრომწლად.

ანალოგიის მეორე საფუძველი კუმშვადი სახელებია: კუმშვა ხდება სამ ბრუნვაში, კვეცაც სამ ბრუნვაში უნდა მოხდესო:

კარავი	არვე
კარვისა	არვისა
კარვითა	არვითა
კარვად	არვად

ან:

წელი	მრომწლე
წლისა	მრომწლისა
წლითა	მრომწლითა
წლად	მრომწლად

რაც შეეხება ფორმას „ქვეყნად", ისიც სხვა კუმშვადი სახელების ანალოგიით უნდა აიხსნას, მაგალითად: ერქვანი — ერქვნად. ქუეყანა — ქვეყნად.

ამნაირად, არვე — არვად, მრომწლე — მრომწლად უბრალო ანალოგიით უნდა აიხსნას.

ბ. აქ უნდა შევეხოთ ზოგი სახელის ფუძის შეუკვეცლობას. პირველ ყოველისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ კითხვითი ნაცვალსახელი **რა** ძველ ქართულში არ იკვეცება: უკუეთუ მე ბერზებულითა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი **რადთა** განასხმენ, მ. 12, 27; ლ. 11, 19. აქ **რადთა** = რით. ცნობილია კაეშირი **რადთა**, რაც ძალიან ხშირად იხმარება ძველ ქართულში, უმეტესად ჭარაგმით: **რ"ა**. ამ სიტყვის ნათესაობითის ფორმებს წარმოადგენს ძველი ქართულის კარგად ცნობილი სიტყვები: **რადსა, რადსათჳს** (= რატომ). ეს სიტყვები ყველასათვის ცნობილია და აქ არ მოვიყვან სათანადო მაგალითებს. დაეასახელებ **გან** თანდებულიან ორ მაგალითს: მითხარ მე, **რადგან**, ანუ ვინ გიბრძანებს წმიდათა მიმართ საქმესა ბრძოლად, პარხ. 620 ხ; და დაეყუდა მუნ და დაყო, **რადთგან** მივიდა სახლსა მამისა თჳსისასა, ათშჯმეტი წელი, კიმ. I, 163, 13.

უკვეცლად არის ერთგან მოცემული **მანა**: ხარისხები იგი ბეთა მათ ეზოჲსათჲ და **მანაებად** კარვისა და **მანაებად** ეზოჲსა მის გარემო საკურთხეველისა მის, გამოსლვ. 39, 9.

მეორეგან არ იკვეცება **გუნდა**: მოვედით მთათა მათ კრებად **გუნდაჲსა**, ანტიოქ. 115 ,29 (შდრ. და ვიდოდეს მას შინა და შეჰკრებდეს **გუნდასა**, იქვ. 115, 6).

რყევა ეტყობა შეკვეცის მხრივ „გუგა“-ს; ერთგან იგი შეუკვეცავად არის დაცული: მყოვარ ცამ ჰბედვიდეს **გუგაჲთა** თუალისაჲთა, ვიდრემდის ჰკდემებოდაცა მძლავრთა მათ, აბო 198, 3; მაგრამ: და ყოველსა თუალსა ისარი უც ნაცვალად **გუგისა**, პარხ. 764 a.

არ არის ერთგან შეკვეცილი **კუტალა**-ც: იოვანე გაცუეთილმან **კუტალაჲთა** ღუნოჲ მომართუა, პარხ. 1223. შეიძლება ამ სიტყვაში ბოლო ა მაწარმოებელი იყოს და საბელი ამიტომ არ იკვეცებოდეს.

ასეთივე რყევა ემჩნევა **წინწილა**-საც. ერთჯერ იგი შეუკვეცავად შეგვხვდა: დავით და ყოველი იგი ერი ისრაჱლისაჲ იმღერდეს... ბობღნითა და ჰინითა და **წინწილაჲთა** და პირად-პირადითა სიღოდითა მემღერთაჲთა, 2 მეფ. 6, 5. მაგრამ უფრო ხშირად ეგევე სახელი შეკვეცილია: რაჟამს გესმეს ჴმაჲ... ებნისა და **წინწილისაჲ**.., დავარდით და თაყუანის-ეცით ხატსა მას ოქროჲსასა, დანიელ 3. 15; არა **წინწილითა**, არცა ებნითა შეიქმნის ჴმაჲ და არცა ტყუელვითა უდებ-ყვნის სასმენელნი, პარხ. 787 b.

სატანა საკუთარ სახელად არის გაგებული და ამიტომ, ბუნებრივია, ნათესაობითში (აგრეთვე მოქმედებითშიც) არ იკვეცება: იყვნენ სულნი თქუენნი **სატანაჲს** თანა, პარხ. 802 a; და ესძლო ყოველთა, რომელთაჲ იყოსცა თუ რაჲმე მამისა შენისა **სატანაჲსა**, იქვე, 724 b.

დანა ერთგან გვხვდება ნათესაობითში საინტერესო ფორმით: პავლესთჳსცა ლოცვა-ყავთ, დიად ამაშენა **დანაისა** ლესვითა (საქ. მუზ. H ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. V, 232 = H 2377, ანდერძი, 285 r). ამ ფორმის გამო არ შეიძლება ითქვას, რომ შეუკვეცავად არის მოცემულიო: ასე რომ ყოფილიყო, არა **დანაისა** გვექნებოდა, არამედ **დანაჲსა**. ნამდვილად ამ ფორმაში „კ“ არის ჩავარდნილი და ამის გამოა გამოწვეული ხმოვანთა (აი) უჩვეულო შეთანხმება: დანაკისა → დანაისა. ძველ ქართულში ეს სახელი ყოველთვის „აკ“ სუფიქსით გვაქვს: არიან აქა ორ **დანაკ**, ლ. 22, 38. ჩვენი მაგალითი გადამწერის ანდერძიდანაა დამოწმებული და გასაგებია, რომ კ მასში იყოს ჩავარდნილი: ენაში მოქმედი ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სხვა მოვლენები პირველად სასაუბრო (ხალხურ) მეტყველებაში იჩენს ხოლმე თავს და მერმეღა იკაფავს გზას ლიტერატურისაკენ.

უცხო ენიდან შემოსული ზოგი სახელი ჯერ კიდევ ვერ არის გადადნობილი ქართული სახელების ბრუნების ყაიდაზე. მათ ახასიათებთ ძლიერი მერყეობა კვეცაში, ხან იკვეცებიან, ხან არა. ამასთან; უფრო ძველი ძეგლებისათვის უპირატესად ფუძის შეუკვეცაობაა ნიშანდობლივი. დამახასიათებელია აქ მხრივ ბერძნული ენიდან შემოსული **ეკლესია**, რომელიც უძველეს

ეგლებში შეუკვეცელი ფორმითაა მოცემული, მაგალითად: შეწევნითა წმიდისა სამებისაჲთა ოც წლისა პეროზ მეფისა ზე ხიქმნა დაწყებაჲ ამის **ეკლესიაჲსაჲ**, ბოლნ. წარწ.; რომელი გჳსწაეიეს კათოლიკო **ეკლესიაჲსაგან**, კიმ. I, 14, 28; მაშინ განუკჳრდა **ეკლესიაჲსა** მსახურსა მას და თქუა, იქვე, 162, 31; თქუან: აცხოვნე, უფალო, ერი შენი და ყონ ორმეოცი კჳრლა **ხონი** და კართა **ეკლესიაჲსათა** განუყონ ხილი და განუტეონ ერი, ბოლნ. 16, 11. ეს უკანასკნელი მაგალითი იმითაცაა საინტერესო, რომ ის წარმოადგენს არა ი. ბოლნელის ქადაგების ნაწილს, არამედ ქადაგების ბოლოს მიწერილი დარიგებიდან ამოღებულ სიტყვას, მაშასადამე, თვით გადამწერისათვის დამახასიათებელ ფორმას. გვხვდება შეკვეცილი ფორმებიც: კაცი, რომელი დგას **ეკლესიისა** საწუეთესა ქუეშე, შემოიყვანეთ ეკლესიად, კიმ. I, 162, 30; და აღვასრულე დღესასწაული ნეჲსა **ეკლესიისა** წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲ, იქვე, 24. 24 და სხვა.

ასევე ნაირნაირად გვხვდება „**გეჰენია**“-ც: ვითარ-მე განხერნეთ საშჯელსა **გეჰენიაჲსასა**, მ. 23, 33 (ისტ. ქრესტ. 11); ჰყვით იგი ნაშობ **გეჰენიაჲს** ორ წილ თქუენსა, მ. 23, 15 C. შაგრამ: ეგე არს სარკე **გეჰენიისა** მის ცეცხლისაჲ, კიმ. I, 144, 28; ვითარცა სეტყუაჲ, მოიწიოს მათ ზედა ცეცხლი **გეჰენიისაჲ** ძლევითა მით, თარგმ. გამოც. 11, 19.

დავასახელებ კიდევ შაგალითებს, რომლებშიც უცხო წარმოშობის სახელები უკვეცლადაა მოცემული: ვერ ჴელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და **მამონაჲსა**, მ. 6, 24; ისჳენით თავისა თქუენისა ძეგობარნი **მამონაჲსა** მიმართ სიცრუჳისა, ლ. 16, 9; პოვნასა **დრაქმაჲსასა**, შრავ. 299, 24; დასდებელნი **მარტჳრიაჲსანი**, ი. ჯავ. აღწ. 108, 25; ნაცვალად **მანანაჲსა** ნავღელი და ძმარი ასუეს მას, მამ. სწავ. (H) 93; რომელსა შინა იყო ტაკუკი ოქროჲსა(ჲ) საესე **მანანაჲთა**, ებრ. 9, 4.

თავისებურად იბრუნვის **პაპა** || **პაპ-ი**: ხან ხმოვანფუძიანად არის გაგებული და ამ შემთხვევაში თითქო არ იკვეცება: შე-რა-ვიდა ნეტარი მაქსიმე წინაშე **პაპაჲსა**, კიმ. I, 66, 17; უკუეთუ თავს-იდვამცა მეფემან საველრებელისა წიგნისა მიწერად **პაპაჲსა**, იქვე, 82, 4. ხან თანხმოვანფუძიანად ესმით და ამიტომ გვაქვს: ესე რაჲ ესმა ღირსსა მას **პაპსა**, აღივსო სიხარულითა, იქვე, 126, 21: მოუწოდა ღირსმან მან **პაპმან** საკელარსა თჳსსა, იქვე, 129, 29. რაც შეეხება ფორმებს **პაპისა**, იქვე, 67, 1, **პაპად**, იქვე, 66, 25, ესენი ორივენაირ გაგებას შეეძლო მოეცა. ბოლოს აღვნიშნავ, რომ ეს სიტყვა ზოგჯერ ადამიანთა სახელსაეით აქვთ გააზრებული და ამიტომაა, რომ გვაქვს ასეთი ფორმები: ხოლო **პაპა** (მოთხ.) მისცა სავანე მყუდროჲ მაბლობელად თჳსა მონასა მას ღმრთისასა, იქვე, 66, 19; ნეტარსა **პაპას** ვჰკითხო და ვჰრქუა, იქვე, 70, 11. მაგრამ ჩვეულებრივად ისე იბრუნება, როგორც საზოგადო სახელი, და გვაქვს: **პაპამან**, იქვე, 69, 11, ან: **პაპმან**, იქვე, 129, 29 და სხვ.

6 ზემოთ საუბარი იყო კვეცილი სახელების ფუძის შესახებ. ახლა ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ მათს ბრუნვის ნიშნებს.

წრფელობითს ბრუნვაში აქაც, როგორც ყველგან, მხოლოდ სუფთა ფუძეა მოცემული: დედა, მამა, ძმა.

სხვა ბრუნვებში აქაც ისეთივე დაბოლოებანი გვაქვს, როგორიც თანხმოვანფუძიან სახელებში გვქონდა: მოთხრობითში მან, მიცემითში ს-ა, ნათესაობითში ის-ა, მოქმედებითში ით-ა, წოდებითში ო.

გამონაკლისს მხოლოდ ორი ბრუნვა შეადგენს: სახელობითი და ვითარებითი. ვითარებითს ბრუნვაზე ქვევით გვექნება საუბარი (გვ. 111—112). აქ შევეხებით სახელობითს.

სახელობითს ბრუნვაში თანხმოვანფუძიან სახელებში ბრუნვის ნიშნად გვქონდა ი. ნ. მარი ფიქრობდა, რომ ეს ი ნაცვალსახელური წარმოშობისაა და მომდინარეობს ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან ჰი (Грам. გვ. 18, 90). მაგრამ რა იქნა ეს ჰი? რატომ არა გვაქვს მისი კვალი შემონახული სადმე ენაში? ამაზე პასუხი არა ჩანს. ა. შანიძის აზრით, „ქართულში სახელობითის ნიშნად ი გვაქვს, რომელიც „იგი“ ართრონის ნაშთი უნდა იყოს“ [1]. ამავე შეხედულებას იზიარებენ სხვა ქართველი ენათმეცნიერებიც. ეს შეხედულება ადვილად გვაგებინებს საქმის ისტორიას და კარგადაც ეგუება სინამდვილეს.

რაც შეეხება ხმოვანფუძიან სახელებს, აქ სახელობითი ბრუნვის ნიშნად ჲ გვაქვს: დედა-ჲ, მამა-ჲ, ძმა-ჲ.

ეს ჲ მომდინარეობს ი-საგან, ჲ ი-ს დასუსტებული სახეა. ჲ გვაქვს ბრუნვის ნიშნად მთელ ძველ ქართულში; ქართული ენის წერილობითი ძეგლების უძველეს სათაყეებშიც მხოლოდ ჲ გვხვდება, არსად არა ჩანს ი: დედაი, მამაი, ძმაი [2], ეს იმას ნიშნავს, რომ ი-ს დასუსტება ადრევე დაწყებულა, იგი წინ უსწრებს ჩვენი ენის წერილობითი ისტორიის დასაწყისს.

ქართული ენის დიალექტებში დღემდისაც არის დაცული ამ ძველი პერიოდის გამონაკრთომი. გურულში, ქართლურსა და სხვა დიალექტებში შემონახული ფორმები, როგორიცაა ძმაი, დაი, ტყეი, დღეი, მუშაობაი, კითხვაი, სწავლაი, ძროხაი, ციხეი, მიწაი, ალოი და სხვა, იმ ძველი ხანის გადმონაშთად უნდა ჩაითვალოს [3]. აქ მოყვანილ მაგალითებში, ავტორების გადმოცემით, სრული ი უფრო ისმის, ვიდრე დასუსტებული ჲ; ლექსებში ეს ნიშანი მარცვალს შეადგენს, მაშასადამე, ის სრული ხმოვანია [4]. ამნაირად, ცოცხალმა კილოებმა შემოგვინახეს ქართული ენის განვითარების ის საფე-

[1] ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: არილი, 1925, გვ. 219.

[2] იშვიათად შეხვედრილი ფორმები „დედაი“-ს ტიპისა ი-ს დასუსტების წინა პერიოდის ნიმუშად ვერ მიიჩნევა, ის უბრალო შეცთომად უნდა ჩავთვალოთ. ასეთია, მაგალითად: დადგა დინარეი იგი სისხლისაჲ ათორმეტისა წლისაჲ, ი. ჯავ. აღწ. 198, 36 და სხვა. რაც შეეხება მაგალითს: არა მომებო მე დრკუი გულითა (ფსალმ. 100, 4), უ-ს შემდეგ ვ უნდა იყოს დაკარგული (დრკუვი→დრკუი) და ამიტომ, ბუნებრივია, სრული ი უნდა გვქონდეს და გვაქვს კიდეც.

[3] ვ. თოფურია, ქართლური: არილი, 1925, გვ. 137 — 138; ს. ქენტი, გურული კილო, 1936, გვ. 58.

[4] ვ. თოფურია, იქვე, გვ. 138.

ხური, რომელიც წინ უსწრებს V საუკუნეს, ქართული ენის წერილობითი ძეგლების დასაწყის ხანას.

ე-ზე ფუძეგათავებულ სახელებში სახელობითი ბრუნვის ნიშანი ჲ ერწყმის წინამავალ ფუძისეულ ე-ს და ვღებულობთ ი-ს, მაგალითად: აწ სამი **დღი** არს, და მელიან მე, მ. 15, 32 E; ამიერითგან იყოს **ძი** კაცისაჲ მჯდომარე მარჯუენით ძლიერებასა ღმრთისასა, ლ. 22, 69; ვითარცა **საფარჯი** მოუკდეს მსხდომარეთა ზედა პირსა ყოელისა ქუეყანისასა, ლ. 21, 35; რომელთა არა აქუს **ხაუნჯი**, ლ. 12, 24 C; ყავთ თავისა თქუენისა **საფასი**, რომელი არა დაძუელდეს, ლ. 12, 33; ესე არს იესუ ნაზარეველი, **მეუფი** ჰურიათაჲ, მ. 27, 37 E.

ძველ ქართულ სალიტერატურო სკოლებში ი-ს წერა ზემოხსენებულ შემთხვევაში მიღებული იყო როგორც ნორმა. ძველი ქართულის საუკეთესო ხელნაწერებში ეს წესი ძირითადად განუხრელადაა დაცული. მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგ სკოლაში და, უფრო მეტად, ზოგიერთი გადამწერის ენაში თავს იჩენდა ამ წესის დარღვევა და ე და ჲ შეურწყმელად იყო წარმოდგენილი. ასეთი მოვლენა უფრო მეტად საბას ლავრიდან გამოსულ ხელნაწერებში გვხვდება, იშვიათად — სხვებშიც. დამახასიათებელია ამ მხრივ ე. წ. ჰილ-ეტრატის იადგარი, რომელიც სათანადო შემთხვევებს თითქმის ყველგან დაშლილად წარმოგვიდგენს. დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი: განახუნენ ბჭენი საუკუნენი და შევიდეს **მეფეჲ** დიდებისაჲ. ჰილ-ეტრ. 292 v, 2; არა თუ **ხიწმიდეჲ** მოიღო, იქვე, 25, 15; ეგე არს **ძეჲ** ჩემი საყუარელი, იქვე, 25 v, 17; **ხავანეჲ** თქუენ თანა დაიდვა, იქვე, 59 v, 12; შეკრა ისაკ **ძეჲ** თჳსი, დაბ. 20, 9 ლაგ.; **მარჯუენეჲ** შენი... დიდებულ არს, გამოსლვ. 15, 6 ლაგ.; **თორნეჲ** ჯაჭუედი ემოსა მას, 1 მეფ. 17, 5 ლაგ.; მან დაამტკიცა **სიმაღლეჲ** ქუეყანასა ზედა, ამოს 5, 7 ლაგ.: მოავლინა ძი თჳსი, რაჲთა მოაქციოს **ტყუეჲ** ერისა თჳსისაჲ, კიმ. 1, 177, 11; ესე მეექუსი **თუეჲ** არს, ვინაჲთგან წესსა შინა არს მიდგომილებისასა, იქვე, 180, 37; ნ. კ. იქვე: **ღელეჲ**, 172, 35; **მეუფეჲ**, 187, 9.

მსგავსი მაგალითები გვხვდება იშვიათად და აქა-იქ სხვა ხელნაწერებშიც. მაგრამ, ვიმეორებ, ძველი ქართულის ე ფუძიანი სახელებისათვის ძირითადი ნორმა მაინც „მეფი"-ის ტიპის შემთხვევებია. ეს ნორმა უფრო მწიგნობრული ხასიათისა უნდა ყოფილიყო და, როგორც ჩანს, გამოთქმაში მას მტკიცე საფუძველი აღარ ჰქონდა. ამას რომ ვლაპარაკობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ეს ი გამარტივებულია და სახელობითის ფორმა ე-ს ანაბარაა წარმოდგენილი. აი ამის რამდენიმე მაგალითი: გწადდის თქუენ ხილვად **დღე** ერთი დღეთაგან ძისა კაცისათაჲ, ლ. 17, 22 C; შე-ღათუ-წუხნა **მეფე** იგი, მ. 14, 9 D; ესე არს **ძე** ჩემი საყუარელი, ისმინეთ მისი, მრ. 9, 7 C; რაჲთა არავის უთხრან **ხაქმე** იგი, ლ. 8, 56 CD; რომელსა არა ემოსა სამოსელი **საქორწინე**, მ. 22, 11 D; გამოვიდა იგი და იბილა **მეზუერე**, ლ. 5, 27 CD და ბევრი სხვა.

აქედან არ გამომდინარეობს, რასაკვირველია, რომ ამ დროს წრფელობითი და სახელობითი გათანაბრებულია და ისინი ერთმანეთში ერევათო.

ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ამნაირი არევა სხვა შემთხვევებშიც უნდა გვქონოდა, მაგრამ სხვაგან ყველგან ეს ორი ბრუნვა მკაცრად არის ერთმანეთისაგან განსხვავებული: სახლ და სახლი, დედა და დედაჲ, წყარო და წყაროჲ, ცრუ და ცრუჲ ერთმანეთში არასდროს არ ერევათ, მათ თავ-თავის ადგილას ხმარობენ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ამ დროისათვის ი-ს გამოთქმა უკვე აღარ შეეფერებოდა მის ძველ ხასიათს, ის ახლა ისე გამოითქმოდა, როგორც მეხუთე ე. და თუ ზოგიერთ ხელნაწერში ის ბევრჯერ თავის ადგილზე დგას და ძველ ნორმებს იშვიათად ღალატობს[1], ეს უფრო ძველი სალიტერატურო ქართულის ტრადიციის შენახვით აიხსნება. მეტად საგულისხმოა ისეთი შემთხვევები, როცა ზოგიერთი ხელნაწერი მეხუთესა და მერვე ე-ს ერთად წარმოგვიდგენს ხოლმე, მაგალითად: თესლი და მკაჲ, **ყინელი** და **ხიცხეი**,ზაფხული და ზამთარი, **დღეი** და **ღამეი** არა დასცხრენ, დაბ. 8, 21 ლაგ.; და ესუას სარას **ძეი**, იქვე, 18 ,14; (სამას წყრთა ჰყო სიგრძი) კიდობნისაჲ მის და ერგასის წყრთა **სიგრცეი** ჰქმნე და ოც და ათ წყრთა **სიმაღლეი** ჰყო, იქვე, 6, 15. **ეი** ასოები იხმარება სახელობითს გარდა სხვა სათანადო შემთხვევებშიც: და ყო ნოე **ეგრეი**თ, ვითარცა უბრძანა უფალმან ღმერთმან, იქვე, 6, 22; 7, 5; ორ-ორი შევიდა **ნოვეი**ს თანა კიდობანსა მას, იქვე, 7, 9; ცხორებასა **ნოვეი**სსა, იქვე, 7, 11; 8, 13; ძენი **ნოვეი**სნი, იქვე, 7, 13; 9, 18; ხორშად-ხორშად **აღაშეი**ნო ქუეშე სახლებად და შოვა სახლებად **აღაშეი**ნო, იქვე, 6, 15 და სხვ. ამის მსგავსი მაგალითები ბლომად მოიძებნება. ადიშის ძეგლსა და სხვა ხელნაწერებშიც. რად არის აქ მოცემული ორი **ე** (მეხუთე და მერვე)? ცხადია, პირველი მაშინდელ გამოთქმას შეეფერება და ამიტომ არის ნახმარი, მეორე ძველ ლიტერატურულ ნორმებსა და ტრადიციას უხდის ხარკს. ძალიან საინტერესოა, რომ ამ ორი ე-ს რიგი მუდამ ერთი და იგივეა: ჯერ **ე**, შემდეგ **ი**. ესეც ადვილი ასახსნელია: თავის დროზე **ი** სახელებში ბოლოს იწერებოდა, მას **ე** არასოდეს არ მოჰყვებოდა ხოლმე. თუ ამ უკანასკნელად მოყვანილ მაგალითებს არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა შემთხვევები თითქმის ერთისა და იმავე სახისაა: სათანადო შემთხვევებში ძველი **ი** გამარტივებულია და ე-ს სახითაა წარმოდგენილი. მაგრამ მარტო ამის აღნიშვნა აქ არ კმარა. ძველ ქართულში ჩვენ ვიცით მთელი რიგი ისეთი შემთხვევები, როცა ამ ასოების ხმარება ძალზე არეულია: ძალიან ხშირად ერთი მეორისა[2] და მეორე პირველის ადგილას იხმარება. არ არის, მაგალითად, **ი** წარმოდგენილი ზედსართავი სახელების უფროობითს ხარისხში ისეთი ძველი ძეგლების

---

[1] სხვა ცნობილ ხელნაწერთა შორის ამ მხრივ ყველაზე იდეალური მდგომარეობა ტბეთის ოთხთავშია დაცული; აქ **ი** თითქმის ყველგან თავის ადგილას იხმარება; მეორე მხრივ, მის დაკლებასაც თითქმის არა აქვს ადგილი. ამ საინტერესო ხელნაწერის მათესა და მარკოზის თავები გამოსცა ვლ. **ბენეშევიჩმა** 1909 და 1911 წლებში (იხ. წყაროებში), ხოლო ლუკას თავი ჩვენ გამოვეცით (ქართ. ენის ისტ. კრესტ. 1953, გვ. 65 — 122). **ი** კიდევ უფრო შეუბღალავად არის დაცული სინას მრავალთავში, მაგრამ ამაზე ცალკე.

[2] **ი**-ს მაგივრად რომ **ე** იხმარება, ეს ზემოთ ვნახეთ.

ენაში, როგორიც ხანმეტი პალიმფსესტებია: **ხუმჯობეს** არს შენდა მკელო-ბელის შესლვად, მრ. 9, 45 (ისტ. ქრესტ. გვ. 13; შდრ. იქვე: **ხუმჯობჲს** არს შენდა.., მრ. 9, 47, გვ. 14); და ხიყო ძჲ იგი მისი **უხუცესი** ველსა გარე, ლ. 15, 25 (იქვე, 16). ამავე მოვლენაზე მიუთითებდა ა. შანიძე ერთ მის გამოკვლევაში: „აღსანიშნავია უთუოდ ის გარემოება, რომ ჲ არ მოიპოვება ზედსართაე სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის სუფიქსში: ხუპატიოსნეს 2a1, ხუმეტესსა 25a3, უხუცესთა 19a14 და არც „ესრეთ"-ში 2b15, 3a13, 5bd"[1]. გვხვდება, პირიქით. იქ, სადაც მას არა ესაქმება-რა: საკუთარ (ადამიანთა) სახელთა წრფელობითს ბრუნვაში: **ზაქჲ** (ი. ჯავახიშვილი, პალეოგრაფია, 1949, გვ. 354), წოდებითში: **ზაქჲ**, იწრაფე და დამოკედ მაგიერ (იქვე). თუ ასეა საქმე ამ უძველესი ძეგლების ენაში, რაღა უნდა იყოს შემდეგ საუკუნეთა ნწერლების (თუ გადაწერების) ენაში! აქ მართლაც დიდ არევ-დარევას ვხვდებით ამ მხრივ. რომ არაფერი ვთქვათ ადიშის ოთხთავზე, რომელიც ძალიან ჭრელ სურათს გვიჩვენებს ჲ-ს წერასთან დაკავშირებით, უკვე მე-9—10 საუკ. სხვა ძეგლებშიც ძალზე შერყეულია ამ ასოს ხმარების საკითხი. აქ შეგვეძლო მოგვეყვანა ორიოდე ნიმუში ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავთაგან. ამათგან პირველი სისტემატურად წერს ჲ-ს ნაცვლად ე-ს, მაგალითად: ნათესავი ბოროტი და **მემრუშე** სასწაულსა ეძიებს, მ. 16, 4; იხილეს რაჲ მოყუასთა მისთა **ხაქმე** ესე, ფრიად შეწუხნეს, მ. 18, 31; აჰა ესერა **მეუფე** შენი მოვალს შენდა მშჯდი, მ. 21, 5; რომელმან დაასხა ვენაჯი და **ზღუდე** გარე-მოსდვა მას, მ. 21, 33 და მრავალი სხვა. ამავე (ჯრუჭის) ოთხთავში ჲ იხმარება იქ, სადაც ის არაა მოსალოდნელი; ამის ნიმუშები იქნებოდა: და იტყოდა: შემიწყალე მე, უფალო, **ძჲო** დავითისო. მ. 15, 22; 16. 17; 20, 30; ხოლო **ძჲნი** იგი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა, მ. 8, 12 და სხვ. დავსძენ აქვე, რომ ჯრუჭის ოთხთავი საერთოდ იმ ხაზს ატარებს, რომ, რაც შეიძლება, ნაკლებად იხმაროს ეს ასო.

პარხლის ოთხთავი, პირიქით, ძალიან ხშირად იყენებს მას, მაგრამ, როგორც მოსალოდნელია ასეთ შემთხვევაში, აჭარბებს ამ მხრივ და მას ასევე ხშირად ხმარობს იქ, სადაც ის არაა საჭირო. ამის მაგალითები იქნებოდა: ვერ ჭელ-ეწიფების **ხჲსა** კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად, არცა **ხჲსა** ხენეშსა ნაყოფისა კეთილისა გამოღებად, მ. 7, 18: და მესამესა **დღჲსა** აღდგეს, მ. 20, 19; და **ზჲ** ზის იგი ვირსა და კიცუსა, ნაშობსა კარაულისასა, მ. 21, 5: და განვიდა **გარჲ** ქალაქით ბეთანიად, მ. 21, 17 და სხვა[2].

[1] ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი: თბილ. უნივ. მოამბე. ტ. VII, გვ. 110.

[2] ერთი კია აქ აღსანიშნავი: ჲ არ გვხვდება **ყოველი პოზიციის** ე-ს ნაცვლად, არამედ მას მხოლოდ მაშინ ცვლის, როცა ეს უკანასკნელი სიტყვის საწყისი ფორმის ბოლოსაა მოქცეული. შდრ. **ხჲსა** — ხე. **დღჲსა** — დღე, ზე, გარე... მაგრამ ამ ხელნაწერში არასდროს არ შეიძლება მან ისეთი ე შეცვალოს, რომელიც სიტყვის შიგნით გვხვდება, მაგალითად: ხენეში, ბეთანიად და სხვ. ჩანს, გადამწერის შეგნებაში მაინც არის ხსოვნა, რომ ამ ჲ-ს სახელებში სწორედ უკანასკნელ ხმოვანთან აქვს უშუალო კავშირი.

ბოლოს დავუმატებთ, რომ ამ ძეგლში ⵄ-ს ასევე ხშირად ვხვდებით ე-ზე ფუძეგათავებულ საკუთარ სახელთა სახელობითსა და მოთხრობითში: მიუგო პეტრⵄ და ჰრქუა მას, მ. 14, 28; და ეტყოდეს: მოძღუარ, მოსⵄ ესრე თქუა, მ. 22, 24 და სხვ. და თუ ასე არეულად იხმარება ეს ასო ისეთ ძეგლში, რომლის გადამწერიც, განთქმული შატბერდელი მწერალი იოვანე-ბერა, კარგად არის ჩვენში ცნობილი, როგორც დიდად განსწავლული პიროვნება და ქართული ენის საუკეთესო მცოდნე, რაღა უნდა ითქვას სხვებზე, რომელთაგან ბევრი ბერას ვერც ქართული ენის ცოდნით შეედრებოდა და ვერც იმის სამწერლო ერუდიციას დაიჩემებდა.

აქ არ შემიძლია ერთი ამ უკანასკნელთაგანის ენას არ შევეხო ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით. მე მხედველობაში მაქვს საქართველოს ცენტრალური არქივის ხელნაწერი (ფონდი 233, № 107), რომელიც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში „ანბანდიდის“ სახელითაა ცნობილი[1] და რომელიც მე-10 საუკუნის მიწურულში უნდა იყოს გადაწერილი[2]. ამ ხელნაწერში ძალზე შერყეულია ⵄ-ს მართლწერის საკითხი: არც ე-ზე ფუძეგათავებული საზოგადო სახელების ბოლოს სახელობითს ბრუნვაში, არც ე ფუძიან საკუთარ (ადამიანთა) სახელთა ნათესაობითში და არც ზედსართავი სახელების უფროობითს ხარისხში ის არ გვხვდება. ყველა ამ შემთხვევაში მის ნაცვლად მხოლოდ ე არის წარმოდგენილი: საფრჯე, ლ. 21, 35[3]; მეათე, ი. 1, 40; კლდე, ი. 1, 43; მეუფე, ი. 1, 50; უმცირესი, ლ. 9, 48 და სხვ.

იშვიათად შⵄნ-ებ ფუძეში თუ ამოყოფს ხოლმე თავს აქა-იქ: შⵄნებულ, ლ. 21, 5; მაშⵄნებელთა, ლ. 20, 17. მაგრამ უმეტესად აქაც არა ჩანს. რომ ამ ასოს ამ დროს (ყოველ შემთხვევაში, ამ ხელნაწერის რედაქტორისა თუ გადამწერისათვის მაინც) უკვე დაკარგული ჰქონდა თავისი ფონეტიკური შინაარსი, იქიდანაც ჩანს, რომ ერთსა და იმავე სიტყვაში ორი-სამი სტრიქონის მანძილზე ხან ⵄ სწერია და ხან ე: რამეთუ ესე არს ნⵄბაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ, ი. 6, 39, მაგრამ: რამეთუ ესე არს ნებაჲ მამისა ჩემისაჲ, ი. 6, 40.. შⵄნ(ებ) ფუძეში, როგორც ცნობილია, ძველთაგანვე იწერებოდა ⵄ. ამის ბუნდოვანი მოგონება უნდა ჰქონოდა ჩვენს გადამწერს, რომ ამ ძირში იგი ხანდახან ⵄ-ს ხმარობს. მაგრამ მას აქ ⵄ-ს მოქმედების ასპარეზი ერთობ გაუფართოებია და სადაც კი „შე“ კომპლექსი შეხვედრია (სულ ერთია, რაა ეს შე, რისგან შედგება ის), ანალოგიით ⵄ გაუტარებია თითქმის ყველგან. ამის გამოა, რომ გვაქვს ძველი ქართულისათვის ასეთი მოულოდნელი ფორმები: შⵄნ (=თш), ლ. 9, 38; 12, 59; შⵄნნი, ლ. 19, 44; ნუ იმრუშⵄბ. ლ. 18, 20; შⵄურაცხ-ყეს, ლ. 22, 54; შⵄსაძლებელ არს, ი. 3, 9; შⵄიწყნარებს, ი. 4, 45; ნიშⵄბი, ი. 4, 48; შⵄსრულ იყო, ი. 13, 2; შⵄმიყუარა, ი. 15, 9; შⵄვიდა, ი. 18, 15; შⵄგიწყნარნენ, ლ. 9, 5 და სხვ.

---

[1] პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: მნათობი, 1939, № 4, გვ. 128.

[2] პ. ინგოროყვას იგი მე-9—10 საუკუნისად მიაჩნია (იქვე).

[3] ხელნაწერში შენახულია მხოლოდ ლუკა (ნაწილობრივ) და იოვანე (სრულად).

ამავე მოვლენაზე ხშირად მიუთითებდა ნ. მარი. ავტორს მის ცნობილ გამოცემებში ბევრჯერ აქვს აღნიშნული, რომ ი და ე ძალზე ხშირად არის არეულიო. იპოლიტეს ქებათა ქების განმარტებაში ის წერს ამ საკითხზე: неоформленным является имя сущ. или прилагательное в качестве второго именительного, напримерː თჳთ სიბრძნე (а не сибрдзнѳ) იყო 1, 2, თავადი იგი მადლ (а не мадли) იყო 1, 4. Но в этом собственном уже синтаксическом явлении замечается сильное колебание, и только два раза сделаны мною исправления (მოწაბი в моwабе 2, 43, მოწაფი в моwафе 2, 106), в прочих же случаях в издании сохранено рукописное преданиеˡ. ასევე იყო იგი იძულებული ამ გარემოებაზე მიეთითებინა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ და სხვა გამოცემების დროსˢ. არა ერთხელ აღუნიშნავს ეს გარემოება ა. შანიძესაც³.

თ. ყაუხჩიშვილს ამ საინტერესო ასოსადმი სპეციალური მონოგრაფიაც კი აქვს მიძღვნილი⁴.

ყველა ამის შემდეგ ბუნებრივია, თუ ე-ზე ფუძეგათავებული საბელების წრფელობითსა და საბელობითს ეჭვით მოვეპყრობით, სულ ერთია, რა ექნება მას ბოლოში: ი თუ ე. ამ სადავო ბრუნვების ფორმათა გამოყენებას არ ვერიდებით მხოლოდ მაშინ, როცა მოცემულ სახელს მსაზღვრელად ახლავს თანმოვაწფუძიანი (ან სხვა ხმოვანზე დაბოლოებული) სახელი, რომელთაც ამ ორი ბრუნვისათვის განსხვაებული ფორმები აქვთ, მაგ.: კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძი, ლ. 15, 11 DE. აქ, როგორც უნდა წავიკითხოთ ძი, ის მაინც წრფელობითია, მის წრფელობითობას განსაზღვრავს მსაზღვრელი ორ. სამაგიეროდ, ამ წინადადებაში „რაჟამს დაჯდეს ძე კაცისაჲ საყდართა ზედა დიდებისა მისისათა (მ. 19, 28 C) ძე სახელობითია, რასაც უჩვენებს მისი სინტაქსური ძალა (გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტია) და მსაზღვრელის ფორმა: კაცისა-ჲ მხოლოდ ნათესაობით-სახელობითის ფორმაა.

7. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, ძველ ქართულში ხაირ-ნაირია. თანხმოვანფუძიან სახელებში ჩვეულებრივ ად დაბოლოება გვაქვს (კაც-ად), იშვიათად, განსაზღვრული ტიპის სახელებში, —დ (ადგი-დ)⁵. რაც შეეხება ხმოვანფუძიან სახელებს, მათ ყველას ვითარებითში მხოლოდ დ აქვს: დედა-დ, ძე-დ, ხოწაფე-დ. ორიოდე გამონაკლისზე (არე-ად, მრწლ-ად) ზემოთ იყო საუბარი. იქ ჩვენ ვცადეთ, აგვეხსნა, თუ რატომ გვაქვს ეს გამონაკლისი.

ˡ Н. Марр, ТР, III, стр. XLII.

ˢ Н. Марр. ТР, VII, стр. XLIV—XLV; XLVIII—LI.

³ ა. შანიძე, თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსია: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 18, გვ 31.

⁴ თ. ყაუხჩიშვილი, მასალები მერვე ე-ს ისტორიისათვის, 1945, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნ.).

⁵ დ-ს გამოყენების სხვა შემთხვევებს (ქართლ-დ) ქვეით შევეხებით გეოგრაფიულ სახელებთან დაკავშირებით.

ამ ბრუნვასთან დაკავშირებით კიდევ გვსურს ერთი შენიშვნა გავაკეთოთ. ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში, განსაკუთრებით დიალექტებში, ვითარებითის **დ**, რომელიც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოსაა მოქცეული, ყრუდება ხოლმე და იქცევა ბგერად, რომელიც **თ**-საკენ უფროა გადახრილი[1]; ამიტომ ხშირად მას წერაში თანით გამოხატავენ. დონის დაყრუება და თანად ქცევა. როგორც ჩანს, ახალი ამბავი არაა. მის კვალს იშვიათად, მაგრამ მაინც ჩვენ ვპოულობთ ძველ ქართულში. ერთი ამნაირი მაგალითი დადასტურებულია ადიშის ოთხთავში: და აღვიდა იგი **მთათ**, მრ. 3, 13. სხვა მაგალითებს მოვიყვან აქვე: მოიღო მარიამ ნელსაცხებელი და იწყო **ცხებათ** ფერჯთა უფლისათა, პილ-ეტრ. 128 v, 19; რომელი მოვიდა ნეფსით **ვნებათ** ჯორცითა და მეორედ მოსლვად არს გაშჩად ცოცხალთა და მკუდართა, იქვე, 145 v, 1: ამაღლდი **ზეცათ** და დასჯედ შარჯუენით მამისა, იქვე, 270, 5[2] და სხვა.

8. ისეთი სახელების შესახებ, როგორიცაა **ზღუა** და **ტყუე**, ნ. ქვემოთ (გვ. 128—132).

2. კუმშვად-კვეცადი სახელები

ის სახელები, რომლებიც ახალ ქართულში ფუძეს კიდეც იკუმშავენ და კიდეც იკვეცენ, ძველ ქართულში ან სრულიად არ გვხვდება (ფანჯარა, ქარხანა...), ან გვხვდება, მაგრამ ფუძეს არ იკუმშავენ. ამ უკანასკნელი ტიპისაა: **ჭუეყანა, მოყუარე** და სხვ. ესენი მხოლოდ იკვეცებიან, მაგრამ შიგნითა ხმოვანს არასდროს არ კარგავენ, არ იკუმშებიან, მაგალითად:

1) **ჭუეყანა**:

რომელი **ჭუეყანისა** ამისვანი არს, **ჭუეყანისაგან** არს და **ჭუეყანისასა** იტყჳს, ი. 3, 31 C; ნავი იგი განშორებულ იყო **ჭუეყანით** მრავალ უტევან, მ. 14, 24; გამოვიდა სიმონ-პეტრე და გამოითრევდა ბადესა მას **ჭუეყანად**, ი. 21, 11.

2) (**კაცთ**)-**მოყუარე**: ქანანელი იგი დედაკაცი შეუვრდა და ეტყოდა და ითხოვდა **კაცთ-მოყუარისაგან**, სვან. 368 გ.

---

[1] გ. ახვლედიანი. ყრუ MEDIAE ქართულში: ჟურნ. „განათლება", 1920, № 4 — 5, გვ. 3—10. ზოგიერთი შესწორებით დაიბეჭდა იმავე ავტორის ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში (1949, გვ. 353—357).

[2] ა. მარტიროსოვი, პილ-ეტრატის იადგარის ორთოგრაფიული და ფონეტიკური თავისებურებანი, 1941, გვ. 52 (საკანდიდატო დისერტაცია. ხელნ.); ა. ჯიშიაშვილი, პილ-ეტრატის იადგარის მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი, საკანდ. შრომის თეზისები, 1941, გვ. 2.

ძველ ქართულში ნამდვილი კუმშვად-კვეცადი სახელებია: **მოწაფე, მანჭანა, პატარა.**

ა) **მოწაფე.** ამ სიტყვაში ნათესაობითსა და მოქმედებითში იკარგება ორი ხმოვანი: შიგნითა ა (კუმშვა) და გარეთა ე (კვეცა). მაგალითები: კმა არს **მოწფისა** მის, უკუეთუ იყოს, ვითარცა მოძღუარი თჳსი. მ. 10, 25 E; რომელმან ასუას ერთსა ამას მცირეთაგანსა სასუმელი ერთი წყალი გრილი სახელად **მოწფიხა,** მ. 10, 42 DE; მაშინღა სრბით მივიდა სიმონ-პეტრესა და ერთისა მის **მოწფისა,** რომელი უყუარდა იესუს, ი. 20, 2 C; და ბრძანა ვანყვანებაჲ წმიდისა მაქსიმესი და შეყვანებად **მოწფისა** მისისა, კიმ. I, 70, 36; **მოწფის**-მოწაფესა, ლიტ. ურთ. 23, 9; **მოწფისა** მისისაჲ, იქვე. 69, 5; რამეთუ კმა არს **მოწფისაჲ** მის, იყოს თუ ვითარცა მოძღუარი თჳსი. სვან. 455 b; ჟამი ჩემი ახლოს არს, შენ თანა ვყო ვნებაჲ ესე **მოწფითურთ** ჩემით. მ. 26, 18 CD. აქედან ნაწარმოები ფორმაც, რასაკვირველია, შეკუმშულია: და მიერ ქალაქით მოიღეს პატიოსანი იგი გუამი მისი და დადვეს იგი წმიდათა **პატრიაქთა თანა ხამოწფოსა,** წარტყ. 66, 24.

ბ) **მანჭანა.** აღნაგობით ეს სიტყვა ჰგავს დღევანდელი ქართულის „ქარხანა"-სა და „ფანჯარა"-ს, რომლებიც იკუმშებიან და იკვეცებიან ერთდროულად. მაგალითები: მერმე გეტყჳ თქუენ: უადვილეს არს **მანჭნის** საბელი განსლვად ჴურელსა ნემსისა, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ცათასა. მ. 19, 24 D. E-ში შეუკუმშავი ფორმაა (მანქანის), ხოლო C-ში სულ სხვა სიტყვა გვხვდება (ზომთ-საბელი); ეგევე ადგილი ოთხთაგში კიდევ ორ ადგილას მეორდება: მარკოზის თავში ისევ შეკუმშულ-შეკვეცილი ფორმაა, ამ შემთხვევაში ორივე ხელნაწერში (DE); აქ ამ ფორმას, წინანდელისაგან განსხვავებით, ემფატიკური ა აქვს დართული: უადვილეს არს **მანჭნისა** საბელი ჴურელსა ნემსისასა განსლვად, მრ. 10, 25 DE. ადიშის ძეგლში აქაც „ზომ-საბელისა"-ა ნახმარი (თანი აღარაა წარმოდგენილი). ეს შეკუმშულ-შეკვეცილი ფორმა ამ სახით (მანქნისა) სახარებიდან გადასულია ბევრ სხვა ხელნაწერში. ოთხთავის მესამე ადგილას (ლ. 18, 25) ყველა სამი ხელნაწერი შეუკუმშავ (მაგრამ შეკვეცილ) ფორმას იძლევა: **მანქანის** საბელი.

აღსანიშნავია, რომ იშვიათად ეს საბელი შეუკუმშავად და შეუკვეცლად გვხვდება, მაგალითად: მტერისა მის **მანქანაჲსა** მზაკუვარებანი, აბო 193, 21. მართალია, აქ **მანქანა** „მოხერხებას", „ეშმაკობას", „ეშმაკურ ხერხს" აღნიშნავს, მაგრამ ფუძის კუმშვა-კვეცისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა: **ფუძე** მაინც ერთია. ბოლოს დავსძენ, რომ ამ ხელნაწერსა (A 19) და ამ ძეგლში (აბოს წამება) ამის მსგავსი სხვა მაგალითიც გვხვდება: იქ „გუგა" შეუკვეცლად არის მოცემული (გუგაჲთა, 198, 3), როდესაც სხვაგან ეს სიტყვა ჩვეულებრივი, შეკვეცილი სახით გვხვდება.

შეკუმშულ-შეკვეცილი ფორმაა გამოყენებული აბსტრაქტულ სახელში **მანქნება** (‖ მანქანება), რომელიც „მოხერხებას", „ეშმაკობას" აღნიშნავს. ამის მაგალითია: გრძნებისა **მანქნებითა** განმერნეს ჴელთაგან ჩემთა, სვან. 226 g.

გ) **პატარა.** ეს ზედსართავი დღევანდელ ქართულში ჩვეულებრივ სხვა სახელის (არსებითის) მსაზღვრელად იხმარება და როგორც ხმოვანფუძიანი

მსაზღვრელი ფორმას არ იცვლის არც ბრუნვებში, არც რიცხვში (ეს ხდება მაშინ, როცა ის საზღვრულის წინ არის დასმული; ახალ ქართულში ის ჩვეულებრივ წინ გვხვდება): პატარა ბავშვი, პატარა ბავშვმა, პატარა ბავშვს, პატარა ბავშვის, პატარა ბავშვით, პატარა ბავშვად, პატარა ბავშვო, პატარა ბავშვები და სხვ. ამიტომ ჩვენ არა გვაქვს საშუალება გავიგოთ, იკუმშავს და იკვეცს ის ფუძეს, თუ არა. ეს სახელი ძველ ქართულში ძალიან იშვიათად იხმარებოდა. მას ცვლიდა სიტყვა **მცირე**, რომელსაც ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა და ყოველგვარი საგნისა თუ მოვლენის სიმცირეს აღნიშნავდა. ასე, მაგალითად, **ტვირთის** მიმართაც ძველ ხელნაწერებში ეს სიტყვა იხმარებოდა: რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტჳრთი ჩემი **მცირე** არს, მ. 11, 30C DE. შემდეგში უკვე, როცა ამ ზოგადი „მცირე“-ს დიფერენციაცია მოხდა, ზემოთ მოყვანილი ადგილის „მცირე“ შეცვალეს შესაფერისი ცნებით **ხუბუჭი**: ტჳრთი ჩემი **ხუბუჭ** არს (ურბნული რედაქცია, შემდეგ გ. მთაწმიდლის რედაქციაც). მეორე მხრივ, ეგევე „მცირე“ იხმარებოდა ადამიანის ტანის (рост) სიპატარავის გამოსახატავად, მაგალითად: (ზაქეს) უნდა ხილვაჲ იესუჲსი, ვინ-ძი არს, და ვერ უძლო ხილვად ერისა მისგან, რამეთუ ჰასაკით იყო იგი **მცირე**, ლ. 19, 3. **მცირე** აქ დაბალს ნიშნავს: ჰასაკით იყო მცირე, ე. ი. ტანად **დაბალი** იყოო. მაშასადამე, ეს **მცირე** შემდეგ შესაფერმა ცნებამ — დაბალმა — შეცვალა. ასე რომ, ცოტაა ის შემთხვევები, რომ ამ „პატარა“-ს არ ცვლიდეს სიპატარავის ზოგადი გამომხატველი **მცირე**. ჩვენ აქ კიდევ არა ყოველი **პატარა** გვაინტერესებს, არამედ ისეთი, რომელიც კუმშვად ბრუნვებში იქნება დასმული (ნათ. — მოქმ. მხოლობითი რიცხვისა და ებიანი მრ. ყველა ბრუნვა). ერთი ამნაირი მაგალითი ჩვენ შეგვხვედა ოშკის ბიბლიის ერთ-ერთ ნაწყვეტში და ჩვენი სიტყვა იქ შეკუმშულ-შეკვეცილი აღმოჩნდა: და შემაგინებდეს მე ერისა მიმართ ჩემისა მჭელისა ერთისათჳს ქრთილისა და **პატრისა** ერთისათჳს პურისა, ეზეკ. 13, 19. თბილისურ გამოცემაში აქ მოყვანილი ხაზგასმული სიტყვა შეცვლილია **ნატეხით: ნატეხისათჳს** პურისა, რუსული თარგმანით: за куски хлѣба.

ეჭვი არაა, ეს **ნატეხი** (куски) იმავე მნიშვნელობის სიტყვაა, რომლის ნათესაობითის ფორმაც არის ზემოთ მოყვანილი „პატრისა“.

მაგრამ რა ფორმაა საგულისხმებელი ამ სიტყვის ფუძედ? პ ა ტ ა რ თუ პ ა ტ ა რ ა? თუ პირველი, — მაშინ კვეცა აღარ გვექნება, თუ მეორე, — მაშინ კვეცაც გვექნება (კუმშვა ხომ არის და არის). თუ მოვიგონებთ, რომ პარხლის მრავალთავის (A 95) ანდერძში გადამწერად მოხსენებულია გაბრიელ **პატარაი** (გვ. 1222), აგრეთვე ეგევე გაბრიელ **პატარაი** არის დასაბელებული ე. წ. პარხალური ოთხთავის (S 4927) გადამწერად (მოხსენებულია ოროგან: იოვანეს სახარების ბოლოს და ოთხთავის საკითხავების შინაარსის დასასრულს), შეიძლება დავუშვათ, რომ ფუძე ამ სიტყვისა არის **პატარა**. მაშასადამე, ეს სახელიც კუმშვად-კვეცადი ყოფილა[1].

[1] საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეზეკიელის ახალ სომხურ თარგმანში (დასავლურ კილოზე) ეგევე სიტყვაა გამოყენებული: *ու հացի պատառներու համար* (ნახე კონსტანტინეპოლის გამოცემა სომხური ბიბლიისა, 1880 წ.).

საფიქრებელია, რომ კუმშვად-კვეცადი უნდა იყოს აგრეთვე ძველი ქართულის „მოღუაწე", მაგალითად: რომელთა დამოსდიოდეს ნაკადულნი ცრემლთანი თუალთაგან მათთა განწოვრებისათჳს მოძღურისა **მოღუწეხა** და სნეულთა მკურნალისა ჴელოვნისა, მოქც. 74, 4. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს სახელი ზოგჯერ ფუძის ბოლოს თანხმოვანსაც უჩვენებს, გვხვდება ამ სახით: **მოღუაწ**-ი: და დგეს იგი მეფისა წინაშე მსახურად და იყოს იგი მისა **მოღუაწ**, და განტფებოდის მეფჱ მარადის, 3 მეფ. 1, 12. ამ ტიპისაა მეორე მაგალითიც: რამეთუ კაცნი **მოღუაწნი** იყვნეს, იქვე, 9, 22. ახლა საკითხავია: რომელი ფორმის გაგრძელებაა ზემოთ აღნიშნული **მოღუწეხა**: „მოღუაწე"-სი, თუ „მოღუაწ"-ისა? თუ პირველისა, — მაშინ კუმშვად-კვეცადი იქნებოდა, თუ მეორისა, მაშინ მხოლოდ კუმშვადი. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ იმავე 3 მეფ. წიგნში ეს სახელი გვხვდება ვითარებითს ბრუნვაში და აქ უკუმშველადაა დაცული: და დაედგინნეს სოლომონს ათორმეტნი მბრძანებელნი ისრაჱლსა ზედა **მოღუაწად** და წინამძღურად, 4, 7. აქ ეს „**მოღუაწად**", ცხადია, „მოღუაწ"-ის გაგრძელებაა, რადგანაც გადამწერი, როგორც ვნახეთ, იქვე ასეთ ფორმას ხმარობს (მოღუაწ, მოღუაწნი). მაშასადამე, მოღუაწი — მოღუაწად უკუმშველია. ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრა, ზემოთ მოყვანილი **მოღუწეხა** კუმშვადიც არის და კვეცადიცო (ეს მით უმეტეს, რომ „მოქცეევაჲ ქართლისაჲს" ძეგლისათვის დამახასიათებელია „მოღუაწე" და არა „მოღუაწი"...). თუმცა არც ის არის შეუძლებელი, **მოღუაწ** ერთ შემთხვევაში (ერთ ძეგლში) შეუკუმშავად იყოს მოცემული, ხოლო მეორეში — შეკუმშულად. ამის მრავალი მაგალითი ჩვენ ვნახეთ ზემოთ (სუდარითა—სუდრითა). თუ ჩვენ **მოღუწეხა** უფრო შეკუმშულ-შეკვეცილი ფორმა გვგონია, ეს იმიტომ, რომ უფრო გავრცელებული საწყისი ფორმა სწორედ „**მოღუაწე**"-ა.

შესაძლებელია კუმშვად-კვეცადი სახელი კიდევ სხვაც იყოს, მაგრამ ჩვენ ახლა აღნიშნულით დავკმაყოფილდეთ.

3. ფუძეუკვეცელი სახელები

უკვეცელ სახელებს ფუძე არც ერთ ბრუნვაში არ ეკვეცებათ. ასეთია ყველა სახელი, რომელთა ფუძის ბოლოკიდური ბგერაცაა ო და უ.

უ-ზე დაბოლოებული სახელები ორ ჯგუფად იყოფა: ერთ ჯგუფში შედის ის სახელები, რომელთა ფუძეც სრულ (მარცვლიან) უ-ზეა დამთავრებული: ძუძუ, ყრუ, ცრუ; მეორეში შედის ის სახელები, რომელთა ფუძეც უმარცვლო უ-ზე, ე. წ. უბრჯგუზე მთავრდება: ნაძუ, რიცხუ, ჯაჭუ.

სახელები, რომელთა ფუძის ბოლოკიდური ბგერებიცაა ო და მარცვლიანი უ, აბსოლუტურად ერთნაირად იბრუნვის; ამათგან განსხვავდება უმარცვლო უ-ზე (უბრჯგუზე) დაბოლოებული სახელების ბრუნება; ეს უკანასკნელნი საკმაო თავისებურებებით ხასიათდებიან. თუმცა ამათი კვეცისა თუ უკვეცლობის შესახებ არ შეიძლება ვილაპარაკოთ, მაგრამ ისტორიული წარსულისა და გრაფიკული მხარის გათვალისწინების გამო მათ აქვე განვიხილავთ.

ო-ზე გათავებული ფუძეები

მხოლობითი რიცხვი

წრფ.	წყარო	ხურო	ტილო
სახ.	წყარო-ჲ	ხურო-ჲ	ტილო-ჲ
მოთხ.	წყარო-მან	ხურო-მან	ტილო-მან
მიც.	წყარო-ს-ა	ხურო-ს-ა	ტილო-ს-ა
ნათ.	წყარო-ჲს-ა	ხურო-ჲს-ა	ტილო-ჲს-ა
მოქმ.	წყარო-ჲთ-ა	ხურო-ჲთ-ა	ტილო-ჲთ-ა
ვით.	წყარო-დ	ხურო-დ	ტილო-დ
წოდ.	წყარო-ო	ხურო-ო	ტილო-ო

მრავლობითი რიცხვი

ნარ-თანიანი

წრფ.	—·-	—	
სახ.	წყარო-ნ-ი	ხურო-ნ-ი	ტილო-ნ-ი
მოთხ.	წყარო-თ-ა	ხურო-თ-ა	ტილო-თ-ა
მიც.			
ნათ.	〃		〃
მოქმ.	〃	〃	〃
ვით.	〃	〃	〃
წოდ.	წყარო-ნ-ო	ხურო-ნ-ო	ტილო-ნ-ო

ებიანი

წრფ.	წყარო-ებ	ხურო-ებ	ტილო-ებ
სახ.	წყარო-ებ-ი	ხურო-ებ-ი	ტილო-ებ-ი
მოთხ.	წყარო-ებ-მან	ხურო-ებ-მან	ტილო-ებ-მან
მიც.	წყარო-ებ-ს-ა	ხურო-ებ-ს-ა	ტილო-ებ-ს-ა
ნათ.	წყარო-ებ-ის-ა	ხურო-ებ-ის-ა	ტილო-ებ-ი -ა
მოქმ.	წყარო-ებ-ით-ა	ხურო-ებ-ით-ა	ტილო-ებ-ით-ა
ვით.	წყარო-ებ-ად	ხურო-ებ-ად	ტილო-ებ-ად
წოდ.	წყარო-ებ-ო	ხურო-ებ-ო	ტილო-ებ-ო

(მარცვლიან) უ-ზე გათავებული ფუძეები

მხოლობითი რიცხვი

წრფ.	ძუძუ	რუ	ბუ
სახ.	ძუძუ-ჲ	რუ-ჲ	ბუ-ჲ
მოთხ.	ძუძუ-მან	რუ-მან	ბუ-მან
მიც.	ძუძუ-ს-ა	რუ-ს-ა	ბუ-ს-ა

ნათ.	ძუძუ-ჲს-ა	რუ-ჲს-ა	ბუ-ჲს-ა
მოქმ.	ძუძუ-ჲთ-ა	რუ-ჲთ-ა	ბუ-ჲთ-ა
ვით.	ძუძუ-დ	რუ-დ	ბუ-დ
წოდ.	ძუძუ-ო	რუ-ო	ბუ-ო

მრავლობითი რიცხვი

ნარ-თანიანი

წრფ.	- -	—	—
სახ.	ძუძუ-ნ-ი	რუ-ნ-ი	ბუ-ნ-ი
მოთხ.	ძუძუ-თ-ა	რუ-თ-ა	ბუ-თ-ა
მიც.	〃	〃	
ნათ.	〃	〃	
მოქმ.	〃	〃	〃
ვით.	〃	〃	〃
წოდ.	ძუძუ-ნ-ო	რუ-ნ-ო	ბუ-ნ-ო

ებიანი

წრფ.	ძუძუ-ებ	რუ-ებ	ბუ-ებ
სახ.	ძუძუ-ებ-ი	რუ-ებ-ი	ბუ-ებ-ი
მოთხ.	ძუძუ-ებ-მან	რუ-ებ-მან	ბუ-ებ-მან
მიც.	ძუძუ-ებ-ს-ა	რუ-ებ-ს-ა	ბუ-ებ-ს-ა
ნათ.	ძუძუ-ებ-ის-ა	რუ-ებ-ის-ა	ბუ-ებ-ის-ა
მოქმ.	ძუძუ-ებ-ით-ა	რუ-ებ-ით-ა	ბუ-ებ-ით-ა
ვით.	ძუძუ-ებ-ად	რუ-ებ-ად	ბუ-ებ-ად
წოდ.	ძუძუ-ებ-ო	რუ-ებ-ო	ბუ-ებ-ო

უმარცვლო უ-ზე გათავებული ფუძეები

მხოლობითი რიცხვი

წრფ.	რიცხუ	ნაძუ	ჯაჭუ
სახ.	რიცხჳ (რიცხუ-ი)	ნაძჳ (ნაძუ-ი)	ჯაჭჳ (ჯაჭუ-ი)
მოთხ.	რიცხუ-მან	ნაძუ-მან	ჯაჭუ-მან
მიც.	რიცხუ-ს-ა	ნაძუ-ს-ა	ჯაჭუ-ს-ა
ნათ.	რიცხჳს-ა (რიცხუ-ის-ა)	ნაძჳს-ა (ნაძუ-ის-ა)	ჯაჭჳს-ა (ჯაჭუ-ის-ა)
მოქმ.	რიცხჳთ-ა (რიცხუ-ით-ა)	ნაძჳთ-ა (ნაძუ-ით-ა)	ჯაჭჳთ-ა (ჯაჭუ-ით-ა)
ვით.	რიცხუ-ად	ნაძუ-ად	ჯაჭუ-ად
წოდ.	რიცხ(უ)-ო	ნაძ(უ)-ო	ჯაჭ(უ)-ო

მრავლობითი რიცხვი

ნარ-თანიანი

წრფ.	—	—	—
სახ.	რიცხუ-ნ-ი	ნაძუ-ნ-ი	ჯაჭუ-ნ-ი
მოთხ.	რიცხუ-თ-ა	ნაძუ-თ-ა	ჯაჭუ-თ-ა
მიც.	〃	〃	〃
ნათ.	〃	〃	〃
მოქმ.	〃	〃	〃
ვით.	〃	〃	〃
წოდ.	რიცხუ-ნ-ო	ნაძუ-ნ-ო	ჯაჭუ-ნ-ო

ებიანი

წრფ.	რიცხუ-ებ	ნაძუ-ებ	ჯაჭუ-ებ
სახ.	რიცხუ-ებ-ი	ნაძუ-ებ-ი	ჯაჭუ-ებ-ი
მოთხ.	რიცხუ-ებ-მან	ნაძუ-ებ-მან	ჯაჭუ-ებ-მან
მიც.	რიცხუ-ებ-ს-ა	ნაძუ-ებ-ს-ა	ჯაჭუ-ებ-ს-ა
ნათ.	რიცხუ-ებ-ის-ა	ნაძუ-ებ-ის-ა	ჯაჭუ-ებ-ის-ა
მოქმ.	რიცხუ-ებ-ით-ა	ნაძუ-ებ-ით-ა	ჯაჭუ-ებ-ით-ა
ვით.	რიცხუ-ებ-ად	ნაძუ-ებ-ად	ჯაჭუ-ებ-ად
წოდ.	რიცხუ-ებ-ო	ნაძუ-ებ-ო	ჯაჭუ-ებ-ო

შენიშვნები:

1. ო-ზე დაბოლოებული მარტივი (ძირეული) სახელები ქართულში ერთობ მცირეა. დავასახელებთ ზოგ მათგანს: ოქრო, ეზო, გემო, კურო, კალო, ჯბო, ეჩო, სარო, თეძო, სორო, ასო, ხარო, ხაჭო, აყირო, ურო, კილო, ალო ‖ ჰალო, ერდო, რტო, ჩრდილო, ბაბილო და სხვა.

რაც შეეხება წარმოქმნილ სახელებს, ასეთი ძალზე ბევრია. წარმოქმნილ სახელებში უნდა გავარჩიოთ სამი ჯგუფი: ერთში მაწარმოებელია სა—ო აფიქსები; ამით იწარმოება ე. წ. დანიშნულების სახელები (სა-ძმ-ო); მეორეში მაწარმოებელია უ—ო აფიქსები; ამით იწარმოება ე. წ. უარყოფითი სახელები (უ-ფერ-ო); მესამეში, რიცხვით ძალიან მცირეში, მაწარმოებელია ხი—ო აფიქსები; ამით იწარმოება ე. წ. აბსტრაქტული სახელები (სიტფო). ჩვეულებრივ ასეთ სახელებს აწარმოებს ხი—ე აფიქსები: სი-წმიდ-ე. ეს სახელები ზედსართაული წარმოშობისაა, მაგრამ ხშირად მათ უკვე მოპოვებული აქვთ არსებითის მნიშვნელობა. დავასახელებთ აქ რამდენიმე მათგანს: სავაჭრო (დუქანი), სამთავრო, სამეუფო, სამწყსო, სამღდელო (ტაძარი, ეკლესია), სასო, საბჭო (კიმ. I, 74, 4), სადილეგო (ციხე), სამარხვო ‖ სამარხო, სამნო, სამყარო, სარწმუნო, საშო... უბიწო, უმანკო, უსასო, უშჯულო, უდაბნო, უცხო, უჯორცო (უსხეულო=ანგელოზი), უწყალო... სიჭაბო (სიხშირე), სიჩჩო (პატარაობა, ჩვილობის დრო, ბავშვობა), სიტფო; სიჩრდო (ჩრდილი), სიწლო (სიწვრილე) და სხვა.

2. უ-ზე დაბოლოებული სახელები თითზე ჩამოსათვლელია; ესენია: დრკუ, ბლუ, ყრუ, კუ, ძუ, ცრუ... უფრო ძველად ამნაირი სახელები გაცი-

ლებით მეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფუძის ბოლოს მოხვედრილი ხმოვანი უ, რომელსაც მახვილი არ ხვდებოდა, კარგავდა მარცვლიანობას და უმარცვლო უ-დ (უბრჯგუდ) იქცეოდა. შემდეგ ეს უბრჯგუც თანდათან გავიდა ხმარებიდან და ახალ ქართულში იგი ყველგან ეინით იქნა შეცვლილი. ასეთი წარმოშობისაა დღეს ისეთი სახელები, როგორიცაა: ნაძვ-ი, რიცხვ-ი, ჯაჭვ-ი, თაგვ-ი, ლეკვ-ი, ძარღვ-ი, ფიჩვ-ი, ლეღვ-ი და მრავალი სხვა. მაშასადამე, სულ ძველად ნაძუ ორმარცვლიანი სიტყვა იყო; შემდეგ მისი უ უმარცვლოდ იქცა, რადგან მახვილი მას არ ხვდებოდა (იგი წინა მარცვალზე იყო); ამ მდგომარეობას ასახავს სწორედ ძველი ქართული, როცა ამ ბოლოკიდურ უ-ს მარცვლიანობა დაკარგული აქვს, მაგრამ მას ძველებურად უ-თი გადმოსცემენ. შემდეგ და შემდეგ იგი სავსებით დაემსგავსა ბგერა ვ-ს და წერაშიაც ამ ვინით გადმოიცემა დღეს.

აქ არ იქნება ურიგო მოვიგონოთ, რომ ძველ ქართულში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა მახვილიანი უბრჯგუ აღარაა უბრჯგუ, არამედ ის სრულ (მარცვლიან) უ-დ გამოითქმის. ამის მაგალითებია ზმნის ფორმები: ვ-თქუ, ს-თქუ, თქუ! თქუნ! ვ-სუ, ჰ-სუ, სუ! სუნ! მაგრამ როცა ამავე სიტყვებში თავს იჩენს რომელიმე სხვა ხმოვანი, ეს უბრჯგუ წამსვე კარგავს მარცვლიანობას და მას ამ მეორე ხმოვანს გადაულოცავს: თქუ-ა და თქუ-ეს უკვე ერთმარცვლიანია.

ზემოთ თქმულიდან გამოდის, რომ სრული უ-ს გადაქცევა უმარცვლო უ-დ მხოლოდ ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებში უნდა მომხდარიყო, მას არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა ერთმარცვლიან სიტყვებში, რადგან ამ უკანასკნელებში მახვილი ამ ერთადერთ ხმოვანზე (უ-ზე) მოდიოდა. სწორედ ამ მიზეზითაა გამოწვეული, რომ ფუძის ბოლოს გადარჩენილი უ დღეს მხოლოდ ერთმარცვლიან სახელებში გვაქვს შემონახული (კუ, რუ, ყრუ, ცრუ და სხვ.). გამონაკლისს წარმოადგენს ერთადერთი სიტყვა ძუძუ. მაგრამ თუ სწორია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს ძუძუ ფუძის გაორკეცებით არის მიღებული[1], მაშინ აღარც ეს ერთი გამონაკლისი იქნება. ჩანს, მისი წარმოშობის ხსოვნამ გადაარჩინა ბოლოკიდური უ რედუქციას. უბრალო ხალხურ მეტყველებაში ამნაირი ეტიმოლოგია (ხალხური ეტიმოლოგია) საკმარისი იყო უ-ს შენახვისათვის.

აღსანიშნავია, რომ იმ რამდენიმე ერთმარცვლიან სახელს, რომლებიც გადაურჩა უ-ს რედუქციას, ძველ ქართულში ზოგჯერ ფუძის ბოლოს ვ ემატება და ამით ამოშლილია ხსოვნაც უ-ზე დაბოლოებული სახელებისა, მაგალითად:

1) რუ-ვ-ი: შემდგომად სამისა დღისა აღიცხნენ ყოველნი ლაკუანი თქუენნი, წარვედით, განმზადენით რუვნი. კიმ. II, 197, 5; ვიდრე განთიადმდე აღიცხნეს რუვნი და ჴევნი ყოველთაგან მდინარეთა. იქვე, 198, 21 (მაგრამ

[1] ა. შანიძე, გრამ. საფუძვ. გვ. 150. შდრ. ა. ჩიქობავა, სახ. ფუძ. გვ. 20, 170.

შდრ. და ბრძანა წმიდამან მან, რაჲთა მოჰმზადნენ **რუნი** მათნი, კიმ. I, 257, 32).

2) **ძუვ-ი**: ვხედავ ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა **ძუვისასა**, მოქც. 82, 2; **ძუვი** ლომი, დანიელ 7, 4; ხოლო **ძუვნი** ლომნი ენითა ლოშნიდეს ფერჴთა მათთა, კიმ. II, 25, 7; ძალი ლომისაჲ და ჴმაჲ ლომისა **ძუვისაჲ**, ზახებაჲ ვეშაპთაჲ, იობ 4, 10.

3) **ბუვ-ი**: ვემსგავსე ვარხუსა მას უდაბნოჲსასა და ვიყავ მე ვითარცა **ბუვი** ნატამალსა, ფსალმ. 101, 6; **ბუვისათჳს** თქუა (სახის-მეტყუელმან): ღამის-მოყუარე არს ვიდრე დღისაჲ, სახისმეტყ. (ისტ. ქრესტ. 281, 13); და სერი და ჯაჭრი და მსგავსი მისი; და ქორი და მსგავსი მისი; **ბუვი** და ღამის მჴმობარი და მიმინოჲ და ძენძერუკი, ლევიტ. 11, 16.

4) **კუვ-ი**: სახის-მეტყუელმან თქუა: არს მჴეცი ზღუასა შინა, რომელი იწოდების ეაჰანაკრაჲ, **კუვი** ზღჳსაჲ, სახისმეტყ. (ისტ. ქრესტ. 284, 19) და სხვ.

ამნაირ **ვ** დართულ სახელებს ენა ეპყრობა როგორც ჩვეულებრივს თანხმოვანფუძიან სახელებს და ამიტომაა, რომ სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში გვაქვს არა **ჲ**, არამედ სრული **ი** (ძუვ-ი, ბუვისათჳს...). როგორც ვხედავთ, უ-ს გაქრობა ფუძის ბოლოში ამ გზითაც არის მიღწეული: **ბუვი, ძუვი, კუვი, რუვი** ამ სიტყვათა დამწერთათვის აღარაა უკვეცელი ხმოვანფუძიანი სახელები, არამედ ჩვეულებრივი ტიპის თანხმოვანფუძიანი სახელებია და ბრუნების თვალსაზრისით არაფრით არ განსხვავდება, ვთქვათ, **კრავი, ჴეჭი, სხივი** და მსგავს თანხმოვანფუძიან სახელთაგან.

3. როგორც არაერთხელ გვაქვს აღნიშნული, **ო**-სა და **უ**-ზე დაბოლოებული სახელები ფუძეუკვეცელია, მათ არც ერთ ბრუნვაში არ ეკვეცებათ ფუძე. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს **ღჳნო**, რომლის ბოლოკიდური ხმოვანიც იკვეცება მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში. დავიმოწმოთ ორიოდე მაგალითი: **ღჳნის**-მსუმელთა და მომთრვალეთათჳს, ისტ. ქრესტ. 302, 1; ნუ დაითრვები **ღჳნითა**, რომლისაგან არს სიბილწე, იქვე, 302, 5; მოკლებასა **ღჳნისასა** ჰრქუა დედამან იესუს, ი. 2, 3 C.

4. ბრუნვის ნიშნების თვალსაზრისით უკვეცელი სახელები თავისებურებას გვიჩვენებენ მხოლოდ ორ ბრუნვაში: ნათესაობითსა და მოქმედებითში: აქ **ის-ა**-სა და **ით-ა**-ს მაგივრად გვაქვს **ჲს-ა** და **ჲთ-ა**, სათანადოდ. აიხსნება ეს იმით, რომ ფუძის ბოლოკიდური **ო** და **უ**, რაკი თვით ისინი არ იკვეცებიან, ბრუნვის ნიშნის **ი** ხმოკაბს ასუსტებენ და **ჲ**-დ აქცევენ: წყარო-ის-ა → წყარო-ჲს-ა, წყარო-ით-ა → წყარო-ჲთ-ა; ძუძუ-ის-ა → ძუძუ-ჲს-ა, ძუძუ-ით-ა → ძუძუ-ჲთ-ა. ეს წესი იმდენად მკვიდრია, რომ ჩვენ თითქმის არ მოგვეძებნება შემთხვევა, რომ აღნიშნულ ბრუნვათა ნიშნებში სრული **ი** იყოს შემონაბული: წყარო-ის-ა, წყარო-ით-ა; ძუძუ-ის-ა, ძუძუ-ით-ა და სხვა.

ზემოთ ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ უ-ზე დაბოლოებული სახელებიდან უმეტესობის (ერთმარცვლიანთ გარდა) ბოლოკიდური უ ძველ ქართულში უკვე უბრუნველად არის ქცეული[1] და, ამრიგად, ორმარცვლიანი ფუძეები გაერთმარცვლიანებულია (ნაძუ), სამმარცვლიანები გაორმარცვლიანებულია (იდაყუ) და სხვა. მარცვალთა რაოდენობის დაკლების გარდა, ამ მოვლენას შედეგად ის მოჰყვა, რომ ამ სახელთა ბრუნება საგრძნობლად შეიცვალა. ფართო ასპარეზი გადაეშალა ფონეტიკურ წესებს. თუ ო-სა და (მარცვლიან) უ-ზე დაბოლოებული სახელები აბსოლუტურად ერთნაირად იბრუნვის, მარცვლიან და უმარცვლო უ-ზე დაბოლოებულთა შორის უფსკრულია გათხრილი.

უმარცვლო უ-ზე დაბოლოებულ სახელებს ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი:

ა) მათი ფუძის ბოლოკიდური უ, როგორც ვთქვით, უმარცვლო უ-ა, უბრუნველია; ე. ი. არსებითად თანხმოვანი. ამიტომ სახელობითს ბრუნვაში ასეთ სახელებს აქვთ არა ჲ, როგორც ყველა ხმოვანფუძიანს, არამედ ი: ნაძუ-ი, რიცხუ-ი, ჯაჭუ-ი, ლელუ-ი და სხვა.

ბ) ასეთივე მდგომარეობაა აგრეთვე ნათესაობითსა და მოქმედებითში; აქაც ბრუნვის ნიშნებად გვაქვს არა ჲს-ა და ჲთ-ა, როგორც უკვეცელებშია, არამედ ის-ა და ით-ა: ნაძუ-ის-ა, რიცხუ-ის-ა... ნაძუ-ით-ა, რიცხუ-ით-ა.

გ) ვითარებითშიც ად გვაქვს და არა დ: ნაძუ-ად, რიცხუ-ად.

დ) წოდებითში ბრუნვის ნიშნის ო-ს წინ უბრუნველი ხშირად იკარგება ხოლმე და გვაქვს: მოგო, ნეს'ტო.

ე) სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში ერთმანეთს ხვდება უმარცვლო უ და მარცვლიანი ი, რომლებიც, როგორც ცნობილია, ერთმანეთს ერწყმიან და ვღებულობთ ჯ-ს: ნაძჯ, რიცხჯ, ჯაჭჯ, ნაძჯსა, რიცხჯსა, ჯაჭჯსა; ნაძჯთა, რიცხჯთა, ჯაჭჯთა.

ვ) ზემორე პუნქტში აღნიშნული მომენტების გამო აღარ ხერხდება სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშნის ცალ-ცალკე გაძოყოფა: თუ ნაძ-ჯსა ასე დავყავით: ნაძჯ-სა, მაშინ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (სა) აღმოჩნდება უკანონოდ შეეიწროებული, რადგან ამ ბრუნვის ნიშნისეული ი შედის ჯ-ში, რომელიც ფუძეს მივაკუთვნეთ; და თუ იგივე სიტყვა ასე დავყავით: ნაძ-ჯსა, მაშინ დაზარალებული აღმოჩნდება ფუძე, რადგან ფუძისეული უმარცვლო უ შედის ჯ-ში, რომელიც ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანში გადავიტანეთ. ამნაირად, სიტყვის სწორად დაშლა ფუძედ და ბრუნვის ნიშნად შეუძლებელია, თუ მასში დაცულია ძველი ქართულის ორთოგრაფიული ნორმა და უ + • ჯ-ს სახით არის წარმოდგენილი. მაგრამ როცა ჯ დაშლილია, სიტყვის სწო-

[1] ამ უ || ვ-ს ა. ჩიქობავა ნაძუ, რიცხუ და მისგავს სახელებში ფუძის დეტერმინანტ სუფიქსად თვლის (ნ. მისი სახ. ფუძ. გვ. 87—88).

რად დაშლაც ჩვეულებრივი წესით ხერხდება: ნაძუ-ი, ნაძუ-ის-ა, ნაძუ-ით-ა, რიცხუ-ი, რიცხუ-ის-ა, რიცხუ-ით-ა.

უმარცვლო უ-სა და ი-ს შერწყმით, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ძველ ქართულში ჯ-ს ვეღებულობთ. ეს არის ნორმა, რომელსაც მტკიცედ იცავენ მთელი რიგი სკოლები და ხელნაწერები.

მაგრამ ამ ნორმის გვერდით გვხვდება მისგან გადახვევაც, როცა ეს ჯ დაშლილად არის ხოლმე წარმოდგენილი (უ+ი): ნაძუ-ი, ნაძუ-ის-ა, ნაძუ-ით-ა. მართალია, ეს წესი არაა ფართოდ გავრცელებული, იგი არაა ნორმა, მაგრამ ის მაინც არსებობს. მეტად საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ჯ-ს დაშლა მის შემადგენელ ნაწილებად გვხვდება უმთავრესად სწორედ იმ სკოლებსა და ხელნაწერებში, რომლებშიც დამახასიათებელი იყო ჳ-ს დაშლილად გამოხატვა „ედ“-ს სახით[1]. ყველაზე მეტად ეს ახასიათებთ საბას ლავრიდან გამოსულ გადამწერთ, ნაწილობრივ სხვებსაც. ხელნაწერთაგან ამ მხრივ დამახასიათებელია ჭილ-ეტრატის იადგარი (H 2123, სწორედ აქედანაა გამოსული), ლაგურკის ხელნაწერი (იერუსალიმის განჩინებისა)[2] და სხვა.

დავიმოწმებ აქ რამდენიმე მაგალითს:

განამტკიცნეს ღუაწლისა მძლენი წმიდანი ორმეოცნი არა[3] თუ ჰორლითა და **ჯაჭუითა**, არცა ფარითა, არამედ სარწმუნოებითა, ჭილ-ეტრ. 281, და მოჰგუარეს მას **კიცუი** ვირისაჲ. Опис. 95, 1 ქვ.; ხუეტდით გუერდთა მაგისთა **ფუცხუითა** რკინისაჲთა და უსუეძდით მას ზედა მარილსა, ი. ჯავ აღწ. 174, 30; აღმოაელინა **თაგუი** ქუეყანასა მათსა ყოველსა შორის ყანობირსა მათსა, 1 მეფ. 5, 6; სირაქლემი და **იხუი**, იობ 39, 13 ლაგ.; ვითარცა **ჰირუტყუი** შეევირაცხე მე შენ წინაშე, ფსალმ. 72, 26; ბართალი ვითარცა ფინიკი ყუაოდის და ვითარცა **ნაძუი** ლიბანისაჲ განმრაელდეს, ფსალმ. 91, 13; ქმასა მას საშინელსა **ნეხტუისასა**, ჭილ-ეტრ. 145 v, 7 და სხვა.

რადგანაც აღნიშნული ტიპის სახელებს მრავალი თავისებურება ახასიათებს და მათს ჩვენებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენის ისტორიისათვის, ამიტომ სათანადო მაგალითებს აქ შედარებით სრულად წარმოვადგენთ.

1. **არაგუ** (გეოგრაფიული სახელებიც სავსებით ემორჩილებიან ზემოთ აღნიშნულ წესს): ეგრევე **არაგჳ** გარდამოჴდა ციხესა ზემოჲთ, მოქც. 21, 6; უჩუენა მას ბორცჳ ერთი **არაგუსა** წიაღკერძო, იქვე 39, 1; და მისა ზე აზნაურთა სტეფანე-წმიდაჲ აღაშენეს **არაგუსა** ზედა, იქვე, 61, 10.

[1] ნ. ზემოთ, გვ. 107.

[2] მაგრამ არა მთელი ხელნაწერი, არამედ მისი ის ნაწილი, რომელიც ჩამატებულად ითვლება, გვ. 123ბ—142ბ. ეს ნაწილი შესრულებ ულია ჴავი ველნით, სხვები—მუქი ჭითლით.

[3] ხელნ.: არაჲ.

2. **ბირთუ**: და ჰქმნე სასანთლე ოქროჲსაგან წმიდისა... და რტონი და ტაკუკნი და **ბირთუნი** და შროშანნი მისგანვე იყვნენ, გამოსლვ. 25, 30; **ბირთჳ** ქუეშე-კერძო რტოთა მათ ორთა მისგანვე და **ბირთჳ** ქუეშე-კერძო ოთხთა მათ რტოთა მისგანვე, იქვე, 25, 34; **ბირთუები** იგი და რტონი მისგანვე იყვნენ, იქვე, 25, 36; არს რომელიმე იძრვისი, რომელი იწოდების გრძლაბი. მომრგუალე არს, **ბირთჳს**-სახე ხატითა, სახისმეტყ. (ისტ. ქრესტ. 283, 22).

3. **ბორცუ**: ნუ მეტად დაშურები ძიებად **ბორცუსა** მას, ისტ. ქრესტ. 300, 30; აღვედ მე **ბორცუსა** ერთსა მცირესა, კიმ. I, 307, 14; ყოველნი მთანი და **ბორცუნი** დამდაბლდენ, ლ. 3, 5; მაშინ იწყონ სიტყუად... **ბორცუთა**: დამფარენით ჩუენ, ლ. 23, 30.

4. **დათუ**: რაჟამს მოვიდის ლომი და **დათჳ** და განიღის ცხოვარი, 1 მეფ. 17, 34 ლაგ.; ლომსა და **დათუსა** კლვიდა მონაჲ შენი, იქვე, 17, 35; ღამესა ერთსა გარდამოჴდეს მისა ორნი **დათუნი** ჴურელთაგან თჳსთა, კიმ. I, 156, 10.

5. **ეშუ**: გამოვიდა **ეშჳ** ერთი ტყით, კიმ. I, 302, 9.

6. **ვარხუ**: და დედამთრვალი და **ვარხჳ** და მღრინავი, ლევიტ. 11, 18; სახის-მეტყუელმან თქუა **ვარხჳსა** მფრინველისათჳს, ვითარმედ ჯეკმა მართჳს-მოყუარე არს, სახისმეტყ. (ისტ. ქრესტ. 281, 4).

7. **ვერხუ**: თხემთა ზედა მთათასა უზორვიდეს და ბორცუთა ზედა უკლვიდეს მუხასა და **ვერხუსა** ქუეშე და ხეთა საგრილთა, რამეთუ კეთილ არს საფარველი, ოსე 4, 13. აქედანაა **ვერხუნარი**: ლიტ. ურთ. 180, 14.

8. **თაგუ**: აღმოაველინა **თაგუი** ქუეყანასა მათსა ყოველსა შორის ყანობირსა მათსა, 1 მეფ. 5, 6 ლაგ.; რომელნი შჯამდეს ძაღლთა, **თაგუსა**, კაცსა და ყოველსა არაწმიდასა, ლიტ. ქრესტ. 81, 13.

9. **თაჯუ**: არს ნადირი კოსპორიოს, **თაჯჳ** ჴმელისაჲ, სახისმეტყ. (ისტ. ქრესტ. 285, 37); **თაჯუმან** მოიკუეთნის საურველნი იგი და მიუთხინის მონადირესა მას, იქვე, 286, 2; ესე არს ტბაჲ მრღჳე ყოვლადვე... და არს ამას შინა სიმრავლე **თაჯუთაჲ** და სხუათა ნადირთაჲ, ზარზმ. (ისტ. ქრესტ. 226, 36). აქედან არის წარმომდგარი დანიშნულების სახელი **ხათაჯუე** (იქვე).

10. **იდაყუ**: ვაჲ, რომელნი შეაკრვენ სასთაულსა ყოველსა ქუეშე **იდაყუსა** ჴელისასა, ეზეკ. 13, 18; უკუეთუ არა **იდაყჯთგან** დაიბანნიან ჴელნი, მრ. 7, 3; და **იდაყუნი** უქმნნა ვეცხლისანი სუეტთა მათ, გამოსლვ. 38, 20.

11. **ინჩაჯუ**: კაცო, უკუეთუმცა ცოდნილ იყავ და მე დაგეკალ, ჩემსა **ინჩაჯუსა** იდვა მარგალიტი სირაქლემისა კუერცხისა ოდენი და იგიმცა შენ დიდი საფასე შეგეძინა, ბალაჰვ. 32, 7.

12. **იჭუ**: **იჭუსა** შედგა, მრავ. 309, 35; ძმაჲ იგი იყო **იჭუსა** შინა, კიმ. I, 280, 25; რაჲთა ჩუენ, თჳნიერ **იჭჳსა**, ვეზიარნეთ საიდუმლოთა

ღმრთისათა, იქვე, 284, 20; შეიწრებულ არნ იგი **იჭუთა** თჳსითა, სიბრძ. 17. 10.

13. **იხუ**: სირაქლემი და **იხუი**, იობ 39, 13 ლაგ.

14. **კიცუ**: პოვა მან ვირისა **კიცჳ**, რომელსა ზედა არავინ დაჯდომილ იყო, კიმ. I, 247, 28; რასა ჰზამთ და აღჰჴსნით **კიცუსა** მაგას, მრ. 11, 5; დაასხეს სამოსელი **კიცუსა** მას, ლ. 19, 35.

15. **ლანძუ**: **ლანძჳ** ნაკუერცხალსა და შეშაჲ ცეცხლსა და კაცი მაგინებელი შფოთებად და ლალვად, იგავ. 26, 21; და ყოველივე შესაწირავი, რომელი იქმნეს თორნესა, და ყოველი, რომელი იქმნეს **ლანძუსა** გინა ტაპაკსა, მღდელისა მის შემწირველისა იყოს იგი, ლევიტ. 6, 39.

16. **ლეკუ**: იაკობ რაჟამს აკურთხევდა იუდას, ჰრქუა ესრეთ: **ლეკუ** ლომის, იუდა, მორჩად აღმოცენებულ, შვილო ჩემო, სახისმეტყ. (ისტ. ქრესტ. 279, 28); ბრძოლა-ვყავ ზღუასა შინა და ჴმელსა შეკრულმან ათთა მიმართ ლომის **ლეკუთა** მძუინვარეთა, ი. ჯავ. აღწ. 172, 13.

17. **ლეღუ**: ნუუკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კუროჲსთავთაგან **ლელჳ**, მ. 7, 16; ვეძიებ ნაყოფსა **ლეღუსა** ამას შინა, ლ. 13, 7; **ლელჳსაგან** ისწავეთ იგავი, მ. 24, 32; მრ. 13, 28.

18. **მარღუ**: შენ იგი ხარა, **მარღჳ** ისრაჱლისაჲ, რომელი გარდააქცევ ისრაჱლსა, 3 მეფ. 18, 17.

მარჯუ ნ. უმარჯუ.

19. **მაჩუ**: და **მაჩჳ**, რამეთუ აღმოიცოხნის და ჭლაკი მისი არა განპებულ არს, არაწმიდა არს ესე თქუენდა, ლევიტ. 11, 6.

20. **მდოგუ**: გაქუნდეს თუ სარწმუნოებაჲ **მდოგჳს**-მარცუალ ოდენ, მ. 17, 20 C; ვითარცა-იგი **მდოგჳსა** მარცუალი... უმცირეს არს იგი ყოველთა თესლთა, მრ. 4, 31; მარცუალ **მდოგჳს** ეწოდა, რამეთუ დაიკნინებს თავსა თჳსსა, აბო 183, 12.

21. **მოგუ**: პოვა **მოგჳ** და უმჯობჱს ყო იგი მოციქულთა, Опис. 16, 8 ქვ.; მეკიცხევ მე, **მოგო**, წინაშე ჩემსა, პარხ. 92 a; **მოგუნი** აღმოსავალით მოვიდეს, მ. 2, 1.

22. **ნასკუ**: წჳმამან შენმან განჰჴსნა **ნასკჳ** იგი უსამართლებისაჲ, მამ. სწავ. 24. ნ. კ. Опис. 61, 6.

23. **ნაძუ**: მოვედით და გამოვჰკუეთოთ ქვები და მოვჰკაფოთ ლეღუსულელი და **ნაძჳ** და ვიშჱნოთ თავისა ჩუენისა გოდოლი, ესაია 9, 10; იყო მას შინა **ნაძჳ** ერთი ფრიად მაღალი, კიმ. I, 255, 9; ნ. კ. მაგალითები ფიპუ-თან („ნაძუ"-იდან არის ნაწარმოები **ნაძოვანი** (= ნაძვნარი): გამოვიდა... წიაღ ჴევსა მას **ნაძოვანსა**, ი. 18, 1).

24. **ნეზუ**: და განარჩია მას დღესა შინა ვაცები ჰრელები და სპეტაკი და ყოველი თხაჲ **ნეზჳ** ჰრელი და სპეტაკი, დაბ. 30, 35; ანუ თუ ზროხათაგან შესწირვიდეს იგი, გინა თუ ვერძსა გინა თუ **ნეზუსა**, უბიწოჲ მოიბან იგი წინაშე ღმრთისა, ლევიტ. 3, 1.

25. ნ ე რ წ უ უ: ჰნერწყუა ქუეყანასა და შექმნა თიკაჲ **ნერწყჳსაგან**, ი. 9, 6.
26. ნ ე ს ტ უ: სადა არს **ნესტჳ**, ანუ ჴმაჲ, ანუ ოხრაჲ მისი, კიმ. I, 134, 31; და ფერად-ფერადთა სახიობათა განცხრომაჲ დაგებულ იყო **ნესტჳსა** და სტჳრისაჲ, წინწილისა და ებნისაჲ, იქვე, 223, 32; საწერტელო და მამხილებელო მწვალებელთაო, **ნესტო** ეკლესიისაო, იქვე, 103, 14; და აღსრულა გუემასა შინა რაჲდენიმე ჟამი, ვიდრემდის შთობისა მისგან დაიყენეს **ნესტუნი** საყნოსელთა მისთანი, იქვე, 292, 29. ეს უკანასკნელი სიტყვა „ნესტოებს“ ნიშნავს, მაგრამ ამ შინაარსეულ სხვაობას აქ არა აქვს მნიშვნელობა: ფორმა ორივე მნიშვნელობით. ერთი და იგივეა. „ნესტუ“-იდან (=საყვირი) არის წარმომდგარი მ ე ნ ე ს ტ უ ე (ჰაგ. მასალ. 66, 7 ქვ.).
27. ნ ე ძ უ: (გეოგრაფ. სახელი): და უწოდეს თეოდოროზს ვანსა **ნეძჳ**, ხოლო ქრისტეფოროზსსა — კჳრიკე-წმიდაჲ, ხანძთ. 123, 29; და აღაშენებდა წმიდათა მათ მონასტერთა მათ მიერ **ნეძუსა** და კჳრიკე-წმიდისასა, იქვე, 123, 19.
28. პ ე შ უ: აღიღო **პეშჲთა** თჳსითა იფქლი და უჩუენა იგი უფალსა, კიმ. I. 274, 13.
29. პ ი რ უ ტ უ უ: ამისათჳსცა ესერა **პირუტუჲსაგან** გემხილების, რაჲთა მიემსგავსნეთ ნამდჳლე საცხოვართა **პირუტუუთა**, კიმ. I, 143, 32. ნ. კ. უ ტ უ უ, უ ს ი ტ უ უ.
30. რ ი ც ხ უ: იყო **რიცხჳ** მათი ოც და ათხუთმეტი, კიმ. I, 271, 27; იყო იგი **რიცხჳსაგან** ათორმეტთაჲ, ლ. 22, 3; დასხდა კაცები იგი **რიცხჳთ** ვითარ ხუთ ათას ოდენ, ი. 6, 10. ნ. კ. უ რ ი ც ხ უ.
31. უ მ ა რ ჯ უ: და ვითარ ვერ შეუძლეს აღმართებად და **უმარჯუ** იქმნა საქმჱ იგი, წარვიდა მეფჱ და ყოველი ერი გულ-გდებული ურვისაგან, მოქც. (ისტ. ქრესტ. 276, 31); და ვითარ-იგი **უმარჯუ** იყო ტბაჲ იგი დასაზამთრებელად, მრავალთა მათგანთა დაიდევეს გულსა წარსლვად მიერ, მოც. 27, 12.
32. უ რ ი ც ხ უ: დღენი უფლისანი **ურიცხუ** არიან, ზირაქ 37, 27; იყო ვინმე კუალად დედაკაცი ერთი მასვე ქალაქსა გარდამატებულად **ურიცხუთაგან** შეცოდებათა მისთა, ბოლნ. 10, 20. ნ. კ. რ ი ც ხ უ.
33. უ ს ი ტ უ უ: ვინ არიან კაცნი იგი, რომელნი სახედ მკუდართა უჴმო და **უსიტუუ** არიან, ზარზმ. (ისტ. ქრესტ. 229, 21). ნ. კ. პ ი რ უ ტ უ უ, უ ტ უ უ.
34. უ ტ უ უ: დედაკაცსა ვისმე ესუა ძე ეშმაკეული **უტუჳ** და ყრუჲ, კიმ. I, 238, 5; ჰრქუა **უტუუსა** და ყრუსა სულსა, მრ. 9, 25: ყოველსავე კეთილსა იქმს: ყრუთა ასმენს და **უტუუთა** ატუუებს, მრ. 7, 37. ნ. კ. პ ი რ უ ტ უ უ, უ ს ი ტ უ უ.
35. უ ხ უ: თუალი შენი თუ უკეთურ არს, ხოლო მე **უხუ** ვარ, მ. 20, 15 C; მავასხებელი იგი და **უხუად** მიმცემელი უფალი ღმერთი არს, ბოლნ. 13, 31.

36. ფ ე ს უ: მისცა მას ნეტარმან სჳმიონ **ფესჳ** ძაძისა თჳსისაჲ და განუტევა იგი, კიმ. I, 238, 19; შეახო **ფეხუსა** სამოსლისა მისისასა, მ. 9, 20; ლ. 8, 44; **ფესჯთა** სამოსლისა შენისაჲთა განიდევნოს ყოველი ენებაჲ და სალმობაჲ, კიმ. I, 237, 21; გრძელ ყვიან **ფეხუები** სამოსლისა მათისაჲ, მ. 23, 5. აქ „ფესჳ“ ტანისამოსის ქვედა ნაწილს ნიშნავს. ეგეცე სიტყვა იხმარება იმ გაგებითაც, როგორც დღეს გვესმის ჩვენ: რაჲთამცა ნერგისაგანი **ფესჯ** ერთი წარიღეს და დაჰნერგეს სამოთხესა შინა თჳსსა, სვან. 24 გ. მაგრამ ფორმა ორივესი ერთი და იგივეა და ჩვენც აქ ერთად მოვუყარეთ მათ თავი.

37. ფ ე ტ უ: და მერმე სთესის იფქლი და ქერი და **ფეტჯ** და ასლი საზღვართა შენთა, ესაია 28, 25; აღუთქუა მიცემად სამი გრივი **ფეტჯ** და ხუთნი თხანი, ხანძთ. 145, 6; **ფეტჯს**-მარცუალი, თუალთ. 20, 21.

38. ფ ი ჩ უ: მან დააგდო **ფიჩჯ** თჳსი, მრ. 10, 50 C; **ფიჩჯ** დაჰბურიან პირსა მისსა, მრ. 14, 65 C; რომელსა უნდეს... კუართისა შენისა მიღებად, მიუტევე მას **ფიჩჯცა** შენი, მ. 5, 40 C.

39. ფ ი ჰ უ: და დიდებაჲ ლიბანისაჲ შენდა მოვიდეს საროჲთა და **ფიჰჯთა** და ნაძჯთა, ესაია, 60, 13 ლაგ.; და მოუძღუანა მას ძელი ნაძჯსაჲ და **ფიჰჯსაჲ**, 2 მეფ. 5, 11; ღაღადებედ **ფიჰუნი**, რამეთუ დაეცნეს ნაძუნი, ზაქარ. 11, 2

40. ფ უ ც ხ უ: პირველად რაჲცა მიემთხჳის **ფუცხუსა** მას, იგიცა წარიღის მღდელისა მის, 1 მეფ. 2, 14; რაჲთა დამოჰკიდონ (sic) წმიდანი იგი ძელსა და ხუეტდენ გუერდთა მათთა **ფუცხჯთა** რკინისაჲთა, კიმ. II, 24, 7;ამან ქმნა ყოველივე იგი სანოვაგე ჰურჰერი საკურთხეველისაჲ: ხარისხი მისი და საცეცხური მისი და ფიალები მისი და **ფუცხუები** მისი რვალისაჲ, გამოსლვ. 38, 23.

41. ღ ა წ უ: გცეს თუ ვინმე მარჯუენესა **ღაწუსა** შენსა, მიუპყარ შენი ერთიცა, მ. 5, 39 C; ერთმან მსაბურთაგანმან მუნ მდგომარემან ჰსცა **ღაწუსა** იესუს, ი. 18, 22 C; ჴელნი თჳსნი **ღაწუთა** თჳსთა შეიდგნა და სულთ-ითქუმიდა ღმრთისა მიმართ, კიმ. I, 162, 7.

42. შ ა შ უ: ბაბილოთა მწიფეთა... მრავალ-გზის **შაშჯ** ჰამდა, ხანძთ. 144, 9.

43. ც ე რ ც უ: ოდესმე ჰამის... **ცერცჯ** დამბალი, კიმ. I, 221, 29; და ვითარ მოიწია აღვსებაჲ, აღვიღე **ცერცჯ** დამბალი მცირედ და ოსპნი და პური, პარხ. 1288; და შენ მოიღე თავისა შენისა იფქლი და ქრთილი და **ცერცჯ** და ოსპნი, ეზეკ. 4, 10.

44. ც ი ც ხ უ: და ჰქმნე პინაკები მისი და ფსიადები, ტაკუკები და **ციცხუები**, გამოსლვ. 25, 28.

45. ძ ა რ ღ უ: არა იყო მათ თანა ჴორცი ყოვლადვე, არამედ **ძარღჯ** ხოლო და ტყავი ძუალთა მათთა ზედა შემჴმარ იყო, კიმ. I, 211, 20; და შებრძყლდა წყლული მისი და შეეერთა ძუალი ძუალსა და **ძარღჯ ძარღუსა** და განიკურნა, კიმ. I, 246, 35.

46. ძეძუ: ადგილდ-ადგილდ ქუე **ძეძჳ** დაეფინა, შუშ. 152, 16; **ძეძუმან** ლიბანით მიუელინა ფიჭუსა ლიბანისასა, 4 მეფ. 14, 9 (ნ. კ. ფსალმ. 57, 9).

47. წერაქუ: ცულითა და **წერაქუითა** დაამჳუნეს[1] იგინი, ფსალმ. 73, 8.

48. ჯაჭუ: მაშინ უბრძანა დადებად **ჯაჭჳ** ქედსა მისსა, შუშ. 152, 28; მრავალი ბორკილი და **ჯაჭჳ**, რომლითა შეკრიან იგი, განეხეთქა და დაემუსრა, მრ. 5, 4 C; ვერცა **ჯაჭჳთა** ვერღარავინ უძლის შეკრვად მისა, მრ. 5, 3 C.

49. ჴნარცუ: ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა ედგას ცხოვარი ერთი და შთავარდეს იგი შაფათსა შინა **ჴნარცუსა**, მ. 12, 11 C.

ასეთივე უნდა იყოს აგრეთვე **ნესუ, ნეხუ, ცაცხუ, ხახუ** და სხვა.

4. უა-სა და უე-ზე გათავებული ფუძეები

უმარცელო უ-სთან დაკავშირებით აქ კიდევ უნდა შევეხოთ ერთ საკითხს. ძველ ქართულში თავისებური ბრუნება ახასიათებს ერთ მცირე ჯგუფს სახელებისას, რომელთაც ფუძის ბოლოს აქვთ კომპლექსი **უა** და **უე** (ზღუა, ტყუე). ესაა კვეცილი სახელები, რომელთაც ამ კვეცადი ა-სა და ე-ს წინ უმარცელო უ აქვეთ ხოლმე. ნათესაობითსა და მოქმედებითში, სადაც მათ ფუძის ბოლოკიდური ხმოვნები (ა და ე) ეკვეცებათ, აგლა ფუძის ბოლოს დარჩენილ უმარცელო უ-ს უშუალოდ ეკერის ხოლმე ბრუნვის ნიშნისეული ი და მათი შერწყმის შედეგად ვღებულობთ ჳ-ს: ზ ღ უ ა: ზღუ-ის-ა → ზღჳსა; ზღუ-ით-ა → ზღჳთა; ტ ყ უ ე: ტყუ-ის-ა → ტყჳსა; ტყუ-ით-ა → ტყჳთა.

წინა მუხლში განხილულ („ნაძუ"-ის ტიპის) სახელებს ჳ სახელობითშიც ჰქონდათ, რადგანაც იქ უმარცელო უ უშუალოდ სახელის ფუძის ბოლოს იყო მოქცეული (ნაძუ-ი → ნაძჳ); აქ კი ეს ჳ შეუძლებელია სახელობითში გვქონდეს, რადგანაც ამ სახელებს უმარცელო უ აქვეთ არა ფუძის ბოლოკიდურად, არამედ ბოლოკიდური ა-სა და ე-ს წინ, ხოლო ა-სა და ე-ს კვეცა, როგორც ვიცით, სახელობითში არ ხდება. მეორე მხრივ, სახელობითში ჩვენთვის საინტერესო სახელებს ბრუნვის ნიშნად აქვეთ არა ი, რაც აუცილებელია უ-სთან შერწყმისას ჳ-ს მისაღებად, არამედ ჲ. ამნაირად, ამ ტიპის სააელებში ჳ მხოლოდ ორ ბრუნვაში (ნათესაობითსა და მოქმედებითში) იჩენს თავს და არა სამში (და არა სახელობითშიც). მაშასადამე, ამ სახელების თავისებურება ის ყოფილა, რომ, თუმცა ბოლოკიდურად მათ აქვეთ კვეცადი ხმოვნები ა და ე და არა უ, მაგრამ ორ ბრუნვაში მაინც აქვს ადგილი უ-სა და ი-ს შეხვედრას და ამ ნიადაგზე ჳ-ს გაჩენას. მეორე მხრივ, ამავე ჳ-ს არსებობისათვის აღარ არის საფუძველი სააელობითში. ამიტომ უწრდებენ ამ სააელებს თავისებურ სახელებს. სხვა მხრივ ისინი ჩვეულებრივად იბრუნვიან.

[1] ხელნ.: დამჳუნეს.

ამნაირი სახელები ძველ ქართულში ძალზე მცირე რაოდენობით გვხვდება. მათი რიცხვი სულ ცოტათი შეიძლება გაიზარდოს, თუ შესაძლებელი აღმოჩნდება, რომ უ-ზე დაბოლოებულ სახელს წარმოქმნისას დაერთოს ე სუფიქსი (იგულისხმება მე—ე, მო—ე, სა—ე, სი—ე აფიქსები), ვთქვათ ასე: თაჯუ—სა-თაჯუ-ე, ნესტუ—მე-ნესტუ-ე და სხვა.

ახლა აქ ვუჩვენებთ ამნაირი სახელების ბრუნების პარადიგმებს, ხოლო შემდეგ დავიმოწმებთ ყველა შემთხვევას, რის მიგნებაც კი შეეძლოთ.

ა) უა-ზე გათავებული ფუძეები

მხოლობითი რიცხვი

წრფ.	ზღუა	სიტყუა
სახ.	ზღუა-ჲ	სიტყუა-ჲ
მოთხ.	ზღუა-მან	სიტყუა-მან
მიც.	ზღუა-ს-ა	სიტყუა-ს-ა
ნათ.	ზღჳს-ა (ზღუ-ის-ა)	სიტყჳს-ა (სიტყუ-ის-ა)
მოქმ.	ზღჳთ-ა (ზღუ-ით-ა)	სიტყჳთ-ა (სიტყუ-ით-ა)
ვით.	ზღუა-დ	სიტყუა-დ
წოდ.	ზღუა-ო	სიტყუა-ო

მრავლობითი რიცხვი

ნარ—თანიანი

წრფ.	—	—
სახ.	ზღუა-ნ-ი	სიტყუა-ნ-ი
მოთხ.	ზღუა-თ-ა	სიტყუა-თ-ა
მიც.	„	„
ნათ.	„	
მოქმ.	„	
ვით.	„	„
წოდ.	ზღუა-ნ-ო	სიტყუა-ნ-ო

ებიანი

წრფ.	ზღუ-ებ	სიტყუ-ებ
სახ.	ზღუ-ებ-ი	სიტყუ-ებ-ი
მოთხ.	ზღუ-ებ-მან	სიტყუ-ებ-მან
მიც.	ზღუ-ებ-ს-ა	სიტყუ-ებ-ს-ა
ნათ.	ზღუ-ებ-ის-ა	სიტყუ-ებ-ის-ა
მოქმ.	ზღუ-ებ-ით-ა	სიტყუ-ებ-ით-ა
ვით.	ზღუ-ებ-ად	სიტყუ-ებ-ად
წოდ.	ზღუ-ებ-ო	სიტყუ-ებ-ო

ბ) უე-ზე დაბოლოებული ფუძეები

მხოლობითი რიცხვი

წრფ.	ტყუე	თთუე
სახ.	ტყუ<u>ი</u> (ტყუე-ჲ)	თთუ<u>ი</u> (თთუე-ჲ)
მოთხ.	ტყუე-მან	თთუე-მან
მიც.	ტყუე-ს-ა	თთუე-ს-ა
ნათ.	ტყჳს ა (ტყუ-ის-ა)	თთჳს-ა (თთუ-ის-ა)
მოქმ.	ტყჳთ-ა (ტყუ-ით-ა)	თთჳთ-ა (თთუ-ით-ა)
ვით.	ტყუე-დ	თთუე-დ
წოდ.	ტყუე-ო	თთუე-ო

მრავლობითი რიცხვი

ნარ-ღანიანი

წრფ.	--	—
სახ.	ტყუე-ნ-ი	თთუე-ნ-ი
მოთხ.	ტყუე-თ-ა	თთუე-თ-ა
მიც.	"	"
ნათ.		
მოქმ.	"	
ვით.	"	"
წოდ.	ტყუე-ნ-ო	თთუე-ნ-ო

ებიანი

წრფ.	ტყუე-ებ	თთუე-ებ
სახ.	ტყუე-ებ-ი	თთუე-ებ-ი
მოთხ.	ტყუე-ებ-მან	თთუე-ებ-მან
მიც.	ტყუე-ებ-ს-ა	თთუე-ებ-ს-ა
ნათ.	ტყუე-ებ-ის-ა	თთუე-ებ-ის-ა
მოქმ.	ტყუე-ებ-ით-ა	თთუე-ებ-ით-ა
ვით.	ტყუე-ებ-ად	თთუე-ებ-ად
წოდ.	ტყუე-ებ-ო	თთუე-ებ-ო

სიტყჳთა და სიტყუითა-ს და მსგავსი ფორმების პარალელური ხმარების შესახებ აქ იგივე შეგვეძლო გვეთქვა, რაც ზემოთ ვთქვით ისეთი ფორმების შესახებ, როგორიცაა ჯაჭჳთა და ჯაჭუითა, ნესტჳსა და ნესტუისა და სხვ. (გვ. 122), ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ.

ახლა წარმოვადგინოთ მაგალითები.

ა) უა კომპლექსიანი

1. ბურქუა(?): ვინ არს ესე, რომელი გამოვალს უდაბნოჲთ, ვითარცა **ბურქუად-ბურქუად** კუამლისა აღსლვაჲ, იპოლ. 26, 3 (აქედანაა ნაწარ-

მოები ახალი ფორმა ბურქუად-ბურქუადი: ვითარცა ბურქუად-ბურქუადი კუამლი აღმავალი საკუმეველთად, იქვე, 26, 39).

2. ექუა: ხოლო ჩუენ ვიკითხევდით მიზეზსა, თუ რაჲსათჳს სულ-თქუმით და ეჭუთ მოიწინეს იგინი, ზარზმ. (ისტ. ქრესტ. 229, 20).

3. ეჩუა: და იოსებცა დააგდო ეჩუად მისი, ი. ჯავ. აღწ. 187, 28; სადა უკუე არს გონებად ხუროთად, რომელთა ეჩჳთა ხისაგან გამოთალნეს, პარხ. 1086 გ. აქ დაშლილად არის მოცემული ბგერათა კომპლექსი „უა“. ზოგან ის შერწყმულია და მიღებულია ო, ამიტომ გვაქვს „ეჩოდ“ (პარხ. 1007 გ და სხვ.).

4. ზღუა: ზღუად იგი ქარისაგან დიდისა აღიძრვოდა, ი. 6, 18; შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუახა, მ. 8, 26; იყოს... შეკრებად თესლებისად განკჳრვებითა ოხრისადთა, ვითარცა ზღჳსაგან და ძრვისა, ლ. 21, 25.

5. თეკუა (გეოგრაფ.): და წარვიდეს იგინი სამხრით კერძო დაბასა თეკუახა და პოვეს მუნ ჭევი და წყალი, კიმ. II, 166, 27; მივედით დაბად თეკუად, იქვე, 219, 5; განძლიერდით ძენი ბენიამენისნი შორის ბერუსალჵმსა და თეკუახა აუწყეთ ნესტჳთა, იერ. 6, 1. ეს უკანასკნელი ადგილი ბიბლიის თბილისურ გამოცემაში ასე იკითხება: და თეკუადთ გამოანიშნეთ საყჳრითა. მოსალოდნელი კი იყო თეკჳთ. მაგრამ, როგორც ჩანს, უცხო გეოგრაფიული სახელი არ შეკვეცეს (ამაზე ქვევით).

6. ლაკუა: ნაკლულევანებისათჳს წყლისა ქმნეს... ლაკუად — შესაკრებელი წყალთად, კიმ. I, 258, 26; რომელმან-იგი მცირესა მას წყალსა ზედა ყო კურთხევად თჳსი ვიდრე აღშენებადმდე ლაკჳსა მის, იქვე, 258, 34; განაღეთ კარი ლაკჳსად და დაუტევეთ იგი ღებული, იქვე, 258, 33; არს იგი ადგილსა ლაკჳსასა და ორითავე ჴელითა ჩქუეფს წყალსა მას ზე აღმართ, იქვე, 258, 31; გარდამოჳდა წჳმად სასტიკი ქუეყანასა მას და აღავსნა ყოველნი ლაკუანი ლავრისანი, პარხ. 902 გ.

7. მსთუა: რომელმან მოგუცა ჩუენ წჳმად მსთუად და მცხუედი ჟამსა თჳსსა, იერ. 5, 24; გაზაფხული მსთუად, ლიტ. ქრესტ. 30, 30; მსთუად ლეღჳ, ესაია 28, 4; ითხოვდით უფლისაგან წჳმასა ჟამსა თჳსსა მსთუასა და მცხუედსა, ზაქარ. 10, 1; ერთსა მას შაბათსა, ცისკარსა მსთუად მოვიდეს საფლავსა მას, ლ. 24, 1. ნ. კ. მრ. 1, 35 C; მრ. 16, 2 C; ლ. 24, 22 C. ამ სიტყვიდანაა ნაწარმოები ზმნის ფორმები: აღვიმსთუე, აღიმსთუე, აღიმსთო; აქედან — მიმღეობა აღმსთობილი და სხვა.

8. ნერწყუა (ნერწყვი, ფურთხი): მოილო ნერწყუად პირისაგან თჳსისა და სცხო თითითა მისითა და წარვიდა კაცი იგი მხედველ კეთილად, კიმ. I, 286, 34; ვიდრემდე შთავთქნე ნერწყუანი ჩემნი სალმობით, იობ 7, 19.

9. სეტყუა: აღადგინა... ქარი სასტიკი ზღჳსა მისგან და ელვად და სეტყუად ძლიერი, კიმ. I, 225, 36; ქუხილი იგი დასცხრა და სეტყუად

და წჷმაჲ არღარა დასწუეთა ქუეყანასა ზედა, გამოსლვ. 9, 33; და მეყს მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი და მოიღო **ხეტყუაჲ** ლიტრისა სწორი, მოქც. (ისტ. ქრესტ. 273, 9).

10. სიტყუა: ესევითართა დაუმტკიცებელ გიყოფიეს **სიტყუაჲ** ღმრთისაჲ, მ. 15, 6; შემდგომად **სიტყჳსა** მის მისისა მათა მიმართ აღმაღლდა ზეცად, მრ. 16, 19; არა ხოლო თუ პურითა ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა **სიტყჳთა**, მ. 4, 4.

11. ასევე იბრუნება აგრეთვე ნაცვალსახელი სხუა: **სხუაჲ** იგავი ისმინეთ, მ. 21, 33; შენ ხარა მომავალი იგი, ანუ **სხუასა** მოველოდით, მ. 11, 3; (იყო) **სხჳსა** ერისა სიმრავლჱ, ლ. 6. 17; რაჲთა არა მიაქციონ ჰეროდესა, არამედ **სხჳთ** გზით წარვიდენ სოფლად თჳსა, მ. 2, 12; გამოეცხადა **სხჳთა** ხატითა, მრ. 16, 12.

12. ხაჴუა: და ათი ესე **ხაჴუაჲ** დნობილი შეართუ ასის-თავსა, 1 მეფ. 17, 18 ლაგ. (ბიბლიის თბილისურ გამოცემაში ამ სიტყვის ნაცვლად იკითხება „ყველი“); ვითარცა სძჳ მომწუელე მე და შემწურე მე მსგავსად **ხაჴუისა**, იობ 10, 10 ლაგ. ოშკის ბიბლიაში ამ ადგილას გვაქვს „ხაჴო“[1]. ო ამ შემთხვევაშიც[2] დაშლილად არის წარმოდგენილი „ჳა“-ს სახით. ასეთი ფორმა ამ სიტყვის უფრო ძველ ვითარებაზე უნდა მიგვითითებდეს, „ხაჴო“ უფრო გვიანდელი წარმონაქმი უნდა იყოს. ამნაირად: ხაჴუა → ხაჴო, ეჩუა → ეჩო და სხვა.

ბ) უე კომპლექსიანი

1. ამრღუე: ხოლო ძენი ისრაჱლისანი აღორძნდეს და განმრავლდეს და **ამრღუე** იქმნნეს და განძლიერდებოდეს დიდად ფრიად, გამოსლვ. 1, 7.

2. თთუე: და დავყავ მის თანა ცხრაჲ **თთუჱ**, მოქც. (ისტ. ქრესტ. 273, 35); **თთუესა** მეექუსესა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ, ლ. 1, 26; დღჱ იყო მეექუსჱ **თთჳსაჲ** მის, მოქც. (იქვე, 273, 21).

3. მართუე: (ვარხჳ) ჯეკმა **მართჳს**-მოყუარე არს. რაჟამს **მართუენი** გამოიჴადნის და კნინ აღორძნდიან, დათრგუნნიან და მოკლნიან **მართუენი** თჳსნი, სახისმეტ. (ისტ. ქრესტ. 281, 4 — 6). ნ. კ. მ. 23, 37; ლ. 2, 24; 13, 34.

4. მარჯუე: სადა ვის **მარჯუე** უჩნდა, მოქც. 38, 12; არა თუ შემწედ აქუნდეს იგი და არცა ერთი რაჲმე მიზეზი **მარჯუედ** და მძლედ აქუნდეს ცხოვრებისაჲ, კიმ. I, 134, 12; და იქმოდა იგი მოთხეებსა და **მარჯუეებსა** მალაკებსა და მრავალსა ჴელთ-საქმარსა, იქვე, 166, 30. ნ. კ. სიმარჯუე.

5. მენესტუე:... **მენესტჳსაჲ**, ჰაგ. მასალ. 66, 7 ქვ.

---

[1] „ხაჴო“ იკითხება აგრეთვე სხვაგანაც (კიმ. I, 297, 23).

[2] ნ. ზემოთ ეჩუა || ეჩო (გვ. 130).

6. მორცხუე: ამას ყოველსა ზედა იყავ **მორცხუ**ი ჴეშმარიტებით და ჰპოვო შენ მადლი ყოველთაგან კაცთა, ზირაქ 41, 29; ქუხილის წინა ისწრაფის ელვამან და **მორცხუესა** წინა-უძღუნ მადლი, იქვე, 32, 11.

7. სათაჯუე: ესე არს ტბაჲ მრღუე ყოვლადვე, რომელსა ეწოდების **სათაჯუე**. და არს მას შინა სიმრავლ**ი თაჯუთაჲ** და სხუათა ნადირთაჲ, ზარზმ. (ისტ. ქრესტ. 226, 36).

8. სიმარჯუე: ეჰა, საყუარელნო, რაჲ-მემცა იყო უადვილესი ამისსა წამალი, ანუ უჰამოვნესი სალბუნი წყლულებისაჲ ამის, ანუ ესოდენი **სიმარჯუ**ი გზისაჲ ამის, ბოლნ. 20, 7 ნ. კ. მარჯუე.

9. ტყუე: **ტყუე** თუ ხარ, გამოგიყიდო, კიმ. I, 167, 10; **ტყუ**ი ვიყავ სოფლისაჲ და აწ ჴსნილ ვარ უფლისაჲ, იქვე, 167, 11; მომავლინა მე... ქადაგებად, **ტყუეთა** განტევებად, ლ. 4, 18.

III. გაუვრცობელი ბრუნვის ნიშნები

ჩვენ ზემოთ ვამბობდით, რომ მიცემითს, ნათესაობითსა და მოქმედებითს ორგვარი დაბოლოება აქვთ: მარტივი და რთული, გაუვრცობელი და გავრცობილი, ა დაურთველი და ა დართული. მეორე რიგის მაგალითები სამეცნიერო ლიტერატურაში ემფატიკური დაბოლოების ან ნართაულის სახელითაა ცნობილი[1]. ბრუნების პარადიგმებში მაგალითები ყოველთვის ორივე სახით გვაქვს მოყვანილი, ემფატიკური ა დეფისითაა გამოყოფილი: კაც-ს-ა, კაც-ის-ა, კაც-ით-ა.

რაკი სახელთა ყველა ტიპის ბრუნება მიმოხილულია, ახლა უკვე დადგა დრო განვიხილოთ ის შემთხვევები, როცა სახელს მხოლოდ მარტივი, გაუვრცობელი დაბოლოება აქვს. ამ მარტივი ბრუნვის ნიშნით ჩვენ გვაქვს შემონახული ჩვენი ენის ისტორიის ძალიან ძველი ვითარება. ეს თანაბრად ითქმის სამსავე ბრუნვაზე, განსაკუთრებით კი ნათესაობითსა და მოქმედებითზე. ამიტომ ამ საკითხს უფრო ვრცლად უნდა შევეხოთ.

მაგრამ სანამ სათანადო მაგალითების ანალიზზე გადავიდოდეთ, საჭიროა ჯერ ვიკითხოთ: მაინც რა არის ეს ემფატიკური ა? როგორი წარმოშობისაა იგი?

ნ. მარი, რომელმაც შეარქვა მას ემფატიკურის სახელწოდება, ფიქრობდა, რომ ეს ა ნაცვალსახელური წარმოშობისაა, იგი მოდის ჩვენებითი ნაცვალსახელიდან ჲა : ჰა → ა. ნ. მარი ამის შესახებ წერდა: „Р. в обоих его разновидностях, именно в собственно Р.-падеже (-ის) и функционально возникшем Т. падеже (-ით) получают гласный придаток ა для большей выразительности или определённости: Р.-ისა и Т.-ითა. Этот вид названных падежей называется эмфатическим.

[1] ნ. მარი, ОТ, ტაბ. V, VII, VIII; Грам. გვ. 22; ა. შანიძე, გრამ. საფუძვ. გვ. 48.

Гласный а есть пережиток указательного местоимения а (← ჰა) этот"[1].

ეს აზრი მიღებული აქვს კ. დონდუას[2] და, როგორც ჩანს, მისი გაზიარებაა შესაძლებლად მიაჩნია ა. ჩიქობავასაც[3]. მაგრამ რა არის ეს აღდგენილი ჰა ნაცვალსახელი? სად არის ის შემონახული? ამაზე პასუხი არა ჩანს; ჰა ნაცვალსახელი ქართულში არა გვაქვს. ნ. მარის ამ შეხედულებაში მეორე მხარეც არის ჩრდილოვანი და მიუღებელი: ავტორი ემფატიკურ ა-ს ხედავს მხოლოდ ორ ბრუნვაში: ნათესაობითსა და მოქმედებითში. მიცემითი ბრუნვის სრულიად ამნაირი ა მას ბრუნვის ნამდვილ ნიშნად მიაჩნია. ამნაირად, მიცემითის ა-ს ავტორი თიშავს ნათესაობით-მოქმედებითის საერთო მწყობრი სისტემისაგან, სულ სხვა სფეროში გადააქვს იგი და სულ სხვა ფუნქციას აკისრებს. ამას ნ. მარი ჩადის იმის გამო, რომ, როგორც უნდა დაჯდეს, ამ ჩვენი ემფატიკური ა-სა და არაბული მიცემითი ბრუნვის ნიშნის ა-ს ბედი ერთმანეთს დაუკავშიროს, მათ საერთო გენეტური საფუძველი გამოუძებნოს. მაგრამ ნ. მარის ეს შეხედულება დიდი ხანია უარყოფილია და ამ შეხედულებაზე აღმოცენებული გადაჭრა სხვა საკითხისა ასევე მიუღებელი და უარსაყოფია.

მაგრამ ამ საკითხს შეიძლება სხვაგვარი, უფრო მისაღები ახსნა გამოეუნახოთ.

თუ სახელობითი ბრუნვის ნიშნის ი-ს ასახსნელად მისაღები ჩანს იგი ნაცვალსახელის მოშველიება (კაც იგი → კაც-ი)[4], მიცემითის, ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმებზე დართული ა-ს ასახსნელადაც ისევ ნაცვალსახელებს უნდა მივმართოთ. ასეთი ნაცვალსახელი, რომელიც ირიბ ბრუნვებში ა-ს მოგვცემს, არის ერთადერთი ესე და ახლა ჩვენთვის საჭირო მისი ფორმები ამას, ამის, ამით, რომელთაც შეეძლოთ სახელის ბრუნვის ფორმებში ა ს შემატება: კაც-ს ამა-ს → კაც-ს-ა, კაც-ის ამის → კაც-ის-ა, კაც-ით ამ-ით → კაც-ით-ა.

რატომ მოხდა, რომ სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვები წარმოიქმნა იგი ნაცვალსახელის საშუალებით (კაც იგი → კაცი, კაც მან → კაცმან, მერმე: კაცმა), ხოლო მიცემითის, ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებს ემფატიკური ა შეეხორცა ესე ნაცვალსახელის ირიბი ბრუნვებისაგან, ეს სხვა საკითხია. ეს არის ორი სულ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხასიათის მოვლენა: მიცემითის, ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმებზე ა-ს დართვა დიდი ხნით უნდა უსწრებდეს წინ სახელობითისა და მოთხრობითის, როგორც ბრუნვების, ჩამოყალიბებას. მეორე მხრივ, საჭიროა

[1] ნ. მარი. Грам. გვ. 22.

[2] К. Дондуа, К вопросу о родительном эмфатическом в древнелитературном грузинском языке: Известия АН СССР, Отд. гуманит. наук, 1930.

[3] ა. ჩიქობავა, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 6, 1942, გვ. 621.

[4] ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: არილი, 1925, გვ. 219.

ვიცოდეთ, რომ **იგი** ნაცვალსახელის დართვით **ორი ახალი ბრუნვა ჩამოყალიბდა**, ხოლო **ეს** ნაცვალსახელის ირიბი ბრუნვების ა-ს შემატებით ახალი ბრუნვები არ წარმოშობილა, მიცემითის, ნათესაობითისა და მოქმედებითი **ბრუნვის ფორმებს ა** დაერთო და, ამნაირად, ბრუნვის ნიშნებმა სახე შეიცვალეს, მარტივიდან რთულად იქცნენ, გაუვრცობელიდან გავრცობილად გარდაიქმნენ. შემდეგში ამ ორ სახეს ბრუნვის ნიშნებისას შემორჩა თავ-თავისი დამახასიათებელი შინაარსი და ფუნქციები, მარტივნიშნიანებს უფრო ძველი, რთულნიშნიანებს — შედარებით ახალი. აი, ამ მარტივი ბრუნვის ნიშნების ხმარების შემთხვევები უნდა მიმოვიხილოთ ახლა. ეს იქნება, არსებითად, ამ ბრუნვათა უძველესი ფუნქციების გათვალისწინებაც.

დავიწყოთ რიგის მიხედვით მიცემითიდან.

მიცემითი ბრუნვა

1. მიცემითი რთულ ზმნებში

მიცემითი ბრუნვის მარტივი ნიშანი **ს** ყველაზე გავრცელებული სახით გვხვდება ე. წ. რთულ ზმნებში. ეს ისეთი რთული ზმნებია, რომელნიც შედგებიან სახელადი და საკუთრივ ზმნური ნაწილისაგან. სახელადი ნაწილი, რასაკვირველია, თავშია მოქცეული, ის დგას მიცემითში და, რაც აქ ყველაზე მთავარია, ეს მიცემითი მუდამ მარტივი ნიშნით, ოდენ **ს**-თია წარმოდგენილი. არ შეიძლება მოხდეს, რომ მიცემითს ასეთ შემთხვევაში გავრცობილი ნიშანი **ს-ა** აღმოაჩნდეს. ეს გარემოება თავისთავად მიუთითებს ამნაირი რთული ზმნების სიძველეზე.

ყველა რთული ზმნა, რომელთა სახელადი ნაწილი მიცემითის **ს** ნიშნითაა წარმოდგენილი, ერთნაირი როდია თავისი წარმოშობით და აგებულებით. აქ ჩვენ გვაქვს ნაირ-ნაირი თავისებური წარსულისა და ნაირ-ნაირი მორფოლოგიური აგებულების ზმნები. ზოგი მათგანის სახელადს ნაწილში ეს **ს** მტკიცედ დგას და ყველგან ჩანს, ზოგისაში — მერყეევია და ამიტომ აქა-იქ ამოტივტივდება ხოლმე, სხვაგან კი არა ჩანს; ზოგი ასეთი სიტყვა თავისუფლად იშლება შემადგენელ ელემენტებად და კიდეც უშვებს ხოლმე გადასმას (გულს ეტყოდა, ეტყოდეთ გულს), ზოგი მჭიდროდაა შეკრული და შეუძლებლად ხდის მის დაშლას ან, მით უმეტეს, გადასმას. ერთი სიტყვით, აქ ჩვენს წინაშეა ერთობ ჭრელი სურათის მქონე მოვლენა, რომლის ერთ კალაპოტში ჩაყენება და ერთ ტრაფარეტზე დაყვანა ძნელია, იქნებ მოუხერხებელიც. მაგრამ ჩვენ ასეთი მიზანი არცა გვაქვს. ჩვენ არც ვცდილობთ ისინი ყოველმხრივ გავუთანაბროთ ერთმანეთს. აქ ჩვენთვის მთავარია ის **ხაერთო თვისება**, რომელიც ყველა მათგანს თანაბრად ახასიათებს და ერთ საერთო ასპექტში აერთიანებს. ესაა ის გარემოება, რომ მათ ყველას გამოუკლებლად ერთად და ერთნაირად სახელადი ნაწილის ბრუნვის ნიშნად აქვს მხოლოდ **ს** და არა **ს-ა**. აი ეს მომენტია, რომ სხვადასხვა წარსულისა და სხვადასხვა მორფოლოგიური აგებულების ამ რთულ ზმნებს აერთიანებს და

ჩვენც აქ სწორედ ეს გვაინტერესებს. ჩვენ საერთოდ ვეძებთ შემთხვევებს, როცა სათანადო **სახელს** ბრუნვის ნიშნად მხოლოდ **ს** აღმოაჩნდება და არა **ს-ა**, როგორც უფრო მოსალოდნელი იყო ძველი ქართულის საერთო ფონზე. ამიტომ მკითხველი აქ, დაე, ნუ მოგვთხოვს თითოეული ტიპის ზმნათა წარმოშობისა და მათი შემდგომი ისტორიის დაწვრილებით ჩვენებას. ამ შემთხვევაში საკმარისი იქნება საჭირო ზმნები ჩამოვთვალოთ, ხაზი გავუსვათ მასში სახელის მიცემითი ბრუნვის მარტივ ნიშანს **ს**-ს და აქა-იქ სხვადასხვა ხასიათის შენიშვნა გავაკეთოთ.

ასეთი ზმნებია: [1].

1. **თავს-დება**: ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა და **თავს-ვიდებდე** თქუენსა, ლ. 9, 41; არამედ ჩუენისა ცხორებისათჳს ამას ყოველსა **თავს-იდებს**, კიმ. I, 12, 18; საყუარელო ძმაო ია, შრომაჲ **თავს-იდევ** ღმრთისათჳს და მცირედ თანა-მოგზაურ მექმენ ჩუენ, ზარზმ. (ისტ. ქრესტ. 226, 18); ძნიად **თავს-იდვა** შეტევებაჲ ჩემი, შუშ. 153, 35; მონასა შენსა **თავს-მიდებიეს** ყრმაჲ ეგე მამისაგან, დაბ. 44, 32.

ეს არის ჩვეულებრივი ორპირიანი გარდამავალი ზმნა ფორმულით: იგი—მას, მან—იგი. II სერიაში მიცემითის ხმარება მხოლოდ იმით აიხსნება, რომ იგი ადგილის გარემოებას გამოხატავს: თავს-იდვა = თავზე აიღო, თავისთავზე მიიღო. როგორც ჩვეულებრივ გარდამავალ ზმნას, შეიძლება ობიექტად I და II პირიც ჰქონდეს (მაგალითად: რამეთუ მან თავადმან **თავს-მიდვას** მე და დამიცვას მე ყოველთაგან ბოროტთა გუემათა შენთა, ეტ. III, 192, 9; **თავს-მიდევით** მე, 2 კორ. 11, 16) და ეს ობიექტი მრავლობითშიც იყოს. ამ შემთხვევაში ზმნური ფუძე შეიცვლება საერთო წესის მიხედვით (დება—სხმა) და მასში გამოჩნდება პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშანი ენ → ნ, სახელის მიცემითის ფორმა კი სრულიად ხელუხლებელი რჩება: შენ, რომელმანცა **თავს-ახხენ** ქრისტესთჳს ურიცხუნი ენებანი, სას. პოეზ. 124, 96; ცოდვანი მათნი **თავს-იხხნეს** მან, ესაია 53, 11 ლაგ.

ამ ზმნის გარდაუვალი ფორმაც მხოლოდ სანს გვიჩვენებს: აქუს მისა მიმართ სიყუარული, რამეთუ მრავალი შრომაჲ **თავს-უც** მართლისა სარწმუნოებისათჳს, კიმ. I, 81, 22.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მიცემითის ასეთი ფორმა სრულიად ამ სახითაა დაცული აგრეთვე საწყისსა და მიმღეობაში, მაგალითად: ქრისტესა შეუდეგი, წმიდაო, და ენებათა **თავს-დებითა** ემსგავსე მას, ნეტრეულო, სას. პოეზ. 153, 51; შვილო, იქმენ სრულიად მორჩილ სიტყუათა ჩემ გლახაკისათა, და მე **თავს-მდებ** გექმნე ქრისტეს მიმართ, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 263, 21). იშვიათად საწყისი მეორე **ებ**-ითაც გვხვდება: გულისხმაუყავ და ვასწავე მათ მისლვად და წარმოღებად ჩემითა **თავს-დებებითა** ჩემსა

[1] სემანტიკური ხასიათისა და ზოგი სხვა მოსაზრებით, რომელთა მიხედვით საჭიროება ითხოვს ზოგი ზმნის ადრე განხილვას, რთულ ზმნათა განხილვას ანბანის რიგზე უფრო ვიძლევით.

მას აგარაკსა. ისტ. ქრესტ. 296, 10. „თავს-დებება“ შესაძლებელია „თავს-მდებებისაგან“ იყოს მიღებული (მ დაიკარგა).

ბოლოს აღვნიშნავ კიდევ ერთ საგულისხმო მომენტს: რთული ზმნის სახელადსა და ზმნურ ნაწილს შორის შეიძლება რაიმე ნაწილაკი ან სიტყვა ჩაერთოს, მაგალითად: არს, რომელმან სირცხვლისათჳს **თავს-რაჲმე-იდვიხ** მეგობრისაგან, ზირაქ 20, 23.

ამის მიხედვით არ შეიძლება ითქვას. რომ ეს არაა ერთი (თუნდაც რთული) ზმნა, რაკი შესაძლებელია მისი ნაწილების დაცილება და შიგ სხვა სიტყვის ჩართვაო. ამნაირი მოვლენა ძალიან დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის მარტივ ზმნებშიც. იქ, როგორც ცნობილია, შესაძლებელია ზმნისწინი და ზმნა დაშორდეს ერთმანეთს და მათ შორის ნაწილაკი, სიტყვა, ან სიტყვებიც კი ჩაერთოს, მაგალითად: მო-ვინმე-ვიდა, შე-ხელო-ვიდეს[1], შე-ხოლო თუ-ვახო ფესუსა სამოსლისა მისისასა, ეცხოვნდე (მ. 9, 21) და სხვა. მაშასადამე, **თავს-დება** (და ამის ტიპის ზმნები) გვერდში უდგას ჩვეულებრივს მარტივ ზმნებს და იმათს ბედს იზიარებს ამ მხრივ. აქ ისიცაა აღსანიშნავი. რომ რთული ზმნის საბელადი ნაწილი ზმნურ ნაწილთან ისეა შერწყმული და შეხორცებული, როგორც ჩვეულებრივი ზმნისწინი; ის აქ ერთგვარად ზმნისწინის როლს თამაშობს. სწორედ ამიტომაა, რომ ამნაირ რთულ ზმნებს არ შეიძლება რაიმე ზმნისწინი დაერთოს, ყველა ისინი უზმნისწინოა. ეს, როგორც ვნახეთ, გასაგებიცაა: თუ ჩვენს მაგალითში **თავს** ზმნისწინის როლს ასრულებს, რასაკვირველია, აღარაა საჭირო მას მეორე ზმნისწინი დაერთოს. მაგრამ ამ საკითხს ცალკე შესწავლა უნდა. აქ კი იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი და ყველა სხვა შესაძლებელი ფორმა ამ რთული ზმნისა სახელადს ნაწილს მუდამ მარტივი ნიშნით წარმოგვიდგენს, **ს**-ს სახით. ამიტომ ათასში ერთხელ შეხვედრილი **ა** დართული ფორმა (როგორც, მაგალითად, ასეთი: რომელსა ძნიად შეუძლეთ **თავსა-დებად**(?), კიმ. I, 323, 5) ხელნაწერის ან გამოცემის შეცთომა უფროა, ვიდრე ცოცხალი ენის სურათის ამსაველი მოვლენა.

2. გ უ ლ ს - დ გ ი ნ ე ბ ა: **გულს-ვიდგინე** ფრიადითა წადიერებითა ამის წმიდისა საჲარებისა მოგებად, ი. ჯავ. აღწ. 104, 6 ქვ.; ამისი მიტაცებაჲ **გულს-იდგინა** ნეტარმან თამარ, იპოლ. 2, 167; რომელთა-იგი მისთჳს **გულს-იდგინეს**, თუალთ. 15, 10; რომელსა უყუარდეს შვილი თჳსი, **გულს-იდგინოს** გუემაჲ მისი. ზირაქ. 30, 1. **ს** შენახულია აგრეთვე მიმღეობის ფორმაში: სული **გულს-მოდგინე** არს, ხოლო ჴორცნი უძლურ, მრ. 14, 38. აქედანაა ნაწარმოები განყენებული სახელი, რომელშიც **ს** ხელუხლებელია: შეჰკრებდეს სწრაფითა დიდითა და **გულს-მოდგინებითა**, წარტყ. 61, 16.

ს , უნდა ვიფიქროთ, გადაჰყვება სიტყვას საწყისშიც. ამის საბუთს იძლევა სხვა, მსგავსი რთული ზმნის საწყისი, სადაც **ს** დაცულია საწყისში: **კუალს-დგინება** (ნ. ქვემოთ).

---

[1] ამნაირი ფორმები იმდენად გავრცელებულია, რომ ადგილს აღარ ეუჩვენებთ.

3. კუალს-დგინება: და მეცნიერებითა მით მწიგნობრებისა მათითა საჲთა **კუალს-ადგინებენ** ერსა, ზირაქ 44, 4; ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ, ანუ ვინ თანა-მზრახვალ ეყო მას, რაჲთამცა **კუალს-ადგინა** იგი, ესაია 40, 13 ლაგ.; ხოლო ბრძენთა კაცთა მცირედნიცა სიტყუანი შემძლებელ არიან **კუალს-დგინებად** და მოქცევად, უდაბნ. 56 vb.

4. გულის-სიტყუა. ამ ზმნას მრავალი მნიშვნელობა აქვს, ერთერთი მათგანია გულში თქმა, გულში ფიქრი, სურვილი, ნატვრა. ჩვენთვის საინტერესო მიცემითს ბრუნვაში მდგარი „გულს" წარმოშობით ირიბი ობიექტია: გულს-ეტყჳს, გულს-ეტყოდა და სხვ. სხვა შემთხვევაში მნიშვნელობის ოდნავი გადაწევით **გული** სუბიექტად გამოდის, ხოლო ირიბ ობიექტად პიროვნება იგულისხმება: მე, შენ, მას.

საჭირო მაგალითები ბევრი მოიპოვება, ჩვენ აქ რამდენიმეს დავჯერდებით:

რომელნი თანა-წარჰველიედ, ჰნატრიედ და **გულს-ეტყჳედ** მოღებად ხისა მისგან, სვან. 24 a: და ზენონ **გულს-ეტყოდა**, რაჲთამცა მამული და დედული მონაგები დასა თჳსსა დაუტევა, ხანძთ. 110, 40; რომელნი ვეცხლსა გამოაქანდაკებდეს და **გულს-ეტყოდეს**, ბარუქ 3, 18; ვითარ-იგი შიშით და ძწოლით ვდგეთ და **გულს-ვეტყოდით** და ღმრთისა მიმართ ვილოცვიდეთ მისისა მის გულისა მოქცევისათჳს, ხანმ. მრავ. (ისტ. ქრესტ. 41, 7).

იშვიათად აქაც შეიძლება ამ რთული ზმნის სახელადი და ზმნური ნაწილი გაიყოს და შიგ ნაწილაკი ან სიტყვა მოთავსდეს, მაგალითად: ნუუკუე **გულს-რასმე-იტყჳნ**, 3 მეფ. 18, 27. მაგრამ ეს ჩვეულებრივი ტმესის მოვლენა უნდა იყოს და განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს. შდრ. **თავს-რაჲმე-იდგის** ფორმის შესახებ თქმული ზემოთ (გვ.136).

უფრო დამაფიქრებელია მეორე გარემოება: როცა ამ რთული ზმნის შემადგენელ სიტყუათა რიგი შეცვლილია: ზმნური ნაწილი წინაა მოქცეული, სახელადი—ბოლოსაა გადატანილი: **ეტყოდეთ გულს**, თუალთ. 28, 16, თუმცა ირიბი ობიექტი მიცემითში მაინც ს-ს ამარაა წარმოდგენილი. ჩვენთვის აქ ამ უკანასკნელი მომენტის აღნიშვნაც საკმარისია, თუმცა შეიძლებოდა. იმის გამორკვევასაც გამოვდევნებოდით, თუ რატომ არის აქ ჩვეულებრივი რიგი დარღვეული. შევნიშნავთ, მაინც, რომ წინადადებას, რომელშიც ეს რთული ზმნა გვხვდება, ჩარხი აკლია და მთლად გამართული არ არის.

დასასრულ, კიდევ დაეუმატებდით ერთ შემთხვევას, როცა ამ ზმნის სახელადს ნაწილს ბრუნვის ნიშნად აქვს არა მარტივი **ს**, არამედ გავრცობილი **ს-ა**: **გულსა-ეტყოდა** პიტიახში იგი სიტყუათა მათთჳს, შუშ. 155, 18. ჩვენი აზრით, ეს გავრცობილი ნიშანი მერმინდელია და პირვანდელ ტექსტში არ უნდა ყოფილიყო.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, არ გვჭირდება ისეთი შემთხვევის განხილვა, როცა **გული** სუბიექტად არის წარმოდგენილი, ხოლო ირიბ ობიექტად (მაშასადამე, მიცემითში) რომელიღაც პირი იგულისხმება: **გული-ეტყოდა** მას, მათ, მაგალითად: **გული-ეტყოდა** განძლებად მუცლისა თჳსისა რჩისა მისგან,

რომელსა-იგი ჰამედ ღორნი, და არავინ ჰსცის მას, ლ. 15, 16. ასეთ შემთხვევაში ზმნის მნიშვნელობაც ნაწილობრივ იცვლება: იგი აქ ამას ნიშნავს: ძალიან **ხურდა, ენატრებოდა**. ამიტომაა, რომ ადიშის ძეგლში ამ რთულ ზმნას ცვლის მარტივი **სწადინ**, რომელიც ძალიან კარგად გამოხატავს ჩვენი ზმნის შინაარსს. მართალია, ამ წინადადებაში სრულებით არაა წარმოდგენილი ირიბი ობიექტი, მაგრამ იგი იგულისხმება, ესაა **უმრწემჱსი** ძჱ (საქმე ეხება უძღებ შვილს). კიდეც რომ ყოფილიყო ეს უმრწემჱსი ძჱ წარმოდგენილი, ის ჩვენ არაფერს შეგეძენდა, რადგან მას ჩვეულებრივი ფორმა ექნებოდა: **უმრწემჱსსა (მას) ძესა**. ხდება ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში რთულ ზმნაში შემავალი სახელი სახელობითი ბრუნვითაა გამოხატული, რის გარკვევაც ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

5. გულს-დგმა: **გულს-მადგს**, რამეთუ მათ გიჩინნეს თქუენ და ჩუენ ვჰმსახურებდეთ მათ და თქუენ გიხაროდის, სვან. 466 b; Опис. 21, 2; ჰეროდიას **გულს-ედგა** მისი და უნდა მოკლვაჲ მისი და ვერარაჲ ჴელ-იწიფა, მრ. 6, 19.

6. გულს-დება: მათ **გულს-უც** ჰამად, ივდით 11, 13: რომელსა **გულს-ედვა** მიცემაჲ მისი, ი. 12, 4; საბას მუნქუესვე **გულს-ედვა** დადგომაჲ, ხანძთ. 112, 13; და მე შევიდე თავით ჩემით მამისა და გამოვჰკითხო, რაჲ **გულს-ედვას**, და გაუწყო შენ, 1 მეფ. 19, 3.

7. გულის-გდება: მოვიდეს გულის-სიტყუანი გულისა ჩემისანი და **გულს-მიგდებდეს** ფრიად, 3 ეზრა 5, 21.

მიმღეობის ფორმაში მიცემითის ნიშანი ს უკვე დაკარგულია: და ვითარ რიეურაეუ ოდენ იყო, აღდგომილ იყო მეფჱ **გულ-გდებული** ურვათაგან, მოქც. (ისტ. ქრესტ. 278, 28). მეორეგან ამ ს-სთან ერთად გ-ც დაკარგულა: და ვითარ ვერ შეუძლეს აღმართებად და უმარჯუ იქმნა საქმჱ იგი, წარვიდა მეფჱ და ყოველი ერი **გულ-დებული** ურვისაგან და მწუხარე იყვნეს ამას ზედა, იქვე, 276, 32.

8. გულის-წყება: ნუ **გულს-იწყებთ** გზასა ზედა, დაბ. 45, 24.

9. ჯუარს-ცუმა: და იყო ადგილსა მას, რომელსა **ჯუარს-აცუეს**, მტილი, ი. 19, 41 C[1]; **ჯუარს-აცუნეს** მის თანა ორნი ავაზაკნი, მ. 27, 38; მიიყვანეთ ეგე და **ჯუარს-აცუთ**, ი. 19, 6; მეუფჱ თქუენი მე **ჯუარს-ვაცუაა**? ი. 19, 15; მახლობელ იყო ქალაქსა ადგილი იგი, სადა **ჯუარს-ეცუ** იესუ, ი. 19, 20 C.

ს შენარჩუნებულია ამ რთული ზმნის საწყისსა და მიმღეობაში: არა უწყი, რამეთუ ფლობა მაქუს **ჯუარს-ცუმაჲ** შენი და ჴელ-მეწიფების განტევებაჲ შენი, ი. 19, 10 C; ხოლო ჩემდა ნუ ხიყოფინ სიქადულ, გარნა ჯუა-

[1] ეგევე მაგალითი აქვს მოყვანილი ნ. მარს თავის სინას მთის ხელნაწერთა აღწერილობაში, ოღონდ ხ-ს ა-ც ახლავს: იყო ადგილსა მას, სადა **ჯუარსა-აცუეს** (ჯ'ა აცოეს) მტილი, Опис. 175, 12. შესაძლებელია, ეს ა მომდევნო ანის გაკლენით არის დაწერილი. ყოველ შემთხვევაში, ეს ფორმა მოულოდნელია ძველი ქართულისათვის.

რითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა, რომლისათჳს სოფელი ჩემდა **ჯუარს-ცუმულ** არს, გალ. 6, 14 (ხანმეტი ლექციონარიდან).

ბაგრამ ძველი ქართულის ძეგლებში უკვე დაწყებულია სანის დაკარგვა მიმღეობისა და საწყისის ფორმებში. ამის მაგალითებია: ჯერ-არს ძისა კაცისა მიცემად ჴელთა კაცთა ცოდვილთასა **ჯუარ-ცუმად**, ლ. 24, 7: ავაზაკნი იგი, მის თანა **ჯუარ-ცუმულნი**, აყუედრებდეს მას, მ. 27, 44; მრ. 15, 32 და სხვ. შემდეგ და შემდეგ სანის ეს დაკარგვა საწყისსა და მიმღეობაში დაკანონდა (შდრ. გურიის ერთ-ერთი სოფლის ძველი სახელწოდება **ჯვარც(ხ)მა**, რომელშიც სანთან ერთად დაკარგულია უმარცვლო **უ**-ც, ხოლო შეორე ასეთი ბგერა ვინადაა შეცვლილი).

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში **სანის** არსებობა სრულიად ცხადი და ნათელია: იგი იქ ან ირიბ ობიექტს გადმოსცემს, ან ადგილის გარემოებას გამოხატავს. მაგრამ ამ ნათელი მაგალითების გვერდით ძველ ქართულში გვხვდება ისეთი რთული ზმნებიც, რომლებშიც **სანის** ახსნა ასე იოლად არ ხერხდება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი მაგალითები, როგორიცაა, ერთი მხრივ: **ნათელს-იღებდეს, წამს-უყოფდა** და მისთანანი, ხოლო, მეორე მხრივ: **ნათელს-ეც, სახელს-სდვეს, ამბორს-უყო** და მისთანანი. შეიძლებოდა ამ **სანის** ასახსნელად ორი მოსაზრება მოგვეყვანა:

1) **სანი** I სერიის ფორმებთან თავიდანვე ჰქონდათ ასეთ სახელებს (ნათელს-იღებს), ხოლო შემდეგ და შემდეგ, როცა სახელი და ზმნა მჭიდროდ შეერწყა ერთმანეთს და ერთ რთულ სიტყვად იქცა, აღარ იყო საჭირო სახელის ბრუნვა აღნიშნულიყო და ეს **სანი** დაიკარგა (ნათელ-იღებდეს). ეს ფორმა ამ სახით გავრცელდა ყველა სერიაში (სადაც კი იხმარებოდა); მეორე სერიის ფორმებში **სანის** გამოჩენა (ამბორს-უყო) I სერიის გავლენით აიხსნება და ასახავს გარდამავალ საფეხურს ორი სიტყვის კომპოზიტად ქცევის გზაზე; მაშასადამე, ამის მიხედვით გამოდის, რომ I სერიის ფორმებთან **სანი** იყო და დაიკარგა, II სერიის ფორმებში **სანი** არ იყო და გაჩნდა.

2) შესაძლებელია დავუშვათ, რომ **ნათელ-იღო, პატივ-სცა, ჴმა-უყო, სახელ-სდვა** და მისთანა ფორმები წარმოშობით ძალიან ძველია და ენის განვითარების იმ საფეხურს ასახავს, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სახელობითი ბრუნვა, მის ნაცვლად წრფელობითი იხმარებოდა და **სახელ-სდვა** მერმინდელი ენით ამას ნიშნავდა: **სახელი დახდვა**, ე. ი. წრფელობითი ბრუნვა აქ პირდაპირ ობიექტს გამოხატავდა. შემდეგ და შემდეგ ეს სიტყვები იქცნენ კომპოზიტად, მტკიცედ შეერწყნენ ერთმანეთს და პირველი სერიის მწკრივებშიც ასე შერწყმული სახით იხმარებოდნენ (ნათელ-იღებდეს, პატივ-სცემდეს, სახელ-სდებდეს, ჴმა-უყოფდეს და მისთ.). **სანის** საკითხი ასეთ შემთხვევაში (სახელს-სდებდეს) პირველი სერიის სხვა ჩვეულებრივი ზმნების ანალოგიით უნდა აიხსნას. მაშასადამე, ამის მიხედვით აქ **სანი** არ ყოფილა და მერმე გაჩნდა. რაც შეეხება იმავე **სანის** საკითხს მეორე სერიის ზმნებთან, იგი აქაც ისე, როგორც პირველ შემთხვევაში, იმავე ანალოგიის შედეგი უნდა იყოს.

რომელი ამ ახსნათაგანია სწორი, ეს სხვა საკითხია (ჩვენ პირადად მეორე მოსაზრება უფრო გვგონია სწორი), მთავარია ის გარემოება, რომ ორივე შემთხვევაში სახელს მხოლოდ **ხანი** აქვს ბრუნვის ნიშნად და არა **ხ-ა.** ჩვენ აქ სწორედ ეს გვაინტერესებს.

დავასახელებთ ახლა ამის მაგალითებსაც:

10. სახელის-დება: **სახელს-გდებთ**, ნეტარო, ძედ ქუხილისა, სას. პოეზ. 97. 197; სახელსა შენსა, უფალო, მარადის **სახელს-ვსდებთ** და წყალობასა შენსა ვაქებთ, იქვე, 191, 61; აღიარე კადნიერად მძლავრთა წინაშე და **სახელს-იდევ** ქრისტეანედ, იქვე, 178, 25; **სახელს-სდვეს**, თუალთ. 15, 18.

11. ნათლის-ცემა: მე **ნათელს-გცემ** თქუენ წყლითა, ხოლო მან **ნათელს-გცეს** თქუენ სულითა წმიდითა, მრ. 1, 8 C; აჰა იგი **ნათელს-სცემს**, და ყოველნი მივლენან მისა, ი. 3, 26 C; ესე ბეთაბრას იყო, წიაღ იორდანესა, სადა-იგი იოვანე **ნათელს-სცემდა**, ი. 1, 28 C; **ნათელს-ეც** უცოდველსა და აწ მისა მიმართ მეოხ გუეყავ,სას. პოეზ. 398, 35.

უფრო ხშირი და უფრო გავრცელებულია, რასაკვირველია, უსანო ფორმები როგორც I, ისე II სერიის ზმნებთან, მაგალითად: სადა **ნათელსცემდა** იოვანე პირველად, ი. 10, 40; რომელმან **ნათელ-ჰსცეს** სულითა წმიდითა. ი. 1, 33 და სხვ.

12. ნათლის-ღება: **ნათელს-იღებდეს** მისგან იორდანესა ზედა მდინარესა, მ. 3, 6; მრ. 1, 5 C; რომელსა მე **ნათელს-ვიღებდე**, მ. 20, 22 C; მოიდრიკე უხრწნელი თავი დღეს და **ნათელს-იღე** უცოდველმან, სას. პოეზ. 104, 55; **ნათელს-ვიღოთ** მის თანა ჩუენცა წყლითა სიწმიდისაჲთა, იქვე, 109, 200; რომელთა ქრისტეს მიმართ **ნათელს-გჳღებიეს**, იქვე, 238, 87 და სხვა.

მაგრამ საკმარისია ზმნას რომელიმე ზმნისწინი დაერთოს, რომ სახელი მაშინვე მოსცილდეს მას და ჩვეულებრივი წესით დაირთოს ბრუნვის ნიშნები, მათ შორის მიცემითი ბრუნვის ნიშანი, სრულად, ემფატიკური ა-თი. გვაქვს: ნეტარმან ჰაბო... **ნათელ-იღო** (ისტ. ქრესტ. 186, 20), მაგრამ: სადმცა **მოიღო ნათელი** ქრისტჱსი (იქვე, 185, 38), ან: ევსტათი... **ნათელი მოიღო**[1] (იქვე, 160, 23).

მიცემითის **ს** გადასულია აგრეთვე მიმღეობაშიც: შენგან **ნათელს-ღებულსა** დღეს მოსწრაფედ შეუდგა ჰაბო და მისთჳს სიკუდილი დაითმინა, სას. პოეზ. 41, 11; ღმერთსა **ნათელს-ღებულსა** სარწმუნოებით უგალობდეთ, იქვე, 216, 124.

რასაკვირველია, აქაც გაცილებით მეტია **უსანო** მაგალითები როგორც რთული ზმნის პირიან ფორმებში, ისე მიმღეობებშიც, მაგალითად: **ნათელიღებდეს** მისგან იორდანესა მდინარესა, მრ. 1, 5 E; **ნათელ-იღეს** ნათლისცემითა იოვანესითა, ლ., 7, 29; რომელნი **ნათელ-ღებულსა** შეასხმენ, სას. პოეზ. 43, 19.

[1] ასეთ შემთხვევაში რიგიც კი თავისუფლდება: მოიღო ნათჱლი, მაგრამ: ნათელი მოიღო.

13. სიტყვს-გება: **სიტყუას-გოგებ**, 2 კორ. 12, 19; **სიტყუას-უგებ**, ჰრომ. 9, 20; **სიტყუას-უგებდა** მათ გულითა მწუხარითა და ჰრქუა, ამონ. 212, 31; ვითარმცა **სიტყუას-უგებდეს** ადგილისათჳს, ხანძთ. 124, 10; გხედავ, რამეთუ მოჰკუდები და ესრეთ **სიტყუას-მიგებ** და არა სწყალობ თავსა შენსა, პარხ. 1041 a (ნ. აგრეთვე კიმ. II, 12, 30).

ამათ გვერდითაც მოიპოვება უსანო ფორმები. დავასახელებ აქ რამდენიმეს: ტკივილთა ჩემთათჳს არა **სიტყუა-გოგებ** შენ უძლურად, პარხ. 1159; და თუ ვინმე ეშჯინ, არა **სიტყუა-უგებნ**, მამ. სწავ. 335; უკუეთუ ვინ **სიტყუა-უგის**, აღშფოთნის, იქვე, 343; ხოლო მე არა ვიქმნე და არცა **სიტყუა-უგო**, ესაია 50, 5 ლაგ.

შესაძლებელია ამ რთული ზმნის შემადგენელი ნაწილები დაშორდეს ერთმანეთს და მათ შორის ნაწილაკი ჩაემატოს (ტმესი). ამის მაგალითი იქნებოდა: შენ **სიტყუა-ოდენ-გოგებ**, ხოლო დედაკაცსა ამას მიეტევნენ შეცოდებანი მიანი მრავალნი, ბოლნ. 15, 6.

როგორც ვნახეთ, ეს სახელადი ნაწილი რთული ზმნისა ზმნისწინის როლს ასრულებს. ამიტომ საკმარისია ზმნამ დაირთოს რომელიმე ზმნისწინი, და ეს სახელადი ნაწილი განზე გადგება, წყვეტს იმ მჭიდრო კავშირს ზმნასთან, რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით, და სრული დამოუკიდებელი არსებობის ნიშნად იძენს ემფატიკურ ა-საც: არცაღა **სიტყუასა** მიუგებ, რასა ესენი შეგწამებენ შენ, მ. 26, 62 D[1]. აქ ჩვენ სრულიად ისეთი სურათი გვაქვს, როგორიც ზემოთ „ნათელ-იღო“-სა და „ნათელი მოიღო“-ს განხილვისას ვნახეთ (გვ. 140).

14. ამბორის-ყოფა: **ამბორს-გიყოფდა** ვნებადმთა მათ ასოთა, სას. ჰოეზ. 124, 119: **ამბორს-უყოფდა** ფერჴთა მისთა, ლ. 7, 38; **ამბორს-უყო** მას, მ. 26, 49; რომელსა მე **ამბორს-უყო**, იგი არს, შეიპყართ იგი, მ. 26, 48.

იშვიათად გვხვდება ამათ გვერდით უსანო ფორმებიც: **ამბოვრ-უყოფდა**, ლ. 15, 20 B.

15. წამის-ყოფა: რომელი **წამს-უყოფენ** თუალითა. იგი შეუკრებენ კაცთა მწუხარებასა, იგავ. 10, 10; და იგი **წამს-უყოფდა** მათ და დაადგრა უტყუად, ლ. 1, 22; და **წამს-ჰუყოფდეს**, რომელნი იყვნეს ერთსა მას ნაცსა, რაჲთა მოვიდენ და შეჰეწინენ მათ, ლ. 5, 7 (ჰაემ.) და სხვ. მაგრამ: **წამ-უყვნა** მას სიმონ-პეტრე, ი. 13, 24.

16. პატივის-ცემა: შევიწყნარებ და **პატივს-ვსცემ** წმიდათა კრებათა, კიმ. I, 89, 36.

მაგრამ ამნაირი (სანიანი) ფორმები იშვიათია. უფრო ხშირია უსანო ფორმები, მაგალითად: **პატივ-ვჰსცემ** მამასა ჩემსა, ი. 8, 49; რომელმან

---

[1]. E-ში დატოვებულია სახელის ძველი, ოდენ სანიანი ფორმა, მაგრამ ზმნასაც აქვს მიმატებული ზმნისწინი: არცაღა **სიტყუას-მიუგებ**. ესაა გარდამავალი ფორმა ძველიდან ახლისაკენ: სახელი ძველებურად, ზმნა ახლებურად. ხელნაწერი, ჩანს, ხარჯს უხდის ძველსაც და ახალსაც, ღმერთსაც და მამონასაც...

პატივ-ჰსცეს ძესა, მან **პატივ-სცეს** მამასა, ი. 5, 23; **პატივ-ეც** მამასა შენსა და დედასა შენსა, მ. 15, 4.

17. უგულებელს-ყოფა: ვითარ-იგი **უგულებელს-ყო** მაღალმან სამწყსოჲ თჳსი, წარტყ. 3, 22; რამეთუ **უგულებელს-ვყვეთ** ჰირი სულისა მისისაჲ, დაბ. 42, 21; რად-მე, უფალო, დასდეგ შორს და **უგულებელს-მყვენ** ქამსა ოდენ ჰირისასა, ფსალმ. 9, 26; რამეთუ ქრისტესა დაუტევებიეთ და **უგულებელს-უყოფიეთ**, წარტყ. 34, 22.

„ყოფა“ ზმნასთან ბევრ სხვა შემთხვევაშიც გვხვდება სახელი მიცემითს ბრუნვაში მარტივი ბრუნვის ნიშნით (სანით). ამათგან ზოგი სრულებითაც არ უნდა წარმოადგენდეს რთულ ზმნას, მაგრამ ძველი ვითარების მაუწყებელი კი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ სანიანი ფორმების გვერდით აქაც გვხვდება უსანო, ე. ი. მიცემითის ნაცვლად წრფელობითი ბრუნვა. ეს კანონზომიერი ცვლა მიცემითი და წრფელობითი ბრუნვებისა ზემოთ ნათლად იყო ნაჩვენები და მაგალითებს აქ აღარ მოვიყვან. დავასახელებ უბრალოდ ჩვენთვის საინტერესო მაგალითებს: **კეთილს** უყოფდით მოძულეთა თქუენთა, ლ. 6, 27D; და იყო დღე მარჯუეჲ, ოდეს ჰეროდე შობისა თჳსისასა **ტაძრობას** ჰყოფდა მდიდართა თანა, მრ. 6, 21 C; მაშინ **დასაბამს** ჰყოფდა ნათლის-ღებასა ჰეშმარიტებისა გამოჴსნისა მსახურებისასა, სვან. 389 b; ნუუკუე მიმცენ მე ჴელთა მათთა და **ბაგეს-მიყოფდენ** მე, იერ. 38, 19 (=მეკიცხევდენ); აჰა ესერა დღეს ეველრებიან მათ მსაჯულნი და მეფენი **მეოტა-ყოფად** მათა წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსა, სვან. 456 b (შდრ. ამას: პიტიახში... მჴედრ მიმოდასდევნინ და **მეოტა-ჰყოფნ** მათ ყოველთა, შუშ. 153, 13. ბრუნვების ცვლაში აქაც ისეთივე შეფარდებაა, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები: წრფელობითი — მიცემითი). აქვე უნდა დავასახელოთ გავრცელებული კომპოზიტი **ცხოველს-მყოფელი** (კიმ. I, 54, 24) და სხვ.

აქამდე ჩვენ მიერ განხილულ მაგალითებში სახელი წარმოდგენილი იყო მიცემითის ბრუნვაში **მხოლობითი** რიცხვის ფორმით. იშვიათად იგი შეიძლება ასეთ შემთხვევაში მრავლობითის ფორმითაც შეგვხვდეს. სუფიქსად აქაც, რასაკვირველია, მარტივი **თ** იქნება წარმოდგენილი და არა გავრცობილი **თ-ა**: **ა** აქაც ისეთივე წარმოშობისაა, როგორც მხოლობითში, და ამიტომ აქ მას არა ესაქმება-რა. ასეთი კომპოზიტებია:

18. ჴელთ-გდება: **ჴელთ-გჳგდებიე** ჩუენ და მოცემულ ხარ ჩუენდა, მამ. სწავ. 327.

თუ პირდაპირი ობიექტი ნარიან მრავლობითში დგას, ზმნას ფუძე გამოეცვლება, გაიჩენს ობიექტის მრავლობითის ნიშანს და ისე წარმოგვიდგება: ვინ უწყის, გამოვიდენ ქალაქით და **ჴელთ-ვისხნეთ** ცოცხალნი და შევიდეთ ქალაქსა და გამოვიღოთ იგი, 4 მეფ. 7, 12.

19. ჴელთ-დება: (გიორგი შუარტყელმან) **ჴელთ-იდვა** რაჲ განგებაჲ სამცხისაჲ, დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თჳსი, ზარზმ. (ისტ. ქრესტ. 233, 20); უკუეთუ **ჯერკმა** დაშურის, ძნიად **ჴელთ-იდვის** ზოგი ოდენ, ზირაქ 29, 7; უკუეთუ ვერ **ჴელთ-იდვის**, მაშინ-ღა არნ, ვითარმცა სრულიად მიჰხუეპა, იქვე, 29, 8.

20. თუალთ-ყოფა: **თუალთ-უყოფდეს** სარჩელსა და ეტყოდეს, სვან. 34 ხ. მაგრამ „თუალი“ ზოგჯერ მბოლობითშია: **თუალს-უყოფდეს** მაშასა მისსა, რაჲ-მე უნდეს სახელი რქუმად მას, ლ. 1, 62 C. ამას DE-ში ცვლის: **თუალ-უყოფდეს**. საიდან მოდის ეს „თუალ-უყოფდეს“: სანიანი თუ თანიანი ფორმიდან (თუალს-უყოფდეს, თუალთ-უყოფდეს)? უფრო საფიქრებელია, არც ერთიდან: ეს უფრო ძველი ვითარების მაჩვენებელი უნდა იყოს, როცა მეორე სერიის ზმნებთან ამ ტიპის სახელები წრფელობითი ბრუნვის ფორმით იხმარებოდა, შემდეგ კი ისინი მკვიდრად შეერწყნენ ერთმანეთს და ამ სახით გადმოვიდნენ აგრეთვე პირველ სერიაში. მეორე სერიის ზმნასთან უნიშნო ფორმა დაცულია ადიშის ოთხთავში: **თუალ-უყნა** მას სიმონ-პეტრე, ი. 13, 24 C.

21. თუალთ-ღება, თუალთ-ხუმა: არა **თუალთ-აღებ** პირსა კაცისასა, მ. 22, 16; მრ. 12, 14 C; ვიცით, რამეთუ მართალსა იტყჳ და ასწავებ და არავის **თუალთ-აღებ**, არამედ ჴეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ, ლ. 20, 21 CE.

22. სულთ-თქუმა. ამნაირივე ხასიათისა უნდა იყოს აგრეთვე ძველი ქართულის ცნობილი რთული ზმნა **სულთ-თქუმა**: მაშინ ვტიროდე და **სულთ-ვითქუემდ** ღმრთისა მიმართ, მოქც. (ისტ. ქრესტ. 272, 15); **სულთ-ვითქუნე** სიღრმითა გულისა ჩემისაჲთა, ბოლნ. 12, 15.

ზოგჯერ ეს თ-ც იკარგება ხოლმე: **სულ-ითქუნა** სულითა თჳსითა და თქუა, მრ. 8, 12.

2. მიცემითი ადგილის გარემოებად

მიცემითის მიერ ადგილის გარემოების გადმოცემა მისი ერთ-ერთი უძველესი ფუნქციათაგანია. განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ეს გეოგრაფიულ საიელებში, რაზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი, მაგრამ ჩვეულებრივს საზოგადო სახელებშიც არაა ეს იშვიათი. ამ შემთხვევაში ეს საზოგადო სახელები გარკვეულ ადგილს, შენობას, დაწესებულებას და მისთ. მიუთითებს. ეტყობა, გეოგრაფიული სახელების ზოგი თვისება აქვს მიწერილი ამ სახელებს, რომ ასე თავისუფლად და დაუბრკოლებლად მიმართავენ ისინი მიცემითს. ყველა ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, სახელს მიცემითის ნიშნად მხოლოდ ს ნიშანი აქვს. ასეთ მიცემითს ადგილის მიცემითს უწოდებენ.

აქ პირველად უნდა დავასახელოთ ადგილის ზმნიზედები, რომლებიც წარმომდგარია მიცემითისაგან (ს-ს დართვით). ასეთებია:

1. ახლოს: **ახლოს** არს ზაფხული, მრ. 13, 28; ჟამი ჩემი **ახლოს** არს. მ. 26, 18; **ახლოს** არს სასუფეველი ღმრთისაჲ, ლ. 21, 31.

აქა-იქ შეხვედრილ უსანო ფორმას, როგორიცაა **ახლო** (**ახლო** არნ არს, მრ. 13, 28 C), სანი ჩამოკვეცილი უნდა ჰქონდეს. ამ სახით (ახლო) იგი ძალიან გავრცელებულია ახალ სალიტერატურო ქართულსა და მის კილოებში.

2. შ ო რ ს: პეტრე მისდევდა მას **შორს**, მ. 26, 58 C; რომელნი დადგეს **შორს**, ლ. 17, 12; მეზუერთ იგი **შორს** დგა, ლ. 18, 13.

ეს „შორს“ ხანდახან თანდებულის როლშიც გამოდის; არა **შორს** ხარ შენ სასუფეველსა ღმრთისასა, მრ. 12, 34; არა **შორს** იყვნეს ქუეყანასა, არამედ ორას წყართა ოდენ. ი. 21, 8.

„შორს“, ცხადია, მიცემითია: ამის ნათესაობითია **შორ-ის**, მოქმედებითი — **შორ-ით**, ვითარებითი — **შორ-ად**. ყველა ეს ფორმა აგრეთვე დიდ ხმარებაშია, ისინი ზმნიზედად არის გამოყენებული და ქვევით თავ-თავის ადგილას შევხვდებით. დავუმატებთ ბოლოს, რომ **შორ** ფუძე ზედსართავებშიც გვხვდება და იბრუნვის ჩვეულებრივი წესით (კაცი ვინმე აზნაური წარვიდოდა **შორსა** სოფელსა, ლ. 19, 12). აი ამ ზედსართავის მიცემითის ფორმაა გამოყენებული ადგილის ზმნიზედად.

ახლა ვუჩვენოთ მაგალითები, როცა ადგილის გარემოებად გამოყენებულია არსებითი სახელები მარტივი ხ ნიშნით:

1. ა ბ ა ნ ო ს: და არა აუფლის მას შესლვად **აბანოს**, სვან. 218 ხ.
2. ა დ გ ი ლ ო ბ ა ნ ს. ა დ გ ი ლ უ ბ ა ნ ს: თუალი იგი იაკინთთ დაშთის მუნვე **ადგილუბანს** მთათა მათ ზედა, თუალთ. 18, 2; გამოვიდა სიკელით და **ადგილუბანს** ფერჯი დაიპყრა საულ, 1. მეფ. 23, 14; დაწუენით ეგენი მანდაე **ადგილუბანს** ცეცხლითა, 2 მეფ. 5, 21; და ყრმაჲ იგი მელიტონ დაუტეევს მუნვე **ადგილობანს**, პარხ. 431 გ.

აქ სხვა საკითხია რისგანაა გამოწვეული ფუძისეული ო-სა და უ-ს მონაცვლეობა: ეს ჩვეულებრივი ტიპის შენაცვლებაა, ძველ ქართულში ასეც ხშირად რომ გვხვდება (ორი — ური, ურნატი — ორნატი), თუ მას სხვა საფუძველი აქვს. ხომ არაა ეს კომპოზიტი „ადგილ“-ისა და „უბან“-ის შეერთებით მიღებული, ან იქნებ აქ ჩვენ ისეთი წარმოება გვაქვს, როგორც „სამარობან“-ში: ს ა მ ა რ - ო ბ - ა ნ (მ. 8, 28 C; მრ. 5, 2, 3, 5 C), ა დ გ ი ლ - - ო ბ - ა ნ. ჩვენ უფრო ეს უკანასკნელი გვგონია. მაშინ „ადგილუბანში“ უ ო-ს მონაცვლე იქნებოდა (იქნებ იმავე „უბან“-ის ყრუ გამოხმაურებით).

3. გ ზ ა ს: და უკუეთუ მაიძულებდეთ მე, გზას აღვესრულო, პარხ. 715 გ; მზის დასლვითგან არიან იგინი **გზას** მომავალნი თქუენ ზედა, იქვე, 867 ხ; გუეშინოდა, ნუუკუე **გზას** შეგუემთხჳნენ და მოგუწყჳდნენ ჩუენ, იქვე; რაჟამს წარვალნ კაცი **გზას**, მ. 25, 14.
4. დ ა ს ა ვ ა ლ ს: მაქსიმე იხილა სიზმარი, ვითარმედ ცათა შინა დგა დასი ანჴელოზთაჲ, ერთი აღმოსავალსა და ერთი **დასავალს**, კიმ. I, 69, 32.
5. ე კ ლ ე ს ი ა ს: შევიდა **ეკლესიას** ლოცვად, კიმ. I, 207, 29; შეკრბა სიმრავლთ ერისაჲ **ეკლესიას**, სვან. 278 ჲ.
6. ზ ე ს კ ნ ე ლ ს: ანუ რავდენ არიან ალაგნი **ზესკნელს** სამყაროთანი, 3 ეზრა 4, 7; აღჳდა **ზესკნელს** ცათა, თუალთ. 32, 13; **ზესკნელს** მიგხედოა, ანუ-მე ყოველსა ადგილსა ხარ, კიმ. I, 175, 31.

7. ზეცას: მაშინ გამოჩნდეს ნიში იგი ძისა კაცისაჲ **ზეცას**. მ. 24, 30 C: ქუეყანასა ზედა დიდებულო და **ზეცას** პატივცემულო, Ps. 85, 13; ნუუკუე **ზეცასცა** ბრძოლაჲ იყოა ანგელოზთა შორის, მაძ. სწავ. 70.

მსგავსი მაგალითები ძალიან ბევრია და აქ აღარ მოვიყვანთ. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ თუ ასე ხშირია ამ სიტყვის გამოყენება ადგილის გარემოებად მიოლოდ ს ნიშნით, სრულებით არ გეხვდება ამ როლში და ამ სახით მისი საპირისპირო ქ უ ე ყ ა ნ ა.

8. ზღუას: ერთი მათგანი ზეცას დამკვდრებულ არს და ერთი **ზღუას** და ერთი ჯოჯოხეთს, პარბ. 1135.

9. კასტელს: არცა **კასტელს** და არცა ლავრასა სენაკსა შინა უტევის ყოფაჲ მათ, კიმ. II, 159, 20.

10. ლავრას: **ლავრას** დაყო პირველ ათორმეტი წელი, კიმ. I, 27, 16.

11. მთას: რომელნი-იგი გარე **მთას** იყუნეს, უდაბნ. 35 rb; და ეგრეცა ჩუენი **მთას** გარე ყოფაჲ, იქვე, 33 vb.

12. საებისკოპოზოს: და ბრძანა მეფემან, რაჲთა იყოფოდის **საებისკოპოზოს**, ძვ. ქართ. ქრესტ. 58, 19.

13. სავაჭროს: რაჲთა ზრახვიდეს მას კაცი იგი, რომელი-იგი **სავაჭროს** იქმნების, გინა ბჭესა მას თანა, მაძ. სწავ. (H) 101.

14. სამამასახლისოს: მაშინ შეკრიბნეს მტერთა მათ ღმრთისათა მოსისხლეთა მამანი ყოველნი რომელნიმე ეკლესიას, რომელნიმე **სამამასახლისოს**, პარხ. 879 b; პოვეს **სამამასახლისოს** ფრიადი ლერწამი კონეულად დაკრული, იქვე, 882 b.

15. სამამოს: **სამამოს** მიიყვანის და უბრძანის განრთხმაჲ, ცხორ. იოვ. და ეფთ. 68, 6[1]; და მათ თანა დაიურვის **სამამოს**, იქვე, 74. 2.

16. სამეფოს: და მიიწია რაჲ თესალონიკედ, წარავლინნა **სამეფოს** მოყვანებად ცოლისა და შვილთა მისთა, კიმ. I, 95, 32.

17. სამზარეულოს: ყოველი, რომელი **სამზარეულოს** იყიდებოდის, პამეთ, 1 კორ. 10, 25.

18. სამოთხეს: დღეს ჩემ თანა იყო **სამოთხეს**, ლ. 23, 43 BL; ოდეს-იგი ადამ შეიყვანა ღმერთმან **სამოთხეს** და მისცა მცნებაჲ, კიმ. I, 91, 29.

19. საპყრობილეს: **საპყრობილეს** ჰკყავ, და მოხუედით ჩემდა, მ. 25, 36 C; ბრძანა... **საპყრობილეს** შესხმაჲ მათი, ევსტ. 163, 18; იოჰანეს ესმა **საპყრობილეს** შინა საქმენი იგი ქრისტჱსნი, მ. 11, 2 C და ბევრი სხვა.

რასაკვირველია, ამ ოდენ სანიანი ფორმების გვერდით ბევრია აგრეთვე ა დართული სახეობა მიცემითისა (**საპყრობილესა** ვიყავ, მ. 25, 36; მოჰკუეთეს

[1] სამ. ხელნაწერში (BCD) იკითხება „სამამოსა".

თავი იოვანეს **საპყრობილესა** შინა, მ. 14, 10), მაგრამ აქ ახლა ამ გარემოებას არ ეუსვამთ ხაზს; უეჭველია, ეს ანიანი ფორმები უფრო გვიანდელია და ენის განვითარების უფრო მოგვიანო საფეხურს ასახავს. ოდენ სანიანი მიცემითი კი პირვანდელი ჩანს და ჩვენც მას ვაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს შენიშვნა მარტო „საპყრობილეს" როდი ეება, იგი ასევე მართებულია ბევრი სავა სახელისათვის და ამიტომ მას ყველგან არ ვიმეორებთ.

20. **საქმროს**: და ქალწულებასა ნუკუე საგმობელ იქმნეს და **ხაქმროს-ღა** იყოს, ნუკუე სცთეს, ზირაქ 42, 10.

21. **ტაძარს**: ედემისა ბჭენი... განმიხუნა ჩუენ სახიერებით ღმრთისა სიტყუამან ნაზარეთს ხარებითა და ბეთლემს შობითა, **ტაძარს** მიქუმითა, იორდანეს განბანითა, სას. პოეზ. 253, 161.

22. **უდაბნოს**: რომელმან **უდაბნოს** ჰქადაგე შემოქმედი, ჭილ-ეტრ. 228, 2; ეგრეთვე ნეტარი იოვანე არა **უდაბნოს** დაძკვრებულ იყოა, მამ. სწავ. 46; იყო სიტყუაჲ ღმრთისაჲ... **უდაბნოს**, ლ. 3, 2.

23. **ქუესკნელს**: იშუებდით თქუენ, პყრობილნო **ქუესკნელს** ჯოჯოხეთისანო, სას. პოეზ. 271, 384.

24. **ჯოჯოხეთს**: შთასლვითა შენითა **ჯოჯოხეთს** შეძრწუნდა მთავარი ბნელისაჲ, სას. პოეზ. 145, 76; რომელნი ხიყუნეს **ჯოჯოხეთს**, ხანმ. მრავ. (ისტ. ქრესტ. 24, 7); **ჯოჯოხეთს** შთაკუედ და მტერი დაეთრგუნე,. ლიტ. ქრესტ. 19, 33.

ხშირად გვხვდება ეს სახელი ამ საით „შინა" თანდებულის დართვითაც:

ჯოჯოხეთს შინა აღიპყრნა თუალნი თჳსნი, ლ. 16, 23; ბოლნ. 71, 14; ორგულთა თანა დაისაჯოს **ჯოჯოხეთს** შინა, მამ. სწავ. 28.

აქ არას ვიტყვით ისეთი სიტყვების შესახებ, როგორიცაა მიცემითში დასმული და მარტივი **ს** ნიშნით წარმოდგენილი **ზჯდ-წყარს** (კიმ. II, 156, 12), **ზღუა-მკუდარს** (იქვე, 165, 14), **თომა-წმიდას** (იქვე, 205, 30), **სერგის-წმიდას** (ამონ. 204, 4), **ათქალაქს** (მრ. 5, 20 C), რადგანაც აქ ეს სიტყვები უკვე საკუთარ (გეოგრაფიულ) სახელებად არის ქცეული; ხოლო გეოგრაფიული სახელები, როგორც წესი, მიცემითში მხოლოდ სანითაა წარმოდგენილი. მაგრამ გეოგრაფიული სახელების შესახებ ქვემოთ.

3. მიცემითი დროის გარემოებად

დროის გარემოების გამოხატვაც მიცემითს თავიდანვე ჰქონდა დაკისრებული. ეს ფუნქცია მან დღემდისაც შეინარჩუნა. ძველ ქართულში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი დროის ზმნიზედები და დროის აღმნიშვნელი სხვა ლექსიკური ერთეულები, რომელნიც მიცემითი ბრუნვის **ს** ნიშნით არიან გაფორმებული. ასეთებია:

1. დღეს: წარვედ **დღეს** და იქმოდე ვენაკსა ჩემსა, მ. 21, 28; ვიხილეთ უდიდესი დიდებაჲ **დღეს**, ლ. 5, 26; **დღეს** სახლსა შინა შენსა ჯერარს ჩემი ყოფაჲ, ლ. 19, 5.

ასეთია აგრეთვე კომპოზიტი **დღეს-დღე**:

2. დღეს-დღე: და დაუმარხე მას წყალობაჲ ესე დიდი მიცემად ძესა მისსა დასუმად საყდართა მისთა ვითარცა-ესე **დღეს-დღე**[1], 3 მეფ. 3, 19; და ჴელითა შენითა აღასრულე, ვითარცა-ესე **დღეს-დღე**, იქვე, 8, 22; და დაცვად სამართალთა მისთა ვითარცა-ესე **დღეს-დღე**[1], იქვე, 8, 62.

3. შუა-ღამეს: **შუა-ღამეს** ოდენ ღაღადებაჲ იყო, მ. 25, 6 E; ვის თქუენგანსა ესუას მეგობარი და მივიდეს მისა **შუა-ღამეს** და ჰრქუას მას, ლ. 11, 5; ჩუენებაჲ იხილეს... **შუა-ღამეს** ოდენ, ხანძთ. 128, 30.

4. რასჟამს, რაჲჟამს, რაჟამს: **რაჟამს** ჰპოოთ, მითხართ მე, მ. 2, 8; **რაჟამს** გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიიცლტოდეთ სხუად, მ. 10, 23; **რაჟამს** ყურთა გესმეს, ქადაგებდით მას ერდოებსა ზედა, მ. 10, 27 C; **რაჲჟამს** განჰმზადენ ცანი სადგურად, ჟიღ-ეტრ. 220 v.

რაჟამს ფორმის პირველი სათავე უნდა იყოს **რასჟამს**, რაც არის კიდეც აქა-იქ დაცული: **რასჟამს** დაასრულეს ბასრობაჲ იგი მის ზედა, განჰძარცუეს ძოწეული იგი და შეჰმოსეს მას სამოსელი თჳსი, მრ. 15, 20 C. რაც შეეხება ფორმას **რაჲჟამს**, იგი უნდა წარმოადგენდეს ხ-ს დასუსტებისა და გაქრობის გარდამავალ საფეხურს[2].

აქვე შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე ისეთი გამოთქმები, რომლებშიც ჟამ შედის და დროის გარემოებას გამოხატავს, მაგალითად: აღდგა და ილოცვიდა **ცხრაჲ-ჟამს**, უდაბნ. 26 vგ. აქ ხ-ს დასუსტებისა და გაქრობის პირველი საფეხურია მოცემული. გვხვდება ისეთი მაგალითებიც, სადაც ამ პროცესის მეორე, უკანასკნელი საფეხურია ასახული, ე. ი. ხ სულ დაკარგულია: პეტრე და იოვანე აღვიდოდეს ტაძარსა მას ჟამსა ოდენ ლოცვისასა, **ცხრა-ჟამს**, მოც. 3, 1; ნ. კ. იქვე, 10, 9. ეს სიტყვა იქვე ვარიანტში ჲ-ინი ფორმითაცაა წარმოდგენილი: **ცხრაჲ-ჟამს**. სამაგიეროდ, სხვა შემთხვევაში მსაზღვრელის ფორმაც გამარტივებულად არის მოცემული: მოვიდა **სამ-ჟამს** ოდენ, მ. 20, 3 C; ლიტ. ურთ. 123, 24.

5. მეყს: განრისხნა მეფემ მეყს და მოუწოდა ქურუმთა მათ მისთა და ჰრქუა მათ, დანიელ 14, 7; და **მეყს** აღდგა მეფემ იგი სიხარულით, მოქც. 37, 22; და **მეყს** მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი და მოიღო სეტყუაჲ ლიტრისა სწორი, მოქც. (ისტ. ქრესტ. 273, 8).

---

[1] ხელნ.: დღეს-დღემ.

[2] ა. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი: 1925, გვ. 65—68.

ხშირად იხმარება ამ მნიშვნელობით აგრეთვე ამ სიტყვის ნათესაობითის ფორმა მარტივიცა და გავრცობილიც (მყის, მყისა შინა), რომელთაც ქვემოთ თავ-თავის ადგილას განვიხილავთ.

6. წუსწუთ: რამეთუ ფარისეველთა და ყოველთა ჰურიათა წუსწუთ თუ არა დაიბანნიან ჴელნი, არა ჭამიან პური, მრ. 7, 3 C; რამეთუ წუსწუთ მოვიდიან მისა, უდაბნ. 25 va; არცა გაჩოვიდის (მონასტრით) და არცა იხილის ვინ წუსწუთ, იქვე; ეტყჳნ მათ წუსწუთ, იქვე, 26 rb.

წუსწუთ ფუძეგაორკეცებული სიტყვა უნდა იყოს და ამას უნდა უდრიდეს: წუთს-წუთს. შემდეგში წყვილი თს კომპლექსიდან პირველში თ. დაიკარგა, მეორეში -ს და მივიღეთ წუსწუთ. მისი მნიშვნელობაც ამას ამართლებს: ყოველ წუთში, ძალიან ხშირად. გვაქვს ერთგვარად გამარტივებული ფორმაც: წუთ-წუთ: წუთ-წუთ გარე-უკმოიხილის და იტყჳნ, წარტყ. 38, 20.

7. რიჟურაჟუს: და აღდგეს რიჟურაჟუს ოდენ განთიად და მიიწინეს ბანაკსა მას ასურთასა, 4 მეფ. 7, 5; და განთიად რიჟურაჟუს ოდენ ნიად აღდგა და გამოვიდა მიერ, მრ. 1, 35; და განთიად რიჟურაჟუს ოდენ გამოვიდის მისგან ორი ვარსკულავი, მოქც. 33, 2.

ეს სიტყვაც ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია „ტიკ-ტაკ"-ის ტიპისა: რიჟუ-რაჟუ. მიცემითის ნიშანი შენახული აქვს მთლიან კომპოზიტს. ყველა მაგალითს, რომლებიც ჩვენ აქ მოვიყვანეთ, ახლავს ნაწილაკი ოდენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რიჟურაჟუ ძალიან ადრე დილას აღნიშნავს, ოდნავ გათენებულს. ამიტომაა, რომ ერთ-ერთ მაგალითში ეს გარემოება სამი დახლოებით ერთი მნიშვნელობის სიტყვითაა ხაზგასმული: განთიად, რიჟურაჟუს და ნიად. ამ სიტყვის მემკვიდრეა დღევანდელი რიჟრაჟი, რომელსაც ორივე უმარცვლო უ დაუკარგავს.

8. შუა-სამხარს: და არნ ოდეს წარვიდის ყოველი იგი ერი შუა-სამხარს, შთავიდის სუსანა და იმოთხავნ სამოთხესა მას ქმრისა თჳსისასა, დანიელ 13, 7.

შუა-სამხარს „შუადღეს" აღნიშნავს. აქ უფრო მოსალოდნელი იყო ამ სიტყვის ნათესაობითის ფორმა სამხრის, რაც დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის. დროის გარემოების გამოხატვა ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი ძველი ფუნქცია უნდა იყოს. ამაზე ქვემოთ.

9. ცისკარს: შეწირეს მას ზედა საკუერთხი უფლისა ღმრთისა თჳსისა, ერთი ცისკარს და ერთი მწუხრი, 1 ეზრა, 3, 3; ხვალისაგან ცისკარს ოდენ მოიწია საულ, 1 მეფ. 11, 5; რომელმან პირველ ცისკარს გაკურთხა, სას. პოეზ. 46, 11; ხოლო ერთსა მას შაბათსა, ცისკარს მსთუად მოვიდეს საფლავსა მას, ლ. 24, 1 BL.

10. ქათმის-ყივილს: არა უწყით, ოდეს უფალი იგი სახლისაჲ მის მოვიდეს: მწუხრი, ანუ შუა-ღამეს, ანუ ქათმიხ-ყივილხ, ანუ განთიად, მრ. 13, 35 C.

11. დღე-საშუალს: და ეძინა მას სასუენებელსა შინა თჳსსა სიცხისა ჟამსა **დღე-საშუალს** ოდენ, 2 მეფ. 4, 5.

ეს „დღე-საშუალს“ იმავე ცნების აღსანიშნავად უნდა იხმარებოდეს, რომლისთვისაც გამოყენებული იყო ზემოთ ნაჩვენები „**შუა-სამხარს**“ და უფრო გავრცელებული „**შუა-სამხრის**“.

მოიძებნება კიდევ სხვა ცალკეული შემთხვევები, როცა მიცემითი ბრუნვა მხოლოდ **ს** დაბოლოებით იხმარება, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია, რომ აქედან შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: ა) არის ძველ ქართულში ერთი ჯგუფის რთული ზმნები, რომელთა სახელადი ნაწილი მიცემითს ბრუნვაში დგას და ეს მიცემითი მუდამ მარტივი **ს** ნიშნითაა წარმოდგენილი; ამნაირი ზმნები საკმაოდ ბევრია ძველ ქართულში, ამასთან ისინი ხშირ ხმარებაშია; ბ) ადგილის გარემოების გადმოსაცემად ძველი ქართული მიმართავს მიცემითს ბრუნვას; მიცემითშია დასმული ადგილის ზმნიზედები და საზოგადო არსებითი სახელები, რომლებიც ადგილს, შენობას, დაწესებულებას და მისთ. აღნიშნავენ; ყველა ამ შემთხვევაში მიცემითი მხოლოდ **ს** ნიშნითაა წარმოდგენილი; ამნაირი შემთხვევებიც ძალიან ხშირია ძველ ქართულში; გ) მიცემითის მარტივი **ს** ნიშნით გადმოიცემა აგრეთვე დროის გარემოება, იქნება იგი გამოხატული დროის ზმნიზედით (დღეს, მეყს, რაჟამს), თუ დროის აღმნიშვნელი არსებითი სახელით (ცისკარს). მაშასადამე, მარტივნიშნიანი მიცემითის არე არც ისე შეზღუდულია ძველ ქართულში, რომ მას სათანადო ყურადღება არ მივაქციოთ. ამიტომ ძველი ქართული ენის ბრუნებისა და ბრუნვათა ნიშნების განხილვისას მას ჯეროვანი ადგილი უნდა დაეთმოს.

ნათესაობითი ბრუნვა

როგორც აღნიშნული გვქონდა, მარტივი ბრუნვის ნიშნით გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება ნათესაობითი. ეს შეეხება როგორც სხვადასხვა რიგის შემთხვევებს, ისე მაგალითების სიმრავლეს თითოეულ რიგში. აღნიშნული შემთხვევები იმდენად ხშირია ძველ ქართულში და ისინი ისე მრავალი ფუნქციით გვხვდება, რომ, მსჯელობდა რა ნათესაობითი ბრუნვის ასეთ მარტივ **ის** დაბოლოებაზე, ფ. ცორელმა უკან არ დაიხია, **ის** დაბოლოებიანი ფორმა გამოყო ნათესაობითისაგან, იგი ცალკე ბრუნვად გამოაცხადა და „ის ბრუნვა“ (Is Kasus) უწოდა[1]. რა თქმა უნდა, აქ ნათესაობითისაგან განსხვავებულ სხვა ბრუნვაზე ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ ფ. ცორელის აზრი ბეტად დამახასიათებელია: **ის** ნიშნიანი შემთხვევები იმდენად ხშირია, რომ, ჩანს, არის ცთუნება, რომ იგი განიხილონ როგორც

[1] F. Zorell, Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung mit Textproben und Wörterverzeichnis, Roma, 1930, გვ. 101.

სხვა, დამოუკიდებელი ბრუნვა. ამიტომ ჩვენ ქვემოთ ამ შემთხვევებს უფრო ვრცლად მიმოვიხილავთ.

1. ნათესაობითი კომპოზიტებში

ყველაზე გავრცელებული შემთხვევა მარტივი (ის) ბრუნვის ნიშნის ხმარებისა არის კომპოზიტებში. ეს ისეთი კომპოზიტებია, რომელთა პირველი წევრი წარმოადგენს ნათესაობითში დასმულ არსებით სახელს; მეორე წევრი შეიძლება იყოს ნაირ-ნაირი სიტყვა. ამ ნაირ-ნაირი სიტყვების მიხედვით დავაჯგუფებთ ჩვენ ქვემოთ კომპოზიტების სხვადასხვა სახეს. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია არა ეს სახეები, არამედ ის საერთო თვისება, რაც მათ ერთნაირად ახასიათებთ. სახელდობრ ის გარემოება, რომ პირველი წევრი ყველა ამათ ნათესაობითი ბრუნვის მარტივი ნიშნით (ის) აქვთ წარმოდგენილი და რომ არ შეიძლება ამ „ის“-ის ნაცვლად ის-ა ვიხმაროთ. ესეც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ამგვარი კომპოზიტების ჩამოყალიბება წინ უსწრებს ჩვენებითი ნაცვალსახელის ნაწევრად ქცევის პროცესს, რომ ამ კომპოზიტების ფორმირებისას ენას ჯერ კიდევ არ მიაჩნდა საჭიროდ სახელის განსაზღვრის მიზნით ჩვენებითი ნაცვალსახელებისათვის მიემართა. ამ მხრივ ხსენებული ტიპის კომპოზიტები ერთობ ძველი ვითარების მაჩვენებელია.

აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი ყოველთვის წინაა მოქცეული, ის მჭიდროდაა დაკავშირებული მეორე (მომდევნო) სახელთან. მაგრამ თუ მან დატოვა ეს მისი პირველი ადგილი და ბოლოს მოექცა, იგი კარგავს ამ კავშირს, დგება განზე, დამოუკიდებელ სიტყვად იქცევა და ბრუნვის ნიშანსაც გავრცობილად წარმოგვიდგენს; ერთი სიტყვით; მაშინ ის აღარ არის კომპოზიტი და აღარც ამ ტიპის კომპოზიტისათვის დამახასიათებელი მარტივი ბრუნვის ნიშანი (ის) გააჩნია.

კომპოზიტის მეორე წევრად, როგორც ვთქვით, შეიძლება იყოს ნაირ-ნაირი სიტყვა. აქ ჩვენ პირველად განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა ასეთ წევრად არსებითი სახელი გვევლინება. მაშასადამე, ამ ტიპის კომპოზიტებში ორი არსებითი სახელი გვექნება, ამათგან პირველი, მსაზღვრელი — ნათესაობითს ბრუნვაში დასმული, რომელსაც ბრუნვის ნიშნად აქვს მარტივი ის დაბოლოება, მაგალითად: **ყურის-ძირი.**

შინაარსის მიხედვით ყველა ამ ტიპის კომპოზიტი ერთნაირი არ არის. ზოგ მათგანში თითოეულ შემადგენელ სახელს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს თავ-თავისი მნიშვნელობა (**ძაღლის-მწერი, ძის-წული, ყურის-ძირი**), ზოგში თითოეული მათგანის დამოუკიდებელი მნიშვნელობა მიმქრალი და მილეულია და წინ არის წამოწეული ახალი მნიშვნელობა, რომელიც ორივე შემადგენელი ნაწილის საერთო საფუძველზეა აღმოცენებული და დამყარებული (**ზეთის-ხილი, ცის-კარი, თავის-უფალი**), ზოგში კიდევ სრულებით არა ჩანს პირვანდელი სიტყვების მნიშვნელობა და მხოლოდ ახალი შინა-

არსია ერთადერთი ხელშესახები სემანტიკური ოდენობა (დანაკის-კუდი, კუროგის-თავი). ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ ამნაირი კომპოზიტების მართლწერა ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დადგენილი და ყველასათვის სავალდებულოდ ქცეული[1]. ამ საკითხის დაწვრილებითს განხილვაში აქ ახლა ჩვენ ვერ შევალთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენი მიზნისათვის ჩვენ უფრო მოხერხებულად გვეჩვენება ისინი პირობით დეფისით წარმოვადგინოთ.

ბოლოს ერთსაც შევნიშნავთ: შესაძლებელია ბევრი აქ წარმოდგენილ მაგალითთაგანი საეჭვო იყოს და არ წარმოადგენდეს ნამდვილ კომპოზიტს. მაგრამ ამას არც ჩვენ დავიჟინებთ. აქ მთავარია ის გარემოება, რომ ეს სიტყვები კომპოზიტებსავით არის აგებული, მსაზღვრელი სახელი წინაა მოქცეული და მას ყოველთვის მარტივი ნიშანი აქვს. აქ ჩვენთვის ესაა მთავარი.

ხსენებული ტიპის კომპოზიტები ჩვენს ენაში, ძველშიც და ახალშიც, ერთობ ბევრია. რასაკვირველია, ჩვენ აქ არა გვაქვს განზრახული მათი სრული სია წარმოვადგინოთ; ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ნაწილს უფრო გავრცელებული და ძველი ქართულისათვის უფრო დამახასიათებელი მაგალითებისას.

ა) კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი არსებითი სახელია

1. ათასის-თავი: მაშინ განრისხნა სავლე და აღაზრზინა **ათასის-თავიცა** იგი, ისტ. ქრესტ. 292, 14; კრებულმან მან და **ათასის-თავმან** და მსახურთა ჰურიათამან შეიპყრეს იესუ, ი. 18, 12.
2. ალის-წუერი: ენაჲ მისი (ვეშაპისაჲ) იყო ვითარცა სისხლი, წამწამნი თუალთა მისთანი—ვითარცა **ალის-წუერი**, Опис. 125, 6.
3. ასის-თავი: მოუკდა მას **ასის-თავი** ერთი, მ. 8, 5; მიავლინნა **ასის-თავმან** მან მისა მეგობარნი, ლ. 7, 6; ჰრქუა იესუ **ასის-თავსა** მას, მ. 8, 13;
4. ახლის-პიროვანი, ახლის-პირით-გუემული: უფალო, შეიწყალე ძჳ ჩემი, რამეთუ **ახლის-პიროვან** არს და ძჯრ-ძჯრად იგუემების. მ. 17, 15 C; და მოჰგურიდეს მას ყოველთა... **ახლის-პირით გუემულთა**, და განკურნნა იგინი, მ. 4, 24.
5. ბადის-პირი: აჰა შებმა-მიყოფია მუკლთა არა ვითარცა **ბადის-პირი**, ვითარმცა განწყდა, არამედ შებმა-მიყოფია ფერჯთა ქრისტჱსთა, იპოლ. 25, 37.
6. ბეჭდის-თუალი: რომელი განოსწერნ და გამოჰქანდაკებნ წერილთა მათ **ბეჭდის-თუალებისა** ხატად, ზირაქ 38, 28.

---

[1] ეს ჩვენი განცხადება არანაკლებად ეხება აგრეთვე ახალი ქართულის ამ ტიპის კომპოზიტებსაც, რომელთაც დროა საპირო ყურადღება მიექცეს და მათი მართლწერის საქმე მოგვარდეს.

7. დანაკის-კუდი: სადა-იგი არს ათორმეტი წყაროჲ და სამეოც და ათი **დანაკის-კუდი**, ვითარცა წიგნი იტყჳს. ხოლო დღეს **დანაკის-კუდი** მრავალ არს, ამონ. 205, 32; არარას ზრუნვიდეს განსასუენებელსა ამის სოფლისასა, არცა ღჳნოსა და არცა ზეთსა, არცა პურსა, არამედ მცირედ **დანაკის-კუდსა** და ხილსა განჴმელსა საჭმრად ჴორცთა, იქვე, 203, 30; მოიღეს რტოჲ **დანაკის-კუდთაგან**, ი. 12, 13.

8. დედაზარდლის-ქსელი: და უმკჳდრო იყვნენ სახლნი მათნი, **დედაზარდლის-ქსელ** იყვნენ სახლნი მათნი, იობ 8, 14.

9. დედის-დედა: **დედის-დედისა** შენისა ლუდეს თანა, 2 ტიმ. 1, 5.

10. დედის-ძმა: და იყო მთავარი იგი **დედის-ძმაჲ** ნანაჲსი, მოქც. (ისტ. ქრესტ. 274, 25); წარმოჰვლინა ...სტეფანოზ, ძჱ გურგენისი, დისწული ნერსჱსი, ნაცეალად **დედის-ძმისა** თჳსისა ნერსჱსა, აბო 188, 14.

11. დის-წული, დის-წულაკი: და კუალად თევდორე, **დის-წული** მისი მწიგნობარი, დაბერდა საქმითა კეთილითა, კიმ. I, 16, 31; და მანცა **დის-წული** თჳსი მოკლა, ლიტ. ურთ. 181, 21; და აჰა მე განკეთებულ, **დის-წულო** ჩემო, იპოლ. 18, 5; ჟურჭერ დაკრძალულ ჩემდა, **დის-წულაკი** იგი ჩემი, იპოლ. 11, 5.

12. დოლის-ყანა (გეოგრ.): ხოლო **დოლის-ყანაჲ** მონასტრად უკუანაჲს იქცნა, ხანძთ. 120, 16.

13. ეგრის-წყალი (გეოგრ.): საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და **ეგრის-წყალი** და სომაითი და მთაჲ ცროლისაჲ და წარვიდა, მოქც. (ისტ. ქრესტ. 268, 1).

14. ერგასის-თავი: და მიავლინა ოქოზია ელიაჲსა **ერგასის-თავი** და ერგასისნი იგი კაცნი მის თანა, 3 მეფ. 1, 9.

15. ერის-თავი: და იქმნა იგი **ერის-თავ** სომაითისა ქუეყანასა, კიმ. I, 16, 36; ცხონდებოდა იგი ნერსე **ერის-თჳსა** თანა, აბო 185, 21; ჰრქუა იესუ მოსრულთა მათ მის ზედა მღდელთ-მოძღუართა და **ერის-თავთა** ტაძრისათა, ლ. 22, 52.

აქედანაა ნაწარმოები ერის-თავობა: **ერის-თავობასა** სუმბატისსა, ძასა დავით ჱამფლისასა, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 266, 32).

16. ერის-კაცი: არცა მსოფლიონი **ერის-კაცნი** ახლჳდეს ახლად შენებისათჳს მათ ქუეყანათაჲსა, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 242, 36); მეცა კაცი ვარ ჴელმწიფებასა ქუეშე განწესებულ და მქონან ჩემ ქუეშე **ერის-კაცნი**, ლ. 7, 8 L (ქსნის ოთხთ.); ემღერდეს მას **ერის-კაცნიცა** იგი, ლ. 23, 36 L.

ოთხთავის სხვა ხელნაწერებში (BCDE და სხვ.) ამ კომპოზიტის პირველი ნაწილი გავრცობილი ბრუნვის ნიშნითაა მოცემული (ერისა კაცი), რაც, უეჭველია, მერმინდელი ამბავია. აქ დავუმატებ იმასაც, რომ „ერისა კაცი“ ოთხთავში მხოლოდ ერთი მნიშვნელობით იხმარება, იგი „ჯარისკაცს“ აღნიშნავს.

17. ერის-მთავარ-ი: იყო ჟამი, ოდეს **ერის-მთავარი** იგი ქართლისაჲ, სახელით ნერსე, ძე ადრნესე კურაპალატისა და **ერის-მთავრისაჲ**, მიწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა, აბო 184, 18.

18. ეტლის-თუალ-ი: აჰა ესერა **ეტლის-თუალი** ერთი ქუეყანასა მახლობელად ცხოვართა მათ ოთხთა; და ხილვაჲ მათ **ეტლის-თუალთაჲ** ვითარცა ხილვაჲ თარშისაჲ, ეზეკ. 1, 15; და ქმნულებაჲ მათი და ხილვაჲ მათი სწორ, ვითარმცა იყო **ეტლის-თუალი ეტლის-თუალსა** შინა, იქვე, 1, 16; და შეუკრა **ეტლის-თუალები** იგი მათი, გამოსლ. 14, 25 ლაგ.

19. ველის-პირი: წარვიდეს იგინი **ველის-პირადვე**, კიმ. II, 168, 14; ორნი ძმანი ვინმე იყვნეს ჴორციელად **ველის-პირისანი**, დაბით ბურირელნი, იქვე, 208, 27; და მკჳდრნი მათნი. მოწყჳდნეს მახჳლითა და **ველის-პირთა** დასხნეს ავაზაკნი, რაჲთა განჰკუეთდენ გზათა მოგზაურთასა, პარხ. 840 ხ.

20. ველის-ყრდელი: მანანაჲ მოგცა თქუენ უდაბნოსა ზედა და თქუენ **ველის-ყრდელსა** გული-გითქუმიდა ჭამად, PO, 62, 15; არღარა **ველის-ყრდელსა** ჰურიაებრსა ეჭამთ, არამედ თაფლსა მადლისასა შთავსთქამთ, პარხ. 84 a.

21. ველცხლის-ჰურჰელი: მიეც სხუაჲ რაჲმე, ანუ **ველცხლის-ჰურჰელი**, ანუ სამოსელი, რაჲთა არა წარვიდეს ეგე ცარიელი, კიმ. I, 128, 25.

22. ზაფხულის-პირი: და იყო დღესა ერთსა **ზაფხულის-პირსა**, თუესა იელისსა, მოქც. 16, 7; და კუალად მიემსგავსის ყუავილთა **ზაფხულის-პირისათა**, პარხ. 759 a.

23. ზეთის-ხილ-ი: ხესა **ზეთის-ხილისასა**, ანგეა 2, 19; (ვიბილენ) ორნი **ზეთის-ხილნი** მას ზედა, ზაქარ. 4, 3; მოვიდეს ...მთასა მას **ზეთის-ხილთასა**, მ. 21, 1.

24. ზურგის-ძუალ-ი: დაიჴსნიან მძიენი **ზურგის-ძუალთა** მათთანი, მამ. სწავ. 147.

25. ზღუს-კიდე: დაჴდა იგი **ზღუს-კიდესა**, მ. 13, 1; ხოლო იესუ მოწაფითურთ განეშორა მათგან და მივიდა **ზღუს-კიდედ**, მრ. 3, 7.

26. ზღუს-პირ-ი: და დავაჲთ წარმოჰველის **ზღუს-პირსა** და მოვალს ჰინდოეთად დიდად, ეტ. II, 128, 9: წყალი იგი რომაჲსაჲ და **ზღუს-პირადმდე** სალინოჲსა, იქვე, 25,4.

27. ზღუს-ქალ-ი: ესაია წინაწარმეტყუელმან თქუა: მუნ **ზღუს-ქალნი** და დევნი როკვიდენ. სახის-მეტყუელმან თქუა **ზღუს-ქალთაჲ**, ვითარმედ სიკუდილისა შემამთხუეველ არიან კაცისა, სახისმეტ. (ისტ. ქრესტ. 283, 11).

28. თავის-უფალ-ი: აწ უკუე **თავის-უფალ** სამე არიან შვილნი, მ. 17, 26; ჰეშმარიტად **თავის-უფალნი** იყვნეთ, ი. 8, 36. აქედან: **თავის-უფლება**.

29. თთჳს-თავ-ი: რამეთუ რვით დღით წინა **თთჳს-თავითგან** იანვარისაჲთ, თთუესა დეკენბერსა ოც და ხუთსა იშვა ქრისტე მარიამისგან ქალწულისა, მრავ. 305, 24.

30. ისრის-პირი: **ისრის-პირნი** მისნი თუალთა ჩემთა განმწორნა, იობ 16, 11; და იგინი იყვნეს ვითარცა **ისრის-პირნი**, ფსალმ. 54, 26.

31. კალოჲს-ჴური: აჰა ეგერა არიან ჴარნი ეგე მსხუერპლად... და ყოველივე **კალოჲს-ჴური** შეშად მრგულიად-დასაწუველთა მათთჳს, 2 მეფ. 24, 22.

32. კეცის-ჴური: გამოართუეს მას ...ათი **კეცის-ჴური**, 2 მეფ. 17, 28; გონებაჲ სულელისაჲ ვითარცა **კეცის-ჴური** შემუსრვილი, ზირაქ 21, 37.

33. კეცის-ჴურჴელი: მეკეცემან რაჟამს ქმნის **კეცის-ჴურჴელი**, მამ. სწავ. (A) 387.

34. კლდის-პირი: რომელსა ჰრქჳან **კლდის-პირ**, თუალთ. 64, 24; და დავით დგა **კლდის-პირსა** მას თანა, 2 მეფ. 23, 14.

35. კუერცხის-გული: და ესე არს სახჱ მიწისაჲ მის ქუეყანისაჲ: მწუანე და მჭიე, ყჳთელი და **კუერცხის-გული** შავი და თეთრი და ცისფერი, ლიტ. ურთ. 58, 19.

36. კუროჲს-თავი: ყოველი ეკალი და **კუროჲს-თავი** და ყოველი ღუარძლი წვალებისაჲ აღმოჰფხურან, კიმ. I, 79, 8; ნუუკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი, ანუ **კუროჲს-თავთაგან** ლეღჳ, მ. 7, 16.

37. ლახურის-პირი: და **ლახურის-პირსა** მისსა ექუსას სიკლა რკინისაჲ, 1 მეფ. 17, 7.

38. ლეღჳს-კუერი: იდვა მუნ ორას ჴუეზა პურის, ჴმირ ერთ სკიჲ, ორას **ლეღჳს-კუერ** და მარ ერთ ღჳნო, 2 მეფ. 16, 1; მოიღო... ორი **ლეღჳს-კუერი**, 1 მეფ. 25, 17.

39. ლომის-ლეკჳ: ბრძოლა-ყვაე ზღუასა შინა და ჴმელსა შეკრულმან ათთა მიმართ **ლომის-ლეკუთა** მძუინვარეთა, ი. ჯავ. აღწ. 172, 13.

40. მამის-დედა: და იყო ლეონილაჲცა, **მამის-დედაჲ** იგი მათი, სამკურნალოსა ჴელოვანთასა სწავლულ და სიმიაჲთ-მწერალ, Записки, ტ. 17, 5, 1.

41. მამის-ძმა: იგი თავადი არს ნიკოდემოზ, **მამის-ძმაჲ** ჩემი, ისტ. ქრესტ. 296, 18; უკუეთუ არა ესხნეს მას ძმა, მისცეთ **მამის-ძმასა** მისსა, რიცხ. 27, 10.

42. მანქნის-საბელი: უადვილეს არს **მანქნის-საბელი** ჴურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა, იერ. განჩ. 316 (=მრ. 10, 25).

43. მდინარის-კიდე: გამოვედით ჩუენ გარეშე ქალაქსა მას, **მდინარის-კიდესა**, მოც. 16, 13; გამოვალს წყალთა მათ **მდინარის-კიდედ**, გამოსლვ. 8, 20 ლაგ.

44. მდოგჳს-მარცუალი: გაქუნდეს თუ სარწმუნოებაჲ **მდოგჳს-მარცუალ** ოდენ, მ. 17, 20 C.

45. მჯის-თუალი: ტრედი ერთი სპეტაკი გარდამოფრინვიდა და მოაქუნდა გჳრგჳნი ბრწყინვალე ვითარცა **მჯის-თუალი**, ისტ. ქრესტ.

292, 30; რომელმანაც მისცა ქმნულსა თჳსსა, **მზის-თუალსა** ამას, ესეეითარი ბრწყინვალებაჲ, ხანძთ. 154, 44.

46. მ ზ ი ს - ქ ა ლ ა ქ ი: მას ჟამსა მოიწია ჴელმწიფჱ ვინმე ერთი ქალაქსა ბალბაქს, რომელ არს **მზის-ქალაქ**, კიმ. II, 8, 11; და მისცა მას ასენექ, ასული პეტეფრესი, მღდელისა მის **მზის-ქალაქისაჲ**, მისა ცოლად, დაბ. 41, 45.

47. მ კ უ რ ი ს - კ ე ვ ი: ნუუკუე **მკურის-კევი** არა არს გალაადს, იერ. 8, 22; აქლემნი მათნი საესე იყვნეს საკუმეველითა და შთახსითა და **მკურის-კევითა** და შთავიდოდეს ეგჳპტედ, დაბ. 37, 25.

48. მ ო წ ა ფ ი ს - მ ო წ ა ფ ე: ჴეშმარიტად თხრობილი მოწაფეთაგან და **მოწაფის-მოწაფეთაგან**, ხანძთ. 99, 18.

49. მ უ ჴ ლ ი ს - თ ა ვ ი: მუნქუესვე სარცხჳნელნი მისნი განუსივნეს და მიიწივნეს ვიდრე **მუჴლის-თავადმდე** მისა, კიმ. I, 298, 7; წარჰვარდა **მუჴლის-თავითგან** ფერჴი, კიმ. I, 149, 8.

50. მ შ ჯ ლ დ ი ს - ს ა ბ ე ლ ი: და უბრძანა შეკრვაჲ მისი **მშჯლდის-საბლითა** და ტანჯვაჲ მისი ტაჯგანაგითა, კიმ. I, 167, 27.

51. მ ჴ ე ც ი ს - ბ უ ნ ე ბ ა: რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, **მჴეცის-ბუნება**, სისხლის-მჭამელ, აბო 186, 13 (ნ. კ. მჴეცთბუნება).

52. ნ ა ვ ი ს - უ ფ ა ლ ი: ხოლო ასის-თავი იგი **ნავის-უფალსა** და მენავეთმოძღუარსა ერჩდა, მოც. 27, 11.

53. ნ ა თ ლ ი ს - მ ა მ ა: და ყრმანი იგი ქრისტეანენი ექმნნეს მათ **ნათლის-მამა**, ლიტ. ურთ. 185, 16.

54. პ ი ლ ე ნ ძ ი ს - გ ე ს ლ ი: მსგავს არს სიმწუანითა **პილენძის-გესლსა**, თუალთ. 41, 21.

55. პ ი ლ ო ჲ ს - ძ უ ა ლ ი, პ ი ლ ო ჲ ს - ძ უ ა ლ ე დ ი: თუალი იგი არს... ყოვლად გარემო სპეტაკ, ვითარცა **პილოჲს-ძუალი**, თუალთ. 19, 5; ქმნა მეფემან სოლომონ საყდარი **პილოჲს-ძუალისაჲ** დიდი, 3 მეფ. 10, 18; რომელთა სძინავს ცხედართა ზედა **პილოჲს-ძუალედთა**, ამოს 6, 4.

56. პ უ რ ი ს - მ ტ ე: დასხით კაცები ეგე **პურის-მტედ-პურის-მტედ** ერგასისეული, ლ. 9, 14; და შენ **პურის-მტჱ** იყო ტაბლასა ჩემსა მარადის, 2 მეფ. 9, 7.

57. რ უ ჲ ს - თ ა ვ ი: მოვიდა ბარბაროზი ვინმე ნათესავი ადგილთაგან **რუჲს-თავისათა**, ლიტ. ქრესტ. 166, 4.

58. ს ა ნ თ ლ ი ს - პ ი რ ი: რომელნი შთაასხმენ და აღმოჰყოფენ **სანთლის-პირთა** მათ ოქროჲსათა, ზაქარ. 4, 12.

59. ს ა ხ ლ ი ს - წ უ ლ ი: რამეთუ არა მეც თესლი, ამან **სახლის-წულმან** ჩემმან დამიმკჳდროს მე, დაბ. 15, 3; ხოლო ძჱ მასეკისი, **სახლის-წულისა** ჩემისაჲ, ესე დამასკელი ელიეზერ, დაბ. 15, 2.

60. ს ე ფ ი ს - კ უ ე რ ი: აღვიხუენ ორნი **სეფის-კუერნი**, რაჲთა მიესცნე მას... შემინდვე მე, უფალო, და მიიხუენ ესე ორნი **სეფის-კუერნი** ეულოგიად შენ თანა, კიმ. I, 209, 20,

61. სუეტის-თავი: სიმაღლე სუეტის-თავისა მის ერთისაჲ ოთხ წყართა, იერ. 52, 22; ზედა ორთა მათ სუეტის-თავთა, 3 მეფ. 7, 41.

62. ტბის-ყურძენი: და თუ ვინმე ტბის-ყურძენი ჴამოს და ცბინ სიმწარითა მისითა, ასჯან მკურნალთა ნალესავისა[1] მისგან და განიკურნნიან, თუალთ. 8, 13.

63. უბნის-კარი: არა დავაგჳრგჳნნეთ უბნის-კარნი ჩუენნი, არა მიუპყრნეთ სასმენელნი ჩუენნი ფანდურთა განცხრომასა და სტჯრისა ჴმატკბილობასა, მამ. სწავ. 295.

64. ურმის-თუალი: ცაჲ და ქუეყანაჲ ყოველი, ვითარცა წისქჳლი და ვითარცა ურმის-თუალი წინაშე თუალთა მისთა, ეგრეთვე ექცევის, ისტ. ქრესტ. 303, 24.

65. უფლის-ციხე (გეოგრ.): რომელმან კასპი შეიპყრა და უფლის-ციხე განაგო, მოქც. 49, 24; იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი... და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისაჲ, უფლის-ციხე, კასპისა, ურბნისისა და ოძრჴისა, მოქც. (ისტ. ქრესტ. 267, 18).

66. ფეტჳს-მარცუალი: ვითარცა ვინ მიუპყრის მზის-თუალისა მინის-ფერად, ვითარცა ფეტჳს-მარცუალი, თუალთ. 20, 21.

67. ქმრის-ცოლი: უკუეთუ დედაკაცსა, ქმრის-ცოლსა, არა აქუს ჴელმწიფებაჲ ჴორცთა მისთა ზედა, არამედ ქმარსა მისსა, მამ. სწავ. 94

68. ღჳნის-მნე: და ვიყავ მე ღჳნის-მნე მეფისა მის, ნეემია 1, 10; შესცოდა მთავარმან ღჳნის-მნემან მეფესა, დაბ. 40, 1.

69. ღჳძლის-ყური: ორნი თირკუმელნი და ცმელი იგი მათ ზედა, რომელ არს ბარკალთაჲ, და ღჳძლის-ყურნი იგი თირკუმლითურთ მოჰჴადოს, ლევიტ. 3, 10.

70. ყველის-ციხე (გეოგრ.): და რაჟამს გამოჰყვანდეს პყრობილნი იგი, რომელ გამოიყვანნეს ყველის-ციხით[2], ლიტ. ქრესტ. 83, 36.

71. ყურის-ძირი: ვითარცა სახედ გამოსტაცის მწყემსმან პირისაგან ლომისა ორნი კირნი ანუ ყურის-ძირი, ეგრე გამოიცნენ ძენი ისრაჱლისანი, ამოს 3, 12; მოიღო მოსე სისხლისაგან მისისა და სცხო ყურის-ძირსა მარჯუენესა აჰრონისსა, ლევიტ. 8, 23.

72. ყურძნის-ჭრელოვა: ვეძიებდ მას ვითარცა ჟამსა ყურძნის-ჭრელოვასა, ზირაქ 51, 19.

73. შაბათის-გზა: რომელი არს მახლობელ იერუსალჱმსა შაბათის-გზა ოდენ, მოც. 1, 12.

74. შვილის-შვილი: სახიერმან კაცმან დაიმკჳდრნის შვილის-შვილნი, იგავ. 13, 23; ხოლო შვილის-შვილნი, რომელნი გესხნენ შენ შემდგომად მაგათსა, იყვნენ სახელითა ძმათა მათთაჲთა, დაბ. 48, 6.

---

[1] გამოც.: ნალესავი.

[2] გამოც.: ყველის-ციხით.

75. შ უ რ დ ლ ი ს - ქ ვ ა: მიაელინნა **შურდლის-ქვანი** და განაბნინა იგინი, 2 მეფ. 22, 15.

76. ც ი ს - კ ა რ ი: და ვითარცა **ცის-კარი** აღეღებოდა, მცირედ მიერულა დათა მათ ჩემთა, მოქც. (ისტ. ქრესტ. 278, 10).

77. ც ი ს - კ ი დ ე: ქრისტჱ არს მჴსნელი ყოველთა **ცის-კიდეთაჲ**, კიმ. I, 144, 26; განანათლენ ყოველნი **ცის-კიდენი**, სას. პოეზ. 202, 37.

78. ც ი ს - ს ა რ ტ უ ე ლ ი: და იყო თავსა მისსა ჯუარი თუალთ-შეუდგამი გარემო მისა **ცის-სარტუელის** სახედ, ხანძთ. 145, 16.

79. ც ი ხ ი ს - თ ა ვ ი: გიწესს შენ **ციხის-თავი**, ევსტ. 161, 8; მოუწოდა ნეტარმან მან **ციხის-თავსა** მას, კიმ. I, 94, 30.

80. ც ო ლ ი ს - დ ა: და მისცა მას ცოლად **ცოლის-დაჲ** თჳსი, 3 მეფ. 11, 19.

81. ც ხ ე ნ ი ს - ფ ა ფ ა რ ი: ხოლო საზრდელი კაცთა მათ არს: ზაფხულს ნაყოფი ხეთაჲ და თაფლი ველური, რომელ არს **ცხენის-ფაფარ**, ეტ. II, 127, 21.

82. ძ ა ღ ლ ი ს - თ ა ვ ი: უცხო-თესლთა ნათესავი და **ძაღლის-თავი** იყო იგი, პარხ. 801 b; კუალად მუნითგან არიან ქრისტიანენიცა და წარმართნიცა და **ძაღლის-თავნი** და ერთ-თუალნი, ეტ. II, 128, 11.

83. ძ ა ღ ლ ი ს - მ წ ე რ ი: აჰა ეგერა მე მოვავლინო შენ ზედა... **ძაღლის-მწერი**, გამოსლვ. 8, 21; მიაელინა მათა **ძაღლის-მწერი**, ფსალმ. 77, 52.

84. ძ ი ს - ც ო ლ ი: განევთას... დედამთილი **ძის-ცოლისაგან** თჳსისა და **ძის-ცოლი** დედამთილისაგან, ლ. 12, 53.

85. ძ ი ს - წ უ ლ ი: წარვედ და ეტყოდე შენ ძეთა იონადაბისთა, **ძის-წულთა** რექაბისთა, კიმ. I, 53, 12.

86. ძ მ ი ს - ც ო ლ ი: არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა ცოლად გესუა შენ **ძმის-ცოლი** შენი, მრ. 6, 18; მერმე მიავლინა ჯოჯიკ, ძმაჲ თჳსი, და ცოლი ჯოჯიკისი, **ძმის-ცოლი** თჳსი, შუშ. 149, 9.

87. ძ მ ი ს - წ უ ლ ი: გრიგოლ... აღზრდილ იყო ჴელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა ნერსეს ცოლისაჲთა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა **ძმის-წული** მისი, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 236, 23).

88. ძ უ ძ უ ჲ ს - მ ტ ე: ხოლო პიტიახშმან გამოარჩია **ძუძუჲს-მტჱ** მისი საკუთარი, რაჲთა მოიყვანოს იგი ტაძრად, შუშ. 155, 24.

89. წ ი გ ნ ი ს - ტ უ ა ვ ი: ფილონი, რომელ დაუტევე ტროადას კარპოსის თანა, მო-რაჲ-ხჳდოდი, მოიღე, და წიგნებიცა იგი, უფროჲსღა **წიგნის-ტუავებისაჲ**, 2 ტიმ. 4, 13.

90. წ უ ა რ ო ჲ ს - თ ა ვ ი: არა კუალად იქცეს წყაროჲ **წყაროჲს-თავადვე**, ბამ. სწავ. 370.

„წყაროჲს-თავი“ ცნობილი გეოგრაფიული სახელიცაა, რომელიც გიორგი მერჩულის თხზულებაში გვხვდება:

(მოიწინეს) მოწაფენი მისნი, ნეტარნი ილარიონ, მამაჲ და მაშჳნებელი **წყაროჲს-თავისაჲ**... და მამაჲ ზაქარია, ხანძთ. 120, 30.

91. წ ყ ლ ი ს - კ ი დ ე: და ვითარცა ნაძუნი **წყლის-კიდესა**, რიცხ. 24, 6.

92. ხვალის-დღე: **ხვალის-დღე** აღვედით კიდესა მას ზედა, მოქც. 35, 14; აჰა ესერა ვხედავ მე, რამეთუ კაცი ვინმე მდაბიოჲ მოვალს **ხვალის-დღე**, კიმ. I, 301, 15.

93. ჯამლის-საბელი: რომელსა-იგი ვერ ღირს ვარ განვსნად **ჯამლის-საბელთა** მისთა, მოც. 13, 25; სვან. 372 a; ვერ შემძლებელ ვართ **ჯამლის-საბელთა** მისთა აღკიდებად, სვან. 367 a.

94. ჰორლის-პირი: სასწორი **ჰორლის-პირისა** მისისაჲ იყო სამასის სიკლის პილენძის, 2 მეფ. 21, 16; თრთოლი ვითარცა მარილი დააცვის ქუეყანასა, და-ღა-ჰყინის და იქმნის იგი ვითარცა **ჰორლის-პირები**, ზირაქ 45, 11.

მაგალითები კმარა. როგორც უკვე აღნიშნული გექონდა, აქ მოყვანილი კომპოზიტების პირველი შემადგენელი ნაწილი არსებითი სახელია. ორიოდე გამონაკლისს შეადგენს სიტყვები: **ახლის-პირით გუემული** (ან: ახლის-პიროვანი), **ხვალის-დღე, ერგასის-თავი, ასის-თავი**, სადაც ეს წესი ირღვევა: **ახალი** ზედსართავი სახელია, **ხვალე**—ზმნიზედა, **ერგასი, ასი**—რიცხვითი სახელები. მაგრამ ამათი ფორმებიც სავსებით ისეთივეა, როგორც სხვებისა: ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელს მოსდევს საზღვრული, მსაზღვრელის ბრუნვის ნიშანი მარტივი **ის** არის.

ჩვენი კომპოზიტების მეორე შემადგენელი ნაწილიც ჩვეულებრივ არსებითი სახელია. მაგრამ იშვიათად აქაცაა დაშვებული გადახვევა: ზოგჯერ ეს სახელი წარმოშობით ან ამჟამადაც სხვა მეტყველების ნაწილია. ასეთია, მაგალითად, **შვილის-შვილი**, სადაც **შვილი** წარმოშობით მიმღეობაა[1], პურის-მტე, ძუძუძს-მტე და სხვა.

კომპოზიტების დიდ ჯგუფს ქმნის ისეთი სახელები, რომელთა მეორე წევრიც არის **პირი** და **თავი**, მაგალითად: ბადის-პირი, ველის-პირი, ზაფხულის-პირი, ზღუს-პირი, ისრის-პირი, კლდის-პირი, ლახურის-პირი, სანთლის-პირი, ჰორლის-პირი... ასის-თავი, ერგასის-თავი, ერის-თავი, თთუს-თავი, კუროჲძს-თავი, მუქლის-თავი, რუჲს-თავი (შემდეგ **რუსთავი**, აქედან: რუსთაველი — რუსთველი), სუეტის-თავი, ციხის-თავი, ძაღლის-თავი, წყაროჲძს-თავი (ქცეულია საკუთარ სახელადაც) და სხვა, ასეთია კიდევ **თუალი**: ბეჭდის-თუალი, ეტლის-თუალი, მზის-თუალი, ურმის-თუალი და სხვა.

აქ ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ შენიშვნა, რომელიც ზემოთ გაკვრით გავაკეთეთ: დღევანდელი ქართულის თვალსაზრისით შესაძლებელია გაჭირდეს ყველა აქ ჩამოთვლილი სახელის ნამდვილ კომპოზიტად მიჩნევა. ამაში ჩვენც არაფერი გვაქვს სადავო. ნათესაობით-ბრუნვიანი კომპოზიტების საკითხი ჩვენს ენაში მეტად რთული საკითხია, ის ჯერ კიდევ სრულიად დაუმუშავებელ უბანს წარმოადგენს და აქ ჩვენ, რასაკვირველია, მის დაწვრი-

[1] ვ-შევ, ჭ-შევ, შვ-ა პირიანი ფორმებია. შევ-ილ-ი — შვილი მიმღეობაა. ეს მიმღეობა გვხვდება შეუკუმშავი სახითაც: შევილი (მრ. 12, 19 D).

ლებითს განხილვაში ვერ შევალთ. ჩვენთვის აქ საკმარისია იმ გარემოებაზე მივუთითოთ, რომ ყველა აქ მოყვანილ ე. წ. კომპოზიტს პირველი სიტყვის ბრუნვის ნიშნად აქვს მხოლოდ და მხოლოდ მარტივი ის და არა რთული ის-ა. ესაა ამ კომპოზიტების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისება. ჩვენ აქ სწორედ ეს „ის“ ნიშანი გვაინტერესებს და ამ ნიშნის მიხედვით განვიხილავთ ამ კომპოზიტებსაც. შემდეგ, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ეს კომპოზიტები გადასმული სახით არ გვხვდება (ან იშვიათად გვხვდება). დასასრულ იმასაც ვუჩვენებთ, რომ კომპოზიტის შემადგენელი სიტყვების დაცილება და მათ შორის სხვა სიტყვის ჩართვა არ ხერხდება. ყველა ამიტომ ჩვენ ისინი პირობით კომპოზიტების სახელით გვაქვს მოხსენებული, თუმცა, ვიმეორებთ, ზოგი რამ აქ შეიძლება სადავო იყოს. აქ თქმული თანაბრად ეხება ქვემოთ განხილულ კომპოზიტებსაც და ამიტომ იქ ამ გარემოებაზე საგანგებოდ არ მივუთითებთ.

ზემოთ წარმოდგენილი ტიპის კომპოზიტების ერთობ დიდ ნაწილს მეორე შემადგენელ ნაწილად მოუდის სახელი ფერი. ისეთი სიტყვები, როგორიცაა: ი ი ს-ფ ე რ ი, მ ი წ ი ს-ფ ე რ ი, ნ ა ც ი ს-ფ ე რ ი და სხვა, უძველესი წარმოშობისაა. აღსანიშნავია, რომ ეს ფერი თვით „მწუანე“-საც კი ემატება ხოლმე და გვაქვს „მწუანის-ფერი“, რაც დღევანდელი ქართულისათვის უკვე მკვდარია: დღეს საკმარისია მხოლოდ „მწვანე“, რომ გარკვეულ ფერზე გვქონდეს წარმოდგენა. დავუმატებთ აქვე, რომ ზოგჯერ ძველ ქართულშიც გვხვდება მხოლოდ მწუანე და იგი აღარ საჭიროებს „ფერ“-ის დართვას, მაგრამ ამნაირი შემთხვევები იშვიათია.

„მწუანის-ფერის“ მაგალითიდან ჩანს, რომ ძველ ქართულში „ფერის“ დართვა გარკვეულ არსებითს სახელზე, რომლის ფერის აღნიშვნაც სურდათ, უფრო ხშირი იყო, ვიდრე დღეს გვაქვს. ეს გასაგებიცაა: პირველ ხანებში ფერს (განყენებულ ცნებას) კონკრეტული საგნის მოშველიებით აღნიშნავდნენ; შემდეგ და შემდეგ კი ეს კონკრეტული ცნებები თანდათან იცვლება აბსტრაქტული ცნებებით და სიცვალასიცა ფერებისათვის სხვა, ცალკე, დამოუკიდებელი სიტყვებია გამოყენებული. კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ—ასეთია ჩვეულებრივი გზა გრამატიკული ფორმების განვითარებისა და ჩვენ მიერ აღნიშნული შემთხვევაც ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს.

ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა, მარტო „მწვანის-ფერს“ არ ეხება, იგი ასევე დამახასიათებელია აგრეთვე სხვა ძირითადი ფერებისათვისაც. ძველი ქართულის ტექსტებში ხშირად გვხვდება „მწუანის-ფერის“ ყალიბით გაკეთებული სიტყვები, როგორიცაა სპეტაკის-ფერი, ლურჯის-ფერი და სხვა.

ახლა შეიძლება ჩამოვთვალოთ აქ უმთავრესი ფერები:

1. ბ ნ ო ბ ი ს-ფ ე რ ი: რომელსა ჰრჭჳან თუალ საჭირონ, ძოწეულის-ფერ არს, ვითარცა ძოწეული—ბნობის-ფერ, თუალთ. 13, 13 (შდრ. ხილ-

ვაჲ მისი მწუანის-ფერ არს, ვითარცა ზმურისაჲ, ხოლო მცირედ ოდენ **ბნობის-სახე**[1] არს, იქვე, 14, 9).

2. გ ჳ ნ ი ს - ფ ე რ ი: ეშმაკი მიწის-ფერი, **გჳნის-ფერი**, ბნელი და ძაღლის-ფერი, პარხ. 763 ხ.

3. ე ნ დ რ ო ჲ ს - ფ ე რ ი: და ყოველივე ჭურჭერი კარვისაჲ და ყოველი საქმარი მისი, მაშკები იგი ტყავებისა ვერძთაჲსაჲ **ენდროჲს-ფერი**, გამოსლვ. 39, 21.

4. ზ ღ ჳ ს - ფ ე რ ი: თუალი ბივრილი... ნათლის-გამომცემელ არს, **ზღჳს-ფერ** ხილვითა, იაგუნდის მსგავს, თუალთ 66, 13; და სხუაჲ არს თუალი მსგავსი ამისა **ზღჳს-ფერი**, იქვე, 16, 33.

5. თ ა ფ ლ ი ს - ფ ე რ ი: და არს ხილვაჲ ლჳგჳრიონისაჲ მის **თაფლის-ფერ** და ძოწეულის-ფერ, თუალთ. 44, 25; ვჰპოვებთ ფერსა მას იაგუნდსა. თუალსა შინა სიმეწამულესა და **თაფლის-ფერსა** და მჭიის-ფერსა, თუალთ. 16, 31.

6. თ ე ვ ზ ი ს - ფ ე რ ი: ჰყავნ (ასეა) მას ორნი კარაულნი, სავსენი ნაჴშირითა: ერთი მათგანი იყოს შავი და მეორე — **თევზის-ფერი**, კიმ. I, 301, 16.

7. ი ი ს - ფ ე რ ი: ხოლო წმიდაჲ ღმრთის-მშობელი შემოსილ იყო სამოსლითა სამეუფოჲთა პორფირითა, რომელ არს **იის-ფერი**, Христ. Вост. III, 88, 11; სამოსელი **იის-ფერივე** ემოსა მას, PO, 112, 2.

8. კ ა ც ი ს - ფ ე რ ი: მაშინ ეშმაკი იგი **კაცის-ფერ** იქმნა, პარხ. 816 ხ.

9. კ უ ა მ ლ ი ს - ფ ე რ ი: ვიხილე მსგავსი სიძვისაჲ ეშმაკი, და მას აქუნდა სამი ხატი და სამი ფერი: სისხლის-ფერი, პერულის-ფერი და **კუამლის-ფერი**, პარხ. 763 ხ.

10. ლ ო მ ი ს - ფ ე რ ი: **ლომის-ფერ** არს თუალი აკატი, თუალთ. 19, 14.

11. ლ ურ ჯ ი ს - ფ ე რ ი: და ყოველი იგი ქუეყანაჲ ორი ფერი არს: მოწითანე და **ლურჯის-ფერი**, ეტ. II, 55, 14.

12. მ ე წ ა მ უ ლ ი ს - ფ ე რ ი: **მეწამულის-ფერად** სისხლ ეიქმნებით, თუალთ. 25, 33; ყრმასა მას **მეწამულის-ფერი** ნიში ედვა, იპოლ. 2, 172.

13. მ ი წ ი ს - ფ ე რ ი: არა მეწამულ არს თუალი იგი, არცა **მწუანის-ფერ**, არამედ **მიწის-ფერ**, მომწითურე[2], თუალთ. 57, 10.

14. მ წ უ ა ნ ი ს - ფ ე რ ი: რომელსა ერქუმის ქართველთა ენითა **მწუანის-ფერ**, თუალთ. 10, 10: მიერ გამოვალს თუალი აკატი, რომელ არს **მწუანის-ფერი**, იქვე, 10, 9.

15. მ ჭ ი ი ს - ფ ე რ ი: ვჰპოვებთ ფერსა მას იაგუნდსა თუალსა შინა სიმეწამულესა და თაფლის-ფერსა და **მჭიის-ფერსა**, თუალთ. 16, 32 (შდრ. ესე არს სახჱ მიწისაჲ მის ქუეყანისაჲ: მწუანე და **მჭიე**, ლიტ. ურთ. 58, 18. (**მჭიე** მყიე, ნაცრის-ფერი: ს ა ბ ა).

---

[1] გამოც.: ბნობის-სახჱ.

[2] გამოც.: მომწითურჱ.

16. ნაკუერცხლის-ფერი: თუალი იგი შორით სადამე **ნაკუერცხლის-ფერ** არნ და სადამე — არმურის-სახედ, თუალთ. 12, 7: თუალი იაკინთი ყოვლადვე სისხლის-ფერ და **ნაკუერცხლის-ფერ** (არს), იქვე, 30, 24.

17. ნაცრის-ფერი: და შობდეს ცხოვარნი იგი სპეტაკსა და ჭრელსა და **ნაცრის-ფერად** სხურებულსა, დაბ. 30, 39.

18. ოქროჲს-ფერჲ: არს მას შინა **ოქროჲს-ფერცა**, იპოლ. 17, 33; რამეთუ **ოქროჲს-ფერად** მოაც გარემო, ვითარცა სარტყელი ძარღუად, თუალთ. 20, 3.

19. პერულის-ფერი: ვიხილე მსგავსი სიძვისაჲ ეშმაკი, და მას აქუნდა სამი ხატი და სამი ფერი: სისპლის-ფერი, და **პერულის-ფერი** და კუამლის-ფერი, პარხ. 763 ხ.

20. სისხლის-ფერი: თუალი იაკინთი ყოვლადვე **სისხლის-ფერ** და ნაკუერცხლის-ფერ (არს), თუალთ. 30, 24; რომელსა ესხნეს თუალნი **სისხლის-ფერნი**, ლიტ. ქრესტ. 164, 11. აქედან გვაქვს **სისხლის-ფერობა**: და დაშავებაჲ იგი მზისაჲ და **სისხლის-ფერობაჲ** მთოვარისაჲ განუნათლებლობასა მათსა მოასწავებს. თარგმ. გამოც. 6. 13 (შდრ. მწუანის-ფერობა).

21. სპეტაკის-ფერი: რომელსა შინა არს გამჭვირვალებაჲ **სპეტაკის-ფერ**, თუალთ. 19, 18; ცეცხლის-ფერად აღატყდებიან ფერი მისი და **სპეტაკის-ფერადცა** ჰხილავნ, იქვე, 61, 6.

22. სძის-ფერი: არამედ **სძის-ფერ** არნ, სპეტაკ ნალესავი მისი, თუალთ. 8, 2.

23. ღჳნის-ფერი: (თუალი იგი არს) ...ვითარცა **ღჳნის-ფერ**, თუალთ. 14, 19.

24. ცეცხლის-ფერი: ეტყოდა დღეს **ცეცხლის-ფერი** პატიოსანთა დედათა, სას. ჰოეზ. 171, 73; ქრისტე მოვიდა ღრუბლითა ნათლისაჲთა და **ცეცხლის-ფერითა**, ეტ. II, 61, 24.

25. ცის-ფერი: ესე არს სახჲ მიწისაჲ მის ქუეყანისაჲ: ბწუანე და მწვიე, ყჳთელი და კუერცხის-გული შავი და თეთრი და **ცის-ფერი**, ლიტ. ურთ. 58, 20.

26. ძაღლის-ფერი: ეშმაკი მიწის-ფერი, გჳნის-ფერი, ბნელი და **ძაღლის-ფერი**, პარხ. 763 ხ.

27. ძოწეულის-ფერი: რომელსა ჰრქჳან თუალ საფირონ, **ძოწეულის-ფერ** არს, თუალთ. 13, 12; თუალიცა **ძოწეულის-ფერი** იპოვების მას შინა, იქვე, 9, 32.

28. წყლის-ფერი: სპეტაკის-ფერადცა ჰხილავნ მსგავსადცა ღჳნისა, რომელ არს **წყლის-ფერ**, თუალთ. 61. 7; და სჲუაჲ არს ვითარცა **წყლის-ფერი**, იქვე, 16, 35.

ფერიხ შეერთება სხვა საგნების სახელებთანაც შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ აქ მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია, დავასკვნათ, რომ ამ ტიპის კომპოზიტები ძველ ქართულში ერთობ ბევრია.

აქ საჭიროა აღვნიშნოს კიდევ ერთი გარემოება: **ფერის** შეერთება რომელიმე საგნის სახელთან ჯერ კიდევ არ არის მყარი და მჭიდრო, ეს სიტყვები ჯერ კიდევ არ ქცეულან ნამდვილ კომპოზიტებად და ნაწილობრივ გვერდი-გვერდ მდგომ ახლობელ სიტყვებად არის გაგებული. ამიტომაა, რომ **ფერი** ასეთ მრავალმარცვლიან კომპოზიტებში არ იკუმშება და გვაქვს: **ოქროს-ფერად, ნაცრის-ფერად** და სხვა. დღევანდელ ქართულში ეს სიტყვები ძალიან მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ისინი ერთი ცნების აღმნიშვნელ ერთ სიტყვად მიგვაჩნია და ამიტომაცაა, რომ მათ ვკუმშავთ ჩვეულებრივი წესით: **ოქროსფრად, ნაცრისფრად, ვარდისფრად** და სხვა. მაგრამ ერთი საერთო ნიშანი ამათაც ახასიათებთ: წინ მდგარი მსაზღვრელი სახელი ნათესაობითის ნიშანს მხოლოდ მარტივი სახით წარმოგვიდგენს და გვაქვს **ის** და არასოდეს **ის-ა**. ჩვენ აქ სწორედ ეს გარემოება გვაინტერესებს და სხვა თავისებურებათ არ ვეხებით[1].

აქამდე ჩვენ ვარჩევდით ისეთ კომპოზიტებს, რომელთა პირველი წევრიც **მხოლობითი რიცხვის** ფორმით იყო მოცემული. მაგრამ ნათესაობითში დასმული სახელი (მსაზღვრელი) შეიძლება **მრავლობითს რიცხვშიც** იყოს. ამ შემთხვევაში ეს მრავლობითი მხოლოდ თანიანია და არასოდეს არ გვხვდება ებიანი. მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ მეორე გარემოება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მსჯელობისათვის. ეს ისაა, რომ მრავლობითობის ნიშანი ამ შემთხვევაში მხოლოდ მარტივი **თ** არის და არ შეიძლება მას ახლდეს გამავრცობელი (ემფატიკური) **ა**. სავანაირად რომ ვთქვათ, ამ მხრივ მრავლობითშიც სრულიად ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც მხოლობითში: კომპოზიტებში ორივეგან გვაქვს მარტივი **ის**, **თ** ნიშნები და არა რთული **ის-ა, თ-ა**.

აქ აღარ განვაგრძობთ ამის შესახებ საუბარს და დავასახელებთ სათანადო ნიმუშებს. ოღონდ ერთხელ კიდევ მოვაგონებთ მკითხველს, რომ კომპოზიტის მეორე შემადგენელ ნაწილად აქაც არსებითი სახელი იგულისხმება და არა სხვა მეტყველების ნაწილი. ამ უკანასკნელთა შესახებ ქვემოთ უფრო ვრცლად მოგვიწევს მსჯელობა.

1. დ ე დ ა თ - დ ი ა კ ო ნ ი: მუნქუესვე მოავლინა ჩემ თანა ღირსი ჰრომანა **დედათ-დიაკონი**... ძლით აღადგინა იგი **დედათ-დიაკონმან**, პარხ. 1259; რომელი მოწაფე ყოფილ იყო პლატონიადოს **დედათ-დიაკონისა**, პარხ. 643 გ.

---

[1] ძალიან საინტერესოა, მაგალითად, რა საგნებს მიმართავდნენ ჩვენი ძველები, რომ ესა თუ ის ფერი აღენიშნათ. ყველაზე ბშირად ესაა გარემო ახლობელი ბუნების საგნები: ცეცხლი, ცა, მიწა, ხღვა, წყალი, ნაკვერცხალი, ნაცარი... ცხოველები და მცენარეები: ლომი, ძაღლი, თევზი... ენდრო, ია და სხვა.

2. მ ა მ ა თ - მ ა ვ ლ ო ბ ა: სხუათაცა ექმნებიან მიზეზ და უშჯულოებით განჰხრწნიან, და **მამათ-მავლობით** და გულის-თქუმითა პირუტყუებრითა სულთა და ჴორცთა თჳსთა უშჯულოვებისა საქმითა ბილწებით განჰხრწნიან, ლიტ. ურთ. 153, 1.
3. მ ა მ ა თ - მ ა მ ლ ო ბ ა: ვერ შემძლებელ ვარ თხრობად, რავდენნი მრუშებანი და **მამათ-მამლობანი** ვაქმნიენ კაცთა და თავსაცა ჩემსა, პარხ. 771 ხ.
4. მ ჴ ე ც თ - ბ უ ნ ე ბ ა: ხოლო იყვნეს... კაცნი უკეთურნი და ფრიად ბოროტნი და **მჴეცთ-ბუნებანი**, პარხ. 1154; ი. ჯავ. აღწ. 171, 37 (ნ. კ. მჴეცის-ბუნება).
5. ჴ ე ლ თ - ბ ო რ კ ი ლ ი: მოგებაჲ ოქროჲსაჲ მძიმე არს და **ჴელთ-ბორკილ** და საკრველ განუჴსნელ ექმნის იგი მომგებელთა მისთა, მამ. სწავ. 252; და ყოველნი დიდებულნი მათნი შეიკრნენ **ჴელთ-ბორკილითა**, ნაუმ 3, 9.
6. ნ ა ვ თ - ს ა დ გ უ რ ი: განითრიეს იგი მთასა ზედა მის ქალაქისასა, რომელ არს იმიერ **ნავთ-სადგურსა** მათსა, კიმ. I, 106, 11. ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით ნახმარია „შუშანიკის მარტვილობაში“: მადლობთ წარჰგზავნიდეს **ნავთ-სადგურისა** მის მიმართ ქრისტჱსისა, შუშ. 158, 30.

აქ ცალკე უნდა გამოვყოთ ისეთი კომპოზიტები, რომელთა მეორე წევრი არის „მთავარი“ და „მოძღუარი“. ამათგან პირველი (მ-თავ-არ-ი) ჩვეულებრივ არსებითად იხმარება[1], მეორე (მო-ძღუ-არ-ი), რომელიც წარმოშობით მიმღეობის ფორმაა, ძველ ქართულში ასევე არსებითად არის გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვები ძალიან ხშირად ერთი-მეორის სინონიმად გვევლინება და ერთმანეთს ხშირად ცვლის: მღდელთ-მოძღუარი || მღდელთ-მთავარი, მესაპყრობილეთ-მთავარი || მესაპყრობილეთ-მოძღუარი და სხვა.

აქ ვუჩვენებთ მხოლოდ ადგილებს, სადაც ამ სიტყვებით შემდგარი კომპოზიტები გვხვდება:

მ თ ა ვ ა რ ი:

ავაზაკთ-მთავარი, მამ. სწავ. 320
ანგელოზთ-მთავარი, სას. პოეზ. 256, 250
ბრძენთ-მთავარი, აბო 177, 19; სას. პოეზ. 92, 43
ეშმაკთ-მთავარი, ი. ჯავ. აღწ. 26, 18 ქვ.
მამათ-მთავარი, კიმ. I, 10, 4; ამონ. 203, 1
მესაპყრობილეთ-მთავარი, კიმ. I. 192. 6: დაბ. 40. 4
მეფჳსეთ-მთავარი, 2 ეზრა 2, 11

[1] ა. ჩიქობავა, სახ. ფუძ. გვ. 79, 149.

მზარაულთ-მთავარი, დაბ. 39, 1
მოგუთ-მთავარი, ძვ. ქართ. ქრესტ. 83, 1; ლიტ. ურთ. 119, 34
მღდელთ-მთავარი, სას. პოეზ. 93, 80
შესაკრებელთ-მთავარი, მრ. 5, 22 C; 5, 35 C; 5, 38
მწიგნობართ-მთავარი, კიმ. I, 92, 32
მწყემსთ-მთავარი, კიმ. I, 129, 21

მ ო ძ ღ უ ა რ ი

მენავეთ-მოძღუარი, კიმ. I, 128, 9; მოც. 27, 11
მეპურეთ-მოძღუარი, დაბ. 40, 1
მესაპყრობილეთ-მოძღუარი, კიმ. I, 190, 35; დაბ. 39, 21
მზარაულთ-მოძღუარი, დაბ. 40, 3; 4 მეფ. 25, 8
მღდელთ-მოძღუარი, მ. 27, 62; მრ. 14, 60 და სხვაგან.
მწიგნობართ-მოძღუარი, 4 მეფ. 18, 37
საჭურჭნეთ-მოძღუარი, 4 მეფ. 18, 37
ქურუმთ-მოძღუარი, გამოსლვ. 3, 1 ლაგ.
ხუროთ-მოძღუარი, ზარზმ. 167, 6
ჭელოვანთ-მოძღუარი, უდაბნ. 56 vb.

ბ) კ ო მ პ ო ზ ი ტ ი ს მ ე ო რ ე შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი მ ი მ ღ ე ო ბ ა და ს ა წ ყ ი ს ი ა

გაცილებით უფრო ხშირი და გავრცელებულია ისეთი კომპოზიტები, რომლებშიც მეორე შემადგენელ ნაწილად შედის საწყისი და მიმღეობა, ან აქედან წარმომდგარი არსებითი სახელი, უფრო ხშირად განყენებული. აღნიშნული მიმღეობანი ჩვეულებრივ მოქმედებითი გვარისაა, უფრო ხშირად **მ—ელ** აფიქსებით ნაწარმოები (მ-ჭამ-ელ-ი), მაგრამ სავა წარმოებაც ფართოდაა გამოყენებული. ვნებითი გვარისა უფრო მეტად **ს ა—ე ლ** და **უ—ე ლ** აფიქსებით გვხვდება, თუმცა თითო-ოროლა მაგალითი სხვა ტიპებიდანაც გვაქვს. ამ კომპოზიტების შიგნით არსებობს მრავალი ქვე-ჯგუფი, რომელთაც აბასიათებთ ესა თუ ის თავისებურება, მაგრამ ყველა მათგანის საერთო დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მათი პირველი შემადგენელი წევრი, სულ ერთია, რა მეტყველების ნაწილით იქნება ის გამოხატული, ნათესაობითში დგას და ეს ნათესაობითი აქაც ყოველთვის **ის** ნიშნით არის წარმოდგენილი. ჩვენ ეს უკანასკნელი გარემოება გვჭირდება აქ და სხვა თავისებურებათ შეიძლება აღარ გამოეუდგეთ.

როგორც აღვნიშნეთ, ამნაირი კომპოზიტები ძველ ქართულში ძალიან დიდი რაოდენობით გვხვდება. მათი სრული სიის მოცემა აქ შეუძლებელია და არც წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. აქ მხოლოდ ზოგიერთი მათგანის აღნუსხვით დავკმაყოფილდებით.

საწყისიანი და მიმღეობიანი ფორმებიდან უფრო მრავალია და უფრო ნიშანდობლივია მიმღეობიანი კომპოზიტები, ამიტომ ჩვენც აქედან დავიწყებთ.

ა) კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი მიმღეობაა

ყველაზე ხშირად ასეთ კომპოზიტებში შედის მიმღეობური ფორმები **მო-ყუარ-ე** და **მო-ქმ-ედ-ი**.

ამიტომ მაგალითებს ჯერ ამათ შესახებ მოვიყვანთ.

მოყუარე (მოყუარება):

1. გემოჲს-მოყუარება: სხუაჲ არს **გემოჲს-მოყუარებაჲ**, სვან. 270 b.
2 — 6. გინების-მოყუარე: და არნ რომელიმე **ქების-მოყუარე**, და სხუაჲ—**შუების-მოყუარე**; არნ რომელიმე **სასუმლის-მოყუარე**; ...არნ რომელიმე მოქადულ და მბასრობელ; რომელიმე **გინების-მოყუარე** არნ და რომელიმე მიმცემელ არნ; რომელიმე **შფოთის-მოყუარე** არნ და სხუაჲ მასმენელ არნ მოყუსისა, მამ. სწავ. 408 — 409; ვთქუათ, ვითარმედ **ქების-მოყუარენი** ვართ, იქვე, 207.
7. ვეცხლის-მოყუარე: **ვეცხლის-მოყუარე** იყვნეს, ლ. 16, 14.

აქედანაა წარმოშობილი ვეცხლის-მოყუარება: მარხვაჲ, რომელმან გარე-მიაქციის **ვეცხლის-მოყუარებისაგან** დაუცხრომელისა, კიმ. I, 57, 29. გეხვდება ეს კომპოზიტი სხვა სახითაც: რომელსა უყუარან გემონი, **ვეცხლის-მოყუარულ** არს, მამ. სწავ. 185. აქედანაა ნაწარმოები საწინააღმდეგო მნიშვნელობის კომპოზიტი, რომელშიც უარყოფითი მიმღეობა (უ—-ურ → უ—ულ აფიქსებით) შედის: **ვეცხლის-უყუარულ** იყვენით, ებრ. 13, 5. ასეთივე მდგომარეობაა ამ კომპოზიტის საწყისში, რომელსაც შემდეგ მოპოვებული აქვს განყენებული სახელის მნიშვნელობა: ვინგორები მე ...**ვეცხლის-სიყუარულსა** და გლახაკთა სიძულილსა, მამ. სწავ. 378.

8. თავის-მოყუარე.: და იყვნენ კაცნი **თავის-მოყუარე**, ვეცხლის-მოყუარე, თავის-მოთნე, ამპარტავან, მგმობარ მამა-დედისა, ურჩ, 2 ტიმ. 3, 2.
9. მამის-მოყუარე: ვითარცა[1] შეჰგავს შვილთა **მამის-მოყუარეთა**, ზარზმ. 176, 6.
10. მართჳს-მოყუარე: (ვარხვ) ჯეკმა **მართჳს-მოყუარე** არს, სახისმეტ. (ისტ. ქრესტ. 281, 5).
11. მარხვის-მოყუარება: **მარხვის-მოყუარებით** მოსე თუალითა ღირს იქმნა ხილვად პირსა ღმრთისა უხილავისასა, ი. ჯავ. აღწ. 150, 1.
12. მშჯდობის-მოყუარება: სიმშჯდე და **მშჯდობის-მოყუარებაჲ**, სიწმიდეჲ გულისაჲ და მოწყალებაჲ... ყოველი აღასრულეთ, მამანო სანატრელნო, სას. პოეზ. 136, 16.
13. მცნების-მოყუარე: და დიდებაჲ **მცნების-მოყუარეთა** მისთა აღუმაღლა, ზირაქ 1, 17.

[1] გამოც. ვითა.

14. პატივის-მოყუარება: მისა შემდგომად ხუროჲსა **პატივის-მოყუარებამან** მოიყვანნა, სიბრძ. 14, 18.

15. სათნოების-მოყუარე: ნუ ხოლო **სათნოების-მოყუარე** ხარ, არამედ ძმათ-მოყუარე იყავ, მამ. სწავ. 143.

სასუმლის-მოყუარე ნ. გინების-მოყუარესთან.

16. საფასის-მოყუარე: დასცხერ, **საფასის-მოყუარეო** ბოროტო, და დაიცევ თავი შენი, კიმ. II, 183, 14.

17. სიბრძნის-მოყუარე: რომელთამე ეპიკურელთა და სტოვისა **სიბრძნის-მოყუარეთა** სიტყუა-ყვეს, მოც. 17, 18.

18. სიგლახაკის-მოყუარე: ესე არს განწმედაჲ ყოელისაგან მწინკულისა: ...სული **სიგლახაკის-მოყუარე** ...და ძმათ-მოყუარებაჲ და თუალთ-უხუაობაჲ, მამ. სწავ. 420.

19. სისხლის-მოყუარე: მჯდომარჱ მჴეცსა ზედა მეწამულსა **სისხლის-მოყუარესა**, თარგმ. გამოცხ. 17, 3.

სიქადულის-მოყუარე ნ. გინების-მოყუარესთან.

20. სიწმიდის-მოყუარე: ბრძანებაჲ... მოვიღე ჴელითა **სიწმიდის-მოყუარისა** ხსართან მღდელისაჲთა, აბო 176, 32.

21. სმენის-მოყუარე: ვიტყოდით ...**სმენის-მოყუარისა**სიწმიდისა თქუენისა მოჴსენებად, ზარზმ. 148, 36. ნ. კ. იქვე, 161, 30.

22. სოფლის-მოყუარე: და თუ რაჲმე შეგცოდეთ, ვითარცა ქაცთა საწუთროჲსათა და **სოფლის-მოყუარეთა**, მოგჳტევენ, შუშ. 157, 35.

23. სტუმრის-მოყუარე: **სტუმრის-მოყუარე** იყუენით ურთიერთას, 1 პეტ. 4, 9. აქედან: სტუმრის-მოყუარება: **სტუმრის-მოყუარებახა** შეუდეგით, ჰრომ. 12, 13.

24. სწავლის-მოყუარე: იყო იგი **სწავლის-მოყუარე**, პარხ. 644 ხ.

25. უდაბნოჲს-მოყუარე: წინამძღურად მადლისა მის გამოირჩია ღმერთმან უპოვარი[1] და **უდაბნოჲს-მოყუარჱ**, ხოლო არა თუ კაცისა მოძულჱ, სვან. 384 ხ. აქედან: უდაბნოჲს-მოყუარება: შენ არა ინებე ჩუენ შორის ყოფაჲ და გამოირჩიე **უდაბნოჲს-მოყუარებაჲ**, ლიტ. ურთ. 63, 13.

26. უფლის-მოყუარე: ვითარცა მონამან **უფლის-მოყუარემან** შიშით და ძრწოლით აღიმაღლა ჴმაჲ თჳსი, სვან. 370 გ.

ქების-მოყუარე ნ. გინების-მოყუარესთან.

27. ღმრთის-მოყუარე: იყუენით უკუე ...გლახაკთ-მოწყალე და **ღმრთის-მოყუარე**, მამ. სწავ. 54.

28. შვილის-მოყუარე: მე უწყი, რამეთუ **შვილის-მოყუარე** იყვნეს მამაჲ ჩემი და დედაჲ ჩემი, კიმ. I, 155, 35.

---

[1] ხელნ.: უპუვარი.

29. შრომის-მოყუარება: **შრომის-მოყუარებით** ვისმინოთ, ზარზმ. 149,12. შუების-მოყუარე ნ. გინების-მოყუარესთან.

30. შფოთის-მოყუარე: არნ იგი **შფოთის-მოყუარე** და მოყუსისა განსუენებასა მოძულე, მამ. სწავ. 338. აქედან: **შფოთის-მოყუარება:** და ნუ აქებ კუალად **შფოთის-მოყუარებასა** ღმერთთასა, პარხ. 1143.

31. შჯულის-მოყუარე: იყვენით უკუე **შჯულის-მოყუარე** და უცხოთ-მოყუარე, მამ. სწავ. 54.

32. ძმის-მოყუარე: ეგრეცა **ძმის-მოყუარე** იყო თეოდოსია, დაჲ იგი ჩემი, კიმ. I. 155, 36.

33. წყალობის-მოყუარე: ღმერთნი **წყალობის-მოყუარე**[1] არიან და მეფე ღმობიერ არს და მთავარი სიმართლისა ბჭე არს, კიმ. II, 33, 38.

34. ხილვის-მოყუარე: არა ესრეთ ბრწყინვენ წინაშე თუალებსა[2] **ხილვის-მოყუარეთასა,** ზარზმ. 157, 25.

35. ხუასტაგის-მოყუარე: და არცა დაშთებიან მდიდარნი და არცა **ხუასტაგის-მოყუარენი,** მამ. სწავ. 327.

ჩვენ მიერ აქ მოყვანილი მაგალითები მარტო „მოყუარე"-სა და „მოყუარება"-სთან იყო დაკავშირებული. „მოყუარე"-სთან ბევრი სხვა სიტყვაც გვხვდება, მაგრამ მათი აქ ჩამოთვლა არ არის საჭირო. ამით ჩვენ გვსურდა გაგვეხაზა ის სიმრავლე და სიმდიდრე ქართული კომპოზიტებისა, რომელიც ამ წესხვა აგებული. აქედან ცხადია, თუ რა ხშირად არის კომპოზიტებში გამოყენებული ნათესაობითი ბრუნვა მხოლოდ მარტივი **ის** ნიშნით და როგორ არ შეიძლება ვიხმაროთ ასეთ შემთხვევაში ამ ბრუნვის გავრცობილი **ის-ა** ნიშანი.

ახლა „მოქმედ"-იან მაგალითებს მივმართოთ:

1. ალიზის-მოქმედი: მოიყვანნა იგინი მადიბადს, რომელ არს **ალიზის-მოქმედთაჲ,** 2 მეფ. 12, 31.

2. ამაოჲს-მოქმედი: შენ გეტყჳ, ჲ მძლავრო სებასტიანე, ...უგუნურო, უნაყოფოო, **ამაოჲს-მოქმედო,** არაწმიდაო, კიმ. I, 152, 33.

3. ბოროტის-მოქმედი: უკუეთუმცა არა იყო **ბოროტის-მოქმედი,** არამცა მიგეციით შენ ეგე, ი. 18, 30.

4. ვენაჯის-მოქმედი: ჰრქუა **ვენაჯის-მოქმედსა** მას, ლ. 13, 7. აქედან: ვენაჯის-მოქმედება: ესე არს, რომელი ითქუა იზაკარის ზედა **ვენაჯის-მოქმედებისათჳს,** თუალთ. 61, 18.

5. ვეცხლის-მოქმედი: ოქროჲს-მჭედელთა და **ვეცხლის-მოქმედთა** ჰბაძავს, სიბრძ. 15, 9.

---

[1] ხელნაწერში ასე იკითხება. გამოცემაში გასწორებულია ასე: წყალობის-მოყუარე(ნი), რაც არ იყო საჭირო.

[2] გამოც.: თვალებსა.

6. თიჯის-მოქმედი: და მსაჯულ არს **თიჯის-მოქმედი** და ბოროტსა რუდუნებს, სიბრძ. 15, 7. ნ. კ. 2 მეფ. 20, 23.

7. კეთილის-მოქმედი: მთავარნი იგი არა არიან საშინელად **კეთილის-მოქმედთათჳს**, არამედ ბორკოტის-მოქმედთათჳს, ჰრომ. 13, 3 ლაგ.

8. მშჳდობის-მოქმედი: ნეტარ იყვნენ **მშჳდობის-მოქმედნი**, რამეთუ იგინი ნაშობ ღმრთის იწოდნენ, მ. 5, 9.

9. პილენძის-მოქმედი: თანა-მოგზაურად შეუდგეს დემა და ერმოგინე, **პილენძის-მოქმედნი** და მჴედელნი, თქკლ. 91, 4.

10. სახის-მოქმედი: სხელაქიოს **სახის-მოქმედმან** თქუა, კიმ. I, 151, 27.

11. სიბრძნის-მოქმედი: ხოლო ყოველი ესე ზღაპარ არს **სიბრძნის-მოქმედთაჲ**, კიმ. I, 45, 18.

12. სიტყჳს-მოქმედი (=პოეტი, მწერალი): და პირველთა მათ ომეროსისთა წარმოიღებდა სტრიქონთა, რომელ-იგი მათ ყოველთა მიერ **სიტყჳს-მოქმედთა** განსაკჳრებელ იყო, Οπιπ. 121, 7 ქე.; მის მიერ ცხოველ ვართ და ვიქცევით და ვართ, ვითარცა-იგი ვინმე თქუენგანნი **სიტყჳს-მოქმედნი** იტყჳან: რომლისა-იგი ნათესავცა ვართ, მოც. 17, 28.

13. ტყავის-მოქმედი: საკლე... **ტყავის-მოქმედი** იყო, ძვ. ქართ. კრესტ. 49, 17.

14. ქველის-მოქმედი: რაჲსა მეტყჳ მე **ქველის-მოქმედით?** არავინ არს **ქველის-მოქმედი**, გარნა მარტოჲ ღმერთი, მრ. 10, 18 C. აქედან გვაქუს ქველის-მოქმედება: რასა მკითხავ მე **ქველის-მოქმედებისათჳს**, მ. 19, 17 C.

15. ქუეყანის-მოქმედი: მოვიდეს და მოსრნეს **ქუეყანის-მოქმედნი** იგი, მრ. 12, 9; **ქუეყანის-მოქმედთა** მათ ვითარცა იხილეს იგი მიმავალი, მრ. 12, 7. აქედან მოდის ქუეყანის-მოქმედება: რომელნი შრომით და **ქუეყანის-მოქმედებით** იზარდებოდეს, ზარზმ. (ისტ. ქრესტ. 218, 10).

ამ უკანასკნელი სიტყვის ნაცვლად ზოგიერთ ხელნაწერში იხმარება ქუეყანის-მშრომელობა, ე. ი. მიწის დამუშავება, მიწათმოქმედება, მაგალითად: და იქმნა **ქუეყანის-მოქმედ**. უკუეთუ ეგრე არს, გამოჩნდა იზაქარისგან **ქუეყანის-მშრომელობაჲ**, თუალთ. 61, 1.

16. ძჳრის-მოქმედი: არა თუმცა **ძჳრის-მოქმედ** იყო კაცი იგი, არამცა მიგეცით იგი შენ, ი. 18, 30 C.

„ძჳრის-მოქმედი" სინონიმი უნდა იყოს „ბოროტის-მოქმედისა". მართლაც, ოთხთაისა და სხვა ხელნაწერების პარალელურ ტექსტებში მათ მონაცვლეობას ხშირად აქვს ადგილი: ბოროტის-მოქმედი || ძჳრის-მოქმედი და ბოროტის-მოქმედება || ძჳრის-მოქმედება (ნ. მაგალითები ზემოთ). ახალ ქართულში **ბოროტმოქმედი** და **ბოროტმოქმედება** დამკვიდრდა, ხოლო **ძვირისმოქმედი** და **ძვირისმოქმედება** აღარ იხმარება.

17. ჯაჭვ-მოქმედი: და ყენეს მათგანნი რომელნიმე **ჯაჭვ-მოქმედ** და საპურველის, 1 მეფ. 8, 12.

აქ დავასახელებთ კიდევ სხვა კომპოზიტებს, რომლებშიც მეორე წევრად სხვადასხვა ტიპის მიმღეობები შედის:

1. აჩრდილის-მწერალი: არცა მაცთუნნა ჩუენ ...**აჩრდილის-მწერალთა** შრომამან უნაყოფობამან, სიბრძ. 15, 4.

2. გოდლის-მშენებელი: განაბნინა და განაქარვნა შეთქუმულებანი იგი **გოდლის-მშენებელთანი**, პარხ. 854 b.

3. ეზოჲს-მოძღუარი: კაც ერთ იყო მდიდარ და ესუა მას **ეზოჲს-მოძღუარ**, ლ. 16, 1 C; თქუა **ეზოჲს-მოძღუარმან** მან გულსა თჳსსა, ლ. 16, 3 C.

4. ვეცხლის-მჭედელი: ცუდად ჰედს **ვეცხლის-მჭედელი** ვეცხლსა, იერ. 6, 29; იყო ვინმე წმიდასა ქალაქსა **ვეცხლის-მჭედელი**, ნათესავით დამასკელი, კიმ. II, 208, 10.

5. მდელოჲს-მძოვარი: ვხედავ სახესა თქუენსა ვითარცა კაცთასა და ხართ **მდელოჲს-მძოვარ**, ვითარცა ვაცნი, ლიტ. ურთ. 34, 14.

6. ოქროჲს-მჭედელი: და ჰრცხუენა ყოველსა **ოქროჲს-მჭედელსა**, იერ. 51, 17; მოუწოდა **ოქროჲს-მჭედელსა**, სვან. 277 b.

7. პურის-მთხოველი: **პურის-მთხოველ** იქმნედ და განჴდედ იგინი სამკჳდრებელისაგან თჳსისა, ფსალმ. 108, 9.

8. პურის-რთული: განჰკრთეს და აღდგეს ყოველნი, რომელნი **პურის-რთულ** იყვნეს ორნიას, 3 მეფ. 1, 49.

შდრ.: ბრძანებად მოეღო მემფიბალს — მარადის **პურის-რთვად** მეფისად, 2 მეფ. 9, 13; ხვალე დღესასწაული არს და ჩემდა ჯერ-არს **პურის-რთვად** მეფისად, 1 მეფ. 20, 5, ე. ი. ლხინს უნდა დაევსწროო, ლხინში მეფესთან უნდა ვიყოო, უნდა დაერთოო, შეუერთდეო. მიმღეობაში თითქო მოსალოდნელი იყო მსაზღვრელი მიცემითში ყოფილიყო, ე. ი. **პურს-რთული**, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, უეჭველია, უფრო ძველი ვითარების ნაშთია დაცული. ამას ამტკიცებს ამ **პურის** დასმა ნათესაობითში ზმნის პირიან ფორმასთანაც: ხვალისაგან შეუწოდა დავით და **პურის-ირთო** იგი, ჭამა და სუა წინაშე მეფისა, 2 მეფ. 11, 13. პურის-ირთო, პურის-რთვა, პურის-რთული — სწორი, გამართული ფორმებია და გვიჩვენებს, რომ ზმნის პირიანი ფორმებისათვის დამახასიათებელი ნიშანი — ამა თუ იმ ბრუნვის მოთხოვნა — უპირო ფორმებსაც (საწყისსა და მიმღეობას) თანაბრად ახასიათებდა. მაგრამ რატომ არის მაინც აქ ნათესაობითი? რა უნდა მას პირიან ფორმასთან? შესაძლებელია აქ „პურის" მსაზღვრელი იყო (ვთქვათ, პურის-ჭამა), სათანადო საზღვრული დაიკარგა და ფორმის ძველი მნიშვნელობის ტარება ცალად დარჩენილ მსაზღვრელს („პურის") დაეკისრა. მეორე მხრივ, ნათესაობითი (აქ პურის)

შესაძლებელია მიმართულებას უჩვენებდეს, მიმართულებითი ბრუნვის შინაარსით იყოს ნახმარი. ნათესაობითისათვის ასეთი რამ შეუფერებელი არ არის...

ეს მაგალითი იმითაც განსხვავდება სხვებისაგან, რომ აქ ჩვენ გვაქვს ვნებითი გვარის მიმღეობა, მაშინ როდესაც სხვა შემთხვევებში მოქმედებითი გვარისაა.

9. რ ო ჯ ი ს - მ ი მ ც ე მ ე ლ ი: და დაედგინნეს სოლომონს ათორმეტნი მბრძანებელნი ისრაჱლსა ზედა... **როჯიის-მიმცემელად** საბლსა მას სამეუფოსა, 3 მეფ. 4, 7.

10. ს ა მ ო ს ლ ი ს - მ რ ც ხ ე ლ ი: და აღდგა ერთი მათგანი, რომელი იყო **სამოხლის-მრცხელი**, აღიღო ძელი იგი, რომლითა განართხიან სამოსელი, და უხეთქნა თაესა მის მართლისასა, ისტ. ქრესტ. 289, 13.

11. ს ა ქ მ ი ს - მ ა წ უ ე ვ ე ლ ი: **საქმის-მაწუეველნი** ერსა მას ზედა, რომელნი იქმოდეს საქმესა მას, 3 მეფ. 3, 2.

12. ს ი ხ ლ ი ს - მ ჭ ა მ ე ლ ი: რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მჭეცის-ბუნება, **სიხლის-მჭამელ**, აბო 186, 13; ორთა ძალლთა **სიხლის-მჭამელთა** ეჰბრძოდი, ისტ. ქრესტ. 291, 29.

13. ქ ვ ი ს - მ ქ დ ე ლ ი: და იყვნეს სოლომონისნი სამეოც ათას მეტჯრთჱ და ორმეოც ათას **ქვის-მქდელნი** მთათა, 3. მეფ. 3, 2.

14. შ ჯ უ ლ ი ს - მ ა ს წ ა ვ ე ლ ი: აღ-ვინმე-დგა შორის ზრახვასა მას **შჯულის-მასწავლელი** ვინმე, ისტ. ქრესტ. 290, 15.

15. შ ჯ უ ლ ი ს - მ დ ე ბ ე ლ ი: ჰკითხა ერთმან მან მათგანმან **შჯულის-მდებელმან** გამოცდით, მ. 22, 35 C.

16. შ ჯ უ ლ ი ს - მ ე ც ნ ი ე რ ი: **შჯულის-მეცნიერი** ვინმე აღდგა, გამოჰსცდიდა მას და ეტყოდა, ლ. 10, 25.

17. შ ჯ უ ლ ი ს - მ ო ძ ღ უ ა რ ი: სხდეს მუნ ფარისეველნი და **შჯულის-მოძღუარნი**, ლ. 5, 17; მიუგო იესუ და ჰრქუა **შჯულის-მოძღუართა** და ფარისეველთა, ლ. 14, 3.

18. ძ უ ძ უ ა ს - მ წ ო ვ ა რ ი: მამაკაცითგან მიდედაკაცადმდე ყრმაჲ **ძუძუჲს-მწოვარი**... მოსრა ყოველი, 1 მეფ. 22, 19; **ძუძუჲს-მწოვარნი** ძუძუსა დაეყუნნეს, უდაბნ. 62 vR.

19. ძ ჯ რ ი ს - მ ო ჯ ს ე ნ ე: დიდი საშჯელი აქუს კაცსა **ძჯრის-მოჯსენესა** და დიდი მადლი აქუს კაცსა **ძჯრისა** არა **მოჯსენესა**, სვან. 475 b; ეგრეთვე გულ-მანკიერმან და **ძჯრის-მოჯსენეს-მან** უკუეთუ მისცეს ნებაჲ თჳსი ღმერთსა, შეიცვალოს კეთილად და სახიერად, მამ. სწავ. (A) 388.

ხაზგასმული სიტყვა (ძჯრის-მოჯსენე) ზემოთ ერთგან გავრცობილი ნიშნითაა მოცემული: „**ძჯრისა** არა **მოჯსენესა**“. აიხსნება ეს იმით, რომ ამ კომპოზიტში შეიპრა ნაწილაკი „არა“, რომელმაც დაარღვია კომპოზიტის მთლიანობა და შესაძლებელი გახადა ა-ს დართვა. აღვნიშნავთ აქვე, რომ ეგეც-

სიტყვა პარხლის მრავალთავში მაინც მარტივი **ის** ნიშნით არის მოცემული: „**ძჯრის** არა მოჰსენესა“. ჩანს, აქ კიდევ კარგად ესმით ამ სიტყვის კომპოზიტური ბუნება და მიუხედავად გამთიშველი „არა“ ნაწილაკის ჩართვისა მარტივი ნიშნის ხმარებაზე ხელს არ იღებენ.

20. ძღუნის-მიმპყრობელი: აღვემართე ღმრთისა სათნოჲთა წმიდითა ლოცვითა თქუენითა და მარადის **ძღუნის-მიმპყრობელიხა** ღმრთისა მარჯუენისა თქუენისა ჯუარისა წერითა, აბო 177, 17.
21. ძღუნის-შემწირველი: ამისა **ძღუნის-შემწირველ** ვართ და შობასა აღვიარებთ, სვან. 36 ხ.
22. ჴორცის-მჭამელი: მიერ ჟამითგან დაამორჩილნა მას ღმერთმან ყოველნი მჴეცნი და **ჴორცის-მჭამელნი** ნადირნი, კიმ. II, 148, 4: ცხოველნი იგი **ჴორცის-მჭამელნი** საკრძალავ არიან გულმწყრალობისა მათისათჳს, შატბ. 63 ხ.
23. ჯუარის-მცუმელი: ჰგონებდეს **ჯუარის-მცუმელნი** იგი, ვითარმედ: დავაკნინეთ იგი ჯუარითა მით, სვან. 456 გ; მათ ნაწილი **ჯუარის-მცუმელთა** თანა მიიღეს, ევსტ. 163, 9.

ჩვენ აქ წარმოვადგინეთ მიმღეობიანი კომპოზიტების სხვა სახეები. ამნაირი მაგალითები ძველ ქართულში ძალიან ბევრია და მათი ნიმუშების მოყვანა სათანადო კონტექსტებით შორს წაგვიყვანდა. ამიტომ აქ მხოლოდ ასეთი კომპოზიტების ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით:

აბჯრის-დამაბნეველი[1], ბაგინის-მძარცუველი, ბეჭდის-საყოფელი, ბრძოლის-მეცნიერი, გალობის-მეტყუელი, გალობის-შემსხმელი, გუელის-მბრძოლი, გუელის-მოძულე, გულის-მთქუმელი, გულის-სათქუმელი, გულის-საკლებელი, გულის-სარეველი, დიდების-მეტყუელი (აქედან: დიდების-მეტყუელება), ეკლის-გამომძებელი, ვანის-მყოფი, ვანის-მცველი, ვეცხლის-მოფარდული, ვეცხლის-მსყიდელი, ზარის-ასაკდელი, თავის-მოთნე, თავის-სახრელი, თავის-სახუეველი, თევზის-მჭამელი, თივის-მჭამელი, თითის-საჩუენებელი, ისრის-სატყორცებელი. კაცის-მკლველი, კაცის-მპყრობელი, კაცის-მჭამელი, კედლის-მბატეარი, კეთილის-მაზრახებელი, კეთილის-მზრახველი, კეთილის-მობაძავი, კეთილის-მოსავი, კეთილის-მოძულე, კერმის-მწყველი, კუამლის-მომცემელი, ლოცვის-შემწირველი, მადლის-მიმცემელი, მადლის-მცემელი, მამის-მკლველი, მზის-აღმოსავალი, მზის-დასავალი, მზის-მომფენი, მიზეზის-მომცემელი, მკუდრის-მმოსელი, მკუდრობის-მოდგამი, მრავლის-მეტყუელი (აქედან: მრავლის-მეტყუელება), მძორის-მჭამელი, ნავის-მავლინებელი, ნავის-საცთომელი, ნათლის-გამომცემელი, ნათლის-მცემელი, ნაყოფის-გამომღებელი, ნაყოფის-განმრყუნელი, ნაყოფის-მომღებელი, ნების-მყოფელი, ნელსაცხებლის-მგბოლველი, ნელსაცხებლის-მიმღებელი, ორის-მეტყუელი, პურის-მკრებელი, პურის-საჭმელი, ჟამის-მწირველი,

[1] ესა და ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ტექსტებიდანაა ამოკრებილი, მაკრამ ადგილის მოგების მიზნით მათ ვერ ვუთითებთ.

სამართლის-მყოფელი, სამარის-მძარცუველი, სამების-მქადაგებელი, საპყრობილის-მცველი, სარგებლის-მომატყუებელი, სარტყლის-შემრტყმელი, სასყიდლის-მიმღებელი, სასყიდლის-მომცემელი, საქმის-მოდგამი, საყდრის-მოდგამი, საცხებელის-მგბოლველი, საცხოვრის-მზრდელი, საძაგლის-შემძინელი, სიბრძნის-მასწავლელი, სიბრძნის-მეტყუელი (აქედან: სიბრძნის-მეტყუელება), სირცხჳლის-თანა-მდები, სიტყჳს-მგებელი, სიტყჳს-მიმგებელი, სიტყჳს-მიმცემელი, სიტყჳს-მწერალი, სიწმიდის-მომპოვნელი, სოფლის-მპყრობელი, სოფლის-მყოფი, სოფლის-სახილველი, სწავლის-მოღუაწე, ტაძრის-მკრეხელი, ტყის-მკაფელი, უვარის-მყოფელი, ფასის-საცავი, ფასის-შესაწირავი, ფერჳის-საცემელი, ქველის-მეტყუელი, ქვის-სატყორცელი, ღამის-მჳმო-ბარი, ღმრთის-მბრძოლი, ღმრთის-მგალობელი, ღმრთის-მგმობი, ღმრთის-მგმობელი, ღმრთის-მეტყუელი (აქედან: ღმრთის-მეტყუელება), ღმრთის-მკლეველი, ღმრთის-მოფარდული, ღმრთის-მოსავი, ღმრთის-მოძულე, ღმრთის-მქადაგებელი, ღმრთის-მშობელი. ღმრთის-მხილველი, ღმრთის-შემაწუხებელი, ღმრთის-შემკადრებელი, ღმრთის-შემწყნარებელი, ღონის-მეძიებელი, ღონის-მომპოვნებელი, ღჳნის-მოფარდული, ღჳნის-მსუმელი, ღჳნის-მსყიდელი, ყელის-შესაბმელი, შეურაცხის-მყოფელი, შუების-მომცემელი, შურის-მეძიებელი, შურის-საძიებელი, ჩუენების-მბილველი, ცილის-მეტყუელი, ცილის-შემწამებელი, ცის-ნატეხი, ცხორების-მომნიჭებელი, ცხორების-მომცემელი, ძლევის-მყოფელი, ძის-მკლეველი, ძოწეულის-მოფარდული, ძჳრის-მეტყუელი (აქედან: ძჳრის-მეტყუელება). ძჳრის-მზრახველი, ძჳრის-უზრახველი, წამლის-მცემელი, წიგნის-მკითხველი, წიგნის-მომღებელი, წიგნის-მწერალი, წიგნის-საწერელი, წყლის-სავსებელი, წყლის-სასუმელი, ჭურჭრის-სასყიდელი, ჭურჭერის-საცავი, ხარკის-მკრებელი, ხარკის-მომჭდელი, ხილის-მცველი, ხილის-საცავი, ჴელის-ამპყრობელი, ჴელის-შესასხმელი, ჯუარის-მპყრობელი, ჯუარის-მჩინებელი, ჰომის-მკრებელი და ბევრი სხვა.

ბ) კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი საწყისია

ამბორის-ყოფა, ავრის-ყოფა, არდაბაგის-შჳნება, ბოროტის-სიტყუა, ბოროტის-ყოფა, გემოჲს-ხილვა, გესლის-ყოფა, გოდლის-საქმე, გუერდის-თხრა, გულის-ზრახვა, გულის-თქუმა, გულის-კლება, გულის-სიტყუა, გულის-წყრომა, გულისხმის-ყოფა, დაფის-ცემა, ენის-ყოფა, ერის-კრება, ზარის-განჴდა, თავის-კუეთა, თავის-მოდრეკა, თავის-ყოფა, თესლის-დათესვა, იავარის-ყოფა, იფქლის-მკა, იფქლის-ფრდა, კაცის-კლვა, კეთილის-ყოფა, ლაშქრის-მოდგმა, ლოცვის-ყოფა, ლხინების-ყოფა, მადლის-მიცემა, მეხის-ტეხა, მშჳდობის-ყოფა, ნათლის-ღება, ნათლის-ცემა, პატივის-ცემა, პატიჟის-დება, პირის-ცემა, პირის-ჴსნა, პურის-თხოვა, პურის-რთვა, პურის-ცემა, პურის-ჭამა, ჭამის-რეკა, ჭამის-წირვა, სასყიდლის-გება, სასყიდლის-მოგება, სასყიდლის-მოღება, სახელის-დება, სისხლის-დინება, სიტყჳს-გება, სიტყჳს-მიგება, სოფლის-დაბადება, ქველის-საქმე, ქრთამის-მიცემა, ღამის-თევა, ღმრთის-გამოცხადება,

ღმრთის-კადრება, ღონის-ძიება, ყურიმლის-ცემა, შურის-გება, შურის-ძიება, შჯულის-დება, ცეცხლის-დება, ცილის-სიტყუა, ცილის-წამება, ძჳრის-ზრახვა, ძჳრის-საქმე, ძჳრის-სიტყუა, ძჳრის-ჴსენება, ძჳრის-ხილვა, წამის-ყოფა, წესის-დადება, წიგნის-კითხვა, წიგნის-წერა, წილის-განგდება, წილის-გდება, ხარკის-მოჴდა, ჴელის-აპყრობა, ჴელის-შეყოფა, ჴელის-შეყრა, ჴელის-შეხება, ჴელის-წერა, ჴნარცჴს-თხრა, ჯუარის-გამოჩინება, ჯერკუალის-ყოფა და მრავალი სხვა.

ზემორე განბილულ მაგალითებში (ორივე ტიპისაში) რთული სიტყვის პირველი წევრი მხოლობითის ნათესაობითში იყო დასმული. ახლა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა იგივე წევრი მრავლობითის ნათესაობითში იქნება წარმოდგენილი. მრავლობითობის ნიშანი ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, ყოველთვის მარტივი თ არის და არ შეიძლება იგი ემფატიკური ა-თი იქნეს გავრცობილი

ზოგი ასეთი რთული სიტყვა არსებითი სახელის მნიშვნელობით იხმარება (მღდელთ-მოძღუარი), ზოგსაც კიდევ ზედსართავის გაგება აქვს და მსაზღვრელად არის გამოყენებული (კაცთ-მოყუარე), ზოგი კი საწყისია, ან საწყისის მნიშვნელობით იხმარება (ჴორცთ-შესხმა). ამნაირი სიტყვებიც ბევრია ძველ ქართულში. მათი სრული სახით აღნუსხვა და ზემოთ აღნიშნული ჯგუფების მიხედვით დალაგება აქ, რასაკვირველია, შეუძლებელია და არც არის საჭირო. ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგ მათგანს შერჩევით და დაუმოწმებლად, თუმცა ყველა ისინი სათანადო ტექსტებიდან არის ამოღებული.

ასეთებია:

ბაგინთ-მძარცუველი, გემოთ-მოყუარე (აქედან: გემოთ-მოყუარება), გლახაკთ-მოღუაწე, გულთ-გამომძიებელი, გულთ-მეცნიერი, დედათ-მოყუარე, ეტლთ-მარბეველი, ეშმაკთ-საყუარელი, ვარსკულავთ-მრიცხუველი (აქედან: ვარსკულავთ-მრიცხუველობა), ვარსკულავთ-მოქცევა, თუალთ-მიდგმა, თუალთ-საღებელი, თუალთ-საჴდელი, თუალთ-უხუავი, თუალთ-ღება, თუალთ-შეუდგამი, თუალთ-ხუმა, კართ-საჴშველი, კაცთ-ძოთნე (აქედან: კაცთ-მოთნება), კაცთ-მოყუარე (აქედან: კაცთ-მოყუარება), კაცთ-მოძულე, მამათ-მავალი, მარტჳლთ-მოყუარე, მესაპყრობილეთ-მცველი, მოწამეთ-მოყუარე, მუნჯთ-მოდრეკა, მჭეცთ-შეუვალი, ნავთ-საყუდელი, ნაწლევთ-მჭამელი, საკრველთ-მოქმედი, სულთ-საზრუნველი, სტუმართ-მოყუარე (აქედან: სტუმართ-მოყუარება), უცხოთ-მოყუარე, ფერჴთ-შესასხმელი, ქურივთ-მოყუარე. შვილთ-მომსრველი, შვილთ-მოყუარე, ცხენთ-სარბიელი, ცხენთ-შესაპყრობელი, ძმათ-მკლველი, ძმათ-მოყუარე, ჴელთ-საბანელი, ჴელთ-საქმარი, ჴელთ-შეუხებელი, ჴორცთ-შესხმა და ბევრი სხვა.

2. ნათესაობითი დროის გარემოებად

ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი უძველესი ფუნქცია არის, აღნიშნოს დროის გარემოება. ძველ ქართულში ჩვენ გვაქვს შემონახული რიგი ფორმები, რომლებიც ამ ფუნქციით იხმარება. ამ შემთხვევაში ეს ფორმები

ყოველთვის მარტივი ის ნიშნით არის წარმოდგენილი, მათ არა აქვთ ემფატიკური ა. ეს იმას ნიშნავს, რომ ნათესაობითი ბრუნვის მიერ ამ ფუნქციის გამოხატვა ძალიან ძველი. წარმოშობისაა, ის დიდი ხნით უსწრებს წინ ჩვენებითი ნაცვალსახელის ნაწევრად ქცევის პროცესს, ნაწევრის ჩამოყალიბებას ქართულში, როცა ორდინარული ნათესაობითი ნაწევრისეული ა-თი იქნა გავრცობილი და „ის-ა“-ს სახე მიიღო.

ზოგიერთი ასეთი სახელი ამ მნიშვნელობით ხშირი ხმარების გამო ზმნიზედად იქცა. ასეთია, მაგალითად, **გზ-იხ** (გზა—გზ-ის) და **მყ-იხ** (მეყი—მყ-ის), რომლებიც წარმოშობით დროის ზმნიზედა უნდა იყოს, მაგრამ შემდეგ ვითარებისა (მყის) და ზომისა და ოდენობის (გზ-ის: ერთ-გზის, მრავალ-გზის) ზმნიზედებად იქცნენ[1]; ასეთი უნდა იყვნენ აგრეთვე **უკუანაჲს** და **მწუხრი**, რომელთაც ქვემოთ შევეხებით.

ყველაზე ხშირად ამ მნიშვნელობით (genetivus temporis) ისეთი სიტყვები გვხვდება, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობაც დროზე მიუთითებს. ესაა, პირველ რიგში, წლის დროები—**ზამთრის** და **ზაფხულის**, შემდეგ შუადღის აღმნიშვნელი ცნობილი სიტყვა **სამხრის**, კვირის დღის სახელი **პარასკევის**, საათის 1/60 ნაწილი — **წუთის**, ზმნიზედები **ხვალის** (ხვალ) და **უკუანაჲს** (ბოლოს).

მაგრამ რადგანაც ამ საკითხზე სხვაგან მოკლედ უკვე გვაქვს ლაპარაკი[2], ამიტომ ადგილის შოგების მიზნით აქ აღარაფერს ვიტყვით და მკითხველს იმ წერილზე მივუთითებთ. დავსძენთ მხოლოდ, რომ ჩვენი შრომის ეს თავი დაწერილია 1954 წლის იელისში და მასში აღძრული ერთი საკითხის („ვეფხისტყაოსნის“ „ზამთრის“ ფორმის) შესახებ მსგაესი მოსაზრება ჩვენგან დამოუკიდებლად გამოუთქვამს დოც. ი. გიგინეიშვილს 1955 წლის 30 დეკემბერს წაკითხულ მოხსენებაში.

3. ნათესაობითი Infinitiv-ის გადმოსაცემად

როგორც ცნობილია, ქართულ ზმნას სახელი სუბიექტად ან ობიექტად შეეწყობა სამ ბრუნვაში: სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში. თუ ზმნა ერთპირიანია, მას სახელი შეეწყობა მხოლოდ სახელობითში: **კაცი წარვალს, კაცი წარვიდა, კაცი წარსრულ არს**; თუ ზმნა ორპირიანია, მნიშვნელობა აქვს ზმნის გარდამავლობას; გარდაუვალ ზმნას ორი სახელი ეწყობა, ამათგან ერთი (სუბიექტი) მუდამ სახელობითშია, ხოლო მეორე (ირ. ობიექტი) — მუდამ მიცემითში: **ემალების თაგჳ კატასა, დაემალა თაგჳ კატასა, დაჰმალვიეს თაგჳ კატასა**; მაგრამ თუ ზმნა გარდამავალია, მაშინ მას სუბიექტი და პირდ. ობიექტი სხვადასხვანაირად ეწყობა: პირველ სერიაში სუბიექტი სახელობითში იქნება, პირდაპირი ობიექტი — მიცემითში; მეორე

[1] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. 1, 1949 წ. გვ. 215.

[2] ი. იმნაიშვილი, ძველ ქართულში დროის გარემოების გამოხატვის ზოგიერთი საშუალებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის: ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1957, № 2, გვ. 73—80.

სერიაში სუბიექტი მოთხრობითში გადაჰა, ხოლო პირდაპირი ობიექტი — სახელობითში, მაგალითად: წერს კაცი წერილსა, დაწერა კაცმან წერილი. ბრუნვების მოთხოვნის თვალსაზრისით საქმის ვითარება არ იცვლება სამპირიან ზმნასთან; რადგანაც სამპირიანი ზმნა ყველა გარდამავალია[1], ამიტომ ზემოთ აღნიშნული წესი ძალაში რჩება, მბოლოდ მესამე პირად ემატება ირიბი ობიექტი, რომელიც ყოველთვის მიცემითში დგას, მაგალითად: დაუწერს მამაჲ შვილსა წიგნსა, დაუწერა მამამან შვილსა წიგნი. ერთი სიტყვით, ზმნასთან პირით შეწყობილი სახელი ქართულში შეიძლება მხოლოდ სამ ბრუნვაში იყოს: სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში. მაშასადამე, ინდოევროპული ენების ერთადერთი ბრუნვის (ნომინატივის) მაგივრად ქართულში ზმნასთან პირით შეწყობილი სახელი სამ ბრუნვას გვიჩვენებს.

მაგრამ არის ძველ ქართულში შემთხვევები, როცა ერთი შეხედვით ეს წესი ირღვევა: მოსალოდნელი სახელობითის ნაცვლად **ნათესაობითი** მოცემული. საქმე ეხება ორპირიან გარდაუვალ ზმნებს, მაშასადამე, ისეთ ზმნებს, რომლებთანაც მუდამ უნდა გვქონდეს სახელობითი (სუბიექტად) და მიცემითი (ირიბ ობიექტად). ამის ნაცვლად კი გვაქვს: ნათესაობითი (სუბიექტად) და მიცემითი (ირიბ ობიექტად). მაშასადამე, მთელი ცვლილება სახელობითის ნათესაობითით შეცვლაში გამოიხატება. ამის ჩვეულებრივი მაგალითია: **რომელსა უნდეს სესხების შენგან,** ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა მისგან, მ. 5, 42. ჩვენთვის აქ საინტერესოა ამ რთული წინადადების პირველი წევრი: **რომელსა უნდეს სესხების შენგან,** რომელშიც არა ჩანს სახელობითი, მის ნაცვლად ნახმარია ნათესაობითი — **სესხების.** ახალ ქართულზე ეს ასე გადმოვიდოდა: რომელსაც მოუნდება (დასჭირდება) შენგან **სესხება.**

რით არის გამოწვეული ეს გარემოება? სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, წინასწარ უნდა აღვნიშნოთ ასეთი კონსტრუქციის გარკვეული შეზღუდულობანი. ჯერ-ერთი, ასეთი კონსტრუქცია გვაქვს ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ზმნასთან, რომლებიც ერთი შინაარსეული ხაზით არის გაერთიანებული (ასეთი ზმნა 7—8 თუ იქნება); მეორე: ნათესაობითში წარმოდგენილია არა ყოველი სახელი, არამედ ზუსტად განსაზღვრული მორფოლოგიური ოდენობანი; მესამე (ეს კი ჩვენთვის ახლა ყველაზე საინტერესოა): **ეს ნათესაობითი ყველგან** წარმოდგენილია მარტივი **ის** ნიშნით და არა რთული **ის-ა-თი.** ზმნასთან პირით შეწყობილი სახელი სხვაგან ყველგან ემფატიკური ა-თია წარმოდგენილი (ასეთი ბრუნვა ერთადერთია — მიცემითი), აქ კი ნათესაობითი მუდამ მარტივი ნიშნით — **ის**-ით არის გამოხატული. ეს სამი შეზღუდვა შემთხვევითი არ უნდა იყოს. მაგრამ სანამ ჩვენს მსჯელობას განვაგრძობდეთ და შევეცდებოდეთ ზემოთ დასმულ კითხვას გავსცეთ პასუხი, უმჯობესია ჯერ მაგალითებს გავეცნოთ და ვნახოთ, რა ზმნებია ისინი, რომ-

[1] მხედველობაში არა გვაქვს ორიოდე გამონაკლისი, რომლებიც ახალ ქართულში გუნდებად და მერმინდელი წარმოშობისაა.

ლებთანაც აღნიშნული სახის კონსტრუქცია გვხვდება, და რა სახელებია ისინი, რომლებიც ასე მოულოდნელად დგას ნათესაობითში. რადგანაც საკითხს თეორიული მნიშვნელობაც აქვს, ჩვენ მოვიყვანთ თითქმის ყველა მაგალითს, რომელიც კი ჩვენ ხელთ გვაქვს, მაგრამ მოვიყვანთ მოკლედ (ადგილის სიმცირის გამო), მაგალითებს დავალაგებთ ზმნების მიხედვით, ხოლო ბოლოს თავს მოვუყრით და დავურთავთ სრულ სიას იმ სახელებისას, რომლებიც ნათესაობითში გვხვდება.

ნდომა:

მინდა დადუმების, უდაბნ. 176 rb; არა მინდა ქორწინების, PO 55, 2; რაჟამს-იგი სიჭაბუკესა მინდა მე ქორწინების, კიმ. I, 200 25; სვან. 266 a.

ხოლო მათ არა უნდა მოკლვის, ევსტ. 175, 19; უნდა ღმერთსა ნუგეშინის-ცემის, კიმ. I, 22, 7; რომელთა უნდა სმენის თჳს-თავსა მას მეშჳდისა თჳსასა, ნეემია 8, 2; არა დაცვის უნდა, სიბრძნ. 16, 21; არა უნდა ნუგეშინის-ცემის შვილთა თჳსთა ზედა, რამეთუ არა არიან, იერ. 31, 15; არა უნდა კურთხევის და განეშორა მისგან, ფსალმ. 108,17; და უნდა წარსლვის ერსა მას, რავახ 83, 21; მრავალთა წინაწარმეტყველთა და მეფეთა უნდა ხილვის და სმენად, რომელი გესმის, და არა ესმა, ლ. 10, 24 C; და შევიდა საბიდ და არავისა უნდა გამოცხადების, და ვერ დაეფარა იგი, მრ. 7, 24 C; არა უნდა სუმის[1], მ. 27, 34; რაქელ სტიროდა შვილთა თჳსთა და არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა იყვნეს წინაშე მისსა, მ. 2, 18; და მას არა უნდა ჰამის, 2 მეფ. 13, 9; ხოლო არა უნდა შეწუხების სულისა ამბონის, ძისა თჳსისა, 2 მეფ. 13, 21; გულისჴმაყო იესუ, რამეთუ უნდა კითხვის, და ჰრქუა მათ, ი. 16, 19; და მას არა უნდა ნუგეშინის-ცემის, დაბ, 37, 35; ხოლო მას არა უნდა სხუასა ადგილსა შესლვის, არამედ პირით მოიყვანეს იგი, კიმ. I, 205, 19; რომელი (ვენაჯი) ახალ-ნერგ იყო და ყუავილსაცე შინა ნაყოფის გამოცემის უნდა, იპოლ. 20, 28; არა უნდა განყენჭბის, იპოლ. 25, 23; მეორესა ღამესა გამოვიდა ეშჯ ერთი ტყით და უნდა შესლვის მტილსა, კიმ. I, 302, 9; განრისანა და არა უნდა შესლვის, ლ. 15, 28 C (შესლვად DE). აქედან აქვს გადატანილი ი. ბოლნელს: განრისხნაა და არა უნდა შინა შესლვის, ბოლნ. 41,18; დაღაცათუ განტევების უნდა, ვერ ეგებოდა, კიმ. I, 170, 38; რომელთა-იგი წარპარვის უნდა და შეღებად და დაწუვად მათა, პარხ. 1067 b; ხოლო მას არა უნდა გამოსლვის, პარხ. 1249.

და უკუეთუ გინდეს შენ მთავრობის, იღუაწე, უდაბნ. 85 ra; ხოლო თუ ჩემისა სახელისა და უღირსებისაჲ გინდეს ცნობის, ...ოქროპირი, იოვანე ანჩელისა დის-წული, რომელმან ესე წიგნნი დავჩხრიკენ, Опис. 264, 7.

[1] უნდა და ჰნებავს ზმნებთან ეს თავისებურება შემჩნეული ჰქონდა ფ. ცორელსაც (F. Zorell, Grammatik... გვ. 102).

რომელსა უნდეს თქუენ შორის თავი თჳსი დიდ ყოფის, იყავნ იგი მრწემ თქუენ შორის, მამ. სწავ. 389 [ორ სხვა ხელნაწერში (H 1662, A 1142): დიდ ყოფაჲ]; და ვისაცა უნდეს ძესა **გამოცხადების**, გამოუცხადოს, ლ. 10, 22 C; რომლისაჲ უნდეს ძესა **გამოცხადების**, გამოუცხადოს, მ. 11, 27; რომელსა უნდეს **სესხების** შენგან, ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა მისგან, მ. 5. 42; უკუეთუ ვისმე **ეპისკოპოსობის** უნდეს, 1 ტიმ. 3, 1; რომელსა უნდეს **ცხორების**, Οπιც. 245, 8; უკუეთუ უნდეს **წამების**, მოც. 26, 5; თუ ვისმე **ცილობის** უნდეს, მრავ. 293, 1; ხოლო თუ უნდეს **სმენის**, მათი ისმინონ, ბოლნ. 74, 2; უკუეთუ ვისმე არა უნდეს **საქმის**, ნუცაღა ჰამნ, 2 თესალ. 3, 10; პალ. ალბ. 60 a 3; დასაბამი და ძირი არს ბოროტთა გულის-თქუმათაჲ, რომელსა უნდეს **მთავრობის**, კიმ. II, 152, 11.

უკუეთუ გჳნდეს **შუების**, ვიშუებდეთ, მრავ. 295, 11; სვან. 60 b.

ნება:

უკუეთუ გინებს ჰეშმარიტად **სმენის**, მე გითხრა თქუენ ყოველივე, კიმ. I, 53, 1; უკუეთუ გინებს ჩემ თანა **ყოფის**, მოვედით, კიმ. I, 56, 12; რომელთა გინებს **ჩუენების**, მრავ. 295, 21; სვან. 60 b.

რომელთა უყუარს ღმერთი და უნებს **სინანულის**, პარხ. 1246; არა გჳნებს **ცნობის**, სვან. 480 a; უდაბნ. 37 rb.

რომელთა უნებნ **განმრავლების** ცოდვათა, გარე-მიიქცინის თუალნი მისნი, ზირაქ 27, 1; ვიდრეცა-იგი უნებნ **მისულის**. Οπιც. 18, 11 ქვ.; ვაცთუნებდ სულთა მათთა, რომელთა არა უნებნ **ცოდვის**, პარხ, 771 b.

ნებ(ვ)ა:

მნებავს სლვის ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა და **მისლვის**, სადა ცაჲ დასრულდეს, ეტ. II, 50, 14; მნებავს **სწავლის** მეცა, სვან. 246 a.

უკუეთუ გნებავს **ცხორების**, წარვედ და იყოფოდე კჳნობსა, კიმ. I, 24, 27; და უკუეთუ გნებავს შენ **ცნობის** ძალი მცნებისაჲ ამის, მან. სწავ. (H) 41 v; უკუეთუ არა გნებავს წარსლვის, ჩუენ უკუნგაქციოთ საყოფლადეე შენდა, ლიტ. ქრესტ. 167, 43; და უკუეთუ გნებავს **ნუგეშინისცემის**, იგლოვდე, მამ. სწავ. (H) 9: უკუეთუ გნებავს **სწავლის**, ისწავლე მწრაფლ, პარს. 20 a; და უკუეთუ გნებავს **ცნობის** სიდიდე მისი, ეამ. სწავ. (H) 40; და უკუეთუ გნებავს **სრულების**, შეუდეგ ღმერთსა, მამ. სწავ. 428; ხოლო უკუეთუ გნებავს **ცნობის**, ...ამით ნიშნითა უწყოდე. მან. სწავ. 229; უკუეთუ გნებავს სრულ ყოფის, შრ. 10, 21 (კ. კეკელიძე, იერ. განჩინება, გვ. 316); რომელი გნებავს **ყოფის**. ყავ. პარხ. 1125 a; უკუეთუ გნებავს **ქველის-მეტყუელებს**, ესაია 36, 16; და უკუეთუ გნებავს **შეწყნარების**. იგი არს ელია, მ. 11, 14 D; ნუუკუე თქუენცა გნებავს წარსლვის, ი. 6, 67; უკუეთუ რაჲ გნებავს **ბრძანების** ყრმისა ამისთჳს,

პარხ. 1234 b; უკუეთუ გნებავს აქა შინა ყოფის, წიგნისა სწავლად გიჴმს, იქვე, 1232: გნებავსა სწავლის, რაედენ მარხეად სოფლისათჳს მცველ არს, პარხ. 444 b.

რომელსა ჰნებავს თქუენგანსა წარსლვის, ვიდოდენ, ვიდრეცა უნებნ, კიმ. I, 272, 14: რომელსა ჰნებავს განსუნების სენაკსა შინა, ი. ჯავ. აღწ. 81, 17; მამ. სწავ. 428.

ენება ნათ წარსლვის, კიმ. I, 310, 1; რავდენცა ენების დაფარვის, კიბ. I, 183, 11; რომელსა ენებოს სესხების შენგან, ნუ მიიქცევი მისგან, მამ. სწავ. (H) 247; ხოლო უკუეთუ კურთხევის ოდენ ენებოს უგჳრგჳნოდ, ი. ჯავ. აღწ. 113, 20.

გულება:

უფალო, რაჲ არს, რამეთუ ჩუენდა გეგულების გამოცხადების და არა სოფელსა, ი. 14, 22 C; ამიერითგან განუყოფელ ვართ შენგან და, სადაცა გეგულების მისლვის, მუნცა თანა-წარმოვალთ, ეტ. II, 50, 18.

ეგულებოდა რაჲ წარსლვის, თხრობ. 48, 9; ეგულებოდა სწავლის, მრავ. 256, 19; პარხ. 14 a.

წად(ილი):

ხოლო მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მამათ-მთავართა სწადოდა ხილვის, რომელსა-ესე თქუენ ხედავთ, და არა იხილეს, ბოლნ. 58, 24; ნუუკუე აწ გუწადოდამცა მარხვისა მის, უდაბნ. 52 va. ემფატიკური ა აქვს იმიტომ, რომ ნაწევარი ახლავს; ეს ნაწევარი რომ არა, უეჭველად იქნებოდა მარხვის, როგორც გვაქვს ამავე ზმნასთან აქვე ზემოთ: სწადოდა ხილვის.

ჩენა:

ნუ წუნობის გიჩს თქუენ იგი, მამ. სწავ. 399; ცხადად შეძინების უჩნ, იქვე, 12.

უკუეთუ ვისმე უჩნდეს ცილობის, ჩუენ ეგევითარი ჩუელებაჲ არა გუაქუს, 1 კორ. 11, 16; სვან. 57 a.

გულის-თქუმა:

მიწოვიდოდე და გული-მითქუმიდა თევზისა და ჴორცისა, რომელი ნაქუნდა ეგჳპტეს, პარხ. 1278.

ძღუენი ეკიდა და დრტჳნვიდეს, ოქროჲ მიაქუნდა და არა გული-უთქუმიდა ჴორცის, სვან. 38 a; მრავ. 277, 13.

იზაქარს კეთილის გულმან-უთქუა, დაბ. 49, 13; გულმან-უთქუა ჭამადისა, იპოლ. 25, 196.

ჭელ-წიფება:

ვის-მე ჭელ-ეწიფების ცხორების, ლ. 18, 26 C.

ასეთია ის მაგალითები, რომლებიც ჩვენ ხელთ გვაქვს. ახლა შეიძლება შევაჯამოთ ზოგიერთი შედეგი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოვლენა, რომელზედაც საუბარია აქ, იშვიათად გვხვდება: ერთ შემთხვევაში რომ იჩენს თავს,

მეორე, სრულიად ისეთსავე შემთხვევაში ის არ გვხვდება, აქ მას ცელის ძველი ქართულისათვის კარგად ცნობილი ფორმა: საწყისი ვითარებითში, მაგალითად: არა უნდა **სუმის** DE — არა უნდა **სუმად** C (მ. 27, 34), რამეთუ უნდა **კითხვის** DE — რამეთუ უნდა მისა **კითხვად** C (ი. 16, 19), სწადოდა **ხილვის** (ბოლნ. 58, 24) — სწადოდა **ხილვად** (ბოლნ. 78, 1), ვისაცა უნდეს ძესა **გამოცხადების** C — ...**გამოცხადებად** DE (ლ. 10, 22) და სხვა.

უფრო იშვიათად ამნაირ ნათესაობითს სახელობითი ენაცვლება: რომელსა უნდეს დიდ **ყოფის** (მამ. სწავ. 390) — ...დიდ **ყოფაჲ** (მამ. სწავ. H; მრ. 10, 43 DE) და სხვა.

ხანდახან ერთ ზმნასთან წარმოდგენილი ორი საწყისიდან ერთი ნათესაობითშია, მეორე ვითარებითში: უნდა **ხილვის** და **სმენად** (ლ. 10, 24 C) და სხვა.

ეს საპირისპირო ადგილები აღებულია სხვადასხვა ხელნაწერებიდან, რომლებშიც ერთი და იგივე ადგილია გადმოცემული. მაგრამ მსგავსი შემთხვევები ერთსა და იმავე ხელნაწერშიც გვხვდება, მაგალითად: არა უნდა **განყენების** (იპოლ. 25, 23), მაგრამ: არა უნდა **განყენებაჲ** (იპოლ. 25, 45)[1].

შემდეგ აღსანიშნავია, რომ ზმნები, რომლებთანაც ასეთი კონსტრუქცია გვხვდება, მეტად მცირერიცხოვანია. ეს ზმნებია:[2]

1. ნდომა:	მინდა, უნდა, გინდეს, უნდეს, გჳნდეს
2. ნება:	გინებს, უნებს, გჳნებს, უნებნ
3. ნებ(ვ)ა:	მნებავს, გნებავს, ჰნებავს, ენება, ენების, ენებოს
4. გულება:	გეგჳლების, ეგულებოდა
5. ჩენა:	გიჩს, უჩნ, უჩნდეს
6. წად(ილ-ი):	სწადოდა, გუწადოდამცა
7. გულის-თქუმა:	გული-მითქუმიდა, გული-უთქუმიდა, გულმან-უთქუა
8. ჴელ-წიფება:	ჴელ-ეწიფების.

ადვილი მისახვედრია, რომ აქ ჩამოთვლილი ზმნები, არსებითად რომ ვთქვათ, სურვილის გამომხატველი ზმნებია. მართლაც, ერთი ხელნაწერი რომ ერთ ამათგანს ხმარობს, მეორეში იგი მეორე ზმნითაა შეცვლილი: **უნდა** ხილვის (ლ. 10, 24 C) — **სწადოდა** ხილვის (ბოლნ. 58, 24). ამათგან ცოტა დაცილებულია მნიშვნელობით **გულება** და **ჩენა**, მაგრამ მათი დაახლოება ძირითადს ჯგუფთან ძნელი არაა (ეგულებოდა — აპირებდა, სურდა და სხვ.). მაშასადამე, გამოდის, რომ ეს ჩვენი ნათესაობითი მეტად იშვია-

[1] ბევრჯერ ასეთი ნათესაობითის ხმარება აცილებულია მთელი დამოკიდებული წინადადების მოშველიებით, მაგალითად: რომელსა **უნდეს** დიდ ყოფის (მამ. სწავ. 390) — რომელსა უნდეს, **რაჲთამცა** იყო დიდ თქუენ შორის (მრ. 10, 43 C).

ვუჩვენებთ ყველა ფორმას, რომელიც კი შეგვხვდა ჩვენთვის საინტერესო ნათესაობითის ფორმასთან.

თად, განსაზღვრულ შემთხვევებში იხმარება; ზმნები, რომლებთანაც ასეთი ნათესაობითი გვხვდება, მეტად მცირერიცხოვანია. ჩანს, რომ ამ ფორმების გამოყენება **ხელოვნურ** ხასიათს ატარებს, ხელოვნური მოსაზრებებითაა წარმოშობილი და შეპირობებული.

აღნიშნული ფორმის შეზღუდულად ხმარებას კიდევ ერთი გარემოება ამტკიცებს. ეს ისაა, რომ ნათესაობითში წარმოდგენილი სიტყვა თითქმის ყოველთვის **საწყისია**. აქ არ გვხვდება ჩვენ არც არსებითი სახელი [1] და არც ზედსართავი [1], არც რიცხვითი და არც ნაცვალსახელი; არ გვხვდება არც მიმღეობანი, ერთი სიტყვით, ეს არის სუფთად საწყისური (გასდარული) კონსტრუქცია. ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი მასალები 100-მდე ნაგალითს შეიცავს: ამათში 50 ნათესაობითში დასმული სიტყვაა (ზოგჯერ სახელები მეორდება), რომელთაგან 46 საწყისია.

აი ის საწყისებიც იმ სახით, როგორც ისინი ტექსტებში გვხვდება:

ბრძანების, გამოსლვის, გამოცემის, გამოცხადების (მეორდება 4-ჯერ), განმრავლების, განსუენების, განტევების, განყენების, დადუმების, დაფარვის, დაცვის, ეპისკოპოსობის, კითხვის, კურთხევის (2), მარხვისა, მთავრობის, მისლვის (3), მოკლვის, ნუგეშინის-ცემის (5), საქმის (2), სესიების (2), სინანულის, სლვის, სმენის (3), სრულების, სუმის, სწავლის (5), ქველის-მეტყუელების, ქორწინების (3), ყოფის (5), შესლვის (4), შეძინების, შეწუხების, შეწუნარების, შუების (2), ჩუენების, ცილობის, ცნობის (6), ცოდვის, ცხორების (3), წამების, წარპარვის, წარსლვის (6), წუნობის, ჭამის, ხილვის.

ორიოდე შემთხვევაში ნათესაობითში გვევლინება სახელიც (არსებითი და ზედსართავი), მაგალითად: გული-მეთქუმიდა **თევზისა** და **ჯორცისა**, გული-უთქუმიდა **ჯორცის**, გულმან-უთქუა **ჭამადისა**, გულმან-უთქუა **კეთილის** და სხვ. (ნ. მაგალითები ზემოთ). მაგრამ ეს შემთხვევები საწყისთა ანალოგიით უნდა ავხსნათ. მაინც აღსანიშნავია, რომ ოთხივე შემთხვევა ერთსა და იმავე ზმნასთან გვხვდება. ისიც არაა უგულებელსაყოფი, რომ სანი. ამ სახელთაგანი ნათესაობითის სრული ფორმით იხმარება (თევზისა, ჯორცისა, ჭამადისა), რაც საწყისებში არ გვხვდება. ეს რღვევის პროცესი პირველად მართლაც ანალოგიის გიერ გამოწვეულ მაგალითებში უნდა დაწყებულიყო. საწყისები კი დიდაანს ინახავდნენ ძველ ვითარებას.

საწყისების მოთხოვნის აუცილებლობამ მიიყვანა ენა იქამდე, რომ ისეთი ხელოვნური ფორმები შეექმნა (საწყისებად), როგორიცაა: ეპისკოპოსობის, მთავრობის, წუნობის და სხვა.

განსაკუთრებით აღვნიშნავთ, როგორც უაღრესად დამახასიათებელ მოვლენას, რომ ყველა ამ საწყისს ნათესაობითის ნიშნად აქვს მარტივი **ის** სუფიქსი და არა რთული **ის-ა** [2]. ეს შემთხვევითი სრულებით არ უნდა იყოს:

---

[1] ერთ-ორ გამონაკლისზე — ქვეით.

[2] ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს მარხვისა, რომელიც იმის გამო უნდა იყოს ასეთ უჩვეულო ფორმაში, რომ მას ნაწევარი ახლავს, ხოლო ნაწევარი ამ ემფატიკური ა-ს გარეშე არ შეიძლება იყოს.

ამ მარტივი ის ნიშნიანი ფორმით სურდათ ეს ნათესაობითი განესხვავებინათ ჩვეულებრივი ის-ა დაბოლოებიანი ნათესაობითისაგან, რომელიც ენაში მიღებული ჩვეულებრივი წესების მიხედვით იხმარებოდა, მაგალითად: უნდა **კითხვის**, მაგრამ: შემდგომად **კითხვისა**, რომელსა არა უნდეს **საქმის**, მაგრამ: ჩუენდა ჯერ-არს საქმედ **საქმისა** (ი. 9, 4 C) და სხვა.

ბოლოს, ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ნაჩვენები კონსტრუქცია უმთავრესად (თუ არ ვიტყოდით, თითქმის ყოველთვისო) ნათარგმნ ტექსტებში გვხვდება, ორიგინალური ლიტერატურის ენაში კანტიკუნტად და ძალზე იშვიათად თუ შევხვდებით. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითებიდან (დაახლოებით 100 შემთხვევიდან) ორიგინალური ძეგლების ენაში 1—2 თუ არის (ერთი მათგანი — არა უნდა **მოკლვის** — ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში გვხვდება)[1], სხვა ყველა ნათარგმნი ძეგლების ენაშია ნაპოვნი.

ყველა ზემოთ თქმულიდან ირკვევა, რომ ამ კონსტრუქციის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ენაში შექმნილ **ხელოვნურ** ფორმასთან, რომლის გავრცელების არეც ძალიან ვიწრო და შეზღუდულია, იგი იხმარება იშვიათად, მხოლოდ ზოგიერთ ზმნასთან და მარტო საწყისებში. ერთი სიტყვით, იგი შეზღუდულია ყოველმხრივ.

კითხვა ისმის: რით უნდა იყოს გამოწვეული ასეთი ნათესაობითის ხმარება? ხომ არ არის იგი რომელიმე უცხო ენის კონსტრუქციის პირდაპირი გადმოღება? ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ზმნები ნათესაობითს ითხოვს რომელიმე უცხო ენაში, ვთქვათ ბერძნულში, და ეს ნათესაობითი გადმოჰყვა მათ ქართულშიც?

ამაზე, ჯერ-ერთი, უნდა შევნიშნოთ, რომ ასე მექანიკურად ერთი ენიდან მეორეში არ გადადის გრამატიკული ფორმები. გრამატიკული ფორმები ენაში ჩნდება თავისი საკუთარი გრამატიკული წყობის ბაზაზე, ეს შეესაბამება ენის შინაგანი ბუნების კანონებს. ასეთი უხეში გადატანა გრამატიკული წესებისა ეწინააღმდეგება ენის თავისთავადი განვითარების, მისი შინაგანი ბუნების კანონებს.

მეორე მხრივ, კიდეც რომ დაგვეშვა ასეთი გავლენის შესაძლებლობა, ყველაზე ადრე ბერძნულის გავლენაზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, რადგან ძველი ქართულის მთელ სივრცეზე ჩვენი წინაპრები ყველაზე მეტად ბერძნული ენიდან თარგმნიდნენ სხვადასხვა ხასიათის ძეგლებს. ძველ ბერძნულში კი ზემოთ აღნიშნულ ზმნებთან სწორედ რომ არ იხმარება ნათესაობითი. ს. სობოლევსკის სპეციალური პარაგრაფები აქვს მიძღვნილი ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციების გარკვევისადმი. აქ დაწვრილებითაა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რომელ ზმნებთან იხმარებოდა ძველ ბერძნულში ნათესაო-

[1] არც ერთი მაგალითი არ გვხვდება შუშანიკის მარტვილობაში, აბოს წამებაში, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში.

ბითი, მაგრამ ზმნათა გრძელ სიაში ჩვენ ვერ ვხვდებით ვერც ერთ ზმნას, რომლებიც ძველ ქართულში მარტივნიშნიანი ნათესაობითის კონსტრუქციას ქმნის[1]. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს **ნდომა**, желать, რომლის შესახებაც აღნიშნულ წიგნში ვკითხულობთ: „Родительный падеж ставится при глаголах, означающих „касаться чего", „стремиться к чему", „желать чего", „пробовать что", „целить во что", „достигать чего", „начинать что"[2]. ქვევით ავტორს ხაზგასმული ზმნის ნიმუშად მოყვანილი აქვს შემდეგი მაგალითი: Ἐπιθυμέω τινός, რასაც ასე თარგმნის: „желаю чего, **стремлюсь к чему**"[3]. როგორც ვხედავთ, აქ უფრო **მისწრაფების** შინაარსია ხაზგასმული და წინ წამოწეული. არსად ჩანს ჩვენი ფორმების (მნებავს, მინებს, მწადის, მეგულების) შესატყვისი. ერთი სიტყვით, ძველ ბერძნულში ამაოა ზემოთ ნაჩვენები „სურვილის გამომხატველი ზმნების" ბადალის ძიება, რომლებთანაც ნათესაობითი ბრუნვის მოთხოვნა იქნებოდა დაკავშირებული. ასეთი რამ, როგორც ჩანს, ბერძნულში არ არის.

სრულიად შეუძლებელია ქართულის აღნიშნული მოვლენა ბერძნულის იმ სპეციფიკური კატეგორიით აიხსნას, რომელსაც accusativus cum infinitivo-ს უწოდებენ[4]. სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენს მაგალითებში არსად არა ჩანს accusativ-ის შესატყვისი, ან სხვა რამ მსგავსი სახელი. ამიტომ ეს შესაძლებლობაც სრულებით გამორიცხულია.

მაშ, რამ გამოიწვია იგი? თუ კარგად დავუკვირდებით ამ კონსტრუქციის გამოყენების შემთხვევებს (იხმარება მხოლოდ საწყისებში) და გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ უმეტეს შემთხვევაში მას ცვლის იგივე საწყისი, დასმული ვითარებითში ან სახელობითში (უნდა ცნობის — უნდა ცნობად, უნდა ყოფის — უნდა ყოფად), შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს კონსტრუქცია იხმარებოდა უცხო ენათა Infinitiv-ის გადმოსაცემად.

კარგად არის ცნობილი, რომ ქართულ ენას Infinitiv-ი არ გააჩნია; ისიც ცნობილია, რომ ძველ ქართულში იყო ერთი ცდა, ეს ხარვეზი ვითარებითში დასმული საწყისით შეევსოთ: იწყო მან **სიტყუად** (он начал говорить), მიეახლა იესუს **ამბორის-ყოფად** (он подошёл к Иисусу, чтобы поцеловать) და სხვა. მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. უცხო ენების Infinitiv-ისათვის შესაფერ საშუალებათა გამონახვის მეორე ცდას წარმოადგენს სწორედ ჩვენი შემთხვევა (და მას არა უნდა **ნუგეშინის-ცემის** = она не хотела утешиться), მაგრამ იგი უფრო უდღეური გამოდგა, ენამ მას ზურგი შეაქცია და უკუაგდო, როგორც შეუფერებელი ჩვენი ენის ბუნებისა და მისი შინაგანი კანონებისათვის. ორიე ამ ცდის ჩაშლის შემდეგ ენაში თანდათან გაიკაფა გზა სახელობითში დასმულმა საწყისმა (უკუეთუ გინდეს

[1] С. И. Соболевский, Древне-греческий язык, Москва. 1948, §§ 1012—1023, გვ. 269—273.

[2] იქვე. § 1013, გვ 269.

[3] იქვე.

[4] იქვე, §§ 1349—1360, გვ. 333—337.

სრულ ყოფაჲ), რომელსაც ენა ძველადაც მიმართავდა. ეს ფორმა უფრო შესაფერი აღმოჩნდა ენაში შექმნილ სხვადასხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე უცხო ენათა Infinitiv-ის გადმოსაცემადაც. ეს სახელობით'ში დასმული საწყისი მტკიცედ დამკვიდრდა ახალ ქართულში და ბას სრული დატვირთვით იყენებს ენა მრავალნაირი საჭიროებისათვის.

4. ნათესაობითი წრფელობითის მსაზღვრელად

მსაზღვრელად წარმოდგენილი ნათესაობითი ბრუნვა ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, ორგვარი ხასიათისაა:

ა) თუ ის საზღვრულს წინ უსწრებს, ჩვეულებრივ არ ეთანხმება მას არც ბრუნვაში, არც რიცხვში, იგი მხოლოდ იმართვის მისგან, მუდამ ნათესაობითში დგას, მისი ბრუნვის ნიშანია რთული ის-ა, მაგალითად:

სახ.	სახლ-ისა	უფალ-ი
მოთხ.	სახლ-ისა	უფალ-მან
მიც.	სახლ-ისა	უფალ-ს-ა
ნათ.	სახლ-ისა	უფლ-ის-ა
მოქმ.	სახლ-ისა	უფლ-ით-ა
ვით.	სახლ-ისა	უფლ-ად
წოდ.	სახლ-ისა	უფალ-ო

ასევე უცვლელად იქნება მოცემული ეს „სახლისა“ აგრეთვე მაშინაც, როცა საზღვრული მრავლობითშია დასმული, მაგალითად:

სახ.	სახლ-ისა	უფალ-ნ-ი
მოთხ.	სახლ-ისა	უფალ-თ-ა
მიც.	„	
ნათ.	„	
მოქმ.	„	„
ვით.	„	„
წოდ.	სახლ-ისა	უფალ-ნ-ო

ბ) მაგრამ თუ მსაზღვრელი საზღვრულის შემდეგაა მოთავსებული, ის იმართვის ამ უკანასკნელის მიერ და ეთანხმება მას ბრუნვასა და რიცხვში, მაგალითად:

სახ.	უფალ-ი	სახლ-ისა-ჲ
მოთხ.	უფალ-მან	სახლ-ისა-მან
მიც.	უფალ-ს-ა	სახლ-ისა-ს-ა
ნათ.	უფლ-ის-ა	სახლ-ისა-ჲს-ა
მოქმ.	უფლ-ით-ა	სახლ-ისა-ჲთ-ა
ვით.	უფლ-ად	სახლ-ისა-(დ)
წოდ.	უფალ-ო	სახლ-ისა-ო

ასე იქნება მაშინაც, როცა მრავლობითს რიცხვშია საზღვრული (უფალ-ნ-ი სახლ-ისა-ნ-ი) ან მსაზღვრელი (უფალ-ი სახლ-თა-ჲ). ასეთ თავისებურ ფორმას ორმაგი ბრუნვის ფორმა ეწოდება. მაშასადამე, (უფალი) **სახლ-ისა-ჲ** ორმაგი ბრუნვა ყოფილა: ნათესაობით-სახელობითი, (უფალ-ს-ა) **სახლ-ისა-ს-ა** — ნათესაო-ბით-მიცემითი და სხვა[1].

ჩვენ აქ ვუჩვენეთ 7 ბრუნვა. ეს მსჯელობა მხოლოდ ამ 7 ბრუნვას ეხება. რაც შეეხება წრფელობითს, რომელსაც ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი ახლავს, მისთვის ეს ორი სახე არ არსებობს, ის თავის მსაზღვრელიანად მუდამ ერთი სახითაა წარმოდგენილი: საზღვრული წრფელობითში, ოდენ ფუძის სახით, მსაზღვრელი ნათესაობითში, რომელსაც მხოლოდ მარტივი **ის** ნიშანი აქვს, მაგალითად: **სახლ-ის** უფალ, მაგრამ მაინც: უფალ **სახლ-ის**. და ეს გასაგებიცაა: ის ემფატიკური **ა**, რომელიც ნათესაობითს ახლავს, როგორც ცნობილია, **მსაზღვრელი** ნაცვალსახელისაგან (ნაწევრისაგან) ბომდინარეობს, ხოლო წრფელობითი სწორედ **განუსაზღვრელი** ბრუნვაა; ის, მაშასადამე, თავისი ბუნებით პრინციპულად გამორიცხავს ამ ემფატიკური **ა**-ს დართვის შესაძლებლობას. ამიტომაა, რომ **ის** (ნათესაობით-წრფელობითის ფორმა) მუდამ სუფთა ბრუნვის ნიშნით გვევლინება, სულ ერთია, როგორი იქნება რიგი: ბსაზღვრელი გაუსწრებს წინ საზღვრულს, თუ პირიქით: საზღვრული მოექცევა წინ.

ერთი კია მაინც აღსანიშნავი: გაცილებით უფრო ხშირია ის შემთხვევები, როცა საზღვრული წინაა და ბას მოსდევს მსაზღვრელი (უფალ სახლის). ეს ჩვეულებრივი ნორმიდან გამომდინარეობს, რომელიც მეფობს ძველ ქართულში და რომლის მიხედვითაც საზღვრული ჩვეულებრივ წინ დგას, მსაზღვრელი ჩვეულებრივ მოჰყვება მას.

მართალია, აქა-იქ გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი **ის** **ა**-თი არის გავრცობილი (მვილ ღმრთ-ის-ა ყოფად), მაგრამ ამნაირი მაგალითები პირვანდელი არაა, შემდეგაა გაჩენილი და კარგადაც ასახავს წრფელობითის რღვევის პროცესს. სწორედ წრფელობითის ამ დაშლა-რღვევის სათავეები თვით ძველ ქართულშია მოცემული და ამ მოვლენის ერთ-ერთი გამოხატულებაა, რომ ნათესაობით-წრფელობითში აქა-იქ თავს წამოჰყოფს ხოლმე მისთვის უცხო ემფატიკური **ა**, თავდაპირველად კი, როგორც ვნახეთ, აქ **ა** არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც გვქონდა, აქ ყველგან მარტივი **ის** იყო.

აქ შეიძლება კიდევ შემდეგიც შევნიშნოთ: თუ ნათესაობით-წრფელობითის ფორმას თავის მხრივ ახლავს სხვა, ახალი მსაზღვრელი, ისიც მარტივი **ის** ნიშნით იქნება წარმოდგენილი (აღმასრულებელ საქმის დიდის).

ახლა ვნახოთ ზემოთ თქმულის მაგალითები.

---

[1] ამ საკითხზე ვრცლად ქვემოთ გვექნება, საუბარი.

საჭურველ **მეცნიერების** არიან ბაგენი ბრძენთანი, იგავ. 14, 7; რაჲთა იქმნე შვილ **ღმრთის**, სვან. 385 a; ყუავილნი ჩემნი არიან ნაყოფ **დიდების** და **სიმდიდრის**, ზირაქ 24, 19; სალმობა **გულის** და გლოვა **გონების** — დედაკაცი მაცილობელი, იქვე, 26, 7; უკუეთუ იპოვოს ხოლო თუ ვინმე მყოფელ **სიმართლის** და მეძიებელ **სარწმუნოების**, ულხინო მას, იერ. 5, 1; და იყოს... სახლი იოსებისი ალ **ცეცხლის**, აბდია 1, 18; ვექმნეთ ჩუენ მიზეზ **კეთილის** ყოველთა, მამ. სწავ. 15; ნაშობ **ღმრთის** ზეცას ვიპოვნეთ, შატბ. 266 b; რაჲთა იყოს მათა ჴურ **ნუგეშინის-ცემის**, უდაბნ. 57 ra; იყოს ჩუენდა... საიდუმლო **მშჯდობის** და ერთობა **სიწმიდის**, პარხ. 5 b; ლაწპარ **ნათლის** ელვარე ხარ, იქვე, 12 a; და ლეკუ **ლომის** წოდებულ იყო, მრავ. 264, 39; იქმნნეს მოძღუარ **უკეთურების** და არა **კეთილის**, თუალთ. 42, 15; და იქმნა იგი ძეგლ **მარილის**, დაბ. 19, 26; მამ. სწავ. 268; ეწოდების მას მზე **სიმართლის**, თარგმ. გამოცხ. 19, 12; ძე **მაღლის** ეწოდოს, ლ. 1, 32; ამისთჳს ერქუა აგარაკსა მას აგარაკ **სისხლის**, მ. 27, 8 C; და იქმნა ღელე **გლოვის**... ნათ-სადგურ **ცხორების**, ხანძთ. 118, 45; ექმნა ყოველთა სახე **კეთილის**, იქვე, 127, 29: სულნელება **საცხებლის**, იპოლ. 2, 57; საცხებელ **სულნელების**, იქვე, 2, 62, 64, 83; რომელიმე სახილავი მოძღუარ **კეთილის** ექმნის, ხანძთ. 111, 36; მარცუალ მდოგჳს ეწოდა, აბო 183, 12; მიზეზ **სწავლის** ექმნებინ მას, აბო 185, 29; მე ყუავილ **ველის**, იპოლ. 17, 3, 17; იქმენ... საუნჯე **სათნოვების**, სას. პოეზ. 119, 115; ასონი... ვყენე ასო **მეძვის**, 1 კორ. 6, 15; წყარო **ცხორების** გუექმნა ჩუენ წმიდაჲ ქალწული, წყარო **სიწმიდის** და **ნათლის**, პარხ. 948 a; და არღარა იყვნენ მერმე... საწერტელ **სიმწარის** და ეკალ **სალმობის**, ეზეკ. 28, 24; ექმენ კუერთხ **ლერწმის** სახლსა ისრაჱლისასა. იქვე, 29, 6.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ ნათესაობით-წრფელობითის მაგალითები, რომლებიც პირდაპირი წყობის მიხედვით იყო წარმოდგენილი, ე. ი. საზღვრული წინ, მსაზღვრელი შემდეგ. ესაა ძველი ქართულისათვის ძირითადი, დამახასიათებელი წყობა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამის გვერდით გვაქვს შებრუნებული წყობაც, როცა მსაზღვრელი საზღვრულის წინაა მოქცეული. მართალია, ასეთი წყობა ძველ ქართულში იშვიათია, რადგან ბევრი მათგანი მკვიდრ კომპოზიტად არის ქცეული და ჩვეულებრივი სახის მსაზღვრელ-საზღვრულზე აქ ზემეტია ლაპარაკი, (ჯუარის-მცუმელი, ხარკის-მომკველი), მაგრამ საერთოდ ასეთი წყობა მაინც გვაქვს. აქ დავასახელებთ ამის რამდენიმე ნიმუშს:

უკეთურმან მან **უკეთურების** ჴურჭელ გუქმნა, უდაბნ. 63 va; რაჲთა იყოს უბრალო, ერთის **ცოლის** ქმარ, ტიტ. 1, 6; იყოს... ერთის **ცოლის** ქმარ, ფრთხილ, წმიდა, 1 ტიმ. 3, 2; აწ სამნი ესე **ერთობის** წიგნ იქმნნეს, იპოლ. 1, 35; ხოლო შენდა ვაჲ თავ ჴუვილის განჴმელ და **უჟამოჲს** ნაყოფ, კიმ. 1, 138, 12.

ნათესაობით-წრფელობითის ფორმასთან ერთად მოცემული ატრიბუტული მსაზღვრელიც წრფელობითის ფორმით იქნება წარმოდგენილი, მაგალითად:

სებასტიანე ჰრქუა: ქსელ დედაზარდლის **განხეთქილ** და **განლეულ** ცხოვრებისაგან, კიმ. I, 140, 6.

როცა ნათესაობით-წრფელობითის ფორმას ახლავს კიდევ სხვა მსაზღვრელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისიც ნათესაობითის მარტივი ნიშნით იქნება წარმოდგენილი, მაგალითად:

რამეთუ გერქუას შენ... მშჯდობა სიმართლის და დიდება **ღმრთის სასოების,** ბარუქ 5, 4; **(ეწოდა)** ძე **მამის უკუდავის,** აბო 181, 22: მუნ ეწოდოს შვილ **ღმრთის ცხოველის,** ჰრომ. 9, 26.

მარტივი **ის** ნიშნით არის წარმოდგენილი სახელი მაშინაც, როცა საზღვრული არა ჩანს (ჩავარდნილია), მაგრამ კონტექსტის მიხედვით იგულისხმება, მაგალითად: არღარა ერქუას ადგილსა ამას ...დასაცემელ და სამაროვან და **სრვის,** იერ. 19, 6: და უწოდა მას **ფიცის,** დაბ. 26, 33, პირველ მაგალითში გამოტოვებულია სტილისტიკური მოსაზრებით, მაგრამ ადვილად იგულისხმება სიტყვა **ადგილ-ი** (არღარა ერქუას... ადგილ **სრვის**), ხოლო მეორეში გამოტოვებულია **ქალაქი,** რაც იქვეა ნახსენები: ამისთჳს უწოდა სახელი ქალაქსა მას ფიცის (იქვე).

როცა ერთ საზღვრულს ახლავს ორი ან მეტი მსაზღვრელი, რომელთაგან ზოგი წინ არის და ზოგი ბოლოს. წესი იგივე რჩება: მართული მსაზღვრელი მარტივი **ის** ნიშნით იქნება მოცემული, ატრიბუტული — წრფელობითის ფორმით (ორივესათვის სულ ერთია, წინ იქნება, თუ უკან), მაგალითად: იყოს ...ერთის **ცოლის** ქმარ, **ფრთხილ, წმიდა.** 1 ტიმ. 3, 2.

დასასრულ, აღვნიშნავ ისეთ შემთხვევებს, როცა ნათესაობით-წრფელობითის ფორმა ემფატიკური **ა**-თია წარმოდგენილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი ანიანი ფორმები გვიანდელი წარმოშობისაა და იმ მდგომარეობას ასახავს, როცა წრფელობითი თანდათან ქრებოდა და მის ადგილს თანდათან იპერდა სახელობითი (უმთავრესად), ან სხვა ბრუნვები (მიცემითი, ვითარებითი). აი ამის რამდენიმე ნიმუში:

და მყვნა ჩუენ სამეუფო მღდელ **ღმრთისა** და **მამისა** თჳსისა, გამოცხ. 1. 6. აქ, რასაკვირველია, მოსალოდნელი იყო **ღმრთის** და **მამის.** აქ ემფატიკური **ა**-ს დართვისათვის ხელი უნდა შეეწყო მსაზღვრელს (თჳსისა), რომელსაც სახელები **ღმრთის** და **მამის ა**-ს გარეშე ვერ მიიღებდა; ამის დამწერს ან მსაზღვრელ „თჳსისა“-ზე უნდა აეღო ხელი და მაშინ გვექნებოდა: სამეუფო მღდელ **ღმრთის** და **მამის,** ანდა, თუ ამ მსაზღვრელს დატოვებდა, წინამავალი მსაზღვრელებისათვის **ა** დაერთო. ჩვენს ტექსტში მეორე გზაა არჩეული. აქ, მაშასადამე, **ა**-ს დართვა, ასე ვთქვათ, ერთგვარი აუცილებლობით არის გამოწვეული. მაგრამ ყოველთვის ასე როდია. რღვევა იმის რღვევაა, რომ ძველი ფორმის ახლით შეცვლა უნდა მოხდეს სხვა, ახალი მიზეზებით, ამ შემთხვევა'ში გათანაბრების ძლიერი ტენდენციით, რომ სხვა ბრუნვებში არსებული **ა** გადავიდეს აგრეთვე წრფელობითშიც და მოხდეს ერთგვარი უნიფიკაცია.

აი ამის ნიმუშებიც:

რაჲთა იყვნეთ შვილ **ნათლისა**, არიმ. 36, 23, 21 (შდრ. რაჲთა იყვნეთ შვილ **ღმრთის**, ფილ. 2, 15); არამედ იქმნის იგი ჟურ **დაჴსნილობისა** და ჟურჟერ **მცონარობისა**, მამ. სწავ. 331; ყვეს თანა-მდებ **სიკუდილისა**, მრ. 14, 64 C; რაჲთა არა ვიყვნეთ გულის-მთქუმელ **ბოროტისა**, 1 კორ. 10, 6: მადლი ნაშობ **ღმრთისა** წოდებისაჲ, სას. პოეზ. 272, 404 (შდრ. რამეთუ იგინი ნაშობ **ღმრთის** იწოდნენ, მ. 5, 9); ესე სირცხვლი მეყავნ მე მიზეზ **ცხორებისა საუკუნოჲსა**, პარხ. 1001 b (თავდაპირველად უნდა გვქონოდა: მიზეზ **ცხორების საუკუნოჲს**); და არღა იყვნენ სასო **სახლისა** ისრაჱლისა. ეზეკ. 29. 16: მიმხუეჭელ **ანგაჰრებისა** არიან. სვან. 400 b (მაგრამ ვარიანტით: მიმბუეჭელ **ანგაჰრების** არიან, პარხ.); იქმნების იგი სუეტ **ჰეშმარიტებისა**, თარგმ. გამოცხ. 3, 12. ეს უკანასკნელი მაგალითი ამოღებულია აპოკალიპსის თარგმანების ქართული ვერსიიდან, რომლის ქართული თარგმანიც ე ქ ვ თ ი მ ე მ თ ა წ მ ი დ ე ლ ს ეკუთვნის[1]. ექვთიმე მთაწმიდელი კი, როგორც ცნობილია, ძალიან ბევრ შემთხვევაში არღვევს ძველი ქართულის ნორმებს და მათ ნაცვლად ახალი ფორმები შემოაქვს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ აქაც ახალი ფორმები იყოს მოცემული მის თარგმანში. შევნიშნავთ აქვე, რომ მსგავსი მაგალითები მისი ხელიდან გამოსულ სხვა თარგმანებშიც ხშირია.

ზემოთ ნაჩვენები წესის საფუძველზე უნდა აიხსნებოდეს აგრეთვე ძველი ქართულისათვის კარგად ცნობილი კომპოზიტის „თაყუანის-ცემის“ ეტიმოლოგიაც.

ეს სიტყვა სამი სახით იხმარება ძველ ქართულში:

ა) ყველაზე გავრცელებული (მაგრამ არა ყველაზე ძველი) სახეა „**თაყუანის-ცემა**“:

რაჲთა მეცა მივიდე და **თაყუანის-ვსცე** მას, მ. 2, 8; იხილეს იგი და **თაყუანის სცეს** მას, მ. 28, 17; მირბიოდა და **თაყუანის-სცემდა** მას, მრ. 5, 6; და ვითარცა მიიწია, მძლავრ შე-ხოლო-ვიდა და **თაყუანის-სცა** პატიოსანსა ჯუარსა, შუშ. 157, 16.

ბ) უძველესი წარწერებისა (და სხვა ძეგლების) ენაში ამ სიტყვაში უბრჯგუ არსად ჩანს, სამაგიეროდ ვინი ჯერ კიდევ თავის ადგილას არის მკვიდრად:

ქრისტე, დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ **თავყანის-მცემელნი** შეიწყალენ, ბოლნ. წარწ.: მე, თემესტია, აღვაშენე საყოფელი ესე საჴსენებელად სულისა ჩემისა, **თავყანისაცემელად** დედათა, მცხეთის წარწ.; და ვითარ იჯმნა თავადმან ერისა მისგან. აღჴდა მთად **თავყანის-ცემად**, მრ. 6; 46 C.

გ) არსებობს გარდამავალი საფეხურის ფორმებიც, რომლებშიც ვ-ც არის დაცული და უბრჯგუც: უკუეთუ **თავყუანის-მცე** შენ ჩემ წინაშე იყოს შენდა, ლ. 4, 7 Ⴔ; უფალსა ღმერთსა შენსა **თავყუანის-სცე** და მას მხოლოსა

[1] საქ. მუზ. ხელნ. H 1346.

ჰვსახურებდე. ლ. 4, 8 E: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ თავყუანის-საცემელ ეწოდოს, მ. 21, 13 C; მრ. 11, 17 C.

ცხადია, ამ სამი ფორმიდან უძველესია მხოლოდ ვინიანი ფორმა: თავყუანის-ცემა, ხოლო „თაყუანის-ცემა“-ში ვინი გადასმულია ყარის შემდეგ და უბრყგუდ არის შეცვლილი. თავყუანის-ცემა კი, როგორც ვთქვით, ამ პროცესის გარდამავალ საფეხურს ასახავს.

მაგრამ ამ კომპოზიტში მთავარია არა ვინისა და უბრყგუს საკითხი, არამედ იმის ახსნა, თუ რატომ დგას ყანა ნათესაობითში ზმნის პირიან ფორმებში: თაყუანის-სცა მას? (საწყისსა და მიმღეობებში, რასაკვირველია, მისი გამართლების საკითხი არც დაისმებოდა). ზოგს ჰგონია, რომ თაყუანის-სცა ნიშნავს „სალმის მიცემას თავის მიწაზე დაკვრით“, სიტყვასიტყვით: „მიწაზე თავის ცემას“. ამ შეხედულების მიხედვით „სცა“ ჩვენს გამოთქმაში ნახმარია „დარტყმის“, „ცემის“ მნიშვნელობით: თავი მიწაზე დაარტყაო. მაგრამ ასეთი გაგების წინაშე აღმართულია ორი დიდი დაბრკოლება: 1) „სცა“ ზმნა სამპირიანია და, მაშასადამე, ირიბ ობიექტს მიცემითში მოითხოვს, აქ კი ეს სახელი ნათესაობითშია დასმული (ყანის); 2) რომ კიდეც დაგვეშვა, რომ თავი „ყანის“ სცა (ე. ი., როგორც ფიქრობენ, თავი ყანას სცა, ე. ი. თავი მიწას დაარტყა) სწორი ფორმაა, მაშინ რაღა საჭირო იყო ამ ზმნასთან მიცემითში დასმული სხვა სახელები (თაყუანის-სცა ჯუარსა, თაყუანის-სცა მას)? „თაყუანის-სცა მას“ ჩვეულებრივი ბუნებრივი გამოთქმაა ძველი ქართულისათვის. აქ „მას“ აუცილებელია და მეორე სახელის ნათესაობითი სხვაგვარად უნდა აიხსნას.

ამ გამოთქმაში, ჩვენი აზრით, უნდა გვქონდეს ჩვენ მიერ ზემორე გარჩეული ორმაგი ბრუნების სწორედ ნათესაობით-წრფელობითის ფორმა: თავ ყან-ის სწორედ ისე, როგორც ზემორე განხილულ სხვა მაგალითებში: ღელე გლოვ-ის, აგარაკ სისხლ-ის, ძე მაღლის, ლეკუ ღომ-ის, წყარო ცხორებ-ის, მზე სიმართლ-ის და სხვ.[1]. მაგრამ რატომ არის თავ წრფელობითს ბრუნვაში? იმიტომ, რომ „სცა“ ზმნა კომპოზიტებში ასე ითხოვს ყველგან. შდრ. ნათელ-სცა მან მას, პატივ-სცა მან მას. ეს ძველი ვითარების გადმონაშთია. ძველად, სახელობითის ჩამოყალიბებამდე, სახელობითის მაგივრობას წრფელობითი ეწეოდა. ეს ვითარება ძველ ქართულამდე მოიტანეს რთულმა ზმნებმა. თუმცა ძველ ქართულში აქა-იქ იმის კვალიცაა დარჩენილი, როცა ამ ზმნასთან ნამდვილი პირდაპირი ობიექტიც წრფელობითშია დასმული ძველებურად, მაგალითად: რამეთუ აღდგენ ცრუ-წინაწარმეტყუელნი და სცენ სასწაულებ დიდ და ნიშებ, მ. 24, 24 C; რამეთუ აღდგენ ცრუ-ქრისტენი და ცრუ-წინაწარმეტყუელნი და ჰცენ სასწაულებ და ნიშებ საცთუნებელად, მრ. 13, 22 C. მაშასადამე, გამოდის, რომ სცა ზმნასთან (რთულ ზმნებში მაინც) ერთი სახელი წრფელობითში უნდა იყოს. ესაა ჩვენს მაგალითში თავ: სცა მან მას თავ. ყანის კი ამ თავ-ის მსაზღვრელია და, როგორც

[1] ნ. მაგალითები ზემოთ, გვ. 185.

ზემორე ნაჩვენები წესი მოითხოვს, იგი მარტივი **ის** ნიშნით უნდა იყოს (და არის კიდეც) წარმოდგენილი: სცა მან მას **თავ ყანის**, ან: „**თავ ყანის სცა**“ მან მას. მაშასადამე, გამოდის, რომ „სცა“ ამ გამოთქმაში ნახმარია მისი ძირითადი მნიშვნელობით, „მიცემის“ აზრით. აქ ფორმალურად ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ერთი შეხედვით არაბუნებრივი ჩანს შინაარსეული მხარე: რას ნიშნავს „თავ ყანის სცა“ მან მას? რომ ეს მოჩვენებითი დაპრკოლება მოისსნას, უნდა ვიცოდეთ, რომ „თავი“ ძველ ქართულში, გარდა მისი ძირითადი მნიშვნელობისა (თუ მნიშვნელობათა), **პატივისცემის, მოკითხვის, სალამის** (поклон) მნიშვნელობითაც იხმარებოდა. ამის დამადასტურებელი მაგალითებია: **თავ-უყავ** მამასა და დედასა, მ. 15, 4 C; 19, 19 C; მრ. 7, 10 C; 10, 19 C; რომელმან... არა **თჳ-ჰუყოს** მამასა თჳსსა, მ. 15. 6 C (სახარების ამ ადგილიდან ეს გამოთქმა გადასულია ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში; მაგალითად, ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში იკითხება: **თავ-უყავ** მამასა შენსა და დედასა შენსა, ევსტ. 167, 12). ყველა ამ შემთხვევაში სხვა ხელნაწერებში იხმარება შესაბამისად: **პატივ-ეც** და **პატივ-სცეს**. **თავი** ამ გაგებით ძარტო ზმნის პირიან ფორმებში კი არ გვხვდება, არამედ საწყისშიც, მაგალითად: ვითარ ჯერ-არს ერთი-ერთისა მიმართ **თავ-ყოფით** ფერჴთა ბანაჲ, ბან. მრაე. (ისტ. ქრესტ. 44, 22); სარგებელ არს **თავ-ყოფაჲ** (**თავის-ყოფაჲ**. — პარხ.) მონისაჲ უფლისა თჳსისაჲ და შეილთა მათთაჲ, სვან. 464 ხ.

აშკარაა, „თავ“-თან აქ დაკავშირებულია ასეთი შინაარსი: პატივისცემა, მოკითხვა, სალამი. თუ ეს ასეა, მაშინ ადვილად გააზრიანდებოდა „თავ ყანის სცა“ მან მას: ეს იქნებოდა: მდაბალი სალამი მისცა მას, მდაბლად მოიკითხა, кла земной поклон და წინადადებაც თავის კალაპოტში ჩადგებოდა.

„თაყუანის-ცემის“ შესახებ ბევრს აქვს გამოთქმული აზრი.

ნ. მარს „ყუანის“ („ყანის“) სანი ვულგარიზმად მიაჩნდა და ვრიგოლ ხანძთელის ცხოვრების გამოცემაში იგი ყველგან ამოაგდო და სცადა მისი დასაბუთებაც [1].

ა. შანიძის აზრით, „ყუანის“ ბოლოკიდური სანი განვითარებულია „ნუგეშინის-სცა“-ს ანალოგიის წყალობით [2].

ა. ჩიქობავა ამ გამოთქმის „სცა“-ს **დარტყმის, დაკვრის** შინაარსით გულისხმობს და მთელ ფორმას ასე განმარტავს: „თავის მიწაზე დაკვრა“, „სალმის მიცემა თავის მიწაზე დაკვრით“ [3].

ამ სიტყვას სხვებიც შეხებიან, მაგრამ ახალი ახსნა არავის მოუცია.

„თავ-ყანის“ ფორმის ზემოთ ნაცემული გაგება (ე. ი. მასში მსახურელ-საბატონოს ჩვეულებრივი შეთანხმების დანახვა) პირველად ჩვენ წარმოვადგინეთ ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში („წრფელობითი ბრუნ-

[1] TP, VII, XLIII.

[2] ა. შანიძე. პრეფიქსები, გვ. 33, შნშ. 1.

[3] ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 230; სახ. ფუძ. 27.

ეის საკითხისათვის ძველ ქართულში", 1941, გვ. 54 — 57, ხელნ.), შემდეგში ეს მოსაზრება სხვა საკითხთან დაკავშირებით გამოვაქვეყნეთ წერილში „ძველი ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობის შესწავლის ისტორიიდან" [1].

5. ნათესაობითი ზომა-წონის, ფასისა და ასაკის გამომხატველ სიტყვებში

ძველ ქართულში მარტივნიშნიანი ნათესაობითის ფორმითაა გამოხატული ზომა-წონის, ფასისა და ასაკის გამომხატველი სიტყვები. ფასისა და ასაკის აღნიშვნის ეს თავისებურება შემჩნეული ჰქონდა ფ. ცორელსაც, ოღონდ ნათესაობითის ამ მარტივ ფორმას ის სხვა ბრუნვად გამოჰყოფდა და მას „Is Kasus"-ს უწოდებდა [2]. ნამდვილად აქ, რასაკვირველია, ნათესაობითი გვაქვს. მარტივნიშნიანი ნათესაობითი, რომელსაც არ სჭირდებოდა განსაზღვრება: გარკვეული რიცხვებით, ზომისა და წონის ერთეულების გამომხატველ სახელს, რა თქმა უნდა, არ სჭირდებოდა განსაზღვრული ნაწევრის დართვა და ამიტომ არც მისი ნარჩენია შემონახული ასეთ გამოთქმებში. ეს ბუნებრივიცაა. მაგრამ ამის გვერდით გვხვდება ა დართული ფორმები, რომლებიც. უეჭველია, მერმინდელი წარმოშობისაა და გამოწვეულია უნიფიკაციისადმი მძლავრი მიდრეკილებით: ყველგან ნათესაობითის ერთნაირი ფორმა დაეკვიდრდეს. მაგრამ რაც უფრო ძველია ძეგლი, მით უფრო ხშირია მაგალითები, რომლებშიც აღნიშნული ტიპის სიტყვები სუფთა ნათესაობითის ფორმითაა წარმოდგენილი.

მაგალითები:

ა) ასაკის გამომხატველი სიტყვები

ოც და ერთის წლის იყო სედეკია, იერ. 52, 1; ასული მარტოჲ ესუა მას, რომელი იყო **ათორმეტის წლის**, ლ. 8, 42; ესე იყო ქურივ ვითარ **ოთხმეოც და ოთხის წლის**. ლ. 2, 37; **ერგასის წლის** არა ხარ მენ, ი. 8, 57; ვითარ იქმნა იგი **ათის წლის**, ხანძთ. 133, 30; ესე იყო ყრმა, ჰაბუკ ვითარ **ათრვამეტის წლის**, გინა უკუნიწს — **აჴჯდმეტის წლის**, აბო, 185, 3; და ვითარ იყო იგი **ექუსის თჯს**, ი. ჯავ. აღწ. 186, 13; და ვითარ იყო ყრმაჲ იგი **წელიწდის ერთის**, იქვე, 186, 19; ვითარ იყო ყრმაჲ იგი **ორის წლის** ოდენ. იქვე, 186, 37.

როგორც დავინახეთ, როცა „წელი"-ს მსაზღვრელი რიცხვითი სახელი შედგენილობით რთულია, წელს ნათესაობითში ეთანხმება უკანასკნელი შემადგენელი ნაწილი. წინა რიცხვები ფუძის სახით არის წარმოდგენილი, მაგალითად. **ოთხ-მეოც და ოთხის წლის** და სხვა.

---

[1] ენიგ. შრომები, ტ. 59, 1955, გვ. 183—185.

[2] F. Zorell, Grammatik... 1930, გვ. 101—102.

მაგრამ აქათ გვერდით არის შემთხვევები, როცა რიცხვითი სახელი მხოლოდ ფუძის სახით არის მოცემული და წელს არ ეთანხმება იგი. მაგალითად: ოდეს იქმნიან სამეოც და ათ წლის, კიმ. I, 53, 26; და ღირთა ყრმა იყო იგი ვითარ ოც და ათ წლის, ევსტ. 160, 16; ასული მარტოჲ ესუა მას, რომელი იყო ათორმეტ წლის, ლ. 8, 42 C.

რომელია ამ ორნაირი ფორმიდან პირვანდელი და რომელი — შემდგომ მიღებული? შეიძლებოდა ორნაირი ახსნა მოგვეცა:

ა) პირვანდელია შეუთანხმებელი ფორმები (ათორმეტ წლის). საერთოდ, შემჩნეულია, რომ რიცხვითი სახელები უძველეს ძეგლებში ხშირად ფუძის სახით გვხვდება მაშინაც, როცა მისი საზღვრული გარკვეულ ბრუნვაში დგას (ექუს ეაჩადმდე. ნეემია 8, 3: ათ წყართასა, ზაქარ. 5, 2; ექუს ქსესტისაჲ, ეზეკ. 45, 24: ხუთ ეამისა, ამონ. 208, 12; და სხვ.). შესაძლებელია ასეთ მსაზღვრელებს სხვა, ჩვეულებრივი ფორმების ანალოგიით საზღვრულთან შესათანხმებლად მერმე დაერთო ნათესაობითის ნიშანი (ათორმეტ წლის → ათორმეტის წლის).

ბ) პირვანდელია სწორედ შეთანხმებული ფორმები (ათორმეტის წლის), რომელთაც შემდეგ ჩაეწეკვეცა ის ნიშანი ანალოგიით. ასეთი შეკვეცა და გამარტივება ფორმებისა საერთოდ ნათელ ზოლად გასდევს ძველ ქართულს. იგი სხვა მოვლენების განვითარების პროცესშიც მკაფიოდ შეინიშნება. ამ დაშვების სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ, როცა მოსალოდნელია დასმულ კითხვაზე მოკლე პასუხი გაიცეს მხოლოდ რიცხვის დასახელებით, ეს რიცხვი მუდამ ნათესაობითშია და არა წრფელობითში (ფუძის სახით), მაგალითად:

ნომერიანოს ჰრქუა დედასა მათსა: პირველი ძე შენი რავდენის წლის არს? მან მიუგო და ჰრქუა: — ათორმეტის[1]; მეორე რავდენის წლის არს? მან ჰრქუა: — ცხრის; მესამე რავდენის წლის არს? მან ჰრქუა: — შჳდის, კიმ. I, 47, 13 — 15. არაა ინტერესმოკლებული აღვნიშნოთ, რომ თვით კითხვაც ყოველთვის ნათესაობითის ფორმითაა მოცემული: რავდენის წლის არს. აჱ ორი შესაძლებლობიდან ჩვენ უფრო უკანასკნელისაკენ ვიხრებით.

ჩოლოს დავუმატებთ აქვე, რომ ზოგიერთ ძეგლში ასახულია ამ მოვლენის განვითარების შემდეგი საფეხურები: ხან საზღვრულს (სამ წლისა), ხან მსაზღვრელსა და საზღვრულს ერთად (ათორმეტისა წლისა) აქვს დამატებული ემფატიკური ა; კიდევ მეტი: საზღვრულს (წლისა) ამასთან ერთად, ალბათ ნაგულისხმევ სახელთან შესათანხმებლად (იგი იგულისხმება სახელობითში), ემატება სახელობითის ნიშანი ჲ (წლისაჲ). აი ამათი ორიოდე ნიძუში:

---

[1] გამოც.: თორმეტის. ა-ს დაკლება წინა სიტყვის ბოლოკიდური ა-ს მიერ უნდა იყოს გაპირობებული: „ჰრქუა თორმეტის", სადაც ა ორივე სიტყვას ეკუთვნის.

ხოლო იყო რაჲ ნეტარი გრიგოლი **ათორმეტისა წლისა**, კიმ. I, 125, 6; მომგუარე მე დიაკეული სამ **წლისაჲ** და თხაჲ სამ **წლისაჲ** და ვერძი სამ **წლისაჲ**, დაბ. 15, 9; ხოლო იგინი იყუნეს რომელიმე **ცხრისა წლისაჲ** და რომელიმე **შჳდისა წლისაჲ**, ლიტ. ურთ. 186, 7.

ბ) ფასის გამომხატველი სიტყვები

ფასის გამომხატველ სიტყვებად გვხვდება ყველაზე ხშირად **დრაჰკანი, ვეცხლი**, რომელნიც ნათესაობითში დგანან და ნარტიცი ის ნიშნით არიან წარმოდგენილი, მაგალითად:

სამაგდანი იფქლი **დრაჰკნის** და სამი სამათგანი ქერი **დრაჰკნის**, გამოცხ. 6, 6 (**დრაჰკნის** = დრაჰკნად ღირებული); რომელი-იგი **სასყიდლის** ყუეს ძეთა ისრაჱლისათა, მ. 27, 9 C (= დააფასეს, შეაფასეს); რამეთუ ღირდა განსყიდად **დიდ-ძალის**, მ. 26, 9 C (იგულისხმება „სასყიდლის“: დიდძალის სასყიდლის); მოჰეცით მე ქუაბი იგი მრჩობლი... **ვეცხლის** რაჲ ღირდეს, დაბ. 23, 9; ჰრქუა მას პეტრე: მითხარ მე, უკუეთუ **ესოდენის** განჰყიდეთ დაბაჲ იგი? ხოლო მან ჰრქუა: ჰე, **ეგოდენის**, მოც. 5, 8.

უფრო ხშირად ფასის აღნიშნელ სიტყვას წინ უძღვის რაოდენობითი რიცხვითი სახელი, რომელიც უჩვენებს აღნიშნული ფასის რაოდენობას. ეს რიცხვითი სახელიც, რასაკვირველია, ნათესაობითში დგას და ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში. ამის ნიმუშებია:

ანუ არა ხუთი სირი განისყიდების **ორის დანგის**, ლ. 12, 6; ჴერ-იყო განსყიდად ნელსაცხებელი ესე **სამასის დრაჰკნის** და მიცემად გლახაკთა, მრ. 14, 5 C; ეტლი ერთი ასის **სასწორის ვეცხლის** და ცხენი ერთი **ერგასის სასწორის**, 3 მეფ. 10, 29; რაჲსათჳს ნელსაცხებელი ესე არა განიყიდა **სამასის დრაჰკნის** და მიეცა გლახაკთა, ი. 12, 5; არა თუ **სამასის დრაჰკნის** განყიდო, იპოლ. 2, 135; ესე საცხებელი მოიძულა იუდა და ოც და **ათის დრაჰკნის** ქრისტე განყიდა, იპოლ. 2, 250.

აქაც გვხვდება შემთხვევები, როცა მსაზღვრელს (რიცხვითის სახელს) ჩამოცილებული აქვს ბრუნვის ნიშანი და მხოლოდ ფუძის სახითაა წარმოდგენილი, მაგალითად:

მასმიეს, ვითარმედ **ოთხას სასწორის** არს, დაბ. 23, 15; და წარვიდეს კაცნი იგი ვაჭარნი მადიამიტელნი... და მიჰყიდეს იოსებ ისმაიტელთა მათ **ოც დრაჰკნის**, დაბ. 37, 28. ლაგურკის ხელნაწერში ამ ადგილას რიცხვიც სხვაა ბოცემული და ბრუნვაც: **ოც და ათ დრაჰკნად**. ეს **დრაჰკნად** ახალ ქართულს ესაუურება. აღნიშნულ ხელნაწერში ამგვარი, ახალ ქართულთან ახლობელი ფორმები სხვაც ბევრია.

დასასრულ, აქაც აღვნიშნავ, რომ ტექსტებში ზოგან გვხვდება ა დართული ფორმები, რომლებიც, როგორც დავრწმუნდით, გვიანდელი წარმოშობისაა და ნაჩვენები წესის რღვევას გვიჩვენებს. მაგალითად, ზემოთ ერთგან მოყვანილი „ღირდა განსყიდად დიდ-ძალის (სასყიდლის)“,

რომელიც ადიშის ძეგლში არის მოცემული, DE-ში ასეა შეცვლილი: შესაძლებელ იყო განსყიდად ესე **დიდძალისა სასყიდლისა**. შდრ. ამას: შესაძლებელ იყო ესე განსყიდად უფროჲს **სამასისა დრაჰკნისა** (მრ. 14, 5). ნათესაობითის სრული ფორმები აქ გამოწვეულია „უფროჲს“-ის მიერ, რომელიც გავრცობილ ფორმებს ითხოვს. რომ ეს „უფროჲს“ არა, არც ემფატიკური ანები გვექნებოდა. შდრ. C-ს მაგალითი (ჯერ-იყო განსყიდად ნელსაცხებელი ესე **სამასის დრაჰკნის**), რომელიც ზემოთ არის თავის ადგილას მოყვანილი (გვ. 192).

გ) ზომა-წონის გამომხატველი სიტყვები

ზომა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: ზომა სიგრძისა, მანძილისა; დროის ერთეულების სათვალავი, ცალკეული საგნების ცალები და სხვა. ასევე ითქმის წონის შესახებაც. ყველა ასეთი ერთეული ტექსტებში ნათესაობითის მარტივი ნიშნითაა მოცემული. აქ ჩვენ მოვიყვანთ ნაჩვენები შინაარსის მაგალითებს ერთად:

და ვითარ მიჲლეს **დღის ერთის** გზაჲ, ლ. 2, 44 C; და შევიდა იონა ქალაქსა მას ვითარ **დღის ერთის** ოდენ, იონა 3, 4 (მაგრამ: ხოლო ნინევი იყო ქალაქი ღმრთისაჲ დიდი, ვითარ სავალი იყო იგი **სამისა დღისა** გზა, იონა 3, 3); და იყო ვითარ **სამის** ოდენ **ჟამის** დაყოვნება, მოც. 5, 7; და მოიგო მუნ ნაწილი იგი ველისაჲ... **ასის ტარიგის**, დაბ. 33, 19; შორის რაითსა და შორის მთასა სინასა არს **ორის დღის** სავალი პირსა ზღუსა მეწამულისასა, ამონ. 205, 30; საზომით **ერთის ლერწმის**, ეზეკ. 42, 12; სასყიდელი მეძვისაჲ ვითარცა **ერთის ჯუეზის პურის**, იგავ. 6, 26; და სასწორი ჰორლის-პირისა მისისაჲ იყო **სამასის** სიკლის **პილენძის**, 2 მეფ. 21, 16.

6. ნათესაობითი ზოგ თანდებულთან და სახელთან

მარტივნიშნიანი ნათესაობითი ზოგჯერ იხმარება აგრეთვე ზოგ თანდებულსა და სახელთან. თანდებულთაგან უნდა დავასახელოთ **წინა, წილ.** აგრეთვე **შემდგომად**, რომელიც თანდებულის როლში გამოდის; სახელთაგან ვეჩვენებთ **სახეს** (სახედ), **მსგავსს** (მსგავსად) და იშვიათად **სწორს**, რომელიც, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული (გვ. 21). „თანასწორს“, „ტოლს“, ე. ი. არსებითად მაინც მსგავსს აღნიშნავს. ასე რომ, სამივე ეს სახელი არსებითად ერთი მნიშვნელობით იხმარება.

ა) ნათესაობითი თანდებულებთან

წინა:

ქუხილის წინა ისწრაფის ელვამან, ზირაქ 32, 11; იქმოდეთ თქუენ ქველის-საქმესა თქუენსა **ჟამის წინა** და მან მოგცეს თქუენ მოუკლებელი იგი სასყიდელი ჟამსა თჳსსა, ზირაქ 51, 38; **სიკუდილის შენის წინა** იქმოდე სიმართლესა, ზირაქ 14, 15.

წინა მის ამ თვისებას არ კარგავს მაშინაც, როცა მას ზედსართაეის ფუნქციაც აქვს შესასრულებელი, მაგალითად: ვითარცა იყვნეს

დღეთა მათ რლუნის წინათა... ეგრე იყოს მოსლვაჲ იგი ძისა კაცისაჲ, მ. 24, 38 C.

წილ: ერთი იგი დღე ორის წილ შეიქმნა, ზირაქ 46, 5.

შემდგომად: უკუეთუ დაეპყრას (პარვასა), შჯდის წლის შემდგომად ზღოს, იგავ. 6, 31.

ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში (სამსავე შემთხვევაში) თანდებული ბოლოს არის. სახელი უსწრებს მას წინ. ეს შემთხვევითი არაა. თუ ამ თანდებულმა (სადაც შესაძლებელია; ეს აქ უმთავრესად შეეხება „შემდგომად“-ს) პირველი ადგილი დაიჭირა და მას მოჰყვა სახელი, ეს უკანასკნელი მუდამ ნათესაობითის გავრცობილი ფორმით იქნება წარმოდგენილი: შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე, მ. 17, 1; შემდგომად ჰირისა მის... მზე დაბნელდეს, მ. 24, 29 და სხვ. დაკსძენთ ბოლოს, რომ ჩვენი მაგალითი (შჯდის წლის შემდგომად) უფრო ძველი ვითარების მაჩვენებელია. ძველ ქართულში გავრცელებული „ამისა შემდგომად“ ორმაგი ბრუნების საფუძველზე უნდა აიხსნას.

ბ) ნათესაობითი სახელებთან

აქ ყველაზე ხშირად იხმარება ხახე (სახედ), მერმე—მსგავსი (მსგავსად), იშვიათად—სწორი. ყველა ამ შემთხვევაში ამ სახელებთან წარმოდგენილი ნათესაობითი მარტივი არ ნიშნითაა მოცემული; ეს ეხება როგორც იმ შემთხვევებს, როცა სახე (მსგავსი) და მასთან წარმოდგენილი სახელი ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად დგანან, ისე ისეთებსაც, როცა აღნიშნული წყვილი ფორმები ერთმანეთთან შინაარსეულად, მჭიდროდ არიან დაკავშირებული და კომპოზიტის ელფერი გადაჰკრავს. მაგალითები:

ა) სახე (სახედ):

და არცა დაადნობდა მყინვრის-სახესა ადვილად დასადნობელსა თესლსა ზეცისა საზრდელსა, სიბრძ. 19, 20; და არცა მჭეცის-სახემან მან თევზმან... უდაბნ. 54 rb; რომელი... დასწერდა ბროლის-სახეთა ფიცართა ზედა, სპევს. 51, 3; აქუნდა ჯაჭუები ცეცხლისა და ვაკინთისა და წუმწუბის-სახენი, გამოცხ. 9. 17.

„სახენი“ აქ სხვა ორ სახელსაც ეკუთვნის, ესაა: ცეცხლისა და ვაკინთისა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ნათესაობითის მარტივი ნიშანი მარტო იმ სახელსღა შერჩენია, რომელიც უშუალოდ უძღვის წინ „სახენი“-ს (წუმწუბის-სახენი). წიგნი, რომლიდანაც ეს ადგილი შოგვყავს, ქართულად ნათარგმნია X ს-ს სამოცდაათიან წლებში ექვთიმე მთაწმიდლის მიერ[1]. ამ დროისათვის ასეთი მერყეობა გასაგებია. ეს შრომა (იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება) ექვთიმე მთაწმიდლის ამ თარგმანიდან (საქ. მუზ. ხელნ. H 1346) გადაუწერიათ და შეუტანიათ საქ. მუზ. A 397 ხელნაწერში, სადაც სამივე სახელი გავრცობილი ნიშნითაა მოცე-

[1] ჯ. ქეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 170, 174.

მული: **ცეცხლისა და ვაკინთისა და წუმწუბისა** სახენი. მეათე საუკუნის შემდეგი დროისათვის ამნაირი ფორმები გასაკვირი არაა.

...მნათობი მისი მსგავს იყო ქვისა პატიოსნისა, ვითარცა ქვასა იასპ. **სა ბროლის-სახესა**, გამოცხ. 21, 11; და ქმნა ათნი **ქოთნის-სახენი** ქუაბნი პილენძისანი, 3 მეფ. 7, 38; გრძლაბი... მომრგუალე არს, **ბირთჳს-სახე** ხატითა, სახისმეტყ. (ისტ. ქრესტ. 283, 22); **ნიგუზის-სახ**ჲ, სახისმეტყ. 22, 16; არა არიან უნივთონი იგი ძალნი და **ელვის-სახენი** იგი ცეცხლებრ მოტყინარენი, კიმ. I, 177, 19.

განსაკუთრებით ხშირია შემთხვევები, როცა **სახე** ვითარებითში დგას. ასეთი გამოთქმები ძალზე გავრცელებულია ძველ ქართულში და ბუნებრივადაც არის გამოყენებული ვითარების გარემოების გადმოსაცემად. დავასახელებ მხოლოდ ასეთ გამოთქმებს (უკონტექსტოდ): ცუარის სახედ, სპევს. 46, 1; პილენძის სახედ, თუალთ. 14, 11; არმურის სახედ, იქვე, 12, 6; მროწლის სახედ, 3 მეფ. 7, 42; ცეცხლის სახედ, მოქც. (ისტ. ქრესტ. 278, 13, 23); ჯუარის სახედ, აბო 195, 28; თექლ. 105, 7; 114, 22; ოქროჲს სახედ, Опис. 122, 1; მღილის სახედ, იობ 4, 19; ელვის სახედ, სას. პოეზ. 264, 187; მჴეცის სახედ, ლიტ. ქრესტ. 82, 46; ძეგლის სახედ, მრავ. 309, 10; ნათლის სახედ, კიმ. I, 282, 26; ყუავილის სახედ, მრავ. 308, 15; ღრუბლის სახედ, იქვე, 308, 22; ზღუდის სახედ უძრავისა, ხანძთ. 108, 44; 115, 28. საინტერესოა ეს უკანასკნელი მაგალითი: ერთი მსაზღვრელი ის-ით არის წარმოდგენილი (ზღუდის), მეორე ის-ა-თი (უძრავისა). ეს იმიტომ, რომ ერთი წინაა მოქცეული, მეორე — ბოლოს. მაშასადამე, რიგს ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შდრ. მაგალითად: **ტრედის სახედ** (სას. პოეზ. 112, 274), მაგრამ: **სახედ ტრედისა** (იქვე, 223, 96). და ეს ასეა არა მარტო ჩვენს შემთხვევაში. რიგს ბევრ სხვა შემთხვევაშიც აქვს ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა (შდრ. მაგალითად: **მათ** შორის, მაგრამ: შორის **მათსა, მის** წინაშე, მაგრამ: წინაშე **მისა**), რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ზემოთ აღნიშნული წესი დაცულია მრავლობითშიც: აქ მხოლოდ **თ** გვაქვს და არა **თ-ა**ჲ ხარებად **პირუტყუთ-სახეთა** მათ კაცთა, მოქც. 37, 1.

მაგრამ გვხვდება ამ წესის დარღვევის შემთხვევები, როცა სახელი ნათესაობითის სრული ნიშნითაა მოცემული, მაგალითად: **სანთლისა ბრწყინვალისა** სახედ, მრავ. 308, 38. ამ მაგალითში ა-ს დართვა უნდა იყოს გამოწვეული მსაზღვრელის გამო; **სანთლისა** რომ მარტო ყოფილიყო და „ბრწყინვალისა“ არ დამატებოდა, მას ა-ც არ ექნებოდა (სანთლის სახედ). მაგრამ ხანდახან ასეთი გამართლების გარეშეც გვეელინება ანიანი ფორმები, რაც გვიანდელი წარმოშობისაა და ენის უნიფიკაციისადმი ძლიერი მიდრეკილებით უნდა აიხსნას.

ბ) მ ს გ ა ვ ს ი (მსგავსად):

იაკინთისა ფერი მბრწყინვალ**ჲ** (არს). **ცეცხლის** მსგავს, **ფანაკის** მსგავს სიმეწამულითა, თუალთ. 11, 27; მცველთა მათ ჭერობინთა **ცეცხლიხ** მსგავსთა ვერ განგიკითხეს, აბო 200. 34; არს სხუაჲ მჴეცი ნილოს მდინარესა,

მწვანის მსგავს არს, სახისწეტყ. (ისტ. ქრესტ. 286, 12); რომელი-იგი ხატად **მსუენის** მსგავს არს, იქვე, 286, 13; იხილეს ცხედარი იგი **ხამარის** მსგავსად შემკული, 1 მეფ. 19, 16.

მაგრამ აქაც გვხვდება ამ წესის დარღვევის შემთხვევები: სახელს ემფატიკური ა აქვს: **ელვისა** მსგავსი, სას. პოეზ. 267, 261: **ალისა** მსგავსი, იქვე, 268, 296.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ როცა ეს **მსგავსი** შედგენილ შემასმენელში შედის სახელადს ნაწილად, სახელს, როგორც წესი, მიცემითში მოითხოვს, იშვიათად ნათესაობითში (მაგრამ ორივე შემთხვევაში სრული ნიშნით), მაგალითად:

მსგავს არს იგი **კაცსა** ცოფსა, მ. 7, 26; მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ **კაცსა** მთესველისა კეთილისა თესლისა, მ. 13, 24 C: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ **მარცუალსა** მდოგჳსასა, მ. 13, 31; მსგავს არს იგი **ცომსა**, ლ. 13, 21.

ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში ამ **მსგავს**-თან ერთი და იგივე სახელი ხან ნათესაობითშია მოცემული, ხან — მიცემითში: მნათობი მისი მსგავს იყო **ქვისა პატიოსნისა**, ვითარცა **ქვასა იასპსა** ბროლის-სახესა. გამოცხ. 21, 11. ხოლო როცა ის დამოუკიდებელ სახელადაა ნახმარი, მაშინ ნათესაობითს ითხოვს, მოსდევს ამ სახელს და, როგორც ვნახეთ, ნათესაობითს მარტივი ნიშნით იძლევა.

ც) სწორი:

და ყოველი ქუეყანაჲ გუგასა თუალისა მისისასა მცირესა **მარგალიტის** სწორსა შეაყენის, მოქც. 82, 5. მაგრამ იქვეა ანიანი ფორმაც: მოიღო სეტყუაჲ **ლიტრისა** სწორი, იქვე. 94, 17.

7. ნათესაობითი ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში

აქ იგულისხმება ისეთი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა პირველი ნაწილიც ნათესაობითში დგას. პირველი მათგანი მსაზღვრელადაა გამოყენებული, მეორე — საზღვრულად. ეს კომპოზიტები ჩვეულებრივ ერთცნებიანია და ახალ ქართულზე თარგმნისას ერთი სიტყვით გადმოგვაქვს.

რიცხვი ასეთი სიტყვებისა მეტად მცირეა. შინაარსის მიხედვით ზოგი მათგანი არსებითის გაგებას იძლევა (ზღუდის-ზღუდე, ციხის-ციხე), ზოგი — ზედსართავისას, ხოლო ზოგს ზმნიზედის მნიშვნელობა აქვს (ზედაჲს-ზედა) და არ იბრუნება.

მიუხედავად მათი შინაარსობლივი განსხვავებისა, ყველა მათ ის საერთო თვისება აერთიანებს, რომ პირველი სიტყვის ნათესაობითი მხოლოდ მარტივი **ის** ნიშნით აქვს წარმოდგენილი და არასოდეს არ შეიძლება შეგვხვდეს აქ სრული **ის-ა**. ჩვენ აქ მხოლოდ ეს გარემოება გვაინტერესებს და ამიტომ შეიძლება ამასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს ალარ გამოვუდგეთ და მაგალითების მოყვანით დავკმაყოფილდეთ.

მაგალითებს დაეალაგებთ ანბანის რიგზე.

1. გარის-გარე: რომელი იტყოდა იდუმალ მოყუსისა თჳსისათჳს ძჯრსა, იგი **გარის-გარე**[1] ვდევნე, ფსალმ. 100, 5.
2. ზატიკის-ზატიკი: აღჰმართეს... ნიში ჯუარისაჲ... აღვსებისა **ზატიკის-ზატიკსა**, ჰოქც. 39, 10; დააწესეს დღესასწაული... აღვსებისა **ზატიკის-ზატიკსა**, იქვე, 39, 20.
3. ზედაჲს-ზედა: ხოლო მიერ დღითგან იყო ანგელოზი იგი მარადის ნეტარისა გრიგოლის თანა და **ზედაჲს-ზედა** გამოეცხადებიან მას, კიმ. I, 130, 27; რაჲსათჳს. მოწაფენი იოვანესნი იმარხვენ **ზედაჲს-ზედა** და ვედრებასა ჰყოფენ, ლ. 5, 33 (ზედაჲს-ზედა=ზედიზედ, მუდამ, გამუდმებით).
4. ზოგის-ზოგი: და **ზოგის-ზოგიჲ** ჩუენი მოისრას, არავინ იყოს, რომელმანმცა ნუგეშინის-მცა ჩუენ, 2 მეფ. 18, 3.
5. ზღუდის-ზღუდე: არა შემოვიდეს ქალაქსა, არცა სტყორცოს მან ისარი, არცა მოიღოს მას ზედა ფარი, არცაღა მოადგას **ზღუდის-ზღუდე**, ესაია 37, 33; მოუჭდეს მას ზედა მეფჱ დიდი და მოიცვეს იგი (ქალაქი) და აღუშჱნოს მას გარემო **ზღუდის-ზღუდჱ** დიდი, ეკლეს. 9, 14 (ოშკი); მოვიდა ნაბუქოდონოსორ, მეფჱ ბაბილონისაჲ, და ყოველი ძალი მისი იერუსალჱმსა ზედა და **ზღუდის-ზღუდჱ** აღაქმნეს მას გარემო ქვითა თლილითა, იერ. 52, 4; მოაქმნა მას გარემო **ზღუდის-ზღუდჱ** და მოიცვა ქალაქი იგი, 4 მეფ. 25, 2.

ეს **ზღუდის-ზღუდე** უნდა იყოს ომის დროს ქალაქის (ან სხვა) დასაცავი (ასაღები) კედელი, სანგარი, შემოსანგრული სიმაგრე, დიდი გალავანი და მისთ.

6. კიდის-კიდე: პარხ. 567 გ.
7. შიგნის-შიგანი: და მოეთხარეთ **შიგნის-შიგანსა** ქუაბსა, რამეთუ იყო გარეჱშე მისი ქუაბსა ორი შესავალი, და მუნ დავდევით გუამი იგი პატიოსანი, პარხ. 1032 ხ.
8. ციხის-ციხე: დაიპყრა **ციხის-ციხჱ** იგი სიონისაჲ, 2 მეფ. 5, 7; და თჳთ აღიჭურა იგი, რაჲთა მბრძოლთა მათ მიერ ქუეყანით მანქანითა მით, რომელ შეექმნა **ციხის-ციხჱ**, ამის მიერ ზღუდჱ დაჰსცენ ქალაქისაჲ, თხრობ. 28, 31.
9. ჴიდის-ჴიდი: და შეუედ სიმაღლესა ადგილთა მაღნარისათა და დავდევ **ჴიდის-ჴიდი** და მოვაოჴრენ წყალნი და ყოველი შესაკრებელი წყალთაჲ, ესაია 37, 24.

ასეთივეა საქმის ვითარება, როცა პირველი სიტყვა მრავლობითს რიცხვშია; მრავლობითის ნიშანი ასეთ შემთხვევაში არის მარტივი ო და არა

[1] ხელნ.: გ̃რის გ̃რე (გვ. 151 ვ).

რთული თ-ა. მართალია, ასეთი სიტყვების მნიშვნელობა განსხვავდება ზემოთ ნაჩვენებთაგან, აქ აშკარად იგრძნობა კომპოზიტის შემადგენელ ნაწილთა დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ამასთან მსაზღვრელი სიტყვის აზრი უფრო მკაფიოდ ჩანს, მაგრამ ფორმა, გარეგანი სახე მაინც ერთია და ამიტომ შემოგვაქვს აქ. ასეთი სიტყვებია:

ერისთავთ-ერისთავი, რომლისგანაც არის ნაწარმოები **ერისთავთა-ერისთვობა** (იანძთ. 154, 18).

მეფეთ-მეფე: ამას ბრძანებს მეფე სპარსთაჲ ხუარა და მეფეთ-მეფე ხუარან ხუარა, მოქც. (ისტ. ქრესტ. 277, 28).

მოქმედებითი ბრუნვა

ემფატიკური ა-ს გარეშე ყველაზე ხშირად მოქმედებითი ბრუნვა გვხვდება. **ით** ნიშნიან მოქმედებითს ძველ ქართულში **მრავალი ფუნქცია** აქვს დაკისრებული, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე მიცემითსა და ნათესაობითს. მეორე მხრივ, თითოეული ეს შემთხვევა ძალზე გავრცელებულია და თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგვხვდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედებითის მიერ შესრულებული ეს ფუნქციები ერთმანეთს დიდი მანძილით არის დაცილებული, მათ შორის შინაარსობლივად დიდი განსხვავებაა. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ მოქმედებითის ზოგ ამ ფუნქციათაგანს ცალკე გამოჰყოფენ და მას ცალკე ბრუნვის სახელით ნათლავენ. ასე იქცევა, მაგალითად, ფ. ცორელი, რომელიც ჩვეულებრივს **ით-ა** ნიშნიან მოქმედებითს Instrumental-ს უწოდებს (ყან-ითა, ძ-ითა), ხოლო **ით** ნიშნიანს, მისი ერთ-ერთი ცნობილი ფუნქციის გამო, — Ablativ-ს (ყან-ით, ძ-ით) და ბრუნვათა პარადიგმებში ისინი ცალკე ბრუნვებად შეაქვს[1]. და ასე იქცევა არა მარტო ერთი ცორელი.

მოქმედებითის ყველა ფუნქცია ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ აღნუსხული და შესწავლილი. მოქმედებითის ეს ფუნქციები დაწვრილებით რომ ყოფილიყო ცნობილი, უნდა გვეფიქრა, მათგან კიდევ სხვა, ახალ ბრუნვებს „შექმნიდნენ“, რადგან, როგორც ჩანს, ბრუნვის დადგენისათვის მხოლოდ მისი ფუნქცია მიაჩნდათ საკმარისად და ანგარიში არ ეწეოდა ფორმას. ჩვენთვის, რასაკვირველია, გამოსავალია ბრუნვის ფორმა და არა მისი შინაარსი, ფუნქცია. ბრუნვის დადგენისათვის, რომ შინაარსს გავჰყვეთ, მოქმედებითი ბრუნვის **ერთი ფორმიდან** 15 — 16 ბრუნვას მივიღებდით. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ ბრუნვის ერთსა და იმავე ფორმას შეუძლია ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაარსი გადმოსცეს. ასე, მაგალითად, **თარშით, აღმოსავლით** სხვადასხვა კონტექსტში ნიშნავს, ერთი მხრივ, „თარშიდან“, „აღმოსავლეთიდან“ (=გამოსვლითი ან დაწყებითი ბრუნვა, Ablativ), ხოლო, მეორე მხრივ, „თარშისაკენ“, „აღმოსავლეთისაკენ“ (=მიწევნითი ან მიმართულებითი ბრუნვა). მაგრამ ორივე ამ შემთხვევაში სახელის ფორმა ერთი და იგივეა, მხოლოდ შინაარსია სხვადასხვანაირი. თუ ამ მხრივ განვიხი-

[1] F. Zorell, Grammatik... გვ. 19—24.

ლავთ მოქმედებითი ბრუნვის ხმარების აღნიშნულ სხვადასხვა შემთხვევებს, დავინახავთ, რომ მათ ყველგან ერთი ფორმა, ერთი ნიშანი აქვთ (ით), რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში ემატება ემფატიკური ა (ით-ა). ამდენად, ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ ერთ ბრუნვასთან გვაქვს საქმე, რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო მრავალი ფუნქცია აქვს დაკისრებული. ამ ბრუნვას ტრადიცია, მართებულად თუ უმართებულოდ, მოქმედებითს უწოდებდა და უწოდებს ახლაც. ჩვენც ამ ტრადიციას მივჰყვებით და ამ სახელწოდებას ვტოვებთ.

მოქმედებითის ფუნქციებზე საერთოდ ქვევით გვექნება ცალკე საუბარი. აქ კი ჩვენ უნდა მიმოვიხილოთ, თუ რა და რა შემთხვევაში იხმარება მოქმედებითი, რომელსაც ბრუნვის ნიშნად აქვს მარტივი ით და არა რთული ით-ა. რამდენადმე ეს იქნება აგრეთვე ამ ბრუნვის ფუნქციათა შესწავლაც, მაგრამ სრულად ამ ფუნქციებს, როგორც უკვე ვთქვით, ქვევით შევეხებით (ნ. II ნაწილი).

1. მოქმედებითი ვითარების გარემოებად

ით ნიშნიანი მოქმედებითის ფუნქციათა შორის საზოგადო სახელებში ყველაზე გავრცელებულია მისი გამოყენება ვითარების გარემოების გამოსახატავად. ესაა მოქმედებითი ბრუნვის ერთ-ერთი უძველეს ფუნქციათაგანი. მართლაც, ძველი ქართულის ძეგლებში კითხვაზე **როგორ?** (ძველი ქართული: **ვითარ?**) უპასუხებს მოქმედებითს ბრუნვაში დასმული სახელი, რომელსაც ბრუნვის ნიშნად აქვს ით სუფიქსი, მაგალითად:

და ვითარცა პოვა, **სიხარულით** აღიღო და დაიდვა მჯართა თჳსთა ზედა და **კრკუნვით** და **ფუფუნებით** მოაქუნდა სამწყსოსა მას არაწყმედულსა, პარხ. 487 b; წეს-არს, რაჲთა განიმზადოს ქალწულებაჲ იგი მისი, რომლისათჳს-იგი ტყუებული არს არა თუ **ფუფუნებით**, **ნუკჳვით** და **სამკაულით**, არაჱედ **მარხვით** და **შრომით** და **ქველის-ხაქმით**, სვან. 473 b; პური შენი **სალმობით** ჰამე და წყალი შენი **ჰირით** და **ტანჯვით** სუ, ეზეკ. 12. 18. ყველა აქ მოყვანილ მაგალითს დაესმის კითხვა **როგორ?** (ვითარ?), ყველა ისინი ვითარების გარემოებადაა გამოყენებული და ამიტომ ყველა მათგანი მარტივი ით ნიშნითაა წარმოდგენილი. სწორედ ამით განსხვავდება ისინი მოქმედებითის სრული ნიშნის მქონე ფორმისაგან, რომელსაც ა-ს დართვასთან ერთად სულ სხვა შინაარსი ეძლევა.

რადარანაირი სახელი შეიძლება იქნეს გამოყენებული ამ ფუნქციით? ყველაზე მეტად აქ გეხვდება ყოველგვარი საწყისი: როგორც უზონისწინო, ისე ზმნისწინიანი, როგორც მარტივი, ისე რთული, მაგალითად: რისხვით, ლალვით, შრომით, ურვით, გლოვით და ტყებით, ტანჯვით, მარხვით, მოხუეჭით, გალობით, ზაკუვით, გამოცდით, შეცთომით, შეწევნით, თავ-დადრეკით, სულ-თქუმით, გულისხმის-ყოფით, პირ-დაქცევით, დღე-გამოღებით, გულის-წყრომით, მუჯლ-დადგმით, ჴელ-ყოფით და სხვა მრავალი, რასაც ქვევით მაგალითებში ვნახავთ. ასეთ ფორმებს ბუნებრივად დაესმის კითხვა

როგორ? (ვითარ?) და ამით აიხსნება მსგავსი ფორმების ასე ხშირი ხმარება ძველი ქართულის ტექსტებში.

აქვე უნდა იქნეს დამატებული საწყისის ძველებური წარმოების ფორმები, როგორიცაა: სიყუარულით, სიხარულით, სიძულილით, სირცხლით, სიელტოლით, სიტყჳთ (და საქმით), სიმღერით, სახარებით, სალმობით, აღსაარებით, სრბით, სლვით და სხვ. ეს სიტყვები წინადადებაში არსებითი სახელის მაგივრობას სწევენ, ხოლო მოქმედებითში დადგომისას ვითარების გარემოებადაა გამოყენებული.

სიხშირით ამათ მისდევს აბსტრაქტული არსებითი სახელები, რომელთაც აწარმოებს აფიქსები: -ება, -ობა, ან ორმაგი სი—ე. მოქმედებითი ბრუნვის მარტივი **ით** ნიშნით გადმოცემისას ესენიც უპასუხებენ კითხვაზე **როგორ?** (ვითარ?) და ვითარების გარემოებას გამოხატავენ. ასეთებია, მაგალითად: სახიერებით, ძლიერებით, ნაკლულევანებით, გარყუნილებით, მყუდროებით, ამპარტავანებით, სარწმუნოებით (=რწმენით), ჰეშმარიტებით, მეცნიერებით (=ცოდნით), ჴელმწიფებით, ჯორციელებით, სიწრფოებით, უმეცრებით, უდებებით, მწუხარებით... კაცობით, მაჩუენებლობით, მცონარობით, ზღაპრობით, კეთილობით, მშჳდობით, მედგრობით, დღეგრძელობით, დაჭნილობით... სიწმიდით, სიმართლით, სილაღით, სიმაღლით, სიმდაბლით, სიმშჳდით, სიდიდით, სიცრუვით, სიუცხით და სხვა.

იშვიათად გვხვდება ამ როლში მარტივი არსებითი სახელებიც, მაგალითად: **გემოჲთ** (უბჯობს არს ცირედი პური **გემოჲთ** და მშჳდობით, ვიდრე საალი სავსე ყოვლითა კეთილითა და სიცრუვისა საკლველითა ლალვით, იგავ. 17, 1—21: **შურით** (**შურით** მისცეს იგი, მ. 27, 18). ამ ფორმის ერთგჳარი უაერთულობა ნაგრძნობია ადიშის ძეგლში და შეცვლილია ასეთი შემთავეევისათვის ფრიად დამახასიათებელი „**ობა**“ სუფიქსიანი ფორმით (**შურობით** მიეცა იგი ს); ასეთია კიდევ **ჰირით**, რომელიც უფრო „გაჭირვებით“-ს გულისმობს და, მაშასადამე, თავისი მნიშვნელობით ისევ საწყისს უახლოვდება; ასეთია, ბოლოს, **სახწორით**, რომელიც უფრო ამას ნიშნავს: „წონით“ და, მაშასადამე, ისიც მნიშვნელობით საწყისთან მიდის. ამის სხვა მაგალითებს კაცი ქვემოთ დამოწმებულ ადგილებში იპოვის.

გვაქვს, რასაკვირველია, სხვა წარმოების სახელებიც, როგორც, მაგალითად, **სა**—ულ აფიქსებიანი (საწყაულით) და სხვა, მაგრამ ასეთი სიტყვები ცირე რაოდენობით გვხვდება. ძირითადი ჯგუფები ზემოთ არის ნაჩვენები.

ახლა შეიძლება მაგალითები დავიმოწმოთ ტექსტებიდან. მაგალითებს მოვიყვანთ ისე, როგორც ისინი გვხვდება ტექსტებში. მაგალითები არ იქნება დაჯგუფებული ზემოთ წარმოდგენილი სქემის მიხედვით.

არამედ ყოველი **ზომით** და **რიცხჳთ** და **საწყაულით** განაწესე, სიბრძ. 11, 21: ხოლო შენ უფლებ **ძლიერებით** და **სახიერებით** განიკითხავ და მრავალთა **შენდობითა**[1] განგჳგებ ჩუენ საცხორებელსა ჩუენსა, სიბრძ. 12, 18. ამ

[1] ხელნ.: შენდობითა.

წინადადებაში მესამე მაგალითი ემფატიკური ა-თია მოცემული იმიტომ, რომ მას მსაზღვრელი ახლავს (მრავლითა) და სწორედ იმის ბრალია, რომ „შენდობითა"-ს ა გაუჩნდა.

მსაზღვრელის გამოა გაჩენილი ემფატიკური ა შემდეგს მაგალითებშიც: ერთბამად დასხნეს ერთსა სამარხავსა დიდითა **კრძალულებითა**, კიმ. I, 160, 8. აქ განსაზღვრება (დიდითა) რომ არ ყოფილიყო, „კრძალულებითა"-ს ა არ ექნებოდა, როგორც არა აქვს მას ეს ხმოვანი შემდეგს მაგალითში, რომელშიც ვითარების გარემოებას განსაზღვრება არ ახლავს:

აღაღეს შირიმსა ერთსა, რომელი დაბეჭდილ იყო **კრძალულებით**, კიმ. 160, 4.

მსგავსი მაგალითებია კიდევ:

ჰმსახურებდა იგი სიმდაბლით და **გულის-სიტყჳთა** კეთილითა, იქვე, 18, 1; ცრემლითა მწარითა იტყოდა, შუშ. 147, 12 (მაგრამ: **ცრემლით** გარე განვიდა, იქვე, 149, 25); დიდითა **ტირილითა** ვტიროდეთ, იქვე, 147, 32 (მაგრამ: **ტირილით** იტყოდა, იქვე, 148, 19); არამედ **სწრაფითა** დიდითა და სრბით ცხენთა მათთა ავლინებდეს, წარტყ. 43, 31; გლოცავ თქუენ **სიმშჳდითა** მით და სახიერებით, 2 კორ. 10, 1.

ამ მაგალითში „სიმშჳდითა"-ს ნაწევრის გამო აქვს დართული ა (ნაწევარიც ერთგვარი განსაზღვრებაა).

მივმართოთ კიდევ მაგალითებს:

...და ჴამდენ პურსა **სასწორით** და **ნაკლულევანებით** და წყალსა **საწყაულით** და **განრყუნილებით** სუმიდენ, ეზეკ. 4, 17; ქრისტემან დაიცევინ მამფალი დავით **დღეგრძელობით** და **სიმართლით**, მამ. სწავ. 18 (ბელნაწერის მინაწერი მე-18 გვ.); ქუეყანასა ზედა ვიდოდა არა თუ **სიმაღლით** და **დიდებით**, არამედ **სიმდაბლითა** და **სიმშჳდითა**, იქვე, 32. ამ წინადადებაში 2 მაგალითი **ით-ით** არის მოცემული, ორი კი **-ითა-თი**. რატომ არის ეს ასე? აქაც ხომ მსაზღვრელის ბრალი არ არის? ასეთი ფორმები უეჭველად გვიანდელი წარმოშობისაა და გვიჩვენებს, რომ **ით** ნიშნიანი მოქმედებითის ხმარების წესი ირღვევა, **ამ დროს** გადამწერისათვის სულ ერთია, რომელს აირჩევს: ანიანს თუ უანოს, ის ორივეს ერთმანეთის გვერდით სრულიად დაუბრკოლებლად ხმარობს. მაგრამ ამნაირი გათანაბრების შემთხვევები შედარებით ნაკლებია. ძველი ქართულის ტექსტებში ბატონობს ძველი წესი: ვითარების გარემოებად გამოყენებული მოქმედებითი ჩვეულებრივ **ით** ნიშნითაა გამოხატული.

...დათჳ ...თავ-დადრეკით და **მუუდრჱბით** წარვიდა, ლიტ. ქრესტ. 159, 2; ერთი ხოლო მგელი დგა **მოწიწებით**, იქვე, 160, 39; მიჰხადე **ქნებით** ძეთა ხარჳთა ჩემთასა, იობ 19, 17 ლაგ.; აჰა ესერა უფალი **ძლიერებით** მოვალს და მკლავი მისი **უფლებით**, ესაია 40, 10; **მუჴლ-დადგმით** მის წინაშე ემღერდეს მას, მ. 27, 29 ლაგ.; რომელიმე იმარხავნ **დღე-გამოღებით** და რომელიმე იმარხავნ ყოველთა დღეთა, ჰრომ. 14, 5; და დაეცა **პირდაქცევით** ფერჴთა მისთა თანა, მამ. სწავ. 443: დაღაცათუ ღოცვაჲ ჩუენი წმიდა იყოს ზაკუვისაგან და იყოს იგი **უდებებით** და **დაჴსნილობით** და

მცონარობით, აუგეან არს იგი წინაშე ღმრთისა, იქვე, 202; და დაადგრა-მას შინა **მარხვით** და **ლოცვით**, **გლოვით** და **მწუხარებით**, ურჰ. 320. 3; რაჲთა იესუ **ზაკუვით** შეიპყრან, მ. 26, 4; მიმოიხილა მათა **რისხვით**, მრ.. 3, 5; **ჰეშმარიტებით** ასწავებ, მ. 22, 16 C; მეყსეულად **სიხარულით** მიიღის იგი, მ. 13, 20; და ასეთივეა სხვა მაგალითებიც.

მაგრამ ამათ გვერდით არის ანიანი ფორმებიც:

განიხარეს **სიხარულითა დიდითა** ფრიად, მ. 2, 10; იგინი წარვიდეს. ...შიშითა და **სიხარულითა დიდითა**, მ. 28, 8; **სიხარულითა**, მისთჳს წარვიდა, მ. 13, 44 E. ამ უკანასკნელ მაგალითში პირველად დაუწერიათ „სიხარულითა მით", მაგრამ ეს „მით" ამოუფხეკიათ, „სიხარულითა" კი შეუსწორებელი დარჩენიათ. ახლა გასაგებია, რატომაც არის აქ „სიხარულითა" და არა „სიხარულით". მთელს ოთხთავში არც ერთი მაგალითი არაა, რომ ამ სიტყვას მოქმედებითში ა ჰქონდეს და მას რაიმე განსაზღვრება არ ახლდეს. მაშასადამე, ამ ემფატიკურ ა-ს განსაზღვრება იწვევს. თუ რაიმე სახის განსაზღვრება არაა, არც ეს ემფატიკური ა არის. ეს ძველისძველი წესია და აქ იგი ზუსტადაა დაცული. არის ერთადერთი გამონაკლისი: ჰკრთებოდა **სიხარულითა** ჵრმაჲ ეგე მუცელსა ჩემსა (ლ. 1, 44 D), მაგრამ ეს ერთი შემთხვევა წესს ვერ დაარღვევს. აქ შეიძლება ისიც გავიხსენოთ, რომ ჯრუჭის ხელნაწერს, რომელშიც მოიპოვება ეს მაგალითი, მელნის სიმქრალის გამო გასწორების ძლიერი კვალი ეტყობა და იქ ბევრი ადგილი თავდაპირველი სახით, შეუბღალავად არ არის წარმოდგენილი. ამნაირი, ასე ეთქვათ, ერთგვარად გაბართლებული ფორმები წარმოადგენენ გარდამავალ საფეხურს პირველი ტიპის მაგალითებიდან (მოეგებოდეს სიხარულით, მეორე ტიპის მაგალითებზე (ჰკრთებოდა სიხარულითა), ე. ი. ესაა გარდამავალი სახეობა წესიდან მის რღვევაზე.

...ვითარცა ვიდოდა შენ წინაშე **ჰეშმარიტებით** და **სიმართლით** და **სიწრფოებითა** გულისაჲთა შენდამი, 3 მეფ. 3, 19. აქაც „სიწრფოებითა"-ს ა მომდევნო მსაზღვრელის („გულისაჲთა") მიერაა გამოწვეული.

სხვა მაგალითები:

წარვიდა **სივლტოლით**, იონა 1, 3; სივლტოლად იწყო **სწრაფით**, შუშ. 152, 36; **შიშით** და **ძრწოლით** ვდგეთ, ხანმ. მრავ. (ისტ. ქრესტ. 41, 7); **განკრძალვით** მოხუჴდეთ, იქვე, 42, 19; **ყოველივე დაწუნარებით** და **შუენიერებით** ვაჩუენოთ, იქვე, 42, 27; **თქუმით** შემრისხნა, ისტ. ქრესტ. 298, 34 (= მუქარით, დამუქრებით); **სივერაგით** ებრძოდეს, ხანძთ. 140, 30; ვეეჴდრებით **ქუე-დავრდომით** სახიერებასა შენსა, იქვე, 143, 14; სალმრთონი წიგნნი **ზეპირით** მოიწუართნა, იქვე, 100, 36; ნუ **თუალ-ხუმით** შჯით, იქვე, 121, 5; **შრომით** და **რუდუნებით** ღამე და დღე ვიქმთ, 2 თესალ. 3, 8; (მირბიოდეს) მკელობელნი **ხლდმით**, ვითარცა ირემნი, ჴაბუკნი **სრბით**, ყრმანი **ჴდმით** ურთიერთას, აბო 197, 17; გარდაგულარძნეს... რომელნიმე **მძლავრებით**, რომელნიმე **შეტყუებილით**, რომელნიმე სიყრმესა შინა **უმეცრებით**, რომელნიმე **მზაკუვარებით**, აბო 179, 18; **ურვით** და **ჰირით** იყვნეს დღენი მისნი, ევსტ.

164, 12; ნუ დღეს **ტირილით** და **გლოვით**, და ხვალე **სიცილით** და **განცხრომით**, ი. ჯავ. აღწ. 229, 39; **ზედა-მიწევნით** და **გამოწულილვით** გებრძანა, მოც. 214, 21; **უბიწოებით** იქცეოდა და მსახურებდა ღმერთსა იგი **სიწმიდით**, Οπις. 123, 9 ქვ.; ჩჩჳლნი ყრმანი ქუეყანასა შეაწყჳდნიან, და იგი (sic) უკმობედ მშობელთა მათთა **წრტიალებითა** დიდითა, და მშობელნი მათნი **კრჩხიალებით** და **გოდებით** ეტყუპედ შეილთა თჳსთა და მათ თანაცე მოისრეედ, წარტყ. 17, 1—2. აქ „წრტიალებითა“-ს ახლავს განსაზღვრება „დიდითა“ და ამიტომ ერთვის მას ემფატიკური ა; მეორე სრულიად ასეთსავე სიტყვას („**კრჩხიალებით**“) არ ახლავს განსაზღვრება და ამიტომ არც ემფატიკური ა ერთვის.

მაგალითები კმარა. დასკვნა, რომელიც ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით გამომდინარეობს, შემდეგია: მოქმედებითს ბრუნვაში დასმული სახელი, რომელიც უპასუხებდა კითხვაზე **როგორ?** (**ვითარ?**) და წინადადებაში ვითარების გარემოებად იყო გამოყენებული, ძველ ქართულში, როგორც წესი, წარმოდგენილი იყო მოქმედებითი ბრუნვის მარტივი **ით** ნიშნით (**ცრემლით** გარე განვიდა, **შიშით** და **ძწოლით** ედგეთ). მოქმედებითი ბრუნვის ამ ფუნქციით გამოყენება ძალზე გავრცელებული მოვლენაა ძველ ქართულში.

მაგრამ ძველ ქართულშივე გვხვდება შემთხვევები, როცა მოქმედებითს ერთვის ემფატიკური ა. ასეთი შემთხვევები არაა ხშირი და მათ უმთავრესად მაშინ აქვთ ადგილი, როცა მოქმედებითს ახლავს რაიმე სახის განსაზღვრება (განიხარეს სიხარულითა დიდითა).

მაგრამ პროცესი აქ არ შეჩერებულა. შემდეგ და შემდეგ ა-ს დართვა ამ მიზეზის გარეშეც ხდება (ქუეყანასა ზედა ვიდოდა... სიმდაბლითა და სიმშჳდითა). ამნაირი ფორმების მოხშირება აიხსნება, ერთი მხრივ, ვითარების გარემოების გამოყენების ძველი წესის მოშლით, ხოლო მეორე მხრივ, ენის ძლიერი მიდრეკილებით ფორმათა უნიფიკაციისადმი, ერთგვაროვნებისა და ერთნაირი ფორმების დამკვიდრებისადმი.

2. მოქმედებითი გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელობით (=ადგილის გარემოებას)

ა. ით (დთ) ნიშნიანი

მარტივნიშნიანი მოქმედებითი ბრუნვის ერთ-ერთი უძველესი და ძალიან გავრცელებული ფუნქცია იყო აღნიშნა მოქმედების მიმართულება. ეს მიმართულება ზოგჯერ საწყისი პუნქტიდან გამოსვლას აღნიშნავდა სივრცეში და ამდენად ფორმა გამოსვლითი (დაწყებითი) ბრუნვის როლს ასრულებდა, სინტაქსურად, ცხადია, ადგილის გარემოებას გამოხატავდა; ის მოგვიგებდა კითხვაზე: **საიდან?** (გარდამოჴდა მიერ მთით).

ზოგჯერ ასეთი მოქმედებითი უჩვენებდა მოქმედების დაწყებას გარკვეული **დროიდან** (მიერ დღითგან). ამ შემთხვევაში ის დროის გარემოებას გამოხატავდა.

ზოგჯერ იგი აღნიშნავდა გარკვეულ პუნქტამდე მიღწევას, ან პუნქტისაკენ მიმართულების აღებას, ანდა ამ პუნქტში ყოფნას. ამდენად იგი მიმართულებითი (მიწევნითი) ბრუნვის ფუნქციას ასრულებდა და სინტაქსურად ისევ ადგილის გარემოებას გამოხატავდა (ვიდოდე აღმოსავალით=წადი აღმოსავლეთისაკენ).

სამსავე შემთხვევაში მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი იყო მარტივი **ით** და არას შემთხვევაში რთული **ით-ა**. ჩვენი მსჯელობა თანაბრად ეხება როგორც იმ შემთხვევებს, როცა ეს ბრუნვა უთანდებულოდ იყო წარმოდგენილი (მთით, დღით, აღმოსავალით), ისე ისეთებსაც, როცა სახელს რომელიმე თანდებული ახლდა (მთითგან, ცით გამო, დღითგან, აღმოსავალით კერძო).

მოქმედებითი ბრუნვის თანდებულებთან დაკავშირებით შეიძლება აქვე შევნიშნოთ, რომ ყველა მათგანი გამოუკლებლივ ამ ბრუნვის მარტივ **ით** ნიშნიან ფორმას ერთვის. აქ შემოდის აგრეთვე ისეთი შემთხვევებიც, როცა მოქმედებითი ბრუნვის შინაარსი სცილდება ზემოთ აღწერილ ფუნქციებს, იგი სხვა მნიშვნელობით არის ნახმარი, მაგალითად, **ურთ** თანდებულიანი მოქმედებითი **ერთადობას, თანაობას** გამოხატავს და არა მიმართულებას, მაგრამ ბრუნვის ნიშანი მასთანაც მუდამ მარტივი **ით** არის (მოყუს-**ით**-ურთ). აქედან შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოქმედებითი ბრუნვის ჩამოყალიბება მეტად შორეულ წარსულს უნდა ეკუთვნოდეს; ის თანდებულებს ირთავს მხოლოდ მარტივ ნიშანზე, მან ამ შემთხვევაში არ იცის ემფატიკური **ა**-ს ხმარება. მიცემითისა და ნათესაობითის შესახებ კი ამის თქმა არ შეიძლება. აქ ისიც შეიძლება მივუთითოთ, რომ ამ ბრუნვის თანდებულები ასევე უძველესი წარმოშობისაა. ასეთი მოქმედებითის მიერ გამოხატვა გამოსვლითი და მიწევნითი (მიმართულებითი) ბრუნვების შინაარსისა, აგრეთვე ერთადობის, თანაობის აღნიშვნა და ზოგი სხვა თაყისებურება ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ ბრუნვას თავდაპირველად უფრო მეტად სიტყვაწარმოებითი ბასიათი უნდა ჰქონოდა[1]. აღსანიშნავია, რომ **ურთ** თანდებულიან ფორმას, რომელიც დღეს თანდათან გადის ხმარებიდან, ცვლის **იან** სუფიქსით ნაწარმოები სახელის ვითარებითი ბრუნვა: ამბანაგებითურთ — ამხანაგებიანად, საჭურველითურთ — საჭურველიანად, ცოლ-შვილითურთ — ცოლშვილიანად და სხვა.

ბაგრამ დავუბრუნდეთ მოქმედებითის მიერ გამოსვლითი ბრუნვის შინაარსის გამოხატვის აღწერას.

---

[1] ა. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VII, 1—2, 1946, გვ. 66—67. შდრ. ვ. თოფურია, ბრუნვების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 3, 1944, გვ. 347.

ყველაზე ხშირად ამ ფუნქციით მოქმედებითი იხმარება ისეთ სახელებთან, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობა მიუთითებს რაიმე ადგილზე (ადგილი, მთა, ზღუა, ჭალაკი, ბორცვ, გზა, ქალაქი, სოფელი, ტყე, სამოთხე, ჯოჯოხეთი, მკუდრეთი, უდაბნო, დაბა, ცა, ზეცა, ქუეყანა, სამარე, საფლავი, ეზო, სავენაჯე, ველი, აგარაკი, ბანაკი...), ან გარკვეულ დაწესებულებაზე თუ შენობაზე, ან მის ნაწილებზე, რომლებიც სათანადო ადგილად არის გააზრიანებული (სახლი, ციხე, საპყრობილე, ეკლესია, ტაძარი, მონასტერი, კარი, ბჭე, საკურთხეველი...), ან ქვეყნის ოთხ მხარეზე (აღმოსავალი, დასავალი, სამხარი || ბღუარი, ჩრდილოჲ), ან, ბოლოს, ცალკეულ საგნებზე (ადამიანის სხეულის ნაწილები და სხვა) და ამ საგნების მსგავს აბსტრაქტულ სახელებზე, რომლებიც დამწერის ცნობიერებაში აგრეთვე გარკვეული ადგილის სახითაა წარმოდგენილი (პირი, თავი, ფერჯი, მუჯლი, მუცელი... ნავი, ძირი... ღრუბელი, ბნელი, ნათელი... სიწმიდე) და სხვა. ერთი სიტყვით, აქ არის საგანთა და სახელთა ფართო წრე.

ყველა ამ შემთხვევაში სახელი მოქმედებითში შეიძლება იყოს წარმოდგენილი უთანდებულოდ და თანდებულით. პირველი უფრო ხშირია და ძველ მდგომარეობას ასახავს (გარდამოჴდა მთით), მეორე შედარებით ნაკლებად გვხვდება და უფრო ახალი ვითარების მაჩვენებელი (ცუცლითგან... იშვნეს). ამ უკანასკნელი ტიპის მოძალება შემდგომ და შემდგომ იმდენად ძლიერი იყო, რომ ახალ სალიტერატურო ქართულში მხოლოდ ის გაბატონდა. ბართალია, დღეს მას სახე საკმაოდ შეცვლილი აქვს (ცუცლიდან), მაგრამ დღევანდელს ჩვენს სალიტერატურო ენაში გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელობით ერთადერთ ფორმას ისღა წარმოადგენს. რაც შეეხება ძველ ქართულში გაბატონებულ უთანდებულო ფორმებს (მთით, ქალაქით), ისინი მხოლოდ ზოგიერთ კილოს შემორჩნენ (ხევსურულს, ფშაურს და ზოგ სხვა მთის კილოს).

ა) უთანდებულო მოქმედებითი

განვიხილოთ ჯერ უთანდებულო ფორმები.

გამოსვლითის მნიშვნელობით ნახმარი სახელი შეიძლება მარტო იყოს მოცემული წინადადებაში და შეიძლება მას ახლდეს სხვადასხვაგვარი მსაზღვრელი (ერთი ან რამდენიმე).

ჯერ ვნახოთ მარტო მდგარი (უმსაზღვრელო) მოქმედებითი გამოსვლითის მნიშვნელობით:

იგინი წარვიდეს ადრე მიერ **საფლავით**, მ. 28, 8 (დღევანდელი ქართულით **საფლავით** ნიშნავს „საფლავიდან“: წავიდნენ **საიდან?** — **საფლავიდან**); გარდამოჴდა იგი მიერ **მთით**, მ. 8, 1 (=იმ მთიდან); კაცნი აღჰფხურნა **ადგილობნით**, ზირაქ 29, 21; რომელი აღმოვალს **უფსკრულით**, გამოცხ. 11, 7; რაჲთა განვიდეს იგი ამიერ **სოფლით**, ი. 13, 1; მე ოდეს აღვმაღლდე **ქუეყანით**, ი. 12, 32; მე ვარ, რომელი ცოვედ **ბანაკით**, 1 მეფ. 4, 16 ლაგ.; რომელი მოვიდოდა **აგარაკით**, ლ. 23, 26 C; განაძეს იგი **ქალაქით**, ისტ. ქრესტ. 296, 29; გამოაგდეს იგი მიერ **სავენაჯით**, მრ. 12, 8; ივსებან იგი

წყალსა **ჴევით**, კიმ. I, 18, 2; გამოვიდა ეშჯ ერთი **ტყით**, იქვე, 302, 9; ვარსკულავნი გარდამოცჳენ **ზეცით**, მ. 24, 29; რომელი გამოვალს **უდაბნოჲთ**, იპოლ. 26, 2; რომელსა აღმოაქუნდა წყალი **ზღჳთ**, 3 მეფ. 18, 44; ესე შემოიღეს სხჳთ **სახლით** ეკლესიად, რაეახ 82, 19; გარდამოიყვანა იგი მიერ **ქორით** სახიდ, 3 მეფ. 17, 22; რომელი აღმოვიდოდის **ჴნარცჳთ**, იერ. 48, 44, პოვა იგი **აბანოჲთ** გამოსრულ, კიმ. I, 324, 22; არღარა მიხილოთ ცოცხალი გაჲოსრული **ციხით**, შუშ. 153, 10; რომელსა გამოჰყვანდა იგი **ტაძრით**, შუშ. 152, 32; და გამოიყვანნეს იგინი მიერ **საპყრობილით**. ევსტ. 164, 3; განვიდა შამაჲ ჩუენი საბა **ლავრით**, კიმ. I, 20, 14; გამოვიდეს იგინი მიერ **კიდობნით**, იქვე, 50, 36; განვიდის გარე **მონასტრით**, იქვე, 205, 31; ვითარ **სარკუმლით** შთაჰხედეს, უდაბნ. 25 rb.

აღმოსავალით, **ბღუარით** მოვიდენ წიაღად აბრაჰამისა, სას. პოეზ. 153, 46; ამან (ჯუარმან) შემოკრიბნა წარმართნი **აღმოსავალით** და **დასავალით**, **ჩრდილოჲთ** და **ბღუარით**, მამ. სწავ. 297; ღმერთი **სამხრით** მოვიდა, სას. პოეზ. 388, 14; მოვიდოდიან **მზის-აღმოსავალით** და **მზის-დასავალით**, **ჩრდილოჲთ** და **სამხრით**, ლ. 13, 29 C...

ესავ, ძმაჲ მისი, მოვიდა **ნადირობით**, დაბ. 27, 30; ქრისტეანე არასადა მიიცვალების **მთავრობით** შეურაცხებად და **სიმდიდრით** სიგლახაკედ და არცა **დიდებით** დამცირებად, მამ. სწავ. 92; გარდამოვარდეს **სიმაღლით**, იქვე, 265; აღდგა მიერ **ლოცვით** და მოვიდა მოწაფეთა თჳსთა, ლ. 22, 45.

უკანასკნელი მაგალითის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდეს: ა) ლოცვიდან; ბ) ისე, რომ ლოცულობდა. მეორე შემთხვევაში მას შეიძლება ემფატიკური ა-ც ჰქონდეს დართული (ლოცვ-ით-ა); გ) თუ მას თანდებული (მაგ., „გან") ერთვის, ის უკვე არა ადგილის, არამედ დროის გარემოებას გამოხატავს და მასზე ქვევით გვექნება მსჯელობა. აქ, რასაკვირველია, იგი პირველი მნიშვნელობით არის მოცემული და ნიშნავს „ლოცვიდან".

ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი სახელები მოცემული იყო მარტივი სახით, მათ არ ახლდა თანდებულები და ნაწილაკები. თანდებულიან ფორმებზე ცოტა ქვევით ვიტყვით, ხოლო ნაწილაკდართულთა შესახებ აქვე მოვჰრით მოკლედ. ნაწილაკდართული ფორმები არაფრით არ განსხვავდება ზემოთ მოყვანილთაგან, ესაა მხოლოდ, რომ ამათ ერთვის ნაწილაკები, მაგრამ ბრუნვის ნიშანი აქაც იგივე მარტივი **ით** არის და არა **ით-ა**. ჩვენ აქ სწორედ ეს გარემოება გვაინტერესებს: ნაწილაკების დართვისასაც მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი მხოლოდ და მხოლოდ **ით** არის.

ორიოდე ნიმუში:

ვე ნაწილაკიანი:

რამეთუ **ქალაქითვე** ჩემით ვიცნოდე მოწაფენი მისნი, კიმ. I, 25, 3.

ცა ნაწილაკიანი:

გზითცა და **ციხითცა** წერდა ებისტოლეთა, იქვე, 94, 24.

ღა ნაწილაკიანი:

და **სავაჭროჲთღა** შეელენედ, ვიდრე არა განიბანნიან, არა ჭამიან, მრ. 7, 4 C.

მე ნაწილაკიანი:

სადაჲთ-მე მოგელოდი: **აღმოსავალით-მე** ანუ დასავალით, **ჩრდილოჲთ-მე** ანუ სამხრით, ხანძთ. 111, 45.

ებიან მრავლობითში დასმული სახელებიც სრულიად ისეა წარმოდგენილი, როგორც მხოლობითში დასმულნი, მაგალითად:

სახლებსა ზედა აღვიდენ და **სარკუმელებით** შევიდენ ვითარცა მჭვრავნი, იოველ 2, 9; განუყოფდა... **მამებითგან** დედებადმდე კუერსა ერთსა პურსა, 2 მეფ. 6, 19; ჰხედაეთა ებრაელთა იმათ, ვითარ გამოვლენ **ჯურელებით** მათით, სადა-იგი დამალულ იყუნეს ჩუენგან, 1 მეფ. 14, 11. თუმცა თანდებულიანსა და მსაზღვრელიან სახელებზე საუბარი ჩვენ ქვემოთ ცალკე გვაქვს, მაგრამ ეს მაგალითები აქ აღძრული საკითხისათვისაც გამოგვადგება. როგორც ეხედავთ, **ებიან** მრავლობითში დასმული სახელიც სრულიად ისე იხმარება გამოსელითის მნიშვნელობით, როგორც სათანადო მხოლობითის ფორმები: ორიეს ბრუნვის ნიშნად მარტივი **ით** სუფიქსი აქვს. ეს ასეც უნდა იყოს: **ებიანი** მრავლობითისა და სათანადო მხოლობითის ფორმები ერთმანეთისაგან მხოლოდ **ებ**-ის დართვა-დაურთველობით განსხვავდება.

მსგავსი მდგომარეობა იშკიათად თანიან მრავლობითშიც გვაქვს. თანიანი მრავლობითის ასეთი ფორმები ჩვეულებრივ ორმაგი ბრუნების მართულ მსაზღვრელს წარმოადგენს, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, მაგრამ აქ ისეთ შემთხვევაზეა მსჯელობა, როცა საზღვრული არა ჩანს და ამნაირი სახელი უშუალოდ ზმნასთანაა დაკავშირებული. ასეთ მაგალითებში მრავლობითობის **თ**-ა სუფიქსს ერთვის მოქმედებითის მარტივი **ჲთ** ნიშანი, რომლის ხმოვნითი ნაწილიც, საერთო წესის მიხედვით, დასუსტებულია და იოტის სახით არის წარმოდგენილი. აი ამის ერთი მაგალითი:

რამეთუ არასადაჲთ **ანგელოზთაჲთ** იწყო, არამედ ნათესავისაგან აბრაჰამისა იწყო, ებრ. 2, 16 ლაგ.

გამოსელითის მნიშვნელობით არის მოცემული **მამა** და **დედა** ამ მაგალითშიც:

უკუეთუ გევედრებოდის ძმაჲ შენი **მამით**, გინა **დედით**. 2 შჯულ. 13, 6. **მამით** და **დედით** აქ ნიშნავს: „მამიდან“ და „დედიდან“, ან: „მამის მხრით“ და „დედის მხრით“, ე. ი. ეს იქნება ძმა—შენი მამის შვილი, მაგრამ სხვა დედის შვილი, ან: ძმა—შენი დედის შვილი, მაგრამ სხვა მამის შვილი: ძმა ერთ-ერთი მშობლის მხრით.

დასასრულ, აღვნიშნავ იმასაც, რომ მოქმედებითი ბრუნვის მარტივი ნიშნით არის წარმოდგენილი აგრეთვე ადგილის ზმნიზედები, რომელთაგან ზოგში ადვილად იგრძნობა, რომ **ით**, **ჲთ** დაბოლოება მოქმედებითი ბრუნვის ნიშანია, ზოგი კი ისე გაქვავებული სახით არის ჩვენამდე შემონახული, რომ

ამ ფორმანტთა გამოყოფა რთული, შედარებითი ანალიზის გარეშე არ ხერხდება. აქ ვუჩვენებთ რამდენიმე მათგანს:

ს ა დ ა ჲ თ

ა) და **სადაჲთ** უკუე უწყით ესე, არამედ ლოცვისაგან, მამ. სწავ. (H¹ 47v; და იყოფოდეს შიშუელნი და მშიერნი, არარაჲ **სადაჲთ** აქუნდა ნუგეშინის-ცემაჲ, კიმ. I, 75, 3; მივალ მუნ, **სადაჲთ** არა მოვიქცე, იქვე, 328, 6; **სადაჲთ-მე** მოგელოდი: აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოჲთ მე ანუ სამხრით, ხანძთ. 111, 45; და ღათუ იძიოს და პოოს გზაჲ და შევიდეს **სადაჲთმე** სული წმიდაჲ, ისტ. ქრესტ. 302, 11.

ბ) რაჟამს დაჰბერდე, აღგიპყრნენ ჴელნი და სხუანი შეგარტყმიდენ და მიგიყუანებდენ, **სადაჲთ** შენ არა გინდეს, ი. 21, 18 C; და თთუესა მეოთხესა წარვედ მთათა ზედა ჯავახეთისათა, რაჲთა ვცნა, თუ **სადაჲთ** არს მცხეთაჲ, მოქც. (ისტ. ქრეტ. 270, 37).

ორ უკანასკნელ მაგალითში (ბ პუნქტი) სადაჲთ = ს ა ი თ, ს ა ი თ კ ე ნ: ს ა ი თ (ა ც) შენ არ ჩოგინდება, ს ა ი თ არის მცხეთა. ამათგან პირველი მაგალითი ადიშის ძეგლში გვხვდება. ჯრუჭ-პარხლისა და ბევრ სხვა ხელნაწერში ეს **სადაჲთ** შეცვლილია **ვიდრე**-თი. **ვიდრე** კი, როგორც ცნობილია, სწორედ ამ შინაარსით იხმარებოდა ძველად (ვიდრე ხუალ, უფალო).

ყველა დანარჩენ მაგალითში (ა პუნქტი) სადაჲთ = ს ა ი დ ა ნ. ამ ერთი სიტყვის მაგალითზე კარგად ჩანს ჩოქმედებითი ბრუნვის ორი ძირითადი ფუნქცია: მოქმედების მიმართულების აღნიშვნა გარკვეული პუნქტიდან (გამოსვლითი ბრ.) და გარკვეული პუნქტისაკენ (მიწევნ. ბრ.). ასეა ეს გეზი გატარებული სხვა სახელებშიც, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ვ ი ნ ა ჲ თ → ვ ი ნ ა ჲ

წინაჲსწარმეტყუელმან ამბაკომ გიჴოდა მთით ჩრდილოჲთ მაღნართაჲთ, სძალო წმიდაო, **ვინაჲთ** გამოვიდა ღმერთი განმანათლებელი სულთაჲ და აღმავსნა სიხარულითა, სას. პოეზ. 72, 89: მაშინ თქჳს: მივიქცე სახიდ ჩემდა, **ვინაჲთცა-იგი** გამოვედ, მ. 12, 44 C. პირველი მაგალითის **ვინაჲთ** = ს ა ი დ ა ნ; **ვინაჲთცა-იგი** იქნება „საიდანაც“. მაგრამ უფრო სშირად მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისეული თ დაკარგულია და დარჩენილ ფორმას (**ვინაჲ**) იგივე მნიშვნელობა აქვს შენარჩუნებული („საიდან“):

ვინაჲ აღმოსცენდა ღუარძლი, მ. 13, 27; **ვინაჲ** მიცი მე, ი. 1, 48; ვიცი, **ვინაჲ** მოსრულ ვარ და ვიდრე ვალ, ხოლო თქუენ არა იცით, **ვინაჲ** მოვედ და ვიდრე ვალ, ი. 8, 14; ჰურიანი... **ვინაჲ** მოვიდეს, ევსტ. 166, 14; აღუთქუა ცოდვისა მის განტეევებაჲ და დედაკაცისა მის წარგზავნაჲ, **ვინაჲცა** მოეყვანა იგი, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 262, 36).

„ვინაჲ“-ს ჰქონდა კიდევ სხვა, პირველთან დაახლოებული მნიშვნელობა; იგი ამ შემთხვევაში „სადაურს“ აღნიშნავდა და შრავლობითი რიცხვიც მოეპოვებოდა, მაგალითად:

შენ **ვინაჲ ხარ**, ანუ რომლითა რჩულითა სცხონდები. ევსტ. 165, 14. ამ მაგალითის „**ვინაჲ ხარ**“ კაცმა შეიძლება ასეც გაიგოს: „**საიდან ხარ**“, მაგრამ მეორე მსგავს მაგალითში **ვინაჲ** უკვე უეჭველად „სადაურს“ აღნიშნავს: მან ჰრქუა მათ: **ვინანი ხართ**, ანუ რომელი რჩული გიპყრიეს, ევსტ. 162, 24. „ვინანი ხართ“, ე. ი. სადაურები ხართო.

ამ სიტყვის ეს მნიშვნელობა მეორეულია; პირველი მნიშვნელობიდან მეორის მიღება ადვილად აიხსნება: „საიდან ხარ“ იგივეა, რაც „სადაური ხარ“.

როცა ამ სიტყვას თანდებული „გან“ ერთოდა, იგი დროს გამოხატავდა: **ვინაჲთგან** = „საიდან“, „საიდანაც“ დროის თვალსაზრისით, ე. ი. „რა დროიდანაც“, „მას შემდეგ, რაც“. მაგრამ ამაზე ქვეით იქნება საუბარი.

ზემოჲთ

არაგჳ გარდამოჴდა ციხესა **ზემოჲთ**, და იქმნებოდეს საშინელნი გრგჳნვანი, მოქც. (ისტ. ქრესტ. 277, 3). ამ სიტყვის იოტის დაკარგვის ნიადაგზე მიღებულია დღევანდელი „ზემოთ“.

წინაჲთ

და მის თანა წარიყვანნა ხუცესნიცა საცეცხურ-საკუმეველებითა და წარავლინნა **წინაჲთ** მკჳრცხლ-მავალნი, რაჲთა განჰმზადებდენ გზათა, ზარზმ. (ისტ. ქრესტ. 222, 36). აქ „**წინაჲთ**“ იქნება **წინ** (ადგ. გარ.). მაგრამ ეს სიტყვა ძველ ქართულში აღნიშნავდა აგრეთვე დროსაც: „წინათ“, „უწინ“. ეს კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან: **წინაჲთ** სპარსთა რჩული იყო, ვითარცა შენ თჳთ იცი, ხოლო ღმერთსა სძაგდა რჩული იგი სპარსთაჲ და არა სთნდა, ევსტ. 166, 7.

ჩვენი დღევანდელი „წინათ“ მიღებულია ამ „**წინაჲთ**“-ისაგან ჲ-ს დაკარგვის საფუძველზე.

შინაჲთ, გარეჲთ (გარშთ)

მყის მოიწია ჩუენდა დიაკონი **შინაჲთ** და გჳთხრა ჩუენ ესე ყოველი, შუშ. 147, 30; და მოჰკირო იგი **შინაჲთ** და **გარეჲთ** ნაფთითა და ფისითა, დაბ. 6, 14 ლაგ. **შინაჲთ** ახალ ქართულზე იქნება „შინიდან“ (პირველ მაგალითში) და „შიგნიდან“ (მეორეში), ხოლო **გარეჲთ** — „გარედან“, შემდეგ — „გარეთ“. ამ უკანასკნელში ჲ დაკარგულია, სხვაფრივ იგი იგივეა. რაც ძველი „გარეჲთ“.

უკანასკნელი მაგალითი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მასში 4 სიტყვა დგას მოქმედებითში. ამათგან ორს მარტივი ბრუნვის ნიშანი აქვს — ით → ჲთ და ადგილის გარემოებას გამოხატავს (შინა-ჲთ და გარე-ჲთ), ორს

კი ემფატიკური ა ერთეის და უბრალო დამატებადაა წარმოდგენილი (ნაფთ-ითა და ფის-ითა).

მანდაჲთ

მო-ვინმე-ვიდა **მანდაჲთ** კაცი, ხანძთ. 143, 3. მანდაჲთ = მანდედან.

შორით

პეტრე მისდევდა მას **შორით**, მ. 26, 58; რომელნიმე მათგანნი **შორით** მოსრულ ჰრიან, მრ. 8, 3; და იხილა ლეღჳ **შორით**, რომელსა ესხა ფურცელი, მრ. 11, 13; დგეს ყოველნი მეცნიერნი მისნი **შორით**, ლ. 23, 49. ყველა ამ მაგალითში **შორით** არის „შორიდან", „შორს".

მუნით

რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფეჲ გააქცია და **მუნით** მშუიდობით იქცა (ერედვის წარწ.: ისტ. ქრესტ. 3). მუნით = „იქიდან".

აქაჲთ

და წარიყვანნა მან ძმანი **აქაჲთ**, ხანძთ. 123, 38; ვიხილეთ ვარსკულავი იგი **აქაჲთ** მომავალი, მოქც. 34, 14.

პირველ წინადადებაში **აქაჲთ** ნიშნავს „აქედან", ხოლო მეორეში — „აქეთ", „აქეთკენ" (ჭელიშურ რედაქციაში მართლაც „აქეთ" იკითხება). აქედანაც კარგად ჩანს, რომ **ით → ჲთ** ნიშნიანი მოქმედებითი გამოხატავს საერთოდ მიმართულებას. ეს მიმართულება შეიძლება იყოს როგორც გარკვეული პუნქტისაკენ, ისე გარკვეული პუნქტიდან. პირველ შემთხვევაში ფორმას გამოსვლითი (დაწყებითი) ბრუნვის მნიშვნელობა ეძლევა, მეორეში — მიმართულებითისა (მიწევნითისა).

ნაწილაკის დართვა არ ცვლის საქმის შინაარსს: და იწყო ბრძანებით შჱნებად იერუსალჱმსა და მოდისტოს დასუა პატრეაქად და წარმოვიდა **აქაჲთვე** მეშჳდესა წელსა, მოქც. (ისტ. ქრესტ. 269, 27). **აქაჲთვე** იქნება „აქეთვე", „აქეთკენვე".

„გან" თანდებულიანი ფორმა, როგორც წესი, უჩვენებს მოქმედების დასაწყისს **დროში**, მაგრამ ამაზე ქვევით.

მარჯუენით, მარცხენით

თქუ, რაჲთა დასადენ ორნი ესე ძენი ჩემნი ერთი **მარჯუენით** შენსა და ერთი **მარცხენით** შენსა სასუფეველსა შენსა, მ. 20, 21; დაჯდომაჲ **მარჯუენით** ჩემსა და **მარცხენით** არა ჩემი არს მიცემად, მ. 20, 23; დაადგინნის ცხოვარნი **მარჯუენით** მისა და თიკანნი — **მარცხენით**, მ. 25, 33; მაშინ ჯუარს-აცუნეს მის თანა ორნი ავაზაკნი: ერთი **მარჯუენით** მისა და ერთი — **მარცხენით**, მ. 27, 38.

ბ) თანდებულიანი მოქმედებითი

ახლა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა ით ნიშნიან მოქმედებითში დასმულ სახელს ერთვის თანდებული. შინაარსი აქაც იგივე იქნება, რაც ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში: მოქმედების საწყისი პუნქტის აღნიშვნა სივრცეში. თანდებულიანი მოქმედებითი, რასაკვირველია, მეორეული მოვლენაა, მის ფუნქციას ძველად უთანდებულო მოქმედებითიც ჩინებულად გამოხატავდა. ძველ ქართულში ისინი პარალელურად გვხვდება, მაგრამ უთანდებულო ფორმების ხვედრითი წონა გაცილებით დიდია, ვიდრე თანდებულიანი ფორმებისა. თანდებულებად ამ შემთხვევაში გვხვდება ყველაზე ხშირად გან, შემდეგ გამო, გარდამო, კერძო, ბოლოს გამართ, გამოშართ. ყველა თანდებულთან ბრუნვის ნიშანი (ით, ჲთ) უცვლელადაა შენახული და ასიმილაციის რაიმე კვალი უცნობია ძველი ძეგლებისათვის.

დავალაგოთ მაგალითები თანდებულთა მიხედვით:

გან

მზის-აღმოსავალითგან ვიდრე დასავალადმდე დიდებულ არს სახელი ჩემი წარმართთა შორის, მალაქია 1, 12; და გამოვიდა ეშმაკი იგი უფლისაგან და დასდვა იობს წყლულებაჲ ბოროტი **ფერჯითგან** ვიდრე თავადმდე, იობ 2, 7; (საულ) **მჯრითგან** უმაღლეს იყო ყოველსა კაცსა, 1 მეფ. 9. 2; და უმაღლჱს იყო იგი (საულ) ყოვლისა მის ერისა **ბეჭითგან** აღმართ, 1 მეფ. 10, 22; განუყოფდა... **მამებითგან** დედებადმდე კუერცხა ერთსა პურსა, 2 მეფ. 6, 19; **მამაკაცითგან** მიდედაკაცადმდე... მოსრა ყოველი, 1 მეფ. 22, 19; უკუეთუ არა **იდაყჳთგან** დაიბანნიან ჴელნი, არა ჭამიან, მრ. 7, 3; მოუწოდე მუშაკთა მათ და მიეც მათ სასყიდელი; იწყე **უკუანაჲსკნელითგან** ვიდრე პირველთა მათ, მ. 20, 8 (C-ში: ...ვიდრე პირველთამდე); რამეთუ არიან საჭურის, რომელნი დედის **მუცლითგან** იშვნეს ეგრეთ, მ. 19, 12 C; რამეთუ იყო ფერჯი მისი **მუჴლითგან** დაჴსნილი ვიდრე ქუსლადმდე მისა, კიმ. I, 290, 29; და იხილა იგი ყოვლადვე **თავითგან** ვიდრე ფერჯადმდე ვითარცა ცეცხლი მოტყეინარე, ამონ. 208, 4.

ამ მაგალითების განხილვის შემდეგ შეიძლება ასეთი კითხვა დავსვათ: რა განსხვავებაა მაინც „გან“ თანდებულიან და უთანდებულო ფორმებს შორის? თუ გავიხსენებდით ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ სახელთა ჯგუფებს, რომლებიც გამოსვლითის ფუნქციით გვხვდება, უნდა შევნიშნოთ, რომ „გან“ თანდებულიან სახელებში თითქმის გამორიცხულია I ჯგუფი სახელებისა — ადგილის აღმნიშვნელი სახელები (ქალაქი, სოფელი, მთა, ზღუა და მისთ.), რამდენიმედ აგრეთვე „სახლისა“ და „მონასტრის“ ტიპის სახელები. აქ ჩვენ გვაქვს უმთავრესად ჩვეულებრივი საგნების აღმნიშვნელი სახელები, ადამიანისა და მისი ნაწილების აღმნიშვნელი სახელები, ნაწილობრივ განყენებული სახელებიც, იშვიათად ზედსართავები და მისთ.

შეინიშნება მეორე კანონზომიერებაც: **გან** თანდებული უმეტესად მაშინ ახლავს სახელს, როცა მას იქვე მოსდევს **მდე** თანდებულიანი სახელი (გან —

მდე: საიდან სადამდე) და ვღებულობთ ქართული ენისათვის კარგად ცნობილ ბუნებრივს გამოთქმებს: თავითგან ვიდრე ფერკადმდე, მუკლითგან ვიდრე ქუსლადმდე, მამებითგან დედებადმდე, მამაკაცითგან მიდედაკაცადმდე და სხვა. როგორც ვხედავთ, ესაა საპირისპირო საგნის სახელები (მამებითგან დედებადმდე), ანდა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მაბლობელი ცნებები (მუკლითგან ქუსლადმდე) და სხვ. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან უმეტესობა სწორედ ასეთია, ე. ი. ისეთი, სადაც **გან** თანდებულს **მდე**-ც მოსდევს, სხვა შემთხვევაში მბოლოდ **გან** თანდებულიანი სახელი გვაქვს, ერთ შემთხვევაში კი ორივე სახეა მოცემული სხვადასხვა რედაქციის მიხედვით: უკუნაჲსკნელითგან ვიდრე პირველთა მათ (მ. 20, 8 DE) და... ვიდრე პირველთამდე (C). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ „მდე"-ს მანიშნებელი ვიდრე ორივე რედაქციაში გვაქვს, მაგრამ ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერთა გადამწერებს (თუ მთარგმნელ-რედაქტორებს) ვერ გაუბედავთ თჳ სუფიქსიანი მრავლობითისათვის **მდე** თანდებული დაერთოთ, ე. ი. თანიანი მრავლობითი ვითარებითშიც გამოეყენებინათ. ასეა თუ ისე, ერთი ცხადია, რომ **გან** თანდებულიანი ფორმები გაბოსელითის ფუნქციით უმთავრესად მაშინ გვაქვს, როცა მას მოსდევს **მდე** თანდებულიც (საიდან სადამდე).

გამო

და მელქულ, ასული იგი საულისი, იჳუირობდა **სარკუმლით** გაჱო, 2 მეფ. 6, 16; და დაჴდა და ასწავებდა **ნავით** გამრ ერსა მას, ლ. 5, 3 C; და ჴმაჲ იყო ღრუბლით გამო და თქუა, მ. 17, 5; მოიწია ზეცით ჴმაჲ **საკურთხეველით** გამო. ამონ. 212, 13; უწოდა უფალმან **მაყულოვანით** გამო, გამოსლვ. 3, 4 ლაგ.; აღიხედა ზეცად და ესმა მას ჴმაჲ **ცით** გამო იდუმალ სჳმიონისგან, კიმ. I, 279, 21; და **ცეცხლით** გამო უკმობდა აზარიას, პარხ. 672 b.

გარდამო

ჴმაჲ იყო **ზეცით** გარდამო და თქუა, ჱ. 3, 17; ჴმაჲ **ცით** გარდამო ესმა, მრ. 1, 11 C; ნათლის-ცემაჲ იოვანესი **ცით** გარდამო იყო, ანუ კაცთაგან, მრ. 11, 30 C; და მრავალთა განსაცდელთა ჰხედავნ **მთით** გარდამო, მამ. სწავ. 102.

გამართ

აჰა დის-წულაკი ჩემი **სარკუმლით** გამართ ხედავს, იპოლ. 23, 2.

გამომართ

ამიერ **სარკუმლით** გამომართ ხედავს და მეტყჳს მე, იპოლ. 23, 18.

გარდამართ

აჰა დის-წულაკი ჩემი ჰხედავს გარდამართ **სარკუმლით**, იპოლ. 23, 10.

კერძო

რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ **სხჳთ კერძო** შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი, ი. 10, 1; და მოვიდოდეს მისა **ყოვლით კერძო**, მრ. 1, 45.

აქ ხაზგასმული სიტყვები ადიშის ძეგლში შეცვლილია უთანდებულო, მაგრამ **ვე** ნაწილაკიანი სიტყვით „ვინაჲვე“, რომლის ზუსტი მნიშვნელობაც არის „ყოველი მხრიდან“, отовсюду, со всех сторон.

ახლა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა **ით** ნიშნიან მოქმედებითს ახლავს რაიმე მსაზღვრელი. ეს მსაზღვრელი შეიძლება იყოს ატრიბუტული და მართული. ეს უკანასკნელი, როგორც ვიცით, ძველ ქართულში ორმაგი (და სამმაგი) ბრუნების სისტემას ქმნის. აქ შეიძლება მოკლედ მოვჭრათ და აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს მსაზღვრელი **უთანხმდება** ბრუნვაში საზღვრულს, ე. ი. მათაც მხოლოდ **ით** ნიშანი აქვთ. განვიხილოთ ჯერ ატრიბუტული მსაზღვრელები.

ყველაზე ხშირად ატრიბუტულ მსაზღვრელად აქ გვხვდება **თჳსი**, შემდეგ — **ჩემი, შენი, ჩუენი, თქუენი, მისი, მათი, ყოველი**, შემდეგ სხვანიც. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ამნაირი (ატრიბუტული) მსაზღვრელები შეიძლება საზღვრულს წინაც უძღოდეს და ბოლოსაც მოსდევდეს. უფრო ხშირი კი ეს უკანასკნელი შემთხვევაა. გამონაკლისს წარმოადგენს ნაცვალსახელი სხუა (მოქმ. — **სხჳთ**), რომელიც ყოველთვის წინ უძღვის საზღვრულს. რამდენადმე ასეთივეა **ყოველი** და აგრეთვე რაოდენობითი რიცხვითი სახელები.

თუ ერთ საზღვრულს რამდენიმე ასეთი მსაზღვრელი ახლავს, ყველა უთანხმდება მას ბრუნვაში. დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი:

ქარმან გამოსცის (ქმაჲ) **ადგილით თჳსით** და განვლის ჴორჴი კაცისაჲ, შატბ. 27 b; უმჯობეს არს კაცისაჲ მისლვად **სახლით განსაცხრომელით** სახლად გლოვისა, მამ. სწავ. 10; გან-უკუე-დევნენით გრძნეულნი და მცბიერნი **ქალაქით თქუენით**, იქვე, 171; ხოლო იგი ვითარცა **უცხოჲთ ადგილით** მოვიდოდა თჳსა ქალაქად, უდაბნ. 34 vb; მეფჱ... გარდამოსრულ **საყდრით სამეუფოჲთ** ძაძასა შთაიცუმიდა, იქვე, 54 vb; განჴადე **სახლით შენით** შური და მანკიერებაჲ, მამ. სწავ. 402; და ესე შემოიღეს **სხჳთ სახლით** ეკლესიად, რავან 82, 19; მაშინ მოიწინეს **ყოვლით სოფლით** კაცნი, მოქც. 83, 4; ევედრებოდეს მას, რაჲთამცა წარვიდა **საზღვრით მათით**, მ. 8, 34 C; ასდეგ **საფლავით დაბეჭდულით**, სას. პოეზ. 308, 13; რაჲთა არა მიაქციონ ჰეროდესა, არამედ **სხჳთ გზით** წარვიდენ სოფლად თჳსა, მ. 2, 12; **სახლით თჳსით** სივლტოლაჲ იკუმია, ზარზმ. 178, 34; დღეს განვიდეენები **ადგილით ჩემით** გუემული მათ შიერ, კიმ.I, 114, 1; არიან ეგენი მთით **საკჳრველით**, იქვე, 331, 21; მაშინ გამოიყვანნა სომეხნი **მცირით ეგუტერით**, კიმ. II, 162, 24; **ფრჩხილებით მათით** გამოსდიოდა სისხლი, ლიტ. ქრესტ. 16, 27.

ასე იქნება თანდებულიანი სახელებიც:

გოდლითგან საებგურჲთ ვიდრე ქალაქთამდე მათ ძნელთა, 4 მეფ. 17, 9; ერთი მათგანი გუემულ იყო ფერჴითა **ბარკლითგან მისით** და კელობდა ფიცხლად, კიმ. I, 244, 30; უკუეთუ იზახოს ლომმან **მაღნარით გამო მისით**, რომელსა ნადირი არა აქუნ; უკუეთუ მოსცეს ლეკუნან ლომისამან ჴმაჲ თჳსი **ბუდით გამო თჳსით**, ამოს 3, 4; ღმერთი იტყოდა **წმიდით გამო მისით**, ფსალმ. 59, 6.

ახლა ვნახოთ ისეთი შემთხვევები, როცა ერთ საზღვრულს ახლავს ორი (ან. მეტი) მსაზღვრელი:

მოიხილე **მაღლით წმიდით შენით**, სას. პოეზ. 300, 280; მსგავსად მდინარისა აღმოადინებდა თაფლ-მწთოლვარითა მით ენითა სწავლათა საღმრთოთა და, ვითარცა მდინარე ედემისაჲ, აღმოუწყაროოდა **ოქრო-ნაკადულით პირით მისით**, ზარზმ. 156, 31 (ნ. კ. იქვე, 175, 28); აწცა გარდამოაელინე ქალაქსა ამას ზედა **ზეცით წმიდით შენით** ცნობაჲ ღმრთეებისა შენისაჲ, კიმ. I, 121, 16; წმიდა ჰყავ, სახიერო, წყლითა და საღმრთოჲთა სისხლითა, რომელი **ცხოველს-მყოფელით გუერდით შენით** გარდამოეცა, სას. პოეზ. 279, 193; მოიხილე, უფალო... **წმიდით სამკჳდრებელით შენით**, სვან. 277 a.

დასასრულ, მოვიყვანოთ ორიოდე ნიმუში ისეთი შემთხვევებისა, როცა საზღვრულს მართული მსაზღვრელი ახლავს. ეს მსაზღვრელი, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ ბოლოსაა მოქცეული.

უთანდებულო

განიძო იგი (ადამ) **სამოთხით ღმრთისაჲთ**, მამ. სწავ. 310; რამეთუ მოვიდეს **კიდით ქუეყანისაჲთ** სმენად სიბრძნესა სოლომონისსა, მ. 12, 42; და გარდაყარა იგი **სარკუმლით ქსენადუქისაჲთ** ჴევად, კიმ. II, 172, 12; რამეთუ პარვით წარმომიპარეს მე **ქუეყანით ებრაელთაჲთ**, დაბ. 40, 15; გიწოდა **მთით** ჩრდილოჲთ **მაღნართაჲთ**, სას. პოეზ. 72, 88.

თანდებულიანი

ბრჭალითგან ფერჴისაჲთ ვიდრე თავადმდე მისა არა იყო მის თანა ბიწ რაჲთურთით, 2 მეფ. 14, 25; რაჲთა მოიწიოს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული ქუეყანასა ზედა, **სისხლითგან** აბელის **მართლისაჲთ** ვიდრე სისხლადმდე ზაქარიაჲსა, მ. 23, 35; და შეკრიბნეს რჩეულნი მისნი ოთხთაგან ქართა **კიდითგან** ცისაჲთ ვიდრე კიდედმდე მისა, მ. 24, 31; **საშოჲთგანვე დედისაჲთ** შეწირულ იყო ღმრთისა დედისაგან თჳსისა, ხანძთ. 100, 26; იწყო კითხვად **თავითგან** მის **წიგნისაჲთ** ვიდრე აღსრულებადმდე, კიმ. I, 274—275.

ით ნიშნიან მოქმედებითს, რომელიც გამოსელითის ფუნქციით იხმარება, ხშირად ენაცვლება **გან** თანდებულიანი ნათესაობითი. ეს გარემოება ამ ორი ბრუნვის ახლობელ ნათესაობაზე მიუთითებს. ამ საგანზე ბევრი

უთქვამთ და დაუწერიათ[1] და აქ სიტყვას აღარ გაეგრძელებთ. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

რამეთუ არასადაჲთ **ანგელოზთაჲთ** იწყო, არამედ **ნათესავისაგან** აბრაჰამისა იწყო, ებრ. 2, 16, ლაგ. აქ ერთსა და იმავე წინადადებაში ერთსა და იმავე ზმნასთან ერთი სახელი რომ ნათესაობით-მოქმედებითშია (ანგელოზთა-ჲთ), მეორე ნათესაობითში დგას და მას **გან** თანდებული ერთვის (ნათესავ-ისა-გან). ფუნქციით ესენი სრულიად ფარავენ ერთმანეთს. ასეთივე მაგალითებია:

აღადგინენ მკუდარნი **საფლავისაგან**, სას. პოეზ. 370, 8, მაგრამ: **საფლავით** მკუდარნი აღადგინენ, იქვე, 371, 14; **ბნელით** ნათლად აღმოუწოდა, იქვე, 320, 2, მაგრამ: აღმოიყვანე **ბნელისაგან** ნათლად, იქვე, 321. 5; იჯმნა ს'დ ქალაქით **კოსტანტინეთ** (მოქმ.) და ყოელისაგან **საბერძნეთისა** (ნათ.), კიმ. I, 65, 5; მეყსეულად ჴმობდეს და განვიდოდეს კაცთაგან **ყოველით ასოჲთ მათით**, ჴელთაგან და ფერჴთაგან და ყურთაგან და **ყოველისაგან გუამისა მათისა**, იქვე, 241, 1; ანუ ვითარ ჰრქუა ძმასა შენსა: მაცადე, აღმოგიღო წუელი **თუალისაგან შენისა**, მ. 7, 4 DE, მაგრამ: ...მაცადე და აღმოგიღო წუელი ეგე **თუალით შენით**, იქვე C; გამოჴადა ადამი **სამოთხით**, Ошиг. 40, 3 ქვ., მაგრამ: გამოჴადა უფალმან **სამოთხისა** მისგან. ბოლნ. 62. 5; აბარა განსლვაჲ მისი ამიერ **სოფლით**, კიმ. I, 94, 29, მაგრამ: შემდგომად შჳდისა დღისა განვალ **სოფლისა** ამისგან, იქვე, 94, 31; არა თუ რომელი შევალს **პირით**, შეაგინებს იგი კაცსა, არამედ რომელი გამოვალს **პირისაგან**, იგი შეაგინებს კაცსა, მ. 15, 11 C. DE-ში ორივე შემთხვევაში მოქმედებითია ბოცემული (პირით). ამ მხრივ მეტად საინტერესო ადგილი აქვს დაცული ოშკის ბიბლიას. იობის წიგნში ერთგან იკითხება: მო-ვე შიშუელი-ვედ **მუცლისაგან** დედისა ჩემისაჲთ, შიშუელ-ცა მივიქცე მუნვე ქუეყანად, 1, 21. აქ, როგორც ვხედავთ, საზღვრული სახელი ნათესაობითში დგას (მუცლისაგან), ხოლო მსაზღვრელი — მოქმედებითში, უკეთ, ნათესაობით-მოქმედებითში (ჩემისაჲთ); ჩვეულებრივი წესით უნდა ყოფილიყო: მუცლით დედისა ჩემისაჲთ, ან: მუცლისაგან დედისა ჩემისაჲსა (ან: ჩემისა). ეს ნაბეერად ნათესაობითი და ნაბეერად მოქმედებითი ფორმა კარგად უჩვენებს ამ ბრუნვათა ფუნქციურ (და გენეტურ) ნათესაობას.

B. ით-ი ნიშნიანი

მოქმედებითის მიერ გამოსელითი ბრუნვის მნიშვნელობის გამოხატვაზე საუბარი სრული არ იქნება, თუ აქ არ შევეხებით ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ ისეთ ფორმებს, როგორიცაა **ქალაქით ქალაქად, სენაკით**

---

[1] ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 3, 1944, გვ. 340 — 341, 347; ა. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა უენებისის საკითხი ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VII, № 1—2, 1946. გვ. 66.

სენაკად, **ბჭითი ბჭედ**, **დღითი-დღედ** და სხვა. ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, ამ წყვილი ფორმიდან პირველი გვაინტერესებს (ქალაქითი, სენაკითი, ბჭითი, დღითი), რადგან სწორედ მას აქვს უშუალო კავშირი მოქმედებითის ბრუნვასთან.

წინასწარ შეიძლება შევნიშნოთ, რომ ფორმები **ქალაქითი**, **სენაკითი**, **ბჭითი**, **დღითი** ცალკე და დამოუკიდებლად არ იხმარება, მათ ყოველთვის მოჰყვება ხოლმე ამავე სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმები: **ქალაქად**, **სენაკად**, **ბჭედ**, **დღედ** და სხვა[1]. ამრიგად, გვაქვს „**ქალაქითი ქალაქად**“ და ის ამას ნიშნავს: „ქალაქიდან ქალაქში“; **სენაკითი სენაკად**=სენაკიდან სენაკში, **ნათესავითი ნათესავად**=ხალხიდან ხალხამდე (ტომიდან ტომამდე, თაობიდან თაობამდე) და სხვა.

დროის აღმნიშვნელ სიტყვებსაც დაახლოებით ასეთივე მნიშვნელობა აქვთ, მაგალითად: **დღითი დღედ**=დღიდან დღემდე, დღედაღდე, ყოველდღიურად, **წლითი წლად**=წლიდან წლამდე, ე. ი. ყოველწლიურად და სხვა.

როგორც ვნახეთ, ამ წყვილი სიტყვებიდან პირველი ასეა გაფორმებული: ფუძეს ემატება დაბოლოება **ითი**. რა არის ეს ითი? მოქმედებითის ნიშანი, როცა ის გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელობით იხმარება, არის **ით**, აქ კი გვაქვს **ით** + **ი**.

ნ. მარი ფიქრობდა, რომ **ითი**-ს წინამავალი **ი** წარმოშობით სახელობითი ბრუნვის ნიშანია და ფუძესთანაა შეზრდილი: ქალაქ-ი → **ქალაქი** (ფუძედ არის ქცეული), ხოლო მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი **ით** გადასმულია: **ით** → **თი**. აქედან: **ქალაქითი**. სახელობითი ბრუნვის ნიშნის ფუძესთან შეზრდის ნიმუშად ნ. მარს ჭანური მოჰყავს[2].

მაგრამ ნ. მარის ეს აზრი არაა სწორი. ჯერ-ერთი, უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ სახელობითი ბრუნვის ნიშანი ფუძეს შეეზრდება, ის გაჰყვება მას სხვა ბრუნვებშიც, როგორც ეს გვაქვს ჭანურსა და მეგრულში[3]; აქ კი ეს **ი** მხოლოდ ერთს, მოქმედებითს ბრუნვაში იჩენს თავს. ბეორე: რად უნდა მომხდარიყო **ით**-ის გადასმა? ამას არავითარი გამართლება არა აქვს. მესამე: თუ **ით**-ის გადასმის შედეგად **თი** მივიღეთ, მაშინ რატომ არ არის გადასმული **ით** მთელ რიგ სხვა შემთხვევებში (ქალაქ-ით, სოფლ-ით, აღმოსავალ-ით, კაც-ით-ა, ქალ-ით-ა, გულ-ით-ა)? ამ კითხვებზე პასუხი არა ჩანს, არცაა მოსალოდნელი.

საკითხის ასახსნელად უფრო საინტერესო და საქმესთან ახლო მდგომი მოსაზრება აქვს გამოთქმული ა. შანიძეს. იგი ამ საკითხის შესახებ წერს:

---

[1] იშვიათად დამოუკიდებლადაც გვხვდება, უმთავრესად დროის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებში (დილა, ქამი), მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

[2] ნ. მარი, გრამ. გვ. 21—22.

[3] ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 44, 49—50.

„ამ შემთხვევაში -ითი არ არის ჩვეულებრივი ბრუნვის მაწარმოებელი სუფიქსი. იგი საზოგადოდ და საყოველთაოდ რომელსამე ბრუნვას არ ახასიათებს, ნაგრამ უკეთუ ბოლოკიდურ ინს ანად შევუცვლით, მაშინ მივიღებთ -ითა სუფიქსს, რომელიც ჩვეულებრივ და საზოგადოდ მოქმედებითი ბრუნვის მაწარმოებელია. ამ -ითა სუფიქსს ეკვეცება ხოლმე ბოლოკიდური ანი და ძველს ქართულში ხშირად, ხოლო ახალს ქართულში უმთავრესად და უპირატესად -ით ჯგუფის სახით არის ხოლმე წარმოდგენილი. მაშასადამე, მოგვეპოვება ორი სუფიქსი (-ითა და -ითი), რომლებიც ერთურთისაგან განსხვავდებიან როგორც ფორმით, ისე მნიშვნელობით: ერთია (-ითა) ინსტრუმენტალისა და მეორეც (-ითი) აბლატივის მაწარმოებელი. მაგრამ რაკი ორთავე სუფიქსს თავთავიანთ განვითარების პროცესში ერთურთის განმასხვავებელი ბოლოკიდური ხმოვნები დაუკარგავთ, ამიტომ ორთავ მოუცია -ით და წარმოშობით ორი სხვადასხვა სუფიქსი ფორმალურად ერთი მეორეს დაჰმსგავსებია და ერთ ბრუნვაში გაერთიანებულა, რომელსაც მნიშვნელობა ორივესი შეჰრჩენია: ინსტრუმენტალისა და აბლატივისა“ [1].

ჩვენი აზრით, საეჭვოა, რომ -ითი-საგან ი-ს დაკარგვით მომდინარეობდეს -ით, რომელიც ძველ ქართულში ჩვეულებრივია მოქმედებითი ბრუნვის ნიშნად (გამოსვლ. მნიშვნ.), -ითი კი, როგორც ვნახეთ, მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში იხმარება, სახელდობრ მაშინ, როცა მოქმედებითს (გამოსვლითის მნიშვნელობით) მოსდევს ხოლმე ვითარებითი: ქალაქითი ქალაქად და სხვა. მაშასადამე, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ამ განსაზღვრული შემთხვევებისათვის გამოყენებულ ითი-ს აქვს დამატებული ი, სულ ერთია, რა ხასიათისა და წარმოშობის აღმოჩნდება ის. ამ მხრივ საინტერესოა თვით ა. შანიძის მიერ გამოთქმული მეორე მოსაზრება, რომელიც ამ საკითხის ახსნას ცდილობს:

„შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ინსტრუმენტალის ფორმები ქართულში თავისთავად მატარებელნი არიან აბლატივის მნიშვნელობისაც და რომ -ითი სუფიქსის ბოლოკიდური ინი ამ ერთისა, თუმცა ღა კი ორმნიშვნელობიანი ინსტრუმენტალი ბრუნვის ბოლო-მოკვეცილ (ით) სუფიქსთან ერთად შეხორცებული და ერთ დროს სრულიად დამოუკიდებელი ნაწილაკი იყო, რომელიც პრეპოზიციულად იხმარებოდა და რომელიც მომდევნო სიტყვას მიმართულებით ბრუნვაში ჰსვამდა, მაგალითად ასე: ქალაქით ი ქალაქად. თუ აგრე გავიგებდით, მაშინ ამ ინს სომხური *ի* ამოუდგებოდა გვერდში, რომელიც მიმართულების აღსანიშნავად აკუზატივს მოითხოვს (მაგალ., *ի քաղաք*). ხოლო დამოუკიდებელი ნაწილაკის წინამავალ სიტყვასთან შეხორცების პროცესის გასათვალისწინებლად საჭირო იზაფეთის ინს დავიმოწმებდით. მაშინ -ითა სუფიქსის ბოლოკიდურ ინში გვექნებოდა იგივე ინი, რომელიც ნაშთია პრეპოზიციული წარმოებისა ქართულში რამოდენსამე მაგალითში, სადაც ოღონდ ამ პრეპოზიციულ ინს დაუკაო-

[1] ა შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: წელიწდეული, 1923—24, გვ. 4—5.

გავს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და შეჰხორცებია მომდევნო სიტყვის ფორმას: **იმრგულივ, იგურდივ, იბრტყივ**“ [1].

ავტორს უფრო დამაკმაყოფილებლად პირველი მოსაზრება მიაჩნია. ჩვენ უფრო მეორე გვეჩვენება სარწმუნოდ.

ა. ჩიქობავას გაკვრით აქვს გამოთქმული მოსაზრება, რომ კოჩი-თე-(ნ)-სა და მსგავს ფორმებში „ჰანურის ბოლოკიდური -ე ძვ. ქართულის -ი-ზე გვაფიქრებინებს (ქალაქ-ით-ი ქალაქად...), მაგრამ გადაჭრით მათი იგივეობის მტკიცება ძნელია“ [2].

შეიძლებოდა, ბოლოს, გამოგვეთქვა აზრი, რომ **ქალაქითი** ორმაგი მოქმედებითის თ მოკვეცილი ფორმაა: ქალაქ-ით-ით → ქალაქ-ით-ი. მართალია, ამ შემთხვევაში არა გვაქვს საზღვრული, რომლის გამოც უნდა ყოფილიყო გამოწვეული მეორე ით, მაგრამ ამნაირი უსაზღვრულო ორმაგი ფორმა სხვაგანაც გვხვდება [3]. თუ ეს დაშვება სწორი აღმოჩნდებოდა, მაშინ ბუნებრივი იქნებოდა ით-ის განმეორების ასაცილებლად თ-ს მოკვეცა: ორმაგი ნათესაობითის ფორმებში „ისაჲსა“ (← ისა-ისა) სუფიქსის ნაცვლად ერთი „ისა“-ღა დაგვრჩა: კარისა მისგან საფლავისა-ჲსა (ი. 20, 1 C) → კარიხა მისგან საფლავ-ისა (მ. 28, 2 DE). თ-ს მოკვეცისათვის შეიძლება ხელი შეეწყო იმ გარემოებას, რომ ამგვარი კონსტრუქცია (ქალაქითი ქალაქად, დღითი დღედ, წლითი წლად) განსაკუთრებულ, თავისებურ შინაარსს შეიცავს და ერთგვარად არის დაცილებული სუფთა გამოსვლითს. შდრ. გამოვიდა მიერ **ქალაქით** და: ვიდოდა **ქალაქითი** ქალაქად; მიერ **დღითგან** იწყო სიტყუად და ქადაგებად და ასწავებდა **დღითი** დღედ.

ამ დაშვებას ერთგვარად აბრკოლებს ის გარემოება, რომ ორმაგი (და სამმაგი) ბრუნებისას პირველი ბრუნვა ნათესაობითია (სახლით მეფისაჲთ), აქ კი მოქმედებითი გვაქვს (ქალაქ-ით-ით). ბაგრამ გადაულახავი არც ეს დაბრკოლებაა: ძველ ქართულში ამის მსგავსი წარმოებაც მოგვეპოვება: **გულ-ით-ად** (**გულითად** უწყოდა კაცი იგი მართლად და წმიდად, შრ. 6, 20 C); აწ განატრი შენ **გულითად**, პარხ. 432 g; შეინანე **გულითად**, იქვე, 447 b. და სხვ.

აქ მოყვანილი მოსაზრებები მაინც მოსაზრებებია და საკითხს სპეციალური შესწავლა ესაჭიროება.

დასასრულ, მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს ძველი ქართულის ტექსტებიდან:

და მათგანნი სტანჯნეთ შესაკრებელთა თქუენთა შორის და სდევნიდეთ **ქალაქითი ქალაქად**, მ. 23, 34; არცა იზარებდა სლვად **ქალაქითი ქალაქად** და **ჭუეყანითი ჭუეყანად**, კიმ. I, 2, 9; როკავნ და იქცევიდ იგი **კარითი**

---

[1] ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: წელიწდეული, 1923—24, გვ. 5—6.

[2] ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 54.

[3] და ვითარცა იხილა სწრაფად იგი მეფისაჲ, გამოვიდა **მეფისაჲთ** და მოკიდა თჴსა ვანად, პარხ. 699 b. შდრ. გამოთქმები: ანგელოზთასა იტყჳს და სხვა.

კარად, მიბჭემდე ქალაქისა, 1 მეფ. 21, 13; დამკვდრებად მათა **ზღუთი ზღუად** და მდინარითგან ვიდრე კიდედმდე ქუეყანისა, ზირაქ 44, 23. ეგევე ადგილი ფსალმუნში ასეთი რედაქციითაა მოცემული: უფლებდეს იგი **ზღუთი ზღუადმდე** და მდინარითგან კიდემდე სოფლისა, ფსალმ. 71, 8. როგორც აქედან ჩანს, ამ პარალელურ წყვილებში **ზღუთი**=მდინარითგან, ხოლო **ზღუად** (ზღუადმდე)=კიდემდე (ვიდრე კიდედმდე), ე. ი. ამ სპეციფიკურ ფორმებს ჩვეულებრივი გამოსელითი ბრუნვის მნიშვნელობა აქვს.

აქ მეორე გარემოებაცაა აღსანიშნავი: ჩვენთვის საინტერესო განსაკუთრებულ გამოთქმას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა **ერთი** და **იგივე** ფუძე გვაქვს მოქმედებითსა და ვითარებითში (**ზღუთი ზღუად**), მაგრამ როცა **სხვადასხვა** ფუძეა აღებული ასეთივე შინაარსით, მოქმედებითში **ით**-ი იქ არ გვხვდება (მდინარითგან კიდედმდე).

...არცა იცვალებინ **ადგილითი ადგილად** და არცა **მონასტრითი მონასტრად**, მამ. სწავ. 345; რაჟამს შეხჳდოდი **საუნჯითი საუნჯედ** დამალვად, 3 მეფ. 22, 25; და შეიყვანო იგი **სენაკითი სენაკად**, 4 მეფ. 9, 2; (ყო) წყალობაჲ მისი **ნათესავითი ნათესავად**, ლ. 1, 50. ამავე შინაარსის გამოსახატავად ადიშის ოთხთავში იხმარება **თესლითი თესლად** (იქვე). ასეთივე მაგალითია ესეც: რამეთუ განსდიდნე ღმრთისა თანა და მოიღო ნეტარებაჲ **თესლითი თესლამდინ**, კიმ. I, 179, 35; შეიბნ კაცად-კაცადმან მაბჯლი წელთა თჳსთა და განვლეთ და მოაქციეთ **ბჭითი ბჭედ** ბანაკისა მაგისგან, გამოსლვ. 32, 27.

იშვიათად შესაძლებელია ამგვარ მოქმედებითს ახლდეს თავისი მსაზღვრელი. ამ უკანასკნელს აქვს მხოლოდ მარტივი **ით→ად** ნიშანი, მაგალითად:

და **გუერდითი გუერდთაჲთ** ვიდრე **გუერდადმდე** სხუად, ეზეკ. 41, 6. რადგანაც ამ წყვილ ფორმას შორის პირველის მსაზღვრელი მოთავსდა, აუცილებელი შეიქნა მეორისათვის „ვიდრე“-ს მირთმა, რაც სხვა შემთხვევაში არ იყო საჭირო.

წარმოების მიხედვით სრულიად მსგავს ფორმებს იძლევა ისეთი სიტყვები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობა დროზე მიუთითებს. ასეთებია: **დღითი დღედ**, **ჟამითი ჟამად**, **წლითი წლად** და სხვა. შესაძლებელი იყო ასეთი ფორმებიც აქვე განგვეხილა, მაგრამ, რადგანაც ქვემოთ მოქმედებითის მიერ დროის გარემოების გამოსატვის საკითხზე ცალკე გვაქვს ლაპარაკი, უმჯობესად ვცანით აღნიშნული მაგალითების განხილვა იქ გადაგვეტანა (გვ. 224—225).

3. მოქმედებითი დროის გარემოებად

ა. ით ნიშნიანი

როგორც ზევით იყო აღნიშნული, **ით** ნიშნიანი მოქმედებითი გამოხატავდა აგრეთვე დროის გარემოებას; ის მიუგებდა კითხვაზე: **საიდან?** (დროში), ე. ი. რა დროიდან. არსებითად რომ ვთქვათ, ესეც გამოსელითი

(დაწყებითი) ბრუნვის მნიშვნელობითაა ნახმარი, ოღონდ იგულისხმება მოქმედების დაწყება **დროში**.

ამ გაგებით მოქმედებითი ბრუნვა გვხვდება თანდებულით და უთანდებულოდ. რა განსხვავებაა ამ მხრივ ადგილისა და დროის გარემოებებს შორის? მოქმედებითი ბრუნვა ადგილის გარემოების გამოხატვისას **უმთავრესად უთანდებულოდ** იხმარება, თანდებულებთან მისი გამოყენება **შედარებით შეზღუდულია**. აქ კი, დროის გარემოების გადმოცემისას, საქმე პირიქითაა: **ჩვეულებრივია თანდებულიანი** მოქმედებითი, **ძალზე იშვიათია** მისი უთანდებულოდ ხმარება. ასეთ შემთხვევაშიც უთანდებულო მოქმედებითი ყოველთვის კი არ უჩვენებს მოქმედების საწყისს დროში, არამედ საერთოდ დროის მონაკვეთს, როცა აღნიშნული მოქმედება მიმდინარეობდა. ასე რომ, აქ სუფთა გამოსვლითი (დროში) კი არა გვაქვს, არამედ დროის გარემოება საერთოდ. ადგილის გარემოების გამოხატვის წესში უფრო ძველი ვითარებაა შემონახული. ვიდრე დროის გარემოების გამოხატვისაში. ეს ერთი. ადგილის გარემოების გამოხატვისას მოქმედებითს ბრუნვას ერთვის მრავალი თანდებული (გან, გამო, გარდამო, გამართ, გამომართ, კერძო), დროის გარემოების გამოხატვის დროს კი—ერთადერთი თანდებული (გან). ეს მეორე. მთავარია მაინც შემდეგი: დროის გარემოების გამოხატვისას მოქმედებითს ბრუნვაში გვხვდება მეტად მცირე წრე სახელებისა, ესაა უმთავრესად ისეთი არსებითი სახელები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობაც დროზე მიუთითებს, მაგალითად, წელი, დღე, ღამე, თთუე, ჟამი, ცისკარი, განთიადი, სიყრმე, სიჭაბუკე. სიჩჩო (სიჩჩოება), საუკუნე, დასაბამი, დასასრული, დილა, ბწუხრი და სხვა. მეორე მხრივ, ამავე როლში გამოდის **გან** თანდებულიანი **საწყისები** (შობითგან, მოსლვითგან, აღესებითგან, აღმაღლებითგან და სხვ.)- სახელთა ამ ორი ჯგუფით განისაზღვრება მოქმედებითი ბრუნვის გამოყენება დროის გარემოებად.

თუ **გან** თანდებულიან მოქმედებითს ამ შემთხვევაშიც ახლავს რაიმე სახის განსაზღვრება, ისიც ყოველთვის უთანხმდება საზღვრულს ბრუნვაში და მხოლოდ ით ბრუნვის ნიშანს გვიჩვენებს. მაშასადამე, აქაც სრულიად ისეთი ვითარება გვაქვს, როგორიც გვქონდა ზემოთ განაილული ადგილის გარემოების შემთხვევებში. ამიტომ აქ სათანადო მაგალითებს აღარ დავაჯგუფებთ იმის მიხედვით, თუ რა და რა სახის მსაზღვრელი ახლავს საგელს, რამდენია ასეთი მსაზღვრელი და სად დგას იგი: საზღვრულის წინ, თუ მის შემდეგ. არას ვიტყვით აგრეთვე ნაწილაკიან სახელთა შესახებაც, რადგანაც მას აქ არავითარი თავისებურება არ გააჩნია. ახლა დაგვრჩენია წარმოვადგინოთ სათანადო მაგალითები.

უთანდებულო

პოვა ნაბაკევი ოქერი **მრავლით ჟამით**, უდაბნ. 25 rb; და პოვა დედაკაცმან მან ყოველი მონაგები მისი არა ხოლო მის დღისაჲ, არაცედ როჟველიცა-იგი **მრავლით წლით** მიჰპარულ იყო მისგან, კიმ. I, 304, 37; **რომ-**

ლით დღით გამოსრულ იყო მეფე სახლით თჳსით მიმუნდღედმდე. 2 მეფ. 19, 24.

ეს უკანასკნელი მაგალითი საინტერესოა იმითაც, რომ წინადადებაში გვაქვს **მდე** თანდებულიანი სახელი (დღედმდე), მაგრამ არ არის **გან** თანდებულიანი; ამ უკანასკნელის მაგივრობას ერთგვარი გაჭირვებით სწევს უთანდებულო მოქმედებითი (დღით). სხვა შემთხვევაში მსგავსი მაგალითი უკვე თანდებულითაა წარმოდგენილი (**რომლით დღითგან** გამოვიყვანე ერი ჩემი ისრაჱლი ქუეყანით ეგჳპტით, 3 მეფ. 8, 14; **ვინაჱთ დღითგან** სათნო-ვიყავ სახლი ისრაჱლისაჲ, ეზეკ. 20, 5; **ვინაჲ დღითგან** დაებადე შენ ვიდრე დღედმდე, ოდეს იპოვა შენ თანა სიცრუჱ, ეზეკ. 28, 15).

...და **მით დღით** უკუმოითუალვის და ჩას, რამეთუ ოც და ხუთსა არს ხარებაჲ მარიამისი გაბრიელის მიერ. და **მითვე დღით** ჩას შობითგან იოვანჱსით..., მრავ. 304, 15; კიმ. II, 69, 17; **დილაჲთ** ადრე აღდგეს ბრანჯნი იგი, მოქც. 77, 13.

მაგრამ ჩვეულებრივ ეს ფორმა თანდებულითაა ხოლმე მოცემული: შჯიდეთ **დილითგან** საშჯელსა და განაგებდეთ. იერ. 21, 12.

...მოუწოდეთ მოწაფესა ჩემსა, რამეთუ **აღებით** არარაჲსა გემოჲ უხილაეს, კიბ. I, 166. 13.

ჩვეულებრივია ისეთი შემთხვევები, როცა მოქმედებითში დასმული სახელები, რომლებიც თავიანთი ლექსიკური ნიშნებით დროზე მიუთითებენ, დროის გარემოებას აღნიშნავენ, უპასუხებენ კითხვაზე: რ ო დ ი ს? რა დ რ ო ს? ზოგი ასეთ სიტყვათაგანი უკვე ზმნიზედადაა ქცეული. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი: და მოვიგოთ ლოცვაჲ და მარხვაჲ და **მღჳძარებაჲ ღამით**, მამ. სწავ. 64; რამეთუ მიზდი ვედრებისა ჩუენისაჲ არა დაადგრების **ღამით** შენ თანა, იქვე, 25; **დილითლა** უკუმოიქცა იესუ ქალაქად. უდაბნ. 79 ra; **დღით** და **ღამით** არს ღაღადებაჲ ესე ჩემი შენდა მიმართ, ლიტ. ქრესტ. 6, 13.

თანდებულიანი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ ჩვენ გვაქვს ერთადერთი თანდებული — **გან**, მაგრამ სამაგიეროდ შემთხვევები, როცა ეს თანდებული ერთვის სახელს და დროის გარემოებას აღნიშნავს, ძალიან ბევრია. ვუჩვენოთ ჯერ ისეთი მაგალითები, როცა ეს **გან** დროის გამომხატველ (არსებითს) სახელებს ერთვის, შემდეგ ისეთი მაგალითები, რომლებშიც იგი საწყისებს ახლავს.

არსებითი სახელები

უნდა მისი ხილვაჲ მრაველით **ჟამითგან**, ლ. 23, 8; ბიერ **ჟამითგან** წარიყვანა იგი სახედ თჳსა, ი. 19, 27 C; სხუანი არიან მუნ მრაველით **ჟამითგან**, ამონ. 206, 9.

ჟამი აქ მოყვანილ მაგალითებში „დროს“ აღნიშნავს საზოგადოდ. მაგრამ **ჟამი** ძველ ქართულში „საათის“ მნიშვნელობითაც იხმარება. აი ამის რამდენიმე ნიმუში:

განიკურნა ასული იგი მისი მიერ **ჟამითგან**, მ. 15, 28; ექუს **ჟამითგან** დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა, მ. 27, 45. ეს მაგალითი იმითაა საინტერესო, რომ საზღვრულს (ჟამითგან) ბრუნვაში არ უთანხმდება მსაზღვრელი („ექუს“ და არა „ექუსით“, როგორც ჩვეულებრივ გვაქვს სხვა შემთხვევებში). ეს გამოწვეულია იმით, რომ მსაზღვრელი რაოდენობითი რიცხვითი სახელია, ასეთი სახელები კი ხშირად არ ეთანხმება ბრუნვაში თავის საზღვრულს, და ეს არა მარტო ჩვენს შემთხვევაში (მოქმედებითს ბრუნვაში), არამედ საერთოდ.

...არცაღა იკადრა ვინ მიერ **დღითგან** კითხვად მისა არღარა, მ. 22, 46; მიერ **დღითგან** წარიყვანა იგი მოწაფემან მან თჳსთა თანა, ი. 19, 27; და იყოს მერვით **დღითგან** და მიმართ შესწირვიდენ მღდელნი მრგულიად-დასაწუველთა, ეზეკ. 43, 27.

იყო ვინმე დედაკაცი წყაროჲთა სისხლისაჲთა ათორმეტით **წლითგან**, ლ. 8, 43; რომლისა თანა იყო სული უძლურებისაჲ ათრევამეტით **წლითგან**, ლ. 13, 11 E. პირველ მაგალითში C-ში მსაზღვრელი არ ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში და გვაქვს: **ათორმეტ წლითგან**. მეორე მაგალითში კი ეს შეუთანხმებლობა ორ ხელნაწერს (CD) ახასიათებს, რომლებშიც იკითხება: **ათრვამეტ წლითგან** D, **ათორმეტ წლითგან** C. ამ უკანასკნელში, როგორც ვხედავთ, აღნიშნულს გარდა, რიცხვიც არის შეცვლილი: „ათრვამეტ“-ის ნაცვლად „ათორმეტ“-ია მოცემული, თუმცა ცოტა ქვემოთ (ლ. 13, 16) ეს შეცთომა გამოსწორებულია და იკითხება „ათურამეტი წელი“.

...და ესე დავრდომილ იყო რვით **წლითგან**, არიმ. 55, 64, 1; სხუაჲ ვინმე დაჴსნილი სამით **წლითგან** და წყლით-მანკიერი მოიყვანეს მისა, კიმ. I, 254, 24.

საუკუნითგან არასადა ვის ესმა, ვითარმცა აღ-ვინმე-უხილნა თუალნი შობითგან ბრმისანი, ი. 9, 32.

პირველითგან იყო სიტყუაჲ, ი. 1, 1; უკითხვიდა მათ **ცისკრითგან**... ვიდრე ექუს ჟამადმდე, ნეემია 8, 3; და იყო სიხარული დიდი ფრიად **დღითგანვე** ვიდრე მწუხრადმდე, კიმ. I, 161, 23; უკუეთუ იცოდიან, ვითარმედ კუროჲ იგი მრქენალი იყო **ძუღუჴნდითგან** და **გუშინდითგან**, გამოსლვ. 21, 36; რაოდენი ჟამი არს, **ვინაჲთგან** ყოფილ არს ეგე მაგის თანა? ხოლო მან თქუა: **სიყრმითგან**, მრ. 9, 21; ეგე ყოველი დამიმარხავს **სიყრმით ჩემითგან**, მ. 19, 20; გზა-ჰყევ წმიდათა ამათ და ხვალე **განთიადითგან** ვიდრე მწუხრამდე რაოდენი შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა, ზარზმ. 158, 21; **სიჩჩოჲთგანვე** ღუნოჲ და ჴორცი არა შეჴდა პირსა მისსა, ხანძთ. 100, 28; **მწუხრითგან** დილეულადმდე, კიმ. II, 163, 11; **დასაბამითგან** არა ეგრე იყო, მ. 19, 8 C; ცხორებულ იყო ქრისტჱ თჳსისა თანა შჳდ წელ **სიქალწულითგან** თჳსით, ლ. 2, 36; არცაღა მოვიდე მე აქა **დასასრულითგან** დიდისა ამის **ზღჳსაჲთ**, კიმ. I, 328, 3; ესე ყოველი მიყოფიეს **სიჴაბუკით ჩემითგან**, მრ. 10, 20.

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, როცა არსებითს სახელს განსაზღვრება ახლავს, უფრო მეტად კუთვნილებითი ნაცვალსახელები, თანდებული შეიძლება ამ უკანასკნელზეც გადავიდეს. შდრ. კიდევ: სიყრმით ჩემითგან (მ. 19, 20), მაგრამ: **სიყრმითგან** თქუენით, ხანძთ. 141, 5.

ზემოთ განხილული მაგალითების ტიპისაა აგრეთვე დროის ზმნიზედები და კავშირები, როგორიცაა: **მიერითგან, ამიერითგან, ვინაჲთგან** და სხვა, მაგალითად:

მიერითგან ეძიებდა ჭამსა მარჯუესა, რაჲთამცა მისცეს იგი მათ, მ. 26, 16; არღარა ვსუა მე **ამიერითგან** ნაყოფისაგან ამის ვენაჯისა, მ. 26, 29; სამი დღე არს, **ვინაჲთგან** მელიან მე, მ. 15, 32 ბ.

საგანგებო ხაზგასმული სიტყვა დროს უჩვენებს: **მიერითგან**=იმ დროიდან, იმ ხნიდან, მას შემდეგ; **ამიერითგან**=ამ დროიდან, ამის შემდეგ. უფრო საინტერესოა მესამე სიტყვა — **ვინაჲთგან**. ძველ ქართულში ის დროის კავშირი იყო და ამას ნიშნავდა: „რა დროიდანაც“, „მას შემდეგ, რაც“. გამოსვლითი ბრუნვის შინაარსი (დროში) მას კარგად აქვს დაცული. მიზეზის კავშირად კი ეს სიტყვა შემდეგში იქცა[1].

საწყისები

და იყო იგი უტყჳ და ყრუჲ **შობითგან** მისით, კიმ. I, 310, 11; ხოლო აღდგებითგან ვიდრე ახალ-კჳრიაკემდე პირისა კანონი არა თქჳან, ხანძთ. 113, 22; წელსა ოც და მეოთხესა **დაყუდებითგან** მისით, კიმ. I, 23, 9; შეჰვედრა სული თჳსი ჴელთა ღმრთისათა ქართლად **მოსლვითგან** მეათბუთმეტესა წელსა და ქრისტეს **აღმაღლებითგან** ტ̃ლზ წელსა, მოქც. 58, 7; ესე იყო ქართლის **მოქცევითგან** რ̃ო წელსა, იქვე (ისტ. ქრესტ. 268, 20); არამედ **გარდაცვალებითგან** მისით დაიწერა ცხორებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოც და ათისა წლისა, ხანძთ. 154, 14.

როცა საწყისს თავისი განსაზღვრება ახლავს (უფრო კუთვნილებითი ნაცვალსახელები), თანდებული ამ შემთავევაში არ სცილდება მას ჩვეულებრივ და მსაზღვრელს არ ერთვის: **გარდაცვალებითგან** მისით, მაგრამ არა: გარდაცვალებით მისითგან. საწყისებთან ასეთი მდგომარეობა ბუნებრივია: საწყისი დროის გარემოებას მხოლოდ ამ თანდებულის დართვით გამოხატავს და ამიტომ ამ თანდებულის მოცილება, უპირველეს ყოვლისა, ტექსტის შინაარსს დააზიანებდა.

თუ მოქმედებითში დგას ორი სახელი, თანდებული, როგორც წესი, ერთვის ერთ ნათგანს, ჩვეულებრივ პირველს, მეორე კი უთანდებულოდაა წარმოდგენილი. ტექსტი ამ შემთხვევაში გულისხმობს, რომ ეს თანდებული ორივეს ეკუთვნის.

---

[1] ა. ჩიქობავა, ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ქართულში (სივრცისა და დროის მომენტთა ურთიერთობის ასპექტში): ფსიქოლოგია, ტ. III, 1944, გვ. 485 — 492.

აი ამის ორი მაგალითი:

რამეთუ არასადა დამკჳდრებულ ვარ მე საყოფელთა შინა **დღითგან** და **ჟამით**, რომელსა გამოვიყვანენ ძენი ისრაჱლისანი ქუეყანისა მისგან მეგჳპტელთაჲსა, 2 მეფ. 7, 6; წელიწადსა **ვნებითგან** და **მკუდრეთით აღდგომით**... შევისწავეთ მარტჳლობაჲ... ჰაბოჲსი, აბო 189, 28.

B. ით-ი ნიშნიანი

დროის გარემოებას უჩვენებს აგრეთვე **ით-ი** ნიშნიანი მოქმედებითი იმ შემთხვევაში, როცა სათანადო სახელის ფუძე დროის ლექსიკურ გაგებას შეიცავს. ასეთი სიტყვებია: დღე, ჟამი, წელი, დილა და სხვა. წარმოების თვალსაზრისით აქ ჩვენ სრულიად ისეთი ვითარება გვაქვს, როგორიც გვქონდა ზემოთ გარჩეულ ადგილის გარემოების ფორმებთან: **ქალაქითი ქალაქად, ხახლითი ხახლად** და სხვა. განსხვავება მხოლოდ შინაარსის, მნიშვნელობის მიხედვით გვაქვს: „ქალაქითი ქალაქად" ადგილს უჩვენებს, „დღითი დღედ" — დროს. ამ განსხვავებას ქმნის არა ფორმათა წარმოება (რაც მათ სავსებით ერთნაირი აქვთ), არამედ ფუძის მნიშვნელობა (რაც მათ განსხვავებული აქვთ). წარმოებაზე ზემოთ საკმაოდ ვრცლად იყო საუბარი და აქ აღარ გავიმეორებთ. აქ ვეუჩვენებთ მხოლოდ სათანადო მაგალითებს:

დღითი დღედ თქუენ თანა ტაძარსა შინა ვჯედ და გასწავებდ, მ. 26, 55. ზოგჯერ ვითარებითს ეკარგება დონი და გვაქვს: დ ღ ი თ ი დ ღ ე: იყო მუნ და ასწავებდა **დღითი დღე** ტაძარსა მას შინა, ლ. 19, 47 C.

...ოდეს მოვიდიან ყოველნი პირუტყუნი თაყუანის-ცემად ადამისა **დღითი დღე** და **დილითი დილად**, ლიტ. ქრესტ. 9, 16; და ყოველთა მათ დათა მიიღიან საზრდელი **მწუხრითი მწუხრად**, პარხ. 644 a. მ წ უ ხ რ ი თ ი მ წ უ ხ რ ა დ აქ ნიშნავს "საღამოობით", „ყოველ საღამოს".

...**კჳრიაკითი კჳრიაკედ** იმარხაენ და საჭმლად მისა არს ორი უნკიად პური და ორი უნკიად წყალი სასუმლად, კიბ. I, 164, 1.

...უკუეთუ ჯერ-არს, რაჲთა **ჟამითი ჟამად** ვიხილვიდე საღმრთოსა პირსა თქუენსა, ზარზმ. (ისტ. ქრესტ. 231, 39); ვიდრემდის იხილო თუალითა შენითა გუამი შენი მცირედ-მცირედ **ჟამითი ჟამად** დამდნარი სატანჯველთაგან, პარხ. 1100 a. ჟ ა მ ი თ ი ჟ ა მ ა დ ჩვენს მაგალითებში ნიშნავს: დროდადრო, დროგამოშვებით, ხანდახან, თანდათანობით.

...**წლითი წლად** მოვიდის ადგილსა მას, პარხ. 995 b; და აღმოვიდიან მამაჲ და დედაჲ მისი **წლითი წლად** იერუსალჱმდ დღესასწაულსა მას პასექისასა, ლ. 2, 41. ადიშის ოთხთავში უკანასკნელი მაგალითი ასე იკითხება: აღვიდიან მშობელნი მისნი **წლად-წლად**. წ ლ ი თ ი წ ლ ა დ და **წლად-წლად** ნიშნავს „ყოველწლობით" (რუსულ თარგმანშიც ასეა: каждый год). გაორკეცებული ფუძე (წლად-წლად და მისთ.) ძველ ქართულში (და არა მარტო ძველში) ჩვეულებრივ იხმარება „მრავლის", „მრავლობითობის" აღსანიშნავად. ამ მხრივ საინტერესო ჩვენებას იძლევა უდაბნოს მრავალთავის ერთი ადგილი, სადაც ერთმანეთის გვერდით არის მოცემული ჩვენთვის

საინტერესო კონსტრუქცია და გაორკეცებული ვითარებითი: **დღითი დღედ** და **ჟამად-ჟამად** ვაშენებ და **ჟამად-ჟამად** ვარღუევ, უდაბნ. 38 rh.

ახლა ისევ „წელს“ რომ დავუბრუნდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი კონსტრუქცია გვხვდება აგრეთვე ამ „წლის“ სინონიმთანაც (წელიწადი): აღვიდოდიან **წელიწადითი წელიწადად** თაყუანის-ცემად მეუფისა უფლისა, ზაქარ. 14, 16. ეს საკმაოდ იშვიათი ფორმა უჩვენებს, რომ კარგა ხანია დავიწუებულია ამ სიტყვის წარმოშობის ისტორია და უხერხულად არ მიაჩნიათ ერთი და იგივე წარმოება ორჯერ გაიმეორონ: როგორც ცნობილია, თვით „წელიწადი“ მიღებულია „წელითი წლად“-ისაგან[1], ხოლო „წელიწადითი წელიწადად“ ამ უკანასკნელის (წელითი წლად) ხელახალი წარმოებაა.

ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ **ით-ი** წარმოება აუცილებლობით შეპირობებულია მომდევნო ვითარებითთან: **ქალაქ-ით-ი ქალაქ-ად, წლ-ით-ი წლ-ად** და სხვა. ასეა ეს საერთოდ. მაგრამ იშვიათად ასეთი (**ით-ი**) წარმოება გვხვდება დამოუკიდებლადაც, ვითარებითის გარეშეც. ზემოთ აღნიშნული ორი მნიშვნელობიდან (ადგილისა და დროის გარემოების ფუნქცია) ცალკე აღებული **ით-ი** წარმოება მხოლოდ დროს გამოხატავს და არა ადგილს, ადგილის გარემოების გადმოცემისას ასეთი წარმოება არაა დადასტურებული. თვით დროის გარემოების გადმოცემისას ასეთი ფორმით სამიოდე სიტყვა გვხვდება. ესენია: დღე, დილა, ჟამი. მაგალითები:

და მოავლინა მისა ლომი ფრიად დიდი და საშინელი, რაჲთა სცვიდეს მას **დღითი** და ღამით, კიმ. I, 22, 8; და ვითარ მყოვარ ჟამ იხილა ლომი იგი **დღითი** და ღამით..., ჰმადლობდა ღმერთსა, იქვე, 22, 10.

დღითი აქ იქნება „დღით“, „ყოველდღე“. რასაც ადასტურებს ორივე მაგალითში მის გვერდით მოცემული „ღამით“: დღითი და ღამით = დღით და ღამით.

...არა დაწნიხეს იგი (ღჳნოჲ) **დილითი**, არცა მწუხრი, იერ. 48, 33; ისმოდენ ვალალებაჲ **დილითი** და ღაღადებაჲ სამხრის, იერ. 20, 16. აქ პირველ მაგალითში „დილითი“-ს საპირისპირო ცნებაა მწუხრი (=საღამოს), მეორეში — სამხრის (=შუადღისას). ამდენად, „დილითი“-ს მნიშვნელობა უნდა იყოს „დილით“, „დილ-დილობით“. რუსულ თარგმანში მეორე მაგალითის „დილით“ გადმოცემულია სიტყვით утром.

ასეთია აგრეთვე „ჟამითი“-ც ამ წინადადებაში: ქადაგე სიტყუაჲ, ზედა-ადეგ **ჟამითი** (და) უჟამოჲთ, ამხილე, შეჰრისხენ და ნუგეშინის-ეც ყოვლითა სულგრძელებითა და მოძღურებითა, 2 ტიმ. 4, 2. ამ წინადადებაში „ჟამითი“-ს საპირისპირო სიტყვად გამოყენებულია იმავე ფუძისაგან ნაწარმოები უარყოფითი სახელი **უჟამოჲთ**, რომელსაც მოქმედებითი ბრუნვის ჩარტიკი ნიშანი აქვს (**ით**). **ჟამითი** და **უჟამოჲთ** ნიშნავს: „დროზე და უდროოდ“. რუსულ თარგმანშიაც ასეა გადმოცემული: во время и не во время. ყველა

[1] ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: წელიწდეული, 1923 — 24 წწ, გვ. 1 — 11.

ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ის საერთო გარემოება, რომ ამ **ით-ი**-სთან დაკავშირებულია განმეორებული მოქმედების გადმოცემა, სიხშირე, მრავლობითობა. ასე: დილითი = დილ-დილობით, ყოველ დილით, დღითი = ყოველდღე, ყოველ დღით და ასე შემდეგ. ბოლოს და ბოლოს ასევე დგას საკითხი ორდინარული წარმოებისასაც: **ქალაქითი ქალაქად** = ერთი ქალაქიდან მეორეში, ე. ი. ყველა ქალაქში (ან: ბევრ ქალაქში), **სახლითი სახლად** = ერთი სახლიდან ნეორეში, ე. ი. ყველა სახლში (ან: ბევრ სახლში) და ა. შ. **ით-ი** წარმოების ახსნისას ამ მოშენტის დავიწყება არ შეიძლება. შეიძლება უადგილო არ იყოს ამასთან დაკავშირებით კვლავ მოვიგონოთ დაშვება, რომ ქალაქითი ← ქალაქითით, სადაც ფორმანტის გაორკეცება იმავე მიზანს ემსახურება, რასაც ფუძეთა განმეორება: წლად-წლად, დღესასწაულად-დღესასწაულად, დაბად-დაბად, ეკლესიად-ეკლესიად, ბანაკად-ბანაკად, ზჯნად-ზჯნად, ნაწილად-ნაწილად, გუნდად-გუნდად, ტომად-ტომად, ნელიად-ნელიად, ნათესავად-ნათესავად და სხვა, სადაც **წლად-წლად** = ყოველწლობით. **დღესასწაულად-დღესასწაულად** = ყოველ დღესასწაულზე. **დაბად-დაბად** — სოფლებში, ყველა სოფელში და სხვა.

4. მოქმედებითი მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობით (= ადგილის გარემოებას)

ით ნიშნიანი მოქმედებითი ძველ ქართულში, როგორც აღნიშნული გვქონდა ზემოთ, იხმარება აგრეთვე **მიწევნითი**, უფრო ზუსტად, **მიმართულებითი** ბრუნვის მნიშვნელობით. ის უპასუხებს კითხვაზე: საით? რა მიმართულებით? სად? ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიმართულებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, ის უფრო ადგილს, მდებარეობას გამოხატავს, მაგრამ ასეთი შენთხვევა საერთოდ უფრო იშვიათია: ძირითადია ამ ფორმის ბიერ გარკვეული პუნქტისაკენ მიმართული მოქმედების აღნიშვნა. ამიტომ უფრო მართებული იქნება ასეთი შემთხვევებისათვის მიმართულებითი ბრუნვა ვიხმაროთ. მაშასადამე, გამოდის, რომ ერთი და იგივე ბრუნვის ფორმა, ვთქვათ, **აღმოსავალით**, ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო მნიშვნელობის შემცველია: ა) იგი ნიშნავს **აღმოსავლეთიდან** და გაბოსვლითი ბრუნვის როლს ასრულებს, ბ) იგი ნიშნავს **აღმოსავლეთისაკენ, აღმოსავლეთის მიმართულებით** (ხან.: აღმოსავლეთში) და ბუნებრივია, თუ მას მიმართულებითი ბრუნვის ფუნქცია აკისრია. ვნახოთ ეს მაგალითებზე: ა) მოგუნი **აღმოსავალით** მოვიდეს, მ. 2, 1. აქ „აღმოსავალით" ნიშნავს „აღმოსავლეთიდან" (შდრ. ბერძნ. ἀπὸ ἀνατολῶν, სოხ. *ʒapʒhʒʒ*. რუს. с востока). ბ) ხოლო შენ აღდეგ და ვიდოდე **აღმოსავალით**. მოქც. 87, 15. აქ კი ეს „აღმოსავალით" ამას ნიშნავს: აღმოსავლეთით, აღმოსავლეთისაკენ, აღმოსავლეთის მიმართულებით. ასეთივე ანიშვნელობით არის ნახმარი ეს სიტყვა შემდეგს ადგილებშიც: აოიხილე **აღმოსავალით**, იერუსალემ, და იხილე სიხარული მოსავალთაგან შენდა. ი. ჯპ. აღწ. 89, 13. უფრო საინტერესოა ერთი ადგილი

აბოს მარტვილობიდან: დააგზნეს ცეცხლი, ვიდრემდის დაწუნეს ჴორცნი იგი წმიდისა მოწამისანი... პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდჱ, კლდჱ მდინარისა მის დიდისაჲ, რომელი განჰვლის **აღმოსავალით** ქალაქსა, აბო 197, 1. აქ, უეჭველია, აღმოსავალით იქნება „აღმოსავლეთისაკენ“, „აღმოსავლეთის მიმართულებით“: მტკვარი ქალაქ თბილისს აღმოსავლეთის მიმართულებით გაივლის მხოლოდ.

ასეთი მნიშვნელობა არა მხოლოდ ამ ერთ სახელს აქვს. მსგავსი შინაარსით გვხვდება ძველ ქართულში ბევრი სხვა სახელი, განსაკუთრებით, ადგილის აღმნიშვნელი სიტყვები, გეოგრაფიული სახელები და სხვ. თუმცა გეოგრაფიულ სახელებზე ჭვემოთ ცალკე გვექნება ლაპარაკი, არ შეიძლება ერთი მათგანის ჩვენება აქაც არ გამოვიყენოთ. ესაა ცნობილი გეოგრაფიული სახელი **თარში**. იონას წინასწარმეტყველებაში იგი ოთხჯერ არის ნახმარი და ოთხჯერვე სწორედ აღნიშნული ფორმითა და მნიშვნელობით, მაგალითად: და აღდგა იონა და წარვიდა სიელტოლით **თარშით** პირისაგან უფლისა და შთავიდა იოპედ და პოვა ნავი, მიმავალი **თარშით**. და მისცა სანავჱ თჳსი და შევიდა მას წარსლვად მათ თანა **თარშით** პირისაგან უფლისა, იონა 1, 3 ლაგ.; ამისთჳს ვისწრაფე სიელტოლად **თარშით**, რამეთუ ვიცი, ვითარმედ შენ მოწყალე ხარ და შემწყალებელ, იქუე, 4, 2. **თარშით** ამ მაგალითებში ნიშნავს „თარშისაკენ“, „თარშის მიმართულებით“, „თარშში“. ამ გაგებითაა ნახმარი ეს სიტყვა ბერძნულში: εἰς Θαρσεῖς, სომხურში 'ի Թարշիշ, რუსულში в Фарсис და სხვაგან. ჩვენი მაგალითები ლაგურკის ხელნაწერიდანაა ამოღებული, ოშკის ბიბლიაში სამ ადგილას (1, 2, 4) ისევ **თარშით** იკითხება, ერთ ადგილას კი (3) — **თარშიდ**; ნაბეჭდ ბიბლიაში ოთხსავე ადგილას გვაქვს **თარშიდ**. და ეს სრულებით არ უნდა იყოს შემთხვევითი: მოქმედებითი ბრუნვის ეს ფუნქცია შემდეგში მთლიანად იტვირთა ვითარებითმა. ჩვენი მაგალითები კი უფრო ძველი ვითარების ასახვას წარმოადგენს, როცა მოქმედებითი ბრუნვის გამოყენება როგორც გამოსვლითის, ისე მიმართულებითის ფუნქციით ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

როგორ მოხდა მაინც, რომ ერთსა და იმავე ფორმას ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ფუნქციის შესრულება დაეკისრა? ეს არ არის ძნელი ასახსნელი: მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისეული თ, როგორც აღნიშნულია საჱეცნიერო ლიტერატურაში, მონდინარეობს დონიდან, ის ამ უკანასკნელის დაყრუების გზით არის მიღებული[1]. ამიტომ არაფერი გასაკვირი არაა, თუ ამ დონიდან მიღებულმა თანმა (მოქმედებითი ბრუნვის ნიშნად რომ იქცა) აღნიშნოს ისეთი მიმართულება, როგორსაც ვითარებითი ბრუნვა გამოხატავს — მიმართულება გარკვეული პუნქტისაკენ. აქ განხილული და ქვე-

[1] ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 3. 1944, გვ. 339, 340, 341, 347; ა. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშნის გენეზისის საკითხი ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VII. № 1—2, 1946, გვ. 67.

მოთ მოყვანილი მაგალითები მოქმედებითი ბრუნვის ამ ძველთაძველი ფუნქციის მაჩვენებელია. ეს სრულიად კანონზომიერი მოვლენაა. როგორც ჩანს, ასეთი რამ მარტო ქართულს არ უნდა ახასიათებდეს. მოძმე ენებიდან მსგავსი მოვლენა შემჩნეულია ჰანურში, კერძოდ არქაბულსა და ათინურში. აქ ა. ჩიქობავას დადასტურებული აქვს, რომ **ოხურიში, ქარმატეში** ორ რამეს აღნიშნავს: ა) სახლისაკენ და ბ) სახლიდან; ა) წისქვილისაკენ და ბ) წისქვილიდან, ე. ი. ეს არის ნიმუში მიმართულებითი (=ვით.) და დაშორებითი (=მოქმ. || დაწყ. || გამოსვლ.) ბრუნვებისა. ა. ჩიქობავა ამის შესახებ შენიშნავს: „არქაბულსა და ათინურში ამგვარი ფაქტების არსებობა უფრო იშის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ჰანურის წიაღში ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული ამ ორი ბრუნვის დიფერენციაცია, ვინემ იმისა, რომ ეს ორი ბრუნვა, უკვე ჩამოყალიბებული, ერთმანეთში ირევა“ [1].

მოქმედებითსა და ვითარებითს ბევრი რამ ანათესავებს ერთმანეთთან: ორივე ბრუნვა ძალიან ძველი წარმოშობისაა (ესაა პირველი ნათესაობითი და მიცემითი [2]), ორივე ბრუნვაში წინ წამოწეულია უფრო სიტყვაწარმოებითი მომენტი, ორივეს უპირს თანიანი მრავლობითის წარმოება, ორივე ბრუნვაში იშვიათად გვხვდება ადამიანთა სახელები, რომლებიც ამ დანაკლისს სხვა საშუალებებით ინაზღაურებენ, როგორც ვნახეთ, ორივეს ერთი და იგივე მატერიალური ელემენტი აქვს გამოყენებული ბრუნვის ნიშნებად [ვით. დ→მოქმ. (ი)თ]... ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ისინი ხშირად ერთსა და იმავე წინადადებაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება ერთი და იმავე ფუნქციით. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს ერთი ადგილი შუშანიკის მარტვილობიდან. ვარსქენმა შუშანიკი აწამა და ციხეში ჩააგდო. სამი კვირის გასვლის შემდეგ დაიბარა ციხის ერთ-ერთი მცველი და ჰკითხა: აქამომდე ცოცხალღა არსა საწყალობელი იგი? ხოლო მან ჰრქუა: უფალო, **სიკუდილდ** კერძო უფრო საგონებელ არს ვიდრე **სიცოცხლით**, რამეთუ შიმშილითა უფროჲს ხოლო მოკუდების, რამეთუ არარას ძიიღებს საზრდელსა,- შუშ. 153, 29—32. ხახგასმულ სიტყვათაგან ერთი ვითარებითში დგას (სიკუდილდ), ხოლო მეორე — მოქმედებითში (სიცოცხლით), მაგრამ ენას უხერხულად სრულებით არ ძიაჩნია ეს და ორივეს ერთი მეორის გვერდით ხმარობს. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ორივე სიტყვას ერთი საერთო თანდებული ახლავს (კერძო). არც ის არის ინტერესმოკლებული აქვე ითქვას, რომ ეს თანდებული ჩვეულებრივ ამ ორ ბრუნვასთან იხმარება და ძველი ქართულისათვის გავრცელებული და ბუნებრივი გამოთქმებია: მთით კერძო და მთად კერძო, ზღვთ კერძო და ზღუად კერძო და სხვ.

არსებითად ასეთივე ხასიათისაა აგრეთვე შემდეგი მაგალითიც: განაელინენით კაცნი მთათა ზედა მაღალთა აღმოსავალად ვიდრე კახე-

---

[1] ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი. 1936, გვ. 61.

[2] ა. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VII, № 1—2, 1946, გვ. 67.

თისა მთამდე და **დასავალით** ვიდრე მიაწვედეს სამეუფოჲ შენი, მოქც. 33, 12[1].

ორივე ხაზგასმული სიტყვა აღნიშნავს მიმართულებას გარკვეული პუნქტისაკენ, მაგრამ ერთი ამ სიტყვათაგანი ვითარებითში დგას (აღმოსავალად), მეორე კი — მოქმედებითში (დასავალით). ენას, როგორც ჩანს, ეს ნაირ-ნაირი არჩევანი ბრუნვისა არ ეხამუშება. ეს იმიტომ, რომ ადვილად შეიძლება ვითარებითი მოქმედებითმა შეცვალოს, ან მოქმედებითს ვითარებითმა გაუწიოს დახმარება.

დავასახელებ კიდევ ერთნაირ გარემოებაში ამ ბრუნვათა შენაცვლების შემთხვევებს: და მომიყვანა მე იერუსალჵმდ ხილვითა ღმრთეებისაჲთა წინაშე ბჳეთა ეზოჲსა მის, რომელი ჰხედავს **ჩრდილოჲთ კერძო**, ეზეკ. 8, 3, მაგრამ: და შემიყვანა მე წინაშესა მას ბჳესა სახლისა უფლისასა, რომელი ჰხედავს **ჩრდილოჲდ**, იქვე, 8, 14; განიპოს... ზოგი იგი მთისაჲ მის **ჩრდილოჲთ კერძო** და ზოგი მისი **სამხრად კერძო**, ზაქარ. 14, 4; ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს სული შენი, უფალო ჩემო მეფე[2], რამეთუ, რომელსაცა ადგილსა უფალი ჩემი მეფჵ მიჳიდეს, გინა თუ **სიკუდილით**, გინა თუ **ცხორებად**, მუნ მიჳიდეს მონაჲცა შენი, 2 მეფ. 15, 21. „სიკუდილით“ და „ცხორებად“ აქ უჩვენებს ერთნაირ მიმართულებას: მიჳიდეს ცხორებად, მაშასადამე: მიჳიდეს სიკუდილით (=სიკვდილში). რომ აქ „სიკუდილით“ და „ცხორებად“ სავსებით ერთნაირი წევრებია წინადადებისა, ეს ჩანს ბიბლიის თბილისური გამოცემიდან, სადაც ამ სიტყვებს ერთნაირი **ფორმაც** აქვთ: „ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს უფალი ჩემი მეფე, რამეთუ ადგილსა, სადაცა იყოს უფალი ჩემი მეფე, ანუ **სიკუდილსა შინა**, ანუ **სიცოცხლესა შინა**, მუნცა იყოს მონაცა შენი“. აქ ბევრი რამ სრულებით ახალია: ჯერ-ერთი, ძველი ქართულის **ცხორება** შეცვლილია ახალი **სიცოცხლით**, მერმე, მიმართულების აღმნიშვნელი ზმნა შეცვლილია მყოფობის აღმნიშვნელი ზმნით **იყოს** და ამით არის გამოწვეული ჩვენთვის საინტერესო სახელებისათვის ბრუნვების შეცვლა (სიკუდილით, ცხორებად=სიკუდილსა შინა, სიცოცხლესა შინა). ერთი სიტყვით, აქ ნასახიც არაა დარჩენილი იმ ვითარებისა, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა ვითარებითისა და მოქმედებითის მონაცვლეობა. მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ ეს თარგმანი ორივე სახელს ერთნაირად უყურებს და ერთნაირად ეპყრობა: ორივეს მიცემითში სვამს, ორივეს **შინა** თანდებულს ურთავს. ასევე ერთნაირი ფორმებია წარმოდგენილი სხვა ენების თარგმანებშიც, მაგ. რუსულში: в жизни ли, в смерти ли. ამიტომ ბუნებრივია, თუ ჩვენც მოცემულ ფორმებს წინადადების ერთნაირ წევრებად ვცნობთ და მოქმედებითი ბრუნვის მიერ მიმართულებითი (ვით.) ბრუნვის

[1] ჰელიშურ რედაქციაში ეს ადგილი სულ სხვანაირად არის გადმოცემული: „განაველინენ... აღმოსავლეთით(?) ვიდრე დასავალამდე“. აქ, რასაკვირველია, ძველი ვითაობის დაცვაზე ხეც-მეტია ლაპარაკი.

[2] ხელნ.: მეფჵ.

შინაარსის გამოხატვაზე ჩამოვაგდებთ საუბარს. მოვიყვანთ კიდევ ორ ამნაირ მაგალითს: და მიეედით სამხრით კერძო ჰურიასტანად და **ქელობით** და **სეკელად** და მოვწყვთ სეკელაჲ ცეცხლითა, 1 მეფ. 30, 14. ნართალია, **ქელობით** და **სეკელად** გეოგრაფიული სახელებია, მაგრამ ჩვენი მიზნისათვის აქ ამას არა აქვს მნიშვნელობა: „მიეედით“ ზმნასთან ერთი მოქმედებითშია, მეორე —ვითარებითში. ამ მოქმედებითს, ცხადია, აქ მიმართულებითის ფუნქცია აქვს ნაკისრები. ერთი ამნაირი მაგალითი კიდევ: წარავლინა დომენტინე ეპისკოპოსი ...**აღმოსავალად** მეფისა სპარსთაჲსა, რაჲთა ზრახოს მშჳდობაჲ. ვითარცა მიიწია იგი **აღმოსავალით** კერძო, ეუწყა მას წმიდისა მისთჳს მარტჳლისა, პარხ. 713 a.

მოქმედებითი და ვითარებითი ერთმანეთის მონაცვლეობას ეწევიან არა მარტო აქ ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში, არამედ ბევრ სხვა შემთხვევაში. ვაშიც. 2 მაგალითს აქაც ვუჩვენებ.

ა) რომელსა-იგი იყვნეს ცხენნი შავნი, განვიდოდეს **ქუეყანად ჩრდილოდ**, და სპეტაკნი იგი განვიდოდეს შემდგომად მათსა და ფესანგნი იგი განვიდოდეს **ქუეყანად სამხრით**, ზაქარ. 6, 6. თუ არის „განვიდოდეს **ქუეყანად ჩრდილოდ**“, ცხადია, უნდა იყოს „განვიდოდეს **ქუეყანად სამხრად**“; მაგრამ რაკი შესაძლებელი ყოფილა ამის ნაცვლად ეთქვათ თუ დაეწერათ „განვიდოდეს **ქუეყანად სამხრით**“(!), ნათელია, რომ ეს უკანასკნელი ამას ნიშნავს: „სამხრეთის მხარისაკენ“. საზღვრული ვითარებითში, მსაზღვრელი მოქმედებითში! მეტად საინტერესო მაგალითია ამ ბრუნვათა წარსულის ისტორიისათვის. რომ ამ სიტყვებს (ჩრდილოდ, სამხრით) ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ წინადადებაში და რომ მისი დანიშნულებაა, უჩვენოს მიმართულება, ამას კარგად უქერს მხარს ამ ადგილის თარგმნები სხვა ენებზე. ჩვენ აქ მოვიყვანთ რუსულ თარგმანს: **Вороные кони там выходят в стране северной, и белые идут за ними, а пегие к стране полуденной.**

ბ) ვიდრემდის, მოგუნო, ქმნულთა თაყუანის-სცემდეთ და ცასა **ღმრთად ჰხადით**, სვან. 37 b, მაგრამ: აჰა ესერა ცაჲ, რომლისათჳს სცთებით და **ჰხადით ღმრთით**, რაჲთუ უცხოჲთა სლვითა ჩემდა მოჰყვეთ, იქვე. მაშასადამე, **ჰხადით ღმრთად** და **ჰხადით ღმრთით**. ესეც ძალიან კარგი მაგალითია ვითარებითისა და მოქმედებითის ურთიერთობის გარკვევისათვის.

ამის შემდეგ შეიძლება მოკლედ დავასკვნათ: **ით** ნიშნიანი მოქმედებითი რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაც იყო გამოსვლითი ბრუნვის შინაარსის გამოხატვა, მიმართულებითი ბრუნვის მოვალეობასაც ასრულებდა, ის გამოხატავდა ისეთ მოქმედებას, რომელსაც ჩვეულებრივ ვითარებითი გადმოსცემდა. ის სწორედ ვითარებითს ენაცვლებოდა. და ეს იმიტომ იყო შესაძლებელი, რომ ამ ორ ბრუნვას ერთნაირი წარმოშობა აქვს, მათი ბრუნვის ნიშნებიც ერთნაირი მატერიალური მასალისაგან შედგება (დ ‖ თ ← დ).

ახლა შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები. რადგანაც საკითხს თეორიული ინტერესიც ახლავს და მასზე სპეციალური მსჯელობა აქამდე არავის ჰქონია, მასალებს შედარებით ვრცლად წარმოვადგენთ.

როგორც ზემოთ მოყვანილი რამდენიმე მაგალითიდან ჩანდა, ით ნიშნიანი მოქმედებითი, რომელიც მიმართულებითი ბრუნვის შინაარსით იხმარება, შეიძლება უთანდებულოდ იყოს მოცემული და შეიძლება თანდებულითაც. აქ ერთადერთი თანდებული გვხვდება, ესაა **კერძო**. შინაარსი ორსავე შემთხვევაში სავსებით ერთნაირია და ამიტომ მაგალითებს ამის მიხედვით არ დავაჯგუფებთ.

სათანადო მაგალითებში ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება ქვეყნის მხარეები: აღმოსავალი, დასავალი, სამხარი ‖ ბღუარი, ჩრდილოა: ამათში კი უფრო მეტად პირველი ორი. შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხშირად გვხვდება ამ შინაარსითა და ფორმით გეოგრაფიული სახელები. თუმცა გეოგრაფიულ სახელებზე ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი, ზოგიერთ ჯგუფს ჩვენ აქაც განვიხილავთ, რადგანაც მათს ჩვენებებს აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ევფრატით კერძო მივალ მე ბრძოლად, 2 ეზრა, 1, 27; და ყოველთა მფლობელთა **ასურასტანით კერძო** მიწერა მათა წიგნი, იქვე. 4, 48. აქ „ასურასტანით კერძო" ნიშნავს „ასურეთში", ე. ი. უჩვენებს ადგილს, ადგილმდებარეობას. ასეთი მაგალითები ხშირია. მათ ასეთი მნიშვნელობა აქვთ როგორც **კერძო** თანდებულის დართვის შემთხვევაში, ისე უთანდებულოდ ხმარებისასაც. ასეთივე ხასიათისაა კიდევ ეს მაგალითიც: რომელნი შჯიდენ **ასურასტანით კერძო** და **ფინიკიათ**, იქვე, 8, 23. ბაზგასმული სიტყვები დღეს ასეთი შინაარსისა იქნებოდა: „ასურეთსა და ფინიკიაში". აქ იმასაც აღვნიშნავთ დამატებით, რომ თანდებული **კერძო** ახლავს ერთ (პირველ) სახელს, ხოლო ბეორეს —არა. ამის მიუხედავად იგი ეკუთვნის ორივეს. ასეთიკეა შემდეგი მაგალითიც: რომელნი დამკვდრებულ იყვნეს **სამარიათ კერძო** და **ასურასტანით** და **ქანაანით**, იქვე, 2. 25.

...წარავლინებდა **თარშით**, და მეიმუსრა ნავები ჴენი და ვერ უძლეს წარსლვად **თარშით**, 3 მეფ. 22, 48; და წარავლინნა ბათგანნი რომელნიმე **კახეთით** და რომელნიმე **კუხეთით** და სხუანი **ზენა-სოფლით**. ხოლო ნეტარი დავით—გარესჯისა უდაბნოსა, და სხუანი — გარემო ქალაქსა ჩუენსა, ლიტ. ქრესტ. 158, 16 — 18. რომ აქ **კახეთით** და **კუხეთით** ნიშნავს „კახეთისაკენ და კუხეთისაკენ", ან „კახეთში და კუხეთში", ეს მტკიცდება აქვე მოცემული სხვა სახელების ჩვენებით, რომლებიც მიცემითში დგანან: დავით წარავლინა გარესჯისა **უდაბნოსა**, და სხუანი — გარემო **ქალაქსა** ჩუენსაო. ასევე ითქმის „ზენა-სოფლით"-ის შესახებაც.

...და წარვიდეს დიაკეულნი იგი გზასა მას **ბეთსამით კერძო**. 1 მეფ. 6, 12. **ბეთსამით კერძო** აქ ისეთივე მნიშვნელობით არის ნახმარი, როგორც ზემოთ განხილული **თარშით**. ამას მბარს უკერს ბიბლიის თბილისური გამოცემა, სადაც სწერია: და წარუმართნეს ზროაათა გზასა ზედა სწორად, გზასა **ბერსაბედ**. ასეა რუსულ თარგმანშიც: и поцли коровы прямо на дорогу к Вефсамису.

...მოჰკუეთეს თავი მისი და წარიღეს გზასა მას **დასავალით კერძო** ღამე ყოველ, 2 მეფ. 4, 7 (შდრ. რაჲთა არა წარვიდეს იგი **დასავალად**

კერძო, იქვე, 17, 16; დასავალით კერძო=დასავალად კერძო); კაცი ერთი ცწრაფლ მორბის **ხაწყობელით** კერძო, იქვე, 18, 25 (=რაზმისაკენ); და მოვიდოდა საულ **ნავეთ** ჰრამაჲასასა, 1 მეფ. 19, 23. **ნავეთ**[1] აქ მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობით არის ნახმარი. მაგრამ იგივე **ნავეთ**[1] ამ წინადადებაში: წარმოვიდა დავით **ნავეთ ჰრამაჲსით** (იქვე 20, 1) გამოსვლითის შინაარსით არის გამოყენებული. შდრ. რუს. თარგმანი:

И пошёл он туда в Наваф в Раме
და: Давид убёжал из Навафа в Раме.

...სხუანი იელტოდეს **მთით** კერძო, ამონ. 210, 32 (=მთისკენ); მოიქცა საკურთხეველად **აღმოსავალით** კერძო, იქვე, 212, 4; **ზღჳთ** კერძო მიიყარნეს, იქვე, 215, 27; მაშინ მოიქცა იგი **აღმოსავალით** კერძო, წარტყ. 36, 13 (затем, обратившись **на восток**, ნ. მარის თარგმანი); მერმე მოიქცა **სიონით** კერძო, იქვე, 36, 15 (повернувшись затем **в сторону** Сиона); წარვიდეს და იხილოთ. ვითარ-ძი ვიდოდის: უკუეთუ **ბეტსამუნით** წარვიდეს, უწყოდეთ, რამეთუ მან მიყო ჩუენ ბოროტი ესე დიდი; და უკუეთუ **სხჳთ** წარვიდეს, უწყოდეთ რამეთუ ჴელი მისი არა შეეებულა ჩუენდა, 1 მეფ. 6, 9 ლაგ. ამ საინტერესო ადგილის „**ბეტსამუნით**“ ბიბლიის თბილისურ გამოცემაში ასეა მოცემული: **ბერსაბედ** და ამით ხაზი აქვს გასმული, რომ ივი მიმართულებას გადმოსცემს. მეორე სიტყვა — **სხჳთ** — იქ არ იკითხება. რუსული თარგმანიც ამას უჭერს მაარს: ...если он пойдёт к пределам своим к Вефсамису, то он великое сие зло сделал нам. „სხჳთ“ აქაც არ იკითხება.

...წარმოვიდა ლოტ **აღმოსავალით**. დაბ. 13, 11 (=к востоку); რომლისა კარნი ჰაართებდეს **ქალაქით** კერძო, თეკლ. 105, 27 (=ქალაქისაკენ); ვიდრემდე მოვიწიე აქა, ვინაჲ-იგი წყალმან **აღმოსავალით** იწყო დინებად, მოქც. (ისტ. ქრესტ. 271, 4). აქ უეჭველია, რომ **აღმოსავალით** ნიშნავს „აღმოსავლეთისაკენ“. აქ ქართლზეა ლაპარაკი, ხოლო ქართლში წყლები, და კერძოდ მტკვარი, ცნობილია მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ. მანამდეო, ამბობს წმიდა ნინო. სანამ ქართლს მოვაღწევდიო, იყო დინებაჲ მისი (წყლისაჲ) **დასავალით** კერძო, იქვე, 171, 1. აქაც ცხადია, რომ **დასავალით** კერძო ნიშნავს „დასავლეთისაკენ“.

...პირი **სამხრით** ვიქციეთ, ზარზმ. (ისტ. ქრესტ. 225, 34). ეს ნიშნავს: პირი სამხრეთისაკენ ვიბრუნეთ; სხვანაირად მისი გაგება შეუძლებელია.

...და **მევიდა** ნავსა და **მიიწია პამფილიაჲთ** კერძო, კიმ. I, 333, 11; მიჰხედა **აღმოსავალით** მზესა ჟამსა აღმოსლვისა მისისასა, კიმ. I, 242, 12; წარგუავლინნა ჩუენ ბერმან საჴმრისათჳს **ჰრამაჲთ** კერძო, იქვე; 23, 35; ხოლო მე ვითარცა ჭაბუკმან და უგუნურმან შეურაცჴ-ეყავ ზრახებაჲ მისი და წარვედ **ირდანით** კერძო, იქვე, 24, 29; **ირდანით** ვიდოდე და კე-

[1] თ ამ სიტყვაში ფუძისეული უნდა იყოს, მაგრამ ქართველი მთარგმნელის (გადამწერის) მიერ იგი ბრუნვის ნიშნად არის გაგებული.

თილი ჰპოო და განსუენებად, პარხ. 1277; და მომიყვანა მე **სამხრით კერძო**, ეზეკ. 40, 24 (შდრ. ამას: და მომიყვანა მე **ჩრდილოდ კერძო** ეზოსა მას შინაგანსა, იქვე, 40, 20); რომელი ჰხედავს **ჩრდილოჲთ**, იქვე, 40, 40 (შდრ. რომელი ჰხედვიდა **სამხრად**, იქვე, 40, 24; რომელი ჰხედავს **მზისაღმოსავალად**, იქვე, 40, 22; რომელი ჰხედვიდა პირისპირ **ჩრდილოდ**, იქვე, 40, 23); და ზინ იგი სარკუმელსა ზედა და იხედაკნ **აღმოსავალით კერძო**, პარხ. 716 a (=აღმოსავლეთისაკენ გაჰყურებდა); **კისრით** ასხენ ოთხნი თუალნი, იქვე, 763 b (=კისრისკენ, კისრის მიმართულებით, ან კისერზე აქვს ოთხი თვალი); რომელ-იგი წარვიდა და მივიდა პირველ **არაბიაჲთ კერძო** და ქადაგებდა მუნ სამ წელ ოდენ, თუალთ. 58, 27; იპოვების თუალი ესე **აკატი სკუთიაჲთ კერძო**, იქვე, 19, 6; **ჯოჯოხეთით** აღიხილნა თუალნი თჳსნი, ლ. 16, 23 C. **ჯოჯოხეთით** აქ ნიშნავს „ჯოჯობეთს“, „ჯოჯოხეთში“. სწორედ ასეა ის მოცემული ჯრუჭ-პარხლის რედაქციაში: **ჯოჯოხეთს** შინა აღიხილნა თუალნი თჳსნი.

...ერთი იგი გუნდი მიეტევებოდა **გოფორით კერძო** გზასა მას წყაროჲსასა **სოგალიმით**, 1 მეფ. 13, 17 (=один направился по дороге к Офре, в округ Суаль); იხილეთ თქუენ ჰოროლი იგი და გოზაკი მეფისაჲ, რომელი იყო **სთუნლით კერძო** მისა, 1 მეფ. 26, 16; და იხილნა ორნი ანგელოზნი სპეტაკითა ბოსილნი, მსხდომარენი ერთი **თავით** და ერთი **ფერჴით**, სადაც იგი იდვა გუამი უფლისა იესუჲსი, ი. 20, 12 (=თავისკენ, ფეხისკენ, ან: თავთან, ფეხთან); წარვემართენით **აღმოსავალით კერძო**, ზარზმ. 160, 15 (=აღმოსავალად. შდრ. რომელი იხილე **აღმოსავალად**, იერუსალჱმ, ბარუქ 4, 35).

არის თუ არა მოქმედებითი ბრუნვა დღეს სადმე ასეთი მნიშვნელობით შემონახული? სალიტერატურო ქართულში იგი საერთოდ არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქვეყნის მხარეებს, რომლებიც დღესაც ძველებური ფორმით და შინაარსით იხმარება; დღეს ჩვეულებრივია: აღმოსავლეთით, დასავლეთით, სამხრეთით, ჩრდილოეთით. არ არის დღეს ბღუარი, იგი კარგა ხანია გასულია ხმარებიდან. მართალია, ხანდახან ამათ გვერდით და ასეთივე მნიშვნელობით დღეს გვხვდება: აღმოსავლეთისაკენ, დასავლეთისაკენ, სამხრეთისაკენ, ჩრდილოეთისაკენ (ან აღმოსავლეთის მიმარეს და ა. შ.), მაგრამ ეს აღმოსავლეთისაკენ ბოლოს და ბოლოს იგივე არის, რაც აღმოსავალით კერძო: თანდებული **კენ**, როგორც ფიქრობენ[1], სწორედ „კერძო“-დან მოდის: აღმოსავალის კერძო (ძველი მოქმედებითის ნაცვლად ახალ ქართულში ნათესაობითი იაბარება აძ თანდებულთან) → აღმოსავლეთისკერძ → აღმოსავლეთისკერ → აღმოსავლეთისკენ. სხვა სიტყვებში მოქმედებითი ბრუნვა მიმართულებითის მნიშვნელობით დღევანდელ სალიტერატურო ქართულში არ იხმარება.

რაც შეეხება კილოებს, საინტერესო ჩვენებას იძლევა ამ მხრივ ხევსურული. ხევსურულში სათანადო სახელს (ყოველ სახელს) ჯერ ემატება თან-

[1] ა. შანიძე, გრამ. საფუძ. 622; ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იბერ.-კავკ. I, გვ. 225—226.

დებული **ში**, ხოლო შემდეგ დაირთავს მოქმედებითი ბრუნვის ნიშანს. მაგრამ ასეთ სახელს აქვს გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელობა, მაგალითად: „მაშინ ეს მასპინძელი წაღლაღავს ერთს კაცს თავის **სოფელშიით** მაწევრად“[1]. „სოფელშიით“ აქ ნიშნავს „სოფლიდან“. მეორე მაგალითი: „ზოგ **სახლშიით** კი ორი-სამიც გამახყვება ქალს“ (იქვე, 131, 23). ამ უკანასკნელ მაგალითს ახლავს რედაქტორის ა. შანიძის შენიშვნა: „წინად იყო „სახლიდან“. როგორც ჩანს, ეს მეორე შემთხვევაც გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელობით არის ნახმარი. მაშასადამე, „სოფელშიით“, „სახლშიით“ საესებით ფარავს მნიშვნელობით ძველი ქართულის ფორმებს: „სოფლით, სახლით“, როცა მათ იქ (ძვ. ქართ.) გამოსვლითი ბრუნვის ფუნქცია აქვთ. მაგრამ ასეთი ფორმები მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობით ხევსურულში არ დასტურდება. ასეთი რამ არც სხვა კილოებშია შენიშნული.

5. მოქმედებითი პარონომაზიულ გამოთქმებში

პარონომაზიულ გამოთქმებში ჩვეულებრივ გვაქვს წყვილი ფორმა ზმნისა, რომელთაგან ერთი საწყისია, მეორე — ზმნის პირიანი ფორმა, მაგალითად: **ხედვით ჰხედვიდენ, მისლვით მივიდეს, სმენით ისმა, მოსრვით მოსარ** და სხვა. ეს ფორმები ზოგჯერ ერთგვარ რიტორიკულ ხერხს წარმოადგენს, რომელიც განსაკუთრებული ენერგიული ტონითა და კატეგორიული კილოთი ხასიათდება. სხვა შემთხვევაში ის გამოხატავს მოქმედების აუცილებლობას, კატეგორიულობას, ინტენსიობას, ბრძანებას და სხვა[2].

ჩვენ ამჟამად ყველაზე მეტად გვაინტერესებს პარონომაზიის ერთი მხარე, სახელდობრ ის, რომ მისი ერთი წევრი (ჩვეულებრივ პირველი) საწყისია და ყოველთვის დგას მოქმედებითს ბრუნვაში, რომელსაც ბრუნვის ნიშნად აქვს მარტივი **-ით** და არა რთული **-ით-ა**. აი საკითხის ეს მხარე იწვევს ჩვენს ინტერესს. რა ხასიათისაც უნდა იყოს პარონომაზიული წყვილის მეორე წევრი (იქნება ის მხოლოდ პირიანი ზმნა, შედგენილი შემასმენელი, თუ უპირო ფორმა), სულ ერთია, პირველი წევრი (საწყისი) მუდამ მოქმედებითში დგას და ეს მოქმედებითი ყოველთვის **-ით** ნიშნით არის გამობატული. ეს წესი ურყევია.

პარონომაზიული ფორმები ძველ ქართულში ძალიან გავრცელებული მოვლენაა. ამდენად ძალიან ხშირია მოქმედებითის **ით** ნიშნით ხმარების შემთხვევები. ამიტომ შეიძლება ამ მოვლენის ზოგიერთი თავისებურება აქვე აღვნიშნოთ.

პარონომაზიული წყვილის ორივე ცალი ჩვეულებრივ ერთისა და იმავე ძირის ფორმებია, მაგალითად: **წარწყმედით წარწყმდენ** (ივდით 6, 4). **განკა-**

---

[1] ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ა. შანიძის რედაქციით: წელიწდეული 1923—24, გვ. 128, 4.

[2] კ. წერეთელი, პარონომაზია ძველ ქართულში: საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის IV სესია, 1947, მოხსენებათა თეზისები.

ფით განიკაფნეს (ზირაქ 28, 1), **სიტყჳთ იტყოდე** (3 ეზრა, 6, 38) და სხვა. ესაა მეტად გავრცელებული და ჩვეულებრივი სახე აღნიშნული გამოთქმისა. მაგრამ ამის გვერდით არის შემთხვევები, როდესაც პარონომაზიული წყვილის თითოეული ცალი სხვადასხვა ძირის ფორმაა, რომელთაც ერთი შინაარსი, ან დაახლოებით ერთი შინაარსი აქვთ. ესაა ე. წ. სინონიმური წყვილები, რომლებიც ერთიმეორის გვერდით სხვა შემთხვევებშიც ხშირად იხმარება. ვუჩვენოთ ამის რამდენიმე ნიმუში: რამეთუ **განთხევით განმიშორენ** ჩუენ, გოდ. იერ. 5, 22; და **განგსწავლო** შენ **განკითხვით** და უბრალოებით უბრალო გყო შენ, იერ. 46, 28; და **მოწყჳდოს** ერისა მისგან შენისაჲ **მოსრვითა** დიდითა, 2 მეფ. 17, 9; **გულის-სიტყჳთ გული-მოთქუმიდა** პასქასა ამას ჰამად თქუენ თანა ვიდრე ვნებადმდე ჩემდა, ლ. 22, 15; **აღმოცენებით აღმოჰჴედ** ძირთაგან იესესთა სიწმიდით, სას. პოეზ. 44, 25; და შემდგომად მისა **განისხირპენ** ეგე ჴელით და ფერჴით ქუეყანასა ზედა **განრთხმით** საბლითა, პარხ. 1123.

აქ მოყვანილი მაგალითების წყვილი ფორმები — განთხევა (მრაცალზე ითქმის) და განშორება, მოწყუედა და მოსრვა, აღმოცენება და აღმოჴდომა, გულის-თქუმა და გულის-სიტყუა კარგად ცნობილი სინონიმებია და ხშირადაც იხმარება ძველ ქართულში ერთიმეორის გვერდით არა მარტო პარონომაზიულ წყვილებად, არამედ სხვა შემთხვევებშიც და სხვადასხვანაირი ფორმებით.

აქ შეიძლებოდა დაგვესახელებინა ისეთი გამოთქმაც, როგორიცაა „თქუმით ეტყოდა“, მაგრამ ეს მხოლოდ **ფორმალურად** თუ გამართლდებოდა. ნამდვილად „თქუმას“ აქ სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ის „მუქარას“ აღნიშნავს და „თქუმით ეტყოდა“ ნიშნავს „მუქარით ეუბნებოდა“. ამის მაგალითებია:

(მეფე) განრისხნა და განმწარებული **თქუმით** ეტყოდა დასა მას თჳსსა, კიმ. I, 140, 36; და ეგრეევე სახედ **თქუმით** ეტყოდა მეფე იგი დასა მას თჳსსა, იქვე, 152, 21.

ამ მაგალითებში **თქუმით**, ცხადია, ნიშნავს „მუქარით“. ცალკე აღებული (უზმნისწინო) **თქუმა** სასხვისო ქცევის ფორმით ძველ ქართულში საერთოდ აღნიშნავს „ნუქარას“, „ავის დაპირებას“, „ავის აღთქმას“, მაგალითად: აჰა ესერა ძმაჲ შენი **გითქუამს** შენ მოკლვად, დაბ. 27, 42 (=გემუქრება; შდრ. რუსული თარგმანი: вот, Исав, брат твой, грозит убить тебя); ვიდრემდე **მითქუმიდე** მე და არა აღასრულებ საქმით ბრძანებასა შენსა. ი. ჯაე. აღწ. 179, 27; ხოლო ჰაბუკი იგი აყენებდა მათ და რისხვით **უთქუმიდა**, ზარზმ. 159, 20; მე **უთქუემდ** ეშმაკსა მას მთავარსა, რაჲთა განვეშორო მისგან, პარხ. 762 a (=ვემუქრებოდი); და ესე ფრიად **უთქუმიდეს** წმიდასა ქალაქსა იერუსალჱმსა მოოჴრებად, იქვე, 851 a (=ემუქრებოდნენ); არა მეშინის მე **თქუმათაგან** შენთა, იქვე, 731 b (=მე არ მეშინია შენი მუქარებისა). აი ამიტომ არ შეიძლება „თქუმით ეტყოდა“ ჩვეულებრივ პარონომაზიულ გამოთქმად ჩაითვალოს. მაშ რატომ აქვს „თქუმით“ ფორმას მარტივი **ით** ნიშანი? იმიტომ, რომ ის ვითარების გარემოებას გამოხატავს

და ასეთ ფორმებს, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, სწორედ **ით** ნიშანი აქვთ და არა **ით-ა**.

თუმცა ზოგჯერ ეს წყვილები წარმოშობით ერთ **ძირზეა** აღმოცენებული, ბაგრამ სხვადასხვა გაფორმება აქვს და ამიტომ სხვადასხვაობა **ფუძის** სახით არის წარმოდგენილი, მაგალითად: ესე **ცხორებით** არა **ცხონდეს**, ეზეკ. 18, 13; და პაბუკნი თქუენნი **ხილვით ჰხედვიდენ**, იოველ, 2, 28; **აღდგომით აღადგინო** შენ მიერ დაბადებული, 3 ეზრ. 5, 56; და უკუეთუ **დადგრომით**-ღა **დამიდგეს** გული შენი, ანუ თუ დამითმონ ჴელთა შენთა მათ დღეთა შინა, ეზეკ. 22, 14: გითხრა, თუ არა **სიკუდილით მომაკუდინო** მე, იერ. 38, 15; **ზედა-გარდასლვით ზედა-გარდაახლდიან**, 1 მეფ. 5, 5 ლაგ. და სხვა.

პარონომაზიული წყვილის პირველ წევრად ძველ ქართულში გვაქვს საწყისი. მაგრამ ორიოდე შემთხვევაში შეგვხვდა აბსტრაქტული არსებითი სახელი, რომელიც თავისი შინაარსით ახლო დგას საწყისთან. ეს სახელებია **სიმდაბლე** და **წადიერება**, მაგალითად: **სიმდაბლით დაიმდაბლე** სული შენი, მამ. სწავ. (H) 8; **წადიერებით სწადოდა** ცხებად, იპოლ. 2, 233. ამათგან პირველი ზედსართავი სახელისაგანაა ნაწარმოები **სი—ე** აფიქსებით; საწარმოებელი ფუძე **მდაბალი**, თავისთავად, ნაწარმოები სახელია: მ-დაბ-ალ-ი, რომელიც ზმნასაც აქვს გამოყენებული თავის ფუძედ: და-მდაბლ-ება, დაა-მდაბლ-ა და სხვ. მეორე სახელიც ნაწარმოებია: წად-იერ-ებ-ა, რომლის **წად** ნაწილი ზმნებშიც იხმარება: ს-წად-ი-ს, ს-წად-ოდ-ა. ამიტომ არაა უჩვეულო, რომ ეს აბსტრაქტული სახელები პარონომაზიული წყვილის პირველ წევრებად მოგვევლინოს და საწყისის მაგივრობა გასწიოს.

რაც შეეხება პარონომაზიული წყვილის მეორე წევრს, იგი ჩვეულებრივ ერთი სიტყვითაა გადმოცემული და ეს სიტყვა ზმნის პირიანი ფორმაა (დაცემით **დაეცა**, შეწუნარებით **შეიწუნარა**, ცნობით **იცნნე**, ნებით **ვინებო** და სხვ.), მაგრამ ზოგჯერ ორი სიტყვით არის გამოხატული; ეს ორი სიტყვა შედგენილ შემასმენელს წარმოადგენს, რომელთაგან ერთი შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (შემასმენლისი) იქნება, ფუძის სახით წარმოდგენილი, და მეორე — მეშველი ზმნა. რა ტიპის სახელია წარმოდგენილი ამ მეორე წევრის სახელად ნაწილად? იმავე ტიპის სახელი, რაც გვხვდება საერთოდ შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად; ესაა უმთავრესად: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, მიმღეობა, საწყისი. მაგალითად:

არს. სახ.: **წყიროობით მწყირ იყვნეს** მამანი ჩუენნი ეგჳპტეს შინა, 3 ეზრა 14, 29.

ზედს. სახ.: **უბრალოებით** არა **უბრალო გყო** შენ, იერ. 46, 28; **უბადრუკებით უბადრუკ ვიქმნენით**, მიქია 2, 4.

მიმღ.: **ჴლომით ნჴდომ ვექმნე** სოლომონს ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა, 3 მეფ. 11, 35; **უწყებულ იყავნ უწყებით**, რამეთუ მოჰკუდე, იქვე, 3, 4; **დიდებით დიდებულ** არს, გამოსლვ. 15, 1 ლაგ.; სახ. პოეზ. 37, 27; 44, 24; **შეჩუენებით შეჩუენებულ ვყვენით**, მოც. 23, 14.

საწყ.: რამეთუ დღეს **სიკუდილით მოსიკუდიდ არს**, 3 მეფ. 2, 24; აბრაჰამი **ყოფით ყოფად არს** ნათესავად დიდად და მრაელად, დაბ. 18, 18 ლაგ. როგორც ვხედავთ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში საწყისი ვითარებითს ბრუნვაში დგას.

ბოლოს, შეიძლება შეგვხვდეს ისეთი შემთხვევა, როცა პარონომაზიული წყვილის ორივე წევრი საწყისია და მეორე წევრად შედგენილი შემასმენელი აღარ გვაქვს, ე. ი. ორივე წევრი ზმნის უპირო ფორმაა, მაგალითად: და უბრძანა შეკრვაჲ მათი და **თრევით მითრჱვაჲ** საპყრობილედ, პარხ. 425. ამგვარი შემთხვევა ძალზე იშვიათია.

პარონომაზიული წყვილის ორივე წევრს ჩვეულებრივ ერთნაირი ფორმა აქვს (ზმნისწინიანი. უზმნისწინო), მაგრამ ზოგჯერ ეს წესი ირღვევა. ეს ხდება ტექსტის გადამწერის სურვილით, რომ ზმნის პირიან ფორმაში მეტი კონკრეტულობა შეიტანოს. ამიტომ მას ურთავს ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევისათვის საჭირო ზმნისწინს, ხოლო მოქმედებითში დასმული საწყისი რჩება უზმნისწინოდ, მაგალითად: უთმინოსა ბაგითა **ბრკუმით შეუბრკუმეს**, იგავ. 10, 8; **ნადირობით მომნადირეს** მე, ვითარცა სირი, მტერთა ჩემთა ცუდად, გოდ. იერ. 3, 52 (ნ. კ. ი. ჯავ. აღწ. 96, 3; სას. პოეზ. 274, 25; 312, 120; ამ მაგალითებში არის **ნადირებით...**); რჩეულნი **ფქვით დაიფქვნეს**. იქვე, 5, 13; **თხრობით მიუთხრნეთ** მეფესა ყოველნი სიტყუანი ესე, იერ. 36, 16; ჴ უფალო, ანუ **ტყუვილით შე-მე-იტყუე** ერი ესე და იერუსალჵმი, იქვე, 4, 10 (შდრ. **ტყუვილით ტყუოდის**, იქვე, 9, 4); **თმენით დაუთმე** უფალსა, მამ. სწავ. 337; პარხ. 1004 b; **მოგიპარეს** შენ რეცა თუ **პარვით** ძმათა მაგათ შენთა, 2 მეფ. 19, 41; უკუეთუ შეევარდეს იგი ერთსა ქალაქთაგანსა, **წილით განიწილონ** იგი, 2 მეფ. 17, 13; **სწავლით განმსწავლა** მე უფალმან, კიმ. I, 156, 17; უკუეთუმცა ვინმე **წონით აღწონნა** რისხვანი ჩემნი, იობ 6, 2; ყოველი მთაჲ **ჴნვით მოიჴნას**, ესაია 7, 25; და **მოუძლურდენ უძლურებით** ეთიოპელთა მიმართ, იქვე, 20, 5; **წყალობით შეგიწყალო** შენ ჴმისაებრ ღალადებისა შენისა, იქვე, 30, 19; **ჯრწნით განიჯრწნე** შენ უთმინოებითა, გამოსლვ. 18, 18; **პარვით წარჴმიპარეს** მე, დაბ. 40, 15; სიხარულსა ყოვლისა ქუეყანისასა **მოგაჯრო** შენ **ოჯრებით**, ეზეკ. 35, 16; **ჴსენებით მოვიჴსენენ** ესენი. გოდ. იერ. 3, 20; არა დადგის ფერჴი ზღურბლთა ზედა, არამედ **ბიჯებით გარდააბიჯიან** ვიდრე მოაქაფამდმდე, 1 მეფ. 5, 5; აღდეგ და მოვედ... უკუეთუ არა, **თრევით მოგითრიო**, შუშ. 149, 11; ეგრეთ წმიდაჲ შუშანიკ **თრევით მოითრია** თიჯათა შიგან და ეკალთა ზედა, შუშ. 152, 14; **თრევით მოითრიეს**, თეკლ. 102. 31.

ზმნისწინების დართვა **სწორედ** პირიანი ფორმებისათვის ბუნებრივიც არის: სწორედ ესენია, რომ ამა თუ იმ მოქმედების კონკრეტულ მიმართულებასა თუ ხასიათს გამოხატავენ. საწყისი ასეთ შემთხვევაში. როგორც ვიცით, უძლურია.

არის ისეთი შემთხვევები, როცა საწყისი მარტივია, პირიანი ფორმა რთული ზმნაა, რომლის პირველ (უპირო) ნაწილსაც საერთო ფუძე (ძირი) აქვს

საწყისთან, მაგალითად: **შეურაცხებით შეურაცხ-მყო** მე სახლმან ისრაჱლისამან, იერ. 5, 11 (ნ. კ. ქებაჲ, 8, 7; ფსალ. 34, 19); **მოხედვით მოხედვა-ყოს** თქუენ ზედა უფალმან, დაბ. 50, 24; გამოსლვ. 13, 19; კაცმან უკუეთუ ცოდოს და **უგულებით უგულებელს-ყვნეს** მცნებანი უფლისანი, ლევიტ. 6, 2. შესაძლებელი იყო პირველი ნიმუში ასეც ყოფილიყო მოცემული: **შეურაცხ-ყოფით შეურაცხ-მყო**, როგორც ეს არის კიდეც წარმოდგენილი ცოტა სხვა ტიპის მაგალითებში: ნუუკუე **ბოროტის-ყოფით** რაჲმე **ბოროტი გჳყო** ჩუენ სამიე, ძემან ბედადისმან უფროჲს აბესალომისა, 2 მეფ. 20, 6. ასეთივე მაგალითია კიდევ: **გულის-თქუმით გულმან-გითქუა**, დაბ. 31, 30.

რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნა **ღება || ხუმა** ორჯერ შეგვხვდა პარონომაზიულ გამოთქმაში. აღსანიშნავია, რომ ორივეჯერ საწყისი მხოლობითის ფუძით არის მოცემული, ხოლო პირიანი ფორმები — მრავლობითის ფუძით: და **აღებით აღიხუნიან** იგინი, რამეთუ ვერ ვლენედ, იერ. 10, 5; **განღებით განეხუნენ** ბჭენი ქუეყანისა მის შენისანი, ნაუმ 3, 13. ჩვეულებრივ მოსალოდნელი იყო: აღხუმით აღიხუნიან და განხუმით განეხუნენ.

როგორია რიგი პარონომაზიული წყვილისა? ჩვეულებრივი რიგი ასეთია: პირველად არის საწყისი, მას მოსდევს ზმნის პირიანი ფორმა: **მოღებით მოვიღო** ცხჳლდი ჩემი, ნაუმ, 3, 9. ესაა წესი, ძირითადი სახე, ნორმა. მაგრამ ზოგჯერ გვხვდება შებრუნებული რიგიც, როცა პირველად ზმნის პირიანი ფორმაა წარმოდგენილი და მას მოჰყვება საწყისი: უკუეთუ **უწყი უწყებით**, იერ. 40, 14.

იომ აჲ შეიცავს განსხვავებული რიგი განსხვავებულ შინაარსს? როგორც ნაგალითებზე დაკვირვება გვიჩვენებს, სხვადასხვა წყობისას სხვადასხვა შინაარსი არ უნდა იყოს გადმოცემული, ე. ი. რიგი თავისუფალია, მაგრამ თავისუფალია ნაწილობრივ: შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში პირველ ადგილზე საწყისია, მეორეზე ზმნის პირიანი ფორმა. ამის მიუხედავად, შეგვეძლო გვეთქვა: პირიანი ფორმა თავში უმეტეს შემთხვევაში მაშინ დგას, როცა ბრძანებითი ან კავშირებითი კილოა გადმოსაცემი. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სხვა შემთხვევებში წინ არ იდგეს პირიანი ფორმა, ან კიდევ: ბრძანებითისა და კავშირებითის გადმოცემისას ყოველთვის და აუცილებლად წინ იყოს იგი. აქ ლაპარაკია მხოლოდ უფრო გავრცელებულ შემთხვევებზე.

აქ ზოგჯერ ისიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, რომ მთარგმნელი ორი ზედიზედ მიყოლებული პარონომაზიული წყვილის გადმოცემისას სტილისტიკური ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად ცვლის რიგს ერთ შემთხვევაში, ხოლო ჩვეულებრივს რიგს ტოვებს მეორეში, მაგალითად: და **განგსწავლო** შენ **განკითხვით** (შებრ. წყ.) და **უბრალოებით** არავე **უბრალო გყო** შენ (ჩვეულ. წყ.), იერ. 46, 28; **მო-ნუ-იქცისა მოქცევით** (შებრ. წყ.) ცრუე მისავე და **შეგინებით შეიგინის** დედაკაცი იგი (ჩვ. წყ.), იქვე, 3, 1.

დავასახელოთ სხვა მაგალითები:

და **შჯამდეთ ჯამით** და განსძლეთ, იოველ 2, 26; **უწყებულ იყავნ უწყებით**, რამეთუ მოჰკუდე, 3 მეფ. 3, 4; არს თუ რაჲმე ჩემ თანა უკეთურება,

მომაკუდინე მე **სიკუდილით**, 2 მეფ. 14, 32; და არა თავს-იდვა დედოფლისაჲ მის, რაჲთამცა **განრყუნილ იქმნა განრყუნით**, იპოლ. 2, 179; რაჲსა **მიეც მიცემით** დიდი იგი ღმერთი აპოლონი ფილეკტიმონს, კიმ. I. 136, 11; და **მოუძლურდენ უძლურებით** ეთიოპელთა მიწართ, ესაია 20, 5; **განიჯრწენით განჯრწნით**, იდევნებოდით თჳნიერ მდევნელისა, მიქია 2, 11; **მოიქეცით მოქცევით** გზისაგან თქუენისა, ეზეკ. 33, 11; და დაჰფლეს იგი ქუაბსა მას მრჩობლსა, რომელ-იგი **მოიგო** აბრაჰამ **მოგებით**, დაბ. 50. 13 (ამ წინადადებაში ბუნებრივია, დამოკიდებულ წინადადებას იწყებდეს სწორედ პირიანი ზმნა და არა საწყისი); და ესმა ერსა მას სიტყუაჲ ესე ბოროტი და **იგლოვდეს გლოვით**, გამოსლვ. 33, 4; **შეჯამა შეჯმით** ვეცხლი ჩუენი, დაბ. 31, 15; არა **მოვკლათ** იგი **მოკლვით**, დაბ. 37, 21.

პარონომაზიული წყვილები ერთ ცნებას შეიცავს, შინაარსით ერთი ერთეულია. ამიტომ ბუნებრივია, თუ ისინი ერთად გვხვდება, ერთმანეთის მიყოლებით, სულ ერთია, რომელი უსწრებს რომელს, მაგალითად: შჯამდეთ ჯაბით, სივლტოლით იცლტოდეს, ტირილით ტიროდა და სხვ. მაგრამ ზოგჯერ გვხვდება გათიშული წყვილები, როცა მათ შორის სიტყვა ან სიტყვებია მოთავსებული. ყველაზე ხშირად ასეთ შემთხვევაში ვხვდებით ნაწილაკებს, კავშირებს, ან ნაცვალსახელებს, უფრო ნაკლებ სხვებსაც. ეუჩვენებთ აქ ასეთ ნიმუშებსაც:

შჯეყენოს ასული **შეყენებით**, მიქია 5, 1; დღისი **აჯოცით** ალიზისაებრ **აგჯოცოს** შენ მას დღესა შინა, იქვე, 7, 11 ლაგ.; **ფლვით** ვირებრ **დაიფლას**, იერ. 22, 19; **მოკლვით** ნუ **მოკლაა** ეზეკია მეფემან და ყოველმან იუდაჲნ. იქვე, 26, 19; **ჯსნით** ვერ **იჯსნნეს** იგინი ჟამთა მათ ჰირისა მათისათა, იქვე 11, 12; **ყოფით** თუ **ჰყოთ** სამართალი, იქვე, 9, 4; **შემთხუევით** რაჲმე **შეგუემთხჳა** ჩუენ სენი ესე, 1 შეფ. 6, 9; **მოგიპარეს** შენ რეცა თუ **პარვით** ძაძთა მაგათ შენთა, 2 მეფ. 19, 41; და **მოწყჳდოს** ერისა მაგისგან შენისაჲ **მოსრვითა** დიდითა, იქვე, 17, 9; **მი-თუ-მაქციოს** მე უფალმან **მიქცევით** იერუსალჵმდ. იქვე 15, 8; და შენ **განმართლებით** არავე **განჰმართლდე**, იერ. 49, 12; **მიგებით** ღათუ სიტყუაჲ **მიუგო** მე მათ, ეზეკ. 14, 3; **მცნებით** რაჲმე **გამცნით** თქუენ, მოც. 5, 28; და რაჟამს განგიტევნეს, ყოელითურთ **განგასხნეს** თქუენ **განსხმით**, გამოსლვ. 11, 1; **ჰამით** არა **იჰამოს**, ლევიტ. 7, 14; სოლო **სიკუდილით** მაშინ **მოვკუდეთ** საუკუნოდ, უკუეთუ ვყოთ... ნებაჲ იგი მეფეთა თქუენთაჲ, პარხ. 1074 ჲ; და შემდგომად ითისა **განისხირპენ** ეგე ჴელით და ფერჴით ქუეყანასა ზედა **განრთხმით** საბლითა, იქვე, 1123.

ზემოთ განხილული შემთხვევები წარმოადგენდა ასეთსა თუ ისეთ გადახრას ძირითადი სახიდან. ძირითადი სახე კი, როგორც აღნიშნული გვქონდა ზემოთ. ისეთი სახეა, როცა პარონომაზიულ წყვილში პირველ ადგილას საწყისია წარმოდგენილი, მეორეზე — ზმნის პირიანი ფორმა. ამასთან, პირველი და მეორე წევრი ერთი ფუძითაა მოცემული და ისინი უშუალოდ მისდევენ ერთმანეთს. არაა გათიშული რაიმე სიტყვით.

ახლა შეიძლება ამ ძირითადი ტიპის ნიმუშებიც მოვიყვანოთ:

აღსრულებით აღასრულნე, ვითარცა გიბრძანე შენ, იქვით 2, 13; **წარწუმედით წარწყმდენ,** იქვე, 6, 4; **სიძულილით მოიძულე** ერი შენი, „სამი“ 3 ეზრა, 5, 30; **ძრვით იძრას** ადგილი ეგე, რომელსა შენ სდგა, იქვე, 6, 14; რამეთუ **სმენით ისმა** ჴმაჲ შენი წინაშე მაღლისა, იქვე, 6, 32; **განკითხვით განრაჲ-ვიკითხნეთ** და მოველოდით წყალობასა, სიბრძ. 12, 22; მაგას ზედა **სიკუდილით მოჰკუდე,** 4 მეფ. 1, 4; **მოხრვით მოვხრნე** იგინი, იქვე, 6, 21; **ჴსნით გჴსნეს** ჩუენ უფალმან, იქვე, 18, 30; **ცნობით ცან** წინა-დაგებული შენი, იგავ. 23, 2; **შეწუნარებით შეიწუნარა** იგი, იქვე, 24, 22; **დამტკიცებით დამტკიცნენ** სიტყუანი ჩემნი, იერ. 44, 29; **სივლტოლით ივლტოდეს** და არა მოიქცეს შეცეულნი გარემოჲს, იქვე, 46, 5; **დაცხრომით დასცხრეს,** იქვე. 48, 2; ეცით სასწაული მოაბსა, რამეთუ **დატევებით დაიტევა,** იქვე, 48, 9; **მიცემით მიეცეს** ქალაქი ესე ჴელთა ქალდეველთასა, იერ. 32, 28; **წარსლვით წარვიდენ** ჩუენგან ქალდეველნი იგი, იერ. 37, 8; უკუეთუ **დასხდომით დასხდეთ** ქუეყანასა ამას, იქვე, 42, 10; აწ **უწყებით უწყოდეთ,** რამეთუ შეგწამებ თქუენ დღეს, იქვე, 42, 19; **ყოფით ვყოთ** ყოველი სიტყუაჲ, იქვე, 44, 17; ესრე თქუა უფალმან ძალთამან: **სუმით ჰსუათ,** იქვე, 25, 28; **განმრავლებით განგამრავლო** შენ, იქვე, 30, 11; **სწენით მესმა** ეფრემის გოდებაჲ, იქვე, 31, 18; **მწყსით გმწყსიდეს** თქუენ მეცნიერებით, იერ. 3, 15; უკუეთუ **განმარტებით განჰმარტნეთ** გზანი თქუენნი და სლვანი თქუენნი, იქვე, 7, 5; და **წამებით უწამე** მამათა თქუენთა მიმართ, იქვე. 11, 7: **შეკრებით შეკრბეს** იაკობი ყოვლითურთ, **მოლოდებით მოელოდნ** ნეშტთა მათ ისრაჱლისათა ერთბამად, მიქეა 2, 12; **განურით განყარნეს** იგინი და მონაგები მათი განრყუნეს (მათ), ნაუმ 2, 2; **მოკლებით მოაკლდინ** კაცი და პირუტყჳ, სოფონია 1, 3; **გამორჩევით გამოირჩია** იგი ყოველისა მისგან ცხორებისა, ზირაქ 45, 20; ხოლო სხუათა მათ ყოველთა **შეცოდებით შესცოდეს,** იქვე. 49, 5; **სიძვით ისიძვიდეს** ქუეყანაჲ უკუანაგან უფლისა, ოსე 1, 2; არამედ **წინააღდგომით წინააღუდგე** მათ, იქვე, 1, 6; **გამოძიებით გამოიძია** იგი და განაგდო იგი, იოველ 1, 7; **ოხრით ოხრიდეს** ღელესა მას საშჯელისასა, იქვე, 4, 14; უკუეთუ **დამარხვით დაიმარხნეთ** მცნებანი უფლისა ღმრთისა თქუენისანი, შატბ. 262 b; **შეცთომით შეიცთუნა** ერი იგი, უდაბნ. 77 rb; **ფიცით აფუცა** მამამან შენმან ერი იგი, 1 მეფ. 14, 28; **განცხადებით განგიცხადე** სახლსა მას მამისა შენისასა, იქვე, 2, 27; **განხეთქით განხეთქო** მეფობაჲ შენი ჴელთაგან შენთა, 3 მეფ. 11, 11; **განტევებით განმიტევე** მე, იქვე, 11, 22; აღვედ და **მოცემით მოსცეს** უფალმან ჴელთა მეფისათა, იქვე, 22, 6; **პოვნით ვპოვო** მე მადლი წინაშე უფლისა, 2 მეფ. 15, 25; გული ერისა მაგის შენისაჲ **განტეხით განტყდეს** და **დაჴსნით დაჰჴსნდეს,** იქვე, 17, 10; რაჟამს **შემოკრებით შემოგიკრბეს** შენ ყოველი იგი სახლი ისრაჱლისაჲ, იქვე, 17, 11; **განრისხებით განარისხე** უფალი ღმერთი შენი, იქვე, 12, 14; **მეფობით ჰმეფობდე** შენ, 1 მეფ. 24, 21; **განლჯებით განალჯნა** ჴუმილნი იგი, მსაჯ. 7, 19 ლაგ.; **თხრობით უთხრა** მისთჳს (შენ), 2 შჯულ. 13, 9 ლაგ.; არამედ **თავს-დებით თავს-იდევით** ეგე, რუთ 2, 16; იერუსალჵმი **ტირილით**

ტიროდა, ესაია 30, 19; **დაწოლით დაწვეს** საწოლსა ზედა, გამოსლვ. 21, 18; **დარღუევით დაარღუნე** და **შემუსრვით შეჰმუსრნე** ძეგლნი იგი მათნი, იქვე, 23, 24: და ვაცსა მას ცოდვისასა **ძიებით ეძიებდა** მოსე, ლევიტ. 10, 16; **უკუეთუ ჰამით ჰამოს** დღესა მას მესამესა ჯორკისა მისგან, არა შეიწირა იგი, იქვე, 7, 8; **წამებით მიწამებდა** ჩუენ კაცი იგი, დაბ. 43, 3: **კითხვით მკითხვიდა** ჩუენ კაცი იგი, იქვე, 43, 7; ანუ არა ესე არსა, რომლითა სუამნ უფალი ჩემი და იგი **ზნით იზნინ** მაგით, იქვე, 44, 5; გად **განცდით განცადოს** იგი, იქვე, 49, 19; არა **ნებით ვინებო** სიკუდილი. ბოლნ. 57, 16; ყოველნი მეფენი მათნი **განკრთომით განჰკრთეს** შენ ზედა, ეზეკ. 27, 35; **წარმოღებით წარმოვიღო** და წარმოვიყვანო ტყუე მათი, იქვე, 38, 12; **დაბურვით დაიბურვოდიან** თავთა მათთა, იქვე, 44, 20; **კურთხევით გაკურთხევ** შენ, უფალო, პარხ. 1157; რამეთუ ესრე ჰგონებდეს, ვითარმედ **აღფხურით აღფხურნენ** იგინი, სვან. 452 ს; ხოლო მოწამენი ნეტარნი **აღმაღლებით აღმაღლდეს**, იქვე, 456 ა; **წუევით ვაწუევთ**, რაჲთა მსგავსად სიმდიდრისა მის გულს-იდგინოს კრძალულებაჲ, იქვე, 473 ა; **შეწევნით შემეწიე** მონასა შენსა, პარხ. 804 ა.

ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა, ჩვენ იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა: პარონომაზიულ გამოთქმაში ერთ-ერთი (ჩვეულებრივ პირველი) წევრი—საწყისი—მოქმედებითში დგას ყოველთვის და ეს მოქმედებითი ასევე ყოველთვის მარტივი **ით** ნიშნით. არის წარმოდგენილი. ესაა აქ ჩვენთვის მთავარი. აღნიშნული წესი იმდენად მკვიდრია, რომ ასეულ მაგალითებში მხოლოდ ხუთიოდე შემთხვევაა, როცა მოქმედებითს ემფატიკური ა-ც ახლავს. ბაგრამ ხუთივე შემთხვევა იხსნება უბრალოდ: ყველა მათგანს მოსდევს განსაზღვრება („დიდი“ 5-დან 4 შემთხვევაში, „ზეცისაჲთა“ ერთში), ხოლო ეს განსაზღვრება სხვანაირად არ შეიძლება დაუკავშირდეს საზღვრულს, თუ არა ამ ემფატიკური ა-ს მეშვეობით. ამ საკითხზე ჩვენ ზემოთ ბევრჯერ გვქონდა საუბარი და ახლა აღარ გავიმეორებთ. აი ეს ხუთი მაგალითიც: 1) **ეტყუებდეს** მას **ტყუებითა** დიდითა, დაბ. 50, 10; 2) **ტიროდეს ტირილითა** დიდითა, მსაჯ. 21, 2; 3) და **მოწყჳდოს** ერისა მაგისგან შენისაჲ **მოსრვითა** დიდითა, 2 მეფ. 17, 9; 4) **დაეცნეს დაცემითა** დიდითა წინაშე ჴტერთა მათთა, ივდით 8, 19; 5) **გაკურთხოს** შენ **კურთხევითა** ზეცისაჲთა ზეგარდამო, დაბ. 49, 25.

ასე რომ, ეს „გამონაკლისიც“ გარკვეულ წესს ემორჩილება და საერთო დებულების დარღვევაზე ამის მიხედვით **შეუძლებელია** ლაპარაკი.

ბოლოს შეიძლება დავსვათ კითხვა: რამდენად ქართულია ეს მოვლენა (პარონომაზია)? რამდენად დამახასიათებელია ის ქართული ენისათვის? ძეგლის სხვა ენიდან თარგმნისას ხომ არ არის ის გადმოყოლილი? სხვა ენიდან მექანიკურად გადმოტანაზე, რასაკვირველია, არ შეიძლება აქ სერიოზულად ვილაპარაკოთ: შეუძლებელია ესა თუ ის მოვლენა ასე ფართოდ დამკვიდრდეს ენაში, თუ მას ამ ენაში არა აქვს გარკვეული ბშობლიური საფუძველი. არაფერს არ ამბობს ის გარემოება, რომ ზოგ ნათარგმნ ძეგლში (მაგალითად,

ბიბლიაში) ის უფრო ხშირად გვხვდება, ზოგში — ნაკლებად. ბიბლიას რაც შეეხება, აქ ამ საკითხზე სპეციალურად მუშაობდა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი. მას ასეთი საგულისხმო დასკვნა აქვს მიღებული: „ქართულ პარონომაზიას ზოგჯერ ებრაულ ტექსტში შეესატყვისება ზმნის მხოლოდ ერთი ფორმა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ შემთხვევაში სხვა ბიბლიები (სომხური, სირიული, ბერძნული) ჩვეულებრივ ებრაულ ტექსტს მისდევენ“ [1]. მაშასადამე, ზოგჯერ არც ებრაულ, არც ბერძნულ, არც სომხურ, არც სირიულ ტექსტში არაა პარონომაზია, ქართულში კი არის! ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული პარონომაზია ყოველთვის არაა დამოკიდებული სხვა ენაზე, ეს მისი თვისებაცაა. ჩვენი აზრით, სრულიად ზედმეტია კ. წერეთლის აღნიშნული შრომის მე-7 თეზისი იმის გასამართლებლად, რომ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი შემთხვევა ისევე და ისევ ებრაული ენის გავლენით ავხსნათ. აქ ავტორი წერს: „ისეთ შემთხვევაში, როდესაც პარონომაზია მხოლოდ ქართულ ტექსტშია, იგი ისეთი გამოთქმების განმეორებას წარმოადგენს, რომლებსაც ებრაულში მოეპოვება შესატყვისები“ (იქვე). აქ წამოყენებული დებულების აზრი არ უნდა იყოს სწორი: თუ პარონომაზია თვით ებრაულ ტექსტში არაა, ხოლო ქართულში კი გვხვდება, რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ „იგი (პარონომაზია. — ი. ი.) ისეთი გამოთქმების განმეორებას წარმოადგენს, რომლებსაც ებრაულში მოეპოვება შესატყვისები“?

რომ ეს მოვლენა ქართულისათვისაც იყო დამახასიათებელი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას ადგილი აქვს ორიგინალურ ძეგლებშიც. შდრ.. მაგალითად, შუშანიკის მარტვილობის „თრევით მოგითრიო“, „თრევით მოითრია“, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „სმენით გუესმინა“, ი. ბ ო ლ ნ ე ლ ი ს „არა ნებით ვინებო სიკუდილი“ და სხვ.

პარონომაზია ახალი ქართულისათვისაც არაა უცხო მოვლენა. აღსანიშნავია, რომ დღესაც მას ის ძირითადი შინაარსი აქვს, რაც ძველად ჰქონდა: **აუცილებლობა, დაბეჯითებითი ტონი.** ოღონდ ესაა, რომ აუცილებლობას დღეს ახლავს ერთგვარი პირობითობა, ერთგვარი დამატება, ერთგვარი გამორიცხვა, რასაც გარეგნულად გვიჩვენებს იქვე მიყოლებული „მაგრამ“. დღეს ჩვეულებრივია, მაგალითად, ასეთი გამოთქმები: **მოსვლით მოვიდა**, მაგრამ წიგნი არ მოუტანია, **დაწერით დაწერა**, მაგრამ კარგი ხელით არაა ნაწერი, **ჰამით ჰამა**, მაგრამ უგემურად, **შეპირებით კი შეჰპირდა**, მაგრამ აუსრულებს კი? **წაკითხვით წაიკითხა**, მაგრამ არ ახსოვს, **სმით სვა**, მაგრამ მაგრად დაითრო, **რჩევით კი ურჩია**, მაგრამ არ დაუჯერა და სხვ. ამნაირი გამოთქმები დღეს საკმაოდ როგორც ცოცხალ კილოებში, ისე სალიტერატურო ქართულშიც. ჩვენს კლასიკოსებს საკმაო რაოდენობით მოეპოვებათ იგი. მოვიყვან აქ რამდენიმე მაგალითს ჯერ ლიტერატურიდან, შემდეგ ზოგიერთი დიალექტიდან.

[1] თეზისები, გვ. 14.

ლიტერატურიდან

მოიცა შენა! **მოკვლით** არ **მოვკლავ**, რადგან მე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი ვარ, ცემას კი არაფერი უშავს, წარმოსთქვა მამალმა (ვაჟა-ფშაველა, მოთხრ. ტ. VI, გვ. 204); **ჰამით** ისინი ვერა **სჰამენ**, **სმით** ისინი ვერა **სმენ**, რა კაცები არიან (ი. ჭავჭავაძე, მხატვრული ნაწერები, 1937, გვ. 391); არა, **შეძლებით** კი **შეიძლება**, მაგრამ თავს ვინ გამოიმეტებს (იქვე, 436); ძალიან თავის გამომეტება კი უნდა, თორემ **შეძლებით** რა არ **შეიძლება** (იქვე); მაგრამ, ჩემი არ იყოს, **გაკვირვებით** არა **გაჰკვირვებია** რა (ა. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი: რჩეული ნაწერები, 1935 წ. გვ. 407) და სხვ.

მსგავსი გამოთქმები ხშირია ჟურნალ-გაზეთებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენაშიც, მაგალითად: და თუ მაინც წიგნში სადმე თავს იჩენს რაიმე ნაკლი, **დაბრალებით დამბრალდეს**, მაგრამ აღდგენილი გამოცემის შეფასებისას მოიგონონ... სულხან-საბა ორბელიანის... სიტყვები: „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ აძაგებთ, სრული ძნელია“ („ვეფხისტყაოსანი“, 1712, პირველი გამოცემა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, 1937, გვ. 349).

დიალექტებიდან

გურული დიალექტი:

ამ კაცმა ამეიღო ხმალი და უნდოდა სიკვტილი (გველისა), მარა **სიკვტილით** ვერ **მოკლა**, მხოლოთ კუდი წააწყვიტა[1].

იმერული დიალექტი:

ეს რომ ვუთხარი და, არ იამა, ეიღეშა; **თქმით** არაფერი **უთქვამს**, მარა ცალიან შეწუხდა[2]; **სირცხვილით** იმას არაფრის **ცხვენია** და **შიშით** არაფრის **ეშინია** (იქვე, აშლაპი, 19); **ბუნა** — უხეიროთ თოხნა, ძალას ხარჯავს, თოხნა რომ არ ემარჯვება კაცს, **გამოსვლით** არაფერი **გამოუდის** (იქვე, 45); მე მგონია, დაგხვეება ის შენ ახლა სახში, მარა თუ ვინცობაა, არ იქნეს, **დაბარებით** მაინც დოუბარე, რაც გითხარი (ვინცობაა, 113); ლაქლაქზე იმას არაფერი ტკივა, **ლაქლაქით** ალაქლაქე, რამდენი გინდა (ლაქლაქი, 168); **თხოვით** კი ის ბიჭი მაგას არ **ითხოვს** (ნასახი, 214); ძალიან იელვა, ძაან იგრუხუნა, მარა **გაავდრებით** როდი **გაავდარდა** მაინც (როდი, 247); ტყულა დავფარცუხობ ვენახსა და გარემოში, თვარა **კეთებით** კი არაფერს **ვაკეთებ** (ფარცუხი, 304); **გალახვით** აღარ **გამილახავს**, მარა **შეჯანჯგალებით** კი **შევაჯანჯგალე** ერთი, მოუხთა (შეჯანჯგალება, 372); **დაბალღმებით** არ **დამიბალღმებია**, წბოლავს ხოლოთ (წბოლვა, 418); **გამოთოხნით**, იჯდა და ჯდომია **თოხნიდა** (ჯორჯმანი, 472) და სხვ.

---

[1] ს. ჟღენტი, გურული კილო, 1936, გვ. 121.

[2] ა. ცხადაძე, იმერული დიალექტის მარგვული მეტყველება, გამოკვლევა და ლექსიკონი, 1953, „აღმოვა“, 18 (ხელნ.).

ამგვარი მოვლენა სხვა დიალექტებშიც გვხვდება, მაგრამ აქ მათ უადგილობის გამო ვერ გამოვეკიდებით. ჩვენ ამით მხოლოდ იმის თქმა გვინდოდა, რომ პარონომაზიული გამოთქმები ახალი ქართულისათვისაც არ არის უცხო. და თუ ძველად ასე გავრცელებული იყო ეს მოვლენა, ამის ფესვები არ უნდა ვეძიოთ მხოლოდ უცხო ენის (მაგ., ებრაულის) გავლენაში. ცხადია, ძველ ქართულშიც მას ადგილობრივი ნიადაგიც კვებავდა [1].

6. მოქმედებითი ზოგიერთ ზმნასთან

არის ზოგიერთი ზმნა, რომლებთანაც მოქმედებითი იხმარება. ეს ბრუნვა, რასაკვირველია, შინაარსით არის დაკავშირებული ამ ზმნებთან. ასეთი ზმნაა, მაგალითად, **ხადა** (ხადილი), რომლის პირიანი ფორმებია: ვჰხადი, ჰხადი, ჰხადის; უწყვ.: ვჰხადოდე, ჰხადოდე, ჰხადოდა; წყვ.: ვჰხადე, ჰხადე, ჰხადა... ზმნა სამპირიანია წარმოშობით; ძველ ქართულში მას შერჩენილი აქვს ორი მათგანი: სუბიექტი და ირიბი ობიექტი: ჰხადის იგი მას, ჰხადა მან მას. პირდაპირი ობიექტი ჩვეულებრივ არ არის წარმოდგენილი. აი ამ ცარიელი ადგილის ამოსავსებად იხმარება მასთან მოქმედებითი ბრუნვის ფორმა: ჰხადის იგი მას **მამით**..

ძველ ქართულში ამ ზმნას ორი მნიშვნელობა აქვს: 1. მოხმობა, მოპატიჟება, მოწოდება, დაძახება; 2. წოდება, სახელის დარქმევა, ძახება. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული თვისება, რომ ერთ-ერთი სახელი მოქმედებითში მოითხოვოს, ამ ზმნას ორივე მნიშვნელობისას აქვს. მაგრამ ყველაზე მთავარი ჩვენთვის მაინც ის გარემოებაა, რომ მოქმედებითი ბრუნვა ამ შემთხვევაში წარმოდგენილია ყოველთვის მარტივი **ით** ნიშნით და არა რთული **-ით-ა-თი**.

ხადა ზმნას სიძველის სხვა ნიშნებიც აქვს. აქ შეიძლება მივუთითოთ იმ გარემოებაზე, რომ მას აწმყოსა და მეორე ხოლმეობითის მწკრივები მორფოლოგიურად სავსებით ერთნაირი აქვს, მაგალითად:

აწმყო	მეორე ხოლმეობითი
მე ვ-ჰ-ხად-ი	მე ვ-ჰ-ხად-ი
შენ ჰ-ხად-ი	შენ ჰ-ხად-ი
იგი ჰ-ხად-ი-ს	**მან** ჰ-ხად-ი-ს
ჩუენ ვ-ჰ-ხად-ი-თ	ჩუენ ვ-ჰ-ხად-ი-თ
თქუენ ჰ-ხად-ი-თ	თქუენ ჰ-ხად-ი-თ
იგინი ჰ-ხად-ი-ან	**მათ** ჰ-ხად-ი-ან

[1] ეს ჩვენი შრომა უკვე დაწერილი იყო, როცა დაიბეჭდა კ. წერეთლის ვრცელი გამოკვლევა ამ საგანზე: პარონომახია ქართულში: იბერ.-კავკ. VI, 1954, გვ. 461—502. ამიტომ, სამწუხაროდ, ამ შრომით სათანადოდ ვერ ვისარგებლეთ.

აქ ნათლად ჩანს ის გზა, რომლითაც უნდა იყოს აწმყო წარმოქმნილი მეორე ხოლმეობითისაგან[1]. ამ ორი მწკრივის გარჩევა, როგორც ვხედავთ, მორფოლოგიურად შეუძლებელი იყო, გარჩევა მხოლოდ სინტაქსური საშუალებებით შეიძლებოდა, ისიც მხოლოდ მესამე პირში: აწმყოს მწკრივს სუბიექტად ექნებოდა ი გ ი, ი გ ი ნ ი, მეორე ხოლმეობითისას — მ ა ნ, მ ა თ. სხვა კრიტერიუმი (პირდაპირი ობიექტის ბრუნვა), სამწუხაროდ, არ არსებობდა ამ ზმნისათვის: პირდაპირი ობიექტი დაკარგული ჰქონდა. თუ წინადადებებში სუბიექტი არ იყო წარმოდგენილი, მაშინ გარჩევის ის ერთი საშუალებაც აღარ არსებობდა. ალბათ ამიტომაა, რომ ძველი ქართულის ზოგიერთი ძეგლი ცდილობს ამ მსგავს ფორმებს შორის მორფოლოგიური განსხვავებაც დაამყაროს და ერთ-ერთი მათგანის ფუძე შეკუმშოს. მაგრამ რომელი მწკრივის ფუძე შეიკუმშოს? თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ბედის მქონე ზოგი სხვა ზმნის მიერ არჩეულ გზას ამ მხრივ, მაშინ ფუძის შეკუმშვა აწმყოს უნდა ეკისრა. შდრ., მაგალითად:

აწმყო	მეორე ხოლმ.
ვ-ზრდ-ი	ვ-ზარდ-ი
ვ-თლ-ი	ვ-თალ-ი
ვ-შლ-ი	ვ-შალ-ი
ვ-თხრ-ი	ვ-თხარ-ი და სხვ.

ამიტომ, ბუნებრივია, **ხადა** ზმნისათვისაც შეკუმშული ფუძეები აწმყოში უნდა გამოეყენებინათ. ასეც მოხდა. ჩვენ გვაქვს აღწერილი ზმნის აწმყოსა და I სერიის სხვა მწკრივებში შეკუმშვის რამდენიმე მაგალითი. აი ერთი მათგანი: და მორჩილებად ყოველთავე **მოხდიდა**, სინ. მრავ. 112[2].

გვაქვს **ოდ** და **დ** საერცობის შენაცვლების შემთხვევაც: რაჲთა უვარ-ყონ სარწმუნოებაჲ ქრისტჱსი და აღიარნენ კერპნი და უგონ ეშმაკთა, რომელთა-იგი ღმრთად **ჰხადდეს**, კიმ. I, 109, 26. საინტერესოა აღინიშნოს, რომ **ხაზგასმული** ფორმა მეორე ხელნაწერში **ოდ**-ით არის წარმოდგენილი: **ხადოდეს** (იქვე, ვარიანტი სქოლიოში).

ეს მაგალითი კიდევ სხვა მხრივ იქცევს ჩვენს ყურადღებას: ნაცვლად მოქმედებითი ბრუნვისა აქ მოცემულია ვითარებითი: **ღმრთად** (და არა: **ღმრთით**) ჰ ხ ა დ დ ე ს. მოქმედებითისა და ვითარებითის ეს ურთიერთშენაცვლება საერთოდ ცნობილი ფაქტია. ამ ზმნაში კი ეს შენაცვლება ხშირად ხდება. ამის ერთი მაგალითი ზემოთ (გვ. 230) უკვე ვუჩვენეთ, ქვემოთ კი სხვებსაც მოვიყვანთ.

---

[1] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1948, გვ. 73—76.

[2] შეკუმშული ფუძე მოგვეპოვება საწყისშიც: რაჟამს-იგი ენების ქმობად და ჰნებავნ ხდად ქმაჲ თჳსი, შატბ. 27ს.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ეს ზმნა ძველ ქართულში ოდიან ზმნათა რიგში იდგა და უღლებაში მათ ბედს იზიარებდა. ეს იყო ერთი იმ ოთხი-ოდე ზმნათაგანი, რომელნიც, მიუხედავად გვარისა და გარდამავლობისა, უღლებაში მაინც ვნებითებს ეკედლებოდნენ და ოდიანი ზმნების სისტემაში იყვნენ მოქცეული (იქმ-ოდ-ა, ჲც-ოდ-ა, უწყ-ოდ-ა, ჰ-ხად-ოდ-ა).

ახლა შეიძლება სათანადო მაგალითები დავიმოწმოთ ტექსტებიდან. მაგალითებს წარმოვადგენთ ისე, როგორც ხელში მოგვხვდა.

სიტყუათაღა საწყინელთა ასმენნ მას და ჟამსა მას **ვაჲთ ჰხადინ**, ზირაქ 29, 6; რასა იტყოდა ჩემთჳს სჳმეონ: არა **უფლით მხადოდაა** მე, პარხ. 411 a; უდაბნ. 50 vb; უფალსა მას კაცად იტყოდეს და მომაქცეველსა მას შეცთომილთასა **მაცთურით ჰხადოდეს**, თუალთ. 82, 24; აჰა ესერა ცაჲ, რომლისათჳს სცთებით და **ჰხადით ღმრთით**, სვან. 37 b (შდრ.: ცასა **ღმრთად ჰხადით**, იქვე); ვითარ უკუე დავით სულითა წმიდითა **ჰხადის** მას **უფლით** და იტყჳს, მ. 22, 43; ხოლო თქუენ ნუვის **ჰხადით მოძღურით**, მ. 23, 8; და **მამით** ნუვის **ჰხადით** თქუენ ქუეყანასა ზედა, მ. 23, 9 (შდრ. **მამად თქუენდა** ნუვის ხადით, იქვე Ç); უკუეთუ სახლისა უფალსა **ბერწებულით ჰხადოდეს**, რაოდენ უფროჲს სახლეულთა მისთა, მ. 10, 25. ამ მაგალითის ჩვენთვის საინტერესო ფორმა ასეა წარმოდგენილი ხანმეტ ტექსტშიც: სადა მამასახლისსა **ბერძებულით ხხადოდეს**, რაოდენ ხუფროს სახლეულთა მისთა, ისტ. ქრესტ. 8.

...თქუენ **მხადით** მე **მოძღურით** და **უფლით** და კეთილად სთქუთ, რამეთუ ვარვე ეგრე, ი. 13, 13 C. DE-ში ეს ადგილი პირდაპირი სიტყვის წესითაა მოყვანილი და ამიტომ ხაზგასმული სიტყვები წოდებითშია წარმოდგენილი: თქუენ მხადით მე: **მოძღუარო** და **უფალო**.

...ოდესმე **ჰხადინ მამობით** და ოდესმე უწესნ ულმრთოებით, პარხ. 945 a; ჩუენ გუქონან ღმერთნი მრავალნი შემწედ და განმგებელად ჩუენდა, და შენ **მაცთურით ხადია**, იქვე, 590 b (მაგრამ: ნუ **მხადი** მე ამიერითგან **შვილად** შენდა, იქვე, 718 b; რაჲსა მე **ასულად შენდა მხადი**, იქვე, 722 a); და **ჰხადოდეს** ბარნაბას დია **კერპით** და პავლეს — **ერმჲთ**, მოც. 14, 12.

ასეთივე ხასიათისაა ის ზმნებიც, რომლებსაც **ხად**-ს მსგავსი შინაარსი აქვთ, ან ასეთი მნიშვნელობით არიან გამოყენებული: მათაც მოქმედებითი ბრუნვა ეწყობა და ეს მოქმედებითი მუდამ **ით** ნიშანს გვიჩვენებს. ეს ზმნებია: წოდება, წესა, ჴმობა, სიტყუა, თქუმა, სახელის-დება და სხვა.

მაგალითები:

წოდება

და უწოდეს მას **სახელით**, პარხ. 1136 (=სახელი დაუძახეს); ხოლო დედაკაცსა მას დაუკჳრდა, რაჟამს **სახელით** უწოდა მას, სვან. 304 a; მი-

წოდა მე **სახელით** სამ-გზის, ისტ. ქრესტ. 295, 18 (=სახელი დამიძახა); აჰა ესერა მიწოდებიეს **სახელით** ბესელწლ, გამოსლვ. 31.2; და უწოდს მხოლოდ-შობილად და ძედ ღმრთისად და **ჲეშმარიტებით** და **სიმდაბლით** და **სიმართლით** და **მეუფებით** და **უფლებით**, ლიტ. ურთ. 172. 2 — 5. ეს მშვენიერი მაგალითი ამას ნიშნავს დღეს: უწოდებს მხოლოდ-შობილს, ღმრთის შვილს, ჲეშმარიტებას, სიმდაბლეს, სიმართლეს, მეუფებასა და უფლებას. ასეა ეს მოცემული სომხურადაც (ნ. იქვე. 172, 31—33). ამრიგად, ეს სიტყვები აქ სულ იმნაირივე მნიშვნელობით არის ნახმარი, როგორც ზემოთ ნაჩვენები „უფლით ჰხადის“ და „სახელით მიწოდა“.

მაგრამ ამავე მაგალითში მეორე გარემოებაც იქცევს ჩვენს ყურადღებას: „წოდება“ ზმნასთან აქ მოქმედებითის გვერდით ვითარებითიც არის მოცემული: უწოდს **ჲეშმარიტებით**, **სიმდაბლით**, **სიმართლით**, **უფლებით**, **მეუფებით**, მაგრამ აგრეთვე: უწოდს **მხოლოდ-შობილად**. **ძედ** ღმრთისად. ეს ვითარებითი აქ შემთხვევითი სრულებით არ არის, ის მოქმედებითის ჩვეულებრივი მონაცვლეა არა მარტო აქ და ასეთ პირობებში, არამედ ბევრ სხვა შემთხვევაშიც. „წოდება“ ზმნასთან მაინც ეს შენაცვლება ყველაზე ხშირია.

მაგრამ აქ კითხვა ისმის: უწოდს **მხოლოდ-შობილად და ძედ ღმრთისად**, ერთი მხრივ, და უწოდს **ჲეშმარიტებით** (სიმდაბლით...). მეორე მხრივ. ხომ არ არის სხვადასხვა სინტაქსური ოდენობა? სხვანაირად რომ ვთქვათ, **ჲეშმარიტებით** უწოდს ხომ არ არის ვითარების გარემოება და ხომ არ ნიშნავს „ჲეშმარიტად“ უწოდებს და არა „ჲეშმარიტს“ უწოდებს? ასე არ უნდა იყოს, რადგან „უწოდებს ...მეუფებით და უფლებით“ ამას გამორიცხავს; მეორე მხრივ, ასეთი გაგების ნებას არ იძლევა სოფაური. საიდანაც ნათარგმნია იგი; მესამე მხრივ, „წოდების“-თან, როგორც ვნახეთ, მოქმედებითი ბრუნვა ჩვეულებრივია იმ სახელის გადმოცემისათვის, რასაც უწოდებენ მას (შდრ. უწოდა სახელით).

ვნებითთანაც ასევე გვექნება მოქმედებითი:

მრავალნი იწოდნეს **სახელით** და ვერ იპოვნეს მსგავსად სახელისა მათისა, მამ. სწავ. (H) 108 v.

წესა

...და თჳსთა ცხოვართა უწესნ **სახელით** და გაჲოყუანნის იგინი, ი. 10, 3 CE; ოდესმე ჰხადინ მამობით და ოდესმე უწესნ **ულმრთოებით**[1], პარხ. 945 a. აქ მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ **უწესნ** და **ჰხადინ** ერთ სიბრტყეზე ძევს და ერთი მნიშვნელობის მქონეა, აქიტომაცაა, რომ მათ ერთნაირი სინტაქსური ძალა აქვთ: ორივე მოქმედებითს ითხოვს: ჰხადინ **მამობით** და უწესნ **ულმრთოებით**.

[1] ხელნ.: ულრმთოებით.

სახელის-დება

მაშინ იწყო სიტყვს-გებად მათა გიორგი მთავარმან-ხატთათჳს წჱიდათა და **კერპით** სახელ-სდებდა მათ, და რომელნი ადიდებდენ — მათ **კერპთ-მსახურად**, პარხ., 926 ბ. აქაც გვაქვს მოქმედებითისა და ვითარებითის ჩვეულებრივი მონაცვლება: სახელ-სდებდა **კერპით** და **კერპთ-მსახურად**..

ჴმობა, ჴმის-ყოფა

ჴმა-ყო ჴმითა დიდითა **სახელით** და თქუა, კიმ. I, 281, 9; ჴმა-უყო მას **სახელით** და არაერრად მოუგო, იქვე, 281, 11; და უჴმო ციხის-თავმან კალაძთ ტფილისისაჲთ მეფესა ჰერაკლეს **ვაც-ბოტობით**, მოქც. (ისტ. ქრესტ. 269, 14); მიემართა ღელედ კერძო, დასავალად სოფელსა მას, რომელსა ჰრქჳან დივრი, რომელსა უჴმობენ კაცნი **დეგობით**, ლიტ. ურთ. 180, 35.

სიტყუა

არცა სხუათა წჱვალებელთა იტყოდა სადამე **მიყუარობით**, უდაბნ. 28 rb; რაჲსა მეტყჳ მე **სახიერით** (ქველის-მოქმედით C)? არავინ არს სა-ხიერ. გარნა მაღლოჲ ღმერთი, შრ. 10, 18; ლ. 18, 19; თავადი დავით ეტყჳს მას **უფლით**, და ვითარ ძჳ მისი არს, შრ. 12, 37 C. DE-ში ამ ეტყჳს ფორმას ცვლის ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ჰხადის. მაშასადამე, ჰაადის და ეტყჳს აქ ერთი ძნიშვნელობითაა ნახმარი (=უწოდებს, ეძახის) და ამიტომ სრულიად ბუნებრივია, თუ ორივე მოქმედებითში მოითხოვდეს იმ საქცელს, რასაც დავითი უწოდებს ქრისტეს (ამ შეჯთხვევაში **უფლით**,= უუალს).

თქუმა

რომლისათჳს ვერას ჰპოებდა იოსებ და არა იცოდა. რაჲმცა უწოდა ქალწულსა მას. **ბრუშებითმცა** თქუა, ვერ იკადრებდა, მრაქ. 267, 24. „ბრუშებითმცა თქუა“ ნიშნავს: „ბრუში ეწოდებინა“.

მოქმედებითს მოითხოვს კიდევ ზმნა **შეკრვა** უპირო ფორმებითურთ (შეკრვა, შეკრული), ხანდახან აგრეთვე **შებორკილება** და განკსნაც. მაგალითად:

უბრძანოს მეუფემან მან და **შეკრან** იგი **ჴელით** და **ფერჴით** და გარ-დაავდონ იგი გარდასკნელსა, ი. ჯაქ. აღწ. 232, 28. „შეკრან იგი ჴელით და ფერჴით“ ნიშნავს: „შეუკრან მას ხელ-ფეხი“, „შეუკრან მას ხელი და ფეხი“, „შეკრან მისი ხელი და ფეხი“. თუ წინადადებაში საჭიროა იმის ჩვენე-ბაც, თუ რით უნდა შეკრან ხელი და ფეხი. ეს სიტყვა ამ შემთხვევაში ემფატიკური ა-თი იქნება წარმოდგენილი და ფორმალურადაც იქნება გან-სხვავებული „ხელისა“ და „ფეხისაგან“, მაგალითად: და გამოვიდა მკუდარი იგი, კრული **ფერჴით**, **ჴელით** რეზითა, ი. 11, 44 C. DE-ში სამსავე სახელს აქვს დართული ემფატიკური ა და კაცს ისინი ერთნაირი ფუნქციის მქონე სიტყვებად ეოეჩვენება: გამოვიდა მკუდარი იგი, შეკრული **ჴელითა** და **ფერ-ჴითა** და **სახუეელითა**. ნამდვილად მათ შორის დიდი განსხვავებაა: იმ

მკვდარს **ხელ-ფეხი** ჰქონდა შეკრული **სახვეელით**. უეჭველია, DE-ს წაკითხვა უფრო გვიანდელია და მას მოქმედებითის ამ ორი ფუნქციის გამოხატვაში გათანაბრების აშკარა დაღი აზის. ადიშის ძეგლსავით არის განსხვავებულად გამოხატული მოქმედებითის ეს ორი სხვადასხვა ფუნქცია პარხლის მრავალთავში, სადაც იკითხება: დაყვეს საპყრობილესა მას შეყუენებულთა ოთხი დღე უზმათა, შეკრულთა **ჴელით** და **ფერჴით** ღუედითა ფიცხელითა, პარხ. 1162; კიმ. II, 57, 5; და შემდგომად მისა განისხირპენ **ჴგე ჴელით** და **ფერჴით** ქუეყანასა ზედა განრთბმით **საბლითა**, პარხ. 1123: და ბრძანა შებორკილებად წმიდათა მათ **ჴელით** და **ფერჴით ჯაჭჳთა მძიმითა** და შეყუენებად მათი საპყრობილესა, იქვე, 969 b; მაშინ უბრძანა **ჴელით** და **ფერჴითურთ** შეკრვად მისი **ბორკილითა** რკინისაჲთა, აბო 191, 23. რა ჰქონდა შეკრული? — ხელ-ფეხი ან ხელი და ფეხი (ძველი ქართულით: კრულ იყო ჴელით და ფერჴით); **რით** იყო შეკრული? — ღვედით, საბლით, ჯაჭვით, ბორკილით (ძვ. ქართულით: ღუედითა, საბლითა, ჯაჭჳთა, ბორკილითა). ასეთია ორი სხვადასხვა ხნიშნელობის სხვადასხვა საშუალებით გამოხატვის ძველი წესი. მაშასადამე, თუ სადმე გვხვდება (აქ ან სავაგან) ბოქმედებითის მარტივი **ით** ნიშნის მაგივრად რთული **ით-ა**, ეს ძველი წესის თანდათანობითი გაქრობისა და ახლის თანდათანობითი დამკვიდრების შედეგია. სხვა მაგალითები კიდევ:

და უბრძანოს შეკრვად მისი **ჴელით** და **ფერჴით** და შთაგდებად იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა, მამ. სწაე. 331; განჴსნეს იგი **ჴელით** და **ფერჴით** საკუელთა მათგან რკინისათა, აბო 195, 22; წარიყვანეს წმიდად იგი კრული **ჴელით** და **ფერჴით** და ზედა ედვა მას ჯაჭუი იგი მოციქულისა პავლესი, ი. ჯავ. აღწ. 172, 1; პარხ. 1165; შებორკილეს იგი **ჴელით** და **ფერჴით**, კიმ. I, 121, 33; უბრძანა... შეკრვად ნეტარისა მარინაჲსი **ჴელით** და **ფერჴით**, პარხ. 623 a; ხედვიდა მას ყოველი იგი დედები აღბორკილებულსა **ჴელით** და **ფერჴით**, იქვე, 722 b; ეტ. III, 187, 27; შებორკილეს იგი **ჴელით** და **ფერჴით** და შეაყენეს იგი საპყრობილესა, პარხ. 841 b; უკეთუმცა არა შებორკილებულ იყო იგი **ჴელით** და **ფერჴით**, იქვე, 217 a; ბრძანა შებორკილებად მათი **ჴელით** და შეყენებად საპყრობილესა მას შეზღუდვილსა, იქვე, 107.1 a.

დავასახელებ კიდევ ორიოდე ამგვარ ზმნას. ერთი ამათგანია **ყუენა** (=გაბარსვა, გაკრეჭა): სხდიან კუართ-ღებულნი, **თჳთ, წუერით ყუენილნი**, იერ. 5, 23(?); ხოლო მსაჲურთა მათ აღასრულეს ბრძანებად მარზაბანისად მის და დაყჳნეს იგინი **თმითა** და **წუერითა**, ევსტ. 163, 19. ამ მაგალითში სახელი მოქმედებითში კი არის წარმოდგენილი, მაგრამ მოსალოდნელი **ით**-ის წინააღმდეგ ბრუნვის ნიშანი ემფატიკური **ა**-თია გავრცობილი. ეს მოვლენა, უეჭველია, უფრო გვიანდელია. ცხადია, რომ ევსტათი მცხეთელის მარტვილობის ხელნაწერი, რომელიც ერთადერთი ცალის სახითაა ჩვენამდე მოღწეული და განეკუთვნება მე-11 საუკუნეს, ამ ადგილს მოგვიანო ხანის ნორმების მიხედვით ასწორებს. ეს კიდევ არაფერი, სხვა ორ ადგილას ეს მოქმედებითი სრულებით ამოვდებულია და მის ადგილას წარმოდგენილია

სხვა ანალოგიურ შემთხვევაში ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ბრუნვები — სახელობითი და ნათესაობითი, მაგალითად: და ბრძანა **თავისა** და **წუერისა** დაყუენაჲ, იქვე, 163, 17; და უბრძანა: დაჰყჳნეთ მაგათ **თავი** და **წუერი**, იქვე, 162, 36. სხვათა შორის, დავსძენთ აქვე, რომ ამგვარი მოპყრობა ბრუნვების არჩევისადმი სხვა ხელნაწერებშიც შეგვხვდება, მაგალითად: რამეთუ ერის-კაცთა ჩუელებაჲ აქუნდა, რაჲთა **წუერები** მათი ძირითურთ დაიყჳნონ, პარხ. 927 ს.

ასეთივე უნდა იყოს კიდევ შემდეგი მაგალითებიც:

და **უჩნდეს** სიტყუანი მისნი **ბასრობით** წინაშე სიძეთა მისთა, დაბ. 19, 14 ლაგ. დღეს ვიტყოდით „დაცინვად“ მიიჩნდაო, ძველად კი. აღნიშნულის გარდა, შესაძლებელი იყო წრფელობითის არჩევაც. შდრ, მაგალითად: რომელსა-იგი **სარცხჳნელ** უჩნდე მე, მ. 8, 38; რაჲთა არა უჩნდე კაცთა **მმარხველ**, მ. 6, 18 C; რომელსა **სირცხჳლ** უჩნდეს ჩემდა მომართ. ლ. 9, 26.

ვიდრემდის არა **დასცხრებით ქელობით** ორთავე ფერჴთა ზედა, იპოლ. 23, 26 [=სანამ არ შესწყვეტთ (არ გაათავებთ, თავს არ დაანებებთ) ორივე ფეხით (ფეხზე) **კოჭლობას**]. აქ მოსალოდნელი იყო **ქელობად**, როგორც ამ ზმნასთან გვხვდება ჩვეულებრივ, მაგალითად: ვითარცა დასცხრა **სიტყუად**, ლ. 5, 4 (=როცა შესწყვიტა ლაპარაკი, როცა გაათავა ლაპარაკი). თუ ზოგჯერ მოქმედებითი ემფატიკური ა-თია მოცემული, ამას აქვს ახსნა. მაგალითად: არა დაჰსცხრების **აწბორის-ყოფითა** ფერჴთა ჩემთაჲთა, ლ. 7, 45. აქ ემფატიკური ა-ს დართვა გამოწვეულია მომდევნო მსაზღვრელის მიერ: (ამბორის-ყოფითა) **ფერჴთა ჩემთაჲთა**. თუ ეს მსაზღვრელი არა, არც ემფატიკური ა გვექნებოდა და საპირო სიტყვა ასე იქნებოდა წარმოდგენილი: არა დაჰსცხრების **ამბორის-ყოფით**. ერთი მაგალითი კიდევ: არა დავსცხრები მე **ლოცვითა**(?), **ცრემლით** და **ვედრებით** თქუენთჳს უფლისა მიმართ, კიმ. I, 275. 23. თუ „ლოცვითა“-ში ჲ „და“-ს ჩავარდნის შემდეგ არ არის დარჩენილი (ლოცვით(დ)ა ცრემლით და ვედრებით) და შემდეგ წინამავალ სიტყვას მიკედლებული, მაშინ ეს მაგალითი **ით** და **ით-ა** წარმოების უბრალო გათანაბრების მაჩვენებელი იქნებოდა. მაშასადამე, ამ მაგალითებშიც გვაქვს მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების იგივე შენაცვლება, რაზედაც ზემოთ არაერთხელ იყო საუბარი.

7. მოქმედებითი გარკვეული (სოციალური?) მდგომარეობის გამომხატველ ფორმებში

ძველ ქართულში გვაქვს მოქმედებითში დასმულ სახელთა ისეთი ფორმა, რომელიც პიროვნების გარკვეულ (სოციალურ თუ თანამდებობრივ?) მდგომარეობაში ყოფნაზე მიუთითებს. ესაა ნაწარმოები სახელები, უმთავრესად აბსტრაქტულობის **ებ-ა** და **ობ-ა** სუფიქსებით. ამის ნათელსაყოფად დავიმოწმოთ ერთი ადგილი აბოს წამებიდან. საქმე ეხება ამირა შუშნის მიერ ნერსე ერისთავის განთავისუფლებასა და სამშობლოში გამოშვე-

ბას. აქ ვკითხულობთ: ხოლო ქველის-მოქმედმან ღმერთმან არწმუნა გულსა მაჰდი ამირა მუმნისასა განტევებაჲ ნერსჷსი. და გამოიყვანა იგი მწარისა მისგან საპყრობილისა და განუტევა იგი კუალად **ერისმთავრობით** აჭა, ქუეყანადვე თჳსა, აბო 184, 30. ეს ნიშნავს, რომ ნერსე ისე გამოუშვა. რომ **ისევ ერისმთავარი**[1] იყო, მას ისევ **ერისმთავრის**[1] **თანამდებობა** ეჭირა, ან: თანამდებობრივად იმავე **მდგომარეობაში** იყო, როგორც უწინ. ერთი სიტყვით, **ერისმთავრობით** განტევება ნიშნავს **ერისმთავრად, ერისმთავრის**[1] **მდგომარეობაში** (თუ თანამდებობაზე) გაშვებას. ამნაირი მაგალითები უძველეს ძეგლებში ბლომად მოიპოვება. დავასახელებ კიდევ რამდენიმეს: აბოს ეუბნებიან: ქუეყანაჲ იგი ქართლისაჲ სარკინოზთა უპყრიეს, და შენ ხარ ბუნებით სარკინოზ, და არა გიტყონ **ქრისტიანებით** მათ შორის, აბო 188, 25. ე. ი. არ გაგიშვებენ შენ ქრისტიანად, ისე, რომ ქრისტიანი იყო, **ქრისტიანის მდგომარეობაში**, ქრისტიანობის სარწმუნოებითო. ეგევე სიტყვა ასეთსავე კონტექსტში გვხვდება აგრეთვე ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში, მაგალითად: და უბრძანა განტევებაჲ მათი, და გამოიყვანნეს იგინი მიერ საპყრობილით, და მოვიდეს იგინი ვანად თჳსა **ქრისტეანებით**, ევსტ. 164, 4. იქვეა ასეთი ადგილიც: უფალო, ...უკუეთუ ღირს მყო მე სიკუდილსა საბელისა შენისათჳს **ქრისტეანებით**, ჴორცთა ჩემთაჲ ნუ ჯერ-გიჩნს განგდებაჲ გარე, იქვე, 164, 37.

ასეთი მაგალითები სხვა ძეგლებშიც გვაქვს, განსაკუთრებით IX — X ს-თა ძეგლებში. მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე:

და ესხნეს მას ორნი ძენი. პირმშოსა მას ეწოდა ორთან და ცხონდებოდა იგი **ერისკაცებით**, ხოლო უკუანაჲსკნელ პატივი მღდელობისაჲ მიიღო, ლიტ. ურთ. 62, 9. აქ დაპირისპირებულია **ერისკაცება** და **მღდელობა**, როგორც საერო და სასულიერო მდგომარეობის ამსახველი სიტყვები. ტექსტის აზრი ასეთია: პირმშო შვილი **ერისკაცი** იყოო (ცხოვრობდა ერისკაცად, ისე, რომ ერისკაცი იყოო), **მღვდლობა** კი ბოლოს მიიღოო.

კიდევ:

და პოვეს... არისტაკე უდაბნოსა **მარტოდმყოფებით** თჳსსა მონასტერსა, იქვე, 63, 4; გამოირჩია მიერდომაჲ სახლსა ღმრთისასა ვიდრეცა **ერისკაცობით** ცხორებასა, კიმ. II, 142, 6; ხოლო ნეტარმან აგაპი დაყო ხუთი წელი ნეა-ლავრას კეთილად განგებასა **მამასახლისობით** და აღესრულა, იქვე, 168, 15 (=ისე, რომ მამასახლისი იყო, მაშასახლისის თანამდებობაზე); ხოლო წმიდამან მან აღასრულნა ყოველნი დღენი **უპოვარებით** და არა მოიგო მან ოქროჲ, კიმ. I, 256, 11. **უპოვარებით** (←უპოვარებით) ყოფნა ნიშნავს სიღარიბეში, ღარიბად ყოფნას.

არც ერთ ამ მაგალითში ხაზგასმულ სახელს არ დაესმის კითხვა: ვითარ? (რომ ამნაირი სიტყვები ვითარების გარემოებად მიგვეჩნია), არც

[1] **ერისმთავრობით** და სხვა ობა და ება სუფიქსიანი სახელები ასეთ შემთხვევებში მართივი ფუძით ითარგმნება დღეს: ერისკაცებით — ერისკაცად, ქრისტეანებით — ქოისტიანად და სხვა.

რაჲთა? (რომ უბრალო დამატებად ჩაგვეთვალა) და სხვა. ამიტომ ამნაირი ფორმები ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი და სხვა ფუნქციისად მიჩნეული.

8. მოქმედებითი კომპოზიტებში

ჩვენ აქ ისეთი კომპოზიტები გვაინტერესებს, რომელთა პირველი შემადგენელი ნაწილი მოქმედებითში იქნება დასმული. ამგვარი კომპოზიტები კი, როგორც ცნობილია, ქართულში ერთობ მცირეა. საქმის მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ძალიან ჭირს განვსაზღვროთ, მოქმედებითში დასმული სახელი კომპოზიტის წევრია, თუ ის ჩვეულებრივი ვითარების გარემოებაა, რომელიც შეიძლება სახელსაც ერთოდეს (ან კიდევ: თუ ის წინადადების სხვა წევრია, რომელიც ცალკე დგას და ცალკე უნდა შეფასდეს). ამ საკითხის დაწვრილებითს განხილვას აქ ვერ ვიკისრებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ როცა ჩვენ მოქმედებითს ბრუნვაში დასმული ესა თუ ის სახელი კომპოზიტის წევრად მიგვაჩნია, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ შემდეგ მომენტებს: 1. ორივე სიტყვა ერთ ცნებას გამოხატავს, უკვე დაეიწყებულია (ან სრულებით, ან ნაწილობრივ) ცალკე შემადგენელ სიტყვათა ცალ-ცალკე გააზრება, ორივე ერთად იძლევა ახალ მნიშვნელობას; 2. ორივე სიტყვა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, მათი დაცილება და გაყოფა შეუძლებელია, თუ ჩვენ გვსურს მათი შეერთებით მიღებული მნიშვნელობა არ დაირღვეს; 3. მათი რიგი მტკიცეა: წინ მოქმედებითში დასმული სახელი დგას, მას მოსდევს მეორე სახელი; ამ რიგის დარღვევა და მათთვის ადგილის შეცვლა შეუძლებელია; 4. ამ ორი სიტყვიდან იბრუნება მხოლოდ უკანასკნელი სახელი; 5. შემდეგ და შემდეგ ამ სიტყვებში ხდება ფონეტიკური ცვლილებები (ჩვეულებრივ იკარგება ბგერა ან ბგერები), რომელთა გაძომწვევი მიზეზები მრავალია.

ყველა აქ ჩამოთვლილი ნიშანი პირობითია და ამიტომ კომპოზიტებსაც ჩვენ მხოლოდ პირობით ვუწოდებთ.

ჩვენთვის აქ მაინც მთავარი ის კი არ არის, ნამდვილად არის თუ არა ესა თუ ის ორი სიტყვა კომპოზიტი, არამედ ის, რომ პირველი მათგანი, მოქმედებითს ბრუნვაში მდგარი, ყოველთვის ით ნიშნით არის წარმოდგენილი, მას არ შეიძლება ჰქონდეს ემფატიკური ა. ამ თვალსაზრისით კი ყველა მასალა, რომელიც ქვემოთ მოგვყავს, ერთ საერთო საზს, მისდევს, ყველა მათგანში მოქმედებითი ბრუნვის ნიშნად მხოლოდ ით გვაქვს. ჩვენ აქ ჯერჯერობით ამით ვკმაყოფილდებით, რადგან ჩვენი საკითხისათვის ამის აღნიშვნაც საკმარისია.

ყველაზე ხშირად ამგვარ კომპოზიტებში მოქმედებითში დასმულ სახელად ჴელი გვეველინება. ამიტომ განვიხილოთ ჯერ ასეთი მაგალითები.

ჴელით-წერილი

მიიღე **ჴელით-წერილი** შენი და დაჯედ ადრე და დაწერე ერგასისი, ლ. 16, 6 — 7; და მიჴსნა ჩუენ მონებისაგან ძტერისა და **ჴელით-წერილი** იგი ცოდვისაჲ შეჴსჭუალა ჯუარსა, Οπις. 66, 6 ქვ.; აღწერეთ ესრეთ **ჴელით-წერილი** და მისცენით შეილნი თქუენნი შესაწირავად ვეშაპსა მას, ლიტ. ქრესტ. 321, 6.

„ჴელით-წერილი" ამ მაგალითებში ნიშნავს დღევანდელ „ხელწერილს". როგორც ვხედავთ, პირველ სიტყვას ბრუნვის ნიშანი სრულიად დაჰკარგვია, სხვა მხრივ იგი ისეა დაცული, როგორც ძველად იყო[1]. ძველ ქართულში. გარდა ამისა, აღნიშნულია ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობაც. სახელდობრ იგი „მიწერილობის" მნიშვნელობითაც იხმარებოდა[2].

ჴელით-ქმნული, ჴელით-უქმნელი

რამეთუ ჩუენ გუესმა მაგისი სიტყუაჲ, ვითარმედ: დავარღუო ტაძარი ესე **ჴელით-ქმნული** და მესამესა დღესა სხუაჲ აღვაშენო **ჴელით-უქმნელი**,. მრ. 14, 58; ხოლო ქრისტე მოვიდა... უფროჲსითა და უსრულესითა კარვითა **ჴელით-უქმნელითა**, ესე იგი არს, არა ამის დაბადებულისაჲთა. ებრ. 9, 11; იცანთ, უღმრთონო, ღმერთი მაღალი და **ჴელით-ქმნულთა** ღმრთად ნუ ესავთ თქუენ, ი. ჯავ. აღწ. 148, 5; გულს-მოდგინებისა თქუენისათჳს განუმზადებიეს თქუენთჳს კარავი **ჴელით-უქმნელი** ცათა შინა, კიმ. I. 275, 19.

ძველსავე ტექსტებში ზოგჯერ ძველი ქართულის „ქმნული" შეცვლილია ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმით „ქმნილი", მაგალითად: რომელმან ჯერ-იჩინა ჩუენთჳს **ჴელით-ქმნილთა** ტაძართა შინა დამკჳდრებაჲ. კიმ. I, 89, 30. ასეა ტექსტში, მაგრამ ვარიანტში ისევ ძველებური „ჴელით-ქმნულთა" იკითხება (იქვე, სქოლიოში).

ზოგჯერ ეს ფორმა გამარტივებული სახითაც გვხვდება: სრულიად დაკარგულია პირველი სიტყვის ბრუნვის ნიშანი (ით) და იგი ფუძის საითაა წარმოდგენილი: და ჰმსახურებდა იგი კერპთა **ჴელქმნულთა**. კიმ. II, 55, 28.

ახალი ქართულის „ხელთუქმნელი" ბრუნვის ნიშნისეული ი-ს დაკარგვის ნიადაგზეა წარმომდგარი; თ-ს გადარჩენისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებას, რომ იგი მრავლობითი რიცხვის ნიშნად იქნა გააზრებული, როგორც ეს გვაქვს კომპოზიტში „კაცთმოყუარება" და სხვ.

ჴელით-საქმარი

რამეთუ კუამლი მისი და ორთქლი მისი არს მათა, ვითარცა **ჴელით-საქმარი**, სელი და მატყლი, პარხ. 765 a: ჰაეუკი ვინმე მონაზონი ჰგავს

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 157.

[2] სიბრძნე ბალაჰვარისი, ილ. აბულაძის გამოცემა, 1937, ლექსიკონი.

ბრძენსა გონიერსა და ჰყიდის **ჴელით-საქმარსა** შუენიერსა (კიმ. I, 167, 3). მოყვანილ მაგალითებში, რომელთაგან უკანასკნელი ლექსს წარმოადგენს[1], ჩვენთვის საინტერესო ფორმა პირვანდელი სახით არის დაცული, ბრუნვის ნიშანი ით მთლიანად შენარჩუნებულია. ჩვეულებრივ გვხვდება ამ სიტყვის გამარტივებული სახე, სადაც ბრუნვის ნიშნისეული ი დაკარგულია, დარჩენილია მხოლოდ თ. თ-ს შერჩენისათვის აქაც იმავე გარემოებას უნდა შეეწყო ხელი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ: თ მრავლობითის ნიშნად იქნა გაგებული. ასე მივიღეთ „ჴელთ-საქმარი“. მაგალითები ტექსტებიდან: და მოვიდა იგი ჩუეულებისაებრ ქუაბად, რაჲთა იქმოდის **ჴელთ-საქმარსა** თჳსსა, პარხ. 843 ხ: (წმიდაჲ გრიგოლ) ისწავებნ... რომელთაგანმე უპოვარებასა და ქუეყანასა ზედა წოლასა, გინა თუ ზეჯდომით ძილსა, რომელთაგანმე უჰრულებასა და **ჴელთ-საქმარსა**, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 240, 16); და იყვნეს კაცნი მის ქუეყანისანი, რომელნი მოართუმიდეს მათ იფქლსა ეგჳპტით და წარიღებდეს **ჴელთ-საქმარსა** მათსა ნაცვალად მისა, ამონ. 209, 26.

დასასრულ, კიდევ მოვიყვანთ მიქაელის წამებიდან ერთ ადგილს:

და იქმოდა იგი მოთხეებსა
და მარჯუეებსა
მალაკებსა
და მრავალსა **ჴელთ-საქმარსა**,
კეთილად ნაქმარსა,
და მოიყიდდა საჴმარსა
და მოართუმიდა მოძღუარსა (კიმ. I, 166, 31—32).

ჴელით-საძიებელი

ჰრქუა უფალმან მოსეს: განირთხ ჴელი შენი ცად და იყავნ ბნელი ქუეყანასა მას ეგჳპტისასა, **ჴელით-საძიებელი** ბნელი, გამოსლვ. 10, 21. „ჴელით-საძიებელი ბნელი“ აქ ნიშნავს ψηλαφητόν σκότος, осязаемая тьма, ე. ი. ხელშესახები (ხელით საცეცებელი, ხელით მოსასინჯავი).

ჴელით-მსახური, თუალით-მხილველი

შენ **თუალით-მხილველთა** და **ჴელით-მსახურთა** წმიდათა მოციქულთა ქრისტჱსთა... ნეტარებაჲ მოიგე, აბო 199, 27; მართალთა სწადოდა, რაჲთამცა **თუალით-მხილველ** იქმნნეს ამისთჳს, რომელცა-ესე აღესრულა დღეს, მრავ.265, 26; **თუალით-მხილველ** ვართ ჴორციელად, იქვე, 266, 8; რომელნი

[1] პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: მნათობი, № 9, 1939, გვ. 118.

დასაბამით **თუალით-მხილველ** და მსახურ ექმნეს სიტყუასა მას, ლ. 1, 2 C. DE-ში ამის მაგივრად არის „თჳთ-მხილველი“. აი სწორედ ამ **თვითმხილველს** ნიშნავს ძველი „თუალით-მხილველი“.

პარით-მემღერი

ვითარ მოვიდოდა და მოეახლა სახლსა მას, ესმა ჴმაჲ სახიობისაჲ და **პარით-მემღერთაჲ**, ლ. 15, 25 C; წინაშე მათსა (იყუნენ) **პარით-მემღერნი**, 1 შეფ. 10, 5. „პარით-მემღერი“ აქ „მოცეკვავეს“ ნიშნავს. **მღერა** ძველ ქართულში **თამაშს** აღნიშნავს, მემღერი „მოთამაშე“ იქნება; „პარით-მემღერი“ სიტყვა-სიტყვით „ცეკვით მოთამაშე“ იქნება, მოცეკვავე. პირველი მაგალითის ჩვენთვის საინტერესო სიტყვა სომხურ ოთხთავში მსგავსი ფუძით არის წარმოდგენილი: *լուսաւ ջահոյն երդույն և պարուձ. պար* კი განმარტებულია. როგორც ცვალ, собрание, танцы, пляска და სხვ. ეს ქართულ-სომხური საერთო ხმარების ფუძე ქართულში სხვაგანაც გვაქვს დაცული, სახელდობრ, **შუშპარ-**ში[1], რომელიც ერთ-ერთი სახის ცეკვაა, სხვანაირად მას **სამაიახ** უწოდებენ.

ეს **პარი** ზოგჯერ ცალკეც გვხვდება სწორედ იმავე **ცეკვის** მნიშვნელობით, მაგალითად: და დავით როკვიდა წინაშე კიდობნისა მის **პარით** მორის მსტჳრთა მათ მბობღნართა, 2 მეფ. 6, 14.

ქვით-კირი, კირით-ხუროჲ

ხოლო გაბრიელ, დიდებულმან აზნაურმან, ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა მაცხაჲ გრიგოლ და მოსცნა **კირით-ხუროჲნი** და ნივთი ყოველი **ქვით-კირისა** ეკლესიისა საშენებელად, სანძთ. 108, 35. **კირით-ხუროჲ** დღევანდელ ქართულზე „კალატოზია“. ქვით-კირში ასიმილაცია მოხდა: ძველთრმა კ-მ თ გაამკვეთრა და ქვიტკირი მივიღეთ[2].

რაკი გვაქვს კირით-ხუროჲ, უნდა იყოს და გვაქვს კიდეც ქვით-ხუროჲ, ძელით-ხუროჲ (და ძელთ-ხუროებაჲ); არის ხელოსნობისმცოდნეობის ზოგადი ტერმინიც ხუროებით-მეცნიერებაჲ. აი თითო-ოროლა მოწმობა ამათ შესახებაც:

ქვით-ხუროჲ

იყო კაცი ვინმე **ქვით-ხუროჲ** ქალაქისა ხუროთაგან, და აჲაზაკნი დაესხნეს მას და მიუღეს ათორმეტი დრაჰკანი შრომით მოგებული, კიმ. I, 304, 1; და ივსებენ იგი წყალსა ჴევით და წუენსა უქმნ **ქვით-ხუროჲსა** მათ და კუალად მისცემ ქვასა და ყოველსა შესაწევნელსა მათსა, იქვე, 18, 2. ხანდახან პირველ სიტყვას ემფატიკური ა-ც როჽ ერთვის, ეს შეძლებდრო-

[1] Н. Марр, Ованеса ergn, спорный термин древнеармянского эпоса: ЗВО, т. XI, 1899, стр. 300 — 302.

[2] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 157.

ინდელი დანამატია და იმის მანიშნებელია, რომ უკვე ქრება **-ით** და **-ით-ა** სუფიქსებს შორის განსხვავების შეგნება (თანდათან და ნელნელა იწყება მათი გათანაბრება ამ სუფიქსების გამოყენების მთელ არეზე). ასეთ მაგალითს იძლევა სჯმეონ მესუეტის ცხოვრებიდან აღებული ეს ადგილი: მახლობელად ანტიოქია ქალაქსა იყო დაბაჲ ერთი, რომელსა ერქუა აპახი, და იყო მუნ ეკლესიაჲ **ქვითა-ხუროთაჲ**. და იყოფოდეს მუნ შინა ხურონი იგი, კიმ. I, 308, 2.

ძელით-ხუროებაჲ

საწესახურებელსა და საქმესა მას **ძელით-ხუროებისასა**, საქმედ ყოველსავე საქმისაებრ, გამოსლვ. 31, 5.

ხუროებით-მეცნიერებაჲ

იყო ღმაჲ ესე ბრძენ სიტყჳთა. არაბედ არა აქუნდა ჴმაჲ **ხუროებით-მეცნიერებაჲ** მის საქმისაჲ პირველად, კიმ. 265, 3.

სასყიდლით-დადგინება, სასყიდლით-დადგინებული, სასყიდლით-მოდგინე

მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიადად **სასყიდლით-დადგინებად** მუშაკთა ვენაჳსა თჳსსა. მ. 20, 1 ხანმ. (ისტ. ქრესტ. 10); ტომსა და მამულსა ეძიებ, ანუ **სასყიდლით-მოდგინესა**. ტობია 5, 12; რამეთუ **სასყიდლით-დადგინებულ** არნ და· არარაჲ სჯირნ ცხოვართა მათთჳს, ი. 10 ,13 C; ხოლო **სასყიდლით-დადგინებული** იგი, რომელი არა არნ მწყემს, რომლისანი არა თჳსნი არიენ ცხოვარნი, იხილის რაჲ მგელი მოჱვალი, დაუტევნის ცხოვარნი და იქცტინ, ი. 10, 12; რაოდენთა **სასყიდლით-დადგინებულთა** მამისა ჩემისათა ჰმატს პური, და მე აქა სიყმილითა წარვწყმდები, ლ. 15, 17; მეშინის მე, ნუუკუე **სასყიდლით-დადგინებულთა** მათ თანა ვიპოვნეთ, რომელთა· დაუტევნეს ცხოვარნი მოსლჳასა მას მგლისასა, კიმ. I, 275, 26.

სასყიდლით-დადგინება· აქ (მუშის) დაქირაჲნებას ნიშნავს, **მოჯამაგირის დაყენებას**; „სასყიდლით-მოდგინე“ და „სასყიდლით-დადგინებული“ ერთი მნიშვნელობის სიტყვებია, ისინი აღნიშნავენ „დაქირავებულს“ (მუშას), „მოჯამაგირეს“. გვხდება ამ მნიშვნელობით მარტივი სიტყვაც — „სასყიდლითი“; იგი ადიშის ძეგლში არის ნახმარი (ი. 10, 12 C). როგორც ჩანს, მისი ხმარება ნაკარნახევია სურვილით, რომ ერთობ გრძელი ორსიტყვიანი „სასყიდლით-დადგინებული“ შეიცვალოს უფრო მოკლე და მარჯვე ტერმინით. საამისოდ გამოყენებულია ქართული ენისათვის კარგად ცნობილი ხერხი: მარტივ **ით** ნიშნიან ბოქმედებითში დასმული სახელის აღება ახალ ფუძედ და მისი კვლავ ბრუნება: სასყიდელი — სასყიდლ-ით — სასყიდლ-ით-ი, სასყიდლ-ით-ნან და· სხვა. შდრ. დღევანდელი ბრძანებითი, კითხვითი,

თხრობითი... სახელობითი, მიცემითი, მოქმედებითი, წოდებითი, ნათესაობითი... რიგითი (рядовой), ქვეითი და სხვ. „სასყიდლით-დადგინებული“ სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას, მაგრამ აქ ამას ვერ გამოვუდგებით.

ღმრთით-შობებული

აღმოსავალით იყო კონჭი, **ღმრთით-შობებული**; ჩრდილოდთ კერძო პოვა სახლი დიდი, კიმ. II, 151, 30.

ღმრთით-ქმნული

მაშინ **ღმრთით-ქმნულსა** მას ეკლესიასა, რომელი თქუმულ არს, საკურთხეველი არა დადგა, რამეთუ არა უნდა მას, რაჲთამცა იქმნა იგი ხუცეს, და არცაღა ინება, იქვე. 152, 8.

ღმრთით-შემოსილი

მას ჟამსა მო-ვინმე-ვიდა ლავრად კაცი **ღმრთით-შემოსილი** და ზეგარდამო-ცხებული და მადლითა შეჲურვილი, ნათესავით სომეხი, სახელით იერემია, იქვე, 153, 29.

ეს „შემოსილი“ და „მოსილი“ კომპოზიტის მეორე წევრად სხვა სიტყვებშიც გვაქვს, მაგალითად:

ოქროჲთ-მოსილი, ვეცხლით-მოსილი

არცა მპარავთაგან, არცა ავაზაკთაგან განერნიან ღმერთნი ძელისანი **ვეცხლით-მოსილნი** და **ოქროჲთ-მოსილნი**, იერ. 5, 23(?); უკუეთუ გეძინოს შენ შორის ნაწილებსა, ფრთენი ტრედისანი **ვეცხლით-მოსილნი** და ბეჭშაშუალი მისი ფერითა ოქროჲსაჲთა, ფსალმ. 67, 13.

ღუაწლით-შემოსილი

თქუეს... მორჩილებაჲ წამებად, რომელი-ესე **ღუაწლით-შემოსილთა** მოწამეთა თანა დაუთხეველად სისხლთა გჳრგჳნოსან ჰყოფს კაცსა, ზარზმ. 175, 26; ჴსენებაჲ **ღუაწლით-შემოსილისა** უძლეველისა მოწამისა ჰაბო ისმაიტელ ყოფილისა ქართველისაჲ, სას. პოეზ. 177, 4; და შეიყუარა სარწმუნოებაჲ ქადაგებული მოციქულთაჲ **ღუაწლით-შემოსილმან** ჰაბო, იქვე, 183, 53.

ძლევით-შემოსილი

მხიარულებით რაჲ მოითმინნა მრავალფერნი სატანჯველნი და **ძლევით-შემოსილი** იდიდა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ხანძთ. 109, 14.

ნათლით-შემოსილი

რაჲთამცა წარმოვიღე... წინაშე სუეტსა **ნათლით-შემოსილსა**, მოქც. 47, 9; სადა-იგი იქმნა განახლებაჲ ჩუენი მარჯუენისაგან მაღლისა და **ნათლით-შემოსილისა** და ცხორების-მომცემელისა საფლავისა და წმიდისა სიონისა, ლიტ. ქრესტ. 75, 24.

ნათლით-შემკული

დაგანთქა სიღრმესა ბნელისასა და მე ღირს მყო დაჯდომად საყდარსა **ნათლით-შემკულსა** ბრწყინვალესა, სას. პოეზ. 276, 97.

აქვე უნდა განვიხილოთ კომპოზიტები, რომელთა მეორე წევრი არის „კერძო“ (=მხარე), ხოლო პირველ წევრებად ჩვეულებრივ გვხვდება მოქმედებითში დასმული მარჯუენე და მარცხენე, აგრეთვე ქვეყნის მხარეები, მაგალითად:

მარჯუენით-კერძოჲ

მაშინ ჰრქუას მეუფემან მან **მარჯუენით-კერძოთა** მათ მისთა, მ. 25, 34 C.

მარცხენით-კერძოჲ

მაშინ ჰრქუას **მარცხენით-კერძოთა** მათ, მ. 25, 41 C.

„მარჯუენით-კერძონი“ და „მარცხენით-კერძონი“ აქ მოყვანილ მაგალითებში ნიშნავს „მარჯვენა მხარეს მყოფთ“ და „მარცხენა მხარეს მყოფთ“. ამ საკმაოდ გრძელი სიტყვების მაგივრადაც ენაში გამონახულია უფრო მოკლე და მარჯვე ტერმინები — მარჯუენითი და მარცხენითი (იქვე, DE), რომლებიც იმავე წესის მიხედვითაა აგებული, როგორც ზემოთ განხილული სასყიდლითი. როგორც ვხედავთ, ძველი მთარგმნელები უნარიანად და საქმის კარგი ცოდნით იყენებდნენ ქართული ენის მდიდარ რესურსებს ახალი სიტყვების საწარმოებლად.

აღმოსავალით-კერძოჲ, სამხრით-კერძოჲ,
ჩრდილოჲთ-კერძოჲ

მე მომცა **აღმოსავალით-კერძოჲ** და ჩრდილოჲთ, დედასა შენსა ევას მისცა **სამხრით-კერძოჲ** და დასავალით, ლიტ. ქრესტ. 7, 40, 41; და მოვალს იგი სამხრად კერძო ბჭისა მის **სამხრით-კერძოჲსა**, ეზეკ. 40, 44; საყდარნი ესე **სამხრით-კერძონი** და საყდარნი ესე **ჩრდილოჲთ-კერძონი**... ესენი არიან სასხდომელნი სიწმიდისანი, იქვე, 42, 13.

წყლით-რღუნაჲ

და ვერ ცნეს, ვიდრემდე მოიწია **წყლით-რღუნაჲ** იგი და წარიღო ყოველი, მ. 24, 39; ლ. 17, 27; მარხვამან და ღმრთის მსახურებამან და სიმარ-

თლისა საქმეთან ნოევ **წყლით-რღუნისაგან** აცხოვნა, კიმ. I, 58, 11; მე ესრე მგონიეს, ვითარმედ ესე **წყლით-რღუნისა** მის წინა ნოევსა ყოფილ არს, იქვე, 117, 27; მერმეღა შჳდ დღე მოვჰჳადო მე **წყლით-რღუნაჲ** ქუეყანასა ზედა, დაბ. 7, 4 ლაგ.

„წყლით-რღუნაჲ“ დღევანდელ ქართულზე არის **წარღვნა** (← წყალთ რღვნა), ПОТОП. ამ კომპოზიტის ნაცვლად ადიშის ოთხთავში გვაქვს მარტივი **რღუნაჲ**.

„წყალთან“ დაკავშირებით კიდევ უნდა დავასახელო ორი კომპოზიტი: „წყლით-მანკიერი“ და „წყლით-მაკე“.

წ ყ ლ ი თ - მ ა ნ კ ი ე რ ი

სხუაჲ ვინმე დაჭსნილი სამით წლითგან და **წყლით-მანკიერი** მოიყვანეს მისა, კიმ. I, 254, 24.

წ ყ ლ ი თ - მ ა კ ე

გულის-კლებითა და ურვითა წუერნი მოიკუეცნა და თავადად განეშორა იგი კათოლიკისა ზიარებასა და **წყლით-მაკე** იქმნა კოსტანტინეპოლისს შინა და ესრჱთ აღესრულა უზიარებელი, კიმ. II, 213, 36.

ამ უკანასკნელი ფორმიდან (წყლით-მაკე) კარგად ჩანს, თუ როგორაა მიღებული ძველი „წყლით-მანკიერი“ და დღევანდელი წ ყ ა ლ მ ა ნ კ ი და წ ყ ა ლ მ ა ნ კ ი ა ნ ი. ეს ყოფილა, როგორც ჩანს, წყლით დამძიმებული, წყლით სავსე, ანუ წყლით მაკე. წ ყ ა ლ მ ა ნ კ ს ასეთი ახსნა ძალიან უდგება.

ვ ე ც ხ ლ ი თ - ს ყ ი დ უ ლ ი, ვ ე ც ხ ლ ი თ - ფ რ დ ი ლ ი

და ყოველმან მონამან ვისმანვე და **ვეცხლით-სყიდულმან** წინადაიცხოს და ეგრე ჰამოს მისგანი, გამოსლვ. 12, 44; **ვეცხლით-სყიდულმან** (წინადაიცხოს), დაბ. 17, 12; წინა-დაცუეთით წინა-დაიცხოს სახლის წულმან სახლისა შენისამან და **ვეცხლით-ფრდილმან**, იქვე, 17, 13.

მ უ ც ლ ი თ - მ ე ზ ღ ა პ რ ე, ქ უ ე ყ ა ნ ი თ - მ ჴ მ ო ბ ე ლ ი

რაჲთა არა გრძნებით ეცხონდებოდით, და არცა კუალად, თუ ვინმე იყოს, მათ შეუნდოთ ცხორებად, და არცა მისანთა და არცა **მუცლით-მეზღაპრეთა**, ი. ჯავ. აღწ. 176, 11; პარხ. 1172; და შეძრწუნდეს სული ეგჳპტელთაჲ მათ შოერის და ზრახვანი მათნი განვაქარვნე, და ჰკითხვიდენ ღმერთთა მათთა და ძეგლებსა მათსა და **ქუეყანით-მჴმობელთა** და **მუცლით-მეზღაპრეთა**, ესაია 19, 3; და უკუეთუ გრქუან თქუენ: ეძიებდით **მუცლით-მეზღაპრეთა** და **ქუეყანით-მჴმობელთა**..., რომელნი მუცლით ჴმობენ, ესაია 8, 19; არამედ შე-ცა-იყვანეს ბეფისა დედაკაცი ვინმე **მუცლით-მეზღაპრე**, რაჲთა აუწყოს მათ სალმობაჲ იგი მეფისაჲ, კიმ. I, 316, 6.

„ქუეყანით-მჴმობელის“ ნაცვლად ერთ ადგილას იხმარება „ქუეყანით-მეტყუელი“: შენ თჳთ უწყი, რაჲ ყო საულ, რამეთუ მოსრნა მან ყოველნი მეცნიერნი და მისანნი და ულუკნი და **ქუეყანით-მეტყუელნი**. 1 მეფ. 28, 9.

ყველა ხაზგასმული სიტყვა მისნის, მკითხავის, გრძნებისმოქმედის სინონიმია და დაახლოებით ამგვარი მნიშვნელობა აქვს, თუმცა თითოეული მათგანი ამის გამოხატვას სხვადასხვა გზით ახერხებს.

იშვიათად გვხვდება სამი სიტყვისაგან შემდგარი კომპოზიტიც. ეს მესამე სიტყვა ამ შემთხვევაში მოქმედებითში მდგარი სახელის მართული მსაზღვრელია და წინ უსწრებს მას. ესაა **ახლის-პირით-გუემული**, მაგალითად: და მოჰგურიდეს მას ყოველთა მათ ბოროტად სნეულთა თითო-სახეთაგან სენთა და გუემითა შეპყრობილთა და ეშმაკეულთა და ცისად-ცისად-გუემულთა და განრღუეულთა და **ახლის-პირით-გუემულთა**, და განკურნნა იგინი, მ. 4, 24 D. აქ ჩამოთვლილია სხვადასხვა ავადმყოფობანი. „ახლის-პირით-გუემული“, უეჭველია, „მთვარეულია“ (лунатик) და უჩვენებს სენს, ახალ მთვარეზე რომ შეეყრება. ზოგ ხელნაწერში ამას უღრის მოკლე „ახლის-პიროვანი“ (მ. 17, 15 C), მეორეგან „ცისად-ცისად-გუემული“. ჩვენს მაგალითში ერთისა და იმავე ავადმყოფობისათვის ორი სახელწოდებაა ნახმარი: „ცისად-ცისად-გუემული“ და „ახლის-პირით-გუემული“, რაც, უნდა ვიფიქროთ, იმით არის გამოწვეული, რომ ერთი მათგანის მნიშვნელობა ამ ხელნაწერის გადაწერის დროს (X ს.), შეიძლება უფრო ადრეც, კარგად აღარ ესმოდათ და გლოსის სახით დაუმატეს მეორე, უფრო გასაგები სიტყვა. არც ადიშის ძეგლში, არც ჯრუჭისა და არც პარხლის ხელნაწერებში მეორე ადგილას (მ. 17, 15) ასეთი ორმაგი დასახელება აღარ გვაქვს: პირველში (C) **ცისად-ცისად გუემული** (მ. 4, 24) და **ახლის-პიროვანი** იკითხება, ორ სხვაში — **ცისად-ცისად-გუემული** (მ. 4, 24 D) და „ცისად-ცისად ბოროტად იგუემების“ (მ. 17, 15 DE; პარხლის ოთხთავს პირველი ადგილი აკლია).

* * *

დასასრულ, აქ უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევებიც, როცა მოქმედებითში დასმულ სახელთან ზმნის პირიანი და უპირო ფორმები (საწყისი და მიმღეობა) გვხვდება, ამათგან შედგება კომპოზიტი (რთული ზმნა). ასეთია ძველ ქართულში კარგად ცნობილი სიტყვები „ინაჯით-ზის“, „ინაჯით-მსხდომარე“ და მისთ. დავიმოწმოთ სათანადო ადგილები:

ვინ არს უფროჲს: რომელი **ინაჯით-ზის**, ანუ რომელი ჰმსახურებს? ანუ არა რომელი-იგი **ინაჯით-ზის**, ლ. 22, 27; ინაჯით-ჯდა იგი, მრ. 14, 3.

გვხვდება ეს რთული სიტყვა შებრუნებული რიგითაც: წინ პირიანი ზმნაა, მას მოსდევს „ინაჯით“: იესუ მოსრულ არს ქალაქსა მას და **ზის ინაჯით** სახლსა მის ფარისეველისასა, ბოლნ. 10, 22.

ხანდახან ეს ორი სიტყვა გათიშულია და მათ შორის სიტყვებია მოთავსებული. ასეთ შემთხვევაში ზმნის პირიანი ფორმა **აუცილებლად** წინ იქნება მოქცეული, ხოლო **ინაჯით** მეორე ადგილას იქნება წარმოდგენილი, მაგალითად: და იყო **ჯდა** რაჲ იგი **ინაჯით** სახლსა შინა, და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი **სხდეს** იესუჲს თანა **ინაჯით**, მ. 9, 10.

ინაჯით არის ნოცემული აგრეთვე ზმნის გარდამავლობის შემთხვევაშიც:

და **ინაჯით-დაისუა** იგი ტაბლასა, მამ. სწავ. 18. ასევე იქნება მრაელობითშიც: და ბრძანა შეყვანებად მათი და **ინაჯით-დაისხნა** იგინი და უქადებდა მათ საფასესა დიდსა, ევსტ. 163, 14.

უფრო ფართოდ არის გავრცელებული ისეთი შემთხვევები, როცა ამ რთული სიტყვის ერთ-ერთ წევრად ზმნის უპირო ფორმა გვევლინება. ასეთ პირობებში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა **ინაჯით** ყოველთვის პირველ ადგილას არის წარმოდგენილი: რომელთა ჰნებავს... პირველ **ინაჯით-ჴდომად** პურის-ჭამასა, მრ. 12, 39; და იყო **ინაჯით-ჴდომასა** მას მისსა მათ თანა, მოიღო პური, ლ. 24, 30; უბრძანა მათ **ინაჯით-დასხდომად**... მწუანვილსა ზედა, მრ. 6, 39 C; მოუჴდა მას დედაკაცი, რომელსა აქუნდა ალაბასტრი ნელსაცხებელისად, მრავლისა სასყიდლისად, და დაასხა თავსა მისსა **ინაჯით-მჯდომარესა**, მ. 26, 7; ესე არავინ ცნა **ინაჯით-მჯდომარეთაგანმან** იესუჲს თანა, ი. 13, 28; რომელნი იყვნეს მათ თანა **ინაჯით-მსხდომარენი**, ლ. 5, 29.

ეს სიტყვა დიდი ხანია გავიდა ხმარებიდან. მაგრამ იშვიათად ახალ ქართულშიც შეიძლება შეგვხვდეს, განსაკუთრებით პოეზიაში. ეს უმთავრესად მაშინ ხდება, როცა აღსაწერ მოვლენას სურთ არქაული ელფერი და ძველი სურნელება შეუნარჩუნონ. ასე, მაგალითად, იგი გვხვდება ალ. აბაშელის ერთ ლექსში, რომელშიც აღწერილია შორეული წარსული:

სულ დაგვეღუბა სამკაული, რაც შევინახეთ.
დროთა ცვლისაგან ვერაფერი გადავარჩინეთ.
წუთით-ღა მახსოვს მზის ქორწილში **ჯდომა ინახით**,
შეგვარჩა ბოლომდის მგზავრის პარკი და ყავარჯენი.

(„ტანჯვის ბარძიმი“, კრებულში „გაბზარული სარკე“, 1929, გვ. 60).

9. მოქმედებითი ზომა-წონისა და სხვა სათვალავთა აღმნიშვნელ სიტყვებში

მარტივი **ით** ნიშნით არის წარმოდგენილი ზომის, წონისა და სხვა სათვალავ ერთეულთა გამომხატველი სახელები. ესაა ყველაზე ხშირად მანძილის (სიგრძის, სიგანის, სისქის, სიმაღლის), წონის, სხვა ზომის, დროის სათვალავის გამომხატველი და სხვა მსგავსი სიტყვები, რომლებთანაც ბუნებრივად იხმარება ამ ზომათა აღმრიცხველი რიცხვითი სახელები. აქვე შემოდის ფუძეგაორკეცებული რიცხვითი სახელები, როგორიცაა: ორ-ორი, სამ-სამი, ხუთ-ხუთი, ექუს-ექუსი და სხვ. რაოდენობითი რიცხვითი სახელებისადგილს ზოგჯერ იჭერს განუსაზღვრელი რიცხვითი სახელი **მრავალი**, ან კითხვითი სახელი **რაოდენი**, რომელნიც აგრეთვე თავიანთი ფუძით რაოდენობას, რიცხვს, მართალია, გაურკვეველ, მაგრამ მაინც რიცხვს გამოხატავენ.

დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან უფრო ხშირად წინა იხმარება, რომელიც ამნაირ სიტყვებს ხან წინ უძღვის, ხან ბოლოს მოსდევს. ზმნიზედები

თუ თანდებულები ზოგჯერ სხვა ჯგუფის სიტყვებთანაც გვხვდება. როცა ამ რიცხვით სახელებს არსებითი სახელი ახლავს, წყობა ასეთ შემთხვევაში სხვანაირია, ვიდრე ეს ცნობილია არსებითისა და ზედსართავის მაგალითის მიხედვით, სახელდობრ: რიცხვითი სახელი, როგორც წესი, წინ უძღვის არსებითს. ეს თანაბრად ეხება აგრეთვე კითხვითსა („რაოდენი“) და განუსაზღვრელ რიცხვითს სახელს („მრავალი“).

ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა ჯგუფები სხვადასხვა ნიუანსს შეიცავს, მაგრამ ყველასათვის საერთოა.ის თვისება, რომელიც ჩვენ აქ ყველაზე მეტად გვაინტერესებს: ყველას მოქმედებითში აქვს მარტივი **ით** ნიშანი და არა რთული **ით-ა**. ამ სახელებსაც დაცული უნდა ჰქონდეთ ძველი ვითარება; მსაზღვრელი რიცხვითი სახელი რომ წინ უსწრებს საზღვრულ არსებითს, ესეც უფრო ძველი მდგომარეობის მაჩვენებელი უნდა იყოს, ვიდრე ის სახეობაა, რომელიც ზედსართავ სახელს არსებითის შემდეგ წარმოგვიდგენს და გაბატონებულ წყობად ითვლება ძველ ქართულში. უძველესი წყობის შემონახვას (მსაზღვრელი წინ, საზღვრული შემდეგ) უძველესი ფორმის დაცვაც მოჰყვა შედეგად (**სამით დღით** და არა **სამითა დღითა**, ან **დღითა სამითა**).

აქ ჩვენ გვაქვს სრულიად ისეთი ვითარება, როგორიც გვქონდა ნათესაობითში დასმულ ზომა-წონისა და ფასის გამომხატველ სიტყვებში: **ორის დანგის, სამასის დრაჰკნის** და სხვ. ნათესაობითისა და მოქმედებითის მიერ ამ ერთნაირი ფუნქციების კისრება ადვილი ასახსნელია: ნათესაობითი ძველი მოქმედების შთამომავალია, მისი უმცროსი მემკვიდრე. მოქმედებითისა და ნათესაობითის ასეთი ნათესაობა და ერთმანეთის შენაცვლება არა ერთგან იჩენს თავს, რომელთაგან ზოგი ზემოთ ვაჩვენეთ, ხოლო ზოგსაც ქვემოთ ვნახავთ.

ახლა ვუჩვენებთ სათანადო მაგალითებს ისე, როგორც ისინი მოგვხვდა ხელში, და არ დავაჯგუფებთ მათ იმის მიხედვით, რის ერთეულებიცაა ისინი, რის საზომადაც იხმარება:

და სიმაღლე ერთისაჲ მის ქუთორაჲსაჲ **სამით წყრთით**, 4 მეფ. 25, 17. ეს ნიშნავს: სიმაღლე მისი **სამი წყრთა** იყოო. ბიბლიის თბილისურ გამოცემაში სწორედ ასეა: და სიმაღლე თავისა **სამი წყრთა**. რუსულ თარგმანშიც ასეა: **а вышина венца три локтя**. ასე რომ, აქ ჩვენ გვაქვს ჩვეულებრივი რიცხობრივი გამოხატვა სიმაღლისა და ის ძველი ქართულის უძველეს ძეგლებში ხან მოქმედებითი ბრუნვით გადმოიცემოდა, ხან წრფელობითით. შემდეგ და შემდეგ ეს წესი შეიცვალა და მათ (წრფელობითისა და მოქმედებითის) მაგივრად წრფელობითის მემკვიდრე სახელობითი განმტკიცდა.

მაგრამ მოქმედებითში დასმული მსგავსი სახელი ყოველთვის ასეთი გაგებისა არაა, ე. ი. ახალ ქართულში მას ყოველთვის სახელობითი არ ცვლის. არის შემთხვევები, როცა ახალ ქართულშიც მოქმედებითია, მაგრამ მაინც აქ ვიხილავთ მას. ამას მხოლოდ იმიტომ ვშვრებით, რომ ძველ ქართულში მას მხოლოდ **ით** ნიშანი აქვს. ამის საილუსტრაციოა შემდეგი მაგალითი: ხოლო ორნი იგი (კიშტენი) დამოეკიდნეს აღყენებულად ქუეყანისაგან

ვითარ სამით წყართით ოდენ, ისტ. ქრესტ. 298, 15. ამის შინაარსი იქნება: ის ორი (კალათი) ჩამოეკიდა მიწისგან სამი წყართის მოშორებით (აცილებით).

სხვა მაგალითები:

და იყო სისქე მისი ოთხით გარემოდს, იერ. 52, 21 [=ოთხი (თითის) სისქე]; და აქმნნე მას კიდენი ოქროდასანი თხზვით გარემო და აქმნე მას გჳრგჳნი ციდით ერთით გარემო, გამოსლვ. 25, 23 (=ერთი ციდა, в ладонь); და ყოველნი განვიდეს დიდითა წადიერებითა შემთხუევად მისა ექუსით მილიონით გარეშე ქალაქსა, ძვ. ქართ. ქრესტ. 58, 18 (აქ მანძილია გამოხატული, მილიონი=1000 ნაბიჯს); და მივიდა იგი გრიგორისა, მამის ძმისა თჳსისა, რომელი ეშოვრა დაბასა მისსა სამით მილიონით, კიმ. II, 141, 23; და მიიღებდა საზრდელსა მას ორ-ორით, გინა სამ-სამით და ოდესმე ხუთ-ხუთით, ხოლო ღჳნისა და თევზისა და ხილისა და სხუათა ყოველთა სანოაგეთაგან უცხო ყო თავი თჳსი, კიმ. I, 64, 4; და გამოჴდა სისხლი საწნეხელისა მისგან ვიდრე აღჳრთამდის ცხენთა ათას-ექუსასით უტევანით შორს, გამოცხ. 14, 20; და შემდგომად დღეთა მათ იქმნა მზისა დასავალით ტალავარი, ოდეს მიდგომილ იყო სამით თჳთ და მუცელსა ედვა კაენ, ლიტ. ქრესტ. 5, 44 (აღნიშნავს გარკვეულ დროს); და აჰა უფალი საბაოთისა აჰჳდა ქერობინთა ქართა ზედა და ანგელოზნი შჳდით ცით წინა-უძღოდეს მას, იქვე, 12, 25; და ვიდრე აღსრულებადმდე მათა განჩინებულისა მის აღთქუმისა ორით გინა სამით დღით სხუანი მოვიდიან, რომელთა ჰყავნ უძლურები, კიმ. I, 257, 11; რავდენით ადგილით ჰმატან წყალნი სოფელსა, სვან. 313 a.

აღესრულა წმიდაჲ მოციქული და მოწაფე ქრისტჱსი ტიმოთე სამით დღით შემდგომად დღესასწაულისა მის. კიმ. I, 106, 20; და რვით დღით წინა თთჳს-თავითგან აპრილისაჲთ თთუესა მარტსა ოც და ხუთსა ეხარა მარიამს გაბრიელის მიერ, კიმ. II, 70, 24; ნათლის-ღებისა წინა ათორმეტით დღით იშვა, იქვე, 70, 35; ხოლო იესუ წინა ექუსით დღით ზატიკისა მის მოვიდა ბეთანიად, ი. 12, 1 C. ეგევე ადგილი მოყვანილი აქვს ი. ბოლნელს, ოღონდ აქ „წინა“ ბოლოს არის გადატანილი: ხოლო იესუ ექუსით დღით წინა ზატიკისა მის მოვიდა ბეთანიად, ბოლნ. 78, 12. აღსანიშნავია, რომ DE-ში მოქმედებითის მაგივრად ნათესაობითია მოცემული: უწინარეს ექუსისა დღისა მის ენებისა... უეჭველია, „ექუსით დღით წინა“-ს სახით ჩვენ უფრო ძველ ვითარებასთან გვაქვს საქმე, ვიდრე DE-ში წარმოდგენილი კონსტრუქციაა (ნათესაობითი, ისიც ემფატიკური ა-თი. ბარემ აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ა აქ გამოწვეულია „უწინარეს“-ის გამო, რომელიც მოცემულ შემთხვევაში თანდებულად არის გამოყენებული).

დასასრულ, შეიძლება აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ თვით ზომა-წონისა და რიცხვის გამომხატველი ზოგადი ცნებები, როგორიცაა სიგრძე, სივრცე, რიცხჳ და სხვა, გარკვეული ერთეულის აღნიშვნისას მოქმედებითში დგას, მაგალითად:

და ვლეთ ჩუენ **ზომით** მილიონი ერთი, კიმ. I, 211, 5; ვხედავ მე ცელსა მფრინვალესა, **სიგრძით** ოც წყრთასა და **სივრცით** (=სიგანით) ათ წყრთასა, ზაქარ. 5, 2; წყალნი მიუწდომელ არიან და შეუცავ... **სიღრმით, სიმაღლით, სივრცით, სიგრძით** ყოველით კერძოვე სწორად, სვან. 313 a.

და იყვნეს იგინი **რიცხჳთ** ორმეოც და სამ, ამონ. 209, 29; რომელნიცა იგი გამოირჩინა ღმერთმან მარტჳლად თჳსა, **რიცხჳთ** ვითარ ას ოც და ათ-ცამეტ, ლიტ. ქრესტ. 83, 37; დასხდა კაცები იგი **რიცხჳთ** ვითარ ხუთ ათას ოდენ, ი. 6, 10.

10. მოქმედებითი სახელის, ტომის, მოდგმისა და მისთ. აღმნიშვნელ სიტყვებში

მარტივი **ით** ნიშანი აქვს მოქმედებითს აგრეთვე მაშინაც, როდესაც მიუთითებენ ამა თუ იმ პიროვნების სახელზე, ტომზე, მოდგმაზე, შთამომავლობაზე, ერზე და სხვ. ამ ნიშნეულობათა შემცველია შემდეგი ოთხი სიტყვა: სახელი, ნათესავი, ტომი, ბუნება. ამათგან პირველი ჩვეულებრივ დღესაც იხმარება, ოღონდ დღეს ვითარებითში ვსვამთ მას (სახელად სიმონ); ძველებურად იხმარება დღეს შინაარსითაც და ფორმითაც ტომი: **ტომით** არაბი, **ტომით** ქართველი და სხვ. დღეს აღარაა ძველებური გაგებით ნათესავი, რომელიც ძველად შთამომავლობას, მოდგმას, ტომს, ეროვნებას აღნიშნავდა. ნაწილობრივ ძველი შინაარსით გვხვდება დღესაც ბუნებით.

აღნიშნული შინაარსის გადმოსაცემად ძველ ქართულში ყველა ეს სიტყვა მოქმედებითში იხმარება. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ეს მოქმედებითი აქაც, როგორც წინა შემთხვევებში, მხოლოდ **ით** ნიშნითაა გადმოცემული და არასდროს ემფატიკური ა-თი არაა გავრცობილი.

მოვიყვანოთ რამდენიმე მოწმობაც.

სახელით

პოვეს კაცი კჳრინელი, **სახელით** სიმონ, მ. 27, 32; მოვიდა კაცი მდიდარი..., **სახელით** იოსებ, მ. 27, 57; მოვიდა მისა ერთი შესაკრებლისმთავარი, **სახელით** იაროს, მრ. 5, 22; იხილა მეზუერე, **სახელით** ლევი, ლ. 5, 27; გლახაკი ვინმე იყო, **სახელით** ლაზარე, ლ. 16, 20.

მაგრამ როდესაც ეს **სახელი** ჩვეულებრივი სახით იხმარება, ე. ი. უპასუხებს კითხვაზე: **რით?** (**რაჲთა?**), იგი, რასაკვირველია, გავრცობილი ბრუნვის ნიშნითაა წარმოდგენილი, მაგალითად: უფალო, არა **სახელითა** შენითა ვწინაწარმეტყუელებდით და **სახელითა** შენითა ეშმაკთა განვასხემდით და **სახელითა** შენითა ძალთა მრავალთა ვიქმოდეთ, მ. 7, 22. ამ შემთხვევაში სახელს თავისი განსაზღვრებაც ახლავს, (შენითა), რაც ჩვენს მაგალითებში შეუძლებელია.

ნათესავით, ტომით

ხოლო დედაკაცი იგი იყო წარმართი, **ნათჳსავით** ასური ზღუსკიდელი, გრ. 7, 26 (რუსული თარგმანით: ...**родом** Сирофиникиянка); ხოლო იყო ნეტარი ესე (პანსოფი) **ნათესავით** ალექსანდრიელი, რომლისა მამასა ნილო ეწოდებოდა, კიმ. I, 48, 7; ესე ბრწყინვალჱ მამაჲ იოვანე იყო **ნათესავით** ნიკოპოლელი, სომხითისა ქუეყანისაჲ, იქვე, 15, 10; ჩუენ **ნათესავით** ამის ქუეყანისანი ვართ, ხოლო სარწმუნოებითა და შჯულითა ქრისტეანენი ვართ, კიმ. II, 21, 40; რაჲ არს, რომელი-ესე მესმის შენთჳს, რამეთუ ხარ შენ **ნათესავით** და **ტომით** სარკინოზ და დაგიტევებიეს მამული შჯული და ქრისტიანეთა თანა შეცთომილ ხარ, აბო 190, 35.

ბუნებით

ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანაჲ იგი ქართლისაჲ სარკინოზთა უპყრიეს და შენ ხარ **ბუნებით** სარკინოზ და არა გიტეონ შენ ქრისტეანებით ძათ შორის, აბო 188, 24; არს ქალაქსა ამას შინა ჭაბუკი ერთი, რომელი იყო **ბუნებით** სარკინოზ, იქვე, 190, 17.

ამას ეუბნება და აფრთხილებს აბოს აფხაზეთის მთავარი (პირველ მოწმობაში), ასე ასმენენ თბილისის ამირასთან არაბი დამბეზღებლები (მეორეში). თვით მსაჯული, ამირა, როგორც ზემოთ ვნახეთ, აბოს ასე მიმართავს: ხარ შენ **ნათესავით** და **ტომით** სარკინოზ (190, 35). აქედან გამოდის, რომ მოყვანილ ადგილებში „**ბუნებით**“ იმავე მნიშვნელობითაა ნახმარი, როგორც ნათესავით და ტომით. ამას უფრო ეჭვმიუტანლად ამტკიცებს თვით აბოს პასუხი მსაჯულის კითხვაზე: ეგე კეთილად სთქუ, რამეთუ ვარ მე **ბუნებით** სარკინოზ, შობილვე მას შინა მამულად და დედულად, იქვე, 191, 2. რაკი აბომ დაუდასტურა ამირას, რომ „შენ კარგად სთქვი, რომ მე **ბუნებით** სარკინოზი (არაბი) ვარო“, ხოლო ამირამ, როგორც ენახეთ, მას უთხრა: „შენ სარკინოზი ხარ **ნათესავით** და **ტომით**“-ო, ცხადია, აქ „ნათესავით“, „ტომით“ და „ბუნებით“ ერთი მნიშვნელობით არის ნახმარი. ისინი „წარმოშობას“, „ჩამომავლობას“, „ტომს“ გამოხატავენ. მაგრამ რადგანაც მსაჯულს გარდა სხვები განსაკუთრებითი დაჟინებით იმეორებენ „**ბუნებით**“-ს და აბოც ამავე სიტყვას ირჩევს, შესაძლებელია აქ იგი უფრო **წარმოშობას**, **მშობლიურ ძირს** თუ **სარწმუნოებას** აღნიშნავდეს.

რამდენადმე სხვა მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას შემდეგს ადგილებში: ბერი ესე, რომელ იხილე, რომელმან-იგი პირველად გაკურთხა, მამასახლისი არს ამათ ყოველთაჲ და მოძღუარი, რომელმან-იგი ჴელი დაგდვა თავსა. ხოლო არს იგი **ბუნებით** დედაკაცი და არა საჴურისი მამაკაცი, კიმ. I, 212, 31; არავინ არს ჩუენ შორის, რომელსამცა არა აქუნდა გულის-თქუმაჲ ენებათაჲ, რამეთუ ესე **ბუნებით** არს ჩუენ შორის დანერგული, იქვე, 226, 27; ძემან ღმრთისამან **ბუნებით** ძმად გჳწოდა ჩუენ მაღლით, რაჟამს-იგი ბუნებაჲ ჩუენი მიიღო, სას. პოეზ. 42, 16.

ძირით

და მან ჰრქუა: რომლისა **რჩ**ულისაჲ ხარ? ხოლო იოვანე ჰრქუა: ჰურიაჲ **ძირით**, ქრისტიანჱ მადლითა და ზღუასა შინა გუემული, სვან. 215 ხ.

11. მოქმედებითი კითხვაზე რაჲთა? (რით?)

კითხვაზე **რაჲთა?** (რით?) ჩვეულებრივ უპასუხებს მოქმედებითი, რომელსაც გავრცობილი ბრუნვის ნიშანი აქვს (აღივსო **სიხარულითა**). მოქმედებითის ასეთი გაგებისა და ფორმის შემცველ სახეობას საჭურელობითს უწოდებენ. მაგრამ არის შემთხვევები, როცა მოქმედებითს სწორედ ასეთი შინაარსი აქვს, მაგრამ ფორმა კი არა: მას არა აქვს ემფატიკური ა, ბრუნვის ნიშანი მარტივი **ით** სუფიქსით არის წარმოდგენილი. ამნაირი მოვლენა ძველი მდგომარეობის გადმონაშთად უნდა ვცნოთ, როცა სახელებს საერთოდ ჯერ კიდევ არ გააჩნდა ეს ემფატიკური ა. ამის ნიმუშებია:

ყველით აღებასა კჳრიაკესა სამხრად ფსალმუნი, ჭილ-ეტრ. 75 v, 3; თუალი იგი ძოწეული... სამკურნალოდ არს **სტომაქით** სალმობიერთა და **მუცლით** სალმობიერთა, თუალთ. 65, 24; გოლიად (იყო) აზნაურად ჭურვილი **ჯაჭჳთ** ჩაბალახითურთ, I მეფ. 17, 5. **ჯაჭჳთ** აქ იმიტომ არის, რომ მას უშუალოდ მოსდევს **ურთ** თანდებულიანი სახელი **ჩაბალახითურთ** და ეს თანდებული მასაც ეკუთვნის. **ურთ** თანდებულთან კი ყველა სახელი მარტივ ბრუნვის ნიშანს გვიჩვენებს. მაგრამ ასეთი გაგებისას ჩვეულებრივ მოსალოდნელი იყო გვქონოდა: **ჯაჭჳთურთ** და ჩაბალახით. ამიტომ მოვიყვანეთ ეს მაგალითი აქ და არა **ურთ** თანდებულიანებთან.

სხვა მაგალითები:

სიხლით იბანენით, შვილნო, და ნუ გეშინინ, სპეს. 76, 5; მომეც ვინაჲ შენი **სახყიდლით** ვეცხლად, 3 მეფ. 21, 6; და ფრინვიდეს ღრუბელნი, ვითარცა **ფრთით** მფრინველნი, ზირაქ 43, 15; დიდსა და კნინსა **თუალით** ნუ განჰზომ, იქვე, 29, 26; მაშინ აბდალ მელიქ ამირ-მუმლი

აღმოვიდა ბაბილოვნით
იერუსალჱმდ **ცოლით, შვილით მისით,**
ერითა მრავლითა,
ძხედრებითა რჩეულებითა,
ეტლებითა სამკაულებითა,
ჰუნებითა, ტაიჭებითა,
პილოებითა და აქლემებითა,
მრავალფერითა საუცრებითა...

(კიმ. I, 166, 22).

აქ მოყვანილ მაგალითში „ცოლით, შვილით მისით“ შეიძლება იმიტომაა წარმოდგენილი ემფატიკური ა-ს გარეშე, რომ იგი ერითმება სიტყვას ბაბილოვნით, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც გამოსვლითი ბრუნვის ფორმა, აუცილებლად **ით** სუფიქსით უნდა იყოს მოცემული. მაშა-

სადამე: „ცოლით, შვილით მისით“ აქ ერთგვარი პოეტური ლიცენციით იქნება გამოწვეული. მეორე მხრივ, შესაძლებელია აქ იყო ურთ თანდებული (ცოლით, შვილით მისითურთ) და შემდეგ, გადაწერისას, თუ სხვა რაიმე მიზეზით, გამოტოვეს, ხოლო ფორმა ისეთივე დარჩა, როგორსაც მოითხოვდა თანდებული. მე უფრო პირველი დაშვება მგონია სწორი.

საერთოდ ამ ძეგლში ძველი ქართული ენის რღვევისა და ახლის ჩანასახი თვალნათლივ შეინიშნება. ეს არც არის გასაკვირი: ნაწარმოებში, რომელიც ლექსად არის დაწერილი და თავს ძალიან არ იზღუდავს ჰაგიოგრაფიული ძეგლის მკაცრი მოთხოვნებით, ახალი ენის სიოს ქროლა, რასაკვირველია უფრო საგრძნობი უნდა ყოფილიყო და არის კიდეც. მაგრამ ამ ნაწარმოებზე და მის ენაზე ჩვენ ცალკე გვაქვს მსჯელობა და აქ აღარ განვაგრძობთ სიტყვას.

12. მოქმედებითი ზოგ სპეციფიკურ გამოთქმაში

მარტივი ით ნიშანი წარმოდგენილია აგრეთვე ზოგ სპეციფიკურ გამოთქმაში. ყველაზე ხშირად აქ გვხვდება სახელი თ ა ვ ი. მას ამ შემთხვევაში ნაცვალსახელის მნიშვნელობა აქვს და ბუნებრივია, თუ ემფატიკური ა არ ექნეს. ასეთი გამოთქმებია: „თავით ჩემით“, „თავით შენით“, „თავით ჩუენით“, „თავით თქუენით“ და ყველაზე ხშირად „თავით თჳსით“. ამათი მნიშვნელობაა **თვითონ, თავად, сам.**

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: **შენით თავით** იტყჳ მაგას, ანუ სხუათა ვიეთ გრქუეს შენ ჩემთჳს, ი. 18, 34 C. ამ მაგალითში მსაზღვრელი **შენით** წინაა მოქცეული, რაც იშვიათია. ჩვეულებრივია მისი ბოლოს გადატანა, მაგალითად: არამედ მომიჴსენე მე **თავით შენით**, რაჟამს კეთილი გეყოს შენ, დაბ. 40, 14; ჳეშმარიტად გესმა ჴმაჲ მისი, ანუ შენ **თავით შენით** წარმიკითხავ მშჳდობასა, კიმ. 178, 8.

არა ჴელ-მეწიფების მე **თავით** ჩემით არარაჲ, ი. 5, 30 C; **თავით ჩემით** არას ვიტყოდე, ი. 12, 4 C; ანუ რაჲსა **თავით თჳსით** არა შჳთ მართალსა, ლ. 12, 57; ვერ ჴელ-ეწიფების კაცსა მოღებად **თავით თჳსით** არცა ერთი რაჲ, ი. 3, 27; ისწრაფდით დამარხვად გულს-მოდგინებასა **თავით თქუენით**, უდაბნ. 35 vb; **თავით ჩუენით** მომკლავს ჩუენ მტერი, რამეთუ ნებაჲ ჩუენი საკრველ გუექმნა, მამ. სწავ. 407. იშვიათად ეს **თავით** მარტოდ-მარტო იხმარება, მას არ ახლავს ზემოთ ნაჩვენები რომელიმე მსაზღვრელი, მაგალითად: ვიდრე ყრმაჲ იყავ, **თავით** შეირტყი სარტყელი და მიხჳდი, ვიდრეცა გნებავ, ი. 21, 18 C. ეს „თავით“ იგივეა, რაც ჩვეულებრივი და გაერცელებული „თავით თჳსით“, რაც გვაქვს კიდეც ამავე ადგილას DE-ში. რუსულ თარგმანში, როგორც მოსალოდნელი იყო, არის **сам.**

თავის გარდა ასეთ გამოთქმებში „გულიც“ გვხვდება. მისი შინაარსი ყველა მაგალითში საკმაოდ ერთნაირი არ არის. მაგალითები:

რომელი ქმნა **გულით თჳსით**, 3 მეფ. 12, 33 (რუს. თარგმ.: **произвольно**); და აწ შენ **გულით შენით** ჰყავ ესე ყოველი დიდებულებაჲ, 2 მეფ. 7, 20 (**по сердцу твоему**) და სხვ.

13. მოძველებითი ერთადობის (თანაობის) გამოსახატავად

ურთ თანდებულის ფუნქციაა, აღნიშნოს თანაობა, ე რ თ ა დ ო ბ ა[1], ე. ი. ამა თუ იმ პირთან თუ საგანთან ერთად ყოფნა: დედითურთ = დედასთან ერთად, დედიანად, ძმითურთ = ძმასთან ერთად, ძმიანად და სხვ. **ურთ** თანდებულთან (და, დავსძენთ, მოქმედებითი ბრუნვის ყველა თანდებულთან) მოქმედებითი ბრუნვის ფორმა იხმარება მხოლოდ და მხოლოდ მარტივი სახით, **ით** ბრუნვის ნიშნით, მაგალითად: დამალა იგი **დედითურთ** მისით მონათა თჳსთა თანა, ეტ. II, 26, 2; მოვიდა... სიბა, ყრმაჲ იგი სახლისა მის საულისისაჲ, **ათხუთმეტით ძითურთ** და **ცოლით** და **მონით** და **მჴევლით**, 2 მეფ. 19, 17; და მიიღო იგი დავით მეფემან და წინა-უყო უფალსა **ოქროჲთ, ვეცხლითურთ** და **ყოვლით ჰურჭელითურთ**, იქვე, 8, 11; მოუწოდა დავით მეფემან... სიბას, მონასა მას საულისსა, და ჰრქუა: ...იქმოდე შენ ქუეყანასა **ძითურთ შენით** და **მონითურთ**, იქვე, 9, 10. აქ **ძითურთ** და **მონითურთ** ფორმებში მრავლობითი რიცხვის შინაარსია ჩაქსოვილი, რადგანაც ქვემოთ ამავე ტექსტიდან ვტყობილობთ, რომ „სიბას ესხა ათხუთმეტ ძე და ოც მონა“ (იქვე, 9, 10); ეს გარემოება შემთხვევითი არაა, ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ძალიან ხშირად **ურთ** თანდებული ებიან მრავლობითთან გვხვდება, მაგალითად:

და ყოველი, რაჲცა გენებოს **ძმებითურთ** შენით, იგი ყავ, 2 ეზრა 8, 16; და შთაჴდენ იგინი ვითარცა კრავნი კლვად და ვერძნი **თიკნებითურთ**, იერ. 51, 40; რომელმან მოსეს მიერ დაანთქა ფარაო **მჴედრებითურთ**, სას. პოეზ. 278, 158; განთიად ერთშაბათსა მოვიდა მაგდანელი მარიამ **მოყუსებითურთ**, ი. ჯავ. აღწ. 152, 1 და სხვა მრავალი. არც ეს გარემოებაა შემთხვევითი, ასე დაკვირვებით რომ გვხვდება **ურთ** თანდებული ებიან მრავლობითში. ყველა ამაზე ქვემოთ სპეციალურად გვექნება საუბარი და ამიტომ აქ აღარას ვიტყვით.

მარტივი ბრუნვის ნიშნებზე მსჯელობა შეიძლება ამით დავამთავროთ და გადავიდეთ მორიგ საკითხზე.

IV. მრავლობითი რიცხვის წარმოებისათვის

ძველ ქართულში სახელებს მხოლოდ ორი რიცხვი მოეპოვებათ: მხოლობითი და მრავლობითი. იქ არსად ჩანს წყვილობითი (ორობითი) რიცხვი, რომლის არსებობის შესახებაც თანამედროვე ქართულის ზოგიერთ დიალექტში კარგა ხანია არის ერთგვარი გუმანი[2].

---

[1] ა. შანიძე, ჯრამ. საფუძ. გვ. 622.

[2] ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში: „კრებული“ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, 1915, გვ. 194—195 [= თხზულებანი, ტ. I, გვ. 13—14]; მ ი ს ი ვ ე: ხევსურული მასალების გამო: წელიწდეული, 1923—24, გვ. 335—336.

სახელთა მრავლობითს რიცხვში ბრუნების მაგალითები მოყვანილია ზემოთ, სათანადო სახელების ბრუნების გარჩევისას (გვ. 27—28; 42—46; 86—88; 116—118; 128—129). აქ საუბარი გვექნება მრავლობითი რიცხვის წარმოების ზოგიერთ მხარეზე.

მრავლობითი რიცხვი ძველ ქართულში ორგვარად იწარმოება: ერთი **ნ** და **თ**(ა) სუფიქსებით და ამიტომ მას ნარ-თანიან მრავლობითს ეძახიან; მეორე **ებ** სუფიქსით, ამის გამო მას **ებიან** მრავლობითს უწოდებენ. ამ ორი სახის მრავლობითიდან ძველ ქართულში გაბატონებულია ნარ-თანიანი სახეობა. **ებიანი** ფორმები იქ უფრო იშვიათია. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში კი საქმე სწორედ რომ შებრუნებულად არის: დღეს გაბატონებულია **ებიანი** მრავლობითი, ნარ-თანიანი ფორმები კი უფრო ნაკლებად გვხვდება. ამის გამოა, რომ ნარ-თანიან მრავლობითს **ძველს** ეძახიან, **ებიანს** კი — **ახალს** [1].

ნარ-თანიანი და **ებიანი** მრავლობითი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან:

ა) მაშინ, როდესაც **ებიან** მრავლობითში მხოლოდ ერთი **ებ** სუფიქსი გვაქვს ყველა ბრუნვაში (კაც-**ებ**, კაც-**ებ**-ი, კაც-**ებ**-მან, კაც-**ებ**-ს-ა, კაც-**ებ**-ის-ა, კაც-**ებ**-ით-ა, კაც-**ებ**-ად, კაც-**ებ**-ო), ნარ-თანიანში ორი გვაქვს: **ნ** და **თ**. ამათგან პირველი მხოლოდ ორ ბრუნვაში გვხვდება; ესენია: სახელობითი და წოდებითი (კაც-**ნ**-ი, კაც-**ნ**-ო), ხოლო მეორე — დანარჩენ ხუთში; ეს ხუთი ბრუნვაა: მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი (კაც-თ-ა) [2].

ბ) **ებ** სუფიქსს მხოლოდ ერთი ფუნქცია აქვს, იგი მხოლოდ რიცხვს გამოხატავს; რაც შეეხება ბრუნვის ნიშნებს, ისინი ცალკე ერთვის **ებ** სუფიქსიან სახელს და ამა თუ იმ ბრუნვას მიუთითებს: კაც-**ებ**-ი (სახ.), კაც-**ებ**-მან (მოთხ.), კაც-**ებ**-ს-ა (მიც.) და სხვა. ასეა აგრეთვე **ნ**არიანი ფორმებიც: კაც-**ნ**-ი (სახ.), კაც-**ნ**-ო (წოდ.). რაც შეეხება თანიან მრავლობითს, აქ საქმე სულ სხვანაირად არის წარმოდგენილი: თანი გამოხატავს მრავლობითს და ერთდროულად მიუთითებს აგრეთვე ერთ-ერთ ამ ხუთ ბრუნვათაგანზე (კაც-**თ**-ა). **თ**(-ა) სუფიქსის მიერ ამ ორი ფუნქციის (რიცხვისა და ბრუნვის) ერთდროული აღნიშვნა, როგორც ვიცით, ბეორეული მოვლენაა, თავიდანვე ისიც მხოლოდ **ერთ** რამეს აღნიშნავდა: მრავლობითს რიცხვს გამოხატავდა.

არის კიდევ ამ ორგვარ მრავლობითს შორის სხვა განსხვავებაც, მაგრამ ამაზე ქვევით გვექნება ლაპარაკი, როცა მრავლობითის ფორმებს ცალ-ცალკე გავარჩევთ.

1. ნარ-თანიანი მრავლობითი

ნარი, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ორ ბრუნვაში გვაქვს: სახელობითსა და წოდებითში. იგი მხოლოდ რიცხვს გამოხატავს: კაც-**ნ**-ი, დედა-**ნ**-ი,

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 47—48.

[2] ნარ-თანიანი მრავლობითი, როგორც ცნობილია, წრფელობითს არა აქვს.

წყარო-ნ-ი, მოწამე-ნ-ი, ღრუბელ-ნ-ი... კაც-ნ-ო, დედა-ნ-ო, წყარო-ნ-ო, მოწამე-ნ-ო, ღრუბელ-ნ-ო. რაც შეეხება ბრუნვას, იგი აქ ი (სახელობ.) და ო (წოდებ.) სუფიქსებითაა გამოხატული. ამნაირად, ნარიანი მრავლობითის შემთხვევაში შეუბღალავად არის დაცული აგლუტინაციური პრინციპი: სახელის რიცხვს ერთი ფორმანტი გამოხატავს (ნ), სახელის ბრუნვას — სხვა (ი, ო).

სახელის მრავლობითობის აღმნიშვნელ ამ ნ-ს უშუალო კავშირი აქვს ზმნებში სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამომხატველ ენ, ან, ნ სუფიქსებთან (წერ-ენ, რბი-ან, შეიპყრა-ნ... მოვკლ-ენ, მოჰკლ-ენ, მოკლ-ნ-ა)[1]. ასე რომ, ნ (← ენ ‖ ან) მრავლობითობის მაწარმოებელი საერთო სუფიქსია სახელებსა და ზმნებში. დავიმოწმოთ ორიოდე მაგალითი:

ხოლო ძენი იგი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა, მ. 8, 12; შეემთხჳნეს მას ორნი კაცნი, მ. 8, 28; რომელთა-იგი ჰამეს, იყუნეს შამანი ხოლო ხუთ ათას, მ. 14, 21; მრავალნი დედანი... მოსრულ იყუნეს იერუსალჵმდ, მრ. 15, 41 C; რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი..., ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა, ლ. 14, 26; განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყუენით ალაგნი მისნი, მ. 3, 3; ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისჱველნო ორგულნო, მ. 23, 15; ცოფნო და ბრმანო, რომელი უფროჲს არს: შესაწირავი იგი ანუ საკურთხეველი, რომელი განსწმედს შესაწირავსა, მ. 23, 19.

როცა სახელის ბოლოკიდური ბგერა ნარია, იგი ზოგიერთი ხელნაწერის გადამწერის მიერ ზოგჯერ აღქმულია მრავლობითის ნიშნად, ამიტომ იგი (გადამწ.) მეორე ნარს აღარ უწერს სახელს, ზმნას კი მაინც მრავლობითს რიცხვში უთანხმებს, მაგალითად: ხოლო წიგნი პაჳლჵსი ყოველთა დღეთა და ჟამთა სულიერითა მით სასუმლითა მოჰრწყუენ და განაძღებენ ეკლესიასა ღმრთისასა, თუალთ. 80, 21. აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ აღნიშნული ნარი არა ჩანს აგრეთვე მსაზღვრელშიც, მიუხედავად იმისა, რომ მის ფუძეში ნარი არ მოიპოვება (პაჳლჵსი). მეორე შემთხვევაში ასეთ მსაზღვრელს უკვე აქვს ნარი, „წიგნს“ კი ისევ აკლია, მაგალითად: ხოლო რომელნიმე ჰგონებდეს ესრჵთ, რომელთა არა გულისხმის-ყოფით წარიკითხნეს საღმრთონი წიგნი, იქვე, 89, 20. მაგრამ იქვე გვხვდება ეგეთე სიტყვა კანონიერი ორი ნარით: ვითარ იტყჳან საღმრთონი წიგნნი, იქვე, 24, 27.

მსგავსი მოვლენაა მაშინაც, თუ მსაზღვრელის ფუძეა ნ-ზე დაბოლოებული: და ცხოველნიცა შენი მკუიდრ არიან მას შინა, ფსალმ. 67, 10; რაჲთა იჴსნე ბოყუარენი შენი, იქვე, 59, 5. ეს უკანასკნელი მაგალითი იმითაც

[1] ა. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. IX, 1929; მისივე: მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იბერ.-კავკ. VI, 1954, გვ. 73.

იქცევს ყურადღებას, რომ იქ ნარი არ არის წარმოდგენილი აგრეთვე ზმნაში, რომლის ფუძეშიც გვხვდება ნარი: იჳსნე (უნდა ყოფილიყო: იჳსნნე)[1]. ორივე ეს ფორმა (იჳსნე, შენი=იჳსნნე, შენნი) ერთი და იმავე მოვლენის შედეგია: ორი ერთად მოხვედრილი ერთნაირი ბგერიდან ერთ-ერთი იკარგება. ეს თანაბრად ეხება როგორც ნარს, ისე სხვა ბგერებსაც (მისა=მისსა და სხვ.). ეს თავისებურება, როგორც ვთქვით, ზოგიერთ ხელნაწერს ახასიათებს. ყველაზე მკვეთრად იგი ჩანს ქართული ფსალმუნის შემცველ უძველეს ხელნაწერში (საქ. მუზ. ხელნ. A 38), რომლის გადაწერის თარიღად 904 წელს სდებენ[2].

გარკვეულ ბრუნვებში თანიც გვხვდება (კაც-თ-ა). ეს თანიც ისეთივე წარმოშობისა უნდა იყოს, როგორც ზმნების პირველი და მეორე სუბიექტური პირის მრაელობითობის ნიშანი (ვარ-თ, ხარ-თ), ანდა მესამე სუბიექტური პირის მრაელობითობის ნიშანი (ჴამ-ედ, არი-ედ; დ → თ)[3].

თანი მრავლობითობის ნიშნად ხუთ ბრუნვაში გვხვდება (მოთხ., მიც., ნათ., მოქმ., ვით.); ამათგან პირველ სამში — ჩვეულებრივად და ხშირად, ორ უკანასკნელში — იშვიათად, უფრო მეტად სათანადო თანდებულებთან. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ეს თ მრავლობითს რიცხვსაც გამოხატავს და ერთ-ერთ ამ ბრუნვასაც მიუთითებს. თუ რომელ ბრუნვას გამოხატავს იგი ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს შეგვიძლია გავიგოთ კონტექსტით, უკეთ რომ ვთქვათ, ზმნის დახმარებით. მაგალითად, ავიღოთ ეს წინადადება: იცნეს იგი კაცთა მის ადგილისათა, მრ. 6, 54. კაცთა ამ წინადადებაში სუბიექტად არის წარმოდგენილი, მასთან შეწყობილია გარდამავალი ზმნა, რომელიც დგას II სერიაში (წყვეტილში). ასეთ შემთხვევაში სუბიექტი მოთხრობითში უნდა იდგეს და დგას კიდეც. ამავე შედეგს მივიღებთ ე. წ. შეცვლების ხერხით: თანიანი მრავლობითის ნაცვლად ავიღებთ ებიან მრავლობითს, რომელთანაც ამავე დროს ამა თუ იმ ბრუნვის ნიშანიც არის მოცემული, მაგალითად: იცნეს იგი კაცებმა (ძველი ქართულით ჩვეულებრივ ზმნა არ შეეწყობა რიცხვში და გვექნება: იცნა იგი კაცებმან მის ადგილისამან).

იმავე ხერხით გავიგებთ, რომ კაცთა ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში მიცემითში დგას: ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტევოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტევოს კაცთა, მ. 12, 31. მიეტევოს ორპირიანი გარდაუვალი ზმნაა, რომელშიაც კაცთა ირიბ ობიექტად არის წარმოდგენილი; ირიბი ობიექტი კი ამ შემთხვევაში და საერთოდ მბოლოდ მიცე-

[1] ზმნებში ასეთ შემთხვევაში ნარის დაკარგვა აღნიშნული და ახსნილი აქვს ა. ჩიქობავას წერილში: რით არის წარმოდგენილი მრავლობითის საბერძნობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. IX, 1929, გვ. 114—115.

[2] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 339; მისივე: ეტ. II, გვ. 339—341.

[3] ა. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იბერ.-კავკ. VI, 1954, გვ. 73.

მითს ბრუნვაში დგას. ამავე შედეგს იძლევა შენაცვლების ხერხიც: ცოდვად მიეტევოს კაცებსა.

სამაგიეროდ ნათესაობითში იგულისხმება კაცთა ამ წინადადებაში: ორ-თა კაცთა წამებად ჭეშმარიტ არს, ი. 8, 17 C. კაცთა აქ წინ დასმული მართული მსაზღვრელია და იგი ნათესაობითშია ყოველთვის. ამასვე მივიღებთ შენაცვლების ხერხითაც: ორი კაცის მოწმობა ჭეშმარიტია. უფრო ხშირად ნათესაობითშია სახელი გარკვეულ თანდებულებთან (გან, თჳს, მიერ და სხვ.), მაგალითად: კაცთაგან ესე შეუძლებელ არს, მ. 19, 26; არღარა საჭმარ არნ მიერითგან, არამედ... დათრგუნვად კაცთა მიერ, მ. 5, 13.

თანიან მრავლობითში, როგორც ვთქვით, ი შ ვ ი ა თ ა დ გვხვდება მოქმედებითი და ვითარებითი, მაგრამ საერთოდ მაინც გვხვდება. უფრო მეტად ასეთ შემთხვევებს მაშინ აქვს ადგილი, როცა სათანადო სახელს გან, მდე თანდებულები ახლავს, ი შ ვ ი ა თ ა დ ამ თანდებულების გარეშეც. რადგანაც ამ საკითხზე არსებობს თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ი ს სპეციალური გამოკვლევა[1], აქ საკითხს მოკლედ მოვჰრით.

მოქმედებითი ბრუნვა

გვხვდება უთანდებულოდ და თანდებულით.

უ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ო დ

ნელსაცხებელთა და ღჳნოთა და საკუმეველთა იშუებნ გული, ხოლო დაეცემის შემთხუევათაგან სული, იგავ. 27, 9. ხაზგასმული სახელები აქ მოქმედებითში უნდა იდგეს: იშუებს რაჲთა?—ნელსაცხებლებითა. ამას ამტკიცებს აგრეთვე ბიბლიის თბილისური გამოცემაც: სულნელითა და ღჳნითა და საკმეველითა განწუწნდების გული, ხოლო განიპების შეჭირვებისაგან სული. აქ, როგორც ვხედავთ, მრავლობითი მხოლობითით შეუცვლიათ, რადგან მოქმედებითსა და ვითარებითში თანიანი მრავლობითის ხმარება ენას ერთობ უჭირდა. ამ გასაჭირის ასაცილებლად რიცხვის შეცვლასაც არ დაჰრიდებიან.

...იხილეთ ...არა ამით თუალითა ხილული, არცა სასმენელთა ამათ სმენილი, სვან. 263 გ. რაკი ერთ შემთხვევაში გვაქვს მოქმედებითი (ამით თუალითა), მეორეშიც უნდა გვქონდეს იგი. ამიტომ აქ „სასმენელთა ამათ" ნიშნავს: „ამ ყურებით".

...კლდესა მყარსა ზედა დავაწესე იგი, არა დავთხიე იგი ქუეყანასა დაფარვად მიწათა, ეზეკ. 24, 7. „მიწათა" = მიწებითა (ე. ი. მტვერითა თუ მტვრითა). შდრ. რუს. თარგმ.: ...где она могла бы покрыться пылью. დაფარვად მიწათა = покрыться пылью, ოღონდ ჩვენი მიწათა მრავლობითშია, пылью კი — მხოლობითში.

---

[1] თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, თა-სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითსა და ვითარებითს ბრუნვებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 24, 1945, გვ. 129—144.

...და ეგრეთ განემართნეს ალაგნი ქუეყანისანი და **სათნოებათა** განისწავლნეს კაცნი და **სიბრძნითა** ცხომდეს, სიბრძ. 9, 19. სათნოებათა=სათნოებებით, რადგან იქცევა პარალელური „სიბრძნითა“: თუა **სიბრძნითა** ცხომდეს, უნდა იყოს აგრეთვე **სათნოებებითა** განისწავლნეს.

...ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს ზეთი **ჭურჭელთა მათთა**, მ. 25, 4M (მესტიის ოთხთავი). რომ აქ „ჭურჭელთა მათთა“ მოქმედებითშია, ჩანს შინაარსით: რაჲთა მიიღეს ზეთი?—ჭურჭლითა. მართლაც, ასეა მოცემული ეს სიტყვები მხოლობითის ფორმით სხვა ხელნაწერებში, მაგალითად: **საზეთითა** მათითა C; **ჭურჭრითა** მათითა D, ჭურჭლითა მათითა E.

...მაშინ იხილონ ძე კაცისაჲ მომავალი **ღრუბელთა** ძალითა და დიდებითა მრავლითა, ლ. 21, 27 C. სხვა ხელნაწერებში აქ მხოლობითი გვაქვს და სწორედ **ღრუბლითა** იკითხება (DE და სხვ.).

...შეგრაგნეს იგი **მჩუართა** საკუმეველითურთ, ი. 19, 40 C. „შეგრაგნეს“ უბრალო დამატებას მოქმედებითში ითხოვს: შეგრაგნეს (=შებეიეს) რაჲთა?—მჩურებითა. რომ აქ მოქმედებითი იგულისხმება და არა მიცემითი (შეგრაგნეს მჩვრებში), ჩანს იქიდანაც, რომ იქვე მეორე სახელს ახლავს **ურთ** თანდებული: საკუმეველითურთ; ამასვე ადასტურებს სხვა ხელნაწერების ჩვენებაც, რომელთაც თანიანი მრავლობითის ნაცვლად ებიანი მრავლობითი აურჩევიათ და, მაშასადამე, ნათელია, რომელი ბრუნვაა ეს „მჩუართა“: შეჰგრაგნეს იგი **ტილოებითა** და **არდაგებითა**, DE და სხვ.

...რომელნიმე **სატანჯველითა** და **გუემითა** განიცადნეს, იერემია და მიქია მერმე კუალად **ბორკილებითა** და **საპყრობილეთა**, ებრ. 11, 36. საპყრობილეთა=საპყრობილეებითა. ამას ამტკიცებს სათანადო მხოლობითისა და ებიანი მრავლობითის ფორმები: **სატანჯველითა, გუემითა, ბორკილებითა.**

მოქმედებითი ზოგჯერ მრავლობითშია წარმოდგენილი იმ შემთხვევაშიც, როცა მას გამოსვლითის მნიშვნელობა აქვს. თუ მხოლობითში ასეთ პირობებში ბრუნვის ნიშნად მარტივი ით გვაქვს ყოველთვის და არა ემფატიკურ ანიანი ით-ა, მრავლობითში მხოლოდ ანიანი ფორმა გვხვდება (თ-ა). ამის გამოა, რომ მოქმედებითის სხვადასხვა ფუნქციებს შორის მრავლობითში ფორმალური ზღვარი წაშლილია და ყველა ისინი ერთადერთი სახითაა წარმოდგენილი: მრავლობითის მოქმედებითში მარტივი თ არსად გვხვდება. მაგალითი:

ვითარ აღადგინნეს მკუდარნი **მიწით** და **უფსკრულთა** მათ ჯოჯოხეთისათა სიტყჳთა მაღლისაჲთა, ზირაქ 48, 5. „უფსკრულთა“, ე. ი. უფსკრულებიდან.

თანდებულით

უფრო ხშირად ზემორე განხილული შემთხვევა (მოქმედებითი გამოსვლითის მნიშვნელობით) გვხვდება თანდებულით. ეს თანდებულია **გან**. მაგალითები:

და იწყეს **კაცთა მათგან მოხუცებულთა**, ეზეკ. 9, 6. „იწყეს“ (იწყო) ძველ ქართულში სახელს მოითხოვს მოქმედებითში, რომელსაც გამოსვლითის მნიშვნელობა აქვს, მაგალითად: **იწყეთ იერუსალჱმით**, ლ. 24, 47; **უწყიეს გალილეაჲთ**, ლ. 23, 5 და სხვ. მაშასადამე, „იწყეს კაცთა მათგან მოხუცებულთა“ ნიშნავს: „დაიწყეს იმ მოხუცებული კაცებიდან“. ასეთივეა აგრეთვე ეს წინადადებაც: „**იწყე უკუანაჲსკნელთაგან** ვიდრე პირველთამდე, მ. 20, 8 C. „იწყე უკუანაჲსკნელთაგან“, რასაკვირველია, ნიშნავს „დაიწყე უკანასკნელებიდან“, ე. ი. იგი მოქმედებითშია. ამას, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ აქ ჩვენ გვაქვს ფორმულა: **საიდან სანამდე**. ამ ფორმულის პირველი წევრი ყოველთვის მოქმედებითშია, მეორე — ვითარებითში. ამასვე ადასტურებს ის გარემოებაც, რომ DE-ში ეს სიტყვა მხოლობითშია დასმული და, მაშასადამე, ადვილი გასაგებია, თუ რომელ ბრუნვასთან გვაქვს აქ საქმე. იქ იკითხება: იწყე **უკუანაჲსკნელითგან**; მაშასადამე, აქ გექონია მოქმედებითი, მოქმედებითს გულისხმობს „**უკუანაჲსკნელთაგან**“-იც. ასეთია აგრეთვე ეს მაგალითიც: იწყო მოსესითგან და ყოველთა **წინაწარმეტყუელთა**, ლ. 24, 27. ოღონდ აქ თანდებული **გან** ახლავს არა უშუალოდ მრავლობითს რიცხვში დასმულ სახელს, არამედ მის წინ მდგარ საკუთარ სახელს (მოსესითგან). რაც შეეხება ბრუნვას, იგი ორივეგან ერთია: მოქმედებითი (=დაიწყო მოსედან და ყველა წინასწარმეტყველებიდან).

...და **საზღვართაგან** გადისთა მზის-აღმოსავალით ვიდრე ბღუარად მიმართ, ეზეკ. 48, 28. რომ **საზღვართაგან** მოქმედებითშია, ჩანს შემდეგიდანაც: ეგევე სიტყვა აქვე მსგავს გამოთქმებში მხოლობითშია დასმული და ყოველთვის მოქმედებითში გვხვდება, მაგალითად: **საზღვრითგან** დაანისით, იქვე, 48, 2; **საზღვრითგან** ასერისით, იქვე, 48, 3; **საზღვრითგან** მანასჱსით, იქვე, 48, 5 და სხვ. ცხადია, საზღვრითგან და საზღვართაგან ერთიმეორის მიმართ მხოლობით-მრავლობითის ფორმებია. ბრუნვა კი ორივეგან მოქმედებითია გამოსვლითის მნიშვნელობით. ასეთივე გაგებით არის ნახმარი ეგევე სიტყვა შემდეგს შესიტყვებებშიც: **საზღვართაგან** სჳმეონისთა, იქვე, 48, 25; **საზღვართაგან** იზაქარისთა, იქვე, 48, 26; **საზღვართაგან** ზაბულონისთა, 48, 27.

...და მოვიდენ ერთბამად **ჩრდილოჲთ** და **ყოველთაგან სოფელთა** ქუეყანად, რომელი დაუმკჳდრა მამათა მათთა, იერ. 3, 18 (=ყველა ქვეყნებიდან); გარდა-რაჲ-ვარდა **სარკუმელთაგან**, მოც. 216, 24; **დღეთა მათგან** იოჰანეს ნათლის-მცემელისათა მოაქამდე, მ. 11, 12 C. აქაც იგივე ფორმულა გვაქვს: **საიდან სანამდე?** ამიტომ ბუნებრივია, რომ **დღეთა მათგან** მოქმედებითია. ეს მტკიცდება კიდევ იმითაც, რომ DE-ში იგივე სიტყვა მხოლობითშია წარმოდგენილი და აშკარად ჩანს, რომ მოქმედებითია: **დღითგან** იოვანე ნათლის-მცემელისაჲთ ვიდრე აქამომდე.

...გამოიყვანნეს სეხნანი იგი ძმანი **ციხეთა მათგან**, კიმ. I, 94, 10 (=ციხეებიდან).

განწ თანდებულიანი მოქმედებითის ხმარება მხოლოდ ამ მნიშვნელობით (ე. ი. გამოსვლითი ბრუნვის შინაარსით) არ ამოიწურება. იგი გვხვდება ჩვეულებრივი გაგებითაც, ე. ი. როცა მას საჭურველობითის შინაარსი აქვს. ასეთია შემდეგი მაგალითები:

ვიხილე ტარიგი იგი ქრისტჱსი შუენიერად, ვითარცა ძალი შემკული **საკრველთა მათგან**, შუშ. 153, 38. შეკრული **რით? — ბორკილებით.**

...რამეთუ აღივსო ქუეყანაჲ **სიცრუჱთა** მათთაგან, დაბ. 6, 9 ლაგ. „აღვსება“ ზმნა უბრალო დამატებას მოითხოვს მოქმედებითში. ასეთი თვისებისაა ეს ზმნა ორსაზე გვარში, მაგრამ განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს ამ ზმნის ვნებითში, მაგალითად: აღივსო ქორწილი იგი **მეინაჯითა**, მ. 22, 10; აღივსო ელისაბედ **სულითა წმიდითა**, ლ. 1, 41; სახლი იგი ყოველი აღივსო **სულნელებითა** მის ნელსაცხებლისაჲთა, ი. 12, 3 და სხვა. მაშასადამე, აღივსო ქუეყანაჲ **სიცრუჱთა მათთაგან** ნიშნავს: ქვეყანა მათი **სიცრუით** აივსოო. ოშკის ხელნაწერში ეს ადგილი არ შენახულა, თბილისურ გამოცემაში კი მოცემულია მოსალოდნელი **უსამართლოებითა.**

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მოქმედებითის (მით უფრო ვითარებითის) ხმარება თანიან მრავლობითში ძველ ქართულ ძეგლებში ჰირსო. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიცაა, რომ თ-ა-ს აქ ორი ფუნქცია აქვს დაკისრებული: უჩვენოს მრავლობითი რიცხვი და ერთ-ერთი ბრუნვა (ხუთიდან). აქ ირღვევა აგლუტინაციის პრინციპი. ქართული ენისათვის ამ უჩვეულო დაბრკოლების გადალახვის მოტივებით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ზოგჯერ თ-ა-ს მხოლოდ მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის ფუნქციას უტოვებენ, ხოლო ბრუნვის აღნიშვნისათვის ცალკე ნიშანს ურთავენ, ვთქვათ, ისე, როგორც ენა იქცევა ებიანი მრავლობითის გამოყენებისას: ჭაბუკ-ებ-ით || ჭაბუკ-თა-ჲთ. აი ამის რამდენიმე ნიმუში:

საფუძველით და **ხარისხთაჲთგან** იღუწიდა კაცი იგი, ზარზმ. 180, 11 (ხარისხ-თა-ჲთ-გან=ხარისხ-ებ-ით-გან); ფრიგიასა მას შინა შეიწირნეს ყოველნივე მამები და დედები ყრმებითურთ და **ჭაბუკთაჲთ**, პარხ. 1220; კიმ. II, 107, 6. თანდებული **ურთ** ამ წინადადებაში ორივე სახელს ეკუთვნის, მაშასადამე, ყ რ მ ე ბ ი თ ურ თ და ჭ ა ბ უ კ თ ა ჲ თ (ურთ) ერთი და იგივე ოდენობებია, პირველი სიტყვის მრავლობითობის **ებ** ნიშანს შეესაბამება მეორე სიტყვის მრავლობითობის ნიშანი თ-ა. ეჭვი არაა, თ-ა-ს აქ მხოლოდ მრავლობითობის წარმოება აქვს დაკისრებული.

სხვა მაგალითები:

ხოლო იგინი ღაღადებდეს წინაშე ღმრთისა და წამებდეს თაეთა თჳსთა ქრისტეანედ ყოველთა **წარჩინებულთაჲთურთ** და ყოვლადვე არა თავს-იდვეს მსახურებაჲ კერპთაჲ, პარხ. 1221; კიმ. II, 107, 9; რამეთუ შემუსრვილ იყვნეს წჳვნი მისნი და ჴელნი **მჭართაჲთგან**, და ყოველნი ასონი მისნი დაბძარულ, Опис. 210, 8; და იყო ვეშაპი ფრიად დიდი, მორტყმულ გარემო მისსა, **ფერჴთაჲთგან** ვიდრე ქედამდე ახუეულ იყო ჴისდა, ეტ. II, 53, 26; ხოლო აქუს ქერობინ=ა **ფერჴთაჲთგან** ვიდრე წელთამდე წესი კაცისაჲ, იქვე. 157. 6;

და წმიდაჲ გრიგორი წმიდით შვილით მისითურთ და ყოველთა საჩინოთა შემწეთა მისთაჲთა, **დამოწაფებულთა მისთაჲთურთ** იქცეოდა (ყოველთა აღგილთა), ლიტ. ურთ. 64, 3; მაშინ წმიდამან ატომ ნეტართა მათ **კრებულთა მისთაჲთურთ** ფსალმუნებდეს და იტყოდეს, იქვე, 108, 5; ყოველი ესე სისხლი არა შჯამოთ ყოველსავე სამკჳდრებელსა თქუენსა **მფრინველთაჲთგან** ვიდრე საცხოვართადმდე, ლევიტ. 7, 16; რამეთუ მოსეს **პირველთა ნაფესავთაჲთგან** ჭალაქად-ჭალაქად ქადაგნი იგი მისნი დაედგინნეს, მოც. 15, 21 (შ რედაქცია).

თუ ზემორე განხილული ტიპის სახელს მსაზღვრელი ახლავს, შეიძლება **ჲთ** ბრუნვის ნიშანი მან დაირთოს, მაგალითად: რომელმან მოაველინა სიტყუაჲ წმიდაჲ მისი **ცათა მაღალთაჲთ**, მოქც. 55, 8.

ვითარებითი ბრუნვა

ვითარებითი ბრუნვა თანიან მრავლობითში კიდევ უფრო ნაკლებად გვხვდება ვიდრე მოქმედებითი, მაგრამ საერთოდ ესეც შეიძლება შეგვეფასებინა ძალიან იშვიათია ვითარებითი უთანდებულოდ, შედარებით ხშირია მისი გამოყენება თანდებულთან. ამ შემთხვევაში მოგვეპოვება ერთადერთი თანდებული **მდე**.

განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე.

უთანდებულოდ

და მისსა შემდგომად კუალად-იქცეს **ჩუეულებათავე** თჳსთა **ბოროტთა**, მამ. სწავ. 178. კუალად-ქცევა (უკან დაბრუნება, დაბრუნება) ჩვეულებრივ ვითარებითს ბრუნვას ითხოვს, მაგალითად: საქმენი შენნი სირცხჳლეულნი კუალად-ქცეულ არიან **შენდაჲ**, იქვე, 242; რაჲთა არა კუალად-იქცეთ **სოფლადჲ**, იქვე, 269; არა კუალად-იქცეს წყაროჲ **წყაროჲს-თავადჲ** და არცა მზე კუალად-იქცეს სამხრით **აღმოსავალადჲ**, იქვე, 370. იშვიათად სახელს მიცემითშიც ითხოვს: და არა კუალად-იქცეს **მასვე**, რომელი დაეტევა, იქვე, 434. მაგრამ უკანასკნელი ტიპის შემთხვევები ამ ხელნაწერში (და საერთოდაც), ეიმეორებ, იშვიათია; ძირითადი და დამახასიათებელი ვითარებითი ბრუნვაა და სწორედ ამიტომ გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ ამ წინადადებაში „კუალად-იქცეს **ჩუეულებათავე** თჳსთა“ ხაზგასმული სახელი ვითარებითშია. ასეთივე სასიათისაა აგრეთვე შემდეგი მაგალითიც: რომელთა დაგიტევებიეს ზრუნვაჲ ამის სოფლისა წარმავალისაჲ და საქმეთა მისთა დაცუდებადთაჲ. იხილეთ და ნუ კუალად-იქცევით **პირველთავე** მათ სოფლისა **უცალოებათა**, მამ. სწავ. 54.

შეიძლება ვითარებითი იყოს **სიმაღლეთა** შემდეგს წინადადებაში: აჳდა მათუე **სიმაღლეთა** მამისა თანა, მოქც. 56, 6. აღჳდომაც ვითარებითს მოითხოვს, მაგალითად: აღჳდა **მთად**, მ. 5, 1 C; არავინ აღჳდა **ზეცად**, 3, 13. მაგრამ არანაკლებ (თუ უფრო ხშირად არა) მოითხოვს მიცე-

შითსაც: აჴდა იგი ნავსა, მ. 8, 23 C; აღჴდა ლელუსულელსა, ლ. 19, 4 და სხვა. ამიტომ ზემოთ მოყვანილი მაგალითი სადავოა.

სხვა მაგალითი:

ერთი, რომელი შეიყუარა სულმან ჩემმან, ვპოვე და არა განუტეო, ვიდრემდის მივაწიო სახიდ დედისა ჩემისა და საუნჯეთა, რომელმან მუცლად-მიღო მე, იპოლ. 24, 9. რაკი „მივაწიო“ ზმნასთან გვაქვს სახიდ (ვით.) და მის გვერდით საუნჯეთა, ცხადია, ეს უკანასკნელიც ვითარებითში უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ იგივე სიტყვა ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში უკვე მიცემითშია, რადგანაც მიცემითშია აგრეთვე მხოლობითში დასმული სახლსა: „არა დაუტევო, ვიდრემდის არა შევიყვანო სახლსა დედისა ჩემისასა და საუნჯეთა, იქვე, 25, 20.

თანდებული თ

როგორც ვთქვით, აქ გვაქვს ერთადერთი თანდებული მდე || მდის. ამ ორი სახეობიდან აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევებში გვხვდება მდე, იშვიათად მდის[1]. ორივე სახეობა ითხოვს ჩვეულებრივ ვითარებითს ბრუნვას. მაშასადამე, როცა ეს მდე || მდის მრავლობითის თანიან ფორმას ერთვის, ესეც ჩვეულებრივ ვითარებითი უნდა იყოს. ვნახოთ მაგალითები:

და გამოჴდა სისხლი საწნეხელისა მისგან ვიდრე ალჯრთამდის ცხენთა ათას ექუსასით უტევნით შორს, თარგმ. გამოცხ. 14, 20 (თარგმანებაში მოყვანილი ტექსტი. ძირითადს ტექსტში იკითხება: ალჯრადმდე); ხოლო სისხლი მათი ვიდრე ალჯრთამდე ცხენთა მიიწიოსო, იქვე; და იყო ჴელმწიფე ყოველთა ჴელმწიფეთა და მეფეთა ზედა მდინარითგან ვიდრე უცხო-თესლთამდე და ვიდრე საზღერადმდე ეგჳპტისა, 3 მეფ. 10, 27. აქ რომ ვითარებითია, ამას, გარდა მდე თანდებულისა, უჩვენებს ისიც, რომ მას წინ უძღვის ვიდრე, ხოლო ეს უკანასკნელი სწორედ ვითარებითს მოითხოვს (თვითონაც წარმოშობით ვითარებითია ვი ფუძიდან: ვი-დ-რე); არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ამასვე ადასტურებს: ეს არის ზემოთ მითითებული ფორმულა: საიდან სანამდე, რომელიც აქაც გვაქვს: მდინარითგან ვიდრე უცხო-თესლთამდე; ამ ფორმულის მეორე წევრი, როგორც ვთქვით, ყოველთვის ვითარებითში დგას. ბოლოს, ამასვე უჩვენებს იქვე მდგარი სახელის ვითარებითის ფორმა: საზღვრადმდე.

...არა უფლისა ღმრთისა თჳსისათჳს დაეშენნეს მაღალნი ყოველთა მათ ქალაქთა თჳსთა გოდლითგან საებგუროჲთ ვიდრე ქალაქთამდე მათ ძნელთა, 4 მეფ. 17, 9; რამეთუ მიიწია ცად საშჯელი მისი და აღმაღლდა ცათამდე განკითხვაჲ მისი და აღიწია მიმასკულაჲადმდე, იერ. 51, 9; არიელითგან ვიდრე ზემო რქათამდე წყართითა ერთ, ეზეკ. 43, 15; და დაემონნეს მათ და შვილთა მათთა ვიდრე მეფეთამდე სპარსთასა, 2 ეზრა 1, 57. აქ „მეფეთამდე“, რა თქმა უნდა, ვითარებითია. შდრ. ბიბლიის თბილისური გამო-

[1] ამ თანდებულის შესახებ იხ. ა. შანიძის გამოკვლევა: მდე თანდებულის გენეზისისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 4, 1942.

ცემა: ვიდრე **სამეფოდმდე** სპარსეთისა, რუს. თარგმ.: до владычества Персов. მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ამ მრავლობითის ვითარებითში დასმულ საზღვრულს ერთვის აგრეთვე მრავლობითში დასმული მართული მსაზღვრელი (მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების მეოთხე შემთხვევა), რომელსაც მიცემითის ფორმა აქვს: მეფეთამდე სპარსთასა [და არა სპარსთა(დ)], მაგრამ ამაზე ქვევით.

...და სდევდეს უცხო-თესლთა მათ ვიდრე შესლვამდე გეთისა და **ბჳთამდე** ასკალონისათა, 1 მეფ. 17, 52 ლაგ.; ამხილებდეს ერსა ვიდრე **ყოველთამდე**, მიქია 4, 3 ლაგ.; ვიხილე უღმრთოჲ აღმაღლებული **ნაძუთამდე** ლიბანისათა და თანა-წარეჰჴედ და არა იპოვა ადგილი მისი, ზარზმ. 159, 22 (=ფსალმ. 36, 35—6); და ვითარცა აღეშენა შტოჲთურთ ვიდრე **სარკუმელთამდის**, დაილია ოქროჲ იგი, ზარზმ. 180, 12; ვიდრე **მცენარეთამდე**, იპოლ. 5, 101; და მოაელინა სამეოც და ათი სალმობაჲ ჩუენ ზედა თუალთა და ყურთაჲ და ვიდრე **ფერჴთამდე** გუემაჲ, ლიტ. ქრესტ. 8, 1; გიხაროდენ, ყოველთა უზეშთაესო, ვიდრე **საყდართამდე** ცისათა აღმატებულო, იქვე, 15, 10; ხოლო აქუს ქერობინთა ფერჴთაჲთგან ვიდრე **წელთამდე** წესი კაცისაჲ, ეტ. II, 57, 6; იწყე უკუანაჲსკნელთაგან ვიდრე **პირველთამდე**, მ. 20, 8 C; ალი ვითარცა საჴუმილისაჲ აღვიდოდა ვიდრე **ღრუბელთამდე**, წარტყ. 27, 22; ვიდრე **საცხოვართამდე** თავი თჳსი აუწყე და ჰქადაგე, კიმ. I, 200, 12; მსახურთა მათ წარიყვანეს და ეგოდენ ხუეტდეს გუერდთა მისთა ვიდრე **ძუალთამდე**, პარხ. 659 b; თმაჲ თავისა მისისაჲ გარდაკეცილ არს ვიდრე **ბეჭთამდე**, იქვე, 803 a.

თუ ზემოთ განხილული ტიპის სახელებს თან ახლავს რაიმე სახის განსაზღვრება ან ნაწევარი, თანდებული ჩვეულებრივ ამ უკანასკნელთ ერთვის, იშვიათად კი თვით საზღვრულ სახელთან რჩება, მაგალითად:

და მან დასცნა უცხო-თესლნი იგი ...გოდლითგან საებგუროჲთ ვიდრე **ქალაქთა მათმდე** ძნელთა, 4 მეფ. 18, 8; დაიპყრა (=აღაშენა) ნეემია... ვიდრე მტილადმდე დავითისად, **გარდამოსაქანელთა მათმდე** განგებულთა, ნეემია 3, 15; და მისსა ნათესავსა **მიდღეთა მათმდე** ცისათა მსახურებად, ზირაქ 45, 19. აქ მოყვანილ მაგალითებში საზღვრულს ახლავს ორ-ორი განსაზღვრება, თანდებული კი ერთვის იმ განსაზღვრებას, რომელიც უშუალოდ მოსდევს საზღვრულს.

თანდებული საზღვრულს ახლავს და არა მსაზღვრელს შემდეგს შემთხვევებში: ხოლო აკლინეს აქუნდა მასცა ქუეყანაჲ ფრიადი და ერი დიდი და ქალაქნი ძლიერნი მისვე ზღჳს-პირისაგან სალინოჲსა ვიდრე **მთათადმდე ხერხოვანთა** და ქალაქადმდე ტარანტოჲსა, ეტ. II, 25, 6; მოიწია მათ **ანგელოზთამდე**, წარტყ. 12, 23.

ამ უკანასკნელ მაგალითში ნაწევარი წინ უსწრებს სახელს, ამიტომ ასეთ შემთხვევაში შეუძლებელიც იყო თანდებული ნაწევარს დართოდა. თანდებულის გადატანა ნაწევარზე მხოლოდ მაშინ იქნებოდა დასაშვები, თუ ეს ნაწევარი სახელის ბოლოს იქნებოდა მოქცეული, მაგალითად: მოიწია ანგე-

ლოზთა **მათმდე**, სწორედ ისე, როგორც გვქონდა ზემოთ: მიდღეთა **მათმდე** (ზირაქ 45, 19).

როდესაც წინადადებაში ორი სახელია წარმოდგენილი და ორივეს ესაჭიროება თანდებული, იგი ჩვეულებრივ ერთვის ერთ მათგანს, უმეტესად პირველს. ამიტომ ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში ჩვენთვის საინტერესო სახელი არსებითად თანდებულიანია და არა უთანდებულო (ამიტომ მოგვყავს აქ და არა ზემოთ): მოუწოდოს ყოველსა ქუეყანასა მის წინაშე აღმოსავალითგან მზისაჲთ ვიდრე დასავალამდე და **ყოველთა კიდეთა**, მამ. სწავ. (H) 19 v. აქ კავშირი „ვიდრე“ და თანდებული „მდე“ ეკუთვნის ორივე ხაზგასმულ სიტყვას (...ვიდრე ყოველთა კიდეთამდე, ან: ...ვიდრე ყოველთამდე კიდეთა).

დასასრულ, უნდა შევეხოთ ისეთ მაგალითებს, რომლებშიც თ-ა სუფიქსი გაიგივებულია ებ სუფიქსთან, ე. ი. იგი მხოლოდ მრავლობითობის ნიშნად არის მიჩნეული და ბრუნვის ნიშანი დაერთვის, როგორც ებიან ფორმებს. ზემოთ, მოქმედებითთან დაკავშირებით, მსგავს მოვლენაზე იყო საუბარი და აქ აღარ გავიმეორებთ. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

და მოვიდა ვიდრე იუდაჲსადმდე და მიეახლა ვიდრე **ბჱ**თადმდე ერისა ჩემისათა და ვიდრე იერუსალჵმდმდე, მიქ. 1, 9 (ბჱე-თა-დ-მდე = ბჱე-ებ-ად-მდე, შდრ. ვიდრე... **ბჱეთამდე** ასკალონისათა, 1 მეფ. 17, 52 ლაგ.); ...მისვე ზღჳს-პირისაგან სალინოჲსა ვიდრე **მთათადმდე** ხერხოვანთა და ქალაქადმდე ტარანტოჲსა, ეტ. II, 25, 6; ყოველი ესე სისხლი არა შჱამოთ ყოველსავე სამკჳდრებელსა თქუენსა მფრინველთაჲთგან ვიდრე **სატხოვართადმდე**, ლევიტ. 7, 16 (შდრ. ვიდრე **საცხოვართამდე**, კიმ. I, 200, 12); რომელნი-იგი მოსრნა ღმერთმან პირისაგან მამათა ჩუენთაჲსა ვიდრე **დღეთადმდე** დავითისთა, მოც. 7, 45 (Ⴇ რედაქცია; შდრ. იქვე ვარიანტი: ვიდრე **დღეთამდე**); და სცხო მას ჯუარისა ცხოველისა ზეთი თაჳთგან **ფერჴთადმდე** მისა, კიმ. II, 195, 7; და ვიდრე ყოველთა **დაბადებულთადმდე** განჴდა სიმჴნჱ იგი ნეტართაჲ მათ, სვან. 440 ს.

მოქმედებითისა და ვითარებითის ისეთი ფორმები, როგორიცაა **ფერჴთა-ჲთ-გან** და **ფერჴ-თა-დ-მდე**, ჩვენი აზრით, უბრალო ანალოგიით არ უნდა აიხსნებოდეს. აქ არის ენის ძლიერი მისწრაფება, უფრო გასაგები გახადოს ესა თუ ის ფორმა, ქართული ენის ბუნებას დაუქვემდებაროს გრამატიკული ნორმები, სახელდობრ: ყოველ გრამატიკულ კატეგორიას ჰქონდეს თავისი საკუთარი აფიქსი, ყოველ აფიქსს მხოლოდ ერთი ფუნქციის შესრულება ეევალებოდეს, როგორც ჩვენ გვაქვს ჩვენი ენის მთელ ფრონტზე. ზემოთ მოყვანილი მაგალითების დამწერისათვის, უეჭველია, ხაზგასმულ სიტყვებში თ-ა მხოლოდ მრავლობითობის ნიშანი იყო და მასთან არ იყო დაკავშირებული ამა თუ იმ ბრუნვაზე მითითება; ბრუნვებს იმის შეგნებაში **ჲთ** და **დ** სუფიქსები გამოხატავდა; ან, უკეთ რომ ვთქვათ, ბრუნვების გამოსახატავად მან **ჲთ** და **დ** სუფიქსები დაურთო. სხვა საკითხია, თუ რატომ მაინცდამაინც მოქმედებითსა და ვითარებითში ხდება ასეთი ამბები და არა სხვა ბრუნვებში; ხომ არა აქვს ამ საქმეში რაიმე წილი თანდებულებს? ეს ცალკე კვლევას

მოითხოვს. ფაქტი კი ისაა, რომ დაწყებულია ამხედრება თ-ა სუფიქსის განუყოფელი ბატონობის წინააღმდეგ, უპირატესობას აძლევენ ებიანი მრავლობითის სისტემას. შემდეგ და შემდეგ ბრძოლა ამ ორ სისტემას შორის თანდათან ებიანი ფორმების უპირატესობით წარიმართა და მისივე გამარჯვებით დასრულდა. ახალ ქართულში, როგორც ვიცით, თითქმის მთელი პოზიციები ებიან მრავლობითს უჭირავს, თანიანი მრავლობითი აქა-იქ არის შემონახული, ისიც ან ძველი ქართულიდან ნაშთის სახით დარჩენილსა და ან საერთოდ უპერსპექტივო ფორმებში[1]. იყო კიდევ სხვა გარემოებანი, რომელთაც ხელი შეუწყვეს ებიანი ფორმების გაბატონებასა და თანიანი ფორმების თანდათან გაძევებას სალიტერატურო ენიდან. ამ გარემოებებზე ჩვენ გვექნება საუბარი.

აქ ჩვენ კიდევ უნდა შევეხოთ ორ საკითხს:

1) როგორ გამოიხატებოდა წრფელობითი ბრუნვა მრავლობითს რიცხვში? და

2) როგორ, რა საშუალებებით ახერხებდა ენა მოქმედებითში (და ვითარებითში) მრავლობითობის გამოხატვას, თუ ჩვეულებრივ თანიანი მრავლობითით მისი გადმოცემა გაჭირვებით ხდებოდა?

ვუპასუხოთ მოკლედ ამ კითხვებს.

1) როგორც აღნიშნული გვქონდა, წრფელობითი ერთ-ერთი უძველეს ბრუნვათაგანია. სახელობითი ბრუნვა, რომელმაც შეცვალა შემდეგ წრფელობითი, ქარგა მოგვიანებით წარმოიქმნა წრფელობითიდან. სახელობითის ჩამოყალიბებამდე წრფელობითი ასრულებდა იმ ფუნქციებს, რომლებიც შემდეგ საელობითს დაეკისრა. და მაინც ამ წრფელობითს (გრამატიკული) რიცხვი არ უნდა ჰქონოდა, მას არ გააჩნდა ფორმა, რომელიც სიმრავლეს გამოხატავდა. მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ფორმანტი ნ (←ენ), რომელიც ძველ ქართულში გვხვდება საელობითთან, შედარებით გვიანდელი წარმოშობისაა და თავისი ხნოვანობით სახელობითს უტოლდება, სახელობითი და ეს ნ (ენ) ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან. ამიტომ ამაო იყო ნ. მარის ცდა სახელობითი და ეს ნ (ენ) ერთმანეთისაგან გაეთიშა: „Показатель множественности н сам по себе не связан органически с именительным падежом“[2]. ნ. მარს ასეთი განცხადება დასჭირდა იმისათვის, რომ მას პირის ნაცვალსახელებში ჩუენ, თქუენ სიმრავლის აღმნიშვნელი ეს ნიშანი დაენახა: ჩუ-ენ, თქუ-ენ: „С предшествующим гласным э в форме окончания-эн он в личных местоимениях выражает не только Им., но и Р., D и D[II]:

---

[1] ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 1—2, 1941, გვ. 200.

[2] ნ. მარი, Грам., გვ. 37.

ჩუ-ენ мы, наС, нам
თქუ-ენ вы, васС, вам“ [1].

მაგრამ რომ ეს დებულება სწორი არ არის, ჩანს იქიდან, რომ ასეთი „სიმრავლის აღმნიშვნელი“ ენ შეიძლება ნაცვალსახელთა მხოლობითი რიცხვის (!) ფორმებშიც გამოიყოს: მ-ენ [2], შ-ენ. ამათი გამოცხადება მრავლობითად კი შეუძლებელია. გარდა ამისა, არსებობს ამ სიტყვების დაშლის სხვა, სწორი ცდა: „დიალექტებში შენახული მენა სრული ანალოგონია შენა-სი და მრავლობითის ჩვენა და თქვენა-სთან ერთად საბუთს იძლევა ყველგან გამოიყოს სადეტერმინაციო -ნა- ელემენტი; უამელემენტოდ გვექნებოდა: მე-, შე-, ჩვე-, თქვე-. ამათგან გარკვეულს პირობებში იხმარება შე-, თქვე- („შე კაი კაცო!“ „თქვე დალოცვილებო!“), მე- სალიტერატურო ქართულში მხოლოდ უ-ნ-ოდ იხმარება, ჩვე- სრულებით არ გვხვდება“ [3]. მაშასადამე, თუ ნ. მარის ეს დებულება სინამდვილეს არ შეესაბამება, რჩება ერთადერთი შესაძლებლობა: მრავლობითობის ნ (ენ) ნიშანი მხოლოდ სახელობითს დაეუკავშიროთ [4]. გამოდის, რომ მანამ, სანამ სახელობითი წარმოიქმნებოდა, არც გექონია ნ (ენ), როგორც ნიშანი სახელების მრავლობითობის გამოხატვისა.

მაგრამ მაშინაც ხომ იყო საჭიროება სახელების (სუბიექტის, ობიექტის) მრავლობითობის გამოხატვისა? როგორ ახერხებდა ამას ენა?

გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელობითის ჩამოყალიბებამდე, ე. ი. სანამ ნ სუფიქსი დამკვიდრდებოდა სახელების მრავლობითობის გამოსახატავად, ამ ფუნქციას თ ასრულებდა. ეს მოსაზრება ეყრდნობა იმ დებულებას, რომ ზმნებში მრავლობითობის საწარმოებლად გვაქვს იგივე თ სუფიქსი არა მარტო იმ შემთხვევებში, როცა მასთან შეწყობილი სახელი მოთხრობითში იგულისხმება (ჩუენ ვიცი-თ, თქუენ იცი-თ, ჩუენ ვყავ-თ, თქუენ ჰყავ-თ), არამედ მაშინაც, როცა ასეთი სახელი სახელობითში (ძველ წრფელობითში) არის მოსალოდნელი: ჩუენ ვარ-თ, თქუენ ხარ-თ. ამის მიხედვით ჩანს, რომ თ-ს ფუნქციები სახელებში შეიზღუდა, ზმნებში კი ისევ ძველებურად დარჩა. მაშასადამე, თავდაპირველად ასეთ შემთხვევებში სახელის მრავლობითობა წრფელობითსა და მოთხრობითში თ-ს უნდა გამოეხატა, ეთქვათ, ასე: კაც-თ ვარ-თ, კაც-თ ხარ-თ [5].

---

[1] იქვე. სხვა ნაშრომში (Эфетическое названия деревьев и раст.) ნ. მარს სიმრავლის აღმნიშვნელი ეს ე (ენ) და, მასთან ერთად, ებ-იც სხვა ენებიდან ნასესხებ ფორმანტებად მიაჩნდა, ხოლო მრავლობითობის მკვიდრ ქართულ ნიშანს ს (ზ)-ში და იქიდან გამომდინარე ბგერებში (თ...) ხედავდა (НАН, 1915, გვ. 769).

[2] რომელნი მომცენ მენ. ი. 17, 11 D (არის დიალექტებშიც).

[3] ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936. გვ. 72.

[4] ნ წოდებითში (კაც-ნ-ო) ძალზე გვიანდელი მოვლენაა და შესწულია სახელობითიდან. თვითონ სახელობითი ერთ დროს წოდებითის ფუნქციასაც ასრულებდა. ნ. ამაზე ზემოთ, გვ. 79 — 80.

[5] ა. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იბერ.-კავკ. VI, 1954, გვ. 74.

მაგრამ ეს მოსაზრება მაინც მოსაზრებაა, რომელსაც სხვა ფაქტებითაც ესაჭიროება შემაგრება. თვით ზემოთ აღნიშნული მაგალითის (კაც-თ ვარ-თ) მსგავსი რამ კი ნაშთის სახითაც არაა ცნობილი არც ძველსა და არც, მით უმეტეს, ახალ ქართულში.

ასეთია სავარაუდებელი ვითარება უძველეს ქართულში. რა მდგომარეობაა ძველ ქართულში? აქ წრფელობითში მდგარი სახელის მრავლობითობაზე წარმოდგენას გვაძლევდა

ა) რიცხვითი სახელები (რაოდენობითი და განუსაზღვრელი) და

ბ) თვით ზმნა.

ა) პირველ შემთხვევაში რიცხვითი სახელი დაერთოდა არსებითს სახელს წინ და ის უჩვენებდა სიმრავლეს (გარკვეულს, კონკრეტულს) და ორივე მათგანი წრფელობითს ბრუნვაში იდგა: ორ კაც, სამ ყრმა, შჳდ ძმა, ათორმეტ წელ, ოთხ ათას მამაკაც და სხვა. ამ შემთხვევაში არა არსებითი სახელის ფორმა, არამედ რიცხვითი სახელის ფუძე, მისი შინაარსი იძლეოდა გარკვეულ სიმრავლეზე წარმოდგენას; ზმნა რიცხვითი სახელისა და ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული არსებითის შინაარსს აქცევდა ყურადღებას და ამის მიხედვით უთანხმდებოდა მას მრავლობითს რიცხვში. ამიტომაა, რომ გვაქვს ასეთი ფორმები: აწ იყვნეს ჩუენ თანა შჳდ ძმა, მ. 22, 25. აქ „იყვნეს" იმიტომ გვაქვს, რომ „შჳდის" შინაარსი იძლევა ამის საფუძველს. მსგავსი მაგალითებია: ორ კაც გამოჩნდეს, ლ. 24, 4 Ⴑ. სხვა ხელნაწერებში ამის ნაცვლად გვაქვს: ორ კაც ზედა მოადგეს (DEF და სხვა); არიან სამ ყრმა, კიმ. I, 46, 32; არიან ორ დანაკ, ლ. 22, 38 და სხვა [1].

---

[1] რიცხვითი სახელებიდან ცალკე უნდა გამოიყოს „ერთ", რომელიც განუსაზღვრელ ნაწევრად ითვლებოდა და მასთან მდგომი სახელიც მუდამ მხოლობითს რიცხვში იყო წარმოდგენილი. ეს „ერთ" მხოლობითისათვის იყო განკუთვნილი, ყველა დანარჩენი რაოდენობითი რიცხვითი სახელი—მრავლობითისათვის. ამ „ერთ"-თან დაკავშირებით უნდა ითქვ.ს, რომ ამ მხრივ ჩვენ სრული მსგავსება გვაქვს იმ ენებთან, სადაც ასეთი ნაწევრები არსებობს. შდრ., მაგალითად, გერმ. ein (=ერთი) და ein Mann, სადაც (უკანასკნელი) „ein" ისეთივე განუსაზღვრელი ნაწევარია, როგორც ჩვენი „ერთ" (იყო კაც ერთ მდიდარ, მოვალს დედაკაც ერთ). ასეთივეა აგრეთვე ინგლ. a, an, რომელიც one-დან (=ერთი) მომდინარეობს.

არ იქნება ინტერესმოკლებული აღინიშნოს, რომ „ერთ"-ს მნიშვნელობით უდრის აგრეთვე „ოდენ", რომელთანაც ასევე ძალზე დამახასიათებელია წრფელობითი ბრუნვის ხმარება, მაგალითად: და იყო ვითარ ეჭუს ყამ ოდენ, ლ. 23, 44 Ⴑ; ათხუთმეტ ოდენ უტევან, ი. 11, 18; ორას წყრთა ოდენ, ი. 21, 8; იყვნეს ფარანელნი იგი ორას ოდენ კაც, ისტ. ქრესტ. 210, 16 და სხვა.

ეს „ერთ" და „ოდენ", მაშასადამე, განუსაზღვრელობას, მხოლოობას ანიჭებს სახელს და, ცხადია, განსაზღვრული სახელი და მრავლობითი რიცხვი არ შეიძლება ვიხმაროთ მათთან. ამ მხრივაც კარგად უდგება ის სხვა, ასეთი ნაწევრების მქონე ენებს. შდრ., მაგალითად, გერმ. es war einmal ein Mensch, მაგრამ: waren Menschen; ინგლ. there was a man, მაგრამ: there were men.

როდესაც საჭირო იყო ამა თუ იმ სახელის არა კონკრეტული რაოდენობის წარმოდგენა, არამედ საერთოდ სიმრავლის გამოხატვა, რაოდენობითი რიცხვითი სახელების ნაცვლად განუსაზღვრელი რიცხვითი სახელები **მრავალ, ბევრ** (დღევანდელი გაგებით) იხმარებოდა: გესხნეს **ბევრ** მზარდულ, არამედ არა **მრავალ** მამა, 1 კორ. 4, 15. სწორედ ამიტომაა, რომ რიცხვითს სახელებთან არსებითი სახელები უძველეს ტექსტებში წრფელობითს ბრუნვაში დგას. აღსანიშნავია ისიც, რომ რიცხვითი სახელები ჩვეულებრივ (იშვიათი გამონაკლისით) წინ დგას, არსებითი — შემდეგ (პირველადი რიგი).

რიცხვითი სახელების არსებითთან ასეთი დამოკიდებულება ჩვენ უფრო პირვანდელ სახედ მიგვაჩნია; პირვანდელია როგორც რიგი (ორ კაც), ისე ფორმა (წრფელობითშია ორივე)

აქ დავუმატებთ კიდევ საჭირო მოწმობებს ძველი ტექსტებიდან: რომელი შორავს იერუსალიმსა ას სამეოც ასპარეზ, ლ. 24, 13 C; შთაისხის თითოეულმან მათგანმან ორ ანუ თუ სამ საწყაულ, ი. 2, 6 C; რამეთუ ხუთ ქმარ ცვალებულ არს შენდა, ი. 4, 18 C; პოვნეს ათას კაც, ძვ. ქართ. კრესტ. 47, 20; ხუთ სტოვა იყო, ი. 5, 2; მრავალ სადგურ არს, ი. 14, 2 C; სავანე მრავალ არიან, იქვე, DE; მრავალ სხუაცა სასწაულ ყო, ი. 20, 30 C; ეშმაკეულებ მრავალ, მ. 8, 16 C; გარე-მომადგეს მე ძაღლებ მრავალ, კიმ. I, 122. 24 და სხვ.

აქ წარმოდგენილი მასალიდან დიდი ნაწილი ისეთია, რომელიც რაიმე ზომას, ერთეულს თუ საწყაულს გამოხატავს. წრფელობითი ბრუნვის ხმარება ასეთ შემთხვევებში ძველ ქართულში ძალზე გავრცელებული მოვლენაა. თუ დამოკიდებული წინადადების ის სახელი (ქვემდებარე, დამატება), რომლის რაოდენობაც (თუ ზომა) უნდა გადმოსცენ, ნაცვალსახელით არის გამოხატული, აღნიშნული რიგი ირღვევა: გამოვიდა სიმონ-პეტრე და გამოითრევდა ბადესა მას ქუეყანად, სავსესა დიდ-დიდითა თევზითა, რომელი იყო ას ერგასის და სამ, ი. 21, 11. ეს მოხდა იმისთვის, რომ „თევზის“ განმეორება თავიდან აეცთინათ.

ახლა ასეთი საკითხი: როგორ უთანხმდება ზმნა ასეთ სახელს რიცხვში? არჩევანი თავისუფალია: შეიძლება მხოლობითში, შეიძლება მრავლობითში. პირველის ნიმუში იქნებოდა: „ხუთ ქმარ ცვალებულ **არს** შენდა“, „მრავალ სადგურ **არს**“; მეორე სახეობისათვის გამოდგებოდა: „სავანე მრავალ **არიან**“, „**პოვნეს** ათას კაც“.

თავდაპირველად მხოლოდ პირველი სახეობა უნდა გვქონოდა და, მაშასადამე, მეორე სახეობა მეორეული, შემდეგ განვითარებული მოვლენაა.

ბ) მეორე შემთხვევაში არსებითს სახელს, რომლის სიმრავლეც უნდა აღნიშნულიყო, არ ახლდა რიცხვითი სახელი, მაგრამ ზმნა მის **შინაარსს**, აზრს უწევდა ანგარიშს და ასეთი სახელის მრავლობითობას საკუთარი ფორმით აღნიშნავდა. ეს უძველესი მდგომარეობა ძველ ქართულში ისეთი სახელების სახით შემოგვრჩა, რომელნიც თავიანთი ფუძით, ე. ი. კვლავ შინაარსით, ბუნებრივად, თავისთავად სიმრავლეს (ერთზე მეტ რაოდენობას, ჩვეულებრივად ორს) შეიცავს. ასეთია, პირველ ყოვლისა **თუალ** და **ყურ-**

აქის მაგალითებია: თუალ გასხენ, მრ. 8, 18; თუალ უგიან, თეკლ. 95, 31; თუალ-ვახუნე კაცთა, იპოლ. 7, 20; თუალ-უყენა, ი. 13, 24 C; ყურ გადგან, მრ. 8, 18 C და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში **ორი** (ე. ი. მაინც სიმრავლე) **შინაგანად**, სახელის **ფუძის** მიხედვით იგულისხმებოდა. მაშასადამე, აქაც არსებითად **აზრის** მიხედვით ხდებოდა სახელის მრავლობითობის გამოხატვა ზმნის ფორმაში.

მაგრამ ჩვენ დარჩენილი გვაქვს ისეთი უძველესი მდგომარეობის კვალი, სადაც არც ეს **შინაგანი**, თავისთავადი სიმრავლე იგულისხმებოდა, მაგრამ ზმნა მაინც აღნიშნავდა სახელის მრავლობითობას. ამის გადმონაშთებია: **არიან საჭურის**, რომელნი დედის მუცლითგან იშვნეს ეგრეთ, და **არიან საჭურის**, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს, და **არიან საჭურის**, რომელთა **საჭურის იქმნეს** თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა, მ. 19, 12 C. „საჭურის არიან“ უძველესი დროის გადმონაშთია, როცა არ იყო სახელობითი, მაშასადამე, **-ნ** (**ენ**) მრავლობითობის ნიშანიც, და სიმრავლეს ასეთ შემთხვევებში ზმნა აღნიშნავდა. ნარიანი ფორმები, რომლებიც ამ წინადადებაში გვხვდება (რომელნი, თავნი, თჳსნი), რასაკვირველია, მერმინდელია და არა უძველესი. საჭიროა აღინიშნოს, რომ ოთხთავის ყველა სხვა ვერსიაში, ძველსა თუ ახალში, ეს ადგილი ასეა გადმოცემული: „არიან საჭურისნი“, რაც, ცხადია, უფრო გვიანდელი ნორმების მიხედვითაა გაკეთებული: სახელობითის გადამჭრელი გავლენა აქ კარგად ჩანს. უფრო ძველი მდგომარეობის ძვირფასი გადმონაშთი მხოლოდ ადიშის ოთხთავმა შემოგვინახა.

მაგრამ ამ უძველესი მოვლენის კვალი ძარტო ამ ერთ მაგალითში რომ გვაქვს შემონახული. ასეთივე ხასიათისაა ეს მაგალითიც: და სხუაცა **ცხოვარ არიან**, ი. 10, 16 C, რომელიც სხვა რედაქციებში ასეა გადმოცემული: და სხუანიცა **ცხოვარნი მიდგან** (DE და სხვ.).

თუ არ ამნაირი შინაარსის ჩადებით, სხვა მხრივ შეუძლებელია აიხსნას ზმნისა და სახელის რიცხვში დამოკიდებულება ამ მაგალითშიც: რომელთა **ესხნენ ცოლ**, 1 კორ. 7, 29: როგორ შეიძლება ითქვას **ესხნენ ცოლ**? ძველი ქართული ნორმა ხომ ასეთია: ესხნენ ცოლნი, ესუას ცოლი? ძველი ქართულის ნორმა ასეთია, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ფორმა (ესხნენ ცოლ) **უძველესი** ქართულის გადმონაშთია და არა ძველი ქართულის გამოხატულება: აქ ჩვენ შემონახული გვაქვს, თუ შეიძლება ასე ითქვას, წრფელობითის განუყოფელი ბატონობის ხანის ნორმა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ზმნამ („ესხნეს“) კიდევ დიდხანს შემოინახა იმ უძველესი ხანის ეს დამახასიათებელი თვისება მხოლობითშიც:

ა) ადამიანთათვის — **ვ** || **სუ**: არა **მივის** მე **ქმარ**, ი. 4, 17 C; არა ესუა მას **შვილ**, მ. 22, 25 C.

ბ) სხვათათვის—**დგ**: რომელთა **სულ** არა **უდგს**, Опис. 114, 15. შდრ. **საცხოვარ** თუ **გედგნენ**, ჰღუწოდე მათ, ზირაქ 7, 24. „საცხოვარ“ მხოლობითშია, მაგრამ ზმნა მასთან შეთანხმებულია მრავლობითში. ეს არა მარტო იმიტომ, რომ „საცხოვარ“ კრებითი სახელია, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ „ედგა“-სთან წრფელობითი იხმარება ჩვეულებრივ და მას (წრფ.) აზრის,

შინაარსის მიხედვით ეთანხმება ზმნა მრავლობითს რიცხვში. ასეთი მაგალითებია კიდევ:

შვილ თუ გესხნენ, განისწავლნენ იგინი და მოდრიკე სიყრმითგანვე ქედი მათი, ზირაქ 7, 25; **ისხენთ** ღათუ **შვილ**, ნაშობნი იგი თქუენნი ნაკლულეანვე იყუნენ, იქვე, 41, 12; და **გესხნეს** შენ **მწყემს** მრავალ, იერ. 3, 3; **შვილ** არა **გესხნესა** თქუენ, ძვ. ქართ. კრესტ. 87, 11; **შვილ ვისხენ**, იქვე, 47, 29; რამეთუ სულსა **ჯორც** და **ძუალ** არა **ასხენ**, ლ. 24, 39;[1] **შვილ უსხნა**, Опис. 106, 23.

ასეთივე ხასიათისაა აგრეთვე ამ ფუძის შემცველი რთული ზმნები, რომლებშიც თავიდანვე წრფელობითში წარმოდგენილი სახელი პირდაპირი ობიექტი იყო, მაგალითად: **ალჯრ-ასხნა**, კიმ. I, 58, 21; სას. პოეზ. 164, 8; **თუალ-უყვნა**, ი. 13, 24 C; **წამ-უყვნა**, ი. 13, 24 და სხვა.

აქ მოყვანილ მაგალითებში წრფელობითი ბრუნვა გარდაუვალ ზმნებთან ქვემდებარეს გამოხატავს (შვილ გესხნესა), ხოლო გარდამავლებში — პირდაპირ დამატებას (შვილ ვისხენ).

დიდ ინტერესს წარმოადგენს ის გარემოება, თუ რატომ არ შეიძლება მრავლობითში იდგეს არსებითს სახელთან წარმოდგენილი ნაწევარი, რატომ გვაქვს „კაც-**ნ**-ი იგი“ და არა „კაც-**ნ**-ი იგი-**ნ**-ი“. ჩვენ აქაც მრავლობითი რიცხვის წარმოების ძველი სახე გვეჩვენება: ნაცვალსახელებია ძველი მდგომარეობა უფრო დიდხანს შეინარჩუნეს.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ შემდეგიც:

აქ წარმოდგენილი იყო ისეთი მაგალითები, როცა წრფელობითი ბრუნვა ქვემდებარეს ან პირდაპირ დამატებას გამოხატავდა. სხვა შემთხვევებზე, როცა წრფელობითი ბრუნვა შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად არის გამოყენებული, აღარ გავაგრძელებთ საუბარს. რადგან აქ მას მით უმეტეს არ გააჩნია მრავლობითი რიცხვი, მაგალითად: რამეთუ **ერთ-ზრახვა**, **ერთ-სულ** და **ერთ-ნება** იყუნეს იგინი, ხანძთ. 118, 3; რომელნი იყუნეს კეთილად **ღმრთის-მსახურ**, წმიდათა ეკლესიათა **ალმაშენებელ**, ბარბაროზთა ბანაკსა **დამარღუეველ**, ქეშმარიტთა ქრისტეანეთა **სიქადულ** და მოწესეთა **სიხარულ**, იქვე, 146, 38.

აქვს თუ არა წრფელობითს **ებიანი** მრავლობითი? **ებიან** მრავლობითზე ქვემოთ ცალკე გვექნება ლაპარაკი და ვრცლად შევჩერდებით ამ და **ებიან** ფორმებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. აქ აღვნიშნავთ მოკლედ, რომ წრფელობითს **ებიანი** მრავლობითი აქვს და იგი ძალიან გავრცელებულია ძველ ქართულში, მაგალითად: გარე-მომადგეს მე **ძალლებ** მრავალ, კიმ. I, 122, 24; ვიქმნეთ მტუერ და **ძუალებ** განჯძელ, იქვე, 300, 22; მრავალ **ასონებ** აქუს, 1 კორ. 12, 12; თქუენ იყვნეთ ჩემდა **ძეებ** და **ასულებ**, 2 კორ.

[1] „ასხენ“ აქ, რა თქმა უნდა, იმიტომ კი არა გვაქვს, რომ ქვემდებარედ ორი სახელია წარმოდგენილი: „ჯორც“ და „ძუალ“, არამედ იმიტომ, რომ თითოეულ მათგანში ამის დამწერი ერთხე მეტს გულისხმობდა, იგ მრავლად წარმოედგინა (შდრ. შვილ არა გესხნესა).

6, 19; იყვენით თავებისა თქუენისა **მეგობრებ**, ლ. 16, 9 C; რასაღა გჳმან **მოწამებ**, მრ. 14, 63 C და სხვ.

რომ წრფელობითს მოეპოვება ებიანი მრავლობითი, პირველად ეს ნ. მ ა რ ს აქვს აღნიშნული თავის ტაბულებსა[1] და გრამატიკაში[2]; შემდეგ ეს დადასტურებული აქვს „ძველ ქართულ ენაში" ა. შ ა ნ ი ძ ე ს აც, რომელსაც, გარდა ამისა, გარკვეული აქვს, თუ რა შემთხვევაში გვხვდება ასეთი ფორმები[3].

მაგრამ ნ. მარს აღნიშნული აქვს ისიც, რომ წრფელობითს ბრუნვას ნარიანი მრავლობითიც მოეპოვებაო. მართალია, მას სათანადო მაგალითები მხოლოდ თანხმოვანფუძიანი სახელებიდან მოჰყავს და იმასაც ფრჩხილებში სვამს (კაც-ნ, უფალ-ნ, სოფელ-ნ)[4], მაგრამ მაინც შეუძლებელია ამ დებულების გაზიარება: მსგავსი მაგალითები ძველ ქართულში არ მოიპოვება[5].

ა. შ ა ნ ი ძ ეს ეს ფორმა, რასაკვირველია, არ შეუტანია თავის შრომაში. ის ამის შესახებ შემდეგს უარყოფითს დასკვნას იძლევა: „ძველის-ძველ ტექსტებში ებიანი მრავლობითი უფრო ხშირად წრფელობითში გვხვდება (ძეებ, ასულებ, სენაკებ, სოფლებ და მისთ.), **რადგანაც ეს ფორმა ნარიან მრავლობითს** არ გააჩნდა"[6].

ხევსურულ კილოში ბლომად გვხვდება მსგავსი ფორმები: რო თავზე **ფლახნ** დაგხურნეს (137, 10)[7]; **მენადირენ** ერთად წავიდეს (197, 12); ბევრ **სამ-სამნ** გაწყდეს ძმანია (222, 32), მაგრამ ამ ფორმებში ინი შემდეგაა დაკარგული, როგორც ეს გვაქვს მხოლობითის ფორმებში, და ფორმა არსებითად სახელობითისაა. ისე კი უნდა ითქვას, რომ როცა ნ. მარი „კაც-ნ", „სოფელ-ნ" ფორმებზე მსჯელობდა, ხევსურულის ეს (თუ სხვა მსგავსი) მასალები არ ჰქონია მხედველობაში; მას ეს მაგალითები უფრო თეორიულად აღდგენილ ფორმებად მიაჩნდა. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ასეთი დაშვება თეორიულადაც შეუძლებელია.

2) ახლა მოკლედ უნდა ვეპასუხოთ მეორე კითხვას, თუ როგორ, რა საშუალებებით ახერხებდა ენა მოქმედებითსა (და ვითაობითში) მრავლობითობის გამოხატვას, რაკი ვიცით, რომ თანიანი მრავლობითით მისი გადმოცემა გაჭირვებით ხდებოდა. აქ გამოყენებული იყო სამი საშუალება:

---

[1] OT, ტაბ. VII.

[2] Грам. გვ. 36, 40, 49, 51, 52, 53.

[3] ძვ. ქართული ენა, 287, შნშ. 2.

[4] ნ. VII ტაბულა. ხოლო თავის გრამატიკაში წრფელობითის ეს ფორმა (კაც-ნ) ფრჩხილებს გარეთაც აქვს გამოტანილი (Грам. გვ. 37, 40).

[5] ერთადერთი შემთხვევა, სადაც მსგავსი ფორმაა წარმოდგენილი, ჩვენ შეგვხვდა პარხლის ოთხთავში, სადაც სწერია: ხოლო რომელთა ჰამეს, იყვნეს ოთხ ათას მამან ხოლო თჳნიერ ყრმებისა და დედებისა, მ. 15, 38 E. მამან კიდეც რომ არ იყოს lapsus calami. მაინც ძნელია მხოლოდ ეოთეულ შემთხვევაზე დაყრდნობით ასეთი დიდი დებულების წამოყენება.

[6] ძვ. ქართ. ენა, გვ. 287, შნშ. 2.

[7] ბ. გ ა ბ უ რ ი, ხევსურული მასალები; ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით: წელიწდეული, 1923 — 24.

ა) ერთი თვით თანიანი მრავლობითი იყო. ავად, თუ კარგად ენა იშვიათად, მაგრამ მაინც მიმართავდა ამ საშუალებას. ძალზე იშვიათად ეს უთანდებულო ფორმებით იყო გადმოცემული, შედარებით მეტად — თანდებულით (გან). ამის მაგალითები ზემოთ იყო მოყვანილი[1] (ჭურჭერთა მათთა = ჭურჭრებითა მათითა, უკუანაჲსკნელთაგან = უკუანაჲსკნელებითგან) და აქ ალარ გავიმეორებთ.

ბ) მეორე გზა იყო პირდაპირ მხოლობითი რიცხვის გამოყენება. რაკი ენას ჩვეულებრივ არ შეეძლო მოქმედებითისათვის (და ვითარებითისათვის) თანიანი ფორმის აღება, იგი სახელის რიცხვის ფორმით გამოხატვაზე ხელს იღებდა და მარტივად მხოლობითს რიცხვს მიმართავდა, რომელშიც მრავლობითის შინაარსს დებდა, რაც შემდეგ კონტექსტით მეღავნდებოდა. ამის მაგალითებით სავსეა ძველი ქართული. გაიხედავთ, და თქვენ წინაშეა მხოლობითი რიცხვის ფორმა, მაგრამ იქვე ტყობილობთ, რომ მასში მრავლობითის შინაარსია ჩადებული, რაც იქვე ირკვევა კონტექსტით, ან, თუ არსებობს, ამ ადგილის სხვა ენებზე თარგმანით, ეს გზა არ იყო უცხო ქართული ენისათვის. არსებითად ასეთივე იყო ის მაგალითები, რომელთაც ჩვენ ზემოთ წრფელობითის მრავლობითზე საუბრისას ვიხილავდით (შდრ. შვილ თუ გესხნენ, საცხოვარ თუ გედგნენ, რომელთა ესხნენ ცოლ და სხვ.). მაშასადამე, აქაც იმნაირადვე დგას საკითხი: სახელის ფორმა ვერ გამოხატავს მრავლობითს, ეს მრავლობითი შინაარსით იგულისხმება და კონტექსტში ჩანს. უველაზე ხშირად ასეთი ფორმები ურთ თანდებულიანი სახელების გამოყენებისას გვხვდება. ამის კარგი ნიმუშია სახარების სიტყვა მოწაფე, რომელიც იესუს 12 მოწაფეს გულისხმობს და ამიტომ მრავლობითში უნდა იყოს წარმოდგენილი. სხვა ბრუნვებში მართლაც ასეა: მოწაფენი, მოწაფეთა (მოთხ. მიც., ნათ.), მოწაფეთა თანა, წინაშე მოწაფეთა, მაგრამ გახდება თუ არა საჭირო მოქმედებითი, ენა ერთბაშად ცვლის გეზს და მხოლობითის ფორმით კმაყოფილდება. მაგალითად: ხოლო იესუ მოწაფითურთ განეშორა მათგან და მივიდა ზღუს-კიდედ, მრ. 3, 7. აქ „მოწაფითურთ", რასაკვირველია, ნიშნავს „მოწაფეებით", რასაც ამტკიცებს იქვე ნათქვამი: ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა (მრ. 3, 9). რაკი მოწაფეებს უთხრა, ცხადია, ამ მოწაფეებით განშორდა ის ფარისევლებს. ზემოთ თქმულს ადასტურებს აგრეთვე ამ ადგილის თარგმანი სხვა ენებზე, მაგალითად: ბერძნ. μετὰ τῶν μαθητῶν αὐτοῦ, სომხ. *աշակերտօքն իւրովք*, რუს. с учениками своими, გერმ. mit seinen Jüngern და სხვ. ეს ოთხთაეში ერთადერთი მაგალითი სრულებით არ არის. ასეთივე შინაარსისაა მოწაფითურთ კიდევ შემდეგს მაგალითებშიც: აღჴდა ნაესა მოწაფითურთ თჳსით, მრ. 8, 10 C; მოუწოდა ერსა მას მოწაფითურთ თჳსით, მრ. 8, 34 C; ვითარ გამოვიდოდა იერიქოჲთ მოწაფითურთ თჳსით. მრ. 10, 46 C; მრავალ-გზის მისრულ იყო მუნ იესუ მოწაფითურთ თჳსით. ი. 18, 2 C; შენ თანა ვყო ენებაჲ ესე მოწაფითურთ ჩემით, მ. 26, 18 CD. უვე-

[1] ნ. გვ. 272 — 276.

ლა ამ მაგალითში მრავალი (ჩვეულებრივ 12) მოწაფე·იგულისხმება, თუმცა სახელის ფორმა ყველგან მხოლობითისაა.

ასეთი მდგომარეობა მარტო ამ სიტყვაში როდია. საჭირო შემთხვევაში ასეთსავე პირობებში შეიძლება აღმოჩნდეს ყველა სახელი. აქ ვუჩვენებთ კიდევ რამდენიმეს: მოვიდა დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ **ძითურთ** თჳსით, მ. 20, 20 C. რომ ამ სიტყვასაც მრავლობითის შინაარსი აქვს, ეს ჩანს DE-ს ჩვენებით: მაშინ მოუჴდა იესუს დედაჲ იგი **ძეთა** ზებედესთაჲ **ძეთა** თანა თჳსთა. **ძეთა** მრავლობითია, მაშასადამე, **ძითურთ თჳსით** აგრეთვე მრავლობითს გულისხმობს. ქვევით C-შიც ლაპარაკია „ძეთა“ შესახებ: რაჲთა დასხდენ **ორნი ძენი ჩემნი**, ერთი მარჯუენით შენსა და ერთი მარცხენით შენსა, მ. 20, 21 C. ეს ორი შვილი იყო, როგორც სხვა ადგილიდან ჩანს, იოვანე და იაკობ. მრავლობითშია ეს სიტყვა სხვა ენებზე არსებულ თარგმანებშიც, მაგალითად: с сыновьими своими და სხვ.

...იქმოდე შენ ჭეუყანასა **ძითურთ** შენით და **მონითურთ**, 2 მეფ. 9, 10. ხაზგასმული სიტყვები აქაც მრავლობითში იგულისხმება, რადგანაც ქვემოთ ტექსტიდან ვტყობილობთ, რომ „სიბას ესხა ათხუთმეტ ძე და ოც მონა“ (იქვე).

...ზედა-მიუჴდეს მას მღდელთ-მოძღუარნი იგი და მწიგნობარნი **მოხუცებულითურთ**, ლ. 20, 1. შდრ. со старейшинами და სხვ. ეს სახელი ამ შინაარსითაა ნახმარი აგრეთვე თეკლას მარტვილობაშიც: აღიმსთო განთიად და მივიდა სახედ ონესიფორესა **მოხუცებულითურთ** და სხჳთაცა მრავლითა კაცებითა, თეკლ. 99, 18.

...და წარვიდა დავით **კაცითურთ**, რომელნი იყუნეს მის თანა, სიკელად, 1 მეფ. 23, 5. რაკი სწერია „რომელნი იყუნეს“-ო, ჩანს, ბევრი ყოფილა. მაშასადამე, **კაცითურთ** მრავლობითის შინაარსით არის ნახმარი.

...(ცოლნი) რომელ ვისსენით უცხო-თესლთაგან **შვილითურთ** მათით, 2 ეზრა 8, 89; აკურთხენ მშობელნი **შვილითურთ** და შვილნი მშობელთა თანა, ხანძთ. 108, 6; და ესე წარიდგინა **შვილითურთ** წინაშე მეფისა მის, პარხ. 1007 a (ტექსტიდან ჩანს, რომ 7 შვილი წარადგინა); წარმგზავნიდეს ჩუენ სახლეულებითურთ და შვილით ვიდრე გარეშე ქალაქსა მას, მოც. 21, 5 (რუს. თარგ.: с женами и детьми); შეკრბეს ფარისეველნი **სადუკეველითურთ**, ძვ. ქართ. ქრესტ. 49, 11; დრტჳნვად იწყეს მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა და ფარისეველთა და მოხუცებულთა **სადუკეველითურთ**, ბოლნ. 10, 6. „სადუკეველითურთ“ ოთხთავის სათანადო ადგილებიდან არის აღებული და მრავლობითში იგულისხმება, ოთხთავში ყველგან მრავლობითშია ნახმარი. გარდა ამისა, აქ ის მრავლობითების გარემოცვაშია მოქცეული და ბუნებრივია, თუ მასში ბევრი იგულისხმებოდეს.

...(განვიდეთ) **ჯაბუკითურთ** და **მოხუცებულით**, **ძით** და **ასულით**, **ცხოვრით** და **ზროხით** ჩუენით, გამოსლვ. 10, 9 ლაგ. ყველა ხაზგასმული სიტყვა მრავლობითში იგულისხმება, მაგრამ ყველას მხოლობითის ფორმა

აქვს. შდრ. რუს. თარგმანი: пойдём с малолетними нашими и старпками нашими, с сыновьями нашими и дочерями нашими, и с овцами нашими и с волами нашими пойдём. ოშკის ბიბლიის მთარგმნელს მოუხერხებია ამ სიტყვებიდან მხოლოდ ორი დაესვა ებიან მრავლობითში, სხვები ისევ მხოლობითშია დატოვებული, მაგალითად: ჰრქუა მას მოსე: **ჰაბუკით** ჩუენითურთ და **მოხუცებულით** განვიდეთ, ძეებითურთ და ასულებით, **ცხოვრით** და **ზროხით**. ცხადია, ამ ტექსტების მთარგმნელთა და გადამწერთათვის ერთნაირი შინაარსის სიტყვებია „ძით და ასულით“ და „ძეებითურთ და ასულებით“, თორემ ერთისა და იმავე ბერძნული სიტყვების გადმოსაცემად იმათ არ იხმარდნენ. ბერძნულში კი სათანადო სახელები მრავლობითშია დასმული: σὺν τοῖς νεανίσκοις ἡμῶν ...და სხვა.

...არა შჯამოთ მისგანი უგბოლველი, არცა მგბარი წყლითა, არამედ მწუარი ცეცხლითა თავი **ფერჯითურთ** და **ნაწლევით**, გამოსლვ. 12, 9. შდრ. რუს. თარგმ.: ...но ешьте испеченное на огне, голову с ногами и **внутренностями**.

...და იყოს ქუეყანაჲ განსარყუნელად **დამკჳდრებულითურთ** მისით ნაყოფთათჳს საქმეთა მათთაჲსა, მიქია 7, 13. თბილისურ გამოცემაში ეს სახელი მრავლობითშია წარმოდგენილი: **დამკვიდრებულთა** თანა მისთა. სხვა ენების თარგმანები, ცხადია, მრავლობითს უჩვენებს: **за вину жителей** её.

...და ეგრეთ მოვიდა იგი წმიდისა სჳმიონისა **მოყუსითურთ**, რომელთა დიდითა შრომითა მოიღეს იგი მუნ და შეიღეს და დადვეს მის წინაშე, კიმ. I, 298, 10. რომ ეს „მოყუსითურთ“ მრავლობითს გულისხმობს, ეს ჩანს იქიდანაც, რომ იქვეა ნათქვამი: „**რომელთა** დიდითა შრომითა **მოიღეს** იგიო“.

...ხვალის-დღე მოვიდა კაცი იგი **კარაულითურთ**, კიმ. I, 301, 17. ხაზგასმული სიტყვა აქაც მრავლობითს გულისხმობს, რადგანაც იქვე ქვემოთ ეს ცხოველი სხვა ბრუნვაში მრავლობითშია დასმული: ფერიცა იგი **ვირთაჲ** იპოვა ეგრეთ.

მსგავსი მაგალითები ძველ ქართულში ძალიან ბევრია. აქ მოყვანილიც საკმარისია, რომ დავასკვნათ: მოქმედებითს ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითობა ხშირ შემთხვევაში არ გადმოიცემოდა. ენა ამ შემთხვევაში მხოლობითის ფორმას სჯერდებოდა, რომელშიც შინაარსი მრავლობითისა იყო ჩადებული. მისი მრავლობითობა ბუნებრივად იგრძნობოდა კონტექსტით და, რა წამსაც კი მიეცემოდა მთარგმნელს საშუალება ეს სახელი სხვა ბრუნვაში დაესვა, ის მაშინვე მრავლობითის ფორმით გვევლინებოდა (მოვიდა **მოწაფითურთ**, მაგრამ: მოუწოდა **მოწაფეთა**). მაშასადამე, **ფორმა** მხოლობითისა, **შინაარსი** მრავლობითისა,—ასეთია ზემოთ აღწერილი მოვლენის თავისებურება ძველ ქართულში[1].

[1] მრავლობითის გამოხატვის ეს თავისებურება შემჩნეული ჰქონდა ბროსეს: L' Art Libéral ou Gramuaire Géorgienne, პარიზი, 1834, გვ. 57 — 58; ჯ. დონდუას: О двух суффиксах множественности в грузинском: Язык и мышление, I. 1933. გვ 54.

გ) მესამე შემთხვევაში ენა მოქმედებითი ბრუნვის მრავლობითობის აღსანიშნავად **ებიან** ფორმებს მიმართავდა. აქ გვხვდება როგორც უთანდებულო, ისე **ურთ** თანდებულიანი ფორმები, პირველი — ნაკლებად, მეორე — უფრო ხშირად. მაგალითები:

და მეყსეულად დაეცნეს იგინი პირთა მათთა ზედა და შეიმუსრნეს **მჭედრებითურთ** მათით, კიმ. I, 245, 3; დაცემაჲ და დარღუევაჲ ქალაქთაჲ ყოფად არს **სოფლებითურთ**, იქვე, 263, 7; დაამჭუეს სერი იგი **ტაბლებითურთ**, იქვე, 309, 24; უბრძანა მიცემაჲ მათი **მოყუსებითურთ** საპყრობილესა, კიმ. II, 55, 13; შეკრბეს... **თესლებითურთ**, მოც. 4, 27; შეითქუნეს ჰურიანი იგი და წარმართნი **მთავრებით** მათითურთ, მოც. 14, 5; შევიდეს განსაკითხავსა მას **ათასის-თავებითურთ**, მოც. 25, 23; და პავლე წარიყვანა თეკლა **კაცებითურთ**, თეკლ. 108, 1; წარავლინნა იგინი ქუეყანასა სომხითისა აღჭურვილნი **სპარაზენებითურთ**, ლიტ. ურთ. 33, 15; საკუერთხი ტუინოანი შევწირო შენდა **ვერძებითურთ** და საკუმეველით, ფსალმ. 65, 14; ვითარცა თჳთ მოსე იტყჳს შეკრებასა ჴელმწიფეთასა **ნათესავებითურთ** ისრაჱლისაჲთ, შატბ. 263 a.

აქ მოყვანილი მაგალითები ყველა **ურთ** თანდებულითაა და თანაობას, ერთადობას გამოხატავს. გეხვდება, რა თქმა უნდა, უთანდებულო ფორმებიც, რომელთაც სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა აქვთ. უფრო ხშირად ისინი საჰურვლობითის გაგებით იხმარება, მაგალითად: არცაღა **ჴაჰუებითა** ვის ჴელეწიფა შებორკილებად იგი, მრ. 5, 3; იწყეს მოღებად **ცხედრებითა** ყოველთა სნეულთა, მრ. 6, 55; იქცეოდეს **ხალენებითა** და თხისა **ტყავებითა**, ებრ. 11, 37; განამტკიცნა... **სასწაულებითა** და **ნიშებითა**, ებრ. 2, 4; სცემდეს რომელნიმე მათგანნი **კუერთხებითა**, პარხ. 1041 b; რომელნიმე მოჰშჳრიდეს ფერჴთა მისთა **წათებითა** და რომელნიმე ჴელთა მისთა **ტაბარძენებითა**, იქვე, 1042 a; (გუნდი) მოვალს მუნ **ლამპრებითა** და **სანთლებითა** და **მახჳლებითა**, ი. 18, 3 C; შთამოვიდა მსაჯული იგი **კელაპტარებითა**, პარხ. 1082 b; მაშინ შეკრბა სიმრავლე ქალწულთაჲ **კერიონებითა** და **ჴუარებითა**, იქვე, 1265; სამოსელსა მათსა განაბმიდეს **საბლებითა**, ამოს 2, 8; და მათ შეიწყნარეს იგი და ყოველი სოფლები მათი **გჳრგჳნებითა** და **მძნობრებითა** და **ბოძღნებითა**, ივდით 3, 7; **ჰუნეებითა** და **ეტლებითა** განგეწყჳნენ, ვითარცა ცეცხლნი, ბრძოლად შენ ზედა, იერ. 6. 23; შეგკრიბო შენ და ყოველი ძალი შენი **ფარებითა** და **ჩაფხუტებითა** და მახჳლითა, ეზეკ. 38, 4; რომელნიმე დაჰლეწდეს წჳვთა **კუერთხებითა** და რომელნიმე სცემდეს **კობლებითა** პირთა, პარხ. 873 a; ვითარ გამოვლენ **ჴურელებით** მათით, I მეფ. 14, 11; რომელნი აღაგზნნეს მრავლითა **საკლველებითა** თითო-ფერითა საცხოვართაჲთა, სპევს. 7, 4; და საესე იყო მდინარჱ იგი **ხჯოქებითა**, უდაბნ. 26 vb; დავჰჭაშ ზღუაჲ **ბჭეებითა**, იობ 38, 8 ლაგ; ვიდრემდის აღ-ცა-იკიდებდეს სნეულებსა **სარეცლებითა**, არიმ. 55, 63, 3; მო-ვინმე-ვიდა კაცი... **მრავლებითა მოყუსებითა**, ისტ. ქრესტ. 293, 21; გუემეს ნეტარი იგი ყურიმლის-ცემითა და **მჯილებითა** და **ჭუსლებითა**, კიმ. I, 84, 5.

მსგავსი მაგალითები ბევრი მოიპოვება ძველ ქართულში. ებიანი მრავლობითის ასეთ სიხშირეს მოქმედებითში აქვს თავისი გამართლება: მოქმედებითი ჩვეულებრივ არა აქვს თანიან მრავლობითს და აქ ებიანი მრავლობითი ეშველება მას.

ასეთ პირობებში მოქმედებითის გვერდით გვხვდება ვითარებითიც, მაგრამ აქ, რასაკვირველია, მისი მოქმედების არე გაცილებით უფრო შეზღუდულია. ყოველ შემთხვევაში, ვითარებითს ბრუნვაში მრავლობითობის გამოხატვის თითქმის ერთადერთი საშუალება ეს არის, სხვა საშუალებები უფრო შეკვეცილი და მეტად ღარიბია. აქ დავასახელებ ორიოდე მაგალითს.

ხოლო ვარსკულავნი ცისანი დასხმულ არიან **სასწაულებად** და **ჟამებად**, პარხ. 1176; ი. ჯავ. აღწ. 178, 35 (შდრ. მთოვარე — ჟამებად, ვარსკულავნი — სასწაულებად, სვან. 315 b); დაჭრენით საჴნისნი თქუენნი ჴ რ მ ლ ა დ და მანგლები თქუენი — **ლახურებად**, იოველ 3, 10[1]. ეს მაგალითი იმითაც არის საინტერესო, რომ მხოლობითის ფორმით წარმოდგენილი **ჴრმლად** შინაარსით მრავლობითს გულისხმობს, როგორც ამას უჩვენებს საერთო აზრი კონტექსტისა (**საჴნისნი** — ჴრმლ(ებ)ად და **მანგლები** — ლახურებად) და სხვა ენების თარგმანები: перекуйте орала ваши на мечи и серпы ваши на копья. ძალიან საინტერესოა, რომ ეგეთე მაგალითი სხვა წინასწარმეტყველთანაც გვხვდება, მაგრამ იქ საქმის ვითარება შებრუნებულია: ხმლებს სახნისებად ჭრიან, ლახვრებს — ნამგლებად. ამას გარდა, ებიანი მრავლობითის ვითარებითში აქ სახნისია მოცემული. აი ეს მაგალითიც:

და შჭრიდენ ჴრმლებსა მათსა **საჴნისებად** და ლახურებსა მათსა — მანგლად, მიქია 4, 3. მაგრამ ამ ტიპის (და, საერთოდ, ვითარებითის სხვა) მაგალითები ძალზე მცირეა.

...და შექმნა იგი **სირებად** თორმეტად, კიმ. I, 115, 7; ათას შჳდას სამეოც და ათხუთმეტ სიკლაჲ ქმნეს **იდაყუებად** სუეტებისა მის, გამოსლვ. 39, 6; ხარისხები იგი ბჭეთა მათ ეზოჲსათაჲ და **მანაებად** კარვისა და **მანაებად** ეზოჲსა მის, გამოსლვ. 39, 9; და ნათესავი მაგისი იყოს მრავლად **თესლებად**, დაბ. 48, 19; და იყოს ბაბილონი... **ბორცუებად** სასტჯნველად, იერ. 51, 37; მიგითხოვნეს შვილნი თქუენნი და იყუნეს **მჴედრებად** და რომელნიმე მეეტლედ, 1 მეფ. 8, 11 (მეეტლედ=მეეტლეებად).

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ვითარებითი იხმარება მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით — უბრალო დამატებად; ის უპასუხებს კითხვაზე **რად**? შექმნა **სირებად**, ე. ი. **ჩიტებად** შექმნა, **ჩიტებად** გადააქცია და სხვ.

მაგრამ ზოგჯერ ვითარებითი ასეთ შემთხვევაშიც (ებიან მრავლობითში) მიმართულებითი (მიწოვნითი) ბრუნვის ფუნქციითაც არის ნახმარი, მაგალითად:

---

[1] ეს ადგილი ასე იკითხება ლაგურკის ხელნაწერში: დაჭერით საჴნისები თქუენი ჴრმლად (ა ს ე ა) და მანგლები — ლახურად.

ვიყოფეოდით დაბნებსა და აღვიმსთოთ **ვენაჯებად**, ქებაჲ, 7, 11 — 12; იაკობ წარმოვიდა **კარვებად**, დაბ. 33, 17; და მერმე მოიმართეს **წყაროებად**, ამონ. 210, 25; მიიქცეს **წყაროებადვე**, იქვე, 215, 12.

2. ებიანი მრავლობითი

ებიანი მრავლობითი, როგორც ცნობილია, ძველ ქართულში შედარებით ნაკლებად იხმარებოდა. ამავე დროს მას ახასიათებდა ზოგი ისეთი თვისება, რაც დღევანდელი თვალსაზრისით შეუთავსებელია ბრავლობითობის მაწარმოებელი ფორმანტისათვის. ეს ისაა, რომ იგი ჩვეულებრივ ხმნას ვერ ითანხმებდა მრავლობითს რიცხვში ვერც მაშინ, როცა ეს ებიანი სახელი სუბიექტად იყო წარმოდგენილი (შეემთხჳა მათ ქალები), და ვერც მაშინ, როცა ის პირდაპირ ობიექტს გამოხატავდა (მოიღო ტყავები); ხშირად მას არც მსაზღვრელი სახელის შეთანხმება შეეძლო (მელები მცირჱ). ებიანი მრავლობითის ამ თვისებების გამო, აგრეთვე იმიტომ, რომ მის გვერდით ენაში არსებობდა თავიდან ფეხამდე აღჭურვილი ნარ-თანიანი მრავლობითი, ფრ. ც ო რ ე ლ ი არ მოერიდა და ებიანი ფორმები ისეთ კრებით სახელებად ჩათვალა, რომელსაც **მხოლობითის** ფორმა აქვს: „Die zweite (Pl²) auf *ebi* ist mehr ein Kollektivnomen in Singularform... Beispiel: შვილი Kind, შვილნი Kinder, შვილები etwa = eine Kinderschar“ [1].

ებიანი მრავლობითი ძველი ქართულისათვის უცხოდ მიაჩნდა აგრეთვე გ. დ ე ე ტ ე რ ს ს ა ც, რომელიც ასეთი ფორმების არსებობას ძველი ქართულჲს ხელნაწერებში მხოლოდ იმით ხსნიდა, რომ ამ ხელნაწერებში წარმოდგენილი ძეგლები თითქმის მხოლოდ ასლებია და ებიანი ფორმების შეტანა მათში მხოლოდ გადამწერების საქმეაო [2].

ნ. მ ა რ ი თავის სხვადასხვა შრომაში ებიან მრავლობითს „ხალხურ“, „ვულგარულ“ ფორმებად თვლიდა [3]. დავსძენ აქვე, რომ ეს ტერმინები („ხალხური“, „ვულგარული“) მისთვის სინონიმები იყო. ასეთი შეხედულებანი, რასაკვირველია, არ შეეფერება სინამდვილეს.

მიუხედავად ებიანი მრავლობითის ზემოთ აღნიშნული თავისებურებისა, მაინც უნდა ვთქვათ, რომ ეს არის ჩვეულებრივი ფორმა მრავლობითობისა. ის სავსებით ნათლად და სრულად გამოხატავს სახელთა მრავლობითობას. ზოგ შეწთხვევაში ის არის თითქმის ერთადერთი საშუალება სახელთა მრავლობითობის აღნიშვნისა (ესხნეს ძეებ და ასულებ, ჯაჭუებითა, მოყუსებითურთ და სხვ.) [4]. ჩვენ გადაჭარბებულად გვეჩვენება გავრცელებული შეხედულება, თითქოს ის ძველ ქართულში **ძალზე იშვიათად** იხმარებოდეს. ასეთი შეხედულების არსებობა იმითაა გამოწვეული, რომ ძველი ქართული ენისა

[1] Fr. Zorell. Grammatik, 1930, გვ. 19.
[2] G. Deeters. Armenisch und Südkaukasisch: Caucasica, 4, გვ. 48.
[3] TP, III, გვ. XLIII; OT, თარგ. V; Грам. გვ. 36.
[4] ნ. ადონ ზემო, გვ. 290 — 291 და სხვ.

და ლიტერატურის ბევრი ძეგლი ჯერ გამოცემული არაა; რაც გამოცემულია, ამ თვალსაზრისით არაა შესწავლილი და არაა გამოვლენილი, თუ რა ადგილი უჭირავს მათში ებიანი მრავლობითის ფორმებს, რა შემთხვევებში იხმარება, რა თავისებურება ახასიათებს მათ და სხვა.

ებიანი მრავლობითი, როგორც აღვნიშნეთ, ძველ ქართულში ჩვეულებრივი ფორმებია. ენა მას ისევე მიმართავს, როგორც ნარ-თანიან მრავლობითს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, თუ სხვა ენებიდან თარგმნისას ერთ რედაქციაში ერთნაირი (ვთქვათ, ნარ-თანიანი) ფორმები გვაქვს, მეორეში — მეორენაირი (ებიანი). ამის კარგ მაგალითს იძლევა ოთხთავის ორი რედაქციის შედარება ამ თვალსაზრისით. შდრ. მაგალითად:

	DE	C
მ.	8, 30 კოლტი ღორთაჲ მძოვარი	კოლტი ღორებისა მრავლისა მძოვარი
მ.	10, 27 ქადაგეთ ერდოთა ზედა	...ერდოებსა ზედა
მ.	11, 16 უბანთა ზედა	შორის უბნებსა
მ.	13, 53 დაასრულნა იესუ იგავნი ესე	დაასრულა იესუ იგავები ესე
მ.	23, 29 აღაშენებთ საფლაეთა	აშენებთ თქუენ საფლაეებსა
მრ.	11, 8 რტოთა მოჰკაფდეს	რტოებსა მოჰკაფდეს
ლ.	16, 9 ისხენით... მეგობარნი	იყუენით ...მეგობრებ
ლ.	23, 27 სიმრავლე... დედათაჲ	სიმრავლე ...დედებისაჲ
ი.	4, 28 უთხრა კაცთა მათ	ჰრქუა კაცებსა მას და სხვა[2].

ჩვენთვის უეჭველია, რომ ძველი ქართველი მწერალი და მკითხველი ერთნაირად აღიქვამდნენ ხაზგასმულ ფორმებს: კოლტი **ღორთაჲ** და კოლტი **ღორებისაჲ**, მოჰკაფდეს **რტოთა** და მოჰკაფდეს **რტოებსა**. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, აღნიშნული ფორმები არც შეცვლიდნენ ერთმანეთს.

შემთხვევით ხომ არ ცვლიან ეს ფორმები აქ ერთმანეთს? არა, რასაკვირველია. ასეთი შენაცვლება გვხვდება თითქმის ყველგან. მაგალითად, ერთი ადგილი იოველის წინასწარმეტყველებიდან ასე იკითხება ოშკის ბიბლიის მიხედვით:

---

[1] ი. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 30 — 31 B, 1947, გვ. 187.

დაჰრენით საჴნისნი თქუენნი ჴრმლად და **მანგლები** თქუენი — ლახურებად (იოველ 3, 10). იგივე ადგილი ბიბლიის თბილისურ გამოცემაში ასეა მოცემული:

დაჰრენით საჴნისნი[1] თქუჳნნი ჴრმლებად და **მანგალნი** თქუჳნნი — მაზრაკებად.

აქ ერთმანეთს ენაცვლებიან **მანგლები** და **მანგალნი**. ეშვი არაა, ისინი თანაბრად ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, თანაბრად გამოხატავენ ამ საგნის მრავლობითობას. სწორედ ამიტომ იყო შესაძლებელი, რომ ერთის მაგივრად მეორე ეხმარათ. ამნაირი შემთხვევები ისე ხშირია ძველი ქართულის ძეგლებში, რომ მასზე სპეციალურად შეჩერება და სხვა დამატებითი მასალების მოყვანა ზედმეტად მიგვაჩნია.

რომ ებიანი და ნარ-თანიანი ფორმები ერთნაირად აღიქმოდა ძველი გადამწერებისა და მკითხველთა მიერ, რომ ისინი ერთნაირი ფუნქციით იხმარებოდა, ერთნაირად გამოხატავდა სახელის მრავლობითობას და ერთნაირად გასაგები იყო ყველასათვის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ისინი წარამარა იხმარება ერთმანეთის გვერდით; მრავლობითში გამოსახატავი სახელებიდან ერთი ებ-ს მიმართავს, მეორე ნარს ან თანს. და ეს ხდება ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე წინადადებაში, ერთმანეთის გვერდით, მაგალითად:

მოუწოდა ყოველთა ძლიერთა და წინამძღუართა და **მთავრებსა** და ზედა-მდგომელთა ერისა ასურეთისათა, ივდით 2, 14. აქ **მთავრებსა** ისეთივე კანონიერი ფორმაა მრავლობითისა, როგორც მის გვერდით მოცემული წინამძღუართა და სხვები, რომლებშიც ის არაის გარეული. აქ ხომ ებიან მრავლობითში იყო **მთავრებსა**, მეორე ადგილას სწორედ ეს სიტყვა თანიან მრავლობითშია მოცემული, სხვები — ებიანში, მაგალითად:

მოუწოდა ყოველთა მთავართა სპარსეთისათა და **უფლებსა** და **სპაიპეტებსა** და სოფლის-მპყრობელთა და მფლობელთა, 2 ეზრა 3, 14.

ერთმანეთის გვერდით იხმარება ებიანი და ნარ-თანიანი ფორმები აგრეთვე შემდეგს მაგალითებშიც:

შეძურეს **ქუაბებსა** და სერტყთა შინა დაემალნეს და **კლდეებსა** ზედა აღვიდეს, იერ. 4, 29; არა არს ყურძენი ვენაჯთა მათთა და არცა არს ლეღჳ **ლელუებსა**, იქვე, 8, 13; და ესე იყოს დაცემაჲ ცხენთა და ჯორ'თაჲ და აქლემთაჲ და **ვირებისაჲ** და ყოველთა საცხოვართაჲ, ზაქარ. 14, 15; (იყვნეს მუნ) **მამები** და **დედები** და ასულნი მეფისანი და **კაცები** იგი, იერ. 43, 6; რომლისათჳს მდინარენი და **წყაროები** დიან, მამ. სწავ. 44; რამეთუ ვითარცა-იგი მჴედართა მბრძოლთა **სახლებსა**

[1] გამოც.: საჴნისი.

ჰკიდაენ მრავალ-ფერი საჭურველი: **ჯრმლები** და **ჰორლები**, **ფარები** და **მშჯლდ-კაბარჭები** შემზადებულები, იქვე (H) 170; იყო მას შინა **მდინარები** და **სარწყავნი** უხუებით, მამ. სწავ. 270; **საფლავნი** მეფეთანი სავსენი **ძუალებითა** არა სწორ არიან სახლსა საგლახაკოსა, იქვე, 271; მას ჟამსა **გუამები** გამოვიდოდის **საფლავთაგან**, იქვე, 298; რამეთუ **ცულები** აქუნდა და დაჰლეწდეს **კერპთა** ამათ ყოველთა, სპევს. 52, 3; უკუეთუ ნანდჳლე ძმამან იჩსჩსმან მოგცეს თქუენ **დაბნები** და **აგარაკები**, გინა **ზუარები** ვენაჯთაჲ, 1 მეფ. 22, 7; იხარებდით **მთანი** და **ბორცუნი**, **ღელენი** და **ჴევნი**, **ზღუანი** და **მდინარენი** და **წყაროები**, სჯნ. 373 ბ.

ახლა ვნახოთ ისეთი მაგალითები, სადაც ერთი და იგივე სახელი ერთსა და იმავე დროს ორივენაირი ფორმითაა წარმოდგენილი: ნარ-თანიანს მოსდევს ებიანი, ან ებიანს — ნარ-თანიანი:

და იქმენით თქუენ **ტალავრები** მსგავსად წერილისა მაგის, ნეემია 8, 15; და იქმნეს კაცად-კაცადმან **ტალავრები** ერდოებსა თჳსსა ზედა, იქვე, 8, 16; და იქმნეს **ტალავრები**... და დასხდეს **ტალავართა** მათ შინა, იქვე, 8, 17. **ტალავრები**—**ტალავართა**,—ამათ ენა სრულებით არ ასხვაებს, ერთიმეორის გვერდით ხმარობს მათ. კიდევ უკეთესია მეორე მაგალითი, სადაც ერთი და იგივე სახელი თვით ერთსა და იმავე ბრუნვაში (სახ.) ერთიმეორის გვერდით ჯერ ებიანი ფორმითაა წარმოდგენილი, შემდეგ — ნარიანით:

და შეკრბა მთავრები იგი და **ერის-თავები** სოფლისაჲ და ვარზაპანები და ძლიერნი იგი **ერის-თავნი**, დანიელ 3, 94. **ერისთავები** — **ერისთავნი**, -- ორივე უფლებამოსილი მრავლობითია. მათი ერთმანეთთან ხმარება ნიშნავს, რომ არჩევანი თავისუფალია, მწერალი იხმარს იმას, რომელსაც ის საჭიროდ დაინახავს, ან, უკეთ: რომელიც მას ურჩევნია. გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება თითოეულ მათგანს აღმოაჩნდეს ზოგიეთი უპირატესობა და ამის მიხედვით მოჰკიდოს მას ხელი მწერალმა თუ მთარგმნელმა. საერთოდ კი მათი ასეთი პარალელური ხმარება ძალიან ხშირია. აი კიდევ ორიოდე მაგალითი:

სული იყო **ფრთეთა** მათთა და **ფრთენი** მათი იყო ვითარცა ორბისაჲ, ზაქარ. 5, 9; და ესე იყო სავსე **ძუალებითა** კაცთაჲთა, ეზეკ. 37, 1; და მრქუა მე...: უკუეთუ ცხონდეს **ძუალები** ესე, იქვე, 37, 3; წინაწარმეტყუელებდ **ძუალებსა** მაგას ზედა, იქვე, 37, 4; ეგრამ იქვე იკითხება: არქუ მათ, **ძუალთა** მაგათ განჴმელთა.

ზემოთ თქმულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: ებიანი მრავლობითი სრულიად ჩვეულებრივი, სიცოცხლისუნარიანი და საკმაოდ გაერცელებული ფორმაა ძველ ქართულში. მას ენა არც ისე იშვიათად მიმართავს სახელთა მრავლობითობის გამოსახატავად და იყენებს ნარ-თანიანი მრავლობითის გვერდით. განსაკუთრებით ხშირია მისი გამოყენება, როცა ნარ-თანიანი მრავლობითი ჩვეულებრივ უძლურია ნათლად გამოხატოს სახელთა მრავლობითობა წრფელობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში.

როცა ებიან მრავლობითზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ზოგ ძეგლში იგი შედარებით ნაკლებად იხმარება, ზოგში — უფრო მეტად. ჩვენ შენიშნული გვაქვს, მაგალითად, რომ ძველი აღთქმის წიგნებში იგი უფრო ფართო მასშტაბით არის გამოყენებული, ვიდრე ახალი აღთქმის ქართულ თარგმანებში. ამასთან, თვით ძველი აღთქმის ყველა წიგნში იგი ერთნაირი სიხშირით არ გვხვდება. ხშირია იგი, მაგალითად, ნეფეთა ოთხსაე წიგნში, აგრეთვე მოსეს I და II წიგნში (დაბ., გამოსლვ.) და სხვაგან, მაგრამ ნაკლებია იგავთა წიგნში (სულ 4 მაგალითია).

არის შემთხვევები, როცა ზემოთ დასახელებულ წიგნებში ებიანი მრავლობითი მთელ წინადადებაში ერთადერთი ფორმაა და მის გვერდით არსად ჩანს, ანდა. იშვიათად გამოერევა ნარ-თანიანი მაგალითები. ეს უკვე აღარ არის დასაწყისი ებიანი მრავლობითის ძლევამოსილი ბრძოლისა, რომელიც ახალ ქართულში მისი საბოლოო გამარჯვებით დასრულდა. ესაა ამ ბრძოლის ის საფეხური, როცა იგი (ებ. მრ.) საგრძნობ მეტოქეობას უწევდა ნარ-თანიან ფორმებს და ზოგ შემთხვევაში ავიწროებდა და აძევებდა კიდეც მათ. აი ამის რამდენიმე ნიმუშიც:

სადა იყოს მაშინ **ტაძრები** იგი და **ეზოები** შუენიერად შემკობილი! სად იყოს მაშინ **ჯამლები** იგი შუენიერად **განგლესილები**, მამ. სწავ. 59; მრავალი ერი დგა წინაშე მის კეისრისა: **სიბრძნის-მოყუარენი** იგი და **ასიხთავენი** და **მეგობრენი**, PO, 108, 3; რამეთუ მოაქუნდა ოქროჲ თარშით **ნავებითა** სირაქლემსა და ქიაებსა, და სხუასაცა **თუალებსა პატიოსნებსა** და **თუალებსა**, რომლისაჲ არნ ფერი მსგავს ოქროჲსა, თუალთ. 63, 4—9; მოიგო თავისა თჳსისა **ეტლებ** და **საჴედრებ** და **წინა-მცორვალებ** ერგასის ოდენ, 3 მეფ. 1, 5; მოჰრიდეს და დაებალნეს **ქუაბებსა** და **ნაპრალებსა კლდეთასა, ორმოებსა** და **ჯურღმულებსა** წყლისასა, 1 მეფ. 13, 6; და **წირთხლები** იგი და **სამშჳულები** და **ტასტები** და **პინაკები**... და **კარშიკები** იგი სახლისა მის შინაგანისაჲ... და **კარები** იგი ტაძრისაჲ მის, 3 მეფ. 7, 49—50; რაჲთა არა ქმნეს მისგანი სახლსა მას უფლისასა კარი ვეცხლისაჲ და **სამშჳულები** და **ტაშტები** და **ნესტუები**, 4 მეფ. 12, 13; მოასხა **აჭლემები** და **ჯორები** და **ვირები**, ივდით 2, 17; და დაიმკჳდრნეს **სახლნი**, ყოვლითა კეთილითა სავსენი, **ჯურღმულები** აღმოკუეთილები და **ვენაჯები** განგებულები და ზეთისხილოვანები, ნეემია 9, 25; და მისცა მას ყოველთაგან მონაგებთა მისთა ზოგი: **მონები** და **მჴევლები**, ზროხაჲ და ცხოვარი, **ვირები** და **აჭლემები**, ტობია 10, 10; მისცა ოსია ერსა მას **კრავები**... და **ჯბოები**. 2 ეზრა 1,7.

ხომ არ არის შინაარსის მიხედვით რაიმე განსხვავება ებიანსა და ნარ-თანიან ფორმებს შორის? გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნულ ფორმებს შორის არის განსხვავება. ეს ფორმები არისო გამოხატულება ენაში ოდესღაც არსებული სავადასხვა გრამატიკული კლასებისა. ეს მოსაზრება ეკუთვნის კ. დონდუას, რომელსაც ამ საკითხისადმი სპეციალური წერილი

აქვს მიძღვნილი [1]. კ. დონდუას აზრით, ნარ-თანიანი მრავლობითი გონიერთა კლასს გამოხატავდა, ხოლო ებიანი ფორმები გამოყენებული იყო ნივთთა კლასის, საზოგადოებრივად პასიურ არსებათა კლასის, აგრეთვე განყენებული ცნებებისა და კრებითი სახელების გამოსახატავად. ავტორი წერს: „В древнегрузинском языке обращает на себя внимание та особенность Pl^eb, что там, где данная форма вообще налицо, она почти всегда используется для строго-определённого круга понятий: слова с Pl^eb выражают по преимуществу класс вещей, класс социально-пассивных существ и отвлечённые понятия“ [2]. მეორეგან ავტორი კვლავ იმეორებს ამ დებულებას: „Форма Pl^eb в древнелитературном грузинском приурочена, в основном, к определённому кругу понятий; она, повидимому, выражала класс вещей, класс пассивных одушевлённых и, вообще, общественно-пассивных существ, равно отвлечённые понятия, не исключая понятия собирательности или коллективности“ [3]. დასასრულ, ავტორი დასკვნის სახით ამბობს: „Именно, позволительно, повидимому, говорить вообще о следах категории грамматического класса [4] в грузинском, представленной двумя суффиксами множественного числа, из коих суффикс — eb был приурочен к классу пассивных существ, в широком смысле этого слова“ [5].

კ. დონდუას ძირითადი დებულება, რომ ძველ ქართულში გვაქვს შემონახული კვალი გრამატიკული კლასების არსებობისა, შეიძლება თავისთავად სწორი იყოს, მაგრამ ამ კლასების გამოხატულების ტენა მრავლობითი რიცხვის **ნ-თ** და **ებ** სუფიქსებში სინამდვილეს არ შეეფერება. ძველი ქართულის მაგალითები სრულებით არ ამართლებს იმ დებულებას, რომ **ნ-თ** სუფიქსებით გონიერთა კლასის სახელების მრავლობითობა გადმოიცემოდა, **ებ-ით** კი — ნივთის აღმნიშვნელი სახელებისა, ე. წ., როგორც კ. დონდუა ამბობს, პასიური საგნის სახელებისა, საზოგადოებრივად პასიური საგნის სახელებისა. ამ ორი სახის სუფიქსებს შორის ფუნქციების ასეთი განაწილება არ იცის ძველმა ქართულმა: **ნ-თ**, სადაც კი იხმარება, ყველა ტიპის სახელს ერთვის; ასევე ყველა ტიპის სახელს აწარმოებს აგრეთვე **ებ** სუფიქსიც, მათ შორის გონიერთა კლასის სახელებსაც. ამას თვით კ. დონდუაც გრძნობს და ცდილობს აისნას ეს გარემოება სხვადასხვა მოსაზრებით, მაგრამ ეს აისნა დამაჯერებელი არაა. აბა როგორ უნდა შემოეველოს იმ გადაულახავ დაბრკოლებას, რომელიც ამ გზაზე ხვდება მკვლევარს და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ძველ ქართულში სავსეა იმის მაგალითები, როცა სწორედ გონიერთა კლასის სახელებს ერთვის **ებ** სუფიქსი და მათ მრავლობითობას გამოხატავს. თუ **ებ** ნივთთა კლასის

[1] К. Д. Дондуа. О двух суффиксах множественности в грузинском: Язык и мышление, I, 1933, გვ. 43—66.

[2] იქვე, გვ. 46.

[3] იქვე, გვ 64.

[4] ხაზი ავტორისაა.

[5] იქვე, გვ. 64.

მრავლობითობის მაწარმოებელია, რა უნდა მას ისეთ სახელებში, როგორიცაა კაცი, ქალი, ყრმაჲ, მამაჲ, დედაჲ, ძუ, ასული, ცოლი, შვილი, ჴაბუკი, მეგობარი, ასისთავი, ერისთავი, მთავარი, მოყუასი, მსაჯული, ქურივი და თვით ჴელმწიფუ? განა ეს სახელები ნივთთა კლასს განეკუთვნება? ამათთან კი ებიანი ფორმები გვხვდება ჩვეულებრივად, მეტი რომ არა ვთქვათ. ჩვენი მსჯელობა მშრალი რომ არ იყოს, დავიმოწმოთ აქ ზემოთ ნათქვამის დამადასტურებელი მაგალითები:

ვიდრე მიისწრაფის **მამები** ესე, პარხ. 1272; რამეთუ შევიდა **მამები** და და **დედები** მათი, იერ. 40, 7; და მივიდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი **დედებისა** და **მამებისაჲ**, შუშ. 153, 3; წარტყუენნეს **ყრმები** და **დედები**, ამონ. 210, 33; და ესმა საულს, ვითარმედ დავით გამოჩნდა და კაცებიცა იგი, 1 მეფ. 22, 6; **ჭალებსა** განჰყიდდეს ღჳნოდ და სუმიდეს, იოველ 3, 3; ჰაბეთ ნაყოფი მათი, ისუთ ცოლებ და ისხთ **შვილებ**, ძეებ და ასულებ, და უსხენთ ძეთა თქუენთა ცოლებ და ასულნი თქუენნი მისცენით ჭმართა და შვენ ძეებ და ასულებ, იერ. 29, 5 — 6; გამოაჩინნეს... აღსლვად იერუსალჵმდ ცოლებით და ასულებით და ძეებით და **მონებით** და ყოვლით ჯურჭლით და საგებელითურთ, 2 ეზრა 5, 1; მოვიგე **მონები** და **მჴევლები**, ეკლეს. 2, 7; რაჲთა იყუნენ იგინი თქუენდა **მონებ** და **მჴევლებ**, იერ. 34, 15; გარე-მოადგა მას **ქურივები** იგი ყოველი, მოც. 9, 39; და ამისა შემდგომად მოსცა მათ **მსაჯულებ**, მოც. 13, 20; რამეთუ მძიმე-გჳჩნდა თხოვაჲ მეფისა მისგან **მკჳრცხებისა** და **მჴედრებისა**, 2 ეზრა 8, 51 (=ქვეითები და ცხენოსნები); რომელმან მოსეს მიერ დაანთქა ფარაო **მჴედრებითურთ**, სას. პოეზ. 278, 158; განთიად ერთშაბათსა მოვიდა მაგდანელი მარიამ **მოყუსებითურთ**, ი. ჯავ. აღწ. 152, 1; იწრაფა და მიმოგანსცა **დიასპანებითა**, ესთერ 3, 13; და შეკრბა **მთავრები** იგი და **ერისთავები** სოფლისაჲ და **ვარზაპანები** და ძლიერნი იგი ერის-თავნი, დანიელ 3, 94; შეიზრახნეს... მთავარნი, **მარზაპანები** და **ნახპეტები**. დამტკიცებად სიმტკიცჱ სამეუფოჲ, იქვე, 6, 7; და ვითარცა შევიდეს განსაკითხავსა მას **ათასის-თავებითურთ** და **კაცები** იგი, **მთავრები** ქალაქისაჲ, მოც. 25, 23; მოუწოდა ყოველთა მთავართა სპარსეთისათა და **უფლებსა** და **სპაიპეტებსა** და სოფლის-მპყრობელთა და მფლობელთა, 2 ეზრა 3, 14; დაადგინა მათ ზედა **ერის-თავები** და **ათასის-თავები** და **ასის-თავები**, 2 მეფ. 18, 1; მრავალი ერი დგა წინაშე მის კეისრისა: **სიბრძნის-მოყუარეები** იგი და **ასის-თავები** და **მეგობრები**, PO, 108, 3; იყვენით თავებისა თქუენისა **მეგობრებ**, ლ. 16, 9 C; გამოასხა ყოველი მოფარდული და **მომსყიდელები** ტაძარსა მას შინა, მ. 21, 12 C; მოიწია იუდა... და მის თანა ერი **მახჯლოსნები** და **წათოსნები**, მრ. 14, 43 C; და წარავლინა მოსე **ჴაბუკები** იგი ძეთა ისრაჱლისათაჲ, გამოსლვ. 24, 5; რასაღა გჳკმან **მოწამეებ**, მრ. 14, 63 C და ბევრი სხვა:

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ხაზგასმული სახელები საზოგადოებრივად პასიური საგნების სახელებია? ამის თქმა, რასაკვირველია, შეუძლებელია. აქაა მოცემული გონიერთა კლასის

ყველა სახელი. თუ რამე აკლია აქ, იმის მაგალითებიც მოიპოვება ძველ აქრთულ ტექსტებში.

რაც შეეხება ისეთ მაგალითებს, როცა ნარ-თანიანი მრავლობითი გამოყენებულია ნივთთა კლასის სახელების მრავლობითობის აღსანიშნავად (ხენი, რტოთა, განგებულებანი, გონებანი, სახლნი, გზათა, თავთა, გულნი, მფრინველნი, ძვეცთა და სხვ.), ეს იმდენად გავრცელებული და საყოველთაოდ ცნობილი მოვლენაა, რომ მასზე შეჩერება აქ არც ღირს.

ასე რომ, კ. დონდუას აღნიშნული მოსაზრება არ მართლდება ფაქტებით და იგი უკუგდებულ უნდა იქნეს.

მრავლობითობის სუფიქსთა წარმოშობის საკითხს ეხება ა. ჩიქობავას ამ ბოლო დროს გამოქვეყნებული შრომა „მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში“ [1]. ამ შრომაში ავტორი სახელთა მრავლობითობის აღმნიშვნელ სამივე სუფიქსს (თ, ნ, ებ) ნივთთა კლასის მაჩვენებელ აფიქსებად მიიჩნევს, რომლებიც ამ კატეგორიის მოშლის შემდეგ ენამ მრავლობითობის გამოსახატავად გამოიყენა; თუმცა ეს სუფიქსები თავიდანვე ნივთთა კლასის სახელებზე მიუთითებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს კატეგორია მოიშალა ენაში, ხოლო ამ სუფიქსებს მრავლობითობის აღნიშვნა დაეკისრა, მათი ფუნქციები განზოგადდა და ისინი იქცნენ მრავლობითობის ნიშნებად ორივე კლასის სახელებში (როგორც ნივთთა კლასის, ისე ადამიანთა კლასის სახელებში). თუ რამე განსხვავებაა ამ სუფიქსებში, ეს, უპირველეს ყოვლისა, დროული განსხვავებაა: ყველაზე ხნიერი მათ შორის თანია, შემდეგ მოდის ნარი, რომელიც სახელობითი ბრუნვის კბილაა, ხოლო სულ ბოლოს ჩნდება ებ.

თუ ეს ასეა, მაშინ შეუძლებელია ზოგ მათგანში გონიერთა კლასის სახელების მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი დავინახოთ (ნ, თ), ზოგში—ნივთთა კლასისა (ებ), როგორც ამას კ. დონდუა ფიქრობს. ა. ჩიქობავა ბოლოს დაასკვნის:

„ქართული მრავლობითის -ნ- და -ებ- ორი განსხვავებული კლასის (ნ — ადამიანისა, ებ — ნივთის მრავლობითის) საწარმოებელი არ შეიძლება იყოს.

ორი განსხვავებული კატეგორიის ნიშანი აქ არ უნდა გვქონდეს, თუმცა კლას-კატეგორიის ნიშანი რომ უნდა გვქონდეს, ეს ჩვენთვისაც უდაოა“ [2].

ებ → ეფ სუფიქსი მრავლობითობის აღსანიშნავად მარტო ქართულ-ქართველურ ენებში (ქართულსა და ჭანურ-მეგრულში) არა გვაქვს. ის ამ მნიშვნელობით ფართოდაა გამოყენებული იბერიულ-კავკასიური ენების სხვადასხვა ჯგუფში. ხმოვნითი ელემენტი, რომელსაც სხვა წარმოშობა უნდა ჰქონდეს, სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა, მაგრამ ყველგან უცვლელად მეორდება ბაან-ხმოვნითი ელემენტი ბ.

[1] იბერ.-კავკ. VI, 1954, გვ. 67—77.

[2] იქვე, გვ. 69.

ასე, მაგალითად, დარგუულში სახელთა მრავლობითობის ერთ-ერთი გავრცელებული აფიქსია ბი ‖ ბე:

ტულ „თითი“, ტულ-ბი „თითები“
შინ „წყალი“, შინ-ბი „წყლები“.

ნეთ „წარბი“, ნუთ-ბე „წარბები“
ქუჭი „თათი“, ქუჭ-ბე „თათები“ [1].

წარმოშობით აქ ერთი სუფიქსი უნდა გვქონდეს — ბი. ბე ← ბი ფონეტიკურ ნიადაგზე [2].

ლაკურში სახელთა მრავლობითობის ერთ-ერთი მაწარმოებელია სუფიქსი ბუ(‖ *ბი) [3].

ბი, ბგ აფიქსები გვაქვს აგრეთვე წახურულსა და რუთულურში“ [4].

კაპუჭურ-ჰუნზურ ენაში ზმნებისა და სახელების მრავლობითის საწარმოებლად გვაქვს სუფიქსი ბა ‖ ვა:

ყალამ „ფანქარი“, ყალამ-ბა „ფანქრები“
წინიკ „ცელი“, წინიკ-ბა „ცელები“
ქიდ „გოგონა“, ქიდ-ბა „გოგონები“
სუკუ „კაცი“, სუკა-ბა „კაცები“

ჩუხტო „მანდილი“, ჩუხტო-ვა „მანდილები“
ყორო „სკამი“, ყორო-ვა „სკამები“ [5]

ავტორის აზრით, ბა ‖ ვა სუფიქსი წარმოშობით რთული შედგენილობისაა:

ბა ← ბალ ← ბ + ალ
ვა ← ვალ ← ვ + ალ

სადაც ბ, ვ ნივთის კატეგორიის ნიშანია, ხოლო მომდევნო ალ — მრავლობითობის ნიშანი. როდესაც ენაში კლასის კატეგორია მოიშალა, მისი სუფიქსები (ბ, ვ) მრავლობითობის ნიშანს შეუერთდა:

ბ + ალ → ბალ → ბა
ვ + ალ → ვალ → ვა [6].

---

[1] შ. გაფრინდაშვილი, სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმების წარმოება დარგუულსა და ლაკურში: იბერ.-კავკ. V. 1953, გვ. 235.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 257.

[4] ე. ჯ ე ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, გრამატიკული კლასები წახურულსა და რუთულურში: იბერ.-კავკ. V. 1953, გვ. 457—59.

[5] ე. ლ ო მ თ ა ძ ე, მრავლობითობის წარმოება კაპუჭურ-ჰუნზური ენის ზმნაში: იბერ.-კავკ. V, 1953, გვ. 440.

[6] იქვე, გვ. 442.

ბ, ცალკე ან რომელიმე ხმოვანთან ერთად, გვაქვს სხვა კავკასიურ ენებშიც.

როგორია მათი ურთიერთობა ქართულთან? აქ ბ საერთო კუთვნილებაა, თუ ადგილი აქვს სესხებას რომელიმე ამათგანიდან? ზოგი ამ ენათაგანის შესახებ პასუხს გვაძლევს ა. ჩიქობავა:

„დიდოურში და ანდიის ხეობის ზოგ სხვა ენაში -ბ სახელთა მრავლობითშიც შეინიშნება: ეს ფორმანტი ქართულიდან შესულს უფრო ჰგავს, ვინემ საკუთარი ფონდის ბ- კლასის ექსპონენტის გამოყენებას მრავლობითში, რაც თავისთავად კანონზომიერი იქნებოდა. ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენა-კილოებში ამ ფორმანტის ვითარება შესასწავლია“ [1].

მრავლობითობის ებ სუფიქსის ფონეტიკურ სახესხვაობას უნდა წარმოადგენდეს იმავე მნიშვნელობის მქონე ევ სუფიქსი, რომელიც ქართულ ტოპონიმიკაში გვხვდება, მაგალითად: ვაშლ-ევ-ი, ძეგლ-ევ-ი. ბოსლ-ევ-ი, (მ)ღვიმ-ევ-ი. ველ-ევ-ი, ვაკ-ევ-ი. იფნ-ევ-ი და სხვა. მაგრამ მას ადრევე დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და გეოგრაფიულ სახელებში შემორჩენილა [2].

მაგრამ დაეუბრუნდეთ ისევ ჩვენს ებ სუფიქსს.

როგორც დაეინახეთ, ებიანი მრავლობითი გვხვდება ყველა ტიპის სახელთან, განურჩეველად იმისა, თუ რას აღნიშნავს ეს სახელი, რა შინაარსი აქვს მას. მაგრამ საკითხავია: რა ბრუნვებში გვხვდება იგი მაინც უფრო ხშირად. რა ბრუნვებში — უფრო ნაკლებად და რატომ?

ებიანი მრავლობითის ფორმები გვხვდება ყველა ბრუნვაში. ყველაზე ხშირად ამ ფორმით პირდაპირი ობიექტია გადმოცემული. ამიტომ ბუნებრივია, თუ ის ხშირად მიცემითსა და სახელობითში გვხვდება. მაგალითად:

მ ი ც ე მ ი თ ი:

და შეისხმიდა **საყურებსა** მათსა და **მკლევანდებსა** მათსა, ოსე 2, 13; **სახლებსა** თლილებსა იშვნებდით, ამოს 5, 11; ნუ **საკლველებსა** და **მსხუერპლებსა** შემოსწირევდით ჩემდა, ამოს 5, 25; შეიპყრნა სანი ბელნი... და ყოლისა მის კუდებსა გამოაბმიდა **მუგუზებსა** და ყოველსა მას ყანობირსა და ვენაჯოვანსა დასწუიდა, იპოლ. 20, 39; იფარვიდეს **გუამებსა** ძა მათსა. ეზეკ. 1, 23; **სახურნი** კერპთანი აღმართებენ **ტაძრებსა** კერპთასა. თჳნიერ ძელისა **ტაძრებსა** აღაშენებენ, პარხ. 85 გ და სხვ.

მიცემითშია აგრეთვე წარმოდგენილი ებიანი მრავლობითის ფორმები ირიბი დამატების, გარემოებათა და უბრალო დამატებათა გადმოსაცემად, მაგალითად:

რამეთუ მიგცნენ თქუენ **კრებულებსა**, მ. 10, 17 C; აღჰკიდა **ჯორებსა** თჳსსა და აღაგო იგი **ურმებსა** თჳსსა, იქდით 15, 11; მოუწოდა... **უფლებსა**

---

[1] ა. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იბეო.-კავკ. VI, 1954, გვ. 76.

[2] ა. შანიძე, ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 8, 1941, გვ. 761—768.

და **სპაიპეტებსა**, 2 ეზრა 3, 14; რომელი **ჰზი მტილებსა** შინა, ქებად 8, 13; და მჴეცნი ღაღადებდენ **ჯევნებსა** მათსა და ყორანნი — **ბჳეებსა** მათსა, სოფონია 2, 14; შეძურეს **ქუაბებსა**... და **კლდეებსა** ზედა აღვიდეს, იერ. 4, 29; ჴელი უფლისაჲ იყოს საცხოვართა შენთა ზედა, რომელ არს ველსა გარე, **ცხენებსა**, **კაჭრაულებსა** და **აქლემებსა**, გამოსლვ. 9, 3 ლაგ.; და დაუგო **კაცებსა** მას ჴამად, 4 მეფ. 4, 40; და ჰრწმენა **კაცებსა** მას ღმერთი, პარხ. 730 a და სხვ.

სახელობითი:

მოჰგუარეს მას **ეშმაკეულები** მრავალი, მ. 8, 16; შეიწყნარა მდინარემან მან **ძუალები** იგი წმიდაჲ, პარხ. 987 b; იშუნა **ბაგინები**, ოსე 8, 14; განამრავლა **ძეგლები**, ოსე 10, 1; და შეწირეს... **ზუარაკები** ას, **ვაცები** ორას და **კრავები** ოთხას, 2 ეზრა 7, 7; დაჰჴშან **კარები** უბნებსა ზედა, ეკლეს. 12, 4; და წარიღო **ბორვალები** იგიცა და **წედები** იგი ოქროჲსაჲ, 4 მეფ. 25, 15; მიპყართ ჩუენ **მელები** მცირე განმრყუნელი ვენაჴთაჲ, ქებაჲ 2, 15; და შეკრიბა მუნ ყოველი **ტომები** ისრაჱლისაჲ, 3 მეფ. 12, 24 და ბევრი სხვა.

სახელობითშივე დგას სუბიექტიც:

კარანები იგი სოფლებისაჲ სხდა წინაშე პირსა მისსა, ესთერ 1, 3; და მუნ ოდენ **ბჳეები** არა განგებულ იყო, ნეემია 6, 1; და შეკრბა **მთავრები** იგი და **ერის-თავებ**ი სოფლისაჲ და **ვარზაპანები** და ძლიერნი იგი ერის-თავნი, დანიელ 3, 94; **ფრთეები** მათი იყო ვითარცა ორბისაჲ, ზაქარ. 5, 9; აჰა ესერა **გუნდები** მოვალს ქუეყანით შორით, იერ. 4, 16; და მოვიდეს შენდა **რემაკები** აქლემთაჲ, ესაია 60, 6; **ვერძები** ნაბაოთისაჲ მოგადგეს შენ, იქვე, 60, 7 და სხვა.

შემდეგ, **ებ**იანი მრავლობითის ფორმები ხშირად იხმარება წრფელობითში (ესხნეს ძეებ და ასულებ), მოქმედებითსა (მოყუსებითურთ, ჯაჭუებითა) და ვითარებითში (ჯრმლებად, ლახურებად). ეს სიხშირე იმითაა გამოწვეული, რომ სათანადო ბრუნვები ნარ-თანიან მრავლობითს ან სრულებით არა აქვს, როგორც, მაგალითად, წრფელობითი, ან საერთოდ აქვს, მაგრამ მათი წარმოება ჩვეულებრივ ძალზე უჭირს და მით ათასში ერთხელ მიმართავს (მოქმ., ვითარ.). ამ საკითხზე ზემოთ გვქონდა საუბარი და სათანადო მაგალითებიც იქ იყო მოყვანილი (გვ. 290 — 291), ამიტომ აქ მეტს აღარას ვიტყვით.

ბოლოს, **ებ**იანი მრავლობითი ხშირად იხმარება ნათესაობითშიც. ეს ადვილი ასახსნელია: ნათესაობითი, როგორც ცნობილია, განსაზღვრებისათვის არის გამოყენებული. შემდეგ, ნათესაობითს ეყრდნობა ორმაგი ბრუნების სისტემა. ნათესაობითი იხმარება ზოგი სხვა მიზნითაც, რამდენიმე თანდებულთან და სხვა. ასეთ შემთხვევებში ენა **ებ**იან მრავლობითს ხშირად მიმართავს ხოლმე, მაგალითად:

შეგჳცვნეს ჩუენ მახჳლითა **ჯრმლებისაჲთა** და წარგუტყუენნეს, 2 ეზრა 8, 74; რამეთუ მძიმე-გჳჩნდა თხოვაჲ მეფისა მისგან **მკჯრცხენებისა** და **მჴედრებისა**, იქვე, 8, 51; რომელნი-იგი ერთვე არიან ადგილსა მას **მეფასებისასა**,

იქვე, 8, 45; და წარავლინა შეკრებად **მარწყაპანებისა**, დანიელ, 3, 2; მოღებად სცნა ძუალნი იგი . **სამარებისა** მისგან, 4 მეფ. 23, 16; პოვეს ნავი **ნავებისაგან** ჰადლელთაჲსაჲ, ამონ. 209, 35; მისდევდეს მას მკჳრცხლ **ქალაქებისაგან**, მ. 14, 13; თჳნიერ **ყრმებისა** და **დედებისა**, მ. 14, 21; და აღვიდეს მრავალნი იერუსალჵმდ **სოფლებისაგან**, ი. 11, 55; შეცვალე ერი იგი, რომელი-იგი დაეცა შიგან და ცხენები **ცხენებისა** მისებრ და ეტლები **ეტლებისა** მისებრ, 3 მეფ. 20, 25; და უბრძანეს მძლავრთა მათ მოთრევაჲ **ურმებისაჲ**, პარხ. 431 გ და სხვ.

ებიანი მრავლობითი შედარებით ნაკლებად გვხვდება მოთხრობითში, ძალზე იშვიათად — წოდებითში. აი ნიმუშები:

მოთხრობითი:

დაგფაროს შენ **აქლემებმან** მადიამისამან, ესაია 60, 6; და ცნას ყოველმან **თესლებმან**, ეზეკ. 39, 23; და **კარვებმან** მათმან და სავანეთა მათთა დაიბანაკეს ერითა მრავლითა, ივდით 7, 18; **ცხენებმან** მათმან დაფარნა ბორცუნი, იქვე, 16, 3; ჰრქუა **ყრმებმან** მან პავლეს, თეკლ. 105, 29; და **ყოველძან დაბნებმან** მათმან გრქუან შენ, ეზეკ. 38, 13; და **დედებმან** თქუა: ჩუენ უკუმევდით დედოფალსა ცისასა, იერ. 44, 19; ინაჴ-იდგა **კაცებმან** მან ი. 6, 10 C.

წოდებითში შეგვხვდა ერთადერთი მაგალითი, ისიც ორმაგი მრავლობითის ფორმით:

განწმედილნო **ნაპრალებნო**, აქებდით ანგელოზსა ქუეყანისასა და კაცსა ზეცისასა[1] და მჴურვალესა, სას. პოეზ. 361, 5.

როგორია ებიანი მრავლობითის შეთანხმების ძალა? — ერთობ სუსტი. სწორედ აქედან უნდა იყოს წარმომდგარი ის არასწორი შეხედულებანი და გაუგებრობანი ებიანი მრავლობითის შესახებ საერთოდ, რომელსაც ზემოთ გავეცანით. ფრ. ცორელი, როგორც ვნახეთ, იქამდისაც კი მივიდა, რომ განაცხადა, ეს მხოლობითის ფორმააო. სახელს რომ არ შეუძლია ზმნის მრ. რიცხვში შეთანხმება, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მას არა აქვს მრავლობითის ფორმა. ზმნის მრავლობითს რიცხვში შეთანხმება ზოგიერთ შემთხვევაში დღესაც არ შეუძლია არც ნარიანსა და არც ებიან მრავლობითს („მდინარეები დაშრა“, „წინააღმდეგობანი არის“), მაგრამ ამის გამო მათს მრავლობითობაში ეჭვი არ შეგვდის. დიახ, ებიან მრავლობითს ძველ ქართულში ძალიან ნაკლებად შესწევდა უნარი მრ. რიცხვში შეეთანხმებინა ზმნა (და სახელი). საქმე ეხება სახელობითსა და მოთხრობითში დასმულ სახელებს. რაც შეეხება მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობის აღნიშვნას, ამას ვერც თანიანი მრავლობითი ახერხებდა და ებიანზე ზედმეტია ლაპარაკი.

[1] გამოც.: ზეცისსა.

3. ებიანი მრავლობითი ვერ ითანხმებს ზმნას მრ. რიცხვში

ვუჩვენოთ რამდენიმე მაგალითი, როცა ებიანი მრავლობითი ვერ ითანხმებს ზმნას რიცხვში ვერც მაშინ, როცა ასეთი სახელი წინადადებაში სუბიექტად არის წარმოდგენილი, და ვერც მაშინ, როცა იგი პირდაპირი ობიექტია.

ა) ებიანი მრავლობითი სუბიექტია

a) სახელი სახელობითშია:

მოვიდოდა ხარებიცა იგი მეფისა აგრიპაჲსი წმიდისა პეტრწსა, PO, 91, 6: სადა იყოს მაშინ **ტაძრები** იგი და **ეზოები** შუენიერად შემკობილი· სადა იყოს მაშინ **ჯამლები** იგი შუენიერად განგლესილები, მამ. სწავ. 59; **წყაროები დაჴმა**, კიმ. I, 319, 13; **სახელები** თქუენი **დაიწერა** ცათა შინა, ლ. 10, 20; **განვიდა სულები** იგი არაწმიდაჲ, მრ. 5, 13; დაეცეს **ცხენები** და **მჴედრები**, ანგია 2, 22; აჰა ესერა გუნდები მოვალს ქუეყანით შორით, იერ. 4, 16; მოწამეთა იგი **მსხუერპლები** ზეცისა საკურთხეველსა აღვიდა, თარგმ. გამოცხ. 6, 4; **მშჯლდები** ძლიერთაჲ **მოუძლურდა**, 1 მეფ. 2, 4; **აღივსო სარწუულები** მათი და ყანობირი მათი და უბანნი მათნი თაგუთა, 1 მეფ. 5, 6; ვიდრე **მიისწრაფის მამები** ესე, ჰარხ. 1272; **შეჴმთხჳა** მათ **ქალები**, 1 მეფ. 9, 11; **ურმები** მცირჱ **გამოვიდა** ქალაქით, 4 მეფ. 2, 23; **გჳრგჳნები** ბრწყინვალჱ შემკული ედგა თაეთა მათთა, პარხ. 565 ხ.

რომელთამე **ცულები აჭუნდა**, სპევს. 52, 3; **სრბით მიაჭუნდა სულნელები**, აბო 197, 20; და **აჭუს კუდები**, მსგაკსი ღრიაკალთაჲ, გამოცხ, 9, 10 და ბევრი სხვა.

b) სახელი მოთხრობითშია:

ინაჴ-იდგა კაცებმან მან, ი. ნ. 10 C; **ჰრქუა ურმებმან** მან პავლეს, თეკლ- 105, 29; **დედებმან თქუა**, იერ. 44, 19.

ბ) ებიანი მრავლობითი პირდაპირი ობიექტია

დავსცე ეტლები და მჴედრები, ანგია 2, 22; **აღანთეს ლამპრები**, კიმ. I, 242, 37; **პოვეს წყაროები**, იქვე, 319, 17; **თავები მოიდრიკეს**, იქვე, 73, 9; 81, 2; **მიუწერონ წიგნები**, იქვე, 81, 16; **უშვეს ძეებ**, გინა **ასულებ**, გამოსლვ. 21, 4; **დაკლა საკლეველები**, ლიტ. ურთ. 138, 11; **ვისუათ ცოლები**, Опис. 185, 14 ქვ.; **შეუკრა ჴტლის-თუალები** იგი მათი, გამოსლვ. 14, 25 ლაგ.; ეეშაბისა **თავები**... **შემუსრა**, აბო 193, 11; **აღიღეს ქვები**, ი. 8, 59; **დავდგი**... **ლაგჳნები** საესჱ ღჳნითა და **სასუმელები**, იერ. 35, 5; **წარმოიღეთ ჭორლები** და **შთაიცუთ ჴაჰუები** თქუენი, იერ. 46, 4; **განვაბნიო** მენგან **ჴტლები** და **მჴდომელები** მათ ზედა, იერ. 51, 21; კაცთა მბრძოლთა ფარები და **ჩაფხუტები** დაჰკიდეს მორის შენსა ეზეკ. 27, 10; **აღიღო ძეგლები** იგი ქუეყანით, 3 მეფ. 15, 12; **წარმოიღო ლახურები** იგი ოქროჲსაჲ და **სალტები**, იქვე, 14, 26 და ბევრი სხვა.

ამნაირი მაგალითები საესეა ძველ ქართულში. აქ ჩვენ რომ გვქონოდა ნარ-თანიანი მრავლობითი, უველგან გვექნებოდა შეთანხმება: **ინაჯ-იდგეს კაცთა მათ, მოვიდოდეს ხარჯნიცა იგი, რომელთამე ცულნი აქუნდეს** და სხვა. ასევე შეთანხმებას ექნებოდა ადგილი ნარიან პირდაპირ ობიექტსა და ზმნას შორისაც: **დავსცნე ეტლნი, აღანთნეს ლამპარნი,** ეშაპისა **თავნი შემუსრნა** და სხვა[1]. ზემოთ მოყვანილ ზოგ მაგალითში ამასთან ერთად ზმნის ფუძეც გამოიცვლებოდა: **აღიხუნა ძეგლნი, წარმოიხუნა ლახუარნი** იგი ოქროჲსანი და **ხალტენი** და სხვა. მაგრამ, ვიმეორებ, ძველ ქართულში ასეთ შემთხვევებში **ჩვეულებრივ** ებიანი მრავლობითი ვერ ითანხმებს ზმნას. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ებიანი მრავლობითი საერთოდ ვერ ითანხმებს ზმნას ვერც მაშინ, როცა ის სუბიექტად არის წარმოდგენილი, და ვერც მაშინ, როცა ის პირდაპირ ობიექტად გვევლინება? არა, არ ნიშნავს. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ გაუგებარი იქნებოდა, თუ როგორ მოახერხა ებიანმა მრავლობითმა ახალ ქართულში შეთანხმების ძალის მოპოვება. ახალი ქართულის ფორმები, რომელზედაც აქ არის საუბარი, ჩირგვიდან გამომხტარი არ არის, რომ მათ ერთბაშად შეეძინათ ზმნების მრ. რიცხვში შეთანხმების ასეთი ძალა. ებიან სახელებს ასეთი ძალა და უნარი ძველადაც ჰქონდათ, მაგრამ იგი ფართოდ განვითარებული და გაშლილი არ იყო. ის აქა-იქ იჩენდა თავს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნარ-თანიანი (უფრო თანიანი) მრავლობითის ნაკლოვანი მხარეები თანდათან ნათელი გახდა, ებიანმა მრავლობითმა იწყო ნელა, მაგრამ მტკიცედ მომაგრება და გაფართოება. მას ამ საქმეში შეელოდა და ზურგს უმაგრებდა ის გარემოება, რომ ებიანი მრავლობითის ფორმები ნათელი და ადვილად გასაგები იყო, მას არ ახლდა ის ბუნდოვანება და ორჭოფობა, რომლებიც თანიანი მრავლობითისათვის იყო იმთავითვე დამახასიათებელი; ამას გარდა, ებიან მრავლობითს უველა ბრუნვის ფორმის წარმოება ადვილად და გასაგებად შეეძლო; დასასრულ, ებიანი მრავლობითის ფორმები კარგად ეგუებოდა ჩვენი ენის აგებულების საერთო სისტემას — აგლუტინაციის პრინციპს. უველა ამან განსაზღვრა ებიანი მრავლობითის გამარჯვება, რასაც მან ახალ ქართულში მიაღწია.

4. ებიანი მრავლობითი ითანხმებს ზმნას მრ. რიცხვში

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ თვით ძველ ქართულშიც ჰქონდა ადგილი ებიანი მრავლობითის მიერ ზმნების რიცხვში შეთანხმებას. ეს ხდებოდა მაშინაც, როცა ასეთი სახელი სუბიექტად გამოდიოდა, და მაშინაც, როცა იგი პირდაპირ ობიექტს წარმოადგენდა. რადგანაც ზოგიერთი მეცნიერი[2] სრულებით უარყოფს ძველ ქართულში ამ ფაქტს, ამიტომ სათანადო მაგალითებს აქ უფრო ფართოდ წარმოვადგენთ.

[1] ა. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. IX, 1929, გვ. 107—119.

[2] ფ. ცორელი, კ. დონდუა და ა. ჩიქობავა და სხვანი, ეს უკანასკნელი ერთგან შენიშნავს: ებიან სახელობითს ძველ ქართულში ზმნა არასოდეს ეთანხმებოდა (ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 1—2, 1941, გვ. 200).

ა) ებიანი მრავლობითი სუბიექტია

a) სუბიექტი სახელობითშია

ყოველი თესლები გულისხმის-ყოფითა ქრისტეს აღდგომასა აქებენ, სას. პოეზ. 313, 170. აქ, რასაკვირველია, შეთანხმება იმიტომ კი არ არის, რომ „თესლებს“ წინ ახლავს განსაზღვრებად „ყოველი“ (ასე რომ ყოფილიყო, ყველა სახელს, რომელსაც „ყოველი“ ერთვის, ზმნა უნდა შეეთანხმებინა მრ. რიცხვში, რაც არ არის სინამდვილეში), არამედ იმის გამო, რომ ებ სუფიქსიანი სახელი ითხოვს ამას.

...და შეკრბეს მარზაპანები და ერის-თავები, დანიელ 3, 3; და შეიპყრნენ სახლები მათი უცხოთაგან, იერ. 6, 12. „შეიპყრნენ“ ვნებითის ფორმაა, ამიტომ სახლები აქ სუბიექტს წარმოადგენს.

გარე-მიიქცეოდეს ისრები იგი მათი, და მოისრნეს მამები და დედები მრავალი და იყო სისხლისა დინებაჲ ფრიადი, Οπις. 127, ƚ4 ქვ.; ვიდრემდე აღივსნეს წყლის სასუმელები იგი, გამოსლვ. 2, 16[1]; ფრიგიასა მას შინა შეიწირნეს ყოველნივე (!) მამები და დედები ყრმებითურთ და ქაბუკთაჲთ, პარხ. 1220; კიმ. II, 107, 5; სულები იგი არაწმიდაჲ ჰხედვიდეს მას, მრ. 3, 11; რასაღა გჯმან მოწამებ, მრ. 14, 63 C; მნატრიდენ მე ყოველი თესლები ჭუეყანისანი (!), ლ. 1, 48 C; აჩუენა მამისა მიმართ ძალიცა ჴამსა ჴას, რომელსა ღაღადებდეს ყრმები იგი, უდაბნ. 77 რს; და ესხნესველა დავითს ძეებ და ასულებ იერუსალჱმს, 2 მეფ. 5, 13; კაცები იგი, რომელ მის თანა იყო, თითოეულად საბლჱულებითურთ მივიდეს და დაემკჯდრნეს ქებრონს შინა, 2 მეფ. 2, 3. აქ სახელი და ზმნა შორი-შორს არის, მაგ შორის ერთი დამოკიდებული წინადადებაა (რომელ მის თანა იყო), ერთიც კიდევ სხვა სახელია ებიან მრავლობითში ურთ თანდებულით, თანაც ამ სახელის მნიშვნელობა თავისთავად ბევრს გულისხმობს, იგი კრებითია. შეიძლება ყველა ამიტომ აქ შეთანხმებას უფრო აზრის მიხედვით ჰქონდეს ადგილი. მაგრამ რადგანაც არც პირველი შესაძლებლობაა გამორიცხული (რომ უშუალოდ კაცები ითანხმებდეს ზმნას მრ. რიცხვში), ამიტომ ამ მაგალითის აქ მოყვანა შესაძლებლად ვცანით.

...მოჰყვანდეს სნეულები ცხედრებითა და რომელნიმე საჴედრებითა, პარხ. 667 a; გარე-მომადგეს მე ზუარაკებ მრავალ, ფსალმ. 21, 12; გარე-მომადგეს მე ძაღლებ მრავალ, ფსალმ. 21, 16; ყოველი თესლები, რავდენი ჰქმენ, მოვიდენ, თაყუანის-გცენ შენ წინაშე, უფალო, და ადიდებდენ სახელსა შენსა, უფალო, ფსალმ. 85, 9.

ბ) სუბიექტი მოთხრობითშია

ჰრქუეს ყრმებმან მან პავლეს, თეკლ. 105, 29 (ვარიანტი: ჰრქუა); და ყოველმან დაბნებმან მათმან გრქუან შენ, ეზეკ. 38, 13; ხოლო ხვალისაგან ზრახვა-ყვეს ყოველმან თესლებმან ერისამან და განიყვანეს იგი გარეშე

[1] ახლავს გამომცემლის შენიშვნა: „ასეა A (გაუმართავია სინტაქსურად)“.

ქალაქსა დაშჯად, PO, 71, 17; პარხ. 112 b; ჰურიათა **ურმებმან** ვითარცა **ისმინეს** წინაწარმეტყუელებაჲ წინაწარმეტყუელისაჲ, პარხ. 93 a.

ბ) ებიანი მრავლობითი პირდაპირი ობიექტია

განასხნა სულები იგი უკეთური სიტყჳთა, მ. 8, 16 CD; **დაკლნიან ყოვლად-დასაწუველები** იგი, ლევიტ. 6, 32; და **განიშორნეს ცოლები** იგი თჳსი და შვილნი თჳსნი, 2 ეზრა 9, 36; და გამოწოონ სისხლი მათი ვითარცა ღჳნოჲ და **ალავსნენ ფილები** ვითარცა საკურთხეველნი, ზაქარ. 9, 15 (ფილები = ფიალები; შდრ. **ფიალნი** წინაშე საკურთხეველსა, იქვე, 14, 20); და უკუეთუ კუალად არა **აკურთხნის** წმიდამან მან **კუერთხები** იგი, არღარა აქუნ მათ ძალი კურნებისაჲ, კიმ. I, 241, 4; მაშინ **დაჰფლნეს** ქრისტეანეთა იდუმალ **გუამები** იგი მომწყდართა მათ, კიმ. II, 25, 26; ხოლო უღმრთოთა მათ **წარტყუენნეს ურმები** და **დედები** მათ თანა, ამონ. 210, 33; **გარდავიხილენით გუამები** იგი მოწამეთაჲ, იქვე, 216, 12; და ჰრქუა მათ აჰრონ: **გამოჰჴადენით საყურები** ოქროჲსაჲ ყურთაგან ცოლთა თქუენთაჲსა და ასულთა თქუენთაჲსა, გამოსლვ. 32, 2[1]; და **დაარღჳნეს სახლები** ისრაჱლისაჲ განსაძლებელად ზღუდეთა ქალაქისათა, ესაია 22, 10; და **შთანთქნა** კუერთხმან აჰრონისმან **კუერთხები** იგი მათი, გამოსლვ. 7, 12[2]; და **შემწყალდნეს ნავები**, Опис. 179, 21; და დადგეს კიდობანი იგი ურემსა მას ზედა, **საგურკველები** იგი ოქროჲსაჲ და **თაგუები დაუსხნეს** გუერდით კერძო კიდობანსა, 1 მეფ. 6, 11; **უსხენთ** ძეთა თქუენთა ცოლებ, იერ. 29, 6; და **შვნეს** მათ ძეებ და ასულებ, ეზეკ. 23, 4; ამისთჳს, რამეთუ **იქმნნეს** თავისა მათისა **სერტყები** განრისხებად უფლისა, 3 მეფ. 14, 15 („იქმნნეს" სათავისო ქცევის ფორმაა, მაშასადამე, აქ პირდაპირი ობიექტის მრავლობითთან გვაქვს საქმე. შდრ. рус. тварям.: они сдѣлали у себя идолов); და წარაელინნა მეფემან ასურასტანისამან **ჰუნეები** და **ეტლები**[3] და ერი ძლიერი, 4 მეფ. 6, 14; **იყვენით** თავებისა თქუენისა **მეგობრებ** ფასისაგან სიცრუეისა, ლ. 16, 9 C; დასამტკიცებელად სიტყჳსა მათისა **უჩუენნეს** მათ **წუერები** გრძელები და სამოსელი სამონაზნოჲ, პარხ. 927 a; **დახცნეს მძორები** მონათა შენთაჲ საჭმლად მფრინველთა ცისათა, იქვე, 562 a (= ფსალმ. 78, 3). თვით ფსალმუნის უძველეს ქართულ ხელნაწერში (საქ. მუზ. ხელნ. № A 38) ეს ადგილი პირველად ასე დაუწერიათ: „**დასხნეს მძორები** მონათა შენთანი საჭმელად მფრინველთა ცისათა", მაგრამ შემდეგ ზმნაში „ნ" ამოუფხეკიათ (დასხნეს—დასხეს), ხოლო მსაზღვრელი სახელებისათვის ხელი არ უხლიათ (მონათა შენთანი). საკითხის არსებითი მხარისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვინ ამოფხიკა ეს „ნ": თვით გადამწერმა ნაწერის გადათვალიერების შემდეგ, თუ

[1] ახლავს გამომცემლის პროფ. ა. შანიძის შენიშვნა სქოლიოში: „ასეა (დარღვეულია სინტაქსური წესი)".

[2] ახლავს გამომცემლის შენიშვნა სქოლიოში: „ასეა (გაუმართავია სინტაქსურად)".

[3] ხელნ. ეტლეები.

სხვა დროს სხვა ვინმემ. ორიეე შემთხვევაში ფაქტია, რომ ენაში მიმდინარეობს ღრმა და შინაარსიანი პროცესი ებიანი ფორმების მიერ ზმნათა რიცხვში შეთანხმებისა. პირველ ხანებში, რასაკვირველია, ის გზას ადვილად ვერ გაიკაფავდა, მას წინააღმდეგობას უწევდა ლიტერატურაში დაკანონებული და საუკუნეების ტრადიციებით ზურგგამაგრებული ფორმები ნარ-თანიანი მრავლობითისა. მაგრამ ცოცხალ სალაპარაკო ენაში არსებული ეს ფორმები თანდათან პოულობენ ლიტერატურაში ადგილს და თანდათან ავიწროებენ კონკურენტ ფორმებს.

5. ებიანი მრავლობითი ნაწილობრივ ითანხმებს ზმნას

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ ორი ტიპის მაგალითები. ერთი იმათგანი ისეთი ხასიათისა იყო, რომ ებიანი მრავლობითი ზმნებს მრ. რიცხვში ვერ ითანხმებდა სრულებით (შევიდა მამები, მიპყართ მელები, აღიღეს ქვები). მეორეში უკვე გვქონდა შეთანხმება (თესლები აქებენ, ჰრქუეს ყრმებმან, შემზადნეს ნავები). მაგრამ ამათ გვერდით გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ებიანი მრავლობითი ზმნას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაწილობრივ ითანხმებს. ჩვენ აქ მიედველობაში გვაქვს რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნები. ზოგჯერ ებიანი მრავლობითის ფორმებთან ასეთი ზმნები ფუძეს იცვლის, მრავლობითის **ფუძეს** იყენებს, მაგრამ მხოლობითის ფორმა აქვს. ასეა თუ ისე, მაინც ცხადია, რომ რაკი ზმნამ მრავლობითის ფუძე აიღო, მან მაინც სცადა შეთანამება, თუმცა ბოლომდე იგი მიყვანილი არაა: მას არა აქვს სათანადო **ნიშნები** მრავლობითისა. ასეთი მაგალითები შეიძლება ზემოთ წარმოდგენილ ორ ტიპს შორის გარდამავალ საფეხურად ჩავთვალოთ. ყველაზე ხშირად მრავლობითის ფუძედ გამოყენებულია **სხ (სხმა, სხდომა)**. **თხევა**, ერთ შემთხვევაში **ცვ**. არ შეგვხვედრია ღ-ს მრავლობითის ვარიანტი (აღღება — აღხუმა). ვნახოთ ეს მაგალითებზე:

სხმა

განასხა სტლები იგი უკეთური, მ. 8, 16 E; **მოასხა აქლემები** და **ჯორები** და **ვირები**, იქვით 2, 17; **გამოასხა კაცები** იგი, ევსტ. 170, 27; **წარმოასხა ცხენები** და **ეტლები**, 3 მეფ. 20, 21; **შთასხეს თავები** მათი გოდრებსა, 4 მეფ. 10, 7; **დასხით კაცები** ეგე, ლ. 9, 14; ი. 6, 10; **ისხთ შვილებ, ძეებ** და **ასულებ**, იერ. 29, 6. ამ მაგალითის შეუთანხმებელი სახეობა იქნებოდა **ისუთ ცოლებ** (იქვე), ხოლო სრული შეთანხმება ამ მაგალითშია მოცემული: **უსხენთ** ძეთა თქუენთა **ცოლებ** (იქვე). ამნაირად, შეთანხმება ასე ვითარდება: ისუთ ცოლებ (1), ისხთ შვილებ (2) და უსხენთ ცოლებ (3). სამივე სახეობა ერთ ადგილასაა დადასტურებული (იერ. 29, 6).

იმავე ზმნის ვნებითის ფორმებია:

ესე ყოველნი იყვნეს, რომელთა **ესხა ცოლები** უცხო-თესლთაგან და შობდეს მათგან ძეებსა და ასულებსა, 1 ეზრა 10, 44.

სხდომა

კარანები იგი სოფლებისაჲ სხდა წინაშე პირსა მისსა, ესთერ 1, 3; დასხდა კაცები იგი, ი. 6, 10.

თხევა

ცხენები და მჴედრები შთასთხია ზღუასა, გამოსლვ. 15, 1 ლაგ.; ცხენები და ჰუნეები შთასთხია ზღუასა, იქვე, 15, 21.

ცჳვ

რომელთა-იგი ძუალები დასცჳვა უდაბნოსა ზედა, ებრ. 3, 17. „დასცვა" წყვეტილის ფორმაა (=დასცვივდა), სრული შეთანხმება ასე გვექნებოდა: ძუალები დასცჳვეს.

6. მსაზღვრელ-საზღვრულის ებიან მრავლობითში შეთანხმების საკითხი

ჩვენ ამდენ ხანს ლაპარაკი გვქონდა ებიანი მრავლობითისა და ზმნის რიცხვში შეთანხმებაზე. როგორღა დგას საკითხი ებიანი მრავლობითის და მისი მსაზღვრელი სახელის შეთანხმებისა? როგორ უთანხმდება ებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს ატრიბუტული მსაზღვრელი?

აქ საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ებიან მრავლობითთან ნაკლებად არის წარმოდგენილი ატრიბუტული მსაზღვრელი. იმის მიხედვით კი, რაც გვაქვს, აქ სულ სხვანაირი სურათი გვეშლება, ვიდრე ამნაირი სახელების მიერ ზმნების შეთანხმებისას ვნახეთ: შემთხვევათა დიდ ნაწილში სახელთა შორის გვაქვს შეთანხმება: საზღვრულსაცა და მსაზღვრელსაც ერთვის მრავლობითობის ებ სუფიქსი (ვაც-ებ-ი ჭრელ-ებ-ი). ზოგჯერ კი (უფრო ნაკლებად) არა გვაქვს შეთანხმება: საზღვრულს აქვს ებ სუფიქსი, მსაზღვრელს კი იგი არ მოეპოვება (ტბ-ებ-ი კეთილ-ი). აქედან შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: ებიანი მრავლობითის შეთანხმების ძალას პირველად და უფრო ფართოდ სახელებში უჭირავს თავი, შემდეგ ის ზმნებზედაც გავრცელებულა.

მაგრამ აქ საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ საზღვრულისა და მსაზღვრელის შეთანხმება ებიან მრავლობითში ორივენაირ წყობაში გვხვდება: მას ადგილი აქვს მაშინაც, როცა საზღვრულს მოსდევს მსაზღვრელი (პოსტპოზიციური წყობა: ვაც-ებ-ი ჭრელ-ებ-ი), და მაშინაც, როცა მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს (პრეპოზიციული წყობა: მდგომარე-ებ-ი ჯორ-ებ-ი). ერთი კია: I შემთხვევა უფრო ხშირია, მეორე შედარებით ნაკლებად გვხვდება. ასე, მაგალითად, 34 მაგალითიდან, რომლებშიც შეთანხმება გვაქვს, 24 I სახისაა, 10 — მეორისა. მათი შეფარდება დაახლოებით ასეთია: 3:1, ე. ი. დაახლოებით მეოთხედი პრეპოზიციულ წყობაზე მოდის.

ყველაფერი ეს, რაც აქ ითქვა, უკვე ცვლის მიღებულ შეხედულებას, ერთი მხრივ, ებიანი მრავლობითის შეთანხმების ძალაზე საერთოდ და, მეორე მხრივ, მსაზღვრელისა და საზღვრულის ადგილის შესახებ ძველ ქართულში.

აქ მოვიყვანოთ ჯერ ისეთი მაგალითები, რომლებშიც არა გვაქვს შეთანხმება:

სულები იგი უკეთური, მ. 8, 16; სუეტები ლესული ოქროჲთა, ესთერ 1, 6; მელები მცირჱ, ქებაჲ 2, 15; ტბები კეთილი, მოც. 27, 8; მრავლად თესლებად, დაბ. 48, 19; ძარღუები გამოხატული, თუალთ. 15, 26; ყრმები მცირჱ, 4 მეფ. 2, 23; გჳრგჳნები ბრწყინვალჱ, პარხ. 565 ხ; სულები იგი არაწმიდაჲ, მრ. 5, 13; თუალები პატიოსანი, 3 მეფ. 10, 2.

ახლა ვუჩვენოთ ისეთებიც, სადაც შეთანხმება არის.

A. მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს (პოსტპოზიციური წყობა)

1. **წივნები სამეუფოები:** მას ჟამსა ბრძანეს, რაჲთა დაიწეროს წიგნები სამეუფოები უშჯულოჲთა ამით ბრძანებითა, პარხ. 1102 ხ.
2. **ანთრაკები პატიოსნები:** ვითარცა ჶურჶელი ჶედილი ოქროჲსა მყარისაჲ, აღმკული და შთასხმული ანთრაკები იგი პატიოსნები, ზირაქ 50, 10.
3. **ჯურღმულები აღმოკუეთილები,**
4. **ვენაკები განგებულები:** და დაიმკჳდრნეს სახლნი, ყოვლითა კეთილითა სავსენი, ჯურღმულები აღმოკუეთილები და ვენაკები განგებულები და ზეთისხილოვანები; ნეემია 9, 25.
5. **საკუერთხები დიდ-დიდები:** და შეწირეს მას ღღესა შინა საკუერთხები დიდ-დიდები, ნეემია 12, 27.
6. **სახლებსა თლილებსაჲ:** სახლებსა თლილებსა იშჱნებდით და არა დაიმკჳდროთ მას შინა, ამოს 5, 11.
7. **ქორები ფართოები:** იშჱნე თავისა თჳსისა სახლი, შეუდგინე ქორები ფართოები განწესებული სარკუმლებითა, იერ. 22, 14.
8. **მჭედრებითა რჩეულებითა,**
9. **ეტლებითა შემკულებითა:** მაშინ აბდალ-მელიქ ამირ-მუმლი აღმოვიდა... ბაბილოვნით იერუსალჱმად ცოლით, შვილით მისით, ერითა მრავლითა,

მჭედრებითა რჩეულებითა,
ეტლებითა შემკულებითა,
ჰუნებითა, ტაიჴებითა,
პილოებითა და აქლემებითა,
მრავალფერითა საუცრებითა,
მრავალსახითა სახიობითა,
წარმავალითა და დავიწყებადითა,
კიმ. I, 166, 23.

10. **ტაძრები მაღლები:** და მთანი ძრწოდეს, და კლდენი განსთქდებოდეს, ტაძრები იგი მაღლები დაეცემოდა, და საშინელი ჴმაჲ მწუხარებისაჲ ისმოდა, ლიტ. ურთ. 139, 23.

11. **ვაცები ჰრელები:** და განარჩია მას დღესა შინა ვაცები ჰრელები და სპეტაკი (!) და ყოველი თხად ნეზჳ ჰრელი და სპეტაკი, დაბ. 30, 35.
12. **ზუარაკებითა სპეტაკებითა:** და აღასრულებდა დღესასწაულსა წლითი წლად ზუარაკებითა სპეტაკებითა და ვაცებითა, ლიტ. ურთ. 60, 5.
13. **ხენაკებსა მცირებსა:** (რომე)ლთა უდაბნოთა ჯუარს-აცუნეს[1] თავნი მათნი, შეეყენნეს ქუაბთა შინა და ჴურელთა ქუეყანისათა ანუ თუ ხენაკებსა შინა მცირებსა და წარვლეს ცხორებად ესე შიმშილითა და წყურილითა, Опис. 67, 2.
14. **ჴრმლები ჴდილები:** და კალნიერ იყო მათ ზედა და არა შეეშინა, რამეს იხილა პირები იგი მათი და ჴრმლები ჴდილები, ამონ. 212, 31.
15. **სულები არაწმიდები:** და გამოჴდა სულები იგი არაწმიდები და შეჴდა ღორებსა მას, მრ. 5, 13 С.
16. **ტაძრები დიდ-დიდები:** ყოველი ტაძრები დიდ-დიდები მოწუა ცეცხლითა, იერ. 52, 13.
17. **ჩაფები ახლები:** და განყუნა სამასნი იგი კაცნი სამად და ჴელთა შისცა ნესტუები რქისად და ჩაფები ახლები და ლამპრები შიდა ჩაფებსა მას, მსაჯ. 7, 16 ლაგ.
18. **ჴამლები განგლესილები:** სადა იყოს მაშინ ტაძრები იგი და ეზოები შუენიერად შემკობილი! სადა იყოს მაშინ ჴამლები იგი შუენიერად განგლესილები, მამ. სწავ. 59.

თუმცა აქ საზღვრული და მსაზღვრელი გათიშულია სიტყვით „შუენიერად“, მაგრამ შეთანხმებისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა: აკი იმავე წინადადებაში წარმოდგენილი საზღვრული და მსაზღვრელი—ეზოები შუენიერად შემკობილი — გათიშულია, და გათიშულია სწორედ იმავე სიტყვით „შუენიერად“, მაგრამ მათ შორის შეთანხმებას მაინც არა აქვს ადგილი. აქ შეთანხმების საკითხი თავისუფალია და ამ თავისუფლებით სარგებლობს ამის მთარგმნელი (რედაქტორი თუ გადამწერი): ყოველმხრივ ერთნაირ სინტაქსურ წყვილებს ერთ შემთხვევაში უთანხმებს ერთმანეთს რიცხვში (ჴამლები იგი შუენიერად განგლესილები), ხოლო მეორე შემთხვევაში შეუთანხმებლად ტოვებს (ეზოები შუენიერად შემკობილი).

19. **მშჯლდ-კაბარჭები შემზადებულები:** რამეთუ ვითარცა-იგი მჴედართა მბრძოლთა სახლებსა ჰკიდავნ მრავალ-ფერი საჭურველი: ჴრმლები და ჰორლები, ფარები და მშჯლდ-კაბარჭები შემზადებულები, მამ. სწავ. (Н) 170.
20. **თუალებსა პატიოსნებსა:** ჴოაქუნდა ოქროჲ თარშით ნავებითა... სირაქლემსა და ქიაებსა, და სხუასაცა თუალებსა პატიოსნებსა

[1] გამოც.: ჯუარსა-აცუნეს.

და თუალებსა, რომლისაჲ არნ ფერი მსგავს ოქროჲსა, თუალთ. 63, 4 — 9.

21 — 22. **სამოსლები სპეტაკები** (ორჯერ): მიეცა მათ სამოსლები სპეტაკები, გამოცხ. 6, 11; რომელთა ჰმოსიეს სამოსლები სპეტაკები, იქვე, 7, 13.

23. **ლაკნები სავსეები**: ოთხთა მათ ცხოველთაგან მიიღესო ანგელოზთა მათ ლაკნები იგი სავსეები, თარგმ. გამოცხ. 15, 7.

24. **წუერები გრძელები**: დასამტკიცებელად სიტყჳსა მათისა უჩუენნეს მათ წუერები გრძელები და სამოსელი სამონაზნოჲ, პარხ. 927a.

B. მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს (პრეპოზიციული წყობა)

1. **მიმოდაწარძღუანებულები წიგნები**: რაჲთა უკმოიღო მიმოდაწარძღუანებულები იგი წიგნები ჰამანისი, ესთერ 8, 1.

2. **საკჳრველებსა ნიშებსა**: და ჰაედვიდეს საკჳრველებსა ნიშებსა, სიბრი. 19, 8.

3. **მარჯუეებსა მალაკებსა**: და იქმოდა იგი მოთხეებსა და მარჯუეებსა მალაკებსა, კიმ. I, 166, 30.

4. **სხუებიცა კაცები**: განვიდა მიერ, და სხუებიცა კაცები მრავალი მის თანა სავსე გულის-წყრომითა წარვიდეს, თეკლ. 102, 24.

5. **მრავლებითა მოყუსებითა**: და მო-ვინმე-ვიდა კაცი მორწმუნე ქრისტჱსი, რომელსა.სახელი ერქუა გამალიელ, მრავლებითა მოყუსებითა და ღამე წარიღო იგი, ისტ. ქრისტ. 293, 21.

6. **მდგომარეები ჯორები**: ვიხილე ტაბლაჲ საუფლოჲ და მახლობელად მისა მდგომარეები ჯორები[1] გარემოჲს ყოვლად და მეწიხარნი შემართ, უდაბნ. 32 vb.

7. **დაწერილები წიგნები**: ამან ყოველთა ქალაქთა და სოფელთა წარსცა დაწერილები წიგნები, პარი. 596a.

8—10. **ბრწყინვალები ტაძრები, ფართოები სახლები, მაღლები ზღუდეები**: ისწავეთ, რომელსა-იგი ბრწყინვალები ტაძრები აღუქმნიეს და ფართოები სახლები და მაღლები ზღუდეები, უდაბნ. 99 rb.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ იშვიათად ისეთი შემთხვევაც გვხვდება, როცა მსაზღვრელს აქვს ეგ სუფიქსი, საზღვრული კი ნიღლობითის ფორმითაა მოცემული. ორი ასეთი შემთხვევიდან ერთში საზღვრული უსწრებს წინ, მეორეში — მსაზღვრელი. აი ეს მაგალითებიც:

აჲ ვიხილე... შემოსილნი სამოსლითა სპეტაკებითა და ჴელთა მათთა ფინიკები, გამოცხ. 7, 9.

[1] ხელნ.: ჯურები.

ბ) ვითარცა იხილეს შეკრულები იგი ვეცხლი მათ და მამამან მათმან, შეშინდეს, დაბ. 42, 35.

ორივე ამ შემთხვევაში საზღვრული მრავლობითში იგულისხმება, მაგრამ პირველ შემთხვევაში მისი დასმა მრავლობითში აცილებული იყო, რადგან ამ სახელს მრავლობითში ჩვეულებრივ არ სვამენ; ხოლო მეორე შემთხვევის საზღვრული ისეთი სახელია, რომელსაც საერთოდ ნაკლებად აქვს მრავლობითი (ნივთიერების სახელია). ამიტომ ამ სახელების მრავლობითობაზე აქ მათი მსაზღვრელები მიუთითებენ (სამოსლითა სპეტაკებითა, შეკრულები იგი ვეცხლი).

უკანასკნელ, მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ზოგჯერ ებიანი მრავლობითის მსაზღვრელი თავის საზღვრულს ნარით უთანხმდება. ამნაირად: საზღვრული ებიანი, მსაზღვრელი ნარიანი, — ასეთია მეტად საინტერესო სურათი, რომელსაც ეს შემთხვევები იძლევა. მაგალითები:

და დასხდეს პავლე და თეკლა და **ყოველნი იგი კაცები**, რომელნი იყვნეს მის თანა, თეკლ. 121, 29 (შდრ. და აღდგა პავლე და წარიყვანა იგი და **ყოველი იგი კაცები**, იქვე, 121, 26); ფრიგიასა მას შინა შეიწირნეს **ყოველნივე მამები** და დედები ყრმებითურთ და ქაბუკთაჲთ, პარხ. 1220; კიმ. II, 107, 5.

ასეთ შეთანხმებას იშვიათად ადგილი აქვს ზაშინაც, როდესაც მსაზღვრელად მართული სახელია გამოყენებული, მაგალითად: ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველი **თესლები ქუეყანისანი**, ლ. 1, 48 C.

მსგავსი ნიმუშების არსებობა ძველ ქართულში არაფერს მოულოდნელსა და შეუძლებელს არ წარმოადგენს მას შემდეგ, რაც ჩვენთვის მრავალი მაგალითის ჩვენების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პირდაპირ ობიექტად გამოყენებული ებიანი მრავლობითი ზმნას ითანხმებდა რიცხვში, ზმნაში მრავლობითობის ნიშანს აჩენდა (შენზად-ნ-ეს ნავ-ებ-ი, წარავლინ-ნ-ა ჰუნე-ებ-ი). რა მიზეზითაც ზმნაშია გაჩენილი (ენ→) ნ, იმავე მიზეზით ჩნდება სახელში იგივე ნიშანი:

წარავლინ-ნ-ა	ჰუნე-ებ-ი
ყოველ-ნ-ი	კაც-ებ-ი.

ოღონდ ესაა, რომ სახელებში ამნაირი მაგალითები ძალიან ცოტაა, ზმნებში კი — შეუდარებლად მეტი.

7. ორმაგი მრავლობითი

ებიანი მრავლობითის შეთანხმების ნაკლები ძალით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ იშვიათად ძველ ქართულშიც მოიპოვება მაგალითები ორმაგი მრავლობითის ხმარებისა. რიგი მრავლობითობის ნიშნებისა აქაც ყველგან ისეთია, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში[1]: ჯერ

[1] ა. ჩიქობავა, სახ. ფუძ. გვ. 9.

ებ, შემდეგ ნ ან თ. სულ ჩვენ შეგვხვდა 7 მაგალითი. ამათგან ერთს ზემოთ უკვე გავეცანით სხვა საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება აქაც გავიმეორთ. ამ 7-დან ებ + თ-(ა) გვაქვს ხუთში, ხოლო ებ + ნ — ორში. აი ეს მაგალითებიც:

ებ + ნ

ვინაჲცა სოფლებნიცა მისცნა კაცნან მან ღმრთისამან გიორგი, ზარზმ. 167, 34; განწმედილნო ნაპრალებნო,... აქებდით ანგელოზსა ქუეყანისასა და კაცსა ზეცისასა მჴურვალესა, სას. პოეზ. 361, 5.

ებ + თ-(ა)

რომელნი იჴსნა ჴელთაგან მტერთაჲსა და ყოველთაგან სოფლებთა შეკრიბნა იგინი, ფსალმ. 106, 2; ვითარცა-იგი იდიდა მიყოფაე ჴელთა მისთა ზედა ქალაქებთა მათ, ზირაქ 46, 3; რამეთუ შთაგიჴდა გოდებაჲ სარკუნელით თქუენით და შეჴდა ქუეყანად თქუენდა მოსპოლვად ჩჩჴლთა გარეშოჲს და ჰაბუკთა უბნებთაგან სიკუდილისათა, იერ. 9, 21; ეკიდა აქლემებთა მათ საკუმეველი და ოქროჲ დიდად ფრიად და თუალები პატიოსანი, 3 მეფ. 10, 2; და მათ ადგილთაგან და დაბნებთა გამოაჩინნა ნათელნი იგი სოფლისანი, რომელ არიან ესე წმიდანი მოციქულნი, თუალთ. 41, 12. ასეთივე მაგალითია კიდევ ლიტერატურაში უკვე აღნიშნული ჴევნებნი და ჴევნებთა [1].

შემდეგ და შემდეგ ორბაგი მრავლობითის მაგალითები უფრო ხშირად გვხვდება. აქა-იქ მას ახალ ქართულშიც წავაწყდებით ხოლმე (აბზანაგებთა, იმ პირებთა, რომლებთაც და სხვ.), მაგრამ ამას ახლა აქ ვერ გამოვუდგებით. ჩვენთვის საინტერესო იყო ასეთი ფაქტი ძველ ქართულში დაგვედასტურებინა და ჩვენი მაგალითებიც ამისთვის სრულიად საკმარისია.

8. კრებითი სახელების მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების საკითხი

რაკი სიტყვამ მოიტანა და სახელისა (ებიანი მრავლობითისა) და ზმნის რიცხვში შეთანხმებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, სჯობს აქვე განვიხილოთ კრებითი სახელების ერთი თავისებურება ძველ ქართულში. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს კრებითი სახელების მიერ ზმნების შეთანხმება მრავლობითს რიცხვში. ამ სინტაქსური ბოლენის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ შეთანხმება ხდება აზრის, შინაარსის მიხედვით. კრებითი სახელები შინაარსით ყოველთვის მრავალს გამოხატავს, თუმცა ფორმა მხოლობითისა აქვს.

[1] მ. კახაძე, ეკუსთა დღეთაჲ. გვ. 048. ავტორს იგი სამმაგი მრავლობითის ნიშნად მიაჩნია, რაც არ არის სწორი: ჴევ-ნ-ებნი, ჴევ-ნ-ებთა ფორმებში ხახგასმული ნარი ფუძეს ეკუთვნის (შდრ. დაბნები, უდაბნო).

ამ ორი საწყისიდან ძველი ქართული უმთავრესად აზრის, შინაარსის მომენტს წამოსწევს წინ და ამის გამო ხდება ასეთ სახელებთან ზმნის მრავლობითს რიცხვში დასმა.

ყოველთვის ითანხმებს კრებითი სახელი ზმნას მრავლობითს რიცხვში? არა, ყოველთვის არ ითანხმებს. როდესაც კრებითი სახელი და ზმნა უშუალოდ ერთმანეთთან არის წარმოდგენილი, შეთანხმებას ხან აქვს ადგილი, ხან არა. შეთანხმება უფრო მეტად მაშინ ხდება, როცა კრებითს სახელს ერთვის განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ყოველი, რომელიც თავისი ბუნების მიხედვით ქმნის წარმოდგენას ბევრზე, სიმრავლეზე. ასეთსავე შედეგს იძლევა აგრეთვე კრებითს სახელთან რაოდენობითი რიცხვითი სახელის დართვა (რაც იშვიათად ხდება). უფრო მეტად შეთანხმებას აძლიერებს აგრეთვე კრებითი სახელისათვის ეროვნებათა სახელების დართვა განსაზღვრებად (სარკინოზთა ერი, ებრაელთა ერი და სხვა). შემდეგ: შეთანხმებას უწყობს ხელს აგრეთვე კრებითი სახელისა და ზმნის დაშორება: რამდენადაც ეს ორი სიტყვა ერთმანეთისაგან შორს მდებარეობს, შეთანხმება იმდენად უფრო მეტად ხდება და, რამდენადაც ახლოსაა ერთმანეთთან,—იმდენად ნაკლებად. ეს გასაგებიცაა: მას შემდეგ, რაც მწერალმა კრებითი სახელი დაწერა და მას რამდენიმე სიტყვაც მიაყოლა, მის თავში რჩება წარმოდგენა სათანადო სახელის მრავლობაზე, იმაზე, რომ მის ბიერ დაწერილი სახელი **ერთს არ გულისხმობს**, ბევრია, მრავალია და ამიტომ ზმნას ასეთ შემთხვევაში უმეტესად მრავლობითს რიცხვში სვამს.

რა და რა კრებითი სახელები გვხვდება ძველ ქართულში? ყველაზე ხშირად გვხვდება **ერი**, შემდეგ **სიმრავლე**, მერმე—**კრებული, გუნდი, დახი, ძალი, საცხოვარი** (=საქონელი), **სამწყსო** და სხვა. კრებითი სახელის გაგებითვე იხმარება ძველი ქართულის ცნობილი სიტყვა **კაცად-კაცადი**. ბოლოს, ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე ქვეყნების, მთარეებისა და ხალხების სახელები, როგორიცაა: თვით **ქუეყანაჲ, ქართლი, ისრაჱლი** და სხვა. მოვიყვანოთ მაგალითები, როცა კრებითი სახელები ითანხმებს ზმნას მრ. რიცხვში:

ერი

ზედაცა **დაესხმოდეს** მას **ერი** იგი, რაჲთა შე-ოდენ-ეხნენ, მრ. 3, 10; სასტიკად **ჰბრძოდეს** მას სარკინოზთა **ერი**, აბო 186, 5; **ყოველი იგი ერი წიაღჴდეს** და მეფჱ ნაღუარევსა მას კედრონისასა, 2 მეფ. 15, 23; **შეკრბეს** (წყვ.=შეიკრიბნენ) **ერი** მრავალი, არიმ. 69, 91, 1; **იხილეს** რაჲ ესე **ერმან** მან, მ. 9, 8; ნუუკუე ქვაჲ **დაჰკრიბონ** მათ **ერმან** მან, უდაბნ. 76 vn; **იყივლეს** და **აღიზახეს ერმან** მან ისრაჱლისამან და **მივიდეს** და **დადგეს** თითოეულად ადგილსა თჳსსა განმზადებულნი. ბრძოლად, 1 მეფ. 17, 20; და **მოიყვანეს ერმან** მან მის ქუეყანისამან იოაქაზ, ძჱ იოსიაჲსი, და **დაადგინეს** იგი მეფედ მათ ზედა, 4 მეფ. 23, 30; და სხუამან ჱან **ერმან მისცეს** (წყვეტ.=дали) ორი ბევრი დრაჰკანი, ნეემია 7, 69; ესე მოსაგებელი **მოაგეს** უფალსა ამან **ერმან** ცოფმან და არა ბრძენმან, ბოლნ. 77, 5 ქვ.; ხოლო **ერმან** მან დიდი დღესასწაული **აღასრულეს** შჯდთა მათ დღეთა, სვან. 282 ს; ეითარცა

აგრძნეს ერმან მორწმუნეთამან, უმზირდეს და ეძიებდეს ჟამსა მარჯუესა, რაჲთამცა წარიპარნეს იგინი, პარხ. 799 ს...

ყოველმან ერმან იხილეს იგი, მრ. 9, 15; და ცნან ყოველმან ამან ერმან. რამეთუ შენ ხარ მხოლოჲ უფალი ღმერთი ისრაჱლისაჲ, 3 მეფ. 18, 37.

კრებული

ბაშინ კრებულმან მან უღმრთოთამან ვითარცა იხილეს სარწმუნოებაჲ მისი უცვალებელი. თანა-შეირთეს მოძღუარი იგი მათი ეშმაკი, პარხ. 842 გ; ყოველი იგი კრებული წარმართთაჲ მოვიდოდეს მათ თანავე, იქვე, 817 გ: გარე-მომადგეს მე ძაღლებ მრავალ და კრებულმან უკეთურთამან მომიცვეს მე, ფსალმ. 21, 16 (მოიცვეს წყვეტილია).

სიმრავლე

ევედრებოდეს მას ყოველი იგი სიმრავლე გარემოჲს სოფლებისაჲ მის გერგესეველთაჲ, ლ. 8, 37; იხილეს ყოველმან სიმრავლემან ქალაქისამან, მოქც. 32, 15; დღეს სიმრავლემან ურჩულოთამან ზრახვაჲ ბოროტი იზრახეს უფლისათჳს და ცხებულისა მისისათჳს, შეიპყრეს და მიიყვანეს იგი ტაძრად კაიაფაჲსა, სცემდეს, ჰგუემდეს და ეტყოდეს, ჰილ-ეტრ. 150, 9; მოგელოდეს თქუენ სიმრავლე ანგელოზთაჲ, პარხ. 1055 გ.

ძალი (=ძალები, ლაშქარი, რაზმი, გუნდი)

და დევნა-უყვეს ძალმან ქალდეველთამან უკუანა მათსა, იერ. 39, 5; და დევნა-უყვეს ძალმან ქალდეველთაჲმან უკუანა მეფესა სედეკიას და ეწინეს ჩას წიაღ იერიქოჲსა უდაბნოსა, იერ. 52, 8.

გუნდი

და ყოველი იგი გუნდი მბრძოლთაჲ მათ კაცთაჲ მარჯულ და მარცხლ ვიდოდეს მეფისა, 2 მეფ. 16, 6.

კაცად-კაცადი

არცა მოაკლეს კაცად-კაცადმან შრომისაგან თჳსისა, ზირაქ 16, 27; ვინ უწყის, ისმინონ ხოლო თუ და მოიქცენ კაცად-კაცადი გზისაგან თჳსისა ბოროტისა, იერ. 26, 3.

საცხოვარი

საცხოვარ თუ გედგნენ, ჰღუწოდე მათ; იყვნენ თუ შენდა საჴმარ, დაიდგრინენ იგინი, ზირაქ 7, 24.

ქუეყანაჲ

და ყოველი იგი ქუეყანაჲ ჴმითა მაღლითა აკურთხევდეს და ტიროდეს, 2 მეფ. 15, 23.

ქართლი

დააწესეს დღესასწაული ძღვენით-შემოსილისა ჯუარისაჲ აღვსებისა ზატიკის-ზატიკსა დღესა კჳრიაკესსა ყოველმან **ქართლმან** ვიდრე დღენდელად დღედმდე და ვიდრე უკუნისამდე, მოქც. 39, 20.

ისრაჱლი

რაჟამს **აგრძნეს** ყოველმან **ისრაჱლმან**, ვითარმედ განძლიერდა მამაჲ შენი შენ ზედა, 2 მეფ. 17, 10.

ზემოთ წარმოდგენილ მასალებში კრებითს სახელთან ზმნის მრავლობითს რიცხვში შეთანხმებაში სიტყვა **ყოველის** როლი ცხადია, ის ძალიან უწყობს ხელს ამ შეთანხმებას. ხან ხდება ისეც, რომ ბარტო **ყოველის** დართვა ჩვეულებრივი, არა კრებითი სახელისათვისაც საკმარისია, რომ მას ზმნა მრავლობითში შეეწყოს. ამის მაგალითი იქნებოდა:

ყოველმან კაცმან მეშურდლემან დაიპყრეს აღსავალი მათი და ესროდეს ქვითა მათ ზედა, იგდით 6, 12.

ასეთსავე ძალას ამჟღავნებს სიტყვა **ყოველი** ზმნაში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნისასაც, მაგალითად:

რაჲთა არა წარრღუნნეს წყლით-რღუნამან მან **ყოველი ჴორციელი**, ზირაქ 44, 18. **ყოველს** ასეთ როლში ხანდახან რაოდენობითი რიცხვითი სახელი ცვლის, მაგალითად:

მერმე განრისხნა და ბრძანა ღოდისა შემოგორვებაჲ, რომელი **ოც და ათმან კაცმან** ძნიად **შემოაგორვეს**, პარხ. 818 a. მაგრამ როგორიც უნდა იყოს შეთანხმებისათვის ხელის შეწყობაში ამ **ყოველის** როლი, ერთი მაინც ცხადია: **შეთანხმება გვაქვს უმისოდაც** (ერმან აღასრულეს, ძალმან დეუნაუყეს, ქუეყანაჲ აკურთხეედეს, სიმრაელემან იზრახეს). მაშასადამე, აქ შეიძლება ლაპარაკი იყოს **ყოველის** მიერ შეთანხმებისათვის ხელის შეწყობაზე მხოლოდ და არა იმაზე, რომ შეთანხმებას ის იწვევს.

როდესაც კრებითი სახელი გვხვდება შემასმენლების მიხედვით შერწყმულ წინადადებაში, ან კიდევ ზოგიერთი ტიპის რთულ წინადადებაში, პირველი ამ შემასმენელთაგანი კრებითს საბელს ხან ეწყობა მრავლობითს რიცხვში, ხან არა (ნ. აქვე ზემოთ), მაგრამ მეორე და შემდგომი შემასმენლები უსათუოდ მრავლობითში უთანხმდება მას, მაგალითად:

ჰხედვიდა ყოველი **ერი** და შიშით და ძრწოლით **მივლენედ** თავყუანის-ცემად გულს-მოდგინედ პატიოსანსა ჯუარსა და სიხარულით **ადიდებედ** ღმერთსა, მოქც. 40, 17; ერმან მან აგრძნა და **მისდევდეს** მას, ლ. 9, 11; და მეყსეულად ყოველმან მან **ერმან იხილა, შეცბუნდეს** და **მირბიოდეს** და **მოიკითხვიდეს** მას, მრ. 9, 15 C; და დაცჳა (წყვეტ.=დაცვივდა) ერი იგი და **თაყუანის-სცეს** ღმერთსა და **ლაღადებდეს** და თქუეს, იგდით 6, 18; ღაღად-ყო ყოველმან **ერმან** და **თქუეს**, 3 მეფ. 12, 24; დაკჳრებულ იყო **ერი** იგი და **იტყოდეს**, მ. 9, 33 C; ვითარ **იხილა ერმან** მან, რამეთუ იესუ არა მუნ შინა არს და არცა მოწაფენი მისნი, **მიიქციეს** ნაჲი იგი და

მივიდეს კაპარნაუმდ მოძიებად იესუჲსა, ი. 6, 24 C; მაშინ უბრძანეს ერსა მას, რაჲთა დასცხრენ შფოთისა მისგან. და ვითარცა დადუმნეს, ჰრქუა სელინოს ლუსიმახოსს, პარხ. 656 a.

არსებითად რომ ვთქვათ, ასე ვიქცევით ჩვენ დღესაც. შეთანხმების ამნაირ ნიმუშებს იძლევიან ჩვენი კლასიკოსები, მაგალითად:

ხალხი მისცევდა, ასწიეს მუშა და ციმციმით წაიღეს (ი. ჭავჭავაძე, გლახის ნაამბობი: მხატვრული ნაწერები, 1937, გვ. 341); აგერ, ამ თქუენის ქუჩის ბოლოს, ერთი ღარიბი სახლობა არის, პურის შოვნის ილაჯი არა აქვთ, მე და შენ კი ყოველთვის მაძღრები ვართ (იქვე, გვ. 320); მოედანზედ ხალხი ირეოდა, როგორც ყოველთვის, ბევრგან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ჟღრიამული გაჰქონდათ (სარჩობელაზედ: იქვე, გვ. 500); შეკრბა წისქვილთან ხალხი, დაუწყეს სინჯვა (ვაჟა-ფშაველა, მოთხრობები, ტ. V, გვ. 114); ხალხმა მოიყარა თავი-თავს და მიყურძენ გიგოლას ქოხის კარებთან (იქვე, გვ. 122) და სხვა.

V. ნაწევრიანი სახელები

1. ზოგადი ცნობები ნაწევრის შესახებ

ნაწევარი დამახასიათებელია მთელი რიგი ენებისათვის. იგი გვხვდება ამ ენებში სხვადასხვანაირი ფორმითა და მნიშვნელობით. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით ნაწევრის ჩამოყალიბება მოცემული ენის განვითარების უძველეს საფეხურებზე უნდა ვივარაუდოთ.

ბევრ ენაში ნაწევარი გამოხატულია ფორმაუცვლელი სიტყვისა თუ ნაწილაკის საშუალებით. ასეთია, მაგალითად, ინგლისური ენა, სადაც განსაზღვრული ნაწევარი the და განუსაზღვრელი ნაწევარი an უკვე ფორმაუცვლელ სიტყვებად ქცეულან. უფრო ხშირად ნაწევარი ფორმაცვალებად სიტყვას წარმოადგენს; იგი იცვლება ბრუნვისა, რიცხვისა და სქესის მიხედვით (თუ, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი კატეგორია მოეპოვება ენას). ამ ტიპის ენებია, მაგალითად, ძველი ბერძნული, სადაც ὁ, ἡ, τό (მბ. რ.) და οἱ, αἱ, τά (მრ. რ.) მაჩრობითი, ნდედრობითი და საშუალო სქესის განსაზღვრული ნაწევარია შესაბამისად, გერმანული (der, die, das), ფრანგული (le, la) და სხვ.

ბგერათშედგენილობის მიხედვით ნაწევარი ჩვეულებრივ ერთმარცვლიან სიტყვას წარმოადგენს. იგი შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ერთი ბგერისაგან. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ხმოვანიც (აფხაზური და უბიხური ა, იტალ. i, პორტ. o, a, ინგლ. a და სხვ.) და თანხმოვანიც (იტალ. l', ფრანგ. l', რუმინ. l, ბულგ. t, ნორვ. n და სხვ.). ხშირია ორ- და სამბგერიანი ნაწევარიც. უფრო იშვიათია ორმარცვლიანი ნაწევარი (იტალ. uno, una, პორტ. una, რუმინ. unei, lui, cele, ქართ. ესე, ეგე, იგი, ერთი და სხვ.).

მდებარეობის მიხედვით ნაწევარი ორგვარია: პრეპოზიციული და პოსტპოზიციური. პირველ შემთხვევაში ნაწევარი წინ უსწრებს არსებითს სახელს

(ძველი ბერძნული, გერმანული, ინგლისური, აფხაზური, უბიხური და სხვ.), მეორეში — მოსდევს მას (შვედური, ბულგარული, ნორვეგიული, დანიური და სხვ.). ზოგ ენაში ორივე სახეობა გვაქვს ერთსა და იმავე დროს. ასეთია, მაგალითად, რუმინული, ქართული. ამ უკანასკნელისათვის ჩვეულებრივია პოსტპოზიციური წყობა, პრეპოზიციული წყობა მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში იხმარება, რასაც სხვაგან ვეხებით დაწვრილებით: ნაწევარი ძველ ქართულში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 61, 1955, (გვ. 260 — 265).

შინაარსის მიხედვით არჩევენ განსაზღვრულსა და განუსაზღვრელ ნაწევარს, რომლებიც ჩვეულებრივ ერთიმეორის გვერდით იხმარებიან ერთსა და იმავე ენაში. ასეთია, მაგალითად, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ქართული და სხვა ენები. იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ენაში მხოლოდ განსაზღვრული ნაწევარი მოგვეპოვება. ასეთია, მაგალითად, ძველი ირლანდიური და ზოგი სხვა ენა.

ზოგ ენაში ადამიანთა საკუთარ სახელებს თავისი, განსაკუთრებული ნაწევარი აქვთ, ნივთის სახელებს—თავისი (ინდონეზიის ენებში). ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ აღნიშნული ნაწევრები წარმოშობით კლას-კატეგორიის ნიშნებია და მათი ამ ფუნქციის მოშლის შემდეგღა იქცნენ ისინი ნაწევრებად.

ბევრ ენაში ნაწევარი სახელთა სქესის გამომხატველად გვევლინება (მაგალითად, ძველ ბერძნულში, გერმანულში, ფრანგულსა და სხვებში), მაგრამ ამ მოკლენის მიჩნევა ნაწევრის ძირითად ფუნქციად არ შეიძლება, რადგანაც ნაწევარი ისეთ ენებშიც გვხვდება, რომელთაც არ იციან სახელთა დაყოფა სქესების მიხედვით (ასეთია, მაგალითად, ინგლისური, ქართული და სხვ.).

ზოგჯერ, როცა თვით არსებითს სახელს არ მოეპოვება ბრუნვისა და რიცხვის გამომხატველი ნიშნები, ნაწევარი არის ერთადერთი საშუალება არსებით სახელთა ამ კატეგორიების გასარჩევად (შდრ., მაგალითად, გერმ. der Arbeiter „მუშა“ და die Arbeiter „ხუშები“).

ზოგ შემთხვევაში ნაწევარი სუბსტანტივაციის მაჩვენებლად გვევლინება, მაგრამ ნამდვილად ამ სუბსტანტივაციას ქმნის არა ნაწევარი, არამედ გარკვეული კონტექსტი, რომელიც ამა თუ იმ სიტყვას აძლევს არსებითი სახელის მნიშვნელობას. ამ მოსაზრებას ამტკიცებს ორი გარემოება: ა) სუბსტანტივაციას ადგილი აქვს მაშინაც, როცა სათანადო სახელთან ნაწევარი სრულებით არ არის წარმოდგენილი, მაგალითად: Arbeiten და Kämpfen, Lieben და Hassen. ბ) მას ადგილი აქვს ისეთ ენებშიც, სადაც ნაწევარი სულ არ არსებობს. შდრ., მაგალითად, რუსული: „И далекое невозможное вдруг стало близким возможным и неизбежным“ (Л. Толстой, „Война и мир“); „Больной встал с постели“ и „Это для него больной вопрос“; „Рабочий пошел на завод“ и „Рабочий день длится восемь часов“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ განსაზღვრული ნაწევარი მთელ რიგ ენებში ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან მომდინარეობს, ხოლო განუსაზღვრელი—რიცხვითი სახელისაგან („ერთი“). ეს დებულება იმდენად აშკარაა, რომ

მის შესახებ არავინ არ დაობს, ამიტომ ჩვენც არაფერს ვიტყვით აქ და ამ ზოგად მიმოხილვას ამით დავამთავრებთ [1].

ძველი ქართული ენის ნაწევრის შესახებ ჩვენ გვაქვს გამოქვეყნებული გამოკვლევა „ნაწევარი ძველ ქართულში". იქ არის განხილული ნაწევართან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: 1. განსაზღვრული ნაწევარი, 2. განუსაზღვრელი ნაწევარი, 3. ნაწევარი „ისი", 4. ნაწევარი საკუთარ სახელთან, 5. ნაწევრის ადგილი, 6. გათიშული ნაწევარი, 7. ერთი ნაწევარი ორ ან მეტ სახელთან, 8. ნაწევარი ჩავარდნილ სახელთან, 9. ორი ნაწევარი ერთ სახელთან, 10. ნაწევარი თანდებულიან სახელთან, 11. ნაწევრიანი სახელების ბრუნება, 12. ნაწევრის გადმონაშთი ახალ ქართულში.

რადგანაც ეს შრომა უკვე დაბეჭდილია, აღარას ვამბობთ ამ საკითხებზე და მკითხველს მივუთითებთ აღნიშნულ გამოკვლევაზე (თბილ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 61, 1955, გვ. 249 — 276).

VI. თანდებულიანი სახელები

ქართული თანდებულების შესახებ ლიტერატურა საკმაოდ მოიპოვება. უმეტესი ნათგანი ეხება ძველი ქართული ენის თანდებულებს. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ კ. კეკელიძის ნაშრომი: „წინაშე", „თანა" და „ზედა" თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში" [2], ა. შანიძის „მდე თანდებულის გენეზისისათვის" [3], ა. მარტიროსოვის მონოგრაფიული სახის გამოკვლევა „თანდებული ქართულში" [4], რომელშიც საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ძველი ქართული ენის თანდებულების შესახებ მსჯელობასაც. ყველა ამიტომ ჩვენი შრომა შემსუბუქებულია და ბევრ საკითხს, რომლებიც აღნიშნულ შრომებშია განხილული და გადაწყვეტილი, აქ გვერდს ავუვლით და აღარ შევეხებით.

ახალი ქართულისა და ძველი ქართული ენის თანდებულები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ეს სხვაობა თავს იჩენს ორი მხრივ:

ა) ახალი ქართული ენის თანდებულები სახელს ბოლოს ერთვის მხოლოდ, ბოლოსდებულებია (სახლ-ზე, კაცთა შორის). ძველ ქართულში კი გვქონდა შემთხვევები, როცა ზოგი თანდებული სახელს თავშიც ერთოდა,

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. 1953, §§ 655—660, გვ. 637—642; М. Я. Немировский, Из истории глоттогонического (языкотворческого) процесса, глава IV: „Артикль в языках мира": Учёные записки Северо-Осетинского Государственного Педагогического Института имени К. Л. Хетагурова, т. III (XVI), Орджоникидзе, 1942, стр. 74—76; მისივე: ნაწევარი მთის კავკასიურ ენებში: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ VII, № 6, 1946, გვ. 377 — 382; О. П. Москальская, К вопросу о генезисе категории артикля: Труды Военного Института иностранных языков, I, Москва, 1945; მისივე: Употребление артикля в древне-верхне-немецком: Учёные записки Московского государственного Педагогического Института иностранных языков, т. II. Москва, 1940.

[2] საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, 1942, № 2, 3.

[3] იქვე. № 4.

[4] იბერ.-კავკ. I, 1946, გვ. 203—246.

წინდებული იყო (**ზედა** ზღუასა, **შორის** ჩემსა და თქუენსა, **შორის** ყოველისა ცხოველისა და **შორის** ყოვლისა ჴორციელისა, **მიბორცუადმდე, მოსიკუდიდცა, მოაქაჟამადმდე**).

ბ) ერთი თანდებული ახალ ქართულში ერთ ბრუნვას ითხოვს, ორი (და სამი) ბრუნვის მართვა მას არ შეუძლია. ასე, მაგალითად, **ში** მხოლოდ მიცემითს ითხოვს (სახლ-**ში** ← სახლს-**ში** ← სახლსა **შინა**), **ზე** — აგრეთვე მხოლოდ მიცემითს (სახურავ-**ზე**), **კენ** — მხოლოდ ნათესაობითს (სახლისა-**კენ**), **მდე** — მხოლოდ ვითარებითს (სოფლა-**მდე**, ქალაქა-**მდე**) და სხვა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს **გან** თანდებული[1], რომელიც ძველ ტრადიციას იცავს ჯერჯერობით და ორ ბრუნვას მოითხოვს: **კითხვაზე გისგან, რისგან** მართავს ნათესაობითს (ძმისა-**გან**, ხისა-**გან**), ხოლო **კითხვაზე საიდან** (რა დროიდან) იწყობს მოქმედებითს (ქალაქიდან, მე-12 საუკუნიდან). ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი ფონეტიკური მიზეზების გამო თვითონაც იცვლება და სახეს უცვლის სახელის ბრუნვის ნიშანსაც: ქალაქ-ით-**გან** → ქალაქ-იდ-**გან** (ასიმილაცია) → ქალაქიდან (ბგერის დაკარგვა). **ქალაქით** და აქედან თანდებულის დართვით მიღებული **ქალაქიდან** ისე დაშორებულია ერთმანეთს, რომ ლიტერატურაში მათ ორი სხვადასხვა ბრუნვის ფორმებად მიიჩნევენ [2].

ძველ ქართულში კი თანდებულების დიდი ნაწილი ორ-ორ ბრუნვას ითხოვდა. ასე, მაგალითად, მიცემითსა და ნათესაობითს ითხოვდა თანდებულები **ზედა, თანა, წინაშე, შინა, შორის**; ნათესაობითსა და ვითარებითს მართავდა **მდე, მიმართ**; მოქმედებითსა და ვითარებითს მართავდა **კერძო**; მოქმედებითსა და ნათესაობითს — **გან, გამო**; წრფელობითსა და ნათესაობითს — **ებრ** და სხვა.

ახალი ქართული ენის თანდებულების ორივე ძირითადი დამახასიათებელი თვისება (რომ სახელს ბოლოს ერთვის და მხოლოდ ერთ ბრუნვას ითხოვს), რომლითაც ის განსხვავდება რუსულისა და რიგი სხვა ენების თანდებულებისაგან, მეორეული მოვლენა ყოფილა და თავიდანვე არ იყო აუცილებელი ძველი ქართული ენის თანდებულებისათვის.

შევეხოთ აქ აღძრულ საკითხებს უფრო დაწვრილებით.

1. წინ დასმული თანდებულები (წინდებულები)

ისეთი ორმარცვლიანი თანდებულები, როგორიცაა **ზედა, შორის**, ძველ ქართულში სახელს ბოლოშიც ერთოდა და თავშიც. ამ თანდებულების ბოლოს დართვის ნიმუშებია:

ავაზაკსა **ზედა**, მ. 26, 55; გზასა **ზედა**, მ. 5, 25; გოდოლსა **ზედა**, მ. 4, 5 C; ზღუასა **ზედა**, მ, 8, 24; ჴმელსა **ზედა**, მ. 23, 15; ლოდსა მას **ზედა**, მ. 21, 44; მთასა **ზედა**, 5, 14; სარეცელსა **ზედა**, ლ. 11, 7; ერსა ამას

[1] ვით ჩვენ თვალწინ არის ქცეული თანდებულად და ამიტომ მასზე არ ვმსჯელობთ.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქრამატ. საფუძვ. გვ. 75.

ზედა, ი. 18, 14 C; ვენაჳსა ზედა, ი. 15, 4; მამა-დედათა მათთა ზედა, მ. 10, 21; მეუფებასა ზედა, მ. 24, 7; ნათესავთა ზედა, ლ. 21, 10.

ნათესავსა შორის, ლ. 16, 8; კაცთა შორის, ლ. 1, 25; კრებულსა შორის, მრ. 12, 39; ჰურიათა შორის, მ. 28, 15 და სხვა.

ეს რიგი თანდებულისა და სახელისა კარგად არის ცნობილი და აქ ბეტს არაფერს ვიტყვით მის შესახებ. მაგრამ ეგეთ თანდებულები, როგორც ვთქვით, წინაც ერთვის სახელებს. აძის ნიმუშებია:

ზედა

ზედა გუელთა და ღრიაკალთა, ლ. 10, 19; ზედა ნათესავსა მას, ი. 11, 51 C; ზედა საცხოვართა მათ, ი. 10, 15 C; გოდებდა ზედა უშჯულოებათა მათთა, 2 ეზრა 9, 2; ზედა ყოველსა ერსა, ჰილ-ეტრ. 129, 2; გამოჩნდა ზედა გოლგოთას, იქვე, 186 v, 12; ზედა თუალსა მას სარდიონსა, თუალთ. 22, 9; განვრცნა პირი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა, 1 მეფ. 2, 1; ზედა ერდოსა მას. 2 მეფ. 11, 2; ზედა კუართსა ჩემსა წილ-იგდეს, ი. 19, 24 C; შეწირე იგი მუნ ზედა მთათაგანსა ერთსა, დაბ. 20, 2 ლაგ.; რომელი იყო ზედა თავსა ჩემსა, დაბ. 40, 17 ლაგ.; ბნელი იყო ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისაჲ იქცეოდა ზედა წყალთა, დაბ. 2, 1 ლაგ.; რომელი იყო ზედა სამყაროსა მას, დაბ. 1, 7 ლაგ. და სხვა.

შორის

„შორის“ თანდებულის ერთ-ერთი მნიშვნელობაა ში (=შინა). ეს განსაკუთრებით მაშინ ჩანს კარგად, როცა ის ერთ სახელს ახლავს: შორის ეზოსა (ლ. 22. 55), რაც იქნება ეზოში. მაგრამ ამ სიტყვას აქვს კიდევ მეორე მნიშვნელობაც, რაც უდრის დღევანდელ „შუა“-ს, „შორის“-ს. ამ შემთხვევაში ის ორ სახელს ახლავს, ან, თუ ერთია სახელი, ის ჩვეულებრივ მრავლობითშია, ან კრებითია. ასეა, თუ ისე, ორივე შემთხვევაში თანდებული სახელს შეიძლება წინ დაერთოს. ესაა აქ მთავარი. ამ თანდებულზე ქვევით კიდევ მოგვიწევს საუბრის გაგრძელება სხვა საკითხთან დაკავშირებით, აქ კი მაგალითების მოყვანით დავკმაყოფილდებით:

შორის ეკალთა, ლ. 8, 7 (მაგრამ: ეკალთა შორის, მ. 13, 7); შორის იფქლსა მას, მ. 13, 25; შორის თქუენსა, ლ. 17, 21; შორის მისა, ლ. 21, 21; შორის მათსა, მ. 14, 6; შორის მგელთა, მ. 10, 16; შორის მოძღუართა ლ. 2, 46; შორის საზღვართა ქალაქისათა, მრ. 7, 31; შორის სახლსა მას, ლ. 2, 46; შორის შენსა, ლ. 19, 44; შორის შესაკრებელთა და შორის უბნებსა, მ. 6, 2 C; შორის ჩუენსა და შენსა, ლ. 16, 26...

შორის ერისა მის, დანიელ 13, 34; შორის უფლისა და შორის მეფისა და შორის ერისა, 4 მეფ. 11, 17; შორის ღმრთისა და თქუენსა, იგდით 18, 11; შორის კრებულისა მის, იქვე, 14, 6; შორის მამისა ჩემისა და მამისა შენისა, 3 მეფ. 15, 19; შორის ასურთა და შორის ისრაჱლისა, იქვე, 22, 1; შორის კაცისა და მოყუსისა მისისა, ეზეკ. 18, 8; შორის ცხოვრისა და

მწყემსისა და შორის ვერძისა და ვაცისა, იქვე, 37, 17; შორის ქალაქისა მის, იქვე, 11, 23 და სხვა.

ასევე წინაც და ბოლოსაც შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე **თჳნიერ** და ზოგი სხვაც, რომელთაგან **მი**-სა და **მო**-ს აქვე ქვემოთ შევეხებით.

როგორც ჩანს, რიგი თანდებულისა და სახელისა ამ შემთხვევებში თავისუფალია: თანდებული ხან უსწრებს სახელს, ხან მოსდევს მას. ხომ არ არის რაიმე კანონზომიერება ამ ორნაირი რიგის არჩევისას? სხვანაირად რომ ვთქვათ, ხომ არ იხმარება ეს თანდებულები სახელის წინ გარკვეულ შემთხვევებში და სახელის შემდეგ — ასევე გარკვეულ შემთხვევებში? აბაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. რაკი რიგი თავისუფალია, კანონზომიერების დადგენაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ამის მიუხედავად აქ უნდა აღვნიშნოთ ორი გარემოება, რომელთა გათვალისწინებაც სასარგებლოა დასმული საკითხის გარკვევისათვის:

ა) როდესაც თანდებულიან სახელს ერთვის წინ დასმული განსაზღვრება, თანდებული ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ წინ გადმოდის, იგი ექცევა მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის, მაგალითად: **ყოველთა მათ ზედა დიდებულებათა**, ლ. 13, 17. აქ რომ მსაზღვრელი „ყოველთა“ არ ყოფილიყო, ჩვეულებრივ გვექნებოდა: **დიდებულებათა მათ ზედა**. აუცილებლად ასეთივე წყობა იქნებოდა მაშინაც, ეს „ყოველთა“ არსებითის ბოლოს რომ ყოფილიყო მოქცეული: **დიდებულებათა მათ ზედა ყოველთა**. მაგრამ „ყოველი“ ჩვეულებრივ სახელს წინ უძღვის. ასეთივე მაგალითებია კიდევ: **ყოველსა ზედა მონაგებსა** თჳსსა, მ.24, 47; **ყოველთა ზედა** გარემო **მკჳდრთა** მისთა, ლ. 1, 65; **ყოველსა ზედა ჯორციელსა**, ი. 17, 2 C და სხვა. ეს დებულება ზოგადი ხასიათისაა და არა მარტო ამ თანდებულს და, საერთოდ, არა მარტო თანდებულს ეხება, მას თანაბრად ემორჩილება ყველა სხვა თანდებული და ნაწევარიც კი, რომლის ჩვეულებრივი ადგილი სახელის ბოლოსაა. მაგრამ საკმარისია სახელს წინ დასმული განსაზღვრება დაერთოს, რომ ეს ნაწევარიც (და თანდებულიც) წინ გადმოვიდეს. შდრ. მაგალითად, ასეთი წყობა:

ვეცხლმან მან შენმან (ლ. 19; 18) და
შენმან მან ვეცხლმან (ლ. 19, 16)

და ამას იწვევს წინ გადმოტანილი განსაზღვრება (შენმან)[1]. თანდებულების (ზოგიერთი თანდ. მაინც) წინ გადმოტანასაც **იწვევს**, თუ **ხელს უწყობს** სწორედ წინ დასმული განსაზღვრება. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს თანდებული **მიმართ**, რომელიც, როგორც წესი, სახელს მხოლოდ ბოლოს ერთვის, მაგრამ მოხვდება თუ არა ზემოთ აღწერილ გარემოებაში, ისიც კი იძულებულია დატოვოს თავისი ჩვეულებრივი ადგილი და წინ გადმოვიდეს, მაგალითად:

[1] ნ. ჩვენი: ნაწევარი ძველ ქართულში: უნივ. შრომები, ტ. 61, 1956, გვ. 261.

ვითარ დამტკიცებულ ხარ დამუსრვილისა მის **მიმართ აპოლონისა** (კიმ. I, 136, 32). ვის გაუგონია ითქვას „მიმართ აპოლონისა"? მაგრამ ასეთ შესაძლებლობას აქ იძლევა წინ გადმოსული განსაზღვრება „დამუსრვილისა", რომელიც საესებით ასატანს ხდის ამნაირ გამოთქმას: დამუსრვილისა მის მიმართ აპოლონისა. გარეგნულად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს თანდებული წინამავალ სახელს ახლდეს (დამუსრვილისა მიმართ). რომ აქ ჩვენ ერთმარცვლიანი თანდებული გვქონოდა, იგი პირდაპირ ამ განსაზღვრებას შეუერთდებოდა, როგორც ეს გვაქვს ჩვენ შემდეგს მაგალითებში: მრავლისათჳს სიტყჳსა, ლ. 11, 53 C (და არა: მრავლისა სიტყჳსათჳს); ერთისათჳს ცოდვილისა, ლ. 15, 7 (და არა: ერთისა ცოდვილისათჳს); ყოველთაგან თევზთა, მ. 13, 47; ბოროტისაგან საუნჯისა, კეთილისაგან საუნჯისა, მ. 12, 35 (და არა: ყოველთა თევზთაგან, ბოროტისა საუნჯისაგან) და სხვა მრავალი. ერთი სიტყვით, აქ მსაზღვრელის როლი ერთობ დიდია და თანდებულთა წინ გადმოტანაში მას, უეჭველია, ერთგვარი წილი უძევს.

ბ) მეორე მხრივ, ცხადი უნდა იყოს, რომ ზოგიერთი სკოლა და ზოგიერთი ხელნაწერი განსაკუთრებული სიყვარულით მიმართავს თანდებულთა წინ დასმას. ასეთი ტენდენცია ემჩნევა, მაგალითად, ძველი აღთქმის წიგნებს (ოშკის ხელნაწერისას და სხვებს), ლაგურკის ხელნაწერს და ზოგ სხვას, რომელთა შესახებაც აქ საუბრის გაგრძელება სცილდება ამ შრომის ფარგლებს.

გარდა **ზედა** და **შორის** თანდებულებისა, სახელის წინაც და ბოლოსაც გვხვდება აგრეთვე **მი** და **მო** თანდებულებიც. **მი** თანდებული დღეს იშვიათად გვხვდება ასეთ გამოთქმებში: შენდამი, თქვენდამი, მეგობრისადმი, ამხანაგისადმი და სხვა, ხოლო **მო** თანდებული დღეს აღარ იხმარება. ძველად, როგორც ეს აღნიშნულია სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში[1], ორივე ეს თანდებული სახელს თავშიც დაერთოდა და ბოლოშიც.

ა) ბოლოში ერთვის

რომელთა შენდამი ჰრწამს, სიბრძ. 16, 26; ხოლო მართალნი საუკუნოდმი ცხომდენ, სიბრძ. 5, 15; ზემო-კერძოდმი, ეზეკ. 41, 7; წყართადმი, ეზეკ. 43, 13; ყოველნი სისხლადმი შჯიან, მიქია 7, 2; წყაროდმი, სახისმეტყ. (ისტ. ქრესტ. 281, 17). **მი** გვხვდება საკუთარ სახელთანაც: სიონდმი, ზაქარ. 2, 7.

ჩემდამო, მ. 10, 32 E; ლ. 1, 49 C; 12, 8 C; ი. 7, 38 C; მოქც. (ისტ. ქრესტ. 274, 8); პარხ. 113 ს; ჩუენდამო, ლ, 16, 26.

ბ) თავში ერთვის

მი-მუნ-დღემდე, მ. 24, 38 C; 26, 29 C; მიდღემდის, ლ. 1, 20 C; მიმეშჳდემდე, მ. 22, 26 C; მიმკამდის, მ. 13, 30 C; მიცხრა ჟამამდე, მ. 27, 45 C;

---

[1] ა. შანიძე, მდე თანდებულის გენეზისისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 4, 1942, გვ. 362—363.

მისისხლამდე, მ. 23, 35 C; მისიკუდიმდე, მ. 26, 38 C; მიქუენამდე, მ. 27, 51 C. როგორც ვხედავთ, ოთხთავებიდან ეს ძველი ვითარების გადმონაშთი ადიშის ძეგლს აქვს მხოლოდ დაცული. მაგრამ იგი საკმაოდ ხშირად გვხვდება სხვა ხელნაწერებშიც, მაგალითად:

მიმეუფისამდეცა, ზირაქ 8, 3; მიმასკულავამდე, იერ. 51, 9; მიაღსასრულამდე, იერ. 1, 3; მისაცხოვრამდე, იერ. 9, 10; მიბორცუამდე, იერ. 31, 39; მიშორამდე, ზირაქ 24, 34; მიგლახაკისამდე, იქვე. 40, 3; მიჯამლამდე, იქვე, 46, 22; მიმთამდე, სას. პოეზ. 263, 149; მიპირუტყუამდე, დაბ. 7, 23 ლაგ.; მისრულიამდე, 1 მეფ. 15, 18; მიბჭედმდე. იქვე, 21, 13; მამაკაცითგან მიდედაკაცამდე, იქვე, 22, 19; მიუკუნისამდე, არიმ. 36, 24, 7; მისაზღვრამდე ქალდიაჲსა, აბო 187, 18; მიბეთბერამდე და იორდანედ, მსაჯ. 7, 24 ლაგ.; მიდღეთამდე, მოც. 13, 20; არავინ არს მიერთამდე, ფსალმ. 13, 5; მიმჭოვანებამდე[1] და სიბერედმდე, ფსალმ. 70, 23.

მოადგილსა მას, ი. 5, 13 C; მოაქამდე, მ. 11, 12 C; 24, 21 C; მრ. 13, 19 C; ლ. 23, 5 C; ი. 2, 10 C; 5, 17 E; მოაქამომდე, ი. 5, 17 D; მოაქაჟამადმდე, ი. 5, 17 C; მოდღენდელად დღემდის, მ. 27, 8 C; მოსიკუდიდ, ი. 11, 51; 12, 33 C; 18, 32; მოსიკუდიდმდე, ი. 4, 49; მოსიკუდიდცა განმზადებულ ვარ, მოც. 21, 13; მოსაკურთხეველად კერძო, ეზეკ. 47, 1; მოაქადღედმდე, ბარუქ 1, 19 და სხვა.

2. თანდებულები, რომლებიც ორ ბრუნვას ითხოვენ

როგორც აღვნიშნეთ, ძველ ქართულში გვაქვს მთელი რიგი თანდებულები, რომლებიც ორ ბრუნვას ითხოვენ. აქ, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ ისეთი თანდებულები, რომლებიც მიცემითსა და ნათესაობითს ითხოვენ.

A. მიცემითისა და ნათესაობითის თანდებულები

1 — 3. წინაშე, თანა, ზედა

მიცემითსა და ნათესაობითს მოითხოვს, როგორც აღვნიშნეთ, **ზედა, თანა, წინაშე, შორის, შინა.** ამათგან პირველი სამის შესახებ უკვე მოგვეპოვება კ. კეკელიძის სპეციალური გამოკვლევა[2]. ამ გამოკვლევის ძირითადი დებულებები ასეთია:

1) თუ **წინაშე** დართული სახელი „სულიერი" საგნის აღმნიშვნელია, ის უეჭველად ნათესაობითს ბრუნვაშია, ხოლო თუ „უსულოსი" — მიცემითში (წინაშე კაცისა, მაგრამ: წინაშე კარსა);

---

[1] ზემოთ მოყვანილ მაგალითებში გვაქვს მეორე თანდებულიც: მი-მჭოვანებად-მდე და სხვა.

[2] „წინაშე", „თანა" და „ზედა" თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში: საქ. მეცნ. აკად. შრომები, ტომი III, 1942, № 2, გვ. 177—182; № 3, გვ. 283—287.

2) თუ „თანა“ დართული სახელი „ცოცხალი“, „სულიერი“ საგნის აღმნიშვნელია, ის ნათესაობითს ბრუნვაშია, ხოლო თუ „უსულოსი“ — მიცემითში (შამისა თანა, მაგრამ: სახლსა თანა);

3) ზედა თანდებული ნათესაობითს მაშინ მოითხოვს, როცა იგი ერთვის ადამიანთა კლასის სახელებს, ე. ი. ვინ ჯგუფის სახელებს; ხოლო მიცემითს მოითხოვს ყველა სხვა შემთხვევაში, ე. ი. ნივთის კლასის სახელებზე, ე. წ. რა ჯგუფის სახელებზე დართვისას.

ეს დებულებები სწორად ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას. შეიძლებოდა დაგვერთო, რომ განსხვავება წინაშე-სა და თანა-ს, ერთი მხრივ, და ზედა-ს შორის, მეორე მხრივ, მეორეული მოვლენა უნდა იყოს; თავდაპირველად ყველა მათგანი ერთი პრინციპის მიხედვით უნდა ყოფილიყო სახელებთან შეწყობილი, სახელდობრ: ადამიანის კლასის სახელებთან — ნათესაობითში, სხვებთან — მიცემითში.

შემდეგ: არ არის საჭირო აღნიშნული დებულებების დარღვევის შემთხვევები ძველ ქართულში (არც თუ მცირე რაოდენობისა) შეცთომად გამოვაცხადოთ და გადამწერებს დავაბრალოთ. შეცთომა, რასაკვირველია, ეს არ არის. აქ ჩვენ გვაქვს ასახული ისეთი მდგომარეობა, როცა ამ თანდებულთა გამოყენების ძველი წესი მოშლილი იყო, რადგან ენა ამ დროს საერთოდ უკვე აღარ განასხვავებდა ადამიანისა და ნივთის კატეგორიას; ხდებოდა ერთგვარი უნიფიკაცია და ერთ წესამდე დასვლა. ეს ხანგრძლივი პროცესი ახალ ქართულში იმით დასრულდა, რომ ზედა და თანა თანდებულები მიცემითთან დამკვიდრდა, ხოლო წინაშე ნათესაობითს შერჩა. ძველი ქართული სწორედ გარდამავალ საფეხურს ასახავს და ბუნებრივია, თუ იქ ძველი წესის საწინააღმდეგო მაგალითებიც გვხვდებოდეს. ეს უკვე ახალი ქართულის ახალნერგი ნიმუშებია.

აქ უნდა აღინიშნოს აგრეთვე შემდეგიც: ავტორი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ „მის“ ნაცვალსახელთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს — რომელ ადგილზეა თანდებული წინაშე; თუ მეორე ადგილზეა, გვაქვს „მის წინაშე“, ხოლო თუ პირველ ადგილზეა — „წინაშე მისსა“ [1]. მაგრამ, ჩვენი აზრით, ავტორი არა სწორად ზღუდავს ამ წესს ნაცვალსახელებით და მას არსებითს სახელებს არ უქვემდებარებს, როცა დასკვნის: „არსებით სახელთან დაკავშირებით თანდებულის ადგილმდებარეობას მნიშვნელობა არა აქვსო“ [2]. არსებითი სახელებიც (მაგალითად, ადამიანთა სახელები) ამ წესს ემორჩილებიან. მაშასადამე, წინაშე (და ზოგი სხვა) თანდებულის ადგილმდებარეობას აქვს მნიშვნელობა, თუ როგორი სახით იქნება მოცემული არსებითი სახელის ნათესაობითის ფორმა. ეს კარგად ჩანს ადამიანთა სახელების მაგალითზე.

შდრ. მოიყვანეს იგი საულის წინაშე, 1 მეფ. 17, 31 და: წარიყვანეს იგი წინაშე **საულისა**, 1 მეფ. 17, 57.

---

[1] დასახ. ნაშრომი, № 2, გვ. 283, შნშ. 2.

[2] იქვე.

აქ **მის** და **ხაულის** ერთ სიბრტყეზე უნდა დავაყენოთ, ხოლო **მისსა** (მისა) და **ხაულისა** — მეორეზე.

4. შორის (შოვრის)

ზემოთ თქმულის მსგავსად უნდა ყოფილიყო ძველად გამოყენებული აგრეთვე **შორის** თანდებულიც: ნათესაობითთან იხმარებოდა მაშინ, როცა ადამიანთა კლასის სახელებს ერთოდა, მიცემითთან—სხვა შემთხვევებში (ე. ი. ნივთთა კლასის სახელებთან).

აქ ჩვენ გამოგვადგება ისეთი სახელები, რომელთა მიცემითი ბრუნვა აშკარად ჩანს და გარეგნულად არ ემთხვევა ნათესაობითს. ამიტომ ჩვენ აქ ვერ მოვიყვანთ არსებით სახელთა თანიან მრავლობითს (დედათა შორის, ქალაქთა შორის), ვერც I და II პირის ნაცვალსახელებს (ჩუენ შორის, თქუენ შორის), რადგანაც ამ ფორმებში მიცემითი და ნათესაობითი გარჩეული არ არის. საჭირო და აქ გამოსადეგი მაგალითები მაინც საკმაო რაოდენობით მოიპოვება:

შორის თანდებული მიცემითთან

შორის **ეზოსა** (=ეზოში), ლ. 22, 55; შორის **იფქლსა** მას, მ. 13, 25; შორის **სახლსა** მას, ლ. 1, 69; შორის **საჴუმილსა** მას, მ. 13, 42; შორის **უბნებსა**, მ. 11, 16 C; შესაკრებელსა შორის, მ. 4, 23; შორის **სამარიასა** და **გალილეასა**, ლ. 17, 11[1].

შორის თანდებული ნათესაობითთან

უფალი უწამებდა შორის შენსა და შორის **ცოლისა** სიჭაბუკისა შენისა, ზაქარ. 2, 14; მოიქეცით და იხილოთ შორის **მართლისა** მის და უშჯულოჲსა, ზაქარ. 3, 18; რავდენ არს წყალობაჲ შორის კაცთა და შორის **ღმრთისა**, მამ. სწავ. (H) 9 v; რაჲ ძეს შენ შორის და **მის** შორის, მამ. სწავ. 270; რომელ-იგი ფიცებაჲ იყო **დავითის** შორის და **იონათანის**, 2 მეფ. 21, 7; მოწამე არს უფალი შორის შენსა და ჩემსა და შორის **ნათესავისა** ჩემისა და შორის **ნათესავისა** შენისა, 1 მეფ. 20, 42, იყო შორის **კათალიკოზისა** და ეპისკოპოსთა, ხანძთ. 132, 26; რომელი აღუთქუ შორის ჩემსა და შორის ყოლისა **ჯორციელისა**, დაბ. 9, 17 ლაგ.; და მტერობაჲ დავდეა შორის შენსა და შორის **დედაკაცისა** მაგის, შორის **ნათესავისა** შენისა და შორის **ნათესავისა** მისისა, დაბ. 3, 15 ლაგ.; მომეჴსენოს აღთქუმაჲ ჩემი, რომელ არს შორის ჩემსა და თქუენსა და შორის ყოლისა **ცხოველისა** და შორის ყოლისა **ჯორციელისა**, დაბ. 9, 15 ლაგ.; და იქმნა მწუხარებაჲ დიდი **მეფისა** და დედოფლისა შორის მას ჟამსა ეპარაქსიაჲსთჳს, პარხ. 1228; დაემკჳდრა

[1] **შორის** თანდებულის მიცემითთან ხმარების შემთხვევები ისეც ცნობილია და სხვა მაგალითებს აქ აღარ მოვიყვანთ.

ჭალწულისა შორის და იშვა მისგან, ეტ. III, 176, 8; ვიცი, რაბამ არს შორის **მონისა** და შორის **შემოქმედისა**, სვან. 372 a; და განსწვალებენ შორის **სძლისა** და **ქმრისა** და **დაწინდებულისა**. პარხ. 691 ხ; და აღთქუმა-ყო იუდა მღდელმან შორის **უფლისა** და შორის **მეფისა** და შორის **ერისა** ყოფად ერად უფლისა, 4 მეფ. 11, 17; აღდგეს ორნი იგი მოხუცებულნი შორის **ერისა** მის და დაასხნეს ჴელნი თავსა ზედა მისსა, დანიელ 13, 34.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითების პირველ ჯგუფში **შორის** თანდებული მიცემითს ახლავს, რადგან ეს სახელები ნივთთა კლასს განეკუთვნებიან (ეზოსა, იფქლსა, უბნებსა, საჴუმილსა, შესაკრებელსა), მეორე ჯგუფში კი — ნათესაობითს, რადგან ეს სახელები ადამიანთა კლასს აღნიშნავენ (ცოლისა, დავითის, დედაკაცისა, ქმრისა, სძლისჲ, ერისა, მეფისა, დედოფლისა). ამიტომ არ არის სწორი ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი ს დებულება, რომ **შორის** თანდებული „**მართვის მხრით ყველა სახელს** მიცემით ბრუნვაში მოითხოვდა, III პ. ნაცვალსახელს კი—ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ შ ი ო“ [1]. ავტორს, როგორც ჩანს, გამორჩენია ისეთი მაგალითები, როგორიცაა ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი შორის **ცოლისა** და **ქმრისა**, შორის **ერისა**, შორის **მეფისა** და შორის **დედოფლისა**, შორის **მონისა** და შორის **შემოქმედისა** და სხვა, რომელთა მსგავსი სავსეა ძველ ქართულში. ეს ერთი. მეორე მხრივ, არ არის მართებული თანდებულის მიერ ბრუნვის მართვისას დავაცილოთ III პირის ნაცვალსახელები I და II პირებისას. მართალია, მესამე პირში უფრო ნათლად ჩანს ბრუნვის ფორმა, მაგრამ **არსებითად** საქმის ვითარება I და II პირებთანაც ისეთივეა. არსებითად რომ ვთქვათ, ამ ნაწყვეტში „შორის შენსა და შორის ჩემსა და შორის ნათესავისა ჩემისა და შორის ნათესავისა შენისა“, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი „ნათესავისა“-ს საილუსტრაციოდ, ნათესაობითშია აგრეთვე **შენსა** და **ჩემსა**, რადგან ისინი გვერდში უდგანან ფორმას **ნათესავისა**, რომელიც ნათესაობითშია. მაგრამ თუ **შენსა**-ს და **ჩემსა**-ს არა აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, ეს აიხსნება ამ სიტყვათა განსაკუთრებული წარმოშობის ისტორიით: ეს ფორმით კუთვნილებითი ნაცვალსახელებია, რომელნიც აქ პირის ნაცვალსახელთა ფუნქციას ასრულებენ. კუთვნილებითი ნაცვალსახელები კი, როგორც ცნობილია, პირის ნაცვალსახელთა სწორედ ნათესაობითი ბრუნვისაგან მომდინარეობენ [2]. ეს მათი წარმოშობა კარგად არის ცნობილი ძველი ქართველი მწერლებისათვის და ამიტომაა, რომ ნათესაობითის ნიშანს, ახალ ნიშანს არ უწერენ ამ ნაცვალსახელებს. ასეა, თუ ისე, ერთი ცხადია, რომ (შორის) **ჩემსა** და (შორის) **შენსა** არსებითად ნათესაობითის ან, სხვანაირად, ნათესაობით-მიცემითის ფორმებია.

ხანდახან ეს წესი ძველი ქართულის ზოგიერთ ძეგლში დაიწყებულია და მაშინ კი ამათაც უჩნდებათ ნათესაობითის ნიშანი, მაგალითად:

---

[1] ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, თანდებული ქართულში (იბერ.-კავკ. I, 1946, გვ. 238).

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამ. საფუძვ. §§. 100.

და იყოს სასწაულად აღთქუმისა შორის **ჩემისა** და შორის **თქუენისა**, დაბ. 9, 13 ლაგ. აქ, რასაკვირველია, **ჩემისა** და **თქუენისა** არ არის „აღთქუმისა“-ს განსაზღვრება (ასე რომ ყოფილიყო, სხვას რომ თავი დავანებოთ, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა მეორე „შორის“-ის დამატება), არამედ ისინი ნიშნავს „ჩემსა და თქვენს შორისო“. შდრ. რუსული თარგმანი: чтоя она была знамением (вечного) завета между мною и между землею (რუსულ თარგმანში „თქუენ შორის“ არ არის; იგი არ არის აგრეთვე თბილისურ გამოცემაშიც). ამის მსგავსი მაგალითი კიდევ გვაქვს:

მომეცსენოს აღთქუმაჲ საუკუნოჲ, რომელ არს შორის **ჩემისა** და შორის ყოველისა სულისა ცხოველისა და ყოველისა ჴორციელისა, დაბ. 9, 16 ლაგ. აქაც **ჩემისა** პირის ნაცვალსახელის ნაცვლად არის ნახმარი და ამას ნიშნავს: ჩემს შორის და... მაგრამ რომ ეს საჩითირო ფორმაა, კარგად ჩანს ხელნაწერის მერყეობიდან, რადგან იქვე საწინააღმდეგო ფორმაცაა მოცემული, მაგალითად:

მომეცსენოს აღთქუმაჲ ჩემი, რომელ არს შორის **ჩემსა** და **თქუენსა** და შორის ყოველისა ცხოველისა და შორის ყოველისა ჴორციელისა, დაბ. 9, 15 ლაგ.

ბაგრამ, ვიმეორებ, ამნაირი შემთხვევები ძალიან მცირეა.

ზემოთ წარმოდგენილი ორი ტიპის მაგალითებში (შორის იფქლსა, ქალწულისა შორის) ჩანს კიდევ ერთი კანონზომიერება: როცა თანდებული **შორის** მიცემითთან არის მოცემული, აქ თითქმის ყოველთვის **ერთი** სახელი გვაქვს („შორის“ **ერთ** სახელს ერთვის), მისი მნიშვნელობაც უფრო **ში** არის. მაგრამ როცა იგივე **შორის** თანდებული ნათესაობითს ერთვის, თითქმის ყოველთვის **ორი** სახელია („შორის“ **ორ** სახელს ერთვის), მისი მნიშვნელობაც აქ ცოტა განსხვავებულია, „შუა“ ან ისევ „შორის“ არის. მაგრამ ასეა **უმეტესად, უფრო ხშირად.** ისე კი **შორის** მიცემითთანაც ახლავს **ორ** სახელს (შორის სამარიასა და გალილეასა, ლ. 17, 11) და ნათესაობითთანაც დგას მხოლოდ **ერთ** სახელთან (ქალწულისა შორის, ეტ. III, 176, 8; შორის ერისა შის, დანიელ, 13, 34).

ზემოთ მოყვანილი მაგალითები კარგად ეტევა ნაჩვენებ წესში. მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის. ძველ ქართულში ჩვენ გვხვდება ორივე შემთხვევის საწინააღმდეგო მაგალითები: ერთი მხრივ, მიცემითშია ადამიანთა კლასის სახელები და, მეორე მხრივ, ნათესაობითშია ნივთთა კლასის სახელები. პირველის ნიმუშები იქნებოდა: **ერსა** მას შორის, ლ. 9, 38; 11, 27; ნათესავსა შორის, ლ. 16, 8 და სხვა.

მეორის მაგალითები იქნებოდა:

შორის **ტაძრისა** და **საკურთხეველისა**, მ. 23, 35; შორის **სიკუდილისა** და **ცხორებისა**, ხანძთ. 118, 15; რომელი იქცევის შორის **კეთილისა** და **ბოროტისა**, შატბ. 24 b; კრავი იგი, რომელი არს შორის **ხაყდრისა**, ჰმწყსის მათ, გამოცხ. 7, 17; და ვისხილე ანგელოზი მფრინველ შორის **ცისა** და **ქუეყანისა**, იქვე, 14, 6; და დასდვა იგი შორის შენსა და შორის **ქალაქისა** მის, იქვე, 4, 3; დამოეკიდა ტევანი იგი ცხორებისაჲ **ზესკნელისა**

შორის, სვან. 471 b; გაბოიყვანა ლოთ შორის დაქცევისა მის, დაბ. 19, 29 ლაგ. და სხვა.

თუ სანამდე მიდიოდა მერყეობა ამ ორი ბრუნვის არჩევაში, ჩანს იქიდან, რომ ოშკის ხელნაწერში ერთი და იგივე სიტყვა (ერი) ერთსა და იმავე წინადადებაში შორის თანდებულთან ერთჯერ მიცემითშია დასმული, მეორეჯერ, იქვე გვერდით — ნათესაობითში:

და ვსცე განჩინებაჲ შოვრის ერსა ჩემსა და შოვრის ერისა შენისა, გამოსლვ. 8, 23. ლაგურკის ხელნაწერში თანამიმდევრობაა დაცული და ხაზგასმული სიტყვა ორივე შემთხვევაში მიცემითშია წარმოდგენილი.

სად უნდა ვეძიოთ ამ აღრევის მიზეზი? რომელია სწორი და რომელია შემცთარი? ორივე ფორმა სწორია, შემცთარი არც ერთი არაა. საქმე ისაა, რომ ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, დიდი ხანია მოშლილი იყო ადამიანისა და ნივთის კატეგორია, მისი შეგნება კარგა ხნის დავიწყებული იყო. ამიტომ ენა ცდილობდა ეს ნაირ-ნაირი ფორმები გაეთანაბრებინა, ერთ სახემდე დაეყვანა. უფრო მეტი პერსპექტივები მიცემითს ჰქონდა, რადგან მას ითხოვდა შორის თანდებული ნივთის კატეგორიის სახელებთან. ხოლო როცა ეს კატეგორია იშლება და ქრება, განზოგადებული ფორმისათვის საფუძვლად ჩვეულებრივ ნივთის კატეგორიის ფორმანტებია აღებული. შდრ., მაგალითად, ბრუნვის ნიშნები: ს-ა, (მიც.), ი-ს (ნათ.), ი-თ (მოქმ.), დ (ვით); მრავლობითობის ნიშნები ე-ბ, ნ, თ და სხვები, რომლებსაც წარმოშობით ნივთის კატეგორიის აფიქსებად მიიჩნევენ[1].

აი ამ დულილისა და ძიების ანარეკლია ზემოთ ნაჩვენები ჭრელი ფორმები. უნდა ვთქვათ, რომ ამ პროცესმა ახალ ქართულამდეც მოაღწია და დღესაც კი არაა იშვიათი ამ თანდებულთან ხან მიცემითისა და ხან ნათესაობითის განუკითხველი ხმარება. მეტსაც ვიტყვით: აქა-იქ ზემოთ მითითებული „შოვრის ერსა ჩემსა და შოვრის ერისა შენისა“-ს ტიპის მაგალითებიც კი მოიპოვება. ამიტომ, რა თქმა უნდა, სრულებით არ არის გასაკვირი, თუ ძველ ქართულში გვაქვს ამის საფუძველი და, მაშასადამე, იქ შემცთარსა და სწორ ფორმებზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია.

ბოლოს ერთი კითხვაც: სულ თავდაპირველად შორის თანდებულისათვის რომელი ამ ორ ბრუნვათაგანი უნდა ყოფილიყო ამოსაყალი? თუ მიველებით ამ თანდებულის ფორმას, ამოსაყალად უნდა დავსახოთ ნათესაობითი: თვით თანდებულის ფორმაც ნათესაობითია: შორ-ის. გვაქვს ამ ფუძის სხვა ფორმებიც: შორ-ს (მიც.), შორ-ით (მოქმ.), შორ-ად (ვით.), რომლებიც გამოყენებულია ზმნიზედებად. ამ ფუძიდან მიღებული ზედსართა-

[1] ა. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VII, № 1—2, 1946, გვ. 67 და სხვ.: მისივე: მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იბერ.-კავკ. VI, 1954, გვ. 72 — 73.

ული ფორმები ხომ გავრცელებულია და კარგადაა ცნობილი: შორ-ი, შორ-მან, შორ-სა (წარვიდოდა შორსა სოფელსა, ლ. 19, 12) და სხვა.

შორის ზმნიზედადაც არის გამოყენებული (=შუაში): განიპო კრეტსაბ-მელი იგი ტაძრისაჲ მის შორის, ლ. 23, 45.

5. შინა

თანდებული შინაც, საფიქრებელია, ორ ბრუნვას ითხოვდა: მიცემითსა და ნათესაობითს. მიცემითის მაგალითები საყოველთაოდ ცნობილია და აქ ორიოდე მათგანის დასახელებით დავკმაყოფილდებით მხოლოდ:

აგარაკსა შინა, მ. 24, 40 C; საპყრობილესა შინა, მ. 11, 2; სახლსა შინა, მ. 8, 6; ყანასა შინა, მ. 13, 44; შაფათსა შინა, მ. 12, 11 C; შესაკრებელსა მას შინა, მრ. 1. 23 E; შჯულსა შინა, მ. 22, 36 და სხვა.

მაგრამ ძველ ქართულში არის კვალი ამ თანდებულის ნათესაობითს ბრუნვასთან ხშირებისა. ეს უნდა ჩანდეს ისეთ გამოთქმაში, როგორიცაა „მყისა შინა". მყისა, ეჭვი არაა, ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა. მისი სანდოობითია მეყი, მიცემითი — მეყსა, მეყს. ორივე ეს ფორმა გვხვდება ძველ ქართულში დროის ზმნიზედის მნიშვნელობით და განსილულია ზემოთ, სადაც მიცემითი ბრუნვის მარტივნიშნიანი ფორმების შესახებაა საუბარი (გვ. 147—148). სხვა ბრუნვის ფორმები ჯერჯერობით არ შეგვხვედრია. „მყისა შინა" ძველ ტექსტებში იმავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც „მეყსა შინა", ან პირდაპირ უთანდებულო მიცემითი „მეყს".

დავასახელოთ მაგალითები:

ზარგანჯდილ იქმნა და განჰკრთა ბილწი იგი და შეგინებული ეშმაკი, რომელსა დაებუნაგა ადგილსა მას და მყისა შინა ძლეული ვაჟების იტყოდა-ჴმითა დიდითა, პარხ. 834 b; კიმ. I, 113, 34; ეშინოდა, ნუუკუე უგრძნულად მყისა შინა მოიწიოს მათ ზედა კრებული იგი ავაზაკთაჲ, პარხ. 850 b; მოისრნეს იგინი მეყსეულად სალმობითა და სიყმილითა და მრავალ-ფერითა განსაცდელითა და მწარითა და ბოროტითა სიკუდილითა მყისა შინა ზედა-აჲს-ზედა, იქვე, 912 a; მყისა შინა შეიმუსრნეს, იქვე; ფსალმ. 72, 20; და განძლიერდა და აღდგა და დადგა მყისა შინა ფერჴთა თჳსთა ზედა, საბა-ას. 18, 38; ვიდრემდის მეფემან ყოველი ნებაჲ და თხოვაჲ მისი მყისა შინა სიხარულით აღუსრულის, Опис. 126, 3 და სხვა.

იშვიათად გვხვდება ნათესაობითის მარტივი ფორმაც:

მყის შინა, არიმ. 54, 60, 4; მყისვე შინა თქუა კაცმან მან, კიმ. I, 194, 13.

აქ წარმოდგენილი სურათი ნათელი და გასაგებია: მეყ-ი, მეყ-სა (მეყ-ს), მყ-ისა სახელობით-მიცემით-ნათესაობითის ფორმებია. მაგრამ ზოგჯერ ეს სიტყვა ზემოთ ნაჩვენები მნიშვნელობით ორი სანით არის წარმოდგენილი:

მყისსა შინა იქმნა იგი საწყინო და საძაგელ მხილველთა მისთა, ანტიოქ. 126, 27; თუ ვითარ მყისსა შინა განიღჳძა, იქვე, 80, 25; და შვეს ერთსა შინა ჟამსა მყისსა შინა, უდაბნ. 82 vb; ვითარ უკუე აქამომდე ბრძენ და

გონიერ იყავ და აწ **მყისსა შინა** ცოფ და უგუნურ იქმენ, ი. ჯავ. აღწ. 167, 20; **მყისსა შინა** მოსლვაჲ, თარგმ. გამოცხ. 22, 7; რომელმანცა მოსცა მათ **მყისსა შინა** ჴოსაგებელი ღუაწლისა მათისაჲ საუკუნოდ, კიმ. I, 111, 7. გამომცემელი ვარიანტში უჩვენებს ფორმას: **მეყსა შინა**, რაც საესებით კანონიერი შესატყვისია. აქ კიდევ დავასახელებ იმ ადგილს, რომელიც ზემოთ ორი წყაროს მიხედვითაა მოყვანილი, ოღონდ ერთი სანით: ...რომელსა დაებუნაგა ადგილსა მას და **მყისსა** შინა ძლეული ვაებით იტყოდა. Опис. 113, 22.

როგორ უნდა შევხედოთ ამ ორმაგსანიან ფორმებს? სხვაგან გვაქვს დაკარგული ერთი სანი (მყისსა → მყისა), თუ აქ არის დამატებული (მყისა → მყისსა)? ჩვენ უფრო სწორი მეორე დაშვება გვგონია. მართლაც, რად უნდა იყოს „მყისსა"-ში ორი სანი? ის გულისხმობს, რომ სახელობითში არის **მყისი**, მოთხრობითში—**მყისმან** და ა. შ., რაც არსად არ დასტურდება ენაში. როგორც ზემოთ ვამბობდით, ენაში გვაქვს მეყი, მეყმან, მეყსა || მეყს, მყისა || მყის. ამიტომ უნდა დავუშვათ, რომ „მყისსა"-ში ერთი სანი დამატებულია, ასე ვთქვათ, მეტაანალიზის შედეგად: რადგანაც ნათესაობითთან **შინა** თანდებულის ხმარება სხვაგან არ გვხვდება, არამედ იგი ყველგან მიცემითს მოითხოვს, ვერ შეჰრიგებიან, რომ **შინა** მიცემითს არ ახლავს, და ამიტომ **მყისა** გაუმიცემითებიათ, თუ შეიძლება ასეთი ფორმა ვიხმაროთ. საამისოდ მათ ჰქონდათ ერთგვარი მოჩვენებითი საფუძველი: გაერცელებულბ ზმნიზედა **მყის** (ნათ. ბრ.) სანზე ბოლოვდებოდა და **დასისა, ფასისა** და მსგავსი სიტყვების ანალოგიით ამასაც ერთი სანი დაუმატეს და „შინა"-სთან ბუნებრივი შეხამება მიიღეს: **მყისსა შინა**. შდრ. დასსა შინა, ფასსა შინა და სხვა.

შეგვეძლო აქ დაგვემოწმებინა ანალოგიური შემთხვევა, როცა სანი ემატება ნაცვალსახელურ ფორმას: იგი მოვიდა ჩემდა, შენდა, ჩუენდა, თქუენდა, **მისა**, მათა. შდრ. მივიდა კაც-ის-ა, მამ-ის-ა, დედ-ის-ა და სხვა. მაგრამ ხშირად გვაქვს აგრეთვე: მივიდა **მისსა**: შეკრბეს **მისსა** ფარისეველნი, მრ. 7, 1 D; უნდა... დადგმაჲ წინაშე **მისსა**, ლ. 5, 18 C; **მისსა** გარეშე არარაჲ იქმნა, ი. 1, 3 C და სხვა.

თუ სწორია ჩვენი მოსაზრება, რომ მყისა → მყისსა, მაშინ აქ ჩვენ გვექნება ერთი მაგალითი, როცა „შინა" თანდებული ნათესაობითს ახლავს. გაუგებარი და მოულოდნელი აქ არაფერია: თუ მიცემითსა და ნათესაობითს მოითხოვს **წინაშე, თანა, ზედა, შორის** და სხვანი (წიაღ, თჳნიერ...), რად უნდა იყოს შეუძლებელი, რომ ასევე ორი ბრუნვა მართოს **შინა** თანდებულმაც? საწინააღმდეგოდ არ გამოდგება, რასაკვირველია, იმ გარემოების აღნიშვნა, რომ ამის სხვა მაგალითები არა ჩანს. „არა ჩანს" კიდევ არ ნიშნავს, რომ **არ არსებობს**. მსგავსი მაგალითები შეიძლება მოინახოს. ეს ერთი. ახლა მეორე: შორეული წარსულის გადმონაშთები ენაში თითო-ოროლა მაგალითის სახით არსებულა და ამის მიხედვით გარკვეული დასკვნები გაუკეთებიათ. მერმე და მერმე ეს დასკვნები გამართლებულა საძიებელი ფორმებისა და სხვა მასალების აღმოჩენის შედეგად. ამის ნათელ მაგალითად

შეიძლება დავასახელოთ ა. შანიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება ხანმეტი კილოს არსებობის შესახებ, მოსაზრება, რომელიც ორი ზმნის ჩვენების საფუძველზე იყო წამოყენებული[1], და რომელიც შემდეგ სავსებით დაადასტურა ხანმეტი და ჰაემეტი ძეგლების აღმოჩენებმა.

შინა თანდებულის მიერ ნათესაობითი ბრუნვის მართვა შენიშნეული ჰქონდათ ს. ჯანაშიას[2], ა. მარტიროსოვს[3], ოღონდ ამ უკანასკნელის აზრით, იგი (შინა) ერთვის მყის ზმნიზედას. მყის ზმნიზედა არის მისთვის ამოსავალი აგრეთვე „მყისსა შინა“-ს ახსნისას, რომლის შესახებაც ის შენიშნავს: „ზოგჯერ შინა თანდებულის დართვისას მყის ზმნისართი მიცემით ბრუნვაში მოექცევაო[4]. თუ როგორ შეიძლება ზმნისართი მიცემითში (ან სხვა ბრუნვაში) მოექცეს, ამაზე აქ, სამწუხაროდ, არაფერია თქმული.

B. ნათესაობითისა და ვითარებითის თანდებულები

აღნიშნულ ბრუნვებს ითხოვს ორი თანდებული; ესენია: მდე და მიმართ. შევეხოთ მათ ცალ-ცალკე.

მდე

რომ მდე თანდებული ერთვის ვითარებითს ბრუნვას, ეს კარგად არის ცნობილი და აღნიშნულიც არის სამეცნიერო ლიტერატურაში[5]. დადგენილია აგრეთვე, რომ ვითარებითზე ამ თანდებულის დართვისას ბრუნვის ნიშნისეული დ შეიძლება დაიკარგოს. მოძებნილია ამის მიზეზიც. ესაა ორი დონის ერთმანეთის მახლობლად თავმოყრა (ცადმდე → ცამდე)[6]. ამიტომ სათანადო მაგალითებს აქ მცირე რაოდენობით წარმოვადგენთ:

ჰამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განჰქორწინებდეს მუნ დღედმდე, ვიდრემდე შევიდა ნოე კიდობნად, მ. 24, 38; და აჰა ესერა ძრვა იყო დიდ ზღუასა მას ზედა ვიდრე ნაისა დაფარვადმდე ღელვათაგან, მ. 8, 24; ხოლო პეტრე მისდევდა მას შორით ვიდრე ეზოდმდე მღდელთ-მოძღურისა, მ. 26, 58; მოიყვანეს იგი ვიდრე წუერადმდე მთისა მის, ლ. 4, 29; რაჲთა არა დაადგრეს გუანი მისი ჯუარსა ზედა შაბათადმდე, ი. 19, 31; და ვიდრე შერთვადმდე მათა იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა, მ. 1, 18.

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დ დაკარგულია შემდეგს მაგალითებში: ვიდრე ქათმის ყივილამდე სამ-გზის უვარ-მყო მე, მ. 26, 75 C; უკრძა, რამეთუ პირველად არა იბანა ვიდრე სადილობამდე, ლ. 11, 38 C; ელვაჲ... ბრწყინავნ დასავალამდე, მ. 24, 27 C; შეკრიბნეს რჩეულნი იგი

---

[1] სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 130.

[2] არილი, 1925, გვ. 23.

[3] ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იბერ.-კავკ. I, 1946, გვ. 213.

[4] იქვე.

[5] ა. შანიძე, მდე თანდებულის გენეზისისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე. ტ. III, 1942, № 4; ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იბერ.-კავკ. I, 1946, გვ. 235.

[6] პ. კვიციარიძე, ქართული სწორმეტყველება, გვ. 154; ა. შანიძე, გრამატ. საწყ. გვ. 368.

ოთხთა ქართაგან კიდითგან ქუეყანისაჲთ კიდემდე ცისად, მრ. 13, 27 C; მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა, მ. 28, 20 CD და სხვა.

მაგრამ მდე თანდებული მოითხოვს აგრეთვე ნათესაობითს ბრუნვასაც, რაც პირველად აქ არის დასაბუთებული[1].

მდე || მდი თანდებულის ეტიმოლოგიის გამორკვევამ ცხადი გახადა, რომ ამ თანდებულს საფუძვლად უდევს სახელი „დღე“, რომელსაც წინ ერთოდა მი თანდებული: მი-დღედ → მდე[2]. რაც შეეხება ამ თანდებულის მეორე სახეობას — მდის, ამის შესახებ ა. შანიძე წერს: „მდის მიღებულია მი-დის, ე. ი. მი-დღის-აგან, ე. ი. დღე სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან, რომელსაც წინ მი აქვს დართული. ეს ნიშნავს, რომ მი შეიძლებოდა ვითარებითსაც დაჰრთოდა და ნათესაობითსაც“[3].

გამოდის, რომ მდის თანდებული წარმოშობით დღე სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა, რომელსაც ერთოდა საკუთრივ მი თანდებული. შემდეგში მდე და მდის სახეობა ერთმანეთს ცვლიდა და ერთიცა და მეორეც იხმარებოდა ვითარებითთანაც და ნათესაობითთანაც. მაშასადამე, თუ შესაძლებელი იყო წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვისაგან მომდინარე მდის თანდებულის დართვა ვითარებითს ბრუნვაზე (ქალაქადმდის), ასევე შესაძლებელი იყო წარმოშობით ვითარებითი ბრუნვისაგან მომდინარე მდე თანდებული ნათესაობითს დაჰრთოდა (უკუნისამდე). ძველმა ქართულმა ჩვენ შემოგვინახა ერთიცა და მეორეც. პირველის შესახებ ზემოთ იყო საუბარი, აქ შევეხებით მეორეს.

ყველაზე ხშირად მდე თანდებული ნათესაობითთან გვხვდება ცნობილ სახელში უკუნისამდე. მაგრამ სამწუხაროდ ძეგლებში ეს სიტყვა თითქმის ყოველთვის ქარაგმით არის წარმოდგენილი ასე: ოკ͠ე, ოკ͠ᲂ, უკ͠ე, უკ͠ᲂ, უკ͠დე (ი. 13, 8 B). ამიტომ ეს მაგალითები არ გვაძლევს საშუალებას სწორად გავხსნათ ქარაგმა. ძეგლების მეცნიერულ გამოცემებში ეს სიტყვა ორნაირად არის წარმოდგენილი: ქარაგმა გახსნილია ან ასე: უკუნისამდე, ან ასე: უკუნისადმდე. როგორც ვხედავთ, აქ მთელი განსხვავება დონის დართვა-დაურთველობაზეა დამყარებული. რომ სწორად გავხსნათ ქარაგმა, ამისთვის აუცილებელია როგორმე მოვნახოთ თვით ძეგლებში ისეთი შემთხვევები, როცა ქარაგმა გახსნილია. ეს მოგვცემს საშუალებას ამის

---

[1] ს. დოდაშვილსა და ა. ჭუთათელაძეს აღნიშნული აქვთ, რომ მდე თანდებული მოითხოვს ნათესაობითს, მაგრამ ამის მაგალითებად ს. დოდაშვილს მოყვანილი აქვს კიდემდე, აღმოსავლეთამდე (ს. დოდაშვილი, შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, გვ. 64), რაც, რასაკვირველია, ვითარებითია და არა ნათესაობითი. ხოლო ა. ჭუთათელაძეს მოჰყავს ერთადერთი, მაგრამ სავსებით სწორი მაგალითი — უკუნისამდე (-ქებულ არს უფალი უკუნისამდე“), დასაბუთება კი არაა მოცემული (ა. ჭუთათელაძე, პირველ-დაწყებითი ქართული გრამმატიკა, მესამე შევსებული გამოცემა, 1894, გვ. 126).

[2] ა. შანიძე, მდე თანდებულის გენეზისისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, 1942, № 4, გვ. 370.

[3] იქვე, გვ. 371.

მიხედვით სწორად დავადგინოთ ამ საინტერესო სიტყვის მართლწერა. ჩვენ ამ მიზნით შევამოწმეთ ოთხთავის რამდენიმე ხელნაწერი და აღმოჩნდა, რომ ყველა შემთხვევიდან ეს სიტყვა 7-ჯერ გახსნილად არის წარმოდგენილი, უქარაგმოდ და ყველა შვიდსავე შემთხვევაში გვაქვს უდონო ფორმა, ე. ი. უკუნისამდე. აძ 7 შემთხვევიდან 5 ადიშშია წარმოდგენილი (მ. 6, 13; მრ. 3, 29; ი. 6, 51; ი. 6, 58; ი. 8, 51), ერთი ე. წ. თევდორეს ოთხთავში[1] (ი. 8, 35, პირველი მაგალითი) [ამ მუხლში ეს სიტყვა ორჯერ გეხვდება]; ერთიც ურბნისის ოთხთავში (ი. 14, 16). ყველა სხვა შემთხვევაში ხელნაწერებში ეს სიტყვა ქარაგმით არის მოცემული. სურათის სისრულისათვის აქვე ვურთავთ ამ შემოწმების ცხრილს.

ოთხთავები	ოპიზ.	ტბეთ.	ადიშ.	ჯრუჭ.	პარხ.	თევდ.	ურბ.	ქსნისა
ნომრები		(ლენინგრ.) 212		H 1660	A 1453	A 98	A 28	A 509
ლიტერები	A	B	C	D	E	F	I	L
მრ. 11,14	უკე	ოკე		ოკე	უკე		უკე	უკ[ი]
ი. 4,14		უკე	ოკე	ოკე	ოკე	ოკე	უკე	უკ[ი]
ი. 6,51		უკე	უკუნისამდე	ოკე	ოკე	ოკე	უკე	უკ[ი]
ი. 6,58		უკე	უკუნისამდე	ოკე	ოკე	ოკე	უკე	უკ[ი]
ი. 8,35[1]		უკე	ოკე	ოკე	ოკე	უკუნისამდე	უკე	უკე
ი. 8,35[2]		უკე	ოკე	ოკე	ოკე	ოკე	უკე	უკე
ი. 8,51		უკე	უკუნისამდე	ოკე	ოკე	ოკე	უკე	უკე
ი 8,52		უკე	ოკე	ოკე	ოკე	ოკე	უკე	უკ[ი]
ი. 10,28		უკე	ოკე	ოკე	ოკე	ოკე	უკე	უკე
ი. 11,26		უკე	ოკე	ოკე	ოკე	უკე	უკე	უკე
ი. 12,34		უკე	ოკე	ოკე	ოკე	ოკ[ი]	უკე	უკ[ი]
ი. 13,8		უკდე	ოკე	ოკე	ოკე	ოკე	ოკე	
ი. 14,16		უკე	ოკე	ოკე	ოკე	ოკე	უკუნისამდე	
მ. 6,13			უკუნისამდე				უკე	
მ. 21,19			ოკე					
მრ. 3,29			უკუნისამდე					
ლ. 1,33			ოკე					
ლ. 1,55			ოკე					უკ[ი]

[1] საქ. მუზ. ხელნ. A 98.

გამოდის, რომ, ოთხთავის მიხედვით, სადაც გახსნილია ქარაგმა, უველგან უდონო ფორმაა, ე. ი. ერთადერთი სწორი ფორმა არის უკუნისამდე.

ამის შემდეგ ჩვენ ვცადეთ მოგვენახა ამ სიტყვის გახსნილი სახეობა სხვა ხელნაწერებშიც. აქ კიდევ უნდა ბოვაგონოთ მკითხველს, რომ ეს სიტყვა სხვა ხელნაწერებშიც თითქმის უველგან ქარაგმით სწერია. მაგრამ 5 შემთხვევა მაინც აღმოჩნდა, სადაც ქარაგმა გახსნილია, სიტყვა მთლიანად არის დაწერილი და დაწერილია სწორედ ისე, როგორც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში—უდონოდ: უკუნისამდე. ეს ადგილებია:

1) აღთქუმაჲ, რომელ აღუთქუა აბრაჰამსა და ნათესავსა მისსა ვიდრე მიუკუნისამდე, სინ. მრავ. 12 v;

2) აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, აბენ, სინ. მრავ. 170 v;

3) მისი არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ, სინ. მრავ. 220;

4) და იტანჯებოდი შენ მას შინა უკუნისამდე, უდაბნ. 83 ra, 21;

5) ეს სიტყვა ასე იკითხება მიქაელის წამებაში. ეს ძეგლი, როგორც ცნობილია[1], მოიპოვება ათონის ივერიის მონასტრის № 57 ხელნაწერში, რომლიდანაც გადაღებული ფოტოპირები ინახება ლენინგრადში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში. ჩვენ ვსარგებლობთ აქედან გადმოღებული ფოტოპირებით. ამ ძეგლში ეს სიტყვა 4-ჯერ გვხვდება. აქედან ქარაგმა გახსნილია ერთჯერ, სახელდობრ ასე: უკუნისამდე (ხელნ. 228 va, 14 = გამოც. 170, ბ); სამჯერ კი ქარაგმითაა წარმოდგენილი: ოკ̃ე (ხელნ. 230 va, 26 = გამოც. 172, 23; იელნ. 230 vb, 22 = გამოც. 172, 32; ხელნ. 231 rb, 30 = გამოც. 173, 21).

ქარაგმიანი „უკ̃ე"-ს გახსნისას საგონებელში იყო ჩავარდნილი ნ. მარი, მაგრამ მან მაინც სწორი გზა გამონახა. იერუსალიმის წარტყვენის გამოცემაში ის წერდა: „მიუკუნისამდე (стр. л, 12) прочитано из оиу̃кѣ (I э), что можно бы прочитать и миукунисамдеи, равным образом ук̃е (I э) прочитано укунисамдеи (стр. л, 24, ла, 2, лъ, 19, мѳ, 9, н, 28, нз, 23, а, 29, ад, 28 — 29), когда можно бы прочитать и укунисамдеи, но впрочем э поддерживает наше чтение на стр. лг, 24 и 1 на стр. мт, 16"[2].

ამნაირად, ჯერჯერობით ნაპოვნი 14 შემთხვევიდან (12 ჩვენი, 2 ნ. მარისა), სადაც ოკ̃ე (უკ̃ე და სხვ.) გახსნილია, თოთიძეტივე უდონოდაა მოცემული (უკუნისამდე) და არც ერთი ძაგალითი არაა, რომ დონიანი ფორმა გვჭირდეს (უკუნისამდე). ეს, როგორც ჩანს, არცაა ძოსალოდნელი.

ამრიგად, გვრჩება ერთადერთი სწორი წაკითხვა უკუნისამდე-ჩეს არის ნათესაობითის ფორმა, რომელსაც ერთვის მდე თანდებული: უკუნისა-მდე.

[1] კ. კეკელიძე, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტ. I, 1918, XLIV.

[2] ნ. მარი, ТР. IX, 1909, გვ. 73.

ხომ არ შეიძლება **უკუნისამდე** მსაზღვრელად მივიჩნიოთ და ორმაგი ბრუნების ნათესაობით-ვითარებითის ფორმად ვაღიაროთ? მაგრამ სად არის ასეთ შემთხვევაში საზღვრული, რომელსაც ეს „უკუნისამდე“ განსაზღვრავს? მაშასადამე, რჩება ერთადერთი შესაძლებლობა, რომ **უკუნისამდე** ნათესაობითის ჩვეულებრივ ფორმად მივიღოთ.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ **მდე** თანდებული სხვა შემთხვევებშიც უნდა ერთოდეს სახელს ნათესაობითში. ნუთუ არ არის ამის მსგავსი სხვა მაგალითები? სხვა მაგალითები არის და მათი ჩვენება სრულიად უჭერს მხარს ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ **მდე** თანდებული აგრეთვე ნათესაობითსაც მართავს.

მოვიყვანოთ ჯერ ეს მაგალითები:

1. მიმეუფისამდე: რამეთუ მრავალნი წარწყმიდნა ოქრომან და **მიმეუფისამდეცა** გული უქციისვე, ზირაქ 8, 3.
2—3. ვერძისამდე: და მოიწია ვიდრე მის **ვერძისამდე**, რომელსა ესხნეს რქანი, დანიელ 8, 6; და ვიხილე იგი მიწევნული ვიდრე მის **ვერძისამდე**, იქვე, 8, 7.

ბიბლიის თბილისურ გამოცემაშიც ორივე შემთხვევაში **ვერძისამდე** იკითხება. ეშვი არაა, აქ ჩვენ გვაქვს **მდე** დართული ნათესაობითი. ამას ამართლებს მოყვანილი ტექსტის შინაარსიც; რუსული თარგმანიც ამას უჭერს მხარს. აქ პირველი მაგალითის შესატყვისად გვაქვს: **он пошёл на того овна**, მეორისათვის: **приблизившись к овну**. **К овну** კარგად უდგება ჭართულ „ვერძისამდე“-ს.

4. ქუეყანისამდე: და მოსრა ნაინი და დანი და ბელმაჲ და ყოველი ქუეყანაჲ ქენერეთისაჲ და ყოვლისა **ქუეყანისამდე** ნეფთალემისა, 3 მეფ. 15, 20. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ მაგალითში **მდე** თანდებული ერთვის სწორედ საზღვრულს, რომელსაც ახლავს 2 მსაზღვრელი: ერთი წინ (ყოვლისა), ხოლო მეორე —შემდეგ (ნეფთალემისა).

თბილისურ გამოცემაშიც გვაქვს **მდე** თანდებული ნათესაობითთან: ვიდრე **ყოვლისამდე** ქუეყანისა ნეფთალემისა. მართალია, აქ **მდე** ახლავს მსაზღვრელ სიტყვას (ყოვლისა-მდე), მაგრამ მას იქვე მოსდევს მისი საზღვრული (ქუეყანისა), რომელიც აგრეთვე ნათესაობითში დგას: **ყოვლისამდე ქუეყანისა** (და ამიტომ ორმაგი ბრუნების ნათესაობით-ვითარებითზე აქ შეუძლებელია ლაპარაკი). ესეც ერთ-ერთი შესაძლებელი სახეა თანდებულიანი მსაზღვრელ-საზღვრულის ერთმანეთთან შეწყობისა. დავსძენ ბოლოს, რომ თბილისურ გამოცემაშიც გვაქვს კიდევ მეორე მსაზღვრელი (ნეფთალემისა), რომელიც აქაც საზღვრულის ბოლოსაა მოქცეული[1].

---

[1] სტ. ჩხენკელს **ქუეყანისამდე** ვითარებით ბრუნვად მიაჩნია და სპეციალურად მსჯელობს იმ გარემოებაზე, თუ რას უნდა გამოეწვია ამ ფორმაში დონის დაკარგვა

5 — 6. დ ღ ი ს ა მ დ ე: ჭამადი მისი, ჭამადი მიმდემადი მიეცემოდა მას მეფისა მიერ ბაბილონისა დ ღ ი ს ა გ ან **დღისამდე** ვიდრე **დღისამდე**, რომელსა მოკუდა, ყოველთა დღეთა სიცოცხლისა მისისათა, იერ. 52, 34 (თბ. გამოც.).

ეს ფორმა წარმოადგენს იობის სრულ ანალოგიას, ზემოთ რომ ვნახეთ ოშკის ხელნაწერსა (ქუეყანისამდე) და ბიბლიის თბილისურ გამოცემაში (ყოვლისამდე ქუეყანისა). ამიტომ ის სრული ნდობის ღირსია. აქ, გარდა ამისა, შემონახული გვაქვს ძვირფასი გადმონაშთი იმ ცნობილი ფორმულის პარალელისა, რომელიც მოქმედებით-ვითარებითის გამოყენებითაა შედგენილი: **დღითგან დღედმდე**. ამას ახლა უჩნდება პარალელი, სადაც ფორმულის ორივე წევრი ნათესაობითშია დასმული სწორედ იმავე თანდებულებით: **დღისაგან დღისამდე**! სწორედ ასეც იყო მოსალოდნელი, რაკი აღმოჩნდა, რომ **მდე** თანდებული შეიძლება დაერთოს ნათესაობითს. ამნაირად, სრულიად დასაშვები და კანონიერი პარალელური გამოთქმებია: მეფითგან მეფედმდე და მეფისაგან მეფისამდე, დღითგან დღედმდე და დღისაგან დღისამდე, ან: საზღვრითგან ქუეყანადმდე და საზღვრისაგან ქუეყანისამდე. არის მესამე შესაძლებლობაც: **უკუნითი უკუნისამდე** (ე. ი. მოქმ.-ნათ.).

ნათესაობითიანი ფორმულა ნაკლებად იხმარებოდა ძველ ქართულში და, ეტყობა, იგი ძველი ვითარების იშვიათი, მაგრამ მეტად საინტერესო გადმონაშთია. აქედან ჩანს, რომ ბიბლიის თბილისური გამოცემის ენა ძალიან ძველი ვითარების ამსახველია, იგი ძვირფას ფორმებს გვაწვდის ძველი ქართულის შორეული წარსულიდან. ოღონდ საჭიროა ტექსტის სარგებლობისას სიფრთხილე და გამოცემის ზოგიერთი დაუდევრობისა და კორექტურული შეცთომების გასწორება.

7. მ ი გ ლ ა ხ ა კ ი ს ა მ დ ე: ზრახვანი იგი იჭუსა მის მათისანი დღედმდე აღსასრულისა მათისა დიდებულითგან, რომელი-იგი ზის საყდართა მათ უფლებისათა, **მიგლახაკისამდე**, რომელი-იგი გორავენ მიწასა და ნაცარსა ზედა, ზირაქ 40, 3.

8 — 9. მ ე ფ ი ს ა მ დ ე: და იციან, რამეთუ ვიდრე ნეტარისა კოსტანტინე **ბეფისამდე** ქრისტეანენი დაწუნებულ იყვნეს და დევნულ ყოველთა მიერ მეფეთა, სვან. 56 a; ამისა შემდგომად მიიწია ვიდრე **მეფისამდე** ანტონისი სიტყუაჲ, უდაბნ. 32 rb.

10. ს ი ტ ყ უ ჭ ს ა მ დ ე: ისმენდეს მისსა ვიდრე ამის **სიტყუჭსამდე**, აღიღეს ჴმაჲ ბათი და თქუეს, მოც. 22, 22.

ასე იკითხება ეს სიტყვა მოციქულთა საქმის C, Ł, Ļ რედაქციების ყველა ნუსხაში, Ծ რედაქციის ერთ-ერთ ხელნაწერში კი (F)[1] მას ცვლის

(სტ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 25, 1943, გვ. 175), მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, აქ დონი არც ოდესმე ყოფილა და, მაშასადამე, არც დაკარგულა.

[1] საქ. მუზ. ხელნ. A 34.

მისი კანონზომიერი შესატყვისი — **სიტუუადმდე**, რუსული თარგმანიც სრულ შესატყვისს იძლევა: **до этого слова слушали его.** მაშასადამე, ვიდრე ამის სიტყვასამდე=ვიდრე სიტყუადმდე=**до этого слова.** ნათელია, რომ **მდე** თანდებულიანი ნათესაობითი და ვითარებითი კანონზომიერად ცვლიან ერთმანეთს.

11. ჰასაკისამდე: სიჭაბუკითგან ვიდრე თჳსისა **ჰასაკისამდე** ერთბამად დაიმარხა გულს-მოდგინედ მარხვაჲ, უდაბნ. 36 r. უეჭველია, აქაც „ჰასაკისამდე" ნიშნავს მის ფუნქციურად შესატყვისს „ჰასაკამდე". **მდე** თანდებულიან ნათესაობითს ფორმულის (საიდან სადამდე) პირველ წევრად აქ აქვს მოქმედებითი გამოსვლითის ფუნქციით: სიჭაბუკითგან ვიდრე თჳსისა ჰასაკისამდე. თამამად შეიძლებოდა (და უფრო გავრცელებულიც არის) უკანასკნელი სიტყვა ვითარებითით შეცვლილიყო: ...ვიდრე თჳსისა ჰასაკამდე.

12 — 13. ცხოველს-მყოფელისამდე: რომლისა-იგი წინაჲსწარ თქუა ღმერთმან გამოჴსნაჲ ჴელისა მიერ ჯუარისა **ცხოველს-მყოფელისამდე**, სვან. 393 ჯ: ...**ცხოელს-მყოფელისამდე**, პარხ. 288 a. აქაც **მდე** თანდებული მსაზღვრელს ახლავს, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მას იქვე გვერდში უდგას (წინ უსწრებს) საზღვრულიც (ჯუარისა). ცალკე მსაზღვრელი თანდებულით არასოდეს არა გვაქვს.

14 — 17. ხვალისამდე: განიზრახეს მუნ. დადგომაჲ ვიდრე **ხვალისამდე**, ხანძთ. 150, 21; მაშინ ჴმა-ყვეს საღლე და მღდელთ-მოძღუართა დაცვად სტეფანე **ხვალისამდე**, პარხ. 112 a; მაშინ განრისხნა ურბანოს და ბრძანა შეყუანებაჲ მისი საპყრობილედ **ხვალისამდე** და თავისა მოკუეთაჲ, იქვე, 726 b; ეტ. III, 190, 16. აქ **ხვალისამდე** მნიშვნელობით არის „ხვალემდე", არც მეტი, არც ნაკლები.

18. და ალასრულოს ვიდრე თავისა **თჳსისამდე**, სინ. მრაე. 14. **მდე** თანდებული აქ ერთვის მსაზღვრელს (თჳსისა), მაგრამ იქვეა მოცემული საზღვრულიც (თავისა).

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ყველა (18) მაგალითი სუფთა ნათესაობითს გვიჩვენებს: ფუძეს ემატება სრული ბრუნვის ნიშანი და ამის შემდეგ ირთავს თანდებულს: მეფ-ისა-მდე, დღ-ისა-მდე, ქუეყან-ისა-მდე.

მაგრამ არის 2 ისეთი შემთხვევა, როცა ნათესაობითის ნიშანს მოსდევს **დ** და შემდეგღა ერთვის თანდებული:

19. სამკჳრებელისადმდე: ამისთჳს მოსცნეს განვლინებულნი ვიდრე **სამკჳრებელისადმდე** ბეთელთაჲსა, მიქია 1, 14.

20. ხვალისადმდე: და დაწვა იგი ვიდრე განთიადმდე და დაიძინა ფერჴთა თანა მისთა **ხვალისადმდე**, რუთ 3, 14.

რის მაქნისია ამ სიტყვებში **დ**? ეჭვი არაა, აქ ის ანალოგიით არის გაჩენილი. ანალოგიას კი აქ დიდი საფუძველი აქვს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ფორმებს (მეფისამდე, დღისამდე...),

მდე თანდებული ჩვეულებრივ ვითარებითს ერთვის და მას წინ თითქმის ყოველთვის უძღვის **დ**: კარა-დ-მდე, სოფლა-დ-მდე, ქუეყანა-დ-მდე, ეხო-დ-მდე, ქალაქა-დ-მდე, წყარო-დ-მდე, იერუსაᲘმ-დ-მდე, ბეთლემ-დ-მდე, ქართლ-დ-მდე და სხვა. ქართველი გადამწერის ხელი და ყური შეჩვეულია ასეთ გამოთქმებს, რომლებიც ენაში წარამარა გვხვდება. ამიტომ ბუნებრივია, როცა მას ესმის **მდე** თანდებულიანი ᲛᲨვიათი ფორმა სამკჳდრებელისამდე, იგი **მდე** თანდებულის წინ ანალოგიით აქაც წერს **დ**-ს: სამკჳდრებელისადმდე. ამიტომ **დ**-ს გაჩენა ასეთ შემთხვევაში გასაკვირი სრულებით არაა. გასაკვირი ისაა, რომ 20 მაგალითიდან **დ**-ს თავი უჩენია მხოლოდ ორში და 18 ძველებური ფორმით შემონახულა.

ბოლოს, კანონიერია დავსვათ კითხვა: ხომ არ განსხვავდება ერთმანეთისაგან რაიმე მხრივ **მდე** დართული ფორმები ნათესაობითისა და ვითარებითისა? სათანადო მასალების სიმცირის გამო აქ გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. რაღაც ოციოდე მაგალითის ჩვენება არ იძლევა საკმაო საფუძველს ამ მნიშვნელოვან კითხვაზე ამომწურავი პასუხის გასაცემად. მაგრამ თავიდანვე აღნიშნულ ფორმებს შორის განსხვავება იქნებოდა. ეს ცხადია თუნდაც მარტო იმ გარემოების მიხედვით, რომ ასეთი ფორმები პარალელურად არსებობს ენაში. „მეფისამდე“-ს ტიპის მაგალითები ძველისძველად. უეჭველია, უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე ძველ ქართულში ბოგგეპოვება. ველი ქართულის მასალებიც ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გადასინჯული, გამომჟღავნებული და გამოყენებული. ამიტომ სანამ სათანადო მასალები საკმაოდ არ იქნება მოპოვებული, ნაადრევი დასკვნის გაკეთებისაგან თავის შეკავება სჯობია.

მდის თანდებული იშვიათად დღესაც შეიძლება ნათესაობითს დაერთოს. მაგრამ ამ შემთხვევაში ის უეჭველად დართული იქნება ორმაგი ბრუნების მსაზღვრელზე, რომლის საზღვრულიც იქვეა წარმოდგენილი, ან ტექსტის მიხედვით უსათუოდ იგულისხმება. აი ამის ერთი მაგალითი:

„მთელ ქალაქში აღარ დარჩენილა იმისთანა ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო, კამერჰერის ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო დ ა ნ დაწყებული უბრალო **ხარაზისამდის**, რომ მეფის ქალს და ფრეილინებს არ შეეტყოთ, სად რა საჭმელი იხარშებოდა“ [1]. **ხარაზისამდის** აქ, უეჭველია, ნიშნავს „ხარაზის სამზარეულომდე“. თანდებული დაერთო ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელს იმიტომ, რომ არ გამეორებულიყო ისედაც ორჯერ უკვე ნახსენები „სამზარეულო“. მაშასადამე, აქ ეს უცნაური შეხვედრა გამოწვეულია მხოლოდ სტილის მოსაზრებით, ტავტოლოგიის ასაცილებლად. ეს მომენტი თვით ა. დირსაც აქვს შენიშნული, როცა ამ საინტერესო ფორმას ასეთ შენიშვნას ურთავს: „ხარაზ-ისა-მდის doppelte Fallendung am selben Wort bis zu (მდის) [der Küche] Schusters“ [2]. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ ორმაგი ბრუნვის ნიშანი

---

[1] A. Dirr, Grammatik der modernen georgischen (grusinischen) Sprache, გვ. 139.

[2] იქვე.

კი არა გვაქვს, როგორც ავტორს ჰგონია, არამედ ნათესაობითის ფორმას ერთვის თანდებული: ხარაზ-ისა-მდიხ, სადაც ის-ა ბრუნვის ნიშანია, მდიხ კი — თანდებული.

მიმართ

ნათესაობითსა და ვითარებითს ითხოვს აგრეთვე თანდებული მიმართ.

მიმართ თანდებული ვითარებითთან

ცად მიმართ, ლ. 15, 18; ზეცად მიმართ, ლიტ. ქრესტ. 162, 5; საკურთხეველად მიმართ, 3 მეფ. 13, 2; ზღუად მიმართ, ეზეკ. 41, 12; ჩრდილოდ მიმართ, იქვე, 42, 2; ბღუარად მიმართ, იქვე, 48, 28; ქუეყანად მიმართ, იქვე, 16, 29; ქუაბებად მიმართ, ამბაკუმ 2, 15; სამოთხედ მიმართ, ზირაქ 24, 31; წყაროდ მიმართ, მამ. სწავ. (H) 27 v; გზად მიმართ, 1 მეფ. 4. 13; სამხრად მიმართ, თუალთ. 34, 19 და სხვა.

მიმართ თანდებული ნათესაობითთან

ერისა მის მიმართ, ლ. 7, 24; მამისა შენისა მიმართ, მ. 6, 6; სახელისა მიმართ, ი. 3, 18; უფლისა მიმართ, ლ. 1, 16 C; ღმრთისა მიმართ, ლ. 1, 47; შჯულისა მისისა მიმართ, ლ. 2, 27; მეფისა მის მიმართ, შუშ. 146, 22; ქართლისა კათალიკოზისა მიმართ, ხანძთ. 145, 34; ცისა მიმართ, იქვე, 108, 3 და სხვა.

ჩვენ ზემოთ განგებ შევარჩიეთ ისეთი მაგალითები, რომლებშიც აშკარად ჩანს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. მაშასადამე, ეჭვი არაა, მიმართ თანდებული ძველ ქართულში მოითხოვს ნათესაობითსაც. მაგრამ აქ შეიძლება გვითხრან:

მეფისა მიმართ, ღმრთისა მიმართ და მისთანანი ნანათესაობითარი ვითარებითია, ე. ი. ნათესაობით-ვითარებითის ფორმაა, სადაც ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დ დაკარგულიაო (ღმრთისად მიმართ → ღმრთისა მიმართ). ამაზე უნდა ვუპასუხოთ: წარმოშობით ეს შეიძლება ასეც იყოს, რომ ეს ფორმები წარმოშობით სუფთა ნათესაობითი არ არის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მესამე პირის ნაცვალსახელებთან გვაქვს მისა მიმართ (მ. 13, 57), მათა მიმართ (მ. 7, 29) და არა მის მიმართ, მათ მიმართ. ამ ნაცვალსახელებში გამოვლენილი ა-სხვა არაფერია, თუ არა ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული ელემენტი: მისდა მიმართ → მისა მიმართ, მათდა მიმართ → მათა მიმართ. მისდა, მათდა გვაქვს კიდეც შემონახული არც თუ იშვიათად (შდრ. მათდა მიმართ, მრ. 4, 15 D). ამასვე ამტკიცებს აგრეთვე აღნიშნული ა-ს გამოვლენა ადამიანთა სახელებშიც, მაგალითად: იოვანესა მიმართ (ლ. 3, 2), საულისა მიმართ (1 მეფ. 10, 25), აბრაჰამისა მიმართ (დაბ. 8, 33 ლაგ.), ელიაზსა მიმართ (3 მეფ. 172), იერემიაზსა მიმართ (იერ. 27, 1), ოსესა მიმართ (ოსე 1, 1). ესაა და ეს. საზოგადო სახელებში არსად არა ჩანს ვითარებითის კვალი, აქ არსად არ გვხვდება, თუნდაც იშვიათად და ნაშთის

სახით, „ღმრთისად მიმართ“, „მეფისად მიმართ“ და სხვა. საზოგადო სახელებში მიმართ თანდებული მხოლოდ სუფთა ნათესაობითს ერთვის. სუფთა ნათესაობითს ერთვის მიმართ თანდებული აგრეთვე ადამიანთა სახელების უმეტეს ნაწილში, მაგალითად: ღუაწლსა მას აზაელის მიმართ, მეფისა მის ასურთაჲსა (4 მეფ. 9, 16), ფარაოჲს მიმართ (ეზეკ. 29, 2; ფარაო ძველ ქართულში ისე იბრუნება, როგორც ყველა სხვა საკუთარი სახელი); იერემიაჲს მიმართ (იერ. 29, 30), სოლომონის მიმართ (იპოლ. 4, 74), დავითის მიმართ (1 მეფ. 20, 17), იუდაჲს მიმართ (იპოლ. 2, 169), მიქელის მიმართ, (ზარზმ. 150, 28), ქრისტჱს მიმართ (ხანძთ. 138, 2) და სხვა. ამგვარი მაგალითები უფრო მეტად გვხვდება ძველ ქართულში, ვიდრე „აბრაჰამისა მიმართ“ ტიპისა. თვით ერთსა და იმავე ძეგლში ერთმანეთის გვერდით არსებობა ისეთი პარალელური ფორმებისა, როგორიცაა „იერემიაჲს მიმართ“ და „იერემიაჲსა მიმართ“, „აზაელის მიმართ“ და „აზაელისსა (=აზაელისა) მიმართ“, იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მიმართ თანდებულის ადგილი საკუთარ სახელებში ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი. შემთხვევათა უმეტეს ნაწილში იგი სუფთა ნათესაობითის ფორმასთან გვსვდება (სოლომონის მიმართ). უფრო ნაკლებად — ნათესაობით-ვითარებითის ფორმასთან (საულისა მიმართ). საზოგადო სახელებში, როგორც ვნახეთ, იგი ხანვითარებითს ითხოვს (ცად მიმართ), ხანაც ნათესაობითს (მამისა მიმართ).

რა შემთხვევაში ითხოვს ის ნათესაობითს და რა შემთხვევაში ვითარებითს? თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე გამონაკლისს (რაც შემდეგდროინდელი, მაშასადამე, მეორეული მოვლენა შეიძლება იყოს), ასეთი კანონზომიერებაა შენიშნული:

ადამიანთა კლასის სახელებთან მიმართ ნათესაობითს მოითხოვს, ნივთის სახელებთან — ვითარებითს. ამიტომაა სწორედ, რომ გვაქვს, ერთი მხრით: მამისა მიმართ, მეფისა მიმართ, უფლისა მიმართ, ღმრთისა მიმართ, დავითის მიმართ, სოლომონის მიმართ და სხვა, მეორე მხრივ კი: ზღუად მიმართ, სამხრად მიმართ, ქუეყანად მიმართ, საკურთხეველად მიმართ და სხვა.

ცალკე განხილვას მოითხოვს მიმართ თანდებულის ხმარება პირის ნაცვალსახელებთან, როგორიცაა: შენდა მიმართ, თქუენდა მიმართ და სხვა, რომელთა ნათესაობითამდე დაყვანაც არ უნდა იყოს შეუძლებელი.

როგორია მიმართ თანდებულის ადგილი? საკითხის ასე დასმაც არც მოგვიხდებოდა, რომ გამოთქმული არ იყოს მოსაზრება, რომ მიმართ ძველ ქართულში სახელის წინაც იხმარებაო[1]. ნაწილობრივ ამ საკითხზე უკვე გვქონდა მსჯელობა (გვ. 323 — 324). აქ აღვნიშნავ დამატებით, რომ ცალკე აღებული სახელი და მიმართ თანდებული ყოველთვის ერთსა და იმავე რიგს გვიჩვენებს: წინ დგას სახელი, მას მოჰყვება თანდებული: ზღუად მიმართ, მამისა მიმართ. ძალზე იშვიათად შესაძლებელია ეს თანდებულიც

[1] ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იბერ.-კავკ. ტ. I, 1946, გვ. 243.

წინ იქნეს გადმოტანილი ერთადერთ და მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევაში როცა თანდებულიან სახელს ახლავს რაიმე განსაზღვრება და ის სახელის წინაა მოქცეული. ასეთ შემთხვევაში (და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში) შესაძლებელია ეს თანდებულიც წინ გადმოვიდეს და მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის მოთავსდეს. შთაბეჭდილება ისეთი რჩება, თითქოს ეს თანდებული მსაზღვრელს ახლავს და მას მოჰყვება და არა საზღვრულს უძღვის წინ. ასეთია ა. მარტიროსოვის მიერ მოყვანილი ორივე მაგალითი: ვითარ დამტკიცებულ ხარ დამუსრვილისა მის მიმართ აპოლონისა, კიმ. 1, 136, 32; შენგან შობილისა მიმართ ღმრთისა, Опис. 29, 4. ამ მაგალითებში მიმართ იმიტომ გადმოვიდა წინ, რომ წინ არის აგრეთვე მოქცეული განსაზღვრებები: პირველში — „დამუსრვილისა", მეორეში — (შენგან) „შობილისა". თუ ესენი არა, მიმართ არსებითს სახელს უეჭველად ბოლოს ექნებოდა დართული. აქ მეორე გარემოებაც უნდა აღვნიშნოთ: მოყვანილ მაგალითებში მიმართ-ის ნაცვლად ერთმარცვლიანი თანდებულები რომ გვქონოდა, ვთქვათ თჳს, იგი წინა სიტყვას (განსაზღვრებას, ნაწევარს) მიეკერებოდა და გვექნებოდა: დამუსრვილისათჳს აპოლონისა, ან: დამუსრვილისა მისთჳს აპოლონისა, შენგან შობილისათჳს ღმრთისა და სხვა. თუ ეს გარემოება არ იქნება გათვალისწინებული, ისე ავტორის მიერ მოყვანილი მაგალითები „მიმართ აპოლონისა", „მიმართ ღმრთისა" აბსოლუტურად შეუძლებელია ძველ ქართულში.

როგორც ვხედავთ, თანდებულთა ადგილის განსაზღვრის დროსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განსაზღვრების ადგილს, რომლის გათვალისწინების გარეშეც შეცთომებს ვერ დავაღწევთ თავს.

C. ნათესაობითისა და მოქმედებითის თანდებულები

ნათესაობითსა და მოქმედებითს ითხოვს გან და გამო თანდებულები.

გან თანდებული ნათესაობითთან

კითხვაზე ვისგან? რისგან? გან თანდებული მოითხოვს ნათესაობითს. იგი ამ შემთხვევაში უჩვენებს პიროვნებას ან საგანს, რომელიც ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების ჩამდენია, მასალას, რისგანაც არის გაკეთებული ესა თუ ის ნივთი, მოქმედების მიზეზს და სხვას. მაგალითები:

და ცნა ჯორცთაგან, რამეთუ განიკურნა გუემულებისაგან, მრ. 5, 29; მოვედ განყოფად კაცი მამისაგან თჳსისა და ასული დედისაგან თჳსისა და ძის-ცოლი დედამთილისაგან თჳსისა, მ. 10, 35; ხოლო ლელჳსაგან ისწავეთ იგჳვი, მ. 24, 32; ნაყოფისაგან ხჱ იგი საცნაურ არს, მ. 12, 33; მოვიდა იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაჲთ და ნათელ-იღო იოვანესგან იორდანესა, მრ. 1, 9 და სხვა მრავალი.

ხანდახან გან თანდებული მოქმედების დასაწყის პუნქტს გამოხატავს. ამ შემთხვევაში გან თანდებულიანი ნათესაობითი ენაცვლება მოქმედებითს,

რომელსაც გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელობა აქვს, იგი მოგვიგებს კითხვაზე **საიდან?** მაგალითები:

მაცადე, აღმოგიღო წუელი **თუალისაგან** შენისა, მ. 7,4 (შდრ.: მაცადე და აღმოგიღო წუელი ეგე **თუალით** შენით, იქვე C); რაჟამს აღმოვიდოდა **წყლისა** მისგან, მ. 3, 16 D (შდრ.: აღმოჴდა მიერ **წყლით** C); განვიდა **ტაძრისა** მისგან, ი. 8, 59 C (შდრ.: განვიდა **ტაძრით**, DE); იყო ...**დაბისაგან** მარიამისა, ი. 11, 1 DE (შდრ.: **დაბით** მარიამისით C); **კრებულისაგან** განგასხნენ თქუენ, ი. 16, 2 DE (შდრ.: **კრებულით** მათით განგჴადნენ თქუენ C) და სხვა.

ხანდახან ერთსა და იმავე წინადადებაში ერთმანეთის გვერდით გვაქვს ორიეე სახეობა.

ამ ორი ბრუნვის ასე ხშირი მონაცვლეობა და გამოყენება ერთისა და იმავე ფუნქციის შესასრულებლად მათ გენეტურ კავშირზე მიუთითებს. ეს კავშირი მარტო ამ ერთი შემთხვევით არა ჩანს, იგი სხვაგანაც ხშირად იჩენს თავს.

გან თანდებული მოქმედებითთან

კითხვაზე **საიდან? გან** თანდებული ერთვის მოქმედებითს და აღნიშნავს მოქმედების საწყის პუნქტს დროსა და სივრცეში. ბრუნვის ნიშანი ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მარტივი სახით არის წარმოდგენილი (**ით**). **გან** თანდებულიანი მოქმედებითის აღნიშნული ფუნქციების შესახებ ზემოთ ვრცლად გვაქვს საუბარი (გვ. 211 — 215; 221 — 224) და აქ მხოლოდ ორიოდე მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით.

გან თანდებულიანი მოქმედებითი უჩვენებს ადგილს

მჴიხ-აღმოსავალითგან ვიდრე დასავალადმდე დიდებულ არს სახელი ჩემი წარმართთა შორის, მალაქია 1, 12; იხილეს ლეჳ იგი განჴმელი **ძირითგან**, მრ. 11, 20; და უმაღლჱს იყო იგი (საულ) ყოველისა მის ერისა **ბეჭითგან** აღმართ, 1 მეფ. 10, 22; ვიდრე სრულიად მოაუძლურეს **თავითგან** ფერჴთამდის, კიმ. I, 84, 6 და სხვა.

გან თანდებულიანი მოქმედებითი უჩვენებს დროს

უნდა მისი ხილვაჲ მრავლით **ჟამითგან**, ლ. 23, 8; არცაღა იკადრა ვინ მიერ **დღითგან** კითხვად მისა არღარა, მ. 22, 46;. სხუაჲ ვინმე დაჴსნილი სამით **წლითგან** და წულით-მანკიერი მოიყვანეს მისა, კიმ. I, 254, 24; ეგე ყოველი დამიმარხავს **სიყრმით ჩემითგან**, მ. 19, 20; ხოლო იყო იგი **სიჭოჩჲთგანვე** სავსე შიშითა და სიყუარულითა ღმრთისაჲთა, კიმ. I, 60, 24 და სხვა.

გამო

გამო თანდებული ნათესაობითზე დართვისას მიუთითებდა მოქმედების ჩამდენზე ან მიზეზზე. მისი კითხვა იყო: ვ ი ს გ ა მ ო? ან რ ი ს გ ა მ ო? ხოლო როცა იგივე თანდებული მოქმედებითს ახლდა, ადგილის საწყის პუნქტს უჩვენებდა. მისი კითხვა იყო: **საიდან?** მაგალითები:

გ ა მ ო თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ თ ა ნ

ამის გამო, ი. 6, 66; 19, 12; **ერისა** მის გამო, მრ. 2, 4 C (DE-ში ამას ცვლის: ერისა მისგან); **მის** გამო, მრ. 6, 14 C (DE: მისთჳს); ი. 3, 17 C (DE: მის მიერ!); **მათ** გამო, ი. 5, 39 C; **ჩემ** გამო, ი. 6, 57 C; ი. 10, 9 C; ი. 14, 6 C (DE: **ჩემ** მიერ—სამივე უკანასკნელ მაგალითში).

როგორც ვხედავთ, პარალელურ ტექსტებში **გამო**-ს ცვლის თანდებულები: **გან, მიერ**, ე. ი. მოქმედების ჩამდენისა და მიზეზის გამომხატველი თანდებულები.

გ ა მ ო თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ თ ა ნ

დაჯდა და ასწავებდა **ნავით** გამო, ლ. 5, 3 (=ნავიდან); ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი **მაღლით** გამო, ლ. 24, 49; ქმაჲ იყო ღრუბლით გამო და თქუა, მ. 17, 5; მრ. 9, 7; ლ. 9, 35; ეჩუენა მას ანგელოზი... **მაყუალთანით** გამო, გამოსლვ. 3, 2; მე აღვადგინო ძჳრი შენ ზედა შინაგან **სახლით** შენით გამო, 2 მეფ. 12, 11; და ისმინა ჩემი **მუცლით** გამო, იონა 2, 3; ეტყოდა მას უფალი **კარვით** გამო საწამებელისაჲთ, ლევიტ. 1, 1; **ცით** გამო, მოც. 9, 3 და სხვა.

დღევანდელ ქართულზე ეს მაგალითები უნდა გადმოვიტანოთ ისევ მოქმედებითით, ოღონდ მას უნდა დაერთოს არა **გამო** თანდებული, არამედ **გან**. ამ დართვისას ფონეტიკურ ცვლილებებს აქვს ადგილი როგორც ბრუნვის ნიშანში, ისე თვით თანდებულში: ით + გან → იდგან → იდან: კ ა რ ვ ი დ ა ნ (← კარვითგან), ციდან, მუცლიდან[1].

D. მოქმედებითისა და ვითარებითის თანდებულები

თანდებული **კერძო** ითხოვს მოქმედებითსა და ვითარებითს. როცა ის ვითარებითს ერთვის, მას მხოლოდ ერთი ფუნქცია აქვს — უჩვენოს მიმართულება გარკვეული პუნქტისაკენ. ასეთ შემთხვევაში ვითარებითი მიმართულებითი ბრუნვის შინაარსს გამოხატავს: ზღუად კერძო=ზღვისაკენ, ზღვის მიმართულებით. დღევანდელ ენაში იგი გადმოიცემა **კენ** დართული ნათესაობითით: ზღვისაკენ, მთისაკენ და სხვა. აღსანიშნავია, რომ თუმცა ახალ სალიტერატურო ქართულში „მთად კერძო“-ს შინაარსის გადმოსაცემად ბრუნვა

[1] ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი **გამო** თანდებულის შესახებ წერს: „**გამო** თანდებული ძველ ქართულში იხმარებოდა მოქმედებითსა, ნათესაობითსა და ვითარებით ბრუნვებთანო“ (თანდებული ქართულში: იბერ.-კავკ. I, 1946, გვ. 206). მაგრამ **გამო** ვითარებითთან არსად არ არის დადასტურებული. აღსანიშნავია, რომ ქვევით, **გამო** თანდებულზე კონკრეტულად მსჯელობისას ავტორი ვითარებითს არსად არ ასახელებს (გვ. 237 — 238).

შეცვლილია (გვქონდა ვითარებითი, ახლა ვიყენებთ ნათესაობითს), მაგრამ თანდებული კი იგივე დარჩა: ახალი **კენ** თანდებული იგივეა, რაც ძველი **კერძო**, ოღონდ ფონეტიკურად გამარტივებული: კერძო → კერძ → კერ → კენ [1].

როცა **კერძო** თანდებული მოქმედებითს ერთვის, მას ორი მნიშვნელობა აქვს:

ა) იგი უჩვენებს მიმართულების საწყის პუნქტს, საიდანაც იწყება მოქმედება, და მოგვიგებს კითხვაზე: **საიდან?** ასეთ შემთხვევაში ამ ბრუნვას გამოსვლითი (დაწყებითი) ბრუნვის შინაარსი აქვს: ზურგით კერძო=ზურგიდან.

ბ) იგი უჩვენებს მიმართულებას გარკვეული პუნქტისაკენ. მოგვიგებს კითხვებზე: **საით? სად?** ამ შემთხვევაში მას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც **კერძო** თანდებულიან ვითარებითს: აღმოსავალით კერძო=აღმოსავალად კერძო (=აღმოსავლეთისაკენ, აღმოსავლეთის მიმართულებით, აღმოსავლეთში). ნაშასადამე, **კერძო** თანდებულიანი მოქმედებითიც ზოგჯერ მიმართულებითი ბრუნვის შინაარსს შეიცავს.

ორივე ამ სახის ფორმებზე ზემოთ, მოქმედებითი ბრუნვის **ით** ნიშანთან დაკავშირებით, დაწვრილებით იყო საუბარი (გვ. 213; 228 — 233) და აქ აღარ გავიმეორებთ. ქვემოთ მოვიყვანთ მხოლოდ მცირე ნიმუშებს.

ა) კერძო თანდებული მოქმედებითთან

a) კერძო თანდებულიანი მოქმედებითი გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელობით

მოუჯდა იგი **ზურგით** კერძო, მ. 9, 20; იყო ქარი იგი **პირით** კერძო, მ. 14, 24; რომელი არა შევალს **კარით** ეზოსა ცხოვართასა. არამედ **სხჳთ** კერძო შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი, ი. 10, 1 (=სხვა მხრიდან); მოვიდოდეს მისა **ყოველით** კერძო. მრ. 1, 45 (=ყოველი მხრიდან).

b) კერძო თანდებულიანი მოქმედებითი მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობით

და მიჰმართა **ჩრდილოჲთ** კერძო, ლიტ. ქრესტ. 161, 16 (=გაემართა ჩრდილოეთისაკენ, ან ჩრდილოეთში); მოჰკუეთეს თაჳი მისი და წარიღეს გზასა მას **დასავალით** კერძო ღამე ყოველ, 2 მეფ. 4, 7; კაცი ერთი მწრაფლ მორბის **საწყობელით** კერძო, იქვე, 18, 25 (=რაზმისაკენ); ივლტოდა იგი **მთით** კერძო, ამონ. 215, 17 (=მთისკენ, მთაზე); წარმოივლტოდა **ჩრდილოჲთ** კერძო, ქუეყანად ტაჳოჲსა, ლიტ. ურთ. 179, 31; რომლისა კარნი ჰმართებდეს **ქალაქით** კერძო, თეკლ. 105, 26 (=ქალაქისაკენ იყო მიმართული); წარვემართენით **აღმოსავალით** კერძო, ზარზმ. 160. 15 (=აღმოსავლეთისაკენ); **ევფრატით** კერძო მივალ მე ბრძოლად, 2 ეზრა 1, 27 და სხვა.

---

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 622; ა. მართიროსოვი, თანდებული ქართულში: იბერ.-კავკ. I, 1946, გვ. 226.

ბ) კერძო თანდებული ვითარებითთან

იელტოდედ **მთად** კერძო, ლ. 21, 21 C; წარვედ ამიერ **აღმოსავალად** კერძო, 3 მეფ. 17, 8; ხოლო იესუ მრწაფითურთ თჳსით წარვიდა **ზღუად** კერძო, მრ. 3, 7 C; რომელი ჰხედვიდა **ჩრდილოდ** კერძო ეზოსა მას შინაგანსა, ეზეკ. 40, 20; წარვიდეს **დასავალად** კერძო ღამე ყოველ, 2 მეფ. 2. 29; წარემართა **ხანძთად** კერძო, ხანძთ. 149, 5 და სხვა.

ამრიგად, ნათელია, რომ **კერძო** თანდებული ორ ბრუნვას ითხოვს: ვითარებითსა და მოქმედებითს (ამ უკანასკნელს აღნიშნულ შემთხვევაში ორი მნიშვნელობა აქვს: გამოსვლითი და მიმართულებითი).

იშვიათად კერძო თანდებულს ნათესაობითთანაც ვნახავთ, მაგალითად: ვითარცა წარემართა წმიდაჲ იოვანე **მის** კერძო, მიჰხედნა ჰაბუკმან მან, მამ. სწავ. 443; რომელნი **მის** კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ, შუშ. 149, 19. შევნიშნავთ აქვე, რომ ამნაირი მაგალითები ძალზე მცირეა.

ამრიგად, ირკვევა, რომ **კერძო** სამ ბრუნვას ითხოვს: ნათესაობითს, მოქმედებითსა და ვითარებითს.

Ე. წრფელობითისა და ნათესაობითის თანდებული

თანდებული **ებრ** მსგავსებას გამოხატავს, ის მნიშვნელობით იქნება „ვით", „როგორც": ცეცხლებრ=ცეცხლივით, როგორც ცეცხლი. ელვებრ=ელვასავით, როგორც ელვა და სხვა[1].

თანდებული **ებრ** ორ ბრუნვას ერთვის: ერთი მათგანია **წრფელობითი** (სახელთა სუფთა ფუძე) და მეორე — **ნათესაობითი**. პირველის მაგალითი იქნება მჭეცებრ (სას. პოეზ. 184, 104), მეორისა — წესისაებრ (ლიტ. ურთ. 71, 11; 115, 28).

რა შემთხვევაში ითხოვს **ებრ** ერთ ფორმას, რა შემთხვევაში — მეორეს, ამას არა აქვს ზუსტი წესი. ფუძეთა მიხედვით ბრუნვების მოთხოვნა არაა შეპირობებული: თანხმოვანფუძიან სახელებში წრფელობითსაც ითხოვს და ნათესაობითსაც, როგორც ამას ზემოთ მოყვანილი მაგალითები ადასტურებენ (ცეცხლებრ, წესისაებრ); უფრო ხეტიც: თვით ერთი და იგივე თანხმოვანფუძიანი სახელი ერთ შემთხვევაში რომ წრფელობითს ერთვის (მოციქულებრ, სას. პოეზ. 95, 140), მეორეში ნათესაობითს ითხოვს (მოციქულისაებრ, ზარზმ. 175, 3). ასეთივე ხასიათისაა ხმოვანფუძიანი სახელებიც, რომლებიც ხან ერთ ბრუნვასთან გვხვდება, ხან მეორესთან, მაგალითად:

ყრმებრ (შუშ. 157, 25), **ელვებრ** (კიმ. I. 339, 8); **სხუებრცა** (თარგმ. გამოცხ. **სხუაჲ**, 1); **მზეებრ** (სას. პოეზ. 183, 69); **წყაროებრ** (ხანძთ. 137, 6), მაგრამ:

---

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 622; ა. მართიროსოვი, თანდებული კართულში: იბერ.-კავკ. ტ. I, 1946, გვ. 227.

სიგრცისაებრ (გამოსლვ. 38, 4); **სიმდიდრისაებრ** (ეფეს. 1, 7; 3, 16); **სიმართლისაებრ** (დაბ. 21, 23); **გზისაებრ** (ეზეკ. 18, 29 ლაგ.); **ჴმისაებრ** (ესაია 30, 19).

ბრუნვათა არჩევა არც იმაზე უნდა იყოს დამოკიდებული, თუ როგორია სახელის შინაარსი, ვთქვათ, ადამიანს აღნიშნავს იგი, თუ ნივთს, რადგან აქაც არეულია მოთხოვნის წესი: ერთი მხრით, გვაქვს: **მოციქულებრ, ურმებრ, წინაჲსწარმეტყუელებრ** (ხანძთ. 140, 42), ე. ი. ადამიანთა კლასის სახელები, და, მეორე მხრით: **ჳირებრ** (იერ. 22, 19), **საწნეხლებრ** (გოდ. იერ. 1, 15), **პირუტყუებრ** (შატბ. 263 a), **ზღაპრებრ** (უდაბნ. 31 vb), **მძორებრ** (სვან. 467 b), ე. ი. ნივთის კლასის სახელები. ასევე არეულად არის წარმოდგენილი სახელები ნათესაობითს ბრუნვაშიც, მაგალითად, ერთი მხრივ:

მოციქულისაებრ (ზარზმ. 175, 3), **ღმრთისაებრ** (1 მეფ. 2, 2), **მთავრისა მისებრ** (ეფეს. 2, 2), **ენუქისებრ** (ზირაქ 49, 16), **იოსებისებრ** (ზირაქ 49, 17) და სხვა. მაგრამ, მეორე მხრივ:

მოძღურებისაებრ (მრ. 7, 5), **ბრძანებისაებრ** (დაბ. 45, 21), **კურთხევისაებრ** (დაბ. 49, 28), **ნებისაებრ** (ებრ. 2, 4), **საზომისაებრ** ნიჭისა (ეფეს. 4, 7) და სხვა.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ზოგიერთი კანონზომიერება მაინც დავადგინოთ. სახელდობრ:

1. როცა **ებრ** თანდებული ადამიანთა საკუთარ სახელს ერთვის, ეს უკანასკნელი უეჭველად ნათესაობითს ბრუნვაში დგას და არასდროს — წრფელობითში, მაგალითად: ენუქისებრ, იოსებისებრ (ნ. ზემოთ), იობისებრ (ჭილეტრ. 101, 8; მამ. სწავ. 238), იოვანჱსებრ (მრავ. 305, 11; კიმ. II, 70, 10), იონაჲსებრ (სას. პოეზ. 231, 93), იუდაჲსებრ (იპოლ. 2, 137), სამოელისებრ (სას. პოეზ. 92, 53) და სხვა. შეიძლება ამ მაგალითებში შემონახული იყოს უძველესი მდგომარეობის ნაშთები, როცა ნათესაობითი მხოლოდ ადამიანთა სახელებისათვის იყო განკუთვნილი, და არევდარევა და წესის დარღვევა შემდეგ მოხდა, როცა სათანადო კატეგორია მოიშალა.

2. ნათესაობითია წარმოდგენილი მაშინაც, როცა **ებრ** თანდებულიან სახელს ახლავს ნაწევარი ან სხვა რაიმე განსაზღვრება. ვნახოთ ეს მაგალითებზე.

სახელს ახლავს ნაწევარი

ასეთ შემთხვევაში თანდებული, როგორც წესი, ერთვის ნაწევარს, იშვიათად სახელს, მაგალითად:

შჯულისა მისებრ, ძალისა მისებრ, ებრ. 7, 16; მთავრისა მისებრ, ეფეს. 2, 2; ნიჭისა მისებრ, იქვე, 3, 7; პირველისა მისებრ სლვისა, იქვე, 4, 22; სიტყჳსა მისებრ, დაბ. 44, 6; სიტყჳსა მაგისებრ, დაბ. 44, 7 (მაგრამ: სიტყჳსაებრ მაგის, დაბ. 44, 17) და სხვა.

ნაწევრიან სახელს **ებრ** თანდებული რომ ნათესაობითში ითბოვს, ეს გასაგებიცაა: როგორც ცნობილია, წრფელობითს ბრუნვაში არა გეაქვს ნაწევარი და ამიტომ იგი ამ შემთხვევაში გამორიცხულია.

სახელს ერთვის განსაზღვრება

გულისაებრ მათისა, დაბ. 50, 21; საზომისაებრ ნიჭისა, ეფეს. 4, 7; სახელისაებრ წოდებულისა, სას. პოეზ. 121, 29; გონებისაებრ ქალწულებისა თჳსისა, დაბ. 34, 3; პირველისაებრ მთავრობისა შენისა, დაბ. 40. 13; სიწართლისაებრ ჩემისა, დაბ. 21, 23; წესისაებრ სპარსთაჲსა, ლიტ. ურთ. 115, 28; რიცხჳსაებრ დღეთა წელიწადისათა, იქვე. 54, 7; გზისაებრ თჳსისა გსაჯნე თქუენ, ეზეკ. 18, 29; ჴმისაებრ ღაღადებისა შენისა, ესაია 30, 19; სიმდიდრისაებრ მადლისა მისისა, ეფეს. 1, 7 და სხვა.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სადაც ნათესაობითია მოცემული, სახელს უეჭველად უნდა ახლდეს ნაწევარი ან სხვა რაიმე განსაზღვრება. გვაქვს მარტო ნათესაობითიც: წერილისაებრ, სას. პოეზ. 44, 25; ალიზისაებრ, მიქია 7, 11 ლაგ. და სხვა.

3. როცა **ებრ** თანდებული ერთვის საწყისს, ეს უკანასკნელი ყოველთვის ნათესაობითშია, მაგალითად:

ბრძანებისაებრ მეფისა, დაბ. 45, 21; კურთხევისაებრ, იქვე. 49, 28; გულის-თქუმისაებრ, ეფეს. 4, 22; თხოვისაებრ მათისა, ლ. 23, 24: ჩინებისაებრ მისისა, 2 ტიმ. 2, 26; აღთქუმისაებრ ქრისტეს უფლისა, სას. პოეზ. 136, 8; ზრახვისაებრ ნებისა მისისა, ეფეს. 1, 11; სიტყჳსაებრ მის ანგელოზისა, ლიტ. ურთ. 59, 14 და სხვა.

თითქმის ყველა აქ ჩამოთვლილ საწყისს თავისი განსაზღვრებაც ახლავს თან და ამიტომ ერთი შეხედვით შეიძლებოდა ამ მაგალითების წინა პუნქტის მაგალითებთან გაერთიანება (წესისაებრ სპარსთაჲსა, ჴმისაებრ ღაღადებისა შენისა და სხვა). მაგრამ არსებითს სახელებს სხვა შემთხვევაში შეიძლება **ებრ** ფუძეზე დაერთოს, რაც საწყისებში აბსოლუტურად გამორიცხულია.

4. როცა **ებრ** წარმოქმნის აფიქსად არის გამოყენებული, იგი ჩვეულებრივ წრფელობითს ბრუნვას ერთვის და არა ნათესაობითს. ასე ხდება მაშინაც, როცა ამ **ებრ**-ს **ივ** სუფიქსი ემატება (ებრ + ივ), მაგალითად:

მამებრი, დედებრი (და არა: მამისაებრი, დედისაებრი), სპეც. 46, 1; ძმებრივითა სიყუარულითა, მოც. 213, 2; მჴეცებრივ, ზარზმ. 153, 12; ანგელოზებრი, კიმ. II, 114, 8; ავაზაკებრი, იქვე, 185, 19; ხილვითა ცეცხლებრითა, Оπис. 92, 4 ქვ.; ასურებრისა ჴმისა თარგმანებასა, Оπис. 121, 20 ქვ.; ებრაელებრსა, ლიტ. ურთ. 149, 6; ჯორციელებრი, იქვე, 162, 4; ენითა სომეხებრითა, იქვე, 178, 22; წინაჲსწარმეტყუელებრთა მათ მსახურებათა, იქვე, 170, 15; სხუაებრსა ხილვასა, პარხ. 619 b და სხვა.

ებრ შეიძლება სახელს დაერთოს მრავლობითშიც. აქ ყოველთვის გვაქვს ნათესაობითი და არასოდეს წრფელობითი. ეს ნათესაობითი ჩვეულებრივ თანიანია, იშვიათად ებიანიც შეიძლება იყოს. მაგალითები:

გზათაებრ მისთა და სლვათაებრ მისთა მიაგოს მათ, ოსე 12, 2; ბოროტთაებრ ჩუენთა, მამ. სწავ. 24; წინაწარმეტყუელთაებრ, მოც. 13, 27; საქმეთა მათთაებრ, მ. 16, 27; ყრმათა მათებრ, სას. პოეზ. 299, 276; თქუენ ჯორცთაებრ მჯით, ი. 8, 15; მწვალებელთაებრ, ხანძთ. 145, 44; სიტყუათაებრ, იქვე. 102, 39; საცხოვართაებრ, ი. ჯავ. აღწ. 160, 14 და სხვა.

როგორც თავში ვთქვით, **ებრ მსგავსებას** აღნიშნავს. მაგრამ ზოგჯერ მნიშვნელობის გასაძლიერებლად **ებრ** დართულ ფორმას კიდევ მიუძღვის წინ ასეთივე მნიშვნელობის მქონე „მსგავსად". „მსგავსად — ებრ" თითქოს ტავტოლოგიაა, მაგრამ ამნაირი წყვილ-წყვილი პარალელები არც თუ იშვიათად გვხვდება ძველ ტექსტებში. აი რამდენიმე მაგალითი:

მსგავსად გზათა წარმართთაებრ ნუ ისწავებთ, იერ. 10, 2; არავინ დაებადა ქუეყანასა ზედა **მსგავსად** ენუქისებრ, ზირაქ 49, 16; **მსგავსად** საქმეთა შენთაებრ. მამ. სწავ. 23; 69; **მსგავსად** თჳსისაებრ ჩუენებისა ვიხილეთ, დაბ. 41. 11; **მსგავსად** ასოთა მათებრ იქმნების, ლიტ. ურთ. 162, 5 და სხვა.

რადგანაც თანდებული **ებრ** ხმოვნით იწყება, წრფელობითს ბრუნვაზე დართვისას იგი იწვევს სათანადო სახელების კუმშვასა და კვეცას, მაგალითად:

იკუმშება:

საწნეხლებრ, ზღაპრებრ და სხვა.

იკვეცება:

ყრმებრ, ელვებრ, სხუებრცა (მაგრამ: სხუაებრსა, პარხ. 619 b), ძმებრივითა და სხვა.

ებრ თანდებულის დართვისას არ იკვეცება **ჰურია:** მეტყოდე მონათა შენთა ასურებრ და ნუ მეტყჳ **ჰურიაებრ**, 4 მეფ. 18, 26. სხვა შემთხვევაში ეს სახელი, როგორც ვნახეთ (გვ. 87), იკვეცება.

არ იკვეცება აგრეთვე **მზე** და გვაქვს **მზეებრ** და არა **მზებრ**. მაგრამ აქ ჩვეულებრივი წესია დაცული: **მზე** და ე-ზე ფუძეგათავებული სახელები ჩვეულებრივ არ იკვეცება ებიან მრავლობითში: დღეები, ძეები, სახეები და სხვა. აქაც იგივე ფონეტიკური პირობა გვაქვს: ე-ს ერთვის ე: მზე-ებრ (შდრ. ძე-ე-ბ-ი)[1].

3. თანდებულები, რომლებიც ერთ ბრუნვას ითხოვენ

იმ თანდებულთაგან, რომლებიც მხოლოდ თითო ბრუნვას ითხოვენ, სხვადასხვა თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იქცევს **თჳნიერ, ურთ, გარე**. შევეხებით მათ მოკლედ.

თ ჳ ნ ი ე რ

ეს თანდებული ახალ ქართულში აღარ იხმარება, ძველ ქართულში კი ფართოდ იყო გამოყენებული. იგი ერთოდა ნათესაობითს ბრუნვას და მნიშ-

[1] ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 89—101.

ჳნელობით გამოხატავდა ამათ: „გარდა", „გარეშე", „უ—ოდ" (თჳნიერ სიტყჳსა = უსიტყჳოდ). მაგალითები:

თჳნიერ მამისა თქუენისა, მ. 10, 29; თჳნიერ იგავისა, მ. 13, 34 (= იგავის გარეშე, უიგავოდ); თჳნიერ ყრმებისა და დედებისა, მ. 14, 21 (= ბავშვებისა და ქალების გარდა); თჳნიერ საფუძველისა, ლ. 6, 49; თჳნიერ ერისა, ლ. 22, 6; თჳნიერ სარწმუნოებისა, ებრ. 11, 6 ლაგ.; თჳნიერ რომლისამე ბრალისა, უდაბნ. 39 va და სხვა.

როდესაც **თჳნიერ** პირის ნაცვალსახელს ახლავს, ამ უკანასკნელის ნათესაობითის ფუძეს **სა** ერთვის, მაგალითად: **თჳნიერ ჩემსა**, ი. 15, 5; **თჳნიერ შენსა**, სვან. 372 b.

როდესაც თანდებული **თჳნიერ** ერთვის მრავლობითში დასმულ სახელს, ამ უკანასკნელს ორმაგი ბრუნვის ფორმა აქვს: უმეტეს შემთხვევაში ნათესაობით-მიცემითისა, უფრო ნაკლებად — ორმაგი ნათესაობითისა (ნათესაობით-ნათესაობითისა). მაგალითები:

სარწმუნოებაჲ **თჳნიერ საქმეთაჲსა** მკუდარ არს, პარხ. 1093 a; აწ უკუე **თჳნიერ სატანჯველთასა** არა უგებაა, პარხ. 1003 b; ჰამიან იგი და სჳან დედათა **თჳნიერ ყრმათასა**, პარხ. 250 b; **თჳნიერ მათ ორთასა** ვერ ეგების სრულებაჲ, სვან. 383 a; **თჳნიერ** ხოლო სიტყჳსა და **წინაწარმეტყუელთასა**, უდაბნ. 79 vb.

და კედელსა **თჳნიერ ბერთაჲსა** არავინ მიეყრდნებოდა, ხანძთ. 112, 38; და ვიხილე მუნ თივაჲ აღმოცენებული **თჳნიერ ძირთაჲსა**, პარხ. 756 b.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ტიპის მაგალითები ძველ ქართულში უფრო ნაკლებ გვხვდება, ვიდრე პირველისა (**თჳნიერ საქმეთასა**), უნდა დავასკვნათ, რომ პირველადი და ამოსავალი მაინც ორმაგი ნათესაობითია (**თჳნიერ ბერთაჲსა**). ამ თანდებულთან ნათესაობით-მიცემითი ბრუნვის გამოყენება მრავლობითს რიცხვში მეორეული მოვლენაა.

როგორია ამ თანდებულის ადგილი? შემთხვევათა დიდ ნაწილში ის მიერთვის სახელს წინ (**თჳნიერ სიტყჳსა**), მაგრამ გვხვდება სახელის შემდეგაც. მაგალითები:

მოიჴსენე, რამეთუ მათ ძლით იშევ შენ და **მათსა თჳნიერმცა** ვერ იყავ, ზირაქ 7, 30; რომელი შენ განგივლიეს და **რომლისა თჳნიერ** ვერ უძლო ყოფად და ვერცა მომიგო მე მისთჳს, 1 ეზრა 4, 9; და ღათუ ვინმე იყოს სრულ ძეთა შორის კაცთაჲსა **სიბრძნისა შენისა თჳნიერ**, არა შერაცხილ არს, სიბრძ. 9, 6; და **მათ თჳნიერ** ვერ იშჳნის ქალაქი, ზირაქ 38, 38; **მეფისა თჳნიერ**, პარხ. 1227 [2].

იშვიათად **თჳნიერ** გვხვდება ვითარებითის ფორმითაც: **თჳნიერად** სიტყჳსა სიძვისა, მ. 5, 32; **თჳნიერად** სიძვისა, მ. 19, 9; **თჳნიერად** იგავისა, მრ. 4, 34 D.

---

[1] შდრ. ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, თანდებული ქართულში: იბერ.-კავკ. I, 1946, გვ. 239.

მაგრამ სიტყვა თჳნიერ ხანდახან კავშირის როლში გამოდის და ამა თუ იმ ბრუნვის მართვაზე მაშინ შეუძლებელია ლაპარაკი. ეს გარემოება არ ჰქონდა გათვალისწინებული ნ. მარს, რომელმაც კავშირი თჳნიერ (=თუ არ) თანდებულად გაიგო და ტექსტში მასთან წარმოდგენილი სახელობითის ფორმა ნათესაობითად გადააკეთა და წინადადების ფორმა და აზრი დაამახინჯა. ეს გარემოება სწორად ჰქონდა შენიშნული და სწორედ ამის გამო სამართლიანად უსაყვედურებდა ნ. მარს ი. ყიფშიძე: «После предлога თჳნიერ есть случай постановки им. падежа вм. род. არა არს სხუად შჯული თჳნიერ შჯული ქრისტეანეთად, 86, 19. Такой случай проф. Н. Марр, Житие св. Григория Хандзтийского, стр. LIII, считает описной и рукописное чтение: გლახაკთა არად აქუს თჳნიერ ღმრთისა სახიერისა მოწყალებად исправляет: გლახაკთა... თჳნიერ... მოწყალებისად. Едва ли есть надобность в таком исправлении»[1].

თჳნიერ კავშირია და არა თანდებული შემდეგს მაგალითებში: ოლო ცოდვილი და ბოროტის-მოქმედი არაჲს ეწყალინ თჳნიერ (=თუ არ) დიდად მოწყალესა ვისმე, მამ. სწავ. 14. აქ შემდგომი სახელის ბრუნვა მთლიანად ზმნაზეა დამოკიდებული: ეწყალის... მოწყალესა მას. ასეთია კიდევ: რამეთუ გიჩუენო თქუენ გზად ცხორებისად, რომლისა თჳნიერ არა არს ცხორებად, თჳნიერ მსაჯურებითა ღმერთთა ჩუენთა უკუდავთადთა, პარხ. 1073 გ. აქ მოყვანილ მაგალითში ორჯერ გვხვდება თჳნიერ: ამათგან პირველად იგი თანდებულია და, როგორც წესი, ნათესაობითს მართავს: რომლისა თჳნიერ; მეორედ იგი კავშირია და „თუ არ“-ს ნიშნავს: არ არის ხსნა, თუ არ მსაჯურებითა. მასთან სახელის ყველა ბრუნვა შეიძლება იყოს, როგორც ამას აზრი მოითხოვს. ერთი მაგალითი კიდევ: რამეთუ არა შეიძიდეს კაცი სასუფეველსა ღმრთისასა, ვითარცა-იგი ღმრთისა ჴმად იტყჳს, თჳნიერ წულითა და ხულითა, პარხ. 207 ბ.

უ რ თ

ურთ ძველ ქართულში ძალიან გავრცელებული თანდებული იყო. იგი დაერთოდა მოქმედებითს (ემფატიკური ა-ს გარეშე) და აღნიშნავდა თანაობას, ერთად ყოფნას, ერთადობას[2]: შეილითურთ=შეილთან ერთად, შეილიანად, ცოლითურთ=ცოლთან ერთად, ცოლიანად და სხვა. მაგალითები:

დავით გუნდითურთ მოვიდოდა ანქუშის თანა, 1 მეფ. 29, 2; ჰამეს ჴორცი ხისხლითურთ, იქვე, 14, 33; ესე ვითარ ესმა იოსებს, ქალწულითურთ დაემკჳდრა ბეთლემს, სვან. 36 გ; გამოჩნდა ჴელი კაცისად თითითურთ, დანიელ 5, 5; იხილეს ლეღჳ იგი განჴმელი ძირითურთ, მრ. 11,

[1] Христ. Восток, т. II, вып. I, стр. 79.

[2] ა. შანიძე, ბრამატ. საფუძვ. გვ. 622; ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იბერ.-კავკ. I, 1946, გვ.232 — 233.

20 C; ხO იგი ...რტოჲთურთ და ფურცლით შემოაჭუნდა ქალაქად. მოქც (ისტ. ქრესტ. 279, 7) და სხვა.

ურთ თანდებული ძალიან ხშირად გვხვდება ებიანი მრავლობითის ფორმასთან. როგორც ვნახეთ (გვ. 290 — 291), ეს ფენომენი იმითაა გამოწვეული, რომ თანიან მრავლობითს ჩვეულებრივ არა აქვს მოქმედებითი ბრუნვა და ამ დანაკლისს ებიანი ფორმების სესხებით ინაზღაურებს. ამის მაგალითებია:

და ყოველი, რაჲცა გენებოს **ძმებითურთ** შენით, იგი ყავ, 2 ეზრა 8, 16; და შთაჴდენ იგინი ვითარცა კრაველი კლვად და ვითარცა ვერძნი თოჯნებითურთ, იერ. 51, 40; და ვითარ შეითქუნეს ჰურიანი იგი და წარმართნი **მთავრებით მათითურთ**, მოც. 14, 5; და ვითარცა შევიდეს განსაკითხავსა მას **ათასის-თავებითურთ** და კაცები იგი, მოც. 25, 23; პავლე წარიყვანა თეკლა **კაცებითურთ**, თეკლ. 108, 1 და სხვა.

ურთ ხშირად იხმარება სახელის მხოლობითი რიცხვის ფორმასთან, მაგრამ ამ სახელს მრავლობითის შინაარსი აქვს. ესეც იმავე მიზეზით ხდება: თანიან მრავლობითს ჩვეულებრივ არ შეუძლია მოქმედებითი (და ვითარებითი) გამოხატოს, ენა ებიანი ფორმების ხმარებასაც ერიდება. ასეთ შემთხვევაში რჩება ერთი საშუალება: ისევ მხოლობითი რიცხვის **ფორმა** იქნეს აღებული, ოღონდ მასში მრავლობითის შინაარსი იგულისხმებოდეს, რაც იქვე კონტექსტით გამოჩნდება. ამ საკითხებზედაც იყო უკვე ზემოთ საუბარი (გვ. 287 — 289) და აქ აღარ გავიმეორებთ. დამატებით მოვიყვანთ მცირე საილუსტრაციო მასალას:

და კაცი იგი იქმნა განცოცხლებულ **ძითურთ** და ყოვლით სახლით მისით, კიმ. I, 240, 28 (ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ამ კაცს ჰყავდა **ძენი**, ასხურა **ძეთა** თჳსთა და სხვა); მოვიდა კაცი იგი **კარაულითურთ**, იქვე, 301, 17 (ზემოთ ნათქვამია, რომ ამ კაცს ჰყავდაო „ორნი კარაულნი"); და წარვიდა დავით **კაცითურთ, რომელნი** იყვნეს მის თანა, სიკელად, 1 მეფ. 23, 5 (**კაცითურთ—რომელნი**... მრავლობითია. შდრ. რუს. თარგმ.: С ЛЮДЬМИ СВОИМИ) და სხვა.

ძალიან იშვიათად **ურთ** შეიძლება დაერთოს თანიანი მრავლობითის ფორმასაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მრავლობითობის **თა** სუფიქსს მოჰყვება ხოლმე მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი **ჲთ. თა** აქ გაგებულია მხოლოდ მრავლობითობის ნიშნად, როგორც იგი (ყოველ შემთხვევაში თ) მართლაც უნდა ყოფილიყო პირველიდანვე. ამის ნიმუშები ზემოთ იყო ნაჩვენები (გვ. 272 — 276) და აქაც მოვიყვანთ:

ხოლო იგინი ღაღადებდეს წინაშე ღმრთისა და წამებდეს თავთა თჳსთა ქრისტეანედ ყოველთა **წარჩინებულთაჲთურთ**, პარხ. 1221; ხოლო ახოვანმან მან და მაგრიად-მოისარმან ვარდან არა მცირედი ბრძოლა-ყო **მისთანა-თაჲთურთ** ზედა წმიდათა ეკლესიათა ძალითა ქრისტჱსითა, ლიტ. ურთ. 86, 11.

ხოლო ისეთი ფორმები, როგორიცაა: კრებულთა **მისთაჲთურთ** (ლიტ. ურთ. 108, 5), **მოყუასთა მისთაჲთურთ** (იქვე, 112, 7) და სხვა, შედარებით

ხშირია. ასეთი ფორმები განსაკუთრებით მეტად სომხურიდან ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება.

როგორც ცნობილია (და ქვევით დაწვრილებით იქნება ნაჩვენები), ადამიანთა სახელები მოქმედებითში იშვიათად მოიპოვება. ის მცირეოდენი მაგალითები, სადაც ადამიანთა სახელები მოქმედებითში გვხვდება, უმთავრესად **ურთ** თანდებულიანია. ცხადია, რომ ეს თანდებული ადამიანთა სახელების დასმას მოქმედებითში აადვილებს და სხვა შემთხვევებში თითქმის შეუძლებელს შესაძლებლად ხდის. აი ამის ორიოდე ნიმუში:

და მოვიდეს სახედ სიმონისა და ანდრიაჲსა **იაკობითურთ** და **იოჰანეთურთ**, მრ. 1, 29 C; და ეჩუენა მას ელია **მოსჱთურთ**, დგეს და ეტყოდეს იესუს, მრ. 9, 4 C; რაჲთა მოიყვანნენ ყოველნი იგი პყრობილნი ელიანოსითურთ წინაშე მისსა, კიმ. II, 33, 18 და სხვა.

დასასრულ, აღვნიშნავ, რომ თვით ძველი ქართულის ძეგლებშიც არის შემთხვევები, როცა მოქმედებითი ბრუნვის **ით** სუფიქსის ბოლოკიდური თ-ს გავლენით თანდებულად „თურთ“-ს თვლიან და, აქედან. სახელისა და თანდებულის საზღვარზე ორ თანს წერენ, მაგალითად:

ვცოდეთ, უფალო, მამით **ჩუენითთურთ** და ურჩულო ვიქმნენით, ჰილ-ეტრ. 91 v; დედაჲ შენი მგლოვარეჲ დგა თანა **მოწაფითთურთ** (მწფთ᷄თრთ), იქვე, 169; **ეტლებითთურთ**, იქვე, 272 და სხვა.

ეს მოვლენა „იერუსალიმის წარტყუენაში“ შემჩნეული ჰქონდა ნ. მარს, რომელიც ამის შესახებ წერდა: „В твор. падеже послелог **урт** в I получает против всякого основания вид **турт**, так: სოფლებით-თურთ, ყოველით-თურთ, ერითთურთ, ქალითთურთ, წმიდითთურთ“ [1].

ჰილ-ეტრატის იადგარში სათანადო მაგალითები დადასტურებული აქვთ ამ ძეგლის შემსწავლელთ და გამოსაცემად დამამზადებელთ ა. ყიშიაშვილსა[2] და ა. მარტიროსოვს[3]. ამ უკანასკნელს სხვა შრომაში განხილული აქვს აგრეთვე სხვადასხვა გრამატიკოსთა აზრი და მოპყრობა ამ თანდებულისადმი[4].

ურთ თანდებული ახალ ქართულში თითქმის სრულ გადავარდნამდეა მისული, ის ძალიან იშვიათად იხმარება. **ურთ** თანდებულიან ფორმას დღეს ცელის იან სუფიქსიანი სახელი, რომელიც ვითარებითში დგას: ცოლითურთ=ცოლიანად, ძმითურთ=ძმიანად (ძმასთან ერთად), ოჯახითურთ=ოჯახიანად, ამხანაგებითურთ=ამხანაგებიანად (ამხანაგებთან ერთად) და სხვა.

---

[1] TP, IX, გვ. 72.

[2] ა. ყიშიაშვილი, ჰილ-ეტრატის იადგარის მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი, თეზისები, 1941, გვ. 2.

[3] ა. მარტიროსოვი, ჰილ-ეტრატის იადგარის ორთოგრაფიული და ფონეტიკური თავისებურებანი, საკანდ. დისერტაცია (ხელნ.), 1941, გვ. 75.

[4] ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იბერ.-კავკ. I, 1946, გვ. 233.

გარე

„გარე“ სიტყვას, როცა ის თანდებულის როლში გამოდის, აქვს ასეთი მნიშვნელობა: „შინა“, „ზედა“, „თანა“. ის მიცემითს ბრუნვას მოითხოვს ისევე, როგორც ის თანდებულები, რომლებსაც ეს „გარე“ ცვლის. რა განსხვავებაა მაინც ამ „გარე“-სა და „შინა“-ს (და „ზედა“-ს) შორის? „ზედა“ და „შინა“ ყოველგვარი საგნის სახელს ერთვის, „გარე“ კი მხოლოდ ისეთი საგნების სახელებს, რომლებიც დიდია და მთქმელისაგან შორს იმყოფება. ასეთია, მაგალითად, მთა, ველი, უდაბნო და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში თავისთავად ნაგულისხმევია, რომ მთქმელი იქვე არ არის. როცა გარე მთას ერთვის, იგულისხმება, რომ მთქმელი მთაზე არ არის, ბარშია; როცა ველზეა ლაპარაკი, იგულისხმება, რომ იგი მთქმელისაგან კარგა დიდი მანძილითაა მოშორებული, და სხვა. არ შეიძლება გარე ხეს, სახლს, თავს, გულს, თვალს და მისთ. საგნების სახელებს დაერთოს, რადგანაც ესენი იქვე იგულისხმება, სადაც მოლაპარაკეა. აი ამის ნიმუშები:

რომელი **ველსა გარე** იყოს, ნუ უკუნიქცევინ, მ. 24, 18; მრ. 13, 16; ლ. 17, 31; ორნი იყვნენ **ველსა გარე**, მ. 24, 40; იყო ძძ იგი მისი უხუცესი **ველსა გარე**, ლ. 15, 25. ყველა ამ მაგალითში რუსულ თარგმანში გვაქვს на поле, გერმ. auf dem Felde.

...რამეთუ მარადის ღამე და დღე საფლავებსა და **მთათა გარე** იქცევინ და ღაღადებნ, მრ. 5, 5 (в горах, auf den Bergen); იყო მუნ კოლტი ღორთაჲ ...**მთასა გარე** მძოვარი, მრ. 5, 11; ლ. 8, 32 C (при горе, an dem Berge); და რომელნი პოვნეს **მთასა გარე** მონაზონნი სენაკებსა შინა, მოწყჳდნეს, და რომელნი კოშკსა მას შინა იყვნეს..., ივლტოდეს, ამონ. 203, 35 (შდრ.: **მთასა გარე**, მაგრამ: **კოშკსა შინა**!); გალობასა, რომელ **მთათა გარე** და ჭუაბთა შინა იტყჳედ, სვან. 484 b (შდრ. აქაც: **მთათა გარე**, მაგრამ: **ჭუაბთა შინა**!); იოვანე მკალსა ჰამდა **უდაბნოსა გარე**, უდაბნ. 39 va; სვან. 484 b; იყო ნეტარი ესე ეფრემ **უდაბნოს გარე**, სვან. 297 b; რამეთუ ქმარი მისი მომკუდარ იყო **ბანაკსა გარე**, პარხ. 701 b (=ბანაკში); რომელი არს **სამწყსოსა გარე**, 1 პეტ. 16, 19=სამწყსოში, ე. ი. ჯოგში, ფარაში. თბილისურ გამოცემაში **გარე**-ს ცვლის **თანა**: სამწყსოსა შენისა თანა, რუსულ თარგმანში იკითხება: при стаде.

4. რამდენიმე თანდებულიანი სახელი ერთად

როცა ერთადაა წარმოდგენილი რამდენიმე სახელი (2, 3, 4, 5...), რომელთაც ერთი და იგივე თანდებული უნდა დაერთოს, თანდებული ამ სახელებს სხვადასხვანაირად ერთვის. აქ მნიშვნელობა აქვს იმ ვარემოებას, თუ რომელი თანდებული გვაქვს მხედველობაში, ერთი მხრით, და რამდენია სახელი, მეორე მხრით. სხვადასხვა თანდებულს სხვადასხვა დამახასიათებელი თვისება აქვს, მაგრამ ყველა მათგანს აქვს საერთო თვისება, ყველასათვის დამახასიათებელი. აქ ასეთ თვისებებზე იქნება ლაპარაკი.

როდესაც ერთი და იგივე თანდებული უნდა დაერთოს ორ სახელს, შესაძლებელია 3 შემთხვევა:

ა) თანდებული ერთვის მხოლოდ პირველ სახელს,

ბ) თანდებული ერთვის მხოლოდ მეორე სახელს,

გ) თანდებული ერთვის ორივე სახელს.

ამ 3 შემთხვევიდან ყველაზე ხშირი და დამახასიათებელი ძველი ქართულისათვის არის პირველი. ვნახოთ მაგალითები.

პირველი შემთხვევა

პატიოსნებისათჳს მისისა და სიწმიდისა, თარგმ. გამოცხ. 1, 13; აღვაშენე ზემოჲ ეკლესიაჲ თავისა **ჩემისათჳს** ქვითა და ერისა სიმრავლისა(თჳს), მოქც. 45, 14. თანდებული **თჳს** მეორე სახელს გამომცემლის მიერ აქვს დამატებული, ტექსტში ის არ არის და არც უნდა.

...**სიხარულისა მისგან** და საკჳრველებისა, ლ. 24, 41; **სნეულებისაგან** მათისა და სალმობათა, ლ. 7, 21; **სულთაგან** უკეთურთა და უძლურებათა, ლ. 8, 2; **წყლისაგან** და სულისა. ი. 3, 5; **დღისა მიხთჳს** და ჟამისა, მ. 24, 36; **უმადლოთათჳსცა** და უკეთურთა, ლ. 6, 35; ...არამედ ესე ხოლო კმაიყავნ ნინოჲს **მოწაფეთათჳს** და ქრისტჱს მორწმუნეთა, მოქც. 10, 8; რამეთუ მზჱ მისი აღმოავლინის **ბოროტთა** ზედა და კეთილთა და წჳმაჲ მისი—**მართალთა** ზედა და ცოდვილთა, მ. 5, 45; განვედ ადრე **გზათა** ზედა და ფოლოცთა, ლ. 14, 23.

მეორე შემთხვევა

განვეშორნეთ მაუცართა და **გრძნეულთაგან**, რაჲთა არა რისხვასა თანა შევეზიანეთ, მამ. სწავ. 169; მწირობდა ისაკის და **იაკობის** თანა, ებრ. 11, 9 ლაგ; ...მართაჲს და **მარიამის** ზედა, იპოლ. 24, 17.

მესამე შემთხვევა

დრტჳნვიდა ერი იგი **მოსესთჳს** და **აჰრონისთჳს**, შატბ. 265 a; დამალნეს თავნი მათნი **ქუაბთა შინა** და **კლდეთა შინა** მთათასა, გამოცხ. 6, 15; **სიშორისაგან** და **რუდუნებისაგან**, ლიტ. ურთ. 197, 8; და კუალად ვიტყოდიე, საყუარელნო, **სინანულისათჳს** და მერმისა **განკითხვისათჳს** მომავლისა, მამ. სწავ. 293; წარვედით ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს **ეშმაკისათჳს** და მსახურთა **მისთათჳს**, მამ. სწავ. 308. შდრ. ამას: ...**ეშმაკისათჳს** და მსახურთა მისთა, მ. 25, 41 DE, რომელიც პირველ შემთხვევას განეკუთვნება. C-ში არც ამ ერთ სახელს აქვს თანდებული.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა ერთი და იგივე თანდებული უნდა დაერთოს სამს ან მეტ სახელს: თანდებული უფრო ხშირად ერთს ახლავს (ჩვეულებრივ პირველს), სხვები უთანდებულოდაა წარმოდგენილი. შეიძლება, უფრო ნაკლებად, თანდებული რამდენიმეს ახლდეს, უფრო იშვიათად — ყველას. ამის კარგი ნიმუშია ოთხთავის ქვემოთ მოყვა-

ნილი ადგილის წაკითხვა სხვადასხვა ხელნაწერისა: მოვიდეს იგი და ამხილოს

ცოდვისათჳს და სიმართლისა და საშჯელისა ABDEM და სხვ.
ცოდვისათჳს და სიმართლისა და **სასჯელისათჳს** ლაგ.
ცოდვათათჳს და **სიმართლისათჳს** და **სასჯელისათჳს** C (ი. 16, 8).

როგორც ვხედავთ, ხელნაწერთა უმრავლესობა პირველ ვარიანტს უჭერს მხარს. ეს ვარიანტია სწორედ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი. სამი სახელიდან მხოლოდ ორს (პირველსა და უკანასკნელს) ახლავს იგი ლაგურკის ხელნაწერში. ყველას — ადიშისაში. ეს ორი უკანასკნელი შემთხვევა შესაძლებელია. გვხვდება კიდეც არც ისე იშვიათად, მაგრამ პირველსავით დამახასიათებელი არაა.

კიდევ მეტი სახელია მოცემული შემდეგს მაგალითში: (განვიდეთ) **ჰაბუკითურთ** და მოხუცებულით, ძით და ასულით, ცხოვრით და ზრახით ჩუენით, გაბოსლვ. 10, 9 ლაგ. აქ შინაარსით ყველას სჭირდება **ურთ**, მაგრამ ერთვის მხოლოდ ერთს (პირველს). ოშკის ხელნაწერში **ურთ** ემატება აგრეთვე მეორესაც (ძეებითურთ). მსგავსი შემთხვევები ბევრია ძველ ქართულში.

...რომელმან მეფენი განაკჳრვნის ფერისა და **სურნელებისა მისისაგან** და ბრწყინვალედ შუენიერებისა, მამ. სწავ. 258. აქ პირველ ორთაგან თანდებული ახლავს მეორეს, უკეთ რომ ვთქვათ, მსაზღვრელს, რომელიც მეორეს მოსდევს; ხოლო მესამე, თავისი ამხსნელი სიტყვითურთ, ცალკე დგას, უთანდებულოდ. სამაგიეროდ ძირითადი ტიპისაა ეს მაგალითი: და იქმნა იგი უცხო **მშობელთაგან** და ნაშობთა და ნათესავთა, **მონაგებთაგან** და მოყუარეთა და მახლობელთა, მამ. სწავ. (H) 259. ეს გრძელი რიგი ორ სამსახელიან ნაწილად იყოფა, რომელთაგან თანდებული ერთვის მხოლოდ თითოეულის პირველ წევრს, სხვები უთანდებულოდაა წარმოდგენილი. ასეთივეა აგრეთვე ეს მაგალითიც: ჯერ-არს... ვნებაჲ **მღდელთ-მოძღუართაგან** და მოხუცებულთა ერისათა და მწიგნობართა, მ. 16, 21 DE. ადიშის ხელნაწერი აქ თავისი თავის ერთგული რჩება და ზემოთ განხილულ მაგალითსავით (ცოდვათათჳს და სიმართლისათჳს და სასჯელისათჳს) ყველა სახელს ურთავს თანდებულს: ვნებად იყო **მღდელთ-მოძღუართაგან** და **მოხუცებულთაგან** და **მწიგნობართაგან**.

აქ ჩვენ გვაქვს I და III ტიპი. სამაგიეროდ II ტიპის ნიმუშია მოცემული ამ წინადადებაში: სადა-იგი წყარონი წყალთანი გამოვლენ **მთათაგან** და ჴევთა და **ველთაგან** მისთა, 2 შჯ. 8, 7 ლაგ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს მაგალითიც იმავე ლაგურკის ხელნაწერიდანაა აღებული. ასე რომ, სამი სახელიდან პირველსა და მესამეზე დართვა თანდებულისა აღნიშნულ ხელნაწერს ახასიათებს (მეტ-ნაკლებად იგი სხვაგანაც გვხვდება), სამსავეზე—ადიშისას, მხოლოდ პირველზე—ძველ ხელნაწერთა უმეტესობას.

ნაგრამ შეცთომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ (და სხვა) ხელნაწერებში ყოველთვის ასეთი, ერთი და იმავე ყალიბის ერთი და იგივე სახეობა გვაქვს.

ნაირ-ნაირ სახეობებს ადგილი აქვს ყველა ძეგლში. ზემოთ ლაპარაკი იყო მხოლოდ უფრო დამახასიათებელ მიდრეკილებაზე. აი სხვა ტიპის მაგალითი ლაგურკის ხელნაწერიდან: მთავრობდით თევზთა ზედა ზღუსათა და მფრინველთა ცისათა და ყოველთა საცხოვართა და ყოველსა ქუეყანასა და ყოველთა ქუეწარმავათთა, რომელნი ვლენან ქუეყანასა ზედა, დაბ. 1, 28 ლაგ. აქ მხოლოდ პირველ სახელს ერთვის თანდებული, სხვები ყველა უთანდებულოდაა წარმოდგენილი. ესაა, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადი სახეობა.

გვხვდება აგრეთვე სხვანაირი წყობა და სხვა ვარიანტები, მაგრამ უმთავრეს მათგანს უკვე გავეცანით, ხოლო ყველასათვის გამოდევნება შორს წაგვიყვანდა. ამიტომ თანდებულიან სახელებზე საუბარი შეიძლება ამით დავამთავროთ.

VII. ნაწილაკიანი სახელები

ნაწილაკიანი სახელების ბრუნება ძველ ქართულში არაფერს განსაკუთრებულს არ შეიცავს. ნაწილაკები ერთვის სახელის მზამზარეულ ფორმას: გვაქვს სახელის ფუძე, მას ეჰყვება ბრუნვის ნიშანი. ბოლოს მოდის ნაწილაკი. მაშასადამე, ნაწილაკები აქ ყველგან შეუხორცებელია. სანიმუშოდ ვნახოთ მოკლედ ზოგიერთი მათგანი.

ვე

ვე ნაწილაკი ერთვის ყველა სახელს: არსებითს, ზედსართავს, რიცხვითს, ნაცვალსახელს. მაგრამ ყველაზე მეტად ის მაინც ნაცვალსახელებთან გვხვდება. მაგალითები:

მიაქციე მახლი ეგე **ადგილსავე** თჳსსა, მ. 26, 52; ...**ადგილადვე** თჳსა C; მოიქცეს იგინი **იერუსალჳმდვე**, ლ. 2, 45..

ასევე: ორნივე, მ. 9, 17; ათნივე, ლ. 17, 17; შჳდთავე, მრ. 12, 23; იგივე, მ. 5, 47; ამასვე, მ. 5, 46; მითვე, მრ. 4, 24 C; თქუენვე, მ. 23, 31 C; თქუენდავე, მ. 10, 13 და სხვა.

ყველაზე ხშირად **ვე** ნაწილაკი სიტყვა **ყოველ**-ს ერთვის, მაგალითად: **ყოველივე**, მ. 5, 18; **ყოველმანვე**, ლ. 14, 33; **ყოველსავე**, მრ. 7, 37; **ყოველისაგეთჳს** საქმისა, მ. 18, 19. ეს უკანასკნელი სიტყვა იმით არის საინტერესო, რომ სახელის ბრუნვის ფორმას ჯერ ნაწილაკი ემატება და შემდეგ — თანდებული. სხვა შემთხვევაში შესაძლებელია ამათი რიგი შებრუნებით იყოს მოცემული: ჯერ თანდებული, შემდეგ ნაწილაკი: **რომლისათჳსვე**, მრ. 12, 14 C.

ვე ნაწილაკი გვაქვს მრავლობითშიც: **ყოველნივე**, ლ. 13, 5; **ყოველთავე**, მ. 22, 28 და სხვა.

ამ სიტყვის ვითარებითი ბრუნვის ფორმა **ყოვლად** (უფრო ნაკლებად) და **ვე** ნაწილაკიანი **ყოვლადვე** (ყოველთვის) მუდამ ერთ მნიშვნელობას ატარებს, ეს არის **მთლად, სრულებით, სრულიად**. და ეს მაშინ, როცა უნაწილაკო **ყოველი** ნიშნავს ა) „ყოველს“, „თითოეულს“, ბ) „მთელს“. მაგალითი

ვე ნაწილაკიანი ვითარებითისა: **ყოვლადვე** განვაცოცხლე კაცი შაბათსა, ი. 7, 23; ცოდვასა შინა შობილ ხარ შენ **ყოვლადვე**, ი. 9, 34 C და სხვა.

ვე ნაწილაკი ძველ ქართულში ერთვის **ვინ** კითხვითს ნაცვალსახელსაც: **ვინვე**, ლ. 16, 16; **ვისთჳსვე**, მრ. 12, 14 და სხვა.

როცა **ვე** ნაწილაკი უნდა დაერთოს ნაწევრიან სახელს, იგი, როგორც წესი, ნაწევარს ერთვის, მაგალითად: **მასვე** სიტყუასა, მ. 26, 44; **მასვე** სოფელსა, ლ. 2, 8; **მითვე** საწყაულითა, ლ. 6, 38; **მაგისვე** სიტყჳსათჳს, მრ. 10, 10 და სხვა. როგორც ვხედავთ, ყველა ამ შემთხვევაში ნაწილაკიანი ნაწევარი სახელის წინაა მოქცეული.

ც ა

უფრო ხშირად იხმარება **ცა** ნაწილაკი. ისიც ერთვის ყველა სახელს (მეტყველების ყველა ნაწილს, თვით ნაწილაკსაც: ვერცა, არცა, ნუცა), სახელის ყველა ბრუნვისა და რიცხვის ფორმას. მაგალითად: **ადგილიცა**, ი. 11, 48; **თავისაცა** თმანი, მ. 10, 30 D; **თითითაცა**, მ. 23, 4; **იგავსაცა**, ლ. 5, 36; **იგავითცა**, იქვე C; **უკეთურადცა**, მ. 21, 41 C; **უფალცა**, მრ. 2, 28 D.

როდესაც **ცა** ნაწილაკი თანდებულიან სახელს ერთვის, რიგი ყოველთვის ასეთია: ჯერ თანდებული, შემდეგ ნაწილაკი: **უმადლოთა-თჳს-ცა**, ლ. 6, 35; **რომლისა-თჳს-ცა**, მ. 26, 50.

ცა ჩვეულებრივია ნაცვალსახელებთანაც:

ესეცა, მ. 26, 71; ამანცა, მ. 26, 13 C; ამასცა, ი. 16, 4 C; ამისთჳსცა, მ. 12, 27 D; იგიცა, მ. 25, 24; იგინიცა, მრ, 1, 19; მანცა, მ. 5, 32; მასცა, მრ. 12, 4; მითცა, მ. 7, 2; რომელცა, მ. 27, 15 C; რომელმანცა, მ. 10, 4; რომელსაცა, მ. 26, 48 C; რომელთაცა, ლ. 6, 13 და სხვა.

როდესაც საჭიროა **ცა** ნაწილაკი ორ სახელს დაერთოს, ის ახლავს მხოლოდ ერთს (პირველს), მაგალითად: **უმადლოთათჳსცა** და უკეთურთა, ლ. 6, 35; **დიდებასაცა** და ქებასა, მამ. სწავ. (H) 1v.

თუ **ცა** ნაწილაკი ნაწევრიან სახელს ერთვის, იგი შეიძლება ნაწევარსაც ახლდეს (უფრო ხშირად) და სახელსაც, იშვიათად არც ერთს ახლავს და არც მეორეს, არამედ ამ სახელთან წარმოდგენილ განსაზღვრებას. მაგალითები:

ესეცა წერილი, ი. 19, 30; მდიდარი **იგიცა**, ლ. 16, 22 C; ნათესავსა **ამასცა**, მ. 12, 45... **წერილიცა** ესე, მრ. 12, 10 C; **წინაწარმეტყუელნიცა** იგი, ი. 8, 52C; **ნათესავსაცა** ამას, მ. 12, 45 C; **მდიდარიცა** იგი, ლ. 16, 22... მის თანა **მოსრულნიცა** იგი ჰურიანი, ი. 11, 33 და სხვა.

ღ ა

ღა-ც ყველა სახელს ერთვის, თუმცა ისე ფართოდ არაა გავრცელებული, როგორც **ცა**. ისიც სახელის ბრუნვის ფორმის შემდეგ დგას. მაგალითები:

გზასაღა, მ. 5, 25 C; იესუჯსაღა, ი. 19, 33 E; კაცმანღა, მრ. 4, 26 C; ვიდრე ცოცხალღა იყო, მ. 27, 63... ამასღა, ი. 16, 6; ესეღა, ი. 3, 12 C; რაჯსაღა გკჳმან მოწამენი. მ. 26, 65... ერთღა გაკლს შენ, მრ. 10, 21 C; ოთხღა თთუე არიან, ი. 4, 35 და სხვა.

ღა ნაწილაკი ხშირად ერთვის ფორმაუცველ სიტყვებს (ზმნიზედებს, კავშირებს, თანდებულებს), მაგალითად: მაშინღა, მ. 20, 2 C; აწღა, ი. 11, 8; ვიდრეღა, მ. 18, 9 C; შორსღა, ლ. 14, 32; ფრიადღა, ი. 16, 12; ხოლოღა, ლ. 22, 37; ვიდრე სიძე იგი მათ თანაღა არს, მრ. 2, 19 C და სხვა.

ხშირად ერთვის ის ზმნებსაც, მაგრამ განსაკუთრებით თავისებურს არაფერს შეიცავს და ჩვენც აქ თქმულით დავკმაყოფილდებით.

ესე, ეგე, იგი

როგორც ცნობილია[1], ჩვენებითი ნაცვალსახელები **ესე, ეგე, იგი** გარკვეულ შემთხვევებში ნაწილაკადაც არის ქცეული. ეს მაშინ ხდება, როცა ისინი კითხვითს სიტყვებს ერთვიან და მათ კითხვითობას უკარგავენ: რომელი-იგი=რომელიც, ვითარ-იგი=როგორც, ოდეს-იგი=როდესაც და სხვა. როგორც ვხედავთ, ამ ნაწილაკების მნიშვნელობა ცა-ს უდრის: **რომელმან-იგი** და **რომელმანცა** ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვებია, მაშასადამე, **იგი** ნაწილაკი აქ შინაარსით უდრის ცა ნაწილაკს.

ესე, ეგე, იგი სიტყვების ნაწილაკური ხასიათი კარგად ჩანს მაშინ, როდესაც ისინი ერთვიან ბრუნვაცვალებად სიტყვებს, უმთავრესად, კითხვითს ნაცვალსახელებს. ამ შემთხვევაში **ესე, ეგე, იგი** ალარ იბრუნვის და მზამზარეული ბრუნვის ფორმებს ერთვის სულ ბოლოს: რომელ-იგი, რომელი-იგი, რომელმან-იგი, რომელსა-იგი. რომლისა-იგი, რომლითა-იგი. თავისთავად ცხადია, რომ ასევე უცვლელად დაემატებიან ისინი მრავლობითის ფორმებსაც: რომელნი-იგი, რომელთა-იგი და სხვა.

ამ მხრივ ეს ნაწილაკები არსებითად განსხვავდებიან ნაწევრისაგან, რომელიც არსებითს სახელს ერთვის და მასთან ერთად იბრუნება:

კაცი იგი, კაცმან მას, კაცსა მას, კაცისა მის, კაცითა მით და ასევე მრავლობითშიც: კაცთა მათ[2].

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ **ესე, ეგე, იგი** ნაწილაკები შინაარსით ცა ნაწილაკს უდრისო. ძველ ქართულში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ეს ორი ოდენობა ერთდროულად ერთვის სათანადო სიტყვებს: ვითარცა-**იგი, რომლისათჳსცა-იგი, რომელმანცა-იგი,** ოდესცა-**იგი** და სხვა. რიგი ასეთ შემთხვევაში მუდამ ერთი და იგივეა: წინ არის **ცა**, მას მოჰყვება **იგი (ესე,**

---

[1] ა. შანიძე, ქარფული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, 1945 წ., წინასიტყვაობა, გვ. 051; მისივე: გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით: ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, 1946, გვ. 79.

[2] ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს მრავლობითის სახელობითი, სადაც ნაწევარი არ უთანხმდება სახელს რიცხვში, მაგრამ ამას თავისებური წარმოშობა აქვს და სხვა მიზეზებით არის გამოწვეული.

ეგე). ეს იმას ნიშნავს, რომ ცა ასეთ სიტყვებში (ვითარცა და სხვ.) უკვე აღარ ესმით ნაწილაკად, მას დაკარგული აქვს ნაწილაკური მნიშვნელობა და მთელი სიტყვა ისეა აღქმული, როგორც მსგავსი სხვა ჩვეულებრივი სიტყვა. მეორე მხრივ, გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ მეორედ დართულ ნაწილაკებს (ესე, ეგე, იგი) აკისრიათ სიტყვის ახალი მნიშვნელობის (რომ კითხვითი სიტყვა აღარაა) გაძლიერება. განსაკუთრებით ითქმის ეს **რომელმანცა-იგი** და მსგავსი ფორმების შესახებ.

ესე, ეგე, იგი ნაწილაკები სათანადო სიტყვისაგან დეფისით გამოიყოფა ხოლმე.

როგორც აღვნიშნეთ, **ესე, ეგე, იგი** ნაწილაკები სათანადო ნაცვალსახელებზე დართვისას არ იბრუნება, ისინი უცვლელად არის სიტყვის ბოლოს დაცული (ნაწილაკიც ამიტომ ჰქვიათ მათ). მაგრამ თავიდანვე ასე არ უნდა ყოფილიყო. პირველად, ამ სიტყვების ნაწილაკებად ქცევის პროცესში, ალბათ ისინიც იბრუნებოდნენ, როგორც, მაგალითად, ძველ ქართულში ნაწევარი იბრუნება, და შემდეგ და შემდეგ ისე გაიყინნენ და გაქვავდნენ კითხვითს სიტყვებთან, რომ სრულიად დაკარგეს ბრუნების უნარი და ნაწილაკებად იქცნენ. ამ ძველი მდგომარეობის კვალი იშვიათად ძველ ქართულშიც გვხვდება გადმონაშთის სახით, მაგალითად:

კეთილსა წამებასა გჴჩუენებენ, რომელნი-იგი მოციქულ მოციქულთა იქმნებოდეს მოვლინებულ ქრისტჱს მიერ, **რომელთა-მათ** პირველ ანგელოზნი იგი ეტყოდეს, იპოლ. 25, 89. ხაზგასმული სიტყვა ჩვეულებრივი სახით ასე უნდა ყოფილიყო მოცემული: **რომელთა-იგი**. ასევე ესმის ეს ადგილი ნ. მარსაც, როგორც ეს ჩანს მისი თარგმანიდან, რომელიც ტექსტის გამოცემას ახლავს თან: Доброе свидетельство являют нам те, которые становились апостолами для апостолов, посланные Христом, **которым** впервые сказали ангелы. მაშასადამე, რომელთა-მათ ეტყოდეს=которым сказали (რომლებსაც უთხრეს).

დასასრულ, აღვნიშნავ **იგი** ნაწილაკის ხმარების განსაკუთრებულ ადგილსა და მნიშვნელობას. სვანური მრავალთავის ერთ ადგილას იკითხება:

ყოველივე მცურვალი ზღუათაჲ და მდინარეთაჲ ვეშაპთა მათ ვერ სახილველთა თუ შეკრბეს, ვერ ესწოროს სიმდიდრითა ერთსა ტყავსა ბოლოჲსა მისისასა; ერთ ტყავად ბოლოჲსად **იგი** თქუა ერთი ქეცი უმცირჱსისა ასოჲსა მისისაჲ. სვან. 313 ს. ეს **იგი** აქ, რასაკვირველია, არაა ნაწევარი (ვითარებითში არა გვაქვს ნაწევარი, მით უმეტეს **იგი** ვითარებითის ფორმა არ შეიძლება იყოს), ეს **იგი** არც სუფთად იმ ტიპის ნაწილაკია, როგორც ზემოთ ნაჩვენები (რომელი)-**იგი** და სხვა: ის აქ არ ერთვის კითხვითს სიტყვას. მაგრამ რომ **იგი** აქ ნაწილაკია, ეს უეჭველია. მაშასადამე, გამოდის, რომ ძველად ნაწილაკი **იგი** (ესე, ეგე) არა მარტო კითხვითს სიტყვებს ერთოდა და არა მარტო ცა-ს მნიშვნელობა ჰქონდა. თუ კარგად დაკუკვირდებით მოყვანილი წინადადების აზრს, **იგი** აქ დღევანდელ კი-ს უნდა უდრიდეს:... ვერ ესწორება მისი ბოლოს ერთ ტყავსო: ბოლოს ტყავად კი თქვა

მისი უმცირესი ასოს ერთი ქეციო. კი (იგი) აქ ბუნებრივად გამოიყურება. ეს შინაარსით. ფონეტიკურადაც არაა შეუძლებელი კი იგი-დან მომდინარეობდეს: იგი → გი → კი.

კითხვითი ნაწილაკები ა, მე

კითხვითი ნაწილაკი ა ჩვეულებრივ ზმნის ფორმებს ერთვის ბოლოს, მაგრამ იშვიათად შეიძლება ის სახელსაც დაერთოს. ამ შემთხვევაში ის ემატება სახელს ბრუნვის ნიშნის შემდეგ. მაგალითად: გინა თუ კუერცხსა სთხოვდეს, ნუ ღრიაკალი მისცეს **მასა**? ლ. 11, 12 C; ჰრქუა მათ იესუ: ყრმანო, საჭმელ გაქუს **რაჲსა**? ი. 21, 5.

ეს ა შეიძლება დაერთოს აგრეთვე უბრუნველ ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს: ესე დაგაბრკოლებს **თქუენა**? ი. 6, 61; უფალო, რაოდენ გზის შემცოდოს მე ძმამან ჩემმან, და მიუტეო მას? შჳდ **გზისა**? მ. 18, 21 C.

მე ნაწილაკი უფრო ხეტად ნაწილაკებსა და კითხვითს სიტყვებს ერთვის. კითხვითს ნაცვალსახელებს ის ერთვის ბრუნვის ნიშნის შემდეგ; თუ სიტყვას თანდებულიც უნდა დაემატოს, ეს მე სულ ბოლოს დაიჭერს ადგილს. რომ კითხვითი ნაწილაკი მე არ იქნეს არეული განუსაზღვრელობის ასეთსავე ნაწილაკში, მიღებულია, რომ იგი სიტყვისაგან დეფისით გამოიყოს. ამნაირად: **ვინმე**-ში განუსაზღვრელობის ნაწილაკი გვაქვს, ხოლო **ვინ-მე**-ში კი — კითხვითისა. დავიმოწმოთ ორიოდე მაგალითი: **ვინ-მე** არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუაჲცა ერჩიან მას, მრ. 4, 41. ახალ ქართულზე ეს ნიშნავს: **ვინ** არის ეს, რომ ქარებიცა და ზღვაც ემორჩილებიან (უჯერებენ) მას? ეს მე ნაწილაკი გვაქვს ამ სიტყვის სხვა ბრუნვის ფორმებთანაც: **ვის-მე** თქუენგანსა ესუას მონაჲ მჴნეელი გინა მწყემსი, ლ. 17, 7; **ვის-თჳს-მე** იტყჳს, ი. 13, 22 C.

არსებითად ამ სიტყვის ვითარებითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებია აგრეთვე **ვი-დ-რე** და **ვი-თ-არ** (← ვი-ით-არ), რომელთაც ერთვის კითხვითი მე: **ვიდრე-მე** ეგულების ამას წარსლვად, ი. 7, 35, =სად(ღა) აპირებს იგი წასელას?; **ვითარ-მე** შემოხუედ აქა, მ. 22, 12, =როგორ(ღა) შემოხვედი აქ? როგორც ვხედავთ, მე ნაწილაკს აქ წინ უსწრებს რე ნაწილაკი, რომელიც სხვა სიტყვებთანაც ხშირად გვხვდება, მაგალითად: მცირედ-რე, უშორესად-რე, ხუაშიადად-რე, წარ-რე-ვიდა, შე-რე-დგინებად და სხვა.

არანაკლებ ხშირად ახლავს ეს მე მეორე კითხვითს ნაცვალსახელსაც, მაგალითად: **რაჲ-მე** უკუე უყოს უფალმან მის ვენაჯისამან, მრ. 12, 9 C (=**რას** უზამს ვენახის პატრონი?); **რასა-მე** ვამსგავსო ნათესავი ესე, მ. 11, 16 C; უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, **რაჲთა-მე** დაიმარილოს, მ. 5, 13 (=**რითღა** დამარილდება?); **რომელმან-მე** ორთაგანმან ყო ნებაჲ მამისაჲ, მ. 21, 31 C.

როცა ამ მე ნაწილაკთან ერთად კიდევ არის სიტყვაში ღა ნაწილაკიც, მე ჩვეულებრივ ბოლო ადგილს იკავებს, მაგალითად: უკუეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი **რავდენ-ღა-მე**? მ. 6. 23 (მაგრამ: **რავდენ-მე-ღა**? უდაბნ. 83 rb).

ძი

ძი ნაწილაკი ძველ ქართულში ნაკლებად იხმარება. უმთავრესად ახლავს კითხვითს ნაცვალსახელებს. ესაა **ვინ** და **რა**. უფრო ნაკლებად ერთვის სხვა სიტყვებსაც. მაგალითები:

განიგდებდეს მას ზედა წილსა, **ვინ-ძი რაჲ** აღიღოს, მრ. 15, 24; შევიდა მათა გულის-სიტყუაჲცა: **ვინ-ძი** იყოს უდიდეს შორის მათსა, ლ. 9, 46; და უნდა ხილვაჲ იესუჲსი, **ვინ-ძი** არს, ლ. 19, 3; და თუალ-უყოფდეს მამასა მისსა, **რაჲ-ძი** უნდეს სახელის-დებად მისა, ლ. 1, 62. ეს უკანასკნელი მაგალითი ადიშის ძეგლში **მე** კითხვითი ნაწილაკითაა მოცემული: **რაჲ-მე** უნდეს სახელი რჭუმად მას. აქედან კარგად ჩანს, რომ **ძი** და **მე** არსებითად ერთნაირი მნიშვნელობის ნაწილაკებია. **ძი** ნაწილაკის მნიშვნელობა დადგენილი აქვს ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს. ავტორის აზრით, იგი უდრის **თუ**-ს[1].

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში **ძი** ნაწილაკი ერთვის კითხვითს ნაცვალსახელებს, მაგრამ იგი შეიძლება დაერთოს არსებითს სახელსაც. მისი ადგილი სახელის ბოლოსაა, ბრუნვის ნიშნის შემდეგ. მაგალითი:

ჯინჭველი... აღჴდის თავსა ჴუვილისასა დამუსრვად მარცულისა; ვიდრე აღსლვადმდე მის თავისა ისუნებნ: **იფქლისაჲ-ძი** არს, ანუ **ქრთილისაჲ**, სახისმეტ. (ისტ. ქრესტ. 283, 8), ე. ი. მარცვალი ხორბლისაა თუ ქერისო.

ძი ნაწილაკი გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“:

> რადგან დამთმე, მეცა დაგთმობ, **ვინძი** უფრო დაზიანდეს
> (526, 4)
>
> მერმე გამოჩნდეს მოედანს, **ვისძი** უთხრობდენ ქებასა
> (68, 4).

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ **ძი** ნაწილაკი იშვიათად ზმნებთანაც იხმარებოდა (აცადეთ, ვიხილოთ, მო-**ძი**-ვიდეს ელია განრინებად მაგისა, ლ. 27, 49 C; მრ. 15, 36 C), მაგრამ ასეთი ფორმები ჩვენ აქ არ გვაინტერესებს.

მცა

ძველ ქართულში **მცა** ნაწილაკიც ერთვის სახელებს. იგი შეიძლება ყველანაირ სახელს დაერთოს. მისი ადგილიც სახელის ბრუნვის ფორმის შემდეგაა ყოველთვის. მაგალითები:

ლხინებამცა არს შენდა, მ. 16, 22 C; **მსახურნიმცა** ჩემნი იღუწიდეს ჩემთჳს, ი. 18, 36; **სანდალნიმცა** გასხენ, მრ. 6, 9 C; **საქმესამცა** აბრაჰამისსა იქმოდეთ, ი. 8, 39; **სოფელიმცა** თჳსთა ჰყუარობდა, ი. 15, 19; **უბრალომცა** ვარ მე, მ. 27, 24; **ცოდვაჲმცა** არა გაქუნდა, ი. 9, 41; **ესემცა** იცით, მ. 24, 43; და წილ-იგდეს მას ზედა, **ვისმცა** რაჲ ხუდა, მრ. 15, 24 C; ყოველივე,

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ძი ნაწილაკი ქართულში: ენიმკის მოამბე, ტ. XIV, გვ. 171—177.

რაჲცა გნებავს, რაჲმცა გიყვეს თქუენ კაცთა, ეგრეცა თქუენ ჰყოფდით მათ. და მიმართ, მ. 7, 12 C; რომელიმცა არა განცხადნა, მრ. 4, 22 C; რომელმანმცა შეაგინა იგი, მრ. 7, 15; შენმცა ჰსთხოვე მას, ი. 4, 10 და სხვა.

აღსანიშნავია, რომ როდესაც სახელს ახლავს სხვა ნაწილაკიც, მცა-ს ყოველთვის ბოლო ადგილი უჭირავს, არ შეიძლება მას ბოლოში სხვა ნაწილაკი დაემატოს. ეს წესი მკვიდრია ძველ ქართულში და მან გამონაკლისი არ იცის. მაგალითები: პირველ-ვე-მცა ძაძითა ნაცართა ზედა მსხდომარეთა შეინანეს. ლ. 10, 13; უკუეთუმცა მე მიცოდეთ, მამაჲ-ცა-მცა ჩემი იცოდეთ, ი. 8, 19; ი. 14. 7. პირველ მაგალითში მცა ნაწილაკს წინ უსწრებს ვე ნაწილაკი, მეორეში — ცა.

თუ მცა ნაწილაკთან სახელს ახლავს ნაწევარი, მცა ნაწილაკი შეიძლება ამ უკანასკნელს დაერთოს, მაგალითად: მსახურნი იგიმცა ჩემნი ჰბრძოდეს, რაჲთამცა არა მივეცი ჰურიათა. ი. 18, 36 C. DE-ში მცა არსებითს სახელს ერთვის (მსახურნიმცა), რადგანაც მას ნაწევარი არ ახლავს.

მცა ნაწილაკი ძველ ქართულში ახლავს ზმნასაც (გიყუარდიმცა, გიხაროდამცა). ყველაზე ხშირად კი კავშირებს (რაჲთამცა, უკუეთუმცა, თუმცა...), მაგრამ ესენი აქ არ გვაინტერესებს და აღარაფერს ვიტყვით მათ შესახებ. არაფერს ვამბობთ აგრეთვე ამ ნაწილაკის ფუნქციის შესახებ, რადგან იგი კარგა ხანია. რაც გამორკვეულია ა. შანიძის მიერ[1].

როგორია ნაწილაკთა რიგი, როცა ერთ სახელს რამდენიმე ნაწილაკი ერთვის? ჩვეულებრივ რიგი თავისუფალია: გვაქვს როგორც რაჲ-ღა-მე (ლ. 23, 31 E), ისე რაჲ-მე-ღა (იქვე C); გვხვდება როგორც რავდენ-ღა-მე (მ. 6, 23), ისე რაოდენ-მე-ღა (2 მეფ. 19, 34) და სხვა. მაგრამ არის ზოგიერთი შეზღუდვა: მცა ნაწილაკი ყოველთვის მოსდევს სხვა ნაწილაკს, მას არასდროს არ მოჰყვება სხვა ნაწილაკი. გვაქვს მამაჲცა-ძცა (ი. 8, 19; ი. 14, 7), მაგრამ არ შეიძლება: მამაჲ-მცა-ცა; გვაქვს არ-ცა-მცა (მ. 12, 7 C), მაგრამ არა გვაქვს. არ-მცა-ცა და სხვა. ეგევე ითქმის აგრეთვე ესე, ეგე, იგი ნაწილაკების შესახებ: ამ ნაწილაკებს სახელში სულ ბოლო ადგილი აქვთ დაჭერილი, მათ არ შეიძლება მოჰყვებოდეს სხვა ნაწილაკი.

როგორღაა საქმე მაშინ, როცა სახელს ნაწილაკთან ერთად თანდებულიც ერთვის? ჩვეულებრივ რიგი აქაც თავისუფალია: შეიძლება თანდებული უსწრებდეს ნაწილაკს, შეიძლება იგი მოსდევდეს მას. პირველის მაგალითები იქნება: რომელთა-თჳს-მე (თუალთ. 85, 30), თხოვად-მდე-ვე (ბ. 6, 8 C), რომლისა-თჳს-ვე (მრ. 12, 14 C), რომელთა-გან-მე მათგანთა (პარხ. 853 b), ქვათა-გან-ცა (იპოლ. 7, 16), ვის-თჳს-ვე (მრ. 12, 14), დავითის-გან-ცა-მცა (იპოლ. 2, 215) და სხვა. მეორე შემთხვევის მაგალითები იქნება: უფლისა-ვე-თჳს (თუალთ. 83, 5), ყოველისა-ვე-თჳს საქმისა (მ. 18, 19), რაჲსა-მე-თჳს

[1] იხ. მისი მცა ნაწილაკი ძველ ქართულში: პრომეთე, 1918. № 1, გვ. 78—80; მისივე: ძველი ქართული ენა, გვ. 311 — 312.

(პარხ. 1179) და სხვა. თუმცა აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საკითხს სპეციალური შესწავლა უნდა: საჭიროა თითოეული ნაწილაკი ცალ-ცალკე იქნეს შესწავლილი მრავალი მაგალითის საფუძველზე, მაშინ შეიძლება ზოგი რამ ახალი გამოვლინდეს და აქ თქმულში კორექტივის შეტანაც დარჩეს საჭირო. აქ მხოლოდ ზოგადი მოსაზრებაა გამოთქმული, ისიც ძალიან მცირე მასალის ანალიზის საფუძველზე. ჩვენთვის აქ მთავარი იყო მიგვეთითებინა, სახელის რა ნაწილს ერთოდა ნაწილაკი, რა ადგილი ეჭირა მას ბრუნვის ფორმიან სიტყვაში. ამ მიზნით აქ მოხსენებულიც საკმარისად გვეჩვენება და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

B. საკუთარი სახელები

საკუთარ სახელებად მიჩნეულია ადამიანთა სახელები (და გვარები), აგრეთვე გეოგრაფიული სახელები: ქვეყნების, ქალაქების, მთების, ზღვების, ტბებისა და მისთანათა აღმნიშვნელი სახელები.

ამ ტიპის სახელების ბრუნება ძველ ქართულში საგრძნობლად განსხვავდება საზოგადო სახელთა ბრუნებისაგან. საკუთარი სახელების ბრუნება ძველ ქართულში ასახავს სახელთა ბრუნების განვითარების უძველეს ეტაპებს, იმ საფეხურებს, რომლებიც წინ უსწრებდა საზოგადო სახელთა ბრუნების კარგად ჩამოქნილ და მტკიცედ ჩამოყალიბებულ სისტემას. ამიტომ თვით საზოგადო სახელთა ბრუნების ისტორიის შესწავლისათვის დაუფასებელ ჩვენებებს მოგვცემს საკუთარ სახელთა ბრუნების გათვალისწინება.

მაგრამ ყველა ტიპის საკუთარი სახელი როდია ერთი სახისა: თვით მათ შორისაც მეტად მნიშვნელოვანი განსხვავებაა. აქ განსაკუთრებულ დიდ თავისებურებებს გვიჩვენებს ადამიანთა სახელების ბრუნება. რაც შეეხება გეოგრაფიულ სახელებს, ისინი რამდენადმე სცილდებიან ადამიანთა სახელებს და უფრო საზოგადო სახელებს უახლოვდებიან. მაგრამ გეოგრაფიულ სახელებს მაინც აქვთ დაცული ძველი ვითარების მაჩვენებელი ზოგი ისეთი თავისებურება, რომლის გათვალისწინებასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართული სახელების ბრუნების ისტორიისათვის. ეს თავისებურებები არც ადამიანთა სახელებში გვხვდება და არც საზოგადო სახელებში. ამიტომ საკუთარ სახელთა ამ ორი ტიპის განხილვა ცალ-ცალკე სჯობს და ჩვენც ასე მოვიქცევით.

აქ წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ საკუთარ სახელთა ბრუნების თავისებურება ძველ ქართულში საკმაო სისრულით აქვს განხილული ა. შანიძეს თავის ნაკვლევში „ძველი ქართული ენა“[1], ხოლო სტ. ჩხენკელს სპეციალური შრომა აქვს მიძღვნილი ოშკის ბიბლიის მეფეთა წიგნებში

[1] ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1934 (1 გამოცემა), 1953 (მე-12 გამოც.), გვ. 275—313.

საკუთარ სახელთა ბრუნებისათვის[1]. ქვემოთ ამ შრომების მიღწევები სათანადოდ არის გათვალისწინებული და გამოყენებული.

I. ადამიანთა სახელები

ადამიანთა სახელების ფუძეები შეიძლება იყოს გათავებული თანხმოვანზე (იოსებ, თამარ) და ხმოვანზე (მართა, პავლე, ნინო, იესუ, ბასილი). ამ მხრივ საზოგადო სახელთა და ამათ შორის სრული მსგავსებაა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ადამიანთა სახელებში ბლომად მოიპოვება ი-ზე დაბოლოებული ფუძეები (ბასილი, გრიგოლი, ანტონი, პანსოფი, გიორგი და სხვა), მაშინ როდესაც საზოგადო სახელებში ასეთი ფუძეები აღარ გვხვდება, ისინი დიდი ხანია თანხმოვანფუძიანებში იქნენ გადარიცხული, რადგანაც იმათი ბოლოკიდური ფუძისეული ი სახელობითის ნიშნად იქნა გაგებული და სხვა ბრუნებში ჩამოსცილდა[2]. ი ფუძიანი სახელების გადაგვარების ამ პროცესს გადაურჩა მხოლოდ ერთი სახელი — ვი-ნ. ამ სახელის ფუძეში ი-ს გადარჩენას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ სახელს ბოლოს შეუხორცდა მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ნ და, მაშასადამე, ფორმა არსებითად თანხმოვანფუძიანად იყო აღქმული: ვინ...

ქვემოთ წარმოვადგენთ ყველა აქ აღნიშნული ტიპის სახელთა ბრუნების მაგალითებს. საჭირო განმარტებებსა და შენიშვნებს ბოლოს დავურთავთ.

თანხმოვანფუძიანები

წრფ.	იოსებ	თამარ
სახ.	იოსებ	თამარ
მოთხ.	იოსებ	თამარ
მიც.	იოსებ-ს	თამარ-ს
ნათ.	იოსებ-ის	თამარ-ის
მოქმ.	იოსებ-ით	თამარ-ით
ვით.	იოსებ-ად	თამარ-ად
წოდ.	იოსებ	თამარ

ამათ მსგავსად იბრუნვიან აგრეთვე: მარიამ, დავით, სამოელ, საულ, სალათიელ, იეზაბელ, ნათანაელ, ბაგრატ, გუარამ, აშოტ, ჯოჯიკ, შუშანიკ, არჩილ, ეფრემ, საჰაკ, თარჯუჯ, ვახტანგ, ვართან, თორნიკ, აბრაჰამ, ისააკ, იაკობ, სოლომონ, ფარეზ, აზარუხტ, ვარსქენ, სადუკ, ელეაზარ, ზორობაბელ, რაქელ, მიქაელ, გაბრიელ და სხვანი.

---

[1] სტ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 25, 1943, გვ. 153—208.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატ. საფუძვ. გვ. 67, 102, 103; ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახ. ფუძ. გვ. 3—5.

ხმოვანფუძიანები

ა ფუძიანები

წრფ.	მართა	ანა
სახ.	მართა	ანა
მოთხ.	მართა	ანა
მიც.	მართა-ს	ანა-ს
ნათ.	მართა-ჲს	ანა-ჲს
მოქმ.	მართა-ჲთ	ანა-ჲთ
ვით.	მართა-დ	ანა-დ
წოდ.	მართა	ანა

ამათ მსგავსად იბრუნვიან აგრეთვე: ეზეკია, ანგია, იუდა, ლუკა, საბა, კახა, თემესტია, ფებრონია, ოზია, იექონია, ზაქარია, ესაია, თომა, ლეონილა და სხვანი.

ე ფუძიანები

წრფ.	პავლე	იოვანე
სახ.	პავლე	იოვანე
მოთხ.	პავლე	იოვანე
მიც.	პავლე-ს	იოვანე-ს
ნათ.	პავლჲს (პავლე-ჲს)[1]	იოვანჲს (იოვანე-ჲს)[1]
მოქმ.	პავლჲთ (პავლე-ჲთ)[2]	იოვანჲთ (იოვანე-ჲთ)[2]
ვით.	პავლე-დ	იოვანე-დ
წოდ.	პავლე	იოვანე

ამათ მსგავსად იბრუნვიან აგრეთვე: პეტრე, ჰელენე, მანასე, ადრნერსე, მოსე, ქრისტეფორე, დემეტრე, ნერსე, ეპიფანე, იესე, პილატე, ჰეროდე, ფილიპე, ლაზარე, მაქსიმე, კოსტანტინე, თეოდორე, ნიკიფორე. მაქსიმე, დამიანე, ალექსანდრე, დემეტრე და სხვანი.

ო ფუძიანები

წრფ.	ნინო	აბო
სახ.	ნინო	აბო
მოთხ.	ნინო	აბო
მიც.	ნინო-ს	აბო-ს
ნათ.	ნინო-ჲს	აბო-ჲს
მოქმ.	ნინო-ჲთ	აბო-ჲთ
ვით.	ნინო-დ	აბო-დ
წოდ.	ნინო	აბო

ამათ მსგავსად იბრუნვიან აგრეთვე: ხუასრო, აზო, ნილო, ფარაო[3] და სხვანი.

---

[1] იშვიათად: პავლე-ს, იოვანე-ს...

[2] იშვიათად: პავლე-თ, იოვანე-თ...

[3] „ფარაო“ ძველ ქართულში საკუთარ სახელად არის მიჩნეული.

უ ფუძიანები

წრფ.	იესუ	იუ
სახ.	იესუ	იუ
მოთხ.	იესუ	იუ
მიც.	იესუ-ს	იუ-ს
ნათ.	იესუ-ჲს[1]	იუ-ჲს[1]
მოქმ.	იესუ-ჲთ	იუ-ჲთ
ვით.	იესუ-დ	იუ-დ
წოდ.	იესუ	იუ

ამ ტიპის სახელები ერთობ ცოტა გვხვდება.

ი ფუძიანები

წრფ.	ბასილი	ანტონი
სახ.	ბასილი	ანტონი
მოთხ.	ბასილი	ანტონი
მიც.	ბასილი-ს	ანტონი-ს
ნათ.	ბასილი-ს	ანტონი-ს
მოქმ.	ბასილი-თ	ანტონი-თ
ვით.	ბასილი-დ	ანტონი-დ
წოდ.	ბასილი	ანტონი

ამათ მსგავსად იბრუნვიან აგრეთვე: არსენი, პანსოფი, გიორგი, გრიგოლი, მატოი, მაკარი, ნიკონორი, ალექსი, აკაკი, ევსები და სხვანი.

ბრუნების პარადიგმების წარმოდგენის შემდეგ შეიძლება რამდენიმე საკითხს მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. ამათგან პირველ რიგში უნდა განვიხილოთ

1. წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში

წრფელობითი ბრუნვა ძველ ქართულში ჰქონდა აგრეთვე საკუთარ (ადამიანთა) სახელებსაც. ამნაირად, ერთი და იგივე ფორმა (ფუძე) ოთხი ბრუნვისათვის იყო გამოყენებული:

წრფ. მარიამ (დედასა მისსა ჰრქჳან მარიამ: მ. 13, 55)
სახ. მარიამ (აღდგა მარიამ: ლ. 1, 39)
მოთხ. მარიამ (მარიამ მოიღო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი: ი. 12, 3)
წოდ. მარიამ (ნუ გეშინინ, მარიამ: ლ. 1, 30).

რადგანაც ამ საკითხზე ჩვენ უკვე გვაქვს გამოქვეყნებული გამოკვლევა, ადგილის მოგების მიზნით აქ არაფერს ვიტყვით და მკითხველს მივუთითებთ აღნიშნულ შრომაზე: წრფელობითი ბრუნვის საკითხი. საკუთარ სახელებში: პუშკინის სახელ. თბილ. სახ. სამასწ. ინსტიტუტის შრომები,

[1] იშვიათად: იესუ-ს, იუ-ს...

ტ. III, 1943, გვ. 269 — 289. შრომა გადმობეჭდილია პროფ. ვ. თოფურიას რედაქტორობით გამოსულ კრებულში „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში", წიგნი I, 1956, გვ. 59 — 75.

2. სახელთა რიგის გამოყენება ფორმათა განსარჩევად

როგორც ვნახეთ, სახელობითი და მოთხრობითი (აგრეთვე, ამასთან ერთად, წრფელობითი და წოდებითი) ერთნაირი ფორმით არის წარმოდგენილი. მოთხრობითი გარდამავალი ზმნების II სერიის მწკრივებში სუბიექტისათვის არის განკუთვნილი, სახელობითი. ასეთსავე პირობებში, — პირდაპირი ობიექტისათვის. მაშასადამე, გარდამავალ ზმნებთან II სერიის მწკრივებში შესაძლებელია მოცემული იყოს ერთდროულად 2 საკუთარი (ადამიანთა) სახელი: ერთი მოთხრობითში, მეორე სახელობითში. როგორღა უნდა გავარჩიოთ ისინი? როგორღა უნდა მივხვდეთ, თუ რომელი მათგანია მოთხრობითში, რომელი იგულისხმება სახელობითში? ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა რიგს: ჩვეულებრივად I ადგილზე სუბიექტი გვხვდება, მეორეზე — ობიექტი. მაშასადამე, გამოდის, რომ ორი საკუთარი სახელიდან პირველი მოთხრობითშია, მეორე — სახელობითში. მართლაც, წინადადებაში „კაენ მოკლა აბელ" (მამ. სწავ. 375) პირველი სახელი კაენ სუბიექტია, ის არის სწორედ მკვლელი, აბელ კი ობიექტია, ის არის მოკლული. ეს ასეც არის ცნობილი ბიბლიური გადმოცემის მიხედვით. გარდა ამისა, ამასვე ადასტურებს აბელზე დართული განსაზღვრება **ძმაჲ თჳსი** (კაენ მოკლა აბელ, ძმაჲ თჳსი), რომელიც სახელობითში დგას, მაშასადამე, ობიექტია. ასეთივე ხასიათისაა შემდეგი მაგალითებიც:

ჰეროდე მაშინ შეიპყრა **იოვანე** (მ. 14, 3). აქ ჰეროდე სუბიექტია (მოთხრობითშია), იოვანე — ობიექტი (სახელობითშია); აკურთხა **ელი ელკანა** და ცოლი მისი, 1 მეფ. 2, 20; ვითარცა იხილა **აბგეა დავით**, გარდაჰქნდა მსწრაფლ კაჰრაულსა მას თჳსსა, იქვე, 25, 22; და ვითარცა იხილა **ნემან ჯეზი**, 4 მეფ. 5, 20; სამართლად **მოსე ლევი** აკურთხა, შატბ. 269 ბ და სხვა. ბოლოს, დავსძენთ, რომ ამნაირი ხასიათისაა აგრეთვე მათეს სახარების ცნობილი დასაწყისი: იაკობ შვა იუდა, იუდა შვა ფარსზ და ზარა თამარისგან, ფარეზ შვა ესრომ, ეზრომ შვა არამ, არამ შვა ამინადაბ, ამინადაბ შვა ნასონ, ნასონ შვა სალმონ, სალმონ შვა ბოოზ რექაბისგან, ბოოზ შვა იობედ რუთისგან, იობედ შვა იესე (მ. 1, 2 — 5). აქ პირველი სახელები ყველგან სუბიექტია (მოთხრობითშია),. მეორე — ობიექტია (სახელობითშია).

3. მიდრეკილება გათანაბრებისადმი

მაგრამ არის შემთხვევები, როცა ეს საერთოდ მიღებული რიგი დარღვეულია: პირველ ადგილზე დგას სწორედ ობიექტი და არა სუბიექტი. ამის მაგალითებია:

მას ჟამსა მიიყვანა **იესუ პილატე** და გუემა იგი, ი. 19, 1 C. როგორც ცნობილია გადმოცემით, იესუმ კი არ მიიყვანა პილატე, არამედ პილატემ

მიიყვანა იესუ და გვემა იგი. ეს ასეც არის გადმოცემული მეორე რედაქციაში: მაშინ მიიყვანა **პილატე იესუ** და ტანჯა იგი, იქვე DE. ასეთივე ხასიათისაა აგრეთვე ეს წინადადებაც: და წარიყვანა **საულ სამოელ** და ყრმაჲ იგი, რომელი იყო მის თანა, 1 მეფ. 9, 22. ის ბავშვი, რომელზედაც არის აქ ლაპარაკი, ახლდა **საულს**, მაშასადამე, წაყვანილია **საულ** და არა სამოელ, როგორც საერთო წესის მიხედვით შეგვეძლო გვეფიქრა. ბოლოს, ასეთივეა აგრეთვე შემდეგი წინადადებაც: **ამესია**... შეიპყრა **იოას**, 4 მეფ. 14, 13. მაგრამ ამ უკანასკნელ მაგალითში მიღებული რიგის დარღვევას არ მოსდევს სამწუხარო შედეგი: თითოეულ აქ წარმოდგენილ სახელს ახლავს თავთავისი განსაზღვრება, რომლებიც გვაგებინებს, თუ ვინ არის დამჭერი და ვინ არის დაჭერილი. აი იგივე წინადადება განსაზღვრებებითურთ: და **ამესია**, მეფჲ იუდაჲსი, შეიპყრა **იოას**, მეფემან ისრაჱლისამან. რაკი აქ ამესიაზეა ნათქვამი: **მეფჲ იუდაჲსი**, ცხადია, ის არის სწორედ დაჭერილი; ასევე იოას გამოდის დამჭერად, რადგანაც მის შესახებ ნათქვამია, **მეფემან ისრაჱლისამანო**. თუ ეს განსაზღვრებები არა, ისე ჩვენ ვერ გავიგებდით ნამდვილად, რომელი ამ პირთაგანია დაჭერილი და რომელი — დამჭერი. ეს გარემოება უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმ ძლიერი ტენდენციისა, რომელიც თვით უძველეს ძეგლებშიც იჩენს თავს და იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანთა სახელებს აღნიშნულ ბრუნვებში (სახელობითსა და მოთხრობითში) უჩნდებათ სათანადო ბრუნვის ნიშნები: **ი**, **ჲ** (სახ.) და **მან** (მოთხ.).

პირველ ხანებში ამათი ერთდროული გაჩენა აუცილებელი არ იყო: თუ ერთ-ერთ მათგანს გაუჩნდებოდა ნიშანი, მაშინ მეორის სინტაქსური რაობაც გარკვეული იქნებოდა. ასე, მაგალითად: „კაენ მოკლა **აბელი**“ და „**კაენმან** მოკლა აბელ“ ერთნაირი სიცხადით გვირკვევს საქმის ნამდვილ ვითარებას: მოკლულია **აბელ**, მკვლელია **კაენ**. მაგრამ ეს ტენდენცია იმდენად ბუნებრივი და აუცილებელი იყო ენაში, რომ საქმე აქ არ შეჩერდა და ბრუნვის ნიშნის გაჩენა ზოგჯერ ორივე ბრუნვას ერთდროულად ემჩნევა. შდრ., მაგალითად: **ისაკმან** შვა **იაკობი**, მ. 1, 2 C; **სამოელმან** იხილა **დავითი**, უდაბნ. 28 ra. თუნცა ეს ასეა, მაგრამ აღნიშნული გათანაბრება საზოგადო სახელებთან უფრო ადრე და უფრო მეტად სახელობითს დაეტყო, ვიდრე მოთხრობითს. ეს გასაგებიცაა: ამ დროს უკვე დავიწყებულია, რომ სახელობითი ბრუნვის ნიშანი **ი** → **ჲ** (წარმოშობით) **იგი** ნაცვალსახელიდან მომდინარეობს, **იგი** ნაცვალსაბელსა და **ი** (**ჲ**) აფიქსს შორის უკვე აღარ იგრძნობა გენეტური კავშირი. მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი **მან** კი სათანადო ნაცვალსახელის მზამზარეულ ფორმას წარმოადგენს, ხოლო ამ ნაცვალსახელის (ნაწევრის) დართვა ადამიანის სახელზე გარკვეულ დაბრკოლებებს აწყდება. ამიტომაა, რომ საზოგადო სახელებთან გათანაბრება მოთხრობითში გვიან იკაფავს გზას და ნელა მიმდინარეობს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ისეთი მწერლის ენაშიც კი, როგორიცაა სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ახალი ქართულის ფორმებს ფართოდ უღებდა კარებს, ხშირად ვხვდებით მოთხრობითის ძველებურად ხმარების მაგალითებს: თქვა **რუჭა** არაკი, თქვა **სედრაქ**

არაკი, თქვა **ჯუმბერ** არაკი, თქვა **ლეონ** არაკი და სხვა. მოთხრობითის ასეთმა (უნიშნოდ, ფუძის სახით) ხმარებამ დიდხანს შეინახა თავი და აქა-იქ ახალ ქართულშიც გვსვდება ხოლმე. ბე მხედველობაში მაქვს ისეთი ხალხური ლექსები, როგორიცაა:

ავთანდილ გადინადირა
ქედი ბაღალი ტყიანი
(ხალხური პოეზია [1], 1934, გვ. 99).

ან: **როსტომ** სთქვა: ერთი არა სჯობს
ამ ჩემსა მოგონებასა,
ერთხელ სჯობია სიკვდილი
სულ მუდამ დაღონებასა.

ან კიდევ: **როსტომ** სთქვა: მიწა გრილია,
მტერსა არ უნდა რბილობა,
კარგია ვაჟკაცისათვის
ომშია გამოცდილობა (იქვე, გვ. 205 — 206).

მაგრამ ჩანასახი სახელობითისა და მოთხრობითის საზოგადო სახელებთან გათანაბრებისა, როგორც ვთქვით, ძველ ქართულში გვაქვს. თვით უძველეს ძეგლებში გვხვდება ჩვენ ისეთი მაგალითები, როცა ადამიანის სახელი სახელობითს ბრუნვაში ირთავს ი, ჲ, ხოლო მოთხრობითში მან ბოლოსართებს.

ჩვენ ზემოთ ამ მოვლენის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად ისეთი შემთხვევების არსებობა ჩავთვალეთ, როცა ერთ წინადადებაში ორი საკუთარი სახელი გვხვდება და არც ერთ მათგანს არა აქვს ბრუნვის ნიშანი (**ჰეროდე** შეიპყრა **იოვანე**), რიგი კი ყოველთვის ვერ გვშველის სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ამოცნობაში (მიიყვანა იესუ პილატე, სადაც მიმყვანი პილატეა, მიყვანილი იესუ).

მაგრამ, გარდა ამისა, ენაში იყო ძლიერი ტენდენცია საერთოდ საზოგადო სახელებისა და საკუთარი სახელების ბრუნების გათანაბრებისა, ორივე ტიპის სახელთა ბრუნების ერთ საერთო ყალიბამდე დაყვანისა. ასეთი მიდრეკილება. უნიფიკაციისადმი მისწრაფება ყველა ენაში ერთობ ძლიერია და ჩვენს ბაგალითშიც ეს მოვლენა გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ვუჩვენოთ აქ ამ გათანაბრების ნიმუშები.

სახელობითი ბრუნვა

თანხმოვანფუძიანი სახელები

ხოლო **იოსები** მეფედ დადგრომილ იყო ეგვპტეს, თუალთ. 72, 3; უმრწეცსა იყო **ბენიამენი**, იქვე. 78, 11; და დასცეს ასურთა მათ **იორამი**, 4 მეფ.

[1] გამოცა ვახტანგ კოტეტიშვილმა.

8, 22; ამათ გამოვე შთაჴდა **დანიელი** მღჳმესა მას ლომთასა, უდაბნ. 54 vb; მამათ-მთავარმან იაკობ დაწყევა **რუბენი**, თუალთ. 22, 29; რაჟამს იხილოთ **აბრაჰამი, ისააკი** და **იაკობი**, ლ. 13, 28; ხოლო **მარიამი** ჴდა მუნვე სახლსა შინა, ი. 11, 20 C; ვპოვე კაცი **დავითი**, იპოლ. 2, 208: მოიკითხა **ელისაბედი**, ლ. 1, 40 C; და ყრმაჲ იგი **სამუელი** იყო მსახურ წინაშე უფლისა, 1 მეფ. 3, 1 ლაგ.; ადამს ესუა **სჳთი**, იპოლ. 27, 135; კაინანს (ესუა) **მალელი**, მალელს — იარედ, იარედს — **ენუქი**, ენუქს — მათუსალა, მათუსალას — **ლამექი**, ლამექს — ნოე, ნოეს — **სემი**, სემს — **არფაქსადი**... ებერს — **ფალეგი**, ფალეგს — **რაგავი**... მანასეს — **ამოსი**, ამოსს — იოსია, იპოლ. 27, 137—159; ელიაკიმ (შვა) **აზორი**, აზორ — **სადუკი**, სადუკ — **ზაქინი**, ზაქინ — **ელიოდი**, (ელიოდ) — **ელეაზარი**, ელეაზარ — **მატთანი**, მატთან — **იაკობი**, იაკობ — **იოსები**, იქვე, 27, 167 — 171; მამაჲ ჩუენი **ადამი** ვიდრე შიშუელ იყო, სახისმეტ. 14, 42; **სოლომონი** იტყჳს იგავსა, იქვე, 15, 1; ილოცვიდა რაჲ წმიდაჲ **მარკოზი**, კიმ. 196, 18; და მას განეზარდა სარწმუნოებასა ზედა **ესთერი**, ესთერ 2, 7.

ხმოვანფუძიანი სახელები

ხმოვანფუძიან სახელებში ძალიან ცოტაა ადამიანთა სახელების საზოგადო სახელებთან გათანაბრების მაგალითები. მაგრამ გათანაბრება საერთოდ აქაც გვაქვს. ჩვენ ხელთ არსებული თითქმის ყველა მაგალითი ისეთია, რომ ჲ ემატება ა-ზე ფუძეგათავებულ სახელებს, ორიოდე შემთხვევაში ის ო-ზე ფუძეგათავებულთაც ერთვის. ეს გარემოება ადვილი ასახსნელია: უ-ზე ფუძეგათავებული სახელები ძალიან ცოტაა ენაში (იესუ, ისუ, იუ), ი-ზე ფუძეგათავებულებს არც შეიძლება ჲ დაერთოს. რჩება ე-ზე ფუძეგათავებულები. ასეთი სახელები კი, როგორც ცნობილია, არ იძლევა ამ საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობას: სახელი ე-ზე იქნება დაბოლოებული, თუ ჳ-ზე, სულ ერთია, ის ვერ გაგვირკვევს, სახელობითთან გვაქვს საქმე, თუ წრფელობითთან. როცა ჩვენ ტექსტებში გვხვდება **პავლჳ**, ის არ შეგვიძლია მივიღოთ სახელობითად: ჳ და ე არეულია ერთმანეთში და იმიტომ (ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 107 — 111). ვუჩვენოთ აქ სათანადო მაგალითები:

მჴევალი იგი ქრისტჳსი **ლეონილაჲ** ზეგარდამო წოდებულ იყო ღმრთისმსახურებითა, სპევს. 14, 1; აკურთხა ელი ელკანა და ცოლი მისი **ანნაჲ**, 1 მეფ. 2, 20; ზირაქ შეიპყრა **კახაჲ** და ძჳ მისი თარკუჯი, ატენის წარწ. (ისტ. ქრესტ. 3); შეიწყნარე **ევაჲ**, იპოლ. 25, 62; ამას ეტყოდეს **მართაჲ** და მარიამ, იქვე, 25, 30; სადაცა მიეგებოდა მას **მართაჲ**, ი. 11, 30; მაშინ მიუტევა მათ **ბარაბაჲ**, მ. 27, 26 CDE; და იყო **ბარაბაჲ** ესე ავაზაკი, ი. 18, 40 CDE[1]; ვითარცა განაწესა დავით მეფემან ასაფი და **ზაქარიაჲ** და ელდი-

[1] ოთხთავიდან დამოწმებული **მართაჲ** და **ბარაბაჲ** იკითხება ხელნაწერებში, გამოცემაში ჲ ამოგდებულია და მოცემულია ფუძეები **მართა** და **ბარაბა** (ეს უკანასკნელი ჲ-ს არის დაბეჭდილი ერთ ადგილას: მ. 27, 26 DE).

ნოს, 2 ეზრა 1, 15; და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძე არიან ქართლისა მეფისაჲ, მოქც. (ისტ. ქრესტ. 267, 35); მათ თანავე იყო სანატრელი ესე მონაჲ ქრისტჱსი ჰაბოჲ[1], აბო, 186, 9.

მოთხრობითი ბრუნვა

იაკობმან იხილა ლაბან ბოროტისა ზრახვად, უდაბნ. 28 ra; და **სოლომონმანცა**... ვერ შეუძლო შემოსად სამოსელი, მამ. სწავ. 257; მოთმინებაჲ ისწავა **იოსებმან**, იპოლ. 2, 181; ვითარცა იხილა ადამ **ევამან**, ლიტ. ქრესტ. 6, 11; და მაღალი იგი შეიწყნარე, ვითარცა **აბრაჰამმან**, სას. პოეზ. 122, 45; **ისაკმან** აკურთხა იაკობი, ებრ. 11, 20; **ხალათიელმან** შვა ზორობაბელ, მ. 1. 12 C; სარწმუნოებით უმრავლჱსი მსხუერპლი შეწირა **აბელმან** კაენისა, ებრ. 11, 4 ლაგ.; ვითარცა იხილა **კაენმან** სისხლი იგი, ლიტ. ქრესტ. 7, 11; **ადამმან** მისცეს საზრდელი ყოველთა პირუტყუთა, იქვე, 9, 14; კეთილად თქუა **დავითმან**, სახისმეტყ. 7, 1; მჴსნელისა მისთჳს თქუა **პავლემან**, იქვე, 8, 16; ვითარცა **იობმან** თქუა, იქვე, 15, 50; ესე **ჰრქუა თევდოსმან**, კიმ. I, 85, 35; გჳთხრა წმიდამან **სჳმიონმან**, იქვე, 297, 17 და სხვა.

4. ემფატიკური ა მიცემითსა და ნათესაობითში

ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ადამიანთა და საზოგადო სახელების ბრუნებისა, როგორც პარადიგმებიდანაც ჩანს, არის ის გარემოება, რომ საზოგადო სახელებს მიცემითსა, ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნებზე ერთვის ე. წ. ემფატიკური ა და ვღებულობთ ამ ბრუნვათა გავრცობილ ნიშნებს: ს-ა, ის-ა, ით-ა: ეს ემფატიკური ა, ფიქრობენ, ნაცვალსახელური წარმოშობისაა, რომელიც (ნაცვალსახელი) ნაწევრად იყო გამოყენებული (კაც-ს ამას, კაც-ის ამის, კაც-ით ამით) და რომლის თავკიდური ა დროთა ვითარებაში სახელის ბრუნვის ფორმას შეეზარდა. ადამიანთა სახელებს არ სჭირდებოდა ნაწევარი და არც მისგან მომდინარე ა გააჩნიათ მათ, ადამიანთა სახელები მიცემითსა და ნათესაობითში[2] სუფთა ბრუნვის ნიშანს გვიჩვენებს, მათ არ შეიძლება ჰქონდეთ და არცა აქვთ ემფატიკური ა. ამიტომ გვაქვს: იოსებ-ს, იოსებ-ის, მართა-ს, მართა-ჲს და სხვა (და არა: იოსებ-ს-ა, იოსებ-ის-ა და სხვ.).

მაგრამ, რაკი ძველსავე ქართულში დაიწყო ადამიანთა სახელების (სახელობითისა და მოთხრობითი ბრუნვის ფორმათა) საზოგადო სახელებთან გათანაბრება, ეს პროცესი ემფატიკურხმოვნიან ბრუნვებსაც შეეხო, პირველ

[1] უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ჲ ამ სახელს გადაყოლილი აქვს მოთხრობითსა და მიცემითშიც: ჰრქუა მას ჰაბოჲ, აბო 191, 19; უთხრეს ნეტარსა ჰაბოჲს, იქვე, 190, 26 და სხვა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჲ-ს ამ დროს ალბათ არ გამოთქვამდნენ, სხვანაირად მისი გადასვლა მოთხრობითსა და მიცემითში შეუძლებელია.

[2] მოქმედებითზე ქვევით ცალკე გვექნება საუბარი.

რიგში მიცემითს, და ადამიანთა სახელებს აქაც გაუჩნდათ ეს ემფატიკური ა. პირველ ხანებში ეს გათანაბრება სპორადულად იჩენდა თავს ზოგიერთ სახელში და ნელა მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგ სხვა სახელებსაც მოედო და სწრაფად იწყო გავრცელება. ახალ ქართულში, როგორც ცნობილია, ეს პროცესი დასრულებულია და ამ მხრივ ადამიანთა და საზოგადო სახელებს შორის განსხვავება აღარ არსებობს.

აქ დავიმოწმებთ სათანადო მასალებს ძველი ძეგლებიდან.

მიცემითი ბრუნვა

რომელი-იგი მრავლით ჟამითგან ექმნა **დავითსა**, უდაბნ. 61 vii; იგი არს, რომელმან **აბრაჰამსა** ჰრქუა, PO, 80, 10; რომელმან ცისკარი აღმოუბრწყინე **იაკობსა**, ჭილ-ეტრ. 79. 10; გული უკეთური შთაეცუა პირველად **ადამსა**, 3 ეზრა, 3, 21; **იოსებსა** მითხოვილ მარიამ ქალწული, იპოლ. 27, 171.

ფილეკტიმონის წამებაში ხშირად გვხვდება **აპოლონსა**, მაგალითად: დაემორჩილე თავყუანის-ცემად დიდსა მას ღმერთსა **აპოლონსა**. კიმ. I. 163, 13; უწყალოჲთა ტანჯვითა აღგასრულო შენ, თუ არა ჰმსახურო **აპოლონსა**, იქვე, 141, 1; დიდი წარსაწყმედელი ელის ჩემგან **აპოლონსა**, იქვე, 141, 8; უზორე **აპოლონსა**, იქვე, 153. 25 და სხვა.. მაგრამ **აპოლონ** აქ კერპის სახელად არის გამოყენებული და ბუნებრივიც არის, რომ მას ემფატიკური ა ჰქონდეს: მორწმუნის თვალში იგი ჩვეულებრივი საზოგადო სახელია და არა ადამიანისა და, მით უმეტეს, ღმერთისა. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგან აქვე ადამიანის სახელისათვის დამახასიათებელი ნორმაც გვხვდება, მაგალითად: (მე), ფილეკტიმონ, **აპოლონს** გიწერს. იქვე, 154, 13. ერთ ადგილას ეს სახელი ხმოვანფუძიანად არის გაგებული და მიცემითში ასე იკითხება: და ვითარცა შევიდა ყრმაჲ იგი ხატისა ბის. ჰრქუა **აპოლონის**, იქვე, 154, 19. როგორც ჩანს, ამ სახელის გადმოცემაში ერთგვარი მერყეობაა. ორი უკანასკნელი მაგალითი გვაფიქრებინებს მაინც, რომ ანიანი ფორმები შეიძლება გათანაბრების ნიმუშებადაც იქნეს გაგებული.

ნათესაობითი ბრუნვა

გათანაბრებას ადგილი აქვს ნათესაობითშიც. აქ იგულისხმება როგორც მარტივი ნათესაობითი (ჩვეულებრივ თანდებულიანი), ისე ორმაგი ბრუნების ნათესაობითი. პირველის მაგალითი იქნებოდა: **აბრაჰამისა** ნიმართ[1]. გალატ. 3, 16 და სხვა. მეორე შემთხვევის ნიმუშად გამოდგებოდა ორმაგი ბრუნების შემდეგი ფორმები: კეთილ არს ზრახვაჲ ესე **ქუშისაჲ**, 2 მეფ. 17, 14 (=ქუშისი; შდრ. სიტყუად იწყო **ქუში**, იქვე, 17, 15); ეკლესიაჲ... მარადის ქალწულისა **მარიამისაჲ**, კიმ. 1, 15, 24; ქმარმან დისა ნისისა **მარიამისამან**,

[1] „მიმართ“ თანდებულთან დაკავშირებით ნ. ზემოთ, გვ. 341—343.

იქვე, 16, 36 და სხვა. მაინც უნდა ითქვას, რომ საკუთარი სახელების საზოგადო სახელებთან გათანაბრების შემთხვევები ნათესაობითს ბრუნვაში ყველაზე ნაკლებადაა დადასტურებული.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, არას ვიტყვით გათანაბრებაზე ისეთი მაგალითების მიხედვით, როგორიცაა: ვითარცა **დანიელსა** წერილ არს, უდაბნ. 32 v8; რაჟამს **დავითსა** იტყჳდე, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 252, 20); მსწრაფლ ხოლო დაისწავლა **დავითი**, იქვე 236, 33; იწურთიდ ფსალმუნთა ყოველსა ჟამსა **დავითისათა**, მაძ. სწავ. 437 და სხვა. ამ მაგალითებში **დანიელი, დავითი** არა თავისი პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახმარი, არამედ ისინი წიგნის სახელებს წარმოადგენენ: **დანიელი** ნიშნავს დანიელ წინასწარმეტყველის წიგნს, მის წინასწარმეტყველებას, **დავითი** — დავით მეფის ცნობილ საგალობლებს, ფსალმუნს. ამიტომ ასეთ შემთხვევებში გათანაბრებაზე შეუძლებელია ლაპარაკი: აქ ჩვენ გვაქვს ადამიანთა სახელის გამოყენება საზოგადო სახელის მნიშვნელობით, საკუთარი სახელის განზოგადება.

იგივე უნდა ითქვას აგრეთვე იმ შემთხვევების შესახებაც, როცა ადამიანის სახელი ნახმარია ამა თუ იმ ხალხის, მოდგმის, ტომისა, თუ ქვეყნის მნიშვნელობით. ასეთ შემთხვევებშიც ეს სახელები საზოგადო და გეოგრაფიულ სახელებსავით იბრუნებიან, მაგალითად: იუდაჲ, იუდამან, იუდასა და სხვა.

5. მოქმედებითისა და ვითარებითის წარმოება

საკუთარ (ადამიანთა) და საზოგადო სახელთა შორის განსხვავება კარგად ჩანს აგრეთვე მოქმედებითსა და ვითარებითში. ამის შესახებ სიტყვა დაუთმოთ ა. შანიძეს, რომელსაც საკუთარ სახელთა ეს თავისებურება მოკლედ და ზუსტად აქვს ჩამოყალიბებული:

„პირის სახელებს და რამდენადმე გეოგრაფიულ პუნქტთა სახელებს ზოგიერთი თავისებურება აქვთ:

a) ყველა ბრუნვის წარმოება უჭირთ. პირის სახელებს ჩვეულებრივ მოეპოვებათ სამი ფორმა, რომელთაგანაც: ერთი საზოგადო სახელთა სახელობით-მოთხრობით-წოდებითის ბადალია (ეს ბრუნვები გარჩეული არაა და არც რაიმე ბრუნვის ნიშანი მოუდისთ), მეორე მიცემითისაა და მესამე — ნათესაობითისა.

b) ნათ.-სა და მიც.-ში, საზოგადო სახელთაგან განსხვავებით, არ დაერთვის ბოლოში ა.

c) მრავლობითი რიცხვი არ გააჩნიათ“ [1].

ზემოთ წარმოდგენილი დახასიათების პირველ პუნქტში რომ არის ნათქვამი „ყველა ბრუნვის წარმოება უჭირთო“, აქ ნაგულისხმევია წრფელობითი, მოქმედებითი და ვითარებითი. წრფელობითზე ზემოთ გვქონდა საუბარი. აქ ჩვენ უნდა შევეხოთ მოქმედებითსა და ვითარებითს.

[1] ა. შანიძე, ძვ. ქართ. ენა, გვ. 290.

ადამიანთა სახელებს იშვიათად თუ შეეხვდებით მოქმედებითში, ხოლო ვითარებითში ეს სახელები თითქმის სრულებით არ გვხვდება.

მაგრამ კითხვა ისმის: ხომ იყო საჭირო ამ სახელების დასმა აღნიშნულ ბრუნვებში? რით ინაზღაურებდა ამ დანაკლისს ადამიანთა სახელები? ადამიანთა სახელების დასმა მოქმედებით-ვითარებითში, რასაკვირველია, ძველადაც სჭირდებოდათ, გარკვეულ შემთხვევებში ის აუცილებელი იყო. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მიმართავდნენ ორმაგ ბრუნებას: საჭირო სახელს დასვამდნენ ნათესაობითში, ნათესაობითის მთელ ფორმას (ფუძესა და ბრუნვის ნიშანს) აიღებდნენ ახალ ფუძედ და ისე აბრუნებდნენ. მოკლედ: ადამიანთა სახელებს მოქმედებითსა და ვითარებითში ორმაგი ბრუნვის ფორმით იყენებდნენ. მაგალითად, ნათესაობითის ფორმა „დავითის“ ასე იბრუნებოდა:

წრფ.	დავით-ის
სახ.	დავით-ის-ი
მოთხ.	დავით-ის-მან
მიც.	დავით-ის-ს-ა
ნათ.	დავით-ის-ის-ა

მოქმ. დავით-ის-ით (გამოსვლ.), დავით-ის-ით-ა (საჭურვ.)
ვით. დავით-ის-ა(დ), დავით-ის-ა(დ)მდე
[წოდ. დავით-ის-ო].

ადამიანთა სახელის ასეთი მოქმედებითი უმთავრესად გამოსვლითის მნიშვნელობით გვხვდება. „დავითისით“ ასეთ შემთხვევაში ნიშნავს ახალი ქართულის ფორმას „დავითიდან“, ხოლო „დავითისა(დ)მდე“—„დავითამდე“. ამ შემთხვევაში მსგავს სახელებს დაკარგული აქვთ ორმაგი ბრუნვის **შინაარსი**, რადგან გარკვეული საზღვრული მათთან ხელშესახებად არ იგულისხმება, ის შეიძლება მხოლოდ თეორიულად აღვადგინოთ: (დღითგან, ან ჟამითგან) **დავითისით**, (დღემდე, ან ჟამადმდე) **დავითისა**. პრაქტიკულად კი „დავითისით“, „დავითისამდე“ „დავით“-ის ნაკლული ფორმების შევსებას წარმოადგენს. დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი:

მოქმედებითი ბრუნვა

მღდელთასა ვიტყჳ და ფარისეველთასა **ჰეროდესითურთ** სიბრმითა მათითა, პარხ. 82 გ; სისხლითგან **აბელისით**, ლ. 11, 51; იწყო პირველად **აბელისითგან** და მოიწია ვიდრე ნოესამდე, პარხ. 898 გ; უკუეთუ მიბრძანო მე, ვიწყო **პლატონისითგან**, იქვე, 1142; ხოლო კათალიკოზნი, რომელ **ევნონისითგან** მომართ იყვნეს, მოქც. 67, 7; **ნოესითგან** და **ებერისითგან** და **აბრაჰამისითგან**, იქვე, 3, 16; იწყო **მოსჱსითგან**, ლ. 24, 27 C; მოიყვანეს იესუ **კაიაფაჲსით** ტაძრად, ი. 18, 28; **ადამისითგან** მოსჱსამდე, ჰრომ. 5, 14; **იაკობისით**, გალატ. 2, 12; **დავითისითგან**, მ. 1, 17 C; სასოებაჲ მაქუს ქრის-

ტესთჳს დათხევად სისხლისა მსახურით უფლისაჲთ **ზოსიმესითურთ**, ეტ. III. 175, 31.

ვითარებითი ბრუნვა

იწყო პირველად აბელისითგან და მოიწია ვიდრე **ნოვესამდე** და **აბრაჰამისა, ისაკისა** და **იაკობისა** და **მოსჱსა** და **იესუჲსა, დავითისა** და **სამოელისა, ელიაჲსა** და **ელისჱსა** და **იოვანჱსა**, პარხ. 898 g; ადაჳთგან ვიდრე **ქრისტჱსამდე**, იპოლ. 27, 92; ...ვიდრე **ქრისტესამდე**, მ. 1, 17 C; ადამისითგან **მოსჱსამდე**, ჰრომ. 5, 14; თუალთ. 52, 18; ყოველი ნათესავი აბრაჰამისითგან ვიდრე **დავითისამდე** ნათესავი ათოთხმეტ, მ. 1, 17 AB; ყოველნი წინაწარმეტყუელნი და შჯული ვიდრე **იოვანესამდე** წინაწარმეტყუელებდეს, მ. 11, 13.

მაგრამ ამ ორმაგი ბრუნვის ფორმების გვერდით გვაქვს ნამდვილი მოქმედებითი (უფრო ხშირად) და ნამდვილი ვითარებითი (ძალზე იშვიათად). ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ადამიანთა სახელებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ფორმები მარტივი ბრუნვის ნიშნით. შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში აღნიშნული ფორმები მოქმედებითში თანდებულით არის წარმოდგენილი (ურთ, გან), ძალზე იშვიათად — უთანდებულოდ. **ურთ** თანდებულთან სახელი თანაობას, ერთადობას აღნიშნავს (მარიამითურთ= მარიამთან ერთად), **გან** თანდებულთან—მოქმედების საწყის პუნქტს დროში (ადამითგან=ადამიდან, ადამის დროიდან). ვითარებითში სამიოდე სახელია დადასტურებული. ამათგან ორი უთანდებულოდ არის მოცემული, ერთი — თანდებულით. აქაც დავიმოწმოთ სათანადო მაგალითები.

მოქმედებითი ბრუნვა

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

უ რ თ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი

კმა-ეყოფიან მსახურებად მისა ქალწული **იოსებითურთ**, კიმ. I, 185, 36; აღვიდა იოსეფცა გალილეაჲთ... ჰურიასტანდ... **მარიამითურთ**, ლ. 2, 5 C. ეს ფორმა სახარების ამ ადგილიდან ასეთი სახით გადავიდა ჩვენი ძველი მწერლობის ბევრ ძეგლში, მაგალითად: აღვიდა იოსებცა... აღწერად **მარიამითურთ**, კიმ. I, 186, 17; მრავ. 267, 29; სვან. 25 b.

...მუნ იყო პეტრე **იაკობითურთ**, ჰილ-ეტრ. 211 v; და მოვიდეს სახედ სიმონისა და ანდრიაჲსა **იაკობითურთ** და იოჰანეთურთ, მრ. 1, 29 C; ხოლო დიდი ანდრეა **სიმონითურთ** შევიდეს ქუეყანასა ოესეთისასა, ლიტ. ქრესტ. 28, 5; და მოიღო იგი საულ და შეჰამა **სამოელითურთ** მას დღესა შინა, 1 მეფ. 9, 24; მოითხოვა იოსეფ ცხოველს-მყოფელი გუამი იესუჲსი დღეს პილატესგან **ნიკოდემოსითურთ**, სას. პოეზ. 288, 67; მიწერა მათა წიგნი, რაჲთა გარდამოიღონ ნაძჳსა ძელი ლიბანით და აღაშჱნონ **ზორობაბელითურთ** ქალაქი იგი, დანიელ 4, 48.

გან თანდებულიანი

ადამითგან ვიდრე ქრისტჱსამდე, იპრლ. 27, 92; სამეოცნი მამანი არიან **ადამითგან** ვიდრე ქრისტჱსამდე აღსრულებულ, იქვე, 27. 114; ყოველი ნათესავი **აბრაამითგან** ვიდრე დავითისამდე ნათესავი ათოთხმეტ, მ. 1, 17 C. ეგევე ადგილი ამ სახით გადასულია შატბერდის კრებულში დაცულ ძეგლში („თუალთაჲ"), რომელიც რ. ბლეიკის მიერ არის გამოცემული: **აბრაჰამითგან** ვიდრე დავითისამდე ნათესავი ათოთხმეტ, თუალთ. 68, 32. ერთ შემთხვევაში მოქმედებითი გვხვდება უთანდებულოდაც. აი ეს შემთხვევაც:

ამას სამკჳდრებელსა მახლობელ არს ნაზარეთი გალილეაჲსაჲ. რომელსა შინა შობასა და მიდგომილებასა მარიამისსა მიეხარა **გაბრიელითა**, თუალთ. 63. 23. ეს მაგალითი სამი მხრით იქცევს ჩვენს ყურადღებას: ა) ადამიანის სახელს აქვს ნოქმედებითი ბრუნვა; ბ) ეს მოქმედებითი უთანდებულოა, რაც იშვიათია საერთოდ; გ) მას აქვს ემფატიკური ა. აქედან გამომდინარეობს, რომ მას აქვს არა გამოსვლითის შინაარსი, არამედ ჩვეულებრივი, ახალი ქართულიდან კარგად რომ არის ცნობილი: გაბრიელითა — გაბრიელის მიერ, გაბრიელისაგან. მაშასადამე, მოქმედებითშიც გვაქვს ადამიანის სახელების საზოგადო სახელებთან გათანაბრების შემთხვევები.

ხმოვანფუძიანი სახელები

მივიდა (პეტრე) წუნ **მაკრინაჲთურთ**, ცოლისა მისისაჲთ, სვან. 301 g; ბრძანა გარდამოჴსნაჲ ცისი მიერ და წარყვანებაჲ **გურიაჲთურთ**, პარხ. 1082 b; მოვიდეს სახედ სიმონისა და ანდრიაჲსა იაკობითურთ და **იოჰანეთურთ**, მრ. 1, 29 C: მიჰხედა მას პეტრე **იოვანჱთურთ** და ჰრქუა. მოც. 3, 4; **სტეფანეთურთ** და ყოველით კრებულით მათით, თეკლ. 124, 19: და ეჩუენა მას ელია **მოსჱთურთ**, ნრ. 9. 4 C; რაჟამს საყუარელი იგი ძჱ ღმრთისაჲ ზეცით დიდებით **მოსეთურთ** გამოჩნდეს, შატბ. 263 g.

ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ სახელი „ქრისტე" მოქმედებითში ისე გვხვდება, როგორც ყოველი სხვა საკუთარი (ადამიანის) სახელი, მაგალითად:

რამეთუ მოჰკუედით და ცხოვრებაჲ თქუენი დაფარულ არს **ქრისტჱთურთ** ღმრთისა თანა, კოლას. 3, 3.

ვითარებითი ბრუნვა

აქ, როგორც აღვნიშნეთ, გვაქვს სამი სახელი: ესენია: იეზაბელ. ქრისტე და დიოკლიტიანე. ერთი ამათგანი თანხმოვანფუძიანია (იეზაბელ), ორი — ხჱოვანფუძიანი (ქრისტე. დიოკლიტიანე). პირველს ვითარებითის ნიშნად **ად** ბოლოსართი აქვს, როგორც მოსალოდნელი იყო; მეორეს **დ** აქვს, მესამე კი თანდებულით არის ნახმარი და **შდე**-ს წინ ბრუნვის ნიშანი **დ** დაკარგულია. პირველი და მესამე ერთხელ შეგვხვდა ვითარებითში, მეორე — სამჯერ. ასე რომ, საერთოდ შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანის სახელი ძველ ქართულში გვხვდება ვითარებითშიც. აი ეს მაგალითები:

რამეთუ ნიკოლაელთა წვალებასა, რომელსა სახელ-სდევა **იეზაბელად**, უტევეთ კადნიერ ყოფად ცთუნებად მონათა ჩემთა, თარგმ. გამოცხ. 2, 20; იტყოდა თავსა თჳსსა **ქრისტედ**, ლ. 23, 2; აღ-თუ ვინმე -იაროს· იგი **ქრისტედ**, კრებულისაგან განჴადონ იგი, ი. 9, 22; თავსა თჳსსა იტყჳს **ქრისტედ** მაცთური იგი, უწყებაჲ ↓ იოვ. კათ. ეპისტ.; რამეთუ ჰრომს შინა ვიდრე **დიოკლიტიანემდე** დათხეულნი სისხლნი მოწამეთანი ვინ აღრაცხნეს, თარგმ. გამოცხ. 17, 6.

6. რა ფორმაა „დავითისა“?

ადამიანთა სახელებში ხშირად გვხვდება ისეთი ფორმები. როგორიცაა: იესუჲსა, დავითისა, იაკობისა, მართაჲსა, მარიამისა, პეტრესა და სხვა. რა ფორმებია ესენი? რა ბრუნვაა? ზემოთ წარმოდგენილ პარადიგმებში ასეთ ფორმებს არ ვხვდებით. მაშასადამე, ისინი არცაა რომელიმე მარტივი ბრუნვის ფორმა. საქმის ვითარების გარკვევას ხელს შეუწყობს, ვიცოდეთ, თუ რა შემთხვევაში იხმარება ისინი.

იესუჲსა, დავითისა და მსგავსი ფორმები იხმარება მიმართულების აღმნიშვნელ ზმნებთან, მიმართულების ჩვენებისას, მაგალითად:

შემოკრბეს მოციქულნი **იესუჲსა**, მრ. 6, 30; მრავალნი ჰურიათაგანნი მოსრულ იყვნეს **მართაჲსა** და **მარიამისა**, ი. 11, 19; მოვიდა იესუ გალილეაჲთ იორდანედ **იოვანესა**, მ. 3, 13; ესე მოვიდა **პილატესა**. მ. 27, 58 და სხვა.

შემდეგ, ასეთი ფორმები იხმარება ვითარებითს ბრუნვაში მდგარი სახელის მსაზღვრელად, მაგალითად:

მოვიდა იესუ სახიდ **პეტრესა**, მ. 8, 14 C; რომელ საგონებელ იყო... ძედ **იესუჲსა**, ლ. 3, 29. ასეთ კონტექსტშია ნახმარი აგრეთვე ფორმები: იოსებისა, იუდაჲსა, ნერისა, სალათიელისა, სჳმეონისა, დავითისა. ისააკისა, იაკობისა, თარაჲსა, რაგავისა. ფალეგისა, მათუსალაჲსა, ენუქისა, ადამისა და ბევრ სხვა (ლ. 3, 24 — 38). ძნელი არ არის მიხვედრა. რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს **ორმაგ ბრუნვასთან** და „ძედ იოსებისა“-ში **იოსებისა** ნათესაობით-ვითარებითის ფორმაა, ოღონდ დ დაკარგულია (არა ყოველთვის). ასეთივე ფორმაა აგრეთვე „იესუჲსა“ წინადადებაში „მოვიდა იესუჲსა“. სადაც საზღვრული დროთა ვითარებაში დაკარგულა და მხოლოდ მსაზღვრელი შეგვრჩენია. ასეთ საზღვრულად იგულისხმებოდა ალბათ სახიდ, ან ადგიდ, ან მისი მსგავსი სხვა სიტყვა. ამგვარად, „მოვიდა იესუჲსა“ ნიშნავს: „მოვიდა სახიდ (ან ადგიდ) იესუჲსა“. თუ ეს ასეა, „იესუჲსა“-ში ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დ დაკარგული უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, **იესუჲსა** სხვა ბრუნვის ფორმა ვერ იქნება. გამოდის, რომ **იესუჲსა, დავითისა** არ არის მაოტივი (ცალმაგი) ბრუნვის ფორმა და მას არც შეიძლება ადგილი ჰქონდეს პირის სახელთა ბრუნების ჩვეულებრივს პარადიგმებში: მისი ადგილი ორმაგი ბრუნების სისტემაში უნდა ვეძიოთ.

არაფერს არ ამბობს ის გარემოება, რომ **იესუჲსა, დავითისა** წინადადებაში ცალკე გვხვდება და მათთან არაა მოცემული და არც ხელშესახებად იგულისხმება გარკვეული საზღვრული: „მოვიდა დავითისა“, „მოვიდა იესუჲსა“, „მოვიდა პეტრჱსა“ სრულიად ბუნებრივი და ჩვეულებრივი გამოთქმებია. ეს, მართალია, ასეა, მაგრამ ასევე ბუნებრივი და სრულიად ნორმალური და ჩვეულებრივი გამოთქმებია აგრეთვე **აბრაჰამისითგან** ვიდრე **დავითისამდე** და მსგავსი მაგალითები, რომელთაც ენაში ასე ხშირად ვხვდებით. მაგრამ არც **აბრაჰამისითგან** არის მარტივი მოქმედებითი და არც **დავითისამდე**—მარტივი ვითარებითი. აქ, როგორც ვნახეთ, აშკარად გვაქვს ორმაგი ბრუნვის ნიმუშები: **აბრაჰამისითგან** არის ნათესაობით-მოქმედებითის ფორმა (გამოსვლითის მნიშვნელობით), ხოლო **დავითისამდე** — ნათესაობით-ვითარებითისა. ამას ამტკიცებს მათი ფორმაც: აბრაჰამ-ის-ით-გან, დავით-ის-ა-მდე, სადაც პირველ სიტყვაში **ის** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, **ით** — მოქმედებითისა; მეორეშიც **ის** ნათესაობითის ნიშანია, ხოლო **ა** ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილია, რომელსაც თანხმოვანი **დ** დაჰკარგვია: დავით-ის-ად-მდე → დავით-ის-ა-მდე. საზოგადო სახელებში ასეთი ფორმა მთლიანად ემთხვევა ნათესაობითის ფორმას და იქ ამ ფორმის ცალკე გამოყოფა არ ხერხდება. ყოველ შემთხვევაში, ფორმალურად ასეთი მნიშვნელობის ფორმები იქ არ გამოიყოფა.

მაგრამ ნაცვალსახელებში, როგორც პირის სახელებში, აშკარად ჩანს იგი: აქ ჩვეულებრივი ნათესაობითი და ის ფორმები, რომლებზედაც საუბარია, აშკარადაა ერთმანეთისაგან გარჩეული. განსხვავებას ქმნის ნაცვალსახელებზე ბოლოს დართული **ა**, რომელიც პირის ნაცვალსახელთა ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ნაწილი უნდა იყოს: მ-ის-და → მ-ის-ა. ამის ნიმუშებია: მოვიდეს **მისა**, მრ. 2, 3; მრავალი ერი მოვალს **მისა**, ი. 6, 5; გამოვიდა პილატე **მათა**, ი. 18, 29; რაჲთა **მათა** შევიდეთ, მრ. 5, 12. მსგავსი ფორმებია წარმოდგენილი მაშინაც, როცა ეს ნაცვალსახელი ვითარებითში მდგარი სახელის მსახღვრელადაა აღებული (როგორც ეს პირის სახელებთან ვნახეთ), მაგალითად: არღარავინ იკადრა კითხვად **მისა**, მრ. 12, 34; რაჲთა შევიდეს სახიდ **მისა**, ლ. 8, 41; იწყეს შესმენად **მისა**, ლ. 23, 2; ვიდრე კიდემდე **მათა**, მ. 24, 31 D; იყო მოძღურებად **მათა**, მრ. 1, 22 C. ხაზგასმულ ნაცვალსახელებში **ა**, როგორც აღვნიშნეთ, მიღებულია **და**-საგან, რაც არაიშვიათად დაცულიც არის: მოვიდა **მათდა** იესუ, მ. 14, 25 C; შევიდა **მათდა** გულის-სიტყუაჲცა, ლ. 9, 46 C; უნდა თანა-წარსლვად **მათდა**, მრ. 6, 48 C და სხვა [1].

ასე რომ, „იესუჲსა“, „დავითისა“ და მსგავსი ფორმები არ წარმოადგენს ამა თუ იმ ძარტივ ბრუნვას, ისინი რთული—ნათესაობით-ვითარებითი—ბრუნვაა და ამიტომ ორმაგი ბრუნვების სისტემაში უნდა იქნეს გადარიცხული.

---

[1] შდრ. ს. ხ ე ნ კ ე ლ ი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 25, 1943, გვ. 173—178 და სხვ.

7. ადამიანთა ზოგიერთი სახელის ბრუნების შესახებ

პირის სახელი „ქრისტე“ ძველ ქართულში თავისებურად იბრუნვის: ზოგ ბრუნვაში ის საზოგადო სახელებს მისდევს, ზოგში კი ისე იბრუნვის, როგორც ადამიანის სახელი. ასე, მაგალითად, საზოგადო სახელსავით იბრუნვის ის მიცემითში, მოთხრობითსა და ვითარებითში, ადამიანთა სახელსავით — ნათესაობითში, მოქმედებითსა და წოდებითში. წრფელობითი და სახელობითი, როგორც ვიცით, ე-სა და ი-ს გარჩევაზეა დამყარებული. ი ასო კი ძველ ქართულში, როგორც აღნიშნული გვაქვს ზემოთ (გვ. 107 — 111), ხშირად ე ასოს ადგილას იხმარება და ამიტომ მისი ჩვენება კრიტერიუმად არ გამოგვადგება.

რაში მდგომარეობს ამ სახელის ბრუნების მსგავსება საზოგადო სახელების ბრუნებასთან? მიცემითში მას აქვს საზოგადო სახელებისათვის დამახასიათებელი ხ-ა სუფიქსი (და არა ს), მოთხრობითში — **მან**. ხოლო ვითარებითში ჩვეულებრივ იხმარება და დაირთავს დ სუფიქსს. მაგალითები:

მ ი ც ე მ ი თ ი: თავისა თჳსისა ვერ ძალ-უც ცხოვნებად **ქრისტესა**. მრ. 15, 31; ვითარ უკუე იტყჳან თქუენგანნი ვინმე **ქრისტესა** ძედ დავითისა, ლ. 20, 41; ვაკურთხევდეთ და აღვამაღლებდეთ **ქრისტესა** ღმერთსა, სას. პოეზ. 74, 132; **ქრისტესა** ჰხედევდი წინაჲსწარ მარჯუენით შენსა. იქვე. 117. 62.

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი: მრავალნი კურნებანი ყვნა **ქრისტჱმან** მათ შორის, ევსტ. 169, 2; ხოლო **ქრისტემან** მიჰრიდა მათ, იქვე, 169, 6; აკურთხა წყალი იგი **ქრისტემან**, იქვე 169, 24; ხოლო **ქრისტემან** ჰრქუა მოწაფეთა, იქვე, 169, 34; აღიღო **ქრისტემან** შოლტი და გამოასხა კაცები იგი. იქვე, 170. 27; **ქრისტემან** წიგნსა ცხოველთასა დაწერენ იგინი, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 267, 4) და სხვა.

მაგრამ იშვიათად შესაძლებელია ამ საბელშიც ისეთიე მდგომარეობა გექონდეს, როგორც სხვა ადამიანთა სახელებში, ე. ი. მოთხრობითი ბრუნვა ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი, მაგალითად: აწ უკუე რაჲ გნებავს ყოფად, ყავ და იხილო, ვინ-ძი სძლოს: შენ ანუ **ქრისტე**, პარხ. 1184 b (=ქრისტემან); ჯ ენიას, განგკურნოს შენ უფალმან იესუ **ქრისტე**, არიმ. 57, 69, 4.

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი: იტყოდა თავსა თჳსსა **ქრისტედ**, ლ. 23, 2; აღ-თუ ვინმე-იაროს იგი **ქრისტედ**, კრებულისაგან განჴადონ იგი, ი. 9, 22.

ეს სახელი პირის სახელებს იმით ჰგავს, რომ ნათესაობითსა და მოქმედებითში არ იკვეცება და არც ეპფატიკურ ა-ს ირთავს, ხოლო წოდებითში ფუძის სახით არის მოცემული, მაგალითად:

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი: ვითარ ჰგონებთ თქუენ **ქრისტჱსთჳს**, მ. 22, 42; მადლი და ჲეშმარიტებაჲ იესუ **ქრისტჱს** მიერ იქმნა, ი. 1, 17; იესუ **ქრისტეს** შობაჲ ესრეთ იყო, მ. 1, 18 და სხვა.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი: ცხოვრებაჲ თქუენი დაფარულ არს **ქრისტჱთურთ** ღმრთისა თანა, კოლას. 3, 3 და სხვა.

წ ო დ ე ბ ი თ ი: გჳწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, **ქრისტე**, ვინ არს, რომელმან გცა შენ. მ. 26, 68; მრ. 14. 65 და სხვა.

8. რამდენიმე ადამიანის სახელი ერთად

ამდენ ხანს ჩვენ საუბარი გვქონდა ისეთ შემთხვევებზე, როცა წინადადებაში მოცემული იყო ერთსა და იმავე ბრუნვაში და ერთისა და იმავე ფუნქციით **მხოლოდ ერთი** სახელი. ახლა უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები. როცა მსგავს გარემოებაში წარმოდგენილი იქნება **ორი** ან **მეტი** სახელი. აქ, როგორც ჩანს, საქმე ეხება შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრებს, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქვემდებარედ, დამატებად, განსაზღვრებად. ამ შემთხვევაში ძველი ქართული ენის მთელ რიგ ძეგლებს ემჩნევა ერთი საინტერესო თავისებურება: ორი ან მეტი სახელიდან ამა თუ იმ ბრუნვაში ბრუნვის ფორმას გვიჩვენებს მხოლოდ ერთი სახელი, ჩვეულებრივ (თუ ყოველთვის არა) უკანასკნელი, სხვები კი ფუძის სახით არის წარმოდგენილი. არის ამ ხაზის განვითარების უკიდურესი მწვერვალი: აღნიშნულ საკუთარ სახელთაგან არც ერთს არა აქვს ბრუნვის ფორმა, ყველა მათგანი ფუძის სახით არის მოცემული, ბრუნვის რაობას კი არკვევს მათთან მსაზღვრელად წარმოდგენილი საზოგადო სახელი, რომელიც გვაცნობს და გვაგებინებს, თუ რომელი ბრუნვის შინაარსით უნდა გავიგოთ ისინი.

აქ აღარ დავაჯგუფებთ სათანადო მაგალითებს იმის მიხედვით, თუ რამდენი ასეთი სახელია ერთად წარმოდგენილი, რა სინტაქსური ფუნქცია აკისრია მათ და რომელ ბრუნვაში. იგულისხმება ფუძის სახით მოცემული სახელი. ამის გაგება აქ წარმოდგენილი მაგალითებიდანაც ადვილად შეიძლება. ნიმუშებს წარმოვადგენთ ისე, როგორც ამოწერილი გვაქვს ისინი სხვადასხვა ძეგლებიდან. აი ეს ნიმუშებიც:

...შენი არს განსუენებაჲ წიაღთა **აბრაჰამისთა, ისაკ** და **იაკობისთა**, პარხ. 617 ბ). აქ სამი სახელიდან გაფორმებულია ორი: პირველი და უკანასკნელი, ფუძის სახითაა წარმოდგენილი მეორე. ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში პირველი სახელიც გაუფორმებლად არის ხოლმე მოცემული.

...მიერ დღითგან მადლითა წმიდათა მოწამეთა **კჳრკოს** და **იოვანესითა** განქარდა საცთური იგი და უცნებაჲ მიერ ადგილით, პარხ. 835 გ; უფალო ღმერთო წმიდათა მოწამეთაო **სილოვანე** და **ლუკა** და **მაქსიმეჲსო**, შენ ეწიე მეცა, მონასა ამას შენსა, იქვე. 841 გ.

ყველა აქ დასახელებულ მაგალითს წინ უძღვის ზოგადი განსაზღვრება. რომელიც გვიჩვენებს, თუ ვინ არიან ეს პირები, რომლებზედაც საუბარია. ეს განსაზღვრება თითქო გვეხმარება მომდევნო უბრუნველ სახელთა ფორმის გაგებაში. ასეთი განსაზღვრებებია „წმიდათა“, „მოწამეთა“ და სხვა.

...განიტკიცე პირი შენი გოგის ზედა ქუეყანასა მაგოგისსა, მთავრისა მის **როსს, მოსოქ** და **თობელისსა**. ეზეკ. 38, 2. აქ „როსს“, რასაკვირველია, არაა გაფორმებული სწორად: თუ გაფორმდებოდა სათანადოდ, უნდა გვქონოდა

ნათესაობით-მიცემითის ფორმა „როსისსა“, როგორც არის იქვე წარმოდგენილი უკანასკნელი სახელი „თობელისსა“. აქ „როსს“ უფრო ფუძედ არის ნაგულისხმევი. მართლაც, იქვე იგი სუფთა ფუძის სახითაც არის მოცემული: **აჰა ესერა მე შენ ზედა გოგ, მთავრისა როს, მოსოქ და თობელისა,** იქვე, 38, 3; 39, 1. ორი სანი პირველ შემთხვევაში (როსს) ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ ფუძე სანზე ბოლოვდება (როს) და მარტივ მიცემითში სხვა შემთხვევაში საჭიროა ორი სანი (როს-ს).

...წამებად წმიდათა და კეთილად მძლეთა მოწამეთად **გურია, სამონა, აბიბოსეთი**. პარხ. 1058 b; რომელნი მიემსგავსნეს მამის ძმის-წულთა შენთა, ყრმათა მათ ბაბილონისათა **ანანია, აზარია** და **მისაელს**, იქვე, 1016 b; რამეთუ მაშინცა იქმნას გარდაქცევად წყალთად სისხლად **ენუქ** და **ელიადს** მიერ, ვითარცა პირველ მოსეს ზე. თარგმ. გამოცხ. 16, 5; წმიდისა **კოზმან** და **დამიანეს**ი ყოველი ჰპოო ოქტონბერსა ი"ზ, იერ. განჩ. 54; და ენანმან რომელმან თქუას სიტყუად გმობისად ღმრთისათჳს **სედრაქ, მისაქ** და **აბედნაგოსთჳს**, იგი წარსაწყმედელსა მიეცეს, დანიელ 3, 96 ლაგ. ეგევე ადგილი ოშკის ხელნაწერში ასეა მოცემული: ყოველმან ერმან, ტომმან და ენამან რომელმან თქუას გმობად ღმრთისათჳს **სედრაქ, მისაქ** და **აბედნაგოსა**, წარსაწყმედელად მიეცნენ. აქ არც თანდებული ერთვის გაფორმებულ სახელს **აბედნაგოსა**. ნაგულისხმევია, რომ ზოგადი სახელისათვის დართული **თჳს** თანდებული (ღმრთისათჳს) ამასაც ეკუთვნის. სამაგიეროდ ამ სახელს ჩვეულებრივი წესით ბოლოს ა ემატება (ღმრთისათჳს ...აბედნაგოსა).

...და იყვნენ მართალნი წმიდათა თანა მოწამეთა... მამათ-მთავართა **აბრაჰამ, ისაკ** და **იაკობის** თანა, მამ. სწავ. 307; არავინ ეპოვა მათ ყოველთაგანი მსგავსი და სწორი **დანიელისი, ანანია, აზარია** და **მისაელისი**, დანიელ 1, 19. ამ მაგალითში 4 სახელია ერთად წარმოდგენილი, რომელთაგან გაფორმებული ორია: პირველი და უკანასკნელი; დანარჩენი ორი კი ფუძის სახით არის მოცემული. ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში პირველი სახელიც არაა ხოლმე გაფორმებული.

...რაჟამს იხილა მტერმან კეთილად აღორძინებად **დავით** და **ტირიფანისი**, ლიტ. ღრთ. 200, 18; თქუმული მამათ-მთავართად სახარებისაგან სულისა წმიდისა მიერ **მათ**ჳ და **ლუკაჲსგან** საკითხავი. ლიტ. ქრესტ. 13, 30.

ახლა მოვიყვანოთ ისეთი მაგალითები, სადაც არც ერთ სახელს არა აქვს ბრუნვის ნიშანი და ამ სახელთა ბრუნვას ვარკვევთ მათთან წარმოდგენილი განსაზღვრებების ფორმით, მაგალითად:

წამებად კეთილად მძლეთა წმიდათა მოწამეთად **პავლე, ბილოს, თეონ, ირონ** და მოყუასთა მათთად, პარხ. 943 b; კიმ. 11, 20 (სათაურში). აქ სახელები ნათესაობით-სახელობითის ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი, რასაც არკვევს საზღვრული **წამებად** და აღნიშნულ პირის სახელთა ფუნქციით ნაამარი „მოყუასთა მათთად“. ცალკე იქნებოდა: წამებად **პავლ**ჳსი, წაიებად **ბილოსისი**, წამებად **თეონისი**, წამებად **ირონისი**. ასეთი მაგალითია კიდევ: და შეიდა დანიელ სახლსა თჳსსა **ანანია, აზარია** და **მისაელ**, მოყუსით მისითურთ, დანიელ 2, 17. „დანიელ“ აქ, რა თქმა უნდა, სახელობითშია.

ყველა დანარჩენი — მოქმედებითში იგულისხმება, რასაც ამტკიცებს ბოლოს დართული საზოგადო სახელი „მოყუსით მისითურთ“. აქ ამ სახელთა ფუძის სახით წარმოდგენას სხვა საფუძველიც აქვს: მათი დასმა მოქმედებითში ჩვეულებრივ არ ხერხდება. მოქმედებითში ჭირს აგრეთვე საზოგადო სახელის გამოხატვა მრავლობითის ფორმით, რის გამოც აქ გვაქვს „მოყუსით“, თუმცა „მოყუასნი“ სამნი იყვნენ.

ხანდახან ერთად წარმოდგენილ ორ სახელს შორის კავშირი „და“ გამოტოვებულია და ეს ორი სახელი თითქო კომპოზიტის სახეს ატარებს: საყოფელსა წმიდათა **კოზმან-დამიანეთასა**, მოც. გვ. 021, 1. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია, თუ გაფორმებული აღმოჩნდეს უკანასკნელი სახელი, ხოლო ფუძის სახით იყოს პირველი. ასეთია აგრეთვე ჴსენებაჲ **პეტრე-პავლეთაჲ**, ჭილ-ეტრ. 224 v.

ხომ არ იგულისხმება ზემოთ წარმოდგენილ სხვა შემთხვევებშიც ასეთი მიდგომა და ასეთი შინაარსი? ე. ი. ხომ არა ჰქონდათ წარმოდგენილი „ანანია, აზარია და მისაელ“, „სედრაქ, მისაქ და აბედნაგო“ და სხვ. რაღაც ერთ მთლიან, მართალია, რთულ, მაგრამ მაინც ერთ ერთეულად? თითქოს ჰო. დამახასიათებელია, რომ ასეთი თვისების მქონეა არა ყოველნაირი საკუთარი სახელი, არა სხვადასხვა ნაწარმოებიდან ამოღებული საკუთარი სახელი, არამედ ისეთები, რომლებიც მუდამ ერთად იგულისხმებიან, სულ ერთად იხსენებიან, სულ ერთიმეორის გვერდით არიან. ესაა ერთი რომელიმე ნაწარმოების გმირები, ერთი აზრით გამსჭვალული, ერთი შეხედულების მქონე, ერთად მებრძოლი, ერთად მოღვაწე, ერთად წამებული. ისინი თითქო ერთ განუყოფელ ერთეულს წარმოადგენენ, თითქო ერთი გმირია, ერთი რთული პერსონაჟი. ასეთებია ანანია, აზარია და მისაელ, პეტრე და პავლე, კოზმან და დამიანე, დავით და ტირიჭან და სხვანი. მათი ერთად ხშირი ხმარება, ერთად ყოფნა, ერთმანეთის გვერდით არსებობა ქმნის შესაძლებლობას ერთ ერთეულად აღიქვან იგი, ერთად გააფორმონ, ან, უკეთ, ამ რთული ერთეულის ბოლო სიტყვა გააფორმონ. ამიტომაა, რომ ბრუნვის ფორმა ამათგან ჩვეულებრივ ბოლო სახელს აღმოაჩნდება.

შეიძლება რაღაც ამის მსგავსი იყოს მოცემული იმ თავისებურებაში, რომელსაც დღეს ვამჩნევთ ორ ახლობელ (ერთნაირი მნიშვნელობისა თუ საპირისპირო) სახელს, რომლებიც „და“ კავშირითაა შეერთებული. ასეთი სახელები ისე იბრუნვიან, როგორც ძველი „კოზმან და დამიანე“, „დავით და ტირიჭან“, „პეტრე და პავლე“ და სხვა, ე. ი. იბრუნვის მხოლოდ უკანასკნელი, პირველი კი ყველა ბრუნვაში უცვლელია, ფუძის სახით არის წარმოდგენილი. ასეთია, ბაგალითად, გამოთქმები „მთა და ბარი“, „ცა და მიწა“, „მზე და მთოვარე“ და სხვანი. სხვა ბრუნვებში ხშირად გვაქვს დღეს: მთა და ბარმა, მთა და ბარზე, მთა და ბარის და სხვა. ასეთი გამოთქმები ძალზე დამახასიათებელია თანამედროვე ქართულის კილოებისათვის, კილოებიდან კი ისინი სალიტერატურო ენაშიც არის ხოლმე შემოსული.

დღეს ასეთი გამოთქმები უმთავრესად მაშინ გვაქვს, როცა პირველი სიტყვა ერთმარცვლიანია და ადვილად ხერხდება მისი შინაარსობლივად და-

ფორმალურად შერწყმა მომდევნო სიტყვასთან (მთა და ბარი, ცა და მიწა), მაგრამ მსგავსი მოვლენა ზოგჯერ ორმარცვლიან სახელებშიც გვხვდება.

აქ შეიძლება ეუჩვენოთ ორიოდე ნიმუში ასეთი გამოთქმებისა:

ვოქრო და ვერცხლით ხო გავსებული ქონდა ზანტუკები[1]; მოგვარჩინე ამ **წვა და დაგვაბა**[2]; ღაღადისი ისმის **მთა და ველად**[3]; **ქვა და გუნდას** მოგვაყრის (ვაჟა).

9. მრავლობითი რიცხვის საკითხი ადამიანთა სახელებში

აქვს, თუ არა ადამიანთა სახელებს მრავლობითი რიცხვი, მრავლობითი რიცხვის ფორმა? ამ საკითხზე ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უარყოფითი პასუხია გაცემული. ადამიანთა სახელების ერთ-ერთ თავისებურებად ა. შანიძე, როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორედ იმ გარემოებას თვლის, რომ მათ „მრავლობითი რიცხვი არ გააჩნიათ“[4]. ამასვე იმეორებს აგრეთვე სტ. ჩხენკელი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი სახელებისათვის სპეციალური გამოკვლევაც აქვს მიძღვნილი[5].

თუ მხედველობაში გვექნება რიცხვის ისეთი გაგება, როგორითაც საზოგადო სახელების მრავლობითს რიცხვს განვიხილავთ, რა თქმა უნდა, ასეთი მრავლობითი ადამიანთა სახელებს არ შეიძლება ჰქონდეთ, რადგან შეუძლებელია, ვთქვათ, **პავლეს** ან **დანიელის** მრავლობითად წარმოდგენა: პავლე პავლეა და დანიელი დანიელია; ისინი თითო პიროვნებაა და, თუ მათ მრავლობითად წარმოვიდგენთ, მაშინ ეს იქნება მრავლობითი არა **ცალკე აღებული** პავლესი და დანიელისა, არამედ **ერთად აღებული** პავლესი, დანიელისა და შეიძლება კიდევ სხვათა. ასე გაგებული მრავლობითი, ე. წ. კოლექტივის მრავლობითი ადამიანთა სახელებს შეიძლება ჰქონდეთ და აქვთ კიდეც. ეს არის, მაშასადამე, მრავლობითი რიცხვი, სულ მცირე, ორი ადამიანისა, რომელნიც სხვადასხვა მიზეზის გამო სულ ერთად იმყოფებიან, ერთად იბრძვიან, ერთად მოქმედებენ, ერთად იგულისხმებიან, ერთად იხსენებიან. ასეთი მრავლობითი რიცხვი, როგორც ვხედავთ, ერთ კონტექსტში მოხსენებული სხვადასხვა პირის სიმრავლეზე მიუთითებს. ამ მრავლობითს შეიძლება კოლექტიური მრავლობითი ვუწოდოთ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მრავლობითს რიცხვს ასეთ შემთხვევაში გამოხატავს ერთადერთი სუფიქსი **ეთ**, რომლის სიძველე და დიდი ხნის წარსული კარგადაა ცნობილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ სუფიქსით საზოგადო სახელებში ერთადერთი სიტყვა იწარმოება, ესაა კითხ-

---

[1] ა. ღლონტი, გურული ფოლკლორი, 1937, გვ. 177.

[2] ნ. ლომოური, მოთხრობები, 1951, გვ. 56.

[3] ემელიან კურდიანი, „სამეგრელოში“: გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947, № 12.

[4] ა. შანიძე, ძვ. ქართ. ენა, გვ. 290.

[5] სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 25, 1943, გვ. 153.

ვითი ნაცვალსახელი ვინ, რომლის მრავლობითიც იქნება ვი-ეთ. ჩვენ აქ არას ვამბობთ გეოგრაფიულ სახელებზე, რომელთაც ეს სუფიქსი ძალიან ხშირად აქვთ გამოყენებული. ასეთია: კახ-ეთ-ი, ჭან-ეთ-ი, იმერ-ეთ-ი, სპარს--ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი და სხვა, სადაც ეს ეთ სწორედ მრავლობითობის გამოხატველი სუფიქსია [1].

ადამიანთა სახელების მრავლობითობის აღსანიშნავად ეთ სუფიქსის გამოყენება თავისთავად მიუთითებს ამ მოვლენის სიაველეზე. აქ ჩვენ უნდა გვქონდეს ასახული სახელებში რიცხვის კატეგორიის ჩამოყალიბების ის საფეხური, როცა გვქონდა ეთ სუფიქსი და არ გაგვაჩნდა ნ; აბ ეთ-ს დაკისრებული ჰქონდა ის ფუნქციები, რაც, ვთქვათ, დღეს ებ-ს აქვს მიჩენილი: იგი გამოხატავდა სახელთა მრავლობითობას ყველა ბრუნვაში, მათ შორის სახელობითის წინააპარშიც [2]. აი ამ უძველესი ვითარების გადმონაშთი უნდა იყოს ადამიანის სახელთა ის მცირეოდენი მაგალითები, რომლებშიც მოგვეპოვება მრავლობითობის ნიშანი ეთ. რამდენადაც მცირეა ასეთი მაგალითები, იმდენად დიდია მათი მნიშვნელობა. აჰიტომ ჩვენ ხელთ არსებულ მასალებს აქ მედარებით უხვად წარმოვადგენთ.

ოთხთაგში ერთ ადგილას გადმოცემულია ზღაპრული ამბავი, თითქოს იესუმ საფლავიდან აღადგინა 4 დღის მკვდარი ლაზარე. ეს საოცარი ამბავი თითქოს მთელ მხარეს ჩოედოო. გაკვირვებული ებრაელები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ ყოველი მხრიდან მკვდრეთით ამდგარი ლაზარეს დებთან — მარიამთან და მართასთან და, რა ნახეს ეს, ირწმუნეს ქრისტეო. ამ კონტექსტშია ჩოცემული ადიშის ოთხთავის ერთი ფორმა, რომელიც ახლა იპყრობს ჩვენს ყურადღებას. იქ სწერია: და მრავალნი ჰურიათა მათგანნი, რომელნი მოსრულ იყვნეს მარიამეთა, ვითარცა იხილეს, რაჲ-იგი იქმნა, ჰრწმენა მისი (ი. 11.45 C).

რაა აქ ეს „მარიამეთა“? ეჭვი არაა, ეს მრავლობითის ფორმაა, მაგრამ განა რამდენი ნარიამი იყო იქ? მარიამი ერთი იყო, მაგრამ ეს მარიამეთა მრავალ მარიამს კი არ გულისხმობს (ეს უაზრობაა), არამედ მარიამსა და მის დას მართას. ეს ასეც არის გადმოცემული DE-ში: რომელნი მოსრულ იყვნეს მარიამისა და მართაჲსა. და აი აბ მარიამისა და მართას მრავლობითობაა გადმოცემული ეთ სუფიქსით. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში მართა არც იხსენება; ეს ასეც უნდა იყოს: აკი მისი იქ ყოფნა სათანადო სუფიქსით არის გამოხატული.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ეთ მრავლობითობის ნიშანს უშუალოდ მოსდევს ბრუნვის ნიშნისეული ა (← ად), რომელიც ნათესაობითვითარებითზე მიუთითებს. ეს მხოლოდ აქ და ამ მაგალითში როდი გვაქვს, იგი სავა შეთხვევებშიც მეორდება. მოვიყვანოთ სხვა მაგალითებიც:

---

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 140; ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფ-ქაისათვის ქართულში: ჩვენი მეცნიერება, № 11—12, 1924.

[2] ა. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იბერ.-კავკ. VI. 1934, გვ. 74.

წამებაჲ წმიდათა და კეთილად მძლეთა მოწამეთაჲ გურია, სამონა, **აბიბოსეთი**. რომელნი იწამნეს ქალაქსა ედესას, პარხ. 1068 ხ. ამ მაგალითში სამი პირის სახელებია წარმოდგენილი, მრავლობითობისა და ბრუნვის ნიშანი ამათგან უკანასკნელს აქვს. ეს მტკიცე წესია საერთოდ. **აბიბოსეთი** ასე უნდა დაეშალოთ: აბიბოს-ეთ-ი, სადაც **აბიბოს** ფუძე იქნება, **ეთ** — მრავლობითობის ნიშანი, რომელიც ამ შემთხვევაში სამი პირის (ერთგვარი კოლექტივის) მრავლობითობას აღნიშნავს; **ი** სახელობითი ბრუნვის ნიშანია, რომლითაც ეს ფორმა მის საზღვრულს უთანხმდება: წამება-ჲ... აბიბოს-ეთ-ი.

ეთ მრავლობითობის ნიშანიაო, ვთქვით ჩვენ. მაგრამ მარტო ამის აღნიშვნა არ კმარა. ის ნათესაობითს ბრუნვასაც გამოხატავს: წამებაჲ... აბიბოს-ეთ-ი. „აბიბოსეთი“-ს ნაცვლად საზოგადო სახელი რომ გვქონოდა, მაშინ გვექნებოდა: წამებაჲ (ვთქვათ) მოწამე-თა-ჲ. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ მრავლობითობის **ეთ** ნიშანს **არსად არ ახლავს** ემფატიკური ა. მაშასადამე, ის წინ უსწრებს ნაწევრის ჩამოყალიბებას. შდრ. წამებაჲ... აბიბოს-**ეთ**-ი, მაგრამ: წამებაჲ... მოწამე-თა-ჲ.

ბოლოს, იმასაც დავუმატებთ, რომ მაგალითში სამივე სახელი სახეზეა, რომელთა მრავლობითობაც უნდა აღინიშნოს (გურია, სამონა, აბიბოს). ამ მხრივ ეს მაგალითი განსხვავდება პირველი მაგალითისაგან (ჰურიანი... მოვიდეს მარიამეთა), სადაც ორი სახელიდან მხოლოდ ერთია წარმოდგენილი, მეორე კი იგულისხმება. ორივე ეს ხერხი დასაშვებია, ორივე გვხვდება ტექსტებში. კერძოდ, პირველი სახისაა შემდეგი მაგალითი:

წარ-რაჲ-ვიდეს პანფჲთ **პავლეეთნი**, მივიდეს იგინი პერგედ პანფილიაჲსასა, მოც. 13, 13[1].

რა არის აქ „პავლეეთნი“? რის თარგმანია ის? ბერძნულში ამის ადგილას იკითხება οἱ περὶ τὸν Παυλόν, რაც ნიშნავს: პავლე და მისი მხლებლები, თანამგზავრები, ამალა (სხვა შემთხვევაში οἱ περὶ-ში შეიძლება იგულისხმებოდეს: თვითონ და მისი მეგობრები, მოწაფეები, მოაზრეები, ჭიმდევრები, ჯარისკაცები და სხვა). ასევე მრავლობითის ფორმით არის ის წარმოდგენილი სომხურშიც (*Պօղոսեան*), რუსულში (Павел и бывшие при нём), გერმანულში (Paulus und seine Gefährten) და სხვა. სწორედ ასე გაუგია ეს ადგილი მოციქულთა საქმის მეორე ვარიანტის (Ц და Ծ რედაქციების) ავტორს და „პავლეეთნი“-ს ნაცვლად მოუცია „პავლე და მისთანანი იგი“. ზუსტი თარგმანია! „პავლეეთნი“, მაშასადამე, არის თვით პავლე და მისი თანამგზავრები. ან: მისი მხლებლები, ან: ვინც მასთან არის, მისი ამალა.

წინათ განხილულ მაგალითთაგან **პავლეეთნი** იმით განსხვავდება, რომ აქ მრავლობითობის ძველ ნიშანთან ერთად (**ეთ**) გვაქვს კიდევ ასალი ნიშანი **ნ**: პავლე-**ეთ-ნ**-ი. აქ ჩვენ გვაქვს სრული ანალოგია ცნობილი ფორმისა ვი-ეთ-ნ-ი. ორივეგან ნარი მერბინდელი დანაპატია. ის შეიძლებოდა მხო-

[1] ე. დიანდუა, „ლიპარიტეთ“-ისა და აბალოკიური ფორმის ვეარსახელებისათვის ქართულ იერუსალიმურ წყაროებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ 35 [ს. 19]8, გვ. 142—143.

ლოდ მას შემდეგ გაჩენილიყო, როცა საკმაოდ დაბნელებული იყო ეთ-ის ფუნქცია და მის გვერდით ნარის არსებობა უხერხულობას აღარ იწვევდა, ზოგ შემთხვევაში აუცილებელიც იყო.

„პავლეეთნი“ მოციქულთა საქმის ძველ რედაქციებში გვაქვს მოცემული (C და Ч რედაქციებში). ამავე წიგნის მერმინდელ რედაქციებში (Щ და Ѳ რედ.), როგორც ვნახეთ, იგი უკუგდებულია. ეტყობა, ამ დროს მსგავსი ფორმები უკვე აღარ იყო ხმარებაში და გაუგებარიც ყოფილა. ამიტომაცაა, რომ იგი აქ შეცვლილია აღწერითი ფორმით — პავლე და მისთანანი იგი—, რომელიც უფრო გასაგებიც იყო და უფრო მეტად აკმაყოფილებდა იმ-დროინდელი სალიტერატურო ქართულის მოთხოვნილებას.

...და ვითარცა აღვიდოდეს აბბა კონონეთნი კოსტანტინეპოლისა, თითო-სახენი ჰირნი შეაჩუენნა მათ ასკიდა, კიმ. II, 217, 32. „კონონეთნი“-ც სრულიად ისეთივე ფორმაა, როგორც „პავლეეთნი“. მაშასადამე, ის ნიშნავს: კონონ და მისთანანი (ე. ი. მისი მხლებელები, მისი თანამგზავრები, მისი მომხრეები, მისი მოაზრეები, მისი მოწაფეები, მისი ამალა). ეს „მისთანანი“ ტექსტში მართლაც არის მოცემული: ხოლო ნეტარმან კონონ და მისთანათა ვითარცა პოვეს ესევითარი ღამი, შევიდეს მეფისა და უთხრეს ესე ყოველი, იქვე, 218, 4. სწორედ ეს „კონონ და მისთანანი“ არის ჩვენთვის საინტერესო ფორმა კონონეთნი. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ კონონეთნი დამოუკიდებლად აღებული სახელია და არა მსაზღვრელი, როგორც ეს ჰგონია ვ. დონდუას[1].

...მაშინ ნონოსეთ წიგნი მიუწერეს მთავარებისკოპოსსა პეტრეს სიტყჳთა თეოდორწმსითა, იქვე, 214, 14. ნონოსეთ სუფთა მოთხრობითი ბრუნვაა: ნონოს-ეთ; ის ნიშნავს: ნონოსმა და მისიანებმა, მისმა ამხანაგებმა[2].

და ჰრქუა დანიელ ამელსადას, რომელი-იგი დაედგინა საჳურისთ-ცთავარსა მას დანიელეთ ზედა, ანანია, აზარია და მისაელეთ ზედა, დანიელ 1, 11.

დანიელეთ და მისაელეთ სუფთა ნათესაობითის ფორმებია, რომელთაც თანდებული ზედა ახლავს. „დანიელეთ ზედა“ ნიშნავს: „დანიელსა და მისიანებზე“. „მისაელეთ ზედა“ უფრო კონკრეტული შინაარსისაა და იმაში, მისაელის გარდა, იგულისხმებიან ანანია და აზარია. ამ ორ მაგალითში მრავლობითობის ზემოთ აღნიშნული ორი სახის ასახვა გვაქვს: პირველში (დანიელეთ ზედა) მარტო დანიელ არის წარმოდგენილი და სხვები (მისი მიმდევრები და მისიანები) იგულისხმებიან; მეორეში (ანანია, აზარია და მისაელეთ ზედა) სამივე პირია წარმოდგენილი, მაგრამ მრავლობითობის ნიშანი ეთ მხოლოდ ერთს — უკანასკნელს აქვს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ოშკის ხელნაწერის მიერ ადამიანთა სახელების მრავლობითში წარმოდგენა ამ შემთხვევაში ბერძნულით არ არის გამოწვეული:

---

[1] ვ. დონდუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

[2] იქვე.

ბერძნულში აქ ἐφ᾽ περὶ τὸν Δανιηλόν, ბერძნულში მხოლობითი რიცხვია ორივე შემთხვევაში: ἐπὶ Δανιὴλ καὶ Ἀνανίαν, καὶ Μισαὴλ, καὶ Ἀζαρίαν. მრავლობითის ფორმები არც ბიბლიის თბილისურ გამოცემაშია მოცემული, იქაც მხოლობითი რიცხვია ორივე შემთხვევაში: „დანიილის ზედა, ანანია, მისაელ და აზარიასსა“. როგორც ჩანს, ოშკის ბიბლიის მთარგმნელისათვის „დანიელეთ“, „მისაელეთ“ და მსგავსი ფორმები იმდენად ჩვეულებრივი და გასაგები ყოფილა, რომ აზრის უფრო ნათლად გადმოსაცემად მათ მაშინაც კი მიმართავდა, როცა ბერძნულში შესატყვისი ფორმები მხოლობითით იყო გადმოცემული.

აქ მოყვანილი მეორე მაგალითი იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ სამი სახელიდან პირველი ორი მხოლოდ ფუძის სახით არის წარმოდგენილი (ანანია, აზარია და მისაელეთ ზედა), რიცხვისა და ბრუნვის ნიშანი მხოლოდ უკანასკნელს აქვს. მაგრამ ამ მოვლენაზე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და აქ აღარ გავიმეორებთ, დავუმატებთ მხოლოდ, რომ ეთ სუფიქსი ამ მაგალითში (და, საერთოდ) შეიძლება მარტო ამ სამი პირის მრავლობითობას კი არ აღნიშნავდეს, არამედ სხვებისასაც—მათი თანამოაზრეებისა და მიმდევრებისას...

...ხოლო ანგელოზი იგი უფლისაჲ გარდამოჴდა შორის **აზარიაეთსა** და მიმოდაყარა ალი იგი საჴუმილისა მისგან ცეცხლისაჲსა, დანიელ 3, 49.

აზარიაეთსა, ცხადია, მრავლობითია და აზარიასთან ერთად გულისხმობს ანანიასა და მისაელს, რომელნიც კონკრეტულად აქ არ არიან მოხსენებული (შდრ. რუს.: с Азариею и бывшими с ним). ეთ-ს მოსდევს მიცემითის ნიშანი ს-ა იმიტომ, რომ **შორის** თანდებული წინ არის მოქცეული: **შორის აზარიაეთსა** (შდრ. შორის **მათსა**). თანდებული რომ სახელის შემდეგ ყოფილიყო, გვექნებოდა: **აზარიაეთ შორის** (შდრ. **მათ** შორის), როგორც გვქონდა კიდეც „დანიელეთ ზედა“, „მისაელეთ ზედა“. დავსძენთ ბოლოს, რომ ნაბეჭდ ბიბლიაშიც ამნაირი ფორმაა მოცემული.

ამავე პირთა შესახებ თხრობისას სხვა ძეგლში ეთ სუფიქსი უკვე მეორე სახელს — ანანიას — აქვს დართული: აწ უკუე ვითარმცა უწყოდეთ, ვითარმედ ერეოდეს **ანანიაეთნი** ალსა მას ცეცხლისასა, უდაბნ. 114 vb. აქ „ანანიაეთნი“, ცხადია, გულისხმობს თვით ანანიასა და მის ორ ამხანაგს — აზარიასა და მისაელს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ მაგალითშიც სამი პირის მრავლობითობა ისეა აღნიშნული ანანიაზე დართული ეთ სუფიქსით, რომ ორი დანარჩენი პირი არც არის მოხსენებული, ეს გასაგებიცაა: ერთ მათგანზე დართული მრავლობითობის ეთ სუფიქსი სწორედ იმ ორ დანარჩენსაც გულისხმობს.

...შეძრწუნდა იგი ამას ზედა და უბრძანა ყოველთა მათ პყრობილთა განჴსნაჲ და განტევებაჲ პატროკლჱსი და **ბარსაბაეთი** მოყუსებითურთ მათით, PO, 108, 11.

ეს მაგალითი სხვებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირველი სახელი მხოლობითის ფორმითაა მოცემული (განტევებაჲ **პატროკლჱსი**), ხოლო მეორე—მრავლობითით (განტევებაჲ... ბარსაბა-ეთ-ი). ამ **ბარსაბა-ეთ-**ში, უეჭველია, იგულისხმებიან ბარსაბას ამხანაგები, რაც იქვეა აღნიშნული გამოთქმით

„მოყუსებითურთ ბათით“. სწორედ ეს (და აგრეთვე სხვა) „მოყუსებია“, რომ იგულისხმება ფორმაში ბარსაბაეთი. სხვა მხრივ ბარსაბაეთი სრულიად ისეთივე ფორმაა, როგორც აზარიაეთი, პავლეეთნი, და ცალკე შეჩერებას არ საჭიროებს.

დასასრულ, მოვიყვან ისეთ მაგალითებს, რომლებშიც ორი სახელი ერთმანეთთან არის დაკავშირებული „და“ კავშირის გარეშე, ისინი თითქოს კომპოზიტს წარმოადგენენ:

თ̄სა კ̄თ პეტრე-პავლეთაჲ საჴსენებელი, ჭილ-ეტრ. 224 v; დაიწერა წმიდასა მთასა ოლინბოჲსასა, საყოფელსა წმიდათა კოზმან-დამიანეთასა, პალ. ალბ. 301, 10; მოც. 021, 1.

პეტრე-პავლეთაჲ, ცხადია, ნიშნავს: პეტრესა და პაულეს (სახსენებელს), ასევე კოზმან-დამიანეთასა — კოზმანისა და დამიანეს (საყოფელს). მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს ორი გარემოება, რითაც ეს მაგალითები განსხვავდება წინა მაგალითებისაგან: ა) ჯერ-ერთი, ორივე შემთხვევაში ორი ე-დან ერთიღა გვაქვს შემორჩენილი. მოსალოდნელი იყო პეტრე-პავლეეთი, კოზმან-დამიანეეთი. როგორც გვქონდა პავლეეთნი; ბ) მეორე მხრივ, ამ მაგალითებში გვაქვს ემფატიკური ა (პეტრე-პავლე-თ-ა-ჲ, კოზმან-დამიანე-თ-ა-ჲ), რაც მათს შედარებითს სიახლეზე მიუთითებს[1].

ეთ სუფიქსიან ფორმებს სპეციალურად ეხება ე. დონდუა ზემოთ დასახელებულ შრომაში: „ლიპარიტეთ“-ისა და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში[2]. ავტორს აქ აინტერესებს ისეთი ფორმების გარკვევა, როგორიცაა ლიპარიტეთი, ვახტანგეთი, შარვანშეთი, დურძუკეთი, სუქმანეთი, გაგიკეთი, შამირამეთი და მსგავსი სახელები, რომლებიც ჩვენს საისტორიო მწერლობაში გვხვდება. აქვე აქვს ავტორს დასაბუთებული და განხილული ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი პავლეეთნი, კონონეთნი და ნონოსეთ.

ავტორს საკითხი ძირითადად სწორად აქვს გადაწყვეტილი. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ ეთ სუფიქსი მკვეთრად არ არის დახასიათებული, როგორც მრავლობითობის ნიშანი. შემდეგ: ავტორს სურს ყველა ასეთ ფორმაში უეჭველად დაინახოს მსაზღვრელი და ძალად ცდილობს გამონახოს ტექსტში არარსებული საზღვრული (მავალი) კონონეთი, (მავალთა) კონონეთთა და სხვა. მსგავს სახელთა შინაარსის დადგენაშიც შეიძლება ზოგი რამ სადავო იყოს: პავლეეთნი, კონონეთნი, ნონოსეთ და მსგავსი ფორმები გვიჩვენებს, რომ მათი თავდაპირველი მნიშვნელობა იყო: პაულე და მისთანანი, კონონ და მისთანანი, ნონოს და მისთანანი, ე. ი. თვითონ და მასთან მყოფნი, მისი მხლებლები, მისი მიმდევრები, მისი მოაზრეები (ამხანაგები, მეგობრები, ჯარისკაცები, ამალა და სხვ.). საერთოდ ეს წერილი ბართებულად გადმოსცემს საქმის ვითარებას და სწორ დასკვნებს იძლევა.

---

[1] შეუძლებელია დავეშვათ, რომ აქ მრავლობითობის ჩვეულებრივი თ-ა სუფიქსი გვჭონდეს: ასეთი ფორმები გვხვდება ე ფუძიან სახელებში და, ცხადია, თ ორი ე-ს შერწყმის შემდეგაა ცალკე დარჩენილი. ასეთ შემთხვევაში კი მას ემფატიკური ა ადვილად დაემატებოდა.

[2] თბილ. უნივ. შრომები, ტ. 33 B, 1948, გვ. 133—166.

ამავე საკითხს ეხება კ. კეკელიძის ახლახან გამოქვეყნებული შრომა: „ეთ“ სუფიქსიანი კრებითი სახელები ქართულში“ [1]. ავტორს შეაქვს ვ. დონდუას აღნიშნულ შრომაში ზოგიერთი შესწორება (შამირამეთის შესახებ), იძლევა თავის საინტერესო დაკვირვებას ზოგი ამ ფორმის შესახებ და; ბოლოს, უმატებს ამ რიგის სახელებს (მინა-ერმოგინეთი, ანდრონიკეთი, კლეოპაეთი, აკინდინეთი და სხვა) [2]. საერთოდ კი ვ. დონდუას წერილის ძირითადს აზრს კ. კეკელიძეც იზიარებს.

ბოლოს, შეიძლება ორიოდე სიტყვით დავსძინოთ, რომ ძველ ქართულში ადამიანთა სახელებში ვხვდებით მრავლობითობის მაგვარ წარმოებას, რომელიც დაკავშირებულია **ეან → იან** სუფიქსთან. მისი შინაარსიც არ უდრის ზემოთ განხილული მაგალითების **ეთ** სუფიქსიან ფორმათა შინაარსს.

ჩვენ მბედველობაში გვაქვს ისეთი ფორმები, როგორიცაა აზალ-**ეან**-ი, იოსედეკ-**ეან**-ი (იოსედეკ-**იან**-ი), ბარაქ-**ეან**-ი, სალათიელ-**ეან**-ი. მიქელ-**ეან**-ი და სხვა. ამ ფორმების შედარება სათანადო ბერძნულ, სომხურ და ბიბლიის სხვა თარგმანებთან გვიჩვენებს, რომ ისინი უფრო **მამისშვილობას** აღნიშნავენ, შთამომავლობასა (მამისაგან) და მემკვიდრეობაზე მიუთითებენ, ვიდრე გარკვეული პირების მრავლობითობაზე. ამის კარგი მაჩვენებელია იოვანე „**საბანისძისა**“ და იოვანე „**საბანეან**“-ის პარალელური სძარება: წამებად წმიდისა აბოსი, იანვარსა ¯ზ, აღწერილი იოვანე **საბანეანისად** (ი. ჯავ. აღწ. 29, 20). ასეთივე შინაარსისა უნდა იყოს აგრეთვე ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც: ზორობაბელ **სალათიელეანი** (2 ეზრა 6, 2) უდრის Зоровавель, **сын Салафиилия**, ისო **იოსედეკეანი** (2 ეზრა 5, 47) — **сын Иоседека**, იონათან **აზალეანი** და ეზეკია **თოკეანი** (2 ეზრა 9, 14) — Ионафан, **сын Асаила**, и Езекия, **сын Феоканы** და სხვა. ამიტომ ასეთ ფორმიანი სახელები **ეან || იან** სუფიქსების შემდეგ ღებულობს ბრუნვის ნიშნებს და იბრუნება ჩვეულებრივად: რომელნი გამოვიდეს ზორობაბელის თანა **სალათიელეანისა** და ისუას **იოსედეკეანისა** (1 ეზრა 12, 1); ისო **იოსედეკეანმან** (2 ეზრა 6, 2) და სხვა. აქ აღნიშნული წარმოება მოგვაგონებს დღევანდელი ქართულის ფორმებს. როგორიცაა ოთარაანი. თათარაანი. პეტუაანი. კოზმანაანი და სხვა [3]. მაგრამ ამ საკითხებს სპეციალური შესწავლა ესაჭიროება. ხოლო აქ ამას ვერ გამოვუდგებით.

II. გეოგრაფიული სახელები

გეოგრაფიულ სახელებად მიიჩნევენ ქვეყნების, მხარეების. ქალაქების, სოფლების. ზღვების. ტბების. მდინარეების. მთებისა და მსგავს სახელებს. აქვე

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. III, 1955, გვ. 116—119.

[2] იქვე. გვ. 118.

[3] ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატ. საფუძვ. გვ. 124; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი. ტიბარენი, იბერი: ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 210—219 და სხვ.

იგულისხმება სხვადასხვა ხასიათისა და სხვადასხვა სიდიდის დასახლებული პუნქტების სახელები და სხვა. ყველა ასეთი სახელი ქვემოთ სიმოკლისათვის „გეოგრაფიულ სახელად“ იქნება მოხსენებული.

1. ბრუნვათა წარმოება გეოგრაფიულ სახელებში

გეოგრაფიულ სახელთა ბრუნება საგრძნობლად განსხვავდება ადამიანთა სახელების ბრუნებისაგან და თითქმის მთლიანად უთანაბრდება საზოგადო სახელებისას. გეოგრაფიული სახელები დაუბრკოლებლად აწარმოებს ყველა ბრუნვას, მათ მოეპოვებათ ისეთივე ბრუნვის ნიშნები, როგორც საზოგადო სახელებს; მათი ფუძეებიც ისევე ექვემდებარება კუმშვისა და კვეცის კანონებს, როგორც საზოგადო სახელთა ფუძეები. ერთი სიტყვით, გეოგრაფიულ სახელთა სახით ჩვენ წინაშეა, არსებითად რომ ვთქვათ, საკუთარ სახელთა ერთი ჯგუფი, რომელსაც ზოგი რამ ასხვავებს საზოგადოთაგან. ესაა უმთავრესად ის გარემოება, რომ გეოგრაფიულ სახელებს მრავალობითი რიცხვის ფორმები არა აქვთ და ვითარებითს თითქმის ყოველთვის დონის საშუალებით აწარმოებენ (ქართლ-დ). მაგრამ ამათგან რიცხვი არც ყველა საზოგადო სახელს გააჩნია (გულწრფელობა, სიბერე, ნავთი...), ხოლო ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დ(ა) და არა ად ნაცვალსახელებშიც გვაქვს (ჩემ-დ-ა) და ზოგი ტიპის არსებითთათვისაც არ არის უცხო (ადგი-დ, სახ-ი-დ). რაც შეეხება მიცემითში მარტო ხანის გამოყენებას, ასეთი შემთხვევები საზოგადო სახელებშიც გვაქვს, როცა ეს უკანასკნელი ადგილის გარემოებად არის გამოყენებული (უდაბნო-ს, სამამო-ს, სავაჭრო-ს, საპყრობილე-ს...). ხოლო, როცა ამ ფუნქციით არაა ნახმარი, თვით გეოგრაფიული სახელიც მიცემითში ჩვეულებრივი ხ-ა სუფიქსით გვეელინება (მოსრვიდა იდუმიასა). ასე რომ, გეოგრაფიული სახელები ძველ ქართულში არსებითად საზოგადო სახელებსავით იბრუნვის, საზოგადო სახელებისაგან განსხვავებით მათ ზოგიერთი მცირე თავისებურება ახასიათებს.

გეოგრაფიულ სახელთა ბრუნების პარადიგმებს ქვემოთ წარმოვადგენთ. აქ კი წინასწარ ცალკეულ ბრუნვებზე უნდა შევჩერდეთ.

წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი

წრფელობითი ბრუნვა გეოგრაფიულ სახელებსაც აქვთ. ის სრულიად ისეთსავე პირობებში იხმარება, როგორც ეს საზოგადო სახელებთან დაკავშირებით ვნახეთ. აქ ყველაზე ხშირად ეს ეხება იმ შემთხვევებს, როცა ეს სახელები „რქუმა“ და „წოდება“ ზმნებთან არის წარმოდგენილი. გეოგრაფიულ სახელებს ამ შემთხვევაში კარგად აქვთ დაცული წრფელობითის „ფორმა“, ე. ი. სუფთა ფუძის სახით არის მოცემული. ვნახოთ ამის მაგალითები:

და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და ჰრქჳან **არმაზ**, მოქც. (ისტ. ქრესტ. 268, 10); დაბასა შინა, რომელსა **ბაზატუნ** ეწოდების, კაცი ვინმე იყო მდიდარი, ანტიოქ. 80, 36; და კუალად რომელსა შინა არს მეფობაჲ სპარს-

თაჲ, **ბაბილონ** და მეძავ ეწოდების. და სხუასა ყოველსაცე ქალაქსა, ბოროტთა ზედა მოხარულსა, **ბაბილონ** ეწოდების, თარგმ. გამოცხ. 17, 6. ეს მაგალითი იმითაც არის საინტერესო, რომ გეოგრაფიული სახელის გვერდით არის მოცემული საზოგადო სახელი, და ზმნა „ეწოდების“ ორივესაგან ერთნაირ ფორმას — წრფელობითს — მოითხოვს: **ბაბილონ** და **მეძავ** ეწოდების; მივიდა და დაეშენა ჴუეყანასა, რომელსა ჰრქჳან **ნაზარეთ**, მ. 2, 23; აღმოვიდა იოსებცა გალილეაჲთ, ქალაქით ნაზარეთით, ჰურიასტანად, ქალაქად დავითისა, რომელსა ჰრქჳან **ბეთლემ**, ლ. 2, 4; განეშორა თჳსაგან ადგილსა ქალაქისასა, რომელსა ჰრქჳან **ბეთსაიდა**, ლ. 9, 10; არს იერუსალჵმს ცხოჳართა საბანელსა მას ტბაჲ, რომელსა ჰრქჳან ებრაელებრ **ბეთეზდა** (ბეთესდა C), ი. 5, 2; მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან **გოლგოთა**, მ. 27, 33; წარვიდა მიერ... ქალაქსა, რომელსა ჰრქჳან **ეფრემ** (რომელსა ერქუა **ეფრაიმ** C), ი. 11, 54; წარვიდოდა იესუ ქალაქად, რომელსა ჰრქჳან **ნაინ** (**ნაიდ** C), ლ. 7, 11; დაჯდა იგი საყდართა ზედა, ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან ქვაფენილ, ხოლო ებრაელებრ **კაპპათა**, ი. 19, 13. ამ მაგალითშიც გეოგრაფიულ (ებრაულ) სახელთან ერთად წარმოდგენილია საზოგადო სახელი და ისიც წრფელობითშია დასმული: **ქვაფენილ**. აქედან: **კაპპათა**-ც, ცხადია, წრფელობითია.

ასე რომ, შეიძლება დავასკვნათ: გეოგრაფიულ სახელებს წრფელობითი ბრუნვა აქვთ სწორედ ისევე, როგორც საზოგადო სახელებს. ბრუნვა აქაც ფუძის სახით არის წარმოდგენილი. ყველა აქ დამოწმებულ და სხვა მსგავს სახელს სახელობითში ექნება ბრუნვის ნიშანი: არმაზ-ი, ბეთლემ-ი, ნაზარეთ-ი, ბაბილონ-ი, ბეთანია-ჲ და სხვა.

სახელობითი

გეოგრაფიულ სახელებს სახელობითი ბრუნვაც ჩვეულებრივი სახით აქვთ წარმოდგენილი: თუ სახელი თანხმოვანფუძიანია, მას ბრუნვის ნიშნად ი აქვს (იშხან-ი, არმაზ-ი, ტფილის-ი), ხოლო, თუ ხმოვანფუძიანია, მისი ბრუნვის ნიშანი ჲ იქნება (ოპიზა-ჲ, ხანძთა-ჲ, მიძნაძორო-ჲ). ამ მხრივ, როგორც ვხედავთ, არავითარი განსხვავება არ არის გეოგრაფიულ სახელებსა და საზოგადო სახელებს შორის. ამ წესს ექვემდებარება აგრეთვე უცხოური წარმოშობის სახელებიც (იერუსალჵმ-ი, ბეთლემ-ი, ბეთანია-ჲ, ურჰა-ჲ). ამ გარემოებას აქ განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს, რადგანაც ზოგ სხვა შემთხვევაში უცხოური წარმოშობის გეოგრაფიული სახელები იჩენენ ერთგვარ თავისებურებას, სავსებით არ მისდევენ ქართულ სახელებს. ამაზე ქვევით. აქ კი მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები.

თანხმოვანფუძიანი სახელები

და საზღვარი დაუდგა მას **ჰერეთი** და **ეგრის-წყალი** და **ხომხითი** და მთაჲ ცროლისაჲ და წარვიდა, მოქც. (ისტ. ქრესტ. 268, 1); ამან აღმართა ჴერპი დიდი ცხჳრსა ზედა და დასდგა სახელი მისი **არმაზი**, იქვე, 268, 9;

მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა. იქვე, 269, 2; უკეთურმან მან ცქირმან... მძლავრებით დაიპყრა ანჩი, ხანძთ. 144. 38; შატბერდი... სხუათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს, იქვე, 151, 38; და ესრეთ წარემართა იშხანი კეთილად. იქვე. 120, 1; მოილოცეს... წყაროჲს-თავი, იქვე, 121. 20; ბეთლემი ქალაქი არს ჰურიასტანისაჲ. სვან. 26 ს; მაშინ განვიდოდა მისა იერუსალჷმი ყოველი და ყოველი ჰურიასტანი. მ. 3, 5; დაუტევა ნაზარეთი და მოვიდა და დაემკჳდრა კაფარნაუმს, მ. 4, 13; სოდომი ფრიად დიდი იყო და სჳგოჩი ფრიად მცირე იყო, მამ. სწავ. 270; და ვითარცა მოიყვანეს ბაბილონდ, რომელ არს ბაღდადი, პარხ. 935 გ; ვითარცა დაიქცა სოდომეთი და გომორეთი და მოსაზღვრენი მისნი, იერ. 49, 18; აფრიკეთი სარკინოზთა მიეც, კიმ. I, 69, 8; და მდინარჷ მესამჷ ტიგროსი, დაბ. 2, 14 ლაგ.; ჰრომი დღესასწაულობს მათთჳს, პარხ. 564 გ. ეს უკანასკნელი სიტყვა სხვაგან ბოლოკიდური ხმოვნით არის წარმოდგენილი: ჰრომჷ (ნ. აქვე ქვემოთ).

ხმოვანფუძიანი სახელები

მაშინ შეიძრნეს ორნი ესე ქალაქნი: მცხეთაჲ და უჟარმაჲ, მოქც. 58, 10; ხანძთაჲ სულიერად ცნობელი არს ჩუენ ყოველთაჲ, ხანძთ. 123, 41; რომელ არიან ოპიზაჲ და ფრთენი მისნი — ბერთაჲ და მაბლობელნი მისნი — მიძნაძოროჲ და წყაროჲს-თავი, იქვე. 151, 36; აწ უმეტესად განიხარებს და განსცხრების ქალაქი ურჰაჲ, ურჰ. 348, 16; დავიპყარ არაბიაჲ და დამასკჷ და სამარიაჲ, ესაია 10, 9; დაიდვა პავლე გულსა თჳსსა, მო-რაჲ-ევლო მაკედონიაჲ და აქაიაჲ. ცნისლვად იერუსალჷმჲ. მოც. 19. 21; გზაჲ ზღჳსაჲ წიაღ-იორდანესა, გალილეაჲ წარმართთაჲ. ჱ. 4, 15; ხოლო იყო ბეთანიაჲ ახლობელ იერუსალჷსა ვითარ ათხუთმეტ ოდენ უტევან, ი. 11, 18[1]; ჯერ-არს ჩემდა ჰრომჷცა[2] ხილვად, მოც. 19. 21; რამეთუ შენ მხოლომან ეგჳპტჷ და ალექსანდრიაჲ და ხუთქალაქი და ტრიპოლჷ და აფრიკეთი სარკინოზთა მიეც. კიმ. I, 69, 7.

ზემოთ წარმოდგენილ ე ფუძიან სახელებში (დამასკჷ, ჰრომჷ, ეგჳპტჷ, ტრიპოლჷ) ფუძისეული ე და სახელობითის ნიშანი ჲ შერწყმულია და იძლევა ჷ-ს. ეს სულ ისე ხდება, როგორც სათანადო საზოგადო სახელებში (ძე + ჲ = ძჷ). მაგრამ აქ უნდა დავუმატოთ, რომ ეს ჷ ზოგიერთ ხელნაწერში დაშლილად არის წარმოდგენილი. ასეთი დაშლა (და არა მარტო ჷ-სი, არამედ აგრეთვე ჳ-სი, რომელიც „უ-ი“-ს მოგვცემს), სხვათა შორის, უფრო მეტად ჭილ-ეტრატის იადგარისათვის არის დამახასიათებელი. ასეთი შემთხვევები გვხვდება აგრეთვე ლაგურკის ხელნაწერის ერთ ნაწილში (ფ. 123 გ — 142 ს). რომელიც ბებდეგ უნდა იყოს დამატებული, არის სხვა ხელ-

[1] გამოცემაში ამ სახელს ჲ მოკვეცილი აქვს, თუმცა სამივე ხელნაწერში (CDE) არის ის დაცული. ჲ სხვა ხელნაწერებშიც მოიპოვება ამ სიტყვაში. ე, ჲ სახელობითს ბრუნვაში გვროგზაფიულ სახელებს საერთოდ აქვთ ყველგან.

[2] ეს სიტყვა ბოლოკიდურად ხოგჯერ თანხმოვანს გვიჩვენებს: ჰრომ-ი (ნ. აქვე ზემოთ).

ნაწერებშიც. აი ერთი მაგალითი: რომლისათჳს **იორდანედ** კუალად ქცეული იხილვებოდა, ჰილ-ეტრ. 28 v, 15.

ამნაირად, ირკვევა, რომ გეოგრაფიული სახელები სახელობითს ბრუნვაშიც მთლიანად უდგას გვერდში საზოგადო სახელებს, მათი ფორმა ამ შემთხვევაში მთლიანად ემთხვევა საზოგადო სახელებისას.

მოთხრობითი

მოთხრობითი ბრუნვაც არ წარმოადგენს გამონაკლისს. ყველგან, სადაც საჭიროა მოთხრობითი ბრუნვის ხმარება, იგი **მან** სუფიქსით არის ცოცხალი და არც ერთხელ ფუძის სახით, როგორც ეს ადამიანთა სახელებისათვის არის დამახასიათებელი. ამ მხრივ მოთხრობითიც სავსებით და მთლიანად უჭერს მხარს საზოგადო სახელებს. ვიმეორებთ, აქ რაიმე რყევას არა აქვს ადგილი. არც ფუძე ახდენს რაიმე გავლენას ფორმაზე: **მან** მაშინაც გვაქვს, როცა სახელის ფუძე თანხმოვნით ბოლოვდება (**ბაბილონმან**), და მაშინაც, როცა ის ხმოვნითაა დაბოლოებული (**ეგჳპტემან**). ამიტომ უძველეს ტექსტებში შეხვედრილი **აქაიამან** (ჰრომ. 15, 26, ხანმ. ლექც.) ახლა, როცა მსგავსი მაგალითები ბლომად დაგროვდა, აღარ წარმოადგენს რაიმე თავისებურსა და საერთო წესიდან გადახვევას[1].

რაც შეეხება მაგალითების სიმცირეს ამ ბრუნვაში, ეს აიხსნება არა იმით, რომ ამ ბრუნვის წარმოება უჭირთ გეოგრაფიულ სახელებს (ასე რომ ყოფილიყო, მაშინ მოთხრობითი ბრუნვის გადმოსაცემად სხვა საშუალება უნდა გვქონოდა, რაც არ არსებობს), არამედ იმით, რომ გეოგრაფიული სახელები მოთხრობითს ბრუნვაში საერთოდ ნაკლებადაა მოსალოდნელი, საერთოდ ნაკლებად გვხვდება. როცა კი ასეთი საჭიროება დადგება. ძველი ქართული ენის ტექსტები უყოყმანოდ მიმართავენ **მან** სუფიქსს. სწორედ ამიტომაა, რომ ამ შემთხვევაში აღნიშნულმა წესმა გამონაკლისი არ იცის.

ახლა წარმოვადგინოთ სათანადო მასალები შესაძლებელი სისრულით:

აღაშენნა **ტჯროსმან** ზღუდენი თჳსნი და დაიუნჯა ვეცხლი. ზაქარ. 9, 3; იხილოს **ასკალონმან** და შეეშინოს. იქვე. 9, 5; განახუენ[2] **ლიბანემან** კარნი შენნი და შეჭამენინ ნაძუნი შენნი, იქვე, 11, 1; ანუ უბჯობს რაჲ ქნა **ბაბილონმან** სიონისა, 3 ეზრა 3, 31; ვითარ იხილა **ხუსიამან** ქალაქმან, ესთერ 8, 15; განაგდო **სამარიამან** მეფე თჳსი ვითარცა ქარჩუეტი წინაშე პირსა წყლისასა, ოსე 10, 7; და **ასურეთმან** აღავსო ქუეყანაჲ, 3 მეფ. 20, 27; ესე პირველი ჴური რჩეული შეიწყნარა **ალექსანდრიამან**. კიმ. I. 197. 19: შობასა ჩემსა სახელი პელეგია მიწოდეს მშობელთა ჩემთა. ხოლო ქალაქმან **ანტიოქიამან** მარგალიტ დამდევს მე. პარხ. 1260; ისმინეთ პიტყუაჲ ესე

[1] შდრ. ხანმეტი ლექციონარი: ძველი ქართული ენის ძეგლები, I, 1944, გვ. 020.

[2] მოსალოდნელი იყო განახუენან (მან იგინი). შდრ. აქვე: შეჭამენინ. მაგრამ ამნაირი ფორმები. (ინ-ის ჴმოვლებით) სხვაგანაც გვხვდება, მაგალითად: ქრისტემან წიგნსა მას ცხოველთასა დაწერენ იგინი, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 267, 4).

ყოველმან **ჰურიახტანმან**, იერ. 7, 2; **იერუსალ<u>ი</u>მმან** ჯუარს-აცუა ქრისტე უფალი და **ჰრომმან** მოსრნა მოციქულნი მისნი, პარხ. 564 a; ეგე არცა ხუცესია, არცა მონაზონი, არამედ ერის-კაცად მროკველად იციან ეგე **ჰრომმან** და **აფრიკეთმან**, კიმ. I, 73, 19; **ეგჳპტემან** მისცა ჴელი ასურსა განძლიერებად მათა, გოდ. 5, 6; უკუეთუ ყოს **სოდომმან** ეგრეთ, ეზეკ. 16, 48; ღმრთად იცნა ქრისტე **ოორდანემან**, სას. პოეზ. 183, 60; აგრძნა ესე ყოველმან **ოოპემან**, მოც. 9, 42; რამეთუ მიუდგა და შვა **ხიონმან** ყრმაჲ თჳსი, ესაია 66, 8; რამეთუ ჯერ-იჩინა **მაკედონია(მან)**[1] და აქაიამან ზიარება რაჲსმე ყოფად გლახაკთა მათთჳს წმიდათა, ჰრომ. 15, 26 (ხანმ. ლექც.).

ამნაირად, გამოდის, რომ გეოგრაფიულ სახელებს ძველ ქართულში მოთხრობითი ბრუნვაც სწორედ ისე აქვთ ნაწარმოები, როგორც საზოგადო სახელებს: ყველგან **მან** სუფიქსი გვაქვს, გამონაკლისი არც ამ წესმა იცის.

მიცემითი

მიცემით ბრუნვაში გეოგრაფიულ სახელებს ორგვარი დაბოლოება აქვთ: **ს** და რთული **ს-ა**. ეს **ა** აქაც ემფატიკური **ა** არის. რა შემთხვევაშია ერთი, რა შემთხვევაში — მეორე, ამის დადგენა ზუსტად შეიძლება:

ა) როცა სახელი ადგილის გარემოებადაა გამოყენებული, მაშინ ის ჩვეულებრივ **ს** დაბოლოებითაა წარმოდგენილი (მიიყვანნა **შატბერდს**). მაგრამ ადგილის გარემოება სხვადასხვა სახისაა: ერთი **მიმართულებას** უჩვენებს, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში (მიიყვანნა **შატბერდს**, მოიწია **ოპიზას**), მეორე — **ადგილმდებარეობას** (იყო **სამცხეს**). აქედან პირველ შეთხვევაში სახელები მიცემითში მუდამ **ს**-ით არის წარმოდგენილი, მეორეში — ჩვეულებრივ აგრეთვე **ს**-ით, იშვიათად **ს-ა** სუფიქსით, ესეც უმთავრესად მაშინ, როცა სახელს თანდებული (შინა, ზედა) ახლავს (იშხანსა ზედა, ოპიზასა ზედა).

ბ) მაგრამ, როცა მიცემითში დასმული გეოგრაფიული სახელი წინადადებაში გამოყენებულია პირდაპირ (პირველ სერიის **ზმნებთან**) ან ირიბ დამატებად, ის უეჭველად **ს-ა** სუფიქსით იქნება წარმოდგენილი (მოსრვიდა **იდუმიახა**, არა განეშორა **ხანძთასა**).

გ) **ს-ა** სუფიქსით არის წარმოდგენილი აგრეთვე ისეთი სახელი, რომელიც წინადადებაში უბრალო დამატებად ან ადგილის გარემოებად არის გამოყენებული და ახლავს რაიმე **განსაზღვრება** (განიბნია ერი იგი **ყოველსა** მას **ეგჳპტესა**, გამოსლვ. 5, 12 ლაგ.).

ამნაირად, იმის ახსნისათვის, თუ სახელს როდის აქვს **ს** სუფიქსი და როდის **ს-ა**, იმახ კი არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა სახელია ის (ეთქვათ, საზოგადო თუ გეოგრაფიული), არამედ იმას, თუ რა **ფუნქციით იხმარება**

[1] ეს სიტყვა ხელნაწერში სტრიქონის ბოლოსაა მოთავსებული. ხელნაწერის დახიანების გამო **მან** არ იკითხება, მაგრამ სტრიქონის ბოლოს თავისუფალი არის სწორედ იმდენი (დახიანებული) ადგილი, რომელზედაც ეს **მან** დაეტეოდა. შევნიშნავთ აქვე, რომ წინა სტრიქონის ბოლო სიტყვაც (**წმიდ[ა]**) არ არის სრულად წარმოდგენილი, მას დ აკლია. გეოგრაფიული სახელი მოთხრობითში **მან**-ის გარეშე საერთო წესის მიხედვით არცაა მოსალოდნელი ძველ ქართულში.

იგი მოცემულ წინადადებაში: თუ ეს სახელი (გეოგრ.) ადგილის გარემოებად არის ნახმარი და მიმართულებას უჩვენებს, მას მიცემითში **ხ** ექნება, თუ პირდაპირ ან ირიბ დამატებად — **ს-ა**. ამ შემთხვევაში ერთი და იგივე სახელი, ვთქვათ, იერუსალიმი, ორნაირი ფორმით შეიძლება შეგვხვდეს: „იერუსალიმს“ და „იერუსალიმსა“ და ორივე გამართლებული იყოს: პირველი ადგილის გარემოება იქნება, მეორე — პირდაპირი ან ირიბი დამატება. ეს სახელი სინამდვილეშიც გვხვდება აღნიშნული ორი სახით, მაგალითად:

a) რომელი ეგულებოდა აღსრულებად **იერუსალიმს**, ლ. 9, 31 (=ადგ. გარემ.).

b) მივიდოდეს... დაბასა, რომელი შორავს **იერუსალიმსა** ას სამეოცუტევან, ლ. 24, 13, CE (=ირ. დამ.). ეს მაგალითი ასეა წარმოდგენილი აგრეთვე ხანმეტ ლექციონარშიც[1]. რაც ითქვა იერუსალიმის შესახებ, იგივე შეიძლება განმეორდეს აგრეთვე ყოველი სხვა გეოგრაფიული სახელის შესახებაც, მაგალითად: და შევიდა **სამარიას**, 3 მეფ. 22, 1 (=ადგ. გარ.), მაგრამ: ვითარცა დასდვა (ხარკი) მამამან ჩემმან **სამარიახა**. იქვე, 20, 30 (=ირ. დამ.). და სხვა.

თქმა არ უნდა, ამ ორი სახიდან (იერუსალიმს, იერუსალიმსა) უფრო ძველი და ამოსავალი პირველია, მაგრამ ძველ ქართულში ზემოთ ნაჩვენები წესი შედარებით მკვიდრადაა დაცული: გარკვეულ პერიოდში ა-ს დართვამ შინაარსეული დიფერენციაციაც გამოიწვია.

რაც შეეხება განსაზღვრების გამო ა-ს დართვას, უნდა შევნიშნოთ, რომ განსაზღვრებას ძველ ქართულში ბევრ სხვა შემთხვევაშიც შეაქვს საგრძნობი ცვლილება. ამიტომ აქაც არაა გასაკვირი, რომ მისი დართვა გეოგრაფიულ სახელზე ამ სახელის მიცემითის სრულ დაბოლოებას იწვევდეს.

ახლა მოვიყვანოთ ზემოთ თქმულის საილუსტრაციო მასალები და საჭიროების შემთხვევაში შენიშვნები გზადაგზა გავაკეთოთ. მასალა დავალაგოთ ზემოთ მოყვანილი სქემის მიხედვით.

ა) გეოგრაფიული სახელი ადგილის გარემოებად

როგორც ვთქვით, აქ ორნაირი შემთხვევა გვაქვს:

a) როცა ადგილის გარემოება უჩვენებს **მიმართულებას** და

b) როცა ის **ადგილმდებარეობას** აღნიშნავს.

პირველ შემთხვევაში გეოგრაფიული სახელი ყოველთვის მიცემითის მარტივი **ს** ნიშნით არის წარმოდგენილი, უთანდებულოდ. გაეცნოთ ჯერ პირველ შემთხვევას.

a) ადგილის გარემოება უჩვენებს მიმართულებას

მიეგებოდეს **ქინძარს** და **ღართს**, მოქც. 18, 1; და წყალი... ესრეთ მიიყვანა... **წილკანს**, ლიტ. ქრესტ. 162, 17; და მსწრაფლ სრულიად განძლიერდა

[1] ხანმეტი ლექციონარი: ძველი ქართული ენის ძეგლები, I, 1944, გამოსცა ა. შანიძემ.

და თჳსითა ფერჴითა მიიწია **ბერთას**, ხანძთ. 128, 24; და ყოველნი შემოკრბეს **ჯავახეთს**, იქვე. 130. 2; ვითარ მიიწია **ფერსათს**. იქვე, 139, 24; თანა-წარიყვანნა **ანჩს**. იქვე. 144. 29; მიიყვანნა **შატბერდს**, იქვე. 120, 9; კუალად მიიწინეს **ნეძუს**, იქვე. 124, 14; მოიყვანნა იგინი ქართლით **ოპიზას**, იქვე, 103. 1; ვითარცა მოიწინეს **ტაოს**, იქვე, 111, 40; საბა განუტევა **იშხანს**, იქვე. 112, 21; ფარულად წარვიდეს **აფხაზეთს**, იქვე, 114, 1; და ვითარ მოიწინეს **სამცხეს**; იქვე. 114, 3; წარვიდეს **შავშეთს**, იქვე. 110, 43; წარვედით გალილეას. ევსტ. 171. 31; ბწუხრი ბრეძას გადაჰჴთა (ერედვის წარწ.); **ტფილისს** და **მცხეთას** და **უჟარმას** განავლინნა ქადაგნი, მოქც. (ისტ. ქრესტ. 269. 29); გამოაგდო იგი **ასკალონს**, კიმ. 1, 22. 30; წარემართა **ბეთლემს**, იქვე. 23, 29; და წარავლინნა ექსორიობად **სამეგრელოს** წმიდანი იგი აღმსარებელნი და მოწამენი, იქვე. 93. 33; წარვიდა **აფრიკეთს**, იქვე, 66, 26 და სხვა.

როგორც დავინახეთ, გეოგრაფიულ სახელს. როცა ის მიმართულებას გამოხატავს, მიცემითში არა აქვს ემფატიკური ა. ასეთ შემთხვევაში მიცემითს თავისუფლად ცვლის ვითარებითი, რამდენადაც ამ უკანასკნელისათვის მიმართულების აღნიშვნა ძირითადი ფუნქციაა. ამ მხრივ მიცემითისა და ვითარებითის ფუნქციური კავშირი აშკარა და ხელშესახებია.

ჩვენს ძველ ხელნაწერებში ხშირია შემთხვევა, რომ სრულიად ერთსა და იმავე გარემოებაში ერთი ხელნაწერი რომ მიცემითს ხმარობს, მეორე ვითარებითს მიმართავს. ასეც ხდება ხოლმე: თვით ერთი და იგივე ხელნაწერი, ერთ შემთხვევაში რომ მიცემითს იღებს, მეორეში ვითარებითს ირჩევს. ეს ხშირი მონაცვლეობა მიცემითისა და ვითარებითისა ძალიან დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის და იგი ბევრჯერ ყოფილა სპეციალისტთა ყურადღების საგანი[1].

აქ მოვიყვანთ ამის ორიოდე მაგალითს:

წარვიდეს ძმანი მისნი მწყსად... **სჯქემს**, დაბ. 37, 12 (ლაგ.) და: წარვიდეს ძმანი მისნი მწყსად... **სჯქემდ**, იქვე (ოშკი); წარვიდეთ **დოთაიმს**, დაბ. 37. 17 (ლაგ.) და: წარვიდეთ **დოთაიმდ**, იქვე (ოშკი); წარვიდეს **გალილეას**, მ. 28. 16 C და; წარვიდეს **გალილეად**, იქვე DE; შთავიდა **კაფარნაუმს**, ლ. 4, 31 D და: შთავიდა **კაფარნაონდ**, იქვე CE; წარიგზავნებოდა **იერუსალიმს**, ლ. 13, 22 E და: წარიგზავნებოდა **იერუსალიმდ**, CD; ბრძოდა... **კანას** გალილეაჲსასა. ი. 4. 46 C და: მოვიდა... **კანად** გალილეაჲსა, D.

ზოგჯერ თვით ერთსა და იმავე ხელნაწერში ხან მიცემითია, ხან ვითარებითი, მაგალითად:

---

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა. ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 3. 1944, გვ. 339.

მოხუედ **იორდანეს**, სას. პოეზ. 209, 131 და: მოხუედ **იორდანედ**, იქვე, 207, 89; მოუკლა მას **რუბას**, კიმ. I, 20, 32 და: წარეიდა მისა **რუბად**, იქვე, 22, 17 და სხვა.

მსგავსი შემთხვევები საზოგადო სახელებში, ცხადია, უფრო მეტია და მრავალფეროვანი. ისინი ჩვენ სათანადო ადგილას გვაქვს გარჩეული.

ს) ადგილის გარემოება უჩვენებს ადგილმდებარეობას

ამ შემთხვევაში მიცემითში დასმული გეოგრაფიული სახელი, როგორც ვთქვით, უმეტესად მიცემითის მარტივი ნიშნით (ს) არის წარმოდგენილი, უთანდებულოდ ან თანდებულით, იშვიათად კი ს-ა სუფიქსით, აგრეთვე უთანდებულოდ ან თანდებულით.

მიცემითის ნიშანია ს

უთანდებულო

ყოველნი ძმანი ჩუენნი და მშობელნი ჩუენნი შეაწუხნა **ჰურიასტანს** და **სამარიას** და **პალესტინეს** მარტომან, PO, 109, 15; სხუათა აღაშენნეს **კახეთს** მონასტერნი, ლიტ. ქრესტ. 163, 25; ედემისა ბჭენი... განმიხუნა ჩუენ სახიერებით ღმრთისა სიტყუამან **ნაზარეთს** ხარებითა და **ბეთლემს** შობითა, ტაძარს მიქუმითა, **იორდანეს** განბანითა, სას. პოეზ. 253, 160; იყვნეს ვინმე **ბერთას**, ხანძთ. 128, 13; იქმნა ეპისკოპოს... **სამცხეს**, იქვე, 129, 34; სხუანიცა იყვნეს... **ანჩს**, იქვე, 144, 19; **მიძნაძოროს** მონაზონ იქმნა, იქვე, 125, 18; ხოლო იყვნეს **ოპიზას** ძმანი მცირედნი, იქვე, 103, 2; რამეთუ **კლარჯეთს** და ტაოთა შინა და **შავშეთს**... მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ, იქვე, 106, 8; უმრავლესთა დღეთა **შატბერდს** იყოფინ, იქვე, 147, 25; იყო ვინმე კაცი მდიდარი **ანჭკორას**, იქვე. 155, 11; და დასხდეს იგინი **ზანავს**, მოქც. (ისტ. ქრესტ. 267, 26); სპარსნი უფლებდეს **ქართლს** და **სომხითს** და **სივნიეთს** და **გუასპურაგანს**, იქვე, 269, 3; პირველად დედაჲ შენი აღადგინე, რომელი **ურდს** დამარიულ არს, შუშ. 155, 31; ცისკრად **ალავერდს** ილოცა (ერედვის წარწ.); **ჰრომს** დამკჳდრებულ იყვნეს, კიმ. I, 65, 27; რომელი **პარხალს** არა ეწერა. იშინით მოვიღე და მით გავასრულე, პარხ. 1223 და სხვა.

თანდებულიანი

წამებაჲ წმიდისა პეტრე მოციქულისაჲ **ჰრომეს** შინა, ძვ. ქართ. ქრესტ. 39, 14; შეეშინა დამკჳდრებად სეგორს შინა, დაბ. 19, 30 ლაგ.; წამებაჲ წმიდისა პავლე მოციქულისაჲ **ჰრომს** შინა, PO. 101, 13; ანტიპა სააელით მოწამე იყო პერღამს შინა, თარგმ. გამოცა. 2, 13; **ვატანეთს** შინა მიდგა მეფობაჲ... **სუსეს** შინა სპარსთა მეფობაჲ, იქვე. 17, 9; რომელნი არიან მაკედონიას შინა და აქაიას. 1 თესალ. 1, 7; მოსრეს ყოველივე მამაკაცი **იდუმიას** შინა. 3 მეფ. 11. 16: ჩუენებაჲ ისილეს **მღერეს** შინა. ხანძთ. 128. 28:

მიხედე **ბერთახ** ზედა, იქვე, 128, 39; **ქართლს** შინა კათალიკოზობასა სამოელისსა, აბო 189, 32; პირველად ვიხილნეთ ძმანი ჩუენნი **ხანძთახ**. შინა მყოფნი, ხანძთ. 112, 14; განგამდიდრო და გყო მკჳდრ **მცხეთახ**. შინა მსახურად არმაზისა, მოქც. (ისტ. ქრესტ. 275, 6) და სხვა.

მიცემითის ნიშანია ს-ა

თ ა ნ დ ე ბ ულ ი თ და უ თ ა ნ დ ე ბ ულ ო დ

გამოჩნდა... **იორდანესა**, სას. პოეზ. 226, 41; ტყავისა სამოსელსა განიძარცუავს დღეს ადამ **იორდანესა** შინა, იქვე, 222, 77; უფალმან აწჴმა **სოდომახა** და **გომორახა** ზედა წუმწუბი და ცეცხლი, დაბ. 19. 24 ლაგ. (ოშკში: **სოდომხ** ზედა და **გომორხა**); და გარეშე **ჰრომსა** საუნჯჲ დაიპყრა, PO, 101, 15; და მეფობდა **ჰურიახტანსა** და **იერუსალჲმსა** ზედა სამ თუე, 2 ეზრა, 1, 35; თავადი განვიდოდა შორის **სამარიასა** და **გალილეასა**, ლ. 17, 11; რომელი არს **წიალ-იორდანესა** და **გალილეასა**, ლ. 8, 26 C; აჰა ესერა **იდუმიახა** ზედა გარდამოჴდეს და ერსა მას ზედა. ესაია 34. 5; საბა ებისკოპოს იყო **ოშხანსა** ზედა, ხანძთ. 123, 38: არა განვაგებ **ოპიზახა** ზედა, არცა წინამძღუარსა მისსა ზედა, იქვე, 126. 6; განიხარეს **ხანძთასა** თანა მახლობელთა მათ უდაბნოთა, იქვე, 150. 1.

მაგრამ ამნაირი შემთხვევები საერთოდ მცირეა და, როგორც ჩანს, მოგვიანო ხანის ფორმათა ანალოგიით უნდა იყოს გამოწვეული. თავიდანვე კი ადგილის გარემოებად გამოყენებული ყოველგვარი გეოგრაფიული სახელი მხოლოდ ს სუფიქსით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ძველ ქართულში, როგორც ვნახეთ, ასეთი წესი ძირითადად მკვიდრად არის დაცული, ხოლო აქა-იქ ს-ა სუფიქსით იშვიათად შეხვედრილი ფორმები (უფრო ხშირად თანდებულებით) შემდეგდროინდელი შენაძენია და საზოგადო სახელების ანალოგიით აიხსნება.

ბ) გ ე ო გ რ ა ფ ი ულ ი ს ა ხ ე ლ ი პ ი რ დ ა პ ი რ ან ი რ ი ბ დ ა მ ა ტ ე ბ ად

ასეთ შემთხვევაში, როგორც ვთქვით, გეოგრაფიული სახელი მუდამ ს-ა სუფიქსით არის მოცემული, როგორც ყოველი საზოგადო სახელი. გეოგრაფიული სახელების ეს თვისება სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა ცნობილი და ამიტომ სათანადო მაგალითებს შედარებით ვრცლად წარმოვადგენთ:

მას ჟამსა ჰრქუას **იერუსალჲმსა**, სოფონია 3, 16 (=ირ. დამატ.); ქალაქად დიდად **იერუსალჲმსა** გულისხმა-ვჰყოფთ, თარგმ. გამოცხ. 16, 19 (=პირდ. დამატ.); განვიდა მეფჲ ასურასტანისაჲ და ეწყო **გეთსა** და გამოიღო იგი, 4 მეფ. 12, 17; და მივიდის სამოელ წლითი წლად და გარე-მოადგის **ბეთელსა** და **გალგალასა** და **მასეფთასა**, 1 მეფ. 7, 14; და ძუელსა **ჰრომსა** პეტრეს მიერ მოციქულისა ბაბილონ ეწოდა, თარგმ. გამოცხ. 17, 6; ამისთჳსცა ძუელსა **ბაბილონსა** ეწოდების წერილთა შინა მეძავ, იქვე; და

მოჰყლიდა იესუ ყოველსა მას **გალილეასა**, მ. 4, 23 D. ამ მაგალითში **გალილეასა** პირდაპირი დამატებაა და ამიტომ არის საჭირო მას მიცემითის ნიშნად **ს-ა** ჰქონდეს. ძაშასადამე, ამ სახელის ეს ფუნქცია (და აქედან გამომდინარე **ს-ა** სუფიქსი) აქ შეპირობებულია ზმნის მიერ. მაგრამ, რომ ამ სახელს აქ ზმნა პირის საშუალებით არ უკავშირდებოდეს და იგი (სახელი) უბრალო დამატებად ან ადგილის გარემოებად იყოს მოცემული, მას სუფიქსი **ს-ა** მაინც ექნებოდა ახლა უკვე მეორე წესის მიხედვით: მას ახლავს განსაზღვრება („ყოველსა“) და იმიტომ. შდრ. .ქადაგებდა შესაკრებელთა მათთა და **ყოველსა გალილეასა**, მრ. 1, 39. მაგრამ ამ ტიპის მაგალითებზე შემდგომს პუნქტში. ზემოთ მოყვანილი მაგალითი, მაშასადამე, ორმაგად არის ვალდებული „გალილეა“ მიცემითში **ს-ა** სუფიქსით წარმოადგინოს.

...**იორდანესა** ...მაქებელ ვექმნეთ, სას. პოეზ. 186, 144; რაჟამს მოსრვიდა დავით **იდუმიასა**, 3 მეფ. 11, 15 (პირდ. დამატ.); ამცნო ყოველსა **იუდასა**, იქვე, 15, 22 (ორმაგად არის საჭირო **ს-ა** სუფიქსი); გარე-მოადგა **თერსასა**, იქვე, 16, 18; ვითარცა დასდვა (ხარკი) მამამან ჩემმან **სამარიასა**, იქვე, 20, 34; ამით ურქენდე **ასურეთსა**, ვიდრემდე მოასრულნე. იქვე. 22, 11; დასაბამი **სიონსა** მივსცე, ესაია 41, 27; რომელ აქამდე წესი აქუნდა **ხანძთასა**, ხანძთ. 113, 4; და ნაწილნი მისნი წმიდანი მიეცნეს ნათლად **სამცხესა**, იქვე, 114, 18; მაშინ უბრძანა ადგილნი მარჯუენი აგარაკად **შატბერდსა**, იქვე, 119, 8; აღაშფოთებს ერსა და ასწავებს ყოველსა **ჰურიახტანსა**, ლ. 23, 5; განჰვლიდა **ასურეთსა** და **კილიკიასა** და განამტკიცებდა ეკლესიათა, მოც. 15, 41; ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რაჲთა ბრძოლა უყოს **ჰრომსა**, კიმ. I, 96, 1; რომელი ახს ქალაქსა **ემეწასა** ათორმეტით მილიონით, პარხ. 1044 b.

აქვე უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა გეოგრაფიული სახელი წარმოდგენილია სიტყვებთან „მახლობელ“, „მახლობელად“.

მახლობელი და მისი ტიპის სხვა სახელები ძველ ქართულში დამატებას მიცემითში ითხოვენ, როგორც მათი სათანადო პირიანი ფორმები: **ასწავლის** კეთილსა საქმესა — **მასწავლელი** კეთილსა საქმესა, **მოიღებს** საზრდელსა — **მომღებელი** საზრდელსა, აღზრდის იგი შვილსა — **მზარდული** (ან აღმზრდელი) შვილსა და სხვა. ასეთია ჩვენი „მახლობელი“, „მახლობელად“-იც, ისინიც სათანადო სახელს მიცემითში მოითხოვენ და არა ნათესაობითში (როგორც დღეს), მაგალითად:

მახლობელად **დაბნებსა** და **ქალაქებსა**, მრ. 1, 38; მახლობელად უდაბნოჲსა ქალაქსა, ი. 11, 54; მახლობელ იყო ადგილი იგი **ქალაქსა**, ი. 19, 20 და სხვა. ამიტომ, ცხადია, გეოგრაფიული სახელიც ასეთ შემთხვევაში მიცემითში იქნება. ეს მიცემითიც მუდამ სრული დაბოლოებით არის წარმოდგენილი. ჩვენთვის ამჟამად ამის აღნიშვნაა მთავარი. ორიოდე მაგალითი:

იყო იოვანეცა და ნათელ-ჰსცემდა ენოსს, მახლობელად **სალიმსა**, ი. 3, 23; ხოლო იყო ბეთანიაჲ მახლობელ **იერუსალჱმსა** ვითარ ათხუთმეტ ოდენ უტევან, ი. 11, 18; და ემთხჳნეს იგინი მახლობელად წმიდასა **ბეთლემსა**, პარხ.

854 a; ხოლო იყო მატოი ოდესმე თჳსსა მას საყოფელსა მახლობელად მერესა, ხანძთ. 127, 40 და სხვა.

ბოლოს, აქვე უნდა მოვიხსენიოთ ისეთი შემთხვევები, როცა ვითარებითს ბრუნვაში დასმულ საწყისს ახლავს (პირდაპირი თუ უბრალო) დამატება. ასეთი დამატება ძველ ქართულში ჩვეულებრივ დგას მიცემითში ან სახელობითში (შემდეგ და შემდეგ კი — ნათესაობითში). მაგრამ აღსანიშნავია, რომ ასეთი მიცემითიც მუდამ ს-ა სუფიქსით არის წარმოდგენილი, მაგალითად:

ნულარა იკადრებთ დარღუევად დიდებულსა **ხანძთასა**, ხანძთ. 146, 22. მართალია, **ხანძთა** აქ ტაძარს (ხანძთის დიდებულ ტაძარს) გულისხმობს, მაგრამ ეს არ ცვლის საქმის ვითარებას: ტაძარს ეს სახელი შერქმეული აქვს ადგილის გამო და, მაშასადამე, აქ არსებითად მაინც ადგილის სახელია მხედველობაში. სხვათა შორის, შევნიშნავთ, რომ ეს სახელი აქ სხვა მიზეზითაც უნდა ყოფილიყო სრული ფორმით მოცემული: მას ახლავს განსაზღვრება („დიდებულსა"), რომელთანაც გეოგრაფიული სახელებიც აგრეთვე სრული ფორმითაა წარმოდგენილი (ნ. აქვე ქვემოთ).

გ) გეოგრაფიულ სახელს განსაზღვრება ახლავს

თუ გეოგრაფიულ სახელს ახლავს რაიმე სახის განსაზღვრება, იგი, როგორც აღვნიშნეთ, სრული ბრუნვის ნიშნითაა წარმოდგენილი. მაგალითები:

და განიბნია ერი იგი ყოველსა მას **ეგჳპტესა** შეკრებად წუელისა ბზედ, გამოსლვ. 5, 12 ლაგ. აქ აღნიშნულ გეოგრაფიულ სახელს განსაზღვრება რომ არ ხლებოდა, რასაკვირველია, მას არც სრული ფორმა ექნებოდა. არამედ მარტივი ს სუფიქსით იქნებოდა წარმოდგენილი: განიბნია ერი იგი **ეგჳპტჱს**. ასეთია აგრეთვე შემდეგი მაგალითიც: განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა მას **ასურეთსა**, მ. 4, 24. აქაც გეოგრაფიული სახელის სრული ფორმა განსაზღვრების მიერაა გამოწვეული. სხვაგან ეს სახელი გვხვდება განსაზღვრების გარეშე და სწორედ მარტივი ბრუნვის ნიშნით: ესე აღწერაჲ პირველ იყო მთავრობასა **ასურეთს** კჳრინჱსსა, ლ. 2, 2. აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიულ სახელებს ყველაზე ხშირად აქვთ განსაზღვრებად სიტყვა **ყოველი**. რომელიც დღევანდელ ქართულზე მთელს ნიშნავს (მთელს ეგვიპტეში, მთელს ასურეთში).

...რომელნი არიან ყოველსა **აქაიასა**, 2 კორ. 1, 1; წარვიდეს... მთასა **თაბორსა**, ევსტ. 171, 33; რომელნი იყვნეს რაითს და მთასა **სინასა**, ამონ. 217, 21. ეს უკანასკნელი მაგალითი იმით არის საინტერესო, რომ მასში ორი გეოგრაფიული სახელია ერთად წარმოდგენილი: რაითი და სინა. პირველ მათგანს არ ახლავს განსაზღვრება და ამიტომ მიცემითში ს-ს ანაბარაა მოცემული (რაით-ს), მეორეს კი ახლავს განსაზღვრება „მთასა" და სწორედ ამიტომ მას მიცემითის სრული (გავრცობილი) ნიშანი აქვს: **სინა-სა**. აქედან კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდია ძველ ქართულში განსაზღვრების როლი

გეოგრაფიული სახელის (და, საერთოდ, სახელის) მარტივი თუ რთული ბრუნვის ნიშნით წარმოდგენის საქმეში.

...შემოკერბით ვიდრე ჩუენდამდე დიდსა ამას ქალაქსა შინა **ალექსანდრიასა**, პარხ. 585 g; განითქუა ყოველსა **ქართლსა** საქმე მისი, შუშ. 154, 18; რომელი-იგი იყო პირველი ეპისკოპოსი ქალაქსა ზედა დიდსა **ეფესოსა**, კიმ. I, 103, 28; ქალაქსა მას შინა **ემეწახა** ინება დაუნჯებად საფასე ესე მიუწდომელი უკუნისამდე, იქვე, 124, 13; ხოლო ყოფასა მისსა წმიდასა ქალაქსა **იერუსალემსა** იყო ვინმე ტიბერიელი მონაზონი საბაწმიდას, იქვე, 166, 28. აქაც ორი გეოგრაფიული სახელია: **იერუსალემსა** და **საბაწმიდას**. პირველს მიცემითში ხ-ა აქვს, რადგან მას ახლავს განსაზღვრება (წმიდასა) ქალაქსა, მეორეს მხოლოდ მარტივი ხ აქვს, რადგან მას არ ახლავს რაიმე განსაზღვრება. სხვათა შორის, ვიტყვით აქვე, რომ ეს განსაზღვრება ისეთი ძალისა არის, რომ უცხო წარმოშობის გეოგრაფიულ სახელებს წოდებითშიც კი უჩენს ბრუნვის ნიშანს ო-ს, რომელიც სხვა შემთხვევაში ასეთ სახელებს ჩვეულებრივ არა აქვთ. ამის მაგალითია: **ბეთლემო**(!) დიდებულო (წარტყ. 60, 24).

მაგალითები კმარა. შეიძლება დავასკვნათ: გეოგრაფიულ სახელებს მიცემითი ბრუნვა ორი სახით აქვთ წარმოდგენილი: ა) თუ სახელი ადგილის გარემოებად არის აღებული (აღნიშნავს მიმართულებას) მას მარტივი ხ ნიშანი აქვს (მოვიდა **ქართლ-ხ**); ბ) მაგრამ თუ იგივე გეოგრაფიული სახელი პირდაპირ ან ირიბ დამატებად არის გამოყენებული, ან სხვა შემთხვევაში მას რაიმე განსაზღვრება ახლავს, ის მიცემითის სრული დაბოლოებით გვევლინება (გარე-მოადგის **ბეთელსა**, განითქუა ყოველსა **ქართლსა** საქმე მისი). თუ მოვიგონებთ ამ შრომის სათანადო ადგილას (გვ. 143—146) ნათქვამს მიცემითს ბრუნვაში დასმული საზოგადო სახელების შესახებ, რომ ისინი ზოგჯერ ადგილის გარემოებას გამოხატავენ და ოდენ ხ სუფიქსით გვევლინებიან (უდაბნოს, სამამოს, საეპისკოპოსოს, ადგილობანს), ძნელი არ იქნება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: გეოგრაფიული სახელები ამ ბრუნვაშიც (მიც.) საზოგადო სახელებს მისდევენ და ადამიანთა სახელებს არსებითად შორდებიან. სხვა რომ არა იყოს რა, ადამიანთა სახელებს მიცემითში ბრუნვის სრული ნიშანი არასოდეს[1] არა აქვთ (იოსებსა), გეოგრაფიულ სახელებში კი ასეთი ფორმა ბევრ შემთხვევაში ჩვეულებრივი და დამახასიათებელია.

ნათესაობითი

ნათესაობითი ბრუნვა გეოგრაფიულ სახელებს თითქმის სრულებით ისე აქვთ ნაწარმოები, როგორც საზოგადო სახელებს; ბრუნვის ნიშნად აქ გვევლინება **ი**ს-ა. (**ჲს-ა**) ეს გასაგებიცაა: ნათესაობითი ბრუნვა გეოგრაფიულ სახელებში გამოყენებულია ჩვეულებრივ განსაზღვრებად და ასეთ შემთხვევაში იგი თითქმის არაფრით არ განსხვავდება საზოგადო სახელთაგან: „მდინარისა წყა-

[1] აქ მაედველობაში არაა მიღებული გათანაბრების შემთხვევები.

ლი“ და „იორდანისა წყალი“ სავსებით ერთნაირად არის წარმოდგენილი ნათესაობითში და ერთნაირად იცვლება სხვა ბრუნვებშიც (ამაზე ქვემოთ).

გეოგრაფიული სახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ჩვენ შეგვიძლია ორ შემთხვევაში განვიხილოთ: ა) როცა გეოგრაფიული სახელი განსაზღვრებას წარმოადგენს და წინ უძღვის საზღვრულს (**იორდანისა წყალთა საცთური**) და ბ) როცა ის განსაზღვრებადაა გამოყენებული და მოსდევს საზღვრულს (ციხე **არტანუჯისაჲ**). ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ორმაგ ბრუნებასთან, რომელსაც ქვემოთ ვრცლად ვეხებით. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ხელმეორედ ბრუნებისას გამოყენებული ფუძე გეოგრაფიული სახელისა თითქმის მუდამ ემფატიკური ა-თია გავრცობილი[1]. ასეთ ფუძეს, როგორც ცნობილია, ნათესაობითი ბრუნვის ფორმა წარმოადგენს (**არტანუჯ-ისა**). მაშასადამე, ეს ფუძე სრულებით ემთხვევა თავიდან საბრუნებელი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას (არტანუჯ-ის-ა).

როგორც ვხედავთ, გეოგრაფიულ სახელებს ორივე შემთხვევაში ნათესაობითში ამ ბრუნვის სრული დაბოლოება აქვთ. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, გეოგრაფიული სახელი ქართულია (ადგილობრივია), თუ უცხო წარმოშობისა: ბრუნვის ნიშანი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა: **ის-ა** და **ჲს-ა** (← ის-ა). **ჲს-ა** გვაქვს უკვეცელ ფუძეებთან, მაგრამ ამაზე ქვემოთ. მოვიყვანოთ მაგალითები:

ა) ნათესაობითი ბრუნვა წარმოადგენს წინ დასმულ განსაზღვრებას
(მარტივი ნათესაობითი)

და არა გაუწყა შენ ხილვისა მისთჳს მთისა **ხინიხა**, ანტიოქ. 95, 15; **იორდანისა** წყალთა საცთური პირველი განიდევნა კაცთაგან, სას. პოეზ. 204, 8; და ოდესმე მკალი ურიცხჳ მოვიდა მახლობელად **ანჩიხა** საზღვარსა, **ხანძთ.** 144, 12; **შატბერდისა** ხუედრნი წარეგზავნნეს პირველვე შატბერდსა, იქვე, 124, 4; თემესტია, **მერიხა** დეკანოზმან, თქუა, იქვე, 127, 33; და მწრაფლ ხოლო მივიდეს ამბა გიორგისა, **ოპიზისა** წინამძღურისა, იქვე, 104, 35; იწყო მან **ხანძთისა** შენებაჲ, იქვე, 105, 35; **შავშეთისა** დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვაჲ გარე-მოადგს ზღუდის სახედ უძრავისა, იქვე, 115, 27; ვითარცა თქუა პირველად იერემია წინაჲსწარმეტყუელმან **ბეთლემისა** ყრმათათჳს, სას. პოეზ. 67, 61; ოდეს დაჰვიდოდის ხვალე მზჱ, მას ჟამსა კე**ხარიისაცა** მზჱ დაჰჴდეს, სვან. 295 ჱ.

[1] ძალზე იშვიათად შეიძლება მარტივი ნიშნითაც შეგვხვდეს, რაც ანალოგიით ენდა აიხსნას, რადგან ის არ ეგუება გეოგრაფიულ სახელთა საერთო ბუნებასა და ბრუნების თავისებურებას.

ბ) ნათესაობითი ბრუნვა წარმოადგენს ორმაგი ბრუნების საყრდენ ფუძეს

(ნათესაობით-სახელობითი, ნათესაობით-მოთხრობითი...)

გიორგი... მესამე მამაჲ იყო **ოპიზისაჲ**, ხანძთ. 103, 4; მოახილვა ყოველი სანახები **ხანძთისაჲ**, იქვე, 104, 30; ხუცესი **მერისაჲ** .ხანძთით არნ, იქვე, 109, 29; აშოტ კურაპალატმან... აღაშენა ციხე **არტანუჯისაჲ** საცხორებელად დედუფლისა, იქვე, 137, 19.

...და ესე გამოიძია წმიდამან კრებამან **ნიკეაჲსამან**, მრავ. 292, 8; მიუწერა მრავალთა ეპისკოპოსთა... წმიდამან ბაბილა, მამათ-მთავარმან **ანტიოქიაჲსამან** საპყრობილით ებისტოლე, კიმ. I, 9, 12.

აქ იშვიათად გვხვდება ნათესაობითისათვის მარტივი **ის** ნიშანიც, რომელზედაც დაყრდნობილია მეორედ საბრუნებელი ფუძე: ღირსმან აღათონ, პაპმან **ჰრომისმან**, მოუწოდა მონაზონთა მონასტრისათა, კიმ. I, 126, 18. მაგრამ ამნაირი მაგალითები ძალზე იშვიათია და, თუ შემთხვევითი ხასიათისა არ არის (თუ უბრალო შეცთომა არაა გადაწერისას თუ გამოცემისას), ადამიანთა სახელების ანალოგიით უნდა აიხსნას.

...ბრწყინვიდა ჴევსა მას **მიძნაძოროჲსა** დიდი იაკობ, ხანძთ. 135, 20; ვიყავ რა უდაბნოსა **ოპიზისასა**, ზარზმ. 168, 14; იქცეოდა რაჲ იესუ ზღვისკიდესა მას **გალილეაჲსაჲ**, მ. 4, 18.

...მოვიდა იესუ ნაზარეთით **გალილეაჲსაჲთ**, მრ. 1, 9; უკმო ციხის-თავმან კალაჲთ **ტფილისისაჲთ** მეფესა ჰერაკლეს ვაც-ბოტობით, მოქც. 64, 14; კესარიით **პალესტინისაჲთ** ვარ მე, სვან. 226 ბ და სხვა.

...შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად **ხანძთისა**, ხანძთ. 110, 24; ეგულებოდა სენაკაპანსა მას წმიდაჲ იგი აღყვანებად სამეფოდ ქალაქად **კოსტანტინეპოლისა**, პარხ. 715 გ.

ასევე იქნება ნათესაობითი წარმოდგენილი მაშინაც, როცა მისი საზღვრული მრავლობითს რიცხვშია:

ქარითა სასტიკითა შემუსრნეს ნავნი **თარშიხანი**, ფსალმ. 47, 7; გიკითხვენ თქუენ ეკლესიანი **ასიაჲსანი**, 1 კორ. 16, 19; სიყუარული ესე ჩემი არა დაეყენოს ჩემდა მომართ ადგილთა **აქაიაჲსათა**, 2 კორ. 11, 10 და სხვა.

ამ მაგალითების განხილვის შემდეგ შეიძლება მოკლედ დავასკვნათ, რომ გეოგრაფიული სახელები ნათესაობითს ბრუნვაში არსებითად ისე იბრუნვის, როგორც საზოგადო სახელები. ორი-სამი მაგალითი, როცა ორმაგი ბრუნების ნათესაობითის ფორმა მარტივი **ის** ნიშნით არის წარმოდგენილი (ჰრომისმან...) ამ დებულებას ვერ დაარღვევს. პირიქით, ასეთი იშვიათად შეხვედრილი შემთხვევები უნდა აიხსნას სხვა მიზეზებით (ადამიანთა სახელების გავლენით და სხვ.). ნათესაობითში სხვა ბრუნვებზე ნაკლებად არის შესაძლებლობა, გარჩეული იყოს გეოგრაფიულ სახელთა ფორმები საზოგადო

სახელთა ფორმებისაგან. ეს დაშვება მართლდება კიდეც გეოგრაფიული სახელების ამ ბრუნვაში წარმოდგენილი მაგალითებით.

მოქმედებითი

მოქმედებითში გეოგრაფიული სახელები მხოლოდ ერთი ფუნქციით იხმარება: მათ აქ ლოკალური მნიშვნელობა აქვთ. ჩვენ აქ არ გვხვდება შემთხვევა, რომ გეოგრაფიული სახელი საკურვლობითის ან სხვა მსგავსი გაგებით იხმარებოდეს. მაგრამ ლოკალური შინაარსით მოქმედებითში საზოგადო სახელებიც გვხვდება (ქალაქით, სოფლით, ქუეყანით, აღმოსავალით, დასავალით, ბღუარით...). როგორც თავის ადგილას ვნახეთ, მათ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მხოლოდ მოქმედებითის მარტივი **ით** ნიშანი აქვთ ხოლმე. ამიტომ ბუნებრივია, თუ გეოგრაფიულ სახელებსაც, რომლებიც, როგორც ვთქვით, მხოლოდ აღნიშნული შინაარსით იხმარება, მუდამ და ყოველთვის მარტივი **ით** ნიშანი ჰქონდეთ.

მაგრამ გეოგრაფიულ სახელთა მიერ ადგილის ან მიმართულების აღნიშვნა ორგვარი ხასიათისაა:

ა) მოქმედებითში დასმული გეოგრაფიული სახელი აღნიშნავს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს გ ა რ კ ვ ე უ ლ ი პ უ ნ ქ ტ ი დ ა ნ. ამ შემთხვევაში მოქმედებითი გამოსვლითი (დაწყებითი) ბრუნვის შინაარსს ღებულობს (**ხანძთით წარემართა** = ხანძთიდან წავიდა);

ბ) მოქმედებითში დასმული გეოგრაფიული სახელი აღნიშნავს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს გ ა რ კ ვ ე უ ლ ი პ უ ნ ქ ტ ი ს ა კ ე ნ (ხან: გარკვეულ პუნქტში). ამ შემთხვევაში მას მიმართულებითი (მიწევნითი) ბრუნვის მნიშვნელობა ეძლევა (ივლტოდა **თარშით** — თარშისაკენ ან თარშში გაიქცა).

სრულიად ასეთივე ფუნქციებია დადასტურებული საზოგადო სახელებთანაც. ამიტომ ამ ბრუნვაში გეოგრაფიულ სახელებსა და საზოგადო სახელებს შორის (ყოველ შემთხვევაში, ამ უკანასკნელთა გარკვეულ ჯგუფს შორის) არავითარი არსებითი განსხვავება არ არის; ბრუნების თვალსაზრისით ისინი სავსებით ერთნაირია.

საზოგადო სახელების ასეთი ფუნქცია ჩვენ ზემოთ ვრცლად განვიხილეთ (გვ. 203—215; 226—234); იქვე იყო მოყვანილი ზოგი მაგალითი გეოგრაფიული სახელებიდანაც, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მათ მიმართულებითი ბრუნვის ფუნქცია ჰქონდათ. ამიტომ აქ ამ ტიპის მაგალითთა ნაწილის ჩვენებით დავკმაყოფილდებით მხოლოდ.

მოქმედებითი გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელობით

და შევიდეს იგი **აბენეზერით** აზოტდ, 1 მეფ. 5, 1 ლაგ.; რაჲთა განვიდეს **ჰრომით** (= რომიდან), ძვ. ქართ. კრესტ. 40, 12. ამ სახელის ფუძე ორი სახით გვხვდება ტექსტებში: **ჰრომ** და **ჰრომე**. პირველი გვაძლევს მოქმედებითში ფორმას **ჰრომით**, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში, მეორე — **ჰრომთ**

(ჰრომეთ), მაგალითად: რაჲთა განვიდეს იგი **ჰრომჱთ**, PO, 93, 9. ძეგლი იგივეა, რაც წინა მაგალითისა („წამებაჲ წმიდისა პეტრე მოციქულისაჲ ჰრომეს შინა"), ოღონდ სხვა ხელნაწერშია დაცული. ზოგჯერ ჱ-ს ნაცვლად ე გვხვდება: მიიწერა **ჰრომეთ** ტჯქიკეს მიერ, ეფეს. 6, 24 (ბოლოს), მაგრამ საერთოდ ჱ აქ ჩვეულებრივია: პავლე მოციქულისა წიგნი გალატელთა მიმართ, მიიწერა **ჰრომჱთ**, Опис. 98, 4. ნ. კიდევ იქვე: 98, 10; 98, 12; 99, 1 და სხვა.

...აღვიდა ლოტ **სეგორით**, დაბ. 19, 30; არღარა მივიდა იგი **აფრიკჱთ** კერძოთა იტალიისათა, PO, 111, 8. აქ ამოსავალი ფორმაა (ფუძეა) **აფრიკე**, სხვაგან ეს სახელი გეოგრაფიულ სახელთა დამახასიათებელი ეთ სუფიქსითაა წარმოდგენილი: **აფრიკ-ეთ-ი** (კიმ. I, 68, 2). ამ ტიპისაა აგრეთვე **კოსტანტინჱთ**, რომელიც წარმოშობით პირის სახელია და ქალაქის სახელად მერმეა გამოყენებული: ვითარ გულისხმა-ყვეს მიზეზი იგი მოსლვისა მათისაჲ **კოსტანტინჱთ**, ძვ. ქართ. კრესტ. 56, 14. მაგრამ სხვაგან ამ ქალაქს **კოსტანტინეპო(ვ)ლისი** და **კოსტანტინეპოლე** ჰქვია.

...და მრავალი ერი (შეუდგა მას) **გალილეაჲთ** და **ჰურიასტანით** და **იერუსალჱმით** და **წიალ-იორდანით**, მრ. 3, 7—8; ვითარ გამოვიდოდეს იგინი **ბეთანიაჲთ**, მრ. 11, 12; მოსრულ იყვნეს **ნეძჳთ**, ხანძთ. 134, 29; დღესა ერთსა **შატბერდით** წარვიდა, იქვე, 137; 31; **მიძნაძოროჲთ** ხანძთად მოვიდა, იქვე, 124, 32; მოიყვანნა იგინი **ქართლით** ოპიზას, იქვე, 103, 1; ფებრონია მოიწია **ხამცხით** და დაემკჳდრა მერეს შინა, იქვე, 109, 25; ხუცესი მერისაჲ **ხანძთით** არნ, იქვე, 109, 29; წარემართნეს იგინი ქუეყანით **აფხაზეთით**, აბო 188, 21; წარვიღი წიგნები **სპარსეთით** საბერძნეთად და კუალად **საბერძნეთით** — სპარსეთად, კიმ. I, 208, 18; რუჲ გამოიღო **ქსნით**, მოქც. 48, 22; გამოიყვანა იგი **ეგჳპტით**, კიმ. I, 51, 36; რომელი პარხალს არა ეწერა, **იშხნით** მოვიღე და მით გავასრულე, პარხ. 1223 და სხვა.

იშვიათად შეიძლება გეოგრაფიულ სახელს ახლდეს თანდებული. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ **გან** თანდებულის დართვაა შესაძლებელი. მაგალითი: და მოიღეს ქალაქები... **ასკალონითგან** ვიდრე გეთადმდე, 1 მეფ. 7, 14.

მოქმედებითი მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობით

თარშით (ნ. ზემოთ, გვ. 227; 231); **ქელობით** (230), **ევფრატით** კერძო (231), **ასურასტანით** კერძო (231), **ფინიკიაჲთ** (231), **ქინაანით** (231), **სამარიაჲთ** კერძო (231), **კახეთით**, **კუხეთით** (231), **ბეთსამით** კერძო (231), **ნავეთ** (232), **ბეტსამუნით** (232), **პამფილიაჲთ** კერძო (232), **ჰრამაჲთ** კერძო (232), **იორდანით**, **იორდანით** კერძო (232), **არაბიაჲთ** კერძო (233), **სკჳთიაჲთ** კერძო (233), **გოფორით** კერძო (233), **სოგალიმით** (233).

ყველა ამ სიტყვაზე ზემოთ სათანადო ადგილას არის მსჯელობა. უეჭველია, რომ მოქმედებითში დასმული ეს გეოგრაფიული სახელები მიმართულებითი (მიწევნ.) ბრუნვის მნიშვნელობით არის ნახმარი. როგორც ვნახეთ, მოქმედებითი ბრუნვა ამ შემთხვევაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს უთანდებულოდ (თარშით. კახეთით, კუხეთით) და თანდებულითაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გვხვდება მხოლოდ **კერძო** თანდებული (რომლისაგანაც მიღებულია დღევანდელი კენ: კერძო → კერძ → კერ → კენ [1]). ასეთი შემთხვევები ტექსტებში უფრო ხშირია (ჰურიასტანით კერძო, ევფრატით კერძო).

ახლა შეიძლება მოკლედ დავასკვნათ: გეოგრაფიული სახელები მოქმედებითს ბრუნვაშიც არსებითად საზოგადო სახელებს მისდევენ, სახელდობრ, საზოგადო სახელების იმ ჯგუფს, რომელსაც დაკისრებული აქვს აღნიშნოს მოქმედების საწყისი და მისაღწევი პუნქტები, ე. ი. როცა ეს სახელები გამოსვლითი და მიმართულებითი (მიწევნ.) ბრუნვების მნიშვნელობით იხმარება (მთით = მთიდან, აღმოსავალით = აღმოსავლეთისაკენ). ამ შემთხვევაში აღნიშნული ორი ტიპის სახელებს ფორმაცა და შინაარსიც ერთი და იგივე აქვთ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ გეოგრაფიული სახელები მოქმედებითში **მხოლოდ** ასეთი ფუნქციებით იხმარება, საზოგადო სახელთათვის კი ასეთი ფუნქცია **ერთ-ერთია** და **არაძირითადი**. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ საზოგადო სახელები ასეთი დანიშნულებით გვხვდება და რომ ეს მათი ფუნქცია **ძველია**. ასე რომ, პრინციპში აქ სხვაობა არა გვაქვს.

ვითარებითი

ნამდვილი თავისებურება გეოგრაფიულ სახელებს სწორედ ვითარებითს ბრუნვაში ახასიათებს. აქ არის სწორედ შემონახული უფრო ადრინდელი ვითარების გადმონაშთები სხვადასხვა თავისებურების სახით. სწორედ აქაა, რომ ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ნაირ-ნაირი სუფიქსები გვაქვს: ა) ან მარტო ა (საბერძნეთ-ა), ბ) ან მარტო დ (ქართლ-დ) და გ) ან ორივე ერთად ად (ჰურიასტანად). ამათგან პირველი ორი (საბერძნეთ-ა, ქართლ-დ) უფრო ძველ ვითარებას ასახავს და იმ ეპოქებზე მიუთითებს, როცა ა და დ ცალ-ცალკე და დამოუკიდებლად აწარმოებდა ამ ბრუნვას და ალბათ სხვადასხვა დიალექტური წარმოშობისა იყო, ხოლო მესამე შედარებით ახალი წარმონაქმნია და მას შემდეგ უნდა გაჩენილიყო, როცა ა-ს ფუნქცია მოიშალა, ცალკე აღებული ა ვეღარ აწარმოებდა ამ ბრუნვას და საჭირო ხდებოდა მეორე სუფიქსის დართვა (ჰურიასტან-ა-დ [2]). სამივე ეს სახეობა კარგად არის დაცული გეოგრაფიულ სახელებში. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

---

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 622.

[2] ა. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 21.

სუფიქსი ა

ა-ს სამოქმედო ასპარეზი გეოგრაფიულ სახელებში ერთობ შეზღუდულია, ის გვხვდება მხოლოდ ისეთ სახელებში, რომელთა ფუძის მაწარმოებელია სუფიქსები ეთ, ით (საბერძნ-ეთ-ა, სომხ-ით-ა).[1] ამის გამო კაცს შეეძლო ეფიქრა, რომ ვითარებითის ნიშნად აქაც უნდა გვქონოდა ად, მაგრამ წინამავალი თ-ს გამო ბრუნვის ნიშნისეული დ დაიკარგაო: საბერძნეთად → საბერძნეთა. მაგრამ ასეთი მოსაზრება არ იქნებოდა სწორი, რადგან ვითარებითის ნიშნად ა (უდონოდ) ჩვენ გვაქვს სხვა შემთხვევებშიც, სადაც აღნიშნული საბაბი არ არსებობს: სადიდებელ-ა, საწამებელ-ა, სალოცველ-ა... მეორე მხრივ, ჩვენ მოგვეპოვება მთელი რიგი ზმნიზედები, რომლებიც ვითარებითში დგანან, მაგრამ დ არ გააჩნიათ, მხოლოდ ა-ს ამარა არიან წარმოდგენილი: ჩქარ-ა, ნელ-ა, დაბლ-ა, მაღლ-ა და სხვა. ამ სიტყვებში დონი არც ოდესმე ყოფილა და არც დაკარგულა. მესამე მხრივ, ჩვენ გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ვითარებითს მარტო დონი აწარმოებს: ქართლ-დ, ჩორ-დ, ბეთლემ-დ. მაშასადამე, დ ცალკე სუფიქსია და იგი არ შეიძლება იყოს სხვა სუფიქსის ნაწილი. ამიტომ „საბერძნეთ-ა"-ში დონის დაკარგვაზე არ შეიძლება ლაპარაკი. კიდევ გავიმეორებთ: **საბერძნეთა**-სა და მსგავს მაგალითებში ჩვენ გვაქვს შემონახული ძველი დროების გადმონაშთი, როცა ვითარებითს ბრუნვას, გარკვეულ დიალექტებში მაინც, მხოლოდ ა სუფიქსი აწარმოებდა. შემდეგ და შემდეგ, როცა მარტო ა-ს დართვა აღარ იყო საკმარისი და ბრუნვას დ-ც დაერთო, ა თანდათან გადავარდა და გავიდა ხმარებიდან. ძველ ქართულში ა ნაშთის სახით შემოგვრჩა მხოლოდ და მხოლოდ ვიწროდ შემოფარგლულ შემთხვევებში, სახელდობრ, იქ, სადაც ძველებური ფორმა ფონეტიკურად უფრო ადვილი ასატანი იყო, ვიდრე ახალი (საბერძნეთად). ერთი სიტყვით, ძველი მდგომარეობა დარჩა მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, ეთ, ით სუფიქსების შემდეგ.

სუფიქსი ა განურჩევლად გვხვდება როგორც ქართულ ტოპონიმიკაში, ისე უცხო წარმოშობის სახელებშიც. ეს ასეც უნდა იყოს: ფუძის საწარმოებელი ეთ (ით) ორივეს ქართული აქვს: საბერძნ-ეთ-ი, კახ-ეთ-ი. ვნახოთ ახლა მაგალითები:

საბერძნ-ეთ-ა: წარიყვანეთ ეგე და წარვედით **საბერძნეთა**, პარხ. 708 ბ; და სივლტოლით მოვიდეს **საბერძნეთა**, იქვე, 713 ბ; მოწევნულ იყო **საბერძნეთა**, მოქც. 51, 8 და სხვა.

სპარს-ეთ-ა: რომელი წარიტყუენა ხუასრო მეფისაგან **სპარსეთა** და მუნ აღესრულა, ი. ჯავ. აღწ. 201, 34; მას ჟამსა შინა ივლიანე განდგომილი მეფე წარემართა **სპარსეთა**, სვან. 279 ბ.

ასურ-ეთ-ა: წარვემართნეთ **ასურეთა**, სადა-იგი არს ხერთვისი, კიმ. I, 162, 2; და ძმათაგან იჯმნა და გამოვიდა ნავითა **ასურეთა**, მოც. 18, 18 D; ეგულებოდა აღსლვაჲ **ასურეთა**, მოც. 20, 3 D და სხვა.

სივნი-ეთ-ა: და მისა ზევე სპარსთა მეფისა მარზაპარნი შემოვიდეს **სივნიეთა**, მოქც. 60, 10.

თოშ-ეთ-ა: ესმა ესე და გარდაკრბეს **თოშეთა**, იქვე, 57, 2.

კხო-ეთ-ა: და ნინო შთავიდა **კხოეთა** და დადგა კაწარეთს, იქვე, 57, 4.

კახ-ეთ-ა: გარდავიდა **კახეთა**, იქვე, 57, 5.

ულოპორ-ეთ-ა: ხოლო მე წარმოვედ და მოვედ **ულოპორეთა**, იქვე, 88, 1.

ჰინდო-ეთ-ა: მივიდის **ჰინდოეთა** და მოიღის ანთრაკი იგი, სახისმეტ. (ისტ. ქრესტ. 285, 12).

სომხ-ით-ა: ნეტარი იგი... მოიწია ქუეყანად **სომხითა**, სოფელსა არარატი-სასა, ლიტ. ურთ. 124, 25; და იგინი მეოტად წარვიდეს **სომხითა**, ესაია 37, 38.

ძველ ქართულ ძეგლებში ფუძის საწარმოებელ სუფიქსად არის აღქმული ცნობილი პალესტინის ქალაქის **ნაზარეთ**-ის ბოლო მარცვალი **ეთ** (შდრ. ბერძნ. Ναζαρέτ, სომხ. *Նազարէթ*). ამიტომ ვითარებითში ამ სახელსაც ისე ეპყრობიან, როგორც ზემოთ აღწერილთ, ე. ი. მხოლოდ ა-ს ურთავენ, მაგალითად:

წარვიდეს გალილეად, ქალაქად თჳსა — **ნაზარეთა**, ლ. 2, 39; მოვიდა **ნაზარეთა**, ლ. 2, 51; იოსებ და მარიამ იყვნეს ბეთლემელნი და მიიცვალნეს იგინი **ნაზარეთა** და მუნ ცხონდებოდეს, სვან. 27 ბ და სხვა.

ამნაირი ხასიათისაა აგრეთვე **გენესარეთა** (შდრ. ბერძნ. Γεννεσαρέτ, სომხ. *Գինեսարէթ*), რომელსაც ვითარებითში აგრეთვე მხოლოდ **ანით** წარმოადგენენ: წიაღვდეს და მოვიდეს ქუეყანად **გენესარეთა**, მრ. 6, 53 Ე.

ზემოთ აღნიშნულ სახელთა მსგავსად არის გაგებული და სრულიად მათსავით არის წარმოდგენილი ვითარებითში აგრეთვე **ჯოჯოხეთი**. აქ გვაქვს: **ჯოჯოხეთა**. ეს სიტყვა ყველაზე ხშირად იხმარება ძველ ტექსტებში, ამიტომ მისი მაგალითებიც ბევრია, ჩვენ კი მცირე ბათგანს დავიძწმებთ:

შთავიდე ჴე ძისა ჩემისა თანა გლოვით **ჯოჯოხეთა**, დაბ. 37, 35; და შთაავლინოთ სიბერჱ ჩემი მწუხარებით **ჯოჯოხეთა**, დაბ. 42, 38; რომელნი შეყენებულ იყვნეს ჯოჯოხეთს შთასლვითა მისითა **ჯოჯოხეთა**, თუალთ. 76, 18. ეს მაგალითი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში ეს სახელი გვხვდება მიცემითშიც, მაგრამ სხვა ფუნქციით: ადგილმდებარეობისათვის მიცემითია გამოყენებული (შეყენებულ იყვნეს **ჯოჯოხეთს**), ხოლო მიმართულებისათვის — ვითარებითი (შთასლვითა მისითა **ჯოჯოხეთა**). **ნაზარეთა**, **ჯოჯოხეთა** და მსგავსი ფორმები სწორედ მიმართულებითი ბრუნვის შინაარსისაა.

არის შემთხვევები, როცა აღნიშნული ტიპის სახელებს ბოლოს ერთვის კიდევ **დ** და ეღებულობთ ა-დ სუფიქსს: წარვიღი წიგნები სპარსეთით **საბერძნეთად** და კუალად საბერძნეთით — **სპარსეთად**, კიმ. I, 208. 18; გამოვიდა ნავითა **ახურეთად**, მოც. 18, 18 (ვარ.); ეგულებოდა აღსლვაჲ **ასურეთად**, მოც. 20, 3 (ვარ.); შთაჴდენ იგინი **ჯოჯოხეთად**, ფსალმ. 54, 17 და სხვა.

როგორ უნდა შევხედოთ ამ გარემოებას? არის ეს უფრო ძველი ვითარების ამსახველი, თუ ანალოგიით განვითარებული ახალი მოვლენაა. ჩვენ

უკანასკნელი გვგონია მართალი. ძველსა და სანდო ძეგლებში ჩვენ ყოველთვის მარტო ა გვაქვს; დ დართული ფორმები უფრო მოგვიანო ხანის ძეგლებში გვხვდება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მათ ხშირად ვხვდებით ექვთიმე მთაწმიდლის ენაში, მაგრამ ახლისა და ძველი აღთქმის წიგნები კი მარტო ა-ს სჯერდება და დ-ს არ ურთავს. ეჭვი არაა, დ-ს დართვა აქ ყველა სხვა ტიპის გეოგრაფიული სახელების ანალოგიით არის გამოწვეული, როგორიცაა ქართლ-დ, ბეთლემ-დ, იერუსალიმ-დ, სპანია-დ, ოპიზა-დ, ხანძთა-დ და სხვა. ცხადია, რომ მოგვიანო ხანებში უკვე დავიწყებულია „საბერძნეთა“-ს ტიპის წარმოება და უფრო ახალი ვითარების მიხედვით ხდება ამ ბრუნვის ხელახალი წარმოება. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ამნაირი გზა უნდა ჰქონდეს გავლილი თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებს, რომელთაც ამ ბრუნვაში რთული (ორმაგი) ა-დ სუფიქსი აქვთ. როცა პირველის ქმედითი ძალა უკვე აღარ იგრძნობოდა, საჭირო გახდა მეორის, უფრო გასაგებისა და გავრცელებულის, დართვა. ეს პროცესი გეოგრაფიული სახელების გარკვეულ ტიპში ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს; ჩვენ მოწმე ვართ, თუ როგორ თანდათან იჩრდილება ძველი ჯოჯოხეთა, ასურეთა და მსგავსი ფორმები და როგორ თანდათან ვღებულობთ დ-ს დართვით ახალ, ორმაგი წარმოების ფორმებს, როგორიცაა: ჯოჯოხეთად, ასურეთად და სხვა.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ა სუფიქსი ეთ და ით სუფიქსიან ფუძეებში გვაქვსო (საბერძნეთა, სომხითა). იქვე იყო აღნიშნული, რომ ეს არის გადმონაშთი ძველი ვითარებისა. უფრო ძველად ასეთი მდგომარეობა სხვა სახელებშიც უნდა გვქონოდა. აქა-იქ ძველ ქართულშიც გვხვდება ამნაირი გადმონაშთები. ასეთია, მაგალითად, ტფილისა, რომელიც ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში გვხვდება: და წარვიდეს სპარსნი მცხეთით, შემასმენელნი ნეტარისა ევსტათისნი, ტფილისა, და წარდგეს წინაშე ვეჟან ბუზმირ მარზაპანისა, ევსტ. 164, 15. ტფილისა სრულიად ისეა ნაწარმოები, როგორც საბერძნეთა და უდრის გვიანდელ ფორმას ტფილისად.

სუფიქსი დ

გეოგრაფიულ სახელებში უფრო გავრცელებულია დ სუფიქსი. იგი მოუდის, რასაკვირველია, ყველა ხმოვანფუძიან სახელს (ოპიზა-დ, ეგვპტე-დ, იერიქო-დ), აგრეთვე, რაც აქ მთავარია, თანხმოვანფუძიანთაც (ქართლ-დ, ჩორ-დ, ბეთლემ-დ...). აი ამ გარემოებითაც განსხვავდება გეოგრაფიული სახელები საზოგადოთაგან; ამ უკანასკნელთ მხოლოდ დ იშვიათად აქვთ (შდრ. ადგი-დ, ქორწი-დ და პირის ნაცვალსახელები ჩემ-დ-ა, შენ-დ-ა...); მათთვის ჩვეულებრივია რთული ა-დ სუფიქსი: კაც-ა-დ, ქალაქ-ა-დ და სხვა.

დ-ს ხმარების არე არ არის შეზღუდული რაიმე პირობებით: ყველგან, სადაც კი მხოლოდ ა არ იხმარება (საბერძნეთა და მისთ.), დონია გაბატონებული. ის იხმარება ქართულ ტოპონიმიკაში (ქართლ-დ, არმაზ-დ) და უცხო წარმოშობის სახელებში (ბეთლემ-დ, იერუსალიმ-დ), ის იხმარება, როგორც ვთქვით, ხმოვანფუძიანსა და თანხმოვანფუძიან სახელებში (ოპიზა-დ,

ჰრომ-დ), გვხვდება უთანდებულოდ და თანდებულიანად (ბეთლემ-დ, ბეთლემ-დ-მდე). ერთი სიტყვით, ყველგან და ყოველთვის დონი გვაქვს. ეს დონი მაშინაც უცვლელად არის დაცული, როცა მისი დართვით ფონეტიკურად ძნელად გამოსათქმელ კომპლექსს ვღებულობთ, როგორიცაა, მაგალითად: გეთ-დ, ნავათ-დ, რამაოთ-დ, ნისიბნ-დ და სხვა.

თვით ისეთ სახელებშიც, რომელთა ფუძე დონით არის დაბოლოებული, ვითარებითის სუფიქსი დონი ადვილად ინახება და ორ დონს ვღებულობთ: გალაად-დ (იერ. 46, 11), თებაიდ-დ (თუალთ. 11, 14), ფუდ-დ, ლუდ-დ (ესაია 66, 19) და სხვა.

მდე თანდებულის დართვაც კი არ იწვევს დონზე ხელის აღებას: სიდონ-დ-მდე (დაბ. 49, 15), დანდ-დ-მდე (2 მეფ. 24, 6) და სხვა. ერთი სიტყვით. დ-ს სახით ჩვენ წინაშეა ვითარებითი ბრუნვის ზოგადი ნიშანი, რომელიც ქმედითი ფორმანტია ძველ ქართულში, იგი ძალაშია მთელი ძველი ქართულის სივრცეზე და შესწევს უნარი დაუბრკოლებლად დაერთოს გეოგრაფიულ სახელებს და ადვილად უჩვენოს გარკვეული მიმართულება. ამიტომ ბუნებრივია. თუ ასეთი ფორმები მიმართულებითი ბრუნვის შინაარსს გადმოგვცემს; **ქართლ-დ, ბეთლემ-დ** და მისთ. არსებითად მიმართულებითი ბრუნვის ფორმებია.

აქ მოვიყვანთ რამდენიმე სანიმუშო მაგალითს.

უთანდებულო

თანხმოვანფუძიანი სახელები

შევიდეს იგი აბინეზერით **აზოტდ**, 1 მეფ. 5, 1 ლაგ.; და შევიდა **სჯქემდ**, დაბ. 37, 14; წარვიდეთ **დოთაიმდ**, დაბ. 37, 17 (შდრ. პოენა იგინი დოთაიმს, იქვე: აქ ადგილმდებარეობაა გამოხატული და ამიტომ, ცხადია, მიცემითი უნდა); ხოლო მე შეუსწრვე ციხედ **არმაზდ**, მოქც. 91, 16; ხოლო პიტიახში **ჩორდ** წარემართა, შუშ. 154, 5; რაჟამს მოვიდა იგი **ქართლდ**, აბო 185, 20; და აღვიდის კაცი იგი... **სელომდ**, 1 მეფ. 1, 3; და შეკრბეს მას ზედა გუნდნი **იერუსალიმდ** და მიივლტოდა **ლაქისდ**, 4 მეფ. 14, 19; წარვიდა დავით სივლტოლით **გეთდ**, 1 მეფ. 27, 4; წარვედით გალილეას **თაბორდ**, ევსტ. 171, 31; ვითარცა მიიწინეს **ასკალონდ**, კიმ. II, 57, 21; აღდეგით და აღვიდეთ **ბეთელდ**, დაბ. 35, 3; ბრძანა... მოყვანებად შეკრულისად ქალაქად **ნახიბნდ**, პარხ. 581 a (შდრ. ხოლო ნეტარმან დაყო **ნახიბნს** შინა დღე სამეოც და ათი, იქვე, 581 b); წარიყვანნა იგინი მის თანა **ტჯროსდ** ქალაქად, იქვე, 838 b; რაჲთა მიხჳდე **ჰრომდ**... არცაღა მისრულ ვართ **ჰრომდ**, სვან. 26 a.

ხმოვანფუძიანი სახელები

მოვიდეს **ბეთბაგედ** და **ბეთანიად**, მ. 21, 1; განეშორა და წარვიდა **გალილეად**, მ. 4, 12; ივლტოდე **ეგჳპტედ**, მ. 2, 13; მოვიდეს **იერიქოდ**, მრ. 10, 46; მოვიდა იესუ გალილეაჲთ **იორდანედ** იოვანესა, მ. 3, 13; რაჟამს მოვიქცე

აფხაზეთით, თანა-წარგიყვანო შენ **ხანძთად**, ხანძთ. 114, 20; მოვიდა იგი ქალაქად **მცხეთად**, ევსტ. 160, 18; და წარვიდა მამად მაკარი **ოპიზად**, ხანძთ. 151, 28; და მოვიდეს **კესარიად**, წარტყ. 6, 22; და მოიწინეს **პალესტინედ** და სანახებსა მისსა, იქვე, 6, 21 და სხვა.

თანდებულიანი

და შეუდგეს კუალსა მისსა **ლაქისდმდე** და მოკლეს იგი მუნ, 4 მეფ. 14, 19 (შდრ. იქვე: ლაქისდ); მოიწინეს გალაადდ... და მოვიდეს **დანდმდე**, 2 მეფ. 24, 6; განვიდეთ ჩუენ ვიდრე **ბეთლემდმდე**, ლ. 2, 15; მიიწიოს ვიდრე **სიდონდმდე**, დაბ. 49, 15; და დაეშვნა ევილათითგან ვიდრე **ხურდმდე**, იქვე, 25, 18 და სხვა.

ზოგჯერ თანდებული ახლავს არა გეოგრაფიულს, არამედ საზოგადო სახელს, რომელიც მას საზღვრავს რაიმე მხრივ, ხოლო თვით გეოგრაფიული სახელი მარტოოდენ დ ბრუნვის ნიშნით არის წარმოდგენილი, მაგალითად: დაიპყრა... ვიდრე **გოლლადმდე თანურიმდ**, ნეემია 3 ,10 და სხვა.

ამათ გვერდით გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა გეოგრაფიულ სახელს ვითარებითში ორივე სუფიქსი (ა და დ) ერთად აქვს წარმოდგენილი და ზემოთ განხილული ფორმების პარალელურ წარმოებას შეიცავს, მაგალითად: ლოთ შევიდა **სეგორად**, დაბ. 19, 23 ლაგ., მაგრამ: ლოტ შევიდა **სეგორდ** (იქვე, ოშკი); დღეს **სიონად** მოხუედ, ჰილ-ეტრ. 64 v, 15, მაგრამ: მუნვე მოაქციე **სიონდ**, PO, 89, 5; მოიწინეს მოგუნი **ბეთლემად**, სას. პოეზ. 71, 61, მაგრამ: იღჳძებდით გონიერად და სიხარულით **ბეთლემდ** მირბიოდეთ, იქვე, 74, 147; რაჟამს **ქართლად** შემოვედით, ევსტ. 162. 27, მაგრამ: და გამოვიდა იგი ნერსჱს თანა ქუეყანად **ქართლდ**, აბო 189, 9 და სხვა.

ორმაგ სუფიქსს უფრო მაშინ აქვს ადგილი, როცა მას თანდებული ერთვის, მაგალითად: არა შეუტევებდა მთხრობთა **გეთდ**, 1 მეფ. 27, 11, მაგრამ: და მოიღეს ქალაქები... ასკალონითგან ვიდრე **გეთადმდე**, 1 მეფ. 7, 14; რაჲთა მიხჳდე **ჰრომდ**, სვან. 26 ჯ, მაგრამ: კურნებანი სენთანი ქმნნა უფალმან აფრიკეთს და ვიდრე **ჰრომადმდე**, კიმ. I, 68, 3.

ეს პარალელური ფორმები თითქმის ჩვენს თვალწინ არის განვითარებული. არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ძველია **ბეთლემდ** და ახალია **ბეთლემად**. უკანასკნელში ა მერმეა დამატებული. აქ, ანალოგიის გარდა, ფონეტიკურ მხარესაც უნდა ვთამაშა ერთგვარი როლი; ამას ამტკიცებს თანდებულიან ფორმებში ა-ს ჩართვის სიხშირე: **გეთდ**, მაგრამ **გეთადმდე**: თანხმოვნების თავმოყრა ხელს უწყობდა ფორმაში ა-ს შეტანას. რასაც ბძლავრი ანალოგიური ბაზა ჰქონდა. მაშასადამე, ცხადი უნდა იყოს ჩვენთვის, რომ აღნიშნული წყვილი ფორმიდან (გეთდ—გეთად) პირველი უფრო ძველი ვითარების ამსახველია, მეორე შედარებით ახალია. ეს დებულება მტკიცდ არის დამკვიდრებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. რაკი ეს ასეა, უნდა

დავასკვნათ, რომ წინა პუნქტში განხილული წყვილი ფორმებიდან (ჯოჯოხეთა — ჯოჯოხეთად, საბერძნეთა — საბერძნეთად, ასურეთა — ასურეთად) პირველნი ძირითადი, ამოსავალი ფორმებია, რომლებიც ქართული ბრუნების შინაგანი კანონებიდან გამომდინარეობს, ხოლო მეორენი გვიანდელი, მერმე განვითარებული ნიმუშებია და, როგორც „გეთად" შეეფარდება „გეთდ"-ს, ისე „საბერძნეთად" შეეფარდება „საბერძნეთა"-ს. **გეთდ** და **საბერძნეთა** ერთ სიბრტყეზე ძევს, ერთნაირი აგებულების ფორმებია, **გეთად** და **საბერძნეთად** სხვა სიბრტყეზე უნდა მოთავსდეს და ისინი ერთნაირად უნდა შეფასდეს: ორივეში ა და დ მერმეა შეჭრილი, თავიდანვე ისინი იქ არ ყოფილან.

აი ეს გახლავთ გეოგრაფიული სახელების დამახასიათებელი თავისებურება ვითარებითს ბრუნვაში. როგორც ვხედავთ, ეს თავისებურება იმითაა შეპირობებული, რომ აქ სახელი არსებითად მხოლოდ ერთი ფუნქციით გვევლინება: იგი აღნიშნავს მიმართულებას. ამ მიმართულებითი ბრუნვის შინაარსის გამოსახატავად არის, რომ სახელს ხან მარტო ა ერთვის (საბერძნეთა), ხან მარტო დ (ქართლ-დ).

მაგრამ იშვიათად არის ისეთი შემთხვევები, როცა გეოგრაფიული სახელი ვითარებითში აღებულია არა ადგილის გარემოებად, არამედ უბრალო დამატებად. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მას სრულიად ისეთი ნიშანი აქვს, რაც სათანადო საზოგადო სახელებს, რომელთაც ენა უბრალო დამატებად იყენებს. ეს ნიშანი იქნება ა-დ (თანხმოვანფუძიანთათვის), ამ დებულების მშვენიერ ილუსტრაციას წარმოადგენს სიტყვა „ბაბილონის" ორნაირი ფორმა ვითარებითში: **ბაბილონდ** და **ბაბილონად**, მაგალითად:

რაჟამს მიიწია **ბაბილონდ** მთავარი ქართლისაჲ, სას. პოეზ. 182, 33, მაგრამ: **ბაბილონად** სახელ-სდებს შფოთთა მათ სოფლისათა და აღძრვათა, თარგმ. გამოცხ. 14. 8; **ბაბილონად** მას ქალაქსა იტყჳს, რომელი მოსლვასა ანტესსა სამეფო იყოს, იქვე, 17, 10. პირველ შემთხვევაში **ბაბილონი** ადგილის გარემოებადაა აღებული და ამიტომ ბუნებრივია, მას ვითარებითში მხოლოდ დ ჰქონდეს და აქვს კიდეც (ბაბილონ-დ); მეორე შემთხვევაში (ორივე მაგალითში) იგი უბრალო დამატებად არის გამოყენებული და ასევე ბუნებრივია, თუ ბრუნვის ნიშნად ა-დ აქვს (ბაბილონ-ა-დ). მაშასადამე, აქ განსხვავებულ ფუნქციას განსხვავებული ფორმა შეესაბამება, განსხვავებული ფორმა განსხვავებული ფუნქციისათვის არის განკუთვნილი. ენამ ვითარებითი ბრუნვის ფუნქციათა სადიფერენციაციოდ ამ ბრუნვის ნიშანთა სხვადასხვაგვარი ვარიანტები გამოიყენა.

ასევე უნდა ითქვას სხვა შემთხვევების შესახებაც, როცა სახელს სხვა ფუნქცია აქვს. შეგვიძლია კიდევ დავასახელოთ სახელი „ქართლი", რომელიც ორნაირი ფორმითა და ორნაირი მნიშვნელობით გვხვდება, მაგალითად:

წარმოაელინა... სტეფანოზ... ერის-მთავრად ქუეყანასა ამას **ქართლდ**, აბო 188, 15; და გამოვიდა იგი ნერსჱს თანა ქუეყანად **ქართლდ** და შემოვიდა ქალაქსა ტფილისს, იქვე, 189, 9.

მეორე მხრივ, უნდა გავიხსენოთ გ. მერჩულის ცნობილი სიტყვები: არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხანძთ. 132, 37. პირველ შემთხვევაში ქართლდ ადგილის გარემოებადაა გამოყენებული და ამიტომაა, რომ მას მხოლოდ დ სუფიქსი აქვს; მეორეში იგი უბრალო დამატებას წარმოადგენს და, როგორც ასეთს, ა-დ უხდა ჰქონდეს და აქვს კიდეც (ქართლ-ა-დ).

წოდებითი

წოდებითში გეოგრაფიული სახელები საერთოდ ნაკლებად გვხვდება, მაგრამ მაინც შეიძლება ამ ბრუნვის წარმოებაში ორი მთავარი ხაზი მკაფიოდ გავარჩიოთ: სახელთა უდიდესი ნაწილი ჯერ ისევ ფუძის სახითაა წარმოდგენილი: წოდებითი ძველებურად იყენებს თავისი საჭიროებისათვის წრფელობითი ბრუნვის ფორმას. აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა თქმა უნდა, ფუძეს: თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი სახელები თანაბრად არის წარმოდგენილი ოდენ ფუძის სახით. ამ მხრივ გეოგრაფიული სახელები მკვეთრად სცილდება საზოგადო სახელებს და ადამიანთა სახელების ფერხულში ებმება. ამის ნიმუშებია:

და გეწინენ შენ და შეგიპყრან, ბაბილონ, და ვერ სცნა, იერ. 50, 24; და აღვადგინნე შვილნი შენნი, სიონ, შვილთა ზედა სიონთასა, ზაქარ. 9, 13; და მერმე თქუენცა ჩემდავე, ტჳროს და სიდონ. ნუ მოსაგებელსა რას მომაგებთ მე, იოველ 3. 4: ცხოველ არს ღმერთი შენი, დან, და ცხოველ არს ღმერთი შენი, ბერსაბე[1], ამოს 8, 13; განიღუიძე და აღდეგ, სიონ, და შეიმოსე დიდებაჲ შენი. იერუსალჳმ, ქალაქო წმიდაო, ესაია 52, 1. ეს კარგი მაგალითია იმ მხრივაც, რომ გეოგრაფიული სახელის გვერდით და მის მსაზღვრელად მოცემულია საზოგადო სახელი, რომელსაც წოდებითის ნიშანი ო აქვს: ქალაქო წმიდაო. ეტყობა, გეოგრაფიულ სახელებს ჯერ კიდევ ვერ აქვთ განვითარებული ამ ახალი ბრუნვის წარმოება.

...იერუსალჳმ, იერუსალჳმ, რომელმან მოსწყჳდენ წინაწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოვლინებულთა შენ ზედა, მ. 23, 37; და შენ, ბეთლემ, სახლო იუდაჲსო, იხარებდ, სას. პოეზ. 63, 43; ვაჲ შენდა, ქორაზინ, და ვაჲ შენდა, ბეთსაიდა, მ. 11, 21; ლ. 10, 13; ხოლო შენ, კაფარნაუმ, ნუ ცადმდე აჰმაღლდები, მ. 11, 23; ლ. 10, 15.

მაგრამ თვით ძველსავე ქართულში იწყება პროცესი გეოგრაფიული სახელების მიერ წოდებითი ბრუნვის ფორმის შეძენისა. ეს პროცესი ნელა, მაგრამ მტკიცედ და თანდათან ვითარდება და ახალ ქართულში უკვე დასრულებულია. დღეს ფორმები: თბილისო, გორო, მოსკოვო, ქართლო, სიონო, შატბერდო, ბეთლემო და მისთ. ერთადერთ ნორმადაა ქცეული და სხვა

[1] ხელნ.: ბერსაბჳ.

ფორმები ამათ გვერდით არა გვაქვს. ამ პროცესის ხანგრძლივი განვითარების დასაწყისი, როგორც ვთქვით, ძველ ქართულში გვაქვს. აი ამის ნიმუშებიც:

კეთილად აღორძნდი, **შატბერდო**, და შეიმკევე მადლითა და განძლიერდი ძალითა ღმრთისაჲთა, ხანძთ. 149, 21; განემზადე აწ, **იორდანეო**, განბანად უბიწოთა ჯორცთა მისთა, სას. პოეზ. 181, 5; იხარებდ, ქალაქო **ხიონო**, იქვე, 67, III, 3; **ბეთლემო**, განემზადე, იქვე; გიხაროდენ, **ბეთლემო**, იქვე, 70, 38; მშჳდობაჲ შენდა, **ბეთლემო**, დიდებულო და სახელოვანო ქალაქო, წარტყ. 60, 24.

2. კუმშვა და კვეცა გეოგრაფიულ სახელებში

როგორ დგას კუმშვისა და კვეცის საკითხი გეოგრაფიულ სახელებში? ეს ორი მოვლენა ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

კუმშვა

კუმშვა ხდება ჩვეულებრივი წესით, გეოგრაფიული სახელი სათანადო პირობებში იკუმშება, მაგალითად:

რუჲ გამოიღო **ქსნით**, მოქც. 48, 22: ამან ბაკურ იწყო **წილკნიხა** ეკლესიასა, მოქც. 60, 2; რომელი პარხალს არა ეწერა, **იშხნით** მოვიღე და მით გავასრულე, პარხ. 1223; მრავალ-გზის განვლის ჩუენ ზედა ლაშქარმან **ბალაკნით** და არაბიაჲთ და სხჳთ ადგილით, პარხ. 855 ბ. მაგრამ აქაც შეიძლება შევნიშნოთ, რომ ქართული გეოგრაფიული სახელები ამ წესს უფრო ექვემდებარება, უცხო წარმოშობის სახელები — ნაკლებად. ასე, მაგალითად, „აბინეზერ“ ქართული ფუძე რომ ყოფილიყო, საფიქრებელია, მოქმედებითში გვექნებოდა „აბინეზრით“, გვაქვს კი „აბინეზერით“ (1 მეფ. 51, 1 ლაგ.). საერთოდ უნდა ითქვას, რომ უცხო წარმოშობის სახელებში ნაკლებად გვხვდება კუმშვა.

ჰურიასტანი ზოგი ხელნაწერის მიხედვით იკუმშება, ზოგისაც — არა, მაგალითად: აღმოვიდა იოსებცა გალილეაჲთ, ქალაქით ნაზარეთით, **ჰურიასტანად**, ქალაქად დავითისა, ლ. 2, 4 E. ამ სახელს ასევე კუმშავს პარხალის ხელნაწერი სხვაგანაც (ი: 7, 1; ი. 7, 3; ი. 11, 7). ჯრუჭის ხელნაწერში შეუკუმშავი ფორმაა მოცემული: **ჰურიასტანად**. ორიეე ხელნაწერში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად გამოყენებულია ორმაგი ა-დ სუფიქსი. ადიშის ძეგლში, როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ დ არის წარმოდგენილი (ჰურიასტანდ) და, მაშასადამე, კუმშვაზე არც შეიძლება ვილაპარაკოთ.

კვეცა

რაც შეეხება კვეცას, აქ ქართული და უცხო წარმოშობის გეოგრაფიული სახელები მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს: მაშინ როდესაც ქართული გეოგრაფიული სახელები სისტემატურად იკვეცება, უცხო წარმოშობის მსგავსი სახელები **ჩვეულებრივ არ იკვეცება**, ნათესაობითსა და მოქმედებითში მათ ფუძე უცვლელად აქვთ დაცული. ენა, როგორც ვხედავთ,

არჩევს თავისას და სხვისას, ადგილობრივსა და უცხოს და მათ სხვადასხვანაირად ეპყრობა: თავისას, ქართულს, ისე ექცევა, როგორც სახელებს საერთოდ: ა-სა და ე-ზე დაბოლოებულთ კვეცს, სხვებს უცვლელად ტოვებს; ხოლო უცხო სახელებს ჩვეულებრივ უცვლელად ტოვებს, ვერ კვეცს. ჩანს, ეს უკანასკნელნი ჯერ კიდევ არ არიან ორგანულად ათვისებული, ენა მათ ჯერ კიდევ, როგორც უცხოს, როგორც ხელუხლებელს, როგორც უცვლელს, ისე უყურებს.

ავიღოთ ქართული სახელები **ხანძთა, ოპიზა, სამცხე, მერე**. ესენი ყოველთვის იკვეცებიან, მაგალითად:

იწყო მან **ხანძთისა** შენებაჲ, ხანძთ. 105, 35; ხუცესი **მერისაჲ** ხანძთით არნ, იქვე, 109, 29; ფებრონია მოიწია **სამცხით**, იქვე, 109, 25; და მსწრაფლ ხოლო მივიდეს ამბა გიორგისა, **ოპიზისა** წინამძღურისა, იქვე, 104, 35 და სხვა.

მაგრამ სულ სხვა სურათი გვაქვს უცხო წარმოშობის გეოგრაფიულ სახელებში: აქ, როგორც ვთქვით, სახელი ჩვეულებრივ არ იკვეცება, მაგალითად:

ა-ზე გათავებული ფუძენი

გამოვიდეს იგინი **ბეთანიაჲთ**, მრ. 11, 12 (და არა: ბეთანიით, როგორც გვაქვს დღეს); იყო ფილიპე **ბეთსაიდაჲთ**, ი. 1, 44; რომელნი მოსდევდეს **გალილეაჲთ**, ლ. 23, 49; მრავალი ერი შეუდგა მას... **იდუმიაჲთ**, მრ. 3. 8 C; რომელი იყო **კანაჲთ გალილეაჲსაჲთა**, ი. 21, 2; აღვიდა იესუ ნავსა და მოვიდა საზღვართა **მაგდალაჲსაჲთა**, მ. 15, 39; განსლვად იყო იგი **სამარიაჲთ**, ი. 4, 4; მოვიდეს სხუანიცა ნავნი **ტიბერიაჲთ**, ი. 6, 23; მგელნი **არაბიაჲსანი**, სოფონია 3, 3; და გამოიყვანნა იგინი გზასა **სინაჲსასა**, იქიდით 5, 14; პირველსა სავანესა **ალექსანდრიაჲსასა**... განვიდა ბალაკიოს, უდაბნ. 34 ra: ეკლესიათა **გალატიაჲსათა**, 1 კორ. 16, 1; ადგილთა **აქაიაჲსათა**, 2 კორ. 11, 10; ეკლესიანი **ასიაჲსანი**, 1 კორ. 16, 19; **მაკედონიაჲთ** განვიდე, 1 კორ. 16, 5; მიწერილი **ათენაჲთ**, 1 თესალ. 5, 28 (ბოლოს); რომელნი-იგი არიან **იტალიაჲთ**, ებრ. 13, 25; ესე გამოიძია წმიდამან კრებამან **ნიკეაჲსამან**, მრავ. 292, 8; რაჲთა დაჯდეს საყდარსა **ანტიოქიაჲსასა**, Опис. 120, 7; მოვიდეს ვინმე კაცნი **კაბადუკიაჲთ**, კიმ. 309, 35 და სხვა.

ე-ზე გათავებული ფუძენი

რაჲთა განვიდეს იგი **ჰრომჱთ**, PO, 93, 9; ესე არს წყალი ცილობისაჲ **კადჱსაჲ**, რიცხ. 27, 14; არღარა მივიდა იგი **აფრიკჱთ** კერძოთა იტალიისათა, PO, 111, 8; მი(ი)წერა ლაოდიკიაჲთ... **კატიანჱთ** კერძო, 1 ტიმ. 6, 22 (ბოლოს) და სხვა.

მაგრამ ამ ფორმათა გვერდით გვხვდება იმავე ან სხვა სახელთა შეკვეცილი ფორმები. ჩანს, უკვე დაწყებულია უცხო სახელთა მოხმარება საკუთარი ენის კანონების მიხედვით, უცხო სახელთა გამოყენება საკუთარ კანონთა

მიხედვით. მართალია, ასეთი ტენდენცია ჯერ კიდევ გაუბედავი და მკრთალია და იგი მხოლოდ ზოგიერთი სახელით არის შემოფარგლული, მაგრამ ეს პროცესი თანდათან ვითარდება და ძლიერდება; შედარებით მოგვიანო ხანის ძეგლებში ის უფრო და უფრო მეტი სისტემატურობით იკაფავს გზას. ახალ ქართულში კი, როგორც ცნობილია, ისეთი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა ბეთანია, ალექსანდრია, მაკედონია და სხვები, უკვე სავსებით გათანაბრებულია საზოგადო სახელებთან და ჩვეულებრივი წესით იკვეცება: მაკედონიის, ალექსანდრიის, ბეთანიის და სხვა. როგორც ჩანს, ეს პროცესი დიდხანს მიმდინარეობდა ჩვენს ენაში და მისი სათავე ძველ ქართულში ძევს. აი ამის რამდენიმე ნიმუში:

და ხლდებოდიან, ვითარცა ვეფხნი, ცხენნი მისნი და უმრავლჱს უფროჲს მჴეცთა **არაბიისათა**, ჰაბაკუმ 1, 8; არღარა მივიდა იგი აფრიკჱთ კერძოთა **იტალიისათა**, PO, 111, 8; **კესარიით** პალესტინისაჲთ ვარ მე, სვან. 226 a; ოდეს დაჰვიდოდის ხვალე მზჱ, მას ჟამსა **კესარიისაცა** მზჱ დაჰჴდეს, სვან. 295 a; მთანი **სინისანი**, გუერდნი ჩრდილოჲსანი, ფსალმ. 47, 3; ორა გაუწყა შენ ხილვისა მისთჳს მთისა **სინისა**, ანტიოქ. 95, 15.

ზოგიერთ ხელნაწერში ასეთი შეკვეცა ამა თუ იმ სახელისა ნორმადაა ქცეული. ასე, მაგალითად, ტიმოთე ანტიოქელის ცხოვრებაში „ანტიოქია" მუდამ იკვეცება: ამითვე უკუე სურვილითა შეპყრობილ იქმნა პატრიაქია **ანტიოქიისაჲ** თეოდორიტე, ანტიოქ. 98, 9; რომელნი წარემართნეს **ანტიოქი**ით წარსლვად დაბასა რომელსამე, იქვე, 111, 12.

უცხო სახელთაგან ძალიან გავრცელებულია ჩვენში და ამის გამო სისტემატურად იკვეცება **ეგჳპტე** და **იორდანე**. ესენი ქართული ბრუნების საერთო კალაპოტშია ჩამდგარი და არასდროს არ გვხვდება შეუკვეცელი სახით. ორიოდე ნიმუში:

გამოიყვანა იგი **ეგჳპტით**, კიმ. I, 51, 36; **ეგჳპტით** უწოდო ძესა ჩემსა, მ. 2, 15; **იორდანისა** წყალთა საცთური პირველი განიდევნა კაცთაგან, სას. პოეზ. 204, 8; მისდევდა მას ერი მრავალი... იერუსალჱმით და **წიალ-იორდანით**, ნ. 4, 25.

მაგრამ ასე გარკვევით და მტკიცედ არ დგება ქართული ბრუნების ყალიბში ყველა უცხო გეოგრაფიული სახელი. პარალელურად არსებობა ისეთი წყვილი ფორმებისა, როგორიცაა **არაბიისათა** და **არაბიაჲსანი**, **იტალიისათა** და **იტალიაჲთ**, **სინისა** და **სინაჲსასა**, ასახავს გარდამავალ საფეხურს, როცა ძველებური დამოკიდებულება უცხო გეოგრაფიული სახელების კვეცისადმი შერყეულია, დაწყებულია მკრთალი და გაუბედავი ცდები ამ სახელთა შეკვეცისა, მაგრამ ეს პროცესი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მისული. ამიტომაა, რომ ერთმანეთის გვერდით ხშირად გვხვდება შეუკვეცელი და შეკვეცილი ფორმები. შემდეგ და შემდეგ, როგორც ვთქვით, სათანადო სახელის კვეცა გახდა საყალდებულო და ახალ ქართულში ეს წესი უკვე მტკიცედაა დამკვიდრებული.

რაც შეეხება გეოგრაფიულ სახელთა მრავლობითს რიცხვს, ის, როგორც აღვნიშნეთ, ამ სახელებს არ გააჩნიათ.

ახლა შეიძლება გეოგრაფიულ სახელთა ბრუნების პარადიგმებიც მოვიყვანოთ.

A. თანხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელები

უკუმშველი

წრფ.	შატბერდ	კახეთ	ბეთლემ
სახ.	შატბერდ-ი	კახეთ-ი	ბეთლემ-ი
მოთხ.	შატბერდ-მან	კახეთ-მან	ბეთლემ-მან
მიც.	შატბერდ-ს	კახეთ-ს	ბეთლემ-ს
	შატბერდ-ს-ა	კახეთ-ს-ა	ბეთლემ-ს-ა
ნათ.	შატბერდ-ის-ა	კახეთ-ის-ა	ბეთლემ-ის-ა
მოქმ.	შატბერდ-ით	კახეთ-ით	ბეთლემ-ით
ვით.	შატბერდ-დ	კახეთ-ა	ბეთლემ-დ
	შატბერდ-ად	კახეთ-ად	ბეთლემ-ად
წოდ.	შატბერდ-ო	კახეთ-ო	ბეთლემ
			ბეთლემ-ო

კუმშვადი

წრფ.	იშხან	წილკან	ქსან
სახ.	იშხან-ი	წილკან-ი	ქსან-ი
მოთხ.	იშხან-მან	წილკან-მან	ქსან-მან
მიც.	იშხან-ს	წილკან-ს	ქსან-ს
	იშხან-ს-ა	წილკან-ს-ა	ქსან-ს-ა
ნათ.	იშხნ-ის-ა	წილკნ-ის-ა	ქსნ-ის-ა
მოქმ.	იშხნ-ით	წილკნ-ით	ქსნ-ით
ვით.	იშხან-დ	წილკან-დ	ქსან-დ
	იშხნ-ად	წილკნ-ად	ქსნ-ად
წოდ.	იშხან-ო	წილკან-ო	ქსან-ო

B. ხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელები

კვეცილი

ა-ზე გათავებული ფუძეები

წრფ.	ოპიზა	ხანძთა	კესარია
სახ.	ოპიზა-ჲ	ხანძთა-ჲ	კესარია-ჲ
მოთხ.	ოპიზა-მან	ხანძთა-მან	კესარია-მან
მიც.	ოპიზა-ს	ხანძთა-ს	კესარია-ს
	ოპიზა-ს-ა	ხანძთა-ს-ა	კესარია-ს-ა
ნათ.	ოპიზ-ის-ა	ხანძთ-ის-ა	კესარი-ის-ა
მოქმ.	ოპიზ-ით	ხანძთ-ით	კესარი-ით
ვით.	ოპიზა-დ	ხანძთა-დ	კესარია-დ
წოდ.	ოპიზა-ო	ხანძთა-ო	კესარია
			კესარია-ო

ე-ზე გათავებული ფუძეები

წრფ.	მერე	სამცხე	ეგვპტე
სახ.	მერᲔ	სამცხᲔ	ეგვპტᲔ
	(მერე-ჲ)	(სამცხე-ჲ)	(ეგვპტე-ჲ)
მოთხ.	მერე-მან	სამცხე-მან	ეგვპტე-მან
მიც.	მერე-ს	სამცხე-ს	ეგვპტე-ს
	მერე-ს-ა	სამცხე-ს-ა	ეგვპტე-ს-ა
ნათ.	მერ-ის-ა	სამცხ-ის-ა	ეგვპტ-ის-ა
მოქმ.	მერ-ით	სამცხ-ით	ეგვპტ-ით
ვით.	მერე-დ	სამცხე-დ	ეგვპტე-დ
წოდ.	მერე-ო	სამცხე-ო	ეგვპტე
			ეგვპტე-ო

უკვეცელი

ა-ზე გათავებული ფუძეები

წრფ.	კალა	გალილეა	სამარია
სახ.	კალა-ჲ	გალილეა-ჲ	სამარია-ჲ
მოთხ.	კალა-მან	გალილეა-მან	სამარია-მან
მიც.	კალა-ს	გალილეა-ს	სამარია-ს
	კალა-ს-ა	გალილეა-ს-ა	სამარია-ს-ა
ნათ.	კალა-ჲს-ა	გალილეა-ჲს-ა	სამარია-ჲს-ა
მოქმ.	კალა-ჲთ	გალილეა-ჲთ	სამარია-ჲთ
ვით.	კალა-დ	გალილეა-დ	სამარია-დ
წოდ.	კალა-ო	გალილეა	სამარია
		გალილეა-ო	სამარია-ო

ე-ზე გათავებული ფუძეები

წრფ.	ტკრე	ჰრომე	აფრიკე
სახ.	ტკრᲔ	ჰრომᲔ	აფრიკᲔ
	(ტკრე-ჲ)	(ჰრომე-ჲ)	(აფრიკე-ჲ)
მოთხ.	ტკრე-მან	ჰრომე-მან	აფრიკე-მან
მიც.	ტკრე-ს	ჰრომე-ს	აფრიკე-ს
	ტკრე-ს-ა	ჰრომე-ს-ა	აფრიკე-ს-ა
ნათ.	ტკრᲘსა	ჰრომᲘსა	აფრიკᲘსა
	(ტკრე-ჲს-ა)	(ჰრომე-ჲს-ა)	(აფრიკე-ჲს-ა)
მოქმ.	ტკრᲘთ	ჰრომᲘთ	აფრიკᲘთ
	(ტკრე-ჲთ)	(ჰრომე-ჲთ)	(აფრიკე-ჲთ)
ვით.	ტკრე-დ	ჰრომე-დ	აფრიკე-დ
წოდ.	ტკრე	ჰრომე	აფრიკე
	ტკრე-ო	ჰრომე-ო	აფრიკე-ო

ო-ზე გათავებული ფუძენი

წრფ.	მიძნაძორო	იერიქო
სახ.	მიძნაძორო-ჲ	იერიქო-ჲ
მოთხ.	მიძნაძორო-მან	იერიქო-მან
მიც.	მიძნაძორო-ს	იერიქო-ს
	მიძნაძორო-ს-ა	იერიქო-ს-ა
ნათ.	მიძნაძორო-ჲს-ა	იერიქო-ჲს-ა
მოქმ.	მიძნაძორო-ჲთ	იერიქო-ჲთ
ვით.	მიძნაძორო-დ	იერიქო-დ
წოდ.	მიძნაძორო-ო	იერიქო
		იერიქო-ო

9. საწყისები

საწყისი ზმნური წარმოშობის სახელია. ამიტომაა, რომ მას ზიარი აქვს ზოგიერთი კატეგორია ზმნასთანაც და სახელთანაც. საწყისის ზმნური ნიშნებია:

გეზი: სლვა (მიუმართ.) და შესლვა (მიმართ.).
ორიენტაცია: შესლვა (მაშორებ.) და შემოსლვა (მაახლოებ.).
ასპექტი: სლვა (უსრ.) და მისლვა (სრული)[1].

ჩამოთვლილი ნიშნები საერთოა ძველისა და ახალი ქართულისათვის.

ახალ ქართულში, გარდა ამისა, საწყისში კარგად არის გამოხატული აგრეთვე კონტაქტიც: დაწერა და დაწერინება, აღება და აღებინება, მოკვლა და მოკვლევინება და სხვა, მაგრამ ძველ ქართულში ამგვარი ფორმები ჩვეულებრივ არა გვაქვს.

იშვიათად საწყისში გვარიც შეიძლება იქნეს გამოხატული. ახალი ქართულიდან ამის ნიმუშებია:

მოქმ.	ვნებ.
ტეხა	ტყდომა
წუვეტა	წყდომა
ხეთქა	სკდომა[2]

ძველ ქართულში საამისოდ შეგვეძლო დაგვესახელებინა განრინება (მოქმ.) და განრომა (ვნებ.) და სხვა.

ძველ ქართულში საწყისს შერჩენილი აქვს პირიანი ზმნის თვისება, რომ სახელი (დამატ.) მოითხოვოს მიცემითსა და სახელობითს ბრუნვებში. ამის მაგალითია ძველ ქართულში კარგად ცნობილი გამოთქმები: იწყო კითხვად

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 576—577.
[2] იქვე, გვ. 577.

წიგნსა (‖ წიგნი), იწყო თესვად თესლსა (‖ თესლი), აღსრულებად საქმესა (‖ საქმე), დავაკებად ქუეყანასა (‖ ქუეყანაჲ) და სხვა. აქ საწყისი ვითარებითს ბრუნვაშია წარმოდგენილი და მხოლოდ ასეთ საწყისს აქვს უნარი სათანადო დამატება მიცემითსა და სახელობითში მოითხოვოს.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა სახელობითში დასმული საწყისიც (ჩვეულებრივი საწყისი) დამატებისაგან მიცემითს ბრუნვას ითხოვს. ეს თვისება ზმნის პირიანი ფორმისაგან მომდინარეობს. შდრ. ჰრიდებს იგი **მას** და: **რიდებაჲ** გემოთა და **ნებასა** ჭორცთასა და **ტყუვილსა** და **ძჯრის-ჯსენებასა** და **ბოროტის-ყოფასა** მოყუსისასა, მამ. სწავ. 174. ასეთია აგრეთვე: აკსენებს **სახელსა** და: **ჯსენებაჲ სახელსა** ღმრთისასა გამდევნელ ეშმაკთა არს, იქვე, 293. ბოლოს, ასეთივე ფორმა აქვს აგრეთვე ამ ზმნასაც: ჰრეკს **კარსა** და: **რეკაჲ კარსა** მას ქრისტესსა, იქვე, 304; მარადის **რეკაჲ კარსა** მას ღმრთისასა, იქვე, 421.

როგორც ვხედავთ, საწყისს ძველ ქართულში უფრო მეტი აქვს საერთო ზმნასთან, ვიდრე ახალ ქართულში.

მაგრამ საწყისს გაცილებით უფრო მეტი აქვს საერთო სახელთან. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ საწყისი **იბრუნვის**. და იგი იბრუნვის სწორედ ისე, როგორც არსებითი სახელი. იგი საკუთრებით ემორჩილება იმ წესებს, რომლებიც არსებით სახელთა ბრუნებას განაგებენ. ერთი სიტყვით, ბრუნების თვალსაზრისით საწყისი არსებითისაგან არ განსხვავდება. ახლა ვნახოთ, რა ფუნქციებს ასრულებს საწყისი წინადადებაში. აქ იგი დგას არსებითი სახელის გვერდით და ყველა იმ ფუნქციას ასრულებს, რასაც არსებითი სახელი, ე. ი. საწყისი გვეელინება სუბიექტად, ობიექტად (პირდაპირად და ირიბად), გარემოებად. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას საწყისი შეიძლება იყოს საზღვრულიც, მსაზღვრელიც. ერთი სიტყვით, **ბრუნებისა** და **ფუნქციების** მიხედვით საწყისი არაფრით არ განსხვავდება არსებითი სახელისაგან. საწყისის სახით ჩვენ წინაშეა არსებით სახელთა ერთი ფრთა, ერთი ჯგუფი, რომელსაც ზოგი ნიშანი ზმნისა აქვს, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი — ბრუნება და ფუნქციები — სახელთან აერთებს.

არ შეიძლება ითქვას, რომ საწყისს მრავლობითი რიცხვი არა აქვსო. ძველი ქართულის ისეთი ფორმები, როგორიცაა: კაცის-კლვანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილის-წამებანი, გმობანი (მ. 15, 19; მრ. 7, 21), ზაკუვანი (მრ. 7, 22), ლოცვანი (ლ. 1, 13 ბ), ვედრებანი, წამებანი, (მრ. 14, 59) და ბევრი სხვა, აშკარას ხდის, რომ საწყისს გარკვეულ შემთხვევებში მრავლობითი რიცხვის წარმოება შეუძლია და აქვს კიდეც.

აქ შეიძლება თქვან, რომ საწყისი მრავლობითს რიცხვს მაშინ აწარმოებს, როცა ის უკვე არსებით სახელადაა ქცეული, ე. ი. არსებითად საწყისი აღარ არისო. აქ, ჯერ-ერთი, უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ფაქტი, რომ საწყისი არსებით სახელად იქცევა და არა სხვა რამედ, თავისთავად ხაზს უსვამს აქ წამოყენებულ დებულებას: ჩანს, სახელი და საწყისი ისე ახლოა ერთმანეთთან (ან, უკეთ: საწყისი ისე ახლოა არსებითთან), რომ მათ შორის საზღვრის დადება ჭირს, საწყისი თანდათანობით იქცევა არსებით სახელად

(შდრ., წერა, ხატვა, ხაზვა, როგორც გარკვეული საგნები სკოლაში). მეორე მხრივ, არ შეიძლება ზემოთ დასახელებული ფორმები უკვე არსებითად ქცეულ მაგალითებად მივიჩნიოთ: პარვა, სიძვა, გმობა ტიპური საწყისებია.

აქ სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ, უნდა დავასკვნათ, რომ საწყისები **ბრუნებისა** და **ფუნქციების** მიხედვით არსებითს სახელებს უდგას გვერდში, და მათთან ერთად უნდა იქნეს განხილული.

ჩვენც ასე ვოვიქეციით. როცა ზემოთ არსებითს სახელებზე გვქონდა საუბარი, იქ მაგალითები საწყისებიდანაც მოგვყავდა. ამიტომ მათ ცალკე აქ აღარ განვიხილავთ.

არსებითს სახელებსა და საწყისებზე ჩვენ კიდევ მოგვიწევს საუბარი, როცა მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნვაზე გვექნება მსჯელობა (ე. წ. ორმაგი და სამმაგი ბრუნების გაცნობისას). მანამდე კი საჭიროა სხვა სახელებსაც გავეცნოთ. აქ, პირველ რიგში, ზედსართავ სახელებზე შევჩერდებით, შემდეგ — რიცხვითს სახელებზე, ბოლოს — ნაცვალსახელებზე. მაგრამ, რადგანაც არსებითმა სახელმა დიდი დრო და ადგილი წაგვართვა, აქ ამათ, რაც შეიძლება, მოკლედ უნდა შევეხოთ.

თავი მეორე

ზედსართავი სახელები

1. ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავები

ზედსართავი სახელი ძველ ქართულშიც ორი სახისა გვაქვს: ვითარებითი და მიმართებითი. პირველ ჯგუფს პირველადი ზედსართავები შეადგენს, მეორეს—ნაწარმოები. პირველის მაგალითები იქნება: დიდი, მცირე, ახალი, ძუელი, მაღალი, მდაბალი, თეთრი, შავი, მწუანე, ღრმად, იწროდ, ვრცელი, ფართოდ, უხჳ, სავსე, მაგარი, ლბილი, ტკბილი, მწარე, ბოროტი, კეთილი და სხვა. აქვე შემოდის ძველისძველი წარმოების ფორმები, რომლებშიც ახლა უკვე დავიწყებულია მათი წარმოშობის გზები. ასეთი ზედსართავებია, მაგალითად: ძლიერი (მომდინარეობს „ძალ"-იდან იერ სუფიქსის დამატებით), მდიდარი (მომდინარეობს „დიდ"-იდან ი—არ აფიქსების დართვით) და სხვა. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ დასახელებულ ვითარებით ზედსართავთაგან ბევრი თავისთავად სხვადასხვაგვარად ნაწარმოები სახელია. ასეთია, მაგალითად, მ-აღ-ალ-ი, მ-დაბ-ალ-ი, ტკბ-ილ-ი, ვრც-ელ-ი, კეთ-ილ-ი, ლბ-ილ-ი (ე. ი. დამბალი, რაც დაალბეს; წარმოშობით ეს მიმღეობაა) და სხვა, მაგრამ ახლა უკვე აღარ იგრძნობა ამგვარი წარმოება და ასეთი სახელები ვითარებითს ზედსართავებშია გადარიცხული.

მეორე ჯგუფის ნიმუშებია: საქებური, სამკურნალოდ, საეშმაკოდ, უფერჴოდ, უჴელოდ, უშჯულოდ, ურწმუნოდ, უმადლოდ, უგუნური, უკეთური, უკუანაჲსკნელი, უპატიოდ, უნაყოფოდ, ურწყული, უსასოდ, უსასყიდლოდ, უშვილოდ, უძლური, სარწმუნოდ, საწუთროდ, სახარკოდ, საქორწინე, სამჴრე და სხვა.

2. ზედსართავი არსებითად

ზემოთ დასახელებული მეორე ჯგუფის (მიმართ. ზედსართ.) ტიპის სახელთაგან ბევრი თვით ძველ ქართულში უკვე აღარ შეიგრძნობა ზედსართავად, ისინი არსებითად არიან ქცეული და არსებითის ბედს იზიარებენ თავიდან ბოლომდე. ასეთებია, მაგალითად, საფრჴე, საუნჯე, საფასე, საკრებულოდ, სამღდელოდ (=ტაძარი), სამწყსოდ, სამნოდ, სამარე, მეშტილე, მეკეცე, მეინაჴე და სხვა.

მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ზედსართაული წარმოშობის ბევრი სახელი ძველ ქართულში ჯერ კიდევ ზედსართავად რჩება და არსებითის

თვისებები ნაკლებად აქვს შეძენილი (სამართალი=საქართლიანი და სხვა). ბევრ მათგანს ძველ ქართულში უფრო ეტყობა სუბსტანტივაციის ელფერი და მათი გამიჯვნა არსებითთაგან არც ხერხდება (მეკერმე, მეზუერე, სასუფეველი, სამეფოჲ და სხვა). ასეთია აგრეთვე **მძლავრი**, რომელიც დღევანდელ ქართულში. ზედსართავად გვესმის და „ძლიერის" სინონიმად ვხმარობთ; ძველ ქართულში კი იგი არსებითს წარმოადგენდა და „ძალმომრეს", „ტირანს" აღნიშნავდა. მაგრამ საერთოდ, რასაკვირველია, უფრო ძლიერია სუბსტანტივაციის პროცესი და ამიტომ არსებით სახელთა შედარებით უფრო ჩქარი ზრდა და გამრავლება, ერთი მხრივ, ამითაც აიხსნება.

მაგრამ აქ უნდა მივუთითოთ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ ერთ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენაზე, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ აქ გვხვდება მთელი რიგი სახელები, რომლებიც ერთი და იმავე ფორმით ხან ზედსართავის გაგებით იხმარება, ხან არსებითისა. მხოლოდ კონტექსტის მიხედვით არის მოსახერხებელი იმის დადგენა, თუ რომელი ცნიშვნელობით არის ნახმარი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ამ ტიპის ესა თუ ის სახელი. ასეთი სახელებია, მაგალითად: ბნელი, ნათელი, ბოროტი, საძაგელი, სამართალი და სხვა.

ორივენაირი გაგებით არის მოცემული **ბნელი** შემდეგს წინადადებებში: უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი **ბნელ** იყოს. უკუეთუ ნათელი იგი შენ შორის **ბნელ** არს, **ბნელი** იგი რავდენღა-მე? მ. 6, 23. ამ წინადადებაში **ბნელი** სამჯერ გვხვდება, აქედან პირველი მათგანი ზედსართაული გაგებითაა ნახმარი (ბნელი, тёмный), ორი უკანასკნელი—არსებითის გაგებით (სიბნელე, тьма, темнота), მაგრამ ფუძე ყველგან ერთია: ბნელ. სხვა ენებზე ეს ორი სხვადასხვა გაგება სხვადასხვანაირი ფუძითაა წარმოდგენილი. მაგალითად, ბერძნულში **ბნელს** ზედსართაული გაგებით შეესატყვისება σκοτεινός, სომხურში *խաւարին*, რუსულში темно (=тёмный), გერმანულში finster. მაგრამ ამავე **ბნელს** არსებითის გაგებით ყველა აქ აღნიშნულ ენაში სხვა ფუძე აქვს შესატყვისად: ბერძნულში σκότος, სომხურში *խաւար*, რუსულში тьма, გერმანულში Finsterniss.

აღნიშნული მაგალითი სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი. იქ **ბოროტი** (უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს) ზედსართაული გაგებით იხმარება (შდრ. πονερός, *չար*, худо, schlecht,) ხოლო **ნათელი**[1] — არსებითისა (φῶς, *լոյս*, свет, Licht). მაგრამ ეგეც სიტყვები სხვაგან არსებითის მნიშვნელობითაც გვხვდება, მაგალითად: მიჴსნენ ჩუენ **ბოროტისაგან**, მ. 6, 13; რაჲ **ბოროტი** უქმნიეს მაგას, მ. 27, 23. აქ **ბოროტი** ნიშნავს დღევანდელი ქართულის „ბოროტებას". ამასვე ადასტურებს ამ სიტყვის შესატყვისები სხვა ენებზე: πονερία, το κακόν, зло, Übel, Böses.

---

[1] **ნათელი** „სინათლის" მნიშვნელობით ახლაც არაიშვიათად გვხვდება, განსაკუთრებით პოეზიაში, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ეს უფრო პოეტური ხერხია და არქაიზმის გამობატულებაა, ვიდრე საყოველთაოდ აღიარებული ნორმა.

ასევე ორგვარი გაგებით შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე **საძაგელი. ზედსართაული გაგებით** იგი „საძაგელს“, „სულელს“ ნიშნავს ამ წინადადებაში: რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა რაკა, რომელ არს **საძაგელ**, თანა-მდებ არს იგი კრებულისაგან განსლჳად, მ. 5, 22. მაგრამ იგივე სახელი ქვემოთ მოყვანილ ადგილას არსებითის მნიშვნელობით არის ნახმარი და „სისაძაგლეს“, „საზიზღრობას“, „საშინელებას“ გამოხატავს: ხოლო რაჟამს იხილოთ **საძაგელი** იგი მოოჴრებისაჲ, მ. 24, 15. შდრ. ბერძნ. βδέλυγμα, სომხური պղծուքիւն, რუსული мерзость, გერმანული Greuel.

დასასრულ, ერთ ამგვარ მაგალითს კიდევ მოვიყვანთ. სიტყვა **სამართალი** ძველ ქართულში ჩვეულებრივ ზედსართაული გაგებით იხმარება და ნიშნავს „მართალს“, „სამართლიანს“, „სწორს“. ამის ნიმუშებია: მიეცედით თქუენცა ვენაჴსა ჩემსა, და რაჲ-იგი იყოს **სამართალი**, მიგცე თქუენ, მ. 20,4 (ე. ი. რაც სამართლიანი იქნება, იმას მოგცემო); ვიცით. რამეთუ **სამართალსა** იტყჳ და ასწავებ. ლ. 20, 21 C, ე ი. მართალს ამბობო. შდრ. ბერძნ. ὀρθῶς λέγεις, სომხ. ուղիղ խօսիս, რუს. правильно говоришь. გერმ. recht redest. ყველა აქედან ჩანს, რომ **სამართალი** ამ მაგალითებში ზედსართავის გაგებით არის ნახმარი. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას აგრეთვე ამ მაგალითშიც: ჩუენ **სამართლად** ღირსი, რომელ ვქმენით, მოგუეგების, ლ. 23, 41. მართალია, აქ **სამართლად** ზნეზნეული აზრით არის გამოყენებული, მაგრამ მისი მნიშვნელობა („სამართლიანად“) მაინც ზედსართავის შინაარსს ემყარება (სამართლიანი—სამართლიანად).

მაგრამ ამ სახელს ძველ ქართულში აქვს აგრეთვე სუბსტანტიური გაგებაც, იგი ამ შემთხვევაში დღევანდელ „სამართალს“ აღნიშნავს, მაგალითად: დაგიტეეებიეს უმძიმესი შჯულისაჲ: **სამართალი** და წყალობაჲ, მ. 23, 23. შდრ. ბერძნ. κρίσις, სომხ. դատաստան, რუს. суд, გერმ. Gerechtigkeit. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას აგრეთვე შემდეგს ადგილებშიც: თანაწარჰვალთ **სამართალსა** და სიყუარულსა ღმრთისასა, ლ. 11, 42; **სამართალი** წარმართთა მან მიუთხრას, მ. 12, 18; ვიდოდეს ყოველთა შინა მცნებათა და **სამართალთა** ღმრთისათა, ლ. 1,6 C[1]. დღევანდელ ქართულში ეს სიტყვა მხოლოდ ამ მეორე გაგებით იხმარება.

ამნაირი მაგალითები ძველ ქართულში სხვაც ბევრი გვაქვს.

როგორ მოხდა, რომ ერთი და იგივე სახელი ხან ზედსართავის მნიშვნელობით იხმარება, ხან არსებითისა? თქმა არ უნდა; ეს ორი კატეგორია ზემორე მოყვანილი მაგალითების მიხედვით არ არის ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული; ამიტომაა, რომ ერთსა და იმავე სიტყვას ერთ შემთხვევაში ერთი, მეორე შემთხვევაში მეორე მნიშვნელობა აქვს. ამ სახელთა ასეთ სიახლოვეს ხელს უნდა უწყობდეს (თუ: ამის საფუძველი უნდა იყოს) ის გარემოება, რომ წარმოების მიხედვითაც ისინი ერთ პრინციპს მისდევენ: ერთი და იგივე საწარმოებელი ელემენტი მოეპოვება როგორც ერთს, ისე მეორეს;

[1] ა. ჩიქობავა, სახ. ფუძ. გვ. 163—165.

შდრ. ბნ-ელ-ი, ნათ-ელ-ი, (ზედს.) და: ძ-ელ-ი, ქს-ელ-ი (არს)[1]; მაღ-ალ-ი, მდაბ-ალ-ი (ზედს.) და: ძ-ალ-ი, ძუ-ალ-ი (არს.)[2]. აქედან წარმოდგება, რომ არსებითსა და ზედსართავს შორის ძველ ქართულში უფრო მეტი სიახლოვეა, ვიდრე ახალ ქართულში.

3. ვითარებითი ზედსართავები

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ძველ ქართულშიც ზედსართავები ძირითადად ისეა გაყოფილი ვითარებითად და მიმართებითად, როგორც დღეს.

ახლა საჭიროა შევჩერდეთ თითოეულ მათგანზე ცოტა უფრო ვრცლად. ჯერ განვიხილოთ ვითარებითი ზედსართავის მაგალითები.

ვითარებითი ზედსართავების ძირითადი მარაგი ძველ ქართულშიც იგივეა, რაც დღეს მოგვეპოვება. ამ მხრივ ენაში დიდი ცვლილება არ მოხდარა.

დაეიმოწმოთ ვითარებითი ზედსართავების ნიმუშები ტექსტებიდან: არავინ სუამნ **ძუელსა** ღჳნოსა და მეყსეულად ჰნებავნ **ახალი**, რამეთუ თქჳს, ვითარმედ: **ძუელი უტკბილეს** არს, ლ. 5,39; ესე არს **დიდი** და პირველი მცნებაჲ, მ. 22,38; აღიყვანა იგი მთასა ფრიად **მაღალსა**, მ. 4, 8; **მშჳდ** ვარ და **მდაბალ** გულითა, მ. 11, 29; უღელი ჩემი **ტკბილ** არს და ტჳრთი ჩემი **მცირე** არს, მ. 11, 30 (=სუბუქ არს); შევიდოდეთ იწროსა მას ბჭესა, რამეთუ **ფართო** არს ბჭე და **ვრცელ** არს გზაჲ, რომელმან მიიყვანის წარსაწყმედელად, მ. 7, 13 C; ჯურღუმული ესე **ღრმა** არს, ი. 4, 11; შეჰმოსა სამოსელი **სპეტაკი**, ლ. 23, 11 C; და განარჩია მას დღესა შინა ვაცები **ჰრელები** და **სპეტაკი** და ყოველი თხაჲ ნეზჲ **ჰრელი** და **სპეტაკი**, და ყოველივე **სპეტაკი**... ყოველი **თეთრი**, დაბ. 30. 35; **კეთილმან** კაცმან **კეთილისაგან** საუნჯისა გამოიღის კეთილი, და **ბოროტმან** კაცმან **ბოროტისაგან** საუნჯისა გამოიღის ბოროტი, მ. 12, 35. ამ მაგალითში პირველი ორი ხაზგასმული სიტყვა (კეთილმან, კეთილისაგან) ზედსართაული გაგებით არის ნახმარი და ნიშნავს „კარგს", „კეთილს"; მესამედ ნახმარი „კეთილი" კი არსებითის მნიშვნელობით არის გამოყენებული და გამოხატავს „სიკეთეს", „კარგ საქმეს", „კარგ რამეს". ასევე ითქმის „ბოროტის" შესახებაც, მაგრამ ამაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. აქ უნდა მოვაგონოთ მკითხველს, რომ ძველ ქართულში არა გვაქვს სიტყვა „კარგი" (იგი გვიან შემოდის ხმარებაში და პირველ ხანებში სხვა რამეს აღნიშნავს — „წესს". აქედანაა დღევანდელი „განკარგულება", ე. ი. განწესება), მის ადგილას „კეთილი" იხმარება (=хороший). დღევანდელ „კეთილს" კი ძველად „სახიერი" გამოხატავდა (=добрый). სწორედ ამიტომაა, რომ კარგის შემოსვლის შემდეგ „კეთილმა" „სახიერის" ადგილი დაიჭირა, ხოლო „სახიერი" სულ გავიდა ხმარებიდან. აქედან წარმოდგება, რომ დღევანდელი „კარგის" უფრო ობითი ხარისხი ძველებური წარმოების „უკეთესია" და არა „უკარგესი",

[1] ა. ჩიქობავა, სახ. ფუძ. გვ. 30.

[2] იქვე, გვ. 24—27.

როგორც იყო მოსალოდნელი, თუ „კარგს“ ვივარაუდებდით დადებით ხარისხად. ბოლოს დავუმატოთ, რომ „კეთილიც“ ისეთივე ორი მნიშვნელობის სიტყვა ყოფილა, როგორც ზემოთ აღნიშნული **ბნელი, ნათელი, სამართალი** და სხვა[1].

...და გამოვიდა სხუაჲ ცხენი წითელი, გამოცხ. 6, 4; და აჰა ცხენი შავი, იქვე, 6, 5; და აჰა ცხენი მწუანე, იქვე, 6, 8. სხვაგან ეს უკანასკნელი სიტყვა იმავე ცნების აღსანიშნავად „ფერის“ მიმატებით არის მოცემული: ვინაჲთგან იასპი მწუანის-ფერი არს, თარგმ. გამოცხ. 4, 3; ყოველი თესლი და ნაყოფი მწუანის-ფერი იქმნების, იქვე. ამ „ფერის“ დამატებით სხვა კომპოზიტებიც გვაქვს ფერების აღსანიშნავად. ყველაზე ხშირად ეს სიტყვა გვხვდება შატბერდის კრებულში, სახელდობრ. იმ ნაწარმოებში, რომელიც „თუალთაჲს“ სახელითაა ცნობილი (არის მ. ჯანაშვილისა და რ. ბლეიკის გამოცემა). აქ (და ზოგიერთ სხვა ძეგლში) გვხვდება ჩვენ „ფერით“ შედგენილი შემდეგი ზედსართავები:

ღჳნის-ფერი, თაფლის-ფერი, ზღჳს-ფერი, წყლის-ფერი, ლომის-ფერი, ოქროჲს-ფერი, მწუანის-ფერი, ძოწეულის-ფერი, მიწის-ფერი, სპეტაკის-ფერი, მეწამულის-ფერი, სისხლის-ფერი, ცეცხლის-ფერი, რძის-ფერი, იის-ფერი, ცის-ფერი, ენდროჲს-ფერი, თევზის-ფერი, ნაცრის-ფერი, ლურჯის-ფერი, კუამლის-ფერი, კაცის-ფერი, ძაღლის-ფერი, პერულის-ფერი, გჳნის-ფერი და სხვა. ეს სიტყვები განხილული გვაქვს ზემოთ კომპოზიტების ერთი ჯგუფის ანალიზისას (გვ. 159—161), მაგალითებიც იქვეა მოყვანილი და აქ აღარ გავიმეორებთ.

...ესე იყო მდიდარ ფრიად, ლ. 19, 2. ეს სიტყვა იხმარება სუბსტანტიური გაგებითაც და მაშინ აღნიშნავს „დიდებულს“, „წარჩინებულს“, „დიდ კაცს“ (вельможа), მაგალითად: უწყით, რამეთუ მთავარნი იგი წარმართთანი ეუფლნიან მათ, და მდიდარნი ჴელმწიფებედ მათ ზედა, მ. 20, 25 C. სხვა ხელნაწერებში ამის ნაცვლად გვაქვს ცნობილი კომპოზიტი „დიდ-დიდნი“. ასეთივე აზრითაა ნახმარი აღნიშნული სიტყვა იმავე ეგზემპლარში მეორე ადგილასაც: ჰეროდე (ჟამსა) შობისა თჳსისასა ტაძრობას ჰყოფდა მდიდართა თანა და ათასის-თავთა თანა და მთავართა თანა გალილეაჲსათა, მრ. 6, 21. სხვა ხელნაწერებში ამ სიტყვის შესატყვისად ახლა უკვე გვაქვს „მთავართა“. მაგრამ „მდიდარი“ ჩვეულებრივ მაინც ზედსართავია და არა არსებითი.

ასევე ორი გაგებით იხმარება აგრეთვე ძლიერი. ზედსართაული გაგებით მას ჩვეულებრივი მნიშვნელობა აქვს: რომელი იყო... ძლიერი საქმითა და სიტყჳთა, ლ. 24, 19; და ზღუაჲ იგი ძლიერთა ქართაგან აღირღოდა, ი. 6, 18 C.

...რაჲთა კნინი გცეს ზეთი იგი, ლიტ. ქრესტ. 8, 10; მარჯუე თუ არს, თანა-წარმჴედინ ჩემგან სასუმელი ესე, მ. 26, 39 C; მეტი იგი ნამუსრევი აღი-

[1] „კეთილ“ კიდევ ხმნიზედად იყო გამოყენებული და ამას აღნიშნავდა: хорошо. მაგალითად: კეთილ, მონაო სახიერო და სარწმუნოო, მ. 25, 21 ε. შდრ. *вѣ, добрѣ дѣлѣ и вѣрнѣ*, хорошо, добрый и верный раб. მაგრამ ამ სიტყვის ეს მნიშვნელობა აქ არ გვაინტერესებს.

ღეს შჯდი სფჯრიდი **სავსე**, მ. 15, 37 C; ქორწილი ესე **მზა** არს, მ. 22, 8; ვის თქუენგანსა უნდეს პირველ ყოფად, იყოს იგი ყოველთა **მრწემ** და ყოველთა მსახურ, მრ. 9, 35; მოიბთ ზუარაკი იგი **მხუჭანი** და დაკალთ, ლ. 15, 23. ზოგან „მსუქანის" მაგივრად გვხვდება „მსუქანი" (B, M).

...**მტკიცე** იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ, მრ. 6, 50 C; შეკრიან ტკრთი **მძიმე** და ძნიად სატკრთველი და დასდეიან მჯართა ზედა კაცთასა, მ. 23, 4; ხუთნი იგი მათგანნი იყვნეს **სულელ** და ხუთნი—**ბრძენ**, მ. 25, 2 C; **სწორ** ჩუენდა ჰყვენ იგინი, მ. 20, 12 (=თანასწორი); **ფიცხელ** კაც ხარ შენ, მ. 25, 24 C; იყოს გულარძნილი იგი (გზად) მართლად და **ფიცხელი** იგი გზად **წრფელად**, ლ. 3, 5. „ფიცხელი" პირველ შემთხვევაში არის **სასტიკი, მკაცრი**, ხოლო მეორეში — არასწორი, **ოლროჩოლრო**. იგი ამ შემთხვევაში უპირისპირდება **წრფელს** (გზას), რომელიც **სწორს, პირდაპირს** ნიშნავს და ძველ ქართულში ფართოდ იხმარება სხვადასხვა საგნის განსაზღვრებად (გზად წრფელი, ალაგი წრფელი და სხვა).

...**ბოჰგუარეს** მას კაცი **ყრუდ** და ეშმაკეული, მ. 9, 32; მსგავს არს იგი კაცსა **ცოფსა**, რომელმან აღაშენა სახლი თჯსი ქჯშასა ზედა, მ. 7. 26; რომელი მცირესა ზედა **ცრუ** არს, მრავალსაცა ზედა **ცრუ** არს, ლ. 16, 10; ყოველი სიტყუად **ცუდი**, რომელი თქჯან კაცთა, მისცენ მისთჯს სიტყუად დღესა მას სასჯელისასა, მ. 12, 36 C; მათ იგიცა გუემეს და წარაველინეს **ცუდი**, ლ. 20, 11 C; რასა აქა სდეგით დღე ყოველ **ცუდად**, მ. 20, 6 C (**ცუდი** აქ არის ამაო, უქმი, უსაქმო[1], ცარიელი); რაჲთა **ცხად** იყვნენ საქმენი მისნი, ი. 3, 21; რაოდენ **ძნელ** არს, რომელნი საფასეთა ესვენ, შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა, მრ. 10, 24; უკუეთუ მარილი იგი **წბილ** იყოს, რაჲთა დაიმარილოს, მრ. 9, 50; **წმიდა** არს სახელი მისი, ლ. 1, 49; ვიცით, რაჲეთუ **ჰეშმარიტ** ხარ, მ. 22, 16; ანუ ყავთ ხე იგი **ხენეშ** და ნაყოფიცა მისი **ხენეშ**, მ. 12, 33; უკუეთუ **ნედლსა** ხესა ესრეთ უყოფენ, **ჴმელსა** მას რაჲ-მე. ეყოს, ლ. 23, 31; იყვნენ ძნელოვანნი **ადვილად**, ლ. 3, 5 C; ელისაბეთ იყო **ბერწ**, ლ. 1, 7; **ბრმა** ვიყავ და აწ ვხედავ, ი. 9, 25 C; **გრძელ** ყვიან ფესუები სამოსლისა მათისაჲ, მ. 23, 5 და ბევრი სხვა.

4. მიმართებითი ზედსართავები

მიმართებითი ზედსართავები, როგორც ცნობილია, ნაწარმოები სახელებია. ისინი იწარმოებიან უმთავრესად არსებითთაგან. ყველაზე დიდი ნაწილი მოდის ე. წ. უქონლობის სახელებზე, რომელთაც **უ—ო** აფიქსები წარმოქმნის (უ-მანკ--ო, უ-შვილ-ო); აქვეა **უ—ურ** ტიპის წარმოებაც (უ-გუნ-ური← უ-გონ-ურ-ი, უ-რწყ-ულ-ი); შემდეგ სიხშირით გამოირჩევა დანიშნულების სახელები **სა—ე** და **სა—ო** აფიქსებით (სა-ქორწინ-ე, სა-წუთრ-ო), აგრეთვე ქონების სახელები, რომელთაც **ი-ერ, ოვან, ოსან** სუფიქსები აწარმოებს (გონ-ი-ერ-ი, ძნელ-ოვან-ი, პატი-ოსან-ი) და სხვა. მიმართებით ზედსართავთა ის

[1] ამ გაგებით ეს სიტყვა დღესაც იხმარება აღმოსავლეთ საქართველოში. აქ იტყვიან: ცუდად ვარო, იგულისხმება: უსაქმოდ ვარო, საქმე არა მაქვსო.

ჯგუფი, რომელსაც **ურ** სუფიქსი აწარმოებს და ახალ ქართულში ყველაზე მოქმედი, ნაყოფიერი და მრავალრიცხოვანია, ძველ ქართულში ძალზე ნაკლებად არის წარმოდგენილი (**ველ-ურ-ი, სა-კიდ-ურ-ი** და სხვა); იქ ამ წარმოების მხოლოდ ჩანასახია მოცემული, რომელიც შემდეგ და შემდეგ გაღვივდა და ახალ ქართულში დიდი გავრცელება პოვა. ძველი ქართულის ზედსართავი ამ ნაკლს სხვადასხვა საშუალებით ინაზღაურებდა (არსებითი სახელის ნათესაობითის ფორმით, ებრ, ებრ-ივ, ობრ-ივ, ი-ერ სუფიქსების გამოყენებით და სხვა)[1]. აღსანიშნავია აგრეთვე ქონების სახელების მაწარმოებლის— **იან** სუფიქსის ძალზე იშვიათი გამოყენება ძველ ქართულში. ამ ნაკლის ანაზღაურების სიმძიმე აწევს ისევ იმავე **ი-ერ, ოვან, ოსან** სუფიქსებს; ნაწილობრივ კი იგი სხვა საშუალებით არის ანაზღაურებული, მაგრამ ამ საკითხზე ახლა ვერ შევჩერდებით, მას სპეციალური ძიება და შესწავლა ესაჭიროება. აქ მოვიყვანთ მხოლოდ მცირე მოწმობას ტექსტებიდან.

უ—ო აფიქსებიანი

უბიწო იყვნეს, ლ. 1, 6 C; **უბრალომცა** ვარ მე სისხლისაგან მაგისისა, მ. 27, 24; (უბრალო=უდანაშაულო, ვისაც ბრალი არა აქვს); ვითარ წარიტყუენე ხედვისა მიერ **უალჭროჲსა** და **უსირცხჳლოჲსა** და არა მოიწყალ მხილებული სჳნიდისისაგან, ანტიოქ. 78, 13; ეგრევე თქუენცა **უგულისხმო** ხართა, მრ. 7. 18 E; **უდაბნო** არს ადგილი ესე, მ. 14, 15; წარვიდა **უდაბნოსა** ადგილსა, მ. 14, 13. მოყვანილ ადგილებში **უდაბნო** ზედსართავი სახელია და მისი მნიშვნელობაა „დაუსახლებელი, უმოსახლო ადგილი". მაგრამ ამ სიტყვას მოპოვებული აქვს სუბსტანტივის გაგებაც და მსაზღვრელად აღარ იხმარება, იგი დამოუკიდებლად გვხვდება: მოვიდა იოვანე ნათლის-მცემელი ქადაგებად **უდაბნოსა** მას ჰურიასტანისასა, მ. 3, 1. რომ აქ ეს სიტყვა არსებითის მნიშვნელობით არის ნახმარი, ეს, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ მას ახლავს ნაწევარი (ნაწევარი არსებითებს ერთვის). ახალ ქართულში ამ სიტყვამ მნიშვნელობა იცვალა. უდაბნო ნაწარმოებია სიტყვიდან **დაბან**: უ-დაბან-ო→ უდაბნო. დაბან→დაბა ძველ ქართულში „სოფელს", „დასახლებულ, დაშენებულ ადგილს" აღნიშნავდა.

...იგი თავადი ტკბილ არს **უმადლოთათჳსცა** და უკეთურთა, ლ. 6, 35; იყვენით თქუენ... **უმანკო** ვითარცა ტრედნი, მ. 10, 16; არა არს წინაწარმეტყუელი **უპატიო**, გარნა სოფელსა თჳსსა და ნათესავთა შორის თჳსთა, მრ. 6. 4 C; მოსრულ ხარ აქა **უჟამოდ**, მ. 8, 29 C; ნუ იყოფი **ურწმუნო**, არამედ გრწმენინ, ი. 20, 27; ნურას **უსასო** ჰყოფთ, ლ. 6, 35; **უსასყიდლოდ** მიგიღებიეს, **უსასყიდლოდცა** მისცემდით, მ. 10, 8; **უსჯულოთა** (**უშჯულოთა** DJ;) თანა შეირაცხა, მრ. 15, 28 C; მოწყდეს **უშვილონი**, ლ. 20, 31; ხართ ვითარცა საფლავნი **უჩინონი**, ლ. 11, 44; ამას **უწესოჲ** არაჲ უქმნიეს, ლ. 23, 41 C; უმჯობეს არს შენდა **უჴელოჲსა** შესლვად ცხორებასა, მრ. 9,43 D;

---

[1] ა. მანჯგალაძე, **ურ** სუფიქსისათვის ძველ ქართულში: იბერ.-კავკ. V, 1953, გვ. 473—518.

აზნაურნი და **უაზნონი** სოფლისა ქართლისანი მოვიდეს, შუშ. 158, 32; არამედ განწესებით დგას თჳსსა საზღვარსა **უნოტიოჲ, უხორშაკოჲ, უმიწოჲ** მზუარჱ, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 256, 19); ქრისტემან დიდებაჲ **უოხჳნოჲ** მათ ყოველთა მიანიჭენ, იქვე, 266, 33; ისმინე ჴმაჲ **უგინცოჲსაჲ** და მიჴსნენ ჩუენ, ესთერ, 4, 17 (=უიმედო); ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ იღოცავნ და **უღარღილოდ** ფსალმუნებნ გონებითა თჳსითა, აბო 192, 13; **უღონო**... მდევარნი იგი, ზარზმ. 179, 4; ვიდრე იგი **უღმრთონი** უცალო-ღა იყუენეს წმიდათა მათ მოსრვასა, ამონ. 213, 30; ვინმცა იყო გულფიცხელი გინა **უწყალოჲ** და არამცა ტიროდა და წუხდა, იქვე, 204, 29; მაშინ იწყო **უჯეროსა** გინებად ვარსქენ, შუშ. 150, 18; რამეთუ ძაძაჲ შეემოსა და **უჯამლოჲ** და თავ-ღია, **უღჳნოჲ**[1] და **უწუელოჲ** ვიდოდა გზასა მას იწროსა, ლიტ. ქრესტ. 193, 25; რომელმან-ესე ჩუენ, **უნდოთა** ამათ, ამისი აღწერაჲ გუაიძულა, იქვე, 193, 38 და სხუანი.

ეს **უ—ო** აფიქსებიანი წარმოება იმდენადაა გავრცელებული და ფართოდ გამოყენებული, რომ ეს აფიქსები საკუთარ სახელსაც კი ერთვის: და ამას ყოველსა თანა უშიშ არს გული მათი **უქრისტოთა** მათ ურწმუნოთაგან, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 256, 36. უქრისტო=არაქრისტიანი, ვისაც ქრისტე არა სწამს).

უ—ურ (დისიმილაციით: უ—ულ) აფიქსებიანი

ნათესაჲ უკეთური და მომრუშე სასწაულსა ეძიებს, მ. 12, 39 C; **უგუნურო**, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან, ლ. 12, 20; **უძლურ** ვიყავ, მ. 25, 43; განჰკურნებდა ყოველთა **უძლურთა**, მ. 9, 35; ნუ დღეს **უჯამური** ხუალ და ხვალე ცანდალთა და ჯამლთა ეძიებ, ი. ჯავ. აღწ. 138, 1 ქვ.; მიმოვალნ **ურწყულთა** ადგილთა, მ. 12, 43; შემდგომად სამისა დღისა მოიწია რისხვაჲ იგი **უგრძნულად**, ლიტ. ქრესტ. 208, 17. ამავე ტიპის წარმოებაა აგრეთვე უფსკრულიც (უ-ფსკერ-ურ-ი→უფსკრული): დაინთქას იგი **უფსკრულთა** ზღუსათა, მ. 18, 6, მაგრამ ეს სახელი უკვე არსებითად არის ქცეული და მისი ზედსართაობა აღარ იგრძნობა ჯერ კიდევ ძველ ქართულშიც.

ი-ერ (დისიმილაციით: ი-ელ) სუფიქსებიანი

ემსგავსოს იგი კაცსა მას **გონიერსა**, მ. 7, 24; ონელ არს **ფასიერთაჲ** შესულაჲ სასუფეველსა ღმრთისასა, მრ. 10, 23 C („ფასიერი" ნიშნავს „ქონებიანს", „მდიდარს"); იყო ვინმე კაცი წყლითა **მანკიერი**, ლ. 14, 2 (აქედანაა აბსტრაქტული სახელი მანკიერება: იგინი აღივსნეს **მანკიერებითა**, ლ. 6, 11); მათ შეიპყრეს და გუემეს იგი და წარაველინეს იგი **ცალიერი**, მრ. 12,3; არა მოაკლო მორბედმან სრბისაგან თჳსისა, ვითარცა ცხენმან **ოფლიერმან** ჴჳეისაჲ შინა მისსა და მთიებმან ცასა შინა, იერ. 8, 6; წიგნნი ჩემნი **ღმრთიერ** არიან, ი. ჯავ. აღწ. 168, 1; იქმნნეს ვითარცა ცხოვარნი **მატყიერ**, ლიტ. ურთ. 23, 18; დაამტკიცა ქუეყანასა ზედა... მეუფე მეუფეთაჲ... **ჯამიერი** და უკუდაჲი, მრაე. 297, 28; უფალმან ვინმე მდიდარმან სიტყუაჲ მოარ-

[1] გამოც.: უოჯნო.

თუა ობოლსა მას უგინცოსა და მარტოსა, რომელი შეურაცხ იყო **დედიერ-მამიერთაგან**. კაცმან ვინმე აზნაურმან, **ნათესავ-ტომიერმან**, მოაელინა მთავარი მონათაგანი მითხოვად მარიამისა ცოლად თჳსა, იქვე, 264, 11; პარხ. 25 a; მოიღო ყნოსაჲ **ნებიერი**, კიმ. I, 321, 2; და **შვილიერ** ვიქმნე მეცა მისგან, დაბ. 30, 3; რამეთუ მფრინველნიცა **ნაშობიერ** არიან წინაშე შენსა... ვერცა ვემსგავსე სირთა ქუეყანისათა, რამეთუ სირინიცა **ნაყოფიერ** არიან წინაშე შენსა, უფალო, ი. ჯავ. აღწ. 185, 12—13. ამ მაგალითის უჩვეულო ფორმა **ნაშობიერი** უნდა უდრიდეს უფრო გავრცელებულსა და ჩვეულებრივს „ნაყოფიერს“, როგორც ეს ჩანს მათი პარალელური ხმარებიდან. მაგრამ ეს საინტერესო ფორმა სხვაგანაც გვხვდება, ახლა უკვე პრეფიქს „ნა“-ს გარეშე: ხუროსა ეხედავ და ბაგასა და ქალწულსა **შობიერსა** და ყრმასა და საქმრისაგან უპოვარსა, მრაე. 287, 10; და იყო (ივდით)... ბრძენ გულითა და **სახიერ** გონებითა, ივდით 8, 7.

როგორც ჩანს, მსგავსი წარმოება უნდა გვქონდეს **ხატ**-იდან (**ხატ-იერ-ი**), რადგანაც გვაქვს ამ უკანასკნელიდან წარმომდინარე **ხატიერებაჲ** (ი. ჯავ.აღწ. 149, 12).

ისეთ ფუძეებში, რომლებშიც გვაქვს ბგერა **რ**, **ი-ერ** სუფიქსი დისიმილაციით ღებულობს **ი-ელ**-ის სახეს:

არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისა მიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, **შორიელთა** ამათ მკჳდრთა... აბო 184, 7; სიტყუაჲ იგი **ჴორციელ** იქმნა, ი. 1, 14.

გვაქვს **ქმრიდან** ნაწარმოები **ქმრიელი** (შატბ. 264 b)[1] და სხვა.

ზოგჯერ **ი-ერ** (ი-ელ) სუფიქსი ზმნური ფუძიდან აწარმოებს სათანადო სახელებს:

ოდეს გიხილეთ შენ **მშიერი** და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასუთ შენ, მ. 25, 37; რომელნი გარეშე ჩანედ კაცთა წინაშე **შუენიერ**. მ. 23, 27 (საპირისპიროა: უშუერი): იყვენით თქუენ **მეცნიერ**, ვითარცა გუელნი, მ. 10, 16; იგინი არა **მეცნიერ** იყვნეს სიტყუასა მას, მრ. 9. 32 C; დაჰფარე ესე ბრძენთაგან და **მეცნიერთა**, მ. 11, 25. ამ მაგალითებში **მეცნიერი** „მცოდნეს“ ნიშნავს. მაგრამ ეს სიტყვა ჩვეულებრივ „ნაცნობსაც“ აღნიშნავს, მაგალითად: მოწაფე იგი, რამეთუ **მეცნიერ** იყო მღდელთ-მოძღურისა მის, შევიდა იესუს თანა, ი. 18, 15 C (საპირისპიროა: უმეცარი): მრავალი ერი ისმენდა მისა **წადიერად**, მრ. 12, 37 C.

გვხვდება კიდევ **ი-ერ** სუფიქსით ნაწარმოები სხვა სახელებიც, მაგალითად: **გუამიერი** (შატბ. 264 b), **სალმობიერი**, **თუალიერი**, **ცოლიერი**[2] და სხვანი.

თხიერი ამგვარი წარმოშობისაა, მაგრამ იგი უკვე არსებით სახელად არის ქცეული (=ტიკი).

---

[1] ა. ჩიქობავა, სპს. ფუძ. გვ. 83.

[2] იქვე.

ცალკე უნდა განვიხილოთ ისეთი სახელები, რომელთაც ი-ერ სუფიქსის წინ ნარი აღმოაჩნდებათ ხოლმე:

არავინ ნაკლულევან იყო მათ შორის, და რომელნი-იგი პოვნიერნი იყვნეს დაბნებისანი გინა სახლებისანი, განჰყიდდეს და მოაქუნდა სასყიდელი მათი, მოც. 4, 34 (პოვნიერი—κτήτωρ, владетель, хозяин, მფლობელი, პატრონი). გვაქვს აქედან ნაწარმოები კომპოზიტი „სიტყუა-პოვნიერი", რომელსაც განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: ვინაჲთგან ესრეთ უკეთურთა მათ და სიტყუა-პოვნიერთა მიმართ სიტყჳს-გებად ვერ ძალ-გიც, თარგმ. გამოცხ. 2, 25. შეგვეძლო ამ სიტყვებში ნარი ფუძისეულად მიგვეჩნია, რადგან ის თავს ამოყოფს ხოლმე ზმნის პირიან და უპირო ფორმებშიც. მაგალითად: გჳპოვნიეს (კიმ. II, 55, 26); პოვნა (იქვე, 139, 10); მომპოვნებელ (იქვე, 182, 22); მოპოვნებად (კიმ. I, 223, 21), მაგრამ ეს სიტყვა ცალკე არ დგას: ი-ერ წარმოებაში ნარი სხვაგანაც გვხვდება, სადაც მისი ამგვარი ახსნა შეუძლებელია. ასეთებია: ისძინის მისი და ფრიადცა ყვის და წადნიერად ერჩინ მას, მრ. 6, 20 C; კადნიერ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ, მ. 14, 27. ამ სიტყვაში ნ-ს გამოვლენას ა. შანიძე ფონეტიკური მიზეზით ხსნის: კადრ-იერ-ი→კადნ-იერ-ი (დისიმილაციაა)[1]. მაგრამ ეს ნ გვხვდება სხვა შემთხვევებშიც, სადაც ასეთი საფუძველი არ არის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი სიტყვები, როგორიცაა: ფასნიერი, სახნიერი და სხვა. ვნახოთ ჯერ მაგალითები:

ფასნიერნი ძნიად შევიდენ სასუფეველსა ცათასა, ბოლნ. 70, 2; ნუ განეშორები დედაკაცსა ბრძენსა და სახნიერსა, რამეთუ მადლი მისი უფროჲს არს ოქროჲსა, ზირაქ 7, 21; და ვითარცა ცოლმან სახნიერმან შეიწყნაროს იგი, იქვე, 15, 2. ნარიანი ფორმა გვაქვს აგრეთვე ამ სიტყვის უფროობითს ხარისხშიც: ვითარცა შეამთხჳა ორთა მათ კაცთა მართალთა და უსახნიერესთა მისთა, 3 მეფ. 2, 32. „სახნიერი" აქ „სახიერის" მნიშვნელობით არის ნახმარი (=კეთილი, добрая).

ასეთივე წარმოშობის ნარი უნდა ჩანდეს კიდევ შემდეგს ორ მაგალითში: ჰრქუა იაკობ რებეკას, დედასა თჳსსა: ესავ, ძმაჲ ჩემი, არს ფაჩუნიერ, და მე—კაც წყლტუ, დაბ. 27, 11; და ჴორცი და ტყაეი და ფუშნიერი მისი დაწუეს გარეშე ბანაკსა მას, ლევიტ. 9, 11[2].

ამ ტიპის წარმოება უნდა იყოს აგრეთვე ახალი ქართულის ბედნიერი, ღვთისნიერი (თუ←ღვთისმიერი?) და სხვა.

---

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 125.

[2] ფუშნიერი გვხვდება დღეს ხევსურულში. იხ. ალ. ჭინჭარაული, მასალა მეცხოველეობის ლექსიკისათვის ხევსურულში: ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, XVII, 1955, გვ. 138.

ყველა აქ მოყვანილი მაგალითის **ნ** ერთ სიბრტყეზეა დასაყენებელი და ერთი მიზეზით ასახსნელი. რის მაქნისია აქ **ნ**? ფუძის კუთვნილება იგი არ არის, **ი-ერ** სუფიქსთან მას კავშირი არა აქვს. შეიძლება იგი იყოს ცალკე დამოუკიდებელი სუფიქსი (შეიძლება **ენ**), ან ასეთი სუფიქსის ნაშთი, რომლის თავდაპირველი ფუნქცია ქონების აღნიშვნა უნდა ყოფილიყო. მაგრამ შემდეგ იგი გადავარდა და შეცვლილ იქნა **ი-ერ** და სხვა სუფიქსებით. **ნ** ნაშთის სახით შემოგვრჩა ზოგიერთ სიტყვაში.

ჩანს, **ი-ერ** სუფიქსი ძალზე გავრცელებული მაწარმოებელია ზედსართავი სახელებისა. როგორც ვთქვით, ნაწილობრივ ამით არის ანაზღაურებული ქონების სახელთა **იან** სუფიქსის იშვიათი გამოყენება. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითების მრავალფეროვნებაც ამას ადასტურებს.

აღვნიშნავთ აქვე, რომ **ი-ერ** სუფიქსის ხვედრითი წონა ძველ ქართულში იმდენად დიდი იყო, რომ უხერხულად არ მიაჩნდათ მისი დართვა ზმნის პირიან ფორმაზე. ასეა, მაგალითად, წარმომდგარი ძველი ქართულის ცნობილი სიტყვა „მაქუსიერი“ და აქედან მიღებული „მაქუსიერება“. ამათგან პირველი წარმოადგენს **მ-ა-ქუ-ს** ზმნას, რომელსაც ერთვის ჩვენი სუფიქსი (მაქუს+იერ—ი), ხოლო მეორე პირველიდან—**ება** სუფიქსის დართვით ტრანსფარეტულად ნაწარმოები ფორმაა: **მაქუს-იერ-ება**. შდრ. სახიერი—სახიერება, გონიერი—გონიერება, შუენიერი—შუენიერება, მეცნიერი—მეცნიერება და სხვა. მეორე, ნაწარმოები ფორმა, თავისთავად გულისხმობს პირველს, რომლიდანაც არის ის წარმომდგარი. ხოლო **მაქუსიერება** კი გვხვდება ი. ბოლნელის ქადაგებებში: არა თუ შეურაცხ-ჰყოფს სიტყუასა მართლისასა მამაჲ, არამედ ღაღადებს და უჩუენებს მამისა ფრიადსა **მაქუსიერებასა** და მოაჯსენებს მერმისასა, ბოლნ. 41, 22..

ს ა ბ ა ს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს „მაქვსიერი“ და განმარტავს ასე: „მქონებელი“. ეტყობა, ეს სიტყვა გავრცელებული ყოფილა ძველად.

ოვან სუფიქსიანი

ოვან სუფიქსის ასპარეზი ძველ ქართულში ძალიან ფართოა. ის გაცილებით უფრო ხშირად იხმარება და მრავალ სახელს ერთვის, ვიდრე დღეს. იგი ნაწილობრივ ფარავდა იან (←ეან) სუფიქსის იშვიათ გამოყენებას: ბევრ შემთხვევაში, როცა დღეს **ან** სუფიქსს ვიყენებთ, ძველად ამას **ოვან** ენაცვლებოდა: ტჯნოვანი=ტვინიანი (=ქონიანი, მსუქანი), ცომოანი=ცომიანი (ე. ი. საფუარიანი) და სხვა. თვით **ოვან** სუფიქსი რთული უნდა იყოს (ოვ-ან). მაგრამ ამის განხილვაში ახლა ვერ შევალთ. აქ ჩვენ გვაინტერესებს მიმართებითი ზედსართავები, რომლებსაც ეს სუფიქსი აწარმოებს. ამისთვის კი სათანადო მაგალითების მოყვანაც საკმარისია:

იხილა შორით ლეღჳ **ფურცლოვანი**, მრ. 11, 13 C; იყვნენ **ძნელოვანნი** ადვილად და **ღჳრღლოვანნი**—გზად წრფელად, ლ. 3, 5 C; აჰა ესერა **კეთროვანი** ვინმე მოუჴდა, მ. 8, 2; იყო დიდად **თივლოვან** ადგილი იგი, ი. 6. 10 C; ეჩუენნეს მათ **აეროვნითა** ხილვითა, უდაბნ. 134 ra; ადგილსა **ჴნარცოვანსა** დაშთა იგი, თხრობ. 44, 8; და შეკრბეს ღელესა ერთსა **სერ-**

ტყოვანსა მაღნარსა, ეტ. II, 246, 28; გამოვიდა... წიაღ კევსა მას **ნაძოვანსა**, ი. 18, 1; და მოკუდა სარრა ქალაქსა შინა არბუკასა, რომელ არს **ღელოვანსა** მას, დაბ. 23, 2; ყოველმან რომელმან ჰამოს **ცომოვანი**, აღიჰოცოს, გამოსლვ. 12, 19; და შეიცვალეს **ცმელოვანი** იგი, რომელ გამოიღეს ეგჳპტით, ყურბეულად უცომოდ. იქვე, 12, 39; მანანასა ჰამდეს, ვიდრემდე მოვიდეს ქუეყანად **დანაკისკუდოვნად**, იქვე, 16, 35; ეგრეთ ჰყო **ვენაჯოვანი** შენი და **ლელოვანი** შენი, იქვე, 23, 11; და განჰმენ შესაკრებელნი წყალთანი, ყოველი **მწუანოვანი ლერწმოვანისად** და ჭილისად, ესაია 19, 6; სხუად (თესლი) დავარდა **კლდოვანსა**, მ. 13, 5 D; ამის ზღჳსა მეწამულისაგან გამოვალს ათორმეტი წყაროდ და მოჰრწყავს იგი ფრიადსა **ფინიკოვანსა**, ამონ. 206, 18; მისცეს მას **ხუმუროვანი** ღჳნოდ, მრ. 15, 23 C; რომლისა მკჳდრნიცა მის ადგილსანი საცხენი სენითა... **ჩარადოვანნი**, პირ-მსიეანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი, შუშ. 156, 30; და მყის მიერ მოგუეგება კაცი ვინმე კეთილი, **მჯოვანი**, ზარზმ. 159, 37; და ერთსა მას ცხედარსაჳზედა ისხნეს ორ კაც: ერთი იგი **მჯრცოვანი** და ერთი იგი ჰაბუკი, ისტ. ქრესტ. 300, 35; საკუერთხი **ტუინოანი** შევწირო შენდა ვერძებითურთ და საკუმეველით, ფსალმ. 65, 14 (ტუინოანი←ტჳნოვანი,=მსუქანი); და იყო იგი **ჴელოვან**, კეთილად შემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა, აბო 185, 6; და ერქუა... მეორესა მას (ქრებულსა) **ცის-ფეროვან**, წარტყ: 5, 15.

ხანდახან **ოვან** სუფიქსის წინ გვხვდება **რ**, რომლის დანიშნულებაც უცნობია: ყოველი ერი **ჰაბუკროვანი**, 2 მეფ. 10, 9; აღიღეს ქვები **დიდროვანი**, პარხ. 872 გ.

ეან (→იან) სუფიქსიანი

ეან→იან სუფიქსი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ძველ ქართულში ძალიან ნაკლებად იხმარება. დღევანდელ ქართულში, პირიქით, ქონების სუფიქსთა შორის სწორედ ის (**იან**) არის ყველაზე გავრცელებული, ცოცხალი, და ნაყოფიერი. რა სახელი გინდა, რომ არ ერთოდეს დღეს **იან**ს! და რამდენადაც დიდია მისი ხმარების დიაპაზონი დღეს, იმდენად იშვიათი იყო მისი გამოყენება ძველად. ამ ნაკლს ენა ივსებდა სხვა სუფიქსების დახმარებით. განსაკუთრებით ხშირად იხმარებოდა მის მოსალოდნელ ადგილას **ი-ერ** (ქმრ-ი-ელი=ქმრიანი), **ოვან** (ტჳნ-ოვან-ი=ტჳინიანი), **ოსან** (ტჳრთ-ოსან-ი= ტჳირთიანი) და სხვა. დღევანდელი **იან**-ის პირვანდელი სახე **ეან** უნდა ყოფილიყო [1], როგორც ამას ცხადყოფს ძველი ძეგლების ჩვენებანი. მაგალითები:

უგალობს სული ჩემი უფალსა, რომელმან იჳსნნა (ტრედნი) გუელისა მისგან **წამლეანისა**, Οπις. 130, 12; სიტყჳთა შენითა **ოქრეანითა ოქრეან** ჰყუენ მორწმუნეთა სულნი, სას. პოეზ. 134, 11; დღესა პარასკევსა ვიხილეთ გემოჲ სიკუდილისად **სხამეანი**, მამ. სწავ. 311 (=შხამეანი→შხამიანი); რომელნი ემსგავსნეს ოთხ თავად განყოფილთა მათ მდინარეთა, რომელნი **ედემეანისა** ჲთისაგან საქალწულოჲსა სიმაღლისაგან მოიელინნეს. სვან. 392 ხ; **ძარღუეანი**,

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 123.

პარხ. 858 a; ესე ნაშობი იყო **აბრამეანი**, აბო 184, 34; და ჰამბავი მოჴდა, ვითარმედ ბაღდადი **აგარეანთა** დაიპყრესო, ნოქც. (ისტ. ქრესტ. 270, 6).

ოხან სუფიქსიანი

ამ ტიპის სახელების დიდი ნაწილი არსებითად არის ქცეული, ზოგს კი შენარჩუნებული აქვს ადიექტიური გაგება:

(მოვიდა) ერი **მახჳლოსნები** და **წათოსნები**, მრ. 14, 43 C; (მოვიდა) ერი მრავალი **მახჳლოსანნი** და **წათოსანნი**, მ. 26, 47 C; და ერქუა ერთსა მას კრებულსა **მწუანოსან** და მეორესა მას—ცის-ფეროვან, წარტყ. 5, 15; მოვიდა იოსეფ არიმათიელი, **პატიოსანი** მზრახვალი, მრ. 15, 43 C; რომელსა აქუნდა შიშითა ნელსაცხებელი ნარდიონი **პატიოსანი**, მრ. 14, 3 C; ქვითა კეთილითა და **პატიოსნითა** შენებულ არს (ტაძარი), ლ. 21, 5.

...გარეშე—**ჰორლოსანნი** და შინაგან—ზრახვანი ღმრთის-მსახურებისანი; გარეშე—**ლახუროსანნი** და შინაგან—სამწყულნი სიმდაბლისანი, Опис. 17, 9 ქვ.; განმზადეთ ორასი ერისაგანი... და **ფაროსანი** ორასი, პალ. ალბ. ტაბ. 37, 4, 20; ცუდთა მათ, რომელთა არა აქუნ, არა ჰრქჳან **ტჳრთოსანთა** მათ, ვითარმედ: გუეცით ჩუენცა, სახისმეტ. (ისტ. ქრესტ. 282, 38).

სხვა მიმართებითი ზედსართავები

უფროჲს სურვიელ იყო ბერი იგი ვიდრე **საჴირვოჲსა** ჴორცთა საზრდელისა, ანტიოქ. 95, 35; უკუეთუ თქუენი ჴამი არს ყოფად სახლებსა **საფარდულედსა**, ხოლო სახლი ესე ჩემი მოოკრებულ არს, ანგია 1, 4; მიგუალე ჯინჭჳლისა და ჰბაძევდ, ჱ **მედგარო**, სახისმეტყ. (ისტ. ქრესტ. 282, 34); საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი **ველური**, მ. 3, 4; რამეთუ იყუნენ დღენი იგი პირისანი, რომელ არა ყოფილ არს **ეგევითარი** დასაბამითგან, მრ. 13, 19 C; ვითარ ჴელ-ეწიფების კაცსა ცოდვილსა **ესევითარისა** სასწაულისა საქმედ, ი. 9, 16; პური ჩუენი **სამარადისოჲ** მომეც ჩუენ დღეს, მ. 6. 11 C; მცირედსა ზედა **სარწმუნო** იქმენ, მ. 25, 21; და ღათუ **სასიკუდინო** სუან, არარაჲ ავნოს მათ, მრ. 16, 18; მისცეს მათ ცხორებაჲ **საუკუნოჲ** ი. 17, 2 DE; ....**საუკუნე**, იქვე C; უმჯობეს არს უფროჲს მისა, დამო-თუმცა-ება **საფიცხლე** ლოდი ყელსა და შთა-მცა-ვარდა იგი ზღუასა, მრ. 9, 42 C; რომელსა არა ემოსა სამოსელი **საქორწინო**, მ. 22, 11; არა დამტკიცებულ არიედ ძირნი მისნი, არამედ **საწუთრო** არიედ, მრ. 4, 17; ყოველნი, რომელნი ბოროტად **სნეულ** იყუნეს, განკურნნა, მ. 8, 16; **სულგრძელ** იქმენ ჩემ ზედა, მ. 18, 26; არა გამოხჳდე მიერ, ვიდრემდე **უკუანაჲსკნელიცა** იგი მი-ვე-სცე შენ მწულილი, ლ. 12, 59; ჰხადე გლაჲაკთა **უმეცართა**, მკელობელთა, ბრმათა, ლ. 14, 13; და ამით არა საგმობელ ხართ თქუენ, არამედ **საქებურ**, უდაბნ, 88vb; არა ხართ **მეამბოხე**, არცა **მეურაკპარაკე**, იქვე; რამეთუ **მეყსეული** და მოულოდებელი შიში დაეცა მათ ზედა, სიბრძ. 17, 14. ამ სიტყვის ვითარებითი ბრუნვა „მეყსეულად" კარგად გამოკვეთილი ზმნიზედაა და ძალიან ხშირადაც იხმარება ამ გაგებით ძველ ქართულში.

5. მიმღეობანი ზედსართავის როლში

ზედსართავი სახელების როლში გამოდის მიმღეობანი, განსაკუთრებით ენებითი გვარის მიმღეობანი. არც ბრუნების თავისებურებით, არც ხარისხის წარმოების უნარით, არც მრავლობითი რიცხვის წარმოებით მიმღეობები არ განსხვავდება ჩვეულებრივი ზედსართავი სახელებისაგან. აღნიშნული თვალსაზრისით ერთნაირად არის გამოყენებული ენაში, მაგალითად, **ტკბილი** და **აღწერილი**, **ახალი** და **მთრვალი**, **მეწამული** და **ფარული**, **ყუთელი** და **ხაწამებელი**. მართალია, აქ წარმოდგენილი წყვილების მეორე წევრებს (მიმღეობებს) გადმოყოლილი აქვთ ზმნური კატეგორიები დროისა, გვარისა, ასპექტისა და ამით მკვეთრად განსხვავდებიან წყვილის პირველი წევრებისაგან, მაგრამ ეს სიტყვის სემანტიკური მხარეა და მას მნიშვნელობა არა აქვს ამ სიტყვათა ბრუნებისა და წარმოქმნისათვის. აქ არის კიდევ სხვა განსხვავებაც: მიმღეობები უმეტესად გვევლინება შედგენილ შემასმენელში: აღდგომილ არს, განრაცხილ არს, განკურნებულ არიან და სხვა, ჩვეულებრივი ზედსართავი სახელი კი—შედარებით ნაკლებად. მაგრამ ეს არ არის პრინციპული სხვაობა, რომელსაც შეეძლებოდა ამ სიტყვათა ერთად განხილვის საქმეში ხელის შეშლა. ამიტომ მიმღეობებიც შეიძლება მოკლედ აქვე განვიხილოთ.

როგორც ვთქვით, ილ სუფიქსიანი მიმღეობანი ბრუნებისას (ცალკე და არსებითთან ერთად) სულ ისეა ენაში გამოყენებული, როგორც ილ სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავები. მათ შორის არც ხარისხის წარმოების მიხედვითაა განსხვავება: უფროობითს ხარისხს ერთიც აწარმოებს და მეორეც. რაც ითქვა ილ სუფიქსიან მიმღეობებზე, იგივე უნდა ითქვას აგრეთვე სხვა ტიპის მიმღეობების შესახებაც, როგორიცაა **ულ** სუფიქსიანი, **ს**ა—ელ და **მ**—არ (დისიმილაციით: **მ**—ალ) აფიქსებიანი მიმღეობანი. ნაწილობრივ ასეთივე ხასიათისაა აგრეთვე მოქმედებითი გვარის მიმღეობებიც (მ-გალობ-ელ-ი, მ-რცხ-ელ-ი და სხვა).

ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ ზემოთ თქმულის საილუსტრაციო მაგალითებს.

ილ სუფიქსიანი მიმღეობანი

რომელთა იხილეს იგი **აღდგომილი**, მათი არა ჰრწმენა, მრ. 16, 14; და მოვიდა ნაზარეთა, სადაცა **აღზრდილ** იყო, ლ. 4, 16; თქუენნი თავისა თმანიცა. ყოველნი **აღრაცხილ** არიან, მ. 10, 30 C; ვერმცა სოფელმან ამან დაიტია **დაწერილი** იგი წიგნები, ი. 21, 25; დადგა იგი საფლავსა **გამოკოდილსა**, ლ. 23, 53; დადგა იგი საფლავსა, რომელი **გამოკუეთილ** იყო კლდისაგან, მრ. 15, 46; **განბანილსა** მას არა უჴმს, გარნა ფერჴნი ხოლო ბანად, ი. 13, 10; მიმსგავსებულ ხართ სამარეთა **განგლოხრწნილთა**, მ. 23, 27 C; **განგოზილთა**, იქვე DE; რომელნი... მიზეზით **განგრძობილად** იღოცევდე, მრ. 12, 40; მიიელინა გაბრიელ ანგელოზი... ქალწულისა, **განთხოვილისა** კაცისა, ლ. 1, 27 C; **დაბრმობილნი** გულნი გქონან, მრ. 8, 17; პირი მისი სუდარითა **დაბურვილ** იყო, ი. 11, 14; სიტყუაჲ მისი არა არს თქუენ თანა **დადგრომილ**, ი. 5, 38; იერუსალჱმი **დათრგუნვილ** იყოს წარმართთაგან, ლ. 21, 24;

რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დაშჯილ არს, ი. 3, 18; ჶ უგუნურნო და დაშთომილნო სარწმუნოებასა ყოველთა, ლ. 24, 25 C. ამ მაგალითში მიმღეობა (დაშთომილნო) ისეა გამოყენებული, როგორც ჩვეულებრივი ზედსართავი სახელი (უგუნურნო), ისინი გვერდი-გვერდ იხმარებიან.

...რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი, მრ. 13, 29; იხილეს ეშმაკეული იგი მჯდომარე და შემოსილი და გონიერი, მრ. 5, 15; ლერწამი შემუსრვილი არა განტეხოს, მ. 12, 20; იყო... კაცი სულითა არაწმიდითა შეპყრობილი, მრ. 1, 23 C; ჰოეს... ყრმაჲ იგი, შთაწვენილი ბაგასა, ლ. 2, 16 C; კაცი ცოდვილი ვარი მე, უფალო, ლ. 5, 8; ჰპოოთ ყრმაჲ იგი წარგრაგნილი სახუეველთა, ლ. 2, 12 C; რომელი განჰკსნა ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა, მ. 16, 19; ძე ესე ჩემი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედილ იყო და იპოვა, ლ. 15, 24. მაგრამ ეს მიმღეობა ჩვეულებრივ გვხვდება ულ სუფიქსით: წარწყმედულ (იქვე C; ლ. 15, 6; მ. 18, 11 C; მ. 10, 6; მ. 15, 24 და მრავალი სხვა).

ზოგი ასეთი მიმღეობა, ისე როგორც სხვა ტიპისა, უკვე არსებით სახელად არის ქცეული, მაგალითად: დაჴსნილი (=დავარდნილი, საპყარი), მიდგომილი (=ორსული), შვილი, წერილი (=წიგნი) და სხვა.

ულ სუფიქსიანი მიმღეობანი

ულ სუფიქსიანი მიმღეობანი გაცილებით მეტი რაოდენობით გვხვდება, ვიდრე ილ სუფიქსიანები და სხვა ტიპისა. მაგალითად: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ საუნჯესა დაფარულსა ყანასა შინა, მ. 13, 44; შეგინებულითა ჴელითა... ჰამდეს პურსა, მრ. 7, 2; დაადგეს მას შეთხზული ეკლისა გჳრგჳნი, მრ. 15, 17; მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჰამებული, ლ. 15, 27. ასეთია აგრეთვე: აგზებული[1], აღსრული, აღვსებული, აღმოდინებული, აღმოსრული, აღმოცენებული, აღნთებული, აღორძნებული, აღრეული, აღსრულებული, აღებული, აღშფოთებული, აღძრული, ბირებული, ბრძანებული, გამოსრული, გამოკიდებული, განბანილი, განბნეული, განგრძელებული, განბოკლებული, განკეთრებული, გავთული, განზოგებული (=განახევრებული), განმზადებული, განრისხებული, აღხილული, განსწავლული, განსხმული, განყენებული, განტეებული, განშორებული, განთეთრებული, განთესული, განკჳრვებული, განკურნებული, განმართლებული, განმარჯუებული, განწესებული, განხუმული, განჯურვებული, გარდასრული, გარდარეული (=გადაჭარბებული, მეტისმეტი), გარდამოსრული, გარდამოცვნებული, გარდაქცეული, დაგდებული, დაგებული, დადუმებული, დათესული, დაკლული, დამალული, დამკჳდრებული, დამოწაფებული, დამტკიცებული, დასულებული, დატეებული, დაუნჯებული, დიდებული, მიმსგავსებული, მოსრული, საარებული, შესრული, შეკრებული, შემკული, შეძრწუნებული, შეხუეული, წარსრული და ბევრი სხვა.

[1] რადგანაც ეს და მსგავსი მაგალითები ძალიან ხშირად გვხვდება ძველ ტექსტებში, ადგილებს აღარ ვუჩვენებთ.

ნა პრეფიქსიანი მიმღეობანი

ძაღლნიცა ჰამედ ნაბიჭსა, **გარდამონაცვნებსა** ტაბლისაგან უფალთა მათთაჲსა, მ. 15, 27 C; შინაგანი თქუენი სავსე არნ **ნატაცებითა** და არაწმიდებითჲა, მ. 23, 25; რავდენი კუელი სავსჳ **ნატეხისაჲ** აღიღეთ, მრ. 8, 19 C; საჭურველი მისი მოუღის... და **ნატყუენავი** მისი განუყვის, ლ. 11, 22 და სხვა.

სა პრეფიქსიანი მიმღეობანი

დამასხა მაგან ნელსაცხებელი ესე ჴორცთა ჩემთა, **დასაფლავად** ჩემდა ყო, მ. 26, 12; აჰკიდით კაცსა ტჳრთი ძნიად **სატჳრთავი**, ლ. 11, 46 C და სხვა.

ბევრი **სა** პრეფიქსიანი მიმღეობა არსებით სახელად არის უკვე ქცეული და სრულიად დამოუკიდებლად იხმარება. ასეთია, მაგალითად: აღმოსავალი (=აღმოსავლეთი), დასავალი (=დასავლეთი), საჭუმილავი, შესაწირავი, სამარხავი, საღუაწი, სახილავი, საფლავი, საჯალი (სხვადასხვა ზმნისწინებით) და სხვა. ასეთია აგრეთვე **დასაბამი**, რომელიც აღნიშნავს „დასაწყისს“ (начало). ძველ ქართულში დადასტურებულია აღნიშნული ზმნის პირიანი ფორმების ასეთი მნიშვნელობაც (ე. ი. დაწყება), მაგალითად: ამის მეექუსისა თჳსა შემდგომად **დააბა** მარიამ მუცლად-ღებაჲ, სვან. 31 b; და ოდეს აღესრულა თუე იგი გორპიოსი, მაშინ **დააბა** მიდგომაჲ ელისაბედ, იქვე, 32 a; და **დააბა** მან წიგნ-წერილებაჲ იგი სასწაულითა ძალისა თჳსისაჲთა, უდაბნ. 160 vb. **დააბა** ამ მაგალითებში ნიშნავს „დაიწყო“; აქედან: **დასაბამი**, რაც საკვირველია, „დასაწყისი“ უნდა იყოს და არის კიდეც.

საბამი გვხვდება მისი ძირითადი მნიშვნელობითაც: უკუე ჩემდა ჯერარს გამოჰყრობად ჴარი იგი მბჳავარი, უკუანა **საბამი**, მშრომელი და ურნატ-სავსედ განმმართებელი იგი და ურმად მჴნჳ იგი, ისტ. ქრესტ. 299, 8.

სა—ელ აფიქსებიანი მიმღეობანი

სტოვასა მას **აღსამაღლებელისასა** ევანგელჳ მარკოზის თავისაჲ (ქართ. ოთხთ. ორი ძველი რედაქცია, გვ. 168); არაწმიდაჲ იგი სული... ეძიებენ **განსასუენებელსა** ადგილსა, მ. 12, 43 C; რომელმან დაუტეოს ცოლი თჳსი, ეცინ მას **განსატევებელი** წიგნი, მ. 5, 31 C. ორი უკანასკნელი მაგალითი ადიშის ძეგლიდანაა აღებული. აქ, როგორც ეხედავთ, **განსასუენებელი** და **განსატევებელი** მსაზღვრელადაა აღებული, ისინი ახლავან თავ-თავიანთ საზღვრულებს: ადგილსა და წიგნს. მაგრამ DE-სა და სხვა ხელნაწერებში ეს საზღვრულები უკვე აღარ არის წარმოდგენილი; ჩანს, თვით ეს მიმღეობანი სუბსტანტივაციის გზაზე დგებიან და დამოუკიდებლობას იძენენ. მიმღეობათა გაარსებითების ეს პროცესი ბევრ სხვა ტიპის მიმღეობას (და, საერთოდ, ზედსართავს) ეხმნევა. შდრ. საფლავი, წერილი, მოძღუარი და სხვა.

...მუნ დგეს ტაკუკნი მარმარილოჲსანი ექუსნი **განსაწმედელად** ჰურიათა მათ, ი. 2, 6 C; ქადაგებდა ნათლის-ღებასა სინანულისასა **მიხატევებელად**

ცოდვათა, მრ. 1, 4; ნუუკუე მათცა კუალად გხადონ შენ, და გექმნეს შენ **მოსაგებელ**, ლ. 14, 12; მოეგებვოდეს მას ორნი ეშმაკეულნი... **საზარელნი** ფრიად, მ. 8, 28 C; არცა **ხავსებელი** გაქუს, და **ჯურღუმული** ესე ღრმა არს, ი. 4, 11 (სავსებელი=წყლის ამოსაღები, ვედრო; აქ არსებითის მნიშვნელობა აქვს); შეკრიან ტკრთი მძიმე და ძნიად **სატჯრთველი**, მ. 23, 4; ვითარ-მე განერნეთ **სატანჯველსა** გეჰენიაჲსასა, მ. 23, 33 და სხვა. ასეთია კიდევ: საწამებელი, წარსაწყმედელი, სადგმელი (=საკერებელი), სალოცველი, საკჯრველი, საცემელი, სარგებელი და სხვა.

ბევრი **ხა—ელ** აფიქსებიანი მიმღეობა უკვე ქცეულია არსებით სახელად. ასეთია, მაგალითად: სამოსელი (ტანისამოსი), საშჯელი, საკუმეველი, საკურთხეველი (жертвенник), საკრველი (=ბორკილი), ფერჯთ-შესასხმელი (=ფეხსაცმელი), საჯდომელი (სკამი) და სხვა.

უ პრეფიქსიანი უარყოფითი მიმღეობანი

ჰრქუა **უტყუსა** და ყრუსა სულსა, მრ. 9, 25; ყოველი სიტყუაჲ **უქმი** რომელსა იტყოდიან კაცნი, ბისცენ სიტყუაჲ მისთჳს დღესა მას საშჯელისასა, მ. 12, 36; ბზ© იგი დაწუას ცეცხლითა მით **უშრეტითა**, მ. 3, 12; სენაკთა მათთა შინა იყო მცირ© სარეცელი და **შეურაცხი** საგებელი და თითოჲ სარწყული წყლისაჲ, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 253, 25); ხოლო ქებაჲ იგი შესხმისაჲ, ჟამისა მის ბრძენთა მიერ **შეუცავი**, ფრიად სთნდა კეთილად მსახურსა კურაპალატსა, იქვე, 257, 14 და სხვა.

უ—ელ აფიქსებიანი უარყოფითი მიმღეობანი

უმჯობეს არს შენდა... მისლვად ცეცხლსა მას **დაუშრეტელსა**, მრ. 9, 43 C. DE-ში ამის საბადლოდ მარტივი „უშრეტსა“ არის ნახმარი. ჩანს, მარტივი (უსუფიქსო) **უშრეტი** და რთული (პრეფიქს-სუფიქსიანი) **დაუშრეტელი** ერთნაირად გასაგები ყოფილა ამ დროს და ამიტომ იხმარება პარალელურად.

...**უბანელითა** ჴელითა ჰამდეს პურსა, მრ. 7, 2; არავინ დაადგის სადგმელი ახალი **უმურკნველი** სამოსელსა ძუელსა, მ. 9, 16; ჱ **უცნობელნო** გულითა სარწმუნოებისათჳს ყოველსა ზედა, ლ. 24, 25; დავარღჳ ტაძარი ესე ჴელით-ქმნული და მესამესა დღესა სხუაჲ აღვაშენო **ჴელით-უქმნელი**, მრ. 14, 58; **შეუძლებელი** კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ, ლ. 18, 27; წეს-არს წესი საღმრთოჲ საეკლესიოჲ ეკლესიასა შინა ჩემსა დაწესებად ბრძენთაგან **განუკითხველი**, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 250, 19); **განუგებელად** ვქმენ, რამეთუ წიგნი არა მიწერად გეც, იქვე, 258, 1; რაჲთა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე **დაუშჯებელი**, ბრწყინვალ© ზედა სასანთლესა მას მაღალსა, ზეთითა მით **განუპარველითა**, იქვე, 239, 25; რამეთუ **უქცეველ** და **განუქარვებელ** არს შემდგომად ჯორცთა შესხმისა და შეერთებისა ღმრთეებისა იგი ბუნებაჲ, აბო 181, 24; და ჰქმნნე აღსაღებელნი იგი ძელთაგან **ულპოლველთაჲსა**, გამოსლვ. 25, 27 და სხვა. ასეთია კიდევ: დაუსრულებელი, დაუცადებელი (აბო 187, 25); დაუცხრომელი (ხანძთ., ისტ. ქრესტ. 243, 16), შეუსწავლელი (იქვე, 244, 20), მიუთხრობელი, მოუგონებელი (=წარმოუდგენელი) და სხვა მრავალი.

ზედსართავი სახელის როლში გამოდიან აგრეთვე საშუალი გვარის ზმნათაგან ნაწარმოები მიმღეობანი, რომელთაც წარმოქმნის **მ—არ-ე** (დისიმილაციით: **მ—ალ-ე**) აფიქსები, ზოგჯერ სხვა ტიპის მიმღეობებიც, განსაკუთრებით **მ—არ** (**მ—ალ**) აფიქსებით ნაწარმოებნი. ჩვენ აქ დავიმოწმებთ უფრთ ტიპობრივ მაგალითებს:

ეჩუენა მას ანგელოზი უფლისაჲ, **მდგომარჱ** მარჯუენით საკურთხეველისა მის საკუმეელისა, ლ. 1, 11; იხილა კაცი **მჯდომარე** საზუერესა ზედა, მ. 9, 9 C; მიმოდაიხილა... მოწაფეთა თჳსთა **მსხდომარეთა**, მრ. 3, 34; მოართუეს მას განრღუეული ცხედარსა ზედა **მდებარჱ**, მ. 9, 2; პატრუკი **მბნდჯვარჱ** (მდჯვარე D) არა დაშრიტოს, მ. 12, 20; ტკბილ არს ნაყოფი მისი და **მგლინვარე**, უდაბნ. 81 rb; ყოველი ერი ჰხედვიდა ჴმასა მას საყჳრისასა და საკუმილსა მას **მკუმოლვარესა**, გამოსლვ. 20, 18; ნუ გეშინინ და ნუცა სული შენი მოუძლურდების ორთა მათგან შუაჲთა მუგუზთა **მკუმოლვარეთა**, ესაია 7, 4; იხილა იგი **მკუსოლარე**, მრ. 14, 67 C; ჰპოოთ ყრმაჲ იგი შეხუეული და **მწოლარჱ** ბაგასა, ლ. 2, 12; სამოსელი მისი იქმნა **მბრწყინვალე** და სპეტაკ ვითარცა თოვლი, მრ. 9, 3.

მ წ ო ლ ა რ ე და მ ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ჩვენს მაგალითებში ისეთივე განსაზღვრებაა, როგორც ბათ გვერდში მოცემული შ ე ხ უ ე უ ლ ი და ს პ ე ტ ა კ: ისინიც გარკვეული თვალსაზრისით განსაზღვრავენ **ყრმასა** და **სამოსელს**.

6. ზედსართავი სახელის ხარისხები

ზედსართავ სახელს ქართულში **მეტი** თვისების გამოსახატავად არ გააჩნია ინდოევროპული ენების მსგავსი ორი ხარისხი, შედარებითი და აღმატებითი. ამიტომ, ვთქვათ, რუსული сильнее და сильнейший, длиннее და длиннейший, გერმ. stärker და am Stärksten, länger და am Längsten ქართულად მხოლოდ ერთ ფორმას მოგვცემს; ეს იქნება: უ-ძლიერ-ეს-ი და უ-გრძ-ეს-ი. ამ ფორმას, ბუნებრივია, არ შეიძლება ეწოდოს შედარებითი, რადგან ეს უკანასკნელი აღმატებითს გულისხმობს, ხოლო აღმატებითი ხარისხი არა გვაქვს ქართულში; მას ამავე მიზეზით არც აღმატებითი შეიძლება ეწოდოს. ხარისხის ამ ფორმას უფროობითს უწოდებენ[1].

7. უფროობითი ხარისხის ფორმები

უფროობითს ხარისხს ახალ ქართულში აწარმოებს **უ—ეს** პრეფიქს-სუფიქსი. დიდ-ი—უ-დიდ-ეს-ი, ძლიერ-ი—უ-ძლიერ-ეს-ი, თეთრ-ი—უ-თეთრ-ეს-ი, მაღალ-ი, უ-მაღლ-ეს-ი და სხვა. ძალიან განსაზღვრული რაოდენობით **ეს** სუფიქსის ნაცვლად გვაქვს **ოს**: უ-ფრ-ოს-ი, უ-მცრ-ოს-ი, უ-მსხ-ოს-ი და სხვა.

ძველ ქართულში უფროობითი ხარისხის ფორმებს წინ კიდევ ჰქონდა პრეფიქსი **ხ** (ხანმეტ ძეგლებში) და **ჰ** (ჰაემეტ ძეგლებში): ხ-უ-დიდ-ს-ი, ხ-უ-ძლიერ-ს-ი, ხ-უ-მაღლ-ს-ი, ხ-უ-თეთრ-ს-ი, ხ-უ-მჯობ-ს-ი, ხ-უ-ფრ-

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე. გრამატ. საფუძვ. გვ. 142.

-ო-ჲს-ი (ხანმეტურად), ჰ-უ-დიდ-Ოს-ი, ჰ-უ-ძლიერ-Ოს-ი, ჰ-უ-მაღლ-Ოს-ი, ჰ-უ-თეთრ-Ოს-ი, ჰ-უ-მჯობ-Ოს-ი, ჰ-უფრ-ო-ჲს-ი (ჰაემეტურად).

ა. შანიძემ ქართველური ენების მონაცემების შესწავლის საფუძველზე გამოარკვია, რომ უფროობითი ხარისხის ფორმები ზმნური წარმოშობისაა: მათი მაწარმოებელი პრეფიქსი უ გენეტურად სხვა არაფერია, თუ არა სასხვისო ქცევის ნიშანი უ (მესამე ობიექტურ პირში), ხოლო ამ უ-ს წინ მდგარი ხ (ჰ) წარმოშობით მესამე პირის ობიექტური პრეფიქსია. ამგვარად, პირიანი ფორმები: ხ-უ-დიდ-ე, ხ-უ-ძლიერ-ე, ხ-უ-მაღლ-ე, ხ-უ-თეთრ-ე მე (შენ) მას იგი და უფროობითი ხარისხის ფორმები: ხ-უ-დიდ-Ოს-ი, ხ-უ-ძლიერ-Ოს-ი, ხ-უ-მაღლ-Ოს-ი, ხ უ-თეთრ-Ოს-ი წარმოშობით ერთია[1].

პირველ ხანებში ხ-უ-დიდ-Ოს-ი(←ხ-უ-დიდ-ე) ნიშნავდა მხოლოდ მასზე (მესამე პირზე) უდიდესს, მასზე უფრო დიდს. მაშინ მის გვერდით უნდა ყოფილიყო აგრეთვე *მ-ი-დიდ-Ოს-ი (←მ-ი-დიდ-ე), *გ-ი-დიდ-Ოს-ი (←გ-ი-დიდ-ე), *მ-ი-ძლიერ-Ოს-ი (←მ-ი-ძლიერ--ე), *გ-ი-ძლიერ-Ოს-ი (←გ-ი-ძლიერ-ე) და სხვა ფორმები, რომლებიც I და II ობიექტურ პირებთან მიმართებით იხმარებოდა და სათანადოდ აღნიშნავდა ამათ: **ჩემზე დიდი, შენზე დიდი; ჩემზე ძლიერი, შენზე ძლიერი**. მაგრამ ამ უკანასკნელი ფორმების დაკარგვის შემდეგ ხ-უ-დიდ-Ოს-ი განზოგადდა და ყველა პირის მიმართ იქნა გავრცელებული: უდიდესი ჩემზე, შენზე და მასზე[2]. ხანმეტობის დროიდან შემოგვრჩა ხანიანი უფროობითი ხარისხი სიტყვაში ხ-უ-ც-ეს-ი, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ამას ნიშნავდა: უფროსი. შდრ. მისი მეგრული და სვანური შესატყვისები: უ-ჩ-აშ-ი, ხ-ო-შ-ა. რაც ამ ენებში ახლაც „უფროსს" ნიშნავს[3].

უფროობითი ხარისხის ფორმები, როგორც ვნახეთ, ძველ ქართულში სხვადასხვანაირია:

ხ-უ-დიდ-ე
ხ-უ-დიდ-Ოს-ი
ხ-უ-ფრ-ო
ხ-უ-ფრ-ო-ჲს-ი.

აქედან პრეფიქსის საკითხი, როგორც ვხედავთ, ნათელია: **ხ წარმოშობით მესამე ობიექტური პირის ნიშანია, უ—სასხვისო ქცევის ნიშანი.** რაღაა ეს სუფიქსები? რომელია მათში ძველი? ხ-უ-დიდ-Ოს-ი, ხ-უ-ფრ-ო-ჲს-ი, ეჭვი არაა, წარმოშობით ნათესაობითის ფორმებია და უფრო გვიანდელ წარმოებადაა მისაჩნევი. მაშასადამე, უფრო ძველი და ამოსავალი უნდა იყოს უსანო ფორმები: ხ-უ-დიდ-ე, ხ-უ-ფრ-ო. ამ წყვილიდან ა. შანიძეს ხარისხის მაწარმოებელ ძირითად სუფიქსად ე მიაჩნია[4]. რადგანაც უფროობითი ხარისხის სხვა მაწარმოებლების ანალიზს ზმნებამდის მიეჰყავართ, ამიტომ

[1] ა. შანიძე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. I, 1936, გვ. 333—334; მისივე: გრამატ. საფუძვ. გვ. 142—145.

[2] იქვე, გვ. 338.

[3] იქვე.

[4] ა. შანიძე. გრამატ. საფუძვ. გვ. 145.

შესაძლებელია ეს ე-ც რაღაც ზმნური კატეგორიის ნიშანი იყოს. გ. მაჭავარიანი ასეც ფიქრობს და ამ ე-ს წყვეტილის მაწარმოებელ ე-ს უკავშირებს, ხოლო „ხ-უ-ფრ-ო“-ის ო-ს ე-საგან (ან ა-საგან?) მიღებულად თვლის[1]. მისი აზრითაც, უფროობითი ხარისხის ფორმები თავდაპირველად ზმნური წარმოშობისა იყო, ზმნა იყო. სვანურში ახლაც ხვდება ერთმანეთს უფროობითი ხარისხი და პირიანი ფორმა, მაგალითად: ხ-ო-ჩ-ა („კარგი“, „უკეთესი“) და ხ-ო-ჩ-ა („სჯობს“)[2].

მაგრამ ამნაირი შეხვედრა სვანურში ერთეული ხასიათისაა (ჯერჯერობით მარტო ეს ერთი ფორმაა დადასტურებული). ძველ ქართულში კი ასეთი შეხვედრები თეორიულად (პრაქტიკულადაც) სავსებით შესაძლებელია. თუ მხედველობაში გვექნება უფროობითი ხარისხის უფრო ძველი მაწარმოებელი სუფიქსი ე, სათანადო შეპირისპირება ასეთ სურათს მოგვცემს:

	ხ-უ-დიდ-ე	არს იგი მას (მერმე: მისა)
და	ხ-უ-დიდ-ე	მე (შენ) მას იგი
	ხ-უ-ძლიერ-ე	არს იგი მას (მისა)
და	ხ-უ-ძლიერ-ე	მე (შენ) მას იგი
	ხ-უ-თეთრ-ე	არს იგი მას (მისა)
და	ხ-უ-თეთრ-ე	მე (შენ) მას იგი
	ხ-უ-მარჯუ-ე	არს იგი მას (მისა)
და	ხ-უ-მარჯუ-ე	მე (შენ) მას იგი
	ხ-უ-ადვილ-ე	არს იგი მას (მისა)
და	ხ-უ-ადვილ-ე	მე (შენ) მას იგი და სხვა.

მაგრამ აქ კითხვა ისმის: ჯერ-ერთი, გვაქვს თუ არა მხოლოდ ე სუფიქსიანი ფორმები ძველ ქართულში (ხუდიდე, ხუმარჯუე...)? მეორეც: თუ აღნიშნული ფორმები წარმოშობით ერთია, მაშინ რატომ არის, რომ პირიან ფორმებს წესისამებრ ობიექტი მიცემითში მოეპოვებათ (ხუდიდე შენ მას იგი), ხოლო ხარისხის ფორმებს ჩვეულებრივ—ნათესაობითში (ხუდიდე არს იგი მის-ა)? ხომ არ არის ძველ ქართულში სადმე შემთხვევა, რომ ობიექტი (შესადარებელი საგანი) ხარისხის ფორმებთანაც მიცემითში იდგეს (ხუდიდე არს იგი მას)?

ორიენ ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გავსცეთ. სუფიქსი „ე პირველადი იყო და სრულიად საკმარისი, რომ პრეფიქსთან ერთად ხარისხის ფორმა მოეცა: ჰ-უ-მჯობ-ე. ასეთი ფორმები დადასტურებულია სპორადულად[3]. დავიმოწმოთ სათანადო მაგალითები ძველი ქართულის ძეგლებიდან:

---

[1] გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის წარმოებისათვის ქართველურ ენებში: თბილ. სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენების თეზისები. 1954, გვ. 127.

[2] იქვე.

[3] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 145.

ამაოებაჲ ამაოთაჲ, თქუა ეკლესიასტე[1], ყოველივე ამაო და უმეტე,[2] ეკლეს. 12, 8—9; უბრწყინვალესსა მათსა ჩნდა და უძლიერს და უგულსმოდგინე, უდაბნ. 36 ra; მძიმე არს ქვაჲ და ძნიად სატჯრთველი ქჳშაჲ, ხოლო რისხვაჲ უგუნურისაჲ უმძიმე არს ორთავე, იგავ. 27, 3; რამეთუ ნაწილი საკურნებელი სულისაჲ ფრიად უადვილეს და უმარჯუე არს წამალსა ჯორცთა წყლულებისასა, მამ. სწავ. (H) 106 v; რაჲ უსუბუქე არს განსუენებასა კაცისასა აძის სოფლისა ზრუნვათა და შფოთთაგან, მამ. სწავ. 91; რომელნი დაებადნეს უწინარე[3] კაცისა, შატბ. 7; უმჯობე არს შენდა, რაჲთა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, მ. 5, 29 C; რაჲ უადვილე არს თქუმად, მ. 9, 5 C; სოდომელთა უმოლხინე იყოს მას დღესა შინა ვიდრე ქალაქისა მის, ლ. 10, 12; რომელი უმრწემე იყო წმიდისა გრიგოლისა, პალ. ალბ. 118, 18; ხოლო იგინი უძჯრე[4] განძჯნდებოდეს და აღეგზებოდა გულის-წყრომაჲ მათი, პარხ. 1165; რომელ სახარებამან კუალად უპეშმარიტე-რე გამოაჩინა, უდაბნ. 87 rb.

ანალოგიურ მდგომარეობას გვიჩვენებს ამ სუფიქსის ონიანი ვარიანტი: ნათესაობითის ნიშანი ბევრ შემთხვევაში ჯერ კიდევ არც აქ არის დამატებული, მაგალითად:

რაჲ უფრო არს: შესაწირავი იგი ანუ საკურთხეველი, მ. 23, 19 C; სული უფრო არს საზრდელისა, ლ. 12, 23 C; ხოლო იგინი იყვნეს რომელიმე ცხრისა წლისაჲ და რომელიმე შჳდისა წლისაჲ, გინა უფრო, გინა უმცრო, ლიტ. ურთ. 186, 7; ნეკი ჩემი უმსხო არს წელთა მამისა ჩემისათა, 3 მეფ. 12, 10.

უფროობითი ხარისხის მსგავსი ფორმები დადასტურებულია „ვეფხისტყაოსანშიც“: უამე (484, 4), უარე (412, 2; 798, 4; 799, 1; 1591, 3), უმართლე (849, 1; 855, 1; 900, 1; 1161, 3); უნათლე (685, 3; 1431, 4). ასეთი ფორმები დღევანდელი ქართულის ცოცხალ კილოებშიც იხმარება: უმაღლე, უხნე[5] და სხვა.

წარმოშობით უფროობითი ხარისხის ძველისძველ ფორმებადაა მიჩნეული აგრეთვე ისეთი სიტყვები, როგორიცაა: უკუანა, რომელიც „კუალ“-ს უკავშირდება[6], უწინ, რომელიც უფრო წინანდელს (დროს) აღნიშნავს, და უაწ, რომლის შესახებაც ს ა ბ ა ამბობს: „აწი არს აჰა წამსა შინა, ხოლო უაწ ანუ უწინარეს, ანუ შემდგომად მყისობით“[7]. მართალია, ამ ფორმებში უფრო-

[1] ხელნ.: ეკლესიასტჱ (=ეკლესიასტე).

[2] ხელნ.: უმეტჱ (=უმეტე)

[3] ხელნ.: უწინარჱ (=უწინარე).

[4] ხელნ.: უძჯრჱ (=უძჯრე).

[5] ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატ. საფუძვ. გვ. 145.

[6] ასეთი მოსაზრება გამოთქმული აქვთ ა. შ ა ნ ი ძ ე ს (პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. I, 1936, გვ. 340) და ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს (იქვე). უფრო მეტი ალფუძვლით შეიძლება ვთქვათ ეს უ-კუ-ე-ს შესახებ, რომლის პრეფიქსიცა და სუფიქსიც სავსებით ემთხვევა უფროობითი ხარისხის სათანადო აფიქსებს.

[7] უწინ და უაწ ფორმების შესახებ ეს მოსაზრება გამოთქვა კ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე მ მოხსენებაში, რომელიც წაკითხულ იქნა საქ. უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა III სამეცნიერო-მეთოდიკურ სესიაზე 1955 წლის 15 აპრილს.

ობითი ხარისხის მაწარმოებელი ე (ო) სუფიქსი არა ჩანს, მაგრამ. უეჭველია, თავიანთი პრეფიქსით ისინი უფროობითი ხარისხის ფორმებს მოგვაგონებენ. თანაც, პირველ ხანებში შესაძლებელია ეს ხარისხი არც საჭიროებდა სუფიქსს, ფორმის წარმოების მთელი სიმძიმე პრეფიქსს აწვა. მაგრამ საკითხი რთულია და მას სპეციალური ძიება უნდა.

რაც შეეხება მეორე კითხვას, შემდეგი უნდა ითქვას: რაკი ხ-უ-დიდ-ე წარმოშობით იგივეა, რაც პირიანი ფორმა ხ-უ-დიდ-ა მან მახ იგი, ამიტომ მოსალოდნელი იყო უფროობითი ხარისხის ფორმებთან ობიექტი (შესადარებელი საგანი) მიცემითში ყოფილიყო. ძველ ქართულში ეს მდგომარეობაცაა დადასტურებული: უფროობითი ხარისხის ფორმასთან შესადარებელი საგანი—ობიექტი, რასთან შედარებითაც მეტი აქვს მოცემულ სახელს თვისება, მიცემითშია. მაგალითები:

რაოდენ უმჯობეს არს კაცი საცხოვარსა, მ. 12, 12 D. E-ში მიცემითს ცელის ნათესაობითი (საცხოვრისა) — უფრო გვიანდელი ფორმა. რომელმაც თანდათან შეცვალა ძველი ფორმა—მიცემითი. ნათესაობითია წარმოდგენილი აგრეთვე C-შიც (ცხოვარისა).

...არა არს სხუა გულის-წყრომა უფროჲს გულიხ-წყრომისა მის მტერისა, და არა არს სხუა სიბოროტე[1] უფროჲს ხიბოროტესა[2] ნას დედაკაცისასა, ზირაქ 25, 17 — 18. აქ ერთი წყვილი ჩვენთვის საინტერესო ფორმაა მოცემული; ამათგან ერთი ნათესაობითშია წარმოდგენილი (უფროჲს გულის-წყრომისა), ხოლო მეორე — მიცემითში (უფროჲს სიბოროტესა). პირველი შედარებით ახალია, მეორე — ძველი. მათი ერთად ხმარება უჩვენებს, რომ ამ ფორმების გამოყენებისას უკვე შერყეულია (და ძლიერადაც) ძველი წესი, მაგრამ საესებით განმტკიცებული არაა ახალი. ამ ძველიდან ახალზე გარდამავალ ხანაში, როგორც ჩანს, უხერხულობას აღარ წარმოადგენს ერთსა და იმავე უფროობითი ხარისხის ფორმასთან მიცემითისა და ნათესაობითის ერთდროული ხმარება. მაგრამ მიემართოთ ისევ მაგალითებს:

ყოველივე სიბოროტჱ უმცირჱს არნ სიბოროტესა[2] მას დედაკაცისასა, ზირაქ 25, 21; და ვითარმედ მცირედისათჳსცა და უნდოჲსა შეწირვასა ღმრთისა მიმართ უმჯობეს არს ყოლადვე არა შეწირვაჲ, მამ. სწავ. 17; წყალობაჲ ღმრთისაჲ უფროჲს არს წყალობახა კაცთასა, იქვე, 29; რამეთუ იგი უმჯობეს და უსარგებლეს არს ჩუენდა ჯამახა მავნებელთა საშჳელთასა... და უბანთა ზედა ზღაპრობად შეკრებასა, მამ. სწავ. (H) 100 v; რამეთუ წამალი საკურნებელი სულისაჲ ფრიად უადვილეს და უმარჯუე არს წამალსა ჴორცთა წყლულებისასა, იქვე, 106 v; რაჲ უსუბუქე არს განსუენებასა კაცისასა ამის სოფლისა ზრუნვათა და შფოთთაგან და კიდე-ყოფასა მისგან და ყოფასა შინა მყუდროჲსა ნავთ-საყუდელისასა, უშიშსა დანთქმისაგან, მამ. სწავ. 91; და ნუმცა პატივ-სცემ აღთქუმასა და ფიცებასა ცოლისასა უფროჲს აღთქუმახა და ფიცებასა ღმრთისასა, იქვე, 111; სარგებელ გეყოს იგი უფროჲს ხილვასა თიატრონისასა მომღერალთა

[1] ხელნ.: სიბოროტჱ.

[2] ხელნ.: სიბოროტჱსა.

და განმცხრომელთასა, მამ. სწავ. 10; რომელთა მიერ მოსწყდეს არა უმცროჲს მესამედსა ნაწილსა კაცთასა, თარგმ. გამოცხ. 8, 7; უზეშთაეს არს პატივსა და დიდებასა სხუათასა, მამ. სწავ. 210; არა არს წყლულებაჲ უბოროტეს წყლულებასა სიცრუვისა და ტყუვილისასა, იქვე, 345; სილარჩუ და ურცხჳნოებაჲ ეშმაკისაჲ უფროჲს არს სილარჩესა ძაღლისასა, იქვე, 403.

მიცემითს ითხოვს უფროობითი ხარისხის ფორმა ხანდახან „ვეფხისტყაოსანშიც“:

ვინ მზესაცა უნათლეა,
ასრე ვითა ბროლი ფისსა (1431, 4).

მაგრამ ძველ ქართულში უფრო ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა უფროობითი ხარისხის ფორმასთან ნათესაობითია წარმოდგენილი, ეს, როგორც ვამბობდით, განვითარების შემდგომი, უფრო გვიანი საფეხურია, როცა უფროობითი ხარისხის ფორმა თანდათან წყვეტს კავშირს ზმნასთან, სცილდება მას და ნელნელა იძენს სახელის ნიშნებს — ბრუნვასა და სახელის ბრუნვაში მართვის უნარს. სახელი კი სახელს სწორედ ნათესაობითში მართავს. ხარისხის ფორმა ასეთ შემთხვევაში უკვე სრული სახელია მისთვის დამახასიათებელი აუცილებელი ნიშნებით: იგი იბრუნვის, როგორც სხვა სახელი, მას მრავლობითი რიცხვი აქვს, როგორც სხვა სახელს, იგი სხვა სახელს ნათესაობითში მართავს, როგორც სხვა ჩვეულებრივი სახელი. ერთი სიტყვით, ჩვენ წინაშეა სახელის ერთი სახეობა.

ვნახოთ ახლა ამის მაგალითებიც:

სათნო-ვეყო მე ღმერთსა უფროჲს ჯობაჲსა მის ჩჩჳლისა, ფსალმ. 68, 31; რამეთუ შუენიერ არიან ძუძუნი შენნი უფროჲს ღჳნისა და სულნელებაჲ საცხებელისა შენისაჲ—უმეტჳს საკუმეველთასა, იპოლ. 2, 7; სიტყუაჲ ღმრთისაჲ არს... უმკუეთელჳს უფროჲს ყოველისა მახჳლისა ორპირისა, ებრ. 4, 12; შენსა მოკითხვასა ხუფროს ბუნებისა კრთებოდა, ისტ. ქრესტ. 45, 30; რაჲ-მე უკუე იყოს სიძისა მის უუშუერეს, უკუეთუმცა შეიმოსა დღესა სერობისა მისისასა გლოვისა სამოსელი და ტიროდა და გოდებდა წინაშე ყოველთა მეინაკეთა მისთა, მამ. სწავ. 203; განმბანე მე, და უფროჲს თოვლისა განვსპეტაკნე, ფსალმ. 50, 7; შეიყუარა მან უსჯულოებაჲ უფროჲს სახიერებისა და სიცრუე — უფროჲს სიმართლისა სიტყჳსა, ფსალმ. 51, 3; ხოლო უკუანაჲსკნელ უმწარჳს ნავღლისა ჰპოვო და უმახჳლჳს მახჳლისა ორპირისა, იგავ. 5, 4; რაჲ-მე უნათლჳს არს მზისა, ზირაქ 17. 26 (შდრ. „ვეფხისტყაოსნის“ „ვინ მზესაცა უნათლეა“); და შეგიყუაროს შენ უფროჲ დედისა შენისა, იქვე, 4, 11; ცხორებაჲ ჩემი უმოსწრაფეს მხრბოლისა არს, მამ. სწავ. 95; მოიგე ესე, რომელი უტკბოჲს თაფლისა არს, მამ. სწავ. (H) 32v; რაჲ-მე უკუე იყოს უძჳრეს და უსაწყალობელეს კაცისა მის, რომელი მარადის გულ-მწყრალ არნ, იქვე, 42; და ნუ ხარ უგრილეს ნაცრისა და მკუდარ უფროჲს მოკლულისა, მამ. სწავ. 132; და სხვა.

ასეთია ბრუნვის არჩევის საკითხი უფროობითი ხარისხის ფორმებთან. როგორც ვნახეთ, აქ ერთმანეთის გვერდით იხმარება პირვანდელი მდგომარეობის ამსახველი მიცემითი (უმცირეს არ **სიბოროტესა**) და გვიანდელი ხანის გამომხატველი ნათესაობითი (უტკბოჲს **თაფლისა** არს). ეს ცალმაგი ბრუნების დროს. მაგრამ როცა სათანადო სახელი ტექსტში მოცემულია ორმაგი ბრუნების ჩარჩოებში, ჩვენთვის საინტერესო სახელი თითქმის მუდამ ერთი **სახით** გვეველინება: მას აქვს ნათესაობით-მიცემითი ბრუნვის ფორმა. ესეც ხაზგასმით მიუთითებს, რომ ამოსავალია მიცემითი და არა ნათესაობითი. ორმაგ ბრუნებას ამ შემთხვევაში უფრო ძველი ვითარება აქვს შემონახული, ვიდრე ცალმაგს. მაგალითები:

მაშინღა ქრისტეანენი სათნო-იყვნა ღმერთმან უფროჲს **ჰურიათასა**, ევსტ. 166, 11; ფარანელნი იგი უმრავლჱს იყვნეს **ჰაბაშთასა**, ამონ. 215, 30; ვაშლისაგან გამოეცემის სულნელებაჲ უმეტჱს ყოველთა **ხილთასა**, იპოლ. 18, 9; უმჯობეს ბართ **მფრინველთასა**, ლ. 12, 24 C; ნესტუმან და ლინმან მოატკბიან ჴმაჲ და მათ **ორთასავე** უმეტჱს არს ენაჲ ტკბილი[1], ზირაქ 40, 21; განამრავლეს ბილწებაჲ თჳსი უფროჲს ყოველთა **წარმართთასა**, 2 ეზრა 1, 49; და იღუაწა მისი უფროჲს სხუათა მათ **დედათასა**, ესთერ 2, 10. მაგრამ იქვე გვაქვს მსგავს კონტექსტში ეგეცე სიტყვა უკვე ორმაგი ნათესაობითის ფორმით: ქალი იგი დასჯერდა უფროჲს სხუათა **დედათაჲსა**, იქვე, 2, 9. ეს ფორმა ცალმაგი ნათესაობითის შორეულ გამოხმაურებას წარმოადგენს (უტკბოჲს **თაფლისა** არს) მაშინ, როდესაც სხვა მაგალითები ცალმაგი მიცემითის გაგრძელებაა (უმცირეს არ **სიბოროტესა**). ამის თითო-ოროლა მაგალითი სხვაგანაც გეხვდება, მაგალითად: გიცი შენ უფროჲს **ყოველთაჲსა**, თარგმ. გამოცხ. 3, 8; უაღრეს ყოველთა ძეთა **კაცთაჲსა**, ლიტ. ურთ. 171, 11; შუენიერ არს იგი ხილვად უფროჲს ძეთა **კაცთაჲსაო**, იქვე 173, 11; ვითარცა ღმერთი უფროჲს არს **ანგელოზთაჲსა**, ეგრეთვე მისი სიტკბოებაჲ უფროჲს ყოველთაჲსა არს, პარხ. 786 გ. მაგრამ მსგავსი მაგალითები ერთობ იშვიათია და უფრო მოგვიანო დროს უნდა ეკუთვნოდეს, როცა ორმაგი ბრუნების ძველი ცწყობრი წესი საკმაოდ იყო შელახული. ჩვეულებრივ კი, როგორც ვთქვით, ნათესაობით-მიცემითის ფორმა გვაქვს.

დავუმატოთ კიდევ ნათესაობით-მიცემითის ნიმუშები:

და ამისთჳს თქუა უდარეს **პირუტყუთასა** ყოფაჲ მისი, შატბ. 62 b; და ესე იყო უმეტჱს მათ ყოველთა **მჴეცთასა**, უწინარეს მისთა, დანიელ 7, 7 ლაგ.; უკუეთუ გნებავს ცად აღმაღლებაჲ, უსწრეე პირველად და დამდაბლდი ქუეყანასა ზედა უფროჲს ყოველთა **კაცთასა** და იქმენ უქუემოეს ყოველთა **კაცთასა**, მამ. სწავ. 206.

ასეთსავე სურათს გვიჩვენებს ნაცვალსახელებიც, როცა ისინი ორმაგ ბრუნებაში შედიან. ამ მხრივ მათი ჩვენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თუ საზოგადო სახელებში აქა-იქ იშვიათად კიდევ გვხვდებოდა ორმაგი ნათესაობითი, ნაცვალსახელებში ასეთი შემთხვევა გამორიცხულია: აქ გვაქვს

[1] აქ ხარისხის ფორმას წინ უსწრებს დამატება. ასეთი შემთხვევა იშვიათია.

მხოლოდ და მხოლოდ ნათესაობით-მიცემითის (წარმოშობით); ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, მიცემითის ფორმები:

დაღაცათუ დღისა უმრწემჱს ხარ, საქმით კულა უხუცჱს ხარ **ჩემსა**, ხანძთ. 103, 46; უმახლობელჱსცა ვართ **ჩუენ თქუენსა**, 2 მეფ. 19, 43 (შდრ. იქვე: უმახლობელჱს ვართ მეფისა); რამეთუ უძლიერჱს იყო **ჩუენსა**, დანიელ 13, 39; უბრწყინვალჱსღა მათსა ჩნდა და უძლიერჱს და უგულს-მოდგინე, უდაბნ. 36ვ; არავინ არს კაცი უბრძნეს **შენსა**, დაბ. 41, 39.

როდესაც უფროობითს ხარისხთან წარმოდგენილი შესადარებელი საგანი მრავლობითს რიცხვშია დასმული, შეუძლებელია მისი ბრუნვის შესახებ ვილაპარაკოთ: ამ ბრუნვად შეიძლება მიცემითიც ვიგულისხმოთ და ნათესაობითიც, რადგანაც თ-ა სუფიქსი ორივე ამ შესაძლებლობას შეიცავს. ასე, მაგალითად, ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ, რომელ ბრუნვაშია სახელი **წელთა** ამ წინადადებაში: ნეკი ჩემი უმსხო არს **წელთა** მამისა ჩემისათა, 3 მეფ. 12, 10. **წელი** რომ მხოლობითში ყოფილიყო დასმული, ორში ერთერთი გვექნებოდა:... უმსხო არს **წელსა**, ან:... უმსხო არს **წელისა**. ამნაირი მაგალითები ხშირად გვხვდება. მაგრამ, როდესაც მრავლობითში დასმული სახელის გვერდით გვხვდება მეორე ასეთი სახელი, მხოლობითში დასმული, ამ უკანასკნელის მიხედვით შესაძლებელი ხდება პირველის ბრუნვის გამორკვევაც. ამ მაგალითში: ხოლო გემონი ესე ბოროტნი ამის სოფლისანი არა უმტკიცეს არიან **სიზმართა** და **აჩრდილისა** (მამ. სწავ. 94) ხაზგასმული სიტყვა **სიზმართა** ნათესაობითში უნდა ვიგულისხმოთ, რადგან იქვე წარმოდგენილი მეორე სახელი (**აჩრდილისა**) სწორედ ნათესაობითშია.

არის ხოლმე შემთხვევები, როცა მეტი თვისების გამოსახატავად უფროობითი ხარისხის ერთი ფორმა თითქო უძლურია და მას აძლიერებს მეორე ასეთი ფორმა. წყვილი უფროობითი ხარისხის ფორმიდან ერთი **მუდამ** არის **უფროჲს**, მეორე შეიძლება იყოს ყოველი სხვა. ამ წყვილი ფორმიდან **უფროჲს**, როგორც წესი, მოსდევს მეორეს (იშვიათად წინაც უსწრებს).

ამის ნიმუშები იქნება:

ხოლო მართუენი გონიერებისანი **ურჩეულეს უფროჲს** ეცხლისა, იგავ. 16, 16; ესე ყოველნი **უუგუნურჱს** და **უუბადრუკჱს უფროჲს** სულისა ყრმისა ჩჩლისა—მტერნი ერისა შენისანი ჰბძლავრობდეს მას, სიბრძნ. 15, 14; სიტყუაჲ ღრმთისაჲ არს... **უმკუეთელჱს უფროჲს** ყოვლისა მახჳლისა ორპირისა, ებრ. 4, 12; რომელი არს **უფროჲს უმაღლეს** ყოველთა მაღალთა და **უქუესკნელეს** ყოველთა ქუესკნელთა, მოქც. 78, 3; არა **უმჯობჱს** ვარა შენდა **უფროჲს** ათისა შვილისა, 1 მეფ. 1, 8 ლაგ.; პოვა პური წმიდაჲ სპეტაკი და **უტკბილჱს** იყო იგი **უფროჲს** თაფლისა, პარხ. 720 ს.

როგორც ვნახეთ, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, ერთად არის წარმოდგენილი ორივე ხარისხის ფორმა (**ურჩეულეს უფროჲს**), თუ ისინი გათიშულია სიტყვებით (არა **უმჯობჱს** ვარა შენდა **უფროჲს** ათისა შვილისა).

როცა ორი ფორმის შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში, რასაკვირველია, არა გვაქვს „და“ კავშირით შეერთებული სხვადასხვა ფორმები უფ-

როობითი ხარისხისა: აქ ისინი სხვადასხვა შინაარსს გამოხატავენ და ამიტომ ასეთი ფორმა ორიცა და მეტიც შეიძლება იყოს. შდრ. **უბრწყინვალჱსღა მათსა ჩნდა** და **უძლიერჱს** და **უგულს-ჰოდგინე** (უდაბნ. 36 ra). როცა ორ ფორმაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვგულისხმობთ ხარისხის ფორმის მიერ ერთი თვისების სიჟარბის გამოხატვას. **უფროჲს** ასეთ შემთხვევაში მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს, მას ასეთ შემთხვევაში თითქოს დაუკარგავს თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა და სხვის დამატებად ქცეულა. ამ საქმეში არ შეიძლება წილი არ ედოს ამ სიტყვის სხვა, ჩვეულებრივ ფორმათაგან განსხვავებულ წარმოებას (უ-ფრ-ო-ჲს), რომლის მსგავსიც არც ერთ ზემოთ მოყვანილ მაგალითს არ გააჩნია. ამ ხარისხის საწარმოებელი ძირეული მასალაც—**ფრ**—თავისთავად არაფერს ეუბნებოდა დამწერს. ერთი სიტყვით, **უფროჲს** ასეთ შემთხვევაში ზმნიზედად უფრო ესმოდათ, ვიდრე ჩვეულებრივ სისხლსავსე ხარისხის ფორმად; ხარისხის შინაარსისაგან იგი ამ შემთხვევებში თითქოს დაცლილი იყო და ამიტომ გახდა შესაძლებელი მისი („**უფროჲს**"-ის) სხვა ფორმებთან მიტმასნება.

ზემოთ წარმოდგენილ მასალებში უფროობითი ხარისხის ფორმები ყველგან ფორმაუცვლელი სახით იყო მოცემული, ეს ფორმები არ იბრუნებოდა. მაგრამ უფროობითი ხარისხის ფორმები იბრუნება კიდეც. ამ შემთხვევაში იგი ისეა ენაში გამოყენებული, როგორც ყოველი სხვა ზედსართაული სახელი. აი ამის მაგალითებიც:

გიჩუენო შენ... ბრწყინვალებაჲ **უმკუეთელჱსი** უფროჲს მახჳლისა ორპირისა, პარხ. 590 b (შდრ... **უმკუეთელჱს** უფროჲს ყოელისა მახჳლისა ორპირისა, ებრ. 4, 12); და შევიდა მისა **უშინაგანჱსსა** საკურობილესა, იქვე, 599 b; **უკადნიერესად** ასწავებდეს მას ქრისტეანობისათჳს, იქვე, 699 a; და შევსძინე **უდუხჭირესთა** სიტყუათა, იქვე, 1273 a; რამეთუ ჩუენ, ვითარცა მოხუცებულთა, **უხულმცირესისა** ღუაწლისა სრბაჲ თავს-ვიდევით, იქვე, 1208; ეგრეცა ადგილი იგი **უზესკნელჱსი** და **უდარჱსი** მის ადგილისა უფროჲს არს, სვან. 313 a; რაჲთა **უჳშმარიტესადრე** ვთქუა, იქვე, 363 b; ლუკიანე საწყალობელი და **უნარჩევესი** ყოველთა კაცთასა უფლისა მიერ გიკითხავ, პარხ. 122 a; მისსა **უფატრჱსსა** ძელსა ულაღადებს, სიბრ. 14, 1 და სხვა.

მაგრამ ბრუნვათა (მიც., ნათ.) მოთხოვნის ზემოთ აღნიშნული წესი ასეთ მაგალითებშიც არის ზოგჯერ ძალაში. შდრ., მაგალითად: **უმეღდრესი მათსა, უნარჩევესი** ყოველთა **კაცთასა** და სხვა. ეს ისეთივე შემთხვევებია, როგორიც ზემოთ გვქონდა: უფროჲს ყოველთა **კაცთასა** (მამ. სწავ. 206), უბრწყინვალჱსღა **მათსა** ჩნდა (უდაბნ. 36 ra), უტკბოჲს **თაფლისა** არს (მამ. სწავ. H 32 v) და სხვ.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ უფროობითი ხარისხის ფორმები ზოგჯერ ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება და პირდაპირ ზმნასთან არის დაკავშირებული, მას ერთვის. ამ შემთხვევაში მის მიერ სახელის ამა თუ იმ ბრუნვაში მართვაზე ზედმეტია ლაპარაკი: მასთან ზემოთ აღნიშნული დამატება არცაა წარმოდგენილი. ყველაზე ადრე ეს თვისება, როგორც ზემოთ ვნახეთ, **უფრო**-ს აქვს მოპოვებული, სპორადულად ამ როლში სხვა ხარისხის

ფორმებიც გვხვდება. ამ შემთხვევაში **უფრო** (უფროჲს) ისეთივე მნიშვნელობით არის ნახმარი, როგორც ჩვენ ვიყენებთ დღევანდელ ქართულში. დავიმოწმოთ ორიოდე მაგალითი:

ხოლო იგინი **უძჯრე**[1] განძჯნდებოდეს და აღეგზებოდა გულის-წყრომაჲ მათი, პარხ. 1165; ვინ **უფრო** გიყუარს: ჩუენ, ანუ ვისდა მითხოვილ ხარ, იქვე, 1221. „**უძჯრე**“ აქ ნიშნავს **უძვირესად**, უფრო მეტად. „**უფრო**“ კი დღევანდელი მნიშვნელობით არის ნახმარი.

აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში უფროობითი ხარისხის ფორმა მარტივი სახითაა წარმოდგენილი: მას არა აქვს **ჲს** — ნათ. ბრუნვის ნიშანი, რაც დამახასიათებელია ანაირი წარმოებისათვის. მაგრამ ეს არაა ამ შინაარსის გადმოცემისათვის სპეციფიკური ფორმა: მსგავსი შინაარსი გადმოცემულია **ჲს** ნიშნიანი ფორმითაც: **უფროჲს** უხაროდის მის ზედა, მ. 18, 13; იგინი **უფროჲს** ღაღადებდეს, მ. 20, 31; ვინ **უფროჲს** შეიყუაროს იგი, ლ. 7, 42 და სხვა. ეს უკანასკნელი მაგალითი ძალიან ჰგავს ზემოთას. შდრ.: ვინ **უფრო** გიყუარს და: ვინ **უფროჲს** შეიყუაროს იგი. ჩანს, **უფრო** და **უფროჲს** ფორმებს განსხვავებული შინაარსი არა აქვთ. ამ გარემოებას განსაკუთრებით იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ კაცს შეიძლება ეგონოს, **უფრო** გამარტივებული სახეა **უფროჲს**-ისა, პირველში **ჲს** დაკარგულიაო. მაგრამ რომ **უფრო** წარმოშობით უფრო ძველი ფორმაა, ამაზე ზემოთ გვქონდა უკვე ლაპარაკი.

უფროობითი ხარისხის ფორმები ახალ ქართულში, როგორც ცნობილია, ძირითადად მხოლოდ ვითარებით ზედსართავებს აქვთ. მიმართებითი ზედსართავები, როგორიცაა ველური, ხელოვანი, ძარღვიანი, სარწმუნო, და ზედსართავის როლში წარმოდგენილი მიმღეობები (დიდებული, განცხადებული...) უფროობითი ხარისხის ფორმებს ვერ აწარმოებს. ძველ ქართულში კი სულ სხვა სურათი გვაქვს, იქ ეს ფორმები დაუბრკოლებლად იწარმოება ყოველნაირი ზედსართავი სახელისაგან, აგრეთვე ზედსართავის როლში წარმოდგენილი მიმღეობებისაგანაც. უფროობითი ხარისხის ფორმების წარმოება ძველ ქართულში უფრო მეტად იყო გავრცელებული, ვიდრე ახალ ქართულში არის. დღევანდელ ქართულში შეუძლებელია „საწადელი“-დან **უსაწადელესი** ვაწარმოოთ, „განცხადებული“-დან—**უგანცხადებულესი**, „შეუძრეველი“-დან—**უშეუძრველესი**. და სხვა, ძველ ქართულში კი ასეთი ფორმების წარმოებაც ჩვეულებრივი და ნორმალურია.

ვუჩვენებ აქ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ უფროობითი ხარისხის ამგვარ ფორმებს:

აწ **უმახლობელჲს** არს ჩუენდა ცხორებაჲ, ჰრომ. 13, 12; უმშჯდჲს იყო იგი ყოველთა კაცთა და **უსულგრძელჲს**, ამონ. 204, 3; სურვიელსა სმენად უტკბილეს და **უსაწადელეს** აღმოეცენებიან, ანტიოქ. 117, 13; და-პავლეცა **უგანცხადებულესად** თქუა, უდაბნ. 86 va; რამეთუ არა არიან მჴეცნი უმძნკვარეს და **უველურეს** ენებათა, ანტიოქ. 141, 8; **უსაწყალობელჲს** ყოველთა აცთასა ვართ, I კორ. 15, 19; არს... **უმკუეთელჲს**, ებრ. 4, 12; **უდიდებუ-**

[1] ხელნ.: უძჯრჲ (=უძვრე).

ლეხ გყო შენ ყოველთა დაბადებულთა, სას. პოეზ. 198, 80; ვინ არს უფროჲ ყოფილთაგანი მისა **უჴელოვნეს**, სიბრძ. 8, 6; ვითარცა შეამთხჳა ორთა მათ კაცთა მართალთა და **უსახნიერესთა** მისთა, 3 მეფ. 2, 32; ნუუკუე იხილნეს პირნი თქუენნი **უმწუხარჱს** პირთა ყრმათა მათ, დანიელ 1, 10; რომელნი ჴელმწიფობით ბრძანებდეს **უმორწმუნესთა** ზედა, ესთერ 8, 12; ეგრეთვე უსამართლოდ მონაგებთაგან ქველის-საქმჱ **უმწინკულეჳანეხ** და უბილწეს ამისა არს, მამ. სწავ. 16; საუაჲ **უსაკჯრველჱსად** ჩას, უდაბნ. 26 va; ცხორებაჲ ჩემი **უსულმცირეჲას** არს მსრბოლისა წარმავალისა, იობ 9, 25 ლაგ.; იგი **უშეგინებულეხ** არს მისა, მამ. სწავ. 416; რაჲ-ღამცა იყო უნათლჱს ამისა და **უსარწმუნოეხ** ამისა, ურჰ. 331, 3; და იქმენ **უჭუემოეხ** ყოველთა კაცთასა, მამ. სწავ. 206; არავინ არს კაცი უბრძნეს შენსა და **უგულისხმოხ-მყოფელეხ** შენსა, დაბ. 41, 39; რამეთუ ესენი **უაზნაურჱს** იყვნეს მათ თესალონიკელთასა, მოც. 17, 11; მაშინ **უშინაგანჱს** შეუწყოდა სწრაფით მოსრულსა, მრაე. 256, 21; ხურომან პოვის ნივთი **უსაჯმარჱსად** და **უმარჯუჱსად** შექმნის, იქვე, 282, 26; რამეთუ ჩუენ **უშეურაცხეს** ვართ ყოველთა კაცთა, პარხ. 1086 a; და შეესძინე **უდუხჳირესთა** სიტყუათა, იქვე, 1273 a; რამეთუ არა ლომი **უმრისხანჱს** არს გულის-წყრომისა, სვან. 468 a; **უფუფუნეულჱსხლა** თუ არნ დედოფალი იგი სპეტაკითა მით სამოსლითა, უდაბნ. 143 vb და სხვანი.

„კეთილის“ უფროობითი ხარისხი არის უკეთჱს-ი: **უკეთჱს** არს მათა, 1 კორ. 7, 8. როგორც ჩანს, ამ (და სხვა მსგავსი) სახელიდან უფროობითი ხარისხის წარმოებისას ამოსავალია მარტივი, უსუფიქსო ფუძე: კეთ— უ-კეთ-ჱს-ი[1]. დღევანდელ ქართულში, როგორც აღნიშნული იყო, ამ სიტყვის დადებით ხარისხად გამოყენებული გვაქვს კარგი; ამის უფროობით ხარისხად კი ძველებურადვე რჩება **უკეთესი** და არა **უკარგესი**.

ასეთივე წარმოება აქვს **გრძ-ელ-საც**: მისი უფროობითი ხარისხია **უ გრძ-ჱს-ი** და არა უ-გრძ-ელ-ჱს-ი: ანუ თუ **უგრძჱსი** საზომისაჲ მის ქუეყანისაჲ, იობ 11, 9. როგორც ვხედავთ, ერთი შეხედვით საწარმოებელი სიტყვის სუფიქსი (ელ) არ აღმოაჩნდა ნაწარმოებ სიტყვას (უ-გრძ-ჱს-ი). ესეც იმით აიხსნება, რომ ნამდვილად საწარმოებელი მასალა არის **გრძ** და არა **გრძ-ელ**; ელ კი არ დაკარგულა **უგრძჱს**-ში, არამედ იგი თავიდანვე არ იყო საწარმოებელ ფუძეში: **გრძ-ელ-ი** და **უ-გრძ-ჱხ-ი** ორივე თანაბრად იყენებს სიტყვის ძირს **გრძ-ს**, რომელმაც ერთ შემთხვევაში **ელ** სუფიქსის დართვით მოგვცა **გრძ-ელ-ი**, ხოლო მეორე შემთხვევაში **უ—ჱს** აფიქსების დართვით— **უ-გრძ-ჱს-ი**.

„მრწემი“ ჩვეულებრივ იძლევა ფორმას **უმრწემჱს-ი** (მ. 2, 6; ლ. 15, 12, 13). მაგრამ ფუძისეული **რ** ხშირად იკარგება. ტბეთის ოთხთაეში ორი უკანასკნელი მაგალითი ასეა წარმოდგენილი: **უმწემესმან** (ლ. 15, 12) და **უმწემჱსმან** (ლ. 15, 13). რაე-დაკარგული ფორმები სხვაც ბევრია ცნობილი. მაგრამ მთავარია აქ მეორე გარემოების აღნიშვნა: ზოგიერთ ძეგლში ფუძისეუ-

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 143—144; ა. ჩიქობავა, სახ. ფუძ. გვ. 24

ლი ხმოვანიც სხვა არის წარმოდგენილი: არა ე, არამედ ა. ასე, მაგალითად, ლაგურკის ხელნაწერში ორი უკანასკნელი მაგალითი ამ სახით არის მოცემული: **უმწყამეჯხმან.** აქ რ-ც დაკარგულია და ე-ს ნაცვლად ა გვაქვს. გარდა ამისა, აღვნიშნავთ, რომ **ი** აქ დაშლილად არის წარმოდგენილი: ეჯ: ი-სა და ჯ-ს (=უ+ი) დაშლა სისტემატური სახითაა გატარებული ამ ხელნაწერის იმ (არაძირითადს) ნაწილში, რომელიც შემდეგ უნდა იყოს მასში ჩამატებული; იგი შესრულებულია მუქი შავი მელნითა და მსხვილი და გრძელი ასოებით, (ფ. 123 a—142 b). მაგრამ ასეთი ფორმა გვხვდება ლაგურკის ხელნაწერის ძირითადს ნაწილშიც, მაგალითად: დავით იყო **უმწყამწსი** და სამნი იგი—უხუცესნი, 1 მეფ. 17, 15 ლაგ.; არსღა ერთი **უმწყამწსი,** იქვე, 16, 21.

ეს ფორმა ფუძისეული ა-თი, მაგრამ რაეს შენარჩუნებით გვხვდება აგრეთვე ოშკის ხელნაწერშიც: რამეთუ **უმრწამეხი** იგი შესანდობელ არნ წყალობად, ხოლო ძლიერნი იგი ძლიერად განიკითხნენ, სიბრძ. 6, 6. აქ ვერ გამოვუდგებით აღნიშნული ფუძის ეტიმოლოგიის ძიებას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მისი ძირეული წ შეიძლება კავშირში იყოს „მ-ც-ირ-ე"-ს ც-სთან. სემასიოლოგიურად ისინი ახლო დგანან ერთმანეთთან: ორივე ფუძე „მცირეს", „პატარას" აღნიშნავს: ერთი (მ-რ-წ-ემ) დროში, ხნეში, მეორე—საერთოდ.

თუ საწარმოებელი ზედსართავის ფუძე უ-თი იწყება, უფროობითს ხარისხში ჩვეულებრივ ორი უ იყრის თავს მიჯრით. გადამწერთ კარგად ესმით, რომ თითოეულ მათგანს თავ-თავისი ფუნქცია აქვს დაკისრებული, და ამიტომ მათ დაბეჯითებით წერენ ერთად: **უუძლურწსი** იგი საჭმარ არს, 1 კორ. 12, 22; არა **უუგუნურწს** ვარ თქუენსა, იობ 12, 3; **უუგუნურეს** ვარ ყოველთა კაცთა, იგავ. 30, 2; ამისთჳს ვიპოვენით **უუბადრუკეს** მათსა, მამ. სწავ. 194; რაჲ-ცე უკუე იყოს სიძისა მის **უუშუერეს,** უკუეთუმცა შეიმოსა დღესა სეროპისა მისისასა გლოვისა სამოსელი და ტიროდა და გოდებდა წინაშე ყოველთა მეინაქეთა მისთა, იქვე, 203; ნაცარ არს გული მისი და მიწისა **უუჯმარწს**—სასოებაჲ მისი და თიჳსა უფროჲს უპატიო—ცხორებაჲ მისი, სიბრძ. 15, 10.

8. ოდნაობითი ხარისხის ფორმები

ქართულში ზედსართავ სახელს აქვს კიდევ ოდნაობითი ხარისხის ფორმები. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი წარმოება, როგორიცაა: მოშავო, მოთეთრო, მოგრძო და სხვა. არის თუ არა ეს სიტყვები **ხარისხის** ფორმები? ამაზე დადებითი პასუხი უნდა გაესცეთ: **მოთეთრო, მოგრძო** და სხვა ხარისხის ფორმებია. ამას მხარს უჭერს სიტყვების შინაარსი: მათში გამოხატულია ამა თუ იმ საგნის თვისება შეფარდებით; გვაქვს: მოთეთრო, მოგრძო, რომლებშიც საგნის თვისება შედარებით ნაკლები რაოდენობითაა მოცემული; **თეთრი** და **გრძელი** ამ თვისებას პირველთან შედარებით მეტი რაოდენობით შეიცავს, ხოლო **უთეთრესი** და **უგრძესი**—კიდევ მეტი რაოდენობით. აქ ჩვენ გვაქვს სრულიად თანამიმდევრული გრადაცია საგნის თვისების გამოხატვისა, ამიტომაც საეჭვო არ უნდა იყოს, რომ **მოთეთრო** და **მოგრძო** სრულიად კანონიერი ხარისხის ფორმებად ჩავთვალოთ.

აქ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას. ხელი არ უნდა შეგვიშალოს იმ გარემოებამ, რომ დადებითი ხარისხის ფორმა ორივე შემთხვევაში არ მიემართება ზევით, მეტი თვისების გამოხატვის მიმართულებით: ხარისხის ფორმები ერთ შემთხვევაში საგნის თვისებას **მეტ** რაოდენობით უჩვენებს (უთეთრესი), მეორეში—**ნაკლებად** (მოთეთრო). მთავარი აქ მაინც ძალაშია: გვაქვს ხარისხის ფორმათა სრულიად თანამიმდევრული საფეხურები[1], რომელთაგან ერთი ზევით მიემართება და საგნის თვისებას მეტი რაოდენობით აღნიშნავს (უთეთრესი — უფროობითი ხარისხი), ხოლო მეორე — ქვევით და ამ თვისებას ნაკლები რაოდენობით უჩვენებს (მოთეთრო — ოდნაობითი ხარისხი). ქართული ზედსართავის ხარისხების ამ თავისებურებას ასე აგვიწერს ა. შანიძე: „მიმართება უფროობითი ფორმისა დადებითისადმი ისეთი არ არის, როგორც ოდნაობითისა იმავე დადებითისადმი: საგნის ნიშანს უფროობითი გამოხატავს მეტი ოდენობით განუსაზღვრელად, ოდნაობითი კი—ნაკლები ოდენობით, მაგრამ ერთგვარი განსაზღვრით: მიახლოებით, ოდნავ; მაგალითად, „უ-თეთრ-ეს-ი“ არის ისეთი, რომელიც სითეთრით უმაღლესი ხარისხისაა, „მო-თეთრ-ო“ კი ისეთია, რომელიც თეთრს უახლოვდება, რომელსაც სითეთრის ნიშნები აქვს, რომელიც ოდნავ არის თეთრი. აქედან არის წარმომდგარი მისი სახელი“ [2].

ოდნაობითი ხარისხის ფორმები გარეგნულად, წარმოებითაც ჰგავს უფროობითი ხარისხისას, მათაც პრეფიქსი და სუფიქსი აწარმოებს. მსგავსება უფრო შორსაც მიდის: მათი მაწარმოებელი სუფიქსი ერთი და იგივეა. შდრ. უფროობითი ხარისხის ფორმები. უ-თეთრ-ე, უ-მარჯუ-ე, უ-სუბუქ-ე, უ-მართლ-ე და ოდნაობითი ხარისხის ფორმები: მო-თეთრ-ე, მო-მრგუალ-ე, მო-წითან-ე. ან: უ-ფრ-ო, უ-მცრ-ო, უ-მსხ-ო (უფრ. ხარ.) და: მო-მცრ-ო, მო-გრძ-ო, მო-ყვთან-ო (ოდნ. ხარ.) და სხვანი. მაშასადამე, ამ ხარისხებს სუფიქსებად ერთი და იგივე მასალა (ე, ო) აქვთ გამოყენებული.

რაც შეეხება პრეფიქსებს, შესაძლებელია მათი **აგებულებაც** ერთნაირი იყოს. როგორც ვნახეთ, უფროობითი ხარისხის ფორმებში ძველ ქართულში პრეფიქსებად გვქონდა **ხ** და **უ**, რომელთაგან პირველი წარმოშობით მესამე ობიექტური პირის ნიშანია, ხოლო მეორე—სასხვისო ქცევის ნიშანი (მესამე ობიექტური პირისათვის). მაშასადამე, უფროობითი ხარისხის ფორმები მესამე (ობიექტურ) პირს უკავშირდება. არის შესაძლებლობა, რომ ოდნაობითი ხარისხის ფორმებიც გარკვეულ პირს დაუკავშირდეს. მისი პრეფიქსების შედგენილობა (მ-ო) გვაფიქრებინებს, რომ თანხმოვნითი ნაწილი მ შეიძლება წარმოშობით პირველი ობიექტური პირის ნიშანი იყოს (ან ის მასალა, რომელმაც მოგვცა აგრეთვე პირველი ობიექტური პირის ნიშანი მ). ასეთ ფორმას ქცევის ნიშნად ბუნებრივად შეესატყვისება ი. მაშასადამე, თა-

[1] ძველად ხარისხი სწორედ „საფეხურს“ ერქვა. ამ მნიშვნელობის მიხედვით უნდა ჰქონდეს შერჩეული „ხარისხი“ ჩვენთვის საინტერესო გრამატიკულ კატეგორიას. შდრ. რუსული степень და ступень.

[2] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 142.

ვიდანვე უნდა გვქონოდა: **მ-ი-თეთრ-ე, მ-ი-წითან-ე, მ-ი-მრგუალ-ე** და მისთ. ბაგისმიერი მ-ს მეზობლობაში ი-ს ქცევა ო-დ შეუძლებელი არ უნდა იყოს. ამ ი-ს ო-დ ქცევის შემდეგ კი მივიღეთ სწორედ ის ფორმები, რომლებიც დადასტურებულია ძველ ქართულშიც: **მ-ო-თეთრ-ე, მ-ო-წით-ან-ე, მ-ო-მრგუალ-ე** და სხვა. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ უფროობითი ხარისხის ფორმებში ე სუფიქსი გაბატონდა (უ-თეთრ-ე), ხოლო ოდნაობითისაში—ო (მ-ო-თეთრ-ო), ეს უნდა მომხდარიყო შინაარსის მკვეთრი დიფერენციაციის მიზნით. თვით ძველ ქართულში, როგორც ჩანს, ეს პროცესი იწყება მხოლოდ: ოდნაობითი ხარისხისათვის იქ ჯერ კიდევ მხოლოდ ე სუფიქსი გვაქვს, მაგრამ შემდეგ აქა-იქ მის პარალელურად ო-ც ჩნდება. ე-ს გადაქცევა ო-დ და მისი ამ სახით გაბატონება ენაში საშუალისა და ახალი ქართულის. საქმეა. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული საინტერესო ცვლილება თითქმის ჩვენ თვალწინ მოხდა.

ამნაირად, თავიდანვე უნდა გვქონოდა:

მ-ი-თეთრ-ე→მ-ო-თეთრ-ე

გ-ი-თეთრ-ე

ხ-უ-თეთრ-ე

რომელთაგან პირველი და მესამე პირის ფორმები შემდეგ და შემდეგ განზოგადდა და საერთოდ ყველა პირის მიმართ იქნა გამოყენებული. თუ პირველად „ხ-უ-თეთრ-ე“ მასზე (მესამე პირზე) უფრო თეთრს აღნიშნავდა, შემდეგ და შემდეგ მან იკისრა საერთოდ უფრო თეთრის გამოხატვა: ხ-უ-თეთრ-ე= ჩემზე თეთრი, შენზე თეთრი, მასზე თეთრი.

ეგევე უნდა ითქვას პირველი პირის შესახებაც (მ-ი-თეთრ-ე→მ-ო-თეთრ-ე).

მაგრამ აქ ორი დაბრკოლება არსებობს:

ა) როდესაც პირის გაგება მოიშლება ხოლმე და ფორმა ზოგად შინაარსს შეიცავს, ასეთ შემთხვევაში III პირია ხოლმე აღებული: განზოგადდება ის ფორმა, რომელიც ენაში ყველაზე ხშირად გვხვდება, ყველაზე მეტად არის გავრცელებული. ეს ასეც მოხდა **ხ-უ-თეთრ-ე**-სთან დაკავშირებით. მაგრამ რატომ უნდა განზოგადებულიყო პირველი პირის ფორმა? ამის ახსნა შეიძლება: რაკი მესამე პირის ფორმა **უკვე** იყო განზოგადებული და გამოყენებული ზედსართავი სახელის უფრო მეტი თვისების გამოსახატავად, ენამ პირველი პირის გაუქმებული და უხმარებელი ფორმაც გამოიყენა. ამნაირად, ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა მესამე პირის ფორმა უკვე გამოყენებულია საერთო მნიშვნელობით (ე. ი. იგი დაცლილია პირთან მიკუთვნების შინაარსისაგან), გზა ხსნილია სხვა პირის (ამ შემთხვევაში, პირველი პირის) ფორმის განზოგადებისათვის. მაშასადამე, ეს დაბრკოლება გადაულახავი არ არის.

ბ) როგორ მოხდა, რომ **ერთი და იმავე წარმოების** მესამე პირის ფორმამ განზოგადებისას უფრო **მეტი** თვისების გამოხატვა იკისრა (ხ-უ-თეთრ-ე =თეთრი **მეტი** რაოდენობით), ხოლო პირველი პირისამ—ნაკლების. (მ-ო-თეთრ-ე=თეთრი **ნაკლები** რაოდენობით)? ესეც არაა ძნელი ასახსნელი: გა-

დავარდნილი ფორმის გამოყენებას უეჭველად უნდა მოჰყოლოდა სათანადო მნიშვნელობის შეცვლაც, მნიშვნელობათა დიფერენციაციის დამყარება. ეს ასეც მოხდა: ერთმა საგნის **მეტი** თვისების გამოხატვა იკისრა (ხ-უ-თეთრ-ე), მეორემ—ნაკლებისა (მ-ო-თეთრ-ე). ამის მსგავსი მაგალითები ჩვენს ენაში (და მომძე ენებში) ბევრი შეგვიძლია დავასახელოთ. მოვიგონოთ თუნდაც **ძეწკვიხა** და **ჯაჭვის** ისტორია; განკულაკება და გაკულაკება და სხვა. ამნაირად, ეს დაბრკოლებაც არ არის ისეთი, რომლის შემოვლაც არ შეიძლებოდეს.

მაგრამ ახლა უნდა ვიკითხოთ: რას აღნიშნავდა თავდაპირველად **მოთეთრე, ხუთეთრე**? გამოხატავდა საგნის თვისებას **მეტი**, თუ **ნაკლები** რაოდენობით? ე. ი., სხვანაირად რომ ვთქვათ, რომელი ამ წარმოებათაგანის მნიშვნელობა არის ამოსავალი? საფიქრებელია, მესამე პირთან დაკავშირებული ფორმისა, ე. ი. საგნის თვისების **მეტი** რაოდენობით აღნიშნვა. ამაზე უნდა ლაპარაკობდეს ის გარემოება, რომ ძველსა და ახალ ქართულში **უთეთრესი, უშავესი** და მსგავსი ფორმები ძალიან გავრცელებულია, ხოლო **მოთეთრე—მოთეთროს** ყალიბის წარმოება—ძალზე შეზღუდული. ძველ ქართულში მაინც **მოთეთრე** და მისი მსგავსი ფორმები შეტად იშვიათად იხმარება. შემდეგ: აღსანიშნავია, რომ **ზოგიერთი** ამგვარი წარმოების ხარისხი თვით ძველ ქართულშიც გამოხატავდა გარკვეულ თვისებას **მეტი** რაოდენობით. ასე, მაგალითად, **მთრვალ**-იდან გვაქვს **მო-მთრვალ-ე**, რომელიც „ლოთს“, „გადაჭარბებით მსმელს“ ნიშნავს; „მრუშე“-დან გვაქვს მო-მრუშ-ე, რომელიც დღევანდელ „მომრუშოს“-ს, ე. ი. „მცირედ მრუშს“ კი არ ნიშნავს, არამედ, პირიქით, დიდ მრუშს, მეტად დიდ მრუშს. ალბათ, ეს უძველესი მნიშვნელობა ამ სიტყვისა თვით ძველ ქართულშიც იყო შერყეული და ამით უნდა აიხსნებოდეს მის გვერდით **მე—ე** ყალიბის არსებობა: **მემრუშე** (მ. 12, 39; 16, 4; მრ. 8, 38; ლ. 18, 11. მაგრამ: **მომრუშე**, მ. 12, 39 C; მრ. 8, 38 C). **მე-მრუშ-ე** კი ისე ნაწარმოები სიტყვაა, როგორც სხვა მსგავსი ხელობის სახელი: მე-პურ-ე, მე-ჯრმლ-ე, მე-ნავ-ე და სხვა. განსხვავება ისაა, რომ ამ უკანასკნელ სიტყვებში საწარმოებლად აღებულია არსებითი სახელი (პური, ჯრმალი, ნავი), **მემრუშე-ში** კი—ზედსართავი სახელი **მრუში**. ამიტომ **მომრუშე**, ჩვენი აზრით, ისეთივე ფორმაა (ხარისხია) ზედსართავი სახელისა, როგორც ახალი ქართულის მოანჩხლო (ანჩხლ-იდან), მოკაპასო (კაპას-იდან), მოდაბლო (დაბალ-იდან), მომაღლო (მაღალ-იდან), მოგრძო (გრძელ-იდან) და სხვა[1].

ასეთივე მნიშვნელობა (საგნის თვისების **მეტი** რაოდენობით გამოხატვა) და არა ოდნაობა შეიძლება ზოგ სხვა სახელსაც აღმოაჩნდეს. გვგონია. ამნაირი შინაარსი უნდა ჰქონდეს „მოსპეტაკე“-საც (დაბ. 30, 40).

როგორც უნდა გადაწყდეს ძველ ქართულში **მოთეთრე**-ს ტიპის სახელთა შინაარსის საკითხი (აღნიშნავდა იგი **თეთრს, უთეთრესს** თუ **მო-თეთ-**

[1] შდრ. ა. ჩიქობავა, სახ. ფუძ. გვ 149—151.

რის), ერთი ცხადია: მოთეთრე ისეთივე ხარისხის ფორმაა, როგორც უთეთრესი.

ახალ სალიტერატურო ქართულში ოდნაობითი ხარისხის სუფიქსად მხოლოდ ო გვაქვს (მო-თეთრ-ო). ძველში კი, როგორც ვნახეთ, ო-ს ნაცვლად ე გვქონდა მხოლოდ (მო-თეთრ-ე). როგორც ზემოთ ვთქვით, სწორედ ეს უნდა იყოს უფრო ადრინდელი და ამოსავალი ფორმა. იგი შეიძლება ზმნის პირველი ობიექტური პირის ფორმა იყოს წარმოშობით.

ახლა ვნახოთ მ-ო-თეთრ-ე-ს ტიპის ნიმუშები ძველ ქართულში:

1. მ-ო-ბერმ-ე: კეთილად განწესებულ არს თუალი ბივრილი, რომელ არს მომრუმე, სისხლის-ფერ და მობერმე [1], თუალთ. 76, 30.
2. მ-ო-თეთრ-ე: მსგავს არს ფერი მისი იაკინთისა თუალისა, რომელი მოთეთრე [2] არნ, თუალ. 61, 11.
3. მ-ო-მრგუალ-ე: არს რომელიმე იძრვისი, რომელი იწოდების გრძლაბი. მომრგუალე [3] არს, ბირთჳს-სახე... [4] ხატითა, სახისმეტ. (ისტ. ქრესტ. 283, 22).
4. მ-ო-მრუმ-ე: არს სხუაცა თუალ უწითლჱს წყალთა მათ ზღჳსათა, მომრუმე [5] უფროჲს ყუავილთა, თუალთ. 14, 14; და მომრუმე [5] არს უფროჲს ამეთჳსტონისა თუალისა, იქვე, 20, 18; კეთილად განწესებულ არს თუალი ბივრილი, რომელ არს მომრუმე, [5] იქვე, 76, 30.
5. მ-ო-მწითურ-ე: არა მეწამულ არს თუალი იგი, არცა მწუანის-ფერ, არამედ მიწის-ფერ, მომწითურე [6], თუალთ. 57, 10.
6. მ-ო-სპეტაკ-ე: ხოლო ტარიგები იგი დაარჩია იაკობ და დაადგინა წინაშე ცხოვართა მათ ვერძი მოსპეტაკე და ყოველად ჭრელი ტარიგთა შოვრის, დაბ. 30, 40. თბილისურ გამოცემაში ამის ნაცვლად გვაქვს გვიანდელი წარმოების მოთეთრო.
7. მ-ო-ყჳთან-ე. „ვეფხისტყაოსანში“ „ყჳთელ“-ის ოდნაობითი ხარისხი ორჯერ გვხვდება. ამათგან ერთჯერ ფორმას ე სუფიქსი აქვს ძველებურად (ბოყჳთანე), მეორეჯერ—ო სუფიქსი ახლებურად (ბოყჳთანო). მაგალითები:

ა) ვპოვე ვარდი მოყჳთანე, შუქ-მკრთალი და ფერ-მიხდილი (997, 3).

ბ) რამან შეგქმნა მოყჳთანოდ, ვარდ-გიშერი რომე ჰრგაესო (599, 3).

ჩანს, შოთას დროსაც უკვე ყოფილა ახალი ფორმა ო სუფიქსით (მოყჳთანოდ).

8. ნ-ო-წაბლ-ე: რამეთუ იყო დავით უხუცეს დღითა, ჰაეროვან და სპეტაკ კორცითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გუამითა და კშირ წუე-

[1] გამოც.: მობერმჲ.
[2] გამოც.: მოთეთრჲ.
[3] ხელნ.: მომრგუალჲ.
[4] ხელნ.: ბირთჳს-სახჲ.
[5] გამოც.: მომრუმჲ.
[6] გამოც.: მომწითურჲ.

რითა, ლიტ. ქრესტ. 235, 6: **მოწაბლე** აქ უნდა ნიშნავდეს „წაბლისფერს“, ან „მოწაბლისფროს“.

„წით“ ფუძიდან ორნაირი ფორმა გვხვდება: „მოწითლე“ და „მოწითანე“, რომლებიც საწარმოებელ ფუძეზე ორი სხვადასხვა სუფიქსის დართვით არის მიღებული: წით-ელ და წით-ან. მაგალითები:

9. მ-ო-წითან-ე: და არს **მოწითანე**[1] თუალი იგი, რომელ პოვეს ქვეყნისმთლელთა, თუალთ. 23, 27.
10. მ-ო-წითლ-ე: და არს თმა მოყვითლო (?), გინა **მოწითლე** მწულილი, ლევიტ. 13, 30 (თბილ. გამოც.).
11. მ-ო-ჴმელ-ე: ზამთარი... ფებერვლითგან ტფილი იყოს და **მოჴმელე**, გაზაფხული—წჴმიანი, ზაფხული—**მოჴმელე**, სთუელი—ნრტიაჲ, ლიტ, ქრესტ. 28, 20 (მოჴმელე=ხმელი, მშრალი, ან: მოხმელო, მოხმო, მომშრალო).

საბას თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს ორივე—ძველი და ახალი—წარმოების ფორმები. მ-ო--ე-ს ყალიბის მაგალითებია იქ **მობრტყე**, რომელსაც ის ასე განმარტავს: „მცირედ ბრტყელი“, **მოგრძე**—„სიგრძე შეეტყობოდეს“, **მოთხე**—„მცირედ თხელი“. უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება მ-ო—ო ყალიბი: **მომუავო**—„მცირედ მუავე“, **მომცრო**—„უპატარესი“, **მოყვითაო**—„მოყვითალო ფერი“, **მოწითლო** (არაა განმარტებული), **მოწლო**—„ცოტად წურილი“. როგორც ჩანს, საბას დროს მ-ო—ო წარმოება იყო უკვე გაბატონებული, რომელსაც შინაარსიც დღევანდელი ჰქონდა—ოდნაობითი.

თუ რა ურთიერთობაა ოდნაობითი ხარისხის აღნიშნულ წარმოებასა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ისეთ წარმოებას შორის, როგორსაც გვიჩვენებს ე. წ. ხელობის სახელები და მიმღეობები, რომელთაც აგრეთვე მ-ი—ე აფიქსები აწარმოებს, ჯერ კიდევ საკვლევია. შდრ., მაგალითად, ერთი მხრივ: მოსენაე, მოდასე, მოძმე, მოქალაქე, მოწესე, მოწრაფე, მოყუარე, მოქენე, მოთმინე, მომჭირნე, მონაცვლე, მოსაგრე, მოსურნე, მოშურნე, მოსწრაფე, მოცალე, მოღუაწე, მოსაყდრე, მოძულე, და, მეორე მხრივ, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული: მოთეთრე, მომრუმე, მომრგუალე, მოწითურე, მოწითლე, მოსპეტაკე და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე მსგავსი წარმოების ისეთი სახელები, როგორიცაა **მოღმრთე** (ეკლეს. 3, 16), **მოზე** (თამარიანი, VII=ზეციერს, უზენაესს), **მომზე** (იქვე, V) და სხვა. მაგრამ ყველა ამათ სპეციალური შესწავლა ესაჭიროება.

9. ზედსართავი სახელების ბრუნება

აქ ჩვენ უნდა გავარჩიოთ ორი შემთხვევა:

ა) როცა ზედსართავი დამოუკიდებლად არის აღებული და ცალკე იბრუნება და

[1] გამოც.: მოწითანჲ.

ბ) როცა ზედსართავი არსებითს სახელს ახლავს და მასთან ერთად იბრუნება (ე. წ. ატრიბუტულ მსაზღვრელადაა აღებული). ამ უკანასკნელ შემთხვევას ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ, როცა მსაზღვრელისა და საზღვრულის ერთად ბრუნებას შევეხებით. აქ კი მოკლედ უნდა გავეცნოთ ზედსართავის ბრუნებას, როცა ის დამოუკიდებლად იხმარება.

დამოუკიდებლად აღებული ზედსართავი სახელი (როგორც აგრეთვე არსებითთან წარმოდგენილი) სავსებით ისე იბრუნება, როგორც სათანადო არსებითი სახელი. ასე, მაგალითად, ზედსართავი „დიდი“ ისე იბრუნება, როგორც არსებითი „ჯიდი“, „იწრო“—როგორც წყარო, „ღრმა“—როგორც „მამა“, „მოსწრაფე“ — როგორც „მოწაფე“, „ცრუ“—როგორც „ძუძუ“ და სხვა.

ზედსართავი დამოუკიდებლად მაშინ იხმარება, როცა რაიმე მიზეზით (უმთავრესად სტილისტიკური მოსაზრებით) სათანადო საზღვრული გამოტოვებულია, ან ეს ზედსართავი წარმოადგენს **მხოლოდ** ერთი (ერთადერთი) საზღვრულის შესაძლებელ მსაზღვრელს და ამ საზღვრულის წარმოდგენა აღარაა აუცილებელი, რადგანაც ის თავისთავად იგულისხმება; ან კიდევ როცა ეს ზედსართავი უკვე გადაქცეულია არსებითად ან ამ გადაქცევის პროცესშია. ყველა შემთხვევაში მას სულ ისეთივე ბრუნვის ნიშნები აქვს, როგორც არსებითს; იგი მრავლობითს რიცხვშიც ისე იბრუნება, როგორც სათანადო არსებითი. ეს—რაც შეეხება ბრუნვასა და რიცხვს. როგორღაა წარმოდგენილი ზედსართავის ფუძე? ამ შემთხვევაშიც ის ისევე იკუმშება და იკვეცება (ან რჩება უკუმშველი და უკვეცელი), როგორც არსებითი სახელი. ერთი სიტყვით, ზედსართავის ბრუნება ყოველმხრივ მისდევს არსებითის ბრუნებას. ამიტომ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ და პირდაპირ წარმოვადგენთ ზედსართავთა ბრუნების პარადიგმებს. ზოგიერთი ზედსართავის ბრუნების თავისებურების შესახებ ორიოდე შენიშვნას ბოლოს დავურთავთ.

თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელები

მხოლობითი რიცხვი

წრფ.	შავ	უკეთურ	მაღალ
სახ.	შავ-ი	უკეთურ-ი	მაღალ-ი
მოთხ.	შავ-მან	უკეთურ-მან	მაღალ-მან
მიც.	შავ-ს-ა	უკეთურ-ს-ა	მაღალ-ს-ა
ნათ.	შავ-ის-ა	უკეთურ-ის-ა	მაღლ-ის-ა
მოქმ.	შავ-ით-ა	უკეთურ-ით-ა	მაღლ-ით-ა
ვით.	შავ-ად	უკეთურ-ად	მაღლ-ად
წოდ.	შავ-ო	უკეთურ-ო	მაღალ-ო

მრავლობითი რიცხვი

ნარ-თანიანი

წრფ.	—	—	—
სახ.	შავ-ნ-ი	უკეთურ-ნ-ი	მაღალ-ნ-ი

მოთხ.	შავ-თ-ა	უკეთურ-თ-ა	მაღალ-თ-ა
მიც.	"	"	"
ნათ.	"	"	"
მოქმ.	"	"	
ვით.	"	"	"
წოდ.	შავ-ნ-ო	უკეთურ-ნ-ო	მაღალ-ნ-ო

ებიანი

წრფ..	შავ-ებ	უკეთურ-ებ	მაღლ-ებ
სახ.	შავ-ებ-ი	უკეთურ-ებ-ი	მაღლ-ებ-ი
მოთხ.	შავ-ებ-მან	უკეთურ-ებ-მან	მაღლ-ებ-მან
მიც.	შავ-ებ-ს-ა	უკეთურ-ებ-ს-ა	მაღლ-ებ-ს-ა
ნათ.	შავ-ებ-ის-ა	უკეთურ-ებ-ის-ა	მაღლ-ებ-ის-ა
მოქმ.	შავ-ებ-ით-ა	უკეთურ-ებ-ით-ა	მაღლ-ებ-ით-ა
ვით.	შავ-ებ-ად	უკეთურ-ებ-ად	მაღლ-ებ-ად
წოდ.	შავ-ებ-ო	უკეთურ-ებ-ო	მაღლ-ებ-ო

ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელები

მხოლობითი რიცხვი

წრფ.	წმიდა	ბრმა	ნოტია
სახ.	წმიდა-ჲ	ბრმა-ჲ	ნოტია-ჲ
მოთხ.	წმიდა-მან	ბრმა-მან	ნოტია-მან
მიც.	წმიდა-ს-ა	ბრმა-ს-ა	ნოტია-ს-ა
ნათ.	წმიდ-ის-ა	ბრმ-ის-ა	ნოტი-ის-ა
მოქმ.	წმიდ-ით-ა	ბრმ-ით-ა	ნოტი-ით-ა
ვით.	წმიდა-დ	ბრმა-დ	ნოტია-დ
წოდ.	წმიდა-ო	ბრმა-ო	ნოტია-ო

წრფ.	მწუანე	მწარე	საქორწინე
სახ.	მწუანჱ (მწუანე-ჲ)	მწარჱ (მწარე-ჲ)	საქორწინჱ (საქორწინე-ჲ)
მოთხ.	მწუანე-მან	მწარე-მან	საქორწინე-მან
მიც.	მწუანე-ს-ა	მწარე-ს-ა	საქორწინე-ს-ა
ნათ.	მწუან-ის-ა	მწარ-ის-ა	საქორწინ-ის-ა
მოქმ.	მწუან-ით-ა	მწარ-ით-ა	საქორწინ-ით-ა
ვით.	მწუანე-დ	მწარე-დ	საქორწინე-დ
წოდ.	მწუანე-ო	მწარე-ო	საქორწინე-ო

წრფ.	იწრო	ფართო	უშჯულო
სახ.	იწრო-ჲ	ფართო-ჲ	უშჯულო-ჲ
მოთხ.	იწრო-მან	ფართო-მან	უშჯულო-მან

მიც.	იწრო-ს-ა	ფართო-ს-ა	უშჯულო-ს-ა.
ნათ.	იწრო-ჲს-ა	ფართო-ჲს-ა	უშჯულო-ჲს-ა.
მოქმ.	იწრო-ჲთ-ა	ფართო-ჲთ-ა	უშჯულო-ჲთ-ა.
ვით.	იწრო-დ	ფართო-დ	უშჯულო-დ.
წოდ.	იწრო-ო	ფართო-ო	უშჯულო-ო.

წრფ.	ცრუ	ყრუ	წყლტუ
სახ.	ცრუ-ჲ	ყრუ-ჲ	წყლტუ-ჲ
მოთხ.	ცრუ-მან	ყრუ-მან	წყლტუ-მან
მიც.	ცრუ-ს-ა	ყრუ-ს-ა	წყლტუ-ს-ა
ნათ.	ცრუ-ჲს-ა	ყრუ-ჲს-ა	წყლტუ-ჲს-ა
მოქმ.	ცრუ-ჲთ-ა	ყრუ-ჲთ-ა	წყლტუ-ჲთ-ა
ვით.	ცრუ-დ	ყრუ-დ	წყლტუ-დ
წოდ.	ცრუ-ო	ყრუ-ო	წყლტუ-ო.

მრავლობითი რიცხვი

ნარ-თანიანი

წრფ.	—	—	—
სახ.	წმიდა-ნ-ი	ბრმა-ნ-ი	ნოტია-ნ-ი
მოთხ.	წმიდა-თ-ა	ბრმა-თ-ა	ნოტია-თ-ა
მიც.	"		
ნათ.	"		
მოქმ.	"	"	
ვით.	"	"	"
წოდ.	წმიდა-ნ-ო	ბრმა-ნ-ო	ნოტია-ნ-ო

წრფ.	—	—	—
სახ.	მწუანე-ნ-ი	მწარე-ნ-ი	საქორწინე-ნ-ი
მოთხ.	მწუანე-თ-ა	მწარე-თ-ა	საქორწინე-თ-ა
მიც.	"	"	"
ნათ.			
მოქმ.	"		
ვით.	"	"	"
წოდ.	მწუანე-ნ-ო	მწარე-ნ-ო	საქორწინე-ნ-ო

წრფ.	—	—	—
სახ.	იწრო-ნ-ი	ფართო-ნ-ი	უშჯულო-ნ-ი
მოთხ.	იწრო-თ-ა	ფართო-თ-ა	უშჯულო-თ-ა
მიც.			"
ნათ.			
მოქმ.			

ვით.	"	"	"
წოდ.	იწრო-ნ-ო	ფართო-ნ-ო	უშჯულო-ნ-ო
წრფ.	—	—	—
სახ.	ცრუ-ნ-ი	ყრუ-ნ-ი	წყლტუ-ნ-ი
მოთხ.	ცრუ-თ-ა	ყრუ-თ-ა	წყლტუ-თ-ა
მიც.	"		"
ნათ.	"		
მოქმ.			
ვით.	"	"	"
წოდ.	ცრუ-ნ-ო	ყრუ-ნ-ო	წყლტუ-ნ-ო

ე ბ ი ა ნ ი

წრფ.	წმიდ-ებ	ბრმ-ებ	ნოტი-ებ
სახ.	წმიდ-ებ-ი	ბრმ ებ-ი	ნოტი-ებ-ი
მოთხ.	წმიდ-ებ-მან	ბრმ-ებ-მან	ნოტი-ებ-მან
მიც.	წმიდ-ებ-ს-ა	ბრმ-ებ-ს-ა	ნოტი-ებ-ს-ა
ნათ.	წმიდ-ებ-ის-ა	ბრმ-ებ-ის-ა	ნოტი-ებ-ის-ა
მოქმ.	წმიდ-ებ-ით-ა	ბრმ-ებ-ით-ა	ნოტი-ებ-ით-ა
ვით.	წმიდ-ებ-ად	ბრმ-ებ-ად	ნოტი-ებ-ად
წოდ.	წმიდ-ებ-ო	ბრმ-ებ-ო	ნოტი-ებ-ო
წრფ.	მწუანე-ებ [1]	მწარე-ებ [2]	საქორწინე-ებ [3]
სახ.	მწუანე-ებ-ი	მწარე-ებ-ი	საქორწინე-ებ-ი
მოთხ.	მწუანე-ებ-მან	მწარე-ებ-მან	საქორწინე-ებ-მან
მიც.	მწუანე-ებ-ს-ა	მწარე-ებ-ს-ა	საქორწინე-ებ-ს-ა
ნათ.	მწუანე-ებ-ის-ა	მწარე-ებ-ის-ა	საქორწინე-ებ-ის-ა
მოქმ.	მწუანე-ებ-ით-ა	მწარე-ებ-ით-ა	საქორწინე-ებ-ით-ა
ვით.	მწუანე-ებ-ად	მწარე-ებ-ა-დ	საქორწინე-ებ-ად
წოდ.	მწუანე-ებ-ო	მწარე-ებ-ო	საქორწინე-ებ-ო
წრფ.	იწრო-ებ	ფართო-ებ	უშჯულო-ებ
სახ.	იწრო-ებ-ი	ფართო-ებ-ი	უშჯულო-ებ-ი
მოთხ.	იწრო-ებ-მან	ფართო-ებ-მან	უშჯულო-ებ-მან
მიც.	იწრო-ებ-სა	ფართო-ებ-ს-ა	უშჯულო-ებ-ს-ა
ნათ.	იწრო-ებ-ის-ა	ფართო-ებ-ის-ა	უშჯულო-ებ-ის-ა
მოქმ.	იწრო-ებ-ით-ა	ფართო-ებ-ით-ა	უშჯულო-ებ-ით-ა

[1] შესაძლებელია: მწუანებ, მწუანები, მწუანებმან, მწუანებსა და სხვა.
[2] შესაძლებელია: მწარებ, მწარები, მწარებმან, მწარებსა და სხვა.
[3] შესაძლებელია: საქორწინებ, საქორწინები, საქორწინებმან, საქორწინებსა და სხვა.

ვით.	იწრო-ებ-ად	ფართო-ებ-ად	უშჯულო-ებ-ად
წოდ.	იწრო-ებ-ო	ფართო-ებ-ო	უშჯულო-ებ-ო
წრფ.	ცრუ-ებ	ყრუ-ებ	წყლტუ-ებ
სახ.	ცრუ-ებ-ი	ყრუ-ებ-ი	წყლტუ-ებ-ი
მოთხ.	ცრუ-ებ-მან	ყრუ-ებ-მან	წყლტუ-ებ-მან
მიც.	ცრუ-ებ-ს-ა	ყრუ-ებ-ს-ა	წყლტუ-ებ-ს-ა
ნათ.	ცრუ-ებ-ის-ა	ყრუ-ებ-ის-ა	წყლტუ-ებ-ის-ა
მოქმ.	ცრუ-ებ-ით-ა	ყრუ-ებ-ით-ა	წყლტუ-ებ-ით-ა
ვით.	ცრუ-ებ-ად	ყრუ-ებ-ად	წყლტუ-ებ-ად
წოდ.	ცრუ-ებ-ო	ყრუ-ებ-ო	წყლტუ-ებ-ო

10. „ძნიად" ტიპის ფორმები ზედსართავისა

ზოგიერთ ზედსართავ სახელს ვითარებითს ბრუნვაში **ი-ად** დაბოლოება აქვს: **ძნ-ი-ად, მაგრ-ი-ად, ფრ-ი-ად** და სხვა. **ად** აქ გასაგებია, მაგრამ რის მაქნისია მის წინ მდგომი **ი**? სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ის არის **ივ** სუფიქსის ნაშთი. სიტყვაში **ძნ-ელ-ი ელ** სუფიქსია, რადგან ის არ გადაჰყვება ამ ძირს სხვადასხვა ნაწარმოებ ფუძეში: ძნ-ელ-ი, მაგრამ: ძნ-ი-ად, შე-უ-ძნ-დ-ა და სხვა. ამ **ელ** სუფიქსის ნაცვლად სხვა შემთხვევაში **ივ** სუფიქსი გვაქვს: **ძნ-ივ**, რომლის ვითარებითი ბრუნვაც უნდა იყოს **ძნ-ივ-ად**, **ვ**-ს დაკარგვის შემდეგ — **ძნ-ი-ად**. ასე რომ, ეს **ი** აქ **ივ** სუფიქსის ნაშთია. სუფიქსი **ივ** ძალზე გავრცელებული უნდა ყოფილიყო ძველად. ის მოგვეპოვება, მაგალითად, ისეთ წარმოებაში, როგორიცაა: გონ-ივ-ერ-ი→ გონიერი. მომდევნო **ე**-ს შეკუმშვის შემდეგ **ვ** აღდგება: გონ-ივ-რ-ად [1]. მაშასადამე, სადაც ზედსართავი სახელების ვითარებითში **ი-ად** დაბოლოება გვაქვს, ვითარებითის ნიშანი **ად** იქნება, წინამავალი **ი** კი ნაშთია **ივ** ბოლოსართისა, რომელიც ძველისძველი წარმოშობისაა და ძალიან გავრცელებული იყო ძველ ქართულში.

ძნ-ი-ად ტიპის ზედსართავები ძველ ქართულში საკმაოდ მოგვეპოვება. ისინი შეიძლება იყოს თანხმოვანფუძიანები (უფრო ხშირად) და ხმოვანფუძიანები (ნაკლებად), უკუმშველები და კუმშვადები, მარტივი ფუძისა და სხვადასხვა სუფიქსებით ნაწარმოები. უფრო ხშირად გვაქვს **ელ** სუფიქსით ნაწარმოები: ძნ-ელ-ი, გრძ-ელ-ი, მრთ-ელ-ი, რომელთაც უფრო ძველად **ელ** სუფიქსის ნაცვლად **ივ** სუფიქსი უნდა ჰქონოდათ: ძნ-ივ, გრძ-ივ, მრთლ-ივ. აქედან ვითარებითი: ძნ-ივ-ად→ძნ-ი-ად, გრძ-ივ-ად→გრძ-ი-ად, მრთლ-ივ-ად→ მრთლ-ი-ად.

შემდეგ გვაქვს **ილ** სუფიქსიანი ზედსართავები: ტფ-ილ-ი, ტკბ-ილ-ი, უფრო ძველი სუფიქსაციით: ტფ-ივ, ტკბ-ივ. აქედან ვითარებითში: ტფ-ივ-ად→ტფ-ი-ად, ტკბ-ივ-ად→ტკბ-ი-ად.

---

[1] ა. ჩიქობავა, სახ. ფუძ. გვ. 91—92.

მერმე მოიპოვება **ალ** სუფიქსიანი ზედსართავები: მართ-ალ-ი[1], მრგუ-ალ-ი, რომელთაც პირდაპირ ემატება **ივ** სუფიქსი და ვღებულობთ: მართლ-ივ-ად→მართლ-ი-ად, მრგულ-ივ-ად→მრგულ-ი-ად.

გვაქვს აგრეთვე **არ** სუფიქსიანი ზედსართავები: მ-დუმ-არ-ი (წარმოშობით მიმღეობა), მაგ-არ-ი, რომელთაც ერთვის **ივ** სუფიქსი და ვითარებითში გვაქვს: მდუმრ-ივ-ად→მდუმრ-ი-ად, მაგრ-ივ-ად→მაგრ-ი-ად.

ასეთივე წარმოშობისაა აგრეთვე შემდეგი ფორმები: უნებლ-ი-ად← უნებლ-ივ-ად, ფრ-ი-ად←ფრ-ივ-ად, ღრმ-ი-ად←ღრმ-ივ-ად, მალ-ი-ად←მალ-ივ-ად და სხვანი.

ყველა აქ ჩამოთვლილი და მათი მსგავსი სხვა მაგალითები გვხვდება ძველი ქართულის ტექსტებში. აქ შეიძლება დავიმოწმოთ ზოგიერთი მათგანი:

და იტყოდე შენ ესოდენ **გრძიად** სახლისა მისთჳს მონისა შენისაჲსა, 2 მეფ. 7, 18; რაჲთა **ტკბიად**... ღმერთი მოაქციოს, უდაბნ. 59 vb. აქედან არის მიღებული ახალი ზედსართავი **ტკბიადი**, იქვე, 56 vb.

...**მალიად** მივიდა დედისა წინაშე მორწმუნისა, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 261, 10). აქედანაა მეორედ ნაწარმოები ახალი ზედსართავი მალიადი: **ძრვითა მალიადითა**, შატბ. 8. **მალიად** შედის ცნობილ კომპოზიტში მალიად-მსრბოლი (მალე-მსრბოლი), რომელიც შიკრიკს აღნიშნავს: და აღჳურვილი თუ ვინმე პოვიან, საჳურველითაჲ მისითა მოსწყჳდიან და **მალიად-მხრბოლი** ისრითა განგუმირიან, წარტყ. 17, 5.

...ვიდრემდე დაამძიმებდეს საჭიესა **მაგრიად**, ამბაკუმ 2, 6; რომელთა მუსმარნი კუერითა ძლით განაწონნეს და დაჰმჳუალეს **მაგრიად**, პარხ. 1096 b. „მაგრიად“ შედის კომპოზიტში „მაგრიად-მოისარი“: ფარულად მოუწოდა ერის-კაცსა ანჩელსა, ლიბრსა და გლახაკსა და **მაგრიად-მოისარსა**, ხანძთ. 145, 5; ძენი ეფრემისნი ძლიერნი და **მაგრიად-მოისარნი**, ფსალმ. 77, 12.

...**მდუმრიად** სულ-თქუმით დაალტობდა ფერჴთა მისთა ცრემლითა, ხანძთ. 136, 27; ვპოვე მონაზონი მჯდომარე **მდუმრიად**, პარხ. 1299. ამ სიტყვიდანაც გვაქვს ახალი წარმოების ზედსართავი: ღმერთსა ესმის **მდუმრიადცა** ვედრებაჲ, მამ. სწავ. (H) 26 v.

...ვითარცა ბღუარმან **ტფიად** მოჰბერის და მყინვარი იგი კუალადვე წყალ ყვის, უდაბნ. 80 vb.

...სახლსა ვხედვიდეთ, ვითარმცა **მრგულიად** იქცეოდა, მამ. სწავ. (H) 35v. ეს სიტყვა შედის ძველი ქართულის კარგად ცნობილ კომპოზიტში „მრგულიად-დასაწუველი“ (*ὁλοκαύτωμα, ολοκληρία*): უფროჲს არს ყოელთა **მრგულიად-დასაწუველთა** და მსხუერპლთა, მრ. 12, 33 C; რომელნი-იგი **მრგულიად-დასაწუველთა** მათ ტარიგთა შესწირვიდეს ღმრთისა, აბო 201, 33.

...მდიდარი **ძნიად** შევიდეს სასუფეველსა ღმრთისასა, მ. 19, 23; სულმან უკეთურმან შეიპყრის იგი... და **ძნიად** განეშორის მისგან, ლ. 9, 39. აქე-

[1] თვით საწარმოებელი მართ-იც თავის მხრივ ნაწარმოებ ფუძეს წარმოადგენს: ა. ჩიქობავა, სახ. ფუძ. გვ. 27.

დანაც გვხვდება ნაწარმოები ფორმა ძნიადი: და განმათავისუფლნა ჩუენ ძნიადხა სატჷრთაეისა მისგან ძუელისა შჯულისა, უდაბნ. 167 vb.

...ვაჲ მათ, რომელნი ღრმიად ჰყოფენ ზრახვასა და არა უფლისა მიერ, ესაია 29, 15; კაცი ღრმიად მეცნიერი მრავალთა მასწაელელ და თაეისა თჯისა უჴმარ არს იგი, ზირაქ 37, 21.

...თაეადმან ჰრქუა მას: მართლიად ჰსაჯე, ლ. 7, 43; მართლიად გეტყჳ შენ, მრ. 14, 30 C; მართლიად მართალსა გეტყჳ შენ, ი. 3, 3 C.

...შენ გეტყჳ: აღდეგ და დადეგ ფერჴთა შენთა ზედა მრთლიად, კიმ. I. 286, 30.

...აღადგინე ქარი აღრღუევად წყალთა მათ და კუეთებად ღელვათა მუოვრიად, სვან. 314 b.

...მტერისა მახჳლსა მოაკლდა ხრულიად და ქალაქნი აოჴრდეს, ფსალმ. 9, 7; იხედვიდა ხრულიად ყოველსა, მრ. 8. 25 C; რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს, მ. 10, 22 C.

...ხოლო ჩამოვიდა ნელიად, ვიდრეღა დაემტკიცა საფუძველსა ზედა, ლიტ. ქრესტ. 158, 1; და ვითარცა განელო ნანა დედოფალმან, მაშინღა ნელიად-ნელიად გამოვიდოდა ყოველი ერი, მოქც. (ისტ. ქრესტ. 271, 25). „ნელიად“ ნელ-ისაგან არის მიღებული, რომელშიც ელ სუფიქსი უნდა იყოს; ამ ელ-ის ნაცვლად სხვა შემთხვევაში ივ სუფიქსი გვაქვს და ვითარებითში ვღებულობთ: ნ-ივ-ად→ნ-ი-ად: განთიად რიჟურაჟეს ოდენ ნიად აღდგა, მრ. 1, 35; ნიად განთიადსა მას ერთშაბათისასა მოვიდეს საფლავსა მას ზედა, მრ. 16, 2[1].

...და ვითარცა იხილა ძმამან მან ძელი იგი მძაფრიად მიმავალი, შეშინდა ფრიად, ხანძთ. 136, 4. გვხვდება ამ სიტყვის ლასიანი ფორმაც: ცლით მძლაფრიად ძრავენ ფრთეთა, სიბრძ. 5, 11.

გარეგნულად ამ წარმოებას ჰგავს დიად: და დიად უგუნურ ვიქმენ წიგნითა, პარხ. 767 a; არამედ დავსცხრე დიად ზრახვისაგან, იქვე, 789 a. მაგრამ ეს დიად მიღებული უნდა იყოს „დიდად“-ისაგან, რომელსაც დ დაჰკარგვია. „დიდადი“ კი კარგად ცნობილი ფორმაა ძველ ქართულში; მაგალითად: მრავალთა მდიდართა დადვეს დიდადი, მრ. 12, 41 C[2].

...სახის-მეტყუელმან თქუა, ვითარმედ: მებრიად სპეტაკ არს რაჲთურთით (ქალანდრი იგი) და სიშავე არა არს მის თანა, სახისმეტ. (ისტ. ქრესტ. 280, 32). მებრიად←მებრივად და ნიშნავს „სრულებით“, „სრულიად“.

მსგავსი წარმოების სხვა მაგალითებიც ბლომად მოიპოვება, მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის ისიც სრულიად საკმარისია, რაც აქაა მოყვანილი.

11. დამოუკიდებლად აღებული ზედსართავის ბრუნების ნიმუშები

დასასრულ, მოვიყვანთ დამოუკიდებლად აღებული ზედსართავის ბრუნების ნიმუშებს:

---

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 147.

[2] იქვე.

ვითარ-იგი უგულებელს-ყო **მაღალმან** სამწყსოჲ თჳსი. წარტყ. 3. 22; რომელთა მიაგეს უფალსა **ბოროტი კეთილისა** წილ, იქვე. 4, 3; რაჟამს მოხედა **სახიერმან** მან ერსა თჳსსა მოწყალებითა, იქვე, 11, 8; ხოლო **უკეთურმან** სცა მახჳლითა მით ძლიერად ნეტარსა მას ყრმასა, იქვე, 40, 12; **ბოროტმან** მან შეიპყრა იგი, იქვე, 40, 16; დგა იგი წინაშე **ბილწისა** მის, იქვე, 40, 10; და ვითარცა იხილა **ბილწმან მან**, იქვე, 40, 28; მაშინ **უკეთურთა** მათ იწყეს ცემად მათა, იქვე, 43, 1; მაშინ **ნეტარმან** მან მიყო ჴელი მისი მდინარით კერძო და იტყოდა, იქვე, 47, 4; და ვითარ **ჩჩჳლნი** იგი იტყოდეს კირიელეჲსონსა, იქვე, 48, 17; ბრძანა **მოსისხლემან** მან ბოროტმან. კიმ. I, 10, 13; რაჲთა... მოუწოდოს **წმიდასა ამას**, იქვე. 16, 13: რაჲ ყო სულთა **მკლველმან** მან და **მაცთურმან**, იქვე, 51, 20; ჴერმე ჰრქუა **წმიდამან უკეთურსა** მას, იქვე, 55, 21; მიაქცია **უშჯულომან** მან, იქვე. 191, 28: მოიწია მისა ძალი **მაღლით**, კიმ. II. 155, 7; იგუემნეს იგინი სიბრმითა **მცირითგან** ვიდრე **დიდამდე**, დაბ. 19, 11; და **მაღალი** იგი ვაკურთხე და **ცხოველი** იგი უკუნისამდე ვაქე და ვადიდე, დანიელ 4, 32; ხოლო **მაღალმან** მოსცა მეცნიერებაჲ ხუთთა მათ კაცთა, იქვე, 14, 42; შორის **მდიდართა** დასჳს იგი. ზირაქ 11, 1; მრავალნი მიეცნეს ჴელთა სხუათასა, იქვე, 11, 6: ხოლო შენ **მდაბლისა** მის ზედა სულ-გრძელ იქმენ, იქვე. 29, 11; ხოლო **შავი** იგი მიუგებდა და ეტყოდა, პარხ. 1312; და რამეთუ სხუანიცა **შავნი** იყვნეს მის თანა, იქვე, 1313; მე შენგან მიჴს ნათლის-ღებაჲ, შენ-ჩემდა მოხუალ? რამეთუ **მდაბალი** იგი **დიდისაგან** იკურთხის და არა თუ **დიდი** იგი **მდაბლისაგან**; **გლახაკი** იგი **მდიდრისაგან** მოიღებნ, და არა თუ **მდიდარი** იგი **გლახაკისაგან**; **სნეული** იგი **მკურნალისაგან** განიკურნის. და არა თუ **მკურნალი** **სნეულისაგან**, სვან. 370 ჲ.

როგორც ეხედავთ, ზედსართავი სახელები აქ არსებითსავით იბრუნვის; მათ აქვთ სრულიად ისეთივე ბრუნვის ნიშნები. როგორც არსებითს (მაღალ-ი, მაღალ-**მან**, წმიდა-**სა**, ბილწ-**ისა**, მცირ-**ით**-გან. დიდ-ად-მდე), ისე იცვლებიან მრავლობითს რიცხვში, როგორც არსებითები (მაღალ-ნ-ი. უკეთურ-თ-ა), ნაწევარი მათაც ერთვის, რაც არსებითად გამოტოვებული არსებითის კუთვნილებაა; ასეთ ზედსართავს პხლავს თავისი განსაზღვრება (მოსისხლემან მან ბოროტმან), იგი იკუმშება და იკვეცება ჩვეულებრივი წესით (მდაბლ-ისა, მდიდრ-ისაგან, მაღლ-ით, მცირ-ითგან). ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშეა სახელი, რომელიც ბრუნების თვალსაზრისით სრულებით არ განსხვავდება არსებითი სახელისაგან. აქ თქმულს ისიც შეიძლება დაემატოს, რომ ზოგ შემთხვევაში ზედსართავი სახელი უკვე გადაქცეულია არსებითად და ყოველმხრივ ჰგავს მას (სნეული, მკურნალი, მძლავრი).

ჩვენ აქ ვნახეთ, თუ როგორ იბრუნება ზედსართავი სახელი, როცა ის დამოუკიდებლად არის აღებული. ზედსართავი სახელის ბრუნებას არსებითთან ერთად, როგორც მკითხველს შევჰპირდით, გავეცნობით ქვემოთ. როცა მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნებაზე გვექნება ლაპარაკი (გვ. 977—993). ახლა კი ძალიან მოკლედ შევეხოთ რიცხვითს სახელებსაც.

თავი მესამე

რიცხვითი სახელები

რიცხვითს სახელებზე აქ უმთავრესად იმდენად გვექნება საუბარი, რამდენადაც ისინი ამა თუ იმ ნიშნით განსხვავდებიან ახალი ქართულისაგან. გზადაგზა სხვა ნოვენტებზედაც შევჩერდებით.

რიცხვითი სახელები ძველ ქართულში არის რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი.

1. მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელები

რაოდენობითი რიცხვითი სახელები არის განსაზღვრული და განუსაზღვრელი (გაურკვეველი). შედგენილობის მიხედვით ისინი შეიძლება იყვნენ მარტივი და რთული. მარტივი რიცხვითი სახელებია: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექუსი, შჳდი, რვაჲ, ცხრაჲ, ათი, ოცი, ასი, მილიონი, ბევრი... აქედან **მილიონი** უმთავრესად მანძილის საზომ ერთეულად იხმარება და 1000 ნაბიჯს უდრის. **ბევრი** ძველ ქართულში სრულიად გარკვეული რიცხვია, ის აღნიშნავს 10.000-ს, მაგალითად: წარმოუდგინეს მას ერთი თანა-მდები **ბევრისა** შანთისაჲ, მ. 18, 24. რუსულ თარგმან'მი ეს ადგილი ასეა გადმოცემული: приведен был к нему некто, который должен был ему десять тысяч талантов. აქედან ბევრეული (ლ. 12, 1) იქნება ათიათასობით, ათიათასეული, ე. ი. მრავალი.

ძველ ქართულში 50-ს აღნიშნავდა ერგასი, ან ერგასისი. მაგრამ ეს სიტყვა რთულია: ერგ+ას-ი, ან: ერგ+ას-ის-ი, რომელთაგან პირველი (ერგ) ნიშნავს შუას, ნახევარს. აქედან ერგ-ას-ი=ნახევარი (შუა) ასი, ე. ი. ორმოცდაათი. მეორე ფორმა ერგ-ას-ის-ი იქნება ნახევარი (შუა) ასისა, ე. ი. მაინც ორმოცდაათი[1].

მარტივი რიცხვითებიდან სხვადასხვა თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს **ექუსი** თავისი უმარცვლო უ-თი, **შჳდი**—ჳ-თი, რვაჲ, რომელსაც წესის მიხედვით ფუძეში უნდა ჰქონოდა არა ვინი, არამედ უ: **რუაჲ** (შდრ. მეგრ. რუო). ეს უმარცვლო უ ხანდახან გვაქვს კიდეც რთულ **ათურამეტ**-ში, როცა ვინი დაკრულია თავისი ადგილიდან და წინაა გადმოსული. აღსანიშნავია,

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 414; ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 115.

რომ **ვ** რ-ს შემდეგ არასოდეს არ იქცევა უმარცვლო უ-დ (შდრ. რვალი)[1], თ-ს შემდეგ კი უმარცვლო **უ** ჩვეულებრივია: თუალი, სათუელი, თჳსი (←თუისი) და სხვა. აი ორიოდე ნიმუში **ათურამეტ**-ის ხმარებისა: აჰა ესერა **ათურამეტი** წელი არს, ლ. 13, 11 C; და მუნ იყო კაცი ერთი, რომელსა **ათურამეტი** წელი დაეყო სნეულებასა შინა, ი. 5, 5 C.

გარკვეულ რაოდენობას უჩვენებს აგრეთვე **მრჩობლი** (=ორი, ორმაგი), **ზოგი** (=$^1/_3$), **კერძო** (=$^1/_2$)[2], **ნახევარი** და სხვა. ორიოდე მაგალითი:

ნუ შეიმოსთ **მრჩობლსა** კუართსა, მრ. 6, 9 C. DE-ში ამის შესატყვისად იკითხება: ნუცა შემოსად **ორი** სამოსელი. შდრ. რუს. თარგმ.: и не носить двух одежд... ყოველთა მათ მისცა **მრჩობლი** სამოსელი, დაბ. 45, 22; **მრჩობლი** საწყაული, გამოსლვ. 16, 22.

ამ ფუძესთან არის დაკავშირებული აგრეთვე **მარჩბევი**[3], რომელიც აღნიშნავს „ტყუპს“, „ტყუპის ცალს“, ე. ი. ერთს ორიდან.

ზოგის ერთ-ერთი მნიშვნელობა ძველ ქართულში, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, იყო ნახევარი[4]: **ზოგი** ნაყოფთა ჩემთაჲ მივსცე გლახაკთა, ლ. 19, 8. შდრ. რუს. თარგმ.: половину имения моего я отдам нищим... ეფუცა მას, ვითარმედ: რაჲცა მთხოო, მიგცე შენ ვიდრე **ზოგადმდე** სამეუფოჲსა ჩემისა, მრ. 6, 23 C. შდრ. რუს. თარგმ.: и клялся ей: чего ни попросишь у меня, дам тебе, даже до половины моего царства.

...და ქმენ კიდობანი წამებისაჲ ძელთაგან ულპოლველთა ორ წყრთა და **კერძო** სიგრძე მისი, წყრთა და **კერძო** სივრცე მისი და წყრთა და **კერძო** სიმაღლე მისი, გამოსლვ. 25, 9; შდრ. რუს. თარგმ.: сделайте ковчег из дерева ситтим; длина ему два локтя с половиною, и ширина ему полтора локти, и высота ему полтора локтя.

...მათ მიუპყრეს მას თევზისა მწურისა **ნახევარი** და თაფლისა გოლი, ლ. 24, 42.

განუსაზღვრელი რიცხვითი სახელებია: მრავალი, მცირე (მცირედი) და სხვა.

2. რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელები (11—19)

ქართული თელა, როგორც ცნობილია, ნარევი ტიპისაა: „ნაწილობრივ ათობითია და ნაწილობრივ—ოცობითი. ათობითი სისტემისაა ქართული თელა

---

[1] რ თავისი სონორობით ყველაზე ახლოა ხმოვნებთან (გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 146), ამიტომ ბუნებრივია, თუ მის შემდეგ უმარცვლო უ არ გვხვდება.

[2] ნ. მარი, Iранм. გვ. 82.

[3] ნ. მარი, Iранм. გვ. 78; ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 400; ა. ჩიქობავა, სახ. ფუძ. გვ. 56.

[4] ა. ჩიქობავა, სიტყვა „ზოგი“-ს ეტიმოლოგიისათვის: ენიმკის მოამბე, ტ. 1, 1937, გვ. 48—54.

ერთიდან ოცამდე და ასს ზევით... ოცობითია ქართ. თელა ოციდან ასამდე“ [1].

თერთმეტიდან ცხრამეტამდე (ჩათვლით) თვლა იწარმოება ათზე ერთეულების მიმატებით: ათ-ერთ-მეტ-ი (11), ათ-ორ-მეტ-ი (12), ათ-სამ მეტ-ი (13), ათ-ოთხ-მეტ-ი (14), ათ-ხუთ-მეტ-ი (15), ათ-ექუს-მეტ-ი (16), ათ-შვიდ-მეტ-ი (17), ათ-რვა-მეტ-ი (18) და ათ-ცხრა-მეტ-ი (19).

თ+ს იძლევა ც-ს [2]: ათ-სამ-მეტი→ა-ცა-მეტი. ზოგჯერ ც-სთან ერთად თ-ც შენარჩუნებულია: ათ-ცამ-მეტი. ორი მანი ამ სიტყვაში ჩვეულებრივ გამარტივებულია და ცალი მანის სახით არის წარმოდგენილი. მაგალითად: **ორმეოც** და **ათცამეტ** ათას და ოთხას, რიცხ. 1, 43 [3]; სამი ათეული ზუარაკსა ერთსა **ათცამეტთა** მათ ზუარაკთა, იქვე, 29, 14.

ასევე თ+შ გვაძლევს ჩ-ს [4]: ათ-შვიდ-მეტი→აჩვიდმეტი. ზოგჯერ თანი აქაც არის შენახული ჩ-სთან ერთად. მაგალითები:

იყო იოსებ **აჩვიდმეტ** წლის, დაბ. 37, 2; არს... აღსრულებაჲ მისი თთუესა ოკდონბერსა **ათჩვიდმეტსა** შუშ. 160, 5.

გვხვდება, რასაკვირველია, შეურწყმელი სახეობაც. მაგალითად: და ვპოვეთ ეკლესიასა შინა სოფია-წმიდისასა ოთხას სამეოც და **ათშვიდმეტი** სული, წარტყ. 62, 26, რაც ერთ-ერთ ხელნაწერში (I) იკითხება და 5. მარმა ტექსტში დატოვა. მაგრამ ეგეც ადგილი. მეორე ხელნაწერი (Ǯ=A 70) ასეა მოცემული: **ათჩვიდმეტი**, სადაც თ-ც შენარჩუნებულია და ჩ-ც გვაქვს, რომელშიც თავისთავად შედის ეს თ. ასეთივე ფორმა იკითაება ახლა უკვე ორივე ხელნაწერში შემდეგ ადგილას: ვპოვეთ საკრებულოსა დიდსა სამას და **ათჩვიდმეტი** სული, იქვე, 63, 15. მაგრამ ეს ფორმა ნ. მარის მიერ უკუგდებულია და ტექსტში დატოვებულია მის მიერ აღდგენილი **ათშვიდმეტი**. ასევე უარყოფილია **აჩვიდმეტი**, რომელსაც ერთ-ერთი ხელნაწერი (Ǯ) იძლევა: ვპოვეთ... ექუს ათას ცხრაას და **აჩვიდმეტი** სული, იქვე, 63. 18. ტექსტში აქაც აღდგენილი **ათშვიდმეტი** არის გაშვებული [5].

ათ-რვა-მეტ-ში ვინი ჩვეულებრივ თავის ადგილზეა და არ გადმოსულა წინ: **ათრვამეტ** (**ათრვამეტით** Ǯ) წლითგან, ლ. 13, 11 Ǯ); **ათრვამეტი** წელი, ლ. 13. 16 და სხვა. მაგრამ ხანდახან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვ ტოვებს თავის ადგილს. გადმოდის წინ. თ-ს შემდეგ მკვიდრდება და უმარცვლო უ-დ იქცევა (ათურამეტი). ამის მაგალითები ზემოთ იყო მოყვანილი და აქ აღარ გავიმეორებთ.

---

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძ. გვ. 40; მისივე: ოცობით თელა და ათობით წერა ქართულში: „ჩვენი მეცნიერება“, № 1, 1923, გვ. 108—112; № 11—12, 1924, გვ. 7—14; ვ. თოფურია, ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. VI, 1926, გვ. 292—296.

[2] გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 39—40, 84.

[3] რიცხუთაჲ აქ დამოწმებულია მცხეთის ბიბლიის მიხედვით (საქ. მუზ. ხელნაწერი A 51).

[4] გ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39—40, 84.

[5] TP, IX, 1960, გვ. 72—73.

ათ ამ სიტყვებში (11—19) ძველ ქართულში, როგორც წესი, დაცულია ხელუხლებლად. მაგრამ აქა-იქ გვხვდება გამარტივების შემთხვევები. ამ გარტივების შედეგად იკარგება ა. უველაზე ადრე ეს ცვლილება **ათცხრამეტს** შეეხო: მან ჯერ დაკარგა თ, რომელსაც მალე მიჰყვა მისი მეორე ბგერა ა-ც და, ამგვარად, ამ რთულ სიტყვაში სრულიად გაქრა ათ-ის ყოველგვარი კვალი. ძველ ქართულში ერთიმეორის გვერდით გვაქვს დადასტუოებული სამიეე საფეხური: ათ-ცხრა-მეტი→ა-ცხრამეტი→ცხრამეტი. მაგალითები: ესრ0თ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათჳს ცოდვილისა, რომელმან შეინანოს, ვიდრეცა ოთხმეოც და **ათცხრამეტთა** მართალთაჳს, რომელთა არა უჭმს სინანული, ლ. 15, 7 Ę;... ოთხმეოც და **აცხრამეტთა** მათ მართალთა, იქვე C: არა-მე დაუტევნესა ოთხმეოც და **ათცხრამეტნი** იგი უდაბნოსა ზედა, ლ. 15, 4 Ę. იქვე იკითხება: ოთხმეოც და **აცხრამეტნი** C, ოთხმეოც და **ცხრამეტნი** D. ამ სამი სახით გვხვდება ეს სიტყვა ამ ხელნაწერებში სხვა ადგილასაც (მ. 18, 12—13).

შევნიშნავთ აქვე, რომ, როგორც ჩანს, ეს გამარტივება პირველად დაწყებულა რთულ რიცხვითს სახელებში, რომელთა მეორე შემადგენელი ნაწილია **ათცხრამეტი** (ოთხმეოც და აცხრამეტი, ოთხმეოც და ცხრამეტი). შემდეგ და შემდეგ ის გავრცელდა მარტივ სახელებშიც (ცხრამეტი). ა-ს დაკარგვა შემდეგ მოედო უველა სახელს და დღეს არც ერთი ანიანი ფორმა არაა გადარჩენილი.

ა დაკარგულია დღეს ცამეტ-სა და ჩვიდმეტ-შიც. მაგრამ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ათ-ის თ შეერწყა მომდევნო ხ-სა და შ-ს (ათ-სამ-მეტ-ი[1] ათ-შვიდ-მეტ-ი) და მივიღეთ აფრიკატები ც და ჩ. რაკი ათ-ის სხვა კვალი არ ჩანდა, ადვილი იყო ამ ა-ს დაკარგვაც.

ახალი ქართულის ზოგიერთ კილოში ამ გზას ადგას **ათ-ხუთ-მეტ-ი**-ც: იკარგება ა და მას მიჰყვება თ-ც, ვღებულობთ **ხუთმეტ**-ს (იმერულში). მაგრამ ამ სიტყვაში მომხდარი ფონეტიკური ცვლილება მარტო ამით არ ამოიწურება; **ათ-ოთხ-მეტ→თოთხმეტ**-ის ანალოგიით ხდება ბგერათა გადასმა და ვღებულობთ კილოებში გავრცელებულ ფორმას **თუთხმეტი** (გურული, იმერული და სხ.).

სხვა სიტყვებში ათ-ისეული ა უველგან ჩამოცილებულია, მაგრამ თ კი დაცულია: (ა)თ-ერთ-მეტ-ი, (ა)თ-ორ-მეტ-ი, (ა)თ-ოთხ-მეტ-ი, (ა)თ-ექუს-მეტ-ი, (ა)თ-ვრა-მეტ-ი (ვ-ს გადმოსმით).

* * *

(21—99)

ოცდაერთიდან ოთხმოცდაცხრამეტამდე (ჩათვლით) რიცხვების წარმოება ძველ ქართულშიც ისეთივე გვაქვს, როგორც დღეს (უკეთ: დღესაც ისეა, როგორც ძველ ქართულში იყო): ოცეულს ემატება ერთეული: ოც და ერთ,

[1] ათ-სამ-მეტ-ში ჩვეულებრივ ერთმანეთს ერწყმის ორი მანი და ერთს ვღებულობთ (ათცამეტი. აცამეტი).

ოც და ორ. ოც და სამ. ოც და ათორმეტ, ოც და ათექუსმეტ. ორმეოც და ოთხ. ორმეოც და შვდ. სამეოც და ათხუთმეტ, ოთხმეოც და ცხრა, ოთხმეოც და ათცხრამეტ და სხვა. განსხვავება ძველსა და ახალს შორის თავს იჩენს ორ რამეში:

ა) დღევანდელი „ორმოცდაათის" ნაცვლად ძველად იხმარებოდა **ერგახი** ან **ერგახიხი**, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი;

ბ) ოცეულებში ერთეული და ოცეული შეერთებული იყო **მე** ნაწილაკით: ორ-მე-ოც-ი, სამ-მე-ოც-ი (→სამეოც-ი), ოთხ-მე-ოც-ი. ახალ ქართულში ამ **მე**-ს ჩამოკვეცილი აქვს **ე** და გვაქვს მხოლოდ **მ**: ორ-მ-ოც-ი, ოთხ-მ-ოც-ი. რაც შეეხება სამოცს, მასში **ე**-ს დაკარგვის შემდეგ უნდა გვქონოდა **სამ-მ-ოც-ი**, მაგრამ ორი მანი შერწყმულია და ასეა მიღებული დღევანდელი **სამოცი**.

რა არის ის **მე**, რომელიც ძველ ქართულში გვხვდება ოცეულების აღმნიშვნელ რიცხვითს სახელებში? ნ. მარის აზრით, ეს **მე** არის მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსი, რომელიც წარმოადგენს ასეთივე ფუნქციის მატარებელი **ებ** სუფიქსის არქაულ ვარიანტს[1]. მაგრამ ნ. მარის ეს აზრი არ არის სწორი: **მე** არც ქართულში, არც მის მოძმე ენებში არ აღნიშნავს მრავლობითობას. [ნ. მარის მიერ წამოყენებული დებულებაც, რომ при количественных числительных свыше одного исчисляемые имя предметы в древне-литературном ставятся во множ. числе[2], მთლად არ შეეფერება სინამდვილეს: ძველ ქართულში გვაქვს ჩვენ სწორედ საწინააღმდეგო მოვლენაც: რიცხვითი სახელიცა და არსებითი სახელიც **უმეტესად** მხოლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი, რაც სწორად უნდა გადმოგვცემდეს უფრო ძველ ვითარებას. აი ამის მაგალითები: ორი სამოსელი, მრ. 6, 9; ათი დრაქმე, ლ. 15, 8; ათორმეტი გოდორი, მ. 14, 20; ასი ცხოვარი, მ. 18. 12; ორას წყრთა, ი. 21, 8; ხუთასი დრაჰკანი, ლ. 7, 41 და სხვა. მართალია, ამის გვერდით გვხვდება მრავლობითში შეთანხმებული ფორმებიც, როგორიცაა: ხუთნი ძმანი, ლ. 16, 28; ორნი ჯელნი და ორნი ფერჯნი, მ. 18, 8 და სხვა. მაგრამ ამნაირი შეთანხმება მრავლობითში უფრო ნაკლებია: შემდეგ, ეს გვხვდება მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში და უეჭველად ირკვევა, რომ უფრო გვიანდელი წარმოშობისაა. რიცხვითი სახელისა და არსებითის შეწყობა მხოლობითი რიცხვის ფორმით ასახავს უფრო ძველ ვითარებას და ამიტომ რიცხვითთა ასეთი ჩვენება უფრო ფასეულია ჩვენი საკითხისათვის. ამნაირად, ნ. მარის ეს მოსაზრება არ მართლდება და იგი უკუგდებულ უნდა იქნეს.

ამ **მე**-ს საკითხს სპეციალურად იკვლევდა ვ. თ ო ფ უ რ ი ა. მას აღნიშნული აქვს, რომ ძველი ქართულის **მე**-ს შესატყვისად მეგრულში **ონ** სუფიქსი გვაქვს, ჭანურში—**ენ**:

---

[1] ნ. მ ა რ ი, Грам. გვ. 73.

[2] იქვე.

მეგრ.		ჭან.
სუმონეჩი ‖ სუმენეჩი	60	სუმენეჩი
ოთხონეჩი	80	ოთხენეჩი

მაგრამ ამ **ონ, ენ** სუფიქსების მნიშვნელობა აქ კარგად არა ჩანს. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვის თქმა შეუძლია სვანურს, სახელდობრ მის ორ კილოს—ბალსქვემოურსა და ლენტეხურს, სადაც თვლა ქართულსავით ოცობითია. აქ ქართული **მე** ნაწილაკის შესატყვისად გვაქვს **ინ** სუფიქსი. რიცხვლის დანიშნულებაც ნათელია: ის აღნიშნავს „ჯერ“-ს, მაგალითად: **ურ-ინ**-ერუე**შდ** (40), სუმ-**ინ**-ერუე**შდ** (60). ეს **ინ** სუფიქსი სვანურში ცოცხალი ნაწარმოებელია და სხვაგანაც გვხვდება: ე**შხუინ** „ერთჯერ“, უ**შელდინ** „რამდენჯერ“, ხუ**ინ** ‖ ხუ**ინდინ** „მრავალჯერ“ და სხვა. მაშასადამე. **ურინერტუე შდ** არის ორჯერ ოცი, **სუმინერტუე შდ**—სამჯერ ოცი და სხვა. ამნაირი ფუნქციისა უნდა იყოს მეგრ. **ონ, ჭან. ენ** და ძველი ქართულის **მე** ნაწილაკები[1]. მაშასადამე, ქართულის ორმეოცი=ორჯერ ოცი, სამეოცი=სამჯერ ოცი, ოთხმეოცი=ოთხჯერ ოცი. ვ. თოფურიას ეს მოსაზრება სავსებით სწორია.

* * *

(101 და ზევით)

ძველი ქართულის თვლა ასს ზევით განსხვავდება თანამედროვე ქართულის თვლისაგან. თანამედროვე ქართულში. როგორც ვიცით, კავშირი და მთლიანად ოცეულებს ახლავს: ოცდაერთი, ორმოცდათერთმეტი. სამოცდარვა. ოთხმოცდაცხრამეტი და სხვა. თუ ოცეული არაა წარმოდგენილი, და-ც არსად არაა საჭირო: ას ერთი. ას რვა. ხუთას ჩვიდმეტი და სხვა. ძველ ქართულში კი და ჩვეულებრივ იხმარებოდა ყოველი საფეხურის შემდეგ: ათასეულიდან ასეულზე გადასვლისას (ოთხათას და ორას). ასეულიდან ათეულზე გადასვლისას (შვიდას და ოთხმეოც). და იხმარებოდა აგრეთვე მაშინაც, როცა რომელიმე საფეხური (კლასი) გამოტოვებული იყო. ვთქვათ. ასეულიდან ეოთეულზე გადასვლისას (ას და ორი) და სხვა. ესაა ძირითადი წესი. მაგრამ აქაც, რასაკვირველია. დაწყებულია ამ და-ს გამოტოვება. ე. ი. ახალი ქართულის თვლის ნიშნებია მოცემული. მაგრამ, ვიმეორებ, საერთოდ უფრო ხშირია ძველი ვითარების მაჩვენებელი და კავშირიანი ფორმები. მაშასადამე, რთული რიცხვითი სახელების გადმოცემისას კავშირი და ძველ ქართულში გაცილებით უფრო ხშირად იხმარებოდა. ვიდრე დღეს. ეს ერთი განსხვავება ძველსა და ახალს შორის. მეორე მხრივ, რთული რიცხვითი სახელის შემადგენელი მარტივი რიცხვები ფუძის სახით იყო წარმოდგენილი, ბრუნვის ნიშანი არც ერთს არ ჰქონდა. აქ მხედველობაში გვაქვს ყველა შემადგენელი ნაწილი, გარდა უკანასკნელისა. რომელიც კონტექსტის შესატყვისად იყო გაფორმებული. სათანადო შემთხვევებში ეს უკანასკნელიც ფუძის სახით (ე. ი.

[1] ვ. თოფურია, ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში. თბილ. უნ. ჯ. მოამბე. ტ. VI, 1926, გვ. 292—296.

წრფელობითი ბრუნვის ფორმით) შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ამის მაგალითებია:

ესე დასნი... სამეოც და ოთხ ათას და ოთხას, რიცხ. 26. 43[1]; ...ექუსას ათას და შჳდას და ოც და ათ, იქვე, 26, 51; რიცხჳ იგი მათი... სამეოც და ორ ათას და ოთხას. იქვე. 1. 39: ას ერგასის და ერთ ათას და ოთხას და ერგასის, იქვე. 2, 16 (=151.450); ოც და ათხუთმეტ ათას და ოთხას, იქვე. 2. 23; ას ერგასის და შჳდ ათას და ექუსას. იქვე, 2. 31 (=157.600); ვპოვეთ... ორ ათას ორას სამეოც და ათი სული. წარტყ. 62, 23; ვპოვეთ... ცხრა ათას რჳაას და ცხრაჲ სული. იქვე. 63, 23 და სხვა.

არის ზოგჯერ ისეთი შემთხვევები, როცა ათასები გაყოფილია დათი, მაგალითად: რიცხჳ მათი... ექუსას ათას და სამ ათას და ხუთას და ერგასის. რიცხ. 1. 45; 2, 35 (=603.550). არსებითად ამგვარი წესითაა ნაწარმოები აგრეთვე რიცხვი 32: წელსა მეოცდაათესა და მეორესა არტაშჳსს, შეფისა ბაბილონელთაჲსა. შევედ ბე წინაშე მეფისა, ნეემია 13, 5 (в тридцать второй годъ). 32 აქაც დაშლილად არის წარმოდგენილი: 30+2. შეიძლება აქ გექონდეს თვლის ათეულებრივი სისტემის ყრუ გამოძახილი.

3. რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფორმა

რაოდენობითი რიცხვითი სახელები კონტექსტში ჩვეულებრივ წრფელობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება. ეს შეეხება როგორც იმ შემთხვევებს, როცა რიცხვითი სახელი არ წარმოადგენს განსაზღვრებას. ცალკეა აღებული, ისე ისეთებსაც, როცა ისინი განსაზღვრებადაა გამოყენებული, არსებითს სახელს ერთვის. ამ შემთხვევაში. ცხადია. რიცხვითთან ერთად არსებითი სახელიც წრფელობითი ბრუნვის ფორმით იქნება წარმოდგენილი. ამნაირი შემთხვევები უფრო ხშირად მაშინ გვაქვს, როცა რიცხვითი და არსებითი დროის გარეშეობას გამოხატავს (ექუს წელ სთესო), უჩვენებს წლოვანებას, გამოხატავს ზომა-წონას (ას სამეოც უტევან. ოც და ათ სიკლა) და სხვა. საერთოდ ხალხე ხშირია რიცხვითისა და არსებითის წრფელობითის ფორმით გამოყენება სხვა ჩვეულებრივს შემთხვევებში, მათ შორის ისეთ შემთხვევებში, როცა ეს რიცხვითი ქვეშდებარედ გამოყენებული არსებითის განსაზღვრებას წარმოადგენს (სამ კაც დგეს, ორ კაც გამოჩნდეს). ეს უნდა იყოს რიცხვითისა და არსებითის რიცხვში შეწყობის უძველესი სახეობა. პირველად რიცხვითი და არსებითი ყველა შემთხვევაში წრფელობითის ფორმით (და, მაშასადამე, ხოლობითს რიცხვში) უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან შეწყობილი. ბეელ ქართულში დაცულია ამ ვითარების შედარებით კარგად შემონახული სურათი. აქ აღარ შევუდგებით დაჯგუფებას იმისდა მიხედვით, თუ რა ფუნქცია აქვს თითოეულ მათგანს სავადასხვა შემთხვევაში, და ერთად მოვიყვანთ მათ.

[1] რიცხუთა-დან მოყვანილი მაგალითები მცხეთის ბიბლიიდანაა აღებული, გარდა პირველი ორისა (26. 43; 26, 51): ეს უკანასკნელნი ილ. აბულაძის მიერ გამოქვეყნებული ნაწყვეტიდან მოგვყავს (თბილ. ეროვ. შრომები, ტ. 18, 1941).

რიცხვითი სახელი იხმარება დამოუკიდებლად

ამ შემთხვევაში რიცხვითი სახელი უფრო ხშირად შედგენილი შემასმენლის სახელადს ნაწილს (შემასმენლისს) წარმოადგენს, უფრო იშვიათად შეიძლება ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების როლშიც იყოს მოცემული, მაგრამ ასეთი შემთხვევები საერთოდ ნაკლებია:

არღარა არიან იგინი **ორ**, არამედ ერთ ჯორც, მ. 19, 6; მრ. 10, 8; განითრევდა ბადესა მას ქუეყანად, სავსესა დიდ-დიდითა თევზითა, რომელი იყო **ას ერგასის და სამ**, ი. 21, 11; და ყვნა იგინი **ათორმეტ**, მრ. 3, 14 C; და იყვნეს ძენი მისნი **შჯდ** და ასულნი მისნი **სამ**, იობ 1, 2; და იყო საცხოვარი მისი ფრიად: ცხოვარი **შჯდ ათას**, აქლემები **სამ ათას**, უღლეული ხარი **ჴუთას**, ვირი ჴდალი მრავარი **ხუთას**, იობ 1, 3; იყო ყოველი სული იაკობისი **სამეოც და ათხუთმეტ**, გამოსლვ. 1, 5; უკუეთუ ვპრონე მუნ **ორმეოც** და **ხუთ**, დაბ. 18, 28. რასაკვირველია, ყველა ამ შემთხვევაში ამ რიცხვითებთან იგულისხმება გარკვეული არსებითი, მაგრამ ეს უკანასკნელი სხვადასხვა მიზეზით არ არის წინადადებაში წარმოდგენილი.

რიცხვითი სახელი იხმარება არსებითთან ერთად (მის განსაზღვრებად)

ყველაზე ხშირად და ბუნებრივად რიცხვითი სახელი მაინც არსებითთან ერთად იხმარება. ესაა ყველაზე გავრცელებული და ტიპობრივი შემთხვევა რიცხვითი სახელების ხმარებისა. ეს ასეც უნდა იყოს: დათვლა და რაოდენობის ჩვენება მხოლოდ არსებითი სახელისა (საგნისა) შეიძლება. ამ შემთხვევაშიც, როგორც ვთქვით, ორივე ეს სახელი წრფელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. მაგალითები:

კაცსა ვისმე ესხნეს **ორ ძე**, მ. 21, 28; ლ. 15, 11; აჰა **სამ კაც** დგეს ზედა მისა, დაბ. 18, 2; ლაბანს ესხნეს **ორ ასულ**, იქვე, 29, 16; სიბას ესხა **ათხუთმეტ ძე** და **ოც მონა**, 2 მეფ. 9, 10; **ხუთ ქმარ** გესხნეს, ი. 4, 18; იყვნეს ჩუენ თანა **შჯდ ძმა**, მ. 22, 25 C; არა **ათორმეტ ჟამ** არს დღისაჲ, ი. 11, 9 C; მოიღო მური... ვითარ **ას ლიტრა**, ი. 19, 39 C; რომელი შორავს იერუსალჱმსა **ას სამეოც უტევან**, ლ. 24, 13; ოდეს-იგი დაეკშნეს ცანი **სამ წელ** და **ექუს თთუე**, ლ. 4, 25; ესე იყო ქურივ ვითარ **ოთხმეოც და ოთხ წელ**, ლ. 2, 37 C; (გუაქუს) **ხუთ ჴუეზა** და **ორ თევზ**. მრ. 6. 38 C; არა შორს იყვნეს ქუეყანასა, არამედ **ორას წყრთა** ოდენ, ი. 21, 8; ვქმნეთ აქა **სამ ტალავარ**, მ. 17, 4; იფარვიდა თაესა თჯსსა **ხუთ თთუე**, ლ. 1, 24; იყვნეს მჷმელნი იგა მის პურისანი **ხუთ ათას კაც**, მრ. 6, 44 C.

მაგალითები კმარა. შეიძლება დასკვნის სახით გავიმეოროთ, რომ რიცხვითი სახელისა და არსებითის შეთანხმება ძველ ქართულში ხდება წრფელობითს ბრუნვაში. ეს არის ძირითადი წესი, რომელიც უფრო ძველი ვითარების ასახვას წარმოადგენს.

წრფელობითი ბრუნვის გარდა, რიცხვითი სახელისა და არსებითის შეთანხმება ხდება სახელობითშიც. ეს განვითარების შემდგომი საფეხური

ასახვაა. იგი გვიჩვენებს წრფელობითი ბრუნვის თანდათანი რღვევისა და სახელობითი ბრუნვის თანდათანი ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროცესს. მაგრამ ორივე ამ საფეხურისათვის საერთო დამახასიათებელი თვისება ის გარემოებაა, რომ სახელები მხოლობითი რიცხვის ფორმით გვევლინება, აქ არ არის მრაელობითი. საკითხი არსებითად სახელობითში შეწყობილ სახელებს ეხება, რადგან წრფელობითს ბრუნვას, როგორც აღვნიშნეთ, არც გააჩნია ნარ-თანიანი მრაელობითი.

რიცხვითი სახელები ამ შემთხვევაშიც შეიძლება იყოს დაწოუკიდებლად ნახმარი და ახლდეს არსებითს სახელს განსაზღვრებად. მოვიყვანოთ მაგალითები:

რიცხვითი სახელები დამოუკიდებლად

გამოიღის (ნაყოფი) **ერთმან ოც და ათი** და **სამმეოცი** და **ასი**. მრ. 4, 8 C; და დასხდა მწყობრად-ბწყობრად **ახ-ასი** და **ერგასიხ-ერგასიხი**, მრ. 6, 40; მიიღე ჭელით-წერილი შენი და დაწერე **ოთხმეოცი**, ლ. 16, 7; აქმნა მას ზედა და შესძინა სხუაჲღა **ხუთი**, მ. 25, 16 და სხვა.

ყველა ამ მაგალითში ადვილად იგულისხმება არსებითი, რომელთანაც იხმარება რიცხვითი სახელი. პირველ მაგალითში ასეთი არსებითია **ნაყოფი**, მეორეში—**კაცები**, მესამეში—**საწნეხელი ზეთისაჲ**, მეოთხეში—**ქანქარი**. აქ არსებითი სახელები გამოტოვებულია სტილისტიკური მოსაზრებით, განმეორების ასაცილებლად. ამნაირი შემთხვევები საერთოდ ცოტაა.

რიცხვითი სახელები არსებითთან ერთად

ორი თევზი, მ. 14, 17; სამი ტალავარი, მრ. 9, 5 C; ოთხი წილი, ლ. 19. 8 C; ხუთი ქანქარი, მ. 25, 15; შჳდი პური, მ. 15, 34; ათი მნაჲ, ლ. 19, 13; ათორმეტი გოდორი, მ. 14, 20; ათრვამეტი წელი, ლ. 13, 16; ოც და ათი ვეცხლი, მ. 26. 15; ოც და ათრევამეტი წელი, ი. 5, 5; ასი დრაჰკანი. მ. 18. 28; მოიღო მან ორასი ჴუეზაჲ პური და ორი საწყაული ღჳნოჲ და ხუთი ცხოვარი მომზადებული და ხუთი ჯჳმირი ჭალი და ჯჳმირი ერთი სკიჭი. ორასი ლეღჳს-კუერი, 1 მეფ. 25, 17; ოთხასი ათასი კაცი, მსაჯ. 20, 2; გარდაუწყო მას ექუსი საწყაული ქრთილი, რუთ 3, 15 და სხვა.

რიცხვითი და არსებითი სახელობითს ბრუნვაში უმთავრესად მაშინ არის წარმოდგენილი, როცა ეს არსებითი ქვემდებარეა (ოცი წელი არს), ან პირდაპირი დამატება (გარდაუწყო ექუსი საწყაული ქრთილი). მაგრამ, როგორც ვნახეთ, აღნიშნული სახელები პირველ ხანებში ასეთ შემთხვევაშიც წრფელობითს ბრუნვას მიმართავდა (ორ კაც გამოჩნდეს, შთაისხის თითოეულმან მათგანმან ორ ანუ თუ სამ საწყაულ). ამიტომ სრულებით არ არის გასაკვირი, თუ ერთი და იგივე მაგალითი ხან ერთი სახითაა მოცემული, ხან ეორით, ე. ი. რიცხვითი არსებითთან ხან წრფელობითშია შეწყობილი, ხან სახელობითში. ასეთია, მაგალითად:

(გუაქუს) ხუთ ჴუეზა და ორ თევზ (მრ. 6. 38 C). მაგრამ: ხუთი პური და ორი თევზი (იქვე DE); დაეყო წიდოენებასა შინა ათურამეტ წელ (მ. 9. 20 D).

მაგრამ:... ათორნეტი წელი (იქვე E); ვქმნეთ აქა სამ ტალავარ (მრ. 9. 5 DE). მაგრამ: ვქმნეთ სამი ტალავარი (იქვე C) და სხვა.

აქედან გამოდის, რომ **ორ თევზ** და **ორი თევზი** ძველ და ახალ ფორმებად უნდა ჩავთვალოთ. მათ სხვადასხვა ფუნქცია არ გააჩნიათ.

4. რიცხვითი სახელის არსებითთან მრავლობითში შეწყობის საკითხი

როგორ დგას რიცხვითისა და არსებითის მრავლობითს რიცხვში შეწყობის საკითხი? რა ურთიერთობაშია ერთმანეთთან **ორი თევზი** და **ორნი თევზნი**? ამ საკითხზე ზემოთ (გვ. 470) ნაწილობრივ უკვე იყო საუბარი. ზემორე განხილული მაგალითები (ორ თევზ, ორი თევზი) ცხადად გვიჩვენებს, რომ თავდაპირველად რიცხვითი სახელი არსებითს მხოლობითს რიცხვში ეწყობოდა. ეს გასაგებიცაა: რიცხვითი სახელის თვით ბუნება განსაზღვრავდა ამას: იგი ხომ გარკვეულ რიცხვზე მიუთითებს, თავისი **ფუძით** უჩვენებს გარკვეულ რაოდენობას, ამიტომ სხვა, მეორე საშუალებით, მრავლობითის **ფორმით** მისი გამოხატვა აღარ წარმოადგენდა საჭიროებას. მაოლოდ შემდეგ, დროთა ვითარებაში, სხვადასხვა მიზეზის გამო, რომელთა შორის მეზობელი ენების გავლენას ვერ გამოვრიცხავთ, ხდება მრავლობითს რიცხვში შეთანხმება, რიცხვითსა და არსებითს უჩნდება მრავლობითობის ნიშნები. ეს გარემოება წარმოადგენს რიცხვითისა და არსებითის ბრუნვასა და რიცხვში შეწყობის **მესამე** საფეხურს: ორ თევზ, ორი თევზი, ორნი თევზნი,—ასეთია ამ პროცესის განვითარების სამსაფეხურიანი ხაზი. ძველ ქართულში ჩვენ გვაქვს სამივე სახის მაგალითები. პირველ ორზე ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი, ახლა უფრო ახლო განვიხილოთ მესამე.

პირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავლობითობის ნიშნად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც **ებ**, ისე **ნარი** და **თანი**. მაგრამ მათ შორის პრინციპული სხვაობაა. აქ ჩვენ მხედველობაში ის კი არა გვაქვს, რომ **ებიანი** მრავლობითი ზმნას მრავლობითს რიცხვში ჩვეულებრივ ვერ ითანხმებს, არამედ ის, რომ **ებ** სუფიქსი შეიძლება დაერთოს მხოლოდ არსებითს სახელს, მაგრამ არასდროს რიცხვითს, მაშინ როდესაც **ნარი** და **თანი** თანაბრად ერთვის როგორც არსებითს, ისე რიცხვითს. არ შეიძლება **ნარი** და **თანი** ხმოლოდ არსებითს ერთოდეს და არ ჰქონდეს რიცხვითს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მრავლობითს რიცხვში ნამდვილი **შეთანხმება** მხოლოდ ნარ-თანიან მრავლობითში გვაქვს. **ებიანი** მრავლობითი **შეთანხმებას** არც გვიჩვენებს, ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცალმაგ დამოკიდებულებას განსხატავს. მოვიყვანოთ ამ უკანასკნელის ორიოდე მაგალითი: **ოთხი ეტლები** გამოვიდოდა შორის ორთა მთათა, ზაქარ. 6, 1. ეს მაგალითი მკაფიო ილუსტრაციაა ზემოთ აღნიშნულისა: **ებ** მხოლოდ არსებითს აქვს (ეტლ-**ებ**-ი), რიცხვითს ის არ გააჩნია (ოთხი), **თ-ა** კი ორივეს მოეპოვება: ორ-**თ-ა** მთა-**თ-ა**. ეს არის მყარი წესი, რომელმაც გამონაკლისი არ იცის. სხვა მაგალითები:

ერგასიხი ღილები უქმნე ერთ კერძოსა მას · მეორესა ეზოსა შესაკინძველად, გამოსლვ. 26. 5: და ჰქმნე **კარშიკები ერგასიხი** ოქროჲსაჲ, იქვე, 26, 6; **ახი სუეტის-თავები** ასისა მის ქანქარისაჲ, იქვე. 39. 5.

როცა ნარი და თანი არის წარმოდგენილი, ისინი, როგორც ვთქვით, ორივეს (რიცხვითსა და არსებითს) აქვს.

მაგრამ აქ იბადება ახალი კითხვა: ხომ არ არის რაიმე განსხვავება მხოლობითისა და მრავლობითის ფორმებს შორის? სხვადასხვა შემთხვევაში ეს არ იხმარება მხოლობითი და მრავლობითი. ვთქვათ, ორი დრაჰკანი და ორნი ავაზაკნი, ორი სამოსელი და ორნი კაცნი, სამი ტალავარი და სამნი ძმანი, შვიდი პური და შვიდნი ეშმაკნი და სხვა.

აქ ორნაირი ფორმის სხვადასხვა ფუნქციით ხმარებასთან არ უნდა გვქონდეს საქმე. ამას ყველაზე მეტად ადასტურებს ისეთი შემთხვევები, როცა ერთი და იგივე რიცხვითი და არსებითი ხან მხოლობითის. ხან მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი. მაგალითად: ორი თევზი, მ. 14, 17; მრ. 6, 41 DE და: ორნი თევზნი. მრ. 6. 41 C: ორი ბწყულილი, ლ. 21, 2 და: ორნი ბწყულილნი. მრ. 12. 42; შვიდი პური, მ. 15, 34; მრ. 8, 6 DE და: შვიდნი იგი პურნი. მრ. 8, 6 C; შვიდი ეშმაკი. მრ. 16, 9 და: შვიდნი ეშმაკნი, ლ. 8, 2; ხუთი ეზოჲ, გამოსლვ. 26. 3 და: ხუთნივე იგი ეზონი, იქვე; ხუთი იგი პური, მ. 14, 19 და: ხუთთა მათგან პურთა ქრთილისათა, ი. 6, 13 და სხვა.

მხოლობითი და მრავლობითი სხვადასხვა სახელთან სხვადასხვანაირად რომ იყოს ნახმარი, ასე განურჩევლად არ გვექნებოდა გამოყენებული **ორივე** შემთხვევა **ერთსა და იმავე** სახელთან. აქ. ცხადია, არჩევანი თავისუფალია: ენა ხან მხოლობითს მიმართავს, ხან მრავლობითს. მაგრამ ერთი კია აღსანიშნავი: **უფრო მეტად** მრავლობითი რიცხვის ფორმები თითქოს მაშინ გვაქვს, როცა არსებითი სახელი **სულიერი** საგნის სახელს წარმოადგენს, ხოლო მხოლობითისა მაშინ, როცა **უსულო** საგნის სახელებთან გვაქვს საქმე. ამიტომ გვაქვს, ერთი მხრივ: ორნი ავაზაკნი[1], ორნი ანგელოზნი, ორნი ბრმანი, სამეოც და ათნი მოხუცებულნი, ორნი ვაცნი, ორნი გურიტნი, ორნი კაცნი, ორნი მოწაფენი. ორნი ძენი. ორნი ძურის-მოქმედნი, ორთა უფალთა, შვიდნი ძმანი, ხუთნი ძმანი, ხუთნი ქალწულნი, ათთა მონათა, ოთხნი მეფენი. ორნი ასულნი, ორნი ცოლნი. ორნი მკვეალნი, ათორმეტნი ყრმანი, შვიდნი ზროხანი. ორნი ცხოვარნი და სხვა მრავალი. ეგვი არაა, რიცხვითი სახელების მრავლობითში შეწყობა, უაირველეს ყოვლისა, სწორედ ამ ტიპის სახელებში პოვებდა გავრცელებას.

მეორე მხრივ, როგორც აღნიშნული გვქონდა, გვაქვს: ოთხი წელი, ოთხი დღე, ორი კუართი, ორი მწყულილი, ორი სამოსელი, ორი ქანქარი, ასი ლიტრაჲ. ასი მარი. ასი სათუელი, ასი საწნეხელი, ხუთი დრაჰკანი, ოც და ათი ვეცხლი, ოც და ათრვამეტი წელი, სამი დღე, სამი ტალავარი, ხუთასი დრაჰკანი, ექუსი საწყაული. ოც და ათი სატირი, შვიდი პური და სხვა.

---

[1] რადგანაც ამგვარი ფორმები ძალიან გავრცელებულია ძველ ქართულში, ადგილებს აღარ ვეძებთ. ისე კი ყველა ტექსტებიდანაა ამოღებული.

აქ ჩვენ მივუთითეთ, თუ როდის გვხვდება **უმთავრესად** რიცხვითი და არსებითი მრავლობითში და როდის—მხოლობითში. აქაა, მაშასადამე, **უფრო მეტი** გავრცელების საკითხი და არა წესი. აქ აღნიშნული წესს რომ წარმოადგენდეს, მაშინ აღარ გვექნებოდა მხოლობითში შეწყობა სულიერი საგნის სახელებთან და მრავლობითში—უსულო საგნის სახელებთან. ასეთები კი გვაქვს, და გვაქვს კარგა ბლომად. მაგალითად: ასეთია, ერთი მხრივ: ოთხასი კაცი, ხუთი ზროხაჲ, ასი ცხოვარი, ორი თევზი, ხუთი სირი, ათი ჯორი, ათი ვირი და სხვა. ასეთია, მეორე მხრივ: ღღენი რვანი, სამნი პურნი, ხუთთა ქალაქთა, ორნი მწულილნი, ორნი ნავნი, ორნი ფშიტნი, ორნი ფერვნი, ორნი ჴელნი, ექუსნი ღღენი, სამნი ჭურნი, სამნი ლანკნანი, შჳდნი თავნი ჴუვილისანი, შჳდნი წელნი, ათასნი ვენაჴნი, ოთხნი გრკალნი, ექუსნი რტონი, ოთხნი ტაკუკნი, ორნი იგი ფიცარნი, შჳდნი სანთელნი, ორნი თირკუმელნი და სხვა.

შევნიშნავთ აქვე, რომ ადამიანის სხეულის ის ნაწილები. რომლებიც ადამიანს ორი აქვს, რიცხვითს სახელს მუდამ (ნარ-თანიან) მრავლობითში იწყობს: ორნი ჴელნი, ორნი ფერვნი, ორნი თუალნი, ორნი ყურნი, ორნი თირკუმელნი, ორნი ღაწუნი (ორნი ყურიმალნი), ორნი გუერდნი და სხვა (და არა: ორი ფერჳ, ორი ჴელი და სხვა). აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამნაირ სახელებს არასდროს არა აქვს ებიანი მრავლობითი: ორი ჴელები, ორი ფერჳები და სხვა.

მაგრამ. როდესაც რიცხვითი სახელი (ორი) არ ახლავს, ამნაირი არსებითი სახელი თავისუფლდება აღნიშნული შეზღუდვისაგან და უძველესი ნორმების მიხედვით წრფელობითს ბრუნვაში დგას, თუმცა მრავლობითი რიცხვის გაგება კი აქვს, მაგალითად: **თუალ** გასხენ და არა ხედავთ, და **ყურ** გადგან და არა გესმის, მრ. 8, 18 C. **თუალ**-სა და **ყურ**-ში აქ ნაგულისხმევია თვალები (ორი თვალი) და ყურები (ორი ყური). თუმცა თვით ეს სახელები მხოლობითის ფორმით არის მოცემული. რომ აქ ეს სახელები მრავლობითის შინაარსით არის ნაგულისხმევი (ორი თვალი. ორი ყური), ეს იქიდანაც ჩანს, რომ ზმნას ორივე შემთხვევაში მრავლობითის ფორმით იწყობს: გ-ა-**ხხ-ენ**, ჴ-ა-დგ-**ან**. ერთზე იქნებოდა გ-ა-დგ-ხ.

მაგრამ, ასეა, თუ ისე, მაინც უნდა დავასკვნათ, რომ არჩევანი—მხოლობითის ფორმებს უნდა მიმართონ, თუ მრავლობითისას—თავისუფალია. ასე იყო საქმე ძველ ქართულში. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს არ იყო უძველესი მდგომარეობის გამოხატულება. უფრო ძველად, როგორც აღნიშნული გვქონდა, რიცხვითი და არსებითი ერთმანეთს მხოლობითში ეწყობოდა (ორ კაც. ორ თევზ, ორი კაცი. ორი თევზი). ძველ ქართულში შემოჰრჩილი მოვლენა—რიცხვში შეწყობის არჩევანი თავისუფალი იყოს,—შემდეგ და შემდეგ თანდათან სუსტდება და ქრება და ახალი ქართული ამ მხრივ უკვე დაუბრუნდა უძველეს ეითარებას: დღეს რიცხვითი და არსებითი ერთმანეთს მხოლოდ მხოლობითის ფორმით ეწყობა: ორი კაცი. შვიდი ძმა. ხუთი ქალი. ორი თევზი და სხვა. „შვიდნი ძმანი გურჯანელნი“ მხოლოდ სიმღერაშია შემორჩენი-

ლი. რაც ძველი დროებიდან მომდინარეობს და დღეს გაქვავებული ფორმითაა დაცული.

დაახლოებით ეგეევე უნდა ითქვას განუსაზღვრელი რიცხვითის—მრავლის—შესახებაც: ისიც ხან მბოლობითში ეწყობა არსებითს, ხან მრავლობითში. ამიტომ, ერთი მხრივ, გვაქვს: ნაყრფი მრავალი, ი. 15, 5; ჟამი მრავალი, ბხ. 6, 35 C; ერმან მრავალმან, ი. 12, 9 C., ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი ფორმებიც არის: მრავალნი გუამნი, მ. 27, 52; ერნი მრავალნი, მ. 12, 15 C; მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი, მ. 9, 10; მრავალთა მდიდართა დადევს ფრიად, ბრ. 12, 41 და სხვა.

5. რიცხვების ასოებით გამოხატვა

რიცხვებს ძველად ჩვეულებრივ სიტყვებით წერდნენ. თუმცა არაბული ციფრების გამოყენების ნიმუშები უკვე X საუკუნიდან გვხვდება, „მაგრამ მაინც ციფრების საყოველთაოდ ხმარებამ ჩვენში გვიან მოიკიდა ფეხი: მეთვრამეტე საუკუნემდის რიცხვების გამოსახატავად ასოებს ხმარობდნენ ჩვეულებრივ“ [1].

ჩვენი ანბანის პირველი ცხრა ასო ერთეულებს გამოხატავდა (ა=1, ბ=2, გ=3, დ=4, ე=5, ვ=6, ზ=7, ჱ=8, თ=9), შემდგომი ცხრა—ათეულებს (ი=10, კ=20, ლ=30, მ=40, ნ=50, ჲ=60, ო=70, პ=80, ჟ=90), შემდგომი ცხრა—ასეულებს (რ=100, ს=200, ტ=300, ჯ=400, ფ=500, ქ=600, ღ=700, ყ=800, შ=900), ხოლო უკანასკნელი ცხრა—ათასეულებს (ჩ=1000, ც=2000, ძ=3000, წ=4000, ჭ=5000, ხ=6000, ჴ=7000, ჯჳ=8000, ჰ=9000). ანბანის უკანასკნელი ასო ჯ 10.000-ს აღნიშნავდა, ამ რიცხვს ბევრი უწოდებოდა. ნულისათვის არ არსებობდა სათანადო ნიშანი, ამიტომ მისი ადგილი ცარიელი იყო, მაგალითად: 101 ორი ნიშნით გადმოიცემოდა: რა (ას და ერთ), 5002-ც ორი ნიშნით გადმოიცემოდა ჯ'ბ (ხუთ ათას და ორ) და სხვა. როდესაც ასოებს რიცხვების გამოხატვა ჰქონდათ დაკისრებული, მათ ქარაგმით წერდნენ. ასოების რიცხობრივი მნიშვნელობის შესახებ გამოკვლევა აქვს ა. შანიძეს და ამიტომ აქ აღარ განვაგრძობთ სიტყვას. დაინტერესებულ პირთ იქ შეუძლიათ ნახონ სხვა საჭირო ცნობები [2]. დასასრულ, მოვიყვანთ ასოების რიცხობრივი გამოყენების რამდენიმე ნიმუშს:

11=ია, 15=იე, 18=იჱ, 19=ით; 22=კბ, 24=კდ, 27=კზ, 28=კჱ; 33=ლგ, 44=მდ, 56=ნვ, 61=ნა, 77=ოზ, 89=პთ, 94=ჟდ; 103=რგ, 106=რვ, 109=რთ, 111=რია, 115=რიე, 118=რიჱ, 124=რკდ, 176=როვ, 237=სლზ, 345=ტმე, 499=ჯჟთ, 518=ფიჱ, 652=ქნბ, 777=ღოზ, 821=ყკა, 987=შჴზ; 1007=ჩზ, 1016=ჩივ, 1275=ჩსოე, 1955=ჩშნე, 2345=ცტმე, 3333=ძტლგ, 4444=წჯმდ, 5183=ჭრპგ, 6001=ხა, 7800=ჴყ, 8070=ჯო, 9002=ჰბ, 9060=ჰჲ, 9011=ჰია, 9111=ჰრია; 10000=ჯ, 10006=ჯვ, 10025=ჯკე, 12800=ჯცყ, 15694=ჯჴქდ და სხვა.

---

[1] ა. შანიძე, რიცხობრივი მნიშვნელობა ასოებისა: ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1953, გვ. 314.

[2] ნ. დასახელებული ნაშრომი.

6. რაოდენობით რიცხვითთაგან ნაწარმოები სიტყვები

რაოდენობითი რიცხვითი სახელებიდან იწარმოება სხვადასხვა სიტყვა. ეულ სუფიქსის გამოყენებით გვაქვს ნაწარმოები ხუთ-ეულ-ი, შვდ-ეულ-ი, ათ-ეულ-ი, ოცდაათ-ეულ-ი, ერგას-ეულ-ი (ერგასის-ეულ-ი), სამოც-ეულ-ი, ას-ეულ-ი, ბევრ-ეულ-ი და სხვა. ყველა ამ წარმოებას ერთნაირი ბნიშვნელობა არა აქვს.

ა) **ხუთეული** ნიშნავს მეხუთედს, მეხუთედს ნაწილს; **ათეული** ნიშნავს მეათედს, მეათედს ნაწილს. ამის მაგალითებია:

და ყავნ ესრეთ ფარაო და დაადგინენინ ადგილთა მთავარნი ქუეყანასა ზედა და **ხუთეული** აღიღედ ყოველისაგან ქუეყანისა ეგჳპტისაჲსა შჳდთა ამათ წელთა ნაყოფიერებისათა, დაბ. 41, 34. შდრ. რუს. თარგმანი: ...и собирать в семь лет изобилия **пятую** часть всех произведений земли Египетской.

...მოიღებთ **ათეულსა** პიტნაკისა და ცერეცოჲსასა და ძირაკისასა, მ. 23, 23. რუს. თარგმანი: даете **десятину** с мяты, аниса и тмина; **ათეულსა** შევსწირავ ყოველისაგან მონაგებისა ჩემისა. ლ. 18, 12. რუს. თარგმანი: даю **десятую** часть из всего, что приобретаю; რაოდენი-რაჲ მომცეს მე, **ათეული** მიგცე შენ, დაბ. 28, 22, რუს. თარგმანი: ...я дам тебе **десятую** часть.

ახალმა სალიტერატურო ქართულმა სრულებით არ იცის ამ წარმოების ამგვარი მნიშვნელობა. **ათეული** დღეს არის „საანგარიშო ერთეული, რომელიც ათ ცალს შეიცავს“ (ქართ. ენის განმარტ. ლექსიკონი, ტ. I, 1950).

ბ) **შჳდეული** (აბო 188, 5 და სხ.) ნიშნავს კვირის 7 დღეს, ერთ კვირას (неделя). ამ სიტყვის სინონიმი იყო ძველ ქართულში **მსგეფსი** (ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, 1946, 68, 22; 104, 21).

გ) სხვა მნიშვნელობით იხმარებოდა **ოცდაათეული, სამოცეული** და **ასეული**. ესენი შესაბამისად აღნიშნავდნენ: ერთი ოცდაათად, ერთი სამოცად, ერთი ასად, ე. ი. ოცდაათჯერ, სამოცჯერ, ასჯერ მეტს. ამ სიტყვების ეს მნიშვნელობა ჩანს შემდეგი ადგილებიდან:

სხუაჲ (თესლი) დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა, აღმოვიდოდა და აღორძნდებოდა და მოაქუნდა **ოცდაათეული, სამოცეული** და **ასეული**, მრ. 4, 8; ნაყოფი გამოიღიან **ოცდაათეული, სამოცეული** და ასეული, მრ. 4, 20. ადიშის ოთხთავში აღარაა ასეთი წარმოება, მაგრამ მისი გამოთატვის ფორმა უფრო გასაგებს ხდის **ოცდაათეულისა** და მის მსგავს ფორმათა მნიშვნელობას, მაგალითად: (ნაყოფი) გამოიღის ერთმან ოც და ათი და სამმეოცი და ასი, მრ. 4, 8 C. ეგევე მეორდება მეორე მითითებულ ადგილასაც: ნაყოფი გამოიღიან: ერთმან ოც და ათი, ერთმან სამმეოცი და ერთმან ასი, მრ. 4, 20 C. ამ მაგალითებში „ოცდაათეული“ და „ერთმან ოც და ათი“=ერთი ოცდაათად, ე. ი. ოცდაათჯერ მეტი; „სამოცეული“ და „ერთმან სამმეოცი“=ერთი სამოცად, ე. ი. სამოცჯერ მეტი; „ასეული“ და „ერთმან ასი“=ერთი ასად, ე. ი. ასჯერ მეტი.

არსებითად ასეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს **ბევრეულ**-საც, რომლის მნიშვნელობაცაა: ათი ათასი, ათიათასობით, ე. ი. მრავალი.

აქედან ჩანს, რომ **ეულ**-ს **ჯერ**-ის მნიშვნელობა აქვს ორივე შემთხვევაში (ა, გ): ხუთეული=ხუთჯერ (ნაკლები), ათეული=ათჯერ (ნაკლები), ოცდაათეული=ოცდაათჯერ (მეტი), სამოცეული=სამოცჯერ (მეტი), ასეული=ასჯერ (მეტი).

დ) **ოცდაათეული**, კერძოდ, საწყაოს საზომი იყო და დაახლოებით 10 კოდს (30 ფუთს) უდრიდა (ლ. 16, 7). მისი შესატყვისი სიტყვაა აგრეთვე სათეული (იქვე C).

ე) **ერგასეული** (**ერგასისეული**) ნიშნავდა: ორმოცდაათ-ორმოცდაათს, ორმოცდაათობით, по пятидесяти (ლ. 9, 14).

რიცხვით სახელთაგან წარმომდგარია აგრეთვე სხვადასხვა სახის კომპოზიტები, სახელები, ზმნები და სხვ., როგორიცაა: ათასის-თავი, ერგასის-თავი, ასის-თავი, ათის-თავი, ათ-ქალაქი [1]. ერთ-ბამად, ერთ-თუალი (=ცალთვალა), ერთ-კერძო, ერთ-შაბათი (=კვირა, воскресенье), ერთ-ჴელი (=ცალხელა), ერთ-გუამი, ერთ-ზრახვა (=ერთი აზრისა), ერთ-ნება (=ერთი ნებისა), ექუს-ფრთე (ექვსფრთიანი), ერთ-არსება, ერთ-არსი, ერთ-სული, ორ-გან, ორ-გული (ცბიერი, лукавый, лицемерный), ორ-გულება (შეეჭვება), ოთხ-ფერჴი (გამოსლვ. 8, 16), ოთხ-მუჴლედი, ოთხ-კერძო, ორ-კეცი, ორ-თოჴი, სამ-გუამოვნება. სამ-ძალი, სამ-კეცი, სამ-კედელი, სამ-ჟამი. ცხრა-ჟამი, მო-ათ-ეესება [= მეათედის მიცემა (გადასახადში)] და სხვა.

ასეთივე კომპოზიტებია აგრეთვე: თითო-სახე, თითო-ფერი, თითო-პირი, მრავლის-მეტყუელი, მრავლის-მეტყუელება, მრავალ-სასყიდლისა, მრავალ-სახე, მრავალ-მოწყალე, მრავალ-ძალი და სხვა.

7. რიგობითი რიცხვითი სახელები

რიგობითი რიცხვითი სახელი ნაწარმოებია სათანადო რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძისაგან თავში **მე**-ს და ბოლოში **ე**-ს დართვით [2]. ასეა მიღებული **მე-ორ-ე**, **მე-სამ-ე**, **მე-ათ-ე** და სხვა. რთული სახელებიც ასე იწარმოება: **მე-ათერთმეტ-ე**, **მე-ათორმეტ-ე** **მე-ორმეოც-ე**, **მე-ერგასის-ე** და სხვა. მაგალითები:

მეორე: და მოვიდა **მეორე** იგი (მონაჲ) და თქუა, ლ. 19, 18; **მეორე-მან** შეირთო იგი და მოკუდა, მრ. 12, 21; წელიწადსა **მეორესა**. დაბ. 17, 21.

მეორე-ს ძველ ქართულში უდრიდა აგრეთვე **მერმე**, რომლის შედგენილობიდანაც შეიძლება გამოიყოს იგივე **მე--ე** აფიქსები: იყო მუნ მარიამ მაგდანელელი და **მერმე** მარიამი, მ. 27, 61 C (DE-ში=**ხსუაჲ** მარიამ; რუს.: **другая** Мария); უკუეთუ მიერცა გდევნიდენ თქუენ, წარიელტოდეთ მიერ **მერმესა** (ქალაქსა), მ. 10, 23 C. ამ მნიშვნელობის გამო-

[1] საკუთარი სახელია, Ἀκκιπόλις.

[2] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 40.

ეს სიტყვა ნ. მარს სვანური წარმოშობისად მიაჩნდა[1], მაგრამ იგი ცთებოდა.

მესამე: მერმე კუალად მოავლინა **მესამჱ** (მონაჲ), ლ. 20, 12: ეგრეევე (ყო) მეორემან და **მესამემან** ვიდრე შჳდამდე, მ. 22, 26; გამოვიდა **მესამეჲა** ჟამსა, მ. 20, 3.

მეოთხე: **მეოთხჱ** დღჱ არს, ი. 11, 39; **მეოთხესა** საჴუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა იესუ, მ. 14, 25.

მეხუთე: **მეხუთჱ** ნათესაჲ, გამოსლვ. 13, 18.

მეექუსე: ვითარცა იყო ჟამი **მეექუსჱ**, ჩრ. 15, 33; ესე **მეექუსჱ** თთუჱ არს მისი, ლ. 1, 36; თთუესა **მეექუსესა** მოივლინა გაბრიელ ანგელოზი, ლ. 1, 26.

მეშჳდე: დღჱ იგი **მეშჳდჱ** წმიდა წოდებულ იყოს თქუენდა, გამოსლვ. 12, 16; გუშინ **მეშჳდესა** ჟამსა დაუტევა იგი სიცხემან, ი. 4, 52.

მერვე: **მერვესა** მას დღესა მოვიდეს წინა-დაცუეთად ყრმისა მის, ლ. 1, 59 C.

მეცხრე: განვიდა მეექუსესა და **მეცხრესა** ჟამსა, მ. 20, 5; ექუს ჟამითგან დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ვიდრე **მეცხრედ** ჟამადმდე, მ. 27, 45.

მეათე: ჟამი იყო ვითარ **მეათჱ**, ი. 1, 39.

მეათერთმეტე: **მეათერთმეტესა** ჟამსა განვიდა და პოვნა სხუანი მდგომარენი, მ. 20, 6; მოვიდეს **მეათერთმეტისა** ჟამისანი, მ. 20, 9.

მეათცამეტე: ათორმეტ წელ ჰმონებდეს ქოდოლაგომორს, ხოლო **მეათცამეტესა** წელსა განდგეს, დაბ. 14, 4. გვხვდება სრულიად ახალი წარმოებაც: **მეცამეტე**: ქრონიკონი იყო **მეცამეტედ** ქცეული რ^გგ. პარხლის ოთხთავის ანდერძი, ფ. 237.

მეათოთხმეტე: **მეათოთხმეტესა** წელსა მოვიდა ქოდოლაგომორ, დაბ. 14, 5.

მეათხუთმეტე: წელსა **მეათხუთმეტესა** ტიბერის კეისრისასა, ლ. 3. 1; და იყოს თქუენდა დამარხულ ვიდრე **მეათხუთმეტედ** დღედმდე, გამოსლვ. 12, 6.

მეათშჳდმეტე, მეაჩჳდმეტე: ხოლო შემდგომად იერუსალჱმისა წარტყუენვითგან **მეათშჳდმეტესა** წელსა, წარტყ. 65, 21.

ასე იწარმოება აგრეთვე ოცეულები (ჩვეულებრივ), ასეულები (ცალკე და ერთეულებით) და სხვა. მაგალითად:

მეორმეოცე: და დაჰჴშა კარი და წარვიდა და **მეორმეოცესა** დღესა მივიდა მისა და ჰრქუა, პარხ. 204 b; და ვითარცა იყო განთიადი **მეორმეოცესა** დღისაჲ, შეკრბეს ერი მრავალი, არიმ. 69, 93, 1.

მეასე: ესე არს **მეასჱ** იგი ცხოვარი, ბოლნ. 27, 21.

მეხუთასე: **მეხუთასით** წლით მოვიდის ხეთა ლიბანისათა, სახისმეტ. (ისტ. ქრესტ. 281, 21).

---

[1] ნ. მარი, Грам. 81.

ასი და ერთეულები, როგორც ვთქვით ზემოთ, ძველად შეერთებული იყო და კავშირით: ას და ერთი, ას და ორი, ას და სამი, ას და ოთხი, ას და ხუთი... ას და ათერთმეტი, ას და ათორმეტი... ას და ათხუთმეტი... ას და ათრვამეტი და სხვა.

რიგობითად ქცევისას ეს რიცხვები მე-ს ირთავდნენ ერთეულების წინ, „ას და“-ს შემდეგ, მაგალითად:

ას და მეორე: იყო გარდაცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ახ და მეორესა წელსა, ხანძთ. 154, 13,

ას და მეჩჳდმეტე: მესამე ფსალმუნი ახ და მეჩჳდმეტე, წარტყ. 46, 19.

ას და მეათრვამეტე: იტყოდა ფსალმუნსა ამას ახ და მეათრვამეტესა, აბო 194, 33.

ას და მეცხრამეტე (ას და მეათცხრამეტე): პირველი ფსალმუნი ახ და მეცხრამეტე, წარტყ. 46, 16.

ას და მეოცე: მეორე ფსალმუნი ახ და მეოცე, წარტყ. 46, 17.

დიდი რიცხვებიც (ათასეულები და სხვა), რომელნიც შეიცავდნენ ასეულებს, ოცეულებსა და ერთეულებს, მე-ს ოცეულების შემდეგ (ე. ი. ერთეულების წინ) ირთავდნენ:

დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუს ათას ხუთას ორმეოც და მეათხუთმეტესა წელსა, ხანძთ. 154, 15. ასეთი წესი დღესაც ძალაშია.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ უძველეს ხელნაწერებში რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება ოცეულებისაგან ზოგჯერ განსხვავებული იყო იმისაგან, დღეს რომ გვაქვს, სახელდობრ: მე ემატებოდა არა ერთეულებს, არამედ ოცეულებს, მაგალითად:

ვიდრემდის დასცეს ზღუდჱ ქალაქისაჲ მეოცდაერთესა დღესა, წარტყ. 16, 3; თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, ლ. 3, 23.

დღეს ჩვენ ვიტყოდით: ოცდამეერთესა, ოცდამეათესა.

ზოგჯერ ოცეულსაც აქვს მე—ე აფიქსები და ერთეულსაც, ორივეს სრულად და დამოუკიდებლად, მაგალითად: წელსა მეოცდაათესა და მეორესა არტაშჱსს, მეფისა ბაბილონელთაჲსა, შეველ მე წინაშე მეფისა, ნეემია 13, 5 (რუს. თარგმანი: в тридцать втором году); დღეს გვექნებოდა: ოცდამეთორმეტესა.

ხანდახან პრეფიქსი გვაქვს ორმაგი: ერთი — ოცეულის წინ, მეორე — ერთეულისა; სუფიქსი კი ერთია, ის ერთეულს მოსდევს, მაგალითად:

რამეთუ ვარ მეოცდა მეათექუსმეტჱ მეფჱ, ვინაჲთგან მამანი ჩუენნი მოავლინნეს, მოქც. 43, 2. დღეს გვექნებოდა: ოცდაშეთექვსმეტე.

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება ოცეულებისაგან ვერ იდგა მყარ ნიადაგზე: პრეფიქსი მე ძალზე მერყეობდა: იგი ხან ოცეულების წინ იყო (მეოცდაათესა), ხან აქაც და ერთეულების წინაც ერთდროულად (მეოცდამეათექუსმეტჱ); ხანაც ოცეულებს ცალკე ჰქონდა თავისი პრეფიქს-სუფიქსი და ერთეულებს ცალკე (მეოცდაათესა და მეორესა). შემდეგ და შემდეგ ეს წესი დაიხვეწა და მე ერთეულების წინ დაკანონდა. ახალ სალიტერატურო ქართულში აძ მე-ს ხმარება ერთეულების

წინ ურყევ კანონად ითვლება, თუმცა ცოცხალ სალაპარაკო ენაში იგი ძველებურად შეიძლება ოცეულების წინაც იდგეს.

ერთს რიგობითად **პირველი** შეეფერება. ასე გვაქვს ეს ძველ ქართულშიც. მაგრამ რთულ რიცხვითს სახელებში (ოცეულებთან და ასეულებთან) მაინც მოსალოდნელი **მე-ერთ-ე** გვაქვს. ასე, მაგალითად, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, **ოც და ერთი** რიგობითად გვაძლევს **ოც და მეერთესა** (წარტყ. 16, 3; 66, 13) და არა **ოც და პირველსა.**

ერგასისის რიგობითი შესატყვისია **მეერგასისე: მეერგასისესა** მას დღესა სხდეს მოციქულნი, უდაბნ. 165 v2. ეს უფრო ძველი ვითარების ანარეკლია, ვიდრე ზემოთ მოყვანილი. „ექუს ათას ხუთას ორმეოც და მეათოთხმეტესა" წელსა, ხანძთ. 154, 15. უფრო ძველი ნორმების მიხედვით მოსალოდნელი იყო: „ექუს ათას და ხუთას და ერგასის და მეოთხესა" წელსა.

8. რიგობითი სახელების გამოხატვა ასოების საშუალებით

როცა რაოდენობითი რიცხვითი სახელები ასოებით იყო გადმოცემული და საჭირო იყო მათი გადაქცევა რიგობითად, ამ სახელს (ასოს ან ასოებს) წინ რიგობითობის მაწარმოებელ **მე** პრეფიქსს დაუწერდნენ, ბოლოში კი **ე** სუფიქსი არ იწერებოდა, მაგალითად:

მე-ბ	თავი,	აბო	184, 16[1]	= **მეორე**
მე-გ	დასდებელი,	ჰილ-ეტრ.	155, 4	= **მესამე**
მე-დ	დასდებელი,	„	155 v,1	= **მეოთხე**
მე-ე	დასდებელი,	„	156, 4	= **მეხუთე**
მე-ვ	დასდებელი,	„	157, 4	= **მეექუსე**
მე-ზ	დასდებელი,	„	157 v,7	= **მეეზდე**

ფსალმუნი	**მე-ბ,**	ჰილ-ეტრ.	160 v, 5	= **მეორე**
„	**მე-გ,**	„	160 v, 9	= **მესამე**
„	**მე-დ,**	„	160 v, 21	= **მეოთხე**
„	**მე-ე,**	„	161, 8	= **მეხუთე**
„	**მე-ვ,**	„	162, 3	= **მერვე**
	მე-თ,	„	162, 16	= **მეცხრე**
	მე-ი,	„	162 v, 7,	= **მეათე**
	მე-ია,	„	163, 2	= **მეათერთმეტე**
	მე-იბ,	„	163, 7	= **მეათორმეტე**

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში სათანადო რიცხვითი სახელი სახელობითს ბრუნვაშია წარმოდგენილი. თუ საჭირო იყო ამ საბელის სხვა ბრუნვაში დასმა, სათანადო ბრუნვის ნიშანს ბოლოს უწერდნენ. უფრო ხშირად ასეთ სახელებს მიცემითში ვხვდებით კვირის დღეების საბელებთან დაკავშირებით. მაგალითები:

[1] ასეა ხელნაწერში. გამოცემაში, ბუნებრივია, ეს რიცხვი სიტყვიერად არის წარმოდგენილი: **მეორე** (ნ. ისტ. კრებულ. 184, 16).

მე-ᲒᲒ-სა ორშაბათსა,	ჰილ-ეტრ.	94,4	= მესამესა
მე-ᲓᲓ-სა ორშაბათსა,	„	100 ν,7	= მეოთხესა
მე-ᲔᲔ-სა ორშაბათსა,	„	114, 16	= მეხუთესა
მე-ᲕᲕ-სა კრ-სა (=კუირიაესა),	„	118. 7	(= მეექუსესა)
მე-ᲖᲖ-სა ორშაბათსა,	„	140, 6	= მეშჳდესა:

როგორც დავინახეთ, დასდებელის სათვალავი რიგობითი სახელით აღინიშნებოდა. რიგობითი სახელითვე აღინიშნებოდა აგრეთვე კვირის დღეები. საათი. კვირის დღეების მაგალითები ზემოთ იყო მოყვანილი. აქ ვუჩვენებ საათის მაგალითებს („საათის“ ნაცვლად ძველად ჟამი იხმარებოდა):

იყო ჟამი მესამე, მრ. 15. 25; ვითარცა იყო ჟამი მეექუსე, მრ. 15, 33; ლ. 23, 44; ჟამი იყო ვითარ მეათე, ი. 1, 39; გამოვიდა მესამესა ჟამსა, მ. 20, 3; მერმე განვიდა მეექუსესა და მეცხრესა ჟამსა, მ. 20, 5; გუშინ მეშჳდესა ჟამსა დაუტევა იგი სიცხემან, ი. 4, 52.

თვეების რიცხვის სახელები რაოდენობითი სახელებით აღინიშნებოდა და, მაშასადამე, ასობით გამოხატვისას მას წინ პრეფიქსი მე არ ჰქონდა. მაგალითად:

თუესა მაისსა ᲖᲐ-სა, ჰილ-ეტრ. 185 ν, 15; თუესა აგუსტოსა ᲕᲐ-სა, ჰილ-ეტრ. 207, 5; თთუესა აგუსტოსა ᲒᲐ-სა... მასვე თთუესა აგუსტოსა ᲙᲕ-სა, ატენის წარწ. (ისტ. ქრესტ. 3).

ასევე მხოლოდ რაოდენობითი რიცხვითი სახელებით აღინიშნებოდა წლისა და ქრონიკონის რიცხვიც, მაგალითად: ქრონიკონსა ოᲒ-სა (=73). ისმაიტელთა წელსა ხᲚთ-სა (=239); იქვე.

9. წილობითი სახელები

წილობითი სახელები მიიღება რიგობითისაგან: ამ უკანასკნელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა აღებულია ახალ ფუძედ და შემდეგ იბრუნება ჩვეულებრივად: სამი—მესამე—მესამედ—მესამედი [1]. ასე: მეოთხედი, მეხუთედი, მეექუსედი, მეშჳდედი, მერვედი, მეცხრედი, მეათედი და სხვა. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი წარმოება ჩვეულებრივ არა გვაქვს ძველ ქართულში.

ამ ნაკლს ძველი ქართული სხვადასხვაგვარად ინაზღაურებდა:

ა) ზოგიერთ რიცხვითს სახელთან წილობითის მნიშვნელობით იხმარებოდა ეულ სუფიქსიანი ფორმები: ხუთეული (=1/5), ათეული (=1/10) და სხვა [2].

ასეთ ფორმებს ძველ ქართულშიც და ახალშიც სხვადასხვა მნიშვნელობა მოეპოვება. მაგრამ თუ ამ ფორმებმა. ამათ გარდა, კიდევ წილობითის გამოხატვაც იკისრეს. ეს გასაგებია: ენას არ ჰქონდა სპეციალური ფორმები წილობითი სახელებისათვის და ამ დანაკლისის შევსებაში გარკვეული სამსახური გასწია ეულის მსგავსმა წარმოებამ. მაგრამ შემდეგ, როცა წილადები-

[1] ა. შანიძე. გრამატ. საფუძვ. გვ. 137.

[2] ნ. ანის შეახებ აქვე ზემოთ, გვ. 479—480.

სათვის სპეციალური წარმოება იქნა ჩამოყალიბებული (თუ გამოყენებული), ოგორიცაა: მესამედი, მეოთხედი და სხვა, ეულ სუფიქსიანმა წარმოებამ (ხუთეული, ათეული) ნაწილობრივ ძველი შინაარსი დაიბრუნა (უფრო ნაკლებად), ნაწილობრივ კი სრულიად ახალი მნიშვნელობა შეიძინა—ისეთი საანგარიშო ერთეულის გამოსახატავად იქცა, რომელიც გარკვეულ ცალს შეიცავს: ხუთეული—5 ცალს, ათეული—10 ცალს, ოცეული—20 ცალს და ა. შ.

ბ) წილობითის მნიშვნელობით თვით რიგობითი სახელები იხმარებოდა, მაგალითად: ხოლო საწყაული იგი იყო **მეათჱ** ნაწილი სამისა მის საწყაულისაჲ, გამოსლვ. 16, 36. „**მეათჱ** ნაწილი“ აქ ნიშნავს „მეათედ ნაწილს“. ასეთივე აზრითაა ნახმარი **მეხუთჱ** შემდეგს ადგილას: და ნაყოფი მისი, რომელი იყოს, მოეცით **მეხუთჱ** ნაწილი მისი ფარაოს. ხოლო ოთხი ნაწილი იყავნ თავისა თქუენისა, დაბ. 47, 24. „**მეხუთჱ** ნაწილი“ აქ არის მეხუთედი, пятая часть (ასეცაა რუსულ თარგმანში). აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში რიგობითს სახელს ერთვის სიტყვა **ნაწილი**, რომელიც თითქოს თვითონ უჩვენებს წილობას.

გ) წილობის აღსანიშნავად იხმარება ქართულში **ნა**—**ალ** აფიქსები: ნა-სამ-ალ-ი, ნა-ოთხ-ალ-ი, ნა-ათ-ალ-ი და სხვა[1]. ამნაირი წარმოება ძველ ქართულშიც გვაქვს და რამდენადმე ისიც ავსებს ზემოთ აღნიშნულ დანაკლისს; ამის მაგალითია:

და დრაქმე ერთი თავად-თავად **ნაზოგალი** სიკლისაჲ, სიკლითა მით წმიდითა, გამოსლვ. 39, 2 (38, 26). **ნაზოგალი** ნაწარმოებია **ზოგ**-იდან (ნა-ზოგ-ალ-ი). რომელიც „ნახევარს“ აღნიშნავდა.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი, თუ არ დაეუმატებდით, რომ თვით ძველსავე ქართულში უკვე აქა-იქ გვხვდება წილობითი სახელის ის სახე, რომელიც დღესაა გაბატონებული, მაგალითად:

და ესრეთ იყო საცხორებელი მათი სამ ნაწილად განყოფილი: ერთი ნაწილი გლახაკთათვის და მეორე—მოწესეთათჳს და **მესამედი**—მათთჳს, პარხ. 1314 გ. სწორედ ეს სიტყვა ამ ფორმით გვხვდება იოვანეს გამოცხადების ქართულ თარგმანში (თარგმანი ეკუთვნის ე ქ ვ თ ი მ ე მ თ ა წ მ ი დ ე ლ ს), მაგალითად:

და მოსწყდა **მესამედი** დაბადებულთა ზღჳსათაჲ, გამოცხ. 8, 9; დავარდა **მესამედსა** ზედა მდინარეთასა, იქვე, 8, 10; და გარდაიქცა **მესამედი** წყალთაჲ აფსინთად, იქვე, 8, 11.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ მოყვანილ ყველა მაგალითში წილობით სახელად გვაქვს ე რ თ ა დ ე რ თ ი **მესამედი**.

10. რიცხვითი სახელების ბრუნება

რიცხვითი სახელები შეიძლება იბრუნოს ცალკე, დამოუკიდებლად და არსებითს სახელთან ერთად. ამასთან, ამ ორ სახეობას შორის არის განსხვავება: როცა რიცხვითი სახელი არსებითთან ერთად იბრუნვის, იგი ერთ-

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამატ. საფუძვ. გვ. 137.

გვარ თავისებურებას იჩენს, რაზედაც ქვემოთ, თავის ადგილას გვექნება საუბარი. ხოლო როცა იგი ცალკეა აღებული და დამოუკიდებლად იბრუნვის, მისდევს სათანადო არსებითს სახელს: არსებით სახელსავით იცვლება ბრუნვასა და რიცხვში (როცა ეს უკანასკნელი კატეგორია მოეპოვება).

განვიხილოთ აქ ცალკე მდგომი რიცხვითი სახელების ბრუნება. ამ შემთხვევაში, როგორც ვთქვით, რიცხვითი სახელი, სულ ერთია, რაოდენობითი იქნება, თუ რიგობითი, სავსებით ისე იბრუნვის, როგორც სათანადო არსებითი სახელი. ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, **ორი** ისე იბრუნვის; როგორც **ჭორი, ხამი**—ისე, როგორც **წამი, ხუთი**—ისე, როგორც **წუთი, შჯდი**—ისე, როგორც **ჯიდი** და სხვა. კვეცაც ისე მოუდის, როგორც არსებითებს: რვა—რვისა, ცხრა—ცხრისა, მეოთხე—მეოთხისა და სხვა. კუმშვა კი არც ერთ მათგანს არ მოუდის, ყველა უკუმშველია. როცა რიცხვითებს მრავლობითი რიცხვის ფორმა აქვთ, ის სრულიად ისეთი სახისაა, როგორც არსებითს აქვს ხოლმე. ესაა მხოლოდ, რომ რიცხვითებს არა აქვთ **ებ**იანი მრავლობითი. ერთი კია აქ აღსანიშნავი: როცა რიცხვითი სახელები დამოუკიდებლად არის აღებული, მასთან მაინც **იგულისხმება** არსებითი სახელი, რომელიც რაიმე მიზეზით (უმთავრესად სტილისტიკური მოსაზრებით) გამოტოვებულია. მაგრამ, ასეა, თუ ისე, ისინი წინადადებაში მაინც მარტოა, ცალკე დგას, მათ არ ახლავს არსებითი. ვნახოთ ახლა ამის მაგალითები:

და ყვნა იგინი **ათორმეტ**, რაჲთა იყვნენ იგინი მის თანა, მრ. 3, 14; რომელ იყვნეს გარემოჲს მისსა **ათორმეტითურთ**, მრ. 4, 10 C; და ინაჴ-იდგეს პურის-მტებმან **ას-ასმან** და **ერგასის-ერგასისმან**, მრ. 6, 40 C; მოვიყვანოთ ათი კაცი **ასმან**, და ასი — **ათასმან**, და ათასი — **ბევრმან**, მსაჯ. 20, 10; ეგრეევე (ყო) **მეორემან** და **მესამემან** ვიდრე **შჯდადმდე**, მ. 22, 26; კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო **ორად**, მ. 27, 51; უკუეთუ შემძლებელ არს **ათითა ათასითა** შემთხუეულად **ოცითა ათასითა** მომავალისა მის ზედა, ლ. 14, 31.

მოვიდეს მისა და მოაქუნდა განრღუეული, რომელი ზე აქუნდა **ოთხთა**, მრ. 2, 3; ესმა ესე **ათთა** მათ, მ. 20, 24; პოვნეს კრებულად **ათერთმეტნი** იგი, ლ. 24, 33; უკუანაჲსკნელ მსხდომარეთა მათ **ათერთმეტთა** ეჩუენა, მრ. 16, 14; **ორნი** ფქვიდენ ჴფილსა, მ 24, 41; იყვნენ... განყოფილ **ხამნი ორთაგან** და **ორნი სამთაგან**, ლ. 12, 52; უფროჲს უხაროდის მის ზედა, ვიდრე **ოთხმეოც** და **ათცხრამეტთა** მათ, მ. 18, 13; **შჯდთავე** არა დაუტეევეს მკჳდრი, მრ. 12, 22 C; ოდეს-იგი ხუთი პური განტეხე **ხუთ ათასთათჳს**, მრ. 8, 19.

ასეთია რიცხვითი სახელების ბრუნება დამოუკიდებლად. რაც შეეხება რიცხვითი სახელების ბრუნებას არსებითთან ერთად, იგი, როგორც ვთქვით, ზოგ თავისებურებას შეიცავს, მაგრამ მათ განვიხილავთ ჩვენ ქვემოთ, როცა მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნებაზე გვექნება ლაპარაკი. ახლა კი მოკლედ უნდა შევჩერდეთ ნაცვალსახელებზე.

თავი მეოთხე

ნაცვალსახელები

ნაცვალსახელები საერთოდ ენის უძველეს თავისებურებათა მქონე მეტყველების ნაწილია. ქართულშიც მათ დაცული აქვთ სახელთა ბრუნების ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ჩვენებები. ამიტომაა, რომ მკვლევარნი ნაცვალსახელთა ამ ძველისძველი ნიშნების შესწავლას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ.

ნაცვალსახელთა შორის ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს პირის ნაცვალსახელები. აქ ზოგ მათგანს შენარჩუნებული აქვს ბევრი ისეთი ნიშანი, რაც აღარსად გვხვდება დღეს ჩვეულებრივს სახელებში,მაგრამ რის გათვალისწინებასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სახელების ბრუნების ისტორიისათვის. ასეთია I და II პირის ნაცვალსახელთა უბრუნველობა, III პირის ფორმათა ბრუნების უძველესი სახე, მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად უძველესი ფორმანტის **ნ**-ს გამოყენება (მა-**ნ**, ვი-**ნ**) და სხვა. აქ მოკლედ უნდა შევეხოთ ამ ნაცვალსახელებს ცალ-ცალკე.

1. პირის ნაცვალსახელები

პირველ რიგში უნდა განვიხილოთ I და II პირის ნაცვალსახელები. აქ ოთხი სახელი გვაქვს: მე, შენ, ჩუენ, თქუენ. არც ბრუნვისა და არც რიცხვის ნიშნები ამ სახელებს არ გააჩნიათ: ესენი ყველგან ერთი სახით გვეელინებიან [1], ამიტომ ეს ნაცვალსახელები უნდა ასახავდნენ ბრუნების იმ საფეხურს, როცა ბრუნვები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, არ გვქონდა გრამატიკული რიცხვის კატეგორია და ერთი და მრავალი მხოლოდ ფუძეთა მიხედვით იყო გარჩეული. თავიდანვე ასეთი უნდა ყოფილიყო აგრეთვე სხვა სახელთა მდგომარეობაც.

ამ 4 სიტყვიდან **მე** და **შენ** ტრადიციულად მხოლობითი რიცხვის ფორმებად ითვლება, **ჩუენ** და **თქუენ**—მრავლობითისად. თუმცა, როგორც ვთქვით, არავითარი გრამატიკული ნიშანი ამისა ამ ფორმებს არ გააჩნიათ.

მრავლობითი რიცხვის **ჩუენ**-სა და **თქუენ**-ს აქვს მაცთუნებელი დაბოლოება **ენ**, რომელსაც შეუძლია აღძრას სურვილი, რომ ეს **ენ** მრავლობითობის ცნობილ სუფიქსს **ენ**-ს გაუთანაბრონ (წერ-**ენ**, ჰყოფ-**ენ**) და აქაც ამ ფუნქციის ნიშნად მიიჩნიონ. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ზხოლობი-

---

[1] ერთადერთი მე იცვლის ნათესაობითში ფუძეს: **ჩემ**, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

თი რიცხვის ფორმები **შენ** და **მე**[1], რომელთაც აქვთ იგივე **ენ** დაბოლოება: მ-ენ, შ-ენ. აქ კი ამ **ენ**-ის მრავლობითი რიცხვის ნიშნად მიღება ყოველად შეუძლებელია.

ნ. მარი არ მოერიდა აქ აღნიშნულ დაბრკოლებას და ოთხივე სიტყვის **ენ** მრავლობითობის ნიშნად გამოაცხადა. ამასთან, **ჩუენ**-სა და თქუენში ნ. მარი ორმაგ მრავლობითს ვარაუდობდა: **უ** (ჳ ‖ ვ) მას ხალხური მრავლობითობის ნიშნად მიაჩნდა, ხოლო **ენ**-ს არქაულ ნიშნად თვლიდა (ჩ-უ-ენ, თქ-უ-ენ). პირველი პირის მონაცვლე **ჩემ**-საც ასე შლიდა: ჩ-ემ, სადაც **ემ** აგრეთვე ხალხური მრავლობითობის ნიშნად იყო გამოცხადებული[2]. ნ. მარის ეს შეხედულება თავისთავში შეიცავდა გადაულახავ წინააღმდეგობას, იგი მეტად ბელოვნური და დაუჯერებელი იყო და ამიტომ არავის არ გაუზიარებია[3].

ამ (და სხვა) ნაცვალსახელებს ფართო მასშტაბით იხილავს ი. ჯავახიშვილი თავის ფუნდამენტალურ მონოგრაფიაში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“[4]. სადაც ავტორს განსაკუთრებით აინტერესებს ქართველურ ენათა ნაცვალსახელების ძირები და მათი ნათესაობა კავკასიური ენების ნაცვალსახელებთან.

ვრცლად ეხება ნაცვალსახელებს, განსაკუთრებით პირის ნაცვალსახელებს. ა. შანიძე თავის ქართული გრამატიკის საფუძვლებში[5].

ა. ჩიქობავა ოთხივე აღნიშნულ სიტყვაში გამოყოფს **ნა**-ს: მე-**ნა**, შე-**ნა**. ჩვე-**ნა**. თქვე-**ნა**,[6] რომელსაც სადეტერმინაციო ელემენტს უწოდებს[7].

ჩვენთვის აქ მთავარია აღინიშნოს, რომ არც ერთი ეს სიტყვა არ იბრუნება. არ იცვლება არც ბრუნვისა და არც რიცხვის მიხედვით. მაგრამ ამ სახელებს შეუძლიათ ზმნა შეითანხმონ პირსა და რიცხვში სწორედ ისე, როგორც სხვა ნორმალურ არსებითს სახელებს. როგორც ითქმის: კაც-ი წერს, კაცნი წერენ, ისე ითქმის: მე ვ-წერ, ჩუენ ვ-წერ-თ, შენ ს-წერ, თქუენ ს-წერ-თ, როგორც ვხედავთ, **მე, შენ, ჩუენ, თქუენ** წინადადებებში ისეთივე ღირებულების ერთეულებია, როგორც სხვა არსებითი სახელები. ამიტომ **მე, შენ, ჩუენ, თქუენ** წინადადებებში ყოველთვის ასრულებს ამა თუ იმ ბრუნვის როლს. წინადადებაში „მე ვწერ“ **მე** სახელობითის როლში გამოდის. რადგან ასეთსავე შემთხვევაში ჩვეულებრივი არსებითი სახელი სახელობითში იქნებოდა: კაც-ი წერს; ხოლო წინადადებაში „მე დავწერე“ იგივე **მე** მოთხრობითის როლში გამოდის, რადგან მსგავს შემთხვევაში სათანადო არსებითი სახელი სწორედ მოთხრობითში იქნებოდა დასმული: კაც-**მან** დაწე-

---

[1] ძველ ქართულში გვხვდება ასეთი ფორმაც, მაგალითად: დაიცვენ ესენი სახელითა შენითა, რომელნი მომცენ **შენ**, ი. 17, 11D.

[2] ნ. მარი, Iран. გვ. 87—88.

[3] იხ. ა. ჩიქობავას რეცენზია ნ. მარის გრამატიკის შესახებ: მიმომხილველი, I, 1926, გვ. 311 და სხვა.

[4] გვ. 428—454 და სხვა.

[5] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 93. 101.

[6] იგულისხმება ახალი ქართულის კილოებში დაცული მე-ნა, შე-ნა, ჩვე-ნა, თქვე-ნა. ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 72—74.

რა. ასევე შეიძლებოდა გვეთქვა ამ სახელთა მიერ მიცემითისა (მე დამიწერიეს) და ნათესაობითი ბრუნვების (ჩემგან ნაწერი) როლის შესრულების შესახებ. მაშასადამე, გამოდის, რომ I და II პირის ნაცვალსახელებს შეუძლიათ გამოვიდნენ ოთხი ბრუნვის როლში, ფორმა კი ოთხივე შემთხვევაში ერთი და იგივე იქნება. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს პირველი პირის ნაცვალსახელი მე, რომელსაც ნათესაობითში ენაცვლება ჩემ. აი ამ ბრუნვათა ფუნქციის შესრულების მიხედვით ვმსჯელობთ ჩვენ, როცა ელაპარაკობთ: მე სახელობითის ფუნქციით იხმარება, ან სახელობითის როლს ასრულებსო, ან: მე სახელობითში იგულისხმებაო, ან, უფრო მოკლედ: მე სახელობითშიაო. ამ პირობით ვიხმართ ჩვენ ქვემოთ აღნიშნულ გამოთქმებს.

ბრუნვათა მიხედვით რომ ჩამოვწეროთ, გვექნება:

სახ.	მე	შენ	ჩუენ	თქუენ
მოთხ.	მე	შენ	ჩუენ	თქუენ
მიც.	მე	შენ	ჩუენ	თქუენ
ნათ.	ჩემ-	შენ-	ჩუენ-	თქუენ-

ნათესაობითი ბრუნვის მაგალითები ჩვეულებრივ ცალკე არ იხმარება, თუ არა თანდებულით: ჩემგან, ჩემთჳს, ჩემ მიერ და სხვა. თუ ასეთ ნაცვალსახელებს რაიმე განსაზღვრება ახლავს, შეიძლება თანდებული იმას დაერთოს და მაშინ ჩემ, შენ, ჩუენ, თქუენ სუფთა ფუძით იყოს მოცემული, მაგალითად: ესე არს ჴორცი ჩემი, თქუენ მრავალთათჳს განტეხილი, მ. 26, 26. განსაზღვრებად შეიძლება ყველაზე ხშირად შეგვხვდეს მრავალი, ყოველი და სხვა.

სხვა ბრუნვები ამათ არ გააჩნიათ[1].

დავიმოწმოთ მაგალითები, როცა მე, შენ, ჩუენ, თქუენ ამა თუ იმ ბრუნვის ფუნქციით იხმარება.

სახელობითი

მე თქუენ თანა ვარ, მ. 28, 20; მე სათნოებათა მისთა ვიქმ, ი. 8, 29; რომელთა ეჰრწამ მე, მ. 18, 6 C; მუნ მიხილონ მე, მ. 28, 10.

გარდავარდი შენ ამიერ დაქუე, მ. 4, 6 C; შენ რაჟამს ჰყოფდე ქველის-საქმესა შენსა, მ. 6, 3; სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, მ. 9, 22.

ჩუენ ვაყენებდით მას, ლ. 9, 49; ჩუენ სიძეისაგან არა შობილ ვართ, ი. 8, 41; ჩუენ ვესავთ, ლ. 24, 21; არავინ დამიდგინნა ჩუენ, მ. 20, 7.

თქუენ ჰხედავთ, მ. 13, 17; რაჟამსთჳს თქუენ გარდახუალთ მცნებასა ღმრთისასა, მ. 15, 3; რაჟამსთჳს სდგათ თქუენ აქა დღე ყოველ უქმად, მ. 20, 6; არა დაგიტევნე თქუენ ობლად, ი. 14, 18.

მოთხრობითი

მე დჭვარღუ ტაძარი ესე, მრ. 14, 58 C; მე მამაკაცი არა ვიცი, ლ. 1, 34; მე წამებად კაცისაგან არა მოვიღო, ი. 5, 34; მე გარქუ თქუენ, ი. 16, 4.

[1] ა. შანიძე. გრამატ. საფუძვ. გვ. 100.

შენ სთქუ, მ. 26, 25; **შენ** დაჰმარხე კეთილი ღჳნოჲ აქამომდე, ი. 2, 10; **შენ** მომაჳლინე მე, ი. 11, 42 C.

რაჲსათჳს **ჩუენ** ვერ შეუძლეთ განკურნებად მას, მ. 17, 19; **ჩუენ** ყოველივე დაუტეეთ, მ. 19, 27; **ჩუენ** რაჲ ვყოთ, ლ. 3, 12; ვიხილეთ **ჩუენ** უფალი, ი. 20, 25.

თქუენ ისმინეთ იგავი ესე მთესველისაჲ, მ. 13, 18; **თქუენ**... არა შეახით ტკრთსა მას, ლ. 11, 46; **თქუენ** ჰყავთ იგი ქუაბ ავაზაკთა, ლ. 19, 46 C.

მიცემითი

რაჲსა გამომცდით **მე**, მ. 22, 18; დამასხა **მე** ამან ნელსაცხებელი ესე, მ. 26, 12 C; არა მიეის **მე** ქმარ, ი. 4, 17 C; მავასხენ **მე** სამნი პურნი, ლ. 11, 5.

გვხვდება ერთ ადგილას ძველი ქართულისათვის მეტად იშვიათი ფორმა **მენ**-ც: დაიცვენ ესენი სახელითა შენითა, რომელნი მომცენ **მენ**, ი. 17, 11 D.

იყავ მუნ, ვიდრემდე გრქუა **შენ**, მ. 2, 13; რომელი წარგიქცევდეს **შენ** მძღურად მილიონ ერთ, მ. 5, 41; ვინაჲ გაქუს **შენ** წყალი ცხოველი, ი. 4, 11; **შენ** აბრაჰამი გიხილავსა, ი. 8, 57.

პური ესე ჩუენი არსობისაჲ მომეც **ჩუენ** დღეს, მ. 6, 11; ნუ შემიყუანებ **ჩუენ** განსაცდელსა, მ. 6, 13; **ჩუენ** გუესმა მაგისი სიტყუაჲ, მრ. 14, 58.

ვინ გასწავა **თქუენ** სივლტოლაჲ, ლ. 3, 7 C; რომელნი გმძლავრობდენ და გდევნიდენ **თქუენ**, მ. 5, 44; ნუ გეშინინ **თქუენ**, მ. 28, 5.

ნათესაობითი

ვერვინ მივიდეს მამისა, არა თუ **ჩემ** გამო, ი. 14, 6 C; ისწავეთ **ჩემგან**, მ. 11, 29; შენ მარადის **ჩემ** თანა ხარ, ლ. 15, 31; რაჲ თქჳან **ჩემთჳს** კაცთა, მ. 16, 13; იგიცა ცხონდეს **ჩემ** მიერ, ი. 6, 57; მიეც მათ **ჩემ** წილ, მ. 17, 27 C; წარმოადგინეთ **ჩემ** წინაშე კაცი ესე, ლ. 23, 14 C.

შენგან გამოვიდეს მთავარი, ი. 2, 6; მოვიდეთ ჩუენცა **შენ** თანა, ი. 21, 3; რაჲ არს, რომელი-ესე მესმის **შენთჳს**, ლ. 16, 2; ყოველივე შესაძლებელ არს **შენ** მიერ, მრ. 14, 36; მიეც მათ **ჩემ** წილ და **შენ** წილ, მ. 17, 27 C; ესრეთ სათნო- იყო **შენ** წინაშე, მ. 11, 26.

იყუნეს **ჩუენ** თანა შჳდ ძმა, მ. 22, 25 C; რაჲ-მე იყოს აწ **ჩუენთჳს**, მ. 19, 27.

სიბარული თქუენი არავინ მიგიღოს **თქუენგან**, ი. 16, 22; გლახაკნი მარადის **თქუენ** თანა არიან, ხოლო, მე არა მარადის **თქუენ** თანა ვარ, მ. 26, 11; დაიმკჳდრეთ განმზადებული **თქუენთჳს** სასუფეველი, მ. 25, 34; არარაჲ შეუძლებელ იყოს **თქუენ** მიერ, მ. 17, 20; **თქუენ** წინაშე ვიკითხე, ლ. 23, 14 C.

როგორც დავინახეთ, **ჩემ**, **შენ**, **ჩუენ**, **თქუენ** სახელები ნათესაობითს ბრუნვაში წარმოდგენილია მხოლოდ თანდებულებით. ჩვენ აქ შევარჩიეთ ისეთი თანდებულები, რომელთა მიერ ნათესაობითის მოთხოვნა სხვა შემთხვევაში (არს. სახელებთან) ეჳვს არ იწვევს. მაგრამ შეიძლება თანდებული მოცე-

მულ წინადადებაში უშუალოდ აღნიშნულ ნაცვალსახელებს არ ერთოდეს, არამედ მათთან წარმოდგენილ მსაზღვრელ სიტყვებს ახლდეს. **ჩემ, შენ, ჩუენ, თქუენ** სახელები ასეთ შემთხვევაშიც შეუცვლელად წარმოგვიდგება. მაგალითად: რაჲთა ლოცვა-ყონ **ჩემ** გლახაკისათჳს, პარხ. 1102 გ. ეს ნიშნავს: **ჩემთჳს**, რომელიც გლახაკი ვარ, ილოცონ. **ჩემ** აქ, რასაკვირველია, პირის ნაცვალსახელია და ნათესაობითში დგას. სხვა მაგალითები: ესე არს სისხლი **ჩემი**... **თქუენ** მრავალთათჳს დათხეული, მ. 26, 28; კეთილად თქუა ესაია წინაწარმეტყუელმან **თქუენ** ორგულთათჳს, შრ. 7, 6; არა **თქუენ** ყოველთათჳს ვიტყჳ ამას, ი. 13, 18 და სხვა. მაგრამ არსებითად ეს მაგალითებიც თანდებულიანია. თუმცა თანდებული არა უშუალოდ თვით ნაცვალსახელს, არამედ მის მსაზღვრელს ახლავს. თანდებულის ასეთ გადანაცვლებას ჩვენ ბევრჯერ შევხვდით ზემოთ და ახლა ამაზე სიტყვას აღარ განვაგრძობთ.

შესაძლებელია **მე, შენ, ჩუენ, თქუენ** ნაცვალსახელებს რაიმე ნაწილაკი ახლდეს. ამით არც მათი შინაარსი და არც ფორმა არ დაირღვევა; ნაწილაკები ემატება მათ ბოლოს და არავითარ ცვლილებას არ იწვევს.

ყველაზე ხშირად გვხვდება **ჲ, ცა, ჟე** და **მცა** ნაწილაკები. ვუჩვენებთ აქ ზოგიერთ მათგანს:

არღარა მიცი **მეჲ**, ი. 14, 9; **მეცა** კაცი ვარ ჴელწიფებასა ზედა, მ. 8, 9; უკუეთუ მეუფე ხარი **შენჲ**, ი. 18, 37; **შენმცა** ხარ მისა მოწაფე, ი. 9, 28 C; ამისა შემდგომად ჰპმე და სუ **შენცა**, ლ. 17, 8; რაჲთა **ჩუენცა** მიუტეოთ თანა-მდებთა ჩუენთა, მ. 6, 12 C; აწ **თქუენჳე** ეწამებით თავთა თქუენთა, მ. 23, 31 C; რაჲსათჳს **თქუენცა** გარდახუალთ მცნებასა ღმრთისასა, მ. 15, 3 C; ესე დაგაბრკოლებს **თქუენჲ**, ი. 6, 61.

ახლა დგას ასეთი საკითხი: რა ფორმებია **ჩემ**-და, **შენ**-და, **ჩუენ**-და, **თქუენ**-და? რომელი ბრუნვის ფორმებია ესენი? რა არის ამ ფორმებზე დართული **და**?

ა. ჩიქობავას თავის „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ აღნიშნული ფორმები მიმართულებით ბრუნვად და მათი დაბოლოება **და** ბრუნვის ნიშნად მიაჩნია. თუმცა არც აქ და არც მიმართულებითი ბრუნვის საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ წერილში ამ ბრუნვის ნიშნად მას და არა აქვს გამოყოფილი. ამ ფუნქციით იქ ნაჩვენებია სუფიქსი ა (საბერძნეთ-ა, სადიდებელ-ა), დ (ბეთლემ-დ, სეგორ-დ), ჲ-დ (ქაც-ად, ქალაქ-ად), რომელიც წინა ორი სუფიქსის შეერთებას წარმოადგენს[1]. **ჩემ-და, შენ-და, ჩუენ-და, თქუენ-და** ფორმების შესატყვისად ავტორს მოჰყავს ჭანურ-მეგრულიდან შემდეგი მაგალითები:

---

[1] ა. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 15—22

ჰანურიდან

მიმართ.: ჩქიმ-და || შქიმ-და. სკან-და. ჩქუნ-და || ჩქინ-და || შქუნ-და. თქვან-და.

მეგრულიდან

მიმართ.: ჩქიმ-და. სქან-და. ჩქინ-და || ჩქვნ-და. თქვან-და [1].

ა. შანიძეს და ვ. თოფურიას **ჩემდა, შენდა, ჩუენდა, თქუენდა** კუთვნილებით ნაცვალსახელებად მიაჩნიათ. რადგანაც ვითარებითი (და მოქმედებითი) ბრუნვა პირის ნაცვალსახელებს არა აქვთ, ისინი სათანადო ფორმებს კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან სესხულობენ და ნაკლს მით ივსებენო [2]. მაგრამ ამ აზრს არ ახლავს არავითარი დასაბუთება და მისი გაზიარება შეუძლებელია.

მიმართულებითი (ვით.) ბრუნვის ნიშნად ვ. თოფურიას გამოყოფილი აქვს დ, ა-ს კი მსაზღვრელ ნაწილაკად თვლის [3]. საზოგადო სახელების ად სუფიქსი. ავტორის აზრით, „შებრუნებული და ბოლოსართია“ [4].

ეგევე საკითხი არის აღძრული ვ. თოფურიას წერილში „ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჰანურში“ [5], ხოლო უფრო დაწვრილებით იგი განხილულია მისსავე მოხსენებაში, რომელიც ი. სტალინის სახელობის თბილ. სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე იყო წაკითხული 1942 წლის 13 აპრილს [6].

თუ ანგარიშს გავუწევთ ზოგიერთ გარემოებას, რომელიც **მე, შენ, ჩუენ, თქუენ** ნაცვალსახელთა ბრუნებას ახასიათებს, შეიძლება ეჭვი გამოვთქვათ და-ს ბრუნვის ნიშნობაში.

1. **მე, შენ, ჩუენ, თქუენ**, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში [7] და ზემოთაც დაწვრილებით გავეცანით, უბრუნველი სიტყვებია, მათ არ გააჩნიათ არც ერთი ბრუნვის ნიშანი, მათ არ შეიძლება ჰქონდეთ ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის ნიშანიც. მაშასადამე, და ვერ იქნება აღნიშნული ბრუნვის ნიშანი.

2. და რომ ვითარებითი (მიმართ.) ბრუნვის ნიშანი ყოფილიყო, ამ სახელებს უფრო ადრე და უფრო ნათლად ექნებოდა გამოხატული, სხვას რომ თავი დავანებოთ, ისეთი ძველი და ძირითადი ბრუნვები, როგორიცაა ნათესაობითი და მიცემითი. მაგრამ, როგორც ვიცით, ამათ არ გააჩნიათ არავითარი კვალი არც ის და არც ს სუფიქსებისა, არც, საერთოდ, რომელიმე

---

[1] ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 74—76.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I. მორფოლოგია. 1930, გვ. 38—39; ვ. თოფურია, ქართული ენა, განაკვეთი III და IV, 1933, გვ. 18—19.

[3] იქვე, გვ. 19, შნშ.

[4] იქვე.

[5] ენიმკის მოამბე, ტ. I. 1937, გვ. 179—182.

[6] ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში (მოხსენებათა თეზისები გვ. 88).

[7] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 100.

აფიქსისა. მაშასადამე, რაღა ერთი ვითარებითი ბრუნვის ნიშანი უნდა ჰქონოდა?

3. ვითარებითი ბრუნვის ნიშნებად, როგორც ცნობილია, ძვ. ქართულში გვაქვს ა (საბერძნეთა), დ (ბეთლემ-დ), ან ა და დ ერთად (კაც-ა-დ). სხვა ნიშანი ქართულმა არ იცის, არც ძველმა და არც ახალმა. აქ კი ერთბაშად და ფორმანტი ჩნდება, რომელსაც, გარდა ამ ოთხი სიტყვისა (და რამდენიმე ნაცვალსახელისა), არსად არა აქვს გამოყენება. ამიტომ ეს და არ შეიძლება ბრუნვის ნიშნად ჩაითვალოს.

მაშ რა არის ეს და, რომელიც პირის ნაცვალსახელებს ერთვის და რომელიც, როგორც ჩანს, არ შეიძლება ბრუნვის ნიშანი იყოს? ეს და უნდა იყოს თანდებული, რომელიც ნათესაობითს ერთვის და სხვადასხვა მნიშვნელობას ატარებს. ამიტომ **ჩემ-და, შენ-და, ჩუენ-და, თქუენ-და** ისეთივე ფორმებია, როგორც ჩემ-გან, შენ-გან, ჩუენ-გან, თქუენ-გან, ან: ჩემ-თჳს. შენ-თჳს, ჩუენ-თჳს, თქუენ-თჳს.

რომ აღნიშნული და თანდებულია და ნათესაობითს ერთვის, ამას „ჩემგან, ჩემთჳს“ და მსგავს ფორმათა გარდა, ამტკიცებს აგრეთვე მესამე პირის ნაცვალსახელის მეტად საინტერესო ჩვენება. **ჩემ-და, შენ-და, ჩუენ-და** და **თქუენ-და** ფორმების გაგრძელებაა მესამე პირის ფორმა **მ-ის-და**, სადაც გვაქვს ნაცვალსახელური ფუძე (შეკვეცილი) **მ**, რომელსაც მოჰყვება ნათესაობითი ბრუნების ჩვეულებრივი ნიშანი **ის** და სადავო ელემენტი **და**. ეს და აშკარაა, ბრუნვის ნიშანი ვერ იქნება, ბრუნვის ნიშანი მას წინ უძღვის (**ის**), იგი თანდებულია, რომელიც ძველადაც და ახლაც ნათესაობითს ბრუნვას მართავს (შდრ. ახალი ქართულის: ამისდა მიუხედავად, ამისდა კვალად და სხვ.).

რომ **ჩემ-და, შენ-და, ჩუენ-და, თქუენ-და** ფორმებში **და** თანდებულია, ამას ამტკიცებს აგრეთვე ამ ფორმებით გამოხატული შინაარსი: ისინი ზოგჯერ გამოხატავენ მიმართულებას (მოვიდა ჩემდა). რასაც თანდებულიანი ნათესაობითიც კარგად უძღვებოდა ძველად, მაგრამ უფრო ხშირად ამგვარი ფორმები დანიშნულების შინაარსს შეიცავს და სხვა შემთხვევაში სხვა თანდებულის საშუალებით გადმოიცემა. თანდებულ **და**-ს ხშირად ენაცვლება თანდებული **თჳს**. ასე, მაგალითად, სამი კარვის აშენების ამბავი ასევე გადმოცემული ოთხთავის სხვადასხვა ადგილას: თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი **შენდა**, ერთი მოსესა და ერთი ელიაჲსა, ჩ. 17. 4: მაგრამ: ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი **შენთჳს**, ერთი **მოსესთჳს** და ერთი **ელიაჲსთჳს**, მრ. 9, 5. ეს სავსებით ერთი და იგივე ადგილია. მაგრამ. ერთ შემთხვევაში **შენდა** რომ არის, მეორეში ამის ნაცვლად **შენთჳს** იკითხება. მაშასადამე, **შენდა** და **შენთჳს** ერთისა და იმავე შინაარსის ფორმებია, ამიტომ მათ ფუძეებზე დართული და და თჳს ორივე თანდებულია. არ იქნებოდა სწორი და თანამიმდევრული ერთი მათგანი (**თჳს**) თანდებულად ჩაგვეთვალა, ხოლო მეორე (**და**)—ბრუნვის ნიშნად.

მაგრამ ეს მაგალითი ერთადერთი და შემთხვევითი არ არის: ამგვარი შემთხვევები გავრცელებულია დღეს სალიტერატურო ენასა და კილოებში (მაგ., გურულში და სხვაგან); მაგ.: „ჩემთვის მინდა“ აქ იქნება: „ჩემდა მინდა“, „ჩემთვის მოიტანა“—„ჩემდა მოიტანა“, „შენთვის უთქვამს“—„შენდა უთქვამს“

და სხვა. ასეთი შემთხვევები, როგორც ვთქვით, გექონდა ძველ ქართულშიც, მაგალითად: ჯერ-არს ჩემდა აღსრულებად ყოველი სიმართლე, მ. 3, 15, მაგრამ: ჯერ-არს აღსრულებად ყოველივე წერილი... ჩემთჳს, ლ. 24, 44; და მუნ მოგეჴსენოს შენ, ვითარმედ ძმაჲ შენი გულ-ძკრ რაჲმე არს შენდა, მ. 5, 23, მაგრამ: და მუნ მოგეჴსენოს, ვითარმედ ძმაჲ შენი გულ-ძკრ რაჲმე იყოს შენთჳს, იქვე C; რაჲ-მე იყოს აწ ჩუენთჳს, მ. 19, 27, მაგრამ: რაჲ-მე უკუე ყოფად არს ჩუენდა, იქვე C; მრავალი მაქუს თჳუენდა სიტყუად და განკითხვად, ი. 8, 26, მაგრამ: მრავალი მაქუს თჳუენთჳს სიტყუაჲ და სასჯელი, იქვე C. ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ თანდებულ და-ს ერთ-ერთი პირვანდელი ფუნქციათაგანი უნდა ყოფილიყო დანიშნულების (თუ კუთვნილების) აღნიშვნა: ჩემდა=ჩემთჳს, შენდა=შენთჳს და სხვა. ასეთი ფუნქცია, ბუნებრივია, უბრალო ბრუნვის ნიშანს ვერ ექნებოდა.

ეს და შემდეგ და შემდეგ თანდათან შეეზარდა ფუძეს, დავიწყებულ იქნა მისი წარსული (რომ თანდებული იყო), რასაც იმ გარემოებამ შეუწყო ხელი, რომ თანდებული ფუძეს პირდაპირ ერთოდა, ბრუნვის ნიშნის გარეშე (შდრ. ჩემ-და, ჩემ-გან, ჩემ-თჳს). ამიტომ შესაძლებელი გახდა მასზე ბრუნვის ნიშნის დართვა და, რაც უფრო მთავარია, ამ ბრუნვის ნიშანზე ახალი თანდებულის დამატება. ეს უკანასკნელი ფორმა მიდის როგორც ორმაგი ბრუნების ფორმა—ნათესაობით-ვითარებითი (ნანათესაობითარი ვითარებითი).

ამ ახალი, უთანდებულო ფორმის ნიმუშებს იძლევა ჴემოთ მოყვანილი სამი კარვის მაგალითის ადიშური ვერსია: ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: შენდად ერთი და მოსჳსა ერთი და ელიაჲსა ერთი, მ. 17, 4 C. მეორე ადგილას ბოლოკიდური დ დანარჩენ სახელებსაც აქვთ: ვქმნეთ სამი ტალავარი: ერთი შენდად, ერთი მოსჳსად, ერთი ელიაჲსად, მრ. 9, 5 C. მესამე ადგილას (ლ. 9, 33) ამავე ხელნაწერში ეგეთი ადგილი ისეა წარმოდგენილი, როგორც DE-ში. ეს ადგილი ასახსნელია: ლუკას თავის ეს ადგილი, როგორც ცნობილია, რედაქციულად ისეთივე ხასიათისაა, როგორც DE და მისი მიმდგომი სხვა ხელნაწერები, ე. წ. ოპიზური რედაქციის ოთხთავები[1].

ასეთი მაგალითებია კიდევ სხვა ხელნაწერებიდან:

და ვყოთ მუნ ჩუენდად სხუაჲცა მაღნარი, 3 ეზრა 4, 14; გამოირჩიე შენდად ვენაჯი, იქვე, 5, 23; გამოვირჩიოთ ჩემდად ათი ათასი ერი, 2 მეფ. 17, 1; რაჲთუ გამოვირჩიე ჩემდად მეფედ ძეთაგან იესჳსთაჲ, 1 მეფ. 16, 1 და სხვა.

აქ მოყვანილ მაგალითებში ჩემდად=ჩემთჳს, შენდად=შენთჳს, ჩუენდად=ჩუენთჳს, ე. ი. ჩემდად, შენდად, ჩუენდად არის გაგრძელება და შემდგომი საფეხური ჩემდა, შენდა და ჩუენდა ფორმებისა, რომლებიც ამ სახით ჩვეულებრივია ოთხთავის ენაში, მაძასადამე, უძველეს ენაში. ჩემდად და მსგავსი წარმოება შედარებით უფრო გვიანი ხანის მეორეული ფორმებია.

---

[1] ი. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთაკი რედაქციულად: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 30—31 B, 1947, გვ. 219—232.

მაგრამ საქმე აქ არ შეჩერებულა. უკანასკნელად აღნიშნულ **ჩემდად** და მსგავს ფორმებს შეიძლება დაერთოს **მდე** თანდებული და მივიღოთ საკმაოდ თავისებური **ჩემდამდე** და მისი მსგავსი სხვა ფორმები, მაგალითად: ღმრთისა მიერ პირველად შობად **შენდამდე**, სას. პოეზ. 32, 5; რომელ-ოგი განგუყო ჩუენ ღმერთმან საზომითა მიწდომად ვიდრე **თქუენდამდე**, 2 კორ. 10, 14.

ხოლო ისეთი ფორმები, სადაც დ არ გვხვდება და თანდებული **მდე** უშუალოდ ერთვის დ-ს, უფრო მეტია. დ-ს არ გამოვლენას ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია ის გარემოებაც უწყობდეს ხელს, რამაც გააადვილა დ-ს დაკარგვა ჩვეულებრივს შემთხვევებში მდე თანდებულის დართვისას (აღსრულებამდე→აღსრულებამდე). აი ამის რამდენიმე ნიმუში:

ვიდრე მოსლვად **შენდამდე**, დაბ. 27, 33; ვიდრე სიკუდიდ **ჩემდამდე**, დაბ. 27, 7; ვიდრე **თქუენდამდე**, 2 კორ. 10, 15; ანგელოზთაგან ოწყო და **ჩუენდამდე** მოიწია, თარგმ. გამოცხ. ა, 12.

ასე რომ, ყველა ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ **ჩემდა**, **შენ-და**, **ჩუენ-და**, **თქუენ-და** ფორმებში ბოლოკიდური და წარმოშობით თანდებულს წარმოადგენს.

თანდებულად თვლიდა ამ დ-ს ნ. მარი[1]. აღნიშნული და ა. შანიძესაც თანდებულად მიაჩნია[2].

* * *

ჩვენ განვიხილეთ I და II პირის ნაცვალსახელები. რაც შეეხება მესამე პირს, ენას მისთვის საკუთარი ფორმები არ გააჩნია და ჩვენებითს ნაცვალსახელებს იყენებს. ესაა: ესე, ეგე, იგი, ისი[3]. ამიტომ ამ ფორმებს ჩვენებითს ნაცვალსახელებში განვიხილავთ.

* * *

გარკვეულ შემთხვევებში პირის ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებს აგრეთვე არსებითი სახელი **თავი** (ცეწა). აქ მაედეველობაშია ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: თავი დადვა მეგობრებისათვის, თავი გადაარჩინა, თავი დაიღუპა, თავი მოიძულა, თავი დაიმდაბლა, თავი მოიკლა და სხვა. ყველა ასეთ შემთხვევაში მოქმედება სუბიექტს ეხება, მის გარშემო ტრიალებს, მას უბრუნდება. ამიტომ სხვებისაგან განსხვავებით ამ **თავს** უკუქცევითს ნაცვალსახელს ეძახიან[4].

რადგანაც უკუქცევითი ნაცვალსახელი **თავი** მხოლოდ მაშინ იხმარება, როცა პიროვნება თავისთავზე მოქმედებს, ამიტომ **თავი** წინადადებაში არას-

---

[1] ნ. მარი, ОТ, ტაბ. VIII; მისივე: Грам. გვ. 87—88.

[2] ა. შანიძე, გ. მთაწმიდლის ენა, გვ. 79; გრამატ. საფუძვ. გვ. 71.

[3] იქვე, გვ. 42—43; ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 73.

[4] ნ. მარი, Грам. გვ. 93; ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 431; ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 43.

დროს არ იქნება წარმოდგენილი სუბიექტად, იგი მუდამ ობიექტია, მოქმედების საგანია. ამიტომაა, რომ ის მოთხრობითში, როგორც მხოლოდ სუბიექტის ბრუნვაში, არ გვხვდება და არც შეიძლება შეგვხვდეს, მისი ბრუნვებია: სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი.

მეორე მხრივ, **თავიხთავზე** მოქმედების უფრო მეტად ბაზგასმისათვის ამ **თავ**-ს ხშირად ახლავს კუთვნილებითი ნაცვალსახელები **ჩემი, შენი** (შედარებით ნაკლებად) და **თჳსი** (აბსოლუტურად უმეტეს შემთხვევაში); მრავლობითში გვექნება, **ჩუენი, თქუენი, მათი**. ვნახოთ ამის მაგალითები:

თავით შეირტყი სარტყელი, ი. 21, 18 C. ამ შემთხვევაში არა გვაქვს კუთვნილებითი **თჳსი**, მაგრამ ასეთი მაგალითები ერთობ მცირეა. ჩვეულებრივ, როგორც ვთქვით, კუთვნილებითი ნაცვალსახელების დართვით გვხვდება იგი. მაგალითად:

თავი ჩემი დავდვა შენ ზედა, ი. 13, 37 C; უკუეთუ მე ვადიდებდე **თავსა ჩემსა**, ი. 8, 54; წარგიყვანნე თქუენ **თავისა ჩემისა** თანა, ი. 14, 3; მე **თავით ჩემით** ვიტყჳ, ი. 7, 17.

განიკურნე **თავი შენი**, ლ. 4, 23; ნუცა **თავსა შენსა** ჰფუცავ, მ. 5, 36; შენ **თავისა შენისათჳს** თჳთ ჰსწამებ, ი. 8, 13; **შენით თავით** იტყჳ მაგას, ანუ სხუათა ვიეთ გრქუეს შენ ჩემთჳს, ი. 18, 34 C.

რომელსა უყუარდეს **თავი თჳსი**, ლ. 9, 24; იფარვიდა **თავსა თჳსსა** ხუთ თთუე, ლ. 1, 24; რომელსა უნდეს **თავისა თჳსისა** ცხორებაჲ, მ. 16, 25 C.

იშვიათად **თავ**-თან „თჳსი“-ს ნაცვლად „მისი“-ც გვხვდება: ყოველი სამეუფოჲ, გავთული **თავსა** ზედა **მისსა**, აღოჴრდის, მ. 12, 25 C. ეს მაგალითი აღებულია ადიშის ძეგლიდან, რომელსაც საერთოდ სხვაც ბევრი თავისებურება ახასიათებს. ჩვეულებრივ კი მესამე პირთან დაკავშირებით **თჳსი** გვხვდება.

მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს აგრეთვე შემდეგიც: **თჳსი** იმდენად ხშირად გვხვდება უკუქცევითს ნაცვალსახელთან, რომ იგი არაიშვიათად ტოვებს თავის ფარგლებს და I და II პირთანაც იხმარება. ამ შემთხვევაში იგი განზოგადებულია და კუთვნილების გამოსახატავად ყველა პირთან დაისმის საერთოდ. მაგალითად:

თავსა თჳსსა ღმრთად გამოაჩინებ, ი. 10, 33 C. აქ მოსალოდნელი იყო: **თავსა შენსა**, როგორც გვაქვს კიდეც DE-ში: გიყოფიეს **თავი შენი** ღმერთ. ასეთივეა აგრეთვე შემდეგი მაგალითებიც: და შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა **თავი თჳსი**, მ. 19, 19; იჴსენ აწ თავი **თჳსი**, მ. 27, 40 (შდრ. C: განირინე **თავი შენი**).

თჳსი გვაქვს **თავ**-ის მრავლობითის ფორმასთანაც: განიმართლებთ **თავთა თჳსთა**, ლ. 16, 15.

მაგრამ ასეთი განზოგადება მყარ წესად არის ქცეული ჯამოთქმაში „**თავით თჳსით**“, რომელიც „თჳთონ“-ს აღნიშნავს. აქ **თჳსი** დაცლილია ძველი შინაარსისაგან და ამიტომაა, რომ იგი თანაბრად და დაუბრკოლებლად იხმარება სამივე პირის მიმართ, მაგალითად:

I პირთან: არა თავით თჳსით მოსრულ ვარ, ი. 8, 42; მე თავით თჳსით არა ვიტყოდე, ი. 12, 49.

II პირთან: ნუ ჰგონებთ და იტყჳთ თავით თჳსით, მ. 3, 9; ამით სწამებთ თავით თჳსით, მ. 23, 31; ანუ რაჲსა თავით თჳსით არა შჯით მართალსა, ლ. 12, 57.

III პირთან: რომელი თავით თჳსით იტყჳნ, ი. 7, 18; ესე თავით თჳსით არა თქუა, ი. 11, 51; ვითარცა-იგი ნასხლეჳსა ვერ ჴელ-ეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თჳსით, ი. 15, 4.

2. ჩვენებითი ნაცვალსახელები

ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან ყველაზე საინტერესოა ესე, ეგე, ისი, იგი. სათანადო საკუთარი ფორმების უქონლობის გამო პირის ნაცვალსახელები მესამე პირისათვის სწორედ ამ ჩვენებითს ნაცვალსახელებს იყენებენ. ამ ნაცვალსახელებს მრავალი თავისებურება ახასიათებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მესამე პირთან დაკავშირებით ხმარებისას მათ ფუნქციები განაწილებული აქვთ: ესე პირველ პირთან ახლოს მყოფის შესახებ ითქმის (ესე იტყჳს), ეგე—მეორე პირთან ახლოს მყოფზე (ეგე იტყჳს), იგი ითქმის I და II პირებისაგან მოშორებით მყოფზე, იქ მყოფზე, შორს მყოფზე, სხვა, მესამე პირთან მყოფზე (იგი იტყჳს). ისი ძველ ქართულში ჴშვიათად ხმარება. სადაც გვხვდება, იმასვე აღნიშნავს, რასაც ძველ ქართულში გაბატონებული იგი. იგი და ისი ერთიმეორის ბადალი სიტყვებია[1]. ამ ფაქტიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ერთისა და იმავე მნიშვნელობის გამომხატველი ეს ორი სიტყვა სხვადასხვა დიალექტური ფენის კუთვნილება უნდა იყოს[2]: ერთს ჰქონდა ს ძირიანი ისი, მეორეს გ ძირიანი იგი. ეს ს და გ დადასტურებული გვაქვს აგრეთვე ესე და ეგე ფორმებით, თუმცა ისინი განსხვავებული შინაარსით ხმარება. მაგრამ ეს შინაარსეული განსხვავება მეორეული უნდა იყოს. ძველ ქართულში ჩვენ გვაქვს მრავალი შემთხვევა, როცა ესე და ეგე ერთიმეორის ნაცვლად ხმარება[3]. ესე-სა და ეგე-ს შორის შინაარსეული დიფერენციაცია მას შემდეგ უნდა დამყარებულიყო, როცა ისინი სხვადასხვა დიალექტური წრიდან სალიტერატურო ენაში ერთად მოხვდნენ.

ჩვენებითს ნაცვალსახელებს ორ-ორი ფუძე აქვთ: ერთი სახელობითისათვის (ესე, ეგე, იგი, ისი), მეორე სხვა ბრუნვებისათვის[4]. კაცმა რომ თქვას, ეს ორი ფუძე კი არა, ორი სხვადასხვა ნაცვალსახელია, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირობებში წარმოშობილი.

მაგრამ ყველაზე ფასეული, რაც ჩვენებითს ნაცვალსახელებს დაუცავთ, მაინც მათი ბრუნების თავისებურებაა. აქ ხელშესახებადაა შემონახული ბრუ-

---

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 43.

[2] ა. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში": ენიმკის მოამბე, ტ. III, 1938, გვ. 221; მისივე: მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული სმნის უღლილების სისტემაში: იბერ.-კავკ. I. 1946. გვ. 104—105.

[3] ნ. ჩვენი: ნაწყვეტი ძველ ქართულში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 61, 1955, გვ. 250—257, შდრ.

[4] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 101.

ნების ის პირველადი სახე, რაც ქართული სახელებისათვის უნდა ყოფილიყო ნიშანდობლივი. აქ შეიძლება მოვიყვანოთ ბრუნების ცხრილი.

მხოლობითი რიცხვი

სახ.	ესე	ეგე	იგი	ისი
მოთხ.	ამა-ნ	მაგა-ნ	მა-ნ	იმა-ნ
მიც.	ამა-ს	მაგა-ს	მა-ს	იმა-ს
ნათ.	ამ-ის	მაგ-ის	მ-ის	იმ-ის
მოქმ.	ამ-ით	მაგ-ით	მი-თ	იმ-ით
ვით.	ამა-დ	მაგა-დ	—	იმა-დ

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ესე-ნ-ი	ეგე-ნ-ი	იგი-ნ-ი	ისი-ნ-ი
მოთხ.	ამა-თ	მაგა-თ	მა-თ	იმა-თ
მიც.	ამა-თ	მაგა-თ	მა-თ	იმა-თ
ნათ.	ამა-თ	მაგა-თ	მა-თ	იმა-თ [1]

ამ ნაცვალსახელებში მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია **ნ** (მა-ნ). ჩვენებით ნაცვალსახელთა ამ მოწმობას ადასტურებს აგრეთვე კითხვითი ნაცვალსახელი **ვინ**, რომლის ბოლოკიდური **ნ** ისეთივე ფუნქციისაა, როგორც **მან**-ში **ნ**. ამნაირად, მოთხრობითში ბრუნვის უძველესი ნიშანი ქართულში მხოლოდ ამ ორმა ნაცვალსახელმა შემოინახა: მა-**ნ**, ვი-**ნ** [2].

შემდეგ, აღსანიშნავია, რომ მიცემითსა, ნათესაობითსა და მოქმედებითში დაცულია პირვანდელი მარტივი ბრუნვის ნიშნები, რომელთაც არა აქვთ დართული ემფატიკური **ა** (მა-ს, მ-ის, მ-ით). ამიტომ საზოგადო არსებითი სახელების ბრუნების უძველეს სახედ ამნაირი წარმოება უნდა ვიგულოთ.

რომ არაფერი ვთქვათ მოქმედებითისა და ვითარებითი ბრუნვის ფორმათა არქონებაზე მრავლობითს რიცხვში, უნდა მივუთითოთ, რომ ამ ნაცვალსახელებს მხოლოდ ნარ-თანიანი მრავლობითი მოეპოვებათ (იგინ-ი, მა-თ) და ძველ ქართულში არსად არ გვხვდება ებიანი ფორმების ჩანასახიც კი, როგორიცაა ახალი ქართულის ესეები, ეგეები და სხვა.

ისი, იმან, იმას, იმის იშვიათად გვხვდება ძველ ქართულში, მაგრამ საერთოდ არის კი. ამ საკითხზე ცოტაოდენი გვაქვს ნათქვამი ნაწევართან დაკავშირებით და აქ შეიძლება სიტყვა აღარ განვაგრძოთ.

ნ. მარის აზრით, ჩვენებითს ნაცვალსახელებს ხმოვანთა წინ **ჱ** უნდა ჰქონოდათ [3]. ამ აზრს იზიარებს ა. ჩიქობავაც, რომელსაც საამისოდ და-

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 101.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, 1930, გვ. 41; მისივე: გრამ. საფუძვ. გვ. 101; ა. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თბილ. უნივ. შრომები, X, 1939, გვ. 168 და სხვ.

[3] ნ. მარი, ОГ, ტაბ. VIII: Iran. გვ. 85, 90 და სხვა.

მოწმებული აქვს ჰანურის სათანადო ნაცვალსახელები (ჰა-ჲა, ჰა-მ, ჰა-მ-თ-ეფ-ე; ჰე-ა ‖ ჰი-მ, ჰე-მ-თ-ეფ-ე...) და სალიტერატურო ქართულში აქა-იქ დაცული **ჰაგრე**.[1].

ესე, ეგე, იგი ნაცვალსახელთა ძირეულ მასალად ა. ჩიქობავა ხ, გ თანხმოვნებს თვლის[2]. ვ. თოფურიას აზრით, **მაგა, იგი, აგი** ფორმებში „ა, მა, ი სიახლოვე-სიშორის გამომხატველი ნაცვალსახელებია, გ—ადგილისა, მაშასადამე, აგი=„ამ ადგილას“, იგი=„იმ ადგილას“ და სხვ“[3]. მასვე **ესე, ოხი** ფორმებში ნაცვალსახელურ ძირად ს აქვს მიჩნეული[4].

ესე. ეგე, იგი, ისი, როგორც აღნიშნული გვაქვს („ნაწევარი ძველ ქართულში“, 255), სამი ფუნქციით იხმარება: ა) თუ ისინი უშუალოდ ზმნასთანაა დაკავშირებული, მაშინ პირის (ან ჩვენებითი) ნაცვალსახელის მნიშვნელობით იხმარება (ესე მოვიდა...); ბ) თუ არსებითს სახელს ახლავს,—ნაწევარია (კაცი ესე მოვიდა); გ) ხოლო თუ კითხვითს ნაცვალსახელებს,—ნაწილაკია (რომელი-იგი, რომელმან-იგი). ორ უკანასკნელ შემთხვევაზე უკვე გვქონდა საუბარი. ახლა მოვიყვანოთ მაგალითები პირველი შემთხვევის შესახებ. ამ შემთხვევა'შიც ეს სიტყვები ხან პირის ნაცვალსახელად გვევლინება, ხან ჩვენებითად. მათი ბრუნება ორივე შემთხვევისათვის სავსებით ერთი და იგივეა. ამიტომ მაგალითებს ამ მონენტის განურჩეველად წარმოვადგენთ.

სახელობითი

მხ. რიცხვი: **ესე** არს ძე ჩემი საყუარელი, მ. 3, 17; **ესე** იქმნა თავ საკიდურთა, მ. 21, 42; **ესე** მოვიდა პილატესა მ. 27, 58.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში **ესე** ქვემდებარედ არის წარმოდგენილი. მაგრამ იგი შეიძლება აგრეთვე პირდაპირ. დამატებად იყოს მოცემული. ამის ნიმუშებია:

მტერმან კაცმან ყო **ესე**, მ. 13, 28 C; განუტევე **ესე**, მ. 15, 23; და ღათუ ესმეს **ესე** მთავარსა მას, მ. 28, 14.

ეგე არს ჭეშმარიტად მჭსნელი სოფლისაჲ, ი. 4, 42 C; **ეგე** დაგაბრკოლებს თქუენ, ი. 6, 61 C... რაჟამს ვსუა **ეგე**, მ. 26, 29 C; მოჰკუეთე **ეგე**, ლ. 13, 7.

აღვიდა **იგი**, მ. 8, 23 D; **იგი** აქდა ნავსა, მრ. 4, 1 C; **იგი** განაბნევს, მ. 12, 30 ...განკიცხეს **იგი**, მ. 27, 31; აღსუა **იგი** თჳსსა კარაულსა და მოიყვანა **იგი** ყოველთასა მას სადგურსა და იღუაწა **იგი**, ლ. 10, 34.

---

[1] ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 79—82; მისივე: მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. X, 1939, გვ. 171.

[2] ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 73.

[3] ვ. თოფურია, დ-თავსართიანი ზმნები ქართულში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 25, 1943, გვ. 150.

[4] ვ. თოფურია, ნ და ხ ფენებისათვის ქართველურ ენებში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 1—2, 1941, გვ. 194. შდრ. აგრეთვე მისივე: ქართული ენა, განაკვ. III—IV, 1933, გვ. 22—23.

რამეთუ თქუა გულსა მისსა: არა გამოიძიოს **იხი**, ფსალმ. 9, 43.

მრ. რიცხვი: **ესენი** წარვიდეს, მ. 11, 7; გესმისა, რასა **ესენი** იტყჳან, მ. 21, 16; დაიცევენ **ესენი**, ი. 17, 11; წმიდა-ყუენ **ესენი**, ი. 17, 17.

უფალსა მაგისსა უჴმან **ეგენი**, მ. 21, 3 C.

წარვიდეს **იგინი**, მ. 2, 13; **იგინი** განძღენ, მ. 5, 6 ...აღიყუანნა **იგინი** მთასა მაღალსა თჳსაგან, მ. 17, 1; წარაველინნა **იგინი** ვენაჳსა თჳსსა, მ. 20, 2; მოწყჳდნა **იგინი**, ლ. 13, 4.

გეხვედება ნაწილაკიანი ფორმებიც, მაგალითად: **ესემცა** იცით, მ. 24, 43; **ესეცა** იყო იესუჲს თანა, ნაზარეველისა, მ. 26, 71; ანუ არა მეზუერეთაცა **იგივე** ყვიან, მ. 5, 47; ამისთჳსცა **იგინივე** მსაჯულ გექმნენ თქუენ, მ. 12, 27; **იგინიცა** განაგებდეს ბადეთა, მრ. 1, 19.

აქ მოყუანილი იყო მაგალითები ჩვენებით ნაცვალსახელთა **ერთი** ფუძიდან, რომელიც ორივე რიცხვის სახელობითში გვაქვს. ახლა ვნახოთ სხვა მაგალითები **მეორე** ფუძიდან, რომელიც სხვა დანარჩენ ბრუნვებშია მოცემული.

მოთხრობითი

მხ. რიცხვი: დამასხა მე **ამან** ნელსაცხებელი ესე, მ. 26, 12 C; ვითარ უკუე **ამან** წიგნი იცის უსწავლელად, ი. 7, 15.

ქეთილი საქმე ქმნა **მაგან** ჩემთჳს, მრ. 14, 6 C; არცა **მაგან** ცოდა, არცა მშობელთა მაგისთა, ი. 9, 3 D.

მან პირი დაიკრა, მ. 22, 12 C; **მან** დაუტევა არდაგი იგი, მრ. 14, 52; მიუგო **მან** და ჰრქუა, მ. 4, 4 C.

მრ. რიცხვი: **ამათ** მიიღონ უმეტესი საშჯელი, ლ. 20, 47; ვინაჲ ვიყიდოთ პური, რაჲთა ჭამონ **ამათ**, ი. 6, 5.

მათ აღძრეს ერი იგი, მრ. 15, 11; **მათ** იგიცა გუემეს, ლ. 20, 11; და **მათ** არა ცნეს სიტყუაჲ მისი, ლ. 2, 50.

მიცემითი

მხ. რიცხვი: **ამას** მეკარემან განუღის, ი. 10, 3; **ამას** ესმა, ი. 4, 47; **ამას** უწესოჲ არაჲ უქმნიეს, ლ. 23, 41 C.

ნუთუ მოართუა ვინ **მაგას** ჭამად, ი. 4, 33 C; ვინ აღუბილნა **მაგას** თუალნი, ი. 9, 21; **მაგას** ჰკითხეთ, ი. 9, 21 C.

გამოსცდიდა **მას**, მ. 22, 35; განჰსძარცუეს **მას** ქლამინდი და შეჰმოსეს **მას** თჳსიე სამოსელი, მ. 27, 31.

მრ. რიცხვი: **ამათ** ძირი არა უბნ, ლ. 8, 13; მიუტევე **ამათ**, მამაო, ლ. 23, 34.

თქუენ ეცით **მაგათ** ჭამადი, მ. 14, 16; ნუ აყენებთ **მაგათ**, მ. 19, 14; აცადეთ **მაგათ** წარსლვად, ი. 18, 8 C.

ღრუბელი... აგრილობდა **მათ**, მ. 17, 5; რაჲთა დაუგონ **მათ**, მრ. 6, 41; სხუაჲ იგაჲი დაუდგა **მათ** და ჰრქუა, მ. 13, 24.

ნათესაობითი

მხ. რიცხვი: **ამის** გამო...უნდა პილატეს განტეებაჲ მისი, ი. 19, 12; იგი თავადი **ამისგან** სჭმიდა, ი. 4, 12; არარაჲ ბრალი სიკუდილისაჲ ვპოვე

ამის თანა, ლ. 23, 22; **ამისთჳს** გამოეძიებთ ურთიერთას, ი. 16, 19.

მოუღეთ **მაგისგან** ქანქარი ეგე, მ. 25, 28; რაჲთა გამოცხადნეს საქმჱ ღმრთისაჲ **მაგის** ზედა, ი. 9, 3; მე **მაგის** თანა ბრალსა არას ვჰპოვებ, ი. 19, 6; მრავალი მევნო მე ჩუენებით ღღეს **მაგისთჳს**, მ. 27, 19.

ითხოვდა რასმე **მისგან**, მ. 20, 20; დასდევ ჴელი შენი **მის** ზედა, მ. 9, 18 C; დაადგრა მარიამ **მის** თანა, ლ. 1, 56; ზრახვა-ყვეს **მისთჳს**, მ. 12, 14 C; სოფელი **მის** მიერ შეიქმნა, ი. 1, 10; წარდგა **მის** წინაშე განბოკლებული, მ. 8, 2 C.

ამისგან, ეზექ. 48, 21.

მრ. რიცხვი: არა თუ სოფლისათჳს გლოცავ, არამედ **ამათთჳს**, ი. 17, 9 C.

ივლტოდა შიშული **მათგან**, მრ. 14, 52; შიში დაეცა **მათ** ზედა, ლ. 5, 26; იესუ წარვიდა **მათ** თანა, ლ. 7, 6; ცნეს, რამეთუ **მათთჳს** თქუა, მ. 21, 45.

მოქმედებითი

ამით სწამებთ თავით თჳსით, მ. 23, 31; **ამით** ცნან ყოველთა, ი. 13, 35; **ამით** იდიდა მამაჲ ჩემი, ი. 15, 8.

მოიყიდეს **მით** აგარაკი მეკეცისაჲ, მ. 27, 7; რომლითა საწყაულითა ჰწყვიდეთ, **მითვე** მოგეწყოს თქუენ, მრ. 4, 24 C.

უფრო ნაკლებად გვხვდება ვითარებითის ფორმები: ამად, მაგად. ხოლო მოქმედებითი და ვითარებითი მრავლობითში სრულებით არ შეგვხვედრია.

დასასრულ, დავგრჩენია ვუპასუხოთ, თუ რა ფორმაა **მისა**, **მათა** (სათანადოდ: ამისა, მაგისა, ამათა, მაგათა).

მისა, **მათა** და მსგავსი ფორმები უნდა წარმოადგენდეს და თანდებულიან ნათესაობითს, რომელშიც **სდ** და **თდ** კომპლექსები გამარტივებულია და დ-ს დაკარგვის გამო მიღებულია მ-ის-ა (←მ-ის-და), მა-თ-ა (←მა-თ-და)[1]. აქაც სრულიად ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, როგორც I და II პირის ნაცვალსახელებთან ვნახეთ: ჩემ-და, შენ-და, ჩუენ-და, თქუენ-და, მისა←მ-ის-და.

როგორც ვნახეთ, **ჩემდა**, **შენდა** და მსგავსი პირის სახელების ამ ფორმას ორი მნიშვნელობა ჰქონდა: ა) ჩემ-და, შენ-და მიმართულებას აღნიშნავდა ისეთ გამოთქმებში, როგორიცაა: მოვიდა ჩემდა, მოიწია შენდა და სხვა.

ბ) ჩემ-და, შენ-და დანიშნულების მნიშვნელობით იხმარებოდა: ექმნეთ ტალავარ **შენდა**. ეს **შენდა** უდრიდა **შენთჳს**, რაც არის კიდეც ასე მოცემული ზოგიერთ ხელნაწერში.

სრულიად ასეთივეა **მისა** და **მათა**. ამნაირად, აქ ჩვენ გვაქვს ერთი სწორი ხაზი, რომელზედაც მოთავსებულია ჩემდა და მისა (ამისა), შენდა და მაგისა, ჩუენდა და მათა (ამათა), თქუენდა და მაგათა.

აქ განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პირველი რიგის მაგალითებში და შენახულია მთლიანად (შენ-და), მეორეში მას დაკარგული აქვს დ (მ-ის-ა←

[1] ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 181; ძ ი ს ი ვ ე: ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში, მოხსენება ი. სტალინის სახ. თბილ. სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე 1942 წლის 13 აპრილს (მოხსენებათა თეზისები, გვ. 88).

მ-ის-და). ეს გასაგებიცაა: **თდ** კომპლექსი აუტანელია ქართულისათვის, **სდ-სთ**-საც უჭირს გაძლება (შდრ. მასთან→მასან, გურ.). მაგრამ **მ**-სა და **ნ**-სთან **დ**-ს მდგომარეობა არავითარ დაბრკოლებას არ აწყდება. აქ, ამას გარდა, მეორე გარემოებაცაა აღსანიშნავი: **მ-იხ-ა, მა-თ-ა** ფორმებში გვაქვს ბრუნვისა და რიცხვის აფიქსები, რაც ასატანს გახდიდა **დ**-ს დაკარგვას, მაშინ როდესაც ჩემ-და, შენ-და და მსგავს ფორმებში არავითარი აფიქსი არა გვაქვს და ამიტომ აუცილებელი იყო **დ**-ს მთლიანად შენარჩუნება.

ანალოგიური მდგომარეობაა გურულში, სადაც **იმისდა**-დან მიღებულია **იმიზა ს**-ს (**დ**-სთან) ასიმილაციისა და **დ**-ს დაკარგვის შემდეგ [1].

გვაქვს თუ არა სადმე ნაშთის სახით შემონახული სრული, ე. ი. **დ**-დაუკარგავი ფორმები? ასეთი ფორმები, რასაკვირველია, მოიპოვება. ისინი გვხვდებიან როგორც მხოლობითის (მისდა), ისე მრავლობითის (მათდა) ფორმებში. მაგალითები:

იყოს იგი **მისდა** საგმობელ და **შენდა** საქებელ, მამ. სწავ. (H) 56. ეს მაგალითი მშვენიერი ილუსტრაციაა იმ დებულების ნათელსაყოფად, რომ **შენდა** და **მისდა** ერთი რიგის მოვლენაა, რომ **მისა** სწორედ **მისდა**-საგანაა მიღებული.

...მომბერველმან **მისდა** სულსა მეტყუელებისასა, ეტ. III, 175, 7; და მას განეზარდა იგი სიყრმით მისითგან და ესწავა **მისდა** პატიოსანი მონაზონებაჲ და ბრძოლაჲ ეშმაკთა მიმართ, ამონ. 214, 9; ზუაობასა უძლევიეს **მისდა**, მამ. სწავ. 384; და ესე წიგნაჲ **მისდა** წარმოგზცემია, ხანძთ. 143, 10.

მსგავსი ფორმები, როგორც ვთქვით, გვაქვს მრავლობითშიც. ქართული ოთხთავის უძველეს ხელნაწერებში სისტემატურად იხმარება ერთმანეთის პარალელურად **მათა** და **მათდა**, რომელთაგან მეორე უფრო ძველია, პირველი—მერმე მიღებული. მაგალითები:

გამოვიდა **მათდა** პილატეცა, ი. 18, 29 C; განუტევა **მათდა** ბარაბა იგი, ლ. 23, 25 C; იგი არს სასყიდელი **მათდა**, მ. 6, 5 C; მე **მათდა** და შენ **ჩემდა**, ი. 17, 23 C; უკუეთუ **მაგათდა** ჯერ-არს, მიუდეგინ მათ, პარხ. 666 a.

ამნაირი მაგალითები ბევრი შეიძლება დავასახელოთ, მაგრამ კმარა. აქედანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ

ა) **მისა** და **მათა** სრულიად იმ რიგის ფორმებია, როგორც **ჩემდა** და **შენდა, ჩუენდა** და **თქუენდა**;

ბ) **მისა** და **მათა** გამარტივებული (დ-დაკარგული) ფორმებია, მათი პირვანდელი სახეობა არის **მისდა** და **მათდა**, რომლებიც აქა-იქ გვხვდება კიდეც ძველ ქართულში;

გ) ბოლოკიდური და აღნიშნულ ფორმებში არის თანდებული, რომელიც ერთვის ნათესაობითს ბრუნვას (ეს ფორმა აღნიშნავს მიმართულებასა და დანიშნულებას). ეს და ისეთივე მნიშვნელობისა და ღირებულებისაა, როგორც ქვემომოყვანილ ხაზგასმულ ფორმებში:

---

[1] ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: ენიმკის მოამბე, ტ. 1, 1937, გვ. 180.

ესე წმიდაჲ მოციქული ტიმოთე არა თუ **პავლეხდა** ბოლო შედგომილ იყო და ესწავა და ესმინა მისგან საღმრთოჲ სწაულაჲ სულიერი, პარხ. 1214; მოუწოდა ქმარსა მას, **რომლისადა** მიეთხოვა ასული მისი, იქვე, 1236; დაწერით მიჯმნია ქრისტესგან და შედგომილ ვარ **ეშმაკისადა**, იქვე, 1213 ხ; არამედ **ვიეოდა** განმზადებულ არს, მ. 10, 23 ლაგ. და სხვა. [ნ. კიდევ **ვისდა** და **ვიეთდა** ქვემოთ, გვ. 506, 509].

ზოგჯერ **მისა**-ს პარალელურად გვხვდება **მისხა**-ც: შეკრბეს **მისხა** ფარისეველნი, მრ. 7, 1 D. CE-ში ამის ნაცვლად იკითხება ჩვეულებრივი **მისა**. **მისხა**-ში ორი სანი არაა საჭირო. **მისხა** წარმომდგარი უნდა იყოს **მისი** კუთვნილებითი ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ანალოგიით (როგორიცაა, მაგალითად: აღმოსლვასა **მისხა**, მრ. 1, 10; აჩრდილსა **მისხა**, მრ. 4, 32 C და სხვ.).

ძველ ქართულში გვხვდება საწინააღმდეგო მოვლენაც: ზოგჯერ **მისი** კუთვნილებითს ნაცვალსახელს მიცემითში ერთი **სანით** წერენ. ეს ახასიათებს ზოგ ძველ ხელნაწერს. ასე, მაგალითად, იგი მეტად დამახასიათებელია საქ. მუზ. A 38 ხელნაწერისათვის, სადაც, სხვათა შორის, ხშირად გვხვდება ასეთი ფორმები: ქებულებასა **მისა**, ფსალმ. 65, 1; სახელსა **მიხა**, ფსალმ. 67, 4; ადგილსა წმიდასა **მისა**, ფსალმ. 67, 5; პირსა **მიხა**, ფსალმ. 68, 15 და სხვა[1]. კითხვა იბადება: **მისა**-ს **მისხა**-დ წარმოდგენის ერთ-ერთი მიზეზი ხომ არ არის ერთგვარი შიში და უსაფუძვლო ზრუნვა—როგორმე არ დააკლოს ასო, რომლის ორმაგ სახეს ის სხვა შემთხვევაში ხშირად ხედავს (სახლსა **მისხა**)? რაღაც ამგვარი რამ უნდა ედოს საფუძვლად ისეთ ფორმებს, რომელთაც დღევანდელ ქართულში წააწყდება ზოგჯერ კაცი, მაგალითად:

„მე თავად **გავვოცდი**, ეს რა მომსვლია-მეთქი, როდესაც შემდეგი დაპირისპირება წავიკითხე" (კ. ჭიჭინაძე, „ბოშებისა" და „პოლტავის" თარგმანის გამო: „ლიტ. გაზ". № 23, 1955, 10. VI); „მოვბევეტე საბუთები და **გავვუჩინარდი**" (ა. ტოომკინი. „სერიოზული საქმე": გაზ. „კომუნისტი", 4 ოქტ. 1954, გვ. IV).

* * *

ძველ ქართულში არა გვაქვს ისეთი ჩვენებითი ნაცვალსახელები, როგორიცაა დღევანდელი ქართულის ფორმები: ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა, ამდენი, მაგდენი, იმდენი[2]. სამაგიეროდ იქ გვაქვს ზოგიერთი ამათგანის შინაარსის შესატყვისი ფორმები: **ეგევითარი, ესევითარი, ესემლევანი, ეგოდენი, ესოდენი.**

ეგევითარი და **ესევითარი** ერთნაირი აგებულების სიტყვებია, რომლებშიც შედის ეგე და ესე + ვითარი: ეგე + ვითარი, ე. ი. მაგნაირი, ესე + ვითარი, ე. ი. ამნაირი. **ვითარ. ვითარი** ცნობილი და გავრცელებული სიტყვებია ძველ ქართულში და შესაბამისად ნიშნავს: **როგორ, როგორი.**

---

[1] ამ ხელნაწერში ჩვეულებრივია ორი ერთნაირი ასოდან ერთ-ერთის გამოტოვება სხვა შემთხვევაშიც, მაგალითად: საკმენი **შენი**... მტერნი **შენი**, ფსალმ. 65, 2 (= შენნი); სიმდიდრესა თჳსა, ფსალმ. 51, 7 (= თჳსსა) და სხვა (აქ დამოწმებული ადგილები ამოღებულია ქართული ნიის ისტ. კრებულთმათიის მეორე გამოცემაში გამოყენებული ტექსტიდან).

[2] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 43.

ეგოდენ-სა და **ესოდენ-ში** **ეგე-ს** და **ესე-ს** მოკვეცილი აქვს ბოლოკიდური **ე**. ცვლილება მოსდის მეორე ნაწილსაც: **ეგდენ-ში** **ო** ამოღებულია: ეგ-ოდენ→ეგდენ. **ესოდენ-ში** ცვლილება უფრო შორსაა წასული: ესე-ოდენ→ესოდენ→ესდენ→ესთენ (დ დაყრუდა **ს**-ს გავლენით). ყველა ეს საბე დაცულია ძველ ქართულში. მოვიყვანოთ თითო-ოროლა მაგალითი:

ეგევითარი: რამეთუ იყვნენ დღენი იგი ჭირისანი, რომელ არა ყოფილ არს **ეგევითარი** დასაბამითგან, მრ. 13, 19 C; მამაჲ **ეგევითართა** ეძიებს თაყუანის-მცემელთა მისთა, ი. 4, 23.

ესევითარი: არცა ისრაჱლსა შორის ვპოვე **ესევითარი** სარწმუნოებაჲ, ლ. 7, 9; ვითარ ჴელ-ეწიფების კაცსა ცოდვილსა **ესევითარისა** სასწაულისა საქმედ, ი. 9, 16. მაგრამ ეს სიტყვა ხშირად იკუმშება ხოლმე: ვითარ-მე შემძლებელ არს კაცი ცოდვილი **ესევითრისა** სასწაულისა ყოფად, იქვე C; **ესევითრითა** მით იგავებითა ეტყოდა მათ სიტყუასა, მრ. 4, 33 C.

ესემლევანი: (=ამნაირი, ამისთანა): და სხუასაცა მსგავსსა **ესე მლევანსა** მრავალსა იქმთ, მრ. 7, 13 C.

ესოდენი, ესთენი (=ამდენი): **ესოდენ** ჟამ თქუენ თანა ვარ, ი. 14, 9; ვითარმცა განძლა ერი **ესოდენი**, მ. 15, 33; ძალნი **ესოდენნი**, მრ. 6, 2; **ესთენი სახწაული** ექმნა მათ წინაშე, ი. 12, 37.

* * *

ძველ ქართულში ჩვენებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე **რომელი**; იგი უდრის **ესე** (**ეგე**) ან **იგი** ფორმებს: **რომლისა მადლისათჳს** გეტყჳ შენ, ლ. 7, 47. **რომლისა მადლისათჳს** ნიშნავს „**ამის** გულისათჳის“, ...„**ამის** გამო“, „ამიტომ“.

...**რომლისაგან** არცა თავი ჩემი ღირს მიჩნდა მისლვად შენდა, ლ. 7, 7. **რომლისაგან** აქაც იმავეს ნიშნავს: „ამის გამო“, „ამიტომ“ [1].

3. კითხვითი ნაცვალსახელები

კითხვითი სახელებიდან ძველ ქართულში სავადასხვა თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს **ვინ, რა, რომელი, რაოდენი**. ამათგან, რასაკვირველია, ყველაზე მნიშვნელოვანია **ვინ**.

ვინ

ვინ, როგორც ცნობილია, ქართულში მხოლოდ ადამიანის მიმართ იხმარება: **ვინ** მოვიდა?—კაცი მოვიდა; ვინ ქმნა?—კაცმან ქმნა. არაადამიანების, ნივთის მიმართ კი **რა** არის გამოყენებული: რაჲ მოვიდა?—ლომი მოვიდა; **რაჲ** არს ესე? ესე არს დანაკ.

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნულ-ქართული სემასიური პარალელები: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 30—31 B, 1947, გვ. 421—428.

ვინ-ს თავისებური ბრუნებაც აქვს:

მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
სახ,	ვი-ნ	—
მოთხ.	ვი-ნ	ვი-ეთ
მიც.	ვი-ს	ვი-ეთ
ნათ.	ვი-ს	ვი-ეთ
მოქმ.	*ვი-თ	—
ვით.	*ვი-დ	—

აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

1. სახელთაგან ეს არის ერთადერთი სიტყვა, რომელსაც ფუძის ბოლოს ი შერჩა. ყველა სხვა ასეთი სახელის ი სახელობითის ნიშნად იქნა გაგებული და სხვა ბრუნვებში ჩამოსცილდა; ასეთი სახელები თანხმოვანფუძიანთა კლასში გადავიდა.

2. ეს არის მეორე სიტყვა, რომელმაც მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ნ შემოგვინახა: ვი-ნ. ეს ნ, როგორც ცნობილია, არის მოთხრობითი ბრუნვის უძველესი ნიშანი. მეორე ასეთ სიტყვათაგანია მა-ნ. შდრ. ვი-ნ თქუა? — მა-ნ თქუა.

3. მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ამ სახელს სახელობითში აქვს გადაყოლილი: ვი-ნ თქუა? მაგრამ ვინ იტყჳს? ფუძე კი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა: ვი. მეორე ასეთ სიტყვას (მა-ნ) ასეთი თვისება არ ახასიათებს, რადგან ის სახელობითს ბრუნვას საკუთარი ფუძიდან ვერ აწარმოებს, სხვა ფუძეს სესხულობს: იგი. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ:

„ა) მოთხრობითი უფრო ადრეა ჩამოყალიბებული, ვინემ სახელობითი; ქართულ ბრუნვათა ისტორიაში **მოთხრობითი წინ უსწრებს სახელობითს:** ამიტომ იყო შესაძლებელი გვქონოდა მან მოთხრობითის გაგებით, მაგრამ არა გვქონოდა სახელობითი და, როცა ამის საჭიროება შეიქმნა, სხვა სტყვა (იგი, ის)—ჩვენებითი ნაცვალსახელი—ესესხებინა მესამე პირის ნაცვალსახელს და მით შეევსო დანაკლისი.

ბ) მოთხრობითი და სახელობითი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან: მხოლოდ ამიტომ იყო შესაძლებელი ნ სახელობითშიც გამოეყენებინა ვინ-ნაცვალსახელს (და არ ესესხებინა ბაბალი ფუძე სახელობითისათვის)“ [1].

4. მიცემითი და ნათესაობითი ერთნაირი ფორმითაა წარმოდგენილი: ვი-ს. წარმომდგარია ეს ასე: ნათესაობითის **ის** ნიშნის ი და ფუძისეული ი შერწყმულია და მიღებულია ერთი ი: ვი-ის→ვი-ს. ამიტომ დაემთხვა ნათესაობითი მიცემითს. ამ ბრუნვების გარჩევა მაინც ხერხდება: მიცემითი უთანდებულოდ იხმარება: ვის აქუს? ნათესაობითი კი მხოლოდ თანდებულით გვხვდება, როგორც პირისა და ჩვენებითს ნაცვალსახელებში: **ვისგან, ვისთჳს,**

[1] ა. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართულურ ენებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. X, 1939, გვ. 173.

ვისდა. მაგალითად: არცა გკვნიეს ვისდა ენებაჲ მცირეჲ გინა დიდი, პარხ. 863 a. ეს მაგალითი იმითაც არის საინტერესო, რომ აქ აშკარად ჩანს და-ს ხასიათი: ის თანდებულია და ერთვის ნათესაობითის ფორმას. ამიტომ და თანდებულია სხვა ანალოგიურ შემთხვევებშიც (ჩემ და, შენ-და, მის-და).

5. მოქმედებითი ბრუნვა ჩვეულებრივი მნიშვნელობით არ იხმარება, მაგრამ რომ იგი უნდა ჰქონოდა, ამას ამტკიცებს ფორმები: ვი-თ-არ (როგორ), ვი-თ-არ-ცა (როგორც, როგორც კი, როცა), ვი-თ-არ-მ-ედ (რომ, ასე რომ), სადაც მოქმედებითი ბრუნვის ფორმას წარმოადგენს ვი-თ, არ, ცა, მ-ედ კი სხვადასხვა შინაარსის ნაწილაკებია. ძველი ვითარ-იდანაა მიღებული დღევანდელი ქართულის ვითა და ვით. მოქმედებითი ბრუნვის ვი-თ ისეა მიღებული, როგორც ნათესაობითის ვი-ს: ვი-ით→ვი-თ. ვით ვინ-ის მოქმედებით ბრუნვად მიაჩნდა ნ. მარსაც[1].

6. არც ვითარებითი ბრუნვა იხმარება დამოუკიდებლად, მაგრამ იგი დაცული უნდა გვქონდეს ფორმაში ვი-დ-რე, რომელიც ძველ ქართულში ნიშნავს „სად“, „საით“ და კარგად უდგება ამ ბრუნვის შინაარსს. ასეთია, მაგალითად, გამოთქმა: ვიდრე ხუალ?“ (ი. 13, 36), რაც ნიშნავს: სად მიხვალ? შდრ. რუს. თარგმანი: куда ты идёшь? ვითარებითის ნიშნად აქ გამოდის ერთ-ერთი უძველესი ნიშანი ამ ბრუნვისა დ: ვი-დ.

ვი-დ-რე-ში რე ნაწილაკია და შეიძლება იგი მეიდრო კავშირში იყოს ოდნაობის რე ნაწილაკთან, რომელსაც დიდი გავრცელება ჰქონდა ძველ ქართულში: ხუაშიადად-რე (შუშ. 148, 6), უშორესად-რე (ლ. 24, 28), შე-რე-დგინებად (ლ. 5, 3), მცირედ-რე (ლ. 22, 58) და სხვა. ამგვარად, არ არსებობს არც შინაარსეული და არც ფორმობლივი დაბრკოლება, რომ ვიდ(რე) ვინ ნაცვალსახელის ვითარებით ბრუნვად იქნეს გამოცხადებული.

ნ. მარი ასეც ფიქრობდა და ვიდ-ს ვინ-ის ვითარებით ბრუნვად თვლიდა[2]. ა. შანიძე წერს, რომ ვი-დ-რე რე-დართული ვითარებითიაო[3]. ა. ჩიქობავას ვიდ-რე ვი-ნ ფორმის დონიან ვარიანტად მიაჩნია[4].

7. ვინ ნაცვალსახელს მოეპოვება მრავლობითი რიცხვიც. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ეს მრავლობითი შეუძლია აღნიშნოს მოთხრობითსა და სხვა ირიბ ბრუნვებში, მაგრამ არა სახელობითში, აქედანაც კარგად ირკვევა, რომ მოთხრობითის ჩამოყალიბება უსწრებს წინ სახელობითისას: იყო მოთხრობითის ფორმა (ვი-ეთ), მაგრამ არ იყო სახელობითისა. მაგრამ აქ უფრო საინტერესოა მეორე გარემოება: მრავლობითის ნიშნად გვაქვს სუფიქსი ეთ, რომლის თანხმოვნითი ნაწილი თ კარგად ცნობილი მრავლობითობის ნიშანია (კაც-თ-ა, ხე-თ-ა). ჩვენი სახელი ამ თ-სთან ერთად შეიცავს ხმო-

---

[1] ნ. მარი, Древнегрузинско-русский словарь к 1—2 главам евангелия Марка, 1913. стр. 7; Грам. стр. 102.

[2] ნ. მარი, Грам. გვ. 107.

[3] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 627.

[4] ა. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. X, 1939, გვ. 174.

ვან ე-ს და ამით ბუნებრივად ეხმაურება მრავლობითობის სხვა ქართულ სუფიქსებს, როგორიცაა: ენ, ეს, ებ, ედ. ვი-ეთ-ის ეთ შესაძლებელია ედ-ის დაყრუებული სახეობა იყოს[1]. ეთ მრავლობითობის ნიშანი აქ მარტო არა დგას. მას გვერდში უდგება ასეთივე შინაარსის მქონე ეთ საკუთარ (პირთა) სახელებში: პაელე-ეთ-ი, აზარია-ეთ-ი, დანიელ-ეთ-ი, აბიბოს-ეთ-ი და სხვა[2]. მეორე მხრივ, ამასთან მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს აგრეთვე გეოგრაფიული სახელების ეთ სუფიქსსაც: კახ-ეთ-ი, იმერ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი და სხვა.[3].

ვინ-თან დაკავშირებულ ზოგიერთ სხვა საკითხზე კიდევ გვექნება ქვემოთ ლაპარაკი. ახლა კი მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები.

მხოლობითი

სახელობითი: არასადა ვინ გამოჩნდა. ესრულთ ისრაულსა შორის, მ. 9, 33; ვინ გნებავს ორთაგანი, მ. 27, 17; ვინ შემძლებელ არს მიტევებად ცოდვათა, მრ. 2, 7 C; ვინ უფროჲს არს, მრ. 9, 34 C.

მოთხრობითი: ვინ უძლის შესლვად სახლსა ძლიერისასა, მ. 12. 29 C; ვინ მოგცა შენ ჴელმწიფებაჲ ესე, მ. 21, 23; ვინ ორთა ამათგანმან ყო ნებაჲ მამისა თჳსისაჲ, მ. 21, 31.

მიცემითი: ვითარცა-იგი ვის აქუნ ჴელმწიფებაჲ, მ. 7, 29; ვის ვამსგავსო ნათესავი ესე, მ. 11, 16; არცა ესმეს ვის... ჴმაჲ მისი, მ. 12, 19.

ნათესაობითი: ვაჲ, ვისგან მოვიდეს, ლ. 17, 1: ვერ იცოდეს. ვისთჳს იტყოდა, ი. 13, 22; არცა გჳენიეს ვისდა ვნებაჲ მცირე გინა დიდი, პარხ. 863 გ.

ამ მაგალითებში ნათესაობითი თანდებულით არის წარმოდგენილი. იშვიათად შეიძლება ნათესაობითის ფორმა ვის უთანდებულოდ შეგვხვდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მას უეჭველად ეხლება რაიმე განსაზღვრება, რომელზედაც გადატანილია ბრუნვათა გარჩევის მთელი სიმძიმე. მაგალითად: ვის მათგანისა იყოს ცოლ, მრ. 12, 23; ვის თქუენგანისა ძე ანუ ჴარი ჯურღუმულსა შთავარდეს, ლ. 14, 5 C. არსებითად თუ ვიტყოდით, ვის-ს არაპირდაპირ აქაც ახლავს თანდებული: „მათ-გან-ისა“ და „თქუენ-გან-ისა“-ს გან რამდენადმე ვის-საც ეკუთვნის. ყოველ შემთხვევაში, ცალკე აღებული ვის ნათესაობითში უთანდებულოდ არ გვხვდება.

ძალიან ხშირად ვინ კითხვითს ნაცვალსახელს ახლავს ბოლმე რაიმე ნაწილაკი. ყველაზე ხშირად ასეთის როლში გამოდის ე. წ. კითხვითი, თუ კითხვის გამაძლიერებელი ნაწილაკი მე (ვინ-მე არს ესე, მ. 8. 27). ეს ნაწი-

[1] ა. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა ჴენებისისათვის ქართულში: იბერ.-კავკ. VI, 1954, გვ. 75.

[2] ნ. ამის შესახებ აქვე ზემოთ, გვ. 385—391.

[3] ა. შანიძე, ეფ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 11, 1949, № 8, გვ. 762; მისივე, გრამატ. საფუძვ. გვ. 140; ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში: ჩვენი მეცნიერება, 1924, № 11—12.

ლაკი შინაარსს არ უცვლის სახელს: **ვინ** ისევ კითხვით ნაცვალსახელად რჩება. მაგრამ არის მეორე **მე** ნაწილაკი, რომლის დართვისასაც **ვინ** კარგავს კითხვითობას და განუსაზღვრელობით ნაცვალსახელად იქცევა (კეთროვანი **ვინმე** მოუკდა, მ. 8, 2). ამ ორგვარი **მე**-ს გასარჩევად მიღებულია წესად, რომ კითხვითი **მე** გამოეყოს სიტყვას დეფისიფ (ვინ-მე, ვის-მე)[1], რადგან ის სიტყვას მნიშვნელობას არ უცვლის. ხოლო განუსაზღვრელობის **მე** ნაწილაკი, რომელიც კითხვითს ნაცვალსახელს განუსაზღვრელობითად აქცევს, სახელთან ერთად იწეროს. ამგვარად, გვექნება:

ა) **ვინ-მე** არს ესე? მაგრამ:

ბ) კეთროვანი **ვინმე** მოუკდა.

ნაწილაკიანი ბრუნვის მაგალითები:

ვინ-მე უკუე შეუძლოს ცხორებად, მ. 19, 25 C; მო-**ვინ-მე**-ართუა ჰამადი, ი. 4, 33; შე-**ვინ-მე**-მახო, ლ. 8, 46 CD. E-ში ამის ნაცვლად გვაქვს: **ვინ** შემახო მე.

...განიგდებდეს მის ზედა წილსა, **ვინ-ძი** რაჲ აღიღოს, მრ. 15, 24; **ვის-მე** ჴელ-ეწიფების ცხორებად, მ. 19, 25; წილ-იგდეს მას ზედა, **ვისმცა** რაჲ ხუდა, მრ. 15, 24 C; არარაჲ ზრუნვაჲ გიც **ვისთჳს**, მრ. 12, 14; შეიბილნეს ურთიერთას მოწაფეთა მისთა და შეზრუნდეს: **ვისთჳს-მე** იტყჳს, ი. 13, 22 C.

თანდებულისა და ნაწილაკის ერთდროულად დართვისას **ამ სიტყვაში** რიგი ყოველთვის ერთი და იგივეა: **ჯერ** არის თანდებული, მას მოჰყვება ნაწილაკი (ვის-თჳს-მე, ეის-გან-მე). მაგრამ ეს რიგი **საერთოდ** ერთად-ერთი სრულებითაც არ არის: სხვა სიტყვებში გვხვდება პირიქითაც: **ჯერ** ნაწილაკი, შემდეგ თანდებული, მაგალითად: **ყოველსავეთჳს** საქმისა, მ. 18, 19.

მრავლობითი

შენით თავით იტყჳ მაგას, ანუ სხუათა **ვიეთ** გრქუეს შენ ჩემთჳს, ი. 18, 34 C. **ვიეთ** ამ შემთხვევაში მოთხრობითშია: თუ სხვა ვინმეებმა გითხრესო. მეორე მაგალითი ნათესაობითში გვხვდება: მეფენი ქუეყანისანი **ვიეთგან** მიიღებენ ხარკსა ანუ ზუერსა მათსა: შვილთაგან ანუ უცხოთაგან, მ. 17, 25. ნათესაობითი აქ **გან** თანდებულიანია და ეს ბუნებრივიცაა: ნაცვალსახელები ნათესაობითში ჩვეულებრივ მხოლოდ თანდებულით გვხვდება.

ვინ ნაცვალსახელის ბრუნების რიგში გვხვდება აგრეთვე ფორმები **ვიხა** (მხოლობითში) და **ვიეთა** (მრავლობითში). მაგალითად:

გიჩუენო თქუენ, **ვიხა** გეშინოდის, ლ. 12, 5; **ვიხა** მსგავს არს იგი, ლ. 13, 18; **ვიხაცა** უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს, ლ. 10, 22 C.

დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა ჩემი არს მიცემად, არამედ **ვიეთა** განმზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა, მ. 20, 23; მრ. 10, 40; თქუა **ვიეთა** მიმართ იგავი ესე, ლ. 18, 9 D.

---

[1] ეს წესი პირველად შემოღებულია ა. შანიძის მიერ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის გამოცემაში (1945 წ.).

E-ში **ვიეთა**-ს ნაცვლად გვხვდება სრულიად ამნაირივე ფორმა, ოღონდ **მე** ნაწილაკიანი, ე. ი. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელისა: **ვიეთამე**. გასაღებს იძლევა ლაგურკისა და ადიშის ხელნაწერები, რომელთაგან პირველს **ვიეთ და** თანდებულით მოუცია: **ვიეთდა** (მ. 20, 23), ხოლო ადიშის ძეგლს პარხლისასავით განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი აურჩევია, მაგრამ და თანდებული დაურთავს: **ვიეთდამე** მიმართ. აქედან ცხადია, რომ **ვი-ეთ-ა** იგივე **ვი-ეთ-და-ა** და **ვი-ეთ-ა-მე** იგივე **ვი-ეთ-და-მე-ა**, ოღონდ დ-დაკარგული.

ვი-ს-ა-ც, ცხადია, **ვი-ს-და**-დან მომდინარეობს. **ვისდა** გვხვდება კიდეც უძველეს ტექსტებში, იგი ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ სხვა საკითხთან დაკავშირებით (გვ. 506) და აქ აღარ გავიმეორებთ.

რაც ითქვა **ვინ** კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნების შესახებ, იგივე უნდა ითქვას აქედან **მე**-ს დართვით მიღებული განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ბრუნების შესახებაც; აქაც გვექნება:

მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
სახ.	ვინმე	—
მოთხ.	ვინმე	ვიეთმე
მიც.	ვისმე	ვიეთმე
ნათ.	ვის...მე	ვიეთ...მე

ორიოდე მაგალითი:

მხოლობითი:

სახელობითი: თუ **ვინმე** წარგიძღუანებდეს შენ მილიონ ერთ. მ. 5, 41 C; კეთროვანი **ვინმე** მოუვდა, მ. 8, 2.

მოთხრობითი: უკუეთუ **ვინმე** არა შეგიწყნარნეს თქუენ, მ. 10, 14; უკუეთუ **ვინმე** ჰამოს მისგანი, ი. 6, 50.

მიცემითი: უკუეთუ **ვისმე** უნდეს თავი თვისი განრინებად, მ. 16, 25.

ნათესაობითი: რამეთუ ძლცა კაცისაჲ არა მოვიდა, ვითარმცა იმსახურა **ვისგანმე**, მრ. 10, 45; უკუეთუ გაჴსოვს რაჲმე ბოროტი **ვისთჳსმე**, მრ. 11, 25.

ყველა ამ მაგალითში ნათესაობითი თანდებულითაა წარმოდგენილი. იშვიათად გვაქვს ნათესაობითი უთანდებულოდაც. მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეიძლება გარკვეულ როლს არ თამაშობდეს ნაწილაკი, რომელიც ეთვის ნათესაობითის ფორმას. ამ საინტერესო ფორმას ისევ ადიშის ძეგლი გვაწვდის, მაგალითად: ასისთავისა **ვისმე** მონაჲ სნეულ იყო, ლ. 7. 2 C. DE-ში ეს ფორმა კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელით არის წარმოდგენილი: ასისთავისა **ვისიმე** მონაჲ... C-ს წაკითხვა, უეჭველია, უფრო ძველია.

მრავლობითი

მოთხრობითი: იწყეს **ვიეთმე**[1] ნერწყუვად პირსა მისსა, მრ. 14. 65; თქუეს **ვიეთმე** ფარისეველთა მათგანთა, ი. 9. 16 C.

[1] **ვიეთმე**. **ვიეთნი** მნიშვნელობით ოდნავ განსხვავებულია, ნიშნავს: „ზოგიერთებს" („ზოგიერთებმა"), „ზოგიერთნი". მაგრამ ძირეული **ვინ**-ისაგან საკმე ძალიან შორს წასული კი არაა: **ვიეთნიმე**—ვინმეები, ვილაცეები, ე. ი. ზოგიერთები.

მიცემითი: ნუ მთავართაგანთა ვიეთმე ჰრწმენა მისი, ი. 7, 48; ესმა ვიეთმე ფარისეველთაგანთა, ი. 9, 40 C.

ნათესაობითი: თქუა ვიეთამე მიმართ იგავი ესე, ლ. 18, 9 E. (`-ში, როგორც ვნახეთ, თანდებულიანი ფორმაა მოცემული: ვიეთდამე მიმართ. ვიეთდამე-დან, როგორც აღვნიშნავდით, ვიეთამე-ა მიღებული.

ეგევე უნდა ითქვას მსგავსი ფორმის შესახებ მხოლობითში: ვისამე← ვისდამე. ვისამე გვხვდება შედარებით ხშირად: ჯერ-თუ-არს ვისამე (=ვისდამე) განტევებაჲ ცოლისა თჳსისაჲ ყოვლითა შიზეზითა, მ. 19, 3 C; მივედით ვისამე ქალაქად, მ. 26, 18 C.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ არც კითხვითს ვინ-ს, არც განუსაზღვრელობითს ვინმე-ს არა აქვს მრავლობითის ფორმა სახელობითში. ჩვენ იქვე გვქონდა მოყვანილი ა. ჩიქობავას დებულება, რომ ამ ფაქტიდან გამომდინარეობს დასკვნა: „მოთხრობითი უფრო ადრეა ჩამოყალიბებული, ვინემ სახელობითი; ქართულ ბრუნვათა ისტორიაში მოთხრობითი წინ უსწრებს სახელობითს“ [1]. ამიტომ იყო შესაძლებელი გვქონოდა ვიეთა, ვიეთამე მოთხრობითისათვის, მაგრამ არ გვქონოდა სახელობითი. მაგრამ შემდეგ შეიქმნა საჭიროება სახელობითისა. ენამ ამ მიზნისათვის მიმართა მრავლობითის ნათესაობითის ფორმას, რომელსაც უფრო გეიან შემოსული მრავლობითობის ნ ნიშანი დაურთო: ვიეთ-ნ-ი. აქ ჩვენ გვაქვს ორმაგი ნიშანი მრავლობითისა: ძველი ეთ და ახალი ნ. მაგალითი: ვიეთნიმე მათგანნი იტყოდეს, ი. 11, 37; უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ, ი. 20, 23.

მრავლობითობის ეს მეორე ნიშანი ნ ზოგჯერ ირიბ ბრუნვებში შესაფერი მრავლობითობის ნიშნის—თ-ს გაჩენას იწვევს და გვაქვს: ვიეთთამე, ვიეთთაგან და სხვა.

რაჲ

კითხვითი ნაცვალსახელი რა არაადამიანის მიმართ იხმარება: რაჲ არს ესე? ესე არს ჯარ, ესე არს დანაკ. ისიც თავისებურად იბრუნება. აი მისი ბრუნების სქემაც:

სახ.	რა-ჲ
მოთხ.	(არ გვხვდება)
მიც.	რა-ხ ‖ რა-ხ-ა
ნათ.	რა-ჲს-ა
მოქმ.	რა-ჲთ-ა
ვით.	რა-დ

აქ რამდენიმე თავისებურებაზე უნდა მიეუთითოთ:

[1] ა. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. X, 1939, გვ. 173.

1. **რა** ნაცვალსახელს ძველ ქართულში არ გააჩნია მოთხრობითი ბრუნვა (რა-მან). ეს ადეილი გასაგებია: მოთხრობითი მხოლოდ სუბიექტის, პიროვნების ბრუნვაა. **რა** კი სწორედ პირს, პიროვნებას, ადამიანს არ დაესმის კითხვად, ადამიანისათვის ქართულს აქვს **ვინ** და სწორედ მისთვისაა სპეციფიკური მოთხრობითი. აკი ამიტომ სწორედ მას, და მხოლოდ მას (**მა-ნ**-თან ერთად) აქვს შემონახული მოთხრობითი ბრუნვის უძველესი **ნ**: ვი-**ნ** (მა-**ნ**): ვინ თქუა (მა-**ნ** თქუა).

შემდეგში და შემდეგში, როცა ადამიანისა და ნივთის კატეგორია გადავარდა და მასთან დაკავშირებული წარმოება მინელდა და გაქრა, შესაძლებელი გახდა **რა**-საც გასჩენოდა მოთხრობითის ნიშანი **მან**. იგი უკვე გვაქვს ბალაჰვარის სიბრძნეში (**რამან** დაგაყენნა აქამომდე, ბალაჰვ. 4, 28), ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ რამდენჯერმე გვხვდება ამნაირი წარმოება, მაგალითად:

ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა
რამან შეგქმნა ტანად, პირად“ (878, 1).

რამან გვხვდება აქ კიდევ სამჯერ (599, 3; 1130, 3; 1245, 4). აღსანიშნავია, რომ ამავე პოემაში მოიპოვება ამ ფორმის გამარტივებული სახე: **რა-მ**:

ანუ ეგრე **რამ** დაგლია,
ანუ პირველ **რამ** გაგავსო? (559, 2).

2. წრფელობითი და წოდებითი ბრუნვები ბუნებრივად არა აქვს.

3. მიცემითში დაცულია ორგვარი ფორმა: ძველი, მარტივი **ს** ნიშნით (რა-**ს**) და მერმინდელი, რთული **ს-ა** აფიქსით (რა-**ს-ა**). ძველ ქართულში უკვე სპარბობს მეორე.

4. ნათესაობითსა და მოქმედებითში გვაქვს **რა-ჲს-ა** და **რა-ჲთ-ა** და მით უკვე გახაზულია, რომ ეს სახელი არ იკვეცება. ახალი ქართულის **რ-ის-ა** და **რ-ით-ა** უცხოა ძველი ქართულისათვის.

აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ **რაჲსა** ძველ ქართულში კითხვითს ზმნიზედაა ქცეული და აღნიშნავს **რატომ**. ხანდახან ამ მიზნისათვის **თჳს** თანდებულიანი ფორმაა გამოყენებული: **რაჲსათჳს**. **რაჲსა, რაჲსათჳს** ძველ ქართულში მიზეზის გარემოების კითხვაა და არა მიზნისა, როგორც თანამედროვე ქართულში: **რაჲსათჳს** არა მოხუედ პირველსა წოდებასა (ბანძთ. 119, 22) ნიშნავს: **რატომ** არ მოხვედი პირველი მოწოდებისას? აქა-იქ დღესაც წამოყოფს ხოლმე თავს ძველი წარმოება: **რისთვის** ნახმარია არა **მიზნის** გარემოების კითხვის მნიშვნელობით (როგორც დღესაა წესად ქცეული), არამედ მიზეზის გარემოების კითხვის შინაარსით (როგორც ძველად იყო მიღებული), მაგალითად, იტყვიან: **რისთვის** ვაააკეთე ეს ცუდი საქმე? **რისთვის** გააცთინე ლექცია? **რისთვის** დაიგვიანე? ცხადია, ყველა ამ მაგალითში **რისთვის** = „რატომ“.

არც **რაჲთა**. ისმარება ჩვეულებრივ მისი ძირითადი მნიშვნელობით: იგი უკვე მიზნის გარემოების კავშირადაა ქცეული, რომლიდანაც მიღებულია დღევანდელი **რათა** (= რომ): მითხართ მე, **რაჲთა** მეცა მივიდე და თაყუანის-ვსცე მას, მ. 2, 8. ამ შემთხვევაში ამ კავშირთან შედამ კავშირებითი კილო იხმარება. ძველ ქართულში ესაა ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა. მაგრამ

აქა იქ მას ჯერ კიდევ აქვს შერჩენილი ძირითადი მნიშვნელობა, მაგალითად: უკუეთუ მე ბერზებულითა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი **რაჲთა** განასხმენ, მ. 12, 27; ლ. 11, 19; რაჲ გიყო (მან) შენ და **რაჲთა** აღგიხილნა თუალნი შენნი, ი. 9, 26 C; უკუეთუ მარილი იგი წბილ იყოს, **რაჲთა** დაიმარილოს, მრ. 9, 50; **რაჲთა** ვცნა ესე, ლ. 1, 18. ამ მაგალითებში **რაჲთა** იქნება დღევანდელი ქართულის **რით**: თქვენი შვილები **რით** ერეკებიან (გარეთ), **რით** აგიხილა თვალები, **რით** დამარილდება, **რით** ვცნობ. აღსანიშნავია, რომ ასეთი გაგებისას **რაჲთა**-სთან შეიძლება ყოველი მწკრივი შეგვხვდეს: რაჲთა **განასხმენ** (აწმყო), რაჲთა **აღგიხილნა** (წყვეტილი), რაჲთა **დაიმარილოს** (II კავშირებითი). მართალია, ამ უკანასკნელ მაგალითში ზმნა II კავშირებითში დგას, მაგრამ კილო მისი თხრობითია, ხოლო დრო—მომავალი: რით **დამარილდება**. ასევე: რაჲთა ვცნა=რით **ვცნობ**.

5. ვითარებითი ამ სახელს ჩვეულებრივად აქვს ნაწარმოები: **რა-დ**.

6. **რა**-ს არ გააჩნია მრავლობითი რიცხვი, არც **ნარ-თანიანი** და არც **ებიანი**. დღევანდელი ქართულის რაები-რეები და მისთანანი სრულებით უჩვეულოა ძველი ქართულისათვის.

ამნაირად, **ვინ** და **რა** ნაცვალსახელთა შედარებითი შესწავლა გვეუბნება, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა წარმოებისა და შინაარსის მიხედვით: მაშინ როდესაც **რა** ნაცვალსახელი საზოგადო სახელთა ბრუნების ცნობილ შაბლონს მისდევს ჩვეულებრივ, **ვინ** დიდი არქაიზმის თვისებებსა და თავისებურებებს ამჟღავნებს. ასეთია, მაგალითად, ფუძის **ვი**-თი დაცვა, მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად **ნ**-ს შენახვა, მრავლობითობის უძველესი ნიშნის **-ეთ**-ის გამოვლინება, ძირითადი ბრუნვებისათვის მარტივი ნიშნების გამოყენება (**ნ**, **ს**, **ის→ს**, **ით→თ**, **დ**) და სხვა.

ახლა წარმოვადგინოთ მცირე საილუსტრაციო მასალა.

სახელობითი: **რაჲ** არს იგავი ესე, მრ. 4, 10; **რაჲ** არს, რომელი-ესე მესმის შენთჳს, ლ. 16, 2; **რაჲ** ვჰამოთ, ანუ **რაჲ** ვსუათ, ანუ **რაჲ** შევიმოსოთ, მ. 6, 31 E. D-ში მეორე **რაჲ**-ს ნაცვლად მოცემულია **რა** (ნ. კიდევ ლ. 12, 22 D). ეს **რა** აქ, რასაკვირველია, **ჲ**-ს დაკარგვის შემდეგ არის მიღებული.

რა-სთან გვხვდება მრავალი ნაწილაკი, რომელთაგან ზოგი მას მნიშვნელობას უცვლის, ზოგი—არა. პირველი რიგის ნაწილაკებია: **მე**; **ესე**, **ეგე**, **იგი**. ამათგან **მე**-ს დართვა კითხვითს **რა**-ს განუსაზღვრელობითად აქცევს (**რამე**); **ესე**, **ეგე**, **იგი** კი მას მიმართებითს ხასიათს აძლევს: **რაჲ-ესე**, **რაჲ-ეგე**, **რაჲ-იგი**=რაც.

მეორე წყების ნაწილაკები შემდეგია: **მე** (კითხვითი), **მცა**, **ცა**, **ღა**, **ძი**. ამჟამად ჩვენთვის მეორე რიგის ნაწილაკებიანი სახელია საჭირო:

რაჲ-მე უკუე ყოფად არს ჩუენდა, მ. 19, 27 C; არა იცოდეს, **რაჲმცა** სიტყუაჲ მიუგეს მას, მრ. 14, 40; **რაჲ-ღა** მაკლს მე, მ. 19, 20; აღუთქუა ცას მიცემად, **რაჲცა** ითხოვოს, მ. 14. 7; გამოვიდეს ხილვად, **რაჲ-ძი** არს, რომელ-იგი იქმნა, მრ. 5, 14.

შესაძლებელია **რა**-ს ერთდროულად ორი ნაწილაკი ახლდეს, მაგალითად: უკუეთუ ნედლსა ხესა ესრეთ უყოფენ, ჴმელსა მას **რაჲ-ღა-მე** ეყოს,

ლ. 23, 31 E. D ამ შემთხვევაში ერთ ნაწილაკს სჯერდება (**რაჲ-მე**), ხოლო C ამ ნაწილაკებს გადასმული სახით წარმოგვიდგენს (რაჲ-მე-ღა).

მ ი ც ე მ ი თ ი: **რას** ძჯრის-საქმესა შესწამებთ კაცსა მაგას, ი. 18, 29 C; **რასა** ჰგონებთ თქუენ, მ. 18, 12 C; **რასა** აქა სდეგით დღე ყოველ ცუდად, მ. 20, 6 C; **რასა-მე** ვამსგავსო ნათესავი ესე, მ. 11, 16 C; **რახალა** გჯმან მოწამებ, მრ. 14, 63 C;

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი. ამ ნაცვალსახელის ნათესაობითის ფორმა, როგორც აღვნიშნეთ, კითხვით ზმნიზედადაა ქცეული: **რაჲსა** ნიშნავს „რატომ“-ს. აი ორიოდე მაგალითი: **რაჲსა** ესოდენ შესძრწუნდით, მ. 8, 26; **რაჲხა** გამომცდით მე, მ. 22, 18; **რაჲსა** მეძიებდით მე, ლ. 2, 49.

ამავე მნიშვნელობით იხმარება **თჳს** თანდებულიანი ფორმაც: **რაჲხათჳს** თქუენ ბოროტსა ზრახავთ გულთა შინა თქუენთა, მ. 9, 4; **რაჲხათჳს** ჩუენ ვერ შეუძლეთ მას განძებად, მრ. 9, 28.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი. მოქმედებითის ის ფორმები, რომლებიც ძირითადი მნიშვნელობით იხმარება, ზემოთ იყო მოყვანილი (გვ. 512). აქ ვუჩვენებთ ორიოდე ნიმუშს, როცა ეს ფორმები კავშირად არის გამოყენებული: არქუ ქვათა ამათ, **რაჲთა** პურ იქმნენ, მ. 4, 3; იესუს შოლტითა ჰსცა და მისცა მათ, **რაჲთა** ჯუარს-ეცუას, მ. 27, 26.

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი. **რად** გულ-მედგარ ხართ, მ. 8, 26 C; **რად** ზრახავთ ძჯრსა, მ. 9, 4 C; ჩუენ **რად** ვერ უძლეთ განკდად მისა, მ. 17, 19 C; **რად** აჰკსნით კიცუსა მაგას, მრ. 11, 5 C; დედაკაცო, **რად** სტირ, ი. 20, 13 C; **რად** არა მოიყვანეთ იგი, ი. 7, 45. ამ უკანასკნელ მაგალითს გარდა, სხვა ყველა მხოლოდ ადიშის ძეგლიდან არის მოყვანილი; DE-ში ამ **რად**-ს ყველა ამ შემთხვევაში აქვს შესატყვისად **რაჲსა** ან **რაჲხათჳს**. აქედან ჩანს, რომ **რად**= რატომ, ე. ი. აქ ისიც მიზეზს აღნიშნავს და არა მიზანს.

ცალკე უნდა იქნეს აღნიშნული **რა-ჲ** ნაცვალსახელის გამოყენება დროის გარემოების კავშირად. ამ შემთხვევაში ის იქნება დღევანდელი **რა** (მოვიდა **რა**, თქვა).

რაჲ ძველ ქართულში იხმარება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, სახელდობრ დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში. ახალ ქართულზე შეიძლება იგი გადმოიცეს კავშირებით: **როცა, თუ არა, როგორც კი, რა.** ეს უკანასკნელი წარმოადგენს ძველი **რაჲ**-ს გამარტივებულ სახეს: ჲ დაკარგულია. შევნიშნავთ აქვე, რომ თვით ძველსაც ქართულში გვხვდება ამნაირი მარტივი ფორმებიც. დავასახელოთ ორიოდე ნიმუში:

სულელთა მათ **რა** აღიხუნეს სანთელნი მათნი, არა აიღეს მათ თანა ზეთი, მ. 25, 3 C; ამას **რაჲ** ეტყოდა მათ, აჰა მთავარი ვინმე მოუვდა, მ. 9, 18 C; ფარისეველთა **რაჲ** ესმა სიტყუაჲ იგი, დაბრკოლდეს, მ. 15, 12.

ხშირად ეს **რაჲ** (რა) ზმნისწინსა და ზმნას შორის არის ხოლმე მოქცეული (ტმესი): მი-**რა**-ვიდა ადგილსა მას, ჰრქუა მათ, ლ. 22, 40; შე-**რაჲ**-მწუხრდა, მარტოჲ იყო მუნ, მ. 14, 23.

რთული ქვეწყობილი წინადადების ამგვარი კონსტრუქცია ზოგს უცხო ენის გავლენად მიაჩნია, მაგრამ ეს შეხედულება არ უნდა იყოს სწორი. ამას

ამტკიცებს, ჯერ-ერთი, ამ მოვლენის ფართო გავრცელებულობა ძველ ქართულში; ეს რომ ქართული ენის შინაგანი კანონის გამოხატულება არ იყოს, ასეთ გავრცელებას ვერ პოვებდა. მერმე: უცხო ენიდან შეთვისებული ნორმები ჩვეულებრივ არ იქცევა გამძლე ენობრივ მოვლენად, აღნიშნულ კონსტრუქციას კი დღესაც მკვიდრი საფუძველი აქვს ჩვენს ენაში.

შდრ., მაგალითად:

რა მოგშორდი, შვილო, შემდეგ
შავი ფიქრი გულს მიბურავს (აკაკი).

კი ნაწილაკის დართვით მიღებულია რაკი, რომელიც ახალ ქართულში აგრეთვე ძალიან ხშირად იხმარება. მაგალითად:

რაკი მთას იქით მზე დაწვებოდა
და გაეკვროდა ვარსკვლავი ცასა,
გაშლილი ძრობა მოგროვდებოდა
და დავიწყებდით ყველანი თვლასა
(ი. ჭავჭავაძე, მხატვრული ნაწერები, 1937, გვ. 180).

ან:

რაკი ტრედის-ფრად ცა ინათებდა
და შორს ცისკარი კამკამს იწყობდა,
მეძროხე ვინმე დაგვიძახებდა
და დილის ტკბილსა ძილს დაგვიფრთხობდა
(იქვე).

რომელი

რომელი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება ძველ ქართულში. ერთ-ერთ მის მნიშვნელობას გავეცანით ზემოთ (გვ. 504), იქ იგი ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით იხმარებოდა (რომლისათჳს=ამის გამო). **რომელი**-ს ერთ-ერთ სხვა ფუნქციას ქვემოთ შევეხებით (რომელი=რომელიც). მაგრამ **რომელი**, უპირველეს ყოვლისა, კითხვითი ნაცვალსახელია. აქ ჩვენ სწორედ ეს მისი მნიშვნელობა გვაინტერესებს. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ძველ ქართულში **რომელი** ამ ძნიშვნელობით შედარებით ნაკლებად იხმარება. მაგალითები: **რომელი** მცნებაჲ უფროჲს არს შჯულსა შინა, მ. 22, 36; ცოფნო და ბრმანო, **რომელი** უფროჲს არს: ოქრონჲ იგი ანუ ტაძარი, რომელი განსწმედს ოქროსა მას, მ. 23, 17. ამ წინადადებაში **რომელი** ორჯერ გვხვდება: პირველი კითხვითი ნაცვალსახელია, მეორე—მიმართებითი. სრულიად ასეთივე ხასიათისაა აგრეთვე შემდეგი ადგილიც: ცოფნო და ბრმანო, **რომელი** უფროჲს არს: შესაწირავი იგი ანუ საკურთხეველი, რომელი განსწმედს შესაწირავსა, მ. 23, 19; **რომელი** გნებავს ორთაგანი მიგიტევო თქუენ: ბარაბა ანუ იესუ, რომელსა ჰრქჳან ქრისტე, მ. 27, 17. **რომელი** აქაც კითხვითი ნაცვალსახელია, DE-ში მის ნაცვლად არის ვინ; **რომელსა** კი, აქვე რომ გვხვდება, ისევ მიმართებითი ნაცვალსახელია და დღევანდელი ქართულით იქნებოდა **რომელსაც**. მაგალითები კიდევ:

რომელი იგავი მოვიღო მისთჳს, მრ. 4, 30; **რომელი საქმჱ** ექნნე, მრ. 10, 17; **რომელმან-მე** ორთაგანმან ყო ნებაჲ მამისაჲ, მ. 21, 31 C; ძენი თქუენნი **რომლითა** განასხმენ, მ. 12, 27 C; რომლითა ჴელმწიფებითა ამას იქმ, მ. 21, 23 და სხვა.

მაგრამ ამნაირი მაგალითები, როგორც ვთქვით, მცირეა. **რომელს** ეს მნიშვნელობა უფრო მეტად მაშინ აქვს, როცა ის განსაზღვრებას წარმოადგენს და იქვე მოსდევს საზღვრული. ასეთი მსაზღვრელ-საზღვრულია ჩვენი მაგალითების: **რომელი მცნებაჲ, რომელი საქმჱ, რომლისა საქმისათჳს** და სხვა.

რაოდენი, რავდენი

რაოდენი მიღებულია რა-სა და ოდენ-ის შეერთებისაგან: **რა+ოდენ-ი**. ო-ს რედუქციის შემდეგ გვაქვს **რავდენი**. მანის ვინთან შენაცვლებით ძიღებულია დღევანდელი **რამდენი**[1].

რაოდენი, რავდენი დამოუკიდებლადაც იხმარება და არსებითს სახელთან ერთადაც. მისი ბრუნება სრულიად ისეთია, როგორც სათანადო არსებითი სახელისა და ამიტომ მასზე აქ არ შევჩერდები. დავასახელებ მხოლოდ ორიოდე მაგალითს:

რაოდენი პური გაქუს აქა, მ. 15, 34; **რაოდენი** სფჳრიდი აღიღეთ, მ. 16, 10; **რაოდენი** თანა-გაც უფლისა ჩემისაჲ, ლ. 16, 5; **რავდენნი** წელნი არიან, ვინაითგან გმონე შენ, ლ. 15, 29 C.

როცა ამ სახელს ახლავს რაიმე ნაწილაკი (რაოდენიცა, რაოდენი-რაჲ, რაოდენი-იგი), ის უკვე აღარ არის კითხვითი ნაცვალსახელი, ის მიმართებითად იქცევა და აქ არ გვაინტერესებს; მას ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ (ნ. გვ. 520—524 და სხვა.).

4. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

კუთვნილებითი ნაცვალსახელებია: ჩემი, შენი, ჩუენი, თქუენი; მისი, მათი; თჳსი. როგორც თვით ფუძეები უჩვენებს, ესენი მომდინარეობენ სათანადო პირთა ნაცვალსახელებიდან: პირის ნაცვალსახელებისათვის საკარაუდებელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა გამოყენებულია ახალ ფუძედ და ისევ ნაბრუნებია. პირის ნაცვალსახელების ნათესაობითია: ჩემ, შენ, ჩუენ, თქუენ, მ-ის, მა-თ, რომელთაგან მივიღეთ კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ჩემ-ი, შენ-ი, ჩუენ-ი, თქუენ-ი, მის-ი, მათ-ი.

მაშასადამე, აქ ჩვენ არსებითად გვაქვს ნანათესაობითარი სახელები, ე. წ. ნაგენეტივარი სახელები იმ ტიპისა, როგორიცაა: **თბილ-ის-ი** (**თბილ-**იდან), **მანგალ-ის-ი** (**მანგალ-**იდან), **რუ-ის-ი, შვინდ-ის-ი** და სხვა[2].

თჳსი, ა. შანიძის აზრით, მომდინარეობს უკუქცევითი ნაცვალსახელიდან **თავი**: თავ-ის-ი→თვ-ის-ი→თუ-ის-ი→თჳსი. ასეთ შემთხვევაში ვ-ს უბრჳგუდ ქცევა დადასტურებულია ძველ ქართულში: თაეყანის-ცემა→

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 158.

[2] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 115—116: ე. თოფურია, ქართული ენა, III—IV განაყვ. გვ. 18.

თაყვანის-ცემა → თაყუანის-ცემა. ამიტომ გასაზიარებელია ასეთი ახსნა. იგი შინაარსითაც ხელშესახები და გასაგებია: გვაქვს პირის (უკუქც.) ნაცვალსახელი თავი, აქედან მივიღეთ კუთვნილებითი ნაცვალსახელი თვისი → თჳსი. ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს აზრით, თჳსი ნაცვალსახელი ასე ანალიზდება: „თუ+ის—ი, ძირია თუ „თავი“. იგი ნათ. და მოქმ.-ში იკუმშება და ი-სთან შერწყმით იძლევა ჳ-ს: თ ჳ თ “ [1].

კუთვნილებითი ნაცვალსახელების წარმომავლობის ისტორია სულ სხვანაირად აქვს მოცემული გ. რ ო გ ა ვ ა ს. მისი აზრით, „შ ე ნ-ი, თ ქ უ ე ნ-ი, ჩ უ ე ნ-ი კუთვნილებითი ნაცვალსახელები შედგენილი უნდა იყოს პიროვნებით ნაცვალსახელთან ი კუთვნილებითი აფიქსის, resp. კუთვნილებითი ნაცვალსახელის დართვით. შ ე ნ პიროვნებითი ნაცვალსახელი: შ ე ნ-ი კუთვნილებითი ნაცვალსახელი, შ ე ნ-ი, ე. ი. „შენ-თავისი“.

სახელობითის -ი აფიქსის ჩამოყალიბების შედეგად კუთვნილებითობის ეს აფიქსი აირია სახელობითის -ი- აფიქსში ისევე, როგორც ი-ზე დაბოლოებული ფუძეების -ი (შდრ. ბასილი, გრიგოლი...). ამჟამად ყველა ამ შემთხვევაში -ი სახელობითის ნიშნადაა გაგებული“ [2]. ავტორის აზრით, სწორედ ეგევე ი არის, რომ ზმნის სათავისოსა და სასხვისო ქცევის ფორმებსა (დავიწერე, დაიწერე, დაიწერა; დამიწერა, დაგიწერა) და სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნვებში (კაც-ი-ს-ა, კაც-ი-თ-ა) გვხვდება.

ეს მოსაზრებები მეტად საინტერესო და ანგარიშგასაწევია, მაგრამ აქ ბევრი რამ ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ჯერ-ერთი, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნათესაობითს ბრუნვას კუთვნილებითი შინაარსი საერთოდ ახასიათებს, ეს ყველა ენაში ასე გვხვდება (книга ученика, ein Buch des Schülers...). ხოლო ნათესაობითი ბრუნვის ნიშნები ამ ენებში კუთვნილებითი ნაცვალსახელებიდან არ მომდინარეობს, ყოველ შემთხვევაში, ამას დამტკიცება უნდა. მერმე: თუ ნათესაობითისა და მოქმედებითის ი კუთვნილებითი ნაცვალსახელიდან მოდის, რატომ მოქმედებითს არა აქვს ასეთი (კუთვნილებითი) გაგება? რაც შეეხება უშუალოდ აქ აღძრულ საკითხს, უნდა ვიკითხოთ: როგორ მოხდა, რომ შენ-ი, ჩუენ-ი, თქუენ-ი კუთვნილებითი ნაცვალსახელის მისაღებად საჭირო გახდა პირის ნაცვალსახელებს დაჰრთოდა ი კუთვნილებითი აფიქსი, resp. კუთვნილებითი ნაცვალსახელი? თუ კუთვნილებითი ნაცვალსახელი უკვე გვქონდა, რაღა საჭირო იყო სხვა, ახალი კუთვნილებითი ნაცვალსახელის ჩამოყალიბება? სანამ ამ კითხვაზე პასუხს მივიღებდეთ, ისევ ძველი შეხედულების საფუძველზე უნდა ავხსნათ კუთვნილებითი ნაცვალსახელების წარმოშობა.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები ჩვეულებრივად იბრუნვის. ისინი შეიძლება შეგვხვდეს დამოუკიდებლადაც და არსებით სახელთან ერთადაც. ამ

---

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა. რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერ.-კავკ. I. 1946, გვ. 80.

[2] გ. რ ო გ ა ვ ა, კუთვნილებითი აფიქსი ი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიაში (ქცევასა და ბრუნვებში): საქ. აკად. მოამბე, ტ. III, № 5, 1942, გვ. 500.

უკანასკნელ შემთხვევას ქვემოთ ჩვენ საგანგებოდ შევეხებით მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების განხილვისას. აქ კი მოვიყვანთ ნიმუშებს კუთვნილებითი ნაცვალსახელების ბრუნების შესახებ:

ჩემი ყოველი **შენი** არს, და **შენი ჩემი** არს, ი. 17, 10; დამან **ჩემმან** მარტოჲ დამიტევა მე მსახურებად, ლ. 10, 40; გუერდსა **ჩემსა**, ი. 20, 27; შემდგომად აღდგომისა **ჩემისა**, მ. 26, 32; სახელისა **ჩემისათჳს**, მ. 10, 22; ეგე ყოველი დამიმარხავს სიყრმით **ჩემითგან**, მ. 19, 20; მაგაო **ჩემო**, მ. 26, 39; თითნი **ჩემნი**, ი. 20, 25; მიციან **ჩემთა** მათ, ი. 10, 14; გეტყჳ თქუენ, მეგობართა **ჩემთა**, ლ. 12, 4;

სარწმუნოებანი **შენმან** გაცხოვნა შენ, მ. 9, 22; აგარაკსა **შენსა**, მ. 13, 27; პირისა **შენისაგან** გსაჯო შენ, ლ. 19, 22; მაცადე და აღმოგიღო წუელი ეგე თუალით **შენით**, მ. 7, 4 C; ჴელნი **შენნი**, ი. 21, 18; ნუ ჰხადი მეგობართა **შენთა**, ლ. 14, 12.

როგორც იშვიათი ფორმა, უნდა დავასახელო **შენითურთ**. იგი პირის ნაცვალსახელის შესანაცვლებლად არის ნახმარი და ნიშნავს—შენიანად, შენთან ერთად: და მისცეს უფალმან ისრაჱლი **შენითურთ** ჴელთა უცხო- თესლთასა ხვალე ამის ჟამისა წინა, 1 მეფ. 28, 19.

რაჲ არს **ჩუენი** და **შენი**, მრ. 1, 24; შესაკრებელი **ჩუენი** მან აღმიშენა ჩუენ, ლ. 7, 5; ლაზარე, მეგობარმან **ჩუენმან**, დაიძინა, ი. 11, 11 C; გარდააქცეუდა ნათესესა **ჩუენსა**, ლ. 23, 2; შჯულისა **ჩუენისა**, ი. 19, 7 C; მამაო **ჩუენო**, მ. 6, 9; მომიტეუენ **ჩუენ** თანა-ნადებნი **ჩუენნი**, ვითარცა **ჩუენ** მიუტეუებთ თანა-მდებთა **ჩუენთა**, მ. 6, 12.

რომელმან ისმინოს **თქუენი**, ლ. 10, 16; განისუენოს მის ზედა მშჯდობამან **თქუენმან**, ლ. 10, 6; ვიდრემდის თავს-ვიდებდე **თქუენსა**, მ. 17, 17; განწესებულისა **თქუენისა**, ლ. 3, 13; მამისა **თქუენისაგან**, მ. 6, 1; მოთმინებითა **თქუენითა** მოიპოვნეთ სულნი **თქუენნი**, ლ. 21, 19; მამათა **თქუენთა** მოწყჳდნეს იგინი, ლ. 11, 47;

რომელსა თანა-ედვა **მისი** ასი დრაჰკანი, მ. 18, 28; მიუგო დედამან **მისმან** და ჰრქუა, ლ. 1, 60; ჰკითხა მამასა მას **მისსა**, მრ. 9, 21 C; ასულისაგან **მისისა**, მრ. 7, 26; წარჰჴოცნა ფერჴნი თმითა **მისითა**, ი. 11, 2 C; ალაგნი **მისნი**, მ. 3, 3; მიაელინეს მისა დათა **მისთა** და ჰრქუეს, ი. 11, 3 C.

ამ სახელს შეიძლება იშვიათად წოდებითი ბრუნვის ფორმაც ჰქონდეს, მაგალითად: მამაო, მამაო, ეტლო ისრაჱლისაო და მჴედარო **მისო**, 4 მეფ. 2, 12; 13, 14.

მათი არს სასუფეველი ცათაჲ, მ. 5, 3; იწყო კაცად-კაცადმან **მათმან** სიტყუად, მ. 26, 22; და თქუენ ნაშრომსა **მათსა** შეხუედით, ი. 4, 38 C; მაშინ პილატე საჯა თხოვისაებრ **მათისა**, ლ. 23, 24; ნაყოფისა **მათისაგან** იცნეთ იგინი, მ. 7, 16 C; დაუტევნეს ბადენი **მათნი**, მრ. 1, 18; ჰრქუეს მათ უფალთა **მათთა**, ლ. 19, 33.

დედაჲ **თჳსი**, მ. 10, 37; იხილა იგი მამამან **თჳსმან**, ლ. 15, 20; აგარაკსა **თჳსსა**, მ. 13, 24; სასყიდლისა **თჳსისა**, ლ. 10, 7; ოდეს იტყჳნ ტყუვილსა, **თჳსისაგან** გულისა იტყჳნ, ი. 8, 44; ხოლო იესუ მოწაფითურთ **თჳსით** წარ-

ვიდა ზღუად კერძო, მრ. 3, 7 C; დიდებითა თჳსითა, მ. 25, 31; მოვიდა თჳსად ქალაქად, მ. 9, 1 C. მაგრამ უფრო ხშირად ვითარებითისეული დ დაკარგულია და ამ ბრუნვაში გვაქვს თჳსა: წარვიდა სახიდ თჳსა, მ. 9, 7.

...მართუენი თჳსნი, მ. 23, 37; გულთა შიდა თჳსთა, მ. 9, 3 C; ცხოვართა თჳსთაჳს, ი. 10, 11 და სხვა.

როგორც აღნიშნული გვქონდა, თჳსი-ს ნაცვლად ხშირად იხმარება მისი. ეს შენაცვლება სხვაზე მეტად ადიშის ხელნაწერისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად: უფალმან თჳსმან, მ. 18, 32 DE, მაგრამ: უფალმან მისმან C; გულსა თჳსსა, მ. 13, 21 D, მაგრამ: გულსა მისსა C; მამისა თჳსისა, ლ. 1, 59 DE, მაგრამ მამისა მისისა C; მოწაფეთა თჳსთა, მ. 19, 10 DE, მაგრამ: მოწაფეთა მისთა C და სხვა.

მაგრამ უფრო საყურადღებოა, რომ თჳსი არა მარტო მესამე პირის მიმართ იხმარება, არამედ I და II პირის მიმართაც. ამ შემთხვევაში ის დაცლილია თავისი ძველი შინაარსისაგან და ხაერთოდ ყველა პირისათვისაა განზოგადებული. ის ჩვენ მოგვაგონებს რუსულ свой-ს, რომელიც სამივე პირთან დაკავშირებით იხმარება. უკუქცევითი ნაცვალსახელის თავის შესახებ საუბრისას (თავი თჳსი) ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი ზემოთ (გვ. 495—497) და აქ აღარ გავიმეორებთ[1].

კუთვნილებით ნაცვალსახელებს აქვთ კიდევ ერთი თავისებურება. რადგანაც ისინი ჩვეულებრივ ისე იბრუნვიან, როგორც სათანადო არსებითი სახელები, ე. ი. აქვთ თითქმის ყველა ბრუნვის ფორმა კარგად გამოკვეთილი, იმათ ხშირად სესხულობენ პირის ნაცვალსახელები, რომელთაც ბრუნვის ნიშნები სრულებით არ გააჩნიათ, და ამრიგად, ძნელი გასაგებია, თუ რომელი ბრუნვის მნიშვნელობით იხმარება ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ამიტომაა, რომ კუთვნილებითს ნაცვალსახელებს ჩვენ ვხვდებით პირის ნაცვალსახელების რიგში. განსაკუთრებით ხშირად ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირის ნაცვალსახელებს თანდებულები უნდა დაერთოს. ასეთ შემთხვევაში თანდებულის ბოლოს დართვა კიდევ არის ასატანი პირის ნაცვალსახელებისათვის, მაგრამ როცა ეს თანდებულები მათ თავში ერთვის, თავის წინაპარს ჰშველის და მონაცვლეობას უწევს კუთვნილებითი ნაცვალსახელი. შდრ. მაგალითად:

შორის: შენ შორის, მ. 6, 23, მაგრამ: შორის შენსა, ლ. 19, 44;
თქუენ შორის, მ. 10, 20, მაგრამ: შორის თქუენსა, ლ. 17, 21;
ჩუენ შორის, მ. 13, 56, მაგრამ: შორის ჩუენსა და შენსა, ლ. 16, 26;
მათ შორის, მ. 18, 2 C, მაგრამ: შორის მათსა, მ. 14, 6.

წინაშე: ჩემ წინაშე, ლ. 4, 7, მაგრამ: წინაშე ჩემსა, ლ. 19, 27;

[1] თავისი-ს (თვისი, თჳსი) I და II პირთან გამოყენებაზე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში ლაპარაკი აქვს ა. შანიძეს თავის შრომაში „ქართული გრამატიკის საფუძვლები", 1953, გვ. 115—116. ეგეთივე მოვლენა გარე-კახურში დადასტურებული აქვს. ა. ჩიქობავას შრომაში: გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, 1925, გვ. 80. მიხე-სა და თჳსი-ს მონაცვლეობა ძველ ქართულში აღნიშნული აქვს ირ. ათანიანს თავის მოხსენებაში: „მისი ნაცვალსახელი ძველ ქართულში", რომელიც წაკითხული იყო საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის III სესიაზე 1947 წ. (თეზისები დაბეჭდილია).

შენ წინაშე, მ. 11, 26, მაგრამ: წინაშე **შ**ენსა, მ. 6, 2;
მის წინაშე, მ. 17, 14, ბაგრამ: წინაშე **მ**ისსა, მ. 2, 18;
თქუენ წინაშე, ლ. 23, 14 C, მაგრამ: წინაშე **თქუე**ნსა, მ. 21, 2;
მათ წინაშე, მ. 17, 2, მაგრამ: წინაშე **მათ**სა, მრ. 9, 2.

ზოგჯერ ეს შენაცვლება ხდება უბრალოდ, ზემოთ ნაჩვენები წესის გარეშე. სურვილი აქაც გასაგებია: უფრო ნათლად იქნეს აღნიშნული ბრუნვა (ფუძე ხომ ორივეს ერთი და იგივე აქვს), მაგალითად: ანუ არა ჯერ-არს ჩემდა, რაჟამს მინდეს,ყოფად **ჩემსა** ზედა, მ. 20, 15. „ჩემსა" ზედა, რასაკვირველია, ნიშნავს „ჩემზედა". უფრო საინტერესოა მეორე მაგალითი, სადაც იკითხება: მან მე მადიდოს, რამეთუ **ჩ**ემისაგან მიიღოს და გითხრას თქუენ, ი. 16, 14 C. აქ **ჩემისაგან** ნიშნავს **ჩემგან**, რაც არის კიდეც მოცემული ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერებში. ამნაირი მაგალითები ძველ ქართულში ხშირია. აქ, როგორც ჩანს, დავიწყებული არ არის ის გარემოება, რომ **შ**ორის **შ**ენსა-ში შენსა ნათესაობითი ბრუნვიდან მომდინარეობს, ამიტომაა შესაძლებელი მასთან **შ**ორის თანდებულის ხმარება (ის **ვინ** ჯგუფის სახელებში ნათესაობითს ითხოვს). **შ**ენსა აქ ისეა გაგებული, როგორც ორმაგი ბრუნვის (ნათესაობით-მიცემითის) ფორმა. სწორედ ამიტომაა, რომ ·**შ**ენსა, **ჩ**ემსა და მსგავსი ფორმების გამოყენება ასე ხშირია უფროობითი ხარისხის სიტყვებთან, რომლებიც, როგორც ვნახეთ, სწორედ ორმაგი ბრუნვის ფორმებს ითხოვენ (უწინარეს **მ**რავალთასა დიდმან მოსე გუაუწყა, პარხ. 282 გ; განამრავლეს ბილწებაჲ თჳსი უფროჲს ყოველთა **წ**არმართთასა, 2 ეზრა, 1, 49). ასე გვაქვს აქაც, მაგალითად: სხუაჲ **ჩ**ემსა უადრეს შთაჴდის, ი. 5, 7 C; მამაჲ ჩემი უფროჲს **ჩ**ენსა არს, ი. 14, 28; ნუუკუე უპატიოსნესი შენსა იყოს ჩინებული მისგან, ლ. 14, 8 და სხვა.

5. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები

კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელია **ვ**ისი. იგი ერთსა და იმავე დროს კითხვასაც შეიცავს და კუთვნილებასაც გამოხატავს. კითხვის გამოხატვა ფუძეს აქვს დაკისრებული, ხოლო კუთვნილებითობას იმავე გზით ასრულებს, როგორც სხვა კუთვნილებითი ნაცვალსახელები: **ვინ** კითხვითი ნაცვალსახელის ნათესაობითის ფორმა აღებულია ახალ ფუძედ და ისევ არის ნაბრუნები: **ვი-ს+ი=ვისი** და ა. შ. სხვა ბრუნვები. მაგალითები:

ვისი არს ხატი ესე ანუ ზედაწერილი, მ. 22, 20; **ვისი ძე** არს იგი, მ. 22, 42; **ვისი** ბრალი არს: ამისი ანუ მშობელთა თჳსთაჲ, რამეთუ ბრმაჲ იშვა, ი. 9, 2 C. აქ **ვისი** ისევე გამოხატავს კუთვნილებას, როგორც აქვე წარმოდგენილი **ამისი**, და ისევეა ნაწარმოები, როგორც ეს უკანასკნელი: **ამ-ის-ი=ვი-ს-ი**.

მაგრამ ამ ნაცვალსახელის გავრცელების არე ძველ ქართულში ძალიან შეზღუდულია: იგი ჯერ კიდევ არ არის ხშირ ხმარებაში, მას არ მოეპოვება ყველა ბრუნვის ფორმა (ყოველ შემთხვევაში, ძველი ქართულის უძველეს ძეგლებში არა ჩანს). „ვეფხისტყაოსანში" **ვისი**-ს ყველანაირი ფორმა გვხვდება და ძალიან ხშირადაც არის გამოყენებული, მაგალითად:

ამბავი ჩემი სალხინო მითხარო **ვისმანლა** დამან (1244, 4), ეს სამეფო **ვისი** არის, ან ჰმორჩილობს **ვისსა** ხმასა (969, 4), თქვის: „საყვარელო, მოგშორდი, გული შენ დაგრჩა, ვთქვა, **ვისად**“ (181, 3), უთხრა: „ჰპოვეა, პატიჟნი ნახენ ძებნითა **ვისითა**“ (695, 4).

მეორე კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი **რისა** (**რისი**) სრულებით არ გვხვდება ძველ ქართულში. ეს გასაგებიცაა: რა კითხვითი ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ძველ ქართულში (რაჲსა) მხოლოდ კითხვითი ზმნიზედის ფუნქციით იხმარება (**რატომ**), ის თავისი ძირითადი ფუნქციითაც (რასაც უნდა ასრულებდეს) არ გვხვდება: ის ვერ გამოხატავს იმ შინაარსს, რომლის გადმოცემაც დღევანდელ ქართულში **რ-ის, რ-ისა** (чего) ფორმებს აქვს დაკისრებული (ამ მოვალეობას **რომელი** ასრულებს). აქედან ცხადია, რომ აღნიშნული ნაცვალსახელის კითხვით-კუთვნილებითი შინაარსის ქონებაზე ზედმეტია ლაპარაკი.

6. მიმართებითი ნაცვალსახელები

ახალ ქართულში მიმართებითი ნაცვალსახელები იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელებიდან ამ უკანასკნელებზე ც(ა) ნაწილაკის დართვით. ეს ნაწილაკი კითხვის ძალას უკარგავს მათ და მიმართებითად აქცევს.

ამიტომ, ერთი მხრივ, გვაქვს კ ი თ ხ ვ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი: **ვინ, რა, რომელი, რამდენი**; მეორე მხრივ, მოგვეპოვება მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი: **ვინც(ა) რაც(ა), რომელიც(ა), რამდენიც(ა)**[1].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ც(ა) ნაწილაკი (←თა) „ჩვენებითი ნაცვალსახელის ერთ-ერთი სახეობა უნდა იყოსო“[2]. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ძველი ქართულის ჩვენება, სადაც ზემოთ ნაჩვენები კითხვითი ნაცვალსახელები სწორედ ესე, ეგე, იგი ჩვენებითი ნაცვალსახელების დართვით აწარმოებენ მიმართებითს ნაცვალსახელებს:

რომელი (კითხ. ნაცვ.)+ ესე=რომელი-ესე (მიმართ. ნაცვალ.)
რომელი + ეგე=რომელი-ეგე
რომელი + იგი=რომელი-იგი
რაჲ + იგი=რაჲ-იგი
რაოდენი + იგი=რაოდენი-იგი

აქ „ესე, ეგე, იგი“ იმავე როლს ასრულებს, რასაც ც(ა) ნაწილაკი „რომელიც(ა)“ და მსგავს ფორმებში. ამიტომ საეჭვოა ც(ა) წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელის ერთ-ერთი სახეობა იყოს.

ძველ ქართულში ც(ა) ნაწილაკიანი ფორმები მიმართებითი ნაცვალსახელისა შედარებით ნაკლებად გვხვდება. სამაგიეროდ, ამის ანაზღაურება ხდება, როგორც ვთქვით, კითხვითს ნაცვალსახელზე ესე, ეგე, იგი ჩვენებითი ნაცვალსახელების დართვით. ეს ნაცვალსახელები აქ უკვე ნაწილაკადაა ქცე-

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 43.

[2] გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში: კუთ. სახელმწ. პედ. ინსტ. შრომები, ტ. VIII, 1948, გვ. 377.

ული და სათანადო ნაცვალსახელების ბრუნებისას არ იბრუნება, ისინი ყველა ბრუნვასა და ორსაე რიცხვში უცვლელად რჩება: რომელი-იგი, რომელმან-იგი, რომელსა-იგი, რომლისა-იგი, რომლითა-იგი, რომელნი-იგი, რომელთა-იგი[1] და სხვა. **რომელი-იგი** შინაარსით უდრის „რომელიც“, **რომელნი-იგი**—„რომლებიც“ და ა. შ.

მაგრამ ძველ ქართულში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ცა და ესე (ეგე, იგი) ნაწილაკები ერთდროულად ერთვის კითხვითს სახელს: **რომელი-ცა-იგი, რომლისათჳს-ცა-იგი** და სხვა. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ მარტო ცა ნაწილაკის დართვა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, კითხვითს ნაცვალსახელს მიმართებითობა მიანიჭოს, ამიტომ იგი პირველ ხანებში იშველიებს ესე, ეგე, იგი ჩვენებითს ნაცვალსახელებს, რომლებიც გაუცვეთელი სახით გვევლინება და რომელთაც, ამას გარდა, ადვილად შეუძლია სივრცეში საგნის ადგილმდებარეობა ზუსტად განსაზღვროს. როდესაც ცა ნაწილაკი შემდეგ და შემდეგ მტკიცედ დამკვიდრდა კითხვითს ნაცვალსახელებთან, მან სულ ჩამოიცილა მეშველი ესე, ეგე, იგი და მარტო ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

ნაწილაკდართული კითხვითი ნაცვალსახელების გამოყენება მიმართებით ნაცვალსახელებად მაინც მეორეული მოვლენა უნდა იყოს. თავდაპირველად თვით კითხვითი ნაცვალსახელები (უნაწილაკოდ) ასრულებდა მიმართებითი ნაცვალსახელების ფუნქციას[2]. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთსა და იმავე **ვინ, რა, რომელი, რაოდენი** ფორმას სხვადასხვა შემთხვევაში შეეძლო კითხვითი ნაცვალსახელისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქცია ეკისრა. ეს, ბუნებრივია, უფრო ძველი ვითარების მაჩვენებელია. ამის საუცხოო სურათს წარმოადგენს ძველი ქართული, სადაც უნაწილაკო კითხვითი ნაცვალსახელები გვევლინება სწორედ მიმართებითი ნაცვალსახელების როლში. აქ ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ აღწერილი ტიპის მაგალითები ძველ ქართულში. ყველაზე ხშირია. და რამდენადაც ეშორდებით ძველი ქართულის ფარგლებს და პირს ახალი ქართულისაკენ ვიბრუნებთ, იმდენად მეტად აუცილებელი ხდება ამა თუ იმ ნაწილაკის დართვა და, მაშასადამე, სათანადოდ მცირდება უნაწილაკო ფორმები. ახალ ქართულში კი, როგორც ვთქვით, მიმართებითი ნაცვალსახელები მხოლოდ ც(ა) ნაწილაკით იწარმოება[3].

დავიწყოთ ამ უკანასკნელი ტიპის მაგალითებიდან.

---

[1] ა. შანიძე, ძვ. ქართ. ენა, გვ. 308.

[2] გ. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 378.

[3] აქ შეიძლება შევნიშნოთ, რომ ხანდახან დღესაც არ თქლიან საჭიროდ მიმართებითს ნაცვალსახელს ც(ა) დაურთონ. განსაკუთრებით ეხება ეს ისეთ შემთხვევებს, როცა „რომელი(ც)“ ნათესაობითში დგას და სხვა სიტყვის განსახღვრებას წარმოადგენს, მაგალითად: გუშინ ნახა ამხანაგი, რომლის აგარაკზე ხალამომდე დარჩა (=რომლის აგარაკზეც). ამ ც-ს დაკლება შეიძლება შემთხვევითი არ იყოს და ძველი ქართულის გავლენით იყოს გამოწვეული.

ა) უნაწილაკო მიმართებითი ნაცვალსახელები

ვინ(=ვინც). ყველაზე ხშირად ასეთ შემთხვევაში გვეცლინება **რომელი** (=რომელიც), ყველაზე ნაკლებად—**ვინ**(=ვინც). ამას ახსნაც აქვს: **ვინ**-ს, როგორც კითხვითს ნაცვალსახელს, არა ჰყავს შემცველი, **რომელი** კი თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს მეორე კითხვითი **რა** ნაცვალსახელით. ამიტომ **ვინ** უფრო მეტად არის მიჯაჭვული თავის ძირითადს ფუნქციაზე. თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც გვხვდება იგი მიმართებითი ნაცვალსახელის როლში, მაგალითად:

რამეთუ იყო სწავლაჲ იგი მისი მათა მიმართ, ვითარცა-იგი **ვის** აქუნ ჴელმწიფებაჲ, და არა ვითარ-იგი მწიგნობარნი მათნი და ფარისჳველნი, მ. 7, 29. **ვის** აქ ნიშნავს **ვისაც**. ერთი მაგალითი კიდევ: მოუწოდა თითოეულად, **ვიხ** რაჲ თანა-ედვა უფლისა მისისაჲ, ლ. 16, 5 C. ვის აქაც **ვისაც** იქნება: **ვისაც** რა ემართა მისი ბატონისა.

რაჲ (=რაც): იცის მამამან თქუენმან ზეცათაგან, **რაჲ** გიჴმს თქუენ, მ. 6, 8. აქ **რაჲ**=რაც: **რაც** გჭირდებათ თქვენ.

...ყოველი, **რაჲ** გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა, ლ. 18, 22 C. აქაც **რაჲ** ნიშნავს **რაც**. ეს მართლაც ასეა წარმოდგენილი DE-ში: **რაჲცა** გაქუს. ცხადია, C-ში უფრო ძველი ფორმაა დაცული: რაჲ→რაჲ+ცა.

რომელი (=რომელიც). ეს სიტყვა, როგორც ვთქვით, წარმოადგენს ტიპობრივ მაგალითს იმისას, თუ როგორია მიმართებითი ნაცვალსახელების წარმოშობის ისტორია. ამ მხრივ, ყველაზე ძველი და ყველაზე ხშირი ფორმა ძველ ქართულში არის **რომელი**; მას მოჰყვება ჱხჱ, ეგე, იგი ნაწილაკებიანი ფორმები: რომელი-ესე, რომელი-ეგე, რომელი-იგი (შემდგომი საფეხური); მერმე მოდის ნარევი (გარდამავალი) სახეობა: რომელ-იცა-იგი, ბოლოს —ახალი: **რომელიც(ა)**. ყველა ეს სახეობა დაუცავს ძველ ქართულს. მაგალითები:

რომელ არს გამოთარგმანებით, მ. 1, 23; იხილა კაცი, **რომელი** ჯდა საზუერესა ზედა, მ. 9, 9; **რომელსა** ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ, მ. 11, 15; ეჩუენა პირველად მარიამს მაგდანელსა, **რომლისაგან** განსრულ იყო შჳდი ეშმაკი, მრ. 16, 9; მოწყდეს ყოველნი, **რომელნი** ეძიებდეს სულსა მაგის ყრმისასა, მ. 2, 20;

რაოდენი, რავდენი (=რამდენიც): **რაოდენი** გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა, მრ. 10, 21; **რაოდენსა** ითხოვდეთ..., გეყოს თქუენ, მ. 21, 22; **რაოდენნი** შეეხებოდეს, ცხოვნდებოდეს, მრ. 6, 56.

ბ) ესე, ეგე, იგი ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები

ვინ: ვითარცაღა **ვინ-იგი** მწყემსმან პოვის ცხოვარი წარწყმედული, ლიტ. ქრესტ. 316, 26; **რაჲთა** აქუნდეს მიცემად, **ვის-იგი** უჴმდეს, ეფეს. 4, 28; ქველს-თუ-იქმოდი, უწყიმცა, **ვისთჳს-იგი** ქველს-იქმ, ზირაქ 12, 1. ამ მაგალითებში ვინ-იგი=ვინც, ვის-იგი=ვისაც, ვისთჳს-იგი=ვისთვისაც.

რაჲ: იხილეთ, **რაჲ-ესე** გესმის, მრ. 4, 24; იგულეთ, **რაჲ-ეგე** გესმის, იქვე C; არა აღმოგიკითხავსა, **რაჲ-იგი** ყო დაეით, მ. 12, 3; **რახა-ესე** მე ვიქმ, აწ არა უწყი, ი. 13, 7 C; მოგეცეს თქუენ მას ჟამსა ჴინა, **რახა-იგი** იტყოდით, მ. 10, 19 E.

რომელი: ითქუას, **რომელ-ესე** ყო ამანცა, მ. 26, 13 C; **რომელსა-ესე** მე გეტყჳ თქუენ, ყოველთა ვეტყჳ, მრ. 13, 37; **რომჱლნი-ესე** მომცენ მე..., იგინიცა იყვნენ ჩემ თანა, ი. 17, 24.

რომელ-ეგე მოიმზადე, ვისა იყოს, ლ. 12, 20; გიცნი, **რომჱლნი-ეგე** გამოგირჩიენ, ი. 13, 18 C; თქუენ გეტყჳ, **რომელთა-ეგე** გესმის, ლ. 6, 27.

რომელი-იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს, მ. 1, 20; წარვიდა, **რომელმან-იგი** ხუთი ქანქარი მიიღო, მ. 25, 16; მოვიდა, **რომელსა-იგი** ორი ქანქარი მიეღო, მ. 25, 22; ჰრქუა მათ, **რომჱლნი-იგი** შეუდგეს მას, მ. 8, 10.

რაოდენი (რავდენი): არა გესმისა, **რაოდენსა-ესე** შეგწამებენ შენ, მ. 27, 13; **რავდენსა-იგი** მამაჲ იქმს, მას ძჳ ეგრევე მსგავსად იქმს, ი. 5, 19; იყვნეს, **რაოდენთა-იგი** ჰამეს, ვითარ ხუთ ათას მამაკაცი ხოლო, მრ. 6, 44.

გ) ორმაგნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები

ორი ნაწილაკიდან ერთი ყოველთვის არის ცა, მეორე—ესე, ეგე, იგი. მათგან ცა-ს მუდამ პირველი ადგილი უჭირავს, ის უშუალოდ ჰსდევს ბრუნვის ნიშანს, ესე, ეგე, იგი კი ბოლოს დგას. მაგალითები:

რაჲ: მომეც მე, **რაჲცა-იგი** თანა-გაც, მ. 18, 28 C; მიუთხრეს... ყოველივე, **რაჲცა-იგი** იქმნა, მ. 28, 11 C; ყოველსავე უჩვენებს მას, **რახაცა-იგი** იქმს, ი. 5, 20 C.

რომელი: **რომელიცა-იგი** მიეყრდნა სერობასა მას მკერდსა მისსა, ი. 21, 20; ვითარცა იხილა ფარისეველმან მან, **რომელმანცა-იგი** ჰხადა მას, ლ. 7, 39; **რომელსაცა-იგი** უფროჲს მიუტევა, ლ. 7, 43.

დ) ცა ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები

ვინ: **ვისაცა** უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს, ლ. 10, 22 C. **ვისაცა**←**ვისდაცა**. იგი ნიშნავს დღევანდელ ენაზე: **ვისთვისაც**.

რაჲ: განყიდა ყოველივე, **რაჲცა** აქუნდა, მ. 13, 44; **რახაცა** იგი იქმს. მისა მსგავსადცა ძჳ იქმს, ი. 5, 19 C.

რომელი: მიუტევის ერსა მას პყრობილი ერთი, **რომელიცა** უნებნ მათ, მ. 27, 15;... იუდა ისკარიოტელი, **რომელმანცა** განსცა იგი, მ. 10, 4; **რომელსაცა** სახლსა შეხვდეთ, პირველად თქუთ: მშვდობაჲ სახლსა ამას, ლ. 10, 5.

რაოდენი (რავდენი): ეგრეცა თევზთა მათგან (მისცა), **რავდენცა** უნდა, ი. 6, 11 C; **რავდენიცა** ჰპოოთ, მოხადეთ ქორწილსა ამას, მ. 22, 9 C; **რავდენთაცა** შეახეს მას, ცხონდებოდეს, მრ. 6, 56 C.

ამ ტიპის ნიმუშები, მაგალითად ოთხთავში, უფრო მეტია, ვიდრე ორმაგნაწილაკიანი. ეს ნიშნავს, რომ უკვე ოთხთავის ენაში ცა ნაწილაკი იკავებს დამოუკიდებელი არსებობის გზას, მისთვის აღარაა აუცილებელი ეს, ეგე, იგი ნაწილაკების (resp). ჩვენებითი ნაცვალსახელების) ხლება. ეს ცა ნაწილაკი სხვისი დახმარების გარეშეც აქცევს კითხვითს ნაცვალსახელებს მიმართებითად. მართალია, ამნაირი მაგალითები ერთობ მცირეა, მაგრამ უფრო მცირეა მისი წინა საფეხურის ნიმუშები, როცა ცა-სთან ერთად ჯერ კიდევ აუცილებელია ეს, ეგე, იგი იყოს წარმოდგენილი.

ამნაირად, **რომელი, რომელი-იგი, რომელიცა-იგი, რომელიცა**,—ასეთია მიმართებითი ნაცვალსახელების წარმოშობისა და განვითარების გზა. ეს გზა იმით იწყება, რომ კითხვითი და მიმართებითი ნაცვალსახელები თავიდან გაუდიფერენცირებელია, ხოლო სრულდება ცა ნაწილაკის კითხვითს ნაცვალსახელებთან საბოლოო დამკვიდრებით.

7. ურთიერთობითი ნაცვალსახელები

ურთიერთობითი ნაცვალსახელებია: ერთმანეთი, ერთურთი, ურთიერთი, ერთიმეორე. ძველ ქართულში გვხვდება ურთიერთი (მიცემითში ურთიერთას), ერთმანერთი, ერთი-ერთი. ძველ ქართულში არა ჩანს ერთურთი და ერთიმეორე.

აქედან ყველაზე ძველის შთაბეჭდილებას ახდენს ერთი-ერთი, რაც **ერთმანეთს, ერთიმეორეს** ნიშნავს. როგორც ვხედავთ, ეს სიტყვა ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია, რომლის ორივე წევრი ხმოვანწეუცვლელადაა დაცული: **ერთი+ერთი. ერთი-ერთი** ყველა ბრუნვაში შეიძლება შეგვხვდეს გარდა მოთხრობითისა, მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც მიცემითსა და ნათესაობითშია. მაგალითები:

ზოგნი ილოცვიდეს და ჰნადლობდეს ღმერთსა, და ზოგნი **ერთი-ერთსა** ნუგეშინის-სცემდეს, ამონ. 211, 6; ამიერითგან ჯერ-არს, რაჲთამცა არა **ერთი-ერთსა** სწუნობდა, ხანმ. მრავ. (ისტ. ქრესტ. 44, 30); რაჲთა არა **ერთი-ერთისა** განკითხვისათჳს შევკრბეთ, იქვე, 42, 10; ვითარ ჯერ-არს **ერთი-ერთისა** მიმართ თავ-ყოფით ფერჴთა ბანაჲ, იქვე, 44, 21. ეს მაგალითები ამოღებულია უძველესი ქართული ხელნაწერებიდან: პირველი სინას მრავალთავის (864 წ.) ერთ-ერთი ძეგლიდან, სამი დანარჩენი—ხანმეტი მრავალთავიდან, რომლის გამომცემელიც ა. შანიძე სპეციალურად ჩერდება ამ საინტერესო ფორმაზე[1]. მაგრამ ეს ფორმა შემდეგი ხანების ძეგლებისათვისაც არ უნდა იყოს უცხო ხილი, მაგალითად:

ამიერითგან, ძმანო, შე-რაჲ-ჰკრბებოდით ჭამად, **ერთი-ერთსა** ჰგებდით, 1 კორ. 11, 33; მახლობელად **ერთი-ერთსა**, საბა ას. 5, 2; რაჲთა არა იყოს წვალება ჴორცთა მათ შინა, არამედ ეგრევე ურთიერთას **ერთი-ერთისათჳს** ზრუნვიდენ ასონი იგი, 1 კორ. 12, 25. ეს მაგალითი იმითაც არის საყურადღებო, რომ ამ ძველი **ერთი-ერთ**-ის გვერდით გვხვდება ძველი ქართულისა-

[1] ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. VII, 1927, გვ. 117.

თვის ასე დამახასიათებელი **ურთიერთას**. აქ არსებითად ტავტალოგიური გამოთქმა გვაქვს: ჩანს, ამ ძეგლის გადამწერისათვის ძველი **ერთი-ერთისათჳს** იმდენად გაუგებარი იყო, რომ იგი იძულებული გამხდარა მის გვერდით ამ დროს უფრო საყოველთაოდ მიღებული და გასაგები **ურთიერთას** ეხმარა.

ერთი-ერთი-საგან ხმოვნის შენაცვლებით მიღებულია **ერთურთი** და **ურთიერთი**. პირველ შემთხვევაში ხმოვანი შენაცვლებულია მეორე ნაწილში (ე→უ), მეორე შემთხვევაში კი—პირველ ნაწილში (უ←ე)[1]. **ერთურთი** არ იცის ძველმა ქართულმა, **ურთიერთი** კი გვაქვს ძველი ქართულისათვის კარგად ცნობილ სიტყვაში **ურთიერთას**.

ნ. მარს **ურთ-ი ერთ-**ის ვარიანტად მიაჩნდა. **ურთიერთას**-ში **ას** იგი მიცემითი ბრუნვის უძველეს ნიშნად თვლიდა; ძველი ქართულის **ს-ა** (კაც-ს-ა), მისი აზრით, ამ **ას**-ის გადასმის შედეგად იყო მიღებული: **ას→სა**. **ას** მიცემითში დაცულიაო ისეთ სიტყვებში, როგორიცაა **ძირ-ას, პირ-ას, ადგილ-ას**, ალაგ-ას, წამ-**ას** და სხვა[2]. **ას**-ის გამოცხადება მიცემითის ნიშნად ნ. მარს იმისათვის სჭირდებოდა, რომ ქართულისა და სემიტური ენების ნათესაობა დაემტკიცებინა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ყველა ახალი ქართულიდანაა აღებული ჩვენი **ურთიერთას**-ის გამოკლებით. ამიტომ ამ ახალი ფორმებით ძველი **ურთიერთას**-ის ახსნა არ შეიძლება. მათი ერთმანეთის გვერდით დაყენებაც არ იქნებოდა გამართლებული. ეჭვი არაა, რომ **ურთიერთას** მიცემითი ბრუნვის ფორმაა, მაგრამ მისი **ა** სხვანაირად უნდა აიხსნას. შეიძლება იგი, როგორც ა. შანიძე ვარაუდობს, ასე იყოს მიღებული: ურთიერთ-ნ-ი—ურთიერთთა (მრ. რ.)—ურთიერთა და ბოლოს **ურთიერთას** (ახალი გააზრებით).

ურთიერთას ძველ ქართულში გაქვავებული სახით გეხვდება და სხვა ბრუნვის ფორმები არაა ცნობილი. შინაარსით იგი ასე გადმოიცემა: **ერთმანეთს, ერთმანეთში, ურთიერთს შორის**. დავიმოწმოთ ორიოდე მაგალითი:

ზრახვა-ყვეს **ურთიერთას**, მ. 21, 38 C; გამოეძიებდეს **ურთიერთას**, პრ. 1, 27 C; ბოძდობით იყვენით **ურთიერთას**, მრ. 9, 50; თქუენცა თანა-გაც **ურთიერთას** დაბანად ფერჴთა, ი. 13, 14 და სხვა.

რომ დავუკვირდეთ ზემოთ მოყვანილ და სხვა მაგალითებს, სადაც **ურთიერთას** გეხვდება, დავინახავთ, რომ იგი უმთავრესად მაშინ იხმარება, როცა ადგილი აქვს ორ ან მეტ პიროვნებას შორის საუბარს, მოლაპარაკებას, მოთათბირებას, გამოძიებას, დავას, ჩხუბს. მართლაც, ყველა ამ ზმნის მოქმედებას სწორედ ორ ან მეტ პიროვნებას შორის აქვს ადგილი. აი ამის მაგალითებია (მოყვანილთ გარდა): განიზრახვიდეს **ურთიერთას**, მრ. 11, 31 C; თქუეს **ურთიერთას**, მრ. 12, 7; იგინი შეიზრახნეს **ურთიერთას**, ღ. 20, 5; რასა გამოეძიებთ **ურთიერთას**, მრ. 9, 16 და სხვა.

შემდეგში, როცა **ურთიერთას** ამ ფორმით ზოგისთვის გაუგებარი იყო, იგი სხვანაირად გააზრებულ იქნა და ბოლოს დაემატა **რ**: **ურთიერთარს**.

---

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძ. გვ. 152.

[2] ნ. მარი, Грам. გვ. 23.

რომელშიც ამის დაწერი, ალბათ, არს ზმნას ხედავდა: ურთიერთ-არს.[1]. ამის მაგალითებია:

ილალვიდეს **ურთიერთარს** ჰურიანი იგი და იტყოდეს, ი. 6, 52 D; იტყოდეს **ურთიერთარს** ჰურიანი იგი, ი. 7, 35 D.

უფრო მოგვიანო ხელნაწერებში ცნგავსი მაგალითები გაცილებით მეტია.

გვხვდება აქედან მიღებული ზედსართავი: და ყველ სიყუარული **ურთიერთასი**, სვან. 299 ხ.

ძველ ქართულში გვხვდება აგრეთვე **ერთმანერთი**. ამ ნაცვალსახელის თავისებურება ის არის, რომ იგი არ შეიძლება მოთხრობითში დაისვას. ეს ადვილი გასაგებია: ამ კომპოზიტის პირველი ნაწილი მოთხრობითშია დასმული (**ერთმან**—ერთი) და მისი განმეორება აღარ არის საჭირო[2]. გაორკეცებული ფუძის მეორე ნაწილში **რ** შენარჩუნებულია: **ერთმანერთი**. მართალია, ეს სიტყვა ძველ ქართულში იშვიათად გვხვდება, მაგრამ საერთოდ მაინც მოიპოვება თვით უძველეს ხელნაწერებშიც, მაგალითად: ჯინჭველ-ლომი მოისპო, რამეთუ არა იყო მისა საზრდელ; ლეკუთა ლომისათა დაუტევეს **ერთმან-ერთი**, იობ 4, 11.

ახალ ქართულში **რ** ამოღებულია გაორკეცებული ფუძის მეორე ნაწილიდან და გვაქვს: **ერთმანეთი**.

ეს სიტყვა ჩვეულებრივად იბრუნვის ძველსა და ახალ ქართულში და ამიტომ მასზე აქ არ შევჩერდებით.

8. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები

განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია ძველ ქართულში: თჳთ, თავადი, ყოველი, თითოეული (თჳთოეული), კაცად-კაცადი, სხუა.

თჳთ

თჳთ მიღებული უნდა იყოს „თავ“ სიტყვის მოქმედებითი ბრუნვის ფორმიდან: თავით→თვით→თუით→თჳთ[3]. იგი იხმარება სხვა სახელების, მათ შორის ადამიანის სახელის განსაზღვრებად, მაგალითად: **თჳთ** იგი დავით იტყჳს სულითა წმიდითა, მრ. 12, 36.

ხანდახან ეს **თჳთ** შეიძლება დამოუკიდებლადაც შეგვხვდეს, ზმნასთან მხოლოდ ის იყოს წარმოდგენილი, მაგრამ, რასაკვირველია, მას ზმნის შეწყობა არ შეუძლია: როგორც ვნახეთ, ის მოქმედებითი ბრუნვისაგან წარმოდგება და მოქმედებითს ბრუნვაში დასმულ სახელს არასდროს არ შეუძლია პირიანი ზმნის შეწყობა, უკეთ: ზმნის პირის შეწყობა. ყველა ისეთ შემთხვევაში, სადაც ერთი შეხედვით გვგონია, რომ ეს **თჳთ** უშუალოდ უკავ-

---

[1] ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 3, 1944, გვ. 340.

[2] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 97.

[3] ა. შანიძე, გრამატ.საფუძვ. გვ. 43. ვ. თოფურიას აზრით, თჳთ თუ (= თავი) სახელის მოქმედებითის ბრუნვას წარმოადგენს: თუ-ით—→თჳთ: რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერ.-კავკ. ტ. I, 1946, გვ. 80. შდრ. ნ. მარი. Грамм. გვ. 95.

შირდება ზმნის პირსო, ნამდვილად სათანადო სახელი, ან ნაცვალსახელია ზმნასთან მოცემული, თუ ასეთი სახელი არა ჩანს, ის უეჭველად იგულისხმება, მაგალითად: **მან თჳთ** იცოდა, ი. 2, 25; **თჳთ თავადმან** წამა, ი. 4, 44 C; უფალი **თჳთ იგი** არს, ი. 21, 12; არა **თჳთ იგი** იყო ნათელი, ი. 1, 8 და სხვა.

რომ **თჳთ** ზმნასთან მხოლოდ განსაზღვრების მიზნითაა მოცემული და მას არ შეუძლია ზმნის პირის შეწყობა, ეს კარგად ჩანს ისეთი შემთხვევებიდან, როცა ზმნასთან I და II პირის ნაცვალსახელებია შეთანხმებული და ამაღე დროს ეს **თჳთ**-იც არის წარმოდგენილი: ჩუენ თჳთ გუესმის პირისაგან მისისა, ლ. 22, 71; თქუენ თჳთ მეწამებით მე, ი. 3, 28. ამ მაგალითებიდან პირველში ზმნის პირს ეწყობა **ჩუენ**: ჩუენ გუესმის, მეორეში—**თქუენ**: თქუენ მეწამებით. **თჳთ** ორივე შემთხვევაში განსაზღვრავს მხოლოდ **ჩუენ** და **თქუენ** ნაცვალსახელებს. ამნაირად, **თჳთ**-ის დაკავშირება ამა თუ იმ ბრუნვასთან (სახ., მოთხრ.), თითქოს ის ამა თუ იმ ბრუნვის როლს ასრულებდეს, შეუძლებელია. იგი მხოლოდ სათანადო სახელს განსაზღვრავს. ამასთან, ეს სახელი შეიძლება წინადადებაში უშუალოდ იყოს წარმოდგენილი (**მან თჳთ** იცოდა), ანდა არ იყოს, მაგრამ იგულისხმებოდეს (**თჳთ** განვიდოდა). ამ უკანასკნელ შემთხვევაში **თჳთ**-ის მიერ ამა თუ იმ ბრუნვის როლში გამოსვლა მოჩვენებითია და სინამდვილეს არ შეეფერება.

თჳთ-ის ადგილი თავისუფალია: ხან ის განსასაზღვრავი სახელის წინაა, ხან—შემდეგ, მაგალითად: მან თჳთ იცოდა, მაგრამ: თჳთ თავადმან წამა.

თჳთ უმთავრესად ისეთ სახელს ახლავს, რომელიც წინადადებაში სუბიექტად არის წარმოდგენილი, უფრო ნაკლებად—ირ. ობიექტად. მაგრამ ასეთ ირ. ობიექტს სუბიექტის გაგება აქვს, ის ან ინვერსიულ ზმნასთანაა, ან მისი შინაარსის შემცველთან. აქედან ჩანს, რომ **თჳთ** შეიძლება ახლდეს სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში დასმულ სახელებს, მაგალითად:

სახ. თჳთ იგი დავით უფლით ჰხადის მას, მრ. 12, 37; შენ თავისა შენისათჳს **თჳთ** ჰსწამებ, ი. 8, 13.

მოთხ. მან **თჳთ** იცოდა, ი. 2, 25; (მაგან) **თჳთ** თავისა თჳსისათჳს თქუნ, ი. 9, 21 C.

მიც. ეკიდა მას **თჳთ** ჯუარი თჳსი, ი. 19, 17; **თჳთ** მამასა ჩემსა უყუართ თქუენ, ი. 16, 27.

ამ ნაცვალსახელის ისეთი ფორმები, როგორიცაა თვითონ (თჳთონ), თვითან (თჳთან) არა გვაქვს ძველ ქართულში.

თავადი

თავადი მიღებულია „თავ" სიტყვის ვითარებითი ბრუნვის ფორმიდან: **თავ-ად**, რომელიც აბალ ფუძედ არის ქცეული და ისევ იბრუნება: თავად-ი, თავად-მან, თავად-სა და სხვა. იგი ძველ ქართულში ერთადერთი მნიშვნელობით იხმარება, ესაა: **თვითონ, იხ.** ძველ ქართულში მისთვის უცხოა ის სოციალური შინაარსი, რომელიც ამ სიტყვას საშუალსა და ახალ ქართულში აქვს (**князь**).

თავადი, როგორც ვითარებითი ბრუნვისაგან წარმომდგარი სხვა სახელი (გულადი, ფერადი, ყოფადი), იბრუნვის ჩვეულებრივად. უფრო ხშირად იგი გვხვდება სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითს ბრუნვებში.

თავადი შეიძლება შეგვხვდეს დამოუკიდებლადაც და სხვა სახელის მსაზღვრელადაც. დამოუკიდებლად არის აღებული იგი შემდეგს მაგალითებში: **თავადი** მიექცა პეტრეს, მ. 16, 23; ვითარცა ჯდა **თავადი** მთასა მას ზეთის-ხილთასა, მ. 24, 3; **თავადმან** მიუგო და ჰრქუა მას, მ. 4, 4; ხოლო **თავადსა** ეძინა, მ. 8, 24.

თავადი სხვა სახელების მსაზღვრელად გვხვდება შემდეგს მაგალითებში: არავინ იხილეს, გარნა **თავადი** იესუ ხოლო, მ. 17, 8; **თავადმან** ჰეროდე მიავლინა და შეიპყრა იოვანე, მრ. 6, 17 C; **თავადსა** იოვანეს ემოსა სამოსლად მისა სტევისაგან აქლემისა, მ. 3, 4.

ზოგჯერ **თავადთან** ერთად წარმოდგენილია **იგი**: **იგი თავადი** მარტო იყო ქუეყანასა, მრ. 6, 47; **იგი თავადი** ვერ იხილეს, ლ. 24, 24. ასე გვექნება მიცემითშიც: ჰრწმენა **მას თავადსა** და ყოველსა სახლსა მისსა, ი. 4, 53 C.

მაშინ როდესაც **თჳთ** მხოლოდ სუბიექტს ან სუბიექტად გაგებულ სახელს ახლდა, **თავადი** წარმოდგენილია სუბიექტად და ობიექტად (პირდ. და ირიბ.), ან ასეთ სახელებს განსაზღვრავს, მაგალითად:

ეტყოდა მათ **თავადი**, ლ. 11, 53; **თავადი** განეშორა მათგან, ლ. 22, 41; **თავადმან** იცნოდა ზრახვანი მათნი, ლ. 6, 8; **თავადმან** მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი, ლ. 9, 16; **თავადსა** ეძინა, მ. 8, 24.

როგორც ვნახეთ, **თავადი** შინაარსით არის **თვითონ**, **ის**. **თვითონ**-ს გამოხატავს აგრეთვე ძველი ქართულის **თჳთ**. ამიტომ ბუნებრივია, თუ ეს სიტყვები ერთმანეთის მაგივრად იხმარება, მაგალითად:

თჳთ იგი დავით უფლით ჰხადის მას, მრ. 12, 37, მაგრამ:

თავადი დავით ეტყჳს მას უფლით, იქვე C.

არც ის უნდა იყოს გასაკვირველი, რომ ეს **თჳთ** და **თავადი** ერთადაც შეგვხვდეს. ასეთი პლეონასტური გამოთქმები ხშირად გვხვდება ძველ ქართულში და მნიშვნელობის გასაძლიერებლად იხმარება. **თავადს** ამ შემთხვევაში უფრო ჩვენებითი ნაცვალსახელის იერი გადაჰკრავს და ნიშნავს **იგი**, **მან**, მაგალითად: **თჳთ თავადმან** წამა, ი. 4, 44 C.

ამ სიტყვებს შორის მაინც არის განსხვავება: **თავადმან** უშუალოდ ზმნასთან არის დაკავშირებული, ის მართავს ზმნას პირში, **თჳთ**-ს კი ეს არასდროს არ შეუძლია, ის მხოლოდ განსაზღვრებად ახლავს ამ **თავადს**.

თავადი არ გვხვდება მრავლობითს რიცხვში. ეს შეუძლებელიცაა, რამდენადაც ის **იგი**-ს, **მან**-ს ენაცვლება, ხოლო **იგი** და **მან** მხოლობით რიცხვის ფორმებია.

ქაცად-ქაცადი

ქაცად-ქაცადი, როგორც განსაზღვრებითი ნაცვალსახელი, მხოლოდ ძველი ქართულის კუთვნილებაა. იგი დღევანდელი ქართულით იქნება: თითოეული, ყოველი. მაგრამ იგი **თითოეულის** სრული სინონიმი არ არის: თი-

თოეული ყველაფერზე ითქმის, ხოლო **კაცად-კაცადი**, როგორც თვით სიტყვის შედგენილობა მიუთითებს, მხოლოდ **კაცზე**, **ადამიანზე** შეიძლება ითქვას. ამნაირად, **კაცად-კაცადი**, ზუსტად რომ ვთქვათ, იქნება: **თითოეული კაცი, ყოველი კაცი,** (каждый человек).

კაცად-კაცადი, როგორც ზემორე განხილული **თავადი**, მიღებულია „კაც" სიტყვის ვითარებითი ბრუნვიდან (**კაც-ად**), რომელიც ახალ ფუძედ არის გამოყენებული და იბრუნება ჩვეულებრივ. აქ მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ამნაირად მიღებული ახალი ფუძე გაორკეცებულია: **კაც-ად—კაც-ად-ი.**

კაცად-კაცადს, როგორც ნორმალურ სახელს, შეიძლება ყველა ბრუნვა ჰქონდეს, მაგრამ ყველაზე ხშირად გვხვდება სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში, ე. ი. სუბიექტისა და ობიექტის (პირდაპირისა და ირიბის) ბრუნვებში.

კაცად-კაცადი წინადადებაში შეიძლება მოცემული იყოს დამოუკიდებლად, მაგრამ შეიძლება იგი სხვა სიტყვის განსაზღვრებად იყოს გამოყენებული.

დამოუკიდებლად არის იგი ნახმარი შემდეგს ადგილებში: დაუტეოს **კაცად-კაცადმან** მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი, მრ. 10, 7 C; იწყო **კაცად-კაცადმან** მათმან სიტყუად, მ. 26, 22; **კაცად-კაცადმან** მცირედ რაჲმე მიიღოს, ი. 6, 7. ამ შემთხვევაში **კაცად-კაცადს** შეიძლება თავისი განსაზღვრებაც ახლდეს. ასეთია ჩვენს მაგალითებში **მათმან, თქუენმან.**

მაგრამ, მეორე მხრივ, **კაცად-კაცადი**, როგორც ვთქვით, თვით წარმოადგენს სხვა სიტყვის განსაზღვრებას. ზოგჯერ ამ სიტყვის საზღვრული უშუალოდ არის წარმოდგენილი წინადადებაში, ზოგჯერ არა ჩანს, მაგრამ იგულისხმება კი. ორივე შემთხვევაში ზმნა ამ საზღვრულს (უშუალოდ წარმოდგენილს თუ ნაგულისხმევს) ეთანხმება. მაგალითები:

რაჲთა განიბნინეთ **კაცად-კაცადი** თჳსა ადგილდ, ი. 16, 32. აქ **კაცად-კაცადი** განსაზღვრავს **თქუენ**-ს, რომელიც წინადადებაში უშუალოდ არა ჩანს, მაგრამ იგულისხმება: ზმნა სწორედ მასთანაა შეწყობილი: განიბნინეთ **თქუენ**. ვინ თქუენ?—თქუენ, **კაცად-კაცადი** (ე. ი. თითოეული თქვენგანი). ასეთივე ხასიათისაა **კაცად-კაცადი** აგრეთვე ამ წინადადებაშიც: უკუეთუ არა მიუტევნეთ **კაცად-კაცადმან** მოყუასსა თჳსსა, მ. 18, 35. **კაცად-კაცადმან** აქაც **თქუენ** სიტყვას განსაზღვრავს: **მიუტევნეთ თქუენ**. ვინ თქუენ? — თქუენ, **კაცად-კაცადმან**. ორივე შემთხვევაში ეს სიტყვა ზუსტად უჩვენებს ბრუნვას, რომლის ნიშანიც საზღვრულს არა აქვს: **თქუენ** პირველ შემთხვევაში სახელობითის ფუნქციით არის ნახმარი, რასაც ნათლად აღნიშნავს **კაცად-კაცადი**, ხოლო მეორეში—მოთხრობითისა, რასაც უჩვენებს **კაცად-კაცადმან**.

ორივე აღნიშნული თვალსაზრისით შეიძლება იქნეს განხილული შემდეგი მაგალითი: მოუწოდა **კაცად-კაცადსა**, თანა-მდებსა უფლისა თჳსისასა, ლ. 16, 5. თუ აქ მძიმეს დავსვამთ **კაცად-კაცადის** შემდეგ, **კაცად-კაცადი** დამოუკიდებლად იქნება აღებული ირიბ ობიექტად, ხოლო **თანა-მდებსა** მისი განსაზღვრება იქნება; მაგრამ თუ ამ მძიმეს არ დავსვამთ და **კაცად-კაცად-**

სა-ს უშუალოდ გადავაბამთ ფორმაზე თანა-მდებსა, მაშინ „კაცად-კაცადსა“ განსაზღვრება გამოვა, ხოლო თანა-მდებსა მისი საზღვრული აღმოჩნდება.

სინამდვილესთან უფრო ახლოს პირველი შესაძლებლობა უნდა იყოს, რასაც მხარს უჭერს ადიშის ძეგლის წაკითხვა, რომელიც ამ წინადადებას რთულ ქვეწყობილად წარმოადგენს და საზღვარს სწორედ ჩვენთვის საინტერესო ადგილზე დებს: მოუწოდა თითოეულად, ვის რაჲ თანა-ედვა უფლისა მისისაჲ.

კაცად-კაცად-ს არა აქვს მრავლობითი და არც შეიძლება ჰქონდეს, რადგან თვით ცნება თითოეული ეწინააღმდეგება მრავლობითს. მრავლობითი აქ დაშლილია ერთეულებად, თითოეულად. სწორედ ესაა ამ სიტყვისათვის ნიშანდობლივი და დამახასიათებელი.

თ ი თ ო ე უ ლ ი

თითოეული ნაწარმოებია ჟულ სუფიქსის საშუალებით: თითო-ეულ-ი. შდრ. ათ-ეულ-ი, ოც-ეულ-ი, ბევრ-ეულ-ი და სხვა. იგი ითქმის ყველა სახელის მიმართ: კაცზეც, ნივთზეც. რადგანაც თითოეულს ამ მხრივ უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, იგი კაცად-კაცადის ნაცვლადაც იქნა ხმარებული, ხოლო შემდეგ და შემდეგ დააჩქარა ამ უკანასკნელის ხმარებიდან გასვლა და მისი ფუნქციებიც მან იკისრა.

თითოეული იბრუნვის ჩვეულებრივად, არა აქვს მრავლობითი რიცხვი. ეს ბუნებრივიცაა: თითოეული ხომ თითო-თითოა, ერთ-ერთია და ამიტომ ერთზე მეტი, ე. ი. მრავლობითი არ შეიძლება იყოს, თუ ერთზე მეტია, მაშინ აღარაა თითოეული.

თითოეული სხვა ორთოგრაფიითაც გვხვდება: ო-სა და ე-ს შორის ხშირად ვინი აღმოჩნდება ხოლმე: თითო-ჳ-ეულ-ი. ასეთი ორთოგრაფია დამახასიათებელია ძველი ქართულის ზოგიერთი სკოლისა და ზოგიერთი გადამწერისათვის. ასე, მაგალითად, იგი სისტემატურად გვხვდება ცნობილი შატბერდელი მწერლის იოვანე ბერას მიერ გადაწერილ წიგნებში, როგორიცაა: პარხლის ოთხთავი 973 წლისა(=E)[1] და ე. წ. შატბერდის კრებული 976 წლის მახლობლად გადაწერილი[2].

ეს სიტყვა იშვიათად დამოუკიდებლად გვხვდება, მაგრამ ჩვეულებრივია სხვა სიტყვის მსაზღვრელად. მაშინაც კი, როცა ის დამოუკიდებლად არის აღებული, მასთან ადვილად იგულისხმება საზღვრული, რომელსაც ის განსაზღვრავს. მაგალითები: თითოჱული ხუ თჳსისაგან ნაყოფისა საცნაურ არნ, ლ. 6, 44; შთაისხის თითოეულმან მათგანმან ორ ანუ თუ სამ საწყაულ, ი. 2, 6 C. აქ იგულისხმება საზღვრულად ტაკუკი, რომელსაც განსაზღვრავს ჩვენი თითოეული.

ყველაზე ხშირად ეს სიტყვა ვითარებითში გვხვდება და მნიშვნელობაც ოდნავ გადახრილი აქვს, მაგალითად: აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულად

---

[1] საქ. მუზ. ხელნ. A 1453.

[2] საქ. მუზ. ხელნ. S 1141. ხმოვნებს შორის ვინის გაჩენა აქ სხვა შემთხვევებშიც არის ჩვეულებრივი, მაგალითად: სარწმუნოჳება, სასოჳება და სხვა.

დრაჰკანი დღესა შინა, მ. 20, 2; იწყეს სიტყუად თითოეულად, მ. 26, 22 C; განიბნინეთ თითოეულად ადგილდ თჳსა, ი. 16, 32 C.

ხაზგასმული სიტყვები პარხლის ოთხთავში (E). ვინითაა წარმოდგენილი: თითოვეული, თითოვეულად...

აქა-იქ გვხვდება თჳთოეული-ც

ყოველი

განსაზღვრებითს ნაცვალსახელთა შორის ყველაზე ხშირად იხმარება **ყოველი**. ჩვეულებრივ იგი სხვა სიტყვის მსაზღვრელად გვევლინება, მაგრამ ზოგჯერ დამოუკიდებლადაც იხმარება. სხვა სიტყვასთან ხმარებისას ის უფრო ხშირად თავში გვხვდება, საზღვრულის წინ (**ყოველმან** ერმან, **ყოველსა** დღესასწაულსა, **ყოველითა** გულითა), უფრო ნაკლებ—ბოლოში (ქალაქებსა **ყოველსა**). მაგრამ ამ საკითხზე ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნებასთან დაკავშირებით.

ყოველი იბრუნება ჩვეულებრივ, აქვს ყველა ბრუნვა (გარდა წოდებითისა) და მრავლობითი რიცხვიც. ეს უკანასკნელი ხშირად ნარ-თანიანი მოეპოვება და არა ებიანი. **ყოველი** კუმშვადი სახელია. ნათესაობით-მოქმედებით-ვითარებითში გვაქვს: ყოვლისა, ყოვლით (კერძო), ყოვლითა, ყოვლად.

როცა **ყოველი** მსაზღვრელადაა აღებული, მის საზღვრულს შეიძლება ჰქონდეს ებიანი მრავლობითიც, მაგალითად: **ნათესავები** იგი ყოველი, მ. 27, 27; ყოველი **თესლები**, ლ. 1, 48 C; ყოველივე იგი **სნეულები**, მ. 8, 16 C, მაგრამ თვით **ყოველს**, ვიმეორებთ, **ებიანი** მრავლობითი არ გააჩნია.

როცა **ყოველი** არსებითს სახელს ახლავს, ზმნა ამ სახით განსაზღვრულ შინაარსს აქცევს ყურადღებას და სახელს ზოგჯერ მრავლობითს რიცხვში ეთანხმება, მაგალითად: მეყსეულად ყოველმან ერმან **იხილეს**, მრ. 9, 15 და სხვა.

როგორც ვთქვით, **ყოველი** შეიძლება შეგვხვდეს დამოუკიდებლად აღებული, მაგალითად:

მხოლობითი რიცხვი

ყოველი... ჩემდა მოვიდეს, ი. 6, 37; იწყო თითოეულმან **ყოველმან** ჴმნად, ლ. 14, 18; მოწაფეთა თჳსთა განუმარტებნ **ყოველსა**, მრ. 4, 34 C; **ყოვლისა** პირველად ესე არს, მრ. 12, 29; ამბილებდა მას ჰეროდიადსთჳს... და **ყოვლისა** მისთჳს, რომელი ქმნა ბოროტი ჰეროდე, ლ. 3, 19; მოვიდოდეს მისა **ყოვლით** კერძო, მრ. 1, 45.

ურთ თანდებულიანი ფორმა **ყოვლითურთ** დამოუკიდებელი სიტყვაა და ნიშნავს **სრულებით, სრულიად.**

ვითარებითში დასმული **ყოვლად** და ნაწილაკიანი **ყოვლადვე** აგრეთვე სხვა მნიშვნელობისაა (=სრულებით, სრულიად) და აქ არ გვაინტერესებს.

მრავლობითი რიცხვი

სახ.: მოწყდეს **ყოველნი**, მ. 2, 20; განკურნნა **ყოველნი** ბოროტთა სენთაგან, მრ. 1, 34.

მოთხ.: ჰამეს **ყოველთა** და განძღეს, მ. 14, 20; არა **ყოველთა** დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, მ. 19, 11.

მიც.: მიერულა **ყოველთა**, მ. 25, 5; დაუკჳრდებოდა **ყოველთა**, მრ. 1, 27; ორი იგი თევზი ეგრევე განუყო **ყოველთა**, მხ. 6, 41.

ნათ.: იყვნეთ თქუენ მოძულებულ **ყოველთაგან**, მ. 10, 22; იწყო... ქებად მისა ჴმითა დიდითა **ყოველთათჳს**, ლ. 19, 37 C.

ყოველთა გვხვდება მოქმედებითშიც. მართალია, იგი ამ შემთხვევაში აღებულია მსაზღვრელად, მაგრამ ამას აქ არა აქვს მნიშვნელობა: მოქმედებითში დგას იგი თავის საზღვრულთან ერთად: იწყო მოსესითგან და **ყოველთა** წინაწარმეტყუელთა, ლ. 24, 27. **იწყო** ზმნა მოქმედებითს ითხოვს. წინა სიტყვაში ეს უფრო აშკარად ჩანს: **მოსესითგან** ნათესაობით-მოქმედებითის ფორმაა; მარტო **მოსჱთგან** ძველ ქართულში ძალზე ი'შვიათად გვხვდება. პირის სახელი ასეთ შემთხვევაში ორმაგი ბრუნების სისტემას მიმართავს. ზოგადი სახელები (იწყო) **ყოველთა წინაწარმეტყუელთა** კი სუფთა მოქმედებითია, **გან** თანდებული აქ აღარ გაიმეორეს, რადგან იგი შერწყმული წინადადების ერთ-ერთ (წინა) წევრს ჰქონდა უკვე.

მოქმედებითში უნდა იყოს **ყოველთა** აგრეთვე შემდეგს მაგალითშიც: გამოუთარგმანებდა მათ **ყოველთა** წიგნთაგან, იქვე C.

ყოველი ხშირად იხმარება ვე ნაწილაკით. დავსძენთ აქვე, რომ ვე ნაწილაკიანი ფორმები უფრო ხშირად იხმარება დამოუკიდებლად, ვიდრე უნაწილაკო. მაგალითები: ვიდრემდე **ყოველივე** იყოს, მ. 5, 18; **ყოველსავე** უჩუენებს მას, ი. 5, 20; უკუეთუ ორნი თქუენთაგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა **ყოვლისავეთჳს** საქმისა, მ. 18, 19. თუმცა ამ უკანასკნელ მაგალითში **ყოვლისავეთჳს** მსაზღვრელია, მაგრამ მაინც აქ განვიხილეთ, რადგან გვსურდა აღგვენიშნა ერთი გარემოება: ბრუნვის ფორმას ჯერ ნაწილაკი ემატება, ხოლო ბოლოს—თანდებული: ყოველ-ისა-ვე-თჳს. სხვა სიტყვებთან პირიქითაა: ჯერ თანდებული გვაქვს, მერმე ნაწილაკი: რომლ-ისა-თჳს-ვე, მრ. 12, 14 C; ვი-ს-თჳს-ვე, იქვე DE; თხოვა-დ-მდე-ვე, მ. 6, 8 C.

მრავლობითის მაგალითები იქნება: **ყოველნივე** დაჰბრკოლდეთ ჩემდა მომართ, მ. 26, 31 C; **ყოველთაჲვე** ესუა იგი ცოლად, მ. 22, 28.

რაც შეეხება ნაწილაკის შეერთებას სახელის ფორმასთან, ძველ ქართულში გვხვდება მხოლოდ ერთი სახეობა, ეგრეთწოდებული შეუხორცებელი სახეობა, როცა ნაწილაკი ერთვის სახელის მზამზარეულ ფორმას: ყოველ-ი-ვე, ყოველ-მან-ვე, ყოველ-სა-ვე, ყოვლ-ითა-ვე, ყოვლ-ად-ვე და სხვა. ძველი ქართულისთვის უცხოა შეხორცებული წარმოება: ჯერ სახელის ფუძე, მერმე ნაწილაკი და მხოლოდ შემდეგ ბრუნვის ნიშანი.

ყოველ-ს შეიძლება ახლდეს ნაწევარიც, მაგალითად: თჳნიერ იგავისა არას ეტყოდა მათ; ხოლო თჳსაგან მოწაფეთა გამოუთარგმანის **ყოველი იგი**. მრ. 4, 34. მაგრამ ნამდვილად აქ ნაწევარი ეკუთვნის არსებითს სახელს **იგავს**, რომელიც ავტორმა ზემოთ მოიხსენია, ხოლო აქ მეორედ მისი განმეორება სტილისტიკური მოსაზრებით უხერხულად ჩათვალა და გამოუშვა.

რაც შეეხება **ყოველს**, როცა ის სხვა სახელის მსაზღვრელადაა გამოყენებული, მას ჩვენ დავუბრუნდებით ქვევით, როცა მსაზღვრელ-საზღვრულის შესახებ გვექნება ლაპარაკი.

ყოველს აქვს კიდევ სხვა მნიშვნელობა, იგი **მთელს** გამოხატავს, მაგალითად: რაჲსათჳს სდგათ თქუენ აქა დღე **ყოველ** უქმად, მ. 20, 6 (=რატომ სდგახართ თქვენ აქ **მთელ** დღეს უსაქმოდ); ღამე **ყოველ** დავშუერით, ლ. 5, 5; **ყოველი** გუამი შენი, მ 5, 30 (=**მთელი** შენი სხეული) და სხვა. მაგრამ ამ სიტყვის ეს მნიშვნელობა ვერ იქნება აქ ჩვენი მსჯელობის საგანი. დაინტერესებულ პირთ მივუთითებთ ა. შანიძის შრომაზე, რომელიც ამ სიტყვას ეხება: „ხანძთელის ცხოვრების ერთი ადგილის გაგებისათვის“ [1].

რაც შეეხება ამ სიტყვის ერთ-ერთ სახეობას **ყჳელას (ყუელას)**, იგი ძველ ქართულში არ გვხვდება.

სხუა

სხუას ძველ ქართულში ორი მნიშვნელობა აქვს: 1. **სხვა** და 2. **მეორე** (другой, второй). მართალია, ეს მნიშვნელობანი ახლოა ერთმანეთთან, მაგრამ второй-სათვის დღეს მაინც **მეორე**-ა განკუთვნილი და **სხვა** ამ გაგებით ჩვეულებრივ არ იხმარება.

სხვა ბრუნებისას იჩენს ერთგვარ თავისებურებას, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი (გვ. 127 — 131). ორი სიტყვით აქაც ვიტყვით: მისი ფუძისეული ა იკვეცება ნათესაობითსა და მოქმედებითში, ბოლოკიდურად დარჩენილ უმარცვლო უ-ს შეერწყმის ამ ბრუნვათა ნიშნისეული ი და ჲ-ს ვღებულობთ: სხუ-ისა→სხჳსა, სხუ-ითა→სხჳთა. აქვს ყველა ბრუნვა, მათ შორის წრფელობითიც. მრავლობითს რიცხვსაც ჩვეულებრივ აწარმოებს, მოეპოვება ებიანი მრავლობითიც. ერთი სიტყვით, ბრუნების თვალსაზრისით, ჩვენ გვაქვს სრულიად ჩვეულებრივი სახელი.

სხუა იხმარება დამოუკიდებლადაც და სხვა სიტყვის მსაზღვრელადაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაზე მსაზღვრელ-საზღვრულზე საუბრისას ვიტყვით ორიოდე სიტყვას, აქ კი მოვიყვანთ მაგალითებს მისი დამოუკიდებლად ხმარების შესახებ:

მხოლობითი

იყო... ხილვაჲ პირისა მისისაჲ **სხუა**, ლ. 9, 29; **სხუაჲ** დაჵარდა კლდოვანსა, მ. 13, 5; იხილა იგი **სხუამან**, მ. 26, 71; შენ ხარა მომავალი იგი, ანუ **სხუასა** მოველოდით, მ. 11, 3; **სხჳსა** ერისა სიმრავლჱ (იყო), ლ. 6, 17. მართალია, აქ **სხჳსა** სხვა სიტყვის (ერისა) განსაზღვრებაა, მაგრამ ბრუნების თავისებურების გასათვალისწინებლად ამას არა აქვს მნიშვნელობა. ეგევე უნდა ითქვას მოქმედებითზეც: რაჲთა... **სხჳთ** გზით წარვიდენ სოფლად თჳსა, მ. 2, 12; რაჟამს გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიიცლტოდეთ **სხუად**, მ. 10, 23.

[1] საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 9, 1944, გვ. 939—944.

მრავლობითი

სხუანი უწინარეს ჩემსა შთაჴდიან, ი. 5, 7; **სხუათა** შეიპყრნეს მონანი იგი მისნი, მ. 22, 6; ვენაჴი იგი მისცეს **სხუათა**, მრ. 12, 9.

გვხვდება ნაწილაკიანი ბრუნვებიც. ყველაზე ხშირად ცა ნაწილაკი გვაქვს. ნაწილაკი, როგორც წესი, აქაც სახელის ბზაბზარეულ ფორმას ემატება. მაგალითები:

არს **სხუაცა** მრავალ, რავდენი ქმნა იესუ, ი. 21, 25 C; ვეცხლმან შენმან **სხუაჲცა** ხუთი სასწორი ყო, ლ. 19, 18 C; ჰრქუა მას **სხუამანცა**, ლ. 9, 61; **სხუებიცა** მრავალნი დედანი (შეუდგეს მას), მრ. 15, 41 C; არიან **სხუანიცა** მრავალ, რომელ ქმნნა იესუ, ი. 21, 25.

9. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები სხვადასხვა ხასიათისაა. ზოგი სახელი განუსაზღვრელობითია თავისი ფუძით, ზოგი ასეთი ხასიათისაა თავისი მნიშვნელობით; ზოგსაც ასეთი მნიშვნელობა ბოპოვებული აქვს სხვა სახის ნაცვალსახელებზე გარკვეული ნაწილაკების დართვით.

პირველი ტიპისაა **ზოგი**, მეორისა—**ერთი, ვინ**, მესამისა—**ვინმე, რომელიმე**...

ზოგი

ძველ ქართულში **ზოგს** სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს:

ა) იგი აღნიშნავს ნახევარს: რაჲცა მთხოო, მიგცე შენ ვიდრე **ზოგადმდე** სამეუფოჲსა ჩემისა, მრ. 6, 23 C(=რასაც მთხოვ, მოგცემ შენ ჩემი სამეფოს ნახევრამდე);

ბ) იგი უჩვენებს ერთობას, საერთოს, ერთადობას: რბიოდეს ორნივე **ზოგად**, ი. 20, 4 (=მირბოდნენ ერთად); იყვნეს **ზოგად** სიმონ-პეტრე და თომა, ი. 21, 2(=ერთად იყვნენ);

გ) უდრის დღევანდელ **ზოგს, ზოგიერთს**. ესაა სწორედ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი, მაგალითად: **ზოგნი** იტყოდეს, ი. 7, 41 C; 9, 9 C; 10, 21 C. ყველა ამ შემთხვევაში DE-ში **ზოგნი**-ს ნაცვლად გვაქვს **სხუანი**. ეს იქნება დღევანდელ ენაზე **ზოგიერთები, ვილაცეები**.

რთული **ზოგიერთი**, რომელიც მიღებულია ამ **ზოგ**-ზე მეორე სიტყვის, განუსაზღვრელი **ერთის** დამატებით, ძველმა ქართულმა არ იცის[1].

ერთი

ერთი ძველ ქართულში ფართოდ არის გამოყენებული განუსაზღვრელ ნაწევრად. ამის შესახებ ნაწევართან დაკავშირებით სხვაგან გვაქვს მსჯელობა და აქ აღარ გავიმეორებთ.[2]

---

[1] ა. ჩიქობავა, სიტყვა „ზოგი"-ს ეტიმოლოგიისათვის: ენიმკის მოამბე, ტ. I. 1937. გვ. 48—54.

[2] ი. იმნაიშვილი, ნაწევარი ძველ ქართულში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 61, 1955, გვ. 251—253.

განუსაზღვრელ ნაცვალსახელთა ერთი ჯგუფი ნაწარმოებია კითხვითს ნაცვალსახელებზე მე ნაწილაკის დართვით: **ვინმე, რაიმე, რომელიმე, რაოდენიმე.**

მაგრამ უფრო ძველად, სანამ აღნიშნული წესი ჩამოყალიბდებოდა, თვით კითხვითი ნაცვალსახელები, უანნაწილაკოდ, განუსაზღვრელობითს შინაარსსაც შეიცავდა. კითხვითი ნაცვალსახელები, როგორც ზემოთ ვნახეთ, აგრეთვე მიმართებითი ნაცვალსახელების მნიშვნელობითაც იხმარებოდა. ეს სამმაგი ბუნება კითხვითი ნაცვალსახელებისა ყველაზე კარგად ჩანს **ვინ** და **რა** კითხვითი ნაცვალსახელების მაგალითზე:

1. ერთი მხრივ, და უპირველეს ყოვლისა, ისინი კითხვითი ნაცვალსახელებია: **ვინ არს ესე? რაჲ არს ესე?**

2. მეორე მხრივ, ისინი მიმართებითი ნაცვალსახელების ფუნქციითაც იხმარება: **ვის რაჲ თანა-ედვა** (ლ. 16, 5 C); **ყოველი, რაჲ გაქუს, განყიდე** (ლ. 18, 22 C).

3. მესამე მხრივ, ეგეთე ნაცვალსახელები განუსაზღვრელობითი მნიშვნელობითაც იხმარება: **ვინ, იქნება ვინმე, რა—რაიმე.** ეს არის ამ ნაცვალსახელების ძველი თავისებურება. გარკვეული ნაწილაკების დამატება აქ აღნიშნულ მნიშვნელობათა დიფერენციაციისათვის მეორეული მოვლენაა და შედარებით გვიან უნდა მომხდარიყო. თავდაპირველად **ვინ** და **რა** (აგრეთვე რომელი) სამივე მნიშვნელობით იხმარებოდა, ნაწილაკების დართვა საჭირო არ იყო.

ამ ნაცვალსახელების აქ აღნიშნულ პირველ ორ მნიშვნელობაზე (კითხვითი, მიმართებითი) ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი[1], აქ წარმოვადგენთ მაგალითებს მესამე მნიშვნელობის შესახებ, როცა **ვინ** და **რა** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის შინაარსით იხმარება.

ვინ (= ვინმე)

სახელობითი: არასადა **ვინ** გამოჩნდა ესრეთ ისრაჱლსა შორის. მ. 9, 33; ნუღარამცა **ვინ** ჭამს უკუნისამდე შენგან ნაყოფსა, მრ. 11, 14.

მოთხრობითი: იხილეთ, ნუმცა **ვინ** უწყის, მ. 9, 30; არცა მამაჲ **ვინ** იცის, გარნა ძემან, მ. 11, 27; არცაღა იკადრა **ვინ** მიერ დღითგან კითხვად მისა არღარა, მ. 22, 46.

მიცემითი: არცა ესმეს **ვის** უბანთა ზედა ჴმაჲ მისი, მ. 12, 19; და არცაღა ჯაჭუებითა **ვის** ჴელ-ეწიფა შებორკილებად იგი, მრ. 5, 3.

რაჲ

არცა დაფარული **რაჲ** არს, რომელი არა გამოჩნდეს, მრ. 4, 22 C; უკუეთუ **ვინმე** გრქუას **რაჲ** თქუენ, მრ. 11, 3; უკუეთუმცა უყვეს **რაჲ** იესუს. ლ. 6, 11 C.

---

[1] ნ. ზემოთ კითხვითი ნაცვალსახელები, გვ. 504—515. და მიმართებითი ნაცვალსახელები, გვ. 520—574.

აქ მოყვანილი მაგალითები წარმოადგენს განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების უძველეს სახეს. მაგრამ შემდეგ, როგორც ვთქვით, სპეციალურად ამ მიზნით მე, ვე ნაწილაკები ერთვის მათ, პირველი ძალზე ხშირად, მეორე ერთობ იშვიათად. ამით მყარდება ფორმობლივი საზღვარიც კითხვითსა და განუსაზღვრელობითს ნაცვალსახელებს შორის, რაც დღევანდელ ქართულში მკაცრადაა გატარებული..

მე ნაწილაკი ერთვის ყველა კითხვითს ნაცვალსახელს: **ვინმე, რაჲმე, რომელიმე, რაოდენიმე.**

ვ ი ნ მ ე

ვინმე სრულიად ისე იბრუნვის, როგორც **ვინ**:

მხოლობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი
სახ.	ვინმე	—
მოთხ.	ვინმე	ვიეთმე
მიც.	ვისმე	ვიეთმე
ნათ.	ვის...მე	ვიეთ...მე

სახელობითის მრავლობითი არც **ვინმე**-ს აქვს. საჭირო შემთხვევაში ან ისევ მხოლობითის ფორმა იხმარება, რომელსაც ზმნა მრავლობითში ეწყობა (იყვნეს **ვინმე**, რომელნი ჰრისხვიდეს თჳსაგან და იტყოდეს, მრ. 14, 4), ანდა ორმაგი მრავლობითობის ფორმა, რომელიც მრავლობითის ნათესაობითს იყენებს ახალ ფუძედ: **ვიეთ-ნ-ი**. ამ ახალ წარმოებას სხვა ბრუნვებშიც იყენებენ:

სახ.	ვიეთ-ნ-ი-მე
მოთხ:	ვიეთ-თა-ცე
მიც.	ვიეთ-თა-მე
ნათ.	ვიეთ-თა... მე

სახელობითის არ ქონება იმ დროზე მიუთითებს, როცა მრავლობითობის აღსანიშნავად იყო ეთ სუფიქსი, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო **ნ**.[1]

ვინმე და სხვა ფორმები ცალკეც იხმარება, მაგრამ ჩვეულებრივია მათი გამოყენება სხვა სიტყვის მსაზღვრელად. ეს **ვინმე** განუსაზღვრელი ნაწევრის ფუნქციასაც ასრულებს[2]. ყველა ასეთ შემთხვევაში ის ერთნაირად იბრუნვის. აქ ვნახოთ მაგალითები, როცა **ვინმე** დამოუკიდებლად იხმარება.

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი: თუ **ვინმე** წარგიძღუანებდეს შენ მილიონ ერთ, მ. 5, 41 C; ნუუკუე **ვინმე** შეურაცხ-ჰყოთ, მ. 18, 10; უკუეთუ **ვინმე** ვიდოდის ღღესა, ი. 11, 9.

---

[1] ა. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იბერ-კავკ. VI, 1954, გვ. 74.

[2] ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ნაწევარი ძველ ქართულში: თბილ. უნივ. შრომები. ტ. 61, 1955, გვ. 253—254.

მოთხრობითი: გცეს თუ ვინმე მარჯუენესა ყურიმალსა, მ. 5, 39; უკუეთუ ვინმე არა შეგიწყნარნეს თქუენ, მ. 10, 14; თუ ვინმე თქუას სიტყუაჲ, მ. 12, 32 C; ნუ ვინმე გაცთუნნეს თქუენ, მ. 24, 4.

მიცემითი: უკუეთუ ვისმე უნდეს თავი თჳსი განრინებად, მ. 16, 25; ლეღჳ ვისმე ედგა ნერგი სავენაკესა თჳსსა, ლ. 13, 6; უკუეთუ ვისმე ჰსწყუროდის, ი. 7, 37.

ნათესაობითი: ძჳცა კაცისაჲ არა მოვიდა, ვითარმცა იმსახურა ვისგანმე, მრ. 10, 45; უკუეთუ გაჴსოვს რაჲმე ბოროტი ვისთჳსმე, მრ. 11, 25; ნუუკუე იყოს ვისთანამე თქუენ შორის გული უკეთური ურწმუნოებისაჲ, ებრ. 3, 12.

მრავლობითი

სახელობითი ბრუნვა მრავლობითი რიცხვისა, როგორც ვთქვით, არც ამ სახელს აქვს. მას მოეპოვება მხოლოდ თანიანი ფორმები, ე. ი. მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი.

მოთხრობითი: იწყეს ვიეთმე ნერწყუვად პირსა მისსა, მრ. 14, 65; დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა დამაკჳრვეს ჩუენ, ლ. 24, 22.

მიცემითი: ნუ მთავართაგანთა ვიეთმე ჰრწმენა მისი, ი. 7, 48; ესმა ვიეთმე და განამწარეს, ებრ. 3, 16.

ნათესაობითი: თქუა ვიეთდამე მიმართ იგავი ესე, ლ. 18, 9 C. E-ში და თანდებულის დონი დაკარგულია და ფორმა ასე იკითხება: ვიეთამე მიმართ.

სახელობითის ნაკლული ფორმის ნაცვლად ზოგჯერ ორმაგი წარმოების მაგალითები გვაქვს:

ვიეთნიმე მათგანნი იტყოდეს, ი. 11, 37; უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ, ი. 20, 23. ასეთი სახელობითის ბუნებრივი გაგრძელებაა ვიეთთამე, რაც გვაქვს კიდეც აქა-იქ.

რაჲმე

სახელობითი. ზოგჯერ ამ სახელს დაკარგული აქვს სახელობითი ბრუნვის ნიშანი და იგი ფუძის სახით არის წარმოდგენილი, მაგალითად: უკუეთუ ვინმე გრქუას რამე, მ. 21, 3 D; არა იხილოს რამე მამისაგან საქმე, ი. 5, 19 D. რამე, როგორც ვხედავთ, ჯრუჭის ხელნაწერშია დაცული, CE ამ შემთხვევაშიც ბრუნვის ნიშნიან ფორმებს იძლევა: რაჲმე. თვით D-შიც სხვაგან რაჲმე იკითხება. სხვა მაგალითები: უკუეთუმცა უყვეს რაჲმე, ლ. 6, 11; მაქუს რაჲმე შენდა სიტყუად, ლ. 7, 40.

მოთხრობითი, როგორც აღნიშნული გვაქვს, არ გვხვდება არც რა სიტყვიდან და არც, მით უმეტეს, რაჲმე-დან.

მიცემითი: ითხოედა რასმე მისგან, მ. 20, 20; საუცარს რასმე ჰგონებდეს, მრ. 6, 49 C; არაეინ ფარულად რასმე იქმნ, ი. 7, 4.

ნათესაობითი: ნუ გარდამოელენან აღღებად **რაჲსმე** სახლისაგან, მ. 24, 17 C; ვერმცა შემძლებელ იყო ყოფად **რაჲსმე**, ი. 9, 33 C. DE-ში ეს ფორმა ემფატიკური ა-თია წარმოდგენილი: **რაჲსამე**. ასეთი მაგალითები იქნება კიდევ: ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა **რაჲსამე** ყოფად, ი. 1, 46; არა-მემცა ეძლოა ამას... ყოფად **რაჲსამე**, ი. 11, 37.

სხვა ბრუნვის ნიმუშები არ შეგვხვედრია. მოსალოდნელია კი, რასაკვირველია, **რაჲთამე**, **რადმე**.

თუ დავაკვირდებით აქ მოყვანილ მაგალითებს, დავინახავთ, რომ მიცემით-ნათესაობითის ფორმები უმთავრესად ემფატიკური ა-ს გარეშეა წარმოდგენილი: **რასმე**, **რაჲსმე**, და არა **რასამე**, **რაჲსამე**, როგორც ეს გვქონდა კითხვითი (უნაწილაკო) **რა**-ს ბრუნების შემთხვევაში. იქ ნათესაობითში გვქონდა მხოლოდ **რაჲსა** და არა **რაჲს**, მიცემითშიც უმთავრესად **რასა** იყო, იშვიათად **რას**. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ უფრო ძველი ვითარება განუსაზღვრელობითმა ნაცვალსახელმა შემოგვინახა და არა კითხვითმა. ამის მიზეზი შეიძლება ნაწილაკის დართვა იყოს: მე ნაწილაკმა დაიცვა ძველი ვითარება და ხელი შეუშალა ემფატიკური ა-ს შეტანას ბრუნვის ნიშანსა და ნაწილაკს შორის. სადაც ასეთი მფარველი ნაწილაკი არ იყო, ადვილი შესაძლებელი გახდა ბრუნვის ფორმას ემფატიკური ა დართოდა.

რომელიმე

რომელიმე, როგორც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი, მხოლოდ მე ნაწილაკით გვხვდება. ჩვენ არ გაგვაჩნია ამ მნიშვნელობით უნაწილაკო ფორმა **რომელი**. **რომელიმე** უმეტესად დამოუკიდებლად აღებული გვხვდება; უფრო ხშირია სახელობითის, მიცემითისა და მოთხრობითის ფორმები, ნაკლები—სხვები. მაგალითები:

მხოლობითი

რომელიმე დავარდა შორის ეკალთა, ლ. 8, 7C; გამოიღო ნაყოფი და ყო **რომელმანმე** ასი, **რომელმანმე** სამეოცი და **რომელმანმე** ოც და ათი, მ. 13, 23; **რომელსამე** მისცა ხუთი ქანქარი და **რომელსამე** ორი და **რომელსამე** ერთი, მ. 25, 15.

მრავლობითი

რომელნიმე ტანჯნეს და **რომელნიმე** მოწყჳდნეს, მრ. 12, 5; იწყეს **რომელთამე** ნერწყუვად პირსა მისსა, მრ. 14, 65 C; **რომელთამე** სცეს, ...**რომელთამე** ქვაჲ დაჰკრიბეს, მ. 21, 35.

იშვიათად გვხვდება აგრეთვე **რაოდენიმე**.

ზემოთ წარმოდგენილი იყო მე ნაწილაკიანი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები. ზოგჯერ ამაევე მიზნით გამოყენებულია აგრეთვე **ვე** ნაწილაკი. ნაშთის სახით შემონახულია ამის რამდენიმე მაგალითი, მაგალითად:

ვიცით, რამეთუ ჰეშმარიტ ხარ და არარაჲ ზრუნვაჲ გიც ვისთჳსვე, მრ. 12, 14. С-შიც ვე ნაწილაკიანი ფორმაა, ოღონდ ვე აქ ემატება მეორე კითხვითს ნაცვალსახელს რომელ-ს: არარაჲ გჳრს შენ რომლისათჳსვე. ერთიცა და მეორეც განუსაზღვრელობითი შინაარსისაა და უდრის: ვინმესთვის, რომელიმესთვის. ამ ჩვენს აზრს მხარს უჭერს ტექსტის რუსული თარგმანიც: и не заботишься об угождении кому либо.

ვე აქ ჩვენ შევნიშნეთ ვინ და რომელ ნაცვალსახელებში. მაგრამ იგი ძველად სხვა კითხვითს ნაცვალსახელებზეც უნდა ყოფილიყო დართული. შეიძლება კიდევ დავასახელოთ ერთი მაგალითი, როცა ეს ჲე რა-ს ერთვის და განუსაზღვრელობითს შინაარსს აძლევს, მაგალითად: იგი იყო განრყუნილ, რომელ რაჲდვე არად საქმარ იყო, იერ. 13, 7. რაჲდვე აქ უნდა ნიშნავდეს რამედ (ძველით: რადმე).

რაც შეეხება განუსაზღვრელი ნაცვალსახელების ისეთ ჯგუფს, რომელიც დღეს კითხვითს ნაცვალსახელებზე ღაც(ა) ნაწილაკების დართვით იწარმოება (ვიღაცა, რაღაცა, რომელიღაც), ის ძველმა ქართულმა არ იცის.

10. უარყოფითი ნაცვალსახელები

უარყოფითი ნაცვალსახელები მიღებულია ისევ ვინ და რა კითხვითი ნაცვალსახელებიდან, რომელთაც წინ ერთვის უკუთქმითი ნაწილაკები არა, ვერ, ნუ.[1]. ამნაირად ვღებულობთ:

არა+ვინ=არავინ
ვერ+ვინ=ვერვინ
ნუ+ვინ=ნუვინ.

რთული არღარა და ვერღარა ნაწილაკების დამატებით გვაქვს:

არღარა+ვინ=არღარავინ
ვერღარა+ვინ=ვერღარავინ.

ეს ვინ-თან დაკავშირებით.
რა-სთან უკუთქმითი ნაწილაკების შერწყმით მიღებულია:

არა+რა-ჲ=არარა-ჲ
ვერა+რა-ჲ=ვერარა-ჲ
ნურა+რა-ჲ=ნურარა-ჲ.

სამივე ნაცვალსახელი გამარტივების შემდეგ იძლევა ახალ ფორმებს:

არარა-ჲ→არრაჲ→არა-ჲ
ვერარა-ჲ→ვერრაჲ→ვერა-ჲ
ნურარა-ჲ→ნურრა-ჲ→ნურა-ჲ[1].

რთული ნაწილაკი არღარა პირდაპირ ამ სახით იხმარება ნაცვალსახელად.

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 44. იქვე.

ახალი ქართულის ისეთი ფორმები, როგორიცაა **ფერ**-ის საშუალებით მიღებული **არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი**, სრულებით არ გვხვდება ძველ ქართულში.

ამ ნაცვალსახელთა ბრუნება არავითარ განსაკუთრებულ თავისებურებას არ შეიცავს. ცხადია, რომ რთული **არავინ, ვერავინ, ნურავინ, არლარავინ, ვერლარავინ** ისე დაიბრუნება, როგორც მარტივი **ვინ**, ხოლო რთული **არარა-ჲ, ვერარა-ჲ** და **ნურარა-ჲ**—ისე, როგორც მარტივი **რა-ჲ**.

თქმულის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ მცირე საილუსტრაციო მასალა.

არავინ

სახელობითი: არავინ მათგანი განიკურნა, ლ. 4, 27; **არავინ** სუამნ ძუელსა ღჳნოსა და მეყსეულად ჰნებავნ ახალი, ლ. 5, 39; **არავინ** უტევა მიდევნებად მის თანა, მრ. 5, 37.

მოთხრობითი: არავინ იცის, მ. 11, 27; **არავინ** დამიდგინნა ჩუენ, მ. 20, 7; **არავინ** შთააასხის ღჳნოჲ ახალი თხიერსა ძუელსა, მრ. 2, 22.

მიცემითი: რაჲთა **არავის** უთხრან, მ. 16, 20; **არავის** ეძლო დაყენებად მისა, მრ. 5, 4; მე **არავის** ვშჯი, ი. 8, 15.

ნათესაობითი: არას ზრუნავ **არავისთჳს**, მ. 22, 16; არაჲ გჳირს შენ **არავისთჳს**, იქვე C.

ამ ფორმების მრავლობითი არ გვხვდება.

ვერვინ

ძველ ქართულში უკუთქმითი ნაწილაკია **ვერ** და არა **ვერა**. ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი შეერთება **ვინ**-თან **ვერვინ**-ს იძლეოდეს. ახალი ქართულის **ვერავინ**, რომელიც **არავინ**-ის ანალოგიით აჩის მიღებული, ძველმა ქართულმა არ იცის. იქ გვაქვს ერთადერთი **ვერვინ**. ვნახოთ მაგალითები.

სახელობითი: ვერვინ შემძლებელ იყო წარსლვად მიერ გზით, მ. 8, 28 C; **ვერვინ** მოვიდეს ჩემდა, ი. 6, 65 C; **ვერვინ** განცაადებულად იტყოდა, ი. 7, 13 C.

მოთხრობითი: ვერვინ უძლო მას სიტყჳს-მიგებად, მ. 22, 46; **ვერვინ** მიყო მისა ჴელი, ი. 7, 44 C; სიბარული იგი თქუენი **ვერვინ** მიგიღოს თქუენგან, ი. 16, 22 C.

მიცემითი: ვერვის ჴელ-ეწიფების სასწაულთა ამათ საქმედ, ი. 3, 2; ოდეს **ვერვის** ჴელ-ეწიფოს საქმედ, ი. 9, 4.

ნათესაობითი: რომელი **ვერვისგან** განიკურნა, ლ. 8, 43.

ნუვინ

იგულეთ, **ნუვინ** გაცთუნნეს თქუენ, მ. 24, 4 C; იხილე, **ნუვის** უთხრობ, მ. 8, 4; თქუენ **ნუვის** ჰბაღდით მოძღურით, მ. 23, 8; **ნუვის** აჰირვებთ და ნუცა ცილსა შესწამებთ, ლ. 3, 14.

ჩამოთვლილი ნაცვალსახელების შინაარსს განასხვავებს მათ წინ დართული უკუთქმითი ნაწილაკები, რომელთაც სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ:

არა სურვილის მიხედვით, მარტივად უარყოფს (არა ჭამს), ვერ მოქმედების შესაძლებლობას უარყოფს (ვერ ჭამს), ნუ მოქმედებას კრძალავს (ნუ ჭამს)[1]. აქედან: არავინ დამიდგინნა ჩუენ=არ სურდა და არ დაგვიყენა ჩვენ; რომელსა ვერვინ იქმოდის=სურს, მაგრამ ვერვინ ვერ იზამს, ვერ გააკეთებს, ამის შესაძლებლობა არა აქვს; ნუვის უთხრობ=თხრობას კრძალავენ, სხვისთვის თქმა აკრძალულიაო.

ხანდახან არა და ვერ ნაწილაკები ცვლის ერთმანეთს, განსაკუთრებით ვერ იხმარება ისეთ შემთხვევებში, სადაც დღეს ჩვენ არა-ს ვიტყოდით, მაგრამ საერთოდ ზემოთ აღნიშნული წესი დაცულია. ასეა ეს წესი გადმოსული უარყოფითს ნაცვალსახელებშიც.

არღარავინ

მიმოდაიხილეს და არღარავინ იხილეს, მრ. 9, 8 C (=სახ. ბრ.); არღარავინ იკადრა... კითხვად მისა, მრ. 12, 34 (=მოთხ. ბრ.).

ვერღარავინ

ვერცა ჯაჭუთა ვერღარავინ უძლის შეკრვად მისა, მრ. 5, 3 (=მოთხ. ბრ.).

ახლა რა-სთან დაკავშირებული ფორმები ვნახოთ. ჯერ განვიხილოთ უფრო ძველი და სრულად წარმოდგენილი ფორმები, შემდეგ—გამარტივებულნი.

არარა-ჲ (=არაფერი)

არარაჲ აქუს, რაჲმცა ჭამეს, მ. 15, 32; არარახ ეტყჳან მას, ი. 7, 26; ესე არარაჲთ განჰჴდის ეშმაკთა მათ, გარნა ბელზებულითა, მ. 12, 24 C.

აღსანიშნავია, რომ მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში აქ ძველი, მარტივნიშნიანი ფორმები გვაქვს შემონახული და არა ემფატიკური ა-თი გაერცობილი: არარა-ს, არარა-ჲს, არარა-ჲთ. თვით რა-ს კი ამ ბრუნვებში ჩვეულებრივ ა ახლავს: რა-ს ‖ რა-სა, მაგრამ: რა-ჲსა, რა-ჲთა, თუმცა ეს ორი უკანასკნელი ფორმა სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება და არა დგას ჩვეულებრივი „რა-ჲ, რა-ს“-ს რიგში. ეგეთე შეიძლება ითქვას ვერარა-ს. ნურარა-ს შესახებაც.

ვერარა-ჲ

ვერარაჲ მიუგეს მას ამისთჳს, ლ. 14, 6; ვერარას ჰპოვებდეს, რაჲ უყონ მას, ლ. 19, 48; ესე ნათესაი ვერარაჲთ შესაძლებელ არს განსლვად, გარნა ლოცვითა და მარხვითა, მრ. 9, 29. ეს უკანასკნელი მაგალითი საინტერესოა ერთი თვალსაზრისითაც: რაკი აქ შესაძლებლობაზეა ლაპარაკი (ვერარაჲთ შესაძლებელ არს განსლვადო), ცხადია, ვერარაჲთ უნდა ეხმარათ. რად-

[1] შ ა ნ ი ძ ე, გრამატ. საფუძვ. გვ. 630.

განაც მოქმედების შესაძლებლობის უარყოფა ვერ-ს აქვს დაკისრებული. მაგრამ ეგევე ადგილი C-ში, როგორც ზემოთ ვნახეთ, სულ სხვანაირად არის გადმოცემული: ესე ნათესავი არარადთ განვალს, გარნა ლოცვითა. აქ არაა ლაპარაკი შესაძლებლობაზე, აქ საუბარია თავისი ნებით გასვლაზე (განვალს) და ამიტომ, ცხადია, უარყოფით ნაცვალსახელად არარადთ უნდა გვქონდეს. სწორედ ასე უნდა: არარადთ განვალს, მაგრამ: ვერარადთ შესაძლებელ არს განსლვად.

ნურარად

ნურარად გაქუნ გზასა ზედა, ლ. 9, 3 C.

ახლა მოვიყვანოთ გამარტივებული ფორმების მაგალითები.

არა-დ

არად აქუს, რადმცა ჰამეს, მ. 15, 32 C; არას გავნებ შენ, მ. 20, 13; მე არას მეტყჳა, ი. 19, 10; ესე არადთ განასხამს ეშმაკთა, გარნა ბერზებულითა, მ. 12, 24; ჯორცნი არად საჭმარ არიან, ი. 6, 63.

რომ არად არარად-ს გამარტივებული სახეა, იქიდანაც ჩანს, რომ ისინი ერთსა და იმავე ადგილას იხმარებიან სხვადასხვა ხელნაწერში: DE-შია არარად, C-ში არად (მ. 15, 32). პირიქით: არარადთ C-შია, არადთ — DE-ში (მ. 12, 24).

არა-დ-ს შესახებ აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრ ხელნაწერში უკუთქმითი ნაწილაკი არა არა-დ ნაცვალსახელის ანალოგიით დ-ს დაირთავს ხოლმე, მაგალითად: ხოლო იესუ არად მიუგო მას სიტყუად, მ. 15, 23 CDE; და არად თუ უცხოჲსაგან თესლისა, არცა ხარჭისაგან შობილი, არამედ ყოვლადვე არაბიელთა თესლი, აბო, 184, 35 და სხვა. ზოგჯერ პირს ხოლმე იმის გარჩევა, ეს არად უბრალო უკუთქმითი ნაწილაკია, თუ უარყოფითი ნაცვალსახელი. ზმნასთან ერთიც შეიძლება და მეორეც. ასეთია, თუ გნებავთ, ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითებიდან პირველი: არად მიუგო. არად აქ შეიძლება ასეც გავიგოთ: არაფერი (არ) უპასუხა, მაშინ დ უნდა დარჩეს. მაგრამ თუ გამოცემაში ეს მაინც არის გასწორებული, ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ არაფერი-ს საბადლო პირდაპირი ობიექტი იქნება მოცემული: იესუ არა მიუგო მას სიტყუად. ამიტომ მეორე პირდაპირი ობიექტი აღარაა საჭირო და არად-ც ვერ იქნება ასეთი, ის მხოლოდ ნაწილაკი შეიძლება იყოს.

ვერად

ჰეროდიას ...უნდა მოკლვად მისი და ვერად ჴელ-იწიფა, მრ. 6, 19 E. D-ში სრული (გაუმარტივებელი) ფორმაა მოცემული: ვერარად.

...უკუეთუ გკითხო თქუენ, ვერად მომიგოთ, ლ. 22, 68 C. E-ში აქაც იკითხება უფრო სრული, ვერარად, ხოლო D იძლევა საინტერესო ფორმას: ვერადარად, სადაც დ მარტივი ვერა-დ-ს ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი.

...ვერას ჰპოვებდეს, რაჲ უყონ, ლ. 19, 48 C. DE-ში აქაც სრული ფორმაა დაცული: ვერარას.

ნურაჲ

ნურაჲ გაქუნ გზასა ზედა, ლ. 9, 3 (C-ში: ნურარაჲ); ნურას უფროჲს განწესებულისა თქუენისა იქმთ, ლ. 3, 13; ნურას უსასყ ჰყოფთ, ლ. 6, 35.

არღარაჲ

არღარას შემძლებელ არნ იგი, გარნა განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთაგან, მ. 5, 13 C.

თავი მეხუთე

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

აქამდე ჩვენ ვეცნობოდით ცალკე აღებული სახელის ბრუნებას, როცა იგი დამოუკიდებლად იდგა და მარტო იბრუნებოდა. ახლა უნდა გავეცნოთ ორი ან მეტი სახელის ერთად ბრუნებას. ამ სახელთაგან ერთი რაიმე ნიშნის მიხედვით განსაზღვრავს მეორეს. ასეთი წყვილის ერთად ბრუნება მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების სახელითაა ცნობილი. საზღვრულად ჩვეულებრივ არსებითი სახელი გვევლინება (სახლი), მსაზღვრელად—ზედსართავი (დიდი), მიმღეობა (დაფუძნებული), რიცხვითი (ორი, მეორე), ნაცვალსახელი (შენი, ესევითარი, ყოველი...), არსებითიც (ძელისაჲ).

აქ წარმოდგენილი მსაზღვრელები ყველა ერთნაირი არაა. ზოგი ამათგანი საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვშია შეთანხმებული (სახლი დიდი, სახლნი დიდნი...). ასეთ მსაზღვრელს **ატრიბუტული** მსაზღვრელი ეწოდება. ატრიბუტული მსაზღვრელია აგრეთვე **დაფუძნებული** (სახლი), **მეორე** (სახლი), **შენი** (სახლი). ზოგი მსაზღვრელი საზღვრულის მიერ არის მართული, იგი ნათესაობითს ბრუნვაში დგას და ისე განსაზღვრავს საზღვრულს: სახლი **ძელისაჲ**. ასეთ მსაზღვრელს **მართული** მსაზღვრელი ეწოდება.

ამ ორი ჯგუფის მსაზღვრელს შორის არის შინაარსეული განსხვავებაც: მართული მსაზღვრელი აღნიშნავს მასალას, რომლისაგანაც არის შემდგარი საზღვრული (სახლი **ძელისაჲ**), ან გამოხატავს კუთვნილებას (სახლი **ძმისაჲ**). ატრიბუტულმა მსაზღვრელმა შეიძლება გამოხატოს კუთვნილებაც (სახლი **შენი**), თვისება (სახლი **დიდი**, სახლი **დაფუძნებული**), რიცხვი (**ათი** სახლი), რიგი (**მეორე** სახლი) და სხვა. მაგრამ მათ შორის უფრო დიდია ფორმობრივი განსხვავება: სხვანაირად იბრუნვის ატრიბუტული მსაზღვრელი და სულ სხვანაირად იბრუნვის მართული მსაზღვრელი. არის კიდევ მათ შორის სხვა ხასიათის სხვაობაც: საქმე ეხება მსაზღვრელისა და საზღვრულის რიგსა და აქედან გამომდინარე საკითხებს. ამიტომ აღნიშნული ორი ჯგუფის მსაზღვრელები ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

I. ატრიბუტული მსაზღვრელი

ატრიბუტულ მსაზღვრელებში, ბუნებრივია, მეტი ყურადღება ზედსართავ სახელს უნდა მივაქციოთ.

1. ზედსართავი სახელი მსაზღვრელად

ზედსართავი სახელების ბრუნება, როცა ისინი დამოუკიდებლად იხმარება, ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ (გვ. 458—462). ახლა უნდა გავეცნოთ მათს ბრუნებას არსებითს სახელთან ერთად. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ვიცოდეთ მათი რიგი. ზედსართავი სახელი ძველ ქართულში შეიძლება უსწრებდეს არსებითს სახელს (დიდი სახლი), მაგრამ შეიძლება მოსდევდეს მას (სახლი დიდი). ძველი ქართულისათვის უფრო დამახასიათებელია მეორე შემთხვევა (სახლი დიდი), შემთხვევათა მეტი რაოდენობა მსაზღვრელს საზღვრულის ბოლოს გვიჩვენებს. ამიტომ ასეთ წყობას ძველ ქართულში **პირდაპირ წყობას** ეძახიან. ამის მიხედვით **შებრუნებული წყობა** ძველი ქართულისათვის ისეთი რიგი იქნება, როცა მსაზღვრელი წინაა, საზღვრული ბოლოს (დიდი სახლი). უნდა შევნიშნოთ, რომ „პირდაპირისა" და „შებრუნებული" წყობის ასეთი შინაარსით ხმარება მეტად პირობითია და იგი ატრიბუტული მსაზღვრელების განსაზღვრულ ჯგუფს ემყარება მხოლოდ (ზედსართავები, მიმღეობანი) და აქაც შეიძლება ეს ზოგჯერ სადავო იყოს. რაც შეეხება რიცხვითს სახელებსა (რაოდენობითსა და რიგობითს) და ზოგი ტიპის ნაცვალსახელებს, ისინი სულ სხვა ვითარებას გვიჩვენებენ: მსაზღვრელს ჩვეულებრივ წინ წარმოგვიდგენენ, საზღვრულს—შემდეგ (ორი თევზი, მეექუსე ჟამი, ყოველი ნათესავი...).

დღევანდელ ქართულში, როგორც ცნობილია, გაბატონებულია ისეთი წყობა, როცა ჯერ მსაზღვრელია მოცემული, მერმე საზღვრული (დიდი სახლი). ამიტომ **პირდაპირ წყობას** დღეს სწორედ ასეთ რიგს ეძახიან.

ჩვენ პირობით მივიღოთ **პირდაპირი წყობა, შებრუნებული წყობა** იმ გაგებით, როგორც მას ხმარობენ ძველი ქართულის მიმართ, და ამ შინაარსით ვიხმაროთ ისინი, თუმცა, ჩვენი აზრით, ტერმინოლოგიაში ასეთი არევდარევის გამართლებას მეტად მცირე საფუძველი მოეპოვება. საკითხი გადასინჯვას საჭიროებს.

ახალ ქართულში, როგორც ცნობილია, სულ სხვანაირად იბრუნვის მსაზღვრელი, როცა ის საზღვრულის წინაა მოქცეული, და სულ სხვანაირად იბრუნვის მაშინ, როცა ის მოსდევს საზღვრულს. თუ მსაზღვრელი საზღვრულის წინ არის მოქცეული, მაშინ ახალ ქართულში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, თუ როგორი ბგერით არის დაბოლოებული მსაზღვრელის ფუძე: ხმოვნით (მაგ. ფართო) თუ თანხმოვნით (მაგ. გრძელ-ი). სულ სხვანაირად იბრუნვის თითოეული მათგანი, როცა ისინი საზღვრულის წინაა მოქცეული. შდრ. მაგალითად, ერთი მხრივ: ფართო გზა, ფართო გზამ, ფართო გზას, ფართო გზის, ფართო გზით, ფართო გზად, ფართო გზაო, ფართო გზები, ფართო გზებმა... და, მეორე მხრივ: გრძელი გზა, გრძელმა გზამ, გრძელ გზას, გრძელი გზის, გრძელი გზით, გრძელ გზად, გრძელო გზაო, გრძელი გზები, გრძელმა გზებმა...

არც ერთი ეს გარემოება ძველი ქართულის მსაზღვრელის ბრუნებაზე გავლენას არ ახდენს, მისთვის სულ ერთია, მსაზღვრელი საზღვრულის წინაა

თუ შემდეგ, ის ხმოვნით ბოლოვდება თუ თანხმოვნით: მსაზღვრელი სრულიად ისე იბრუნვის, როგორც საზღვრული. ამ მხრივ ძველი ქართულის სათანადო მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ახალი ქართულისა. ვნახოთ ეს სათანადო მაგალითებით.

პირდაპირი წყობა

	მხოლობითი რიცხვი		ნარ-თანიანი მრავლობითი	
წრფ.	სახლ	დიდ	—	
სახ.	სახლ-ი	დიდ-ი	სახლ-ნ-ი	დიდ-ნ-ი
მოთხ.	სახლ-მან	დიდ-მან	სახლ-თ-ა	დიდ-თ-ა
მიც.	სახლ-ს-ა	დიდ-ს-ა	„	„
ნათ.	სახლ-ის-ა	დიდ-ის-ა	„	„
მოქმ.	სახლ-ით-ა	დიდ-ით-ა	„	„
ვით.	სახლ-ად	დად-ად	„	„
წოდ.	სახლ-ო	დიდ-ო	სახლ-ნ-ო	დიდ-ნ-ო

ებიანი მრავლობითი

წრფ.	სახლ-ებ	დიდ-ებ	(დიდ)
სახ.	სახლ-ებ-ი	დიდ-ებ-ი	(დიდ-ი)
მოთხ.	სახლ-ებ-მან	დიდ-ებ-მან	(დიდ მან)
მიც.	სახლ-ებ-ს-ა	დიდ-ებ-ს-ა	(დიდ-ს-ა)
ნათ.	სახლ-ებ-ის-ა	დიდ-ებ-ის-ა	(დიდ-ის-ა)
მოქმ.	სახლ-ებ-ით-ა	დიდ-ებ-ით-ა	(დიდ-ით-ა)
ვით.	სახლ-ებ-ად	დიდ-ებ-ად	(დიდ-ად)
წოდ.	სახლ-ებ-ო	დიდ-ებ-ო	(დიდ-ო)

	მხოლობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
წრფ.	ჯურღმულ	ღრმა	—	—
სახ.	ჯურღმულ-ი	ღრმა-ჲ	ჯურღმულ-ნ-ი	ღრმა-ნ-ი
მოთხ.	ჯურღმულ-მან	ღრმა-მან	ჯურღმულ-თ-ა	ღრმა-თ-ა
მიც.	ჯურღმულ-ს-ა	ღრმა-ს-ა	„	
ნათ.	ჯურღმულ-ის-ა	ღრმ-ის-ა	„	
მოქმ.	ჯურღმულ-ით-ა	ღრმ-ით-ა	„	„
ვით.	ჯურღმულ-ად	ღრმა-დ	„	„
წოდ.	ჯურღმულ-ო	ღრმა-ო	ჯურღმულ-ნ-ო	ღრმა-ნ-ო [1]

[1] ებიანი მრავლობითის ფორმებს აღარ ვუჩვენებთ, ის სხვა სახელებშიც სწორედ ისე იქნება წარმოდგენილი, როგორც პირველ მაგალითში (სახლებ დიდებ || დიდ...).

	მხოლობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
წრფ.	ტკრთ	მძიმე	—	—
სახ.	ტკრთ-ი	მძიმ0 (მძიმე-ჲ)	ტკრთ-ნ-ი	მძიმე-ნ-ი
მოთხ.	ტკრთ-მან	მძიმე-მან	ტკრთ-თ-ა	მძიმე-თ-ა
მიც.	ტკრთ-ს-ა	მძიმე-ს-ა		„
ნათ.	ტკრთ-ის-ა	მძიმ-ის-ა		
მოქმ.	ტკრთ-ით-ა	მძიმ-ით-ა	„	
ვით.	ტკრთ-ად	მძიმე-დ	„	„
წოდ.	ტკრთ-ო	მძიმე-ო	ტკრთ-ნ-ო	მძიმე-ნ-ო

	მხოლობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
წრფ.	ბჭე	ფართო	—	—
სახ.	ბჭ0	ფართო-ჲ	ბჭე-ნ-ი	ფართო-ნ-ი
მოთხ.	ბჭე-მან	ფართო-მან	ბჭე-თ-ა	ფართო-თ-ა
მიც.	ბჭე-ს-ა	ფართო-ს-ა	„	„
ნათ.	ბჭ-ის-ა	ფართო-ჲს-ა	„	„
მოქმ.	ბჭ-ით-ა	ფართო-ჲთ-ა	„	„
ვით.	ბჭე-დ	ფართო-დ	„	„
წოდ.	ბჭე-ო	ფართო-ო	ბჭე-ნ-ო	ფართო-ნ-ო

	მხოლობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
წრფ.	კაც	ყრუ	—	—
სახ.	კაც-ი	ყრუ-ჲ	კაც-ნ-ი	ყრუ-ნ-ი
მოთხ.	კაც-მან	ყრუ-მან	კაც-თ-ა	ყრუ-თ-ა
მიც.	კაც-ს-ა	ყრუ-ს-ა		„
ნათ.	კაც-ის-ა	ყრუ-ჲს-ა		
მოქმ.	კაც-ით-ა	ყრუ-ჲთ-ა		
ვით.	კაც-ად	ყრუ-დ	„	„
წოდ.	კაც-ო	ყრუ-ო	კაცნ-ო	ყრუ-ნ-ო

შებრუნებული წყობა

შებრუნებული წყობის დროსაც, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, მსაზღვრელი სრულიად ისევე იქნება წარმოდგენილი, როგორც პირდაპირი წყობისას იყო. აქიტომ აქ მხოლოდ ერთი ნიმუშის მოყვანით დავკმაყოფილდებით.

მხოლობითი რიცხვი			ნარ-თანიანი მრავლობითი	
წრფ.	დიდ	სახლ	—	—
სახ.	დიდ-ი	სახლ-ი	დიდ-ნ-ი	სახლ-ნ-ი
მოთხ.	დიდ-მან	სახლ-მან	დიდ-თ-ა	სახლ-თ-ა
მიც.	დიდ-ს-ა	სახლ-ს-ა	„	„
ნათ.	დიდ-ის-ა	სახლ-ის-ა		„
მოქმ.	დიდ-ით-ა	სახლ-ით-ა	„	„
ვით.	დიდ-ად	სახლ-ად	„	„
წოდ.	დიდ-ო	სახლ-ო	დიდ-ნ-ო	სახლ-ნ-ო

ებიანი მრავლობითი

წრფ.	დიდ-ებ	(დიდ)	სახლ-ებ
სახ.	დიდ-ებ-ი	(დიდ-ი)	სახლ-ებ-ი
მოთხ.	დიდ-ებ-მან	(დიდ-მან)	სახლ-ებ-მან
მიც.	დიდ-ებ-ს-ა	(დიდ-ს-ა)	სახლ-ებ-ს-ა
ნათ.	დიდ-ებ-ის-ა	(დიდ-ის-ა)	სახლ-ებ-ის-ა
მოქმ.	დიდ-ებ-ით-ა	(დიდ-ით-ა)	სახლ-ებ-ით-ა
ვით.	დიდ-ებ-ად	(დიდ-ად)	სახლ-ებ-ად
წოდ.	დიდ-ებ-ო	(დიდ-ო)	სახლ-ებ-ო

რაც შეეხება ფუძის კუმშვასა და კვეცას, ის სრულიად ისე ხდება, როგორც სათანადო სახელთა დამოუკიდებლად ბრუნებისას. ამიტომ მასზე აქ სპეციალურად არ შევჩერდებით.

წარმოვადგინოთ ზემოთ თქმულის საილუსტრაციო მასალა ტექსტებიდან.

პირდაპირი წყობა

მხოლობითი

წრფელობითი: ლოდ საკიდურ ეწოდა, აბო 182, 11; რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, აბო 186, 12; რომელი-იგი იქმნა კაც წინაწარმეტყუელ, ლ. 24, 19 C; და იყო ყუდრება დიდ, მ. 8, 26 C.

სახელობითი: პური ჴეშმარიტი, ი. 6, 32; სიყმილი დიდი, ლ. 4, 25; თაფლი ველური, მ. 3, 4; დრაჰკანი იგი სახარკოჲ, მ. 22, 19; ცხორებაჲ საუკუნო, მრ. 10, 30 C; კაცი ყრუჲ, მ. 9, 32; სული წმიდაჲ, მრ. 13, 11.

მოთხრობითი: სულმან წმიდამან, ლ. 12, 12; მწყემსმან კეთილმან, ი. 10, 11; ხემან კეთილმან, ხემან ხენეშმან, მ. 7, 17; სულმან უკეთურმან, ლ. 9, 39.

მიცემითი: ხესა კეთილსა, ხესა ჯერკუალსა, მ. 7, 18 C; სიხარულსა დიდსა, ლ. 2, 10; ძელსა ნედლსა, ლ. 23, 31 C; თაფლსა ველურსა, მრ. 1, 6; ნათესავსა ამასცა უკეთურსა, მ. 12, 45; ადგილსა წმიდასა, მ. 24, 15; კაცსა ცოფსა. მ. 7, 26.

ნათესაობითი: ღმრთისა ცხოველისა, მ. 26, 63; ნაყოფისა ხენეშისა, ნაყოფისა კეთილისა, მ. 7, 18; სულისა წმიდისა, მ. 12, 31.

ნათესაობითს ხშირად თანდებული ახლავს. შესაძლებელია ეს თანდებული საზღვრულსაც დაერთოს და მსაზღვრელსაც, მაგალითად: **სულისაგან** წმიდისა, მ. 1, 18, მაგრამ: სულისა **წმიდისათჳს**, მ. 12, 32.

მოქმედებითი: გულითა კეთილითა, ლ. 8, 15; ნესტჳთა დიდითა, მ. 24, 31 C; წიგნითა ბერძულითა, ლ. 23, 38; სამოსლითა საქორწინითა, მ. 22, 11 C; სულითა წმიდითა, მ. 3, 11.

ვითარებითი. ვითარებითს ბრუნვაში დასმული ზედსართავი ჩვეულებრივ ზმნიზედად არის გაგებული, ან დამოუკიდებლად იხმარება და ამიტომ სხვა სიტყვის მსაზღვრელად იშვიათად გვხვდება. როცა კი მსაზღვრელადაა გამოყენებული, მასაც ბრუნვის ნიშანი სრულად აქვს წარმოდგენილი, მაგალითად:

გზად წრფელად, ლ. 3, 5; სიმრავლედ დიდად, დაბ. 48, 16; შჯულად საუკუნოდ, გამოსლვ. 12, 17; ნათესავად წმიდად, იქვე, 19, 6; სულად სულნელად, ლევიტ. 6, 15.

გვხვდება თანდებულიანი მსაზღვრელიც: ვიდრე მდინარედ დიდადმდე ევფრატად, გამოსლვ. 23, 31.

წოდებითი: მონაო ბოროტო, მ. 18, 32; მონაო უკეთურო, იქვე C; მოძღუარო სახიერო, მ. 19, 16; მამაო მართალო, ი. 17, 25; მამაო წმიდაო, ი. 17, 11.

წოდებითის მნიშვნელობით აქაც იხმარება წრფელობითისა და სახელობითის ფორმები, როგორც ეს არსებითი სახელების ანალიზისას ვნახეთ (გვ. 73—85). ამიტომ ამ საკითხზე არ შევჩერდებით.

მრავლობითი

ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელისა და საზღვრულის ერთად ბრუნება ორივე მრავლობითშია შესაძლებელი. **ებიან** მრავლობითზე ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი (გვ. 309—313). აქ დაეუმატებთ შემდეგს.

ზედსართავისა და არსებითის ერთად ბრუნებისას მრავლობითობის ნიშანი **ებ** შეიძლება

ა) მხოლოდ საზღვრულს ჰქონდეს, მსაზღვრელს კი არა: ყრმები მცირჱ, 4 მეფ. 2, 23; სულები იგი **უკეთური**, მ. 8, 16; სულები დგი **არაწმიდაჲ**, მრ. 5, 13.

ბ) მხოლოდ მსაზღვრელს ჰქონდეს, საზღვრულს კი არა: სამოსლითა **სპეტაკებითა**, გამოცხ. 7, 9. ასეთი შემთხვევები ძალიან მცირეა.

გ) შეიძლება მსაზღვრელსაც ჰქონდეს და საზღვრულსაც; ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმას, მსაზღვრელი საზღვრულის წინაა თუ შემდეგ: წიგნები სამეუფოები, პარხ. 1102 b; ფართოები სახლები, უდაბნ. 99 rb[1].

[1] სხვა მაგალითები ნ. ჩიქობ. გვ. 310—312.

რომ მსაზღვრელისათვის ებ-ის დამატება-არდამატება თავისუფალია და მწერლის (გადამწერის) სურვილზეა დამოკიდებული, იქედანაც ჩანს, რომ, როცა ზოგ ხელნაწერში მხოლობითის ფორმა გვაქვს, მეორეში იგივე ადგილი მრავლობითის ფორმითაა მოცემული. ასეთია ზემოთ მოყვანილი სულები იგი **არაწმიდაჲ**, მრ. 5, 13 DE, მაგრამ სულები იგი **არაწმიდები** C.

ზოგჯერ ებიანი მრავლობითის ნაცვლად მსაზღვრელი გაორკეცებული ფუძითაა მოცემული და ამ გზით არის გამოხატული მისი მრავლობითობა: **დიდ-დიდითა** თევზებითა, ი. 21, 11 C; ყოველი ტაძრები **დიდ-დიდები** მოწუა ცეცხლითა, იერ. 52, 13.

ყველა ამ შემთხვევაში მსაზღვრელი საზღვრულს ბრუნვაში სრულად უთანხმდება.

ნარ-თანიანი მრავლობითის ნიმუშები იქნებოდა:

სახელობითი[1]: მზირნი ორგულნი, ლ. 20, 20; მონანი უკმარნი ვართ, ლ. 17, 10; საფლავნი უჩინონი, ლ. 11, 44; სულნი უკეთურნი, ლ. 10, 20; გულის-სიტყუანი ბოროტნი, მ. 8, 28; რტონი დიდნი, მრ. 4, 32 C; თხიერნი ძუელნი, ლ. 5, 37.

მოთხრობითი: **ბრძენთა** მათ (ქალწულთა) მიიღეს მათ თანა ზეთი, მ. 25, 4; მიუგეს **ბრძენთა** მათ (ქალწულთა) და ჰრქუეს, მ. 25, 9. **ბრძენთა** აქ ნაწილობრივ გასუბსტანტივებულია, მაგრამ სხვაგან იგი ადიექტივად გვხვდება, მაგალითად: ემსგავსოს იგი კაცსა **ბრძენსა**, მ. 7, 24 C. საგულვებელი საზღვრულის („ქალწულის“) არწარმოდგენა ნაწილობრივ სტილისტიკური მოსაზრებით შეიძლება აიხსნას: ქალწულებზე ზემოთ იყო ლაპარაკი და მისი განმეორება უხერხულად ჩათვალეს.

მიცემითი: ენათა **ახალთა** იტყოდიან, მრ. 16, 17; რაჲთა ხედვიდენ საქმეთა თქუენთა **კეთილთა**, მ. 5, 16 C; ხადე შენ გლახაკთა **უმეცართა**, ლ. 14, 13 C.

ნათესაობითი: რომელნი განკურნებულ იყვნეს სულთაგან **უკეთურთა**, ლ. 8, 2 (C-ში: სულთაგან **არაწმიდათა**).

მოქმედებითსა და ვითარებითში არსებითი სახელებიც იშვიათად გვხვდება. უფრო ნაკლებად მოიპოვება ამ ბრუნვებში ზედსართავისა და სხვა მეტყველების ნაწილების მაგალითები. აქ შეგვეძლო იგივე მაგალითები მოგვეყვანა, რაც არსებითი სახელების შესახებ საუბრისას უკვე დავასახელეთ (იწყე **უკუანაჲსკნელთაგან** ვიდრე პირველთამდე, მ. 20, 8 C და სხვა), მაგრამ განმეორება არ არის საჭირო.

წოდებითი: მწიგნობარნო ბრმანო, მ. 23, 16; წინამძღუარნო ბრმანო, მ. 23, 24; ფარისეველნო ბრმანო, მ. 23, 26; ფარისეველნო ორგულნო, მ. 23, 13, 14, 15.

შებრუნებული წყობა

შებრუნებული წყობის მაგალითები უფრო ნაკლებია, ვიდრე პირდაპირი წყობისა. მაგალითებს შემოკლებით მოვიყვანთ.

[1] წრფელობითს ბრუნვას, როგორც ვიცით, ნარიანი მრავლობითი არა აქვს.

წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი: ფიცხელ კაც ხარ შენ, მ. 25, 24 C.

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი: დიდი იგი მთავარი, მ. 2, 6 C; ჰეშმარიტი საჰმელი, ჰეშმარიტი სასუმელი, ი. 6, 55; კეთილი ღჳნოჲ, ი. 2, 10 C; ტკბილნი წყალნი, 3 ეზრა 5, 9; მაღალნი იგი გულისჴმის-ყოფანი, თარგმ. გამოცხ. 22, 2; ათნი კეთროვანნი კაცნი, ლ. 17, 12.

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი: კეთილმან კაცმან, ბოროტმან კაცმან, მ. 12. 35; ჯერკუალმან ხემან, მ. 7, 17 C; უკეთურმან ძან მონაძან, მ. 24, 48 C; უმრწემესმან მან ძმან, ლ. 15, 13; ცხოველმან მამამან, ი. 6, 57.

ხანდახან არსებითი სახელიც გამოდის ატრიბუტული მსაზღვრელის როლში: **მტერმან** კაცმან ყო ეგე, მ. 13, 28.

მ ი ც ე მ ი თ ი: მცირესა მაგას სამწყსოსა, ლ. 12, 32; ნედლსა ხესა, ლ. 23, 31; ბოროტსა სენსა, ლ. 5, 31; იწროსა მას ბჭესა, მ. 7, 13 C; ძუელსა ღჳნოსა, ლ. 5, 39; წმიდასა ქალაქსა, მ. 4, 5; დიდ-დიდთა შენებულთა, მრ. 13, 2 D; კეთილსა მარგალიტსა, მ. 13, 45.

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი: დიდძალისა სასყიდლისა, მ. 26, 9; კეთილისა თესლისა, მ. 13, 24 C. თუ მსაზღვრელ-საზღვრულთან თანდებულიცაა მოცემული, იგი შეიძლება ერთსაც ახლდეს და მეორესაც. თუ იქვე ნაწევარიცაა, თანდებული ამ უკანასკნელთან დადგება: კეთილისაგან საუნჯისა, ბოროტისაგან საუნჯისა, მ. 12, 35; იწროჲსაგან ბჭისა, მ. 7, 13; კეთილისა საქმისათჳს, მ. 19, 17; იწროჲსა მისგან კარისა, ლ. 13, 24; ბოროტთა სენთაგან, მრ. 1, 34; ძლიერთა ქართაგან, ი. 6, 18 C.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი: მაღლითა ჴმითა, სპევს. 59, 2; სადიასპანოჲთა ცაენითა, შუშ. 146, 34; გულარძნილითა გულითა, იგავ. 6, 14; ჩჩჳლითა სამოსლითა, მ. 11, 8; ჰორციელითა ხილვითა, ლ. 3, 22; დიდ-დიდითა თევზითა, ი. 21, 11.

ზემოთ უკვე აღნიშნული მიზეზების გამო იშვიათია ვითარებითის მაგალითები საერთოდ, კერძოდ, უფრო ნაკლებია ასეთი მაგალითი წინ მდგარი ვითარებითისა. ეგეთი უნდა ითქვას ორივე ბრუნვის (მოქმ. და ვით.) მრავლობითის მაგალითების შესახებ. ისინი ჩვენ არ შეგვხვედრია.

წ ო დ ე ბ ი თ ი: კეთილო მონაო, მ. 25, 21 CD.

როგორც ვხედავთ, წინ დასმული ზედსართავის მაგალითები საერთოდ ნაკლებია, ვიდრე საზღვრულის ბოლოს მოქცეულისა, მაგრამ მაინც საკმაოდ მოიპოვება. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს, მაგრამ ამაზე ქვევით. მთავარი მაინც ყველა განხილულ შემთხვევაში ის გარემოებაა, რომ მსაზღვრელი სრულად ეთანხმება საზღვრულს, მას იგივე ბრუნვის ნიშანი აქვს (ფუძეთა მიხედვით შესაფერი), რაც საზღვრულს.

2. გათიშული მსაზღვრელი

თქმა არ უნდა, ასეთივე მდგომარეობა გვექნება მაშინაც, როცა მსაზღვრელი და საზღვრული გათიშულია. მათ შორის შეიძლება რაიმე სახელი (უბრალო დამატება, გარემოება...), ზმნა, ხან მთელი წინადადებაც. ასეთ შემთხვევაში

შეთანხმება ახალ ქართულშიც გვაქვს ყოველთვის, მით უმეტეს, ეს უნდა ყოფილიყო და გვქონდა კიდეც ძველ ქართულში, მაგალითად:

შვა ძე იგი მისი პირმშოჲ, ლ. 2, 7. აქ საზღვრული (ძე) და მსაზღვრელი (პირმშოჲ) გათიშულია ნაწევრითა და კუთვნილებითი ნაცვალსახელით (იგი, მისი). ასეთ შემთხვევაში რიგი ყოველთვის ერთი და იგივეა: საზღვრულთან ჯერ კუთვნილებითი ნაცვალსახელია (ერთი მსაზღვრელი), ხოლო შენდეგ ზედსართავი (მეორე მსაზღვრელი).

ასეთია კიდევ შემდეგი მაგალითები:

მონაჲ იგი მისი ცოცხალი, ლ. 7, 10; ძე ჩემი საყუარელი, მ. 3, 17; აღთქუმაჲ თჳსი წმიდაჲ, ლ. 1, 72 C.

თუ ასეთი ორი სახის მსაზღვრელები ერთადაა წარმოდგენილი საზღვრულის ორივე მხარეს, საზღვრულის წინ ზედსართავი გვექნება, მის შემდეგ — კუთვნილებითი ნაცვალსახელი, მაგალითად: ჯორციელი იგი მამაჲ მისი.

გათიშულია მსაზღვრელი და საზღვრული აგრეთვე ამ წინადადებაშიც: იხილნა ორნი ანგელოზნი, სპეტაკითა მოსილნი, ი. 20, 12. გამთიშველად აქ გამოდის უბრალო დამატება „სპეტაკითა“. ეს დამატება და მსაზღვრელი თითქოს წარმოადგენს წინადადების მეორე ნაწილს, ფორმითაც და შინაარსითაც გამოყოფილს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ასეთ წინადადებაში განსაზღვრება თავისი ამხსნელი სიტყვითურთ მძიმით უნდა გამოიყოს.

უფრო საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა გამთიშველად ზმნა გაჩნდის, მაგალითად:

უმეტჱსი მოანიჭოს მადლი, სინ. მრავ. 11; უზეშთაჱსი შეუდგა საიდუმლოჲ, იქვე, 14. მსგავს მაგალითებში მსაზღვრელად ხარისხის ფორმები გვაქვს, მაგრამ გეხვდება სხვა სახელებიც:

საუფლოჲ იქსოვა სამოსელი, იქვე, 40 v; სიკუდილისა იგი მძლჱ გამოჩედა საჭურველი, იქვე, 41 v.

აქ მოყვანილი მაგალითები მხოლობითი რიცხვისა იყო. გეხვდება მრავლობითი რიცხვიც:

უბრწყინვალჱსნი... აღმოთქუნა სიტყუანი, იქვე, 12 v.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველა ამ შემთხვევაში გვაქვს შებრუნებული წყობა: წინ მსაზღვრელი, შემდეგ ზმნა, ბოლოს საზღვრული.

გათიშული მსაზღვრელის ამნაირი სახეობა ძალზე დამახასიათებელია საერთოდ სინას მრავალთავისათვის.

3. ორი და მეტი მსაზღვრელი ერთ საზღვრულთან

ერთ საზღვრულს ხშირად ახლავს ხოლმე ორი და მეტი მსაზღვრელი. ეს მსაზღვრელები შეიძლება

ა) საზღვრულის შემდეგ იყოს მოქცეული (ყველა): გულითა კეთილითა და სახიერითა ისმინიან სიტყუაჲ, ლ. 8, 15. ასეთი შემთხვევა ყველაზე ხშირი და გავრცელებულია ძველ ქართულში.

ბ) შეიძლება ყველა წინ უსწრებდეს საზღვრულს: ჰრქუა უტყუსა და ურუსა სულსა, მრ. 9, 25.

გ) ან კიდევ ზოგი წინ იყოს და ზოგი შემდეგ: **სარწმუნოჲ იგი მონაჲ და ბრძენი**, მ. 24, 45; **უკეთურო მონაო და მედგარო**, მ. 25, 26.

აქედან მეორე შემთხვევა ნაკლებად გვხვდება, კიდევ უფრო ნაკლებია მესამე შემთხვევის მაგალითები. მაგრამ სამივე შემთხვევას ერთი რამ აერთიანებს: ყველა შემთხვევაში მსაზღვრელი სრულად უთანხმდება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში.

აი კიდევ რამდენიმე მაგალითი:

ნათესავი **ბოროტი და მემრუშე**, მ. 12, 39; ნათესავსა ამას **მომრუშესა და ცოდვილსა**, მრ. 8, 38 CD; ქვითა **პატიოსნითა და კეთილითა** შენებულ არს (ტაძარი), ლ. 21, 5; კეთილ, მონაო **სახიერო და სარწმუნოო**, მ. 25, 21; იოსებ... იყო კაცი **სახიერი და მართალი**, ლ. 23, 50.

4. მიმღეობა მსაზღვრელად

რაც ითქვა მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავის შესახებ, იგივე უნდა ითქვას მსაზღვრელად გამოყენებული მიმღეობის შესახებაც. ასეთ შემთხვევაში გვაქვს უმთავრესად ვნებითი გვარის მიმღეობანი, იშვიათად სხვა სახისაც. მიმღეობაც უფრო ხშირად მოსდევს საზღვრულს, უფრო ნაკლებ უსწრებს მას, ე. ი. პირდაპირი და შებრუნებული წყობა აქაც ისეთივე ხასიათისაა, როგორც ზედსართავის მიმართ გვქონდა. აქაც შეიძლება ერთ საზღვრულთან ორი ან მეტი მიმღეობა შეგვხვდეს. ბოლოს, მიმღეობაც ისევე უთანხმდება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში, როგორც ზედსართავი. ერთი სიტყვით, ფორმობლივად არავითარი განსხვავება არაა მათ შორის. მოვიყვანოთ ამის მაგალითები:

პირდაპირი წყობა

ლერწამი შემუსრვილი, პატრუკი მბნდჳნვარჲ, მ. 12, 20; ზუარაკი იგი ჭამებული, ლ. 15, 27; სიტყუაჲ იგი დათესული, მ. 13, 19; ნაყოფი აღმოცენებული და აღორძინებული, მრ. 4, 8 C; სანთელი აღნთებული, ი. 5, 35; მგელნი მტაცებელნი, მ. 7, 15 C.

აქ ყველგან სახელობითის მაგალითები იყო მოყვანილი. ვუჩვენებთ სხვა ბრუნვების ნიმუშებსაც:

ცეცხლსა მას დაუშრეტელსა, მრ. 9, 43 C; კართა დაჭუსულთა, ი. 20, 26; კაცისა მოხუცებულისა, ი. 3, 4 C; საქმეთა მათთჳს დამტკიცებულთა, ლ. 1, 1 C: სამოსლითა დიდებულითა, ლ. 7, 25; ჭერად რჩეულად, ეტ. III, 213, 30; ჭამად დაწესებულად, იობ 12, 5; ზეთად საცხებელად, გამოსლვ. 30, 25.

შებრუნებული წყობა

აღწერილი წიგნები, ი. 21, 25; მოცემული იგი მოძღურებაჲ, მრ. 7, 3; შეურაცხი იგი დანგიცა, მ. 5, 26 C; დაბრმობილნი გულნი გქონან, მრ. 8, 17: განსატევებელი წიგნი, მ. 5, 31 C; გამოკუეთილსა მას სამარესა, ლ. 23, 53 C; განმარჯუებულსა ჭამსა, ი. 26, 16 C; განპებულისაგან კარისა,

ამონ. 208, 4; თესულისაგან ყანისა, ლ. 6, 1; შეგინებულითა ჴელითა, უბანელითა ჴელითა, მრ. 7, 2.

ასე რომ, მიმღეობანი ამ მხრივ ზედსართავ სახელებს უდგას გვერდით და მათს თვისებებს იზიარებს.

5. რიცხვითი სახელი მსაზღვრელად

რიცხვითი სახელი მსაზღვრელად არსებითად ისეთსავე სურათს გვიჩვენებს, როგორსაც ზედსართავი: ისიც **არსებითად** ისე იბრუნვის, როგორც მისი საზღვრული. ამიტომ გვექნება ბრუნების ასეთი პარადიგმები:

ა) რაოდ. რიცხვითი სახელი არსებითის წინაა

მხოლობითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი	
წრფ.	ორ	კაც	—	—
სახ.	ორ-ი	კაც-ი	ორ-ნ-ი	კაც ნ-ი
მოთხ.	ორ-მან	კაც-მან	ორ-თ-ა	კაც-თ-ა
მიც.	ორ-ს-ა	კაც-ს-ა		»
ნათ.	ორ-ის-ა	კაც-ის-ა		
მოქმ.	ორ-ით-ა	კაც-ით-ა		
ვით.	ორ-ად	კაც-ად	»	»
წოდ.	ორ-ო	კაც-ო	ორ-ნ-ო	კაც-ნ-ო

თუ არსებითი სახელი ებრანი მრავლობითით არის წარმოდგენილი, რაც ხანდახან გვაქვს, რიცხვითი სახელი ამ ებ-ს არასდროს არ დაირთავს და მხოლობითის ფორმით ეთანხმება:

წრფ.	ორ	კაც-ებ	ნათ.	ორ-ის-ა	კაც-ებ-ის-ა
სახ.	ორ-ი	კაც-ებ-ი	მოქმ.	ორ-ით-ა	კაც-ებ-ით-ა
მოთხ.	ორ-მან	კაც-ებ-მან	ვით.	ორ-ად	კაც-ებ-ად
მიც.	ორ-ს-ა	კაც-ებ-ს-ა	წოდ.	ორ-ო	კაც-ებ-ო

ბ) ასეთივე იქნება საქმის ვითარება მაშინაც, როცა რაოდ. რიცხვითი სახელი არსებითის შემდეგაა მოთავსებული:

მხოლობითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი	
წრფ.	კაც	ორ	—	—
სახ.	კაც-ი	ორ-ი	კაც-ნ-ი	ორ-ნ-ი
მოთხ.	კაც-მან	ორ-მან	კაც-თ-ა	ორ-თ-ა
მიც.	კაც-ს-ა	ორ-ს-ა		
ნათ.	კაც-ის-ა	ორ-ის-ა		
მოქმ.	კაც-ით-ა	ორ-ით-ა	»	
ვით.	კაც-ად	ორ-ად	»	»
წოდ.	კაც-ო	ორ-ო	კაც-ნ-ო	ორ-ნ-ო

ებიანი მრავლობითი

წრფ.	კაც-ებ	ორ	ნათ.	კაც-ებ-ის-ა	ორ-ის-ა
სახ.	კაც-ებ-ი	ორ-ი	მოქმ.	კაც-ებ-ით-ა	ორ-ით-ა
მოთხ.	კაც-ებ-მან	ორ-მან	ვით.	კაც-ებ-ად	ორ-ად
მიც.	კაც-ებ-ს-ა	ორ-ს-ა	წოდ.	კაც-ებ-ო	ორ-ო

ასეთსავე სურათს გვიჩვენებს რიგობითი სახელის ბრუნებაც:

ა) რიგობითი სააელი არსებითის წინაა

წრფ.	მეორე	კაც	ნათ.	მეორ-ის-ა	კაც-ის-ა
სახ.	მეორე	კაც-ი	მოქმ.	მეორ-ით-ა	კაც-ით-ა
მოთხ.	მეორე-მან	კაც-მან	ვით.	მეორე-დ	კაც-ად
მიც.	მეორე-ს-ა	კაც-ს-ა	წოდ.	მეორე-ო	კაც-ო

ბ) რიგობითი სახელი არსებითის შემდეგაა

წრფ.	დღე	მესამე	ნათ.	დღ-ის-ა	მესამ-ის-ა
სახ.	დღე	მესამე	მოქმ.	დღ-ით-ა	მესამ-ით-ა
მოთხ.	დღე-მან	მესამე-მან	ვით.	დღე-დ	მესამე-დ
მიც.	დღე-ს-ა	მესამე-ს-ა	წოდ.	დღე-ო	მესამე-ო

ესაა საერთო სურათი რიცხვითი სახელების არსებითთან ერთად ბრუნებისა. როგორც ვხედავთ, ბრუნების ეს სქემა ზედსართავთა ბრუნებისაგან არ განსხვავდება. მიუხედავად ამისა, უნდა შევნიშნოთ, რომ რიცხვითი სახელების არსებითთან ერთად ბრუნება რიგ თავისებურებას ავლენს, რომელთაგან ზოგი პრინციპული მნიშვნელობისაა. აღვნუსხოთ ეს თავისებურებანი.

1. როდესაც ზედსართავს ვაბრუნებთ არსებითთან ერთად, მისი ბრუნება მრავლობითს რიცხვში ჩვეულებრივია: კაცი კეთილი—კაცნი კეთილნი, კაცთა კეთილთა. ეს არ ითქმის რიცხვითს სახელზე. რიცხვითი სახელისათვის ჩვეულებრივი მდგომარეობა მხოლობითი რიცხვია, ის მრავლობითში იშვიათად თუ იხმარება. თანაც: თავდაპირველად შეუძლებელიც იქნებოდა რიცხვითი სახელის მრავლობითში გადაყვანა, რადგანაც ის თავისი ფუძით გამოხატავდა მრავლობითს, ამასთანავე ერთად, ზუსტად უჩვენებდა რაოდენობას, ვიდრე ეს მრავლობითობის სუფიქსით არის შესაძლებელი. რიცხვის ფორმა რიცხვითს სახელებს მერმე გაუჩნდა, ერთხანს იხოგინა, ბაგრამ ბალე ჩაკვდა. დღევანდელ ქართულში რიცხვითი სახელები არსებითთან ერთად ბრუნებისას მრავლობითში არც იხმარება. აღსანიშნავია, რომ თვით ძველ ქართულში რიგობითს რიცხვითს სახელებს არ ჰქონიათ მრავლობითის ფორმა, მათ ძველი მდგომარეობა დაიცვეს და დღევანდლამდეც შეინარჩუნეს.

2. სულ სხვა იყო რიცხვითი სახელების ადგილი საზღვრულის მიმართ. ზედსართავ სახელს, როგორც ვნახეთ, შეეძლო მოთავსებულიყო საზღვრულის წინაც და შემდეგაც (კეთილი ღუნოჲ, ღუნოჲ კეთილი), ამასთან უფრო დაბახასიათებელი იყო მათი მოქცევა საზღვრულის შემდეგ (ღუნოჲ კეთილი). რიცხვითი სახელები კი საზღვრულის წინაა დასმული, ესაა მათი ბუნებრივი ადგილი. თითო-ოროლა შემთხვევა, როცა ისინი საზღვრულის შემდეგაც გვაწდება, ძალზე იშვიათია და საერთო წესს ვერ დაარღვევს. აქ თქმული თანაბრად ეხება რიცხვითი სახელების ორივე ჯგუფს—რაოდენობითსაც და რიგობითსაც. ჩვენი აზრით, ასეთი რიგი (წინ მსაზღვრელი, ბოლოს საზღვრული) უფრო ძველია და იგი უძველეს ქართულში ყველა ტიპის მსაზღვრელისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი და სავალდებულო. ამას ამტკიცებს, რიცხვითს სახელებს გარდა, ნაცვალსახელების ბედიც არსებითთან ხმარებისას: ნაცვალსახელთა უმეტესობა არსებითის წინ დაისმის და ესაა მისთვის ჩვეულებრივი და ბუნებრივი ადგილი. ასეთია, მაგალითად, ჩვენებითი ნაცვალსახელები (ესე კაცი, ესე სოფელი, ესე ნათესავი... ესევითარი ჴელმწიფებაჲ, ესევითარი სასწაული...), კითხვითი ნაცვალსახელები (რომელი მცნებაჲ...), განსაზღვრებითი ნაცვალსახელები (ყოველი კაცი, სხუაჲ იგავი...). ბოლოს, ამას ამტკიცებს ძველი კომპოზიტების ჩვენებაც, რომლებშიც მსაზღვრელი სახელი წინაა მოთავსებული: **ურმის-თუალი, თავის-უფალი... ჭუეყანის-მოქმედი, გულის-თქუმაჲ, პურის-ჭამაჲ** და სხვა. ის ტალღა, რომელიც ძველ ქართულში შემოიჭრა და სცადა მსაზღვრელის ბოლოს გადატანა, მერმე თანდათან დაცხრა და მინელდა, ძველი ბუნებრივი მდგომარეობა თანდათან აღდგა და ახალი ქართული დაუბრუნდა მსაზღვრელისა და საზღვრულის უძველეს მდგომარეობას: დღეს საერთოდ მსაზღვრელი საზღვრულის წინაა მოქცეული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველი ქართულიდან მომდინარე ნაშთებს და პოეზიის ნიმუშებს, სადაც ამ ტიპის წყობა გარკვეულ პოეტურ ხერხს წარმოადგენს, ე. ი. ხელოვნური ხასიათისაა.

3. რიცხვითი სახელების მიერ მსაზღვრელის ძველი ადგილის შემონახვას უჭმად არ ჩაუვლია. მსაზღვრელის წინ დასმა აადვილებდა კავშირს მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის, ადვილად გასაგებს ხდიდა მას. ამ შინაარსეულმა გაადვილებამ გამოიწვია მსაზღვრელის ფორმის მოდუნება[1], შესაძლებელი გახადა მსაზღვრელს აქა-იქ ბრუნვის ნიშანი ან სრულებით დაჰკარგოდა, ან ნაწილობრივ შეეკვეცა იგი. ამის ნიმუშს წარმოადგენს ახალი ქართულის მსაზღვრელის ბრუნება, სადაც ბრუნვის ნიშანი ზოგან სულ დაკარგულია (მწუანე მინდორი, მწუანე მინდორმა...), ზოგან ნაწილობრივაა მოკვეცილი (წითელ-ი დროშ-ის, წითელ-ი დროშ-ით...). ეს მდგომარეობა ახალ ქართულში უცვლ და ერთბაშად არ შექმნილა. ამის სათავე თვით ძველსავე ქართულშია მოცემული და ყველაზე მეტად იგი

---

1. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 048.

რიცხვითს სახელებს აქვთ შემონახული. ეს ბუნებრივიცაა: რიცხვითი სახელები არ ასცთენია ძველ გზას და ძველ ქართულშიც თითქმის ყოველთვის საზღვრულის წინ იყო დაყენებული. ამიტომ ის მოდუნება მსაზღვრელის ფორმისა, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი, ყველაზე ადრე სჭორედ რიცხვითს სახელებს უნდა დასტყობოდა. ეს ასეც არის. ძველ ქართულში ჩვენ გვაქვს საკმაო შემთხვევები, როცა მსაზღვრელ რიცხვითს სახელს სრულებით მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი. აღსანიშნავია, რომ ბრუნვის ნიშნის ასეთ მოკვეცას მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როცა მსაზღვრელი რიცხვითი სახელი საზღვრულის წინაა მოქცეული, მაგრამ არასოდეს არ გვხვდება იგი, როცა რიცხვითს სახელს საზღვრულის შემდეგ აქვს ადგილი დათმობილი. მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ძველ ქართულში ბრუნვის ნიშნის მოკვეცა ხდება მთლიანად და არა ნაწილობრივ, როგორც დღეს გვაქვს ზოგიერთ ბრუნვაში (წითელ-ი დროშ-ის, წითელ-ი დროშ-ით). ამიტომ ასეთი მოკვეცა (ძველიდან ახალზე) გარდამავალ საფეხურად ვერ ჩაითვლება, რადგანაც ეს საფეხური ძველად სრულებით არ გვხვდება.

ბრუნვის ნიშნის მოკვეცა ხდება ყველა ძირითადს ბრუნვაში, სადაც დღესაცაა ასეთი ნოველენა დადასტურებული. ეს ბრუნვებია: მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი. სხვა ბრუნვებში შეუძლებელიც არის ბრუნვის ნიშნის მოკვეცაზე ვილაპარაკოთ, რადგანაც: 1. წრფელობითში არ შეიძლება რაიმე შეკვეცაზე გვქონდეს საუბარი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას არ გააჩნია ბრუნვის ნიშანი; საბელობითის ნიშნის მოკვეცა სხვა ბრუნვას—წრფელობითს—მოგვცემდა და ამიტომ აქ ნიშანი არ იკვეცებოდა[1]; 3—4. მოთხრობითსა და წოდებითში ჩვეულებრივ არც გვხვდება რიცხვითი სახელები, ამიტომ არც მოკვეცაზე შეიძლება საუბარი. აღსანიშნავია, რომ წოდებითში დღესაც არ ხდება ბრუნვის ნიშნის შეკვეცა, ხოლო მოთხრობითში – კი. შდრ. ი. ჭავჭავაძის ლექსიდან:

---

[1] დადასტურებულია ორიოდე შემთხვევა, როცა რიცხვითს სახელს ეკვეცება მრავლობითობის ნ სუფიქსი და, ცხადია, მასთან ერთად ი — სახელობითი ბრუნვის ნიშანიც. მაგალითად: უკუეთუ აკლდენ ერგასისთა ხუთ მათთალნი, დაბ 18, 28. ხუთ მართალნი—ხუთნი მართალნი. რომ ეს ასეა, ამას მხარს უჭერს მეორე მაგალითი: უკუეთუ იპოვნენ სოდომს შინა ერგახის მართალნი, დაბ. 18,26. ერგასიი მართალნი მიღებულია აქედან: ერგასისნი მართალნი. სწორედ ასე იკითხება ცოტა ქვემოთ: უკუეთუ იპოვნენ მართალნი ქალაქსა მას შინა ერგახისნი, დაბ. 18.24. მაგრამ ამ შემთხვევაში ნ-ი-ს ჩამოკვეცა აღარ მოხდა, რადგან სახელური და მსახელური გათიშული იყო, ერგასისნი თითქოს დამოუკიდებლად იდგა. ხოლო დამოუკიდებლად მდგარ რიცხვითს სახელს ბრუნვის ნიშანი არასოდეს არ ეკვეცება. მაგრამ აქ, როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს არა ბრუნვის ნიშნის მოკვეცასთან, არამედ მრავლობითობის ნიშნის მოკვეცასთან თუ არიდებასთან. რადგანაც რიცხვისა და ბრუნვის ნიშანი ამ შემთხვევაში ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ნ-ს ჩამოცლას ბუნებრივად და აუცილებლობით მოჰყვა ი-ს ჩამოცლაც.

კელავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა.

(ი. ჭავჭავაძე, მბატვრული ნაწერები,
1937 წ. გვ. 91).

მჩაგრავ=მჩაგრავმა. მა ს მოკვეცა აქ ლექსის საჭიროებით არ უნდა იყოს გამოწვეული: მსგავსი მოვლენა ი. ჭავჭავაძის პროზაშიც გვხვდება[1].

ასეა თუ ისე, მსახღვრელი რიცხვითი სახელი ძველ ქართულში ბრუნვის ნიშნის მოკვეცით გვხვდება მხოლოდ 4 ბრუნვაში. დავიმოწმოთ სათანადო მაგალითები.

მ ი ც ე მ ი თ ი

დღესა ორშაბათსა ე᾽ სამ ჟამს წინა იკითხნიან საკითხავნი, იერ. განჩ. 62; 64; 65; მოვიდა სამ ჟამს ოდენ, მ. 20, 3 C; დღესა სამშაბათსა ე᾽ სამ ჟამსა კათაკმეველთა ზედა საკითხავი, იერ. განჩ. 63. ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ საზღვრული ორ შემთხვევაში მიცემითის ნარტივი ნიშნით არის წარმოდგენილი: ჟამ-ს, მესამეში ემფატიკური ა-თი: ჟამ-სა. უფრო ძველი და გამართლებული პირველია: მეორის ა მერმეა დაბატებული და სხვა სახელებთან გათანაბრების მიზნითაა გამოწვეული.

მიცემითის ნიშანი ეკვეცება სხვა სახელებსაც, მაგალითად: მწუხრი პარასკევსა ცხრა ჟამს, იერ. განჩ. 66. ხანდახან ს-ს ადგილს იჭერს ჲ, რომელიც შესაძლებელია ს-ს დასუსტებული სახე იყოს, როგორც დღესაც გვაქვს ზოგიერთ კილოში[2]. მაგალითები: ვითარ აუწყეს მას... ცხრაჲ ჟამს ოდენ, პარხ. 1056 ი; აღდგა და იღოცვიდა ცხრაჲ ჟამს, უდაბნ. 26 vი. მაშასადამე, ცხრას ჟამს→ცხრაჲ ჟამს→ცხრა ჟამს. ძველ ქართულში დაცულია ამ პროცესის სამივე საფეხური.

მოყვანილ მაგალითებში ს იყო დაკარგული, რადგანაც საზღვრულსაც ს ჰქონდა მხოლოდ (სათანადო საბელი დროის გარემოებას წარმოადგენდა). მაგრამ სხვა შემთხვევაში ეკვეცება მიცემითის გავრცობილი ნიშანი ს-ა. ამის მაგალითია: ვხედავ მე ცელსა მფრინვალესა, სიგრძით ოც წყრთასა და სივრცით ათ წყრთასა, ზაქარ. 5, 2. ოც წყრთასა←ოცსა წყრთასა, ათ წყრთასა←ათსა წყრთასა.

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი

ვითარ იყო იგი ათორმეტ წლის, უდაბნ. 50 rა; რომელი იყო ათორმეტ წლის, ლ. 8, 42 C; ოც და ათ დრაჰკნის განსყიდულ იპოვა, იპოლ. 2, 262 (შდრ. იქვე: ღირდა სამასის დრაჰკნის, 2, 254; ოც და ათის დრაჰკნის ქრისტე განყიდა, იქვე, 2, 50).

---

[1] ი. ჭავჭავაძე ასეთ შეკვეცილ ფორმებს ერთ დროს თეორიულადაც ამართლებდა (ნ. მისი ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, 1927, გვ. 46).

[2] ა. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი 1925, გვ. 65—68; გ. თოფურია, ქართლური: იქვე, გვ. 130.

ამ მაგალითებში იხ უნდა იყოს მოკვეცილი, რადგანაც საზღვრულსაც მხოლოდ ეს ნიშანი აქვს. ასე უნდა იყოს მიღებული ძველი ქართულის ცნობილი გამოთქმები: **ორ გზ.ს, სამ გზის, ზჯდ გზის, ჱრავალ გზის** და სხვ.

მოკვეცილია ნათესაობითის სრული ნიშანი (ისა) აგრეთვე შემდეგს მაგალითებშიც:

ყწინარწს ჱუთ ჟამისა (ჭოვედ), აწო. 208, 12; ვითარცა მიეახლნეს ვითარ **ერთ** დღისა სავალსა, მოქც. 78, 17.

ნათესაობითის სრული დაბოლოების ჩამოკვეცა იგულისხმება ორმაგი ბრუნების სახელთა მსაზღვრელებში:

და ზეთი **ექუს** ქსესტისაჲ ცხობილსა თანა, ეზეკ. 45, 24; მოვიდა იესუ და პოვა **ოთხ** დღისაჲ სამარესა შინა, ი. 11, 17 C. **ექუს** ქსესტისაჲ←**ექუსისა** ქსესტისაჲ, **ოთხ** დღისაჲ←**ოთხისა** დღისაჲ.

წინადადებაში: ვითარცა ვიქმენ მე **ათორმეტის** წლისა (მოქც. 80, 9) მსაზღვრელს **ა** კი არ აქვს ჩამოკვეცილი (ათორმეტ-ის-ა?), არამედ საზღვრულს აქვს **ა** დამატებული. თავიდანვე უნდა ყოფილიყო: **ათორმეტის წლის**: წლოვანების გამომხატველი სიტყვები ყოველთვის ნათესაობითის მარტივი ნიშნით არის წარმოდგენილი. შდრ. იყო იგი **ათორმეტის წლის**, მრ. 5, 42; ლ. 2, 42; 8, 42[1].

მოქმედებითი

დღესა ბზობასა **სამ ჟამითგან** განვიდენ წმიდასა მთასა ზეთის-ხილთასა, იერ. განჩ. 68; ხოლო **ექუს ჟამითგან** დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა, მ. 27, 45; და იყო ვიწმე დედაკაცი წყაროჲთა სისხლისაჲთა **ათორმეტ** წლითგან, ლ. 8, 43 C; რომლისა თანა იყო სული უძლურებისაჲ **ათრვამეტ** წლითგან, ლ. 13, 11 D. **ათრვამეტ** წლითგან, ცხადია, მიღებულია აქედან: **ათრვამეტით** წლითგან, როგორც გვაქვს კიდეც ამავე ადგილას E-ს წაკითხვაში. ადიშის ხელნაწერიც შეკვეცილ ფორმას უჭერს მხარს, ოღონდ იქ **ათრვანეტ**-ის ნაცვლად **ათორმეტ** იკითხება: **ათორმეტ** წლითგან.

ვითარებითი

შეკვეცილი ფორმები ყველაზე მეტი რაოდენობით ვითარებითს ბრუნვაში გვხვდება. აქ მოგვეპოვება როგორც ისეთი მაგალითები, სადაც საზღვრული თანდებულიანია (**მდე** თანდ.), ისე ისეთებიც, სადაც საზღვრული უთანდებულოა. ორივე შემთხვევაში მსაზღვრელს სრულად აქვს მოკვეცილი ბრუნვის ნიშანი და ფუძის სახით არის წარმოდგენილი. მაგალითები:

ვერ ეძლო ურთიერთას შერწყუმაჲ[2] და **ერთ** წიგნად შეკრებაჲ, პარხ. 1214; **ერთ** წიგნად შემზადნეს, იქვე, 1215; **ერთ** ტყავად ბოლოჲსად იგი

---

[1] 6. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 190—192.

[2] ხელნ.: შერწყჳმაჲ. ამ ხელნაწერის ბევრ ადგილას ასეა გადმოცემული უმარცვლო უ (ჳ=უ). ჩვენ ასეთ ფორმებს ვასწორებთ, მაგრამ არ აღვნიშნავთ.

თქუა, სვან. 313 b; **ორ** ძიდედ და **სამ** ძიდედ ჰქმნე, დაბ. 6, 16 ლაგ.; ესრეთ იყო საცხორებელი მათი **სამ** ნაწილად განყოფილი, პარხ. 1314 a; ვთხარეთ ვითარ **სამ** ჟამადმდე, ისტ. ქრესტ. 301, 7; რად არა მიშენეთ მე საბლი ძელთაგან ნაძკსათა **ოთხ** კედლად გამოთლილი, ფიცრით დაწებული, 2 მეფ. 7, 7; მიხუაგო **ოთხ** წილად, ლ. 19, 8 (ხანმ. ტექსტ. ი. ჯავ. გამოც.); **ხუთ** ეზოდ იყო, ი. 5, 2 C; უკითხვიდა მათ ცისკრითგან... ვიდრე **ექუს** ჟამადმდე, ნეემია 8, 3; **შჯდ** თავად და **შჯდად** მთად გულისჴმა-ვჰყოფთ შჯდთა ადგილთა, თარგმ. გამოცხ. 17, 3. ამ ადგილის დამწერისათვის (ექვთიმე მთაწმიდელი), ცხადია, **შჯდ თავად** და **შჯდად მთად** ორივე შესაძლებელი ფორმა იყო, თორემ ერთიმეორის გვერდით მაინც არ გაუშვებდა მათ. აქედან ისიც ჩანს, რომ **შჯდ თავად**←**შჯდად თავად**.

ორი მაგალითი კიდევ: ბნელ იქმნა ყოველსა ქუეყანასა ვიდრე **ცხრა** ჟამადმდე, ლ. 23, 44 C. DE-ში **ცხრა** რიგობითადაა მოცემული და ბრუნვის ნიშანიც შენარჩუნებული აქვს: **მეცხრჱდ** ჟამადმდე.

...მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ზედა **მიცხრა** ჟამამდე, მ. 27, 45 C. DE-ში ამის შესატყვისად ვკითხულობთ: **ექუს** ჟამითგან დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ვიდრე **მეცხრჱდ** ჟამადმდე. როგორც ვხედავთ, **ცხრა** DE-ში აქაც რიგობითად არის წარმოდგენილი და სწორედ ამის გამო ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებული აქვს: **მეცხრჱდ** ჟამადმდე. სამაგიეროდ აქ მეორე რიცხვითი სახელი **ექუს** არის მოცემული რაოდენობითად და ბრუნვის ნიშანი მას ეკვეცება: **ექუს** ჟამითგან, C-ში კი, პირიქით, ეს სიტყვა რიგობითის ფორმითაა მოცემული და ბრუნვის ნიშანიც აქვს შერჩენილი: **მეექუსით** ჟამითგან (ამის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი). აქედან გამომდინარეობს დასკვნა: ბრუნვის ნიშანი ეკვეცება არა ყოველ რიცხვითს სახელს, არამედ მხოლოდ რაოდენობითს რიცხვითს სახელს, აგრეთვე განუსაზღვრელ რიცხვითებს (მრავალ), ბრუნვის ნიშანი არ ეკვეცება რიგობითს რიცხვითს სახელებს. ყველა ჩვენი მაგალითი ამის დადასტურებაა. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ერთი მიზეზი რაოდენობითი რიცხვითი სახელების უფრო დიდი სიძველე უნდა იყოს, ისინი უფრო დიდხანს იყვნენ საზღვრულის წინ. მეორე მხრივ, რიგობითი სახელები საზღვრულის შემდეგ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე რაოდენობითი; საზღვრულის შემდეგ ყოფნა კი დაზღვეულია შეკვეცისა და სხვაგვარი ხელყოფისაგან. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ბრუნვის ნიშნების მოკვეცას გვიჩვენებს რაოდენობითი და არა რიგობითი რიცხვითი სახელები.

ზემოთ განხილული იყო მსაზღვრელად აღებული რიცხვითი სახელების ბრუნვის ნიშანთა მოკვეცის ნიმუშები, ე. ი. საუბარი იყო ბრუნების დარღვევის შემთხვევებზე.

ახლა მოვიყვანოთ იმავე სახელთა წესიერი ბრუნების მაგალითები.

რაოდენობითი რიცხვითი სახელები

აქ თითქმის ერთადერთი წყობა გვაქვს: მსაზღვრელი წინაა, საზღვრული— შემდეგ. ორიოდე ნიმუშს, როცა მსაზღვრელი ბოლოსაა, ცალკე აღენიშნავთ.

მხოლობითი

წრფელობითი: ორ დანაკ, ლ. 22, 38; სამ ტალავარ, მ. 17, 4; ხუთ ქმარ, ი. 4, 18; ექუს ჟამ, ლ. 23, 44 C; შჳდ ძმა, მ. 22, 25 C; ათორმეტ ჟამ, ი. 11, 9 C; ხუთ ათას კაც, მრ. 6, 44 C.

სახელობითი: ორი დრაჰკანი, ლ. 10, 35; სამი ტალავარი, მრ. 9, 5 C; ოთხი წილი, ლ. 19, 8 C; ხუთი ქანქარი, მ. 25, 15; შჳდი გოდორი, მრ. 8, 8 D; ათი დრაქმჲ, ლ. 15, 8.

მიცემითი: ორსა სამოსელსა, მ. 10, 10; სამსა გრივსა, მ. 13, 33 C.

ნათესაობითი: ორის დანგის, ლ. 12, 6; ორისა კაცისა წამებაჲ, ი. 8, 17; სამისა დღისა, მ. 27, 63; ექუსისა დღისა, მ. 17, 1; შემდგომად რვისა დღისა, ი. 20, 26.

მოქმედებითი: ორითა ფერჴითა, მრ. 9, 45; ექუსით დღით, ი. 12, 1 C; ათორმეტით წლითგან, ლ. 8, 43; ათრვამეტით წლითგან, ლ. 13, 11 E.

ვითარებითი: განიყვეს ოთხად ნაწილად, ი. 19, 23; ორად ბანაკად, დაბ. 32, 7; განყო... ათორმეტად ნაწილად, მსაჯ. 19, 29; სამად გუნდად, იობ. 1, 17.

მსაზღვრელს ან საზღვრულს შეიძლება ახლდეს თანდებულიც: ათასამდე ნათესავად, გამოსლვ. 20, 6; ვიდრე ერგასისად დღედმდე, კიმ. I, 156, 5.

მრავლობითი

სახელობითი: ორნი გურიტნი, ლ. 2, 24; სამნი პურნი, ლ. 11, 5; ექუსნი დღენი, ლ. 13, 14; შჳდნი სულნი, მ. 12, 45; ათნი კეთროვანნი კაცნი, ლ. 17, 12; ათორმეტნი იგი მოწაფენი, მ. 28, 16.

მოთხრობითი: შეჰამნეს **შჳდთა** მათ ზროხათა... შჳდნი იგი ზროხანი, დაბ. 41, 20; შთანთქნეს **შჳდთა** მათ თავთა... შჳდნი იგი თავნი, დაბ. 41, 24.

მიცემითი: მოუწოდა იოვანე **ორთა** მოწაფეთა თჳსთა, ლ. 7, 19; ზედა **ხუთთა** ქალაქთა, ლ. 19, 19; მოუწოდა **ათთა** მონათა თჳსთა, ლ. 19, 13; დასხდეთ თქუენცა **ათორმეტთა** საყდართა, მ. 19, 28.

ნათესაობითი: ვერ ჴელ-ეწიფების **ორთა** უფალთა მონებად, მ. 6, 24; **ორთა** კაცთა წამებაჲ, ი. 8, 17 C; **ათორმეტთა** მოწაფეთა თანა, მ. 26, 20.

პირდაპირი წყობის ნიმუშებია:

ეშმაკნი **შჳდნი**, ლ. 8, 2 D; დღენი რვანი, ლ. 2, 21; სულნი შჳდნი, მ. 12, 45. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს მაგალითი მრავლობითშია.

რიგობითი სახელები

სახელობითი: პირველი იგი ქმარი, მ. 22, 25 C; მეორჱ სასწაული, ი. 4, 54; მესამჱ დღჱ მოვალს, ლ. 24, 21; მეექუსჱ თთუჱ არს მისი, ლ. 1, 36.

მოთხრობითი. მოთხრობითის ფორმები ჩვეულებრივ გვხვდება გამოტოვებულ საზღვრულთან, რომელიც ტექსტში არაა წარმოდგენილი (განმეორების ასაცილებლად), მაგრამ ადვილად იგულისხმება: აწ შჯდნი ძმანი იყვნეს ჩუენ შორის. და **პირველმან** (ძმამან) შეირთო ცოლი და მოკუდა, და არა დაუშთა შვილი; და **მეორემან** (ძმამან) შეირთო იგი და მოკუდა, და არა დაუშთა შვილი; და **მესამემან** (ძმამან) ეგრევე, ვიდრე შჯდადმდე, და არა დაუშთა შვილი, მრ. 12, 20—21. ფრჩხილებში ჩასმული „ძმამან“, რასაკვირველია, ტექსტში არაა.

მიცემითი: პირველსა მას დღესა უცომოებისასა, მ. 26, 17; მეორესა დღესა, ლ. 9, 37; მესამესა დღესა, მ. 27, 63 C; მეექუსესა და მეცხრესა ჟამსა, მ. 20, 5; მერვესა დღესა, ლ. 1, 59; მეათერთმეტესა ჟამსა, მ. 20. 6; მეოცდაათესა წელსა, ლ. 3, 23.

ნათესაობითი: მეოთხისა მის ჴელმწიფებისა, ლ. 3, 1 C; მეოთხისა მის ჴელმწიფისა, იქვე; მეექუსისა დღისა, მ. 17, 1 C.

მოქმედებითი: მეექუსით ჟამითგან, მ. 27, 45 C; მეხუთასით წლით, სახისმეტყ. (ისტ. ქრესტ. 281, 21).

ვითარებითი: მესამედ ნათესავადმდე, დაბ. 50, 23; მეათხუთმეტედ დღედმდე, გამოსლვ. 12, 6; ვიდრე მეშჯდედ დღედმდე, იქვე, 12, 15; ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე, მ. 27, 45.

წოდებითი: და აწ შენ, ძეო ჩემო **მეორეო**, მიეწიე ძმასა შენსა, პარხ. 1014 a; და აწცა შენ, ძეო ჩემო **მეექუსეო**, დაუთმე სიკუდილსა და სცხონდე უკუნისამდე, იქვე, 1018 b.

ყველა ამ მაგალითში მსაზღვრელი წინ იყო და ესაა სწორედ მისი ბუნებრივი ადგილი. იშვიათად გვხვდება ისეთი მაგალითებიც, სადაც მსაზღვრელი მეორე ადგილასაა:

წელსა მეათხუთმეტესა, ლ. 3, 1; ჟამი მეექუსჲ, მრ. 15, 33; იყო ჟამი მესამჲ, მრ. 15, 25.

რიგობით სახელებს მრავლობითი რიცხვი არა აქვთ, რადგან რიგობითი სახელი რიგით განსაზღვრულ **ერთ** ცალს უჩვენებს: მეხუთჲ კაცი = ერთ კაცს, რომელიც 4 კაცის შემდეგ არის.

გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სახელი **მრავალი** სრულიად ჩვეულებრივად იბრუნვის. აქვს ყველა ბრუნვა (წოდებითი იშვიათად), ორივე რიცხვი, ებიანი მრავლობითიც კი. საზღვრულთან რიგის დაკავება თავისუფალია: მას შეუძლია იდგეს როგორც წინ, ისე შემდეგ. ორივე რიგი გავრცელებულია. უფრო ძველი და ნიშანდობლივი მაინც ისეთი წყობა უნდა იყოს, როცა ის საზღვრულის წინაა მოქცეული. როცა ის დროის აღმნიშვნელ სიტყვებს ახლავს და წრფელობითში დგას, **მხოლოდ** წინ შეიძლება იდგეს და ბოლოს არა: მრავალ ჟამ (ლ. 8, 29); არა მრავალ დღე (ი. 2, 12 CE). ეგეც უნდა ვთქვათ ამ სიტყვის ხმარების შესახებ, როცა ის ზომა-წონის აღმნიშვნელ სახელებს ერთვის: მრავალ უტევან (მ. 14, 24), არ შეიძლება ითქვას: უტევან მრავალ. ეს და ზოგი სხვა გარემოება (მრავალ გზის...) გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად **მრავალ**-ის ადგილი **ყოველ-**

თვის საზღვრულის წინ უნდა ყოფილიყო და შემდეგ უნდა დაეწყო ნელა და თანდათანობით მის ბოლოს გადასვლა. ძველ ქართულში მაინც ისევ სჭარბობს ის შემთხვევები, როცა ის საზღვრულის წინ დგას. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

მრავალ სადგურ არს, ი. 14, 2 C. (მაგრამ: ეშმაკეულებ მრავალ, მ. 8, 16 C); მრავალი ერი, მრ. 3, 7 (მაგრამ: ერი მრავალი, მ. 4, 25); მრავალი ნაყოფი, ი. 12, 24 (მაგრამ: ნაყოფი მრავალი, ი. 15, 5); მრავალი ჟამი, მრ. 6, 35 (მაგრამ: ჟამი მრავალი, იქვე C); მრავალი წილი, ლ. 18, 30; მრავალი ჰირი, მ. 27, 19 C; ერმან მრავალმან, ი. 12, 9 C; მრავალსა გმობასა, ლ. 22, 65; მრავლისა ჟამისა, მ. 25, 19; მრავლით ჟამითგან, ლ. 23, 8; დიდებითა მრავლითა, მ. 24, 30; მრავალნი გუამნი, მ. 27, 52; ძალნი მრავალნი, მ. 13, 58; მრავალთა მდიდართა, მრ. 12, 41; ძალთა მრავალთა, მ. 7, 22 და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, მრავალი გვხვდება ებიან მრავლობითშიც: მოვინჴე-ვიდა კაცი... მრავლებითა მოყუსებითა, ისტ. ქრესტ. 293, 21.

6. ნაცვალსახელი მსაზღვრელად

ნაცვალსახელთა ჯგუფებიდან მსაზღვრელად ყველაზე ხშირად გვეევლინება კუთვნილებითი ნაცვალსახელები, შემდეგ—განსაზღვრებითი, კითხვითი, განუსაზღვრელობითი და, უფრო იშვიათად, სხვებიც. თითოეული მათგანი გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებს რაიმე თვალსაზრისით.

ჩვენებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად

ძნელია მსაზღვრელი ჩვენებითი ნაცვალსახელისა და ნაწევრის გამიჯვნა. როგორც ცნობილია, განსაზღვრული ნაწევარი ესე, ეგე, იგი წარმოშობით იგივე ჩვენებითი ნაცვალსახელია. ორივე განსაზღვრავს სახელს, ორივე სახელთან ერთად იხმარება, ორივე იბრუნება სახელთან ერთად. ერთადერთი ნიშანი, რომლითაც შეიძლება განვასხვაოთ ისინი, მათი რიგია: როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელი, ესე, ეგე, იგი ჩვეულებრივ სახელის წინ იხმარება (ესე ნეტარი მამაჲ, ამას ღამესა, მას დღესა შინა...), როგორც ნაწევარი—სახელის შემდეგ (ყრმაჲ ეგე, სახლსა მას..). მაგრამ განსაზღვრულ შემთხვევებში ნაწევარიც შეიძლება სახელის წინ მოგვეველინოს. ეს კია, რომ ნაწევრის დასმა სახელის წინ ზუსტად განსაზღვრულ პირობებში ხდება, ესაა ის შემთხვევები, როცა ნაწევართან ერთად სახელს ერთეის წინ დასმული განსაზღვრება (რაიმე სახისა): ყოველი იგი ერი, შენმან მან ვეცხლმან, მეორესა მას საჴუმულავსა ღამისასა...

შეიძლება აგრეთვე შევნიშნოთ, რომ სამი ნაცვალსახელიდან—ესე, ეგე, იგი—ნაწევრად ყველაზე ხშირად იგი იხმარება, ჩვენებით ნაცვალსახელად (რომელიც განსაზღვრებად არის გამოყენებული)—ესე.

მსაზღვრელადაა გამოყენებული აგრეთვე ჩვენებითი ნაცვალსახელი ესევითარი. ის ჩვეულებრივ საზღვრულის წინ იმყოფება და ბრუნების თვალსაზრისით არ შეიცავს რაიმე თავისებურებას: ბრუნვის ნიშნებს დაირთავს

ჩვეულებრივი წესით, ფუძეს ხან იკუმშავს, ხან—არა, აქვს მრავლობითი რიცხვი და სხვა. მაგალითები:

ესევითარი კელმწიფებაჲ, მ. 9, 8; **ესევითარიხა** სასწაულისა საქმედ, ი. 9, 16, მაგრამ: **ესევითრიხა** სასწაულისა ყოფად, იქვე C; **ესევითარითა** იგავითა, მრ. 4, 33, მაგრამ: **ესევითრითა** მით იგავებითა, იქვე C; **ესევითარნი** სიტყუანი, ი. 10, 21 C და სხვა.

იშვიათად **ესევითარი** საზღვრულის შემდეგაც გვხვდება: ყრმაჲ ერთი **ესევითარი**, მ. 18, 5 C, მაგრამ მისი ადგილი ჩვეულებრივ, როგორც ვთქვით, საზღვრულის წინაა.

„ესევითარ“-ის მსგავსად იბრუნვის აგრეთვე „ეგევითარი“-ც. აწ **ესოდენი** (ესთენი) შეიცავს რაიმე თავისებურებას. მისი რიგი უფრო თავისუფალია: თანაბრად გვხვდება საზღვრულის წინაც და შემდეგაც, იბრუნება სრულიად ჩვეულებრივად, აქვს მრავლობითიც. მაგალითები:

ესოდენ ჟამ, ი. 14, 9; **ესოდენი** სარწმუნოებაჲ, მ. 8, 10; **ესთენი** სასწაული, ი. 12, 37 C; **ესოდენნი** სასწაულნი, იქვე DE.

პური **ესოდენი**, ერთ **ესოდენი**, მ. 15, 33; ძალნი **ესოდენნი**, მრ. 6, 2.

„ესოდენ“-ის მსგავსად იბრუნვის აგრეთვე **ეგოდენი**-ც.

კითხვითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად

კითხვით ნაცვალსახელთაგან მსაზღვრელად შეიძლება შეგვხვდეს **რაჲ, რაოდენი, რომელი**, მაგრამ ამნაირი შემთხვევები ერთობ მცირეა. ეს კითხვითი ნაცვალსახელები **ჩვეულებრივ** ცალკე დგას და სხვა სიტყვების მსაზღვრელად იშვიათად გამოდის. ასეთ შემთხვევაშიც ისინი სწორედ ისე იბრუნვიან, როგორც დამოუკიდებლად აღებულნი, და ამ მხრივ რაიმე თავისებურებას არ შეიცავენ. აქ ვუჩვენებთ სათანადო ნიმუშებს.

რ ა ჲ

რაჲ ბოროტი უქმნიეს მაგას, მ. 27, 23; ნუ ჰზრუნავთ... **რაჲ. სიტყუაჲ** მიუგოთ, ლ. 12, 11; არა იცოდეს, **რაჲმცა სიტყუაჲ** მიუგეს მას, მრ. 14, 40. ამნაირი შეხამება კითხვითი ნაცვალსახელისა და მომდევნო საზღვრულისა, როგორც ჩანს, არ იყო ბუნებრივი და დამახასიათებელი ძველი ქართულისათვის და ზოგჯერ ცდილობდნენ მის აცილებას. ამიტომაა, რომ უკანასკნელი ადგილი C-ში ასეა მოცემული: არა უწყოდეს, **რაჲმცა** მიუგეს მას. საზღვრული მოიხსნა და უხერხულობაც გაქრა, აზრი კი კვლავ კარგად გასაგები დარჩა.

გვხვდება მიცემითის მაგალითებიც: **რასა სასწაულსა** იქმ, ი. 6, 30; **რასა შესმენასა** მოიღებთ კაცსა ამას ზედა, ი. 18, 29.

რ ა ო დ ე ნ ი (რ ა ვ დ ე ნ ი)

რაოდენ ჟამ არს, მრ. 9, 21 C; **რაოდენი პური** გაქუს აქა, მ. 15, 34; **რავდენნი წელნი** არიან, ლ. 15, 29 C; **რავდენთა მორეწეთა** მამისა ჩემისათა გარდაერევის პური, ლ. 15, 17 C.

რომელი

რომელი, როგორც ვნახეთ, საერთოდ ნაკლებად იხმარება კითხვით ნაცვალსახელად, ხოლო კიდევ უფრო იშვიათია მისი გამოყენება ამ როლში მსაზღვრელად. მაგრამ ამის მაგალითები მაინც გვხვდება. აი რამდენიმე მათგანი:

რომელი მცნებაჲ უფროჲს არს შჯულსა შინა, მ. 22, 36; **რომელი საქმჱ** ექმნე, მრ. 10, 17 (შდრ. C: **რაჲ** ექმნე, სადაც მსაზღვრელ-საზღვრულის ჩარჩო მოშლილია და **რაჲ** პირდაპირ არის ზმნასთან შეწყობილი); **რომლისა თანა** იგავისა დაუდვათ იგი, მრ. 4, 30 C; **რომლითა ჴელმწიფებითა** ამას იქმ, მ. 21, 23; **რომელნი მცნებანი**, მ. 19, 18.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად

ნაცვალსახელებში მსაზღვრელად, როგორც ვთქვით, ყველაზე ხშირად კუთვნილებითი ნაცვალსახელები გამოდის. კუთვნილებითი ნაცვალსახელების ნამდვილი ბუნება სხვა სახელთან ყოფნაა, სხვასთან ერთად ბრუნებაა, სხვა სახელის მსაზღვრელობაა. იმათი დამოუკიდებლად ხმარება შედარებით იშვიათია და უფრო ნაკლებად გვხვდება, სხვა სახელის მსაზღვრელად გამოყენება კი ჩვეულებრივი მოვლენაა და ასეთ როლში ისინი ძველისა და ახალი ქართულის ტექსტებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებიან.

კუთვნილებითს ნაცვალსახელებს, სხვებისაგან განსხვავებით, აქვთ კიდევ ერთი დიდი თავისებურება: ისინი აბსოლუტურად უმეტეს შემთხვევაში საზღვრულის შემდეგაა წარმოდგენილი, იშვიათად—საზღვრულის წინ. მათი ეს თავისებურება იმდენად ცნობილი და თვალში საცემია, რომ რაიმე დასაბუთებას არ საჭიროებს.

ამ სახელების ბრუნება ჩვეულებრივად ხდება: ისინი იბრუნვიან როგორც სხვა თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი სახელები, აქვთ მრავლობითი რიცხვიც, ამ შემთხვევაში მხოლოდ ნარ-თანიანი მრაელობითი, არსად გვხვდება **ებიანი** მრავლობითი.

კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნებას მაინც ეტყობა ზოგიერთი თავისებურება:

1. კუთვნილებით ნაცვალსახელთა ვითარებითი სავსებით ემთხვევა სათანადო პირის ნაცვალსახელთა ვითარებითს, მაგალითად: მოვიდა **ჩემდა** (პირ.) და აღსრულებად **ჩემდა** (კუთვნ.); მოვედ **შენდა** და მეგობრად **შენდა**. ასე საზიარო იქნება: **ჩუენდა**, **თქუენდა**. ამ დამთხვევის გამო გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირის სახელებს ფორმები **ჩემდა**, **შენდა**, **ჩუენდა**, **თქუენდა** ნასესხები აქვთ სათანადო კუთვნილებითი ნაცვალსახელების ვითარებითი ბრუნვის ამნაირი ფორმებისავანო[1]. მაგრამ პირის ნაცვალსახელთა

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I. მორფოლოგია, 1930. გვ. 39. მისივე: გრამატ. საფუძვ. გვ. 100; ვ. თოფურია, ქართული ენა, განაკვეთი III—IV, 1933, გვ. 19.

აღნიშნული ფორმები (ჩემდა... თქუენდა) უფრო ძველია, ისინი ყოველთვის არ დაიყვანება კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმებამდე. ახალმა ქართულმა კუთვნილებითი ნაცვალსახელებისათვის განივითარა ახალი ფორმები—ჩემად, შენად, ჩვენად და თქვენად, რომლებიც ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს, მაგალითად:

შენი სიცოცხლე მეყოფის **ჩემად** იმედად გულისად (1297, 1) და სხვა.

მაგრამ ძველმა ქართულმა არ იცის არც **ჩემად, შენად** და არც მისი მსგავსი სხვა ფორმები.

2. კუთვნილებითს ნაცვალსახელებს (ზოგს მაინც) მოეპოვებათ წოდებითის ფორმები (ჩემო, ჩუენო, მისო).

3. არ გააჩნიათ წრფელობითი ბრუნვა. ეს გასაგებიცაა: წრფელობითი უბრუნვისნიშნო ბრუნვაა; ის რომ გვქონოდა, ასეთი სახე ექნებოდა: (ჩემ), **შენ, ჩუენ, თქუენ,** ე. ი. ფორმის მიხედვით დაუბრუნდებოდა პირის ნაცვალსახელებს, რომელთაგანაც არის წარმოშობილი. ამ უხერხული დამთხვევის ასარიდებლად წრფელობითი ამ სახელებს აღარ აქვთ. საინტერესოა ვუჩვენოთ, რომ ასეთ შემთხვევაში წრფელობითს ცვლის სათანადო სახელთა ვითარებითი. „მონა თქუენ“ (=თქუენი მონა) აბსოლუტურად შეუძლებელია ძველ ქართულში, ამის ნაცვლად გვაქვს **მონა თქუენდა**: იყავნ იგი **თქუენდა მონა,** მ. 20, 27. ასეთივეა აგრეთვე: იყავნ იგი თქუენდა მსახურ, მ. 20, 26 C (=თქვენი მსახური); იგი **ჩემდა მტერ** არს, მ. 12, 30 C (=ჩემი მტერია).

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითში ნაცვალსახელი წინაა, წრფელობითში დასმული სახელი მას მოსდევს. არსებითად რომ ვთქვათ, აქ არცა გვაქვს ჩვეულებრივი სახის მსაზღვრელ-საზღვრული, აქ უფრო შედგენილ-შემასმენლიანი კონსტრუქციაა გადმოცემული: იგი ჩემდა მტერ არს=იგი (ქვემდ.) ჩემთვის (დამ.) მტერი (შედგ. შემ. სახ. ნაწ.=შემასმენლისი) არის. მაგრამ ნაცვალსახელი შეიძლება შემდეგაც იყოს, მისი ფორმა კი ისევ ვითარებითი იქნება: რომელი-ეგე იყავ ოდესმე **ჭალაქ ჩემდა,** წარტყ. 37, 15. აქ არის ტიპური შემთხვევა, თუ როგორ არიდებს ენა თავს, რომ ნაცვალსახელი წრფელობითში დასვას: წრფელობითშია საზღვრული, მაგრამ არა მსაზღვრელი (კუთვნ. ნაცვალსახელი).

სხვაფრივ, როგორც ვთქვით, კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნება ჩვეულებრივი ხასიათისაა და რაიმე სიძნელეს არ წარმოადგენს. აქ შეიძლება მოვიყვანოთ მცირე საილუსტრაციო მასალა.

მხოლობითი რიცხვი

სახელობითი: ასული ჩემი, მ. 9, 18; დედაჲ ჩემი, მ. 12, 48; ასული შენი, მრ. 5, 35; დედაჲ შენი, მ. 12, 47; მამაჲ ჩუენი, ი. 8, 39; ნათესავი ჩუენი, ლ. 7, 5; ბადჲ თქუენი, ლ. 5, 4; მამაჲ მისი, ლ. 1, 67; ქალაქი მათი, მ. 22, 7.

მოთხრობითი: მამამან ჩემმან, მ. 15, 13; მამამან შენმან, ლ. 15, 27; მეგობარმან ჩუენმან, ი. 11, 11 C; მამამან თქუენმან, მ. 6, 8; მაცამან მისმან, ლ. 15, 22; კაცად-კაცადმან მათმან, მ. 26, 22.

მიცემითი: მამასა ჩემსა, ლ. 22, 32; დედასა შენსა, მ. 15, 4; მამასა ჩუენსა, ლ. 1, 73; მამასა თქუენსა, მ. 5, 16; დედასა მისსა, მ. 13, 55; ღმრთისა მათსა, ლ. 1, 20.

თუ სახელს თანდებული ახლავს, ჯერ ის იქნება, შემდეგ—კუთვნ. ნაცვალსახელი: თუალსა შინა შენსა, მ. 7, 3; სლვასა შინა მათსა, მრ. 2, 23 C.

ნათესაობითი. აქ შეიძლება გვქონდეს უთანდებულო ფორმებიც და თანდებულიანიც. ამასთან, ეს თანდებული შეიძლება საზღვრულსაც ახლდეს და მსაზღვრელსაც. აქ მოვიყვანთ სამივე სახის ნიმუშებს:

ა) მამისა ჩემისა, მ. 26, 53; ერისა შენისა, ლ. 2, 32; მამისა ჩუენისა, მრ. 11, 10 C; მამისა თქუენისა, მ. 5, 45; დისა მისისა, ი. 11, 1; ღმრთისა მათისა, ლ. 1, 16 და სხვა.

ბ) მამისაგან ჩემისა, ი. 6, 65; ასულისაგან შენისა, მრ. 7, 29; ზეთისაგან თქუენისა, მ. 25, 8; გულისაგან მისისა, მ. 13, 19; თხოვისაებრ მათისა, ლ. 23, 24 და სხვა.

გ) სახელისა ჩემისათჳს, მ. 10, 22; პირისა შენისაგან, ლ. 19, 22; შჯულისა ჩუენისაებრ, ი. 19, 7; ასულისა მისისაგან, მრ. 7, 26 C; მოძღურებისა მისისათჳს, ი. 18, 19; ნაყოფისა მათისაგან, მ. 7, 16 C; ძმისა მათისათჳს, ი. 11, 19 და სხვა.

მოქმედებითი. აქაც შეიძლება გვქონდეს თანდებულიანი და უთანდებულო ფორმები. მოქმედებითში, როგორც ვიცით, გვხვდება **გან** და **ურთ** თანდებულები. თანდებულებთან ყოველთვის მარტივი ბრუნვის ნიშანია წარმოდგენილი (**ით**), ეგეც მარტივი ნიშანი აქვთ უთანდებულო ფორმებსაც მაშინ, როცა ისინი გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელობით არიან ნახმარი. სხვა შემთხვევაში უთანდებულო ფორმებს გავრცობილი ბრუნვის ნიშანი აქვთ (ით-ა):

მოწფითურთ ჩემით, მ. 26, 18; სიყრმით ჩემითგან, მ. 19, 20; სახელითა ჩემითა, მ. 18, 5; თუალით შენით, მ. 7, 4 C; გულითა შენითა, მ. 22, 37; მოთმინებითა თქუენითა, ლ. 21, 19; თმითა მისითა, ი. 11, 2 C; კრებულით მათით, ი. 16, 2 C; ბაგითა მათითა, მ. 15, 8.

ვითარებითი. ვითარებითს ბრუნვაში, როგორც ვთქვით, არა გვაქვს ჩვეულებრივი სახის მსაზღვრელ-საზღვრული, სადაც მსაზღვრელად წარმოდგენილი იქნება კუთვნილებითი ნაცვალსახელი. სხვა ბრუნვებში ზემოთ წარმოდგენილი **მამაჲ ჩემი, დედაჲ ჩემი, ძმაჲ მისი** ჩვეულებრივ არც დაისმება ვითარებითში, ჩვეულებრივ არ შეიძლება ითქვას: მამად ჩემდა, დედად ჩემდა, ძმად ჩემდა. ეს კი ლაპარაკობს, რომ ვითარებითი ბრუნვა მსაზღვრელად აღებულ კუთვნილებით ნაცვალსახელებს ჩვეულებრივ არა აქვთ. ამიტომ ამათგან სესხებაზე არც შეიძლება ლაპარაკი. სადაც კი ასე თუ ისე გვხვდება ვითარებითი, საზღვრულად მათ ჩვეულებრივ აქვთ

საწყისის ფორმები (დაფლვად ჩემდა, მიცემად ჩემდა, აღსრულებად ჩემდა), რომელთაც აქ სხვა შინაარსი აქვთ, ისინი არ შეიცავენ ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრულის გაგებას. ეს ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვითარებითში ჩვენ არა გვაქვს ნამდვილი მსაზღვრელ-საზღვრული, ისეთი, როგორიცაა სხვა ბრუნვებში ზემოთ წარმოდგენილი ფორმები. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ბრუნვაში განმეორებული „მამაჲ ჩემი“, „ასული ჩემი“, „დედაჲ ჩემი“ (ამათ ჩვენ ყველა სხვა ბრუნვაში განგებ არ ვცვლიდით სხვა მაგალითებით) ვითარებითში ან სულ არ გვხვდება, ან ძალიან იშვიათად გვხვდება; ასეთ შეხამებას ენა გაურბის და მათ სხვა ბრუნვებით ცვლის. ადიშის ძეგლში შეგვხვდა მაგალითი, სადაც **ჩემდა** ახლავს არსებითს სახელს: **სახელად ჩემდა** (მ. 18, 5 C), მაგრამ იგი აქ უცნაურად გამოიყურება (რომელმან შეიწყნაროს ყრმაჲ ერთი ესევითარი **სახელად ჩემდა**, მე შემიწყნაროს) და ამიტომაა, რომ სხვა ხელნაწერებში (ყველგან ერთიანად) შეცვლილია მოქმედებითით: **სახელითა ჩემითა**. ასეთივეა აგრეთვე იქვე არსებული ფორმები: **მამად თქუენდა** ნუვის ხადით, მ. 23, 9 C; არს **მამად ჩუენდა აბრაამი**, ლ. 3, 8 C, რომელთაგან პირველი სხვა ხელნაწერებში ისევ მოქმედებითითაა შეცვლილი, მაგრამ მსაზღვრელი აღარ ახლავს (**მამით** ნუვის ჰხადით, DE და სხვა.), ხოლო მეორეს სახელობითი ენაცვლება, მსაზღვრელი აქაც აღარ გვაქვს (ის პირის სახელად არის წარმოდგენილი და კონსტრუქციაც სხვანაირია: **მამაჲ** გჳვის ჩუენ აბრაჰამი, DE და სხვა). ისეთ ფორმებს კი, სადაც საზღვრულად საწყისია წარმოდგენილი (შეპყრობად ჩემდა, განწმედად ჩემდა, განკურნებად ჩემდა და სხვა მრავალი), მაინც ზმნისაკენ მივჰყავართ და აქ მსაზღვრელ-საზღვრულის ჩვეულებრივს ტიპზე ზედმეტია ლაპარაკი. ამიტომ აქ ამნაირ მაგალითებს აღარ დავასახელებთ.

წ ო დ ე ბ ი თ ი: მამაო **ჩემო**, მ. 26, 39; ღმერთო **ჩემო**, მ. 27, 46; მამაო **ჩუენო**, მ. 6, 9; ლ. 11, 2; მამაო, მამაო, ეტლო ისრაჱლისაო და მჴედარო **მისო**, 4 მეფ. 2, 12; 13, 14.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი: მეგობარნი **ჩემნი**, ი. 15, 14; მოწაფენი **შენნი**, მ. 9, 14; სანთელნი **ჩუენნი**, მ. 25, 8; მტერნი **თქუენნი**, მ. 5, 44; თუალნი **მისნი**, ლ. 6, 20; მწყემსნი იგი **მათნი**, მრ. 5, 14.

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი: იხილეს თუალთა **ჩემთა** მაცხოვარებაჲ **შენი**, ლ. 2, 30; ნათესავთა **შენთა** და მღდელთ-მოძღუართა მომცეს მე **შენ**, ი. 18. 35; მამათა **მათ ჩუენთა** ჰამეს მანანაჲ იგი, ი. 6, 31 C; მამათა **თქუენთა** მოწყჳდნეს იგინი, ლ. 11, 47; მიუვლინეს დათა **მისთა** იესუს, ი. 11, 3; ჰრქუეს **მათ** უფალთა **მათთა**, ლ. 19, 33.

მ ი ც ე მ ი თ ი: გეტყჳ თქუენ, მეგობართა **ჩემთა**, ლ. 12, 4; ქვაჲ დაჰკრიბე მოციქულთა **შენთა**, მ. 23, 37 C; ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანა-მდებთა **ჩუენთა**, მ. 6, 12; თავთა შინა **თქუენთა**, ი. 5, 39; ანგელოზთა **მისთა** უბრძანებიეს შენთჳს, მ. 4, 6; უბანთა ზედა დაჰსდებდეს უძლურთა **მათთა**, მრ. 6, 56.

ნათესაობითი. მრავლობითის ნათესაობითში სათანადო ფორმები ჩვეულებრივ იხმარება თანდებულით, რომელიც შეიძლება ახლდეს მსაზღვრელსაც და საზღვრულსაც:

სახლეულთა **ჩემთაგან**, ლ. 9, 61; თუალთაგან **შენთა**, ლ. 19, 42; სიტყუათა **შენთაგან**, მ. 12, 37; შვილთა **ჩუენთა** ზედა, მ. 27, 25; ჭსნად მტერთა **ჩუენთაგან**, ლ. 1, 71 C; ყურთა მიმართ **თქუენთა**, ლ. 4, 21; სულთა **თქუენთათჳს**, მ. 6, 25; საკრველთაგან **მისთა**, ლ. 13, 16; ნაყოფთა **მისთაგან**, ლ. 12, 15; განვიდა ჴელთაგან **მათთა**, ი. 10, 39; საქმეთა **მათთაებრ**, მ. 16. 27.

მოქმედებითსა და ვითარებითში საზოგადოდ არსებითი სახელებიც იშვიათად გვხვდება, მსაზღვრელი ნაცვალსახელები მით უმეტეს. მაგრამ არის კი საერთოდ. აქ დავასახელებ მოქმედებითის ერთ მაგალითს:

ხოლო ბრძენთა მიიღეს ზეთი ჰურჰერთა **მათთა** სანთელთა მათთა თანა, მ. 25, 4 BM.

წოდებითი: შვილნო **ჩემნო**, ი. 13, 33 C.

ზემოთ წარმოდგენილი მაგალითები ყველა ისეთია, სადაც მსაზღვრელ კუთვნილებითს ნაცვალსახელს მეორე ადგილი უჭირავს. ეს, როგორც ვთქვით, არის ძირითადი და გაბატონებული წყობა ძველი ქართულისათვის. მაგალითების აბსოლუტური უმრავლესობა ამ რიგით გვხვდება.

გვხვდება შებრუნებული წყობის ნიმუშებიც, მაგრამ ასეთი შემთხვევები ერთობ მცირეა და აქა-იქ შეიძლება ვიპოვოთ იშვიათად. აქ დავასახელებ მაინც ორიოდე ნიმუშს:

ჩემი საჭმელი, ი. 4, 34 C; **შენი** საჴსენებელი, იგავ. 41, 1; **თჳსი** იგი ეპისკოპოსი, პარხ. 1207; **მათი** ჴმაჲ, მრ. 12, 28 C; **მისი** გულისჴმის-ყოფაჲ იგი, ლ. 2, 47; **ჩუენნი** ლოცვანი, თარგმ. გამოცხ. 16, 7 და სხვა.

ამდენ ხანს ჩვენ საუბარი გვქონდა ისეთ შემთხვევებზე, როცა სახელს ახლავს ერთი მსაზღვრელი—კუთვნილებითი ნაცვალსახელი. მაგრამ შესაძლებელია ამ ნაცვალსახელთან ერთად წარმოდგენილი იყოს კიდევ სხვა მსაზღვრელი—ზედსართავი, მიმღეობა. ასეთ შემთხვევაში არსებითს უშუალოდ ერთვის კუთვნილებითი ნაცვალსახელი, ზედსართავი ან სხვა მსაზღვრელი ამის შემდეგღა მოდის, მაგალითად: აღთქუმაჲ **თჳსი წმიდაჲ**, ლ. 1, 72 C.

თუ ასეთი მსაზღვრელი არსებითს თავში ერთვის, რიგი იგივეა: ჯერ ზედსართავი, შემდეგ კუთვნილებითი ნაცვალსახელი და შემდეგ არსებითი. მაგალითად: **ახალსა** მას **მისსა** საფლავსა, მ. 27, 60.

აქედან ჩანს, რომ არსებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, მათი გათიშვა და შუაში სხვა მსაზღვრელის ჩართვა შეუძლებელია.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად

განსაზღვრებით ნაცვალსახელთაგან აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ორი წყვილი: თითოეული და თავადი, ერთი მხრივ, და ყოველი და სხუაჲ, მეორე მხრივ.

თითოეული ერთვის არსებითს სახელს მხოლოდ წინ და იბრუნვის ჩვეულებრივი წესით: თითოეული ხმ, თითოეულმან ხემან, თითოეულსა ხესა და სხვა. მას, როგორც ვნახეთ, არა აქვს მრავლობითი.

თავადიც მხოლოდ წინ ერთვის სახელს. მისი თავისებურება ისაა, რომ ის მსაზღვრელად ახლავს **მხოლოდ ადამიანის სახელს** და არასოდეს საზოგადო სახელს, მაგალითად: **თავადი დავით** ეტყჳს მას უფლით, მრ. 12, 37 C; **თავადი იესუ** მიეახლა მათ, ლ. 24, 15; **თავადმან ჰეროდე** მიავლინა, მრ. 6, 17 C; **თავადსა იოვანეს** ემოსა, მ. 3, 4. მრავლობითი ამასაც არ გააჩნია. ეს აღნიშნული გვქონდა ზემოთ და აქვე თქმულიდანაც ჩანს, რომ, რაკი ის მხოლოდ ადამიანის სახელებს ერთვის, ხოლო ადამიანის სახელებს მრავლობითი რიცხვი არა აქვთ, არც **თავად**-ს უნდა ჰქონდეს იგი. სხვა მხრივ მისი ბრუნება ჩვეულებრივი წესით ხდება და რაიმე თავისებურებას არ შეიცავს.

ყოველი ძალიან გავრცელებული სიტყვაა ძველ ქართულში. ის იხმარება დამოუკიდებლადაც და სხვა სახელის მსაზღვრელადაც. დამოუკიდებლად ხმარების შესახებ უკვე გვქონდა ზემოთ ლაპარაკი (გვ. 531—533). **ყოველი** სხვა სახელის მსაზღვრელად ძალიან ხშირად იხმარება. გვხვდება საზღვრულის წინაც და შემდეგაც. მაგრამ გაცილებით უფრო ხშირია ის შემთხვევები, როცა ეს სიტყვა საზღვრულის წინ დგას: ყოველი ერი, მრ. 11, 18; ყოველმან ერმან, მ. 27, 25; ყოველსა დაბადებულსა, მრ. 16, 15; ყოელისა სიმართლისა, მ. 3, 15 C; ყოელითა გულითა, მ. 18, 35.

გასაგები მიზეზის გამო არ გვხვდება წრფელობითი. მაგრამ როცა ამ სიტყვას **მთელის** მნიშვნელობა აქვს, მაშინ ეს ბრუნეაც ჩვეულებრივად მოეპოვება და ძალიანაც გავრცელებულია, მაგალითად: რაჲსათჳს სდგათ თქუენ აქა დღე ყოველ უქმად, მ. 20, 6 (=რატომ სდგახართ თქუენ აქ **მთელ** დღეს უსაქმოდ); ღამე ყოველ დაეშუერით, ლ. 5, 5. აღსანიშნავია, რომ **ყოველი** ამ შემთხვევაში საზღვრულის შემდეგაა მოქცეული[1].

არ გვხვდება აგრეთვე ვითარებითიც. ამასაც აქვს თავისი მიზეზი: ვითარებითის ფორმა **ყოვლად** და ნაწილაკიანი **ყოვლადვე** ზმნიზედად არის ქცეული და სხვა მნიშვნელობით იხმარება, ესაა ჩვეულებრივ: **სულ, მთლად, სრულიად, სრულებით.** ამიტომ ეს სიტყვა ჩვეულებრივი მსაზღვრელის რიგიდან ამოსულია და ცალკე იხმარება როგორც დამოუკიდებელი (ზმნიზედა).

არ გვხვდება წოდებითიც, მაგრამ ეს უკვე ნაცვალსახელთა უმრავლესობის დამახასიათებელი თვისებაა და მარტო **ყოველს** არ ეხება.

მრავლობითი გვაქვს ჩვეულებრივი სახით, ოღონდ მარტო ნარ-თანიანი, არსად არა ჩანს **ებიანი: ყოველნი** განსაცდელნი, ლ. 4, 13; **ყოველთა** მოწაფეთა თქუეს, მ. 26, 35 C. აღსანიშნავია, რომ როცა **ყოველი** მრავლობითშია,

[1] ნ. **ყოველის** ასეთი მნიშვნელობის შესახებ ა. შანიძის გამოკვლევა: ხანძთელის ცხოვრების ერთი ადგილის გაგებისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 9, 1944, გვ. 939—944.

მაშინ მას უფრო შეუძლია დამოუკიდებლად იდგეს და საზღვრულის დანამატს არ წარმოადგენდეს.

როგორც აღვნიშნეთ, იშვიათად **ყოველი** შეიძლება საზღვრულის შემდეგაც მოგვევლინოს, მაგალითად: ქალაქებსა ყოველსა, მ. 9, 35 (მაგრამ: ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა, ლ. 10, 1); დანი მაგისნი ყოველნი, მრ. 6, 3 და სხვა. მაგრამ ამნაირი შემთხვევები, კიდევ ვიმეორებთ, ძალზე მცირეა და სრულებით არაა დამახასიათებელი ძველი ქართულისათვის. ძველი ქართულისათვის ბუნებრივი და ნორმალური წყობაა—**ყოველი** წინ უსწრებდეს საზღვრულს და არა მოსდევდეს მას.

სხუაჲ-ც, როგორც **ყოველი**, იხმარება დამოუკიდებლადაც და სხვა სახელის მსაზღვრელადაც. როცა ეს **სხუაჲ** მსაზღვრელია, **თითქმის ყოველთვის** საზღვრულის წინ დგას. იბრუნება იგი ისე, როგორც დამოუკიდებლად ხმარებისას, რასაც ზემოთ უკვე გავეცანით; აქვს მრავლობითი რიცხვი, კერძოდ, ებიანი მრავლობითიც.

აქ ვუჩვენებთ ამ სიტყვის ბრუნვების ფორმებს.

მხოლობითი რიცხვი

სხუა ფერ იქმნა წინაშე მათსა, მრ. 9, 2 C; **სხუა** ნავ არა იყო მუნ, ი. 6, 22 C; **სხუაცა** ცხოვარ არიან ჩემნი, ი. 10, 16 C; **სხუაჲ** მცნებაჲ, მრ. 12, 31; **სხუაჲცა** ნავები, მრ. 4, 36; რომელნი **სხუამან** არავინ ქმნნა, ი. 15, 24; **სხუახა** იგავსა ეტყოდა, მ. 13, 31; წარვიდეს **სხუასა** დაბასა, ლ. 9, 56; **სხჳსა** ერისა სიმრავლე (იყო), ლ. 6, 17. რაჲთა... **სხჳთ** გზით წარვიდენ სოფლად თჳსა, მ. 2, 12; გამოეცხადა **სხჳთა ხატითა**, მრ. 16, 12; იცვალა მათ წინაშე **სხუად** ფერად, მ. 17, 2; იცვალა **სხუად** ხატად წინაშე მათსა, მრ. 9, 2.

წოდებითი არა აქვს, როგორც ბევრ სხვა ნაცვალსახელს.

მრავლობითი რიცხვი

როგორც ვთქვით, აქ გვხვდება ებიანი მრავლობითის ფორმაც: **სხუებიცა** მრავალნი დედანი... (შეუდგეს მას), მრ. 15, 41 C. **სხუები**-ცა „დედანის“ მსაზღვრელია, ამ უკანასკნელის მსაზღვრელია აგრეთვე „მრავალნი“. პირველი მსაზღვრელი ნარიან საზღვრულს ებ-ით უთანხმდება (სხუ-ებ-ი-ცა დედა-ნ-ი), მეორე კი ნარით (მრავალ-ნ-ი დედა-ნ-ი). DE-ში ეს უჩვეულო ფორმა ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი ნარიანი მრავლობითით არის წარმოდგენილი (**სხუანიცა**). ნარიანი მრავლობითის სხვა მაგალითებია: **სხუანი** ორნი ძმანი, მ. 4, 21; **სხუანი** მონანი, მ. 21, 36 და სხვა.

ირიბი ბრუნვების მაგალითებია:

სხუათა მათ ჰაბუკთა შეიპყრეს იგი, მრ. 14. 51; ვენაჳი იგი მისცეს **სხუათა** ქუეყანის-მოქმედთა, მ. 21, 41; არა **სხუათა** მათ მჩუართა თანა იდვა, ი. 20, 7 C.

როდესაც ერთ საზღვრულთან ამ **სხუა**-სთან ერთად მსაზღვრელად რიცხვითი სახელიც არის წარმოდგენილი, რიგი თავისუფალია: შეიძლება **სხუა** უსწრებდეს რიცხვითს სახელს, შეიძლება მოსდევდეს მას,

მაგალითად: აჰა სხუაჲ ხუთი ქანქარი შევსძინე, მ. 25, 22, მაგრამ: ვეცხლმან მან შენმან ხუთიღა სხუაჲ სასწორი ყო, ლ. 19, 18.

როგორც ვხედავთ, განსაზღვრებითი ნაცვალსახელები საზღვრულს წინ დაერთვის. ასეა ზოგი მათგანი ყოველთვის (თითოეული, თავადი), ზოგი კი თითქმის ყოველთვის (სუა), ან აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში (ყოველი).

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებიდან მსაზღვრელად გამოყენებულია **ვინმე, რაჲმე, რომელიმე** და ზოგი სხვაც. ამათგან ყველაზე ხშირად გვხვდება **ვინმე**.

ვინმე

ნაწილობრივ ამ **ვინმე**-ზე, როგორც მსაზღვრელზე, ნაწევართან დაკავშირებით გვქონდა ლაპარაკი. აქ დავუმატებთ შემდეგს.

ვინმე, როგორც მსაზღვრელი, შეიძლება საზღვრულს წინაც დაერთოს და ბოლოსაც. უფრო მეტად წინ არის თუ ბოლოს, ამაში მნიშვნელობა აქვს რიცხვსა და ბრუნვებს: მხოლობითს რიცხვში **ვინმე** უმეტესად საზღვრულის შემდეგაა (დედაკაცი ვინმე), მაგრამ თუ ეს **ვინმე** მრავლობითს რიცხვში დასმულ საზღვრულს ახლავს, მისი ადგილი უმეტესად საზღვრულის წინაა (იყვნეს ვინმე წარმართნიცა); სახელობითში, მიცემითსა და ნათესაობითში **ვინმე** უმეტესად მოსდევს საზღვრულს, მოთხრობითში, პირიქით, უფრო ხშირად უსწრებს მას წინ. ასე რომ, საზღვრულის მიმართ **ვინმეს** ადგილი მტკიცედ განსაზღვრული არ არის. მოვიყვანოთ მაგალითები.

ა) **ვინმე** მოსდევს საზღვრულს: დედაკაცი ვინმე, მ. 9, 20; კაცი ვინმე, ლ. 10, 30; შჯულის-მეცნიერი ვინმე, ლ. 10, 25; კაცმან ვინმე, მრ. 12, 1; ლ. 9, 38; 14, 16; მჴეცალმან ვინმე, ლ. 22, 56 C; კაცსა **ვისმე**, მ. 21, 28; ლ. 15, 11; კაცისა **ვისგანმე** განაძო ეშმაკი, ლ. 11, 14; ასის-თავისა **ვისმე** მონაჲ სნეულ იყო, ლ. 7, 2 C.

ბ) **ვინმე** უსწრებს საზღვრულს:

ვინმე კაცი, მ. 18, 12 C; ესმა **ვისმე** დედაკაცსა, მრ. 7, 25.

ვინმე შეიძლება ახლდეს ადამიანის სახელსაც: იყო **ვინმე ბარაბა**, მრ. 15, 7; **სჳმონ ვინმე** კჳრინელი, მრ. 15, 21, ლ. 23, 26.

როგორც აღნიშნული გვქონდა, **ვინმე** ახლავს აგრეთვე მრავლობითს რიცხვში დაყენებულ საზღვრულსაც. აღსანიშნავია, რომ ასეთი უცნაური შეთანხმება გვხვდება მხოლოდ სახელობითს ბრუნვაში. თუ რატომ ხდება ეს, ვცადეთ აგვეხსნა ზემოთ (გვ. 506, 510, 536 და სხვა.); მაგალითები:

იყვნეს **ვინმე** მუნ მწიგნობართაგანნი, მ. 9, 3; იყვნეს **ვინმე** დედანიცა, მრ. 15, 40; იტყოდეს **ვინმე** იერუსალჱმელთაგანნი, ი. 7, 25.

ვინმე ამ შემთხვევებში განუსაზღვრელობას აღნიშნავს, ის უცნობ პირზე მიუთითებს, დღევანდელი ქართულით იქნება **ვილაცა**. ამ მნიშვნელობის

გასაძლიერებლად შეიძლება ეს **ვინმე** დაერთოს სახელს, რომელსაც აბლაგს განუსაზღვრელი ნაწევარი **ერთი**. უფრო ხშირად **ერთი** უსწრებს **ვინმე**-ს, იშვიათად მოჰყვება მას. ყველაზე ხშირად ამას ადგილი აქვს მოთხრობითში. მაგალითები: **ერთმან ვინმე** წინაშე-მდგომელმან იჯადა მახჯლი, მრ. 14, 47; **ერთმან ვინმე** მოწაფეთა მისთაგანმან ჰრქუა მას, მ. 8, 21 C; მაგრამ: თქუა **ვინმე ერთმან** მოწაფეთა მისთაგანმან, ი. 12, 4.

ვინმე სახელისაგან ხშირად გათიშულია სიტყვით ან სიტყვებით: უკუეთუ **ვინმე** ჰრქუას კაცმან მამასა თჳსსა, მრ. 7, 11 C; იყო **ვინმე** მუნ დედაკაცი, მრ. 5, 25; ჰკითხა **ვინმე** მას **მთავარმან** და ჰრქუა, ლ. 18, 18.

ზოგჯერ **ერთი** და **ვინმე** გათიშულია: **ერთი** ხოლო **ვინმე** ჰაბუკი მიჰსდევდა მას, მრ. 14, 51.

ვინმე ხშირად არის შეჰრილი ზმნაში (ტმესი): მას აქვს ადგილი დასაკუთრებული ზმნისწინსა და ზმნის დანარჩენ ნაწილს შორის:

მო- **ვინმე** -ეგებჳოდა კაცი ქალაქისაგან, ლ. 8, 27; მო- **ვინმე** -უკდეს მას ტამსა შინა **სადუკეველნი**, ლ. 20, 27.

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, **ვინმე** ბრუნების თვალსაზრისით სრულიად ისე იცვლება, როგორც **ვინ** ან როგორც იგივე, **ვინმე**, დამოუკიდებლად აღებული.

რაჲმე

რიჲმე-სთან ერთად გვხვდება **რაჲე**-ც, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ **რაჲმე** სახელობითი ბრუნვაა და **რამე**—წრფელობითი. არა: **რამე** უბრალო გამარტივებული, **ჲ**-დაკარგული ფორმაა, რომელიც სწორედ სახელობითშია წარმოდგენილი: არა იხილოს **რამე** მამისაგან **საქმე**, ი. 5, 19 D. აქ **რაჲე**-ცა და **საქმე**-ც სახელობითშია: იხილოს მან იგი: პირდაპირი ობიექტი და მისი მსაზღვრელი II სერიის გარდამავალ ზმნასთან სახელობითში უნდა იდგეს. სწორედ სახელობითის ფორმით არის მოცემული ეს სიტყვები E-ში: **რაჲმე... საქმჲ**.

ზოგჯერ საქმე შებრუნებულადაც გვხვდება: **რაჲმე** წრფელობითში დაყენებული სახელის მსაზღვრელად არის გამოყენებული: შეძრწუნდეს და თქუეს, ვითარმედ: **საუცარ რაჲმე** არს, მ. 14, 26; მრ. 6, 49. ამ შემთხვევაში **ჲ** გაქვავებული სახითაა შერჩენილი ამ სიტყვაში (რა-ჲ-მე) და ამიტომ შესაძლებელი გამხდარა მისი გამოყენება წრფელობითთანაც.

რაჲმე ერთვის საზღვრულს წინაც და შემდეგაც, მაგრამ უფრო გავრცელებულია მისი ხმარება საზღვრულის შემდეგ.

მიცემითში ეს სიტყვა უფრო მარტივი ნიშნით გვხვდება (რა-ს-მე), ნათესაობითში—მარტივითაც და გავრცობილითაც (ემფატიკური ა-თი: რა-ჲს-მე, რა-ჲს-ა-მე). მრავლობითის ფორმები, რასაკვირველია, მას აქაც არა აქვს. ახლა ვნახოთ მაგალითები:

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი: ჩუენებაჲ რაჲმე, ლ. 1, 22; ადგილი რაჲმე, ლ. 11, 36; ბოროტი თუ რაჲმე ვთქუ, ი. 18, 23 C. მაგრამ: რაჲმე ბოროტი, მრ. 11, 25; რაჲმე სიტყუაჲ, ლ. 20, 20.

მიცემითი: საუცარს **რასმე** ჰგონებდეს, მრ. 6, 49 C; უმზირდეს მას პოვნად **რასმე** სიტყუასა, ლ. 11, 54.

ეს უკანასკნელი მაგალითი იმითაა საინტერესო, რომ მსაზღვრელს მიცემითის ნიშნად მხოლოდ **ს** აქვს (რა-ს-მე), საზღვრულს კი **ს-ა** (სიტყუა-ს-ა). თავთავის რიგზე ორივე სწორია: პირველს სწორედ **სანი** უნდა, რადგან ის ნაცვალსახელია, მეორეს—**ს-ა**, რადგან ის საზოგადო არსებითი სახელია. მარტო **სანის** დაცვაში მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს **მე** ნაწილაკს, რომელიც უშლის ხელს ემფატიკური **ა** იქნეს შეტანილი შიგნით. სხვა შემთხვევებში (უნაწილაკოდ), როგორც ვნახეთ, გვაქვს ანიანი ფორმებიც (რა-ს-ა). ამიტომ მოსალოდნელი იყო **რა-სა-მე**-ც.

ნათესაობითი: რომელი-იგი **აღძრვისათჳს რაჲსმე**... შეყენებულ იყო საპყრობილესა შინა, ლ. 23, 19 C. აქაც ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, როგორც ზემოთ ვნახეთ: მსაზღვრელს **ჲს** ნიშანი აქვს, საზღვრულს—**ის-ა**. მიზეზი იგივეა. მაგრამ აქვეა ისეთი შემთხვევაც, როცა იმავე მსაზღვრელს აქვს ნათესაობითის სრული ნიშანიც: ჰსწადოდა ხილვად **რაჲსაჲმე სასწაულისა** ყოფად მისგან, ლ. 23, 8; ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა **რაჲსაჲმე** ყოფად, ი. 1, 46.

რომელიმე

რომელიმე ჩვეულებრივ ცალკე იხმარება, მაგრამ ზოგჯერ მსაზღვრელადაც გვევლინება. ის ხან საზღვრულის წინაა, ხან—მის შემდეგ. საზღვრულის წინ უმეტესად მხოლობითშია, საზღვრულის შემდეგ—მრავლობითში. ბრუნების მხრივ ის სულ ისე იბრუნვის, როგორც **რომელი** ან თვით **რომელიმე**, ცალკე მდგარი. მაგალითები:

დაბასა რომელსამე, ლ. 10, 38; ადგილსა რომელსამე, ლ. 11, 1; **რომელნიმე** მუნ **მდგომარენი** ეტყოდეს მათ, მრ. 11, 5 C; მიუგეს მას **რომელთამე მწიგნობართაგანთა**, მ. 12, 38 C; **რომელთამე** მუნ **მდგომარეთა** ესმა ესე, მ. 27, 47.

უარყოფითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად

კიდევ უფრო ნაკლებად გვხვდება მსაზღვრელად უარყოფითი ნაცვალსახელები. ესენი უფრო დამოუკიდებლად იხმარებიან. აქა-იქ მაინც გამოჩნდება ამ როლში **არავინ, არაჲ, არარაჲ**. ასეთ შემთხვევაში მათი რიგი თავისუფალია: ხან საზღვრულის წინ დგას, ხან—მის შემდეგ. ამ ნაცვალსახელების ბრუნება ისეთივეა, როგორც სათანადო კითხვითი ნაცვალსახელებისა, რომელთაგანაც არიან ნაწარმოები (**ვინ, რა**), ანდა სულ იმგვარი, როგორსაც გვიჩვენებს თვით ეს **არავინ, არაჲ, არარაჲ** დამოუკიდებლად ხმარებისას. ამიტომ აქ ორიოდე მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით.

არავინ

არავინ წინაწარმეტყუელი შეწყნარებულ არს თჳსსა სოფელსა, ლ. 4, 24; **არავინ მონამან** შეუძლის ორთა უფალთა მონებად, ლ. 16, 13 C; **არავის მონასა** ჴელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად, იქვე DE.

ზოგჯერ მსაზღვრელი გათიშულია საზღვრულისაგან სიტყვით ან სიტყვებით: ესე **არავინ** ცნა **ინაჯით-მჯდომარეთაგანმან**, ი. 13, 28.

არაჲ

არაჲ ბრალი ეპოვე ამის თანა, ლ. 23, 22 C; იოვანე **სასწაული არაჲ** ქმნა, ი. 10, 41 D. როცა ეს **არაჲ** (←არარაჲ) უშუალოდ ზმნასთან არის მოხვედრილი, ის კაცს ისეც შეუძლია გაიგოს, თითქოს უკუთქმითი ნაწილაკი იყოს: იოვანე სასწაული **არა** ქმნა, მაგრამ ამ შემთხვევაში **არაჲ**=**არარაჲ**, რაც არის კიდეც წარმოდგენილი E-ში (შდრ. ამას გარდა რუს. თარგმანი: Иоанн не сотворил никакого чуда).

ზოგჯერ გათიშულია მსაზღვრელი და საზღვრული ზმნით ან სხვა სიტყვებით: **არას** ეპოვებ **ბრალსა** კაცისა ამის თანა, 23, 4 C; მე **ბრალსა** მის თანა **არას** ეჰპოებ, ი. 19, 4 C.

არარაჲ

არარაჲ ზრუნვაჲ გიც ვისთჳსვე, მრ. 12, 14; **არარას ბრალსა** ვჰპოვებ კაცისა ამის თანა, ლ. 23, 4.

7. არსებითი სახელი მსაზღვრელად

არსებითი სახელის მსაზღვრელად შეიძლება მოგვეველინოს მეორე არსებითი სახელი. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა ნათესაობითში დასმული (მართული) არსებითი სახელი (**ძელისა** სახლი), რომელზედაც ქვემოთ სპეციალურად გვექნება საუბარი, არამედ საზღვრულთან ბრუნვაში შეთანხმებული არსებითი სახელი, რომელიც იმავე ბრუნვაში დგას, რომელშიც საზღვრული იმყოფება. ასეთ შემთხვევაში საზღვრული ჩვეულებრივ ადამიანის სახელს წარმოადგენს, ხოლო მისი მსაზღვრელი პროფესიის, თანამდებობის, წარმომავლობისა (სადაურობისა) და სხვა წოდების აღმნიშვნელი სიტყვაა, როგორიცაა, მაგალითად: მეფე (ჰეროდე მეფე), კეისარი (ნერონ კეისარი), პატრიარქი (პეტრე პატრიარქი), მღდელი (ეზრა მღდელი), ჯპატოსი (დემეტრე ჯპატოსი), წინაწარმეტყუელი (ესაია წინაწარმეტყუელი), მთავარი (მაქსიმოს მთავარი), არიმათიელი (იოსებ არიმათიელი), ნაზარეველი (იესუ ნაზარეველი) და სხვა. ასეთ სინტაქსურ წყვილებს ა. შანიძე სახელ-გვარულ **სინტაგმებს** უწოდებს[1].

რიგი ამნაირი სინტაგმებისა ჩვეულებრივ ასეთია: წინ დგას ადამიანის სახელი (საზღვრული), მას მოსდევს საზოგადო სახელი (მსაზღვრელი), მაგა-

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 89.

ლითად: ჰეროდე მეფე, ტროილე პატრიკი, ადრნერსე ჯპატოსი, მარიამ მაგდალენელი და სხვა. ეს, როგორც ცნობილია, ძველი ქართულისათვის პირდაპირ წყობად ითვლება. იშვიათად გვაქვს შებრუნებული წყობის ნიმუშებიც, მაგალითად: ჰრქუეს **მეფესა ნაბუქოდონოსორს** (დანიელ 3, 16). ბრუნების თვალსაზრისით დიდი განსხვავებაა ამ ორი წყობის სახელებს შორის და ისინი ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

პირდაპირი წყობა

როდესაც ადამიანის სახელი (საზღვრული) წინაა და მას მოსდევს საზოგადო სახელი (მსაზღვრელი), ეს უკანასკნელი იბრუნვის საერთო წესით; რაც შეეხება საზღვრულს (ადამიანის სახელს), ის ჩვეულებრივ უცვლელია ყველა ბრუნვაში, მაგალითად:

წრფ.	ჰეროდე	მეფე	მარკოზ	მახარებელ
სახ.	ჰეროდე	მეფ∅	მარკოზ	მახარებელ-ი
მოთხ.	ჰეროდე	მეფე-მან	მარკოზ	მახარებელ-მან
მიც.	ჰეროდე	მეფე-ს-ა	მარკოზ	მახარებელ-ს-ა
ნათ.	ჰეროდე	მეფ-ისა	მარკოზ	მახარებელ-ის-ა
მოქმ.	ჰეროდე	მეფ-ით-ა	მარკოზ	მახარებელ-ით-ა
ვით.	ჰეროდე	მეფე-დ	მარკოზ	მახარებელ-ად
წოდ.	ჰეროდე	მეფე-ო	მარკოზ	მახარებელ-ო

მაგრამ ამნაირი გამარტივებული ბრუნება საზღვრულისა მეორეული მოვლენა უნდა იყოს, თავიდანვე საზღვრულიც იბრუნებოდა ისე, როგორც ის დამოუკიდებლად, ცალკე აღებული იბრუნება[1]. აქ არსებითად საქმე ეხება მხოლოდ ორ ბრუნვას: მიცემითსა და ნათესაობითს. სხვა ბრუნვებს არც ცალკე ბრუნებისას ჰქონიათ ნიშანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოქმედებითსა და (უფრო ნაკლებად) ვითარებითში მათი ბრუნების მეტად იშვიათ შემთხვევებს. დანარჩენი 4 ბრუნვა (წრფ., სახ., მოთხ., წოდ.) ცალკე ბრუნებისასაც მხოლოდ ფუძის სახით იყო მოცემული, მიცემითსა და ნათესაობითში კი, როგორც ვთქვით, ადამიანის სახელს-გვარულ სინტაგმებშიც უნდა ჰქონოდა ნიშანი, მაგრამ იგი შემდეგ ჩამოსცილდა. ძველ ქართულში ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როცა ეს ბრუნვები სათანადო ნიშნებითაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს მიცემითის შესახებ: მიცემითში ბრუნვის ნიშნიანი ფორმები (ჰეროდეს მეფესა) თითქმის მეტია, ვიდრე უნიშნოები (ჰეროდე მეფესა). თქმულის მიხედვით ამნაირი საზღვრულ-მსაზღვრელის ბრუნების სქემა ასეთი იქნებოდა:

---

[1] ა. შანიძე, ძვ. ქართ. ენა, გვ. 292.

წრფ.	ჰეროდე	მეფე	მარკოზ	მახარებელ
სახ.	ჰეროდე	მეფ**ი**	მარკოზ	მახარებელ-ი
მოთხ.	ჰეროდე	მეფე-მან	მარკოზ	მახარებელ-მან
მიც.	ჰეროდე-ს	მეფე-ს-ა	მარკოზ-ს	მახარებელ-ს-ა
ნათ.	ჰეროდ**ი**ს	მეფ-ის-ა	მარკოზ-ის	მახარებელ-ის-ა
მოქმ.	ჰეროდ**ი**თ (ურთ)	მეფ-ით-ა	მარკოზ-ით	მახარებელ-ით-ა
ვით.	ჰეროდე-დ	მეფე-დ	მარკოზ-ად	მახარებელ-ად
წოდ.	ჰეროდე	მეფე-ო	მარკოზ	მახარებელ-ო

განვიხილოთ მაგალითები ცალკე ბრუნვების მიხედვით.

წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი

საზღვრულ-მსაზღვრელი წრფელობითში ერთად არ შეგვხვედრია, მაგრამ ცალ-ცალკე ორივე გვხვდება. მაგალითად, ამ წყვილიდან: **იესუ ნაზარეველი,** იესუ წრფელობითი იქნება ამ წინადადებებში: შვეს ძ**ი** და უწოდიან სახელი მისი **იესუ,** მ. 1, 21; რომელსა ჰრქჳან **იესუ,** ი. 9, 11. შდრ. რომელთაცა **მოციქულ** უწოდა, ლ. 6, 13; რომელსა ჰრქჳან **ბეთლემ,** ლ. 2, 4.

ნაზარეველი გვხვდება წრფელობითში: **ნაზარეველ** ეწოდოს, მ. 2, 23.

ასე რომ, სავსებით შესაძლებელია სახელ-გვარული სინტაგმები წრფელობითშიც მოგვეველინოს.

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი

სახელობითში მხოლოდ ერთი სახით გვევლინება ყველა ამნაირი საზღვრულ-მსაზღვრელი. საზღვრულს არ ექნება ბრუნვის ნიშანი, მსაზღვრელს ყოველთვის ექნება იგი. მაგალითები (უწ**ი**ნადადებოდ, მაგრამ ადგილის ჩვენებით): პავლე იპატოსი, კიმ. I, 82, 18; გრიგოლ მეფე, იქვე, 69, 33; ტროილე პატრიკი, იქვე, 71, 16; ნერონ კეისარი, PO, 105, 5; ანა წინაწარმეტყუელი, ლ. 2, 36; იესუ ნაზარეველი, მ. 27, 37; იოვანე ნათლის-მცემელი, მ. 3, 1; იოსებ არიმათიელი, მრ. 15, 43; იუდა ისკარიოტელი, მ. 10, 4; მათეოზ მეზუერ**ი**, მ. 10, 3; მარიამ მაგდალენელი, მ. 27, 56; ნემან ასური, ლ. 4, 27; სიმონ კანანელი, მ. 10, 4; ჰეროდე შეფ**ი**, მრ. 6, 26 და სხვა.

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი

აქაც მხოლოდ ერთი სახით შეიძლება შეგვხვდეს ჩვენთვის საინტერესო საზღვრულ-მსაზღვრელი: საზღვრულს არ ექნება ბრუნვის ნიშანი; მსაზღვრელს—კი:

ტროილე მთავარმან, კიმ. I, 70, 15; ეტჯუანე პატრიკმან, იქვე, 70, 18; აკჳლა თარგმანმან, თუალთ. 10, 1; სოფონია მღდელმან, იერ. 29, 29; ნერონ კეისარმან, PO 100, 16; ესაია წინაწარმეტყუელმან, მ. 3, 3; იოვანე ნათლის-მცემელმან, ლ. 7, 20; იუდა სკარიოტელმან, ი. 12, 4 C; მარიამ მაგდანელ-

მან, მრ. 16, 1; პეტრე პატრიარქმან, კიმ. I, 75, 33; თეოდოსი იპატოსმან, იქვე, 82, 1; ჰეროდე მეფემან, მრ. 6, 22 და სხვა.

მიცემითი

მიცემითში, როგორც აღვნიშნეთ, გვაქვს შემონახული ორივე სახეობა: ძველი (ბრუნვის ნიშნიანი) და ახალი (ნიშანმოკლეცილი).

პირველი ტიპის მაგალითებია

პავლეს მოციქულსა, კიმ. I, 104, 3; მარკოზს მახარებელსა, იქვე, 196, 9; გრიგოლს პატრიკსა, იქვე, 69, 30; პიროსს პატრიაქსა, იქვე, 71, 2; ჰართამას ამირასა, რავახ 95, 4; ნათანს წინაწარმეტყუელსა, 2 მეფ. 7, 2; დავითს მეფესა, 2 მეფ. 11, 10; სადუკს მღდელსა, 3 მეფ. 1, 32; აბიათარს მღდელსა, 3 მეფ. 2, 26; საფანს მწიგნობართ-მოძღუარსა, 4 მეფ. 22, 8; ნაბუქოდონოსორს მეფესა, 2 ეზრა 1, 48; გესამს არაბიელსა, ნეემია 2, 19; იერემიას წინაწარმეტყუელსა, იერ. 32, 2; ორმიზდს მეფესა, პარხ. 703 a; 709 a; მარიამს წინაწარმეტყუელსა, მამ. სწავ. 375; ადრნერსეს ჯპატოსსა, დემეტრეს ჯპატოსსა (მცხეთის წარწ.); ალექსანდრეს მეფესა, მოქც. (ისტ. ქრესტ. 267, 35); იესუს ნაზარეველსა ი. 18, 5, 7; იუდას სკარიოტელსა, მრ. 3, 19 C; კაიაფას მღდელთ-მოძღუარსა, ი. 18, 24 C; მათეს მეზუერესა, მრ. 3, 18 C; მარიამს მაგდანელსა, მრ. 16, 9 E; ჰეროდეს მეფესა, მრ. 6, 14 და სხვა.

როდესაც საზღვრული და მსაზღვრელი გათიშულია რაიმე სიტყვით, საზღვრულს (ადამიანის სახელს) ყოველთვის აქვს ბრუნვის ნიშანი, მას არ შეიძლება მოეკვეცოს იგი: **იესუს** ეძიებთ **ნაზარეველსა**, მრ. 16, 6. ასეთივეა აგრეთვე ამ ტიპის მაგალითებიც: **იუდას**, სიმონისსა, **ისკარიოტელსა**, ი. 13, 26.

მეორე ტიპის მაგალითებია

ეზრა მღდელსა, 2 ეზრა, 8, 19; ესაია წინაწარმეტყუელსა, მრ. 1, 2; ტრაიანოს მეფესა, კიმ. 1, 130, 36; პეტრე პატრიკსა, იქვე, 69, 12; ნაბუქოდონოსორ მეფესა, დანიელ 2, 23; ნერონ კეისარსა, PO, 107, 18; ჰეროდე მეფესა, მ. 2, 3 და სხვა.

ნათესაობითი

ნათესაობითშიც ორი საბით გვხვდება საზღვრული (ადამიანის სახელი): ბრუნვის ნიშნით და უმისოდ. პირველი შემთხვევა იშვიათად არის, მეორე— ხშირად. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

პირველი ტიპის მაგალითებია

პავლეს მოციქულისაგან, შუშ. 148, 14; ეზოსა **კაიაფას** მღდელთ-მოძღურისასა, მ. 26, 3; (დღეთა მათგან) **იოჰანეს** ნათლის-მცემელისათა, მ. 11, 12 C; (დასა) **მოსეს** წინაწარმეტყუელისასა, მამ. სწავ. 375.

როდესაც საზღვრულს თანდებული ახლავს, ცხადია, მას ბრუნვის ნიშანი ექნება:

იოვანესთჳს ნათლის-მცემელისა, მ. 17, 13; **იესუჲსთჳს** ნაზარეველისა, ლ. 24, 19; **ნაბუქოდონოსორის** ზედა მეფისა, დანიელ 4, 26.

მეორე ტიპის მაგალითებია

ესაჲა წინაწარმეტყუელისა მიერ, მ. 3, 3 C; იერემია წინაწარმეტყუელისა თქუმული, მ. 27, 9 C; უფროჲს იოვანე ნათლის-მცემელისა, მ. 11, 11; ჰეროდე მეფისა, ლ. 1, 5; პეტრე პატრიკისა, კიმ. I, 70, 8; ნათან წინაწარმეტყუელისა მიმართ, 2 მეფ. 7, 4; ორმიზდ მეფისა ზე, პარხ. 710 a; ნაბუქოდონოსორ მეფისა, იერ. 29, 3; მოსე წინაწარმეტყუელისათჳს, მამ. სწავ. 375; ნერონ კეისრისა, PO, 107, 2; აბიათარ მღდელთ-მოძღურისა ზე, მრ. 2, 26 E; აგჳსტოს კეისრისაგან, ლ. 2, 1; დანიელ წინაჲსწარმეტყუელისაგან, მ. 24, 15 C.

თქუმული იგი **ესაია** წინაწარმეტყუელისაჲ, მ. 4, 14; კეთროვნებაჲ **ნეშან** ასურისაჲ, კიმ. I, 243, 9; წიგნი იგი **იობ** მართლისაჲ, იქვე, 274, 36; ღუაწლნი **სტეფანე** პირველ-მოწამისანი, PO 75, 13.

წოდებითი

იესუ ნაზარეველო, მრ. 1, 24; ლ. 4, 34; პავლე იპატოსო, კიმ. I, 82, 20.

შებრუნებული წყობა

როცა ჯერ მსაზღვრელია წარმოდგენილი და შემდეგ საზღვრული, ამ უკანასკნელს მუდამ აქვს ბრუნვის ნიშანი იმ ბრუნვებში, რომლებშიც საერთოდ აქვს (ე. ი. ჩვეულებრივ მიცემითსა და ნათესაობითში).

ბოლოს დასმული საზღვრულის მაგალითებია: ჰურიამან ფინეზ, ურჰ. 329, 33; მეფესა ჰეროდეს, მრ. 6, 14 C; მეფესა ნაბუქოდონოსორს, დანიელ 3, 16; მეფესა ნერონს, PO, 110, 9; ნაზორეველისა იესუს თანა, მრ. 14, 67 C.

არ შეიძლება ამ წყობისას მიცემითსა და ნათესაობითს ბრუნვის ნიშანი არ ჰქონდეს (მეფესა ჰეროდე?). აქედან ცხადია, რომ როცა ეგევე წყებელი გადასმული რიგით გვხვდება და წინ დასმულ საზღვრულს ბრუნვის ნიშანი აღარ აქვს (ვთქვათ, ასე: ჰეროდე მეფესა), ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ რიგს აქვს: საზღვრული წინ რომ იყო მოქცეული, ამან განაპირობა მისთვის ბრუნვის ნიშნის მოკვეცის შესაძლებლობა; ბოლოს დასმულ საზღვრულს, როგორც ვნახეთ, არასდროს არ ეკვეცება ნიშანი.

წინ დასმული სახელი მარტო ამ შემთხვევაში არ გვიჩვენებს ასეთ თვისებას. ამნაირი ბედისაა ახალ ქართულში წინ დასმული მსაზღვრელი, რომელიც ბრუნვის ნიშნის მიღების თვალსაზრისით მეტად მოდუნებულია და რიგ ბრუნვებში (თუ მსაზღვრელი ხმოვანფუძიანია—ყველა ბრუნვაში) იკვეცს ბრუნვის ნიშნებს ან სრულად, ან ნაწილობრივ: კეთილ კაცს, კეთილ კაც-

ად... კეთილი კაცის, კეთილი კაცით... მწვანე მინდორი, მწვანე მინდორმა, მწვანე მინდორს... მწვანე მინდვრები და სხვა.

როდესაც ადამიანის სახელის მაგივრად გეოგრაფიული სახელია მოცემული, მაშინ ცოტა განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს. აქ იმდენი შეზღუდვები აღარ არის: შედარებით უფრო თავისუფალია რიგი და შედარებით მეტად არის წარმოდგენილი ბრუნვის ნიშნები სხვა ბრუნვებშიც. აქიტომაა, რომ აქ შედარებით უფრო მეტია ასეთი შემთხვევები: ქალაქად ენენწად, კიმ. I, 120, 15; მდინარესა ამას ფისონს, თუალთ. 32, 27. მეორე მხრივ, ვითარებითშიც ხშირად გვაქვს სრული შეთანხმების შემთხვევები: ანტიოქიად ქალაქად, კიმ. I, 250, 37; თეკლ. 108, 3 (ვარიანტით: ანტიოქია); ჰაილად ქალაქად, კიმ. II, 186, 2; ლუსტრად ქალაქად, თეკლ. 92, 8; ფეკად ქალაქად, 3 მეფ. 20, 30; მივიდის ფისონდ მდინარედ, სახისმეტყ. (ისტ. ქრესტ. 280, 11).

მიცემითში აქაც უფრო ხშირად აქვს ადგილი შეთანხმებას: და მოვედით პატმოს ჭალაკსა, სვან. 234 b (მაგრამ: და მოვედით პატმო ჭალაკსა, იქვე, 233 b); ტიბერიოსს სოფელსა, კიმ. I, 321, 28.

შეთანხმება გვაქვს ნათესაობითშიც: პატმოჲს ჭალაკისაჲ, სვან. 234 b.

მაგრამ აქაც ხშირია წინ დასმულ გეოგრაფიულ სახელებში ბრუნვის ნიშანთა ჩამოკვეცის შემთხვევები. მაგალითები:

ფისონ მდინარ0, თუალთ. 9, 20; ფისონ მდინარესა, იქვე, 2, 19; ფისონ მდინარისაგან, იქვე, 12, 30; ეფესო ქალაქისასა, კიმ. I, 105, 19; ანტიოქია ქალაქსა შინა, იქვე, 295, 19; კესარია ქალაქად, კიმ. II, 57, 8; სიდონ ქალაქით, იქვე, 185, 37 და სხვები. გეოგრაფიული სახელის ბოლოს გადასმის შემთხვევაში (ე. ი. შებრუნებული წყობისას), როგორც ვნახეთ, გეოგრაფიულ სახელს სათანადო ბრუნვის ნიშანი ყოველთვის აქვს დაცული: ქალაქად ემეწად, მდინარესა მას ფისონს და სხვა.

II. მართული მსაზღვრელი

მართული მსაზღვრელის სახელწოდებით ცნობილია ისეთი მსაზღვრელი, რომელიც ჩვეულებრივ არსებითი სახელით არის გამოხატული და დგას ნათესაობითს ბრუნვაში: ძელ-ისა სახლი, მზ-ისა მცხინვარებაჲ, ზეც-ისა იერუსალ0მი..., ძ0 კაც-ისა-ჲ, ძირი ხ-ისა-ჲ, საქმ0 სოფლ-ისა-ჲ.

1. მსაზღვრელის ადგილი

მართული მსაზღვრელი შეიძლება საზღვრულის წინ იდგეს (ძელ-ისა სახლი, მზ-ისა მცხინვარებაჲ, ზეც-ისა იერუსალ0მი), მაგრამ შეიძლება მოსდევდეს მას (ძ0 კაც-ისა-ჲ, ძირი ხ-ისა-ჲ, საქმ0 სოფლ-ისა-ჲ). მართული მსაზღვრელის ამ ორ სახეობას შორის ძველ ქართულში მეტად დიდი განსხვავებაა, სულ სხვანაირად იბრუნვის ერთი და სულ სხვანაირად — მეორე. ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივი და დამახასიათებელი მეორე სახეობაა, როცა მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს. ამიტომ ეს ორი შემთხვევა ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

A. მართული მსაზღვრელი წინაა

როცა მართული მსაზღვრელი საზღვრულის წინაა მოქცეული, იგი ჩვეულებრივ არ იბრუნვის, საზღვრულს არ ეთანხმება, ყველა ბრუნვაში წარმოდგენილია ფუძის სახით, რომელიც ნათესაობითი ბრუნვის სრულ ფორმას წარმოადგენს, მაგალითად:

წრფ.	ძელ-ის(ა)	სახლ	მზ-ის(ა)	მცხინვარება [1]
სახ.	ძელ-ისა	სახლ-ი	მზ-ისა	მცხინვარება-ჲ
მოთხ.	ძელ-ისა	სახლ-მან	მზ-ისა	მცხინვარება-მან
მიც.	ძელ-ისა	სახლ-ს-ა	მზ-ისა	მცხინვარება-ს-ა
ნათ.	ძელ-ისა	სახლ-ის-ა	მზ-ისა	მცხინვარებ-ის-ა
მოქმ.	ძელ-ისა	სახლ-ით-ა	მზ-ისა	მცხინვარებ-ით-ა
ვით.	ძელ-ისა	სახლ-ად	მზ-ისა	მცხინვარება-დ
წოდ.	ძელ-ისა	სახლ-ო	მზ-ისა	მცხინვარება-ო

ასეთი მსაზღვრელი არც მაშინ იცვლება, როცა საზღვრული მრავლობითს რიცხვშია:

წრფ.	—	—	--	—
სახ.	ძელ-ისა	სახლ-ნ-ი	მზ-ისა	მცხინვარება-ნ-ი
მოთხ.	ძელ-ისა	სახლ-თ-ა	მზ-ისა	მცხინვარება-თ-ა
მიც.	ძელ-ისა	სახლ-თ-ა	მზ-ისა	მცხინვარება-თ-ა
ნათ.	ძელ-ისა	სახლ-თ-ა	მზ-ისა	მცხინვარება-თ-ა
მოქმ.	ძელ-ისა	სახლ-თ-ა	მზ-ისა	მცხინვარება-თ-ა
ვით.	ძელ-ისა	სახლ-თ-ა	მზ-ისა	მცხინვარება-თ-ა
წოდ.	ძელ-ისა	სახლ-ნ-ო	მზ-ისა	მცხინვარება-ნ-ო

მსაზღვრელი, ცხადია, ებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთანაც უცვლელი დარჩება: ძელ-ისა სახლ-ებ, ძელ-ისა სახლ-ებ-ი, ძელ-ისა სახლ-ებ-მან, ძელ-ისა სახლ-ებ-ს-ა და სხვა.

საქმის ვითარება არც მაშინ იცვლება, როცა მსაზღვრელი მრავლობითის ნათესაობითში დგას. ამასთან არც აქა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რომელ რიცხვშია საზღვრული: მხოლობითში თუ მრავლობითში, მაგალითად:

---

[1] გრ. ხანძთ. ცხორ. (ისტ. ქრესტ. 248, 22).

წრფ.	ძელ-თა[1]	სახლ	—	—.
სახ.	ძელ-თა	სახლ-ი	ძელ-თა	სახლ-ნ-ი
მოთხ.	ძელ-თა	სახლ-მან	ძელ-თა	სახლ-თ-ა
მიც.	ძელ-თა	სახლ-ს-ა	ძელ-თა	სახლ-თ-ა
ნათ.	ძელ-თა	სახლ-ის-ა	ძელ-თა	სახლ-თ-ა
მოქმ.	ძელ-თა	სახლ-ით-ა	ძელ-თა	სახლ-თ-ა
ვით.	ძელ-თა	სახლ-ად	ძელ-თა	სახლ-თ-ა
წოდ.	ძელ-თა	სახლ-ო	ძელ-თა	სახლ-ნ-ო

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ სრულიად მსგავსი მდგომარეობა გვაქვს მაშინაც, თუ მსაზღვრელად აღებულია ებიანი მრავლობითის ნათესაობითი, მაგალითად:

	მხოლობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
წრფ.	ძელ-ებ-ის(ა)	სახლ	—	—
სახ.	ძელ-ებ-ისა	სახლ-ი	ძელ-ებ-ისა	სახლ-ნ-ი
მოთხ.	ძელ-ებ-ისა	სახლ-მან	ძელ-ებ-ისა	სახლ-თ-ა
მიც.	ძელ-ებ-ისა	სახლ-ს-ა	ძელ-ებ-ისა	სახლ-თ-ა
ნათ.	ძელ-ებ-ისა	სახლ-ის-ა	ძელ-ებ-ისა	სახლ-თ-ა
მოქმ.	ძელ-ებ-ისა	სახლ-ით-ა	ძელ-ებ-ისა	სახლ-თ-ა
ვით.	ძელ-ებ-ისა	სახლ-ად	ძელ-ებ-ისა	სახლ-თ-ა
წოდ.	ძელ-ებ-ისა	სახლ-ო	ძელ-ებ-ისა	სახლ-ნ-ო

აქ წარმოდგენილი ბრუნების სქემა არის ნორმა ძველი ქართულისათვის იმ შემთხვევაში, როცა მართული მსაზღვრელი საზღვრულს უსწრებს წინ. როგორც დავინახეთ, ასეთი მსაზღვრელი ჩვეულებრივ უცვლელი რჩება ყველა ბრუნვასა და ორსავე რიცხვში. აღნიშნული წესი ასევე გადმოეცა ახალ ქართულს, სადაც იგი ერთადერთ შესაძლებელ ნორმას წარმოადგენს. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ ქართულში მსაზღვრელს აღარ სჭირდება და ჩამოცილებული აქვს ემფატიკური ა მხოლობითსა და ებიან მრავლობითში, თანიან მრავლობითში კი ის ძველებურად რჩება: ხ-ის სახლი, ხ-ის სახლმა, ხ-ის სახლს, ხ-ის სახლის... ამხანაგებ-ის საქმე, ამხანაგებ-ის საქმემ, ამხანაგებ-ის საქმეს, ამხანაგებ-ის საქმის... მუშა-თა საკითხი, მუშა-თა საკითხმა, მუშა-თა საკითხს, მუშა-თა საკითხის...

ძველსა და ახალ ქართულს შორის ამ მხრივ მაინც არის განსხვავება: წინ დასმული მსაზღვრელის უცვლელად წარმოდგენა **ერთადერთი** შესაძლებელი ნორმაა ახალი ქართულისათვის, ძველ ქართულში კი იგი წარმოადგენდა **გაბატონებულ ნორმას,** მაგრამ **არა ერთადერთს.** ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშების გვერდით ჩვენ გვხვდება შემთხვევები, როცა წინ დასმული მართული მსაზღვრელი ეთანხმება ბრუნვაში მომდევნო საზღვრულს. ასეთი

[1] ძელთა სახლი და სახლი ძელთაჲ შინაარსით შეიძლება მთლად დამაკმაყოფილებელი არ იყოს, მაგრამ ფორმობლიევად უხადოა.

შეთანხმება არც თუ ისე იშვიათია და აქ რაიმე შემთხვევითობაზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ. მაგრამ მოვიყვანოთ ჯერ მაგალითები.

მხოლობითი

ნათესაობით-სახელობითი

უშჯულოებისაჲ იგი ზრახვაჲ, უდაბნ. 59 va; სულისა და **ჯორცთაჲ** არსებაჲ, მატბ. 7; **ყოველთაჲ** მეორედ შობაჲ და **მხოლოდ-შობილისაჲ** იგი ჩუენ თანა ზიარებაჲ, კიმ. I, 11, 25; **სიცოფისაჲ** ეგე ზრახვაჲ, იქვე, 133, 8; **კაცთაჲ** ნათესავი, კიმ. II, 67, 12; **მღდელისაჲ** განგებაჲ, იქვე, 168, 24; **წყალთაჲ** ბუნებაჲ, ჭილ-ეტრ. 30 v; **მოგუთაჲ** იგი თაყუანის-ცემაჲ და **მწყემსთაჲ** იგი სიხარული, უდაბნ. 50 va; **უფლისაჲ** იგი კლვაჲ, PO, 77, 18; **წმიდათაჲ** მათ განშიშულებაჲ, პარხ. 978 a; **ღმრთისაჲ** იგი სიტყუაჲ, თუალთ. 52, 32; წმიდისა **სახარებისაჲ** სიმართლ̃ე, ურჯ. 331, 25; **მჴეცთაჲ** მათ უძლები იგი მძჭნვარებაჲ, პარხ. 1206 b; **კაცთაჲ** მათ კადნიერებაჲ, იქვე, 436 b; **ხულისაჲ** იგი **სიკეთ̃ე**, იქვე, 602 a.

ნათესაობით-მოთხრობითი

ღმრთეებისამან სამჭადურმან, კიმ. I, 11, 17; **სამეუფოჲსამან** მან კაცმან, ი. 4, 49 BM.

ნათესაობით-მიცემითი

სიწმიდისაჲ მას სძესა, კიმ. I, 11, 14; **წარმართთაჲ** მას ზლაპრობასა, კიმ. II, 47, 22; **მეუფისაჲ** მას მატიანსა, აბო 200, 7; **ზეცისაჲ** ხოლო სიმდიდრესა კიმ. II, 45, 2; **სარჩელისაჲ** მას ფიცარსა, თუალთ. 5, 29 (მაგრამ შდრ. იქვე ძველი ქართულისათვის უფრო ჩვეულებრივი ფორმა: **სარჩელისა** ფიცარსა, 6, 4); **ცხორებისაჲ** მას გზასა, ჭილ-ეტრ. 111, 10; წინაჲსწარ **შესუენებისაჲ** მას აღსასრულსა, ზირაქ 46, 22; **მჴეცთაჲ** მას ხილვასა, პარხ. 1206 b; **წამებისაჲ** მას სიკუდილსა, იქვე, 1207; **შესაწირავთაჲ** მას განსუენებასა, სვან. 28 b; **ღმრთის-მსახურ̃ებისაჲ** მას სრბასა, პარხ. 448 a; **სპილენძისაჲ** მას ჯარსა, იქვე, 577 a.

ზოგჯერ მსაზღვრელი და საზღვრული გათიშულია. შეთანხმება, რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში მით უმეტეს არის მოსალოდნელი და გვაქვს კიდეც: **ეშმაკთაჲ** სძლეთ **სიმრავლესაჲ**, **ანგელოზთაჲ** მიეწიფენით **კრებულსაჲ**, ჭილ-ეტრ. 10.

შეთანხმებას ადგილი აქვს მრავლობითშიც: **სიმჴნისაჲნი** იგი შრომანი, **საწუალობელისაჲნი** იგი ჴმანი სინანულისანი, უდაბნ. 59 va; **ზეცისაჲნი** სულნი, პარხ. 15 a; **კაცისაჲნი** წინა-კერძონი მისნი ჴელ არიან, მატბ. 21 a; **რკინისაჲნი** საჯივნი, იერ. 28, 13; **ზღჳსაჲნი** იგი ღელვანი, სვან. 333 a; **კეთილისათა** მათ ბრძანებათა უფლისათა, კიმ. I, 168, 26.

საკუთარი (ადამიანთა) სახელებიც კი მისდევენ ამ წესს: **გაბრიელისი** იგი ხარებაჲ, უდაბნ. 50 va; **იესუჲსი** ხილვაჲ, ი. 12, 21; **ოროგინ̃სი** იგი მედგარი სარწმუნოებაჲ, კიმ. II, 211, 9; **ქრისტ̃სი** ივი თავს-დებაჲ, აბო

190, 25; **დავითისი** კაცი, იერ. 33, 17; **დანიელისი** იგი თქუმული, თუალთ. 50, 12; **პეტრ©სი** განსლვაჲ, PO, 100, 16; **პავლ©სი** თავისა მოკუეთაჲ, იქვე, 105, 12; **იუდაჲსი.** უბადრუკებაჲ, ჭილ-ეტრ. 155; **იოვან©სსა** ჴელის-დადებასა, კიმ. I, 11, 22; **ანაჲსსა** და **კაიაფაჲსსა** მღდელთ-მოძღურებასა, ისტ. ქრესტ. 290, 3; **დანიელისსა** და მოყუასთა მისთა მოკლვასა, დანიელ 2, 13; **ესაიაჲსსა** ბას განხერხვასა, სვან. 334 ხ (მაგრამ იქვე: **იერემიჲს** ქვისა დაკრებასა და **ზაქარიაჲს** ტაძარსა შინა შესლვასა); **პეტრეჲსნი** ცრემლნი, ჭილ-ეტრ. 151.

თუ ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელს ახლავს ატრიბუტული მსაზღვრელი (ჩვეულებრივ კუთვნილებითი ნაცვალსახელი), სათანადო ბრუნვის ნიშანს ეს უკანასკნელი დაირთავს: სახიერებისაჲ იგი ღმრთისა **ჩუენისაჲ** კრძალულებაჲ, კიმ. I, 198, 25; მამათა **ჩუენთაჲ** განბნევაჲ, კიმ. II, 216, 14; კაცთა **ჩემთაჲ** სული სულნელებისაჲ, პარხ. 616 ხ.

რატომ ეთანხმება წინ დასმული მართული მსაზღვრელი მომდევნო საზღვრულს? ეს შემდეგ შეძენილი თვისებაა, თუ ძველი ვითარების ნაშთია? უნდა იყოს მეორე. უფრო ძველად მართული მსაზღვრელი ორივე შემთხვევა'ი (წინ მდგარი და მომდევნო) ეთანხმებოდა საზღვრულს ერთნაირად. ეს სდებოდა სწორედ ისე, როგორც ატრიბუტული მსაზღვრელი ორივე შემთხვევაში ეთანხმებოდა თავის საზღვრულს (ნაყოფი კეთილი, კეთილი ნაყოფი). მაგრამ წინ დასმული მართული მსაზღვრელი ადრევე მოდუნდა, თანდათან დაკარგა მომდევნო საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმების უნარი და ფუძის სახით გაქვავდა (ახალ ფუძედ ნათესაობითის ფორმა იყო გამოყენებული). ეს მოხდა ძველ ქართულამდე. ძველ ქართულში ეს გაქვაებული მსაზღვრელი უკვე ნორმადაა ქცეული.

ატრიბუტულმა მსაზღვრელმა შეთანხმების ძალა კიდევ დიდხანს შეინარჩუნა და სავსებით დაკარგული დღესაც არა აქვს (მხედველობაში გვაქვს თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი).

გამოდის, რომ ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშები, სადაც წინ დასმული მართული მსაზღვრელი ეთანხმება მომდევნო საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში, ძველის გადმონაშთია. ასეთ მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნები **შეძენილი** კი არა აქვს, **შენარჩუნებული** აქვს.

აღსანიშნავია, რომ ეს ძველი მდგომარეობა ძველ ქართულში უფრო მეტად მაშინ არის დაცული, როცა წინ დასმული მართული მსაზღვრელი და მოსდევნო საზღვრული რაიმე სიტყვით (ან სიტყვებით) არის გათიშული. ამ შემთხვევაში უფრო მეტად იგრძნობა ბრუნვის ნიშანთა შენარჩუნების საჭიროება[1]. მსაზღვრელ-საზღვრულს ყველაზე ხშირად თიშავს ნაწევარი, მერმე კავშირი, სხვა, მეორე მსაზღვრელი, ზოგჯერ ზმნაც. შდრ. მაგალითად: სოფლისაჲ **ეგე** ზრახვაჲ, სამეუფოჲსამან **მან** კაცმან, სიწმიდისასა **მას** სძესა, ზეცისასა **ხოლო** სიმდიდრესა და სხვა.

---

[1] ლ. კიკნაძე, მართული მსაზღვრელის საზღვრულთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 45, 1951, გვ. 205.

ზმნით გათიშული მსაზღვრელ-საზღვრულია: ღმრთის-მეტყუელებისასა შესწირვენ გალობასა, ჰილ-ეტრ. 106 v; ერთისა მხოლოდასასა აღვიარებთ ენებასა და სასწაულთა, კიმ. I, 14, 4[1].

მაგრამ შეცთომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ წინ დასმული მართული მსაზღვრელის მეთანხმება მომდევნო საზღვრულთან მხოლოდ ამ გათიშვის გამო იყოს გამოწვეული. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ აუხსნელი დარჩებოდა ისეთი შემთხვევები, როცა მსაზღვრელ-საზღვრულს შორის გამთიშველი არაფერია, მაგრამ შეთანხმებას კი მაინც აქვს ადგილი: წყალთაჲ ბუნებაჲ, მღდელისაჲ განგებაჲ, ზეცისანი სულნი და სხვა. გამთიშველი სიტყვები ხელს უწყობს შეთანხმების შენარჩუნებას და არა იწვევს ამ შეთანხმებას.

B. მართული მსაზღვრელი ბოლოსაა

ძველ ქართულში, როგორც აღვნიშნეთ, მართული მსაზღვრელი ჩვეულებრივ საზღვრულის შემდეგაა წარმოდგენილი. ასეთ მსაზღვრელს სამეცნიერო ლიტერატურაში ნანათესაობითარ მსაზღვრელს, ან ნაგენეტივარ მსაზღვრელს ეძახიან. როგორც ეს სახელწოდებანი უჩვენებენ, მართული (ნანათესაობითარი, ნაგენეტივარი) მსაზღვრელის ფუძედ სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა აღებული და წინამავალ საზღვრულთან ერთად ის ისევ, მეორედ იბრუნება: სახლ-ი ძელ-ისა-ჲ, სახლ-მან ძელ-ისა-მან, სახლსა ძელ-ისა-სა და სხვა.

ასეთ ბრუნებას ორმაგი ბრუნება ჰქვია, ცალკეული ბრუნვის ფორმას კი—ორმაგი ბრუნვის ფორმა[2]. ჩვენ ამ ორმაგ ბრუნებაზე დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ.

2. ორმაგი ბრუნება

ორმაგი ბრუნების მსაზღვრელი რთული ბუნებისაა: ერთი მხრივ, იგი მართულია საზღვრულის მიერ და ამიტომ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას გვიჩვენებს: სახლ-ი ძელ-ისა-ჲ; მეორე მხრივ, იგი იმავე საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში ეთანხმება: სახლ-მან ძელ-ისა-მან, სახლ-სა ძელ-ისა-სა, სახლ-ნ-ი ძელ-ისა-ნ-ი, სახლ-თ-ა ძელ-ისა-თ-ა. ამიტომ მას მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელსაც უწოდებენ. ამრიგად, როცა ლაპარაკია ნანათესაობითარი, ნაგენეტივარი, მართულ-შეთანხმებული თუ ორმაგი ბრუნების მსაზღვრელის შესახებ, ყველგან მხედველობაში აქვთ ერთი და იგივე შორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა: ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი, რომელიც საზღვრულს მოსდევს და ხელახლა იბრუნვის, როგორიცაა ზემოთ ნაჩვენები სახლ-ი ძელ-ისა-ჲ, სახლ-მან ძელ-ისა-მან, სახლ-სა ძელ-ისა-სა და სხვა.

---

[1] ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეთანხმება ახალ ქართულშიც გვაქვს: სიყვარულისას დაესწნავ გვირგვინსა (ა. შანიძე, გრამატ. საუუძვ. გვ. 93).

[2] ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, გვ. 292. თ. ჟორდანია მას ორკეც ბრუნებას უწოდებს (თ. ჟორდანია, ქართული გრამმატიკა, 1889. გვ. 160).

რაკი ძელ-ისა-ჲ, ძელ-ისა-მან, ძელ-ისა-სა და სხვა ორმაგი ბრუნვის ფორმებია, შეუძლებელია ამათი ბრუნვის დასახელება ერთი სიტყვით, ერთი ბრუნვით ამოიწუროს. **ძელ-ისა-ჲ** არ არის მარტო სახელობითის ფორმა (სახელობითის ფორმაა **ძელ-ი**), მაგრამ იგი არც მარტო ნათესაობითის ფორმაა (ნათესაობითის ფორმა იქნება **ძელ-ისა**). ამრიგად, განმარტება, რომ **ძელ-ისა-ჲ** სახელობითია, ან ნათესაობითია, **ნაწილობრივ** არის მხოლოდ სწორი, ნაწილობრივ კი შემცთარია; ყოველ შემთხვევაში, იგი ამომწურავი არ არის. ამიტომ **ორმაგი** ბრუნების ყოველი ფორმის კვალიფიკაცია **ორი** ბრუნვის დასახელებით უნდა ხდებოდეს. ამ გაგებით, **ძელ-ისა-ჲ** ნათესაობით-სახელობითია, **ძელ-ისა-მან**—ნათესაობით-მოთხრობითი, **ძელ-ისა-ხა**,—ნათესაობით-მიცემითი და ა. შ. ნათესაობითის ფორმა აქ მართვის შედეგადაა მიღებული, სახელობითისა (მოთხრობითისა, მიცემითისა და ა. შ.)—შეთანხმების შედეგად. ორმაგი ბრუნებისას პირველად ყოველთვის ნათესაობითის ნიშანია მოცემული, შემდეგ — სახელობითისა (მოთხრობითისა, მიცემითისა და ა. შ.): **ძელ-ი სახლ-ისა-ჲ, ძელ-მან სახლ-ისა-მან, ძელ-სა სახლ-ისა-სა** და ა. შ. ამიტომ ამ ფორმებს უნდა ეწოდოს ნათესაობით-სახელობითი, ნათესაობით-მოთხრობითი, ნათესაობით-მიცემითი და ა. შ. (და არა სახელობით-ნათესაობითი და ა. შ.).

სახელის ორმაგად ბრუნებისას უნდა გავარჩიოთ 4 შემთხვევა:

I. როცა საზღვრულიცა და მსაზღვრელიც მხოლობითს რიცხვში დგას (**სახლ-ი ძელ-ისა-ჲ**);

II. როცა საზღვრული მრავლობითშია, მსაზღვრელი კი—მხოლობითში (**სახლ-ნ-ი ძელ-ისა-ნ-ი**);

III. როცა საზღვრული მხოლობითშია, მსაზღვრელი კი—მრავლობითში (**სახლ-ი ძელთა-ჲ**);

IV. როცა საზღვრულიცა და მსაზღვრელიც მრავლობითშია (**სახლ-ნ-ი ძელ-თა-ნ-ი**)[1].

წარმოვადგინოთ ჯერ ორმაგი ბრუნების საერთო სქემა ოთხივე შენთხვევისათვის და შემდეგ შევეხოთ კერძოობითს საკითხებს. მაგალითად ავიღოთ იგივე „სახლი ძელისაჲ“ (=ხის სახლი. „ძელი“ ხეს ერქვა ძველად).

	I		II	
წრფ.	სახლ	ძელ-ის(ა)	—	—
სახ.	სახლ-ი	ძელ-ისა-ჲ	სახლ-ნ-ი	ძელ-ისა-ნ-ი
მოთხ.	სახლ-მან	ძელ-ისა-მან	სახლ-თ-ა	ძელ-ისა-თ-ა
მიც.	სახლ-ს-ა	ძელ-ისა-ს-ა	სახლ-თ-ჳ	ძელ-ისა-თ-ა
ნათ.	სახლ-ის-ა	ძელ-ისა-ჲსა ‖ ძელ-ისა	სახლ-თ-ა	ძელ-ისა-თ-ა
შოქმ.	სახლ-ით-ა	ძელ-ისა-ჲთ-ა	სახლ-თ-ა	ძელ-ისა-თ-ა
ვით.	სახლ-ად	ძელ-ისა-(დ)	სახლ-თ-ა	ძელ-ისა-თ-ა
წოდ.	სახლ-ო	ძელ-ისა-ო	სახლ-ნ-ო	ძელ-ისა-ნ-ო

[1] ნ. მ ა რ ს ოთხივე ეს შემთხვევა ჰქონდა გათვალისწინებული (ცოტა სხვა რიგით): Грамм. გვ. 66—67. შდრ. ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 206.

	III		IV	
წრფ.	სახლ	ძელ-თა	—	—
სახ.	სახლ-ი	ძელ-თა-ჲ	სახლ-ნ-ი	ძელ-თა-ნ-ი
მოთხ.	სახლ-მან	ძელ-თა-მან	სახლ-თ-ა	ძელ-თა-მან
მიც.	სახლ-ს-ა	ძელ-თა-ს-ა	სახლ-თ-ა	ძელ-თა-ს-ა
ნათ.	სახლ-ის-ა	ძელ-თა-ჲს-ა	სახლ-თ-ა	ძელ-თა-ჲს-ა
მოქმ.	სახლ-ით-ა	ძელ-თა-ჲთ-ა	სახლ-თ-ა	ძელ-თა-ჲთ-ა
ვით.	სახლ-ად	ძელ-თა-(დ)	სახლ-თ-ა	ძელ-თა
წოდ.	სახლ-ო	ძელ-თა-ო	სახლ-ნ-ო	ძელ-თა-ნ-ო

სქემაში წარმოდგენილი ფორმების შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

I შემთხვევა

1. ნათესაობით-წრფელობითის ფორმა ძველ ქართულში ორი სახით გვხვდება: (სახლ) ძელ-ის და (სახლ) ძელ-ის-ა. საკითხი ემფატიკური ა-ს ქონება-არქონებას ეხება მხოლოდ. ნათესაობითის მარტივნიშნიანი სახეობა (ძელ-ის) უფრო ძველია და თავდაპირველად მხოლოდ ეს ტიპი უნდა გვქონოდა. ემფატიკური ა, როგორც ვნახეთ, განსაზღვრული ნაწევრისაგანაა (resp. ჩვენებითი ნაცვალსახელისაგანაა) მიღებული, ხოლო იგი (განსაზღვ. ნაწევ.) წრფელობითი ბრუნვის ფორმასთან სრულებით შეუთავსებელია: წრფელობითი სწორედ რომ განუსაზღვრელობითი ბრუნვაა (თუ შეიძლება ასე ითქვას), მას ბრუნვის ნიშანი არა აქვს, მას არ შეიძლებოდა დაჰრთოდა ეს ემფატიკური ა. ნ. მარი ტყუილად არ ეძახოდა მას неоформленный падеж-ს. ემფატიკური ა-ს დართვა გვიან მოხდა, ეს მას შემდეგ შეიქნა შესაძლებელი, რაც თანდათანობით იწყო წრფელობითმა დაკნინება, რაც ნელნელა. ნაგრამ თანამიმდევრობით შეიკვეცა მისი ფუნქციები, შესუსტდა მისი ხმარების არე და მას სხვა ბრუნვები შეეცილა. ა-ს შეჭრას წრფელობითის ფორმაში ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ იგი ყველა ბრუნვაში გვქონდა, გარდა წრფელობითისა, და უნიფიკაციის საერთო პრინციპის გამო იგი აქაც უნდა დამკვიდრებულიყო. ერთი სიტყვით, ემფატიკურანიანი ფორმები უფრო გვიანდელი ხანისაა და თავდაპირველად მხოლოდ მარტივნიშნიანი საეობა გვქონდა. ძველ ქართულში, როგორც ვთქვით, ერთიცა გვაქვს და მეორეც.

თუმცა ნ. მარს არსებით სახელთა ბრუნების პარადიგმებში წრფელობითი ბრუნვა შეტანილი აქვს ყველგან, მაგრამ აქ, ორმაგი ბრუნებისას ამ ბრუნვას ვერ ვხედავთ[1]. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ბრუნვაზე ხელის აღებას მას აქ თითქოს სათანადო მაგალითების სიმცირე ავალებდა: მსგავსი ნიმუშები ძველ ქართულში ბევრია.

დავიმოწმოთ ზოგიერთი მაგალითი.

---

[1] Грамм., გვ. 66—67.

ა) მარტივნიშნიანი (ტიპი: „სახლ ძელ-ის“)

ესე იყოს დიდ და ძე მაღლის ეწოდოს, ლ. 1, 32; შობილსა მას წმიდა ეწოდოს. ძე ღმრთის, ლ. 1, 35; რაჲთა ძე ნათლის იყვნეთ, ი. 12, 36; მარცუალ მდოგჳს ეწოდა, აბო 183, 12; მზე სიმართლის ეწოდა, იქვე, 183, 26; და რომელიმე სახილაი მოძღუარ კეთილის ექმნის, ხანძთ. 111, 36; ექმენ... ენა მეცნიერების, ნოქც. 85, 13; და არღარა იყვნენ მერმე... საწერტელ სიმწარის და ეკალ სალმობის გარემოთაგან მათთა, ეზეკ. 28, 24. ასეთივეა აგრეთვე: გჳრგჳნ სიკეთის, ყუავილ ველის, ღელე გლოვის, ლეკუ ლომის, სახლ ნაყოფიერების და მრავალი სხვა.

ბ) გავრცობილნიშნიანი (ტიპი: „სახლ ძელ-ისა“)

რაჲთა იყვნეთ შვილ ნათლისა, არიმ. 3, 6. ეს იგივე მაგალითია, რაც ზემოთაა დაწერილი: რაჲთა ძე ნათლის იყვნეთ (ი. 12, 36), ოღონდ აქ შვილ არის ნახმარი ძე-ს ნაცვლად. აქ მთავარია არა ეს, არამედ ის, რომ ნათლისა უკვე ემფატიკური ა-თი გაუვრციათ. სხვა მაგალითები: იქმნების იგი სუეტ ჰეშმარიტებისა, თარგმ. გამოცხ. 3, 12; არამედ იქმნის იგი ჰურ დაჴსნილობისა და ჰურჩერ მცონარობისა, მამ. სწავ. 331; ნაშობ ღმრთისა წოდებისაჲ, სას. პოეზ. 272, 404 (შდრ. რამეთუ იგინი ნაშობ ღმრთის იწოდნენ, მ. 5, 9) და სხვა.

2. ნათესაობით-ნათესაობითიც (ორმაგი ნათესაობითი) ორი სახით გვაქვს დაცული ძველ ქართულში: (სახლ-ის-ა) ძელ-ისა-ჲს-ა და (სახლ-ის-ა) ძელ-ის-ა. პირველ შემთხვევაში მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს და აქვს ახალ ფუძეზე დართული ნათესაობითის ნიშანი ჲს-ა (მსაზღვრელის ახალი ფუძე ძელისა მიდის როგორც უკვეცელი სახელი, ამიტომაა ბრუნვის ნიშნად ჲს-ა და არა ის-ა). მეორე შემთხვევაში ეს შეთანხმება აღარ გვაქვს, ბრუნვის ნიშანი ჲს-ა ჩამოკვეცილია და მსაზღვრელის ფორმა ახალ ფუძეს ემთავსება. რასაკვირველია, ამ ორი ფორმიდან პირველადელი და, მაშასადამე, უფრო ძველი პირველია, მეორე გამარტივებული სახეა პირველისა, აქ, როგორც ვთქვით, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ჲს-ა ჩამოკვეცილი აქვს მსაზღვრელს. ბრუნვის ნიშნის ჩამოკვეცის მიზეზი ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთ ჩამოკვეცას მხოლოდ ნათესაობითში აქვს ადგილი (ცოტა სხვაგვარი მდგომარეობაა ვითარებითში, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი). რაღა მაინცადამაინც ნათესაობითში ეკვეცება მსაზღვრელს ბრუნვის ნიშანი? რა აქვს ნათესაობითს ისეთი, რომელიც ხელს უწყობს ჲს-ა-ს ჩამოკვეცას? ეს არის ნათესაობითის ახალი ფუძე ძელისა, რომელიც, თავის მხრივ, ნათესაობითი ბრუნვის სრულ ფორმას წარმოადგენს. ეს ახალი ფუძე აღქმულია როგორც ნათესაობითის ფორმა, ფუძისეული ის-ა საკმარისადაა მიჩნეული ორმაგი ნათესაობითის გასაფორმებლად და ჲს-ა-ს დართვა აღარ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. მოკლედ რომ მოვჭრათ, რადგანაც ნათესაობითი ბრუნვის ერთი ნიშანი უკვე არის მსაზღვრელში (ძელ-

ისა), მეორე ნიშნის დართვა შემდეგ და შემდეგ აღარაა აუცილებელი[1]. აი ამიტომაა, რომ ასეთი ორი სახით გვაქვს მოცემული ორმაგი ნათესაობითის ფორმა. უფრო ძველ ძეგლებში პირვანდელი, სრული ფორმები სჭარბობს (ძელ-ისა-ჲსა), შედარებით გვიანდელებში—გამარტივებული ფორმები (ძელ-ისა). ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც ჩვენთვის საინტერესო სიტყვის საზღვრული უთანდებულოც შეიძლება იყოს (უფრო ნაკლებად) და თანდებულიანიც (უფრო მეტად). თანდებულად ამ შეხთხვევაში გვხვდება **გან, თჳს, მიერ, ებრ, მიმართ** და სხვა. დავიმოწმოთ მაგალითები.

A. ორმაგ ნათესაობითს ჲსა დაბოლოება აქვს

ა) უთანდებულო საზღვრულთან

მიგეც თქუენ ჴელმწიფებაჲ... დათრგუნვად ძალისა **მტერისაჲსა**, თუალთ. 60, 15; წარმოღებად მიერ კიდობნისა მის **წმჳდისაჲსა**, 2 Ეფ. 6, 2; მოსლვადმდე ძისა **კაცისაჲსა**, მ. 10, 23 C; მოსლვადმდე დღისა მის **უფლისაჲსა**, მოც. 2, 20 და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ყველა აქ მოყვანილი ნაგალითი ერთი ტიპისაა: ნათესაობითის ფორმით წარმოდგენილი საზღვრული ახლავს ვითარებითს ბრუნვაში დასმულ საწყისს: **დათრგუნვად** ძალისა, **წარმოღებად** კიდობნისა, **მოსლვადმდე** ძისა...

ბ) თანდებულიან საზღვრულთან

თანდებული შეიძლება დაერთოს როგორც საზღვრულს, ისე მსაზღვრელსაც.

ურვისათჳს მის **ერისაჲსა**, თუალთ. 51, 19; სისხლისაგან ამის **მართლისაჲსა**, მ. 27, 24 C; ძისა **კაცისაჲსათჳს**, მ. 12, 32 C. DE-ში ეს მაგალითი ცალმაგი ნათესაობითით არის გადმოცემული; აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ თანდებული საზღვრულს ახლავს: ძისათჳს **კაცისა**. ასეთსავე განსხვავებას გვიჩვენებენ ჩვენ ეს ხელნაწერები სხვაგანაც. ამასთანავე, წითელი ხოლიოთ არის გატარებული ის თავისებურება, რომ ადიშის ხელნაწერს უფრო ძველი ვითარებისათვის დამახასიათებელი ფორმები აქვს დაცული—ორმაგი ნათესაობითი, ჯრუჭისა და პარხლისას კი ახალი ფორმები აქვს მოცემული—ცალმაგი ნათესაობითი. ამის პარალელური ნიმუშებია:

ცხორებისათჳს **სოფლისაჲსა**, ი. 6, 51 C, მაგრამ:... **სოფლისა** DE; დიდებისათჳს **ღმრთისაჲსა**, ი. 11, 4 C, მაგრამ:... **ღმრთისა** DE; კარისა ზისგან **საფლავისაჲსა**, ი. 20, 1 C, მაგრამ:... **საფლავისა** DE; კარისა მისგან **სამარისაჲსა**, მრ. 16, 3 C, მაგრამ:... **საფლავისა** DE; ტაბლისაგან მის

[1] სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 25, 1943, გვ. 186; ა. კიზირია, ნათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობისათვის საზღვრულთან: იბერ.—კავკ. I, 1946, გვ. 336: ლ. კიკნაძე, მართული მსაზღვრელის საზღვრულთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 45, 1951, გვ. 207.

ნდიდრისაჲსა, ლ. 16, 21 C, მაგრამ: ...**მდიდრისა** DE; პირისაგან **ღმრთისაჲსა**, მ. 4, 4 C, მაგრამ: ...**ღმრთისა** D;[1] თუნიერად სიტყჳსა **სიძჳსაჲსა**, მ. 5, 32 C, მაგრამ: ...**სიძჳსა** DE.

სხვა მაგალითები კიდევ: სახლისა მისგან **კორთებისაჲსა**, 3 მეფ. 9, 9; რაჲსა მკითხავთ მე იესუჲსთჳს, **ძისა კაცისაჲსა**; ისტ. ქრესტ. 288, 30; წინაშე ერისა მის **ქუეყანისაჲსა**, დაბ. 23, 12; ყოვლისაგან ხისა **სამოთხისაჲსა**, დაბ. 3, 1 ლაგ.; სასუფეველისათჳს **ღმრთისაჲსა**, მოც. 19, 8 (მერმინდელ რედაქციებში: ...**ღმრთისა**); კრულებისა მისგან **ცოდვისაჲსა**, კიმ. I, 305, 1; ჴსნისათჳს **სოფლისაჲსა**, იქვე, 134, 21; მოქმედისა მისთჳს **წარსაწყმედელისაჲსა**, იქვე, 135, 37.

B. ორმაგ ნათესაობითს ჲს-ჲ დაბოლოება ჩამოკვეცილა აქვს

რამდენიმე მაგალითი ზემორე განხილულ საკითხთან დაკავშირებით იყო მოყვანილი. სხვებს აქ ვუჩვენებთ შერჩევით:

სიტყჳსა მისგან **წინაწარმეტყუელისა**, მამ. სწავ. 382 (=წინაწარმეტყუელისაჲსა); წინაშე უფლისა ყოვლისა **ქუეყანისა**, გამოცხ. 11, 8 (=ქუეყანისაჲსა); უფროჲს ქჳშისა **ზღჳსა** განმრავლდენ, თარგმ. გამოცხ. 7, 10 (=ზღჳსაჲსა). ორი უკანასკნელი მაგალითი ექვთიმე მთაწმიდლის თარგმანიდანაა აღებული. ექვთიმესათვის ამნაირი სიახლის ელემენტები, ფორმების გამარტივება საერთოდ, მეტად დამახასიათებელი თვისებაა. მასვე ეკუთვნის ეს ორი მაგალითიც: ღჳნისაგან სიძჳსა **მისისა**, თარგმ. გამოცხ. 18, 3 და: ღჳნისა მისგან სიძჳსა **მისისა**. იქვე, 17, 2. ორსავე მაგალითში ორმაგ ნათესაობითს მოსდევს ატრიბუტული მსაზღვრელი (კუთვნილებითი ნაცვალსახელი), რომელსაც უნდა დაჰრთოდა საზღვრულთან შესათანხმებლად ჲს-ჲ (მისისაჲსა), მაგრამ იგი ორსავე შემთხვევაში მოკვეცილია.

სხვა მაგალითები კიდევ: მსგავსად სიტყჳსა **საბარგებისა**, ლიტ. ურთ. 129, 17; პირისაგან მის **ჯურღმულისა**, დაბ. 29, 3; მოკლვისა მისგან **უცხო-თესლისა**, 1 მეფ. 17, 53 ლაგ.; ნაყოფისა მისგან **ხისა**, იქვე, 3, 3; სიმრავლისათჳს **მახჳლისა**, ესაია 21, 15 (=მახჳლისაჲსა; შდრ. იქვე: სიმრავლისათჳს **მეცთომილთაჲსა**).

ბ. ნათესაობით-ვითარებითის ფორმას შემთხვევათა უმრავლესობაში ჩამოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი **დ** და დარჩენილი **ძელ-ისა** არ განსხვავდება სუფთა ნათესაობითის, ან გამარტივებული ორმაგი ნათესაობითის ფორმებისაგან. მაგრამ რომ აქ **დ** უნდა გვქონოდა და იგი შემდეგ დაიკარგა, ჩანს შემდეგიდან:

ა) ბევრ შემთხვევაში **დ** ჯერ კიდევ დგას თავის ადგილას: წყაროდ **ზღჳსად**, იობ 38, 16 ლაგ. „წყაროდ ზღჳსად“ უფრო გავრცელებული სახით იქნებოდა „წყაროდ **ზღჳსა**“. შეუძლებელია, რასაკვირველია, ვიფიქროთ, რომ **დ** აქ არ იყო და მერმე დაეძატა სხვა ფორმების ანალოგიითო.

[1] E-ს ეს ადგილი აკლია.

დ გვაქვს სწორედ უფრო ძველი ძეგლების ენაში და ის თანდათან ჰრება და ისპობა გვიანდელ ტექსტებში. ახალ ქართულში ის აღარსად არ შეგვრჩა.

ბ) თუ ნათესაობით-ვითარებითის ფორმად ადამიანის სახელია მოცემული, იგი ჩვეულებრივ ამ სახით არის წარმოდგენილი: შვილად **აბრაჰამისა** (მ. 3, 9), სადაც უკანასკნელი ა არის ვითარებითის ად ნიშნის ნაწილი, დონი დაკარგულია ჩვეულებრივ. სხვა დანიშნულება ამ ა-ს ვერ ექნება[1].

ამნაირად, ნათესაობით-ვითარებითის ფორმაშიც ძველად მსაზღვრელი უთანხმდებოდა საზღვრულს და ბრუნვის ნიშნად დონი გვქონდა (ზღჳსა ორმაგი ბრუნებისას ხმოვანფუძიან სახელად მიდის), მაგრამ შემდეგ და შემდეგ ეს დონი ჩამოსცილდა, ფორმა გამარტივდა და ძველ ქართულში ამ გამარტივებულ ფორმას უკვე გაბატონებული მდგომარეობა აქვს.

აქ დავიმოწმებთ ნათესაობით-ვითარებითის ორივე სახეობის მაგალითებს, გამარტივებულ ფორმებს მცირე რაოდენობით, დონიანებს — შედარებით სრულად.

A. ნათესაობით-ვითარებითის დ ნიშნიანი ფორმები

ვამად **დაწესებისად**, იობ 12, 5 ლაგ. (ოშკის ხელნაწერში ეს სიტყვა ატრიბუტულ მსაზღვრელად არის წარმოდგენილი: ჟამად **დაწესებულად**); დღედ **წარწყმედისად**, იობ 21, 30 ლაგ.; სამკაულად **ოქროჲსა**, სამოსლად **დიდებისად**, ზირაქ 6, 30; სახიდ **საფქველისად**, იერ. 52, 11; ჟამად **ლხინებისად**, იერ. 8, 15; ძონძად **წიდჳვნისად**, მამ. სწავ. 209; ძედ **უცხოჲსად**, უდაბნ. 77 va; ხატად **მოწუცებულისად**, პარხ. 22 g; სიტყუად **სიმართლისად**, ჰილ-ეტრ. 228 v; მზედ **სიმართლისად**, იქვე, 124; ძედ **ღმრთისად**, იქვე, 134; სას. პოეზ. 244, 112; ევსტ. 171, 6; ლიტ. ურთ. 169, 18; ი. ჯავ. აღწ. 193, 17; მიმცემელად **მაცხოვრისად**, ჰილ-ეტრ. 152; ბჭედ **ზეცისად**, იქვე, 215; ნაყოფად **კურთხევისად**, აბო 202, 10; მტერად **მეუფისად**, ლიტ. ურთ. 172, 28; ღრუბლად **ნათლისად**, ი. ჯავ. აღწ. 150, 29; შვილად **ღმრთისად**, იქვე, 153, 6; კუერთხად **რკინისად**, იქვე, 177, 41; სულად **სულნელებისად**, ლევიტ. 3, 11; ლიტ. ურთ. 6, 19; სახლად **მწუხარებისად**, წარტყ. 4, 26; შეკრებად **ბერძენთა ლაშქრისად**, იქვე, 15, 8; გზად **უდაბნოჲსად**, იერ. 39, 4; კიდემდე **ცისად**, მრ. 13, 27 C; სიბორგილად **უგუნურებისად**, კომ. I, 190, 4; ძედ **შობილისად**, სვან. 380 b; ძედ **კაცისად** და ძედ ღმრთისა (!), იქვე,

---

[1] ს ტ. ჰ ე ნ ქ ე ლ ი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 25, 1943, გვ. 186; ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, მართული მსაზღვრელის სახღვრულთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში: თბილ. ჳნივ. შრომები, ტ. 45, 1951, გვ. 207.

უფრო ნაკლებადაა დასაჯერებელი, რომ ფორმაში ზღჳსად (წყაროდ ზღჳსად) მხოლოდ ა იყოს ვითარებითი ბრუნვის ნიშანი და დ მერმე იყოს დართული ანალოგიით: ასეთი დაშვება, სხვა რომ არა იყოს რა, ძალიან გვიახლოვებს ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ა-ს გამოყენების ეპოქას, რაც არ შეეფერება საქმის ნამდვილ ვითარებას.

264 b; სახედ კიბისად, იქვე, 309 b; ნაშობად იქედნისად, იქვე, 360 a; მიწად სიკუდილისად, ფსალმ. 21, 16 და სხვა.

ნათესაობით-ვითარებითის ფორმად შეიძლება ებიანი მრავლობითიც შეგვხვდეს: მოდგამად მოყუსებისად, პარს. 245 a.

B. ნათესაობით-ვითარებითის გამარტივებული (დ ჩამოკვეცილი) ფორმები

ძეგლად მარილისა, სიბრძ. 10, 7; ძმად უფლისა, ისტ. ქრესტ. 289, 35 (შდრ. ძმად უფლისად, პარტ. 87 a); კარადძდე ქალაქისა, კიმ. I, 210, 14; ქუესკნელად ქუეყანისა, პარს. 1042 a; ძედ ღმრთისა, ი. 19, 7; სვან. 264 b (შდრ. ძედ ღმრთისად, ი. ჯავ. აღწ. 193, 17) და სხვა.

4. თუ ორმაგი ბრუნების მსაზღვრელს თავის მხრივ ახლავს ატრიბუტული მსაზღვრელი (უმეტესად კუთვნილებითი ნაცვალსახელი), სათანადო ბრუნვის ნიშნებს ეს უკანასკნელი დაირთავს, ხოლო თვით მსაზღვრელი სუფთა ნათესაობითის ფორმით იქნება მოცემული:

შევარდეს იგი საკუმილსა ცეცხლისა აგზებულისასა, დანიელ 3, 11; და იტყოდე შენ ესოდენ გრძიად საბლისა მისთჳს მონისა შენისაჲსა, 2 მეფ. 7, 18; ტაძრად სულისა წმიდისად, ჰილ-ეტრ. 215; 296; დღედ ცხორებისა მისისად, ი. ჯავ. აღწ. 82, 2.

ეს წესი სხვა შემთხვევებშიც მოქმედებს და მასზე ქვევით ცალკე აღარ შევჩერდებით, იგი თავისთავად იქნება ნაგულისხმევი.

II შემთხვევა

აქ, როგორც აღვნიშნეთ, საზღვრული მრავლობითშია, მსაზღვრელი — მხოლობითში: სახლ-ნ-ი ძელ-ისა-ნ-ი. მსაზღვრელი სრულად ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში. ეს ხდება ყველა ბრუნვაში, გარდა წრფელობითისა, რომელიც არც გვხვდება II შემთხვევაში: ნარიან მრავლობითს (საზღვრულს), როგორც ცნობილია, არ გააჩნია წრფელობითი ბრუნვა. კაც-ნ- შეუძლებელი ფორმაა ძველი ქართულისათვის. სხვა ყველა ბრუნვაში, როგორც ვთქვით, გვაქვს სრული შეთანხმება მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის: სახლ-ნ-ი ძელ-ისა-ნ-ი, სახლ-თ-ა ძელ-ისა-თ-ა, სახლ-ნ-ო ძელ-ისა-ნ-ო.

რაკი მსაზღვრელი მხოლობითს რიცხვშია, ამიტომ თითქოს შეუთავსებელი ჩანს მისთვის მრავლობითობის ნ, თ-ა სუფიქსების დართვა, მაგრამ ეს სუფიქსები ერთვის არა მსაზღვრელის პირველადს ფუძეს, როგორც ერთვის ეს სუფიქსები საერთოდ სახელს, როდესაც მრავლობითს აწარმოებს, არამედ მსაზღვრელის ფორმას, ბრუნვის ნიშნის შემდეგ. რომ მსაზღვრელი მრავლობითს რიცხვში ყოფილიყო დასმული, მის პირველადს ფუძეს უნდა დამატებოდა ნ, თ-ა სუფიქსები, ვთქვათ, ასე: ძელ-ნ-ი, ძელ-თ-ა, მაგრამ ასეთი რამ ჩვენს შემთხვევაში არა გვაქვს. ნ და თ-ა სუფიქსების საშუალებით მსაზღვრელის ბრუნვიანი ფორმა ეთანხმება საზღვრულს, ეს სუფიქსები

აქ მხოლოდ შეთანხმების გულისათვის არის ნახმარი. მართლაც, სახლ-ნ-ი ძელ-ისა-ნ-ი ნიშნავს **ერთი ხისაგან** („ძელისაგან") გაკეთებულ **სახლებს.**

ხუთი ბრუნება (მოთხ., მიც., ნათ., მოქმ., ვით.) ერთი სახით გვხვდება, როგორც ეს საერთოდ ახასიათებს თანიან მრავლობითს ძველ ქართულში. მათ გასარჩევად იმავე ხერხებს უნდა მივმართოთ, რომლებიც საჭიროა საერთოდ თანიანი მრავლობითის ბრუნვათა გამოსაცნობად. ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი და აქ აღარაფერს ვიტყვით. სხვა მხრივ ეს II შემთხვევა არ იწვევს რაიმე გაუგებრობას და ჩვენც ამით დავამთავრებთ მასზე საუბარს. ბოლოს, დავიმოწმებთ ორიოდე მაგალითს.

სახელობითი: ამას ყოველსა **ნათესავნი სოფლისანი** ეძიებენ, ლ. 12, 30; დაჰმალენით **კლიტენი მეცნიერებისანი,** ლ. 11, 52; განმზადენით **გზანი უფლისანი,** მ. 3, 3; **ორნი მართუენი ტრედისანი,** ლ. 2, 24.

მოთხრობითი: და შეჰამნენ იგინი **ლეკუთა მაღნარისათა,** ოსე, 13, 8; აღმოჰჭადნენ იგინი (თუალნი) **ყორანთა ჴევისათა** და შეჰამენ იგი **მართუეთა ორბისათა,** იგავ. 30, 17; **მფრინველთა ცისათა** დაიბუდეს რტოთა მისთა, ლ. 13, 19; იცნეს იგი **კაცთა მათ მის ადგილისათა,** მ. 14, 35.

მიცემითი: მიხედენით **მფრინველთა ცისათა,** მ. 6, 26; რომელნი სხდეს ბნელსა და **აჩრდილთა სიკუდილისათა,** მ. 4, 16; ჰსცხო მან თიჭაჲ იგი თუალთა **მის ბრმისათა,** ი. 9, 6; განჰკურნებდა... ყოველთა **უძლურებათა ერისათა,** მ. 4, 23.

ნათესაობითი: რომელნი-იგი გამოიცადებოდიან **მახეთაგან** და **საცთურთა მტერისათა,** ხანძთ. 153, 21; ვიდრე მოსლვადცა **მფრინველთა ცისათა,** მ. 13, 32 C; ვითარცა დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე **სასმენელთა მიმართ ერისათა,** ლ. 7, 1.

წოდებითი: ასულნო იერუსალჱმისანო, ნუ სტირთ ჩემ ზედა, ლ. 23, 28.

მართალია, მსაზღვრელად აქ გეოგრაფიული სახელია აღებული, მაგრამ, როგორც ვნახეთ, გეოგრაფიული სახელების ნათესაობითი ბრუნვა არაფრით არ განსხვავდება საზოგადო სახელთა ნათესაობითი ბრუნვისაგან.

მოქმედებითისა და ვითარებითის მაგალითები არ შეგვხვედრია.

III შემთხვევა

საერთო წესიდან შედარებით ნაკლები გადახვევებით ხასიათდება III შემთხვევაც. აქ მაგალითებს უფრო მეტად აქვთ დაცული ის სახე, რომელიც მათ თავდაპირველად უნდა ჰქონოდათ. ამიტომ შეთანხმების დარღვევებს აქ უფრო ნაკლებად ვხვდებით, ვიდრე სხვაგან, მაგალითად, IV შემთხვევაში. გამონაკლისს წარმოადგენს ვითარებითი, სადაც მსაზღვრელს ბრუნვის ნიშანი დ უმეტეს შემთხვევაში დაკარგული აქვს, მაგალითად:

წოდებულ არს დედად **წმიდათა,** აბო 184, 12; დასაბამად **სასწაულთა,** ი. 2, 11; საქმედ **მოციქულთა,** მოც. გვ. 215, 14; შჯულად **ძეთა შენთა,**

ლევიტ. 10, 13, 14. ამ დონის დაკარგვას აქ უფრო მეტი ფონეტიკური საფუძველი ჰქონდა, ვიდრე სხვა შემთხვევებში: მსაზღვრელის ახალი ფუძე თა-ზე იყო დაბოლოებული, თ-ს მეზობლობაში დ-ს დაკარგვა უფრო მეტად იყო შესაძლებელი, ვიდრე სხვაგან. მაგრამ, როგორც ვთქვით, აქა-იქ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, სადაც ძველი ვითარება ხელუხლებლად არის დაცული და დ თავის ადგილასაა. აი ეს შემთხვევებიც:

ნუ დასწერ მეუფედ ჰურიათად, ი. 19, 21 ლაგ. სხვა ხელნაწერებში, რასაკვირველია, დონი დაკარგულია და ფორმა გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი: მეუფედ ჰურიათა, DEM და სხვა. სამაგიეროდ, ძველი წაკითხვა დადასტურებულია ხანმეტ მრავალთავში: ნუ დახწერ მეუფედ ჰურიათად და ნუ გამოხაჩინებ ჴეშმარიტსა[1].

სხვა მაგალითები: ჴევადმდე ნაძუთად, იერ. 31, 40; და მივსცე იერუსალჳმი წარსაწყმედელად და საყოფელად ჳეშაპთად, იერ. 9, 11; ნეტარ, თუმცა ნადირად ჳელთად დაბადებულ ვიყავ და არა კაცად პირმეტყუელად ქუეყანასა ზედა, მამ. სწავ. 246. სხვა ვარიანტებში ეს სიტყვა უკვე გამარტივებულად არის წარმოდგენილი (ველთა).

ვითარებითში ეხვდებით კიდევ ორი სხვა სახის დარღვევას:

ა) ნათესაობით-ვითარებითი აფიქსად იყენებს ნათესაობითის ფორმანტს და, ამრიგად, ვღებულობთ ორმაგ ნათესაობითს: და დაუტევა იერუსალჳმელთა ვიდრე ზღუდედმდე ურაკპარაკთაჲსა, ნეემია 3, 7.

ბ) ნათესაობით-ვითარებითი აფიქსად იყენებს მიცემითის ფორმანტს: გამოვედ... ვიდრე ბჭედმდე წყაროთასა, ნეემია 2, 13. ეს მაგალითი ერთადერთი არაა, მსგავსი ფორმები კიდევ გვხვდება: ბჭედმდე წყალთა გარდამოსაქანელთასა მას, ნეემია 12, 25.

რატომ არის გამოყენებული მიცემითისა და ნათესაობითის ნიშნები ვითარებითისათვის?

ნათესაობითის მთელი ფორმა, როგორც ვიცით, ახალ ფუძედ არის აღებული და ყველა სხვა ბრუნვაში ამ სახით შედის: სახლ-ი ძელ-ისა-ჲ, სახლ-მან ძელ-ისა-მან, სახლ-ს-ა ძელ-ისა-ს-ა, სახლ-ის-ა ძელ-ისა-ჲს-ა, სახლ-ით-ა ძელ-ისა-ჲთ-ა, სახლ-ად ძელ-ისა-(ჲ)დ, სახლ-ო ძელ-ისა-ო. ამიტომ გასაკვირი არ არის, ეს ნიშანი (ჲსა) ვითარებითს ბრუნვაში აღმოჩნდეს, თუ, მით უმეტეს, ფუძეში შესული ნიშანი ნათესაობითისა თა-ს სახით არის მოცემული (ე. ი. ბრაგლობითის ფუძეა აღებული): ზღუდედმდე ურაკპარაკ-თა-ჲსა (← ურაკპარაკთა ← ურაკპარაკ-თა-დ).

რაც შეეხება მიცემითის სა-ს გამოყენებას ვითარებითისათვის, იგი ანალოგიით უნდა აიხსნას: მიცემითის ფორმები ძალიან ხშირად გვხვდება ძველ ქართულში; სა კომპლექსი არის შესული აგრეთვე ნათესაობითის ფორმებშიც: სახლ-ისა ძელ-ისა-ჲსა, სახლ-თა ძელთა-ჲსა და სხვა.

---

[1] ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. VII, 1927, გვ. 138.

ასეა თუ ისეა, ვითარებითში ჩვენ გვაქვს შეთანხმების დარღვევა სამი მიმართულებით.

ზოგჯერ შეთანხმების დარღვევა მიცემითშიც და ნათესაობითშიც გვხვდება. მიცემითში გვაქვს: საძაგელსა მას **მოაბელთაჲსა**, 4 მეფ. 23, 13, სადაც სა-ს ნაცვლად **ჲსა** გვაქვს; ნათესაობითში გვაქვს: აღსარებისათჳს **ცოდვათა** (მამ. სწავ. 375), სადაც ნათესაობითის ნიშანი **ჲს-ა** ჩამოკვეცილია; უნდა გვქონოდა: აღსარებისათჳს **ცოდვათაჲსა**. ამნაირი დარღვევები საერთოდ არც ისე იშვიათია ძველ ქართულში, ის ქვემოთ სხვა შემთხვევაშიც შეგვხვდება.

ასეთივეა აგრეთვე შემდეგი მაგალითიც: სიმრავლისათჳს ცოდვათა მათთაჲსა და განყოფილებისა **ნებათა** მათთა, თარგმ. გამოცხ. 19, 19. უნდა გვქონოდა: განყოფილებისა(თჳს)[1] **ნებათა მათთაჲსა**. ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი **ჲსა** სრულიად ჩამოცილებული აქვს მსაზღვრელის მსაზღვრელს. ეს მოვლენაც ჩვეულებრივია ძველ ქართულში და იგი არა მარტო აქ (ნათესაობითში), არამედ სხვა ბრუნვებშიც იჩენს თავს. მას ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხებით, როდესაც IV შემთხვევის შესახებ გვექნება საუბარი.

თუ ამ მცირე გადახვევებს არ მივიღებთ მხედველობაში, ეს სახეობა (III შემთხვევა), როგორც ვთქვით, შედარებით უფრო კარგადაა შემონახული და პირვანდელი სახით დაცული.

აქ შეიძლება მცირე საილუსტრაციო მასალაც წარმოვადგინოთ ტექსტებიდან.

წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი: და იყოს კრეტი **საძოვარ სამწყსოთა** და **სადგურ ცხოვართა**, სოფონია 2, 6.

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი: შემთხუევაჲ ძეთა **კაცთაჲვე** ვითარცა შემთხუევაჲ **პირუტყუთაჲ** ერთ არს მათი, ეკლეს. 3, 19; გესლი **ასპიტთაჲ** და **იქედნეთაჲ** და ღრიაკალთაჲ, თუალთ. 59, 33; სისხლი იგი **ვაცთაჲ** და **კუროთაჲ** და ნაცარი **დიაკეულთაჲ**, ებრ. 9, 13; ჴმაჲ სათნოებათა **თქუენთაჲ**, ჰილ-ეტრ. 10; სამწყსოჲ **ცათაჲ**, თარგმ. გამოცხ. 7, 11; ბანაკი იგი **მეგჳპტელთაჲ**, გამოსლვ. 14, 24; დედაჲ ყოველთა **ცხოველთაჲ**, დაბ. 3, 20 ლაგ.

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი: ნათესავმან **უცებთამან**, მამ. სწავ. 208: ენამან **ბრძენთამან**, იგავ. 12, 18; უბადრუკებამან **მჴეცთამან**, ამბაკუმ 2, 17; პირმან **ულმრთოთამან**, იგავ. 19, 26; შრომამან **უგუნურთამან**, ეკლეს. 10, 16; პირმშომან **საუკუნეთამან**, სას. პოეზ. 262, 116; კრებულმან **ჰურიათამან**, იქვე, 325, 14; მოყუარემან **გლახაკთამან**, კიმ. I, 128, 11.

მ ი ც ე მ ი თ ი: ტირილსა მას **თუალთასა** და ღრჱნასა **კბილთასა**, მამ. სწავ. 122; განვეშორნეთ მოყუსობასა **ძჯრის-მოქმედთასა** და შევეყენეთ სიყუარულსა **სახიერთასა**, იქვე, 169; წუთხსა **წყლულებათასა**, იქვე, 172; მღჳძესა მას **ლომთასა**, უდაბნ. 54 vb; ქუეყანასა **რუსთასა**, თარგმ. გამოცხ. 20, 8; (წიგნი ესე) დაიწერა... ოჴრებასა **გლახაკთასა** და აწყუედასა **ჭაბუკთასა**, იქვე, ანდერძი, 210 r; თაესა **მთათასა**, იპოლ. 21, 29; ბანაკსა მას

[1] თჳს თანდებული ორივე სახლერულს ეკუთვნის, მაგრამ ჩვეულებრივ პირველთან ისმარება (ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 355—358).

მეგჳპტელთასა, გამოსლვ. 14, 24 ლაგ.; შესაკრებელსა მას **წუალთასა**, დაბ. 1, 10 ლაგ.; გუნდსა **ეშმაკთასა**, კიმ. I, 124, 26.

თუ ორმაგი ბრუნების მსაზღვრელს თავის მბრით ახლავს კიდევ სხვა, ატრიბუტული მსაზღვრელი (უმთავრესად ეს იქნება კუთვნილებითი ნაცვალსახელი), საზღვრულთან შესათანხმებელი ბრუნვის ნიშანი **ს**-ა ამ უკანასკნელს დაერთვის: განსუენებასა ჯორცთა **თჳსთასა**, მამ. სწავ. 330; ნუ დაივიწყებ ჴმასა მლოცველთა **მათთასა**, ფსალმ. 73, 26; ნუ დაადუმებ პირსა მგალობელთა **შენთასა**, ესთერ 4, 17.

ნათესაობითი. აქ გვაქვს ორმაგი ნათესაობითი თანდებულიან და უთანდებულო საზღვრულთან. პირველი ძალზე ხშირია, მეორე ასევე იშვიათი. ეს უკანასკნელი სხვადასხვა წარმოშობისა უნდა იყოს, ზოგჯერ იგი ფუნქციით ნათესაობით-ვითარებითს უდრის, განსაკუთრებით მისელა-მოსვლის აღმნიშვნელ ზმნებთან. მაგალითები:

რაჟამს მივიდა ნერსე ერისთავი მეფისა მის **ხაზართაჲსა**, აბო 186, 15; იქმნა მღდელ მონასტრისა **დედათაჲსა**, ხანძთ. 127, 22; და შემდგომად ტყუენვისა მის **ბაბილოვნელთაჲსა**, თუალთ. 78, 21; მდგომარე მარჯუულ საკურთხეველისა მის **საკუმეველთაჲსა**, ლ. 1, 11 C.

თანდებულიანი საზღვრულის მაგალითები, როგორც ვთქვით, ძალიან ბევრია. აქ გვხვდება შემდეგი თანდებულები: გან, თჳს, მიერ, მიმართ, ებრ და სხვა. მაგალითები:

ნაპრალისაგან **კლდეთაჲსა**, უდაბნ. 39 ra; ცხორებისათჳს **კაცთაჲსა**, იქვე, 30 va; შჯულისა მისგან **მამათაჲსა**, თუალთ. 81, 10; სიკეთისათჳს **დედათაჲსა**, იქვე, 86, 3; მოძღურებისაებრ **ხუცესთაჲსა**, მრ. 7, 5; წუელისაგან **საცხოვართაჲსა** და **ზროხათაჲსა**, ლიტ. ურთ. 70, 18; მოწყუედისაგან ბათ **წმიდათაჲსა**, ამონ. 213, 33; სამწყსოჲსაგან პირმეტყუელთა **ცხოვართაჲსა**, აბო, 200, 28; სიმღერისაგან **ყრმათაჲსა** და ყოელისაგან აღრევისა **კაცთაჲსა**, ხანძთ. 100, 30; ჴელისაგან ყოველთა **მჴეცთაჲსა**, დაბ. 9, 5 ლაგ.

დასასრულ, კიდევ მოვიყვან ერთ საინტერესო მაგალითს:

სიმრავლისათჳს **მეოტთაჲსა** და სიმრავლისათჳს **შეცთომილთაჲსა** და სიმრავლისათჳს **მახჳლისა** და სიმრავლისათჳს ისართა **მორთხმულთაჲსა** და სიმრავლისათჳს **დაცემულთა** ბრძოლასა შინა, ესაია 21, 15. ხუთი ხაზგასმული მსაზღვრელიდან 3 საერთო წესის მიხედვითაა წარმოდგენილი, ყველა უთანხმდება საზღვრულს **ჲსა** დაბოლოებით; მეოთხე მათგანი მხოლობითშია (მახჳლისა), ხოლო მხოლობითში მდგარი მსაზღვრელი (I შემთხვევა), როგორც ვნახეთ, საზღვრულს ხან ეთანხმება და ხან არა (სახლისა ძელისაჲსა, სახლისა ძელისა); მეხუთე, თუმცა იგი მრავლობითში დგას, არ უთანხმდება თავის საზღვრულს, არ დაირთავს **ჲსა** ბრუნვის ნიშანს (სიმრავლისათჳს დაცემულთა), როგორც იმას ირთავს მისი მეზობელი მსაზღვრელები (მეოტთაჲსა, შეცთომილთაჲსა, ისართა მორთხმულთაჲსა). მაგრამ ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ ამნაირი შემთხვევები სხვაცა გვაქვს და ეს გარკვეული მიზეზებითაა გამოწვეული (ნ. ზემოთ მაგალითი: განყოფილებისათჳს ნებათა **მათთა**,

გვ. 595). მაგრამ ამაზე ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი და აქ აღარას დავუმატებთ.

მოქმედებითი: მოწყალებითა გლახაკთა, ობოლთა და ქურივთაჲთა, მამ. სწავ. 18[1]; სისხლითა ვაცთა და ზუარაკთაჲთა, ებრ. 9, 12; მთავრითა მით ეშმაკთაჲთა, ლ. 11, 15; სულმყრალობითა მით ნაზორეველთაჲთა, კიმ. I, 136, 19.

მოქმედებითი ბრუნება მარტივი ით ნიშნით, როგორც ვნახეთ, გამოსვლითი ბრუნების მნიშვნელობით იხმარება. ამის მაგალითები ორმაგი ბრუნებისასაც გვაქვს; მსაზღვრელსაც, როგორც საზღვრულს, ხშირად მარტივი ჲთ ნიშანი აქვს, მაგალითად: დასაბამითგან ნათესავთაჲთ, მოც. 15, 21; პირმშოჲთგან კაცთაჲთ, გამოსლვ. 13, 15.

ვითარებითის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და აქ აღარ გავიმეორებთ. მაგალითებიც იქვეა მოყვანილი.

წოდებითი: ჲ მწყალობელო ძეთა კაცთაო, მამ. სწავ. (H) 83.

IV შემთხვევა

ყველაზე მეტ თავისებურებას მაინც მეოთხე შემთხვევა გვიჩვენებს. ამ თავისებურებებს მრავალი მკვლევარი შეხებია, მაგრამ ყველაზე სრულად და საფუძვლიანად იგი ლ. კიკნაძეს აქვს შესწავლილი. ამიტომ ზოგი რამ აქ შეიძლება აღარ გავიმეოროთ და მკითხველს ამ მკვლევართა შრომებზე მივუთითოთ[2].

წრფელობითი ბრუნება აქ, რა თქმა უნდა, არ გვექნება. ამაზე ზემოთ იყო ლაპარაკი (II შემთხვ.). სახელობითი და წოდებითი ჩვეულებრივი სახით არის წარმოდგენილი: მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში:

სახლ-ნ-ი ძელთა-ნ-ი, სახლ-ნ-ო ძელთა-ნ-ო; წყარო-ნ-ი წყალ-თა-ნ-ი, წყარო-ნ-ო წყალთა-ნ-ო და სხვა. ორიოდე ნიმუში ტექსტებიდან:

სახელობითი: მართუენი ტრედთანი, ლ. 2, 24 C; მთავარნი წარმართთანი, მ. 20, 25; საქმენი მართალთანი, იაკობ. 17, 24; გრძილნი ხოლო კბილთანი მოსდნეს მრავალითა მით მარხვითა. უდაბნ. 36 ra; მძორნი კრავთანი, თუალთ. 17, 33 და სხვა.

---

[1] რამდენიმე ერთნაირ მსაზღვრელზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

[2] Gerhard Deeters, Armenisch und Südkaukasisch: Caucasica, 4. 1927, გვ. 36—37; F. Zorell, Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung, Roma. 1930, გვ. 27—28; К. Дондуа, Об агглютинативном характере грузинского склонения: Доклады Академии Наук СССР, 4 В, გვ. 63 — 68; ს. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 25, 1943, გვ. 186 და სხვ.; ა. კაზირია, ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობისათვის საზღვრულთან: იბერ.-კავკ. I, 1946, გვ. 329 — 336; ლ. კიკნაძე, მართული მსაზღვრელის სახღვრულთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 45, 1951, გვ. 205 — 223.

წოდებითი: ნაშობნო იქედნეთანო, მ. 23, 33; კრებულნო სადუკეველთა და მწვალებელთანო, სას: პოეზ. 283, 288.

ამის მიხედვით სხვა ბრუნვებში (მოთხ., მიც., ნათ., მოქმ., ვით.) თეორიულად მოსალოდნელი იყო: სახლ-თა ძელთა-თა, წყარო-თა წყალთა-თა, მაგრამ ძველი ქართულის ტექსტებში ასეთი ფორმები არსად არ გაგვაჩნია, ორი თა (თა-თა) არსად არ გვხვდება. სწორედ ამის გამოა, რომ აღნიშნულ ბრუნვებში ადგილი აქვს დიდ არევ-დარევას, თეორიულად მოსალოდნელი თა-თა-ს ნაცვლად ნაირ-ნაირი ფორმების წარმოდგენას. მაგრამ ამ სიჭრელეში ერთი ხაზი მკვეთრად გამოირჩევა. ამ ხაზს გეზი აქვს აღებული, რომ მსაზღვრელისათვის იგივე ფორმები გაიმეროს, რაც მას III შემთხვევაში ჰქონდა (ე. ი. როცა საზღვრული მხოლობითში იდგა, მსაზღვრელი კი — მრავლობითში: სახლ-მან ძელთა-მან და სხვა). ამიტომ III და IV შემთხვევაში აღნიშნულ ბრუნვებში მსაზღვრელი ერთნაირი სახით არის წარმოდგენილი, მაგალითად:

	III შემთხვ.		IV შემთხვ.	
მოთხ.	სახლ-მან	ძელთა-მან	სახლ-თა	ძელთა-მან
მიც.	სახლ-ს-ა	ძელთა-ს-ა	სახლ-თ-ა	ძელთა-ს-ა
ნათ.	სახლ-ის-ა	ძელთა-ჲს-ა	სახლ-თ-ა	ძელ-თა-ჲსა
მოქმ.	სახლ-ით-ა	ძელთა-ჲთ-ა	სახლ-თ-ა	ძელთა-ჲთ-ა
ვით.	სახლ-ად	ძელთა-(დ)	სახლ-თ-ა	ძელთა-(დ)

ეს ხაზი არის ძირითადი, მაგალითების უმეტესობა ამ ხაზს მიჰყვება. მაგრამ ადგილი აქვს თითოეულ ბრუნვაში ამ საერთო ხაზიდან გადახვევას. ეს გადახვევებიც არაა შემთხვევითი, ისინიც ერთგვარ წესს მისდევენ. აქ შეიძლება ზოგი კანონზომიერება დავადგინოთ:

ა) ყველაზე ხშირად აღნიშნულ ბრუნვებში ბრუნვის ნიშნად გამოყენებულია სუფიქსი ს-ა (მიცემითისათვის ეს ძირითადი ხაზია);

ბ) უფრო იშვიათად ამავე მიზნისათვის გვხვდება სუფიქსი ჲსა (ნათესაობითისათვის ეს ძირითადი ხაზია);

გ) ზოგჯერ მსაზღვრელი სულ უნიშნოდ არის წარმოდგენილი (ვითარებითისათვის ეს ჩვეულებრივ ძირითადი ხაზია; დონი აქ III შემთხვევაშიც დაკარგულია უმეტესად). ასე რომ, მსაზღვრელი მოთხრობითში შესაძლებელია 4 სახით წარმოდგეს: სახლ-თა ძელთა-მან, სახლ-თა ძელთა-სა, სახლ-თა ძელთა-ჲსა და სახლ-თა ძელ-თა; სხვა ბრუნვებში იგი (მსაზღვრელი) ჩვეულებრივ 3 სახით გვხვდება (მიცემითისა და ნათესაობითის ს-ა და ჲს-ა ნიშნები ამავე დროს ძირითადი ხაზის ნიშნებიცაა).

სანამ ამ მოვლენის ახსნაზე ვილაპარაკებდეთ (რატომ გვაქვს მოსალოდნელი თა-ს ნაცვლად მან, ს-ა, ჲს-ა, ჲთ-ა ნიშნები), მოვიყვანოთ ზემოთ აღწერილი ძირითადი ხაზისა და მისგან გადახვევების მაგალითები.

მოთხრობითი

ა) მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნად აქვს მან (ძირითადი ხაზი)

1. **ბაგეთ§ მართალთამან** დაიცვეს (sic) იგინი, იგავ. 14, 3. ბიბლიის თბილისურ გამოცემაში ნომინატიური კონსტრუქცია გვაქვს: ბაგენი ბრძენთანი დაიცუნენ მას. „მართალთამან"-ის ნაცვლად წარმოდგენილი „ბრძენთანი" არ ცვლის საქმის ვითარებას: ორივე შემთხვევაში ეს სიტყვებია ცსაზღვრელი. შდრ. რუს. თარგმანი: **уста же мудрых охраняют их.**

2. და გამოვიდეს ყრმანი იგი მთავართა მათ სოფლებისათანი და გამოკრბეს ქალაქით, იწყეს **ყრმათა მათ მთავართამან**, და ერი იგი შემდგომად მათსა, 3 მეფ. 20, 19. შდრ. რუსული თარგმანი: **вышли из города слуги областных начальников.**

3. ხოლო კრებულმან მან და ათასის-თაემან და **მსახურთა ჰურიათამან** შეიპყრეს იესუ და შეკრეს იგი, ი. 18, 12[1]. C-ში ეს მსაზღვრელი გამარტივებული სახით (უნიშნოდ) არის წარმოდგენილი: **ჰურიათა.**

4. თუალთა მრუშეთამან იხილეს ბნელი, იობ 24, 15[2].

5. რომლისათჳს, ვიყავ რაჲ იერუსალჵმს, მითხრეს მე **მღდელთ-მოძღუართა და ხუცესთა ჰურიათამან**, მოც. 25, 15 (C რედაქცია)[3]. სხვა რედაქციებში (Ქ Ჭ Შ) ეს მსაზღვრელი გამარტივებული სახით (უნიშნოდ) არის მოცემული: **ჰურიათა.**

6. რაჲთა გამოიძიონ **ნეშტთა კაცთამან** უფალი, მოც. 15, 17 (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნ. № 176). სხვა ხელნაწერებში აქაც გამარტივებული ფორმა გვაქვს: **ნეშტთა კაცთა.**

7—8. მიუგო წმიდამან იგნანტი და ჰრქუა: არცა ცეცხლმან შემწუველმან და არცა **შოვათა მჴეცთა მძჳნვარეთამან**... განმაშორონ მე სიყუარულსა ღმრთისასა, პარხ. 1170. აქ მართულ მსაზღვრელს აბლავს ატრიბუტული მსაზღვრელი (მძჳნვარჵ) და ბრუნვის ნიშანსაც ის ღებულობს. ეს ატრიბუტული მსაზღვრელი რომ არ ყოფილიყო, გვექნებოდა: **შოვათა** (=შუვათა) **მჴეცთამან.**

ეს ადგილი დადასტურებულია კიდევ ერთ ხელნაწერში, ოღონდ იქ „შოვათა მჴეცთა" გადასმული სახით არის წარმოდგენილი, ე. ი. „მჴეცთა" მოცემულია წინ დასმულ მართულ მსაზღვრელად და, ცხადია, ის ბრუნვებში არც შეიცვლება (ჩვეულებრივ). ამიტომ ამ ხელნაწერში გადასმული საზღვრულ-მსაზღვრელი გვაქვს: ...არცა **მჴეცთა შუათა მძუინვარეთამან**... (ი. ჯავ. აღწ. 175, 16).

[1] ლ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 208.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ბ) მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნად აქვს ს-ა

1. ხოლო **ძეთა ასურთასა** ვითარცა იხილნეს იგინი, მიმოდააგლინეს მთავართა მათთა და ერისთავთა და ათასის-თავთა და ყოველთა მთავართა მათთა, იქდით 14, 12.

2. რომელი არა ყვეს მამათა მისთა და **მამათა მისთასა**, დანიელ 11, 24. „მამათა მისთასა“ დამახინჯებულად არის გადმოცემული, უნდა ყოფილიყო: **მამათა მამათა მისთასა**, რომლის შინაარსიც არის: „მისი მამების მამებმა“. მაგრამ გადამწერს, როგორც ჩანს, ორი ზედიზედ დაწერილი „მამათა“ შეცთომა ჰგონებია და ერთი მათგანი გამოუშვია, ხოლო მასთან შეწყობილი „მისთასა“ უცვლელად დაუტოვებია. ნაბეჭდ ბიბლიაში (თბ. გამოც.) ეს შეცთომა არიდებულია, იქ იკითხება: რომელი არა ქმნეს მამათა მისთა, არცა **მამათა მამათა მისთასა**. შდრ. რუს. თარგმანი: **чего не делали отцы его и отцы отцов его**.

3. რომელი ცოდვიდეს, მას ეწიოს ძჯრი, **გზათა უღმრთოთასა** შეაცთუნეს იგი, იგავ. 12, 26. შდრ. რუს. თარგმანი: **путь нечестивых вводит их в заблуждение**.

4. რაჲთა გამომიძიონ მე **ნეშტთა კაცთასა** და ყოველთა ნათესავთა, ამოს 9, 12 (თბილ. გამოც.). ოშკურ ბიბლიაში ამის ნაცვლად გამარტივებული ფორმაა წარმოდგენილი: **ნეშტთა კაცთა**, ხოლო მოციქულთა საქმეში ეგევე ადგილი, როგორც უკვე ვნახეთ, პირვანდელი სახით გვაქვს დაცული: **ნეშტთა კაცთამან**. ამნაირად, ეს ერთი და იგივე ადგილი სამი სახით არის ტექსტებში დაცული:

ნეშტთა კაცთა-მან
ნეშტთა კაცთა-სა
ნეშტთა კაცთა

გვაქლია კიდევ ერთი (უფრო იშვიათი) შესაძლებლობა—ნეშტთა **კაცთა-ჲსა**, თორემ სურათი სრული იქნებოდა.

5—6. და იხილეს იგი **ძეთა მათ წინაწარმეტყუელთასა**, თუალთ. 33, 24. ეს ადგილი აქ გადმოტანილია 4 მეფ. 2, 15-დან. ოშკურ ხელნაწერში იგი ასეა გადმოცემული: იხილეს ელისე **ძეთა მათ წინაწარმეტყუელთასა**, რომელნი იყვნეს იერიქოს წინაშე მათსა. **წინაწარმეტყუელთასა** დაცულია ბიბლიის თბილისურ გამოცემაშიც: და იხილეს იგი **ძეთა წინაწარმეტყუელთასა**, რომელნი იყვნეს იერიქოს შინა წინაშე მათსა. ლაგურკის ხელნაწერი ოშკისას მიჰყვება კვალდაკვალ, ოღონდ „ელისე“-ს ნაცვლად იქ „იგი“-ა წარმოდგენილი.

7. და ჰრქუეს **ძეთა წინაწარმეტყუელთასა** ელისეს, 4 მეფ. 6, 1 (თბ. გამოც.).

8. აუწყეს მას მღდელთ-მოძღუარმან და **მთავართა ჰურიათასა** პაველ(Ს-თჳს, მოც. 25, 2 (Ქ, Ო რედაქცია, საქ. მუზ. ხელნაწერები: A 584, A 34, A 137, A 677)[1].

9. განჭრეს იგი ნაწილისაგან მათისა **მძლავრთა არაბთასა** (Хр. Вост. V, 1, 49, 9—10)[2].

10. და შეეკიდნიან რტონი მისნი პრაკთა მათ და რტოთა მისთა შეიპყრიან და შეიმტკიციან **რტოთა მათ პრაკთასა** (სახისმეტ. 3, 18 — 22; ისტ. ქრესტ. 280, 15)[3].

გ) მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნად აქვს ძს-ა

სულთა ყრმათა ჩჩჳლთაძსა სულთ-ითქუნეს დიდად, იობ 24, 12. გამოცემაში მსაზღვრელის ბრუნვის ფორმა გასწორებულია ძირითადი ხაზის მიხედვით: სულთა ყრმათა **ჩჩჳლთამან**[4]. ბიბლიის თბილისურ გამოცემაში საზღვრული მხოლობითშია დასმული და მას მსაზღვრელი ჩვეულებრივი წესის მიხედვით ეთანხმება: **სულმან ჩჩჳლთამან** სულთ-ითქუნა დიდად.

დ) მსაზღვრელს სულ არა აქვს ბრუნვის ნიშანი (ნული აქვს)

1. **ძეთა ქალთა** განგუმირნეს იგინი, იქდით 16, 12. თბილისურ გამოცემაში ეს ადგილი ასე იკითხება: **ძეთა ჰაბუკთა** მოსწყჳდნეს იგინი. შდრ. რუს. თარგმანი: сыновья молодых жен коломи их. ქართული თარგმანის ორივე შემთხვევაში მსაზღვრელი აღარ ეთანხმება საზღვრულს: არა აქვს მოსალოდნელი **მან**, არც ს-ა (ძს-ა) ბრუნვის ნიშანი: არა გვაქვს: ძეთა ქალთა-მან, ძეთა ქალთა-სა (ძეთა ქალთა-ძსა). აქ ჩვენ გვაქვს მსაზღვრელის გამარტივებული ფორმა, რომელსაც ბრუნვის ნიშანი მოკვეცილი აქვს.

2. **ბაგეთა უგუნურთა** მიიყვანიან იგინივე ბოროტსა, ხოლო პირი მისი ხუესტი სიკუდილსა მოუწჳსნ, იგავ. 18, 6. შეთანხმება მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის აქაც არა გვაქვს, მოსალოდნელი იყო: ბაგეთა **უგუნურთა-მან** (ძირითადი ხაზი), ან ბაგეთა **უგუნურთასა** (უგუნურთაძსა). შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ „უგუნურთა“ ატრიბუტული მსაზღვრელია და, მაშა-

---

[1] ლ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

[2] კ. დონდუა, დასახ. ნაშრომი, ჩვ. 66.

[3] იქვე. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მოთხრობითში კ. დონდუა მხოლოდ ამ ს-ა სუფიქსს უჩვენებს. აეტორი არ იცნობს ამ ბრუნვაში არც **მან** სუფიქსსა და არც სხვა საშუალებებს, რომელთაც ძველ ქართულში ვხვდებით მოთხრობითის გამოსახატავად (ძსა, O). ამის მაგალითებს კვემოთ მოვიყვანთ.

[4] წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 2, 1948, გამოსცა ა. შანიძემ. ამ ტიპის სხვა მაგალითები არ შეგვხვედრია. მაგრამ სავსებით მოსალოდნელია კი: მიცემითისა და ნათესაობითის ნიშნები (ს-ა, ძს-ა) ჩვენთვის საინტერესო თითქმის ყველა ბრუნვაში გვხვდება (მოთხ., მიც., ნათ., ვით.).

სადამე, შეთანხმებაც გვაქვსო: ბაგე-ნ-ი უგუნურ-ნ-ი, ბაგე-თა უგუნურ-თა. მაგრამ ეს ასე არ არის, აქ ჩვენ გვაქვს სწორედ მართული და არა ატრიბუტული მსაზღვრელი. რომ აქ მართლაც მართული და არა ატრიბუტული მსაზღვრელია, ეს ჩანს შემდეგიდან: ა) გვაქვს ბაგეთა უგუნურთა, მაგრამ იქვე: **პირი მისი** (მაშასადამე: **ვისი** და არა **ვითარი**); ბ) ქვევით, შემდგომს მუხლში (18, 7) სწერია: „პირი **უგუნურისაჲ** შემუსრვა არნ მისდავე“, რაც გვავალებს „უგუნურთა“ ჩვენს შემთხვევაშიც მართულ მსაზღვრელად გავიგოთ; გ) მოყვანილი წინადადების გაგრძელებაა: „ხოლო ბაგენი **მისნი** საბრჭე მისდავე არიან“; მაშასადამე, აქედანაც იგულისხმება: ბაგენი **ვისნი** და არა: ბაგენი **ვითარნი**; დ) ასევე მართულ მსაზღვრელადაა წარმოდგენილი ეს სიტყვა ბიბლიის თბილისურ გამოცემაშიც (ნომინატიური კონსტრუქციით): „ბაგენი **უგუნურთანი** მიიყვანებენ მას ბოროტსა ზედა“. მაშასადამე, ბაგენი **უგუნურნი** აქ გამორიცხულია; ე) ამასვე მოწმობს რუსული თარგმანიც: уста глупого идут в ссору; ვ) დასასრულ, ამასვე ამტკიცებს ეგევე მსაზღვრელ-საზღვრული, II შემთხვევის მიხედვით გამართული: **ბაგეთა უგუნურისათა** დანთქან იგი, ეკლეს. 10, 13. მაშასადამე, გამოდის, რომ აქაც გამარტივებული ფორმა გვქონია, მსაზღვრელს აკლია ბრუნვის ნიშანი (უგუნურთამან→ უგუნურთა).

3—4. **რაჲთა გამოიძიონ ნეშტთა კაცთა** ღმერთი, ამოს 9, 12; **რაჲთა გამოიძიონ ნეშტთა კაცთა** უფალი, მოც. 15, 17. ზოგ რედაქციაში, როგორც ვნახეთ, კიდეც გვაქვს სრული, გაუმარტივებელი ფორმა: **ნეშტთა კაცთამან** (ქუთ. ისტ. ეთნ. მუზ. ხელნ. № 176).

5. და ჰრქუეს **ძეთა მათ წინაწარმეტყუელთა** ელისეს, 4 მეფ. 6, 1. ნაბეჭდ ბიბლიაში, როგორც ვნახეთ, გვაქვს: ძეთა **წინაწარმეტყუელთასა**. რომ აქ მოთხრობითი ბრუნვა იგულისხმება, ჩანს რუსული თარგმანიდანაც: и сказали сыны пророков Елисею.

6. ჰრქუეს პილატეს **მღდელთ-მოძღუართა მათ ჰურიათა**, ი. 19, 21 C. ამის სახელობითი იქნება: **მღდელთ-მოძღუარნი იგი ჰურიათანი**, რაც გვაქვს კიდეც DE-სა და სხვა ხელნაწერებში: ეტყოდეს პილატეს **მღდელთ-მოძღუარნი ჰურიათანი**.

7. ხოლო გუნდმან მან და ათასის-თავმან მან და **მსახურთა მათ ჰურიათა** შეიპყრეს იესუ და შეკრეს, ი. 18, 12 C[1]. DE-ში, როგორც ვნახეთ, გვაქვს გაუმარტივებელი ფორმა: **მსახურთა ჰურიათამან** (ძირითადი ხაზი).

8. აუწყეს მღდელთ-მოძღუართა მათ და **მთავართა ჰურიათა** პავლესთჳს, მოც. 25, 2[2]. ზოგ ვარიანტში, როგორც ვნახეთ, გვაქვს სრული ფორმა: მსახურთა **ჰურიათამან**.

---

[1] ლ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 208.

[2] იქვე.

9. რომლისათჳს, ვიყავ რაჲ იერუსალჳმს, მითბრეს მე მღდელთ-მოძღუართა და მოხუცებულთა ჰურიათა, მოც. 25, 15 (Ქ რედაქცია)[1].

10. აწ უკუე ცნეს მწიგნობართა და ფარისეველთა ჰურიათა, ვითარმედ მოკლვად შობილისა მისთჳს ჰეროდე განმზადებულ იყო, პარხ. 88 ხ.

11. რაჲთა ცნან ძეთა კაცთა ძლიერებაჲ შენი, ფსალმ. 144, 12.

ამნაირად, მოთხრობითში დადასტურებულია ოთხნაირი ფორმა:

ა) ნეშტთა კაცთამან
ბ) ნეშტთა კაცთასა
გ) სულთა ყრმათა ჩჩჳლთაჲსა
დ) ნეშტთა კაცთა.

მიცემითი

ა) მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნად აქვს ს-ა (ძირითადი ხაზი)

საყდართა მათ მსაჯულთასა არა დასხდენ, ზირაქ 38, 39; ჰმუსრვიდა ნათესავთა მათ მჴდომთასა, იქვე, 46, 7; ქებათა მათ იგავთასჲ და სახეთასა, იქვე, 47, 18; მიეცეს ძჳ კაცისაჲ ჴელთა კაცთასა, მრ. 9, 31; მიეცემის ძჳ კაცისაჲ ჴელთა ცოდვილთასა, მრ. 14, 41; ჳისცა იგი ჴელთა მტანჯველთასა, მ. 18, 34; რომელი-იგი შევარდა ჴელთა ავაზაკთასა, ლ. 10, 36 C; ჯ კრავნო უმანკონო, რომელთა-ეგე პირთა მგელთასა აღჳრ-ასხენით, სპეს. 75, 1; ვითარცა გუელი დარანებული გზათა ზედა ცემად ტერფთა ჰუნეთასა, თუალთ. 37, 12; კაცნი იგი... სხენედ თავთა ზედა მათ მთათასა, იქვე, 18, 5; შეკრიან ტჯრთი მციმე და დასდვიან მჴართა ზედა უძლურთასა, მამ. სწავ. 356; მე გეტყჳ ნაწევართა მაგათ ჯორცთასა და სისხლთასა, ურჰ. 337, 9; აჰა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს, მ. 3, 10; ღმერთთა წარმართთასა უგებდენ, კიმ. II, 46. 1; ჰმსახურებდეს... მწუერვალთა ხეთასა. ევსტ. 168, 3; საუნჯეთა შინა სასუენებელთა შენთასა ნუ ჰსწყჳედ მდიდარსა, ეკლეს. 10, 21.

ამ უკანასკნელ მაგალითში მართულ მსაზღვრელს თავის მხრივ ახლავს ატრიბუტული მსაზღვრელი და სათანადო ბრუნვის ნიშანსაც ის ღებულობს: შენთა-სა. ასეთივე მაგალითებია კიდევ: მე მიგცე შენ ჴელთა მოძულეთა შენთასა, ეზეკ. 23, 29; რაჲსათჳს მავნებელ ექმნებით კარაულთა ძმათა ჩუენთასა, ლიტ. ქრესტ. 160, 36; ძჳ კაცისაჲ მიეცეს ჴელთა კაცთა ცოდვილთასა, მ. 26, 45.

მსგავსი ვითარება არის იმ შემთხვევაშიც, როცა საზღვრული და მსაზღვრელი გათიშულია, მაგალითად: და ენათაცა თუ იტყოდის ანგელოზთასა და კაცთასა, მამ. სწავ. 288.

ზემოთ წარმოდგენილი ტიპის მაგალითები ერთობ ბევრია ძველ ქართულ ტექსტებში. ეს არის, როგორც ვთქვით, მსაზღვრელისა და საზღვრუ-

[1] ლ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 208.

ლის შეთანხმების ძირითადი სახე IV შემთხვევისათვის. ამიტომ სხვა მაგალითებს აქ აღარ მოვიყვანთ, მათზე ხელი ყველას მიუწვდება. ჩვენ აქ განვიხილოთ ამ ძირითადი ხაზის დარღვევისა და მისგან გადახვევის სახეები.

ბ) მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნად აქვს სუფიქსი ჲს-ა

უკუეთუ იქმნა ეგევითარი დღეთა თქუენთა, ანუ **დღეთა** მამათა, ანუ **დღეთა** მამათა **თქუენთაჲსა**, იოველ 1, 2 (=ძირითადი ხაზის ფორმას „თქუენთასა"): და მისცენ იგინი **ჴელთა** მაჭირებელთა **მათთაჲსა**, ნეემია 9, 27 (=მათთასა. შდრ. ნუ მიმცემ... **ჴელთა** მავნებელთა **ჩემთასა**, სას. პოეზ. 300, 278): და მისცენ იგინი **ჴელთა** მტერთა **მათთაჲსა**, ნეემია, 9, 28; სცვიდეს **შესავალთა** ზღურბლთა **ჩემთაჲსა**, იგავ. 8, 34; და აღძრნა იგინი და მისცნა **ჴელთა** წარმტყუენველთა **მათთაჲსა**, 4 მეფ. 17, 20; და მივსცნე იგინი **ჴელთა** მტერთა **მათთაჲსა**, იქვე, 21, 14.

ყველა აქ წარმოდგენილი მაგალითი ისეთია, რომ მართულ მსაზღვრელს ზოსდევს ატრიბუტული მსაზღვრელი (=კუთვნილებითი ნაცვალსახელი), რომელიც ბრუნვაში საზღვრულს უნდა შესთანხმებოდა და ს-ა სუფიქსი მიეღო (**ჴელთა** მტერთა მათთა-სა), მაგრამ, როგორც ვნახეთ, ტექსტში ეს ასე არა გვაქვს, სა-ს იქ ენაცვლება ჲს-ა (**ჴელთა** მტერთა მათთა-**ჲსა**). ამიტომ კაცი იფიქრებდა, რომ ეს ატრიბუტული მსაზღვრელი ჲსა-თი საზღვრულს კი არა (ჴელთა), მსაზღვრელს (ე. ი. თავის საზღვრულს) ეთანხმებაო; სხვანაირად: „მათთაჲსა"-ს იმიტომ აქვს ნათესაობითის ნიშანი ჲს-ა, რომ ნათესაობითშია დასმული აგრეთვე **მტერთა**, რომელიც ამ „მათთაჲსა"-ს მიმართ საზღვრულია, **ჴელთა**-ს მიმართ კი—მსაზღვრელი. მაგრამ ეს ასე არაა. ჯერ-ერთი, ასეთ შემთხვევებში ატრიბუტული მსაზღვრელი ძველ ქართულში საზღვრულს ეთანხმება და არა მსაზღვრელს (მე მიგცე შენ **ჴელთა** მოძულეთა **შენთასა**, იერ. 23, 29; მიცემად **ჴელთა** მტერთა **მათთასა**, კიმ. I, 244, 4); მეორე: ასეთი დარღვევა შეთანხმებისა მაშინაც გვაქვს, როცა მხოლოდ ერთი მსაზღვრელი და ერთი საზღვრულია მოცემული (ე. ი. არ არის წარმოდგენილი ატრიბუტული მსაზღვრელი): ამისთჳს მიეც იგი ჴელთა ტრფიალთა მისთასა, **ჴელთა ასურასტანელთაჲსა**, ეზეკ. 23, 9. აქ მესამე წევრი არა გვაქვს და ამიტომ არ იქნება სწორი შეუთანხმებლობის მიზეზად ის ჩავთვალოთ. ეს მაგალითი, მეორე მხრივ, იმითაც არის საინტერესო, რომ შეთანხმების დარღვევის გვერდით გვაქვს სწორი შეთანხმებაც: **ჴელთა** ტრფიალთა **მისთასა** (და არა: მისთაჲსა). **ასურასტანელთაჲსა**, მაგრამ **მისთასა**! ასეთია შეთანხმების დარღვევა-დაურღვეველობის ორი კონტრასტული მაგალითი; მესამე: არის შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე წინადადებაში შეთანხმება-შეუთანხმებლობის მაგალითები ერთად არის მოცემული, ამასთან ატრიბუტული მსაზღვრელი აქაც არა ჩანს. მართალია, ეს მაგალითი მესამე შემთხვევას განეკუთვნება, მაგრამ აქ დასმული საკითხისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა: შეთანხმებაცა და შეუთანხმებლობაც ერთდროულად არის მოცემული, მაგალითად: რომელ უშენა სოლომონ, მეფემან ისრაჱლისამან,

ასტრათას, **საძაგელსა** მას **სიდონელთასა**, და ქამონს, **საძაგელსა**[1] მას **მოაბელთაჲსა**[2], 4 მეფ. 23, 13. აქ ორივე შემთხვევაში საზღვრული ბიცემითშია: **საძაგელსა**, მაგრამ მსაზღვრელს ერთ შემთხვევაში მიცემითის ფორმა აქვს (სიდონელთა-სა), მეორეში — ნათესაობითისა (მოაბელთა-ჲსა). ამიტომ ასეთი შეუთანხმებლობის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ; ატრიბუტული მსაზღვრელისათვის ნათესაობითი ფორმის არჩევაში მართულ მსაზღვრელს შეეძლო მხოლოდ ხელი შეეწყო და არა მხოლოდ მას გამოეწვია იგი. ასეა თუ ისე, ცხადია, რომ ორმაგი ბრუნებისას ნათესაობით-მიცემითის ფორმაში ხდებადარღვევა: მიცემითის ბრუნვის ნიშნის ნაცვლად ზოგჯერ წარმოდგენილია ნათესაობითის ნიშანი (ნუ მიმცემ... ჴელთა მავნებელთა ჩემთაჲსა).

მაგრამ გვაქვს სხვა სახის დარღვევაც, რომელსაც აქვე განვიხილავთ.

გ) მსაზღვრელს სულ არა აქვს ბრუნვის ნიშანი (ნული აქვს)

არა არს ქმარი მისი მსგავს **ძეთა კაცთა**, ზირაქ 36, 25. „მსგავს“ მოითხოვს მიცემითს (შდრ. მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ **ცოფსა**, მ. 13, 33), ამიტომ უნდა გვქონოდა: ძეთა **კაცთასა**. აქ უეჭველია, **სა** დაკარგულია და ფორმა გამარტივებულია. „ძეთა კაცთა“ ამ სახით ხშირად გვხვდება ჩვენ ძველ ტექსტებში, მაგალითად: **ძეთა კაცთა** რომელიმე ღმრთისა მიერ მოცემული აქუს მადლი და რომელიმე თავით თჳსით აქუს, უდაბნ. 86 ra; არცა მიაგებს ღირსებით მისაგებელსა ბოროტსა **ძეთა კაცთა**, მამ. სწავ. 196; წამნი მისნი განიკითხენ **ძეთა კაცთა**, ფსალმ. 10, 6; რომელი მსგავს **ძეთა კაცთა** იქმნა, თარგმ. გამოცხ. 14, 14. სხვა მაგალითები:

ვერ ღირს ვარ განჴსნად **საბელთა** ჴამლთა **მისთა**, მრ. 1, 7 (=**მისთასა**, C-ში სწორედ ასეა კიდეც); აჰა დის-წულაკი ჩემი ვლდომით მოიწია ზედა **თჳთა მთათა** გარდამოელდომად, იპოლ. 21, 8 (=**მთათასა**, შდრ. იქვე: ზედა **ღელეთა მთათასა**, 21, 12; ვერ შემძლებელ ვარ თხრობად **ნუშტთა** საქმეთა **ჩემთა**, პარხ. 776 b (=ჩემთასა).

კაცს ეგონება, თითქოს შეთანხმება უნდა იყოს და არა გვაქვს შემდეგს მაგალითშიო: ჯერ-არს აღსრულებად ყოველივე წერილი **შჯულსა მოსესსა** და **წინაწარმეტყუელთა** და **ფსალმუნთა** ჩემთჳს, ლ. 24, 44 DE. ორი უკანასკნელი სახელი (წინაწარმეტყუელთა და ფსალმუნთა) აქ თითქოს არ არის შეთანხმებული სახელთან „შჯულსა“, თითქოს უნდა ყოფილიყო: შჯულსა მოსესსა და წინაწარმეტყუელთასა და ფსალმუნთასა. მაგრამ არა: „შჯულსა“ არის საზღვრული მხოლოდ ერთი მსაზღვრელისა: **შჯულსა მოსესსა**. დანარჩენი ორი— წინაწარმეტყუელთა და ფსალმუნთა— იმ რიგის სიტყვებია, როგორც „შჯულსა“: ...წერილი შჯულსა ...და წინაწარმეტყუელთა და ფსალმუნთა. ასეა ეს გაგებული რუსულ თარგმანშიც: написанному о мне в законе Моисеевом, и в пророках и псалмах. ადიშის ოთხთავის მთარგმნელს (თუ გადამწერს) კი ეს სახელებიც „შჯულის“ მსაზღვრელად გაუგია და მათ საზღვრულად ნაგულ-

[1] ხელნ.: საძვანელსა.

[2] ა ზემოდანაა დამატებული.

კები „შჯულისათვის“ შეუთანხმებია: შჯულსა მას ღმესესსა და წინაწარმეტყუელთასა და ფსალმუნთასა. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს არაა სწორი. არის „შჯული მოსჱსი“, მაგრამ არ არის „შჯული წინაწარმეტყუელთაჲ“ და „შჯული ფსალმუნთაჲ“. ეს მაგალითიც კარგად გვიჩვენებს, რომ ორმაგი ბრუნების საკმაოდ რთული მექანიზმი ძველ ქართულშივე არის დაზიანებული: სადაც ძველი ნორმების მიხედვით აუცილებელია შეთანხმება, იქ გვაქვს შეუთანხმებლობა (მსგავს არს ძეთა კაცთა), მაგრამ სადაც შეთანხმება არ არის საჭირო, იქ უთანხმებენ ერთმანეთს არა მსაზღვრელსა და საზღვრულს, არამედ ერთი რიგის (უბრ. დამატ.) სიტყვებს (წერილი შჯულსა მოსესსა და წინაწარმეტყუელთასა და ფსალმუნთასა).

ამნაირად, მიცემითში დადასტურებულია სამნაირი ფორმა:

ა) პირთა მგელთასა, ძირთა ხეთასა

ბ) ჴელთა ასურასტანელთაჲსა, ღელთა მამათა თჳუენთაჲსა

გ) ძეთა-კაცთა.

ნათესაობითი

ა) მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნად აქვს ჲს-ა (ძირითადი ხაზი)

აქ საზღვრულს უმთავრესად თანდებულები ახლავს (განო, თჳს, ებრ, მიმართ, მიერ...). ამ ტიპის მაგალითები ძალზე ბევრია, აქ მხოლოდ რამდენიმეს მოყვანით დავკმაყოფილდებით.

რომელნი არა შემერაცხნეს სწორად ძალლთა მძოვართა ჩემთაჲსა, იობ 30, 1; აღიხუნა ლანკნანი ჴელთაგან ჭურუმთაჲსა, სვან. 248 a; და გამოიყვანენ იგინი ჴელთაგან მდევართა მათთაჲსა, ნეემია, 9, 27; წყალთა მათგან საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაჲსა, ხანძთ. 115, 30; სიმრავლეთაგან ცოლჳათა ჩემთაჲსა, პარხ. 1004 a; მწუერვალთაგან ხეთაჲსა კიმ. I, 65, 11; ნაზორევთაგან კერპთაჲსა, მოც. 15, 20; ჴელთაგან ისმაიტელთაჲსა, დაბ. 39, 1.

ბ) მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნად აქვს ს-ა

განარინე ვნებული ჴელთაგან მავნებელთასა, ზირაქ 4, 9 (=მავნებელთაჲსა); და ზრახვაჲ მისი არნ ნაშობთა მიმართ კუროთასა, იქვე, 38, 25 (=კუროთაჲსა); არა ინებეს შემდგომად ღმერთთა მამათა მათთასა, რვდით 5, 7 (=მათთაჲსა); თუალნი შენნი განბუმულ არიან ყოველთა მიმართ გზათა კაცთასა, იერ. 32, 19 (=კაცთაჲსა); სხუათა მათ ჴმათაგან საყჳრთასა, გამოცხ. 8, 13 (=საყჳრთაჲსა); რამეთუ მისცეს ეშმაკმან ანტეს ყოველივე ძალი თჳსი უცნებათათჳს ხასწაულთასა, თარგმ. გამოცხ. 13, 2 (=სასწაულთაჲსა); რომელი იმსახურები ზეცას მჴედრობათაგან უჯორცოთასა, სას. პოეზ. 402, 485 (=უჯორცოთაჲსა).

გ) მსაზღვრელს სულ არა აქვს ბრუნვის ნიშანი (ნული აქვს)

სხუათა მათ ჴმათაგან საყჳრთასა სამთა მათ ანგელოზთა, გამოცხ. 8, 13 (=ანგელოზთაჲსა). აქ არც საყჳრთასა არის მოცემული სწორი ფორმით;

მარტო ეს სიტყვა რომ ყოფილიყო მსაზღვრელად, უნდა გექონოდა: **ჴმათა-გან საყჳრთაჲსა**, მაგრამ აქ არის კიდევ ერთი სხვა მსაზღვრელი, რომელიც უნიშნოდაა წარმოდგენილი. უძველესი ნორჩების მიხედვით თუ გავმართავდით, ვეექნებოდა: სხუათა მათ **ჴმათაგან** საყჳრთა სამთა მათ **ანგელოზთაჲსა**.

აღნაირად, ნათესაობითშიც დადასტურებულია სამნაირი ფორმა:

ა) ჴელთაგან ქურუმთაჲსა (ძირითადი ხაზი)
ბ) ჴელთაგან მავნებელთასა
გ) ჴმთაგან... ანგელოზთა.

მოქმედებითი და ვითარებითი

მოქმედებითი და ვითარებითი თანიან მრავლობითში, როგორც აღნიშნული გვქონდა, ძალზე იშვიათად იხმარება. ადვილი წარმოსადგენია, რომ ბევრჯერ უფრო იშვიათი იქნება შემთხვევები, როცა ამ ბრუნვებში გამოყენებულ სახელთან ამავე დროს მართული მსაზღვრელიც იყოს წარმოდგენილი. მასალები ძალიან ცოტა მოგვეპოვება, ამიტომ საკითხის საჭირო სისრულით განხილვა ძნელია. მაინც შეიძლება ითქვას, რომ ამ ბრუნვებშიც არსებითად ისეთივე სურათი უნდა გვქონდეს, როგორც მოთხრობით-მიცემით-ნათესაობითში. აქაც არის მოსალოდნელი, რომ მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნად ჰქონდეს:

მოქმ. **ჲთ-ა** (ძირით. ხაზი), **ს-ა, ჲს-ა**, 0 (ნული)
ვით. **-(დ)** (ძირით. ხაზი), **ს-ა, ჲს-ა**

ამათგან მოქმედებითისათვის ტექსტებით დადასტურებულია პირველი შესაძლებლობა, ვითარებითისათვის — I და II. მაგალითები:

მოქმედებითი: და მოიღეს სამოსელი პატიოსანი და წარგრაგნეს ნეტარი იგი თჳსითავე სამოსლითა, მას შინა **საკუმეველთა სულნელთაჲთა** და ნელსაცხებლითა, ლიტ. ურთ. 131, 20. „საკუმეველთა სულნელთაჲთა", ცხადია, მოქმედებითია. მსაზღვრელს, როგორც ვხედავთ, აქვს **ჲთ-ა** ბოლოსართი: საკუმეველთა სულნელთა-**ჲთა**.

მოქმედებითის სხვა სახეების მაგალითები არ შეგვხვედრია.

ვითარებითი. აქ ორი სახის მაგალითები გვაქვს: ა) მსაზღვრელს სულ არა აქვს ბრუნვის ნიშანი, ის ფუძის სახითაა მოცემული (რომელიც ამავე დროს ნათესაობითის ფორმას წარმოადგენს); ბ) მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნად აქვს სუფიქსი **ს-ა**, სწორედ ის სუფიქსი, რომელიც გვქონდა მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში. ვითარებითიც, როგორც ვხედავთ, ზოთ მიჰყვება. ეს მაგალითებია:

ა) მსაზღვრელს ბრუნვის ნიშანი სულ არა აქვს
(ნული აქეს. — ძირით. ხაზი)

და გამოჴდა სისხლი საწნეველისა მისგან ვიდრე **აღჳრთამდის ცხენთა**-ათას ექუსასით უტევანით შორს, თარგმ. გამოცხ. 14, 20.

ბ) **მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნად აქვს ს-ა:**

და დაემონნეს მათ და შვილთა მათთა ვიდრე **მეფეთამდე სპარსთასა**, 2 ეზრა 1, 57. ბიბლიის თბილისურ გამოცემაში ორივე სახელი (საზღვრულიცა და მსაზღვრელიც) შეცვლილია, ისინი მხოლობითშია წარმოდგენილი (1 შემთხვევა), მაგრამ ბრუნვა, რასაკვირველია, უცვლელადაა დაცული: ...ვიდრე **სამეფოდმდე სპარსეთისა**. რუსული თარგმანი უფრო ზუსტად გადმოსცემს ტექსტის აზრს: до владычества Персов.

* * *

ახლა, რაკი ორმაგი ბრუნების სურათი ძირითადად გადაშლილია ჩვენს წინაშე, შეიძლება შევეცადოთ იმის ახსნას, თუ რატომ არა გვაქვს ჩვენთვის საინტერესო ბრუნვებში (მოთხ., მიც., ნათ., მოქმ., ვით.) მსაზღვრელისათვის მოსალოდნელი **თა-თა**, ერთი მხრივ, და რატომ გვაქვს ხმის ნაცვლად ნაირ-ნაირი სუფიქსები, მეორე მხრივ.

მაგრამ სანამ ამ კითხვებზე პასუხს გავსცემდეთ, საჭიროა მოკლედ გავითვალისწინოთ საკითხის ისტორია.

ორმაგი ბრუნება საკმაო სისრულით აქვს განხილული თ. ჟორდანიას[1]. ავტორი მას **ორკეც** ბრუნებას უწოდებს, შედარებით ვრცლად აღწერს მის მექანიზმს და ბევრ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს. მაგრამ ამასთან ერთად ავტორს მოჰყავს ისეთი ფორმები, რომელთაც ენაში ადგილი არა აქვთ. ასეთებია: ძალისა მოთმინებ-ისა-საჲ (ნათ.-ნათ.), ლხინთა ჭართველ-თა-თა (ნათ.-მიც., ნათ.-მოთხ.) (გვ. 161) და სხვა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საკითხი სწორადაა დასმული, პასუხიც უმეტესად მართებულადაა გაცემული.

ნ. მ ა რ ს თავის „ძირითადს ტაბულებში" ორმაგი ბრუნება სრულებით არა აქვს გათვალისწინებული, სამაგიეროდ იგი შეტანილი აქვს „ძველი ქართულის გრამატიკაში"[2]. ნ. მარის ამ შრომაში მოცემულია მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის ბრუნების (ორმაგი ბრუნების) ოთხივე შემთხვევა, მაგრამ მთელი რიგი საკითხები შემცთარად არის წარმოდგენილი. აქ ვუჩვენებ უმთავრეს მათგანს. 1) წრფელობითი ბრუნვა არც ერთ შემთხვევაში არაა მოცემული. ამიტომ ისეთ ნაგალითებს, როგორიცაა ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი: „ძე ღმრთის, მარცუალ მდოგჳს, ნაყოფ დიდების, მოძღუარ კეთილის, გჳრგჳნ სიკეთის" და სხვ., მის გრამატიკაში ადგილი არა აქვს. 2) ორმაგი ნათესაობითის ფორმა I შემთხვევიდან ერთადერთი სახითაა მოცემული: **სახელ-ის-ა მამ-ისა-ჲს-ა**, არაა გათვალისწინებული მოველენის შემდგომი განვითარების ამსახველი სურათი, როცა ფორმა გარკვეული მიზეზების გამო მარტივდება (**სახელ-ის-ა მამ-ის-ა**). სწორედ ეს გამარტივებული სახეობა, რომელიც ნ. მარს სრულებით არა აქვს შემჩნეული, წარმოადგენს ორმაგი ნათესაობითის გაბატონებულ სახეობას. 3) ვითარებითში არსებითი სახელით გამოხატული მსაზღვრელისათვის დადასტურებულია მხოლოდ

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქართული გრამმატიკა, 1889, გვ. 157—168.

[2] ნ. მ ა რ ი, Грам. გვ. 64—67.

დონიანი ფორმა: **სახელ-ად მამ-ისა-დ**; ასეთი სახეობა კი ძველ ქართულში უფრო ნაკლებია (თუ არ ვიტყოდით, იშვიათიაო), იქ გაბატონებულია უდონო სახეობა: სახელ-ად მამ-ისა. 4) ასევე ერთადერთი შესაძლებელი სახითაა მოცემული ეგეთ ვითარებითი III შემთხვევიდან: **სახელ-ად მამა-თა-დ**, რაც კიდევ უფრო იშვიათია. ბაშასადამე, აქაც არაა ნაჩვენები ამ მოვლენის განვითარების ის სახეობა, რაც ძველ ქართულში აბსოლუტურად არის გაბატონებული. 5) სრულიად არ არის ნაჩვენები ამავე III შემთხვევაში მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის შეთანხმების დარღვევის სხვა სახეები (ვითარებითში, ნათესაობითში). 6) სრულიად უმწეოდ არის წარმოდგენილი IV შემთხვევის პარადიგმა. სახელობითსა და წოდებითს თავი რომ დავანებოთ (ეს ისედაც ადვილია და არ წარმოადგენს რაიმე სიძნელეს), ყველა სხვა ბრუნვიდან შეტანილია მხოლოდ მიცემითი და ნათესაობითი და ორივესათვის ერთი და იგივე ფორმაა მოცემული: **სახელ-თა მამა-თა-სა**, რაც არ წარმოადგენს სინამდვილეს იმ სახით, როგორც ის ძველ ქართულში გვაქვს[1]. აქ არაფერი რომ არა ვთქვათ მოქმედებითისა და ვითარებითის შესახებ, კრინტიც არ არის დაძრული მოთხრობითის შესახებ, რაც, როგორც ვნახეთ, ყველაზე მეტ თავისებურებას შეიცავს და ნაირ-ნაირი ფორმებით ხასიათდება. ერთი სიტყვით, ნ. მარის გრამატიკაში ორმაგი ბრუნების საკითხი დასმულია, მაგრამ უმთავრეს ხაზებშიც კი არაა სწორად გადაჭრილი. საკითხის ამომწურავად განხილვაზე კი ზედმეტია ლაპარაკი.

ს. ჯანაშიას „საბა ასურის ცხოვრების“ ტექსტის გამოცემასთან დაკავშირებით გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ „სახლ(ებ)თა მორწმუნეთათა“ სრულიად კანონიერი და პრაქტიკულად შესაძლებელი ფორმაა ძველი ქართულისათვის[2]. მაგრამ **მორწმუნეთათა** და მსგავსი ფორმები (თა-თა-იანი), როგორც ვნახეთ, არსად არ გვხვდება ძველ ქართულში.

გ. დეეტერსი ერთ თავის შრომაში ჩვენი საკითხის IV შემთხვევის შესახებ შენიშნავს: ხანდახან ხდება, რომ მრავლობითობის სუფიქსი მხოლობითობის სუფიქსით შეიცვლებაო, და მაგალითად მოჰყავს შემდეგი ადგილი „იერუსალიმის წარტყუენვიდან“: „ამისთჳს მიგცა შენ ღმერთმან ჴელთა მტერთა **შენთასა**“ (წარტყ. 6, 1)[3]. შენიშვნა სავსებით სწორია, მაგრამ ეს ხდება არა ხანდახან (manchmal), როგორც დეეტერსი წერს, არამედ **ყოველთვის**, როცა IV შემთხვევის თანიან მაგალითებთან გვაქვს საქმე (ე. ი. როცა საზღვრულიცა და მსაზღვრელიც მრავლობითშია), და არა მარტო მიცემითში, რომლის მაგალითიც მოჰყავს ავტორს, არამედ სხვა ბრუნვებშიც (მოთხ., ნათ., მოქმ., ვით.). ყოველ შემთხვევაში, ფაქტი სწორადაა შენიშნული.

ფ. ცორელი ნ. მარის შრომებზე დაყრდნობით იმეორებს ნ. მარისეე მოსაზრებებს და საკითხს ისე წარმოგვიდგენს, როგორც ნ. მარს ჰქონდა

[1] **სახელთა მამათახა** ნათესაობითის გაგებით იშვიათად გვაქვს ძველ ქართულში (მას ჩვენ წესის დარღვევას ვუწოდებთ), მაგრამ ამ ბრუნვისათვის ჩვეულებრივია: **სახელთა მამათაჲსა**, რაც არსად ჩანს ნ. მარის ამ შრომაში.

[2] ცხორებაჲ საბა ასურისაჲ. ტექსტი გამოსცა და შენიშვნები დაურთო ს. ჯანაშიამ: არილი, 1925, გვ. 23.

[3] G. Deeters, Armenisch und Südkaukasisch: Caucasica, 4, 1927, გვ. 37.

(ნ. ზემოთ). ოღონდ, თუ ნ. მარს „სახელთა მამათა-სა“ მიცემითისა და ნათესაობითისათვის ჰქონდა განკუთვნილი, ფ. ცორელს ამაში მოზიარედ მოთხრობითიც შეჰყავს (მისი მაგალითია, „ქველ-თა კაც-თა-სა“)[1]. ავტორი, რა თქმა უნდა, არ იცნობს აღნიშნულ ბრუნვებში მსაზღვრელის სხვანაირ ფორმებს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს ვრცლად ეხება კ. დონდუა წერილში Об агглютинативном характере грузинского склонения[2]. ავტორის მთავარი მიზანია ძველი ქართულის ამ საინტერესო საკითხში გამოავლინოს ქართული ენის აგლუტინაციური ბუნება. ამიტომ ავტორისათვის არც არსებობს საკითხი, ახსნას, თუ რატომ არა გვაქვს თა-თა და რატომაა, რომ ამის ნაცვლად მხოლობითის სუფიქსებია წარმოდგენილი მოთხრობითსა, მიცემითსა და ნათესაობითს ბრუნვებში[3]. მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის ავტორს მთელი რიგი საკითხები სწორად წარმოადგინოს. კ. დონდუას აღნიშნული წერილი ვრცლად აქვს განხილული ლ. კიკნაძეს ზემოთ დასახელებულ მის შრომაში და აქ აღარ განვაგრძობთ მის შესახებ საუბარს.

რომ მართული მსაზღვრელის თეორიულად მოსალოდნელი თა-თა დაბოლოების ნაცვლად ძველ ქართულში მხოლობითის სათანადო სუფიქსები გვაქვს, ეს აღნიშნული და გათვალისწინებული აქვს ა. შანიძეს[4], აგრეთვე კ. კეკელიძესაც[5].

სტ. ჩხენკელი თავის მონოგრაფიაში ეხება აგრეთვე მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებას ძველ ქართულში. ავტორს თემის შეზღუდული ხასიათი (საკუთარ სახელთა ბრუნება) საშუალებას არ აძლევს შეეხოს საზოგადო სახელებსაც. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხის ზოგიერთი მხარე აქაც არის განხილული. ავტორის ბევრ მნიშვნელოვან და სწორ დასკვნასთან ერთად აქ გვხვდება ზოგი ისეთი ფორმა, რაც ძველმა ქართულმა არ იცის საერთოდ. ასეთია, მაგალითად, „ბანაკთა ძეთა ამონისთათა“ ძოთხრობითის,

---

[1] F. Zorell, Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung, Roma, 1930, გვ. 27.

[2] Доклады Академии Наук СССР, 1931, 4 В, გვ. 63—68.

[3] რაც შეეხება მოქმედებითსა და ვითარებითს, ეს ბრუნვები, კ. დონდუას აზრით, არც გააჩნია ნარ-თანიან მრავლობითს. ასე, განიხილავს რა ფორმას „დედა-თა“ მოთხრობითისა, მიცემითისა და ნათესაობითისათვის, ავტორი შენიშნავს: Сюда по недоразумению относят иной раз и Твор. падеж, которого на деле не досчитываемся в древнегрузинском в Plⁿ“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 64, შნშ 2). მაგრამ ეს აზრი, როგორც ვნახეთ, არ არის სწორი: მოქმედებითი (და ვითარებითი) თანიან მრავლობითს, რასაკვირველია, მოეპოვება (ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 272—279).

[4] ა. შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ. I. ქრესტომათია, 1935, გვ. XI, შნშ. ნ. აგრეთვე ქართული ოთხთაავის ორი ძველი რედაქცია (ძველი ქართული ენის ძეგლები. 2. 1945), სადაც მრ. 3, 28 C წაკითხვასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს: „ძეთა კაცთა“-ს ნაცვლად მოსალოდნელი იყო „ძეთა კაცთასა“-ო. სავსებით სწორია.

[5] ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი. ტ. II, გამოსცა კ. კეკელიძემ, 1946, გვ. 43.

მიცემითისა და ნათესაობითის მნიშვნელობით[1]. ფორმა **ამონისთათა** შეუძლებელია ძველი ქართულისათვის. ამის ნაცვლად უნდა გვქონოდა: ბანაკთა ძეთა ამონისთამან (მოთხ.), ბანაკთა ძეთა ამონისთასა (მიც.) და ბანაკთა ძეთა ამონისთაჲსა (ნათ.). უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე ქვევით გვექნება საუბარი.

მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთობას ეხება ა. კიზირიას წერილი „ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობისათვის საზღვრულთან“[2], რომელშიც განსაკუთრებით შესწავლილია მსაზღვრელისა და საზღვრულის ნათესაობით ბრუნვაში შეთანხმებისა და ამ შეთანხმების დარღვევის ზოგიერთი შემთხვევა.

მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის შეუთანხმებლობის შემთხვევები დაწვრილებითა და საქმის საფუძვლიანი ცოდნით განხილული აქვს ლ. კიკნაძეს წერილში „მართული მსაზღვრელის საზღვრულთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში“[3]. ავტორი აღნუსხავს იმ შემთხვევებს, როცა მართული მსაზღვრელი არ ეთანხმება საზღვრულს (ბრუნვასა და) რიცხვში, და იძლევა ამ მოვლენის ახსნას. ავტორი სპეციალურად ჩერდება იმის გამორკვევაზე, თუ რატომ არა გვაქვს ძველ ქართულში თეორიულად მოსალოდნელი **თა-თა** დაბოლოება და რატომ ცვლის მას სათანადო ბრუნვებში **მან**, **ს-ა** და **ჲს-ა** სუფიქსები.

ასეთია მოკლედ საკითხის ისტორია.

მაშ, რატომ არის, რომ ძველ ქართულში არ გვხვდება მართული მსაზღვრელის თეორიულად მოსალოდნელი **თა-თა** დაბოლოება?

ლ. კიკნაძე ხსენებულ წერილში ამის შესახებ წერს:

„მართულ მსაზღვრელში მოსალოდნელი **-თ-ა-თ-ა** დაბოლოების ნაცვლად **-თ-ა-მან**, **-თ-ა-ს-ა**, **თ-ა-ჲს-ა** დაბოლოებების გამოჩენა იმით აიხსნება, რომ, ჯერ ერთი, თავიდან არის აცილებული **-თ-ა** დაბოლოების გამეორება (როგორც ზემოთ ვნახეთ, მსაზღვრელი **-თ-ა-ს** მხოლოდ მაშინ არ დაირთავს, როდესაც მისი ფუძე ბოლოვდება **-თ-ა-თი**) და, მეორე, ამასთან ნათლად არის გამოხატული ის ბრუნვა, რომელშიც **-თ-ა** დაბოლოებიანი საზღვრული იგულისხმება, მაგრამ რომლის ნიშანიც მას არა აქვს“[4].

ეს მსჯელობა სავსებით სწორია. სწორედ **თა**-ს არსებობა მსაზღვრელის ფუძეში უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ მას მეორე **თა** არ ერთვის. მართლაც, ქართულ სახელთა ბრუნების მთელ სისტემაში ეს **თა** წარმოადგენს ერთადერთ გამონაკლისს, იგი არის ერთადერთი ფორმანტი, რომელშიც ორი ფუნქციაა გაერთიანებული: რიცხვი (მრ.) და ბრუნვა. მაგრამ ეს ცოტაა.

---

[1] ს ტ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 25, 1943, გვ. 190.

[2] იბერ.-კავკ. ტ. I, 1946, გვ. 329—336.

[3] თბილ. უნივ. შრომები, ტ. 45, 1951, გვ. 205—223.

[4] დასახელებული ნაშრომი, გვ. 218.

თუ რიცხვი ყოველთვის ერთი და იგივეა (მრ.), ამას ვერ ვიტყვით ბრუნვაზე: ეს უკანასკნელი კონტექსტის მიხედვით შეიძლება იყოს 5: მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი (ხშირად), მოქმედებითი და ვითარებითი (იშვიათად). ამ ბრუნვების გამოცნობა ჭირს, იგი ყურადღების დაძაბვას მოითხოვს. ამიტომ ენა ამ თა-ს ვერ ითმენს და ერიდება მაშინაც, როცა მხოლოდ ისაა სახელთან წარმოდგენილი, ე. ი. როცა ცალმაგი ბრუნება გვაქვს. ენა ცდილობს ამ თ-ა-ში მხოლოდ მრავლობითობის ნიშანი დაინახოს და ბრუნვის ნიშანს ცალკე ურთავს. ამის მაგალითები ჩვენ ზემოთ საკმაოდ ვნახეთ. როცა საუბარი გვქონდა ისეთ ფორმებზე, როგორიცაა ხარისხ-თა-ჲთ-გან, მჯარ--თა-ჲთ-გან, ფერჴ-თა-ჲთ-გან, წარჩინებულ-თა-ჲთ-ურთ, ყრმებითურთ და ჭაბუკ-თა-ჲთ და სხვა. (გვ. 275). თუ ასე ძნელი გასაგებია ერთი თა სუფიქსის შემცველი ფორმები, რაღა უნდა ყოფილიყო მაშინ, რომ მას მეორეც დაჰრთოდა. აი სწორედ ამას ერიდება ენა, ხელს იღებს ამ მეორე სუფიქსზე და მის ნაცვლად ურთავს ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევისათვის საჭირო ბრუნვის ნიშნებს. ამაში არაფერია გასაკვირი, ეს იმ ხაზის გაგრძელებაა, რომლის მაჩვენებელი ნიმუშებიც ზემოთ მოვიყვანეთ (ხარის-თა-ჲთ-გან, ჭაბუკ-თა-ჲთ-ურთ). ორივე ტიპის მაგალითებში ენა თა-ს განიხილავს, როგორც მხოლოდ მრავლობითობის ნიშანს[1], სხვანაირად: ენა ამ თა-ს ებ-თან ათანაბრებს. მაგრამ რადგანაც ებ-ს ეს თვისება თავიდანვე ჰქონდა (ე. ი. იგი თავიდანვე მხოლოდ მრავლობითობის მაჩვენებელი იყო), ენამ უპირატესობა იმას მიანიჭა, თა კი ნელნელა და თანდათანობით განდევნა ხმარებიდან. დღეს იგი აქა-იქ არის შემორჩენილი და, როგორც ეტყობა, დიდხანს ყოფნა არ უწერია.

როგორც დავინახეთ, თა-ს საფუძველი თვით ძველ ქართულში იყო შერყეული და ამიტომ სავსებით ბუნებრივია ენის ტენდენცია, რომ, სადაც კი შეიძლება, გვერდი აუაროს მას და მის ნაცვლად სხვა საშუალებას მიმართოს, ეს — რაც შეეხება ერთ თა-ს. ორი თა-ს წინააღმდეგ, რაღა სათქმელია, ორჯერ მეტი მიზეზი არსებობდა.

ყველაფერი ეს საკმაო საბუთი იყო იმისათვის, რომ მსაზღვრელში მეორე თა აეცილებინათ.

როგორც დავინახეთ, თა-თა-ს არიდება ენაში გამოწვეულია წინდა სემანტიკური მიზეზებით და არავითარ ფონეტიკურ ფაქტორზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება[2]. ფონეტიკურად სრულებით არაა შეუძლებელი თა-თა-ს არსებობა. ასე რომ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა აგრეთვე მთათა ფორმის არსებობა ენაში (გვხვდება კი ხშირად) და კიდევ უფრო აუტანელი მათთა, ათთა, ხუთთა და მსგავსი ფორმები, რომელნიც წარამარა გვხვდება ძველი ქართულის ტექსტებში.

---

[1] ისტორიულად ეს ასეც იყო, თ(ა) მხოლოდ მრავლობითობას აღნიშნავდა, ბრუნების ჩვენება მას შემდეგღა დაეკისრა (ა. ჩიქობავა).

[2] ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 218, შნშ.

მაგრამ რა უნდა ჩაესვათ მის მაგივრად? ყველაზე ბუნებრივი გზა აქ იყო იმ ბრუნვის ნიშნის გამოყენება, რომელსაც (რომელ ბრუნვასაც) კონტექსტი გულისხმობდა. ეს იყო მოთხრობითისათვის **მან**, მიცემითისათვის **ს-ა**, ნათესაობითისათვის **ძხ-ა**, მოქმედებისათვის **ძთ-ა** და ვითარებისათვის **ნულ** (ან **დ**). ეს მართლაც ასე გვაქვს ენაში. ძველ ტექსტებში დაცული მაგალითების აბსოლუტური უმეტესობა აქ აღნიშნულ ფორმებს გვაძლევს. ამას ვუწოდებთ ჩვენ **ძირითადს ხაზს**. ძირითადი ხაზი იმიტომ გვაქვს ნახსენები, რომ ყველა მაგალითი ასეთი ხასიათისა არაა, ყველა მათგანი ამ ხაზზე ვერ თავსდება. ზოგჯერ აღნიშნულ ბრუნვებში შეთანხმების დარღვევებს სხვა ხასიათი აქვს და სხვა მიზეზებით აიხსნება. ამ სახის დარღვევებზე ახლავე უნდა შევჩერდეთ. მაგრამ, როგორც აღნიშნული გვქონდა, ამ სახის დარღვევებიც სრულებით არაა შემთხვევითი და კერძოობითი ხასიათისა, მათაც ურთგვარი მთლიანობა ახასიათებთ, ისინი გარკვეულ წესს მისდევენ. სახელდობრ:

1. გარკვეულ შემთხვევებში განზოგადებულია მიცემითი ბრუნვის ნიშანი **ს-ა** და ის, გარდა მიცემითისა, სხვა ბრუნვებშიც გვხვდება.

2. ასეთი როლი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანსაც (**ძხ-ა**-ს) აქვს დაკისრებული.

3. არც ერთ ბრუნვას (5) არა აქვს ბრუნვის ნიშანი, თა-ს მოსალოდნელი ადგილი ცარიელია. ამას ჩვენ გამარტივებულ ფორმებს ვუწოდებთ.

რატომ ხდება ეს ასე? რა მიზეზით გვხვდება **ს-ა** სხვა ბრუნვებში? რა მიზეზით გვაქვს **ძხ-ა** აგრეთვე სხვა ბრუნვებში? რა იწვევს ფორმის გამარტივებას? ამ კითხვებს უნდა ვუპასუხოთ რიგრიგობით.

1. აღნიშნულ 5 ბრუნვას შორის ყველაზე ხშირად ძველ ტექსტებში მიცემითი გვხვდება, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ხშირად გვხვდება მიცემითი ბრუნვის ნიშანი **ს-ა**[1]. ამ დიდი გავრცელებულობის გამო უნდა იყოს იგი ანალოგიით გადასული სხვა ბრუნვებშიც: მოთხრობითში[2], ნათესაობითში (მოქმედებითსა) და ვითარებითში[3].

ს-ა (ნათესაობითში) ზოგჯერ **ჲ**-ს დაკარგვის შედეგად შეიძლება აიხსნას: **ძხ-ა** → **ს-ა**, რაც (**ჲ**-ს დაკარგვა) ძველ ქართულში ხშირად ხდება ხოლმე

---

[1] ბრუნვა და ბრუნვის ნიშანი ყოველთვის ერთმანეთს არ ფარავს. მიცემითს ბრუნვას, გარდა **ს-ა** ნიშნისა, აქვს კიდევ მარტივი **ს** ნიშანი. უფრო დაშორებულია ეს ცნებები ნათესაობითში. ნათესაობითს ბრუნვას ბრუნვის ნიშნად აქვს მარტივი **ის**, **ჲს**, რთული **ისა**, **ჲსა**. ამასთან, ცალმაგ ბრუნვებში გაცილებით ხშირია **ი**, **ია** ნიშნები, ერთობ მცირეა **ს**, **ჲს** სუფიქსები. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში (ორმაგ ბრუნვებში) მხოლოდ **ძხ-ა** გვხვდება. აქედან ცხადია, თუ როგორ ჩამოუვარდება ის მიცემითი ბრუნვის ნიშანს **ხა-ს**.

[2] კ. დონდუა ს, მაგალითად, ნათესაობით-მოთხრობითისათვის (IV შემთხვევაში) მხოლოდ **ს-ა** აქვს დასახელებული (მძლავრ-თა არაბთა-სა, რტო-თა პრაკთა-სა). როგორც ეტყობა, ავტორი არ იცნობს ამ ბრუნვისათვის **მან** სუფიქსს (ძირითადს ნიშანს).

[3] ლ. კიკნაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 211. ავტორი ამ **ხ-ა**-ს, გარდა მიცემითისა, მოთხრობითშიც ნაპულობდა.

(შდრ. იესუ-ს თანა, მ. 9, 10E, მაგრამ: იესუ-ჲს თანა CD; გუნებაჲს იესუ-ჲს-ი ხილვაჲ, ი. 12, 21 E, მაგრამ: იესუ-ს-ი ხილვაჲ D, იესუ-ს ხილვაჲ C; რა ჰშჯამოთ, ლ. 12, 22 D, მაგრამ: რაჲ ჰჯამოთ C (შჯამოთE); რა ვსუათ, მ. 6, 31 D, მაგრამ: რაჲ ვსუათ CE და სხვ.). მაგრამ ყოველთვის ამ მიზეზთან არ უნდა გვქონდეს საქმე. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ვერ ავხსნიდით, თუ რატომ გვაქვს იგივე ს-ა მოთხრობითსა (მოქმედებითსა) და ვითარებითში.

2. ჲს-ა-ს ხმარებაც სხვა ბრუნვებში (მოთხ., მიც.) აგრეთვე მისი გავრცელებულობით უნდა აიხსნას, აქაც ანალოგიასთან უნდა გვქონდეს საქმე: ნათესაობითი ბრუნვა (და მისი ნიშანი) აგრეთვე ძალიან ხშირად იხმარება ძველ ტექსტებში. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება იგი მსახღვრელ-სახღვრულის ბრუნების მესამე შემთხვევაში (სახლ-ის-ა ძელ-თა-ჲს-ა), აქ ის ერთადერთია და შემცველი არა ჰყავს[1]. ამიტომ ანალოგიის საფუძვლად მისი დადება ბუნებრივია.

მეორე მხრივ, არ შეიძლება მხედველობაში არ გვქონდეს ის გარემოება, რომ ორმაგი (და სამმაგი) ბრუნების სახელებს პირველ (და მეორე) ბრუნვის ნიშნად მუდამ ნათესაობითის ნიშანი აქვთ გამოყენებული: სახლ-ი ძელ-ისა-ჲ, სახლ-მან ძელ-ისა-მან და ჩსხვ. ან: სახლ-ნ-ი ძელ-ისა-ნ-ი, სახლ-თა ძელ-ისა-თ-ა და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამმაგი ბრუნების ისეთი შემთხვევები, როცა ნათესაობითის (პირველი) ახალი ფუძე მრავლობითობის თა-თია ნაწარმოები, მეორედ ნაწარმოებ ფუძეში ასეთ შემთხვევაში მუდამ ჲს-ა გვექნება: ზეცა-თა-ჲსა-ჲ, ზეცა-თა-ჲსა-მან, ზეცა-თა-ჲსა-ს-ა, ზეცა-თა-ჲსა-ჲს-ა, ზეცა-თა-ჲსა-ჲთ-ა და სხვა. ასეთი მოხშირებული ფორმები უბიძგებს ენას იქეთკენ, რომ ანალოგიით ჲს-ა გადაიტანოს სხვა ბრუნვებში. ასეთი გადატანა განსაკუთრებით ადვილად ხერხდება მაშინ, როცა მოცემული ბრუნვის მნიშვნელობის დადგენა სიძნელეებს აწყდება.

3. ბრუნვის ნიშნების დაკარგვა და ფორმათა გამარტივება აიხსნება ენის საერთო ტენდენციით გამარტივებისაკენ. ენა საუკუნეთა და ეპოქათა განმავლობაში იხვეწება, მარტივდება და ადვილად გასაგები ხდება ხალხის მასებისათვის. ამ დახვეწისა და გამარტივების შედეგად აღარ გვაქვს დღევანდელ ქართულში, სხვას რომ თავი დავანებოთ, სრული და რთული ბრუნვის ნიშნები მან, სა, ისა, ითა, რომლებიც გამარტივებულია დღეს ამ სახით: მ (მა), ს, ის, ით. ამ გამარტივების შედეგად აღარ შეგვრჩა სალიტერატურო ქართულში ძველი ქართულის ისეთი მკვიდრი და შეუცვლელი ფორმები ზმნისა, როგორიცაა მან იგინი მოკლნა, წარავლინნა, განკურნნა, შეიპყრნა, მე იგინი ვთქუენ, დავწუენ, შევიპყრენ, მოვკლენ, წარვავლინენ და სხვა. ეგეთ გამარტივებისაკენ მისწრაფება იყო იმის მიზეზი, რომ ორმაგი ბრუნების ფორმებს ჯერ თანდათან ჩამოსცილდა ბრუნვის ნიშნები (ძეთა კაცთასა → ძეთა კაცთა), ხოლო შემდეგ და შემდეგ სხვა მხრივაც იწყო გამარტივება და ახალ ქართულში სრულიად სადა და გასაგები გახდა.

[1] ორიოდე გამონაკლისზე ზემოთ გვქონდა საუბარი.

სწორედ ამ გამარტივებისაკენ საერთო მისწრაფებით უნდა აიხსნას, რომ ორმაგი ბრუნების გამარტივებული სახეობა (ძეთა კაცთა) გვხვდება ჩვენ თითქმის ყველა ბრუნვაში.

აწლა შეიძლება ორმაგ ბრუნებასთან დაკავშირებულ ზოგ სხვა საკითხსაც შევეხოთ.

როგორც ზემოთ ენახეთ, როდესაც მართულ მსაზღვრელს თავის მხრივ კიდევ ახლავს თავისი ატრიბუტული მსაზღვრელი, საზღვრულს ეს უკანასკნელი ეთანხმება რიცხვსა და ბრუნვაში, მართული მსაზღვრელი კი წარმოდგენილია ნათესაობითის სუფთა ფორმით:

ჴმაჲ **მოკითხვისა შენისაჲ**, ლ. 1, 44; შურმან **სახლისა შენისამან**, ი. 2, 17; დირესა თუალისა **შენისასა**, ლ. 6, 41; შეკრებაჲ **შვილთა შენთაჲ**, მ. 23, 37; ამბორის ყოფითა **ფერჴთა ჩემთაჲთა**, ლ. 7, 45; თმანიცა **თავისა თქუენისანი**, ლ. 12, 7; საქმეთა **მამისა თქუენისათა**, ი. 8, 41 C; ბრჭალნი **ფერჴთა თქუენთანი**, მამ. სწავ. 253; ნუ მიმცემ მე ჴელთა **მტერთა ჩემთასა**, იქვე, 327 და სხვა. ეს არის მტკიცე ნორმა ძველი ქართულისათვის.

მაგრამ გვხვდება ხანდახან ისეთი შემთხვევები, როცა საზღვრულს ორივე მსაზღვრელი ეთანხმება — მართულიცა და ატრიბუტულიც. ყველაზე ხშირად ამას ადგილი აქვს ნათესაობით-სახელობითს ბრუნვაში, იშვიათად სხვაგანაც. ამის მაგალითებია:

სიმრავლე **ნაყოფთაჲ ურიცხუთაჲ**, 2 ეზრა 6, 44; ლოცვაჲ **მონისაჲ შენისაჲ**, ნეემია 1, 5; თავი მისი **ოქროჲსაჲ წმიდისაჲ**, დანიელ 2, 32; ბეჭედი **სახელისაჲ უკეთურისაჲ** მის, თარგმ. გამოცხ. 13, 17; სული **მჴევლისაჲ შენისაჲ**, პარხ. 810 b და სხვა.

3. რამდენიმე მსაზღვრელი ერთ საზღვრულთან

როდესაც ერთ საზღვრულს ახლავს ორი და მეტი მართული მსაზღვრელი, შესაძლებელია საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში შეეთანხმოს ყველა მათგანი, ან უკანასკნელი მათგანი, სხვები კი ნათესაობითის ფორმით (ე. ი. ახალი ფუძით) იყოს მხოლოდ წარმოდგენილი. ამ ორი შესაძლებლობიდან უფრო ძველი პირველი უნდა იყოს. თავდაპირველად, როგორც ჩანს, ყველა მსაზღვრელი ეთანხმებოდა საზღვრულს, გამარტივება მერმე დაწყებულა, წინამავალ მსაზღვრელებს თანდათან ჩამოსცილებია ბრუნვის ნიშანი და საზღვრულთან კავშირის დამყარება და შეთანხმება მხოლოდ უკანასკნელ მათგანს უკისრია. ძველ ქართულში ჩვენ საკმაოდ გვხვდება როგორც ერთის, ისე მეორის ნიმუშები. უფრო ძველ ძეგლებში პირველის ნიმუშებია ხშირი.

გვხვდება გარდამავალი საფეხურის ნიმუშებიც, სადაც არც ერთი წესია დაცული ზუსტად და არც მეორე, ე. ი. რამდენიმე, ვთქვათ, 3 მსაზღვრელიდან საზღვრულს უთანხმდება 2 : I და III, 4-დან — 3 ან 2, 5-დან — 4, 3 ან 2 და სხვა. მაგრამ ასეთი (გარდამავალი საფეხურის) ნიმუშები შედარებით მცირეა. უფრო მეტად ან პირველი წესია დაცული, ან მეორე.

აღნიშნული რამდენიმე მსაზღვრელი შეერთებულია ერთმანეთთან უკავშიროდ (პაუზით, წერაში მძიმით), ან კავშირებით. კავშირებად აქ გამოყენებულია ყველაზე ხშირად **და**, შემდეგ აგრეთვე **გინა**, **ანუ** და სხვა.

ტექსტებში ჩვენ შეიძლება შევხვდეს ზემოთ განხილული ოთხივე შემთხვევის ნიმუშები. რადგანაც ეს შემთხვევები ზემოთ საკმაო სისრულითაა განხილული, აქ სიმარტივისათვის ერთ-ერთი სახეობის პარადიგმას მოვიყვანთ მხოლოდ, ერთ მათგანს ისეთი შემთხვევებისათვის, როცა საზღვრულს ყველა მსაზღვრელი ეთანხმება, მეორეს — ისეთებისათვის, როცა საზღვრულს მხოლოდ უკანასკნელი მსაზღვრელი ეთანხმება. გარდამავალი საფეხურის ნიმუშებისათვის ცალკე აღარაა საჭირო პარადიგმა, რადგანაც ეს გარდამავალი საფეხური მეტად მრავალფეროვანი შეიძლება აღმოჩნდეს და ყოველი ცალკე შემთხვევისათვის ანგარიშის გაწევა შორს წაგვიყვანდა. ნიმუშად სამ-მსაზღვრელიანი მაგალითი ავიღოთ.

I. საზღვრულს ეთანხმება ყველა მსაზღვრელი

წრფ.	მოფარდულ	ზროხათა	და	ცხოვართა	და	ტრედთა[1]
სახ.	მოფარდულ-ი	ზროხათა-ჲ	და	ცხოვართა-ჲ	და	ტრედთა-ჲ
მოთხ.	მოფარდულ-მან	ზროხათა-მან	და	ცხოვართა-მან	და	ტრედთა-მან
მიც.	მოფარდულ-ს-ა	ზროხათა-ს-ა	და	ცხოვართა-ს-ა	და	ტრედთა-ს-ა
ნათ.	მოფარდულ-ის-ა	ზროხათა-ჲს-ა	და	ცხოვართა-ჲს-ა	და	ტრედთა-ჲს-ა
მოქმ.	მოფარდულ-ით-ა	ზროხათა-ჲთ-ა	და	ცხოვართა-ჲთ-ა	და	ტრედთა-ჲთ-ა
ვით.	მოფარდულ-ად	ზროხათა-(ჲ)	და	ცხოვართა-(ჲ)	და	ტრედთა-(ჲ)
წოდ.	მოფარდულ-ო	ზროხათა-(ო)	და	ცხოვართა-(ო)	და	ტრედთა-ო

II. საზღვრულს ეთანხმება მხოლოდ უკანასკნელი მსაზღვრელი

წრფ.	ათეულ	იფქლ-ის(ა)	და ღჳნ-ის(ა)	და ზეთ-ის(ა)
სახ.	ათეულ-ი	იფქლ-ისა	და-ღჳნ-ისა	და ზეთ-ისა-ჲ
მოთხ.	ათეულ-მან	„	„	ზეთ-ისა-მან
მიც.	ათეულ-ს-ა	„		ზეთ-ისა-ს-ა
ნათ.	ათეულ-ის-ა	„		ზეთ-ისა-ჲს-ა ‖ ზეთ-ისა
მოქმ.	ათეულ-ით-ა			ზეთ-ისა-ჲთ-ა
ვით.	ათეულ-ად			ზეთ-ისა-(ჲ)
წოდ.	ათეულ-ო			ზეთ-ისა-ო

დავიმოწმოთ აქ წარმოდგენილი პარადიგმების მაგალითები.

[1] ი. 2, 14. მაგალითებს ვიძლევით იმ სახით, როგორც ტექსტში გვხვდება (აქ III შემთხვევაა).

I ტიპი

ჴმაჲ სიხარულისაჲ და განცხრომისაჲ, ლ. 15, 25; ჴმაჲ... გოდებისაჲ და ტირილისაჲ და ღაღადებისაჲ, მ. 2, 18 C; ღმერთი ცათაჲ და ქუეყანისაჲ, შუშ. 149, 2; ჴმაჲ საყჳრისაჲ, სტჳრისაჲ, ქნარისაჲ და ებნისაჲ და სახიობისაჲ, დანიელ 3, 10; დღჲ არნ დღესასწაულისაჲ და სიხარულისაჲ, მამ. სწავ. 19; ღმრთეებაჲ მაშისაჲ და ძისაჲ, შატბ. 54 b; გესლი ასპიტთაჲ და იქედნეთაჲ და ღრიაკალთაჲ, თუალთ. 59, 33; დაცემაჲ საყჳრისაჲ და დაფისაჲ, ურჲ. 322, 23; აღრეჩული მურისაჲ და ალოჲსაჲ, ი. 19, 39 ლაგ.; სისხლი ზუარაკთაჲ და ვაცთაჲ, ებრ. 9, 13 ლაგ.

ძემან სტეფანესმან და გუდასმან (წყისის წარწ.); ათეულსა აღიღებთ პიტნაკისასა და ტეგანისასა და ყოვლისა მღილისასა, ლ. 11, 42; განსწმედთ გარეშესა სასუმელისასა და პარაფსიდისასა, მ. 23, 25; ნაწევართა მაგათ ჴორცთასა და სისხლთასა, ურჲ. 337, 9; წუელისაგან საცხოვართაჲსა და ზროხათაჲსა, ლიტ. ურთ. 70, 18; უცომოჲთა მით სიმართლისაჲთა და პეშმარიტებისაჲთა, 1 კორ. 5, 8; სუეტითა ცეცხლისაჲთა და ღრუბლისაჲთა, გამოსლე. 14, 24 ლაგ.

II ტიპი

დღჲ წყუდიადისა და ბნელისაჲ, სოფონია 1, 15; დღჲ იგი ჭირისა და ურვისაჲ, იქვე; გემოჲ... ძმრისა და ნაღჳლისაჲ, მამ. სწავ. 417; მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთაჲ, ლ. 7, 34; ტბასა მას ცეცხლისა და წუმწუბისასა, გამოცხ. 20, 10; კერპთა ოქროჲსა და ვეცხლისა და ქვისა და შეშისათა, გამოცხ. 9, 20; იძიე იგი უბანთა ქალაქისა გინა დაბისათა, მამ. სწავ. 218; მოწყუედისა მისთჳს დედისა და მამისა და დისაჲსა, კიმ. I, 156, 6; არა დათხეევად სისხლისა მამისა და დედისა და დისათა, იქვე, 156, 19 (შეთანმებულია შინაარსის მიხედვით); სისხლითა ვაცთა და ზუარაკთაჲთა, ებრ. 9, 12; მოწყალებითა გლახაკთა, ობოლთა და ქურივთაჲთა, მამ. სწავ. 18; უფალო ცისა და ქუეყნისაო, მ. 11, 25; კრებულნო სადუკეველთა და მწვალებელთანო, სას. პოეზ. 283, 288.

ნარევი (გარდამავალი საფეხური)

სამკაული შთაეცუა უცოდველებისაჲ და სიმშჳდისა და უხრწნელებისაჲ. იპოლ. 25, 80; ჴმაჲ ნესტჳსა, სტჳრისა, ქნარისა, ბობღნისაჲ, ებნისა და წინწილისაჲ და შესხმისაჲ და ყოვლისავე პირად-პირადისა სახიობისაჲ, დანიელ 3, 15; მოიღებთ ათეულსა პიტნაკისა და ცერეცოჲსასა და ძირაკისასა, ბ. 23, 23.

4. განმარტებული მსაზღვრელი

როგორც ვნახეთ, სახელის ორმაგი ბრუნების ფორმა მაშინ გვაქვს, როცა საზღვრულს მოსდევს ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი (სახლი ძელისაჲ). მაშასადამე, თუ ორმაგი ბრუნება გვაქვს, ბრუნებაში ორი სახელი

აუცილებლად უნდა ღებულობდეს მონაწილეობას. მაგრამ ხანდახან არის შემთხვევები, როცა საზღვრული არა ჩანს, მსაზღვრელი კი სრულიად ისე იბრუნვის, როგორც ორმაგი ბრუნებისას. უმეტეს შემთხვევაში ასეთ მსაზღვრელთან გარკვეული საზღვრული იგულისხმება[1]. ასეთ მსაზღვრელს განმარტოებულ მსაზღვრელს[2], ან უსაზღვრულო მსაზღვრელს, ეძახიან. ასეთია, მაგალითად, „ჯორცთასა" შემდეგს წინადადებაში: რომელნი **ჯორცთასა** განიზრახვენ, ღმრთისა სათნოდ ვერ ჴელ-ეწიფების, სვან. 459 b. აქ გამოტოვებულია საზღვრული, რომელიც შინაარსის მიხედვით შეიძლება იყოს „საქმესა" ან „საქმეთა". ორივე მათგანი ჩვენს მართული მსაზღვრელისათვის ფორმას „ჯორცთასა": „საქმესა ჯორცთასა" (III შემთხ.) „საქმეთა ჯორცთასა" (IV შემთხ.).

ზემოთ მოყვანილ მაგალითში მსაზღვრელი მრავლობითს რიცხვში დგას (ჯორცთა-). განმარტოებული მსაზღვრელების უმეტესობა სწორედ ასეთი ფორმისაა. მაგრამ ზოგჯერ მას შეიძლება ჰქონდეს მხოლობითის ფორმაც, მაგალითად: **ზეცისასა** ეძიებს, და უკუეთუ **ზეცისაჲ** არა იყოს, არა შეიწყნარებს, მამ. სწავ. 262. აქ ჩავარდნილი საზღვრული უეჭველად მხოლობითში იქნებოდა. კონტექსტის მიხედვით იგი შეიძლება იყოს: „სიმდიდრესა", ან „საფასესა", ან „საუნჯესა", ან ამის მსგავსი რამ. ასეთია კიდევ შემდეგი მაგალითიც:

შენ შჯამ **ჯოჯბისასა** და **კაკბისასა** და **ღრლედისასა** და მრავალთა საწოვაგეთა, მამ. სწავ. 42. აქ, როგორც ჩანს, საზღვრულად იგულისხმება „ჯორცსა".

განმარტოებული მსაზღვრელი ყველაზე ხშირად გვხვდება ზმნასთან „ვიტყჳ" („იტყჳ", „იტყჳს"), მაგალითად: „**ძმათასა** იტყჳს, შატბ. 266 b; და არა ხოლო თუ **განმაწმარებელთასა** იტყჳს, თუალთ. 74, 33; რამეთუ მელი **მწვალებელთასა** იტყჳს, იპოლ. 20, 20 [=მელა მწვალებლებს (ერეტიკოსებს) ნიშნავსო]; **ანგელოზთასა** ვიტყჳ და ყოველთა მღვძარეთა ძალთა ზეცისათა, სვან. 386; პარხ. 281 (აქ შეიძლება საზღვრულად იგივე „ძალთა" იგულისხმებოდეს, რომელსაც ახლავს მეორე მსაზღვრელი „ზეცისათა"); **მართალთასა** ვიტყჳ და **წინაწარმეტყუელთასა**, სვან. 393 a; **მღდელთასა** ვიტყჳ და **ფარისეველთასა** ჰეროდესითურთ სიბრმითა მათითა, პარხ. 82 a; ხოლო მამასა მისსა ეგონა, ვითარმედ **კერპთასა** იტყჳს, პარხ. 750 b.

ხანდახან ასეთი ფორმა გვხვდება თანდებულებთან, განსაკუთრებით **შორის** თანდებულთან, როცა ეს უკანასკნელი წინ უსწრებს სახელს, მაგალითად: შორის ორთა **ავაზაკთასა**, სას. პოეზ. 371 — 372; შორის ორთა მათ **ცხოველთასა**, იქვე, 371, 16.

გვაქვს სხვა ზმნებთან და სხვა შემთხვევებშიც, მაგალითად:

---

[1] ნ. მარი, Грамм., გვ. 67.

[2] ა. შანიძე, გრამატ. საფუძ., გვ. 93—94.

გოდებდით, რომელნი დამკჳდრებულ ხართ **დაჭრილთასა**, სოფონია 1, 11 (ბიბლიის თბილისურ გამოცემაში ცალმაგი მიცემითია: **დაჭრილსა**); ვითარ თავს-იდებ **ცოდვილთასა** და ულხენ ულმრთოთა, 3 ეზრა 3, 30; იღუწიდით სამართალსა და **გლახაკთასა**, უდაბნ. 32 vя; ყოველმან რომელმან დაუტეოს ზრუნვაჲ ცოდვათა თჳსთაჲ და **სხუათასა** ზრუნვიდეს, იგი ცუდად შურების, მამ. სწავ. 434 (აქ, ალბათ, საზღვრულად იგულისხმება „ცოდვათა").

განმარტოებულად ზოგჯერ ატრიბუტული მსაზღვრელიც გვხვდება. ამის კარგი ნიმუშია გამოთქმა, რომელსაც ასე ხშირად ვეცდებით ძველ ტექსტებში: მრავალი ერი ისმენდა **მისსა** ტკბილად, მრ. 12, 37. აქ, ცხადია, საზღვრულად იგულისხმება „სიტყუასა": მრავალი ერი ისმენდა (სიტყუასა) მისსა ტკბილად[1]. სხვა მსგავს შემთხვევებში ეს ნაგულისხმევი საზღვრული ნამდვილად არის წარმოდგენილი ტექსტში, მაგალითად: „მარიამ... ისმენდა **სიტყუათა მისთა**" (იესუჲსთა), ლ. 10, 39.

5. საკუთარი სახელი მსაზღვრელად

მართულ მსაზღვრელად საკუთარი სახელიც შეიძლება მოგვეკლინოს. აქ შეიძლება შეგვხვდეს ადამიანის სახელიც და გეოგრაფიულიც. თითოეული მათგანი ხასიათდება გარკვეული თავისებურებით. ჩვენ ორივე ესენი უნდა მიმოვიხილოთ მოკლედ.

ადამიანთა სასელი მსაზღვრელად

ადამიანთა სახელი მსაზღვრელად 4-დან მხოლოდ 2 შემთხვევაში გვხვდება: პირველსა და მეორეში. რადგანაც ადამიანთა სახელებს მრავლობითი რიცხვი ჩვეულებრივ არ მოეპოვებათ, ამიტომ, ცხადია, მათ არ გააჩნიათ სათანადო ფორმები III და IV შემთხვევაში. ეს ერთი თავისებურება.

მეორე მხრივ, ადამიანთა სახელებს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად, როგორც ცნობილია, აქვთ სუფიქსი ის (მარტივი, გაუვრცობელი ბრუნვის ნიშანი) და არა ის-ა. ეს გარემოება გარკვეულ დაღს ასვამს მთელს მათს ბრუნებას: ამგვარი მსაზღვრელი იბრუნვის როგორც თანხმოვანფუძიანი სახელი. ამიტომ ნათესაობით-სახელობითში გვექნება არა ჲ, როგორც საზოგადო სახელების სათანადო შემთხვევაში (სახლ-ი ძელ-ისა-ჲ), არამედ ი (სახლ-ი დავით-ის-ი), ნათესაობითსა და მოქმედებითშიც აქ ჲ-ს ნაცვლად სრული ი გვექნება (სახლ-ის-ა დავით-ის-ის-ა, სახლ-ით-ა დავით-ის-ით-ა).

ყველაზე დიდ თავისებურებად აქ მაინც ის გარემოება უნდა მივიჩნიოთ, რომ ვითარებითში აშკარად ჩანს ად ბრუნვის ნიშნის კვალი: სახლ-ად დავით-ის-ა: ა აქ, ცხადია, ად-ის ნაშთია, რომელიც დარჩენილა დ-ს დაკარგვის შემდეგ. ეს კვალი საზოგადო სახელებში, როგორც ვნახეთ, არ ჩანდა, რადგან იმათი ფუძე ხმოვანზე ბოლოვდებოდა (სახლ ძელ-ის-ა) და ვითარე-

[1] ნ. მარი, Грамм., გვ. 67.

ბითში მხოლოდ **დ** უნდა დაჰრთოდა. **დ**-ს გადარჩენის შემთხვევაში, რაც ძველ ქართულში გვხვდება, ად უკლებლად იქნება დაცული: სახლად დავით-ის-ად [1].

რადგანაც ასეთი მსაზღვრელის ახალი ფუძე **ს**-ზე ბოლოვდება, მხოლობითი რიცხვის მიცემითში ორ **ს**-ს მივიღებთ: სახლ-ს-ა დავით-**ის**-ს-ა. ერთი სიტყვით, მსაზღვრელის ახალი ფუძე აქ გაკეთებულია **ის** ბოლოსართის დამატებით და ზემოთ აღნიშნული თავისებურებანიც აქედან გამომდინარეობენ.

ახლა ავიღოთ სანიმუშოდ „სახლი დავით-ის-ი“ და ვაბრუნოთ ორსავე (I და II) შემთხვევაში.

I შემთხვევა

წრფ.	სახლ	დავით-ის
სახ.	სახლ-ი	დავით-ის-ი
მოთხ.	სახლ-მან	დავით-ის-მან
მიც.	სახლ-ს-ა	დავით-ის-ს-ა
ნათ.	სახლ-ის-ა	დავით-ის-ის-ა ‖ დავით-ის-ა
მოქმ.	სახლ-ით-ა	დავით-ის-ით-ა, სახლ-ით დავით-ის-ით [2]
ვით.	სახლ-ად	დავით-ის-ა(დ)
წოდ.	სახლ-ო	დავით-ის-ო

II შემთხვევა

წრფ.	—	—
სახ.	სახლ-ნ-ი	დავით-ის-ნ-ი
მოთხ.	სახლ-თ-ა	დავით-ის-თ-ა
მიც.		
ნათ.		
მოქმ.		
ვით.		
წოდ.	სახლ-ნ-ო	დავით-ის-ნ-ო

აქედან ფორმები **დავითისით**, **დავითისა** დამოუკიდებლადაც იხმარება, რამდენადაც იმათ აქვთ დაკისრებული გასწიონ მაგივრობა ადამიანთა სახელების მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვებისა, რომელთა წარმოება ადამიანთა სახელებს უჭირთ. ამნაირი შემთხვევები ძალზე ხშირად გვხვდება ძველ ქართულში, მაგალითად: **დავითისითგან** ვიდრე ტყუეობადმდე ბაბილონისა ნათესავი ათოთხმეტ, მ. 1, 17 C (=დავითიდან); მოიყვანეს იესუ

[1] სტ. ჩხენკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 172—173; ლ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 207.

[2] გამოსულითი ბრუნვის ფუნქციით.

კაიაფაჲსით ტაძრად, ი. 18, 28 (=კაიაფადან); წინაწარმეტყუელნი და შჯული ვიდრე **იოვანესამდე** წინაწარმეტყუელებდეს, მ. 11, 13 (=იოვანემდე).

გეოგრაფიული სახელი მსაზღვრელად

ადამიანის სახელების ზემოთ აღნიშნულ თავისებურებათაგან გეოგრაფიულ სახელებს მხოლოდ ის ახასიათებთ, რომ მრავალობითი რიცხვი არა აქვთ. რაც შეეხება სხვა თავისებურებებს, ეს, როგორც დავინახეთ, მთლიანად დამოკიდებულია ნათესაობითი ბრუნვის თავისებურ წარმოებაზე (მათ აქვთ **ის** ნაცვლად **ის-ა**). მაგრამ რადგანაც ამ მხრივ გეოგრაფიული სახელები სრულებით არ განსხვავდებიან საზოგადო სახელთაგან, ამიტომ, ცხადია, ზემოთ აღწერილ თავისებურებებსაც აქ ადგილი არ ეკნება.

ავიღოთ საყოველთაოდ გავრცელებული მსაზღვრელ-საზღვრული **ქალაქი ქართლისაჲ** და ვაბრუნოთ I და II შემთხვევის ფარგლებში (სხვა ფორმები არცა აქვს).

I შემთხვევა

წრფ.	ქალაქ	ქართლ-ის(ა)
სახ.	ქალაქ-ი	ქართლ-ისა-ჲ
მოთხ.	ქალაქ-მან	ქართლ-ისა-მან
მიც.	ქალაქ-ს-ა	ქართლ-ისა-ს-ა
ნათ.	ქალაქ-ის-ა	ქართლ-ისა-ჲს-ა ‖ ქართლ-ისა
მოქმ.	ქალაქ-ით-ა	ქართლ-ისა-ჲთ-ა, ქალაქ-ით ქართლ-ისა-ით [1]
ვით.	ქალაქ-ად	ქართლ-ისა-(დ)
წოდ.	ქალაქ-ო	ქართლ-ისა-ო

II შემთხვევა

წრფ.	—	—
სახ.	ქალაქ-ნ-ი	ქართლ-ისა-ნ-ი
მოთხ.	ქალაქ-თ-ა	ქართლ-ისა-თ-ა
მიც.	„	„
ნათ.	„	
მოქმ.	„	
ვით.	„	„
წოდ.	ქალაქ-ნ-ო	ქართლ-ისა-ნ-ო [2]

გეოგრაფიულ სახელებში აქა-იქ გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა საზღვრული სახელი **ვითარებითშია** დასმული, მსაზღვრელ გეოგრაფიულ სახელს კი ნათესაობით-მიცემითის ფორმა აქვს, მაგალითად: მოვიდა იესუ

[1] გამოსვლითი ბრუნვის ფუნქციით.

[2] ა. შანიძე, ძველი ქართ. ენა, გვ. 292; სტ. ჩხენკელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

მერმეცა **კანად გალილეაჲსასა**, ი. 4, 46 E. ჩვეულებრივი ნორმით მოსალოდნელი იყო **კანად გალილეაჲსა**, როგორც მოცემულია ეს D-ში, ან: **კანას გალილეაჲსასა**, როგორც აღდგენილია C-ში (ხელნაწერში იკითხება: კანაჲს გალილეაჲსა). ასეთივე ხასიათისა უნდა იყოს აგრეთვე შემდეგი მაგალითიც: აღვედინ **იერუსალჳმდ ჰურიასტანისასა**, 1 ეზრა 1, 3.

მაგრამ ასეთი შემთხვევები აიხსნება მიცემითისა და ვითარებითის ფუნქციური სიახლოვით. სხვა მთელ რიგ შემთხვევებშიც მიცემითი ცვლის ვითარებითს (და პირიქით), მაგალითად:

ვითარცა მიეაბლნეს **იერუსალჳმს**, მ. 21, 1 E, მაგრამ: ...**იერუსალჳმდ** CD; წარიგზავნებოდა **იერუსალჳმს**, ლ. 13, 22 E, მაგრამ: ...**იერუსალჳმდ** CD; აჰა წინა-გიძღუს თქუენ **გალილეას**, მ. 28, 7 C, მაგრამ: ... **გალილეად** DE.

აქ წარმოდგენილი იყო გეოგრაფიული სახელები. იგივე სურათი გვაქვს საზოგადო სახელებშიც: შევიდა იესუ **ტაძარსა** მას, მ. 21, 12 DE, მაგრამ: ...**ტაძრად** C; აღვიდა იესუ **ტაძრად**, ი. 7, 14 DE, მაგრამ: აღვიდოდა იესუ **ტაძარსა** მას, იქვე C.

ამიტომ სრულებით არ არის გასაკვირი, რომ მსაზღვრელი ვითარებითის ნაცვლად მიცემითში შეეწყოს ვითარებითში წარმოდგენილ საზღვრულს.

6. ებიანი მრავლობითი ტრმაგ ბრუნებაში

ჩვენ ამდენ ხანს საუბარი გვქონდა ორმაგი ბრუნების ისეთ ფორმებზე, სადაც მრავლობითობა **ნარითა** და **თანით** იყო გამოხატული (ნარით მხოლოდ საზღვრული იყო აღნიშნული, თანით — ორივე: საზღვრულიცა და მსაზღვრელიც).

ახლა მოკლედ შევეხოთ ისეთ შემთხვევებს, როცა მრავლობითობის ნიშნად **ებ** გვაქვს.

ებ შეიძლება გვქონდეს: ა) მხოლოდ საზღვრულში, ბ) მხოლოდ მსაზღვრელში, გ) ორივეში ერთდროულად.

სამივე შემთხვევაში იგი ერთეის მხოლობითის ფუძეს და მოცემული სახელის მრავლობითობას აღნიშნავს. იგი თხრობის შინაარსით არის მხოლოდ გამოწვეული და არა ფორმალურით, ე. ი. ა) როცა იგი საზღვრულს ერთვის, აუცილებელი არაა მისი განმეორება მსაზღვრელში; ბ) მსაზღვრელში იგი საზღვრულის **ებ**-ის გარეშეც გაჩნდება; გ) ამის გამო ორივეში (საზღვრულშიცა და მსაზღვრელშიც) შეიძლება მოგვეველინოს, მაგრამ, როგორც ვნახეთ, აუცილებლობით არც ერთი არაა მეორეზე დამოკიდებული. როცა ეს რიცხობრივი დამოკიდებულება (შეთანხმება) აუცილებლად უნდა იყოს გამოხატული, მაშინ ენა **ებ**-თან ერთად ნარ-თანიან ფორმებსაც მიმართავს, მაგალითად: საზღვარნი **თესლებისანი**, ესაია 10, 13; ყრმანი იგი მთავართა მათ **სოფლ-ებ-ისა-თა-ნ-ი** (3 მეფ. 20, 19). დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი:

ა) ებ მხოლოდ საზღვრულს აქვს

ტომები ისრაჱლისაჲ, 3 მეფ. 12, 24; **მძორები** მონათა შენთაჲ, პარხ. 562 გ; **ბჭეები** ქალაქისაჲ, ეზეკ. 48, 31; **ზუარები** ეენაჳთაჲ, 1 მეფ. 22, 7.

ბ) ებ მხოლოდ მსაზღვრელს აქვს

კოლტი **ღორებისა** მრავლისა მძოვარი, მ. 8, 30 C; კოლტსა იმას **ღორებისასა**, მ. 8, 31 C; კოლტმან მან **ღორებისამან**, მ. 8, 32; სიგრძჱ იგი **საყდრებისაჲ** მის, ეზეკ. 42, 8; ერითა **თესლებისაჲთა**, სიბრძ. 6, 2; ერი მრავალი გარემო **სოფლებისაჲ**, კიმ. I, 255, 24; ჴმითა მით ღაღადებისა **დედებისაჲთა**, თექლ. 120, 19; აღხილვაჲ **სოფლებისაჲ**, კიმ. II, 203, 21; ამბოხი მრავალი **დედებისა** და **მამებისაჲ**, შუშ. 153, 3; განრცხაჲ **სასუმელებისაჲ** და **სტამნებისაჲ** და **ჭუაბებისაჲ** და **ცხედრებისაჲ**, მრ. 7, 4 და სხვა.

ამ მეორე ტიპის მაგალითებში საზღვრულად ხშირად საწყისები გვაქვს (განრცხაჲ, აღხილვაჲ) და შეიძლება კაცს ეგონოს, სწორედ ამიტომ გვაქვს საზღვრული მხოლობითშიო, ასეთ სახელებს მრავლობითი საერთოდ არა აქვსო. ცხადია ეს არ იქნება სწორი: ჯერ-ერთი, აქ ყველგან საწყისი არა გვაქვს საზღვრულად, ბევრგან ასეთად სწორედ არსებითი სახელია, მაგრამ მაინც მხოლობითშია (კოლტი, სიგრძჱ, ერი...); მეორე: ზოგჯერ საწყისიც კი გვხვდება მრავლობითში, განსაკუთრებით ნარ-თანიან მრავლობითში (შდრ., მაგ., ლოცვანი, ვედრებანი, გმობანი, კაცის-კლვანი...).

გ) ებ საზღვრულსაც აქვს და მსაზღვრელსაც

ტყავები ვერძებისაჲ, გამოსლვ. 25, 5; სახელები სოფლებისაჲ, თუალთ. 13, 15; **მაშკები ტყავებისა** ვერძთაჲსაჲ, გამოსლვ. 39, 21; სახელები ტომებისაჲ, ეზეკ. 48, 1; კარებსა სენაკებისასა, პარხ. 888 ა; დაქცევასა მას ...**ქალაქებისა** მის **სანახებისასა**, დაბ. 19, 29; იდაყუებად სუეტებისა, გამოსლვ. 39, 6 და სხვა.

7. სამმაგი ბრუნება[1]

სამმაგი ბრუნებისათვის აუცილებელია სულ მცირე სამი სახელი გვქონდეს. ამათგან ერთი იქნება საზღვრული ამა თუ იმ ბრუნვაში, მეორე ამ საზღვრულის მსაზღვრელი, უეჭველად ნათესაობითში დასმული, და მესამე ამ უკანასკნელის მსაზღვრელი (ე. ი. მსაზღვრელის მსაზღვრელი), ესეც უეჭველად ნათესაობითში დასმული. მაგალითი: **რიცხჳ დღეთა კაცისათაჲ** დიდად თუ იყოს, ზირაქ 18, 8. ამ წინადადებაში საზღვრულია **რიცხჳ**, ამ საზღვრულის მსაზღვრელია **დღეთა**, ხოლო ამ უკანასკნელის მსაზღვრელია **კაცისათა**. თა სუფიქსით ეს მსაზღვრელი რიცხვში ეთანხმება მის უშუალო საზღვრულს: დღე-თა კაცისა-თა, ხოლო ბოლოსართი ჲ გამოწვეულია ძირითადს საზღვრულთან ბრუნვაში შეთანხმების გამო: რიცხჳ (რიცხუ-ი) დღეთა კაცისა-

[1] თ. ჟორდანია მას სამკეც ბრუნებას ეძახის (თ. ჟორდანია, ქართული გრამმატიკა, 1889, გვ. 162).

თა-ჲ. რაც შეეხება უკანასკნელი მსაზღვრელის (ანუ მსაზღვრელის მსაზღვრელის) პირველ ბრუნვის ნიშანს (კაც-ისა-თა-ჲ), იგი ნებისმიერია და თხრობის შინაარსით განისაზღვრება; აქ თავისუფლად შეეძლოთ „კაც-ისა“-ს ნაცვლად „კაც-თა“ აეღოთ (მაშინ IV შემთხვევის კანონების მიხედვით გვექნებოდა: რიცხჳ დღეთა კაც-თა-ჲსა-ჲ). ასეთია კიდეე ეს მაგალითიც: და შეკრბა ყოველი ერი ოზიაჲსა მთავართა მათ ქალაქისათაჲ, იქდით 7, 23. აქ საზღვრულია ჴერი, მისი მსაზღვრელია მთავართა, ხოლო ამ უკანასკნელის მსაზღვრელია ქალაქისათა. მსაზღვრელის მსაზღვრელი ორ სახელს უწევს ანგარიშს: თავის უშუალო საზღვრულს („მთავართა“) იგი უთანხმდება თა სუფიქსით (მთავარ-თა ქალაქისა-თა), ხოლო ამ მთავართა-ს საზღვრულს (ე. ი. ძირითადს საზღვრულს — „ერი“) იგი უთანხმდება სახელობითი ბრუნვის ნიშნით: ერ-ი მთავართა მათ ქალაქისათა-ჲ.

ახლა ავიღოთ ისეთი შემთხვევა, როცა მსაზღვრელის მსაზღვრელი მრავლობითის ფორმით იქნება წარმოდგენილი: ძალი სიმაღლისა ცა-თა-ჲსა-ჲ მან ხოლო უწყის განზომად, ზირაქ 17, 27. ეს მაგალითი ზემორე მოყვანილთაგან იმით განსხვავდება, რომ იქ მსაზღვრელები მრავლობითში იყო („დღეთა“, „მთავართა“), აქ მხოლობითშია („სიმაღლისა“); იქ მსაზღვრელის მსაზღვრელი მხოლობითში იყო („კაც-ისა“, „ქალაქ-ისა“), აქ მრავლობითშია („ცა-თა“). ესაა და ეს. შეთანხმების მექანიზმი ყველგან ერთნაირია: საზღვრულთან ბრუნვაში შესათანხმებლად აქაც ჲ გვაქვს: ძალ-ი სიმაღლისა ცა-თა-ჲსა-ჲ, ხოლო მსაზღვრელთან შესათანხმებლად (აგრეთვე ბრუნვაში) — ჲსა: ძალ-ი სიმაღლ-ისა ცა-თა-ჲსა-ჲ.

ამნაირად, მსაზღვრელის მსაზღვრელში თავს იყრის 3 ბრუნვის ნიშანი, რომელთაგან პირველი ნებისმიერია და თხრობის შინაარსით არის განსაზღვრული: ავტორს როგორც სურს, ისე აიღებს: თუ მსაზღვრელის მსაზღვრელს მხოლობითში დასვამს, მას ნიშნად ისა ექნება, თუ მრავლობითში— თჲ. დანარჩენი 2 ნიშანი კი მკაცრად განსაზღვრულია და დამოკიდებულია საზღვრულსა და პირველ მსაზღვრელზე, სახელდობრ: უკანასკნელი ნიშნით იგი საზღვრულს უთანხმდება ბრუნვაში (ერ-ი ...ქალაქისათა-ჲ, ძალ-ი ...ცა-თაჲსა-ჲ), შუა ნიშნით კი — მსაზღვრელს ბრუნვაში (და რიცხვში): ერი მთავარ-თა ქალაქ-ისა-თა-ჲ, ძალი სიმაღლ-ისა ცათა-ჲსა-ჲ.

ამნაირად, ერთი მხრივ, გვაქვს: რიცხჳ დღეთა კაც-ისა-თა-ჲ, სიმრავლჱ ერთა ც-ისა-თა-ჲ (ლ. 2, 13), მეორე მხრივ კი: განმანათლებელი ნათესავისა კაც-თა-ჲსა-ჲ (ჭილ-ეტრ. 49 v), ძალი სიმაღლისა ცა-თა-ჲსა-ჲ.

აქედან ჳხედავთ, რომ როდესაც მსაზღვრელი მრავლობითშია (დღეთა, ერთა), მსაზღვრელის მსაზღვრელი უეჭველად მხოლობითში იქნება (კაც-ისა, ც-ისა), მაგრამ როცა მსაზღვრელი მხოლობითშია (ნათესავ-ისა, სიმაღლ-ისა), მსაზღვრელის მსაზღვრელი უეჭველად მრავლობითში იქნება (კაც-თა, ცა-თა).

ამ ჩვენს დაბეჭითებით განცხადებას, „უეჭველად მხოლობითში იქნება“, „უეჭველად მრავლობითში იქნებაო“, ერთგვარი შერბილება ესაჭიროება, რადგან, მართალია, ძალზე იშვიათად, მაგრამ პრინციპულად მაინც არსე-

ბობს შესაძლებლობა, რომ მსაზღვრელიცა და მსაზღვრელის მსაზღვრელიც მხოლობითის ფორმით იყოს მოცემული:

საიდუმლოჲ იგი **სასუფეველისა** მის **ღმრთისაჲსაჲ**, მრ. 4, 11 C; მას ჟამსა შინა გამოვიდეს თითნი **ჴელისა კაც-ისა-ჲსა-ნ-ი** და წერდეს პირის-პირ ლამპრისა საგოზელსა ზედა კედლისასა **სახლისა მეფ-ისა-ჲსა-ს**, დანიელ 5, 5 (თბილ. გამოც.)[1].

აღსანიშნავია, რომ ოშკის ხელნაწერში ეს უკანასკნელი ადგილი სხვა რედაქციითაა მოცემული, რომელშიც I მაგალითის სამმაგი ბრუნვა არც მოსალოდნელია და არცაა წარმოდგენილი, ხოლო II მაგალითში უნდა იყოს, მაგრამ არ არის, იგი ორმაგი ბრუნვითაა უბრალოდ შეცვლილი, მაგალითად: მას ჟამსა შინა მეყსეულად გამოჩნდა **ჴელი კაცისაჲ თითითურთ** და წერდა წინაშე სანთელსა ნაგოზსა კედლისასა სახლისა მის **მეფისასა** (=მეფისაჲსასა).

რაც შეეხება ორივე აღნიშნული სახელის მრავლობითობის **თა** სუფიქსით წარმოდგენას (თა-თა), ეს, როგორც ვნახეთ, აბსოლუტურად გამორიცხულია. ასე რომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე გამონაკლისებს, ზემოთ წარმოდგენილი კატეგორიული მსჯელობა ძალაში უნდა დარჩეს.

ამგვარად, ზემოთ მოცემული მაგალითებიდან „კაც-ისა-თა-ჲ“-ს (რიცხჳ დღეთა კაცისათაჲ) **თა** უეჭველად უჩვენებს, რომ მსაზღვრელი მრავლობითშია (რიცხჳ დღეთა კაც-ისა-თა-ჲ), მაგრამ „კაც-თა-ჲსა-ჲ“-ს (განმანათლებელი ნათესავისა კაცთაჲსაჲ) **ჲსა** არ უჩვენებს, რომ მსაზღვრელი უეჭველად მხოლობითშია: IV შემთხვევაში ის მრავლობითში იქნება (განმანათლებელი **ნათესავთა** კაცთაჲსაჲ), სხვებში კი — მხოლობითში, როგორც ჩვენს შემთხვევაში.

ორმაგი ბრუნების განხილვისას ჩვენ დავინახეთ, რომ ორი ბრუნვიდან პირველი მუდამ ნათესაობითი იყო, მეორე — ყოველი სხვა ბრუნვა საზღვრულთან შეთანხმებით. სამმაგი ბრუნების მაგალითზე ჩანს, რომ აქ პირველი ორი ბრუნვა მუდამ ნათესაობითია, მესამე — ყოველი სხვა საზღვრულთან შეთანხმებით. ამიტომ ჩვენი მაგალითის **კაცთაჲსაჲ** (განმანათლებელი ნათესავისა კაცთაჲსაჲ) ასე უნდა შეფასდეს: ნათესაობით-ნათესაობით--სახელობითი, კაცისაჲსასა—ნათესაობით-ნათესაობით-მიცემითი და ა. შ.

სახელის სამმაგი ბრუნებისას თეორიულად სულ 8 კომბინაციაა შესაძლებელი.

რადგანაც ტექსტებში შესაძლებელია მაგალითები ყველა (8) შემთხვევიდან შეგვხვდეს, აქ ვუჩვენებთ ყველა შესაძლებელი შემთხვევის ბრუნების პარადიგმებს.

---

[1] პირველი მაგალითი (თითნი ჴელისა კაცისაჲსანი) ფ. ცორელსაც აქვს დამოწმებული (Grammatik, გვ. 28).

I შემთხვევა

(საზღვრული, მსაზღვრელი და მსაზღვრელის მსაზღვრელი მხოლობითშია)

წრფ.	რიცხუ	დღისა	კაცისაჲსა
სახ.	რიცხჳ		კაცისაჲსა-ჲ
მოთხ.	რიცხუ-მან		კაცისაჲსა-მან
მიც.	რიცხუ-ს-ა		კაცისაჲსა-ს-ა
ნათ.	რიცხჳსა		კაცისაჲსა-ჲსა ‖ კაცისაჲსა
მოქმ.	რიცხჳთა		კაცისაჲსა-ჲთა
ვით.	რიცხუ-ად		კაცისაჲსა-(დ)
წოდ.	რიცხ(უ)ო		კაცისაჲსა-ო

II შემთხვევა

(საზღვრული და მსაზღვრელი მხოლობითშია, მსაზღვრელის მსაზღვრელი — მრავლობითში)

წრფ.	რიცხუ	დღისა	კაცთაჲსა
სახ.	რიცხჳ	„	კაცთაჲსა-ჲ
მოთხ.	რიცხუ-მან	„	კაცთაჲსა-მან
მიც.	რიცხუ-ს-ა	„	კაცთაჲსა-ს-ა
ნათ.	რიცხჳსა	„	კაცთაჲსა-ჲსა ‖ კაცთაჲსა
მოქმ.	რიცხჳთა		კაცთაჲსა-ჲთა
ვით.	რიცხუ-ად		კაცთაჲსა-(დ)
წოდ.	რიცხ(უ)ო		კაცთაჲსა-ო

III შემთხვევა

(საზღვრული და მსაზღვრელის მსაზღვრელი მხოლობითშია, მსაზღვრელი — მრავლობითში)

წრფ.	რიცხუ	დღეთა	კაცისათა
სახ.	რიცხჳ	„	კაცისათა-ჲ
მოთხ.	რიცხუ-მან		კაცისათა-მან
მიც.	რიცხუ-ს-ა		კაცისათა-ს-ა
ნათ.	რიცხჳსა		კაცისათა-ჲს-ა
მოქმ.	რიცხჳთა		კაცისათა-ჲთ-ა
ვით.	რიცხუ-ად		კაცისათა-(დ)
წოდ.	რიცხ(უ)-ო		კაცისათა-ო

IV შემთხვევა

(საზღვრული მხოლობითშია, მსაზღვრელი და მსაზღვრელის მსაზღვრელი — მრავლობითში)

წრფ.	რიცხუ	დღეთა	კაცთაჲსა
სახ.	რიცხჳ	„	კაცთაჲსა-ჲ
მოთხ.	რიცხუ-მან		კაცთაჲსა-მან
მიც.	რიცხუ-ს-ა		კაცთაჲსა-ს-ა
ნათ.	რიცხჳსა		კაცთაჲსა-ჲს-ა ‖ კაცთაჲსა
მოქმ.	რიცხჳთა		კაცთაჲსა-ჲთ-ა
ვით.	რიცხუ-ად		კაცთაჲსა-(დ)
წოდ.	რიცხ(უ)-ო		კაცთაჲსა-ო

V შემთხვევა

(საზღვრული მრავლობითშია, მსაზღვრელი და მსაზღვრელის მსაზღვრელი — მხოლობითში)

წრფ.	—	—	—
სახ.	რიცხუ-ნ-ი	დღისა	კაცისაჲსა-ნ-ი
მოთხ.	რიცხუ-თ-ა	„	კაცისაჲსა-თ-ა
მიც.			
ნათ.	„		
მოქმ.	„		
ვით.	„		„
წოდ.	რიცხუ-ნ-ო		კაცისაჲსა-ნ-ო

VI შემთხვევა

(საზღვრული და მსაზღვრელის მსაზღვრელი მრავლობითშია, მსაზღვრელი — მხოლობითში)

წრფ.	—	—	—
სახ.	რიცხუ-ნ-ი	დღისა	კაცთაჲსა-ნ-ი
მოთხ.	რიცხუ-თ-ა	„	კაცთაჲსა-თ-ა
მიც.	„		„
ნათ.	„		„
მოქმ.	„		„
ვით.	„		„
წოდ.	რიცხუ-ნ-ო		კაცთაჲსა-ნ-ო

VII შემთხვევა

(საზღვრული და მსაზღვრელი მრავლობითშია, მსაზღვრელის მსაზღვრელი — მხოლობითში)

წრფ.	—	—	—
სახ.	რიცხუ-ნ-ი	დღეთა	კაცისათა-ნ-ი
მოთხ.	რიცხუ-თ-ა		კაცისათა-მან ‖ სა ‖ ძსა ‖ 0
მიც.	„		კაცისათა-ს-ა ‖ ძს-ა ‖ 0
ნათ.			კაცისათა-ძს-ა ‖ ს-ა ‖ 0
მოქმ.			კაცისათა-ძთა ‖ ს-ა ‖ 0
ვით.	„		კაცისათა ‖ ს-ა ‖ 0
წოდ.	რიცხუ-ნ-ო		კაცისათა-ნ-ო

VIII შემთხვევა

(საზღვრულიც, მსაზღვრელიც და მსაზღვრელის მსაზღვრელიც მრავლობითშია)

წრფ.	—	—	—
სახ.	რიცხუ-ნ-ი	დღეთა	კაცთაძსა-ნ-ი
მოთხ.	რიცხუ-თ-ა	„	კაცთაძსა-თ-ა
მიც.	„		
ნათ.			
მოქმ.			
ვით.	„		„
წოდ.	რიცხუ-ნ-ო		კაცთაძსა-ნ-ო

რასაკვირველია, ყველა ეს შემთხვევა ერთნაირად გავრცელებული არაა ძველ ქართულში, ზოგი უფრო ხშირად გვხვდება, ზოგიც — ნაკლებად. შედარებით უფრო ხშირად II, III, IV შემთხვევების მაგალითები გვხვდება, უფრო ნაკლებად — სხვები.

რაც შეეხება ბრუნვებს, ძველ ტექსტებში სამმაგი ბრუნება თითქმის ყველა ბრუნვაში გვხვდება. მაგრამ აბსოლუტურად უდიდეს ნაწილს თავში განხილული ნიმუშები წარმოადგენს, ე. ი. როცა მესამე ბრუნვა სახელობითია (ე. ი. გვაქვს ნათესაობით-ნათესაობით-სახელობითი).

ზემოთ თქმულის ნათელსაყოფად დავიმოწმოთ მაგალითები ტექსტებიდან.

სახელობითი

(ნათესაობით-ნათესაობით-სახელობითი)

ჴმაჲ ფერჴთა წჳმისათაჲ ისმის, 3 მეფ. 18, 41; აცადეთ მორჩი ძირთა მის ხისათაჲ, დანიელ 4, 23; შენ ხარ დანიელ ძეთაგან ნატყუენავისათაჲ მურიასტანისათაჲ, იქვე, 5, 13; სისხლი მთავართა ჭუეყანისათაჲ სუთ, ეზეკ-

39, 18; ყოველი ნათესავი ძეთა **ისრაჱლისათაჲ**, 2 ეზრა, 8, 66; ბჳ იგი აევაზანთა მათ **ჯურღმულისათაჲ**, ნეემია 3, 1; სამკაული... მწნეხართა **საწნეხლისათაჲ**, ესაია 63, 2; სიხარული კეთილთა მათ **ზეცისათაჲ**, მამ. სწავ. 206; ვაშლი ხეთა **მაღნარისათაჲ**, იოლ. 18, 7; შეკრებაჲ ებისკოპოსთა ყოველისა **სოფლისათაჲ**, კიმ. II, 218, 11; ბურვილი იგი ტყავებისა მის **სიავისათაჲ**, გამოსლვ. 39, 21; მძღვარებაჲ მსაჯულთაჲ მათ **სიცრუჱისათაჲ**, პარხ. 434 გ.

წიგნნი მეფეთა **ისრაჱლისათანი**, 2 ეზრა 1, 33; საფასენი ყოველთა მეფეთა **ქუეყანისათანი**, მამ. სწავ. 252; განწესებანი ძალთა **ცისათანი**, იქვე, 115; ვითარცა მნენი საიდუმლოთა **ღმრთისათანი**, 1 კორ. 4, 1; საჴმველნი იგი ბჭეთა **ჯოჯოხეთისათანი**, სვან. 487 გ; მთავარნი ნათესავთა **ზღჳსათანი**, ეზეკ. 26, 16; სახელნი ათორმეტთა მათ მოციქულთა **კრავისათანი**, გამოცხ. 21, 14.

გული მეფისა მის **ასურთაჲსაჲ**, 4 მეფ. 6, 11; სახელი უფლისა **ძალთაჲსაჲ**, 2 მეფ. 6, 2; კარვები იგი ქუეყანისა მის **მადიამელთაჲსაჲ**, ამბაკუმ 3, 7; ნებაჲ მამისა ჩემისა **ზეცათაჲსაჲ**, მ. 7, 21; ყოველივე ცმელი ჴბოჲსაჲ მის **ცოდვათაჲსაჲ**, ლევიტ. 4, 8; თავი... ქალაქთა და **სოფელთაჲსაჲ**, კიმ. I, 124, 19; ცნა უმეტესობაჲ რჩულისა **ქრისტეანეთაჲსაჲ**, პარხ. 669 გ; ეზოჲს-მოძღუარი იგი ნაბუქოდონოსორისი, მეფისა მის **სპარსთაჲსაჲ**, პარხ. 1008 ვ.

მონანი მეფისა მის **ახურასტანელთაჲსანი**, 4 მეფ. 19, 6; მოიხუნა კლიტენი სასუფეველისა **ცათაჲსანი**, მამ. სწავ. 45; მწიგნობარნი ერისა **ჰურიათაჲსანი**, არიმ. 62, 82, 1; რომელნი იყუნეს მეფისა **მეგჳპტელთაჲსანი**, დაბ. 40, 5 ლაგ.; გუამნი ბანაკისა მის **უცხო-თესლთაჲსანი**, 1 მეფ. 17, 46 ლაგ.; მსახურნი... მეფისა მის **ზეცათაჲსანი**, პარხ. 367 ბ.

როდესაც მსაზღვრელის მსაზღვრელს თავის მხრივ ახლავს ატრიბუტული მსაზღვრელი, სათანადო ბრუნვის ნიშნები ამ უკანასკნელზე გადადის: შური სახლისაჲ მის მონათა **შენთაჲსაჲ**, პარხ. 78, 15.

სხვა ბრუნვების მაგალითები, როგორც ვთქვით, შედარებით მცირეა, მაგრამ საერთოდ არის. მოვიყვანთ მათაც.

მოთხრობითი

(ნათესაობით-ნათესაობით-მოთხრობითი)

მთავარმან ადგილთა მათ **იერუსალჱმისათამან**, ნეემია 3, 8; ყოველმან კრებულმან ძეთა **ისრაჱლისათამან**, გამოსლვ. 12, 6 ლაგ.; მცველმან და მაცხოვარმან ნათესავისა **კაცთაჲსამან**, პარხ. 853 გ; და მიწერეს მღდელთ-მოძღუართა ერისა **ჰურიათაჲსათა** კესარიად წიგნი შესმენისაჲ, არიმ. 65, 86, 1.

მიცემითი

(ნათესაობით-ნათესაობით-მიცემითი)

ერთსა ვისმე ნათესავთაგანსა ძეთა ნათ **ისრაჱლისათასა**, 2 მეფ. 7, 7; ცთომასა მას თანა ძეთა **ისრაჱლისათასა**, ტობია 5, 14; ეზეკ. 48, 11; შთა-

სავალსა მას მთისა მის **ზეთის-ხილთაჲსასა**, ლ. 19, 37 ლაგ.; მოავსენებდა ...გჳრგჳნთა სასუფეველისა **ცათაჲსათა**, Опис. 176, 14.

ნათესაობითი

(სამმაგი ნათესაობითი)

ესე ნაწილი იყავნ თქუენდა ნატყუენავისა ამისგან მტერთა **უფლისა-თაჲსა** 1 მეფ. 30, 26; უცხო-თესლნი განეწყჳნეს წინაშე განწყობილისა მის ძეთა **ისრაჱლისათაჲსა**, 1 მეფ. 4, 2; რომელი აწ აღმოვიკითხეთ ჟამთა მათთჳს ბოროტისა ანტეს **მოსლვისათაჲსა** არს, თარგმ. გამოცხ. 6, 13.

მოქმედებითი

(ნათესაობით-ნათესაობით-მოქმედებითი)

მოღებითა მადლისა მის **ქრისტჱსისაჲთა**,. აბო 199, 24. მართალია, ეს მაგალითი სამმაგი ბრუნვის ფორმით საკუთარ სახელს წარმოგვიდგენს, მაგრამ ეს არ ქმნის რაიმე დაბრკოლებას, აქ მხოლოდ ისაა განსხვავებული, რომ ნათესაობითის პირველ ნიშანს ემფატიკური ა არა აქვს (საზოგადო სახელი რომ ყოფილიყო, ა ექნებოდა), სხვა მხრივ მდგომარეობა ერთნაირია.

წოდებითი

(ნათესაობით-ნათესაობით-წოდებითი)

მამაო შვილთა **უდაბნოჲსათაჲო**, სვან. 299 ბ; შეგინებულნო და არაღირსნო უფროჲს ყოველთა **კაცთაჲსანო**, პარხ. 1052 ა.

ასეთია ტექსტებიდან ამოკრებილი მაგალითები სამმაგი ბრუნებისა. როგორც დავინახეთ, ყოველ მაგალითში სამი სახელია წარმოდგენილი: ერთი საზღვრული, მეორე ამის მსაზღვრელი, მესამე ამ უკანასკნელის მსაზღვრელი (მსაზღვრელის მსაზღვრელი). სამივე ბრუნვის ნიშანი სწორედ ამ უკანასკნელს ერთვის. მოყვანილ მაგალითებში ხაზი მარტო ამ სახელს აქვს გასმული და ამით მითითებულია, რომ სამმაგი ბრუნვის სახელი ესაა, სამი ბრუნვის ნიშანი მას აქვსო. ასეთია, მაგალითად, რომ დავშალოთ და ბრუნვის ნიშნები ცალკე გამოვყოთ, ეს სახელები: ქუეყან-ისა-თა-ჲ, სოფლ-ისა-თა-ჲ, საწნეხლ-ისა-თა-ჲ, მოწამ-ისა-თა-ჲ, ღმრთ-ისა-თა-ჲ, მეფ-ისა-თა-ჲ და სხვა.

ან: ისრაჱლ-ისა-თა-ნ-ი, ც-ისა-თა-ნ-ი, ჯოჯოხეთ-ისა-თა-ნ-ი, კრავ-ისა-თა-ნ-ი და სხვა.

ან: ქალ-თა-ჲსა-ჲ, ვერძ-თა-ჲსა-ჲ, ზეცა-თა-ჲსა-ჲ, მარტჳლ-თა-ჲსა-ჲ, ქრისტეანე-თა-ჲსა-ჲ, სპარს-თა-ჲსა-ჲ და სხვა.

ან: მეგჳპტელ-თა-ჲსა-ნ-ი, ჰურია-თა-ჲსა-ნ-ი, უცხო-თესლ-თა-ჲსა-ნ-ი და სხვა.

ან კიდევ: კაც-თა-ჲსა-მან, ჰურია-თა-ჲსა-თა, ზეთის-ხილ-თჲ-ჲსა-სა, ცა--თა-ჲსა-თა, უფლ-ისა-თა-ჲსა, ისრაჱლ-ისა-თა-ჲსა, უდაბნო-ჲსა-თა-ო, კაც-თა--ჲსა-ნ-ო და სხვა.

ზოგან აქ 4 ელემენტია გამოყოფილი, მაგრამ ოთხმაგი ბრუნება კი არა გვაქვს, ერთ-ერთი ნიშანი რიცხვისაა (ნ), სამი — ბრუნვისა, მაგალითად: მეგჳპტელ-თა-ჲსა-ნ-ი, კაც-თა-ჲსა-ნ-ო.

თუ მსაზღვრელის მსაზღვრელს მრავლობითში **ებ** აწარმოებს, ზემოთ აღწერილის მსგავს შემთხვევაში ფუძიდან 5 ელემენტი გამოიყოფა, მაგრამ ბრუნვის ნიშანი[1] მხოლოდ სამი იქნება, ამიტომ ბრუნებაც სამმაგი იქნება მხოლოდ. ასეთია ეს მაგალითი: და გამოვიდეს ყრმანი იგი მთავართა მათ **სოფლებიჲსათანი**, 3 მეფ. 20, 19. ეს სიტყვა ასე დაიშლება: სოფლ-ებ-ისა-თა--ნ-ი. აქედან საზღვრულთან (ყრმანი) შესათანხმებლად ბრუნვასა და რიცხვში მას ერთვის **ნ** და **ი**: ყრმა-ნ-ი... სოფლებისათა-**ნ-ი**, მსაზღვრელის (მთავართა) გამო **თა** ერთვის მას: (ყრმანი) მთავარ-**თა** სოფლებისა-**თა**-ნ-ი, ხოლო თვით მსაზღვრელის მსაზღვრელის ნათესაობითს **ისა** უჩვენებს: (ყრმანი) სოფლებ-**ისა**-თა-ნ-ი; რაც შეეხება **ებ**-ს, ის ამ სახელის მხოლოდ მრავლობითობას აღნიშნავს. **ებ**იანი მრავლობითის ნაცვლად რომ **თანიანი** გვქონოდა, **ებ** და **ისა**-ს მაგივრობას მარტო ის გასწევდა და ფორმაში ერთი ელემენტით ნაკლები გვექნებოდა: ყრმანი იგი მთავართა მათ სოფელ-თა-ჲსა-ნ-ი[2].

8. საკუთარი სახელი მსაზღვრელის მსაზღვრელად

არაიშვიათად სამმაგ ბრუნებაში მსაზღვრელის მსაზღვრელად საკუთარი სახელიც გვხვდება. მას აქაც იგივე თავისებურებანი ახასიათებს, რაც ორმაგ ბრუნებაში, ე. ი. ა) არ შეიძლება მისი ფუძე მრავლობითის ფორმით შეგვხვდეს (საულ-თა...). ამიტომ მისი ხმარების არე ამ თვალსაზრისითაც შეზღუდულია; ბ) ფუძეს დართული ბრუნვის ნიშანი (მხ. რ.) მუდამ მარტივია: **ის** || **ჲს**. ეს უკანასკნელი თვისება მხოლოდ ადამიანთა სახელებს ახასიათებს, გეოგრაფიული სახელები ამ მხრივ არ განსხვავდება საზოგადო სახელთაგან.

სხვა მხრივ ბრუნების მექანიზმი სრულიად ისეთია, როგორც ზემოთ საზოგადო სახელების მიმოხილვისას ვნახეთ, და ამის შესახებ სიტყვას აღარ

---

[1] თა რიცხვსაც აღნიშნავს და ბრუნვასაც (5-იდან ერთ-ერთს).

[2] სამმაგი ბრუნების ერთი ნიმუში მოჰყავს ნ. მარსაც (ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ), მაგრამ იგი ამ მაგალითის მოყვანით კმაყოფილდება მხოლოდ და ქვევით არაფერს ამბობს ამ მოვლენის ბუნებაზე. სამკეცი (სამმაგი) და მრავალკეცი ბრუნების შესახებ თ. ყორდანიასაც აქვს საუბარი, მაგრამ, ჯერ-ერთი, საერთოდ სწორ მსჯელობასთან ერთად ავტორს მოჰყავს ძველ ქართულში არარსებული ფორმები: გამოცდა-თაჲ ძალთა მოთმინებ-ისა-თა-თა (ნათ.), გამოცდა-თა ძალთა მოთმინებ-ისა-თა-თა (მიც., მოთხ.); მერმე: ოთხკეცსა და ხუთკეც ბრუნებაში ამ არარსებულ თა-თა-ს გარდა ავტორს სიტყვაწარმოებითი ელემენტებიც აქვს შეტანილი: ჩვენ-თა-გან-ისა-თა-თაჲ, გულ-ით-ად-ით-ისა-საჲ (თ. ყორდანია, ქართული გრამმატიკა, 1880, გვ. 162—166).

განვაგრძობთ. მოვიყვანთ მხოლოდ მცირე საილუსტრაციო მასალას ადამიანთა სახელების შესახებ.

ყოველი იგი სისხლი სისხლისაჲ მის **საულისისაჲ**, 2 მეფ. 16, 8; ძე იყო იგი სამაჲსი, ძმისა მის **დავითისისაჲ**, 2 მეფ. 13, 3[1]; ექუსასი მბრძოლი ძეთაგან **ისმაელისთაჲ**, ამონ. 215, 26; პირი მისი იყო ვითარცა ანგელოზისა **ქრისტჱსისაჲ**, ისტ. ქრესტ. 294, 7; მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყუელთა საცხოვართა **ქრისტჱსთაჲ**, ხანძთ. 104, 1; მადლითა წმიდისა ადგომისა საფლავისა უფლისა ჩუენისა იესუ **ქრისტჱსისაჲთა**, Опис. ტაბ. 17 а, 15; ძენი მონათა მათ **სოლომონისთანი**, 1 ეზრა 1, 55 და სხვა.

9. დარღვევები სამმაგ ბრუნებაში

როგორც ვნახეთ, სამმაგი ბრუნება საკმაოდ რთული მოვლენაა. ამ ბრუნებისას აუცილებელია სწორად იყოს გათვალისწინებული ბრუნვა და რიცხვი საზღვრულისა, მსაზღვრელისა და მსაზღვრელის მსაზღვრელისა. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ არა ყოველი საზღვრული და მსაზღვრელი მოგვცემს ამ სისტემას, არამედ მხოლოდ მართული მსაზღვრელი. დასასრულ, სიძნელეს ქმნის ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ ძნელია მართულისა და ატრიბუტული მსაზღვრელის გარჩევა, როცა ისინი მრავლობითს რიცხვშია მოცემული. ყველა ამის გამო გვხვდება ხოლმე დარღვევები სახელთა სამმაგი ბრუნებისას. უფრო ხშირად ეს დარღვევები ისეთი ხასიათისაა, რომ სამმაგი ბრუნების ნაცვლად ორმაგი ბრუნებაა მოცემული, იშვიათად პირიქითაც გვაქვს: მოსალოდნელია ორმაგი ბრუნება, გვაქვს კი სამმაგი.

პირველი ტიპის ნიმუშებია:

მიეცა მას კლიტჱ ჯურღმულისა მის **უფსკრულისაჲ**, გამოცხ. 9, 1. უნდა იყოს: **უფსკრულისაჲსაჲ**, ან, რაც უფრო ხშირია: **უფსკრულთაჲსაჲ**: კლიტჱ ჯურღმულისა მის უფსკრულთაჲსაჲ (შდრ. კლიტენი სასუფეველისა **ცათაჲსანი**, მ. 16, 19); კიდობანი იგი აღთქუმისაჲ **ღმრთისაჲ**, გამოცხ. 11, 19. უნდა იყოს: კიდობანი იგი აღთქუმისაჲ **ღმრთისაჲსაჲ** (შდრ. საიდუმლოჲ იგი სასუფეველისა მის **ღმრთისაჲსაჲ**, მრ. 4, 11 C); თქუენ ხართ მჴურვალედ მეძიებელნი სათნოებათა **ღმრთისათა**, მამ. სწავ. 359 (უნდა იყოს: ...მეძიებელნი სათნოებათა **ღმრთისათანი**; შდრ. მნენი საიდუმლოთა **ღმრთისათანი**, 1 კორ. 4, 1). ერთი მაგალითი კიდევ: და ვამოვიდეს მთავარნი იგი და ყრმანი მთავართა მათ **სოფლებისანი**, 3 მეფ. 20, 17 (უნდა იყოს: ...მთავარნი იგი და ყრმანი მთავართა მათ **სოფლებისათანი**; შდრ. და გამოვიდეს ყრმანი იგი მთავართა მათ **სოფლებისათანი**, 3 მეფ. 20, 19).

ყველა ოთხივე შემთხვევაში სამმაგი ბრუნების ნაცვლად გვაქვს ორმაგი ბრუნება, ე. ი. აქაც **გამარტივების** ის საერთო ტენდენციაა წარმოდგენილი,

[1] სტ. ჩხენკელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

რომელიც ენას მისი განვითარების ყველა საფეხურზე ღრმად აჩენს კვალს და რომლის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

აქ ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილი 4 ნიმუშიდან 2 (I, II) გამოცხადებიდან (აპოკალიპსიდან) და მისი თარგმანებიდან არის აღებული, რომლის ქართული თარგმანი, როგორც ცნობილია, შესრულებულია ექვთიმე მთაწმიდლის მიერ მეათე საუკუნის სამოცდაათიან წლებში (975—977)[1]. თვით ხელნაწერი სხვა პირის მიერ 978 წელსაა გადაწერილი. მსგავსი მაგალითები ამ თხზულებაში სხვაგანაც გვხვდება. აქედან ჩანს, რომ ექვთიმეს დროს უკვე შორს იყო წასული პროცესი სამმაგი (და ორმაგი) ბრუნების რღვევისა.

მეორე ტიპის ნიმუშია:

და უფროჲსლა ჰეშმარიტად სიწმიდისაჲ აქუს ხატი, ნათესავისათჳს **დედათაჲსაჲსა**, Опис. 4, 20. აქ სამმაგი ნათესაობითი არ არის საჭირო; გვაქვს: ნათესავი დედა-თა-ჲ (ნათ.-სახ.), უნდა გვქონდეს ნათესავისათჳს **დედა-თა-ჲსა**. მეორე **ჲსა** აქ ზედმეტია. თუ ეს უბრალო კალმის შეცთომა არაა, იგი სხვა, სამმაგი ბრუნების ფორმების ანალოგიით უნდა აიხსნას. ამ შემთხვევაში ის კარგი ნიმუში იქნება იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ ზოგჯერ თავისუფლად ვერ ერკვევიან ორმაგი და სამმაგი ბრუნების რთულ ხლართებში და ერთის ნაცვლად მეორის ხმარება არც ისე იშვიათად წასცთებათ.

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 174.

ნაწილი მეორე

ბრუნვათა ფუნქციები

ქართული ბრუნვების ფუნქციები ჯერჯერობით შეუსწავლელია. არსებობს მხოლოდ რამდენიმე შრომა, რომლებიც ზოგიერთი ბრუნვის ამა თუ იმ ფუნქციას ეხება. ამათგან გამოირჩევა არნ. ჩიქობავას შრომა „მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის“ [1], რომელიც ვრცლად და ამომწურავად განიხილავს ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის ფუნქციებს. ამავე ბრუნვის ფუნქციებს ძველ ქართულში ეხება ქ. მიქელაძის შრომაც [2]. ბ. რუდენკოს თავის წიგნში ერთი თავი სპეციალურად მიძღვნილი აქვს აღნიშნული საკითხისადმი (Функции и употребление падежей) [3], მაგრამ ავტორი ეხება მხოლოდ ახალ ქართულს და აქაც საკითხი ოდნავადაც არ არის ამომწურავად განხილული და შესწავლილი.

ჩვენ აქ გვსურს წარმოვადგინოთ ცდა, აღნუსხულ იქნეს ბრუნვათა ძირითადი ფუნქციები ძველ ქართულში. საკითხის სისრულესა და ამომწურავად მოცემაზე აქ ზედმეტია ლაპარაკი. ამ შრომას ამის პრეტენზიები არცა აქვს. აქ მთავარია, მუშაობა დავიწყოთ ამ მიმართულებით, თავი მოვუყაროთ იმას, რაც თქმულა აღძრული საკითხის შესახებ, დავსვათ ახალი საკითხები და, რამდენადაც ჩვენ შეძლება გვეკნება, ვუპასუხოთ ზოგიერთ მათგანს.

ბრუნვათა ფუნქციებზე საუბარი დავიწყოთ რიგის მიხედვით. ამიტომ პირველ რიგში წრფელობითს შევეხოთ.

---

[1] ენიკის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 9—31.

[2] ქეთ. მიქელაძე. მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი 1, 1941, გვ. 190—196.

[3] Б. Т. Руденко, Грамматика грузинского языка, 1940, გვ. 75—83.

თავი პირველი

წრფელობითი ბრუნვის ფუნქციები

წრფელობითი ბრუნვის ფუნქციების შესახებ ზემოთ, სხვა საკითხთან დაკავშირებით, გაკვრით უკვე გვქონდა ლაპარაკი (გვ. 188 — 189; 368)[1]. აქ მასზე უნდა შევჩერდეთ უფრო დაწვრილებით.

წრფელობითი ერთი უძველეს (პირველ) ბრუნვათაგანია. ქართული ენის განვითარებაში იყო დრო, როცა არ არსებობდა სახელობითი ბრუნვა, მაშინ მის როლს წრფელობითი ასრულებდა.

ძველი ქართული ამ ორი ბრუნვის ურთიერთობის იმ მდგომარეობას ასახავს, როცა სახელობითი კარგა ხანია ჩამოყალიბებულია, წრფელობითი კი თანდათან გადის ხმარებიდან, ზოგი ძველი ფუნქცია მას თანდათან უსხლტება ხელიდან, ზოგიც კვლავ შენარჩუნებული აქვს, ხოლო ზოგიც მხოლოდ მის განუყოფელ განკარგულებაშია.

აქ შეძლებისდაგვარად ვუჩვენებთ წრფელობითის ყველა ამ ფუნქციას.

1. წრფელობითი ქვემდებარედ

1) წრფელობითი, როგორც განუსაზღვრელი სახელობითი[2], ყველაზე ხშირად გვხვდება სწორედ განუსაზღვრელ ნაწევართან **ერთ** და განუსაზღვრელობითს ნაცვალსახელთან **ვინმე** (განსაზღვრულ ნაწევართან **ესე, ეგე, იგი** წრფელობითი არ გვხვდება და არც შეიძლება შეგვხვდეს, რადგანაც ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ). მაგალითები:

კაც ერთ მორბიოდა, 2 მეფ. 18, 26; **კაც ერთ სხუა მორბის**, იგიცა მახარებელიცე არს, იქვე; და აჰა იყო **კაც ერთ იერუსალჱმს**, ლ. 2, 25 C; **კაც ერთ ვინმე იყო მდიდარ**, ლ. 16, 19 C; და იყო **კაც ერთ** მოვლინებულ ღმრთისა მიერ, ი. 1, 6 C; მოვალს **დედაკაც ერთ**, ი. 4, 7 C; და მუნ იყო **სეფეწულ ერთ**, ი. 4, 46 C.

2) თუ ქვემდებარეს (საერთოდ, არსებით სახელს) განსაზღვრავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ჩვეულებრივ ორივე წრფელობითში იქნება. ზმნა ასეთ შემთხვევაში სახელს ხან მხოლობითს რიცხვში უთანხმდება, ხან მრავლობითში. როგორც ვნახეთ, პირველი შემთხვევა უფრო ძველი უნდა იყოს. მაგალითები:

---

[1] ნ. აგრეთვე ი. იმნაიშვილი, წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში: პუშკინის სახ. თბილ. სახელმწ. სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1943, გვ. 269—289. შრომა გადმობეჭდილია კრებულში: „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში", I, 1956, გვ. 59—75).

[2] ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, არილი, 1925, გვ. 219, შნშ. 1.

კაც ორ იყვნეს ქალაქსა ერთსა, 2 მეფ. 12, 1; აწ იყვნეს ჩუენ თანა **შჳდ ძმა**, მ. 22, 25 C; და აჰა **ორ კაც** გამოჩნდეს, ლ. 24, 4 C; **ორ კაც** ზედა-მოადგეს, იქვე DE; **ხუთ ქმარ** ცვალებულ არს შენდა, ი. 4, 18 C; არიან **სამ ყრმა** ჩემ თანა, კიმ. I, 46, 32; არიან **ორ დანაკ**, ლ. 22, 38 C.

მსგავსი მდგომარეობა გვაქვს განუსაზღვრელობითს ნაცვალსახელთან **მრავალ**: **მრავალ** სადგურ არს, ი. 14, 2 C.

3) შერჩენილი აქვს ძველი მდგომარეობა აგრეთვე ობიექტური წყობის შემდეგს სამ ზმნასაც; ესენია: **უჳის** (ესუა), **ადგს || უდგს** (ედგა) და **აქუს**. წრფელობითში დასმულ სახელს ზმნა აქაც ხან მხოლობითში ეთანხმება, ხან მრავლობითში. ეს იმისდა მიხედვით, წრფელობითის ფორმით წარმოდგენილ სახელში ავტორი ერთს გულისხმობს, თუ ერთზე მეტს. მაგალითები:

არა მივის **მე ქმარ**, ი. 4, 17 C; არა ესუა მას **შვილ**, მ. 22, 25 C; **კაც** არავინ მაქუს, ი. 5, 7 C; **პირ** ათქს და არა იტყჳან, კიმ. I, 51, 32.

თუ წრფელობითით გამოხატულ სახელში ავტორი ერთზე მეტს გულისხმობს, **ადგს** (უდგს) და **უჳის** (ესუა) შეიცვლება **სს** ძირის ფორმით:

კაცსა ვისმე ესხნეს **ორ ძე**, მ. 21, 28; ლ. 15, 11; **თუალ** ასხენ და არა ხედვენ, **ყურ** ასხენ და არა ესმის, **ჴელ** ასხენ და არა იქმან, **ფერჴ** ასხენ და არა ვლენან, პარხ. 84 ხ.

4) ქვედებარე **რქუმა** და **წოდება** ზმნებთანაც წრფელობითშია. ეს მაშინ მოხდება, როცა ეს ზმნები ვნებითის ფორმით იქნება მოცემული[1]. მაგალითები:

რქუმა

შეურაცხ ერქუას მას სასუფეველსა ცათასა, მ. 5, 19 C; რომელსა ერქუმის **თხემ**, ლ. 23, 33 C; ნუცა გერქუმინ თქუენ **წინამძღუარ**, მ. 23, 10; რომელსა-იგი ერქუა **ბერწ**, ლ. 1, 36; რომელსა ერქუა **მარჩჩივ**, ი. 11, 16. ასეა ხანმეტ ლექციონარშიც: რომელსა ხერქუა **მარჩჩივ**.

წოდება

უმრწემეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა, მ. 5, 19; **ებისკოპოს** მეწოდების, კიმ. I, 78, 29; რომელსა **საგოდებელ** ეწოდების, აბო 196, 30; **კარ** ეწოდა, **ტარიგ** ეწოდა, **მწყემს** ეწოდა, **ლოდ საკიდურ** ეწოდა, **მარგალიტ** ეწოდა, **მარილ** ეწოდა, **ყუავილ** ეწოდა, **ანგელოზ** ეწოდა, **კაც** ეწოდა, **ღმერთ** ეწოდა, **ნათელ** ეწოდა, **ქუეყანა** ეწოდა, **მარცუალ მდოგჳს** ეწოდა, **მატლ** ეწოდა, **მზე სიმართლის** ეწოდა (აბო, 181 — 183).

5) ძალიან ხშირად იხმარება წრფელობითი მეშველ ზმნებთან, როგორიცაა: არს, იყო, იქმნა, ეყოს, ექმნეს და სხვა. ასეთი კონსტრუქცია უმეტესად შედგენილ შემასმენელშია დამკვიდრებული. (რაზედაც ცოტა ქვემოთ), მაგრამ იგი მაშინაც გვხვდება, როცა წრფელობითში დასმული სახელი ქვემდებარეს წარმოადგენს. მაგალითები:

[1] მოქმედებითი გვარის ფორმებთან წრფელობითით პირდაპირი დამატება იქნებოდა გამოხატული: მან მას სახარება უწოდა (ნ. ქვემოთ).

ერთ არს **ქველის-მოქმედ**, მ. 19, 17 C; **მთხრებლ** დიდ არს შორის ჩუენსა და თქუენსა, ლ. 16, 26 C; **ჭუხილ** არს, ი. 12, 29 C; ხოლო აწ **მიზეზ** არა არს ცოდვათა მათთათჳს, ი. 15, 22 C; **სირცხჳლ** არს ჩემდა, ხანძთ. 111, 1; არა არს ჩემდა **სიქადულ**, 1 კორ. 9, 17.

სხუა ნავ არა იყო მუნ, ი. 6, 22 C; და იყო **განთიად** ოდენ, ი. 18, 28 C; და ვითარცა **ცისკარ** ოდენ იყო, შუშ. 150, 36; რაჲთა არა **ამბოხება** იყოს შორის ერსა, მ. 26, 5 C; და იყო **წვალება** შორის მათსა, ი. 9, 16 C; **ყინელ** იყო, ი. 18, 18 C; არა იყო მათა **ადგილ** სავანესა მას, ლ. 2, 7.

უძჳრეს **განხეთქილება** იქმნის, მ. 9, 16 C; უძჳრეს **განხეთქილ** იქმნის, მრ. 2, 21 C; და იქმნა **დაყუდება დიდ**, მრ. 4, 39 E.

ეყოს მას **წყარო** წყლისა, ი. 4, 14 C; ექმნეს მას შინა **წყარო** წყლის, იქვე DE.

6) დასასრულ, ვუჩვენებთ ზოგ სხვა ზმნასაც, რომლებთანაც ხანდახან გვხვდება ქვემდებარე წრფელობითს ბრუნვაში:

პირი ჩუენი განლებულ არს, და არა აბს **კარ**, ი. ჯავ. აღწ. 233, 3; არა უბნ მათ **ძირ**, მრ. 4, 17 C; არასადა ეცეს ნათესავსა ამას **სასწაულ**, მრ. 8, 12.

ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში წრფელობითს ბრუნვაში წარმოდგენილი სახელი წინადადებაში ქვემდებარედ არის გამოყენებული.

აქ ერთხელ კიდევ ვიტყვით, რომ აღნიშნული შემთხვევები ძველ ქართულში ფართოდ გავრცელებული მოვლენა კი არ არის, არამედ წარმოადგენს გადმონაშთს უძველესი დროებიდან, როცა ჯერ კიდევ არ გვქონდა სახელობითი და ქვემდებარის გამოხატვა ასეთ შემთხვევებში მხოლოდ წრფელობითს უხდებოდა. შემდეგ, როგორც ვიცით, სახელობითი წარმოიქმნა, ეს ფუნქციები მან იკისრა, ხოლო ძველმა ქართულმა ზემოთ მოყვანილი მაგალითების სახით შემოგვინახა შორეული წარსულის ძვირფასი გადმონაშთები. წრფელობითის ფუნქციათა შესწავლისას ასეთი გადმონაშთების გათვალისწინება აუცილებელია.

2. წრფელობითი პირდაპირ დამატებად

წრფელობითი ბრუნვა პირდაპირ დამატებად თითქმის იმავე ზმნებთან გვხვდება, რომლებთანაც ჩვენ ზემოთ ქვემდებარეს ვიხილავდით. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ზმნები აუცილებლად გარდამავალი უნდა იყვნენ. გარდაუვალობის შემთხვევაში მათთან წრფელობითს ბრუნვაში დასმული სახელი ქვემდებარე იქნება („სახარება ეწოდა"), ხოლო გარდამავლობის შემთხვევაში კი პირდაპირი დამატება („სახარება უწოდა"). ქვემდებარე ასეთ შემთხვევაში მოთხრობითს ბრუნვაში დგას, ის უმეტესად ნაცვალსახელების სახითაა წარმოდგენილი (მე, შენ, მან, რომელმან, მათ). მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ამათგან მხოლოდ ორს მოეპოვება: ერთს უძველესი (ორგანული): მა-ნ, მეორეს

შედარებით ახალი (აღწერითი): რომელ-მან. ეს მან სხვა არა არის რა, თუ არა მოთხრობითი ბრუნვის ფორმა III პირის ნაცვალსახელისა იგი[1].

როგორც ვთქვით, წრფელობითი ბრუნვა ძველი ქართულის სივრცეზე მხოლოდ განსაზღვრულ ზმნებთან იხმარება. ქვემდებარესთან დაკავშირებით ეს ზმნები უკვე აღვნუსხეთ ზემოთ. პირდაპირი დამატება კი შემდეგ ზმნებთან გვხვდება: სცა, იღო, დასდვა, იპყრა, იხილა; კლა, იგდო, უწოდა, ყო (უყო), ქმნა, ჰრქუა (=დაარქვა), ისხნა (უსხნა) და თითო-ოროლა შემთხვევაში ზოგ სხვასთანაც. მაგალითები:

უკუეთუ **ნიშ** და **სასწაულ** არა იხილოთ, ი. 4, 48 C; ყავ ჩემ თანა **სასწაულ კეთილ**, პარხ. 801 b; მრავალ სხუაცა **სასწაულ** ყო, ი. 20, 30 C; აწ ვყოთ ჩუენ **სასწაულ კეთილ**, ხანძთ. 116, 27; იყვენით თავისა თქუენისა **მეგობრებ**, ლ. 16, 9 C.

როცა წრფელობითი ბრუნვით გამოხატულ პირდაპირ დამატებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს სათანადო ფორმები უმთავრესად **მათი წარმოშობის თვალსაზრისით**. ზოგი მათგანის დამოუკიდებლობა და თავისთავადი არსებობა ძველ ქართულში ნათლად ჩანს, ზოგისა ნაკლებად: ამ უკანასკნელ შემთხვევაში თითქო შეერთებულიაო ზმნა და სახელი (წრფ. ბრ-ით გამოხატული), თითქო ერთული ზმნა გვაქვსო, ან შედგენილი შემასმენელი. ასეა საქმე, თუ ძველი ქართულის აღნიშნულ მაგალითებს **აქედან (ჩვენი დროიდან) გავხედავთ. მაგრამ თუ ამავე მაგალითებს ძველი ქართულის წინა ეპოქიდან გამოვხედავთ**, მაშინ წრფელობითს ბრუნვაში დასმული სახელების დამოუკიდებლობა უფრო ბუნებრივად მოგვეჩვენება. და როდესაც რომელიმე საკითხის ისტორიას ვსწავლობთ, ასეთი უკან დახევა და იქედან შეფასება აუცილებელია ამ საკითხის ძველი ვითარების სწორად გაგებისათვის. მაგალითად, წინადადებაში „**თავ-უყავ** მამასა“ ძველისძველ ენაში „თავ“ ისეთივე სრული და კანონიერი დამატება იყო, როგორც დღეს არის უკანასკნელი დამატება „საქმე“ ამ წინადადებაში: „შენ კარგი **საქმე** უყავ მამას“. მაგრამ შემდეგ და შემდეგ წრფელობითის გადაშენებასთან ერთად ეს „თავ“ კარგავს დამოუკიდებელ მნიშვნელობას და (რთული) ზმნის შემადგენელ ნაწილად იქცევა. ამ თანდათანი ცვლილების სურათი და, განსაკუთრებით, მისი ბოლო საფეხური უფრო კარგად მოჩანს ისეთ რთულ ზმნებში, როგორიცაა ღაღად-ყო, შეურაცხ-ყო, გულისხმა-ყო, ზრახვა-ყო და სხვა. ჩვენი მსჯელობა და მაგალითების დალაგება ქვემოთ ამ შენიშვნების საფუძველზე იქნება მოცემული და სპეციალურად აღარ მოვიხსენებთ, რომ ცალკეული მაგალითების ანალიზისას ისტორიულ თვალსაზრისიდან გამოვდივართ. სხვა მაგალითები:

ერთ საქმე ვქმენ, ი. 7, 21 C; და ვქმნეთ აქა **სამ ტალავარ**, მრ. 9, 5; **საუცარ** რაჲმე იხილეს, ლ. 24, 37; **მადლ** იპყრას მონისაჲ მის, ლ. 17, 9;

[1] ა. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თბილ. უნივ. შრომები, X, 1939, გვ. 168.

არცა **ერთ** იპყრეს, ი. 21, 3 C; გკითხო მეცა თქუენ **სიტყუა** ერთ, მ. 21, 24 C; **ბრალ** არაჲ ვპოე, ლ. 23, 14 C; პირსა შენსა შეაბ **ბჭეებ** და **კლიტეებ**, ზირაქ 28, 29; რომელსა დაეყო წიდოვნებასა შინა **ათურამეტ წელ**, მ. 9, 20 D. (E-ში იკითხება უფრო მერმინდელი **ათორმეტი წელი**, ხოლო C-ში ხაზგასმული სიტყვები დროის გარემოებადაა წარმოდგენილი: რომელი იყო სისხლისა დინებასა ზედა **ათორმეტ წელ**).

როგორც აღნიშნული გვქონდა (გვ. 140), უძველესი ძეგლების ენაში დამატება (II სერიის მწკრივებში) წრფელობითის ფორმით იყო მოცემული ცემა და ღება ზმნებთანაც. ამის ნიმუშები იქნებოდა:

ადგილ ეც ამას, ლ. 14, 9; **გზა** მეცით მე, კიმ. I, 164, 28; და სცენ **სასწაულებ** დიდ და **ნიშებ**, მ. 24, 24 C; რამეთუ **სახე** ერთ მიგეც ი. 13, 15 C (=მაგალითი მოგეციო).

ღება ზმნის მაგალითები ბლომად გვხვდება რთულ ზმნაში ნათლისღება: **ნათელ-ვიღე**, **ნათელ-იღე**, **ნათელ-იღო** და სხვა.

არსებითად ასეთივე მდგომარეობაა საყოველთაოდ ცნობილ ფორმაში „თავყანის-ცემა“, სადაც წრფელობითშია წარმოდგენილი ყოფილი პირდაპირი დამატება თავ: თავ-ყანის-სცა. (ამის შესახებ უფრო ვრცლად ნ. ზემოთ, გვ. 187 — 190).

დასასრულ, უნდა შევეხოთ წრფელობითს ბრუნვას „რქუმა“ და „წოდება“ ზმნებთან. ამ შემთხვევაში ეს ზმნები გარდამავალი უნდა იყვნენ, რადგან გარდაუვალობის შემთხვევაში, როგორც ზემოთ ვნახეთ (გვ. 638), წრფელობითში დასმული სახელი ქვემდებარე იქნება. პირთა რაოდენობის მიხედვით ეს ზმნები აქ სამპირიანი იქნება (რადგანაც ვნებითში ორპირიანი იყვნენ)[1].

მაგალითები:

რქუმა

ხოლო თქუენ გარქუ **მეგობარ**, ი. 15, 15 D; რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა: **ცოფ**, მ. 5, 22 C; არღარა გრქუა თქუენ **მონა**, ი. 15, 15 C.

წოდება

გამოირჩინა ათორმეტნი მათგანნი, რომელთაცა **მოციქულ** უწოდა, ლ. 6, 13; და აღწერილსა მას უწოდა **სახარება**, კიმ. I, 105, 12; რომელმანცა ბრძანებათა თჳსთა **სახარება** უწოდა, ხანძთ. 148, 17; უწოდდიან **თავყუანის-საცემელ** და **სამსახურებელ**, კიმ. I; 105, 26; ამისთჳსცა **დაყუდებულ** უწოდიან მას, ხანძთ. 100, 32; რომელსა **კურთხეულ** უწოდიან, იქვე, 142, 10.

ამ ტიპის ზმნები კიდევ ერთი მხრივ იქცევენ ჩვენს ყურადღებას; ისინი გვაწვდიან მეტისმეტად საგულისხმო ჩვენებას მოთხრობითისა და სახელობითის ფორმაციის დროის შესახებ. წინადადებაში „რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა ცოფ“ გვაქვს მოთხრობითი (რომელ-**მან**), მაგრამ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია სახელობითი, ამ უკანასკნელის ადგილს წრფელობითი იჭერს (ცოფ). ცხადია, მოთხრობითი უფრო ადრე ჩამოყალიბებულა: იგი გამოჰყოფია

[1] ა. შანიძე, გრამ. საფუძვ., გვ. 291—295.

წრფელობითს ამ უკანასკნელზე III პირის ჩვენებითი ნაცვალსახელის მოთხრობითის მთელი ფორმის (მან) დართვით (რომელ + მა-ნ)[1].

3. წრფელობითი შედგენილ შემასმენელში

წრფელობითი ბრუნვა ყველაზე გავრცელებულია შედგენილ შემასმენელში. აქ იგი წარმოადგენს ამ უკანასკნელის სახელადს ნაწილს. წრფელობითი ბრუნვის ეს როლი იმდენად ნათელი და თვალსაჩინოა, რომ სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში იგი საკმაო სისრულითაა აღწერილი. უნდა ითქვას კი, რომ მკვლევართა უმრავლესობა, რომელნიც ამ საკითხს შეხებიან, წრფელობითი ბრუნვის დანიშნულებას მხოლოდ ამ დარგში ხედავდა. გამონაკლისს წარმოადგენენ ნ. მარი და ფ. ცორელი, განსაკუთრებით უკანასკნელი, რომელთაც ამ ბრუნვის არა ერთი სხვა ფუნქციაც აღნიშნეს.

წრფელობითი ბრუნვა აქ თითქმის იმავე ზმნებთან გვხვდება, რომლებთანაც ჩვენ მას ზემოთ ვიხილავდით. ამ ზმნებს აქ ზოგი (ერქუა, ესუა...) უნდა გამოაკლდეს, ხოლო ზოგიც (ჩნდა, დაშთა...) დაემატოს.

აქ გვაქვს გარდამავალიც (ყო, ქმნა) და გარდაუვალი ზმნები. პირების მიხედვით — ერთპირიანი და ორპირიანები. არ გვხვდება სამპირიანი ზმნები. გარდამავალ ზმნებთან ქვემდებარე მოთხრობითს ბრუნვაში იქნება წარმოდგენილი, ყველა სხვა შემთხვევაში — სახელობითში. ქვემდებარეებად აქ გვევლინება უფრო ხშირად ნაცვალსახელები, უფრო ნაკლებად — არსებითი (ან სხვა) სახელი. მაგალითებში ბევრჯერ ქვემდებარე არ არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, წრფელობითში დასმული სახელი არ უნდა ჩავთვალოთ ქვემდებარედ, რადგან აქ ქვემდებარე არა ჩანს შემთხვევით, მაგრამ ის იგულისხმება და ყოველთვის ადვილად შეიძლება აღვადგინოთ. მაგალითად, წინადადებაში „ხოლო იყო ბილვითა დიდ“ ქვემდებარე არა ჩანს, მაგრამ ასეთად აქ იგულისხმება გრიგოლ (ან იგი). მაშასადამე, რაკი ქვემდებარე აშკარად არა ჩანს, „დიდ“ არ შეიძლება ქვემდებარედ გამოვაცხადოთ, „იყო დიდ“ შედგენილი შემასმენელი იქნება, ხოლო „დიდ“ — ამ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. მას ჩვენ ერთხელ შემასმენლისი ვუწოდეთ[2].

ერთპირიან ზმნასთან საერთოდ ერთი სახელი გვაქვს, ორპირიანთან — ორი. მაგრამ ამ ზმნებთან მოიპოვება კიდევ თითო სახელი, წრფელობითს ბრუნვაში დასმული, რომელსაც არ შეუძლია ზმნაში პირის გაჩენა. ერთპირიან ზმნასთან, ამიტომ, ორი სახელი გვაქვს („ჴელმწიფჲ იგი იყო ბრძენ“, ხანძთ. 131, 6), ორპირიანთან—სამი („რამეთუ ექმნა (იგი) ყოველთა სახე კეთილის“, იქვე, 127, 29). ეს მესამე, ზმნის პირიანობის თვალსაზრისით „ზედ-

[1] ა. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. X, 1939, გვ. 173.

[2] ი. იმნაიშვილი, წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში: პუშკინის სახ. თბილ. სახ. სამასწ. ინსტ. შრომები, ტ. III, 1943, გვ. 269.

მეტი“ სახელი უშუალოდ ზმნის **შინაარსს** უკავშირდება, მისი **მნიშვნელობის** განმარტებაში ღებულობს მონაწილეობას (ბრძენ, სახე). ამიტომ ყველა ეს ზმნა. რომლებიც ჩვენ აქ გვხვდება, ასეთ შემთხვევაში მეშველ ზმნად უნდა ჩავთვალოთ [1].

გარდამავალი ზმნები, რომლებთანაც გვხვდება წრფელობითი ბრუნვა შემასმენლისად, არის **ყოფა** და **ქმნა**. ძველ ქართულში სათანადო ფორმები ყველაზე ხშირად II სერიის მწკრივებში გვხვდება, ნაკლებად — I და III სერიებისაში. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები.

ყოფა

(იგი) **გონიერ** ჰყოფს ჩჩულთა, ხანძთ. 116, 44; (იგი მას) **გჳრგჳნოსან** ჰყოფს, კიმ. I, 15, 2; უფალი **მეცნიერ** ჰყოფდა მას, აბო, 185, 25; პიტიახში... მჴედრ მიმოდასდევნინ და **მეოტ** ჰყოფნ მათ ყოველთა, შუშ. 153, 13.

გონიერ ჰყოფს ახალ ქართულზე იქნება **გონიერად** ხდის (ქმნის), **მეცნიერ ჰყოფს**—ასწავლის (სიტყვასიტყვით: **მცოდნედ** ხდის).

თქუენ, ჴელმწიფენი, უფალ გყვნა ღმერთმან, ხანძთ. 109, 46; ვყავთ იგი **წინამძღუარ** ჩუენდა, კიმ. I, 212, 35; ვყენე იგინი **განმჴეცებულ** და **ვეღურ**... გულფიცხელ და **უსახურ**, იქვე, 276, 36; 277, 21; **წრფელ** ყვენით ალაგნი მისნი, ლ. 3, 4; **სწორ** ჩუენდა ჰყვენ იგინი, მ. 20, 12; და ყვეს იგი **ეპისკოპოს**, არიმ. 79, 10; გზაჲ სიკუდილისაჲ **წყარო** ცხოვრების ჰყავ, სას. პოეზ. 42, 18.

აქ წარმოდგენილი წრფელობითი აწინდელ ქართულზე გადმოღებისას ან ვითარებითი ბრუნვით უნდა შევცვალოთ (უმრავლეს შემთხვევაში): სიკვდილის გზა ცხოვრების **წყაროდ** შექმენ, **ეპისკოპოსად** აკურთხეს (გახადეს), ანდა ზმნასთან ერთად ერთ სიტყვად (პირიან ზმნად) გადმოვიტანოთ (უმც. შემთხ.): სწორ ჩუენდა ჰყვენ—გაგვითანასწორე, წრფელ ყვენით—გაასწორეთ, გააპირდაპირეთ (სიტყვასიტყვით: **სწორად** გახადეთ). როგორც ვიცით, ასეთ ოპერაციებს სრულებით ვერ იტანს წრფელობითი ბრუნვა იმ შემთხვევაში, როცა ის პირდაპირ დამატებას წარმოადგენს.

ესევითართა **დაუმტკიცებელ** გიყოფიეს სიტყუაჲ ღმრთისაჲ, მ. 15, 6; ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი **ქუაბ** ავაზაკთა, მრ. 11, 17; გიყოფიეს თავი შენი **ღმერთ**, ი. 10, 33.

ქმნა

უტყუ ქმნა ენაჲ ჩუენი, ხანძთ. 131, 29; ვქმნეთ აქა სამ **ტალავარ**, მ. 17, 4.

განხილულ შემთხვევებთან უფრო ახლო დგას წრფელობითი ბრუნვის საკითხი ორპირიან გარდაუვალ ზმნებში. აქ რამდენიმე ზმნა გვხვდება, მაგრამ ახლა ცალკე უნდა შევჩერდეთ „ეყო“ და „ექმნა“ მეშველ ზმნებზე, რომლებიც

[1] ასეთი კვალიფიკაციის მიცემა წინა მუხლებში განხილული ზმნებისათვის (არს, იყო, ეწოდა, ერქუა) ჩვენ არ შეგვეძლო: იქ ისინი დამოუკიდებელი მნიშვნელობის ზმნებს წარმოადგენდნენ.

(განსაკ. მეორე) ძალიან ხშირად იხმარება. აქ სახელობითს ბრუნვაში დასმული სახელი ქვემდებარე იქნება, მიცემითში დასმული — ირიბი დამატება, ხოლო წრფელობითში მდგარი — შემასმენლისი. მაგალითები:

ექმნა

ექმნენით ამათ **მზარდულ კეთილ**, ხანძთ. 117, 6; და რომელიმე სახილავი **მოძღუარ** კეთილის ექმნის და რომელიმე — **განსაკრძალველ** ბოროტისათჳს, იქვე, 111, 36; იგინივე **მხაჯულ** გექმნებიან თქუენ, მ. 12, 27 E; გექმნეს თქუენ ესე **საწამებელ**, ლ. 21, 13; **შვილ** ექმენ აბრაჰამს, სას. პოეზ. 41, 12; ხექმნეს **დაუმორჩილებელ**, ხანმ. მრავ. 149 b; ექმნა **საფუძველ**, საბა ას. 14, 2.

ეყო

ეყოს მათ **მიზეზ**, კიმ. I, 13, 30; არარაჲ **სარგებელ** ეყო, მრ. 5, 26; (მცხ. წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო, დემეტრეს ჴპატოსსა **მეოხ** ხეყავ წარწ.); და **ტკბილ** ეყო მას ჰრული მისი, ხანძთ. 106, 41.

აქ მოცემულ მაგალითებშიც ახალ ქართულზე გადმოღებისას წრფელობითს ვითარებითი შეცვლის, მაგალითად: შვილ ექმენ აბრაჰამს — შვილად გაუხდი აბრაჰამს; ექმნენით ამათ მზარდულ კეთილ — გაუხდით (შეექმენით) ამათ კარგ აღმზრდელებად და სხვ. ეს. შესაძლებლობა წრფელობითის ვითარებითით შეცვლისა ძველსავე ქართულში არის შესაჩნევი. ჩვენ გვხვდება შემთხვევები, როცა წრფელობითს ცვლის ვითარებითი, მაგალითად:

ხოლო თქუენ გარქუ **მეგობარ**, ი. 15, 15 D,
ხოლო თქუენ გარქუ **მეგობრად**, იქვე E.

ასეთი მაგალითები ერთეულებით არ ამოიწურება, ისინი სხვაგანაც გვხვდება. აი რამდენიმე მათგანი:

1. არღარა გრქუა თქუენ **მონა**, ი. 15, 15 C, მაგრამ:
   არღარა გეტყჳ თქუენ **მონად**, იქვე DE;
2. ვისა მათგანისაჲ იყოს **ცოლ**, ლ. 20, 33 DE, მაგრამ:
   ვისა მათგანისა იყოს **ცოლად**, იქვე C;
3. ხუთ **სტოვა** იყო, ი. 5, 2 DE, მაგრამ:
   ხუთ **ეზოდ** იყო, იქვე C;
4. იყვნენ ორნივე იგი ერთ **ჯორც**, მ. 19, 5 DE, მაგრამ:
   იყვნენ ორნივე **ჯორცად** ერთად, იქვე C.

ყველა განხილულ შემთხვევაზე უფრო ხშირად წრფელობითი ბრუნვა მაინც ერთპირიან ზმნებთან გვხვდება. ამ დარგში წრფელობითი ბრუნვის ხმარების ყველაზე წესიერად დაცულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ერთპირიანი ზმნები უფრო ძველი წარმოშობისაა, გასაგები იქნება, თუ რატომ არის, რომ სწორედ ასეთ ზმნებთან გვაქვს ჩვენ შედარებით შეუბღალავად შემონახული ამ უძველესი ბრუნვის წესიერი ხმარება. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ აბსოლუტურად უმრავლეს

შემთხვევაში აქ გვეკლინება მეშველი ზმნა „ყოფა“ მისი მონაცვლე ფუძეებით (ვარ ‖ ვარი, ხარ ‖ ხარი, არს, ვართ, ხართ, არიან... ვიყავ, იყავ, იყო, ვიყვენით, იყვენით, იყვნეს), აგრეთვე „ქმნა“ (ვიქმენ, იქმენ, იქმნა...). სწორედ ეს არის ძველისძველი მდგომარეობის გამომხატველი ზმნა, მას გამოუვლია განვითარების გრძელი გზა, ის მოწმე ყოფილა ენის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ბევრი ძველი თვისება-თავისებურება მოუტანია ჩვენამდე. ამიტომაა, რომ ეს (მეშველი) ზმნა თითქმის ყველა ენაში „დატეხილი“ სახით არის მოღწეული ჩვენ დრომდე. ამიტომ ბუნებრივია, რომ სწორედ ამ (და ამის მსგავს) ზმნებს აქვთ შემონახული წრფელობითი ბრუნვის ხმარების უძველესი სახე. ვნახოთ მაგალითები.

ყოფა

ვარ მე **ჰაბუკ** სახელოვან, ხანძთ. 110, 45; არა ვარ... **მტაცებელ** ცრუ, მემრუშე, ლ. 18, 11; **გლახაკ** და **დავრდომილ** ვარი მე, ძვ. ქართ. კრესტ. 44, 11; **მატლ** ვარ და არა კაც, ფსალმ. 21, 7; **მშჯდ** ვარ და **მტაბახალ** გულითა, მ. 11, 29.

ზოგიერთ ხელნაწერში, განსაკუთრებით, სომხურიდან მომდინარეში, ზოგჯერ მეშველი ზმნა ჩავარდნილია, მაგრამ ძველი კონსტრუქცია შენარჩუნებულია: მე **კეთილ**, დის-წულაკო ჩემო, და **შუენიერ**, რამეთუ მე ყოველთა **საყუარელ**, იპოლ. 15, 1. აქ გამოტოვებულია „ვარ“. ნ. მარი ამას სომხური ენის სინტაქსის გავლენას მიაწერდა[1].

ასეთი ვითარება სხვა (II და III) პირებშიც გვხვდება...

...ვიყო მე **ქადაგ**, კიმ. I, 331, 30; **უცხო** ვიყავ... **შიშუელ** ვიყავ... **უძლურ** ვიყავ, მ. ჯნ, 35, 36, 43; **შემსჳალულ** ვიყვენით, Опис. 258, 12; **უბიწო** ვიყვნეთ, ხანმ. მრავ. 146 გ.

...შენ ხოლო **მწირ** ხარ იერუსალჷმს, ლ. 24, 18; **მოშიშ** ხართ, მრ. 4, 40; ხართ თქუენ წიგნ სამოციქულო, 2 კორ. 3, 3; **ჳემმარიტ** ხარ, მრ. 12, 14;

არა ხარ შენ **საქებელ**,
არამედ **საჭიქელ**,
არა **საშუებელ**,
არამედ **სავნებელ**,
არა **საწადელ**,
არამედ **საძაგელ** (კიმ. I, 167, 24—25. ლექსადაა).

იყვენით თქუენ **მეცნიერ**, ვითარცა გუელნი, და **უმანკო**, ვითარცა ტრედნი, მ. 10, 16; **მხიარულ** იყვენით, მ. 5, 12; **უცხო** იყავ და **ხატუმარ** შჯულითა საღმრთოჲთა, სას. პოეზ. 153, 53; **მჴნე** იყავ, **მოთმინე** და **სულგრძელ**, შუშ. 148, 1.

რომელი **ადვილ** და **მარჯუე** არს შენ ზედა და **შემძინელ** და **შემმატებელ** არს პატივსა და დიდებასა შენსა, კიმ. I, 7, 4; მარხვაჲ (არს) **სულწრფელ**, **მეცნიერ**, **წმიდა**, **მყუდრო**, **მხიარულ**, **შეუგინებელ**, **ბრძენ**, **მშჯდ** და **უპმუნველ**, იქვე, 57, 34; რომელ არიან ხაზარნი, კაც **ველურ**, **საშინელ**

[1] TP, III, გვ. LIV—LV.

პირითა, **მჭეცის-ბუნება, სისხლის-მჭამელ**, აბო 186, 12; **უკმ** და **ულუაწ** არს ადგილი ესე, ზარზმ. 157, 5.

ხოლო იყო **ხილვითა დიდ, ჯორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ**, ყოველად კეთილ, სრულიად გუამითა **მრთელ** და სულითა **უბიწო**, ხანძთ. 101, 6; და იყვნენ **მტერ** მამასახლისისა სახლეულნი თჳსნი, მ. 10, 36.

ქმნა

ვიქმნეთ **მტუერ** და **ძუალებ** განჴმელ, კიმ. I, 300, 22; ვიქმენ მე... **უძლურ**, 1 კორ. 9, 23; და აწ ნუღარა **ურჩ** იქმნები, არამედ **წორჩილ** იქმენ ბრძანებასა ქრისტჱსსა, ხანძთ. 102, 1; სიტყუაჲ იგი **ჯორციელ** იქმნა, ი. 1, 14; და იქმნა ერთ **სამწყსო** და ერთ **მწყემს**, საბა ას. 11, 24.

აქ შეიძლება რამდენიმე შენიშვნა გავაკეთოთ.

1) უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ზმნები ყოველთვის როდი გამოდის მეშველი ზმნის როლში: ყოველ მათგანს შეუძლია ცალკე შემთხვევაში **დამოუკიდებლად** გასწიოს შემასმენლობა. მაგალითად, „უძლურ ვიყავ“-ში **ვიყავ** მეშველი ზმნაა, ხოლო ამ წინადადებაში „და **ვიყავ** მის თანა ათხუთმეტ დღე“ (გალატ. 1, 18) იგივე **ვიყავ** დამოუკიდებელი მნიშვნელობის ზმნაა, მარტო ის წარმოადგენს მარტივ შემასმენელს. ასევე ითქმის სხვებზედაც.

2) ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშები არის ნორმა ძველი ქართულისათვის. მაგრამ ძველსავე ქართულში გვხვდება ამ ნორმიდან გადახვევა. აიხსნება იგი წრფელობითი ბრუნვის ხმარებიდან გასვლის საერთო ტენდენციით.

3) აქამდე განხილულ მაგალითებში ნაცვალსახელები ქვემდებარედ (ან დამატებად) იყო წარმოდგენილი. როგორღა არის საქმის ვითარება მაშინ, როცა ეს ნაცვალსახელები შედგენილ შემასმენელში უნდა შეიდნენ? ყველაზე დამახასიათებელი ამ მხრივ კუთვნილებითი ნაცვალსახელებია; ყველაზე ხშირად სწორედ ისინი გვევლინება შედგენილ შემასმენელში, მაგრამ გვევლინება არა პირდაპირ შემასმენლისად, არამედ ამ უკანასკნელის მსაზღვრელად. მიუხედავად ამისა, ისინი წრფელობითში **არასდროს** არ არის წარმოდგენილი. როცა აუცილებელია შემასმენლისის განსაზღვრებად კუთვნილებითი ნაცვალსახელი გამოვიდეს, არის ორი გზა:

ა) ან კუთვნილებითი ნაცვალსახელი შემასმენლისს ეთანხმება ბრუნვაში და მასთან ერთად სახელობითში დგას;

ბ) ანდა კუთვნილებითი ნაცვალსახელი ვითარებითში გადადგება და შემასმენლისი წრფელობითის ფორმას ღებულობს. მაგალითები:

ა) რომელი არა არს ჩემ თანა, იგი **მტერი ჩემი** არს, მ. 12, 30.

ბ) რომელი ჩემ თანა არა არს, იგი **ჩემდა მტერ** არს, იქვე C.

ასეთი მაგალითებია კიდევ:

არს იგი **მეგობარი მისი**, ლ. 11, 8 C, მაგრამ:

არს იგი **მეგობარ მისა**, იქვე DE (მისა ← მისდა);

ამიერითგან არღარა ვარ **მეგობარი შენი** (ბალაჰვ. 23, 1C), მაგრამ:

არა ვარ მე აწ **მეგობარ შენდა** (იქვე, 23, 1).

რით უნდა აიხსნებოდეს, რომ შეუძლებელი ხდება კუთვნილებითი ნაცვალსახელის დასმა წრფელობითში? ამ საქმეში გარკვეულ როლს თამაშობს ამ ნაცვალსახელების წარმომავლობა. სახელობითის ი-ს ჩამოცილებით ისევ ფუძეს მივიღებდით, ხოლო ეს ფუძე სხვა არაფერია, თუ არა სათანადო პირის ნაცვალსახელი. მაშასადამე, ამ ოპერაციით კუთვნილებითს ნაცვალსახელს ვაქცევდით ისევ პირის ნაცვალსახელად, საიდანაც წარმოშობილია ის სწორედ ი-ს (და სხვა ბრუნვის ნიშანთა) დამატებით.

რომელია უფრო ძველი აქ აღნიშნული ორი სახეობიდან (იგი ჩემი მტერი არს და იგი ჩემდა მტერ არს)? „იგი მტერი არს“ არ შეეფერება ძველ ნორმებს, ამიტომ უფრო ძველი და ბუნებრივი მეორე სახეობა უნდა იყოს (იგი ჩემდა მტერ არს), თუმცა, შესაძლებელია, უძველესი ვითარება არც აქ იყოს სავსებით უცვლელად დაცული.

4) რაკი წინადადებათა ბუნებრივ და არაბუნებრივ წყობაზე ჩაწოვარდა ლაპარაკი, უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის არასდროს არ არის დარღვეული წრფელობით-ბრუნვიანი წინადადების კონსტრუქცია, როცა იგი შემდეგნაირად არის აგებული:

a) თავში გვაქვს რომელიმე კავშირი (თუ ასეთი არის საერთოდ);

b) მას მოსდევს (მეშველი) ზმნა (ყო, იყო, იქმნა...);

c) შემდეგ მოდის ქვემდებარე ან პ. დამატება (უფრო ხშირად III პირის ნაცვალსახელებით წარმოდგენილი, როგორიცაა: ესე, ეგე, იგი);

d) ამის შემდეგ არის თვით წრფელობითს ბრუნვაში დასმული სახელი (შემასმენლისი). აი ასეთი წყობა ითვლება ბუნებრივად და ამ პირობებში თითქმის არცა გვაქვს აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევები.

სქემატურად ეს შეიძლება ასე გამოიხატოს:

კავშირი	მეშველი ზმნა (იყო, იქმნა...)	ქვემდებარე ან პ. დამატება (ესე, ეგე, იგი...)	შემასმენლისი (= წრფ. ბრ.)

მაგალითები:

ყო: და ყო იგი სპასალარ, Опис. 120, 16;
რაჲთამცა ყო იგი მამასახლის, იქვე, 184, 2 ქვ.

იყო: რამეთუ იყო იგი ფრიად სიტყუა-ჴელოვან, ხანძთ. 131, 12;
და იყო იგი დაჭმულ, Опис. 4, 1 ქვ.
და იყო იგი ზრქელ და მსხჳლ ფრიად, იქვე, 51, 3;
და იყო იგი სნეულ, საბა ას. 19, 14;
და იყო იგი ქურივ, ლ. 7, 12 C;
და იყო იგი უძლურ და სნეულ, კიმ. I, 2, 11.

არს: ვითარმედ არს იგი ამპარტავან და ზუავ, საბა ას. 12, 35;
და არს იგი უგზო და მიუვალ, ხანძთ. 115, 25.

იქმნა: და იქმნა იგი მონაზონ, კიმ. I, 336, 9;
და იქმნა ერთ სამწყსო და ერთ მწყემს, საბა ას. 11, 24.

აქედან, რასაკვირველია, არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ რაც ამ სქემაში არ შემოდის, არაბუნებრივია ძველი ქართულისათვის. ბუნებრივია — ნიშნავს **მეტად გავრცელებულია, ჩვეულებრივია**, თუმცა შეიძლება შეგვხვდეს აქ წარმოდგენილი სქემის გადაჯგუფება, შევსება და გამოკლება, ზ̌ნის ფორმის შეცლა და სხვა, მაგრამ ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი სქემა საერთოდ ტიპურია.

5) დასასრულ, აქ დამატებით აღვნიშნავთ იმ ზმნებს, რომლებთანაც სხვადასხვა შემთხვევაში იხმარება წრფელობითი ბრუნვა. აღნიშნულთ გარდა, ასეთია:

1. **გონება:** ეგრეცა თქუენ გარეშე ჰგონიეთ კაცთა **მართალ**, მ. 23, 28; გგონიეს თავი შენი **უბრძნეს**, კიმ. I, 87, 10; რომელ-იგი გუგონიეს არა **პატიოსან**, 1 კორ. 12, 23.
2. **დგმა:** რომელსა ჴელი **განჴმელ** ედგა, მ. 12, 10.
3. **თქუმა || ტყუ:** რამეთუ იგინი **ტაძარ** ღმრთისა ითქუნენ, თეკლ. 93, 16; რომელნი **მართალ** იტყოდეს თავთა თჳსთა, ლ. 20, 20 C.
4. **პოვა:** რაჲთა ვიპოვნეთ **ზიარ** მონათა ღმრთისათა თანა, კიმ. I, 58, 38; რაჲთა **სრულ** იპოვნეთ, იქვე, 274, 28; იპოვა იგი **მიდგომილ** სულისაგან წმიდისა, მ. 1, 18.
5. **დაშთომა:** იოვანე დაშთა ყ̆დ **უსრულ** და **ენაბრგუნილ**, ზარზმ. 150, 3.
6. **ჩენა, ჩინება:** ხატ სიწმიდისა გამოშჩნდი ახალი იოსებ, სას. პოეზ. 99, 34; გარეშე ჩანედ კაცთა წინაშე **შუენიერ**, მ. 23, 27; ღირს მიჩინა, კიმ. I, 49, 14.

ახლა თავი რომ მოვუყაროთ იმათაც, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო ლაპარაკი და რომლებიც საერთოდ გვხვდება ძველ ქართულში, გვექნება:

1. გება, 2. გდება, 3. დება, 4. კლვა, 5. პყრობა, 6. რქუმა, 7. სლვა, 8. სუ || სხ (უვის, ესუა, უსხენან, ესხნეს), 9. ქმნა, 10. ქუან (აქუს, აქუნდა), 11. ღება, 12. ყოფა, 13. ცემა, 14. წოდება, 15. ხილვა, 16. ხუდომა და სხვა.

რასაკვირველია, ყველა აქ ჩამოთვლილ ზმნასთან ერთნაირი სიხშირით არ იხმარება წრფელობითი ბრუნვა, ზოგთან ძალზე იშვიათად გვხვდება, ზოგთან ძალიან ხშირად (იყო, იქმნა), მაგრამ საერთოდ ყველა ამათთან შეიძლება შეგვხვდეს.

ამნაირად, წრფელობითი ბრუნვა ძველ ქართულში ყველაზე ხშირად გვხვდება შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად (შემასმენლისად). ესაა მისი ყველაზე დამახასიათებელი ფუნქცია.

4. წრფელობითი დროის გარემოებად

დროის გარემოებად გამოყენებული სიტყვები ზოგჯერ უძველეს ქართულში წრფელობითით გადმოიცემოდა. ეს წესი დაცულია აგრეთვე ძველ ქართულშიც, თუმცა აქ წრფელობითის გვერდით მიცემითსაც არაიშვიათად ვხედებით. ამნაირი სახელებია: განთიად, ჟამ, დილეულ, წელ, წუთ, დღე, ღამე, თთუე. დაეიმოწმოთ ადგილები ძველი ტექსტებიდან თითოეული ამათგანის შესახებ.

1. გ ა ნ თ ი ა დ. თვითონ **განთიად** ნაწარმოები სიტყვაა, ის მოდის ძირიდან თ: გან-თ-ივ-ად → გან-თ-ი-ად, სადაც ად ვითარებითი ბრუნვის სუფიქსი უნდა იყოს წარმოშობით. ამავე ძირთანაა დაკავშირებული: ა-ნა-თ-ებ-ს, ნა-თ-ელ-ი, სა-ნ-თ-ელ-ი და სხვა[1]. დროის გარემოების აღნიშვნისას იგი მუდამ წრფელობითში დგას: ხოლო აღდგა **განთიად** პირველსა მას შაბათისასა, მრ. 16, 9; **განთიად**, ვითარ აღმოვიდოდა ქალაქად, შეემშია, მ. 21, 18 C. DE-ში **განთიად**-ის ნაცვლად იკითხება **ხვალისაგან**. ასეა სხვა ხელნაწერებშიც (ABFM). როგორც ჩანს, **ხვალისაგან**-საც ჰქონდა ასეთი მნიშვნელობა (ე. ი. დილას, ადრე დილას აღნიშნავდა)[2].

მაგრამ ძველ ქართულშივე გვხვდება იშვიათად ისეთი შემთხვევები, როცა წრფელობითი უკვე მიცემითით არის შეცვლილი: და ნიად **განთიადსა** მას ერთშაბათისასა მოვიდეს საფლავსა მას ზედა, მრ. 16, 2 DE. C-ში კვლავ ძველი ნორმა არის მკვიდრად დაცული: და მსთუად **განთიად** ერთშაფათსა მას მოვიდეს სამარესა ზედა.

დროის გარემოების ნაირ-ნაირი საშუალებით გადმოცემის თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ადგილი: იღჳძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, ოდეს უფალი იგი სახლისაჲ მოვიდეს: **მწუხრი**, ანუ **შუჳა-ღამეს**, ანუ **ქათმისა ჴმასა**, ანუ **განთიად**, მრ. 13, 35. აქ გვაქვს ნათესაობითი: მწუხრი ← მწუხრის[3], აქ გვაქვს მიცემითი: **შუჳა-ღამეს**, ქათმისა ჴმასა (თანაც ორნაირად: ემფატიკური ა-თი და ამის გარეშე), აქ გვაქვს წრფელობითი. სწორედ ესაა ქართულში ძირითადი საშუალებები დროის გარემოებათა გადმოსაცემად. მათგან **წრფელობითი** (განთიად) ყველაზე უძველესია.

2. ჟ ა მ: ეს სიტყვა უფრო ხშირად გარკვეულ მსაზღვრელებთან დაკავშირებით იხმარება; ესენია: **ერთ, მყოვარ, მრავალ**. ამათგან პირველთან დაკავშირებით აღნიშნავს „მცირე დროს", „მცირე ხანს", ორ უკანასკნელთან კი—პირიქით—„დიდ ხანს". გარდა ამისა, პირველ შემთხვევაში ეს მსაზღვრე-

---

[1] ნ. ამის შესახებ ა. შ ა ნ ი ძ ე. ნასახულარი ზმნები ქართულში: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. I, 1920, გვ. 95; ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. შდრ. ლექსიკ, გვ. 277; მ. მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი, „მალიად" ტიპის წარმოება ძველ ქართულში სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, VI, 1953, გვ. 365—366.

[2] შდრ. გერმ. am Morgen და morgen, რუს. поутру (утром) და завтра.

[3] ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ძველ ქართულში დროის გარემოების გამოხატვის ზოგიერთი საშუალებისა და „ეეფხისტყაოსნის" ერთი ადგილის წაკითხვისათვის: „კომუნისტური აღზრდისათვის", № 2, 1957, გვ. 76.

ლი (ერთ) მუდამ მეორე ადგილზეა მოთავსებული (ჟამ ერთ), მეორეში — თავში (მყოვარ ჟამ, მრავალ ჟამ). მაგალითები:

და ჰრქუა პეტრეს: ესოდენ ვერ ძალ-გიც **ჟამ ერთ** მღჳძარებად ჩემ თანა, მ. 26, 40; ხოლო თქუენ ინებეთ **ჟამ ერთ** სიხარული ნათელსა მისსა, ი. 5, 35; ამათ უკუანაჲსკნელთა **ჟამ ერთ** ხოლო ქმნეს, მ. 20, 12 C. აქ „**ჟამ ერთ ქმნეს**“ ნიშნავს: ერთ საათს იმუშაევეს, ე. ი. მცირე ხანს იმუშაევეს (სავედი დიდხანს მუშაობდნენ). მაგრამ თუ ეს **ჟამი** პირდაპირ დამატებადაა გამოყენებული, ე. ი. ზმნასთან პირის საშუალებით არის დაკავშირებული, ის სახელობითში მოგვევლინება: უკუანაჲსკნელთა მათ ერთი ხოლო **ჟამი** დაქვეს (იქვე DE). საქმარისია ამ **ჟამ**ზე ზმნის პირთან გაწყვიტოს კავშირი და იგი მაშინვე წრფელობითში ჩადგება. ამის ნიმუშია ზემოთ მოყვანილი ადგილი ადიშის ძეგლიდან (ჟამ ერთ ქმნეს).

და მუნ იყოფოდეს **მრავალ ჟამ**, ძვ. ქართ. ქრესტ. 88, 15; და **მრავალ ჟამ** სამოსელი არა შეემოსა, ლ. 8, 27; რამეთუ **მრავალ ჟამ** წარიტაცის იგი, ლ. 8, 29.

მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარ, ი. 7, 33; 13, 33; კიმ. I, 300, 36.

და ვითარ იღოცეს **მყოვარ ჟამ**, Опис. 206, 2 ქვ.; არღარა ვიხილე **მყოვარ ჟამ**, იქვე, 207, 26.

3. დ ი ლ ე უ ლ: დილეულითგან ვიდრე სამხრადმდე გინა უმეტჱს დაყეის ღამჱ და **დილეულ** წარვიდის გზასა თჳსსა, საბა ას. 7, 17—19 [1].

4. წ ე ლ: რომელი იყო წყაროჲთა სისხლისაჲთა გუემულ **ათორმეტ წელ**, მრ. 5, 25; ესე ...ცხორებულ იყო ქმრისა თჳსისა თანა **შჯდ წელ**, ლ. 2, 36; იყოფოდა მის თანა **ორმეოც და ექუს წელ**, კიმ. I, 33, 12; და ცხონდა იგი **ას და ოთხ წელ**, საბა ას. 8, 2.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის მაგივრად დროის გარემოების განმსაზღვრელად შეიძლება განუსაზღვრელი რიცხვითი სახელი **მრავალი** მოგვევლინოს, მაგალითად: **მრავალ წელ** ცხონდებიან, კიმ. I, 58, 25.

იშვიათად გვხვდება აგრეთვე **წელ**-ის სინონიმი **წელიწად**-იც: **წელიწად** მიიღის ძმათათჳს... სამჯერ ორ-ორი ტჯრთი კარაულისაჲ ლეღჳ ჴმელი, საბა ას. 11, 32; ვიყენით მის თანა **წელიწად ერთ**, სვან. 254 b.

როცა იგივე **წელი** ან **წელიწადი** პირდაპირ დამატებად (იშვიათად სუბიექტად) არის გამოყენებული, თუნდაც იმავე მსაზღვრელებითურთ, ისინი სახელობითში გადავლენ უეჭველად: რომელსა **ოც და ათრვამეტი** წელი დაეყო უძლურებასა შინა, ი. 5, 5; გულისხმა-ყო, რამეთუ **მრავალი წელი** აქუს

[1] ხევსურულში გვხვდება ეს სახელი დღევანდელი ფორმით (დილა და არა დილეული). აქ იგი თითქო წრფელობითი ბრუნვის ფორმით იხმარება: დილა დავჭადათ ტყაეები (ჴევს. მასალ., წელიწდ. გვ. 195, 7); დილა უნდა წავიდათ მალედ (196, 16); დღეს დილა მამიჯდეს კარზე ჩაფრები (201, 3), მაგრამ არა გვგონია აქ ძველ ვითარებასთან გვქონდეს საქმე, აქ უფრო ხან-დაკარგული ფორმა უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს ზემოთმჴაღნიშნულთა გეერდით ხანიანი (მიცემითის) ფორმის აოსებობაც: მე ახიელაც ბევრ მასმიეს დღეს დილას (202, 7).

უძლურებასა შინა, ი. 5, 6. პირველ მაგალითში წელი ზმნასთან პირის საშუალებით არის დაკავშირებული, პირდაპირი დამატებაა: დაეყო მას წელი. მეორეში წელი ქვემდებარეა: წელი აქუს მას. აქ ახლა ესენი აღარ წარმოადგენენ გარემოებას და ამიტომაცაა, რომ წრფელობითში აღარც გვეეღინებიან. შევნიშნავთ აქვე, რომ ასეთ შემთხვევაში ზმნა უმეტესად არის დაყო, დაეყო, უფრო ნაკლებად აქუს და სხვა.

5. წუთ. იშვიათად გვხვდება აქ წუთ, მაგალითად: რომელსა სიტყუაჲ იგი ესმინ, წუთ ერთ სიხარულით შეიწუნარის იგი, მ. 13, 20 C. DE-ში ამ წუთ ერთ-ს ცვლის მეყსეულად, რაც კარგად უდგება მის შინაარსს. მეორე მაგალითი: შვილნო ჩემნო, წუთ ერთ ჟამ თქუენ თანა ვარ, ი. 13, 33 C. DE-ში ამჯერად მას ცვლის მცირედ ჟამ, რაც აგრეთვე კარგად გამოხატავს ამ სიტყვის მნიშვნელობას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ წუთ-ს ახლავს აგრეთვე ჟამ-იც, რაც აქ არ იყო საჭირო. შესაძლებელია აქ გვქონდეს წუთ ერთ-ისა და ჟამ ერთ-ის არევის ნიადაგზე აღმოცენებული შეცთომა (ვთქვათ, ერთ-ერთ ხელნაწერში, საიდანაც იწერდნენ, იყო წუთ ერთ, სხვაში — ჟამ-ერთ. შეჯერებისას გაიპარა მეორეც — ნაწილობრივ). მეორე მხრივ, შეიძლება აქ „წუთ ერთ“ მთლიანად იყოს „ჟამ“-ის მსაზღვრელი; მაშინ „წუთ ერთ“ ერთად უნდა იწეროს (წუთერთ).

6—7. დღე, ღამე. ამ სახელების წრფელობითი ბრუნვა იქნება დღე, ღამე, სახელობითი—დღ*ჲ*, ღამ*ჲ*, ე. ი. ამგვარი სახელების წრფელობითი და სახელობითი ე და *ჲ* ასოების წერით განსხვავდებიან მხოლოდ, ხოლო თუ რამდენად სანდოა ე-სა და *ჲ*-ზე დამყარებული მსჯელობა, ეს ჩვენ უკვე ვნახეთ[1]. იქ ჩვენ უარყოფით დასკვნამდე მივედით ამ განსხვავების სანდოდ მიჩნევის საქმეში. ერთადერთ პირობა, როცა ჩვენ შეგვეძლება დაბეჯითებით ვილაპარაკოთ წრფელობითზე, მაშინ იქნება, როცა ასეთ სახელებს ახლავს მსაზღვრელად თანხმოვანფუძიანი სახელები, ამ შემთხვევაში (ჩვეულებრივ) რიცხვითი სახელები (სამ დღე), ანდა ხმოვანფუძიანი სახელები, ოღონდ ა-სა, ო-სა და უ-ზე დაბოლოებულნი (ცხრა დღე, საუკუნო ღამე). თუ ეს პირობა დაცულია, ჩვენ უყოყმანოდ ვაღიარებთ ასეთ სახელს წრფელობითად, თუნდაც თვით ამ სახელს ბოლოს *ჲ* ჰქონდეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, გარკვეული სახელის ბრუნვის კვალიფიკაციისას თვით ამ სახელის ჩვენებას კი არ ვუწევთ ანგარიშს, არამედ ამ სახელის მსაზღვრელს ვეყრდნობით. ეს გასაგებიცაა, რადგან სახელის ეს ფორმა ჩვენამდე დაზიანებულადაა მოსული, ხოლო მისი მოწმისა კი (თუ შეიძლება ასე ითქვას) სრულიად საღი, შეუბღალავი და მართალია[2].

რაც ითქვა აქ დღე-ზე და ღამე-ზე, იგივე უნდა გავიმეოროთ თოუეზედაც. ერთი შენიშვნაც: ტექსტებში დღე და ღამე ძალიან ხშირად ერთ

[1] გვ. 107—111.

[2] ეს გარემოება და ზმნიზედების წარმოების საერთო ხასიათი ძველ ქართულში არ იყო გათვალისწინებული ს. ჯანაშიას მიერ, როცა ის საბა ასურის ცხოვრების გამოცემისას სარედაქციო შენიშვნებში ამბობდა: ამ ძეგლშიო „დროის ზმნისზედას აწარმოებენ:

წინადადებაში გვხვდება. ამიტომ ადგილების მოყვანისას მათი გათიშვა შეუძლებელი ხდება და ჩვენც ამ ორ სიტყვას ერთად დავიმოწმებთ. მივმართოთ ახლა მაგალითებს:

და იმარხვიდა **ორმეოც დღე** და **ორმეოც ღამე** და მერმე შეემშია, მ. 4, 2 D[1]; რამეთუ ვითარცა-იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა **სამ დღე** და **სამ ღამე**, ეგრეთ იყოს ძე კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა **სამ დღე** და **სამ ღამე**, მ. 12, 40; და დაადგრა მუნ **ორ დღე**, ი. 4, 40; მარხვამან... **ორმეოც დღე** შეიყვანა ადამი სამოთხედ, კიმ. I, 58, 8; მოძღუარ, **ღამე ყოველ** დავშუერით და არარაჲ მოვიღეთ, ლ. 5, 5; ეძიებდა მას **შჯდ დღე**, კიმ. I, 219, 23; რაჲსათჳს სდგათ თქუენ აქა **დღე ყოველ** უქმად, მ. 20, 6. **ღამე ყოველ. დღე ყოველ** აქ ნიშნავს „მთელ ღამეს“, „მთელ დღეს“.

მაგრამ, რასაკვირველია, არა ყოველი „დღე“ და არა ყოველი „ღამე“ იქნება გარემოება. ამ წინადადებაში, მაგალითად: „დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამჲ ესე“ (შუშ. 151, 10) „ღამჲ“ ქვემდებარეს წარმოადგენს. ასევეა **დღჲ** ამ წინადადებაშიც: ბწუხრ არს და მიდრეკილ არს **დღჲ** (ლ. 24, 29), ხოლო სხვა შემთხვევაში (უმთავრესად **დაყო** ზმნასთან) ისინი პირდაპირ დამატებადაც შეიძლება მოგვეელინონ. ასეთ შემთხვევაში მათი მსაზღვრელი სახელი, ბუნებრივია, სახელობითის ფორმით იქნება მოცემული.

8. თ თ უ ე. **თთუე** ამ გაგებით უფრო ნაკლებად გვხვდება ტექსტებში. უმეტესად ის ახლავს **წელს**. ამიტომ მათ ერთად მოვიყვანთ: იფარვიდა თავსა თჳსსა **ხუთ თთუე**, ლ. 1, 24; ოდეს-იგი დაეწმნეს ცანი სამ წელ და **ექუს თთუე**, ლ. 4, 25; ეგრეთ განვლო **სამ თთუე** და დაადგრა მარხვით და დუმილით, აბო 188, 3. მაგრამ **დაყო** ზმნასთან **თთუე** აქაც მასში პირს გააჩენს და პირდაპირი დამატების სახით წარმოგვიდგება: დაყო საპყრობილესა მას შინა... **ათერთმეტი თთუჲ**, კიმ. 122, 4.

ამ მაგალითების მიმოხილვის შემდეგ შეიძლება დაიბადოს კითხვა: გვაქვს თუ არა ამ გარემოების გადმონაშთი ახალ ქართულში? ე. ი. ხომ არ აღვნიშნავთ დღესაც დროის გარემოებას წრფელობითი ბრუნვის საშუალებით (დღეს ფუძით)? ზოგადად შეიძლებოდა გვეთქვა: რამდენადაც დღეს აღარ გაგვაჩნია წრფელობითი ბრუნვა, საკითხი უარყოფითად უნდა გადა-

---

ა. სახელობითი ბრუნვა—ღამჲ 5, 7; 5, 20; 5, 21;

ბ. წრფელობითი ბრ.—ღამე 6, 1[4] (არილი, გვ. 23). სინამდვილეში აქ. რასაკვირველია, ორივე ფორმა (ღამჲ. ღამე) წრფელობითი ბრუნვაა, ოღონდ ე-სა და ჲ-ს შორის განსხვავება არ არსებობს გადამწერისათვის, ის მათ თანაბრად ხმარობს: ჲ-ს — ე-ს მაგივრად და, პირიქით, ე-ს — ჲ-ს მაგივრად.

[1] ხელნაწერშია ორმეოც დღჲ და ორმეოც ღამე. მეტად საინტერესო მაგალითია ჩვენი დებულების სისწორის განსამტკიცებლად. დღე და ღამე აქ ორივე ერთნაირი (დროის) გარემოებაა. ამასდა მიუხედავად ერთში გადამწერმა ჲ დაწერა, მეორეში — ე. ეს იმიტომ, რომ მისთვის ე და ჲ გარჩეული არაა, როგორც სხვადასხვა ასოები. ეს კიდევ იმით აიხსნება, რომ ძეგლის წერის დროს (936 წ.) ამ ასოების შესატყვისი ბგერებიც არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

წყდეს. რასაკვირველია, გაუმართავი ქართულით გამოთქმულს ასეთ წინადადებებში: „ორი დღე თოვდა“, „მთელი ღამე არ მეძინა“ დღე, ღამე სახელობითი ბრუნვაა და არა წრფელობითი, რასაც ამტკიცებს მათი მსაზღვრელები ორი, მთელი. გარდა ამისა, ასეთი გამოთქმები არცაა ლიტერატურული[1]. უმთავრესი აქ მაინც ის არის, რომ თანხმოვანფუძიანი სახელები (წელი, ღამი) წრფელობითი ბრუნვის ფორმით დღეს არ იხმარება.

კაცს შეიძლება მოეჩვენოს წრფელობითის ხმარების მკრთალ გადმონაშთად ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: **ყოველ დღე, ყოველ ღამე**, რომელთაც დღეს ძალიან ხშირად მივმართავთ ხოლმე. **ყოველ დღე** ძველი ქართულის „დღე ყოველ“-ის გაგრძელებაა, ესაა ოღონდ, რომ მსაზღვრელი, რომელიც ძველ ქართულში ჩვეულებრივად (ხოლო ამ გამოთქმაში **ყოველთვის**) 11 ადგილზე იდგა (დღე ყოველ), ახალ ქართულში თავში გადმოვიდა (**ყოველ დღე**). ასეთივე ხასიათისაა აგრეთვე „ყოველ ღამე“ („შენ ყოველ ღამე ხნაურობ“). მაგრამ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ ეს „ყოველ დღე“, „ყოველ ღამე“ დღევანდელ ენაში ერთ სიტყვად, კომპოზიტად არის უკვე ქცეული და ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელი სიტყვის ფუძის სახით აღება ჩვეულებრივია (აღსანიშნავია, რომ ამ ფორმებს დღეს ჩვეულებრივ ერთ სიტყვად წერენ: ყოველდღე, ყოველღამე). ასე რომ, აქ წრფელობითი ბრუნვის ხმარების გადმონაშთიც არ უნდა გვქონდეს.

5. წრფელობითი ვითარების გარეშლებად

უფრო ფართოდ არის გავრცელებული წრფელობითი ბრუნვის ფორმით ვითარების გარემოება. აქ არის როგორც მარტივი სახელები, ისე ნაწარმოებნიც, მაგრამ უმრავლესობას მაინც ეს უკანასკნელები წარმოადგენენ. ყველაზე გავრცელებულია მ—რ → მ—ლ (დისიმილაციით) აფიქსებიანი წარმოება: მ-კუეთ-რ, მ-წრაფ-ლ[2].

მაგრამ კითხვა ისმის: არის კი „მკუეთრ“, „ნწრაფლ“, „მკრცხლ“, „მართლ“ საერთოდ გარკვეული ბრუნვა? ბრუნვის შესახებ მაშინ შეიძლებოდა ლაპარაკი, თუ ამ სიტყვებს სხვა ბრუნვის ფორმებიც ექნებოდათ, ვირითადი ბრუნვებისა მაინც. ნამდვილად კი ზოგ მათგანს (მართლ, მარცხლ, მარჯულ...) ეს ბრუნვები არ გააჩნია. აქედან ამ ფორმებისათვის წრფელობითი ბრუნვის დარქმევაზეც უნდა აგველო ხელი, მაგრამ აქ მეორე გარემოებაცაა აღსანიშნავი: ამათ გვერდით მოგვეპოვება სრულიად აძნაირადვე ნაწარმოები სახელები, რომელთაც სხვა ბრუნვებიც მოეპოვებათ (მკუეთრ, მწრაფლ, მსგავს, მძლავრ...); ამათგან შეიძლება შეგვხვდეს სხვა ბრუნვის ფორმებიც, მაგალითად: მკუეთრი (იპოლ. 1, 123), მსწრაფლი (კიმ. I, 332; 2), მკურცხილნი (მრ. 6, 33 C), მძლავრი (მ. 11, 12 C) და სხვა. არის სხვა

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართ. ენის გრამატიკა, ნაწილი II, 1952, გვ. 35.

[2] ამ ტიპის სახელთა წარმოების შესახებ ნ. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახ., ფუძ. გვ. 75—76.

ბრუნვებიც, ე. ი. ამათ აქვთ ბრუნვათა გარკვეული სისტემა. ამისდა მიხედვით **მკუეთრ** წრფელობითად უნდა ჩაითვალოთ. მაგრამ ამ რკალში გვაქვს მოქცეული აგრეთვე ზემოთ ნაჩვენები **მართლ, მარცხლ** და მსგავსი ფორმები, რომელნიც გარეგნულად სავსებით ისე არიან გაფორმებული, როგორც **მკუეთრ, მწრაფლ** და სხვ. ამ სახელებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს სხვა ბრუნვების განვითარება (თუ: ვერ შემოგვინახეს ასეთი ფორმები), ისინი მალე გამოდევნილ იქნენ ხმარებიდან. მოვიყვანოთ ახლა მაგალითები.

1. **იდუმალ**: მაშინ ჰეროდე **იდუმალ** მოუწოდა ოგუთა მათ, მ. 2, 7 C. „იდუმალ“ აქ ნიშნავს: საიდუმლოდ, ფარულად. DE-ში სწორედ ეს უკანასკნელი სიტყვაა წარმოდგენილი მის ნაცვლად. „ფარულად“ შედარებით ახალი წარმოების სიტყვაა, როცა ვითარების გარემოებისათვის ძირითადად ვითარებითი ბრუნვა იქნა გამოყენებული. სხვა მაგალითები: რომელი-იგი ყო მან **იდუმალ**, მრ. 5, 33 C; ნუუკუე განიყვანონ იგი **იდუმალ**, ძველი ქართ. ქრესტ. 57, 11; მივიდა იოვანჱსა **იდუმალ**, იქვე, 58, 2; **იდუმალ** მთაწმიდას მოვიდა, იქვე, 87, 28; მოუწოდა მარიამს... **იდუმალ**, ი. 11, 28.

2. **მწრაფლ ‖ მსწრაფლ**: მოვიდეს **მწრაფლ** და პოვეს მარიამ და იოსებ, ლ. 2, 16; **მწრაფლ** შეუდგინეს საქმე სიტყუასა, ზარზმ. 178, 26; **მსწრაფლ** ხოლო დაისწაელა დავითი, ხანძთ. 100, 33; **მწრაფლ** განაგდო შიში, სას. პოეზ. 79, 74; ხოლო ჯოჯოჲ **მსწრაფლ** აღდგა ზე. შუშ. 157, 21.

შევნიშნავთ აქვე, რომ ეს სიტყვა უცხო არ არის თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვისაც: „მსწრაფლ მიიჭრა მასთან“, „მსწრაფლ გადაეშვა წყალში“ და მსგავსი გამოთქმები საკმაოდ შეხვდება კაცს ჩვენს ახალ ლიტერატურაში და აგრეთვე ცოცხალ სალაპარაკო ენაში.

3. **მკუეთრ**. შინაარსით ეს სიტყვა ნიშნავს „საჩქაროდ“, „სასწრაფოდ“, „ჩქარა“, „სწრაფად“. მაგალითები: **მკუეთრ** განვიდა მისგან (ეშმაკი), კიმ. 251, 24; ხოლო ფებრონია ჰრქუა მას **მკუეთრ**, ხანძთ. 138, 34. ნ. მარი ამ სიტყვას რუსულად ასე თარგმნის: **резко**, რაც არა გვგონია სწორი იყოს, რადგან მასში ახალი მნიშვნელობაა ჩადებული.

...**მკუეთრ** დასცკვა მატლი იგი წყლულსა მისსა, კიმ. I, 318, 10 (=სწრაფად ჩამოცვივდა მატლები მისი წყლულისაგან); და მე **მკუეთრ** აღვდეგ და შეუდეგ მას თავადსა, პარხ. 789 a; რამეთუ ესრჱთ **მკუეთრ** განითქუა ყოველთა ადგილთა დღესასწაული ესე, მრავ. 267, 11.

თუ **მკუეთრ** ნიშნავს „სწრაფად“, „ჩქარა“ და ვითარების გარემოებაა, **მკუეთრი** უკვე ზედსართავი სახელი იქნება „ჩქარ“-ის, „სწრაფ“-ის მნიშვნელობით. სწორედ ამ შინაარსით გვხვდება იგი ძველ ქართულში (იპოლ. 1, 123)[1].

მკუეთრ ზმნიზედის მნიშვნელობით (და არც სხვა რაიმე აზრით) დღეს არ იხმარება, ხოლო **მკვეთრი, მკვეთრად** (სხვა აზრით) ჩვეულებრივი სიტყვაა ყოველდღიურ სიტყვახმარებაში.

---

[1] TP, III, გვ. XLVII.

4. მკჯრცხლ. ამ სიტყვის ფუძე კუარცხ-ლ, მ-კჯრცხ-ლ მეგრ. კუჩხ-სა, ჭან. კუჩხ-ე-სა და სვან. ჰიშხ-თან ერთად „ფეხ“-ს აღნიშნავს. საბა ამბობს: მკჯრცხლს „ლათინურად ეწოდების პიდესტრას[1]. ესე არს ქვეითი ფრჯით მავალი“. ძველი ქართულის მაგალითები გვიჩვენებს, რომ მკჯრცხლ მართლაც არის ქვეითად, ფეხით (მავალი). სათანადო ადგილები რუსულად ნათარგმნია ასე: пешком, გერმ. zu Fuss და სხვა. მაგალითები:

მისდევედეს მას მკჯრცხლ ქალაქებისაგან, მ. 14, 13; მკჯრცხლ ყოვლისაგან ქალაქებისა შეკრბა მუნ (ერი), მრ. 6, 33; ნუუკუე შორსა გზასა გაიძულება შენ წარსლვასა მკჯრცხლ, Опис. 62, 1; იწყო სრბად მკჯრცხლ მოსლვად, მოქც. (ისტ. ქრესტ. 278, 32).

საინტერესოა ძველი ქართული ტერმინი „მკჯრცხლ-მავალი“ (ზარზმ. 156, 17), სადაც, ეჭვი არაა, მკჯრცხლ სწორედ пешком-ს ნიშნავს და არა пеший-ს; უკანასკნელ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა „მავალი“-ს მიმატება.

5. მძლავრ. ეს სიტყვა მიღებულია ძალ-ისაგან: მ-ძალ-ავ-რ→მძლავრ და აღნიშნავს „ძალით“, „ძალად“. მაგალითები: და ვითარცა მიიწია (ჯოჯიკ), მძლავრ შე-ხოლო-ვიდა, შუშ. 157, 16; ბჳნიერ განზრახვისა მათისა მძლავრ სამცხისა ერითა ძჳ თჳსი დაადგინა კათალიკოზად, ხანძთ. 129, 38.

აღნიშნული სიტყვა გვხვდება სხვა ბრუნვებშიც, მაგრამ იქ ის სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება. იგი სოციალ-პოლიტიკური ტერმინია და ტირან-ს აღნიშნავს, მაგალითად: შევიდეს წინაშე მძლავრისა მის და ჰრქუეს, აბო 196, 2; განაგდეს შიში მძლავრთაჲ მათ, იქვე, 197, 15 (აქ ლაპარაკია თბილისის ამირაზე და არაბ მმართველთა მაღალი თანამდებობის სხვა პირებზე).

6. მგზავრ. „მგზავრ“-ის მნიშვნელობა ძველ ქართულში არის: „გზაში“, „ვზაზე“, „მგზავრობის დროს“, „მგზავრობისას“, дорогою, по пути. მაგალითები:

და მგზავრ ჰკითხვიდა მოწაფეთა თჳსთა და ეტყოდა, მრ. 8, 27; და იგინი უთხრობდეს მათ, რაჲ-იგი მგზავრ იყო, ლ. 24, 35 C; ნეტარი ჰაბო ეგოდენთა ამათ ღღეთა მგზავრ იღოცვიდა, აბო 186, 37; და მგზავრ სლვასა მათსა ჰრქუეს ნეტარსა გრიგოლს, ხანძთ. 116, 18; ურთიერთას მგზავრ იტყოდეს, მრ. 9, 34 C.

ადიშის ოთხთავიდან აქ დამოწმებული მაგალითი სხვა რედაქციებში შეცვლილია უფრო გასაგები აღწერითი ფორმით: გზასა ზედა. ეს უკანასკნელი შესულია გ. მთაწმიდლის რედაქციაშიც. როგორც ჩანს, „მგზავრ“-ის, როგორც ზმნიზედის, ასეთი მნიშვნელობა ძველადაც არ ესმოდათ კარგად, ეს მნიშვნელობა თანდათანობით იჩრდილებოდა და უკვე X საუკუნეში იძულებული გამხდარან იგი სხვა, უფრო გასაგები (აღწერითი) ფორმით შეეცვალათ. ეს გარემოებაც მიუთითებს, რომ მსგავსი წარმოება ზმნიზედებისა ძალიან ძველია.

[1] ა. შანიძის თანახმად, უნდა: პედეტრის (ლათ. pedestris „ქვეითი“). გამოცემების (1894, 1928, 1949) პიდესტრას ემყარება, უთუოდ, ხელნაწერების გადამწერლის შეცთომას.

მგზავრ დღეს, რასაკვირველია, არ გაგვაჩნია, მაგრამ **მგზავრი** და აქედან ნაწარმოები ფორმები (მგზავრობა, სამგზავრო) ძალიან გავრცელებული სიტყვებია ლიტერატურასა და ცოცხალ სალაპარაკო მეტყველებაში.

7. **მჯედრ**: რამეთუ პიტიახში იგი **მჯედრ** შეუდგა უკუანა კუალსა მისსა, შუშ. 153, 1; პიტიახში... **მჯედრ** მიმოდასდევნინ და მეოტ ჰყოფნ მათ ყოველთა, იქვე, 153, 12. **მჯედრ** აქ იქნება: **ამხედრებული, ცხენზე შემჯდარი, ცხენდაცხენ.**

აქედან **მჯედრი** არა გვაქვს, მაგრამ **მჯედარი** კი ჩვეულებრივი და ძალიან გავრცელებული სახელია ძველსა და ახალ ქართულში.

8. **მართლ**: და ჰრქუა მას იესუ: **მართლ** მომიგე, მაგას იქმოდე და ჰსცხონდე, ლ. 10, 28; და განჰკსნდა კრულებაჲ ენისა მისისაჲ და იტყოდა **მართლ**, მრ. 7, 35; რამეთუ ჩუენდა **მართლ** ღირსად საქმეთა ჩუენთაებ მომეგების ჩუენ, ლ. 23, 41 C; და ვითარცა განკადა ეშმაკი იგი, იტყოდა **მართლ** ყრუჲ იგი, მ. 9, 33.

მართლ ამ მაგალითებში ნიშნავს: **სწორად, მართლად.** დღეს ეს **მართლ** ცალკე აღებული აღარ გვაქვს, მაგრამ კომპოზიტებში იგი დაცულია ძველი მნიშვნელობით. ასეთი კომპოზიტებია: **მართლწერა** (=სწორად წერა), მართლმეტყველება, მართლმსაჯულება, მართლმადიდებელი, მართლმორწმუნე და სხვა.

9. **ნანდჯლ**: **ნანდჯლ** აღდგა უფალი და ეჩუენა სიმონს, ლ. 24, 34 C. ეს **ნანდჯლ** დღევანდელი ქართულით იქნება **ნამდვილად.** უფრო ხშირად ეს სიტყვა **ვე** ნაწილაკით იხმარება: **ნანდჯლვე** კაცი ესე მართალ იყო, ლ. 23, 47. DE-ში ამ სიტყვის ნაცვლად გვაქვს მოსალოდნელი **ჭეშმარიტად.** ორი მაგალითი კიდევ: შვილო ეშმაკისაო, **ნანდჯლვე** ღირს ხარ შენ მჴდომისა მის, რომელიცა შეგეწევის შენ, Опис. 115, 3 ქვ.; და ვითარცა მიუთხრეს პიტიახშსა სიტყუაჲ იგი, და მან თქუა: **ნანდჯლვე** ვთქუ ეგე, შუშ. 155, 34.

დღეს ამ ფორმით ეს სიტყვა ლიტერატურაში აღარ იხმარება[1], მის ნაცვლად გვაქვს ახალი წარმოების (ვით. ბრ.) **ნამდვილად.** გურულში კი, განსაკუთრებით მოხუცთა მეტყველებაში, ხშირად გამიგონია: „ასე იყო **ნანდვილ**“. აღსანიშნავია ამასთან, რომ გურულში ეს სიტყვა ძველად გავრცელებული ნარიანი ფორმით იხმარება (ნანდვილ, ნანდვილად) და არა მანით (ნამდვილ, ნამდვილად).

---

[1] ძალზე იშვიათად შეიძლება იგი კაცს აჰკა შეხვდეს, მაგრამ აქ მას ხელოვნურობის ბეჭედი ახია და პოეტურ ლიცენციას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ძველი მდგომარეობის გადმონაშთს. შდრ., მაგალითად, დ. გაჩეჩილაძის ლექსის ეს ადგილი:

თუ კაცია იგი ნამდვილ.
რად არა აკეს მკერდში გული?
რომ ებრძოლა როგორც ნადირს,
არ ჰქონოდა სიბრალული.

(დ. გაჩეჩილაძე, „ბოროტი სული“: „ლახვარი“, 1941, № 4).

10. ზ ე პ ი რ. ზეპირ-ის აგებულება ნათელი და ცხადია. აქ არაფითარი მაწარმოებელი არა გვაქვს. კომპოზიტში შესულია ზე ზმნიზედა და წრფელობითს ბრუნვაში დასმული სახელი—პირ: ზე + პირ. ამნაირად მიღებული სიტყვის გააზრება ცხადია: პირი ზეკით უნდა ჰქონოდა ასე მთქმელს, ე. ი. არ უნდა ჩაეხედა (ძირს, დაბლა) დაწერილში. ზეპირ = ზეპირად. ამის კარგი მაგალითი გვხვდება სინას მთის ქართულ ხელნაწერთა ნ. მ ა რ ი ს მიერ გამოცემული აღწერილობის ერთ-ერთ მინაწერში: ამა გალობათა დედაჲ ვერ ვპოვე კაზმასა შინა და ზეპირ ჩავწერე, და რაჲცა მრუდად იყოს, ნუ დამწყევთ ღმრთისათჳს, გეევდრები, Опис. 274, 7 ქვ.

ზეპირ გვხვდება უფრო მოგვიანო ძეგლებშიც, მაგალითად, „აჱირან დარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“.

პირველის ნიმუშია:

გულსა შინა განაღამცა უმძიმდა და ზეპირ სიხარული უგვანდა („ამირანდარეჯანიანი“, IX კარი: ძვ. ქართ. ენა და ლიტ. 1934, გვ. 85, 27).

მეორის ნიმუშია:

მე თუ ზეპირ მიცინია,
ქვე-ქვე მითქვამს იდუმალ ვა (412, 3).

მაგრამ ჯერ კიდევ X საუკუნეში უცდიათ ამ სიტყვის ახალი ფორმით გადმოცემა. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში იგი იმავე მნიშვნელობით მოქმედებითი ბრუნვის ფორმითაა მოცემული[1], მაგალითად: მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა, ხანძთ. 100, 36; მგზაერ სლვასა ზეპირით წმიდისა მამისა ეფრემის თქუმულთა საკითხაეთა იტყოდა, იქვე, 145, 11.

11. ც ო ც ხ ა ლ: ყოველი ვნებაჲ, რომელი აქუნდა მუცელსა მისსა, განეშორა მას განსლვასა მისსა და წარვიდა ცოცხალ და ადიდებდა ღმერთსა, კიმ. I, 337, 17. ცოცხალი ძველ ქართულში „ჯანმრთელს“ ნიშნავს, ჩვენი წინადადების ცოცხალ იქნება „ჯანმრთელად“.

12. მ ი მ დ ე მ: მიჰმადლა მას კურნებაჲ, და აღდგა[2] ფერჴთა თჳსთა ზედა და ვიდოდა წინაშე ყოველთასა და მიმდემ[3] აკურთხევდა ღმერთსა, კიმ. I, 338, 18. მიმდემ ნიშნავს „სულ“, „მუდამ“, „ყოველდღიურად“, „შეუწყვეტელად“. გვხვდება ამ სიტყვის სხვა ბრუნვის ფორმაც, მაგალითად, მიმდემი, რომელიც წარმოშობით ნათესაობითის ხან-დაკარგული ფორმა უნდა იყოს: განერცნამცა სიხარული ჩუენი... მარადის მიმდემი შუებითა, ლიტ. ქრესტ. 20, 16. მარადის და მიმდემი აქ სინონიმური ლექსიკური ერთეულებია.

13. თ ი თ ო ე უ ლ: და აჰა იწყეს მამათა მოსლვად თითოეულ, კიმ. I, 211, 12. თითოეულ = თითოეულად.

---

[1] ზმნიზედების მოქმედებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენა ჩვეულებრივია ძველ ქართულში. შდრ. სწრაფით მიეიდა და სხვა.

[2] გამოც.: აღსდგა.

[3] გამოც: მიმდებ.

14. მ რ ჩ ო ბ ლ: ვითარცა დაამტკიცა სიყუარული უფლისაჲ **მრჩობლ** კითხვასა მას მისსა და იგივე იწამა, საბა ას. 16, 1. **მრჩობლი** ძველი ქართულით **ორმაგი, ორი-ა, „მრჩობლ“** იქნება **ორმაგად.**

ასეთივე ხასიათისა უნდა იყოს აგრეთვე **მწყობრ** (თუალთ. 9, 7), რაც ნიშნავს „გვერდით“, „ერთმანეთთან“, კეთილ, ვითარ და ახალი ქართულის **ძალიან, ძლიერ, როგორ** (სახელობითი=ძალიანი, ძლიერი, როგორი). უახლესი ფორმა **ძლიერად,** რა თქმა უნდა, მეორეული მოვლენაა, მისი ამ სახით გამოყენება იმ ხანას ეკუთვნის, როცა წრფელობითს ძალა დაკარგული ჰქონდა და ზმნიზედების წარმოებისათვის მას მემკვიდრედ ვითარებითი უჩნდებოდა.

წრფელობითი ბრუნვის ფორმის გამოყენება ვითარების გარემოებად აქა-იქ დიალექტებშიც გვხვდება. საინტერესოა ამ მხრივ მთიულური დიალექტი. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს თავის წერილში მთიულურის თავისებურებათა შესახებ მოჰყავს ასეთი ფორმები: **ჩქარ** ავიარე აღმართი... **ჩქარ** გამიაროს; იმას **ლამაზ** გაეთიბ... **ლამაზ** ჩააცო ტანისამოსი... **ლამაზ** დაარიგა სამ-ტევან ჭაბუკი მელიამ[1].

არც ის იქნება ინტერესმოკლებული აღვნიშნოთ, რომ ამ მოვლენის გამოძახილი იშვიათად თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც ამოყოფს ხოლმე თავს, თითქოს როგორც მხატვრული ხერხი. მაგალითად: „ერთხელ სულ **სხვაგვარ** მოირთო და მოიკაზმა სოფლის საყვარელი კრიჭო“ (შ. დ ა დ ი ა ნ ი, „თითის ტარი“: „ნიანგი“, 1941, № 11, გვ. 4); „დავცხოთ დავარტყათ! ერთად! **თანაბარ!**“ (ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, „ჩვენს დებს და დედებს“: „კომუნისტი“, № 168, 1941, 18/VII);

ვით ერთი კაცი, ჩვენ მასთანა ვართ,
ყველა ძმობილი...
ყველა დობილი...
ჩვენ მისთვის გვიცემს გული **თანაბარ,**
მის სიმტკიცეზე ვართ დანდობილი (გ. ლ ე ო ნ ი ძ ე,

„ჰეი, არწივნო“: „ლიტ. საქ.“, № 37, 1941, 12/IX). ეს **სხვაგვარ** და **თანაბარ,** რასაკვირველია, ნახმარი და გამოყენებულია ასეთი მნიშვნელობით: **სხვაგვარად, თანაბრად.**

„და“ კავშირით შეერთებული ფორმები ხომ დღესაც ძალზე ხშირია, მაგალითად: მხარდამხარ, ხელდახელ, გულდაგულ, პირდაპირ, კვალდაკვალ და სხვა[2].

6. წრფელობითი რთულ ზმნებში

სახელადი ნაწილი ისეთი რთული ზმნებისა, როგორიცაა ღაღად-ყო, უვარ-ყო და სხვა, წარმოშობით წრფელობითი ბრუნვის ფორმაა. ისტორი-

---

[1] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მთიულურის თავისებურებანი: ენიმკის მოამბე, ტ. II, გვ. 50, 60.

[2] წრფელობითი ბრუნვის გამოყენება ვითარების გარემოებად აღნიშნული აქვს ფ. ცორელსაც (Grammatik, გვ. 98).

უ̈ლად ლალად-ყო ისეთივე შესიტყვება იყო, როგორც ძველი ქართულის „იოვანე სასწაულ არაჲ ყო (ი. 10, 41 C), სადაც სასწაულ პირდაპირი დამატებაა. შდრ. ამას DE-ს წაკითხვა: იოვანე სასწაული არარაჲ ქმნა. მაგრამ დროთა ვითარებაში სახელისა და ზმნის მიერ გამოხატული შინაარსი გაერთიანდა, მათ ორივეს ერთი ცნების აღნიშვნა დაეკისრა. ამნაირი ფორმები ძველ ქართულში უკვე რთულ ზმნებად არის ქცეული და მათში წრფელობითის, როგორც ბრუნვის, შესახებ საუბარი არ შეიძლება. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმ ისტორიულ გზებზე, რომლებიც გამოიარეს ასეთმა რთულმა ზმნებმა; ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ იქცა ერთ დროს დამოუკიდებელი სახელი—პირდაპირი დამატება—რთული ზმნის სახელად ნაწილად; აქ ლაპარაკია იმაზე, თუ რა მონაწილეობას ღებულობდა ამ პროცესში წრფელობითი ბრუნვა.

აქ სიტყვას აღარ განვაგრძობთ ამის შესახებ და ჩამოვთვლით მხოლოდ ასეთ ზმნებს. ყველაზე მეტი რაოდენობით ასეთი შემთხვევები გვაქვს „ყო“ ზმნასთან“, შემდეგ სცა-სთან და სხვ. ასეთი რთული ზმნებია: ღალად-ყო, უვარ-ყო, შეურაცხ-ყო (=არაფრად ჩააგდო), ჴმა-ყო, გულისხმა-ყო, უდებ-ყო, ჴელ-ყო, იავარ-ყო, ზრახვა-ყო, ჴელ-იწიფა, ძალ-უც (ძალ-ედვა), ჯერ-არს, ჯერ-იჩინა, ინაჴ-იდგა, წილ-იგდეს, პატივ-სცა, ნათელ-სცა, თაყუანის-სცა და ბევრი სხვა.

7. წრფელობითი ბრუნვის ფორმა სხვა ბრუნვათა ფუნქციით

ძველ ქართულში არის შემთხვევები, როცა წრფელობითი ბრუნვის ფორმა გამოყენებული აქვთ სხვა ბრუნვებს. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ წოდებითი, რომელიც თავისი საჭიროებისათვის თავდაპირველად წრფელობითს მიმართავდა. ამიტომაა, რომ რიგ სახელებში წრფელობითი ბრუნვის ფორმა წოდებითის ფუნქციით არის გამოყენებული. ასეთი სახელებია: მოძღუარ, ხუცეს, სახიერ, მაცხოვარ, ქველის-მოქმედ, მოწყალე და სხვა, რომელთა შესახებ უკვე იყო ლაპარაკი (გვ. 73 — 78) და აქ აღარ გავიმეორებთ.

მეორე მხრივ, წრფელობითის ფორმა ძველ ქართულში გამოყენებული იყო სახელობითის, მოთხრობითისა და იმავე წრფელობითისათვის საკუთარ (ადამიანთა) სახელებში. ამიტომ სუფთა ფუძე (წრფელობითი ბრუნვის ფორმა), ვთქვათ, დავით, გარდა თავისი ძირითადი ფუნქციისა, გამოყენებული ჰქონდა სახელობითს (დავით მოვიდა; შდრ. კაც-ი მოვიდა), მოთხრობითს (დავით თქუა; შდრ. კაც-მან თქუა) და წოდებითს (დავით, მოვედ აქა; შდრ. კაც-ო, მოვედ აქა). მაგრამ ამ საკითხზე სხვაგან გვაქვს ლაპარაკი[1] და აქ აღარ გავიმეორებთ.

[1] ი. იმნაიშვილი, წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში: პუშკინის: სახ. თბილ. სახელმ. სამასწ. ინსტ. შრომები, ტ. III, 1943, გვ. 269—289 (გადმობეჭდილია წიგნში „სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 59—75).

8. წრფელობითი ბრუნვის ფორმა რიცხვითს სახელებში

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ წრფელობითი ბრუნვა ზოგჯერ ქვემდებარეს წარმოადგენს (კაც არავინ მაქუს, არა მივის მე ქმარ). თუ ასეთ ქვემდებარეს მსაზღვრელად რიცხვითი სახელი ახლავს, ისიც წრფელობითში იქნება. ასეთია ზემოთვე მოყვანილი მაგალითი ორ კაც გამოჩნდეს, ხუთ ქმარ გესხნეს და სხვა.

მაგრამ აქ გვინდა მივუთითოთ იმ გარემოებაზე, რომ რიცხვითი სახელები ამის გარეშეც, თავისთავად აღებული, წრფელობითი ბრუნვის ფორმით გვევლინება. ეს შეეხება როგორც იმ შემთხვევებს, როცა რიცხვითი სახელი წარმოადგენს პასუხს დასმულ კითხვაზე (და ჰკითხა მათ: რაოდენი გაქუნს თქუენ პური? ხოლო მათ ჰრქუეს: შჳდ, მრ. 8, 5 C), ისე იმ შემთხვევებს, როცა რიცხვითი სახელი პირდაპირ დასახელებას წარმოადგენს, ან ის უბრალო დათვლაშია ნახმარი (ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 472). ძველი ქართული დათვლა ჩვეულებრივ ასეთი სახისაა: ერთ, ორ, სამ, ოთხ, ხუთ, ექუს, შჳდ, რვა, ცხრა, ათ, ათერთმეტ, ათორმეტ და ა. შ. მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას იმ გარემოებასაც, რომ ჩქარი თვლისას დღესაც ფუძის სახით (=ძველი წრფ. ბრ.) ჩამოვთვლით ხოლმე მათ, განსაკუთრებით 11 — 19-მდე, მაგალითად, თერთმეტ, თორმეტ, ცამეტ, თოთხმეტ, თხუთმეტ, თექვსმეტ, ჩვიდმეტ, თვრამეტ, ცხრამეტ. ამ მაგალითებში ი დაკარგული კი არ არის, არამედ ის არ ყოფილა თავიდანვე და ძველი ფორმით მოაღწია ჩვენამდე.

წრფელობითის ფორმა რიცხვითს სახელებში ძველი თავისებურებაა ამ სახელებისა, ისინი თავიდანვე ამ ფორმით იყო წარმოდგენილი, ამას თვით რიცხვითი სახელის ბუნება მოითხოვდა.

რთულ რიცხვითს სახელებში ხომ ჩვენს დრომდისაც შემოგვრჩა ძველი ვითარება: ოც და ათი, ას ორი (ძველად: ას და ორი), ხუთ ას სამ ოც და სამი, რვა ას ორ მ ოც და ექვსი, ათ ას ექვს ას ოთხ მ ოც და ოთხი და სხვა. ძველად, როგორც ვნახეთ, უკანასკნელი შემადგენელი სახელიც წრფელობითში იდგა: ას და ორ, ხუთ ას სამმეოც და სხვა.

ასე რომ, წრფელობითი ბრუნვა რიცხვითი სახელებისათვის ძველი და-მახასიათებელი თვისებაა.

9. წრფელობითი განსაზღვრებად

წრფელობითი ბრუნვა ქვემდებარედ, პირდაპირ დამატებად და დროის გარემოებად ჩვეულებრივ არსებითს სახელს გულისხმობს. მაგრამ თუ ასეთ სახელებს რაიმე განსაზღვრება უნდა ახლდეს, ისიც, რასაკვირველია, ამ ბრუნვის ფორმით იქნება წარმოდგენილი. ეს გარემოება თავისთავად იგულისხმება, რამდენადაც საზღვრული და (ატრიბუტული) მსაზღვრელი ძველ ქართულში ბრუნვასა და რიცხვში ყოველთვის შეთანხმებულია: რა ფორმაც საზღვრულს აქვს, იგივე ფორმა ექნება მსაზღვრელსაც. ამიტომ ბუნებრივია, რომ თუ საზღვრული (ქვემდ. და სხვა) წრფელობითის ფორმითაა მოცემული, წრფე-

ლობითისავე ფორმა ექნება მსაზღვრელსაც (ზედსართავსა და სხვ.). ამის ნიმუშები ზემოთ იყო მოყვანილი, მაგრამ იქ ყურადღება ექცეოდა მბოლოდ საზღვრულს (ქვემდებარეს, დამატებას). აქ გავიმეორებთ ზოგ მათგანს. ზოგსაც ახალს დავუმატებთ და გავხაზავთ სწორედ მსაზღვრელის ფორმას. დავსძენთ ბოლოს, რომ წრფელობითის განსაზღვრებად გამოყენებაზე მსჯელობა აქ გამოწვეულია სურვილით, რომ ეს ძველი ბრუნვა რაც შეიძლება ფართოდ იქნეს ნაჩვენები სხვადასხვა გარემოებაში. მაგალითები:

ფიცხელ კაც ხარ შენ, მ. 25, 24 C; რომელ არიან ხაზარნი, კაც **ველურ**, აბო 186, 12; ლოდ **საკიდურ** ეწოდა, იქვე, 182, 12; რამეთუ ხართ თქუენ წიგნ **სამოციქულო** ქრისტჱსა, 2 კორ. 3, 3; მცნებაჲ მისი ცხორება **საუკუნე** არს, ი. 12, 50; ვიყვნეთ ჩუენ **სრულ** კაც, კიმ. I, 58, 37; ვიქმნეთ მტუერ და ძუალებ **განჴმელ**, კიმ. I, 300, 22; და იქმნა მეყსეულად დაყუდება **დიდ**, მ. 8, 26; შინაგან იყვნენ მგელ **მტაცებელ**, მ. 7, 15; აწ ვყოთ ჩუენ სასწაულ **კეთილ**, ხანძთ. 116, 27; და სცენ სასწაულებ **დიდ** და ნიშებ, მ. 24, 24 C; ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ **სავაჭრო**, ი. 2, 16; სახლსა ჩემსა სახლ **ხალოცველ** ეწოდოს, მ. 21, 13; **სხუა** ნავ არა იყო მუნ, ი. 6, 22 C; **სხუა** ფერ იქმნა წინაშე მათსა, მრ. 9, 2 C; რაჲსათჳს სდგათ თქუენ აქა დღე **ყოველ** უქმად, მ. 20, 6; ღამე **ყოველ** დავშუერით და არარაჲ მოვიღეთ, ლ. 5, 5.

თავი მეოთხე

სახელობითი ბრუნვის ფუნქციები

სახელობითი ქართულ ბრუნვათა სისტემაში (წოდებითის შემდეგ) ყველაზე ახალი ბრუნვაა. ის არის წრფელობითის უახლოესი მემკვიდრე. ამიტომ ბუნებრივია, თუ წრფელობითის ბევრი ფუნქცია სწორედ სახელობითს გადმოეცა. ამ ფუნქციათა შორის ყველაზე მთავარია სახელობითის მიერ ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების გამოხატვა.

1. სახელობითი ქვემდებარედ

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ქვემდებარეს ძველ ქართულში ზოგჯერ წრფელობითი ბრუნვაც გამოხატავდა: არა მივის მე **ქმარ**, **კაც** არავინ მაქუს, მოვალს **დედაკაც** ერთ... მაგრამ ეს იყო უძველესი დროების გადმონაშთები, რომლებიც აქა-იქ იყო შემორჩენილი. თვით ასეთ პირობებში სხვა შემთხვევაში სახელობითი გვხვდებოდა: არა მივის **მამაჲ**, აქუნდა **შვილი**, მოვალს **კაცი** (ი. 1, 30) და სხვა. ყველა ასეთ შემთხვევაში, როცა წრფელობითი ქვემდებარის როლს ასრულებდა, მის მემკვიდრედ სახელობითი გამოდის. ამიტომ ქვემდებარის გამოხატვა სახელობითი ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა.

სახელობითია წარმოდგენილი ქვემდებარედ ყველა გარდაუვალ ზმნასთან. აქ იგულისხმება:

ა) ერთპირიანი (გარდაუვალი) ზმნები (**კაცი** მოვიდა მისა),
ბ) ორპირიანი გარდაუვალი ზმნები (**კაცი** მოუჴდა მას),
გ) ე. წ. ინვერსიული ზმნები (**კაცი** არა მაქუს, ი. 5, 7).

ბოლოს, სახელობითი გამოხატავს ქვემდებარეს გარდამავალ ზმნებთანაც, როცა ეს უკანასკნელნი I სერიის რომელიმე მწკრივში დგანან:

მამაჲ ზრდის მათ,
კაცი ნუ განაშორებს,
ერი დაუფენდა სამოსელსა.

სახელობითის ფორმა III სერიის მწკრივებში (უპოვიეს მას კაცი) ცალკე იქნება ქვეით განხილული (ნ. სახელობითი პირდაპირ დამატებად, გვ. 666—673).

განვიხილოთ თითოეული ამათგანი ცალ-ცალკე.

ა) ქვემდებარე ერთპირიან (გარდაუვალ) ზმნებთან

მხ. რიცხვი

შენგან გამოვიდეს **მთავარი**, მ. 2, 6; აჰა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს, მ. 3, 10; არა ხოლო თუ პურითა ცხონდების **კაცი**, მ. 4, 4; განითქუა **ჴამბავი** მისი ყოველსა მას ასურეთსა, მ. 4, 24; უკუეთუ **მარილი** იგი განქარდეს, რაჲთა-მე დაიმარილოს, მ. 5, 13; **მამაჲ** თქუენი ზეცათაჲ სრულ არს, მ. 5, 48; ეგრე ბრწყინევდინ **ნათელი** თქუენი წინაშე კაცთა, მ. 5, 16; გარდამოვლდა **წჴმაჲ**, მ. 7, 27; განზრქნა **გული** ერისაჲ ამის, მ. 13, 15 C; როკვიდა **ასული** ჰეროდიაჲსი შორის, მ. 14, 6 C; და განჴმა **ლელჭ** იგი მეყსეულად, მ. 21, 19.

მრ. რიცხვი

აქ უნდა გავარჩიოთ ორგვარი მრავლობითი: **ნარიანი** და **ებიანი**; მათი სინტაქსური ფუნქციები სულ სხვადასხვაა.

ნარიანი მრავლობითი

როდესაც სახელი **ნარიან** მრავლობითში დგას, ის ზმნას (შემასმენელს) **ყოველთვის** ითანხმებს რიცხვში. დღევანდელი ქართულის რყევა სრულებით უცხოა ძველი ქართულისათვის: მისთვის სულ ერთია, რას გამოხატავს ქვემდებარე: ადამიანს, ცხოველს, ფრინველს, უბრალო საგნებს, აბსტრაქტულ სახელებს თუ სხვას. ყველა ამ შემთხვევაში ზმნა ერთნაირად ეწყობა მას მრავლობითს რიცხვში. ამ წესმა გამონაკლისი არ იცის. ამ მხრივ ძველი ქართულის რიცხვში შეთანხმების წესი გაცილებით მარტივია, ვიდრე ახალი ქართულისა. მაგალითები:

მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს, მ. 2, 1; გარდამოჴდეს **წჴმანი** და აღდგეს **მდინარენი** და ქროდეს **ქარნი**, მ. 7, 25; ხოლო მწყემსნი იგი ივლტოდეს ქალაქად, მ. 8, 33; და განვიდეს **მონანი** იგი გზათა ზედა, მ. 22, 10; იყვნეს ჩუენ შორის შჯნი **ძმანი**, მ. 22, 25; იყვნენ **სიყმილნი** და **სრვანი** და **ძრვანი** ადგილდ-ადგილდ, მ. 24, 7; ხოლო რჩეულთა მათთჳს შემოკლდენ **დღენი** იგი, მ. 24, 22; **ვარსკულავნი** გარდამოცჳვენ ზეცით და **ძალნი** ცათანი შეიძრნენ, მ. 24, 29.

ებიანი მრავლობითი

ებიანი მრავლობითი, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, **ჩვეულებრივ** ზმნას ვერ ითანხმებს რიცხვში. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, თუ რას გამოხატავს **ებ**-ით წარმოდგენილი საგანი: ადამიანს, ცხოველს, ფრინველსა თუ სხვა, უსულო საგნებს. ძველ ქართულში ჩვეულებრივ მათთან ზმნა მხოლობითში დგას. მაგალითები:

სადაცა იყოს მძორი, მუნცა შეკრბეს **ორბები**, მ. 24, 28 („შეკრბეს" მეორე კავშირებითია, ამიტომ—მხოლობითი; მრავლობითში იქნებოდა „შეკ-

რბენ"); რაჲთა დაიწეროს წიგნები სამეუფოები, პარხ. 1102 b; ვიდრე ჴიისწრაფის მამები ესე, იქვე, 1272; და მუნ ოდენ ბჭეები არა განგებულ იყო, ნეემია 6, 1; და არღა ყოველი ტაძრები აღშენებულ არს, იქვე, 7. 4; და შეკრბა მთავრები იგი და ერის-თავები სოფლისაჲ და ვარზაპანები, დანიელ 3, 94; სადა იყოს მაშინ ტაძრები იგი და ეზოები შუენიერად შემკობილი! სადა იყოს მაშინ ჯამლები იგი შუენიერად განგლესილები, მამ. სწავ. 59; ზუარაკები და უსბები ჩემი დაკლულ არს, მ. 22, 4 და სხვა.

ეს არის ნორმა ძველი ქართულისათვის. მაგრამ, როგორც აღნიშნული გვქონდა, თვით ძველსავე ქართულში იწყება პროცესი ებიანი მრავლობითის მიერ ზმნის შეთანხმებისა. ამაზე ლაპარაკი გვქონდა ზემოთ უფრო ვრცლად[1], აქ მხოლოდ ორიოდე ნიმუშის მოყვანით დავკმაყოფილდებით:

შეკრბეს მარზაპანები და ერის-თავები, დანიელ 3, 3; იყვნეს მუნ... მამები და დედები, იერ. 43, 6 და სხვა.

ბ) ქვემდებარე ორპირიან გარდაუვალ ზმნებთან მხ. რიცხვი

აჰა ანგელოზი უფლისაჲ გამოეცხადა ჩუენებით იოსეფს ეგჳპტეს, მ. 2, 19 C; წარმოუდგა მას გამომცდელი იგი, მ. 4, 3; ნათელი გამოუბრწყინდა მათ, მ. 4, 16 C; მოუჴდა მას ახიხ-თავი ერთი, მ. 8, 5; მისდევდა მას ერი მრავალი, მ. 8, 1; შეუვრდა მოყუასი იგი მისი, მ. 18, 29; განურისხნა მას უფალი იგი თჳსი, მ. 18, 34 და სხვა.

მრ. რიცხვი

ზემოთ ნაჩვენები წესი ნარიანი და ებიანი მრავლობითის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმებისა აქაც (და საერთოდ ყველა სახის ზმნასთან) ისეთივე ხასიათისაა და ამიტომ აქ (და ქვემოთაც) მხოლოდ ნარიან მრავლობითს შევეხებით, როგორც ძველი ქართულისათვის უფრო დამახასიათებელს.

და მეყსეულად განეხუნეს მას ცანი, მ. 3, 16 C; მოუჴდეს მას მოწაფენი თჳსნი, მ. 5, 1; შეეთმხჳნეს მას ორნი კაცნი, მ. 8, 28; ხოლო ეშმაკნი იგი ევედრებოდეს მას და იტყოდეს, მ. 8, 31 C; მიჰსდევდეს მას მოწაფენიცა მისნი, ლ. 22, 39; არასადა მიეახლნიან ჴურიანი სამარიტელთა, ი. 4, 9 C.

გ) ქვემდებარე ე. წ. ინვერსიულ ზმნებთან

ქვემდებარის საკითხი ე. წ. ინვერსიულ ზმნებთან ახალ. ქართულში სადავოდ არის გამხდარი. ზოგს ამგვარ ზმნებთან სახელობითში დასმული სახელი მიაჩნია ქვემდებარედ, ხოლო მიცემითში წარმოდგენილ სახელს

[1] ნ. ზემოთ, გვ. 305—308,

ირიბ დამატებად თვლის: დედას უყვარს **შვილი**, მამას აქვს **წიგნი**, კაცს უნდა **წახვლა**. ზოგი პირიქით ფიქრობს: მიცემითში დასმული სახელი არის სწორედ ქვემდებარეო: **დედას** უყვარს შვილი, **მამას** აქვს წიგნი, კაცს უნდა წასვლა. რაც შეეხება სახელობითში დასმულ სახელს, მას ინვერსიული ზმნის დამატებას, ან ინვერსიულ დამატებას უწოდებენ, რომ განასხვაონ იგი პირდაპირ, ირიბ და უბრალო დამატებათაგან, რადგან არც ერთ ამათგანთან მისი გათანაბრება არ ხერხდება. ჩვენ აქ არ შევალთ ამ დავაში, ვიტყვით მხოლოდ, რომ თუ ეს საკითხი სადავოდ არის ქცეული ახალ ქართულში, ძველში იგი უფრო ნათელია და ქვემდებარის სასწორი ამკარად სახელობითისაკენ არის გადახრილი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ძველ ქართულს სახელობითი მიაჩნია ქვემდებარედ, ზმნა მას აქცევს მთავარ ყურადღებას, მის **პირსა** და **რიცხვს** აღნიშნავს, მიცემითისა მხოლოდ **პირია** ზმნაში გამოხატული, რიცხვი კი არასოდეს. შდრ. მამასა **უყუარს** ძე (ი. 3, 35), მაგრამ: მამასა ჩემსა **უყუართ** თქუენ (ი. 16, 27), მამასა **უყუარან** ძენი თჳსნი; **გუძულან** ეშმაკნი (კიმ. I, 148, 32). აქ სამივეგან სახელობითში დასმული სახელის მრავლობითობა აისახა ზმნაში. ეს არ არის შერჩეული მაგალითები, ყველა სხვა ინვერსიული ზმნაც ასეთია, ისინი სახელობითში დასმული სახელის მრავლობითობას ასახავენ. მოვიყვანოთ დამახასიათებელი მაგალითები კიდევ:

გაქუნდედ საღმრთონი **წიგნნი**, მამ. სწავ. 37; არა **ჰქუანან ქალაქნი**, ეტ. II, 51, 10; არა **ჰქუანან მახჳლნი**, იქვე, 57, 7; **ჰქონან მოხე** და **წინაწარმეტყუელნი**, ლ. 16, 29 (**ჰქუანან** → **ჰქონან**, უა კომპლექსი იძლევა ო-ს); უფალო, **მრწმანან მე სიტყუანი** შენნი, მამ. სწავ. (H) 99 v; ღმერთსა არა ხოლო თუ **სიტყუანი** ოდენ **ჰნებავენ**, არამედ საქმენი მეოდრებელთა მისთანი, მამ. სწავ. (H) 4 v. ერთგან ამ ზმნას სუბიექტის მრავლობითობის ნიშნად **ან** აქვს: **მცნებანი** მისნი **ჰნებავან** ფრიად, ფსალმ. 111, 1[1]; რად **გშურან საკჳრველებანი**, PO 77, 10.

მიცემითში დასმული სახელი მრავლობითში რომ ყოფილიყო, მისი მრავლობითობა ზმნაში არ აისახებოდა: **რომელთა უყუარს** უბანთა ზედა მოკითხვაჲ, ლ. 20, 46; **რომელთა ჰნებავს** სამკაულითა სლვაჲ, მრ. 12, 38; **უნდა მათ**, რაჲთამცა შეიყვანეს იგი ნავსა მას, ი. 6, 21 და სხვა.

აქედან ცხადია, რომ **აქუს, უყუარს, ჰნებავს, ჰშურს, ჰსურის** და ამ ტიპის სხვა (ე. წ. ინვერსიულ) ზმნებთან ძველ ქართულში ქვემდებარედ უნდა გვესმოდეს ის სახელი, რომელიც სახელობითს ბრუნვაში დგას (უყუარს მამასა ძე, მათ... ხილვაჲ შენი ჰნებავს, ლ. 8, 20), ხოლო მიცემითში

[1] აღვნიშნავ როგორც საინტერესო ფაქტს, რომ ძველ ქართულში ამ ზმნის უწყვეტლის ფორმაც გვხვდება: რომელიმე კუეყანაჲ უფროჲს უყუარდა და **ჰნებავიდა** ლოთს, მამ. სწავ. 271; რაჟამს **ჰნებავიდა** მოციქულთაჲ სოფელსა ზედა ქადაგებად წარელინებაჲ, ლიტ. ურთ. 148. 14. ჩვეულებრივ უწყვეტლის ამ უჩვეულო ფორმის ნაცვლად ძველ ქართულში გვეელინება წყვეტილის (ენიანი ვნებითის) ენება.

მდგარი სახელი (მამასა, მათ) ირიბ დამატებად უნდა იქნეს მიჩნეული. მაშასადამე, ე. წ. ინვერსიული ზმნები ძველ ქართულში ამ მხრივ ცალკე არა დგას, ისინი სხვა ორპირიან გარდაუვალ ზმნებთან უნდა იქნენ გაერთიანებული და ქვემდებარე-დამატების საკითხი მათში სხვა გარდაუვალ ზმნებთან წარმოდგენილი სახელების მსგავსად უნდა გადაწყდეს, ე. ი. სახელობითში (იშვიათად წრფელობითში) დასმული სახელი ქვემდებარედ იქნეს მიჩნეული, ხოლო მიცემითში მდგარი—ირიბ დამატებად.

დ) ქვემდებარე გარდამავალ ზმნებთან (I სერ.)

სახელობითი ბრუნვა ქვემდებარედ, როგორც ვთქვით, გვაქვს კიდევ გარდამავალ ზმნებთან (ორპირიანთან და სამპირიანთან), რომლებიც I სერიის რომელიმე მწკრივით იქნება წარმოდგენილი. მაგალითები:

მხ. რიცხვი

რაჲსათჳს მეზუერთა და ცოდვილთა თანა ჭამს და სუამს **მოძღუარი** თქუენი, მ. 9, 11; უკუეთუ **ეშმაკი** ეშმაკთა განასხამს, მ. 12, 26; აწ რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, **კაცი** ნუ განაშორებს, მ. 19, 6; ხოლო უმრავლესი იგი **ერი** დაუფენდა სამოსელსა მათსა გზასა ზედა, მ. 21, 8; უკუეთუ **თუალი** შენი მარჯუენჲ გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, მ. 5, 29.

მრ. რიცხვი

სხუანი მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა, მ. 21, 8; **რომელნი** ჰყოფდენ ნაყოფსა მისსა, მ. 21, 43; **ძაღლნიცა** ტაბლასა ქუეშე ჭამედ ბიჭისაგან შვილთაჲსა, მრ. 7, 28; **ანგელოზნი** მათნი მარადის ცათა შინა ჰხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, მ. 18, 10.

2. სახელობითი პირდაპირ დამატებად

სახელობითი ბრუნვის ფუნქციაა აგრეთვე აღნიშნოს პირდაპირი დამატება. ეს გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან II და III სერიაში: პოვა მამამან **შვილი** და უპოვიეს მამასა **შვილი**. მაგრამ ეს ორი ოდენობა არც ერთნაირი წარმოშობისა და არც საესებით ერთნაირი ღირებულებისაა. პირველი მათგანი **შვილი** (პოვა მამამან **შვილი**) აშკარად დამატებაა, ქვემდებარე მასთან არის **მამამან**. ეს არაა სადავო. დაბრკოლებები ახლავს მეორე წინადადების **შვილ**-ის (უპოვიეს მამასა **შვილი**) პირდაპირ დამატებად მიჩნევას. უპოვიეს (ეპოვა, ეპოვოს) ინვერსიული ფორმაა, წარმოშობით იგი ვნებითს გვარს უკავშირდება: „ჰპოვებს, პოვა და **ეპოვა**“ (II თურმ.) ერთ ხაზზე ძევს, ხოლო „ეპოვების, **ეპოვა** (წყვ.) და ჰპოვებოდა“ — სხვა ხაზზე, პირველი გარდამავალი ზმნის ხაზია, მეორე — გარდაუვალისა. ხაზგასმული ფორმა კი ორივესი ერთი და იგივეა: **ეპოვა**. ესაა

ოღონდ, რომ პირველ მათგანში მიცემითის შინაარსია წინ წამოწეული: ეპოვა **მას** იგი (**იგი** ჰპოვებს მას — **მას** ეპოვა იგი), მეორეში — სახელობითისა: ეპოვა **იგი** მას (იგი ეპოვების მას, **იგი** ეპოვა მას). ეს შინაარსეული მხარეა, რომ წინადადებაში: „უპოვიეს მამასა **შვილი**“ გვავალებს ქვემდებარედ **მამასა** ვიყარაუდოთ, პირდაპირ დამატებად — **შვილი**. ასეთივეა შემდეგი წყება მაგალითებისა: ზრდის მამაჲ **შვილსა**, განზარდა მამამან **შვილი**, განუზრდიეს მამასა **შვილი**; ჰფარავს ღრუბელი **მზესა**, დაფარა ღრუბელმან **მზე**, დაუფარავს ღრუბელსა **მზე**; ჰყოფს კაცი **საქმესა**, ყო კაცმან **საქმე**, უყოფიეს კაცსა **საქმე** და სხვა. ამ ხაზზე ერთნაირი შინაარსით არის გაერთიანებული ერთმანეთის ბადალი ფორმები: მამაჲ, მამამან, მამასა; ღრუბელი, ღრუბელმან, ღრუბელსა; კაცი, კაცმან, კაცსა. ყველა ესენი ქვემდებარეა. და თუ ყველა ესენი ქვემდებარეა და ურთი ბნიშვნელობის სინტაქსური ოდენობაა, ცხადია, ასეთივე ერთნაირი სინტაქსური ოდენობა იქნება მაგალითების მეორე წყება: შვილსა, შვილი, შვილი; მზესა, მზე, მზე, საქმესა, საქმე, საქმე. ყველა ესენი პირდაპირი დამატება იქნება.

ამ ორი წყების სახელობითის წარმოშობა კი სხვადასხვაგვარია. ფორმალური ნიშნებიც მათ ასევე სხვადასხვაგვარი აქვთ. ასე, მაგალითად, „პოვა მამამან შვილი“-ს სახელობითი (შვილი) ნარიან მრავლობითში მუდამ **ობიექტის** მრავლობითობის ნიშნით (**ენ → ნ**) აღინიშნება: პოვ-**ნ**-ა მამამან **შვილნი**, განზარდ-**ნ**-ა მამამან **შვილნი**, დაფარ-**ნ**-ა ღრუბელმან **მზენი** (ვარსკულავნი), ყვ-**ნ**-ა კაცმან **საქმენი**; ხოლო „უპოვიეს მამასა შვილი“-ს სახელობითი (იგივე **შვილი**) იმავე ნარიან მრავლობითში მუდამ არის გამოხატული **სუბიექტის** მრავლობითობის (**ან**) ნიშნით: უპოვი-**ან** მამასა **შვილნი**, განუზრდი-**ან** მამასა **შვილნი**, დაუფარ-**ან** ღრუბელსა **მზენი** (ვარსკულავნი), უყოფი-**ან** კაცსა **საქმენი**. ეს **შვილნი**, **მზენი** (ვარსკულავნი), **საქმენი** იმიტომ არის ზმნაში წარმოდგენილი სუბიექტის მრავლობითობის ნიშნით, რომ ისინი წარმოშობით სუბიექტია. დროთა ვითარებაში ამ სიტყვების **სინტაქსური ფუნქცია** შეიცვალა, ისინი სუბიექტები იყვნენ და ობიექტებად იქცნენ, ქვემდებარეებიდან პირდაპირ დამატებებად გადაიქცნენ, მაგრამ **მათი ფორმა ძველებური** დარჩა: ზმნაში მათი მრავლობითობა სუბიექტის მრავლობითობის ნიშნით აღინიშნება. აი ეს ყოფილი სუბიექტი, მაგრამ შემდეგ პირდაპირ ობიექტად ქცეული **შვილი**, **მზე**, **საქმე** ძველსავე ქართულში უნდა ჩაითვალოს პირდაპირ დამატებად და არა ქვემდებარედ. ქვემდებარის ფუნქციას ასეთ შემთხვევებში უნაკლოდ ასრულებენ მიცემითში დასმული სახელები, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ერთადერთ გაგრძელებას ზმნის I და II სერიის მწკრივებთან წარმოდგენილი ნამდვილი და უდავო ქვემდებარეებისას: ჰპოვებს **მამაჲ** შვილსა, პოვა **მამამან** შვილი, უპოვიეს **მამასა** შვილი. ამ კონსტრუქციის ფორმა უფრო გამძლე აღმოჩნდა, მისი შინაარსი, მისი ფუნქცია უფრო ჩქარა იცვალა. ჩვენ აქ ამ შეცვლილი შინაარსის მიხედვით ვმსჯელობთ და ამის საფუძველზე ვთვლით გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებში სახელობითის ფორმას პირდაპირ დამატებად.

დაეუმატებთ ბოლოს, რომ ამ ფორმების შინაარსის შეცვლას ახალ ქართულში შედეგად მოჰყვა ფორმის ცვლილებაც: III სერიის ზწკრიევების ფორმებთან წარმოდგენილი მიცემითი ბრუნვა ზმნას უკვე ითანხმებს მრავლობითში: **უპოვიათ** მამებს შვილი, **გაუზრდიათ** მამებს შვილი, **დაუფარავთ** ღრუბლებს **მზე, გაუკეთებიათ** კაცებს **საქმე**. სამაგიეროდ, სათანადოდ შესუსტდა სახელობითში წარმოდგენილი სახელის სინტაქსური ძალა: ასეთი სახელი დღეს უკვე ვეღარ ითანხმებს ზმნას მრავლობითში: მამას **უპოვია** შვილები, მამას **გაუზრდია** შვილები, ღრუბელს **დაუფარავს** ვარსკვლავები, კაცს **გაუკეთებია** საქმეები. აქ აშკარად ჩანს მიცემითი ბრუნვის როლის გაზრდა, ხოლო სახელობითის — შესუსტება[1].

მოვიყვანოთ ახლა მაგალითები.

ა) პირდაპირი დამატება II სერიის ფორმებთან

მხ. რიცხვი

ვიხილეთ **ვარსკულავი** მისი, მ. 2, 2; რომელმან დამწყსოს **ერი** ჩემი ისრაელი, მ. 2, 6; გამოიკითხა მათგან **ჟამი** იგი, მ. 2, 7; შეწირეს მისა **ძღუენი: ოქროჲ, გუნდრუკი** და მური, მ. 2, 11; მოიღეს **ბრძანებაჲ** ჩუენებით ანგელოზისაგან, მ. 2, 12; განწმიდოს **კალთაჲ** თჳსი და შეკრიბოს **იფქლი** მისი საუნჯესა, ხოლო **ბზუ** იგი დაწუას ცეცხლითა მით უშრეტითა, მ. 3, 12; რომელმან განუტევოს **ცოლი** თჳსი, მიეცინ მას **განსატევებელი**, მ. 5, 31; უპყრა **ჴელი** მისი და აღადგინა **ქალი** იგი, მ. 9, 25; **ლერწამი** შემუსრვილი არა განტეხოს და **პატრუკი** მბნდჳნავრე არა დაშრიტოს, ვიდრემდის გამოიღოს ძლევად **საშჯელი**, მ. 12, 20.

მრ. რიცხვი

აქაც უნდა გავარჩიოთ ორგვარი მრავლობითი: ა) **ნარით** ნაწარმოები, და ბ) **ებ-ით** ნაწარმოები. მათი სინტაქსური ძალა სულ სხვადასხვაგვარია. ამიტომ განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

ა) ნარიანი მრავლობითი

როცა პირდაპირი ობიექტი ნარიანი მრავლობითით არის წარმოდგენილი, ზმნაში მისი მრავლობითობა ყოველთვის აისახება **ენ** (→ **ნ**) აფიქსით[2]:

და დაეყენენ მუნ მცირედნი **დღენი**, ამონ. 203, 17; შევკრიბენით **გუამნი** იგი მათნი ერთსა ადგილსა, ამონ. 216, 30; შენ მამისა შენისა **საქმენი**

---

[1] ნ. ამის შესახებ ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 1 — 2, 1941, გვ. 197 — 202; № 6, გვ. 561 — 567.

[2] ა. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში: თბილ. უნივ. მოამბე, ტ. IX, 1929.

განჰრყუნენ და სხუად გარდააქციენ **კეთილნი** მისნი; მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჳსა, ხოლო შენ **დევნი** შემოიხუენ, შუშ. 148, 39: დალეწნა **კერპნი** იგი და დაფქჳნა და დააწულილნა და დაარღჳნა **ზღუდენი** იგი ქარმან სასტიკმან, მოქც. (ისტ. ქრესტ. 273, 10); განაბნინა **ამპარტავანნი**, ...გარდამოსთხინა **ძლიერნი** საყდართაგან, აღამაღლნა **მდაბალნი**, **მშიერნი** აღაესნა კეთილითა და **მდიდარნი** განაცლინნა ცუდნი, ლ. 1, 51 — 53; **მკუდარნი** აღადგინნა და **მკელობელნი** აცლინნა და **კეთროვანნი** განწჳდნა და მრავალნი **კურნებანი** ყუნა ქრისტემან მათ შორის, ევსტ. 168, 37.

ბ) ებიანი მრავლობითი

როცა პირდაპირი ობიექტის მრავლობითს **ებ** აწარმოებს, ის ზმნას **ჩვეულებრივ** ვერ ითანხმებს მრავლობითს რიცხვში, მაგალითად:

მოჰგუარეს მას **ეშმაკეულები** მრავალი, მ. 8, 16; დაასრულა იესუ **იგავები** ესე, მ. 13, 53 C; შეკრიან **ტჯრთები** მძიმე და ძნიად სატჯრთველი, მ. 23. 4 C; აღიღეს **რტოები**, ი. 12, 13 და სხვა.

მაგრამ იშვიათად არის ხოლმე შემთხვევები, როცა ასეთი მრავლობითიც ითანხმებს ზმნას: **გარდავიხილენით გუამები** იგი მოწაბეთაჲ, ამონ. 216, 12; **განასხნა სულები** იგი უკეთური სიტყჳთა, მ. 8, 16 D[1].

ბ) პირდაპირი დამატება III სერიის ფორმებთან

მხ. რიცხვი

აწ მე აღმითქუამს უფლისადა... **მარტოდ-მყოფებაჲ**, ხანძთ. 105, 3; **ხიტყუაჲ** შენი დაუმარხავს, ი. 17, 6; არა თუ **მამაჲ** ვისმე უხილაეს, ი. 6, 46.

მონასა შენსა თაეს-მიდებიეს **ურმაჲ** ეგე, დაბ. 44, 32; ხოლო მე **ვეცხლი** თქუენი გამოცდილი მომიღებიეს, დაბ. 43, 23; აჰა ესერა **პური** ჩემი დამიმზადებიეს, მ. 22, 4 C; რაჲსათჳს **ქუეყანაჲცა** დაუპყრიეს უქმად, ლ. 13, 7; რაჲ **ბორკტი** უქმნიეს ამას, ლ. 23, 22; და აწ დაუტევებიეს **შჯული** ესე ჩუენი, აბო 190, 18.

რომელი მე მომეხუეპა, მიხუაგო ოთხ წილად, ლ. 19, 8 ყ; წარმოდგა, რომელსა ერთი **ჭანჭარი** მიეღო, მ. 25, 24 C; მოეძღუანა წმიდასა მას ეპისკოპოსსა **ხაზრდელი**, შუშ. 155, 8; მონაზონად ეკურთხა იგი წმიდასა მას და მას განეზარდა იგი სიყრმით მისჳთგან და ესწავა მისდა პატიოსანი **მონაზონებაჲ**, ამონ. 214, 8; რომელსა მოებლარდნა **საბლარდნელი** სპეტაკი, ისტ. ქრესტ. 295, 12.

და ყოველსა რომელსა დაეტეოს **ხახლი** ანუ ძმხნი ანუ დანი..., მ. 19, 29 C; ხოლო რომელსა ეტჯრთოს **ეპისტოლე** ესე ჩემი, არსმცა წმიდა, ი. ჯვაღწ. 126, 8.

[1] ნ. სხვა მაგალითები ზემოთ, გვ. 305 — 308.

მრ. რიცხვი

მცირედ **ვენაჳნი** ჰირით და ურვით დაუნერგვან[1], ხანძთ. (115, 32).

მარიამს დახებ**ა**რხნეს **სიტყუანი** ესე, ლ. 2, 19 Y; რომელ არასადა მეხილნეს ეგევითარნი **საძაგელნი** ყოველსა ეგჳპტესა, დაბ. 41, 19; წინაწარმეტყუელთა **წიგნნი** აღმოხეკითხნეს, ხანმ. მრავ. (ისტ. ქრესტ. 46, 4); **ჯორცნი** წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა, შუშ. 152, 17; პირველადვე წარეგზავნეს, მას **დედაჲ** და **ცოლი** და **შვილნი**, აბო 186, 29; მრავალნი **კურნებანი** ეყვნეს ღმერთსა ჴელითა მისითა, ამონ. 206, 36; და რაოდენნი **ბოროტნი** აღესრულნეს კლვითა და ოჴრებითა, წარტყ. 8, 22; თჳსთა მათ მონასტერთა **მამასახლისნი** დაედგინნეს, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 265, 14).

ზუარაკები ჩემი და **უსხები** ჩემი დამიკლავს, მ. 22, 4 C.

* * *

ჩვენ განვიხილეთ ზემოთ სახელობითი ბრუნვა ქვემდებარედ და პირდაპირ დამატებად. ახლა ვიკითხოთ: რა მეტყველების ნაწილებით შეიძლება გადმოცემულ იქნეს ერთიცა და მეორეც? თქმა არ უნდა, ყველაზე ხშირად აქ **არსებითი სახელი** იქნება წარმოდგენილი. ამის მაგალითები ზემოთ იყო ნაჩვენები. ასევე ხშირად გვხვდება აგრეთვე ნაცვალსახელებიც, განსაკუთრებით პირისა, ჩვენებითი, განსაზღვრებითი და სხვ. (მე, შენ, ჩუენ, თქუენ, ესე, ეგე, იგი, ესენი, ეგენი, იგინი, თავადი, რომელი...). ეს იმდენად ნათელია, რომ მისი დამოწმება არ არის საჭირო.

გვხვდება აქ ზედსართავი და რიცხვითი სახელები. პირველი უფრო მაშინ, როცა რაიმე შემთხვევით არ არის წარმოდგენილი არსებითი სახელი, რომლის მსაზღვრელადაც ნაგულისხმევია ეს ზედსართავი, ანდა, რაც უფრო ხშირია, როცა ზედსართავს არსებითის მნიშვნელობა აქვს მოპოვებული, როცა ის გაარსებითებულია. მაგალითად: ნუ სცნობნ **მარცხენჲ** შენი, რასა იქმოდის **მარჯუენჲ** შენი, მ. 6, 3. აქ **მარცხენჲ** ნიშნავს „მარცხენა ხელს“ (რუსულ თარგმანში მართლაც ასეა: левая рука), მარჯუენჲ — „მარჯვენა ხელს“. ზედსართავი „კეთილი“ არსებითის შინაარსით არის ნახმარი აქ (და სხვაგანაც): რაოდენ უფროჲს მამამან თქუენმან ზეცათამან მოსცეს **კეთილი**, რომელნი სთხოვდენ მას, მ. 7, 11. „კეთილი“ აქ „სიკეთეს“ ნიშნავს (რუსულ თარგმანშია благо). ასევე გაარსებითებულია შემდეგი ხაზგასმული ზედსართავები: **ბრმანი** აღიხილვენ, **მკელობელნი** ვლენან, **კეთროვანნი** განწმდებიან (მ. 11, 5). ამიტომაა, რომ ისინი ასე მოხერხებულად და ბუნებრივად იხმარებიან მრავლობითში.

იშვიათად რიცხვითი სახელებიც შეიძლება იქნეს გამოყენებული ქვემდებარედ და პირდაპირ დამატებად. ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა ის არსებითი სახელი, რომელსაც რიცხვითი სახელი განსაზღვრავს, ჩავარდნილია,

[1] გამოცემებში: დაუნერგვიან.

გამოტოვებულია რაიმე მოსაზრებით, უფრო სტილისტიკური მიზნებით. მაგალითად: ესე **ათორმეტნი** წარავლინნა იესუ, მ. 10, 5. აქ ცხადად იგულისხმება **მოწაფენი**: ათორმეტნი მოწაფენი წარავლინნა. და სწორედ ამ **სიცხადის** გამოა, რომ ის გამოტოვებულია, ხოლო მის მაგივრობას ეწევა მისი მსაზღვრელი **ათორმეტნი**.

ქვემდებარედ და პირდაპირ დამატებად ხშირად გვხვდება აგრეთვე **საწყისი**, არაიშვიათად — მიმღეობაც. მაგალითები:

საწყისი ქვემდებარედ

ხოლო იესუ ქრისტეს **შობაჲ** ესრეთ იყო, მ. 1, 18; უყუარნ შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედა **დგომაჲ** და **ლოცვაჲ**, მ. 6, 5; მოვედინ **ხუფევაჲ** შენი, მ. 6, 10; და იყო **დაცემაჲ** იგი მისი დიდ ფრიად, მ. 7, 27; მუნ იყოს **ტირილი** და **ღრჭენაჲ** კბილთაჲ, მ. 8, 12; ყოველი **ცოდვაჲ** და **გმობაჲ** მიეტევოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა **გმობაჲ** არა მიეტევოს კაცთა, მ. 12, 31.

საწყისი პირდაპირ დამატებად

მოიღეს **ბრძანებაჲ** ჩუენებით ანგელოზისაგან, მ. 2, 12; ვინ გიჩუენა თქუენ **სივლტოლაჲ** მომავალისა მისგან რისხვისა, მ. 3, 7; უბრძანა **წიაღსლვაჲ** მიერ კერძო, მ. 8, 18; რომელმან მოსცა ესევითარი **ჴელმწიფებაჲ** კაცთა, მ. 9, 8; მოსე გულ-ფიცხელობისა თქუენისათჳს გიბრძანა **განტევებაჲ** ცოლთა თქუენთაჲ, მ. 19, 8.

მიმღეობა ქვემდებარედ

მაშინ აღესრულა **თქუმული** იგი იერემია წინაწარმეტყუელისაჲ, მ. 2, 17; და წარმოუდგა მას **გამომცდელი** იგი, მ. 4, 3; არა თუ პირით **შემავალი** შეაგინებს კაცსა, არამედ პირით **გამომავალი** შეაგინებს კაცსა, მ. 15, 11; კურთხეულ არს **მომავალი** სახელითა უფლისაჲთა, მ. 21, 9.

მიმღეობა პირდაპირ დამატებად

რომელმან განუტევოს ცოლი თჳსი, მიეცინ მას **განსატევებელი**, მ. 5, 31; რომელმან **განტევებული** შეირთოს, მანცა იმრუშა, მ. 5, 32; გამოასხა ყოველი იგი **განმსყიდელი**, მ. 21, 12; გამოასხა ყოველი **მოფარდული** და **მომსყიდელები**, იქვე C; **სასხდომელი** იგი მსყიდელთაჲ მათ ტრედისათაჲ დაუმჴუა, იქვე DE.

გ) პირდაპირი დამატება ვითარებითში დასმულ საწყისთან

ცალკე უნდა იქნეს განხილული ის შემთხვევები, როცა სახელობითში დასმული სახელი წარმოადგენს პირდაპირ დამატებას, რომელიც ვითარებითს ბრუნვაში დასმულ საწყისს ახლავს.

„პირდაპირი ობიექტი ჩვეულებრივ შეიძლება პირიან ზმნას ჰქონდეს ქართულში, ბრუნვიანს კი — არა. მაგრამ უძველესი ძეგლების ენაში გვხვდება შემთხვევები მისი ხმარებისა ბრუნვიან ზმნასთანაც, სახელდობრ, როცა საწყისი ზმნისა ვითარებით ბრუნვაშია დაყენებული, მას, ევროპ. ენების ინფინიტივის მსგავსად, შეიძლება პირდ. ობიექტი ჰქონდეს, მაგ., „ბრძანა მიცემად იგი მას“ (რუსულად Он велел дать её (голову) ей)“ [1]. ეს უძველესი თვისებაა ქართული გარდამავალი ზმნისა და იმ მდგომარეობაზე მიუთითებს, როცა ზმნის პირიანი და უპირო ფორმები ჯერ კიდევ არ იყო ერთმანეთს დიდად დაშორებული, ერთიცა და მეორეც თანაბრად მოითხოვდა პირდაპირი ობიექტისაგან იმ ბრუნვებს, რომლებიც მას შეიძლება ჰქონდეს საერთოდ, ე. ი. სახელობითსა და მიცემითს. ამიტომაა, რომ უძველეს ძეგლებში ასეთი ობიექტი სწორედ სახელობითსა და მიცემითში გვხვდება. შდრ. პირიანი ფორმა: აშენებს კაცი **სახლსა** და უპირო ფორმა: იწყო კაცმან შენებად **სახლსა**, ან: აღაშენა კაცმან **სახლი** და: იწყო კაცმან შენებად **სახლი**.

მაშასადამე, ვითარებითს ბრუნვაში დასმულ საწყისთან ძველ ქართულში გვაქვს პირდაპირი ობიექტი. ამ ობიექტის ბრუნვებია სახელობითი და მიცემითი, სწორედ ის ბრუნვები, რომლებიც მას ზმნის პირიან ფორმებთან აქვს.

მაგრამ ძველსავე ქართულში იწყება ზმნის ამ პირიან და უპირო ფორმათა ნელი, მაგრამ თანდათანობითი დაცილება; უპირო ფორმები თანდათან სახელებისაკენ იწევენ, მათს თვისებას იძენენ, მათ უახლოვდებიან. ბრუნვის არჩევის საკითხშიც ისინი საბოლოოდ არსებითი სახელების გზაზე დგებიან, ე. ი. ნათესაობითში [2] გადადიან: იწყო შენებად **სახლისა**. ახალ ქართულში, როგორც ცნობილია, საწყისთან წარმოდგენილი სახელი მხოლოდ ნათესაობითს ბრუნვაში შეიძლება იდგეს: აშენება **სახლისა**, დაწერა **წიგნისა**, ჭამა **პურისა**, დაბარვა **მიწისა** და სხვა. ამ მდგომარეობის სათავე თვით ძველ ქართულში გვაქვს მოცემული, თვით ძველ ქართულში გვხვდება ზოგჯერ ვითარებითს ბრუნვაში დასმულ საწყისთან დამატების ბრუნვად ნათესაობითი. ამიტომ ასეთი დამატება აღარაა პირდაპირი, ის უკვე უბრალო დამატებაა.

მიცემითს ბრუნვაში დასმულ პირდაპირს დამატებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი მოვიყვანოთ მაგალითები სახელობითს ბრუნვაში დასმული პირდაპირი დამატების შესახებ:

იზრახა ფარულად განტევებად იგი, მ. 1, 19; რამეთუ ეგუღების ჰეროდეს მოძიებად ყრმისა მაგის და წარწყმედად **ეგე**, მ. 2, 13 C. ამ წინადადებაში ჩვენთვის საინტერესო კონსტრუქცია ორია: ერთი ობიექტს ძველებურად სახელობითში წარმოგვიდგენს: წარწყმედად **ეგე**, მეორე — ახლებურად ნათესაობითში: მოძიებად **ყრმისა მაგის**. მესამე, აგრეთვე ძველი

[1] ა. შანიძე, ძვ. ქართ. ენა, გვ. 311.

[2] წარმოშობით ეს ნათესაობით-ვითარებითის ფორმაა.

გზა, მოცემულია DE-ში, ეს არის მიცემითი: წარწყმედად **ყრმასა მაგას**. ამგვარად, აქ. ამ ერთ წინადადებაში სამიეე შესაძლებელი სახე (გზა) გვაქვს მოცემული: ა) წარწყმედად ეგე, ბ) წარწყმედად ყრმასა მაგას, გ) მოძიებად ყრმისა მაგის. ეს უკანასკნელი სახეობა, ე. ი. ვითარებითს ბრუნვაში დასმულ საწყისთან ობიექტისათვის **ნათესაობითი** ბრუნვის გამოყენება დამახასიათებელია ადიშის ოთხთავისათვის. აქ მოყვანილი ასეთი მაგალითი არ არის ერთადერთი. ეს არის **საერთოდ ძირითადი ხაზი** ამ ძეგლისათვის. ამნაირი **ახალი ფორმებისაკენ მისწრაფება** ამ ძეგლს არა მარტო აქ, სხვა მხრივაც ეტყობა, მაგრამ აქ ახლა ამაზე ვერ შევჩერდებით[1]. სხვა მაგალითები:

ჯერ-არს ჩემდა **აღსრულებად** ყოველი **სიმართლე**, მ. 3, 15 (ყოვლისა სიმართლისა C); იხილო **აღმოღებად წუელი** თუალისაგან ძმისა შენისა, მ. 7, 5; რომელსა უნდეს საშჯელად შენდა და **მიღებად კუართი** შენი, მ. 5, 40 (კუართისა შენისა C); მოვიდა... მსახურებად და **მიცემად სული** თჳსი, მ. 20, 28 (თავისა თჳსისა C); ძალ-მიც **დარღუევად ტაძარი** ესე. მ. 26, 61 (ტაძრისა მის C); ასწავებდით მათ **დამარხვად ყოველი**, მ. 28, 20 (ყოვლისა C); არცაღა **ჯაჭუებითა** ვის **ჴელ-ეწიფა შებორკილებად იგი**, მრ. 5, 3 (შეკრვად მისა C); არა **ჯერ-არს** შენდა **აღებად ცხედარი** შენი, ი. 5, 10 (აღკიდებად ცხედრისა მაგის C); ვერ **ჴელ-ეწიფების დაჴსნად წერილი**, ი. 10, 35 (ვერ ეგების დაჴსნად წერილისა მის C).

ამნაირი მაგალითები ბევრია ძველ ქართულში. მათ გვერდით მოყვანილი ნათესაობითის ფორმებიც საკმაოდ ხშირია. ამიტომ აქ მხოლოდ მოყვანილი ნიმუშებით დავკმაყოფილდებით. შევნიშნავთ ბოლოს, რომ ძველებური კონსტრუქცია არა ყველა და ყოველნაირ ზმნასთან გვხვდება, არამედ მხოლოდ ზოგიერთთან, ყველაზე ხშირია მათ შორის **მიცემად, ღებად** (უკანასკნელი გვხვდება **აღმო, მი, აღ** ზმნისწინებით) და სხვა.

3. სახელობითი ბრუნვის ფორმა წოდებითის ფუნქციით

წოდებითი, როგორც ვნახეთ, ყველაზე გვიან ჩამოყალიბებული ბრუნვაა. შანამდე, სანამ ის საკუთარ ფორმას გაიჩენდა, ესესხებოდა წრფელობითს (მოძღუარ, ხუცეს...) და სახელობითს, როცა ამ უკანასკნელმა იწყო წრფელობითის შევიწროება და ხმარებიდან გამოდევნა. ამ შემთხვევაში სახელობითის ფორმა იქნა გამოყენებული წოდებითის მიერ საკუთარი ფუნქციის შესასრულებლად. ამის მაგალითები ნაშთის სახით გვაქვს შემორჩენილი ძველ ქართულში. აი რამდენიმე მათგანი:

და შენ, ბეთლემ, **ჭუეყანაჲ ეგე იუდაჲსი**, არასადა უმრწემს ხარ მთავართა შორის იუდაჲსთა, მ. 2. 6; მიუგო იესუ და ჰრქუა მას: **ჳ ნათესაჲ**

[1] ი. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად: თბილ. უნივ. შრომები, ტ.. 30—31B, 1947, გვ. 184—192.

ურწმუნოჲ და **გულარძნილი**, ვიდრემდის თქუენ თანა ვიყო, ვიდრემდის თაეს-ვიდებდე თქუენსა, მ. 17, 17. აღსანიშნავია, რომ C-ში ხაზგასმულ სახელებს უკვე გასჩენია წოდებითის ნიშანი **ო**: **ჲ ნათესავო ურწმუნოო** და **გულარძნილო**, იქვე C; რამეთუ ეტყოდა მას იესუ: **სული ეგე არაწმიდაჲ**, განვედ კაცისა მაგისგან, მრ. 5, 8; C-ში აქაც წოდებითის ფორმა გვაქვს: განჴედ, **სულო არაწმიდაო**, მაგის კაცისაგან[1]. ამნაირი მაგალითები სხვაც მოიპოვება ძველ ქართულში, მაგრამ მათი მოყვანა აღარაა საჭირო. ნათელია, რომ ძველად, სანამ წოდებითი ბრუნვა ჩამოყალიბდებოდა, მისი შინაარსის გამოხატვა ერთხანს წრფელობითს ჰქონდა დაკისრებული, შემდეგ — სახელობითს. სახელობითის გამოყენებაზე შეჩერდა ქართულის მონათესავე ენები მეგრულ-ჭანური და სვანური. წოდებითი სახელობითს იყენებს დღესაც რუსულში[2], გერმანულში და ბევრ სხვა ენაში. ამიტომ სრულებით არ არის მოულოდნელი, რომ ჩვენი სახელობითიც ერთ დროს წოდებითს გამოეყენებინოს თავისი ფუნქციის შესასრულებლად.

4. სახელობითი „ვითარცა"-სთან ზოგიერთ გამოთქმაში

არის ხოლმე შემთხვევები, რომ წინადადებაში სახელს, რომელიც საერთო წესით წრფელობითს ბრუნვაში უნდა დაისვას, კავშირი **ვითარცა** უძღვის წინ, ეს სახელი მუდამ სახელობითს ბრუნვაში გვევლინება, თითქოს იგი ამ **ვითარცა**-სთან ერთად მთელ ახალ (დამოუკიდებელ) წინადადებას წარმოადგენდეს. ამ წესმა გამონაკლისი არ იცის. ამიტომ აქ მცირე საილუსტრაციო მასალის მოყვანით დავკმაყოფილდებით.

უდიდესი იგი თქუენ შორის იყავნ მრწემ და წინაამძღუარი იგი — **ვითარცა მსახური**, ლ. 22, 26. აქ რომ **ვითარცა** არ გვქონოდა, წინადადება ასე გაიმართებოდა: ...წინამძღუარი იგი (იყავნ) **მსახურ** (შდრ. უდიდესი იგი იყავნ მრწემ). სხვა მაგალითები:

და იქმნა იგი, **ვითარცა მკუდარი**, მრ. 9, 26. აქაც **ვითარცა** რომ არ გვქონოდა, **მკუდარი** წრფელობითში გადადგებოდა: და იქმნა იგი მკუდარ (შდრ. და იქმნა იგი **მონაზონ**, კიმ. I, 336, 18); იყავნ იგი შენდა, **ვითარცა ხარკის-მომჴელი** და **მეზუერე**, მ. 18, 17. „ვითარცას" გარეშე ეს წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა: იყავნ იგი შენდა **ხარკის-მომჴელ** და **მეზუერე** (შდრ. იყავნ იგი თქუენდა **მსახურ**, მ. 20, 26 C; მ. 23, 11 C; მრ. 10, 43 C; იყავნ იგი თქუენდა **მონა**, მ. 20, 27; იყავნ ყოველთა მონა, მრ. 10, 44); რამეთუ იყვნეს იგინი, ვითარცა ზეცისა **ანგელოზნი**, ხანძთ. 120, 24. თუ ეს

---

[1] ნ. ამის შესახებ ზემოთ (გვ. 78—82); აგრეთვე ჩვენი: წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში: პუშკინის სახ. თბილ. სახ. სამასწ. ინსტ. შრომები, ტ. III, 1943, გვ. 277—278, შნშ. 2.

[2] ძველ რუსულს (სლავურს) ჰქონდა წოდებითისათვის საკუთარი ფორმა, მაგრამ შემდეგ დაკარგა იგი. ნაშთის სახით დღესაც იხმარება ძველებური წოდებითის ფორმები. შდრ. სახელობითის ფორმა **бог**, მაგრამ წოდებითი: **боже**.

„ვითარცა“ არ გვექნებოდა, წინადადება ასე შეიძლებოდა გამართულიყო: რამეთუ იყვნეს იგინი **ანგელოზ ზეცის**, ან: რამეთუ იყვნეს იგინი **ზეცის ანგელოზ**; და იქმნის იგი, **ვითარცა ჰორლის-პირები**, ზირაქ 43, 21. **ვითარცა**-ს გარეშე იქნებოდა: და იქმნის იგი **ჰორლის-პირებ** (შდრ. და იქმნის იგი **ხე დიდ**, მ. 13, 32).

მეტად საყურადღებოა ამ მხრივ ერთი ადგილი, სადაც ორიევნაირი ფორმები გვაქვს მოცემული (**ვითარცა**-თი და უმისოდ), ოღონდ ორ სხვადასხვა სახელთან კი: ვიქმენ, **ვითარცა რვალი**, 1 კორ. 13, 1, მაგრამ: ხოლო ოდეს ვიქმენ **მამაკაც**, იქვე, 13, 12. პირველში ზემოთ ნაჩვენები წესის მიხედვით სახელობითია წარმოდგენილი (რვალი), მეორეში, იმავე წესისამებრ, წრფელობითი (მამაკაც).

5. სახელობითი ვითარების გარემოებად

სახელობითის ზოგიერთ ფორმას ახალ ქართულში ხანდახან შეუძლია ვითარების გარემოების ფუნქცია იკისროს. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: ის **დადუმებული იჯდა**, **თავჩაქინდრული** მიდიოდა, **გამალებული** ჰამდნენ, **ხმალამოწვდილი** ეკვეთა მტერს და სხვა. როგორც ვხედავთ, აქ გვაქვს ვნებითი გვარის მიმღეობების სხვადასხვა სახეები. ყველა ასეთ შემთხვევაში დაესმის კითხვა **როგორ** — სწორედ ვითარების გარემოების კითხვა: როგორ იჯდა? — დადუმებული იჯდა; როგორ მიდიოდა? — თავჩაქინდრული მიდიოდა; როგორ ეკვეთა მტერს? — ხმალამოწვდილი ეკვეთა მტერს; როგორ ჰამდნენ? — გამალებული ჰამდნენ. ასეთი კითხვები სრულიად ბუნებრივია ამ გამოთქმებისათვის და არავითარ უხერხულობას არ იწვევს. შინაარსითაც „გამალებული ჰამდნენ“ ისეთივე ხასიათისაა, როგორც „გამალებით ჰამდნენ“; „დადუმებული იჯდა“ ისეთივე მნიშვნელობის გამოთქმაა, როგორც „მდუმარედ იჯდა“, ანდა „წყნარად იჯდა“. ამიტომ **გამალებული** და **დადუმებული** აქ ისე უნდა შეფასდეს, როგორც მათი ბადალი და მათ როლში გამოსული „გამალებით“ და „მდუმარედ“, ან „წყნარად“. ესენი კი სხვა არაფერია, თუ არა ვითარების გარემოება. რომ **გამალებული**, **დადუმებული** და მისთანა ფორმები წინადადებაში ვითარების გარემოების როლს ასრულებენ, ეს კარგად ჩანს ისეთი მაგალითებიდან, რომლებშიც ამნაირი ფორმების გვერდით იმავე ფუნქციის შესასრულებლად არის წარმოდგენილი უდავო მაგალითები ვითარების გარემოებისა, მაგალითად: გამალებული და **ხარბად** ჰამდნენ, გულამოსკვნილი და **გაბმით** ტიროდა, ხმალამოწვდილი და **უშიშად** ეკვეთა მტერს და სხვა. ორიოდე ნიმუში ლიტერატურიდან:

ელგუჯა კი **წყნარად**, **ჩუმად** და **პირმოკუმული** იპურებოდა (ა. ყაზბეგი, თხზულებანი, 1948, ტ. I, გვ. 20, 8 ქვ.). აქ „და“ კავშირითაა შეერთებული „ჩუმად“ („წყნარად“) და „პირმოკუმული“. ცხადია, ავტორს ისინი წინადადების ერთნაირ წევრებად ესმის და ერთნაირად ეპყრობა მათ, ორივეს ვითარების გარემოებად თვლის, ვინაიდან ორივე ერთნაირად არის

დაკავშირებული **ზმნასთან** და არა წინადადების რომელიმე სხვა წევრთან. კიდევ:

ქალი მისდევდა გამარჯვებულებს **პირმოკუმული** და **გაფითრებულის სახით** (იქვე, 37, 11). აქ „პირმოკუმული" პირველ ადგილას არის მოქცეული და ისეთსავე წევრად მიაჩნია ავტორს, როგორც „გაფითრებულის სახით", ე. ი. ვითარების გარემოებად, რადგანაც აქაც ეს სიტყვები შემასმენელთანაა დაკავშირებული (პირმოკუმული მისდევდა) და უპასუხებს ერთადერთ კითხვაზე: **როგორ?** კიდევ:

ის მიდიოდა **ჩქარა** და **გაქანებული** (იქვე, 72, 24); შეუჩვევარ თვალს ის, უეცველია, ქვისგან გამოკვეთილი ეგონებოდა, ისე **გაუნძრევლად** და **გადმოხრილი** იდგა (იქვე, ტ. II, 19, 5); რამდენადაც მურთუზა **მადიანად** და **გამგელებული** სჭამდა, იმდენად იმის მეგობარი ხელს არაფერს ჰკიდებდა (იქვე, 96, 11). აქაც სავსებით ერთნაირ წევრებადაა გაგებული „მადიანად" და „გამგელებული", ორივე მხოლოდ ზმნასთანაა დაკავშირებული, ორივე უპასუხებს კითხვაზე — **როგორ**, ამიტომ ორივე ვითარების გარემოებაა. აქ შეუძლებელია, რასაკვირველია, „მადიანად" ვითარების გარემოებად დავტოვოთ და „გამგელებული" სხვა წევრად ჩავთვალოთ (განსაზღვრებად, პრედიკატიულ განსაზღვრებად თუ სხვად). ეს მაგალითი მოგვაგონებს ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ნიმუშს: „სტუმრები **გამალებული** და **ხარბად** ჭამდნენ". ორივეგან ერთნაირი ვითარებაა: „გამალებული" (შ. არაგვ.) და „გამგელებული" (ა. ყაზბ.) წინადადების სავსებით ერთნაირი წევრებია, ორივე ვითარების გარემოებაა.

სხვა მაგალითები კიდევ:

თუმცა წყნარის **ოხვრით**, მაგრამ **გახარებული** წავიდოდა ქალბატონის ბრძანების აღსასრულებლად (იქვე, 317, 1); ის მიდიოდა **წყნარად** და **დაფიქრებული** (იქვე, 355, 12); ის მიდიოდა **გაჩქარებული**, **მგლურად** და პირზედ ხვირთქლი გადასდიოდა (იქვე, 392, 16). აქ, მართალია, ჩვენთვის საინტერესო სიტყვები „და" კავშირით არაა შეერთებული, მაგრამ, ეგეი არაა, ისინი ერთნაირი წევრებია: ორივე შემასმენელთანაა დაკავშირებული (ის მიდიოდა გაჩქარებული, ის მიდიოდა მგლურად), ორივეს დაესმის ერთადერთი კითხვა **როგორ**, ამიტომ ორივე ვითარების გარემოებაა.

ასეთივეა აგრეთვე შემდეგი მაგალითიც:

კარგა ხანი იჯდა ისე **გაჩუმებული**, **ხმაამოუღებლად** (იქვე, 368, 8, ქვ.).

აქ წარმოდგენილ მაგალითებში **უდავო** ფორმა ვითარების გარემოებისა და **სადავო** ფორმები (გამგელებული, დაფიქრებული და სხვა) ერთ წინადადებაში იყო მოცემული, ერთმანეთის გვერდით, რომელნიც შეერთებული იყვნენ ან „და" კავშირით, ან უკავშიროდ, პაუზით (წერაში მძიმით).

მაგრამ ასეთი წყვილი ფორმები გვეველინება სხვადასხვა ზმნასთან და სხვადასხვა ადგილას, მაგალითად:

მე **გაშტერებით** შევყურებდი მის არეულს და უსიამოვნო სახეს (იქვე, 201, 7), მაგრამ: მე ვიყავ **გაშტერებული**, დაბნეული და ხმა ვერ ამომეღო

(იქვე, 201, 24). ნათელია, რომ **გაშტერებით** და **გაშტერებული** აქ ერთი შინაარსით არის ნახმარი.

ინტერესმოკლებული არ იქნება აღენიშნოთ, რომ სავსებით შესაძლებელია აქ წარმოდგენილი წყვილ-წყვილი ამხსნელი სიტყვების (ვით. გარ.) გადაადგილება ისე, რომ მათი შინაარსი ოდნავადაც არ შეიცვალოს: გამგელებული და მადიანად სჭამდა, ისე გადმობრილი და გაუნძრეველად იდგა, ის მიდიოდა დაფიქრებული და წყნარად და სხვა. ა. ყაზბეგსაც ხან სახელობითში დასმული მიბღეობა აქვს წინ გადმოტანილი (გაჩუმებული, ხმაამოუღებლად; პირმოკუმული და გაფითრებულის სახით), ხანაც ვითარებითში დასმული ზმნიზედა (მადიანად და გამგელებული; გაუნძრევლად და გადმობრილი). ამ მხრივაც სრულიად გაიგივებულია ეს უდავო და სადავო ფორმები.

ყველაფრიდან ცხადია, რომ **გამგელებული, გაჩქარებული, პირმოკუმული** და მისთანა ფორმები არ შეიძლება განსაზღვრებად ჩაითვალოს, რადგან, რარგორც ვნახეთ, ეს ფორმები უშუალოდ ზმნას უკავშირდება, მას ერთვის, მასთან ერთად ქმნის სინტაგმებს: გამგელებული სჭამდა, გაჩქარებული მიდიოდა, პირმოკუმული მისდევდა. ესენი არ შეიძლება განსაზღვრება იყოს, რადგან განსაზღვრება საბელს ახლავს, ესენი კი მხოლოდ ზმნებთან შეიძლება იყოს.

ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაში კომპრომისზე მიდიან, ეძებენ რაღაც საშუალოს გარემოებასა და განსაზღვრებას შორის და ასეთ ფორმებს პრედიკატიულ განსაზღვრებას უწოდებენ (Предикативное определение, Das Prädikatsattribut)[1]. რუსული ენის ზოგიერთ გრამატიკაში პრედიკატიული განსაზღვრების ნაცვლად ხმარობენ ტერმინს „დამატებითი შემასმენელი“ (Дополнительное сказуемое), ხოლო სათანადო წინადადებას „ორშემასმენლიან წინადადებას“ უწოდებენ[2].

მართალია, ისეთ ფორმებში, როგორიცაა გამალებული, გამგელებული, გაჩქარებული, პირმოკუმული და სხვა, არის რაღაც ისეთი, რაც განსაზღვრებას მოგვაგონებს, მაგრამ საერთოდ თავისი შინაარსით, იმ როლით, რომელსაც ისინი წინადადებაში ასრულებენ, ეს ფორმები ყველაზე ახლოს ვითარების გარემოებასთან დგანან და არ იქნება ურიგო ვითარების გარემოებადაც მოვნათლოთ.

ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ამ გაგებას ახლავს ზოგიერთი დაბრკოლება, როგორიცაა ამნაირი სიტყვების მრავლობითში დასმის შესაძლებლობა: დადუმებულნი ისხდნენ, ხმალამოწვდილნი ეკვეთნენ... (ისინი მიდიოდნენ ჯგუფად, **გაჩუმებულნი, დახოცილნი**, ა. ყაზბ. II, 300, 3 ქვ.), ხანდახან მოთხრობითში გადასვლაც (გაოცებულმა უცებ მოიხედა) და ზოგი სხვა, მაგრამ, ჯერ-ერთი, მრავლობითში დასმული ფორმები, კაცმა რომ თქვას,

[1] Е. И. Шендельс, Грамматика немецкого языка, 1952, გვ. 258–262.
[2] იქვე, გვ. 259.

არცაა ყოველმხრივ გამართული, მერმე: ისინი თამამად შეიძლება შეიცვალოს ისევ მხოლობითით და წინადადება ოდნავადაც არ დაზიანდეს; მესამე: ამნაირი ფორმების ახსნა არ გაჭირდებოდა.

უფრო ნაკლებად შეიძლებოდა ის შემასმენლისისათვის დაგვეკავშირებინა.

ასეა თუ ისე, ერთი ცხადია: **გამალებული, გამგელებული, თავჩაქინდრული, გაჩქარებული** და მსგავსი ფორმები **ყველაზე მეტად** ვითარების გარემოებას უახლოვდება, ვიდრე წინადადების რომელიმე სხვა წევრს (განსაზღვრებას და სხვ.). ამიტომ ასეთ ფორმებს, ვიმეორებთ, შეიძლება ისევ გარემოება ვუწოდოთ [1].

ახალი ქართულის ამ საინტერესო საკითხზე აქ იმიტომ შევჩერდით, რომ მისი სათავე ჩვენ ძველ ქართულშივე გვეგულება. ძველ ქართულშიც არის მთელი რიგი შემთხვევები, როცა სახელობითში დასმული სახელი ვითარების გარემოებას უნდა გამოხატავდეს. დავსძენთ აქვე, რომ ასეთ სახელად, როგორც ახალ ქართულში, ჩვეულებრივ ვნებითი გვარის მიმღეობები გვეელინება (ილ და ულ სუფიქსიანი).

აქ დავასახელებ რამდენიმე მაგალითს:

აღ-თავის-იქცია იონათან ტაბლისა მისგან გულის-წყებით, **განრისხებული** გამოვიდა და არა ჭამა პური, 1 მეფ. 20, 34. ფორმას **განრისხებული** აქ დაესმის კითხვა: **როგორ (ვითარ)**. ბიბლიის თბილისურ გამოცემაში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: და აღხლტა იონათან რისხვითა გულის-წყრომისათა ტრაპეზისაგან. და არა ჭამა პური. „გულის-წყებით“ და „განრისხებული“ აქ შეცვლილია იმავე შინაარსის, ოღონდ სხვანაირი ფორმის გამოთქმით: „რისხვითა გულის-წყრომისათა“. ეს უკანასკნელი მსაზღვრელი (გულის-წყრომისათა) რომ არ ყოფილიყო, გვექნებოდა **რისხვით**: აღხლტა იონათან **რისხვით**. „რისხვით“ კი სუფთა ვითარების გარემოებაა, მაშასადამე, ვითარების გარემოება უნდა იყოს აგრეთვე **განრისხებულიც**. რუსულ თარგმანშიც კარგად ჩანს აღნიშნული სიტყვის ჩვენ მიერ წარმოდგენილი მნიშვნელობა: **И встал Ионатан из-за стола в великом гневе и не обедал.** ბოლოს, დავუმატებთ, რომ „განრისხებულის“ გვერდით არის მოცემული უდავო ფორმა ვითარების გარემოებისა „გულის-წყებით“. სხვა მაგალითები:

თუალ უგიან და **განჩჯბრებული** ხედავს კაცსა ვისმე ერთსა უცხოსა, თეკლ. 95, 31 (ვარიანტით: **განლიგებული**); და რაჟამს ილოცვიდა ეზრა მით აღსაარებითურთ და გოდებითა დიდითა, **დავრდომილი** იდვა პირსა ზედა ქუეყანისასა, 2 ეზრა, 8, 88. „**დავრდომილი იდვა**“-ს შესატყვისი რუსულად ასეა თარგმნილი: **распростёршись** (на земле). იგივე მეორდება სხვაგანაც: და რაჟამს თაყუანის-სცა ეზრა აღსაარებითურთ ამით და გოდებითა

[1] ი. იმნაიშვილი, შედგენილი შემასმენელი ქართულში: პუშკინის სახ. თბილ. სახ პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1948, გვ. 211—212: ლ. კვაჭაძე, წინადადების წევრები ქართულში, 1954, გვ. 3.

დიდითა, **დავრდომილი** იდვა პირსა ზედა ქუეყანისასა, 1 ეზრა, 10, 1; მაშინ გამოვიდა წმიდაჲ იგი **მხიარული** და სიხარულით იტყოდა, პარხ. 1163. გამოვიდა **მხიარული**, იტყოდა **სიხარულით**. **მხიარული** და **სიხარულით** აქ ერთნაირ წევრებად არის წარმოდგენილი, ორივე ვითარების გარემოებაა.

...ხოლო რაჟამს ესმა ესე მამასახლისსა, მწრაფლ **განკჳრვებული** მირბიოდა და დავარდა წმიდასა მას გუამსა ზედა, იქვე, 1244; ანუ ვინ არა შთაიცუას გლოვაჲ და დაადგრეს უტყუად **განცჯრებული**, იქვე, 561a; მიუგებდა **განკჳრვებული** შიშით და ეტყოდა მას, იქვე, 390 g; და მყის აღიხილნა ზეცად და **განკჳრვებული** დაეცა, იქვე, 662 b. **განკჳრვებული დაეცა** პასუხია კითხვაზე: **როგორ** (ვითარ დაეცა? ...დაუტევა (გუამი იგი) და **ზარგანჯდილი** წარვიდა სახიდ თჳსა, იქვე, 843 b. **ზარგანჯდილი** წარვიდა = **შეშინებული** წარვიდა, ე. ი. როგორ (ვითარ) წარვიდა; შეიპყრა იგი შიშმან და ძწოლამან და **განცჯრებული** დაშთა იგი უტყუად, რამეთუ ვერ შეუძლო სიტყჳს-გებად, იქვე, 937 b. „განცჯრებული“ და „უტყუად“ აქ ორივე ვითარების გარემოებაა.

ამნაირად, ზემოთ განხილულ სპეციფიკურ გამოთქმებში სახელობითში დასმული მიმღეობა (ვნებითი გვარისა) ვითარების გარემოების ფუნქციას უნდა ასრულებდეს.

სახელობითი ბრუნვის ასეთი ფუნქცია უცხო არ უნდა იყოს თანამედროვე ქართულის კილოებისათვის. ასე, მაგალითად, გურულში ხშირია ასეთი გამოთქმები: ასე **წაკვრა-წაკვრაი** საქმე არ გაკეთდება. **წაკვრა-წაკვრაი** ნიშნავს: ცოტა-ცოტათი, ნელ-ნელა, დროგამოშვებით, ხელის ერთი **წაკვრით** (მუშაობას)[1].

ასეთივეა კიდევ შემდეგი გამოთქმები: **ძალიანი** შეეშინა. რაც შეეხება ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა: „**ძალიანი** ავად არის“, „**მაგარი** ავად იყო“ და სხვა, აქ სახელობითისეული ნიშნის არსებობა შეიძლება სხვანაირადაც აიხსნას.

6. სახელობითი დროის გარემოებად

იშვიათად სახელობითი დროის გარემოებადაც შეიძლება მოგვეველინოს. მაგრამ ასეთი შემთხვევები უმთავრესად ახალ ქართულში გვაქვს. ჩვენ აქ სახეში გვაქვს ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: ორი **დღე** იყო ქალაქში, სამი **წელიწადი** ცხოვრობდა სოფელში, იქ დიდი **ხანი** გაჩერდა, მუშაობამ ორი **საათი** გასტანა და სხვა. ამნაირი გამოთქმები ხშირია დღეს ჩვენს ენაში, განსაკუთრებით ცოცხალ სალაპარაკო ენაში, კილოებში. მაგრამ ამნაირი ფორმები არ ითვლება სალიტერატურო ქართულის ნორმად, ამათ ნაცვლად დღეს სალიტერატურო ენა მიცემითს მიმართავს და სწორედ ის ითვლება

[1] ამ საკითხს უფრო დაწვრილებით შესწავლა ესაჭიროება, რასაც აქ, ცხადია, ვერ შევძლებთ.

ნორმად, მაგალითად: ორ დღეს იყო ქალაქში, სამ წელიწადს ცხოვრობდა სოფელში, იქ დიდხანს გაჩერდა, მუშაობამ ორ საათს გასტანა და სხვა. აღსანიშნავია, რომ დროის ზმნიზედის საწარმოებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითისა და ვითარებითის ფორმები, მაგრამ სახელობითისა, მოთხრობითისა და წოდებითის ფორმები კი სრულიად გამორიცხულია[1].

ამიტომ ბუნებრივია, ეჭვის თვალით შევხედოთ ზემოთ მოყვანილ ფორმებს, სახელობითში რომ დგანან (იქ სამი წელიწადი ცხოვრობდა).

რაღაც ამის მსგავსი ძველ ქართულშიც გვაქვს. ძალზე იშვიათად იქაც მოიპოვება შემთხვევები, როცა თითქო სახელობითში დასმული სახელი (უმთავრესად დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები — წელი და სხვა) დროის გარემოებად არის გამოყენებული. ასეთად არის მიჩნეული წელი შემდეგს წინადადებაში: იყოს შჯდი წელი სიყმილი (დაბ. 41, 27)[2]. მაგრამ ენა ყოველმხრივ ცდილობს აიცთინოს ასეთი გაგებით ხმარება ამ სიტყვისა და მას იქვე ქვემდებარედ წარმოგვიდგენს: აჰა შჯდნი წელნი მოვლენ, დაბ. 41, 29; მოიწინენ შჯდნი წელნი სიყმილისანი, იქვე, 41, 30 და სხვა.

მსგავსი მაგალითია აგრეთვე შემდეგიც:

აჰა ესერა ესოდენი წელი გმონე შენ და არასადა მცნებასა შენსა გარდავჰჴედ, ლ. 15, 29 D. ასეთი წაკითხვა გვაქვს ჯრუჭის ხელნაწერში, მაგრამ იქვეა მოცემული ამ იშვიათი შემთხვევის ასარიდებლად ორი გზა:

ერთში წელი ქვემდებარედ არის წარმოდგენილი და გარკვეული უხერხულობა ამით მოხსნილია. ეს გზა არჩეული აქვს ადიშის ხელნაწერს: ესე რავდჱნნი წელნი არიან, ვინაჲთგან გმონე შენ და არასადა გარდაგჴედ მცნებათა შენთა.

მეორეში იგივე წელი პირდაპირ დამატებადაა აღებული და ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი მდგომარეობა გვაქვს: აჰა ესერა ესოდენნი წელნი გმონენ შენ. ეს გზა პარხლის ხელნაწერს აქვს აღებული. წელნი მრავლობითშია დასმული, ამიტომ ის სათანადო ნიშნითაცაა წარმოდგენილი ზმნაში (გმონ-ენ). ამ უკანასკნელი წაკითხვის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ D-ს წაკითხვაშიც წელი პირდაპირი ობიექტია, ოღონდ მხოლობითში დასმული, რის გამოც პირდაპირ არა ჩანს მისი რიცხვის შეთანხმება ზმნასთან. მაგრამ, როგორც უნდა იყოს, „ესოდენი წელი გმონე“ შეიძლება კაცმა ისე გაიგოს, რომ წელი დროის გარემოებად მიიჩნიოს. სრულიად ამნაირი წაკითხვა აქვს დაცული აგრეთვე ტბეთისა (B) და მესტიის (M) ოთხთავებს.

ჩვენი აზრით, ამნაირი შემთხვევა არ უნდა გვქონდეს ამ მაგალითში: დაეშუერ გზისა მისგან და განვისუენე დღე ერთი ოდენ, ი. ჯავ. აღწ. 189,

---

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ. გვ. 608.

[2] ა. კიზირია, ადგილისა და დროის გარემოება ძველ ქართულში: იბერ.-კავკ. V, 1953, გვ. 114.

35. როცა ამას ვამბობთ, ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს ის გარემოება, რომ დღე წრფელობითი ბრუნვის ფორმით არის მოცემული: დღე სახელობითიც შეიძლება იყოს. სახელობითს უპერს მხარს აქ მსაზღვრელი ერთი. ჩვენ თვით ამ ერთი-ს ფორმა გვეეჭვება: აქ უნდა ყრფილიყო არა ერთი, არამედ ერთ: დავშურერ გზისა მისგან და განვისუენე დღე ერთ ოდენ. საქმე ისაა, რომ როცა ოდენ ახლავს რიცხვითს სახელს, ან რიცხვითი სახელით განსაზღვრულ არსებითს სახელს, ორივე სახელი (არსებითი და რიცხვითი) წრფელობითში დგას, ის არ შეიძლება სახელობითში იდგეს, მაგალითად: იყო ვითარ ორ ათას ოდენ, მრ. 5, 13 C; იყო ვითარ ექუს ჟამ ოდენ, ლ. 23, 44 C; დასხდა კაცები იგი რიცხჳთ ვითარ ხუთ ათას ოდენ, ი. 6, 10; არა შორს იყვნეს ქუეყანასა, არამედ ორას წყრთა ოდენ, ი. 21, 8 და ბევრი სხვა. ამიტომ „დღე ერთი ოდენ" შეცთომად მიგვაჩნია და აქ დროის გარემოებას ისევ წრფელობითი უნდა გამოხატავდეს, როგორც ეს მიღებული იყო ძველ ქართულში (ნ. ზემოთ, გვ. 649—653).

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ასეთი სიტყვები (წელი, დღე, თთუე) „დაყო" ზმნასთან გვაქვს, აქ ეს სიტყვა წძინდა პირდაპირი დამატებაა და დროის გარემოებაზე შეუძლებელია ლაპარაკი[1].

მწუხრი და მიმწუხრი, როგორც სხვაგან გვაქვს აღნიშნული[2], წარმოშობით ნათესაობითის ფორმები უნდა იყოს და არა სახელობითისა (მწუხრ--ის → მწუხრი).

---

[1] შდრ. ა. ყ ი ზ ი რ ი ა, დასახელებული ნაშრომი, სადაც დროის გარემოებადაა მიჩნეული წელი ასეთ წინადადებაში: „წმიდამან ნინო დაყო ექუსი წელი" (გვ. 144).

[2] ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ძველ ქართულში დროის გარემოების გამომატვის ზოგიერთი საშუალებისა და „ენეზისტყაოსნის" ერთი ადგილის წაკითხვისათვის: „კომუნისტური აღზრდისათვის", № 2, 1957, გვ. 75—76.

თავი მესამე

მოთხრობითი ბრუნვის ფუნქცია

მოთხრობითი ბრუნვა სპეციფიკური ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ბრუნვაა. ეს ბრუნვა უცხოა ინდოევროპული, სემიტური და სხვა ჯგუფებს ენებისათვის. იმ ფუნქციას, რომელიც მოთხრობითს (ერგატივს) ხსენებულ ენებში აკისრია, ინდოევროპულსა და სხვა ენებში სახელობითი ასრულებს. ამიტომ მოთხრობით-ბრუნვიანი კონსტრუქცია, ე. წ. ერგატიული კონსტრუქცია ქართველური ენებისა და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიური ენების კონსტრუქციაა.

მიუხედავად ამისა, იყო დრო, როცა მოთხრობითი ქართულ ბრუნვათა რიგში არ შეჰქონდათ, მას სახელობითის ერთ-ერთ სახეობად თვლიდნენ (მაჯიო, ფატერი, შანშოვანი, მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი). დიდი ბრძოლის გადახდა იყო საჭირო, რომ ამ სპეციფიკურ ქართულ ბრუნვას ქართულ ბრუნვათა შორის ეპოვა ადგილი. მაგრამ ამის შესახებ აქ არაფერს ვიტყვი, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაფერი ეს კარგად არის ცნობილი [1].

ქართულში მოთხრობითს ერთადერთი ფუნქცია მოეპოვება, ის მხოლოდ ქვემდებარეს გამოხატავს. მაგრამ ქვემდებარეს გამოხატავს არა ყოველთვის და არა ყოველ ზმნასთან. აქ ორი შეზღუდვა არსებობს: ა) მოთხრობითი ქვემდებარეს გამოხატავს **მხოლოდ გარდამავალ** ზმნებთან და ბ) ამასაც **მხოლოდ** II **სერიის მწკრივებთან.** მაშასადამე, გარდაუვალ ზმნებთან მოთხრობითის ხმარება შეუძლებელია; შეუძლებელია მისი გამოყენება აგრეთვე II სერიის გარდა რომელიმე სხვა მწკრივთან (თუნდაც გარდამავალ ზმნებთან).

მეგრულსა და ჭანურში მოთხრობითს უფრო ფართო ასპარეზი აქვს მოპოვებული: მეგრულში მოთხრობითს II სერიის **ყველა** ზმნა მოითხოვს — გარდამავალიც და გარდაუვალიც (მონადირექ დაცვილუ ირემი, მაგრამ: მონადირექ ქჷმორთუ, მონადირექ დოღურუ); ჭანურში მოთხრობითი მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალ ზმნებს მოეპოვებათ, ოღონდ **ყველა** სერიის მწკრი-

---

[1] Г. Шухардт. О пассивном характере переходного глагола в кавказских языках: კრებული: Эргативная конструкция предложения, 1950, გვ. 46 — 51 და სხვა; ა. ჩიქობავა, რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში? („ახალ სკოლისაკენ", № 3, 1928, გვ. 164—166).

ვებთან (ავჯიქ ცვილუმს მსქვერი, ავჯიქ დოცვილუ მსქვერი, ავჯიქ დოცვილუდორენ მსქვერი)[1].

აქ, როგორც ვხედავთ, ზემოთ აღნიშნული ორი შეზღუდვიდან ერთერთი მოხსნილია, ერთია ძალაში: მეგრულში მოთხრობითი იხმარება **უველა ზმნასთან** მხოლოდ II სერიის ფორმებში; ჭანურში იგი გვხვდება **მხოლოდ გარდამავალ ზმნასთან**, მაგრამ **უველა** სერიის ფორმებში.

ქართულში, როგორც ვთქვით, მოთხრობითი მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან იხმარება და ისიც მხოლოდ II სერიის მწკრივებში.

ასე იყო ეს ძველ ქართულშიც. მაგალითები:

მხ. რიცხვი

კაცმან ვინმე დაასხა ვენაჯი, მრ. 12, 1; **მამამან** შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჰამებული, ლ. 15, 27; ჰრქუა იესუს **დედამან** მისმან, ი. 2, 3; **დამან** ჩემმან მარტოჲ დამიტევა მე მსახურებად, ლ. 10, 40; შეირთოს ცოლი მისი **ძმამან** მისმან, მ. 22, 24; ყოველმან **ხემან** კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღის, ხოლო **ხემან** ხენეშმან ნაყოფი ხენეში განოიღის, მ. 7, 17.

მრ. რიცხვი

აქაც ორგვარი მრავლობითი გვაქვს: თანიანი და ებიანი. თ-(ა) რიცხვსაც გამოხატავს და ხუთში ერთ-ერთ ბრუნვასაც უჩვენებს, ებ კი მხოლოდ რიცხვს აღნიშნავს, ბრუნვის ნიშანი **მან** ცალკე ერთვის. პირველი ფორმა გაბატონებულია ძველ ქართულში, მეორე — იშვიათია; პირველი უოველთვის ითანხმებს ზმნას ძველ ქართულში, მეორე იშვიათად. მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი ორიეს შესახებ.

თანიანი მრავლობითი

იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა, მ. 14, 35; **მამათა** თქუენთა ჰამეს მანანაჲ, ი. 6, 49; პოვეს ეგრე, ვითარცა **დედათა** მათ თქუეს; ლ. 24, 24; მიუელინეს **დათა** მისთა იესუს, ი. 11, 3; ჰრქუეს მას **ძმათა** მისთა, ი. 7, 3; იხილეს **მწიგნობართა** მათ და **ფარისეველთა**, მრ. 2, 16.

ებიანი მრავლობითი

ა) ებიანი მრავლობითი ითანხმებს ზმნას რიცხვში:

ხოლო ხვალისაგან **ზრახვა-უყეს** უოველმან **თესლებმან** ერისაებან და **განიყვანეს** იგი გარეშე ქალაქსა დაშჯად, PO, 71, 17; პარხ. 112 ხ; ამისთჳს, რამეთუ ჰურიათა **ყრმებმან** ვითარცა **ისმინეს** წინაწარმეტყუელებაჲ, პარხ. 93 გ.

[1] ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1948, გვ. 1 — 2.

ბ) ენებიანი მრავლობითი ვერ ითანხმებს ზმნას რიცხვში:

ცხენებმან მათმან დაფარნა ბორცუნი, იქიდით 16, 3; **დედებმან** თქუა, იერ. 44, 19; **ინაჯ-იდგა კაცებმან** მან, ი. 6, 10 C; **კაცებმან** მან ვითარცა **იხილა** სასწაული იგი, ი. 6, 14 C.

ასეთია მოთხრობითის ერთადერთი ფუნქცია.

მოთხრობითი შედის კომპოზიტის I შემადგენელ ნაწილად სიტყვაში **ერთმან** + ერთი, მაგალითად: და არა უთხრეს **ერთმანერთსა** სალმობაჲ თჳსი, რამეთუ ჰრცხუენოდა **ერთმანერთისა** თჳრობად გულის-თქუმაჲ თჳსი, დანიელ, 13, 10 — 11; და ჰრქუა **ერთმანერთსა**, იქვე, 13, 13.

ამნაირი კომპოზიტი ეს ერთადერთია.

რადგანაც ერგატიული კონსტრუქცია მხოლოდ ქართველური (და სხვა რიულ-კავკასიური) ენების კუთვნილებაა და იგი უცხოა, მაგალითად, ინდო-იბეევროპული ენებისათვის, ამიტომ ადგილი აქვს ზოგჯერ ამ ენებიდან თარგმნისას (განსაკუთრებით მაშინ, როცა მთარგმნელი არაქართველია) ამ კონსტრუქციის დარღვევას.

დარღვევა ორი მიმართულებით ხდება:

ა) მოთხრობითი ისმარება გარდაუვალ ზმნასთანაც;

ბ) მოთხრობითი არ იხმარება გარდამავალ ზმნასთან, აქ ჩნდება სახელობითი ბრუნვა, რომელიც ასეთი შემთხვევებისათვის ერთადერთია ინდო-ევროპულ ენებში.

პირველის მაგალითი განსაკუთრებით ხშირია სომხურიდან ქართულად ნათარგმნ ძეგლებში[1]. აი რამდენიმე მათგანი: ხოლო **ძემან** მეფისამან და **ნახარართა შვილებმან**, რომელნი მძევლად ჰყვანდეს, ერჩდეს მას და არა შთაყარნეს იგინი ზღუასა, ვითარცა ებრძანა მათთჳს, ლიტ. ურთ. 73, 4.

მოთხრობითის ხმარება გარდაუვალ ზმნასთან შეიძლება ყოველთვის ამ ნიადაგზე არ აიხსნებოდეს. მაგალითად: **მანვე** მეოტი რისხვისაგან ძმისა მართალი **წარმოუძღუა** და მოიყვანა გზასა წრფელსა, სიბრძ. 10, 10. არა გვგონია, მოთხრობითი აქ მეორე, მომდევნო ზმნის (მოიყვანა) გამო იყოს ნახმარი, ვთქვათ, ისე, დღესაც რომ ხშირად გვხვდება ჩვენს ენაში: იმ **კაცმა** ადგა და **უთხრა**[2]. აქ, ჩვენი აზრით, საქმის ვითარება უბრალოდ აიხსნება: მოყვანილი მუხლის წინ და შემდგომ ცთელი რიგი მუხლები იწყება სწორედ ასე: **მანვე**... დაიცვა, 10, 1; **მანვე**... იცნა, 10, 5; **მანვე**... იჴსნა, 10, 6; **მანვე** არა დაუტევა, 10, 13. ასეთ შემთხვევაში „მანვე... წარმოუძღუა“ ერთგვარი ინერციის შედეგია.

მეორე სახის მაგალითია:

ვითარცა იხილა, რამეთუ წმიდაჲ პეტრე განისუენა, PO, 99, 19.

---

[1] საფიქრებელია, მთარგმნელი სომეხი იყო, რომელმაც ქართული ენა ისე კარგად არ იცოდა.

[2] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით: ჩვენი მეცნიერება, № 1, 1923.

თავი მეოთხე

მიცემითი ბრუნვის ფუნქციები

მიცემითი ქართულ ბრუნვათა შორის ერთ-ერთი უძველესი ბრუნვაა. ამიტომ მისი ფუნქციებიც ნაირ-ნაირია.

1. მიცემითი ძველებურად

რაკი გარდამავალ ზმნებთან III სერიის მწკრივებში სახელობითში დასმული სახელი პირდაპირ დამატებად მივიღეთ, ცხადია, მიცემითში წარმოდგენილი ფორმა ქვემდებარედ უნდა ჩავთვალოთ. შინაარსით ეს სავსებით გამართლებულია: მიცემითში დასმული სახელის ფუნქცია წარმოადგენს I და II სერიის სათანადო სახელთა ფუნქციების პირდაპირ გაგრძელებას. სახელდობრ, რა ფუნქციაც აქვთ ფორმებს კაცი და კაცმან ამ წინადადებებში: **კაცი** ჰპოვებს სახლსა, **კაცმან** პოვა სახლი, იგივე ფუნქცია აქვს ფორმას კაცსა ამ წინადადებაში: **კაცსა** უპოვიეს სახლი. კაცი ჰპოვებს, კაცმან პოვა და კაცსა უპოვიეს ერთ ხაზზე ძევს და მათი ფუნქციების სხვადასხვაგვარად შეფასება შეუძლებელია.

მიცემითის ეს როლი დღეს უფრო მტკიცეა. დღეს მიცემითის ასეთ როლს, მისი მნიშვნელობის გარდა, ფორმაც სავსებით ადასტურებს. რაკი მიცემითის შინაარსი აქტიური გახდა და წინა პლანზე იქნა წამოწეული, მას მხარი დაუჭირა ფორმამაც: ზმნა მასში დასმული სახელის მრავლობითობას აღნიშნავს: კაცს უპოვია სახლი, მაგრამ კაცებს უპოვიათ სახლი. შდრ. ამას: კაცს უპოვია სახლი, მაგრამ: კაცს **უპოვია სახლები**.

ძველ ქართულში კი, როგორც ვნახეთ, ზმნა სწორედ სახელობითში დასმული სახელის მრავლობითობას აღნიშნავდა, მიცემითში დასმული სახელი კი უძლური იყო ზმნაში თავისი მრავლობითობა აღენიშნა. მიუხედავად ამისა, მისი შინაარსის აქტიური ხასიათი იმდენად ნათელია და იმდენად აშკარად გვესახება იგი I და II სერიის ზმნებთან წარმოდგენილი სათანადო სახელების ბუნებრივ და პირდაპირ გაგრძელებად, რომ ამ ფორმის ქვემდებარედ აღიარება აუცილებელი ხდება. დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი:

არასადა ეგრე **ჵის** უთქუამს კაცსა, ვითარ მას კაცსა, ი. 7, 46 C; მე დღეს მიშობიე შენ, ფსალმ. 2, 7; ხოლო **თქუენ**, ვითარცა ჭუაბი ავაზაკთაჲ, გიყოფიეს, ევსტ. 170, 30; **ანგელოზთა** მისთა უბრძანებიეს შენთჳს დაცვად შენდა, ლ. 4, 10; **ხულგრძელებასა** ღმრთისასა თავს-უდებიეს დათმენაჲ უწესოთა კაცთა მღდელობაჲ, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 238, 6); რაჲ ბოროტი უქმნიეს

ამას, ლ. 23, 22; მოეძღუანა წმიდასა მას **ეპისკოპოსსა** საზრდელი, შუშ. 155. 7; ხოლო ესე ასული აბრაჰამისი იყო, რომელი შეეკრა **ეშმაკსა**, ლ. 13, 16; **მამასა** მისსა დაემარხა სიტყუაჲ ესე, დაბ. 37, 11; ვიდრე არღა ეყივნა **ქათამსა**, მოქც. (ისტ. ქრესტ. 277, 20); **რომელთა** შფოთსა შინა კაცი ეკლა, მრ. 15, 7; სამოსელი ოდენ განეკუეთა **მახჳლსა**, ამონ. 216, 9; **ცოლსა** მისსა წარეღო ყოველი მონაგები თჳსი, კიმ. I, 327, 16; და **მას** სხუაჲ ზრახვაჲ გულსა მოეჴადა, შუშ. 155, 37.

მიცემითი ბრუნვის ნიშანი ყველა განხილულ შემთხვევაში არის გავრცობილი ს-ა (თა) და არასოდეს მარტივი ს (თ), თუ, რასაკვირველია, ადამიანის სახელი, ან ნაცვალსახელი არაა. ადამიანის სახელსა და ნაცვალსახელებს კი მხოლოდ ს ეკნებათ.

2. მიცემითი პირდაპირ დამატებად

მიცემითი ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა გამოხატოს პირდაპირი დამატება. როგორც ცნობილია, ევროპულ ენებში პირდაპირ დამატებას აქვს სპეციფიკური ბრუნვა — ბრალდებითი (accusativus, винительный). სწორედ ეს ბრუნვა არ არის ქართულში. აქ მის როლს ასრულებს სახელობითი და მიცემითი. სახელობითი, როგორც ითქვა, გამოხატავს პირდაპირ დამატებას II და III სერიის ზმნებთან (კაცმან პოვა **სახლი**, კაცსა უპოვიეს **სახლი**), მიცემითი კი ამ დამატებას I სერიის ზმნებთან გამოხატავს (კაცი ჰპოვებს **სახლსა**). მაგალითები:

ნუ მისცემთ **სიწმიდესა** ჩემსა ძაღლთა, ნუცა დაუგებთ **მარგალიტსა** თქუენსა წინაშე ღორთა, მ. 7, 6; რომელსა სთხოვდეს იე თჳსი **პურსა**, მ. 7, 9; გინა **თევზსა** სთხოვდეს, გუელი ნუ მისცეს მას, მ. 7, 10; სახელითა შენითა **ეშმაკთა** განვასხემდით და სახელითა შენითა **ძალსა მრავალსა** ვიქმოდეთ, მ. 7, 22 C; რაჲსა მოაშრომებ **მოძღუარსა**, მრ. 5, 35 C; და ჰსცხებდეს **ზეთსა** მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს, მრ. 6, 13; მოუჴდეს მათ, რომელნი-იგი **ხარკსა** შეჰკრებდეს, მ. 17, 24; მე მაგის თანა **ბრალსა** არას ვჰპოვებ, ი. 19, 6; ნუ ჰყოფთ **სახლსა** მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო, ი. 2, 16; **ნერგსა** ასხმიდეს და აშენებდეს, ლ. 17, 28.

აქვე უნდა განვიხილოთ აგრეთვე პირდაპირი დამატების საკითხი ვითარებითს ბრუნვაში დასმულ საწყისთან. როგორც ვნახეთ, ასეთ შემთხვევაში ძველისძველ ძეგლებში პირდაპირი დამატება ხან სახელობითშია წარმოდგენილი (წარწყმედად **ეგე**), ხან მიცემითში (წარწყმედად **ყრმასა მაგას**). სახელობითის მაგალითები ზემოთ იყო განხილული, აქ მოვიყვანთ მიცემითის ნიმუშებს:

მოძიებად ეალს ჰეროდე და წარწყმედად **ყრმასა მაგას**, მ. 2, 13; რაჲსათჳს ჩუენ ვერ შეუძლეთ განკურნებად **მას**, მ. 17, 19 (C: ...განკ̃ნად **მისა**).

მაგრამ აქ პირდაპირი დამატების შესახებ ერთგვარი პირობით უნდა ვილაპარაკოთ, რადგან პირდაპირი დამატება, ნამდვილად რომ ვთქვათ, პირიანი ზმნის კატეგორიაა. ქართულში მისი სპეციფიკური ნიშანია ბრუნვის

ცვლა: I სერიის ზმნასთან ის მიცემითშია (წარსწყმედს იგი **ყრმასა**), II და III სერიისასთან — სახელობითში (წარწყმიდა მან **ყრმაჲ**, წარუწყმედიეს მას **ყრმაჲ**). რაც შეეხება ვითარებითს ბრუნვაში დასმულ საწყისთან წარმოდგენილ დამატებას, ისიც თითქოს ბრუნვაცვალებადია, მაგრამ ეს გარეგნულად. ბრუნვაცვალებადობა პირიან ზმნასთან მკაცრ კანონზომიერებას მისდევს (I სერიის ზმნასთან მიცემითშია, II და III სერიისასთან — სახელობითში), აქ კი ბრუნვების შეცვლა სრულიად **ნებისმიერია**: თვით უძველეს ტექსტებში სახელობითი და მიცემითი ერთმანეთის ადგილას იხმარება. ამის ერთი კარგი მაგალითი ზემოთ იყო მოყვანილი: DE-ს რომ მიცემითი აურჩევია, C-ს სახელობითი აუღია. შდრ. მ. 2, 13: მოძიებად ვალს ჰეროდე და წარწყმედად **ყრმასა მაგას** DE, ეგულების ჰეროდეს მოძიებად ყრმისა მაგის და წარწყმედად **ეგე** C. აქ რა შემთხვევაში უნდა იყოს სახელობითი, რა შემთხვევაში — მიცემითი, არაა აუცილებლობით განსაზღვრული და მკაცრად დადგენილი, რადგან საწყისი იმის საწყისია, რომ მას არც პირის, არც მწკრივისა (სერიისა) და არც ბევრი სხვა კატეგორია არ გააჩნია. ამიტომ ვამბობთ, რომ ასეთ შემთხვევაში პირდაპირ დამხტებაზე ერთგვარი პირობით უნდა ვილაპარაკოთ, მაგრამ ამ საკითხს სპეციალური შესწავლა ესაჭიროება.

დავსძენთ აქაც, რომ ყველა ზემოთ განხილულ შემთხვევაში მიცემითი წარმოდგენილია სრული ნიშნით: **ს-ა** (მხედველობაში არა გვაქვს ადამიანთა სახელები და ნაცვალსახელები, რომელთაც მიცემითში სხვა ნიშანი არა აქვთ, თუ არა მარტივი **ს**: დავით-ს, მა-ს...).

3. მიცემითი ირიბ დამატებად

მიცემითი ბრუნვით გადმოიცემა აგრეთვე ირიბი დამატება. ეს დამატება, რომელსაც აგრეთვე პირის (პიროვნების) დამატებასაც უწოდებენ, მუდამ მიცემითში დგას, მას არა აქვს უნარი ბრუნვა გამოიცვალოს. ამიტომ მას ბრუნვაუცვლელს ეძახიან.

ირიბი დამატება მოეპოვება ორპირიან გარდაუვალ ზმნას. ამ შემთხვევაში ის სამივე სერიის ზმნასთან მიცემითში იქნება (კაცი ემალების **მტერსა**, კაცი დაემალა **მტერსა**, კაცი დაჰმალვიეს **მტერსა**). მესამე სერიის ფორმებთან მისი გამოყენება იშვიათია.

ირიბი დამატება შეიძლება ახლდეს აგრეთვე სამპირიან გარდამავალ ზმნასაც. ამ შემთხვევაში ის წარმოდგენილი იქნება მხოლოდ I და II სერიის მწკრივებთან, მესამე სერიის მწკრივებთან კი ის გადადგება მიცემითიდან ნათესაობითში (**თჳს, და** თანდებულებს დართვით), წყვეტს მორფოლოგიურ კავშირს ზმნასთან და უბრალო დამატებად იქცევა: მისცემს დედაჲ **შვილსა** საზრდელსა, მისცა დედამან **შვილსა** საზრდელი, მიუცემიეს დედასა **შვილისათჳს** (შვილისადა) საზრდელი.

ე. წ. ინვერსიულ ზმნებთან წარმოდგენილი მიცემითში დასმული სახელის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი: ასეთი სახელიც ჩვენ ირიბ დამატებად

ჩავთვალეთ და სხვა ორპირიანი გარდაუვალი ზმნების სათანადო სახელს გავუთანაბრეთ.

არც ერთ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში ირიბი დამატების მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება:

ა) **ემალების** კაცი **მტერსა**, მაგრამ აგრეთვე: **ემალების** კაცი **მტერთა**,
ბ) **მისცემს** დედაჲ **შვილსა** საზრდელსა, მაგრამ აგრეთვე: **მისცემს** დედაჲ **შვილთა** საზრდელსა,
გ) **უყუარს** შვილი **დედასა**, მაგრამ აგრეთვე: **უყუარს** შვილი **დედათა**.

ასევე იქნება სხვა მწკრივებშიც. ამიტომ ქვემოთ ირიბი დამატების მრავლობითს რიცხვზე აღარ გვექნება ლაპარაკი.

ბრუნვის ნიშანი ყველა ამ შემთხვევაშიც არის **ს-ა** (და არა მარტივი **ს**)[1]. ახლა ვნახოთ მაგალითები.

ა) ირიბი დამატება ორპირიან გარგაუავალ ზმნებთან

შენ ერიდები **აყიროსა**, იონა 4, 10; ვევედრებით შენსა მაგას **უფლებასა**, ევსტ. 163, 32; თანა-წარჰვალთ **სამართალსა** და **სიყუარულსა** ღმრთისასა, ლ. 11, 42; მოეხუევინ **ფერჴთა** მისთა, ბოლნ. 50, 15; მოველოდე მესამედ **მოსლვასა** მისსა, ისტ. ქრესტ. 298, 31; დამოსდიოდეს მდინარენი ცრემლთანი **მეფესა** და **მთავარსა** და ყოველსა **ერსა**, მოქც. (ისტ. ქრესტ. 278, 38); მოწაფენი მისნი ...ემსგავსებოდეს **მოძღუარსა** კეთილსა, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 244, 10); მიეგებევოდა **მას** ერი იგი, ი. 12, 18; მოუჴდა **მას** ასისთავი ერთი, მ. 8, 5; შენ ავაზაკსა მას ესწორე, აბო 200, 31; აღდგა და... ეჩუენა ორთა **მოწაფეთა**, ევსტ. 171, 29; ეშმაკი **თავსა** თჳსსა განეეთა, ლ. 11, 18; განვეშორენით **ადგილსა** მას; მოქც. (ისტ. ქრესტ. 278, 20); აღვერიენით **ერსა**, უცხოსა შჯულითა, აბო 201, 6; და **მათ** თუალნი მათნი განხუნეს, ლ. 24, 31 X; შეეწყალნეს იგინი **იესუს**, მ. 20, 34.

ბ) ირიბი დამატება სამპირიან (გარდამავალ) ზმნებთან

ნუ მისცემთ სიწმიდესა ჩენსა **ძაღლთა**, მ. 7, 6; რომელსა მოსცემდა **მას** კაცთ-მოყუარე ღმერთი, შუშ. 154, 21; აჰკიდეს... ტკრთი თჳსი კარაულსა, დაბ. 44, 13; და გამოუცხადე იგი ჩჩჳლთა **ყრმათა**, ლ. 10, 21; და უთხართ **მას** ჩუენებაჲ იგი და მან განგჳმარტა **ჩუენ**, დაბ. 41, 12; ხოლო შენ არქუ **მონათა** შენთა, დაბ. 44, 21; ჰრქუეს მოციქულთა **უფალსა**, ლ. 17, 5; მოუვლინნეს **მას** მოწაფენი იგი მათნი, მ. 22, 16 C.

[1] მხედველობაში გვაქვს სახოგადო სახელები.

გ) ირიბი დამატება ე. წ. ინვერსიულ ზმნებთან

არა ჰუქმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა, მრ. 2, 17 Z; ჰსძულთ თქუენ სოფელსა, ი. 15, 19; რომელსა საყოფლად ჰაქუნდაეე საფლავები, მრ. 5, 3 Z; არა გჳვის ჩუენ მეუფჲ, ი. 19, 15; იესუს უწრაფლესნი მოწაფენი უსხენ, ი. 4, 1; კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე, მ. 21, 28; ასული მარტოჲ ესუა მას, ლ. 8, 42; რომელსა ედგას ცხოვარი ერთი, მ. 12, 11.

თუ ზემოთ განხილულ რომელიმე შემთხვევაში ირიბ დამატებად გეოგრაფიული სახელი მოგვევლინა, მასაც აუცილებლად მიცემითის ს-ა ნიშანი ექნება და არა ს, როგორც პირველი შეხედვით იფიქრებდა კაცი, მაგალითად:

იორდანესა... მაქებელ ვექმნეთ, სას. პოეზ. 186, 144; ასწავებს ყოველსა ჰურიასტანსა, ლ. 23, 5; რომელი შორაეს იერუსალჳმსა ას სამეოც უტევან, ლ. 24, 13 E; არა განეშორა ხანძთასა, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 249, 37); წესი აქუნდა ხანძთასა, იქვე. 252, 32.

4. მიცემითი უბრალო დამატებად

როგორც ვნახეთ, მიცემითი ბრუნვა ქართულში ხშირად გვევლინება პირდაპირ და ირიბ დამატებებად, პირველი მათგანი ზმნათა I სერიის ფორმებთან (კაცი ჰამს პურსა), II — ყველა სერიაში (კაცი ემალების მტერსა, კაცი დაემალა მტერსა, კაცი დაჰმალვიეს მტერსა). ეს ყველაფერი გვაქვს ზმნის პირიან ფორმებთან. მაგრამ ძველ ქართულში ეგეეე მიცემითი შეუძლია ჰქონდეს აგრეთვე ზმნის უპირო ფორმებს, განსაკუთრებით მიმღეობებს, უფრო ნაკლებად — საწყისებს. აიხსნება ეს გარემოება იმით, რომ ძველ ქართულში ზმნის პირიანი და უპირო ფორმები ძალიან არ არიან ერთმანეთს დაცილებული, რომ უპირო ფორმებს ჯერ კიდეე შეუძლიათ დამატებათაგან სათანადო ბრუნვაში ყოფნა მოითხოვონ (იმ ბრუნვაში, რომელშიც ისინი გვევლინებიან პირიან ფორმებთან). ეს ბრუნვაა მიცემითი. ამიტომ, თუ გვაქვს, ერთი მხრივ, „დაყუდებაჲ მოიპოვებს გჯრგჯნსა“, მეორე მხრივ, იმავე ზმნის მიმღეობასაც ეგეეე უნარი შესწევს, მასაც. შეუძლია დამატება ისევ მიცემითში (და არა ნათესაობითში) მოითხოვოს: „დაყუდებაჲ არს... მომპოვნებელ გჯრგჯნსა ბრწყინვალესა“ [მამ. სწავ. (H) 32]. ასეთივე ხასიათისაა ეს წყვილი მაგალითიც: „სასმენელნი ემორჩილებიან (ერჩიან) სიტყუასა“ და „სასმენელნი მათნი მორჩილ არიან სიტყუასა მოძღუართა და ბრძენთა მეტყუელთასა“ (მამ. სწავ. 181).

გჯრგჯნსა (წინადადებაში: დაყუდებაჲ მოიპოვებს გჯრგჯნსა), რასაკვირველია, პირდაპირი დამატებაა, მაგრამ რაღაა იგივე გჯრგჯნსა მეორე წინადადებაში (დაყუდებაჲ არს... მომპოვნებელ გჯრგჯნსა ბრწყინვალესა)? ნუთუ პირდაპირი დამატება? მაგრამ რაღა პირდაპირი დამატებაა ის, როცა მას არ შეუძლია ბრუნვა იცვალოს, სახელობითში ჩადგეს? სახელობითში სხვა შემთხვევაში შეიძლება იდგეს თვით ეს უპირო ზმნა, რომელმაც მოითხოვა,

გჳრგჳნსა მიცემითში ყოფილიყო. სახელი კი მეორე სახელს სახელობითში ვერ მართავს. არა, ეს **გჳრგჳნსა** პირდაპირი დამატება არ შეიძლება იყოს, ეს არის ერთგვარი **უბრალო დამატება**, რომელიც მიმღეობას ახლავს.

ასევე შეუძლებელია **სიტყუასა** ირიბ დამატებად ჩავთვალოთ (**სასმენელნი მორჩილ არიან სიტყუასა**) მხოლოდ იმ საბუთით, რომ ზმნის პირიან ფორმასთან ის მართლაც ირიბი დამატება იყო (სასმენელნი ემორჩილებიან ან ერჩიან **სიტყუასა**). ამიტომ ეს **სიტყუასა**-ც აქ უბრალო დამატებად უნდა გამოვაცხადოთ.

იშვიათად ამნაირი გამოთქმები დღესაც გვხვდება ქართულში. .იგი უფრო ენებითი გვარის მიმღეობებთან არის დადასტურებული, მაგალითად: **ხეს** ამოფარებული, **კედელს** მიყუდებული, **ჯოხს** დაყრდნობილი და სხვა. მიცემითს ბრუნვაში წარმოდგენილი სახელი ასეთ შემთხვევაში სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში უბრალო დამატებად არის მიჩნეული.

აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში ასეთი მიცემითი წარმოდგენილია მოქმედებითი გვარის მიმღეობასთან, რომლის მაწარმოებელია **მ – ელ** აფიქსები (მ-ხედვ-ელ-ი, შე-მ-ძლებ-ელ-ი, გან-მ-მზადებ-ელ-ი, გამო-მ-ღებ-ელ-ი და სხვა). აქ გვხვდება აგრეთვე ასეთი წარმოებანიც: **მ-ა—ელ** (და-მ-ა-რღუევ--ელ-ი), **მ-**(თანა-მ-დებ-ი), **მო-**(მო-საე-ი), **მე-**(მე-ახ-ი), **მო—არ** (მო-ძღუ-არ-ი), **მო—ე** (მო-თმინ-ე, მო-ძულ-ე...), **მ—არ** და **მ—ალ**, ეს უკანასკნელი დისიმილაციით (მ-წოვ-არ-ი, მ-კურნ-ალ-ი), **მო—ედ** (თანა-მო-რბ-ედ-ი) და სხვა.

უფრო ნაკლებად გვხვდება ენებითი გვარის მიმღეობებთან. აქ არის შემდეგი სახის წარმოებანი: **ულ** (მოცემ-ულ-ი, დაკლებ-ულ-ი, სწავლ--ულ-ი...), **ილ** (მორჩ-ილ-ი, თხოვ-ილ-ი, გამოცდ-ილ-ი), **სა—ელ** (მო-სა-ჴსენებ--ელ-ი), **უ—ელ** (გამო-უ-ცდ-ელ-ი) და სხვა. არის კიდევ სხვა ტიპის მიმღეობები ან შინაარსით მათთან გათანაბრებული არსებითი და ზედსართავი სახელები, როგორიცაა: ვაჭარი, უფალი, მსახური, ღირსი, ზიარი და სხვა.

ახლა მოვიყვანოთ მოწმობები ტექსტებიდან.

მ—ელ: შემძლებელ ხარ **ჴსნასა** სულისა შენისასა, მამ. სწავ. (H) 3 v; თუალნიმცა შენნი მარადის მხედველ არიან **მატლსა** მას დაუძინებელსა, იქვე, 5 v; არამედ **წიგნსაცა** მომპოვნებელ არს გონებაჲ, უდაბნ. 29 va; განმმზადებელი ჩუენთჳს **ადგილსა** ამას კეთილსა, ხანძთ. 105, 17; სამოთხისა **სიკეთესა** მომლოდებელო, იქვე, 152, 16; გამომღებელი ათორმეტსა **ნაყოფსა**, გამოცხ. 22, 2; რომელი გუშინ მფლობელ იყო და განმგებელი ყოველსა **მონაგებსა** თჳსსა, მამ. სწავ. (H) 259; სიცილი (არს) წარმწყმედელ **სულსა** მონაზონისასა, იქვე, 205 v; ეგე არს **მადლსა** და **სულსა** წინაწარმეტყუელებისასა მომცემელი, თარგმ. გამოცხ. 19, 10; **ძალსა** მტერისასა დამჴსნელო, სას. პოეზ. 203, 60; **„გიხაროდენ“**-სა მღაღადებელი, იქვე 263, 145; **ლოდსა** საცნაურსა უბიწოდ მშობელო, იქვე, 383, 50; შემძინელ და შემმატებელ არს **პატივსა** და **დიდებასა** შენსა, კიმ. I, 7, 5; შემწირველად წმიდასა და უსისხლოსა **მსხუერპლსა**, ხანძთ. 101, 15; მოვკლა

მე ვითარცა დამთრგუნველი ხატსა სამეუფოსა, ლიტ. ურთ. 68, 6; აღიღე... მომკუეთელი თმასა შვილთა შეწირულთასა, პარხ. 1040 ხ; წყალსა დამშრეტელი იგი ძალი დავიწყებულ იყოს, სიბრძ. 19, 19.

ასეთი ხასიათის სიტყვაა აგრეთვე მახლობელი, რომელიც უფრო ხშირად ვითარებითს ბრუნვაში გვხვდება და თანდებულის ფუნქციას ასრულებს, დამატებას კი, როგორც წესი, მიცემითში მოითხოვს:

მახლობელად ტაძარსა მას, ისტ. ქრესტ. 289, 17; მახლობელად სალიმსა, ი. 3, 23; მახლობელად დაბასა, ი. 4, 5; მახლობელად ეკლესიასა, შუშ. 147, 23; მახლობელად წყაროებსა, ამონ 216, 16. მაგრამ გვხვდება უფრო ახალი წარმოშობის ფორმები, როცა ეგევე სიტყვა დამატებას ნათესაობითში მოითხოვს:

მახლობელად ქუაბისა მისისა, ამონ. 207, 19; მახლობელად წყაროებისა, იქვე, 210, 21; მახლობელად ტაძრისა მის, ისტ. ქრესტ. 289, 16.

მ-ა — ელ: დაყუდებაჲ... განმანათლებელ არს გონებასა კაცისასა, მამ. სწავ. (H) 31; რომელნი იყვნეს ...წმიდათა ეკლესიათა აღმაშენებელ, ბარბაროზთა ბანაკსა დამარღუეველ, ხანძთ. 146, 38; მომატყუებელი სიმყრალესა ბილწებისასა, მამ. სწავ. 165; გიყუარდინ ჭეშმარიტსა და სამართალსა მამხილებელი, იქვე, 221; მასწავლელ და მოძღუარ ღმრთის-მსახურებასა, პარხ. 837 ხ.

მ-: თანა-მდებარს იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა, მ. 5, 22; ოდეს იყოს იგი წინაღმდგომ ბრძანებასა ქრისტესსა, მამ. სწავ. 94; ვინ უკუე სადა იხილე მათგანი... მბრძოლ ჴელმწიფებასა ჰრომთა ნათესავისასა, ი. ჯავ. აღწ. 177, 15; პარხ. 1174.

მ — არ: რაჟამს იხილა იგი ქალწულისა ძუძუსა მწოვარად, სვან. 396 ხ.

მ — ალ: ადვილად მკურნალი წულილსა ცოდვისასა, მამ. სწავ. 398.

მო-: მოსავ ვარ მე ძალსა ქრისტეს, ღმრთისა ჩემისასა, პარხ. 1177.

მო — არ: (თოშა იყო) მოშიში და მოძღუარი ჴელოვანი კურნებასა, პარხ. 865 ხ; მასწავლელ და მოძღუარ ღმრთის-მსახურებასა, იქვე, 837 ხ.

მო — ე: ვითარ-მე მოთმინე ვიქმნე ტირილსა, პარხ. 872 ხ; გულს-მოდგინედ მოსწრაფე[1] არნ განკურნებასა მისსა, მამ. სწავ. 260; ნუმცა ხართ მოყუარე სხჳსა მორჩილობასა, მამ. სწავ. 399; არნ იგი

[1] შდრ. პირიანი ფორმები: ხოლო ჩუენ ვისწრაფოთ მონაგებათა შეკრებასა, მამ. სწავ. 260; ნუ ისწრაფი სულითა შენითა განრისხებასა, ეკლეს. 7, 10; ისწრაფეს... მოთმინებასა სატანჯველთა მათ უშჯულოთასა, კიმ. II, 21, 12; ისწრაფდა ხიკუდილსა მას წამებისასა, იქვე, 46, 11.

ამ სიტყვას ეს თვისება მაშინაც აქვს შენარჩუნებული, როცა ის შემასმენლისია: რაჲთა მოსწრაფე გყოს საქმესა ნათლისასა, მამ. სწავ. (H) 221.

შფოთის-მოყუარე და მოყუსისა განსუენებასა მოძულე, იქვე, 338; ნუუკუე გრდემლი ხარ შენ რკინისაჲ მყარი, მოთმინე ცემასა, პარხ. 1171.

მე-: და აწ მეოხ არს სულთა ჩუენთათუის დიდსა წყალობასა, სას. პრეზ. 9, 66; 10, 71; 10, 83; რომლისათჳსცა მეოხ არს მოტევებასა ცოდვათასა და დიდსა წყალობასა, ჭილ-ეტრ. 215 v.

მო — ედ-: რაჲთა უბრალო იპოვოს გონებაჲ შენი და თანა-მორბედ იქმნეს მაძლსა მას, სვან. 382 b.

მო — ულ: რომელნი ყოვლადვე განდგომილებასა მოსწრაფე არიან და სიკუდილსა მოხარულ, პარხ. 849 a. შეიძლება ასეთივე თვისებისა იყოს აგრეთვე „მოყუარული“: რამეთუ იყო იგი მოყუარული საქმეთა ბნელისათა, მამ. სწავ. 420.

-ულ: დაკლებულ არს იგი შუენიერებასა ხილვისასა, მამ. სწავ. 263; და იყო იგი სწავლულ ფრიად ჴელოვნად დაბადებასა, ურჰ. 317, 18; ხოლო მე (ვარ) შეცთომილი გონებასა და გარდასრული ნებასა ღმრთისასა, მამ. სწავ. 359.

-ელ: წყალობასა ღმრთისასა და შენდობასა ვერღა გულ-პყრობილ ვარ, მამ. სწავ. 429; მოიელინა... ქალწულისა, თოვილისა ქმარსა, ლ. 1, 27; მკურნალობისა მოძღურებასა ფრიად გამოცდილი, პარხ. 207 a; ხოლო მე (ვარ) შეცთომილი გონებასა, მამ. სწავ. 359; სული (არს) ბოროტსა მიდრეკილი, იქვე, 420; მორჩილ იქმენ მსახურებასა და ბრძანებასა მეფისა ჩუენისა მაქსიმიანესსა, პარხ. 1062 a.

სა — ელ: მოსაჴსენებელად სულსა მშობელთა ჩემთასა არსენისა და მარიამისსა (ტბეთის ოთხ. ანდერძი, ა. შანიძის პუბლიკაციით: მიმომხილველი, I, 1926, გვ. 222 a).

უ — ელ: ვიხილე ქალწული, გამოუცდელი ქმარსა, პარხ. 113 a; ესე არს განწმედაჲ ყოვლისაგან მწინკულისა: ...სიწმიდე გულისაჲ და სიწრფოებაჲ მოუდრეკელი ბოროტსა, მამ. სწავ. 421.

დავასახელებ კიდევ მსგავს მაგალითებს სხვა ტიპის მიმღეობებთან დაშინაარსით მათთან გათანაბრებულ (არსებით და ზედსართავ) სახელებთან:

მაშინ მოიწინეს ყოვლით სოფლით კაცნი ჰურიანი, მეცნიერნი შჯულსა მოსესსა, მოქც. 83, 4; დიდსა და კნინსა ნუ უმეცარ ხარ, ზირაქ 5, 18; რომელნი სურვიელ და წადიერ არიან წინაშძღურობასა, მამ. სწავ. (H) 109; ტრფიალ იქმენ შჯულსა მას სულიერსა, სას. პოეზ. 41, 12; მსახურნი უმსახურებელსა ამას შჯულსა ქრისტეანეთასა, კიმ. II, 21, 24; პარხ. 999 a; უფალ არს ი҃ს კაცისაჲ შაფათსაცა, მრ. 2, 28 C; რაჲთამცა ღირს იქმნა ჯუარსა ნეტარისა მის კაცისასა, ხანძთ. 137, 36; ძმაჲ ვარო თქუენი და ზიარი ჰირსა ქრისტესთჳს, თარგმ. გამოცხ. 1, 9; არა-ვარ ...ვაჭარ სიტყუასა, 2 კორ. 2, 17. ამის დამწერს ვაჭარი მიმღეობად ესმის, როგორც „განმსყიდელი“, „მომსყიდელი“, „მოფარდული“ და

მისთანა. მეტ-ნაკლებად სხვა სახელებშიც ამგვარი შინაარსი არის ჩადებული.

უბრალო დამატება მიცემითში, რომელიც დავადასტურეთ მიმღეობებთან, იშვიათად გვხვდება საწყისთანაც. საწყისი ამ შემთხვევაში არა ვითარებითში დგას, რასაც ჩვენ ზემოთ გავეცანით (გვ. 686—687), არამედ სწორედ სახელობითში. ასეთი შემთხვევების სიმცირე იმაზე მიუთითებს, რომ საწყისს უფრო ადრე გაუწყვეტია კავშირი ზმნის პირიან ფორმებთან, ვიდრე მიმღეობებს. ეს დებულება მთელი რიგი სხვა ნიშნებითაც დასტურდება. ასე, მაგალითად, საწყისში არა ჩანს ზმნის გვარი[1], მიმღეობაში კი იგი მკაფიოდ არის გამოხატული; საწყისი უძლურია უჩვენოს დრო, მიმღეობაში კი იგი ხელშესახებად არის გამოხატული და სხვა. პირიანი ზმნის ეს თვისებაც — დამატება მიცემითში მოითხოვოს — მიმღეობაში უფრო კარგად შემოგვენახა, ვიდრე საწყისში. მაგრამ, როგორც ვთქვით, იგი აქაც გვაქვს შემორჩენილი გადმონაშთის სახით. მაგალითები:

რომელ არს... **რიდებაჲ** გემოთა და **ნებასა** ჴორცთასა და **ტყუვილსა** და **ძჯრის-ჴსენებასა** და **ბოროტის-ყოფასა** მოყუსისასა, მაწ. სწავ. 174; **ჴსენებაჲ სახელსა** ღმრთისასა გამდევნელ ეშმაკთა არს, იქვე, 293; ნეტარ ვიყუნეთ ჩუენ, ცმანო, უკუეთუ არა მოვიწყინოთ **რეკაჲ კარსა** მას ქრისტესსა, იქვე, 304; და არა გნებავს **დამორჩილებაჲ ბრძანებასა** თჳთმპყრობელისა ნეფისასა, კიმ. II, 49, 8.

ზემოთ განხილულ შემთხვევებში უბრალო დამატება მიცემითში იდგა. ეს მიცემითი პირიანი ზმნის მემკვიდრეობა იყო, იქიდან ჰქონდა გადმოტანილი მიმღეობასა და საწყისს. მაგრამ ზოგჯერ გვხვდება მიცემითი უბრალო დამატებად სხვა შემთხვევებშიც, როცა სათანადო პირიანი ფორმა პირის საშუალებით არ არის დაკავშირებული მიცემითთან, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც არის მასთან წარმოდგენილი, იგი კონტექსტის შინაარსით არის გამოწვეული. ზოგჯერ ასეთი ფორმა ახალ ქართულზე „ზე“ („ში“) თანდებულის დართვას მოითხოვს. ამნაირი მიცემითიც უბრალო დამატებად უნდა მივიჩნიოთ. ამის მაგალითებია:

განმხიარულდი **ნიჰსა** მარხვისასა, უდაბნ. 52 rb; განკჳრვებულ იყვნეს იგინი **გონიერებასა** მის კაცისასა, იქვე, 32 ra. აქ შეგვეძლო ეს სიტყვა ახალ ქართულზე რომელიმე თანდებულით გვეხმარა. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ხელნაწერში ხშირად გვხვდება ზმნის ისეთი ფორმები, როგორიცაა: მ-კჳრ-ს, გ-კჳრ-ს, ჰ-კჳრ-ს (რომ არაფერი ვთქვათ **უკჳრს**, **უკჳრდა**-ს შესახებ) და შესაძლებელია ეს მიცემითი აქედან იყოს გადმოტანილი და

[1] ისეთი შემთხვევები, როცა საწყისი ზმნის გვარსაც ასახავს, ძალზე იშვიათია და საერთო წესს ვერ დაარღვევს. ასეთი იშვიათი ფორმებია დღეს ტეხა (მოქმედ. გვ.) და ტყდომა (ვნ. გვ.), წყვეტა (მოქმ. გვ.) და წყდომა (ვნ. გვ.), ხეთქა (მოქმ. გვ.) და ხდომა (ვნ. გვ.), მაგრამ თამამად შეიძლება ამ წყვილთა პირველი ფორმები მეორის ნაცვლად გამოვიყენოთ, მაგალითად: ჰიქა გატყდა — ჰიქის გატეხა, თოკი გაწყდა —თოკის გაწყვეტა და სხვა. (იხ. ა. შანიძე, გრამატ. საფუძვ., გვ. 577).

არსებითად ესეც წინა მუხლში განხილულთა ტიპისა იყოს. მაგრამ ყველა აქ მოყვანილი მაგალითის შესახებ ეს არ ითქმის.

არის კიდევ სხვა შემთხვევები, როცა მიცემითში დასმული სახელი უბრალო დამატებად გვევლინება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას რამე თანდებული ახლავს (უპირატესად „შინა“ და „ზედა“...), მაგალითად:

ვითარცა **ავაზაკსა** ზედა გამოხუედით მახჳლითა და წათებითა შეპყრობად ჩემდა, მ. 26, 55; მრ. 14, 48; ლ. 22, 52; და მოართუა თავი მისი **ლანკლასა** ზედა, მრ. 6, 28 C; **კუართსა** ჩემსა ზედა განიგდეს წილი, მ. 27, 35; და რომელი დაეცეს **ლოდსა** მას ზედა, შეიმუსროს; და **რომელსა** ზედა დაეცეს, განაბნიოს იგი, მ. 21, 44 C; ...მასვე **საშჯელსა** შინა ხარ, ლ. 23, 40; იყო რაჲ იგი **ტანჯვასა** შინა, ლ. 16, 23; ოც და ათრვამეტი წელი დაეყო **უძლურებასა** შინა, ი. 5, 5; რომელთა **შფოთსა** შინა კაცი ეკლა, მრ. 15, 7; რომელი ცნებაჲ უფროჲს არს **შჯულსა** შინა, მ. 22, 36.

მაგრამ ამნაირი შემთხვევები საყოველთაოდ ცნობილია და გავრცელებული ენაში. ამიტომ მათზე აღარ განვაგრძობ საუბარს.

დავსძენ ბოლოს, რომ ამ მუხლში განხილული ყველა შემთხვევა მიცემითს გავრცობილი ნიშნით წარმოგვიდგენს მხოლოდ (ს-ა).

5. მიცემითი ადგილის გარემოებად

მიცემითის ერთ-ერთი უძველესი ფუნქციაა გადმოსცეს ადგილის გარემოება. ადგილის გარემოების გამოხატვისას უნდა განვიხილოთ სამი შემთხვევა: ადგილის გარემოება გადმოცემულია მიცემითით, რომელსაც

ა) მარტივი ნიშანი აქვს (წარვიდა უდაბნო-ს),

ბ) გავრცობილი ნიშანი აქვს (შეაყენა იგი საპყრობილე-ს-ა),

გ) ერთვის თანდებული (უმთავრესად „შინა“ და „ზედა“; ბრუნვის ნიშანი აქ ჩვეულებრივ სრულია, იშვიათად — მარტივი: გზებსა ზედა, დაბასა შინა, საპყრობილეს შინა). განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე.

ა) მიცემითი მარტივი ნიშნით

ადგილის გარემოების გადმოცემისას მარტივი ნიშანი აქვს ადგილის ზმნიზედებს: **ახლო-ს, შორ-ს**; მარტივი ნიშანი აქვს აგრეთვე საზოგადო სახელებს, როგორიცაა: **ზეცას, ზესკნელს, ქუესკნელს, ჯოჯოხეთს, უდაბნოს, სამოთხეს** და სხვა. ყველა ამ საკითხზე ლაპარაკია ზემოთ (გვ. 143 — 146), საილუსტრაციო მასალაც იქვეა მოყვანილი და აქ აღარ გავიმეორებთ. დასასრულ, მარტივი ნიშანი აქვს აგრეთვე გეოგრაფიულ სახელებს, მაგრამ ეს საკითხიც განხილულია ზემოთ თავის ადგილას (გვ. 397 — 400) და აქ არც ამას გავიმეორებთ.

ბ) მიცემითი გავრცობილი ნიშნით

ეს მეორე შემთხვევა I-ის განვითარების შემდგომი საფეხური უნდა იყოს: შეაყენა იგი **საპყრობილესა** (მ. 14, 3) თავდაპირველად იქნებოდა: შეაყენა იგი **საპყრობილეს**. ემფატიკური ა მერმეა დართული უფრო გვიან მომძლავრებული ანიანი ფორმების ანალოგიით. ფრიად დამახასიათებელია, რომ ერთი და იგივე სახელი ერთნაირ გამოთქმაში ერთ ხელნაწერში მარტივი ნიშნით არის გადმოცემული, მეორეში — გავრცობილით: **საპყრობილესა** ვიყავ, და მოხუედით ჩემდა, მ. 25, 36 DE, მაგრამ: **საპყრობილეს** ჰკყავ C. უფრო ძველი ვითარება, როგორც მოსალოდნელი იყო, C-ს აქვს დაცული. ასეთი შეფარდება ხშირია როგორც ამ ხელნაწერებში, ისე სხვებშიც. აქ ერთი კია აღსანიშნავი: **უფრო მეტად** მარტივი ნიშანი მაშინ აქვს სახელს, როცა **მიმართულებაა** აღსანიშნავი, ხოლო როცა **ადგილმდებარეობაა** გამოსახატავი, **უფრო მეტად** სახელს ს-ა სუფიქსი მოეპოვება. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს ხდება **უფრო მეტად**. საერთოდ კი ორივე აღნიშნული შინაარსის გადმოცემისას **შეიძლება** შეგვხვდეს ერთიცა და მეორეც. სხვა მაგალითები:

მწუხრსა მივიდა **სავანესა** მას პავლესსა, PO, 102, 4; შევიდეთ **ქალაქსა** და გამოვიღოთ იგი, 4 მეფ. 7, 12; რაჲთუ მიიტაცა (იგი) **სამოთხესა**, 2 კორ. 12, 4; შევიდა ბანად **აბანოსა** მას, კიმ. I, 96, 2; დაჰკრძალნეს იგინი **ტაძარსა** მას შინა: ამბა კჳროს და იოვანე[1]. ერთსა შინა **ლუსკუმასა**, და წმიდანი იგი ქალწულნი და დედაჲ მათი—ერთსა **ლუსკუმასა** თჳსაგან, იქვე, 111, 32 — 33; შევიდა **სამარხოსა** პეტრესსა, იქვე, 67, 9 (აქ შესაძლებელია ემფატიკური ა მსაზღვრელის გამო იყოს გამოწვეული); ცათა შინა დგა დასი ანგელოზთაჲ: ერთი **აღმოსავალსა** და ერთი დასავალს, იქვე, 69, 31. ეს უკანასკნელი მაგალითი წარმოადგენს იმ რყევის ნათელ სურათს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძველ ქართულში: ძველი ფორმის გვერდით („დასავალს") სრულიად გაუჩერებლად დგას ახალი „აღმოსავალსა".

დასასრულ, ერთი საინტერესო მაგალითი კიდევ:

რამეთუ გუელსა მას **ენასა** თჳსსა აქუს გესლი იგი, ხოლო ღრიაკალსა — **ბოლოსა**, სვან. 394 b.

გ) მიცემითი თანდებულით

აქ, როგორც ვთქვით, გვაქვს „ზედა", „შინა", „შორის" თანდებულიანი მიცემითი. იშვიათად სხვა თანდებულიც არის. თანდებულის დართვა, როგორც ჩანს, ყოველთვის არაა აუცილებელი, რადგან თანდებულიანი და უთანდებულო ფორმები ერთმანეთს ხშირად ენაცვლება, მაგალითად: ქადაგებდა **შესაკრებელთა** მათთა, მრ. 1, 39 DE, მაგრამ: ქადაგებდა **შესაკრებელთა შინა** მათთა C. გვხვდება შებრუნებული მდგომარეობაც: ასწავებდა

[1] გამოც.: იოვანჱ.

მათ **შესაკრებელთა შორის** მათთა, მ. 13, 54 DE, მაგრამ: ასწავებდა მათ **შესაკრებელთა** მათთა C. რაც შეეხება ბრუნვის ნიშანს, ესეც რყევას განიცდის: თანდებულთან უფრო ხშირად სრული (ს-ა) ნიშანი გვაქვს, მაგრამ არის ხანდახან მარტივი (ს) ნიშანიც, მაგალითად: იოვანეს რაჲ ესმნეს **საპყრობილესა** შინა საქმენი იესუჲსნი, მ. 11, 2 DE, მაგრამ: **საპყრობილეს** შინა C. მარტივი ნიშანი უფრო ძველ ხელნაწერებს ახასიათებს, მათ შორის ადიშის ოთხთავსაც. მაგალითები:

ზედა თანდებულით

ქუეყანასა ზედა დიდებულო და ზეცას პატივცემულო, PO, 85, 13; რომელი შეჰკრა **ქუეყანასა ზედა**, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჴსნა **ქუეყანასა ზედა**, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა, მ. 16, 19; ვინაჲ ძალ-გჳც აქა განძღებად ესოდენი ერი **უდაბნოსა ზედა**, მრ. 8, 4; პოეს კიცჳ დაბმული კართა თანა **უბანსა ზედა**, მრ. 11, 4 C.

შინა თანდებულით

შენ ჰზი **უდაბნოსა შინა**, კიმ. I, 206, 22; ესმა, რამეთუ **სახლსა შინა** არს, მრ. 2, 1; მოუჴდეს მას ბრმანი და მკელობელნი **ტაძარსა მას შინა**, მ. 21, 14; ეძინა მას **სასუენებელსა შინა** თჳსსა, 2 მეფ. 4, 5; მოკუდა მდიდარი იგი და დაეფლა სულით და ჯორცით **ჯოჯოხეთს შინა**, ბოლნ. 71, 14; არცა კასტელს და არცა ლავრასა **სენაკსა შინა** უტევის ყოფაჲ მათ, კიმ. II, 159, 20.

ეს უკანასკნელი მაგალითი მეტად ძვირფასი ჩვენების შემცველია: ამ ერთ მაგალითში გვაქვს ზემოთ მითითებული **სამივე** საშუალება ადგილის გარემოების გადმოცემისა: ა) მარტივი ნიშნით: **კასტელ-ს**, ბ) სრული ნიშნით: **ლავრა-ს-ა**, გ) თანდებულით: **სენაკსა შინა**.

შორის თანდებულით

სხუაჲ დავარდა **ეკალთა შორის**, მ. 13, 7; ცხგავს არს იგი ყრმათა, მსხდომარეთა **შორის უბნებსა**, მ. 11, 16 C (DE-ში ეს სიტყვა **ზედა** თანდებულით გვაქვს: უბანთა ზედა); ასწავებდა **შესაკრებელსა შორის** მათსა, მ. 4, 23 DE (C-ში ეს სიტყვა **შინა** თანდებულითაა მოცემული: **შესაკრებელთა შინა** მათთა).

გარე თანდებულით

რომელი **ველსა გარე** იყოს, ნუ უკუნიქცევინ, მ. 24, 18; ორნი იყვნენ **ველსა გარე**, მ. 24, 40; კაცი იგი... **საფლავებსა** და **მთათა გარე** იქცევინ, მრ. 5, 5 (C-ში **გარე**-ს **შინა** ცვლის: **სამარობანსა შინა** და **მთათა შინა**); იყო მუნ კოლტი ღორთაჲ დიდძალი, **მთასა გარე** მძოვარი, მრ. 5, 11 (აქ **გარე**-ს ადიშში **თანა** თანდებულით ცვლის: **მთასა თანა**).

6. მიცემითი დროის გარემოებად

დროის გარემოების გამოხატვაც მიცემითის ერთ-ერთი უძველესი ფუნქციაა. დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები მიცემითში დროის გარემოებად ჩვენ დღემდისაც გვაქვს. ასეთია: დღეს, საღამოს, დილას. ასეთია აგრეთვე შაბათს, კვირას, ორშაბათს და სხვა.

ძველ ქართულში მიცემითი დროის გარემოებად სამი სახით იყო გამოყენებული:

ა) მარტივი ს ნიშნით,

ბ) გავრცობილი ს-ა ნიშნით,

გ) მიცემითის ფორმაზე დართული თანდებულით.

შევეხოთ ამათ ცალ-ცალკე.

ა) მიცემითი მარტივი ნიშნით

ერთი მხრივ, აქ გვაქვს ძველ ქართულში კარგად ცნობილი ზმნიზედები: **დღეს, რაჟამს, წუსწუთ, შეყს** და სხვა. მეორე მხრივ, აქვეა დროის აღმნიშვნელი სხვა ლექსიკური ერთეულები, რომელთაც მიცემითის მარტივი **ს** ნიშანი აქვთ: **შუა-ღამეს, სამხარს, ცისკარს, დღე-ხაშუალს** და სხვა. ყველა ეს და სხვა მსგავსი სახელები განხილულია ზემოთ (გვ. 147 — 149), მაგალითებიც იქვეა მოყვანილი და აქ, რა თქმა უნდა, არაა საჭირო მათი განმეორება.

ბ) მიცემითი გავრცობილი ნიშნით

გავრცობილი ნიშნით შეიძლება შეგვხვდეს იგივე სახელები — გარკვეული დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: დღესა, თთუესა, წელსა, ღამესა, ცისკარსა, მწუხრსა, ჟამსა და სხვა. მიმართება „ცისკარს“ და „ცისკარსა“-ს შორის ისეთივეა, როგორიც იყო „უდაბნოს“ და „უდაბნოსა“-ს შორის: პირველი უფრო ძველია, მეორე — ახალი, რომელსაც სხვა სახელების ანალოგიით აქვს დართული ემფატიკური ა. მაგალითები:

მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა **დღესა**, ი. 6, 44; **დღესა** მას აღდგომისასა არცა განჰქორწინებდენ, არცა იქორწინებოდიან, მ. 22, 30; **თთუესა** მეექუსესა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ, ლ. 1, 26; უტევე ეგე ამასცა **წელსა**, ლ. 13, 8; ორმეოც და ექუსსა **წელსა** აღეშენა ტაძარი ესე, ი. 2, 20; **შოვა-ღამესა** ოდენ ღაღადებაჲ იყო მ. 25, 6 D; უკუეთუ ვინმე ვიდოდის **ღამესა**, ი. 11, 10; თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას **ღამესა**, მ. 26, 31; **განთიადსა** მას ერთშაბათისასა მოვიდეს საფლავსა მას ზედა, მრ. 16, 2; **ცისკარსა** მსთუად მოვიდეს საფლავსა მას, ლ. 24, 1 DE; **მწუხრსა** მივიდა სავანესა მას პაულოსა, PO, 102, 4; რომელთა მოსცენ ნაყოფი **ჟამსა** თჳსსა, მ. 21, 41.

ასევე მიცემითის სრული ნიშნით არის წარმოდგენილი დღეებისა და თვეების სახელები: **შაბათსა** განკურნა იგი იესუ, ლ. 13, 14. ასევეა ამ

სიტყვისაგან შემდგარი სხვა კომპოზიტებიც, მაგალითად, ერთშაბათი, რომელიც ძველ ქართულში „კვირა დღეს“ (воскресенье) აღნიშნავდა: განთიად **ერთშაბათსა** მას მოვიდეს სამარესა მას ზედა, მრ. 16, 2 C; მე-გ´-სა **ორშაბათსა**, ჭილ-ეტრ. 94, 4; მე-გ´-სა **სამშაბათსა**, იქვე, 94, 8; მე-გ´-სა **ოთხშაბათსა**, იქვე, 95, 21; მე-გ´-სა **ხუთშაბათსა**, იქვე, 96, 7; მე-გ´-სა **შაბათსა**, იქვე, 99, 16; მე-ბ´-სა **კუირიაესა** ფსალმუნი, იქვე, 88, 10 (კუირიაესა ← კუირიაკესა); თთუესა **აგუსტოსა** გ´-სა. დღესა **შაბათსა**... ქალაქი ტფილისი დაწუა ბუღა (ატენის წარწ.); ესე ჯუარი აღჰუმართე... **ნოენბერსა** ი´ზ (წყისის წარწერა); აღსრულებაჲ მისი (არს) თთუესა **ოკდონბერსა** ათჩჳდმეტსა, შუშ. 160, 5.

ზოგჯერ დროის გარემოებას გადმოსცემს აგრეთვე მიცემითში დასმული საწყისიც; მისი მნიშვნელობა იქნება: ...ის დროს, მაგალითად: სწავლა-სა=დასჯის დროს, შესლვასა=შესვლის დროს, დუმილსა=დუმილის დროს, ბრძოლასა=ბრძოლის დროს, უდაბნოს ყოფასა=უდაბნოში ყოფნის დროს და სხვა. ამნაირი ფორმები ძველ ქართულში ძალიან გავრცელებულია და დიდ პატივშიც არის. მაგალითები:

დუმილსა ჩემსა მელოდიან და **სიტყუასა** მერჩდენ, სიბრძ. 8, 12. ამის შინაარსი ასეთია: ჩემი დუმილის დროს (ე. ი. როცა მე გაჩუმებული ვიქნები) ისინი ლოდინს დამიწყებენ (დამელოდებიან) და (ჩემი) ლაპარაკის დროს (ე. ი. როცა მე ლაპარაკს დავიწყებ) მომისმენენ. აი შესატყვისი რუსული თარგმანი: Когда я буду молчать, они будут ожидать, и когда начну говорить, будут внимать. სხვა მაგალითები:

შვილო, ნუ სულმოკლე იქმნები **სწავლასა** უფლისასა, იგავ. 3, 11 (=უფლის მიერ **დასჯის დროს**, **დასჯისას**); გინა **უდაბნოს ყოფასა** ყოლადვე გამოიხატეთ ჯუარი ყოველთა ასოთა თქუენთა, შამ. სწავ. 297; **ქალწულებასა** ნუუკუე საგმობელ იქმნეს და **საქმროსლა** იყოს, ნუუკუე სცთეს, ზირაქ 42, 10. ქალწულებასა=ქალწულობის დროს, გათხოვებამდე, საქმროსლა=გათხოვების შემდეგ, ქმრის ხელში ყოფნისას. რუსულ თარგმანში იკითხება: в девстве, в замужестве, რაც ძალიან კარგად უდგება ქართული ფორმების შინაარსს. აღსანიშნავია, რომ **ქალწულებასა** (=საწყისი) მიცემითის სრული ნიშნითაა გადმოცემული, მაგრამ **საქმროსლა** (არს. სახ.) — არა, მას მარტივი ჲ ნიშანი აქვს მხოლოდ. მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს:

მარიამ შეშინებულ იყო **შესლვასა** მას ანგელოზისასა, ხოლო უფროჲს შეძრწუნებულ იყო **ჴმასა** მას მოკითხვისასა, პარხ. 23 a. შესლვასა=შესვლის დროს, ჴმასა მოკითხვისასა — მოკითხვისას.

შეიძლება აქ აღნიშნული ნიმუშის მსგავსი იყოს ქვემოთ მოყვანილი ორი ადგილიც:

წიგნის-კითხვასა სურვიელ არნ; **მარხვასა** — მოსწრაფე და **ლოცვასა** — გულს-მოდგინე, **ჴელთ-საქმარსა** — უცონელ და **მიცემა-მოღებასა** — მარტივ; ყოველსა **ბრძანებასა** — მორჩილ და **სიტყჳს-გებასა** — სულგრძელ, მამ. სწავ. 337; არნ იგი... **ლოცვასა** დაჴსნილ და **მარხვასა**—მოწყინე, **ღამის-თევასა** — მცონარ და **ცუდის-მეტყუელებასა** — მოსწრაფე, **წიგნის-კითხვასა** — მძინარე

და **ზლაპრობასა** — მღვძარე, **მარხვასა** — მოლალე და **ჯელთ-საქმარსა** — მოზარე, **ბოროტისათჳს** — ახოვან და **კეთილისათჳს** — ჩუკენ, იქვე, 338.

თუ ზოგი ხაზგასმულ ფორმათაგანი შეიძლება კაცმა უბრალო დამატებად გაიგოს (წიგნის-კითხვასა სურვიელ=წიგნის კითხვის მსურველი), ზოგი მათგანი არავითარ ეჭვს არ ტოვებს, რომ იგი დროის გარემოებაა: **წიგნის-კითხვასა მძინარე** ნიშნავს მხოლოდ ამას: წიგნის **კითხვის დროს** მძინარე, **ზლაპრობასა** მღვძარე=ზლაპრის თქმის დროს მღვიძარე და სხვა. ამიტომ მთლიანად ორივე კონტექსტი ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის ილუსტრაციისათვის არის გამოსადეგი.

დროის გარემოების ამ ხაზის გაგრძელებაა დღეევანდელი ქართულის ნათესაობით-მიცემითის (ორმაგი ბრუნვის) ფორმები საწყისისა, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს შემორჩენილი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი ფორმები, როგორიცაა: **მისვლისას** უთხრა, **წასვლისას** კარი გაიხურა, **კითხვისას** ერთი ჩაახველა, **გაცინებისას** ოქროს კბილი გამოუჩნდა, **დაწოლისას** კარი დაკეტა და სხვა. აქაც მისვლისას=მისვლის დროს, კითხვისას—კითხვის დროს, დაწოლისას—დაწოლის დროს და სხვა[1].

გ) მიცემითი თანდებულით

აქ გვხვდება თანდებული **შინა**, რომელიც ერთვის მიცემითის სრულ ფორმას:

აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულად დრაჰკანი **დღესა შინა**, მ. 20, 2; მას **დღესა შინა** მოუჴდეს მოწაფენი იესუს, მ. 18, 1 C.

მაგრამ ამ **შინა**-ს დართვა რომ არ არის ყოველთვის **აუცილებელი**, ეს იქიდან ჩანს, რომ გვხვდება პარალელური ადგილები, რომელთაგან ერთს აქვს დართული **შინა** თანდებული, მეორე კი უთანდებულოა, მაგალითად:

მას **დღესა შინა** ჰსცნათ თქუენ, ი. 14, 20 DE, მაგრამ: მას **დღესა** უწყოდით თქუენ, იქვე C; და მის თანა დაადგრეს მას **დღესა შინა**, ი. 1, 39 DE, მაგრამ: და მის თანა დაიყოვნეს მას **დღესა**, იქვე C; მას **დღესა შინა** სახელითა ჩემითა ითხოვოთ, ი. 16, 26 DE, მაგრამ: მას **დღესა** ითხოვდეთ სახელითა ჩემითა, იქვე C.

ჩვენს მაგალითებში უთანდებულო ფორმებს ადიშის ძეგლი გვაწვდის, თანდებულიანებს — ჯრუჭ-პარხლისა.

უეჭველია, ამ პარალელური ფორმებიდან სწორედ უთანდებულო წარმოებაა უფრო ძველი და პირველადი, თანდებულიანი ფორმები მერმინდელი და ახალი უნდა იყოს. „მას დღესა“-ს შემდეგ დაემატა **შინა** თანდებული და არა „მას დღესა **შინა**“-ს ჩამოსცილდა იგი.

---

[1] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, 1952, გვ. 35.

7. მიცემითი რთულ ზმნებში

მიცემითი ბრუნვა ფართოდაა გამოყენებული რთულ ზმნებში, როგორიცაა (პირიანი ფორმები რომ ავიღოთ მაგალითებად): თავს-იდვა, გულს-იდგინა, კუალს-იდგინებენ, გულს-ეტყოდა, გულს-ედგა, გულს-ედვა, გულს-მიგდებდეს, ჯუარს-აცუა და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში სახელი მიცემითშია მუდამ მარტივი ნიშნით არის წარმოდგენილი. ეს მარტივი ს ნიშანი ზოგჯერ ზმნას გადაჰყვება საწყისსა და მიმღეობაშიც: თავს-დება, გულს-დგინება, გულს-მოდგინე, ჯუარს-ცუმა, ჯუარს-ცუმული და სხვა.

ზოგჯერ მიცემითი მრავლობითის ფორმით გვაქვს წარმოდგენილი: თუალთ-უყოფდეს, ჴელთ-გჳგდებიე, ჴელთ-ედვა და სხვა.

ყველა ამაზე დაწვრილებით არის საუბარი ზემოთ, სათანადო ადგილას (გვ. 135—143) და აქ არ არის საჭირო განმეორება.

8. მიცემითი უფროობითი ხარისხის ფორმებთან

უფროობითი ხარისხის ფორმები, როგორც გარკვეულია ლიტერატურაში[1], ზმნური წარმოშობისაა. სწორედ ამიტომაა, რომ მასთან დასმული ობიექტი (შესადარებელი საგანი) უძველეს ძეგლებში სწორედ მიცემითშია დგას. მაგალითები:

რაოდენ უმჯობეს არს კაცი **საცხოვარსა**, მ. 12, 12 D; რომელი იყო ფრიად უმშჳდეს და უდარეს **საშინელებასა** მას მეორედ მოსლვისა მისისასა, მამ. სწავ. (H) 18 v; რომელთა მიერ მოსწყდეს არა უმცროჲს **მესამედსა ნაწილსა** კაცთასა, თარგმ. გამოცხ. 8, 7; არა არს წყლულებაჲ უბოროტეს **წყლულებასა** სიცრუვისა და ტყუვილისისა, მამ. სწავ. 345. სხვა მაგალითები და საკითხის განხილვა ნ. ზემოთ, გვ. 441 — 452.

9. მიცემითი „ვიდრე"-სთან

მიცემითი ბრუნვა გვხვდება ორი საგნის თუ ორი მოვლენის შედარებისას, როცა ერთ-ერთი მათგანი ასარჩევია, ხოლო მეორე დასაგმობია და უკუსაგდები. ეს ორი ოდენობა ყოველთვის შეერთებულია კავშირით „ვიდრე".

ის მოვლენა (თუ საგანი), რომელიც, დამწერის აზრით, უმჯობესად არის მიჩნეული, „ვიდრე"-ს წინ არის მოქცეული და აზრის მიხედვით სათანადო ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო დასაწუნი და დასაგმობი ოდენობა „ვიდრე"-ს შემდეგ არის მოქცეული და მიცემითში დგას. რადგანაც ამ ორ ოდენობას ერთმანეთს ადარებენ და ერთ-ერთს (პირველს) ირჩევენ, ამიტომ ამ უკანასკნელს ჩვეულებრივ უძღვის წინ „უმჯობეს არს", ზოგჯერ: „აღირჩევდეს" და მისთ. ამის მაგალითებია:

---

[1] ა. შანიძე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში: თბილ. უნივ. შრომები, ტ. I, 1936.

კეთილ არს სასოებაჲ უფლისაჲ, ვიდრე სახოებასა კაცთასა, ფსალმ. 117, 8; კეთილ არს სასოებაჲ უფლისაჲ, ვიდრე სახოებასა მთავართასა, იქვე, 117, 10; უმჯობეს არს შენდა ერთ-თუალისაჲ შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორთა თუალთა სხმასა და შთავრდომად გეჰენიასა, მ. 18, 9; უმჯობჱს იყო ჩუენი არა ყოფაჲ, ვიდრე ყოფასა ამას და უღმრთოებით ცხორებასა, 3 ეზრა 4, 12; უმჯობჱს არს სახელი კეთილი, ვიდრე სიმდიდრესა მრავალსა, იგავ. 22, 1; ულირსე[1] სარწმუნო (არიან) წყლვანი მეგობრისანი, ვიდრე ნეფსით **ამბორის-ყოფასა** მტერისასა, იქვე, 27, 6; კეთილ არს ზრახვაჲ ესე ჭუშისაჲ რაქეანისაჲ, ვიდრე **ზრახვასა** მას აქიტობელისსა, 2 მეფ. 17, 14; რაჲთუ აღირჩიეს სიკუდილი, ვიდრე **ცხორებასა**, იერ. 8, 3; და თუ შემეტყუების და შეჰგავს მორჩობითა სიკუდილი, ვიდრე **ცხორებასა** მოჴსენებითა ამათ საქმეთაჲთა, პარხ. 776 a; რამეთუ აღირჩიეს სიკუდილი ლაჳრასა შინა მათსა, ვიდრე სიჳლტოლით **განრინებასა** მოსისხლეთა მათგან, იქვე, 919 a.

ზოგჯერ ვიდრე-ს ღა ნაწილაკი ახლავს, რაც ძალიან უწყობს ხელს სათანადო შინაარსის გამოხატვას:

გამოირჩია მიერდმამაჲ სახლსა ღმრთისასა[2], ვიდრეღა ერისკაცობით **ცხორებასა**, კიმ. II, 142, 6; უმჯობეს არს ჩემდა, რაჲთა არა ვქმნე და შევარდე ჴელთა თქუენთა, ვიდრეღა **ცოდვასა** წინაშე უფლისა, დანიელ 13, 23; წყლულებაჲ უმჯობეს არს, ვიდრეღა **განშორებასა** შენსა, იერუსალჵმ, გუემაჲ და სიკუდილი უმჯობეს არს, ვიდრეღა **დატევებასა** შენსა, წარტყ. 37, 25.

ზოგჯერ „ვიდრე“-ს მოჰყვება ხოლმე უარყოფითი ნაწილაკი „არა“. ერთი შეხედვით ეს უცნაური დამატება ამ ნაწილაკისა ნამდვილად ფრიად საჭიროა და ძალიან კარგად არის შეხორცებული ამ გამოთქმის სულსა და გულთან. ჩვენ უკვე ვთქვით ზემოთ, რომ ორი შესადარებელი ოდენობის ის ნახევარი, რომელიც „ვიდრე“-ს მოჰყვება (ე. ი. შედარების II ნაწილი), ავტორის აზრით, უარსაყოფი და დასაგმობია. ეს უარყოფა ფორმალურადაც არის გამოხატული „არა“-ს სახით. აი ამის მაგალითები:

მჴეცთაცა აღირჩიეს სიკუდილი, ვიდრე არა **შეხებასა** ჴორცთა მოწამეთა შენთა(სა), კიმ. II, 25, 25; უმჯობე არს შენდა შესლვად ცხოვრებასა მკელობელისაჲ ანუ უჴელოჲსაჲ, ვიდრე არა ორთა ჴელთა ანუ ორთა ფერჴთა **დგმასა** და შთავრდომაჲ ცეცხლსა საუკუნესა, მ. 18, 8 C; უადვილეს არს მისა, უკუეთუმცა ლოდი ფქვილისაჲ ზედა ედვა ქედსა და შთავრდომილ იყო ზღუასა, ვიდრე არა **დაბრკოლებასა** ერთსა ამას მცირეთაგანსა, ლ. 17, 2.

თუ „ვიდრე“-ს ღა ნაწილაკიც აქვს დართული, მაშინ მივიღებთ საკმაოდ გრძელ კავშირს (უარყოფითი ნაწილაკითურთ):

---

[1] ხელნ.: ულირსჵ.

[2] გამოც.: ღმრთისსა.

აღირჩევდეს სიკუდილსა, ვიდრეღა არა ჯუარისა მის ფერჴითა დატკებნასა, წარტყ. 45, 24; უმჯობეს არს შენდა ერთ-თუალისაჲ შესლვად ცხორებასა, ვიდრეღა არა ორთა თუალთა ხმასა და შთავრდომად გეჰენიასა ცეცხლისასა, მ. 18, 9 C; უმჯობეს არს შენდა ერთ-ჴელისა ცხორებასა შესლვაჲ, ვიდრეღა არა ჲრთა ჴელთა დგმასა და მისლვად ცეცხლსა მას დაუშრეტელსა, მრ. 9, 43 C; რამეთუ დიდად უმჯობჱს არს შეტყუებაჲ, ვიდრეღა არა გულის-წყრომასა, ზირაქ 20, 1.

ზოგ ხელნაწერში „ღა"-ს ბოლო ა და „არა"-ს პირველი ა შერწყმულად არის წარმოდგენილი (კრაზისი) და გამოთქმა ასეთ სახეს ატარებს: სჯობს მცირედი მრავლისაჲ, ვიდრეღარა (=ვიდრეღა არა) მრავალსა მას სიმდიდრესა, ფსალმ. 36, 18.

ამ მაგალითების გაცნობის შემდეგ დავსვათ კითხვა: რატომ იხმარება ასეთ კონსტრუქციებში მიცემითი? აქ ხომ (დღევანდელი ქართულის მიხედვით) სახელობითი იყო მოსალოდნელი? თუ კარგად დავაკვირდებით ჩვენს მაგალითებს, დავინახავთ, რომ შედარების I ნაწილში თითქმის ყველგან წარმოდგენილია რომელიმე ზედსართავი უფროობითი ხარისხის ფორმით. აბსოლუტურად უმეტეს შემთხვევაში აქ გვეცნება „უმჯობჱს" (უმჯობეს, უმჯობე), შემდეგ — სხვებიც (უადვილეს, უკეთეს, უღირსე...). უფროობითი ხარისხის ფორმები კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორედ მიცემითში მოითხოვს იმ სახელს, რომელიც შედარების საგნად არის აღებული. მაგალითად:

არა არს სჱუა სიბოროტე. უფროჲს სიბოროტესა მას დედაკაცისასა, ზირაქ 25, 18; ყოველივე სიბოროტჱ უმცირჱს არს სიბოროტესა მას დედაკაცისასა, იქვე, 25, 21; რაჲ უსუბუქე არს განსუენებასა კაცისასა, მამ. სწავ. 91; რომელი იყო ფრიად უმშჳდეს და უდარეს საშინელებასა მას მეორედ მოსლვისა მისისასა, მამ. სწავ. (H) 18 v[1].

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ უფროობითი ხარისხის ფორმები შესადარებელ საგანს სწორედ მიცემითში მოითხოვს. ასეა ჩვენს მაგალითშიც. იქაც შედარება გვაქვს, იქაც უფროობითი ხარისხის ფორმებია; ესაა ოღონდ, რომ ჩვენს მაგალითებში ის, რაც უნდა შეედაროს, და ის, რასაც უნდა შეედაროს, ერთგვარი ბარიერით არის გაყოფილი. ეს ბარიერია კავშირი ვიდრე (ვიდრეღა, ვიდრეღა არა). მაგრამ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ბარიერი ვერ ქმნის დაბრკოლებას და უფროობითი ხარისხის ფორმებს ვერ უშლის ხელს შესადარებელი სახელისაგან მისთვის შესაფერი ბრუნვა (მიცემითი) მოითხოვოს. მართლაც, ეს ბარიერი რომ მოიხსნას, ჩვენ მივიღებთ სრულიად ჩვეულებრივს ფრაზას, რომელიც უფროობითი ხარისხის ფორმებისათვის არის ტიპური და დამახასიათებელი. მაგალითად: უმჯობჱს არს სახელი კეთილი (ვიდრე) სიმდიდრესა მრავალსა (იგავ. 22, 1).

---

[1] ნ. სხვა მაგალითები ზემოთ, გვ. 445—446.

მაგრამ რა უნდა ითქვას ისეთი შემთხვევების შესახებ, სადაც არ მოიპოვება უფროობითი ხარისხის ფორმა, მაგრამ მიცემითი ბრუნვა კი მაინც არის წარმოდგენილი? ასეთი შემთხვევები ერთობ მცირეა და შეგვეძლო უფროობითი ხარისხის ფორმების ანალოგიით აგვეხსნა. მაგრამ ამის გარეშეც არ არის ძნელი მისი გაგება. როცა იშვიათად უფროობითი ხარისხის ფორმები არაა მოცემული, ყველაზე ხშირად მათ ნაცვლად გვხვდება ზმნები „აღირჩევდეს", „აღირჩიეს", „სჯობს". არაფერი რომ არა ვთქვათ „სჯობს"-ის შესახებ (რომელიც ისეც მოითხოვს მიცემითს), „აღირჩიეს" თავისთავად ნიშნავს ორიდან (ჩვენს შემთხვევაში ორიდანაა ასარჩევი) ან მეტიდან ერთის არჩევას. შინაარსითაც ახლოა ეს „უმჯობეს"-თან; აღირჩიეს, ე. ი. უმჯობესად მიიჩნიეს, უმჯობესად ჩათვალეს. ასეა თუ ისე, ასეთი შემთხვევები, ვიმეორებ, მეტად მცირეა და საერთო ფონზე მათი ახსნა განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენს.

იშვიათად მიცემითის ნაცვლად ჩვენ მიერ აღნიშნულ კონსტრუქციაში ნათესაობითიც გვხვდება: უმჯობეს არს ყოფაჲ ყურესა[1] ერდოჲსასა, ვიდრე-ღა დედაკაცისა მაგინებელისა სახლსა შინა ზოგადსა, იგავ. 25, 24. მაგრამ ამასაც მოეპოვება ახსნა: უფროობითი ხარისხის ფორმები ზოგჯერ ნათესაობითსაც მოითხოვს, მაგალითად: შუენიერ არიან ძუძუნი შენნი უფროჲს ღჳნისა, იპოლ. 2, 7[2].

ამნაირად, ზემოთ აღნიშნულ კონსტრუქციაში „ვიდრე"-ს შემდეგ მიცემითი ბრუნვა უფრო ძველ და ნამდვილად შესაფერ ბრუნვად უნდა იქნეს ცნობილი; „ვიდრე"-ს შემდეგ „არა"-ს დასმაც ამ კონსტრუქციის შინაარსით არის მოთხოვნილი და სათანადო შემთხვევებშიც უპირატესობა მას უნდა მიეცეს. ისეთი შემთხვევები, სადაც „არა" გვაკლია, ეს უფრო ძველ ვითარებას კი არ გვიჩვენებს, არამედ ამ „არა"-ს ჩამოცილების შედეგია. შემთხვევითი არაა, რომ უფრო ძველი წარმოშობის ძეგლებში ამ ნაწილაკიანი ფორმები სჭარბობს (მაგ. ადიშის ოთხთავში), უფრო მერმინდელებში კი უფრო ხშირია გამარტივებული, „არა"-დაკარგული ფორმები (მხოლოდ „ვიდრე").

---

[1] ხელნ.: ყორესა.

[2] ნ. სხვა მაგალითები ზემოთ, გვ. 446.

თავი მეხუთე

ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციები

ნათესაობითი ბრუნვა ერთ-ერთი უძველესი და ძირითად ბრუნვათაგანია ქართულში. ამიტომაა, რომ მას მრავალი ფუნქცია მოეპოვება.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმები ძველ ქართულში, როგორც ენახეთ, ორი სახით არის წარმოდგენილი: მარტივი **ის** (→ **ჲს**) და გაერცობილი **ის-ა** (→ **ჲს-ა**) ნიშნით. ამათგან პირველი გაცილებით ძველი წარმოშობისაა, მასთან ბევრი, განსაკუთრებით, სიტყვაწარმოებითი შინაარსის ფუნქციაა დაკავშირებული.

განვიხილოთ ეს ფუნქციები ამ ორნაირ (ის, ის-ა) ნიშანთან დაკავშირებით.

A. ნათესაობითი ის-ა (ჲს-ა) ნიშნით

ის-ა ნიშნიან ნათესაობითს რამდენიმე ფუნქცია მოეპოვება. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადია მის მიერ განსაზღვრების გამოხატვა.

1. ნათესაობითი განსაზღვრებად

ნათესაობითი ბრუნვა, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრების ბრუნვაა. ამიტომ ნათესაობითი ყველაზე ხშირად სწორედ განსაზღვრების როლში გვევლინება.

მაგრამ მეტად მრავალფეროვანია ქართულში ნათესაობითში დასმული განსაზღვრება (ე. წ. მართული მსაზღვრელი). აქ აღვნიშნავთ ასეთი განსაზღვრების რამდენიმე სახეს.

ა) წინ დასმული განსაზღვრება

ძველ ქართულში გვხვდება ნათესაობითში მდგარი განსაზღვრება, რომელიც საზღვრულს უძღვის წინ. ამ შემთხვევაში იგი ბრუნებისას ჩვეულებრივ არ იცვლება. ეს განსაზღვრება შეიძლება ახლდეს არსებითს სახელს (აღსებისა **ⴑⴰⴱⴰⴰⴱⴰⴰⴱⴰ

ქრისტეს მსახურთა ქალაქი ერთი არს — **ზეცისა** იერუსალჱმი, პარხ. 1044 b; **აღვსებისა** ორშაბათსა, **აღვსებისა** სამშაბათსა, **აღვსებისა** ოთხშაბათსა, **აღვსებისა** ხუთშაბათსა, **ახალ-კჳრიაკისა** ოთხშაბათსა, ი. ჯავ. აღწ. 110, 1—10; ორასისა **დრაჰკნისა** პური, ი. 6, 7; **იაკინთისა** ფერი მბრწყინვალჱ, თუალთ. 11, 27; ენითა ცეცხლისაჲთა შესწუენ **უღმრთოებისა** ეკალნი და **ღმრთის-მსახურებისა** ნერგნი ნაყოფიერნი დაჰნერგენ სულსა მორწმუნეთასა, სას. პოეზ. 92, 41; და იხილა მითვე სატანჯველითა **მთავარ-დიაკონისა** ცოლი, ლიტ. ქრესტ. 17, 22; წმიდაჲ პავლე, მარტჳრის **მონასტრისა** მამასახლისი, კიმ. II, 161, 15; არცა დაადნობდა... თესლსა **ზეცისა** საზრდელსა, სიბრძ. 19, 20; აჰა კაცი მჭამელი და **ღჳნისა** მსუმელი, მ. 11, 19 C; და არა უნდა **წყლისა მის** სუმაჲ, 2 მეფ. 23, 16; **წჳმისა** მომცემელნი, **ქუეყანისა** ნაყოფთა განმზრდელნი, მოქც. (ისტ. ქრესტ. 275, 1); **სამყაროჲსა** მნათობთა გიცნეს შენ — **ნათლისა** მომცემელი მათი, სას. პოეზ. 174, 154.

თუ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ხანგრძლივი და მჭიდრო კავშირია დამყარებული, ისინი ერთგვარ კომპოზიტად გვევლინებიან და მსაზღვრელს ამ შემთხვევაში ემფატიკური ა არა აქვს (არც ჰქონია ოდესმე); ასეთია: **ოქროჲს-მჭედელი, ურმის-თუალი, მზის-თუალი, მიწის-ფერი** და სხვა. ამათზე—ქვემოთ. ქვემოთვე იქნება განხილული შემთხვევები, როცა კომპოზიტური ვითარება არაა, მაგრამ მსაზღვრელს მაინც ის ნიშანი აქვს და არა **ის**-ა (**უკეთურების** ჰურჭელ გუქმნა, უდაბნ. 63 vg; რაჲთა უბრალო იყოს ერთის ცოლის ქმარ, 1 ტიმ. 3, 2).

ბ) ბოლოს დასმული განსაზღვრება

ბოლოს დასმული განსაზღვრება, როგორც აღნიშნული გვაქვს, უფრო ხშირად გვხვდება ძველ ქართულში. აქ საქმე ეხება ორმაგ (და სამმაგ) ბრუნებას. ასეთი განსაზღვრება აქ რამდენიმე სახისაა. **სუფთა ნათესაობითი** შეიძლება შეგვხვდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ა დ. როგორც აღნიშნული გვაქვს, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი აქ თავდაპირველად მხოლოდ **ის** იყო, მაგრამ შემდეგ და შემდეგ სხვა ფორმების ანალოგიით ემფატიკური ა ამათაც ემატება და სრულ ნიშანს ვღებულობთ. ძველ ქართულში უფრო ხშირი სწორედ ეს, მეორეული სახეობაა. მაგალითები:

რაჲთა არა ვიყუნეთ გულის-მთქუმულ **ბოროტისა**, 1 კორ. 10, 6; ესე სირცხჳლი მეყავნ მე მიზეზ **ცხორებისა** საუკუნოჲსა, პარხ. 1011 b; და არღარა იყვნენ სასო **სახლისა** ისრაჱლისა, ეზეკ. 29, 16; რამეთუ იქმენ **მამისა** და **დედისა** მკლველ, კიმ. I, 142, 10.

ბ) ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ა დ. ამ შემთხვევაში, როგორც აღნიშნული გვაქვს, ფორმა გამარტივებულია და საზღვრულისათვის შესათანხმებელი ნიშანი ჲსა მოკვეცილია: სახლისაგან **მამისაჲსა** → სახლისაგან **მამისა**. მაგალითები:

გარდააგორება ლოდი იგი კარისა მისგან **საფლავისა**, მ. 28, 2; მრ. 16, 3. „საფლავისა“ გამარტივებული ფორმაა, თავიდანვე უნდა ყოფილიყო: კარისა მისგან **საფლავისაჲსა**. სწორედ ასეც გვაქვს მოცემული C-ში: იხილა ლოდი იგი აღღებული კარისა მისგან **საფლავისაჲსა**, ი. 20, 1 C. ასევეა C-ში მეორეგანაც, ოღონდ აქ „საფლავ“-ის ნაცვლად „სამარე“ იკითხება: ვინ-მე გარდაგვგორეოს ჩუენ ლოდი იგი კარისა მისგან **სამარისაჲსა**, მრ. 16, 3 C. სხვა მაგალითები:

რომელი მე მივსცე ცხორებისათჳს **სოფლისა**, ი. 6, 51 DE. C-ში აქაც უფრო ძველი ფორმაა დაცული: ...ცხორებისათჳს **სოფლისაჲსა**; ყოველმან რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისათჳს **კაცისა**, მ. 12, 32. C-ში აქაც პირვანდელი ფორმაა შემორჩენილი: ძისა **კაცისაჲსათჳს**. მაგრამ აქ **ჲსა** შემდეგ წაუშლიათ და ფორმა გაუმარტივებიათ: ძისა **კაცისათჳს**. ეს ძალიან კარგი ნიმუშია იმ რყევის დასახასიათებლად, რომელსაც ადგილი ჰქონდა ორმაგი ბრუნებისას მსაზღვრელის ნათესაობითის (ნათესაობით-ნათესაობითის, ან ორმაგი ნათესაობითის) ფორმის შერჩევის დროს. აქ ჩვენ თვალწინ ხდება ძველი ფორმების წაშლა და გადასწორება და მათ ნაცვლად ახალი ფორმების წარმოდგენა. კიდევ:

გული-ეტყოდა განძღებად ნაბიჭვისა მისგან გარდამოცჳნებულისა ტაბლისაგან მის **მდიდრისა**, ლ. 16, 21. C-ში შენახულია პირვანდელი ფორმა: რომელი გარდამოვარდის ტაბლისაგან მის **მდიდრისაჲსა**. კიდევ:

არა შორს ხარ სასუფეველისაგან **ღმრთისა**, მრ. 12, 34 C. ძველი ნორმების მიხედვით მოსალოდნელი იყო ასე: სასუფეველისაგან **ღმრთისაჲსა**. ხელნაწერში ჯერ ასეც დაუწერიათ (თუ, უფრო სწორად, გადაუწერიათ), იქ კარგად იკითხება პირვანდელი ნაწერი ღ˘ჲსა, რაც ასე უნდა გაიხსნას: ღმრთისაჲსა[1], მაგრამ შემდეგ ჲ ი-დ გადაუსწორებიათ და ქარაგმა ღ˘ჲსა მხოლოდ ასე უნდა იქნეს გახსნილი: **ღმრთისა**. ამრიგად, აქაც ნათლად ვხედავთ, თუ უძველესი ხელნაწერების გადმოწერისას .როგორი დაბეჯითებითა და სისტემატურობით ხდება ძველი ფორმების გასწორება და ახლით შეცვლა.

მსგავსი ფორმები ბევრია, მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის აქ მოყვანილიც საკმარისია. მაშასადამე, მოსალოდნელი ორმაგი ნათესაობითის ნაცვლად უფრო ხშირად ცალმაგი ნათესაობითის ფორმა გვაქვს.

ბ) ვითარებითი ბრუნვის მსაზღვრელად. ფორმა აქაც უნდა იყოს გამარტივებული. თავდაპირველად მსაზღვრელსაც უნდა ჰქონოდა ვითარებითის ნიშანი დ, მაგრამ შემდეგ მოჰკვეცია იგი და შეკვეცილი ფორმა სუფთა (ცალმაგ) ნათესაობითს დაჰმთხვევია. ამნაირი დონ-მოკვეცილი ფორმები ძველ ქართულში გაცილებით მეტია, ვიდრე ისეთები, სადაც დონი შემონახულია[2]. მაგალითები:

---

[1] შდრ. მრ. 4, 11C, სადაც ღ˘ჲსაჲ გახსნილია ასე: **ღმრთისაჲსაჲ**. და ეს სწორია.

[2] ისეთი ფორმები, სადაც დონი შემონახულია, ზემოთ გვაქვს ნაჩვენები (გვ. 591—592) და აქ აღარ არის საჭირო მათი მოყვანა განმეორებით.

შევიდა წმიდაჲ მარკოზ სახედ **კაცისა** მის, კიმ. 1, 194, 26; წინამძღუ-რად **მადლისა** მის გამოირჩია ღმერთმან უპოვარი, სვან. 384 b; და შემოვი-და ველად **დამასკისა** ღუთა იფქლის-მკისათა, იქვით 2, 27; და დადვა სა-მარია ხილის-საცავად **ველისა** და დასანერგავად **ვენაჯისა**, მიქია 1, 6; არა მოვაკლო კაცი საკურთხეველისაგან ჩემისა თუალთ-საჴედელად **შენდა** და განსაკაფელად **თავისა** შენისა, 1 მეფ. 2, 32. რომ აქ ნათესაობით-ვითარე-ბითის გამარტივებული ფორმა გვაქვს, ამას ამტკიცებს აქვე მოცემული **შენ-და**: თუალთ-საჴედელად **შენდა**, მაგრამ: განსაკაფელად **თავისა** შენისა.

ძალიან ხშირად ასეთი ფორმები გვაქვს სიტყვასთან „სახედ“, რომე-ლიც აქ ნიშნავს „მსგავსად“. „სახედ“ ამ შემთხვევაში ყოველთვის პირველ ადგილას დგას (სახედ **ტრედისა**, სას. პოეზ. 223, 96), ხოლო როცა ის მსა-ზღვრელის შემდეგ გადავა, ეს უკანასკნელი ნათესაობითის მარტივი ფორ-მით იქნება წარმოდგენილი (**ტრედის** სახედ, სას. პოეზ. 112, 274). რიგს ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სხვა მაგალითები:

სახედ **სამკაულისა**, სას. პოეზ. 100, 46; სახედ სამოსლისა, იქვე, 411, 707 (მაგრამ იქვე: **სამოსლის** სახედ, 406, 57); სახედ **ღმრთეებისა**, პარხ. 914 b.

რადგანაც „სახედ“ და „მსგავსად“ აქ ერთი მნიშვნელობით იხმარება, ამ უკანასკნელსაც ასეთივე თვისება აქვს:

მსგავსად **ქმნულებისა** შენისა, კიმ. I, 158, 34; მსგავსად დიდად **წადი-ერებისა** ჩემისა, იქვე, 160, 23; მსგავსად **სარწმუნოებისა** თქუენისა, მ. 9, 29 C; მსგავსად **ძალისა** თჳსისა, მ. 25, 15; მსგავსად **სიტყჳსა** შენისა, ლ. 1, 38 C და სხვა.

დავსძენთ აქვე, რომ ასეთივე თვისებისაა მსაზღვრელი ვითარებითს ბრუნვაში დასმულ ისეთ სახელებთან, როგორიცაა: „შემდგომად“, „პირვე-ლად“ და სხვა, მაგალითად:

შემდგომად **პარასკევისა**, მ. 27, 62; შემდგომად **მოწყუედისა**, ლ. 12, 5; შემდგომად **დევნულებისა**, მრ. 10, 30; რომელი მოვიდა **პირველად** პეტ-რესა საფლავად, ი. 20, 8. მაგრამ „შემდგომად“ აქ თანდებულის როლში გამოდის.

ჩვეულებრივია ასეთი განსაზღვრება სა—ელ-ით ნაწარმოებ მიმღეობებ-თან, რომლებიც ვითარებითში დგანან: დასამკუებელად **ეშმაკისა**, უდაბნ. 21 vb; თავის-სახრელად **ერისა**[1], ფსალმ. 43, 17 და სხვა.

d) მსაზღვრელად ორმაგი ბრუნების ყველა ბრუნვაში, რო ცა ამ მსაზღვრელს თავის მხრივ კიდევ მოჰყვება ატრი-ბუტული მსაზღვრელი. საზღვრულთან შესათანხმებელი ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები, როგორც ვიცით, ამ უკანასკნელს ერთვის, ხოლო მართუ-ლი მსაზღვრელი სუფთა ნათესაობითის ფორმით არის წარმოდგენილი. ასე-თი ნათესაობითის ფორმა ორივე რიცხვში შეიძლება იდგეს. მაგალითები:

[1] შდრ. ხრიდეს თავსა მათსა, მ. 27, 39 C.

მხ. რიცხვი

გუგაჲ ერთი თუალისა მისისაჲ, კიმ. I, 138, 18; საბურველი თავისა მისისაჲ, იქვე, 146, 13; სასოებაჲ აღდგომისა შენისაჲ, იქვე, 148, 10; წყლულსა ამას თუალისა ჩემისასა, იქვე, 138, 22; ოფლსა პირისა მისისასა, იქვე, 152, 29; ბრძანებითა სასტიკებისა მისისაჲთა, იქვე, 134, 8; სიტყუანი პირისა მისისანი, იქვე, 134, 32; ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა, იქვე, 137, 4.

მრ. რიცხვი

მოხუცებულებაჲ და შუენიერებაჲ მჭეთა თქუენთაჲ, კიმ. I, 142, 12; ტანჯვაჲ დედა-მამათა თჳსთაჲ, იქვე, 144, 4; მსახურებასა ღმერთთა ჩუენთასა, იქვე, 195, 37; მიბირებითა[1] სიტყუათა შენთაჲთა, იქვე, 153, 23; ნაშრომნი მზრდელთა ჩემთანი, იქვე, 142, 34.

e) მსაზღვრელად სამმაგი ბრუნების ყველა ბრუნვაში, როცა ამ მსაზღვრელს თავის მხრივ კიდევ მოსდევს მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი, რომელიც კისრულობს საზღვრულთან თვითონ დაამყაროს უშუალო კავშირი და ბრუნვისა და რიცხვის სათანადო ნიშნებს თვით დაირთავს. მართული მსაზღვრელი აქაც სუფთა ნათესაობითის ფორმით არის წარმოდგენილი ორივე რიცხვში, მაგალითად:

მხ. რიცხვი

კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი, მ. 16, 19; მამ. სწავ. 45; პარხ. 830 b; მონანი მეფისა მის ასურასტანელთაჲსანი, 4 მეფ. 19, 6; გუამნი ბანაკისა მის უცხო-თესლთაჲსანი, 1 მეფ. 17, 46 ლაგ.; შთასავალსა მას მთისა მის ზეთის-ხილთაჲსასა, ლ. 19, 37 ლაგ.; ნებაჲ მამისჲ ჩემისა ზეცათაჲსაჲ, მ. 7, 21; მაცხოვარმან ნათესავისა კაცთაჲსამან, პარხ. 853 a.

მრ. რიცხვი

საჭშველნი იგი ბჭეთა ჯოჯოხეთისათანი, სვან. 487 a; მთავარნი ნათესავთა ზღუსათანი, ეზეკ. 26, 16; სისხლი მთავართა ქუეყანისათაჲ, იქვე, 39, 18; მსგავსებაჲ ჴელთა კაცისათაჲ, იქვე, 10, 8; მორჩი ძირთა მის ხისათაჲ, დანიელ 4, 23; წიგნნი მეფეთა ისრაჱლისათანი, 2 ეზრა 1, 33; ვაშლი ხეთა მაღნარისათაჲ, იპოლ. 18, 7.

ნათესაობითი ბრუნვა უძევს საფუძვლად ორმაგი ბრუნების მსაზღვრელს და სამმაგი ბრუნების მსაზღვრელის მსაზღვრელს, როცა მათ სხვა მსაზღვრელი არ მოსდევს. ამ შემთხვევაში საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმების მთელ სიმძიმეს ეს მსაზღვრელი (ორმაგი ბრუნებისას) და მსაზღვრელის მსაზღვრელი (სამმაგი ბრუნებისას) კისრულობს. ამიტომ აქ სუფთა ნათესაობითი არა გვაქვს, ნათესაობითს ერთვის საზღვრულთან შესათანხმებელი სათანადო რიცხვისა და ბრუნვის ნიშნები. ვუჩვენოთ ორიოდე მაგალითი.

[1] გამოც.: მიბერებითა.

ორმაგი ბრუნების მსაზღვრელი

მხ. რიცხვი

მოწოდებად **მამისად** და **დედისად**, კიმ. I, 138, 35; რუდ **სისხლისად**, იქვე, 139, 22; ქსელი **დედაზარდლისად**, იქვე, 140, 5; ძემან **კაცისამან**, მ. 13, 41; ძესა **კაცისასა**, მ. 8, 20; სიტყჳთა ხოლო **ჴელოვნებისადთა**, კიმ. I, 137, 11; კარო **წარსაწყმედელისაო**, იქვე, 142, 14; მოქლონნი **ადამატისანი**, იქვე, 158, 35; საყდართა მათ **საშჯელისათა**, იქვე, 138, 1.

მრ. რიცხვი

და იყოს კრეტი საძოვარ **სამწყსოთა** და სადგურ **ცხოვართა**, სოფონია 2, 6; სისხლი იგი **ვაცთად** და **კუროთად**, ებრ. 9, 13; შრომამან **უგუნურთამან**, ეკლეს. 10, 16; მღჳმესა მას **ლომთასა**, უდაბნ. 54 vb; სისხლითა **ვაცთა** და **ზუარაკთადთა**, ებრ. 9, 12; საქმენი **მართალთანი**, იპოლ. 17, 24; ზედა ღეღუთა **მთათასა**, იქვე, 21, 2.

სამმაგი ბრუნების მსაზღვრელის მსაზღვრელი

მხ. რიცხვი

აცადეთ მორჩი ძირთა მის **ხიხათად**, დანიელ 4, 23; და იყო სასწორი მთავართად მათ მის **ქუეყანისათად**, 3 მეფ. 10, 15; მოვიდოდა **ჭ**ტლები ეგჳპტით... მეფეთა **ასურასტანისათად** ზღჳთ კერძო **აღმოსავალისათად**, იქვე, 10, 29.

მრ. რიცხვი

ძალი სიმაღლისა **ცათადსად**, ზირაქ 17, 27; და მიწერეს მღდელთ-მოძღუართა ერისა **ჰურიათადსათა** კესარიად წიგნი შესმენისად, არიმ. 65, 86, 1; ეზოდს-მოძღუარი იგი ნაბუქოდონოსორისი, მეფისა მის **სპარსთადსად**, პარხ. 1008 გ; მაცხოვარი ნათესავისა **კაცთადსად**, ჰილ-ეტრ. 41.

2. ნათესაობითი უბრალო დამატებად

ნათესაობითი ბრუნვა ხშირად გამოხატავს უბრალო დამატებას. ის შეიძლება იყოს თანდებულიანიცა და უთანდებულოც. უფრო ხშირია მისი ხმარება თანდებულებთან. აქ გვხვდება მრავალი თანდებული, მათ შორის ყველაზე ხშირია **გან, თჳს, მიერ, გამო, თჳნიერ, წინაშე** და სხვა.

გან თანდებულიანი ნათესაობითი უჩვენებს გამოყოფას, მოცილებას, მოშორებას; წყაროს, რომლისგანაც მომდინარეობს მოქმედება; მასალას, რისგანაც კეთდება საგანი; მოქმედების ჩამდენს ან მიზეზს, რომელიც საფუძვლად უძევს მოქმედებას,[1] და სხვა. მაგალითები:

[1] ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, თანდებული ქართულში: იბერ.-კავკ. I, 1946, გვ. 229.

და განევთას (განეშუროს C) მამაჲ **ძისაგან** და **ძჱ მამისაგან**; დედაჲ **ასულისაგან** და ასული **დედისაგან**; დედამთილი **ძის-ცოლისაგან** თჳსისა და **ძის-ცოლი დედამთილისაგან**, ლ. 12, 53. **ვისგან** განეშოროს მამაჲ? — **ძისაგან**. ეს „ძისაგან“ იქნება უბრალო დამატება.

გამოჴდა ბრძანებაჲ აგჳსტოს **კეისრისაგან**, ლ. 2, 1; ხოლო იუდა შვა ფარჩზ და ზარა **თამარისგან**, მ. 1, 3; სალმონ შვა ბოოზ **რეჭაბისგან**; ბოოზ შვა იობედ **რუთისგან**, მ. 1, 5; დავით მეფემან შვა სოლომონი **ურიაჲს ცოლისაგან**, მ. 1, 6.

თითოეული **ხჱ თჳსისაგან ნაყოფისა** საცნაურ არნ; რამეთუ არა **ეკალთაგან** შეიკრიბიან ლეღჳ, არცა **მაყუალთაგან** მოისთულიან ყურძენი, ლ. 6, 44.

და ვითარ ვერ შეუძლეს მიახლებად მისა **ერისა მისგან**, მრ. 2, 4 DE. C-ში ამის ნაცვლად იკითხება: ...**ერისა მის გამო**. ამ „გამო“-ს მნიშვნელობა აქვს ზოგჯერ „გან“-საც. ასეთივე დაპირისპირებაა აგრეთვე ამ ადგილასაც: **საქმეთა ამათგან** გრწმენინ ჩემი, ი. 14, 11 DE. C-ში: **საქმეთა ამათ გამო**.

უბრალო დამატება გვექნება „თჳს“ და „და“ თანდებულებთანაც სამპირიანი გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმებში, მაგალითად:

რამეთუ სტეფანეს ემცნო მუნ მყოფთა **ქრისტჱანეთადა**, ევსტ. 175, 25; აწ მე აღმითქუამს **უფლისადა**, ხანძთ. (ისტ. ქრესტ. 241, 34); რაოდენი შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს **მათდა**, ზარზმ. (ისტ. ქრესტ. 225, 1).

უბრალო დამატებად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ვითარებითს ბრუნვაში დასმულ საწყისთან. როგორც ზემოთ ვნახეთ, უძველეს ძეგლებში ასეთ შემთხვევაში გვაქვს სახელობითი და მიცემითი (დარღუევად **ტაძარი** ესე, მ. 26, 61; წარწყმედად **ყრმასა მაგას**, მ. 2, 13). ეს ფორმები სამეცნიერო ლიტერატურაში პირდაპირ დამატებად არის აღიარებული. ამათ ადგილას თვით ძველ ქართულში ჩნდება და მერმე თანდათან მტკიცდება და ბატონდება ნათესაობითი: მოძიებად **ყრმისა მაგის** (მ. 2, 13 C), დარღუევად **ტაძრისა** მის (მ. 26, 61 C) და სხვა. ეს **ყრმისა მაგის** და **ტაძრისა მის** სხვა არა არის რა, თუ არა უბრალო დამატება.

აღსანიშნავია, რომ ეს ფორმები არ არის ჩვეულებრივი ნათესაობითის ფორმები. წარმოშობით ეს უნდა იყოს ჩვეულებრივი მსაზღვრელი, რომელიც საზღვრულს თავის დროზე ალბათ ვითარებითს ბრუნვაშიც ეთანხმებოდა: დარღუევა-დ ტაძრისა-დ, მოძიება-დ ყრმისა-დ. დონი ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ იკარგება (ნ. ზემოთ, გვ. 592) და შესიტყვება „დარღუევად ტაძრისა“ ზმნისა და სახელის ერთგვარ შეკავშირებას უფრო ჰგავს, ვიდრე საზღვრულ-მსაზღვრელის ბრუნების ერთ-ერთ სახეს.

აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ როდესაც ვითარებითს ბრუნვაში დასმულ საწყისთან ნაცვალსახელებია წარმოდგენილი, ამ უკანასკნელთა დგომა ვითარებითში ხელშესახებად იგრძნობა. შდრ. მოძიებად **ყრმისა მაგის**, მაგრამ მოძიებად **ჩემ-და**, **შენ-და**, **მის-ა**. უკანასკნელი **ა ← და**, ხოლო ამ „დ“-სა (და **ად**-ს) საბოლოო ანგარიშში ისევ ვითარებითს ბრუნვასთან მივჰყავართ.

ამასვე ამტკიცებს აგრეთვე ნათესაობითში წარმოდგენილი საკუთარი სახელი, რომელიც ჩვეულებრივი ნათესაობითისაგან ა-ს დამატებით განსხვავდება: ხილვად **აპოლონისა** (კიმ. I, 134, 6), ხოლო ეს ა ისევ და ისევ ვითარებითის **ად**-ის ნაშთია, დ-ს დაკარგვის შედეგად მიღებული.

ასეა თუ ისე, ვითარებითს ბრუნვაში დასმულ საწყისთან წარმოდგენილი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა უბრალო დამატებად უნდა ჩაითვალოს. აი რამდენიმე მაგალითი დამატებით:

აღებად **სამოსლისა** თჳსისა, მრ. 13, 16; აღსებად **ნებისა** ჩემისა, კიმ. I, 160, 23; არა დათხევად **სისხლისა**, იქვე, 156, 19; წარღებად **ნატყუენავისა**, მოღებად **ოქროჲსა** და **ვეცხლისა**, ეზეკ. 38, 13; გინებად **კაცისჲ** ზაარავანდედისა, კიმ. I, 153,. 26.

ცალკე უნდა აღინიშნოს **მიერ** თანდებულიანი ნათესაობითი, რომელსაც რეალური სუბიექტის მნიშვნელობა აქვს: თქუმული **დანიელ წინაწარმეტყუელისა** მიერ, მ. 24, 15, ე. ი. დანიელ წინასწარმეტყველმა რომ თქვა; დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა ...განმზადებულ არს **მამისა** მიერ ჩემისა, მ. 20, 3, ე. ი. რომელიც ჩემმა მამამ გაამზადაო. ასეთ შემთხვევაში, როგორც ვთქვით, რეალური სუბიექტი იგულისხმება. აღსანიშნავია, რომ **მიერ**-ს აქ გვერდში უდგას **გან** თანდებული, რომელსაც სახელთან ერთად შეუძლია იგივე შინაარსი გადმოსცეს: უკანასკნელ წინადადებაში C-ში სწორედ **გან** თანდებული გვაქვს ...განმზადებულ არს **მამისა ჩემისაგან**.

რომ **მიერ**-ს (და ზოგჯერ **გან**-ს) სწორედ ასეთი შინაარსი აქვს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ის შეიძლება ახლდეს **მხოლოდ** ადამიანს და მისი ტიპის სახელებს და არა ნივთის სახელებს. შდრ. **თქუენ** მიერ, მ. 17, 20; მამადედისა მიერ, ლ. 2, 27; უფლისა მიერ, მრ. 12, 11; ღმრთისა მიერ, მ. 19, 26; ყოველთა მიერ წარმართთა, ლ. 21, 24 და სხვა.

3. ნათესაობითი მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციით

მოძრაობის გამომხატველ და ზოგ სხვა ზმნასთან ნათესაობითი ადგილის გარემოებასაც გადმოსცემს. იგი მოგვიგებს კითხვებზე: **სად, საით, ვისკენ** (ვისთან) და სხვა. ამის ტიპური მაგალითია: მიჲიდა **მეფისა** მის (კიმ. I, 147, 11). უბრალო ნათესაობითი არც ეს არის. ეს არის შინაარსით მიმართულებითი ბრუნვა, რომელსაც წარმოშობაც სხვა უნდა ჰქონდეს, ვიდრე ჩვეულებრივს ნათესაობითს აქვს. თუმცა საზოგადო სახელებში არა ჩანს ეს თავისებურება ამ მიმართულებითი ბრუნვისა, მაგრამ ნაცვალსახელებსა და ადამიანთა სახელებში ის მკაფიოდ გამოიყოფა და ცალკე დგას. ეს არის ნათესაობითის ფორმა პლუს ა: ადამ-ის + ა, მ-ის + ა, ვი-ს + ა, მაგალითად: მოიყვანა იგი **ადამისა** (დაბ. 2, 22), ყოველმან ერმან აღიმსთჳს **მისა** (ლ. 21, 38), უფალო, **ვისა** მივიდეთ (ი. 6, 68). ეს ა, როგორც ვნახეთ, სხვა არა არის რა, თუ არა ვითარებითი ბრუნვის ნიშნის **ად**-ის ნაშთი, **დ**-ს დაკარგვის შემდეგ დარჩენილი (ნაცვალსახელებში ის **და**-საგან უნდა მომდინარეობდეს იმავე **დ**-ს დაკარგვის შედეგად). საზოგადო სახელებს ბრუნვის ნიშნის შემდეგ ემჯა-

ტიკური ა ჰქონდათ, რის გამოც მათ მხოლოდ დ უნდა დაჰრთოდათ, რომლის დაკარგვის შემდეგაც მიღებული ფორმა სავსებით დაემთხვა ნათესაობითისას; ნაცვალსახელებსა და ადამიანთა სახელებს კი ნათესაობითის ნიშნად ის მოეპოვებოდათ, რომელსაც ვითარებითში ად (ნაცვალსახელებში და) უნდა დაჰრთოდა, ა დაერთო, ხოლო დ იმავე მიზეზით აქაც დაიკარგა; ამიტომ ამათი ნათესაობით-ვითარებითის ფორმა განსხვაებული გამოდგა, ვიდრე უბრალო ნათესაობითი იყო: შდრ. ადამ-ის და ადამ-ის-ა (← ადამ-ის + ად), ამ-ის და ამ-ის-ა (← ამ-ის + და), ვი-ს და ვი-ს-ა (← ვი-ს + და). შდრ., მეორე მხრივ, მეფ-ის-ა და მეფ-ის-ა + დ → მეფ-ის-ა, ბერ-ის-ა და ბერ-ის-ა+დ → ბერ-ის-ა.

ამნაირად, საზოგადო სახელთა ნათესაობითის ეს ფორმა მიმართულებითი ბრუნვის შინაარსს შეიცავს და მისი ფუნქცია სრულიად ცალკეა გამოსაყოფი. დავასახელებ ახლა ორიოდე მაგალითს.

საზოგადო სახელები

მიიწია **მეფისა** მის, კიმ. I, 138, 18; შევიდა ყრმაჲ იგი **ხატისა** მის, იქვე, 154, 19; აღვდგე, წარვიდე **მამისა** ჩემისა, ლ. 15, 18; მსხუერპლი შეწირა **ღმრთისა**, ი. 16, 2; ამის **ცხედრისა** მიისწრაფდა დედაკაცი იგი, იპოლ. 27, 53; მოვიდა ვინმე **ბერისა**, კიმ. I, 21, 14; წარვედით მის **კაცისა**, დაბ. 43, 13; მივიდა ელია **პატრეაქისა**, კიმ. I, 19, 2; მივედ **ფუტკრისა** და ისწავე, ვითარ-იგი მოქმედ არს, იგავ. 6, 8; მიგუალე **ჯინჯვლისა** და ჰბაძევდ, ჯ მედგარო, საისმეტყ. (ისტ. ქრესტ. 282, 33); ხოლო მე რაჟამს ღირს ვიქმნე მისლვად **უჯლისა**, ხანძთ. 149, 36.

ნაცვალსახელები

მოვიდა **მისა**, მ. 21, 19; გიჩუენო თქუენ, **ვისა** გეშინოდის, ლ. 12, 5; ვინ იცის, **ამისა** შეიკდიმონ, ლ. 20, 13 CD; რაჲთა მოიქცეს სული ამისი **ამისავე**, კიმ. I, 281, 7; გამოვიდა პილატე **მათა** (მათდა C) გარე, ი. 18, 29.

ადამიანთა სახელები

მუნქუესვე მივიდა **იოვანჱსა**, ძვ. ქართ. ქრესტ. 58, 2; მიავლინეს ნეტარისა **ევსტათისა**, ევსტ. 160, 28; არა თუ **ელისაბედისა** მოივლინა გაბრიელ ანგელოზი, არამედ **ზაქარიაჲსა**, კიმ. II, 68, 2; და კუალად იგივე გაბრიელ ანგელოზი არა თუ **იოსებისა** მოივლინა, არამედ **მარიამისა**, იქვე, 68, 4; და შევიდა ელიაკიმ ...**ეზეკიაჲსა**, 4 მეფ. 18, 37; მივიდა დედაკაცი იგი წმიდისა **თეოდოსიაჲსა**, კიმ. I, 147, 20.

ცალკე უნდა აღინიშნოს ნათესაობითის გამოყენება მიმართულებითის მნიშვნელობით იმ შემთხვევაში, როცა ამ ნათესაობითს ახლავს **მდე** თანდებული. ამ საკითხზე დაწვრილებით გვაქვს ზემოთ საუბარი, ამიტომ აქ მაოლოდ ორიოდე ნიმუშის მოყვანით დავკმაყოფილდებით:

ამისა შემდგომად მოიწია ვიდრე **მეფისამდე** ანტონისი სიტყუაჲ, უდაბნ. 32 rb. **მეფისამდე** აქ ნიშნავს **მეფემდე**, არც მეტს, არც ნაკლებს. კიდევ:

რამეთუ მრავალნი წარწყმიდნა ოქრომან და **მიმეუფისამდეცა** გული უქციისვე, ზირაქ 8, 3; მოიწია მის **ვერძისამდე**, რომელსა ესხნეს რქანი, დანიელ 8, 6; და ვიხილე იგი მიწევნული ვიდრე მის **ვერძისამდე**, იქვე, 8, 7[1].

4. ნათესაობითი გამოსვლითი ბრუნვის ფუნქციით

ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი ფუნქციაა გამოსვლითი ბრუნვის შინაარსის გადმოცემა. იგი მოგვიგებს კითხვაზე **საიდან?** წარმოდგენილია ნათესაობითის სრული ნიშნით (ის-ა) და ახლავს **გან** თანდებული. ამის ნიმუშებია: განივლტოდა **ადგილისა მისგან** (ქიმ. I, 135, 10); გამოვიდა **საკერპოჲსა მისგან** (იქვე, 144, 35); ქრისტე აღდგა **საფლავისაგან** (სას. პოეზ. 264, 189). სამივე მაგალითი ერთი და იმავე შინაარსის მატარებელია, სამივე მოგვიგებს კითხვაზე **საიდან: საიდან გაიქცა? საიდან გამოვიდა? საიდან ადგა?** ამ კითხვაზე, როგორც ცნობილია, ძველ ქართულში პასუხს იძლეოდა ე. წ. გამოსვლითი (დაწყებითი) ბრუნვა, უკეთ: მოქმედებითი ბრუნვა (მარტივი **ით** ბრუნვის ნიშნით), რომელსაც გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენი მაგალითები რომ ავიღოთ, მოქმედებითი ბრუნვის ამ სახის გამოყენებით გვექნებოდა: განივლტოდა მიერ **ადგილით**, გამოვიდა მიერ **საკერპოჲთ**, აღდგა **საფლავით**. ეს უკანასკნელი გვაქვს კიდეც იმავე „საფლავისაგან“-ის გვერდით: ასდეგ **საფლავით** (სას. პოეზ. 266, 228), აღდგა **საფლავით** ადამის შემოქმედი (იქვე, 265, 201).

გამოსვლითისა (**ით** ნიშნიანი მოქმედებითისა) და ნათესაობითის ასეთი შენაცვლება არც შემთხვევითია და არც იშვიათი. ეს არის სრულიად კანონზომიერი მოვლენა, რომლის დადასტურებასაც ჩვენ სისტემატურად ვხვდებით ძველი ქართულის ძეგლებში. მოქმედებითისა და ნათესაობითის ამგვარი კავშირი სხვა მხრივაც და სხვა სფეროშიც არის შენიშნული და აღნიშნულიცაა ლიტერატურაში[2]. მასზე ნაწილობრივ ჩვენც გვქონდა ზემოთ საუბარი (გვ. 214—215). აქ კიდევ მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

გარდამოვჴედ **საყოფლისა მის ჩემისაგან**, რაჲახ 83, 21 (შდრ. გარდამოვჴედ **ზეცით**, ი. 6, 38, 41, 42, 51); რაჟამს აღმოვიდოდა **წყლისა მისგან**, მ. 3, 16 D (...მიერ **წყლით** C); აღმოგიღო წუელი **თუალისაგან** შენისა, მ. 7, 4 DE (**თუალით** შენით C); რომელნი გამოვიდოდეს **საფლავებისა მისგან**, მ. 8, 28 DE (**სამარობნით** გამომავალნი C); მოეგებვოდა მას **საფლავებისაგან** კაცი, მრ. 5, 2 E (**სამარობნით** C); გამოვიდა იესუ **ტაძრისა მისგან**, მ. 24, 1 DE (**ტაძრით** C); რაჲთა წარვიდეს **საზღვრისაგან** მათისა, ლ. 8, 37 DE (წარსლვად **საზღვრით** მათით, მრ. 5, 17 C); და იყო იგი **არიმათიაჲთ, ქალაქისაგან** ჰურიათაჲსა, ლ. 23, 51 DE. ეს მაგალითი მრავალმხრივ არის

---

[1] სხვა მაგალითები და საკითხის განხილვა ნ. ზემოთ, გვ. 333—340.

[2] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ბრუნვების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 3, 1944, გვ. 341 და სხვა.

საინტერესო: ჯერ-ერთი, კითხვაზე **საიდან** გეოგრაფიული სახელი მოქმედებითი (გამოსვლითი) ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი (არიმათია-**ჲთ**), საზოგადო სახელი კი — **გან** თანდებულიანი ნათესაობითით (ქალაქისაგან). ეს ორი ბრუნვა ახლობელი რომ არ ყოფილიყო, ასე დაუბრკოლებლად არ იქნებოდა ნაბმარი ერთმანეთის გვერდით ერთი და იმავე მიზნისათვის; მეორე: C-ში ეს განსხვავება წაშლილია: სამივე სახელი მოქმედებითის (=გამოსვლითის) ფორმით არის მოცემული (**არიმათიაჲთ, ქალაქით, ჰურიასტანით**). ასევე მნიშვნელოვანია შემდეგი მაგალითიც: **დაბისაგან** მარიამისა და მართაჲსა, დისა მისისა, ი. 11, 1 DE, მაგრამ C-ში ამის ნაცვლად გვაქვს: **დაბით** მარიამისით და მართაჲსით, **დისა მისისა**. აქაც ნათესაობითს მოქმედებითი (=გამოსვლითი) ცვლის (დაბისაგან—დაბით). მაგრამ ასეთ შესაძლებლობაზე ზემოთ არის ლაპარაკი. აქ მთავარია მეორე: ამ მეორე კონსტრუქციის მაგალითს ასახსნელად მოჰყვება პირველის შესაფერი განსაზღვრება: „დისა მისისა“, უნდა ყოფილიყო კი „დისა მისისაჲთ“ (დაბით მარიამისით და მართაჲსით, დისა მისისაჲთ). ჩანს, გამოსვლითი ბრუნვის შინაარსის შემცველი ეს ორი კონსტრუქცია იმდენად ახლო იყო ერთმანეთთან და იმდენად შეეძლო ერთმანეთის მაგივრობა გაეწია, რომ ერთისა და იმავე წინადადების 2 ნახევრის სხვადასხვანაირად გამოხატვაც კი (ნახევარი მოქმედებითით, ნახევარი ნათესაობითით) არ ქმნიდა უხერხულობას.

ზემოთ დამოწმებულია უმთავრესად ოთხთავის მაგალითები, მაგრამ მრავლება ზოგადი ხასიათისაა და იგი სხვა ძეგლებშიც გვხვდება. ორიოდე ნიმუშს ამათგანაც დავიმოწმებთ:

ვინ არს ესე, რომელი გამოვალს **უდაბნოჲსაგან**, ქებ. 3, 6 (თბ. გამოც.), მაგრამ: ვინ არს ესე, რომელი გამოვალს **უდაბნოჲთ**, იპოლ. 26, 2; მოაკლდა წყალი იგი **პირისაგან ქუეყანისა**, დაბ. 8, 13 ლაგ., მაგრამ: მოაკლდა წყალი იგი **ქუეყანით** (იქვე); და იყო კაცი არმათემს შინა, **მთისაგან** ეფრემისა, 1 მეფ. 1, 1 (თბ. გამ.), მაგრამ: კაცი ვინმე იყო არმათემით, **მთითგან** ეფრემისით (იქვე, ლაგ.); აღვიდოდა კაცი იგი დღითი-დღე **ქალაქისაგან** მისისა არმათემისა... სილომსა, 1 მეფ. 1, 3 (თბ. გამოც.), მაგრამ: აღვიდის კაცი იგი **ქალაქით** თჳსით არმათემით... სელომდ (იქვე, ლაგ.); და მიერითგან იქმნა იგი განძებულ **სამოთხისა მისგან**, პარხ. 1146, მაგრამ: განიელინოს იგი **სამოთხით**, იქვე; გამოვიდა **მონასტრისა მისგან**, პარხ. 1233, მაგრამ: ვერ დაარწმუნეს მას **მონასტრით** გამოსლვაჲ, იქვე, 1232.

ამნაირად, ირკვევა, რომ **გან** თანდებულიანი ნათესაობითი ძველ ქართულში ასრულებდა გამოსვლითი ბრუნვის ფუნქციას და ხშირად ამავე მნიშვნელობით გამოყენებულ **ით** ნიშნიან მოქმედებითს ენაცვლებოდა. ეს გარემოება ამ ბრუნვების გენეტური კავშირით უნდა აიხსნებოდეს.

5. ნათესაობითი ზოგიერთ ზმნასთან

ზოგიერთ ორპირიან გარდაუვალ (ე. წ. ინვერსიულ) ზმნას მხოლოდ ერთი პირის შინაარსი აქვს შერჩენილი. ეს პირი ირიბ-ობიექტური პირია. სუბიექტი, რომელიც სახელობითს ბრუნვაში უნდა მდგარიყო, დაკარგულია,

იგი ზმნაში მხოლოდ ფორმალურად არის წარმოდგენილი, მისი პირი აღინიშნება, ხოლო ამ პირის ფარდი სახელი რეალურად არა ჩანს. ასეთია, მაგალითად, მ-ე-შინ-ი-ს, მ-რცხუენ-ი-ს, მ-სურ-ი-ს და სხვა. ფორმაში მ-ე-შინ-ი-ს მ-ს ფარდი სახელია მე (ბე მეშინის), ხოლო ს-ს ჟარდი სახელი (წარმოშობით სუბიექტი, რომელიც სახელობითში უნდა ყოფილიყო) ამ ზმნასთან არ არის; არა ჩანს, რა მეშინის მე. ასეთი ზმნები ფორმით ორპირიანია, შინაარსი, გაგება კი ერთი პირისა აქვთ. შეიძლება ამ დაკარგული პირის საკომპენსაციოდ (ან შეიძლება სხვა მიზეზით) ამ ზმნებთან შინაარსით დაკავშირებულია კიდევ ერთი სახელი, რომელიც ნათესაობითში დგას და რომელსაც უფრო ხშირად ახლავს თანდებული (გან, თჳს), თუმცა უთანდებულო ნათესაობითის ხმარებაც არ არის იშვიათი. ზემოთ მოყვანილი ზმნა შეიწყობს **გან** თანდებულიან ნათესაობითს: მეშინის მე მისგან, ეშინის მას კაცისაგან, ეშინოდა მას (ან: მათ) ერისაგან. როგორც ვთქვით, ამაჳე ზმნასთან შეიძლება ვიხმაროთ უთანდებულო ნათესაობითიც: ეშინოდა **ერისა**, ეშინის **კაცისა**. მაგრამ რომ ეს უკანასკნელი ფორმები (ერისა, კაცისა) უფრო ადრე თანდებულიანი უნდა ყოფილიყო და მათგან მომდინარეობს სათანადო თანდებულების ჩამოცილების შემდეგ, ეს იქედანაც ჩანს, რომ ნაცვალსახელების ნათესაობითის ფორმას მუდამ ერთვის ·ა: ეშინოდა მის-ა, ვის-ა გეშინოდის.

ახალ ქართულში ამ ზმნებთან ეს ნათესაობითი გვაქვს შემორჩენილი (ეშინია კაცის, გველის ეშინია), თუმცა თანამედროვე ქართულის ზოგიერთ დიალექტში ძველებური წარმოება არის დარჩენილი და ნათესაობითში მდგარი სახელისაგან მოითხოვს **გან** თანდებულის დართვას: მეშინია მისგან, ეშინოდა კაცისგან, მხეცისგან ეშინოდა და სხვა. ამნაირი არქაიზმი შემონახული აქვს ხევსურულს, ფშაურს და სხვებს.

ჩვენ აქ არა გვაქვს განზრახული ამ საკითხზე ფართოდ შევჩერდეთ, იგი სხვა დროს და სხვა ადგილას იქნება დაწვრილებით გაშუქებული. აქ მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას ზოგიერთი ასეთი ზმნის შესახებ. ასეთი წარმოება ყველაზე ხშირია **შინება** ზმნასთან. ამის ნიმუშებია:

თანდებულიანი ნათესაობითი

არა შეშინდა **შინებისაგან** ჲათისა, სას. პოეზ. 9, 69; არა მეშინის მე **თქუმათაგან** შენთა, პარხ. 731·ხ; მეშინის მე **უფლისა ჩემისაგან**, დანიელ 1, 10; ნუ გეშინინ **მათგან**, მ. 10, 28; ეშინოდა **ერისა მისგან**, მ. 14, 5; ეშინოდა **ერისაგან**, მრ. 11, 32 C; შეეშინა **ერისა მისგან**, მ. 21, 46 C; ელიას წინაწარმეტყუელსა შეეშინა **დედაკაცისაგან**, სინ. მრ. 203 v; ეშინის **მარხვისაგან**, იქვე, 104.

იშვიათად **გან**-ის ნაცვლად თჳს თანდებული იხმარება: ნუ გეშინინ **სახარებისათჳს**, სინ. მრ. 26 v.

უთანდებულო ნათესაობითი

არცა გეშინის შენ **ღმრთისა**, ლ. 23, 40; **ღმრთისა** არა მეშინის, ლ. 18, 4; გუეშინის **ერისა ამის**, მ. 21, 26; მრ. 11, 32; ეშინოდა **ერისა მის**, მრ.

12, 12; ლ. 20, 19; 22, 2; **ღმრთისა** არა ეშინოდა, ლ. 18, 2; მებრვე არა გეშინისა **უფლისა**, კიმ. I, 150, 9 (=სრულებით არ გეშინია უფლისა?).

ნუუკუე გეშინინ **მათა**, მ. 10, 26; ჰეროდეს ეშინოდა **იოვანესა**, მრ. 6, 20; ეშინოდა მისა, მრ. 11, 18; გიჩუენო თქუენ, **ვისა** გეშინოდის, ლ. 12, 5.

ამ ტიპისაა აგრეთვე ზმნა „ჰრცხუენის“, მაგალითად:

არცა **კაცთაგან** მრცხუენის, ლ. 18, 4; **კაცთაგან** არა ჰრცხუენოდა, ლ. 18. 2; **არავისგან** ჰრცხუენის, კიმ. I, 204, 18.

„სირცხვილის“, „დარცხვენის“ მნიშვნელობით იხმარება ძველ ქართულში აგრეთვე „შეკდემა“, რომელსაც ისეთივე თვისება აქვს, როგორც ზემოთ აღნიშნულ ფორმებს, ე. ი. მოითხოვს სახელს ნათესაობითში **გან, თჳს** თანდებულებით, ან უთანდებულოდ, მაგალითად:

არცა შეეიკდიმოთ **ჴცეთაგან** მრავლის ჟამისათა, სიბრძ. 2, 10 ლაგ.; შეიკდიმონ **ძისა ჩემისაგან**, მ. 21, 37 C; შეიკდიმონ **ძისათჳს ჩემისა**, იქვე DE.

ასეთივე თვისებისაა აგრეთვე **სურის** და **სწადის** ზმნებიც. ამათთან იხმარება ნათესაობითი უმთავრესად **თჳს** თანდებულით, იშვიათად სხვებითაც. მაგალითები:

რომლისათჳსცა-იგი გწადოდა, მოგეცა შენ, კიმ. I, 137, 26.

ვითარცა სურინ ირემსა **წყაროთა მიმართ** წყალთაჲსა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა **შენდამი**, ღმერთო, სახისმეტყ. (ისტ. ქრესტ. 287, 14); **ვისა** ჰსურის გულსა: **ქრისტჱსა** მიმართ, ანუ **ხარწმუნოჲსა** ამის **სოფლისა**, ი. ჯავ. აღწ. 233, 21; **რომლისა** მსურის მე, პარხ. 1170; ი. ჯავ. აღწ. 175, 20; **რომლისათჳს-იგი** შენ გსუროდა, ეტ. III, 189, 34.

6. ნათესაობითი უფროობითი ხარისხის ფორმებთან

ზემოთ (გვ. 445 — 446) ნაჩვენები იყო, რომ უფროობითი ხარისხის ფორმებთან შესადარებელი საგნის ბრუნვა ძველისძველ ძეგლებში მიცემითი იყო. მაგრამ შემდეგში, როგორც ცნობილია, მიცემითი შეცვალა ნათესაობითმა როგორც ისეთმა ბრუნვამ, რომელიც ჩვეულებრივია სახელის მიერ სახელის მართვისას. ასეთი არჩევანი იმით იყო ზურგგამაგრებული, რომ უფროობითი ხარისხის ფორმა თანდათან დასცილდა ზმნას და სახელის დამახასიათებელი თვისებები შეიძინა. სახელი კი მეორე სახელს სწორედ ნათესაობითში მართავს. ძველ ქართულში ჩვენ გვაქვს ხშირი შემთხვევები, როცა ასეთი სახელი ნათესაობითში დგას. აი ამის რამდენიმე მაგალითი:

განმბანე მე, და **უფროჲს თოვლისა** განვსპეტაკნე, ფსალმ. 50, 7; და ნუ ხარ **უგრილეს ნაცრისა** და მკუდარ **უფროჲს მოკლულისა**,' მამ. სწავ. 132; არა ლომი **უმრისხანჱს** არს **გულის-წყრომისა**, სვან. 468 a; რაჲ-მე **უნათლჱს** არს **მზისა**, ზირაქ 17, 26. სხვა მაგალითები ნ. ზემოთ, გვ. 446.

ძალიან ხშირად ჩვენთვის საინტერესო სახელი ორმაგი ბრუნვის ფორმით არის გადმოცემული. ასეთ შემთხვევაში გვაქვს თითქმის მუდამ ერთი და იგივე ბრუნვები — ნათესაობით-მიცემითი, მაგალითად:

ლუკიანე საწუალობელი და **უნარჩევესი** ყოველთა **კაცთასა** უფლისა მიერ გიკითხავ, პარხ. 122 a; განამრაელეს ბილწებაჲ თჳსი უფროჲს ყოველთა **წარმართთასა**, 2 ეზრა 1, 49; და იღუაწა მისი უფროჲს სიუათა მათ **დედათასა**, ესთერ 2, 10. სხვა მაგალითები ნ. ზემოთ, გვ. 447—448.

ახალ ქართულში შესადარებელი სახელის ბრუნვა ისევ მიცემითია, ოღონდ იმ დიდი განსხვავებით, რომ ამ მიცემითს უნდა დაერთოს ზე თანდებული: **შაქარზე** უტკბილესი, **თვალზე** უსწრაფესი, **თოვლზე** უთეთრესი, **კუპრზე** უშავესი, **სახლზე** უდიდესი, **შვილზე** უბედნიერესი, **ძმაზე** უფროსი, **დაზე** უმცროსი და სხვა.

იშვიათად, უფრო კუთხურ მეტყველებაში, ზე თანდებულიან მიცემითს ნათესაობითი ცვლის: **ხილის** უკეთესი რა არის, **ამის** უარესი რა იქნება, **იმის** უმაღლესი ვინ იქნება და სხვა, მაგრამ ასეთი ფორმები არაა ლიტერატურული.

აქ, რასაკვირველია, შორეული მოგონებაც კი არ არსებობს იმისა, რომ ერთ დროს ეს ფორმები ზმნასთან პირის საშუალებით იყო დაკავშირებული და ერთადერთი სარგო ბრუნვა მათთვის (უთანდებულო) მიცემითი იყო. მაინც საინტერესოა აღინიშნოს, რომ ახალმა სალიტერატურო ქართულმა ჩვენთვის საინტერესო სახელის ბრუნვად ისევ მიცემითი გაიბატონა, მართალია, თანდებულიანი, მაგრამ მაინც მიცემითი; ნათესაობითი კი, როგორც მეორეული და შემდგომ გამოყენებული, ენამ მოუბრუნებლად უკუაგდო და ხმარებიდან გააძევა.

B. ნათესაობითი ის (ჲს) ნიშნით

ის (ჲს) ნიშნიანი ნათესაობითის ფუნქციები გათვალისწინებული გვაქვს ზემოთ. სათანადო მოწმობებიც იქვეა მოყვანილი. აქ მხოლოდ ჩამოვთვლით მათ და მივუთითებთ ამ შრომის სათანადო გვერდებზე, სადაც მკითხველი იპოვის აღძრული საკითხის გამო წარმოებულ მსჯელობას და შესატყვის მაგალითებს.

7. ნათესაობითი კომპოზიტებში

ნათესაობითი ბრუნვა ქართულში ყველაზე ხშირად არის გამოყენებული კომპოზიტებში. კომპოზიტების ბრუნვა, როგორც იტყვიან, ნათესაობითია. აქ გვაქვს მრავალი ტიპის კომპოზიტი, რომლის პირველი შემადგენელი ნაწილიც წარმოადგენს ნათესაობითს, რომელსაც ბრუნვის ნიშნად მარტივი ის (ჲს) აქვს. ასეთი კომპოზიტებია: ერის-თავი, დის-წული, ურმის-თუალი, ყურის-ძირი, თავის-უფალი, ზეთის-ხილი, ასის-თავი, წყაროჲს-თავი, ხიზს-კიდი, დანაკის-კუდი, ციხის-თავი, ეგრის-წყალი, ცის-კარი, მზის-თუალი, უფლის-ციხი, ცის-სარტყელი, კუროჲს-თავი, სეფის-კუერი, ბადის-პირი და სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 151 — 158).

ასეთია ფერების სახელები: თაფლის-ფერი, იის-ფერი, მიწის-ფერი, ღუნის-ფერი, ოქროჲს-ფერი, სისხლის-ფერი, ცის-ფერი და სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 159 — 161).

შეიძლება მრავლობითის ნათესაობითიც გვქონდეს: მჭეცთ-ბუნება, დედათ-დიაკონი, ჭელთ-ბორკილი და სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 162 — 163).

კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილია მიმღეობა:

ვეცხლის-მოყუარე, ღმრთის-მოყუარე, ქველის-მოქმედი, ქუეყანის-მოქმედი, ვეცხლის-მჭედელი, ოქროჲს-მჭედელი, ძუძუჲს-მწოვარი, ჯუარის-მცუმელი და სხვა (ნ. ზემოთ, 165 — 172).

კომპოზიტის (რთული ზმნის) მეორე შემადგენელი ნაწილი საწყისია: გულის-წყრომაჲ, უვარის-ყოფაჲ, ნათლის-ცემაჲ, შურის-ძიებაჲ, სასელის--დებაჲ, ყურიმლის-ცემაჲ და სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 172 — 173).

დასასრულ, აღვნიშნავთ ისეთ შემთხვევებს, როცა მიმღეობასა და საწყისს წინ უძღვის **მრავლობითში** დასმული სახელი: თუალთ-შეუდგამი, თუალთ-ხუმაჲ, ქურუმთ-მოძღუარი, მესაპყრობილეთ-მცველი, მარტჳლთ-მოყუარე, ბაგინთ-მძარცუველი, მჭეცთ-შეუვალი და სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 173).

8. ნათესაობითი დროის გარემოებად

ნათესაობითის ერთ-ერთი ძველისძველი ფუნქციაა დროის გარემოების გამოხატვა. აქ გვაქვს დროის აღმნიშვნელი ზმნიზედები: **გზის** (ორ გზის, სამ გზის, ათ გზის, მრავალ გზის...), **მყის, შორის**...

აქ გვაქვს დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა: სამხრის, ზამთრის, ზაფხულის, წუთის, მწუხრი (← მწუხრის), მიმწუხრი (← მიმწუხრის).

ამნაირი წარმოება დადასტურებულია აგრეთვე თანამედროვე ქართული კილოებში (ხევსურულში, ფერეიდნულში, ინგილოურში, თუშურში, ფშაურში და სხვაგან)[1].

9. ნათესაობითი infinitiv-ის მნიშვნელობით

მარტივნიშნიანი ნათესაობითი ძველ ქართულში გამოყენებულია უცხოენების infinitiv-ის მნიშვნელობით. მოვლენა სპორადულად არის შემონახული უძველეს ძეგლებში. დამახასიათებელია, რომ იგი გვხვდება უმთავრესად ნათარგმნ ძეგლებში (ძალზე იშვიათად თითო-ოროლა მაგალითი ორიგინალურშიც შეინიშნება), ამასთან მეტად შეზღუდულია ზმნები, რომლებთანაც მას ვხვდებით. ასეთი ზმნებია: ნდომა (მინდა, გინდა, უნდა... უნდეს), ნებება (მინებს, გინებს, უნებს... მნებავს, გნებავს, ჰნებავს... მენება, გენება, ენება...), გულება (გეგულების, ეგულებოდა), ჩენა (გიჩს, უჩნ, უჩნდეს), წადილი (სწადოდა, გუწადოდა), გულის-თქუმაჲ (გული-მითქუმიდა, გული-უთქუმიდა, გულმან-უთქუა), ჭელ-წიფება (ჭელ-ეწიფების).

---

[1] ი. იმნაიშვილი, ძველ ქართულში დროის გარემოების გამოხატვის ზოგიერთი საშუალებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის: ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, № 2, 1957, გვ. 73—80.

არის კიდევ შემჩნეული ერთი მეტად მნიშვნელოვანი კანონზომიერება: ნათესაობითში დგას თითქმის მხოლოდ საწყისი.

ზემოთ თქმულის ნიმუშები იქნება:

არა მინდა ქორწინების, რომელთა უნდა სმენის, არა უნდა კითხვის, არა უნდა ნუგეშინის-ცემის, არა უნდა სუმის, უკუეთუ გინდეს ცნობის, უნებს სინანულის, მნებავს სწავლის მეცა, ენება მათ წარსლვის, ჩუენდა გეგულების გამოცხადების, სწადოდა ხილვის და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში უცხო ენები გვაძლევენ შესატყვისად სპეციფიკურ ფორმას — infinitiv-ს. ამიტომ ეს მოვლენა ჩვენს ენაში აღმოცენებული უნდა იყოს ასეთი infinitiv-ის ქართულად გადმოცემისათვის (ნ. უფრო ვრცლად ზემოთ, გვ. 174—183).

10. ნათესაობითი წრფელობითის მსაზღვრელად

ნათესაობითის მარტივი ფორმა გვეელინება აგრეთვე წრფელობითის მსაზღვრელად: შვილ ღმრთ-ის, სადგურ ცხორების, გჳრგჳნ შუენიერების. ეს არის მსაზღვრელ-საზღვრულის წრფელობითში შეთანხმების უძველესი სახე. მოგვიანო ხანის ძეგლებში ნათესაობითის მარტივი ფორმის ნაცვლად ემფატიკური ანიანი სახეობა გვხვდება: შვილ ღმრთ-ის-ა, სადგურ ცხორებ-ის-ა და სხვა. ეს აიხსნება ორმაგი ბრუნების სხვა ბრუნვების ნათესაობითში წარმოდგენილი ანიანი ფორმების ანალოგიით: შვილი ღმრთ-ისა-ჲ, შვილმან ღმრთ-ისა-მან, შვილსა ღმრთ-ისა-სა და სხვა. მაგრამ ძველისძველ ძეგლებში პირველი სახეობაა გაბატონებული. მსგავსი მაგალითებია კიდევ: ღელე გლოვის, ლეკუ ლომის, მზე სიმართლის, აგარაკ სიხსლის, წყარო ცხორებაჲ, ძეგლ მარილის და სხვა.

ამ მაგალითებში საზღვრული წინ იყო მოქცეული, მსაზღვრელი — შემდეგ. ეს არის ნორმა. მაგრამ იშვიათად გვხვდება საწინააღმდეგო წყობაც: მსაზღვრელი (ნათესაობით-წრფელობითი) წინ, საზღვრული (წრფ.) — შემდეგ, მაგალითად: უკეთურების ჭურჭელ, ერთის ცოლის ქმარ, ერთობის წიგნ და სხვა (ნ. უფრო ვრცლად ზემოთ, გვ. 183 — 190).

11. ნათესაობითი ასაკის, ფასისა და ზომა-წონის გამომხატველ სიტყვებში

ნათესაობითის მარტივი ფორმა გვაქვს აგრეთვე ისეთ სიტყვებში, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის ასაკს, ფასს, სხვადასხვა ხასიათის ზომასა და წონას.

ასაკის გამომხატველი სიტყვების მაგალითებია

ექუსის თჳს, ათის წლის, ათორმეტის წლის, ოთხმეოც და ოთხის წლის, წელიწდის ერთის და სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 190 — 192).

ფასის გამომხატველი სიტყვების მაგალითებია

სამასის დრაIკნის, ორის დანგის, ასის სასწორის, ორის ტალანტის, ვეცხლის და სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 192 — 193).

ზომა-წონის გამომხატველი სიტყვების მაგალითებია

სამის ოდენ ჟამის, სამასის სიკლის პილენძის, ორას ჯუეზა პურის, სა-ზომით ერთის ღერწმის და სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 193).

12. ნათესაობითი ზოგ თანდებულთან და სახელთან

ნათესაობითი ბრუნვა მარტივი ნიშნით ზოგჯერ იხმარება აგრეთვე ზოგ თანდებულთან და სახელთან.

ა) ნათესაობითი თანდებულებთან

ქუხილის წინა, ჟამის წინა, შჯდის წლის შემდგომად, ორის წილ და სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 193 — 194).

ბ) ნათესაობითი სახელებთან

მყინვრის-სახესა, ოქროჲს-სახესა, მჴეცის-სახემან, ბროლის-სახეთა, ბადის-სახჱ, ნიგუზის-სახჱ, ქოთნის-სახენი, ელვის-სახენი, ბირთჳს-სახე და სხვა.

ხშირად სახე ვითარებითში დგას და აღნიშნავს „მსგავსად“: ცუარის სახედ, პილენძის სახედ, ელვის სახედ, ხერხის სახედ, ღრუბლის სახედ, ზღუდის სახედ და სხვა.

მაგრამ თუ „სახედ“ წინ არის მოქცეული, ნათესაობითი სრული ნიშნით იქნება წარმოდგენილი:

სახედ ტრედისა, სახედ სამკაულისა და სხვა (ნ. უფრო ვრცლად ზემოთ, გვ. 194 — 196).

13. ნათესაობითი ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში

მარტივნიშნიანი ნათესაობითი გვხვდება ისეთ ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში, როგორიცაა: ზღუდის-ზღუდჱ, ციხის-ციხჱ, შიგნის-შიგანი, კიდის-კიდჱ, ზატიკის-ზატიკი, ზოგის-ზოგი, ზედაჲს-ზედა, გარის-გარე, ჴიდის-ჴიდი.

ასეთი ნათესაობითი ზოგჯერ მრავლობითშიც შეიძლება იქნეს წარმოდგენილი: მეფეთ-მეფე (ნ. უფრო ვრცლად ზემოთ, გვ. 196 — 198).

თავი მეექვსე

მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციები

მოქმედებითს ბრუნვას ძველ ქართულში მრავალი ფუნქცია მოეპოვებოდა. ბევრი მათგანი მას ახალ ქართულში არ გადმოჰყოლია. ფუნქციათა დიდი ნაწილი სიტყვაწარმოებითს საფუძველს ეყრდნობა, სხვები სხვადასხვა ხასიათისაა.

წარმოების მიხედვით უდიდესი ნაწილი **ით** სუფიქსით აღინიშნება, შედარებით მცირეს მოქმედებითის სრული სუფიქსი აქვს ნიშნად (**ით-ა**).

მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციათა დიდი ნაწილი ჩვენ განხილული გვაქვს ზემოთ (გვ. 198 — 268), სადაც **ით** ნიშნიანი მოქმედებითის ხმარების საკითხს ვეხებით. აქ მოგვიხდება მხოლოდ საკითხის უბრალო აღნიშვნა და ამ შრომის სათანადო გვერდებზე მითითება.

A. მოქმედებითი ით-ა (დთ-ა) ნიშნით

აქ პირველ რიგში უნდა განვიხილოთ მოქმედებითის გამოყენება უბრალო დამატებად.

1. მოქმედებითი უბრალო დამატებად

მოქმედებითი გავრცობილი ბრუნვის ნიშნით ყველაზე ხშირად გამოყენებულია უბრალო დამატებად. ის მოგვიგებს კითხვაზე: **რით (რაჲთა)?** პასუხი იქნება: სცა **შოლტითა**, უხეთქნა **კუერთხითა**; გამოვიდეს **მახჯლებითა** და **წათებითა**, უგუმირეს **ლახურითა**, ზეთი მოიღეს **ჭურჭრითა** (**საზეთითა**), სცემდეს **ჯჯრთითა**, მისცა თავი მისი **ლანკლითა** და სხვა.

მოქმედებითის ეს ფუნქცია მკვეთრად გამოირჩევა სხვებისაგან (მაგალითად, ვით. გარემოებისაგან), განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა უბრალო დამატებად საგნის სახელია წარმოდგენილი (**შოლტითა, კუერთხითა, ლახურითა...**). ამ საგნის სახელთა მიმართ ადვილად და გაუჭირვებლად დაისმის კითხვა **რით (რაჲთა)?**

მაგრამ არის შემთხვევები, როცა **ით-ა** ნიშნით წარმოდგენილი სახელი (განსაკუთრებით, საწყისი) თითქოს კარგად ვერ იგუებს ამ კითხვას და უფრო ბუნებრივად ჩანს კითხვა **როგორ** (ძველი ქართულით **ვითარ**). მაგალითად: დაადგრა **ლოცვითა** და **მარხვითა**. მაგრამ, როგორც უკვე ვნახეთ, გავრცობილი ფორმანტი ასეთ შემთხვევაში უძველესი ძეგლების ენაში არ გვხვდება, იქ მოყვანილი სახელები ასეა მოცემული: დაადგრა **ლოცვით** და

მარხვით. მაშასადამე, ზემოთ ნაჩვენები ფორმები — **ლოცვითა** და **მარხვითა** — შემდეგ მიღებული და შედარებით ახალია, მათში ემფატიკური ა შემდეგ არის შესული სხვა მსგავსი (ემფატიკურ ანიანი) ფორმების გავლენით. ამიტომ ესა და მსგავსი ფორმები ისევ ვითარების გარემოებად უნდა ჩავთვალოთ [1].

დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი ტექსტებიდან:

მშჯდ ვარ და მდაბალ **გულითა**, მ. 11, 29; რომლითა **საშჯელითა** შჯიდეთ, მ. 7, 2; შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა **გულითა** შენითა და ყოვლითა **ხულითა** შენითა და ყოვლითა **გონებითა** შენითა, მ. 22, 37; არა ხოლო თუ **პურითა** ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა **სიტყჳთა**, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა, მ. 4, 4; მომეც მე აქა **ლანკლითა** თავი იოვანე ნათლის-მცემელისაჲ, მ. 14, 8; უბანელითა **ჴელითა** ჭამაჲ არა შეაგინებს კაცსა, მ. 15, 20; ხოლო იესუს **ზოლტითა** ჰსცა, მ. 27, 26; ხოლო მან უხეთქნა **კუერთხითა** ხუცესსა მას ზურგსა, შუშ. 152, 12; (მოვიდა) ერი მრავალი **მახჳლებითა** და **ჴათებითა**, მ. 26, 47; ერთმან ერისაგანმან **ლახურითა** უგუმირა გუერდსა მისსა, ი. 19, 34; ლაგჳნი **წყლითა** ზე ედგას, ლ. 22, 10; იწყეს... **ჯჳრთითა** ცემად მისა, მრ. 14, 65; შეჰგრაგნეს იგი **ტილოებითა**, **არდაგებითა**, ი. 19, 40; წარვიდეს... **ნავითა**, მრ. 6, 32.

ამნაირი მოქმედებითი ხშირია ზოგ სპეციფიკურ გამოთქმაში და ზოგ ზმნასთან, როგორიცაა, მაგალითად: დაწუა (ცეცხლითა), შეიპყრა (გულის-თქუმითა), შემოსა (სამოსლითა) და სხვა. მაგალითები:

ბზჳ იგი დაწუას **ცეცხლითა** მით უშრეტითა, მ. 3, 12; ქალაქი მათი დაწუა **ცეცხლითა**, მ. 22, 7; **შიშითა** დიდითა შეპყრობილ იყვნეს, ლ. 8, 37; იმოსებოდა ივი **ძოწეულითა** და **ბისონითა**, ლ. 16, 19.

ასეთივეა აგრეთვე გამოთქმები: **სახელითა** შენითა ეშმაკთა განვასხემდით... **ნებითა** ღმრთისაჲთა და სხვა.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ზმნა **აღვსება**, რომელთანაც, როგორც წესი, ჩვენთვის საინტერესო მოქმედებითი გვაქვს ყოველთვის, მაგალითად:

(ღრუბელი) აღავსო **ძმრითა**, მ. 27, 48; მშიერნი აღავსნა **კეთილითა**, ლ. 1, 53; აღავსენით სარწყულნი ეგე **წყლითა**, ი. 2, 7.

ასეთივე თვისებით ხასიათდება ამ ზმნის ვნებითიც: იესუ... აღივსებოდა **სიბრძნითა**, ლ. 2, 40; აღივსო ქორწილი იგი **მეინაჯითა**, მ. 22, 10.

„სავსე“-ც ამ თვისებისაა: შინაგან სავსე არიან **ნატაცებითა** და **არაწმიდებითა**, მ. 23, 25 C; გამოითრევდეს. ბადესა მას **თევზითა** სავსესა, ი. 21, 8.

მსგავსი მაგალითები ბევრია, მაგრამ მოყვანილიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ მოქმედებითი ბრუნვა სრული ნიშნით, რომელსაც დაეს-

[1] ნ. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ზემოთ, გვ. 199—203.

მის კითხვა **რით** (**რაჲთა**), უბრალო დამატებას გამოხატავს. ასეთ მოქმედებითს **საჭურვლობითს** ეძახიან[1].

2. მოქმედებითი მიზეზის გარემოებად

მოქმედებითს ზოგჯერ შეუძლია გადმოსცეს მიზეზის გარემოებაც. კითხვა აქ იქნება: რა მიზეზით, რისგან, რის გამო? მაგალითები:

და არა მოკუდეს ესე **ცოდვითა** მამისა თჳსისაჲთა, არამედ ცხორებით ცხონდეს, ეზეკ. 18, 17. შდრ. რუსული თარგმანი: то сей не умрёт за беззаконие отца своего, но будет жив; სდვეს (ბადᲛ) და ვერ უძლებდეს გამოზიდვად **სიმრავლითა** მით თევზთაჲთა, ი. 21, 6 C. არ შეეძლოთ ბადით გამოთრევა — რა მიზეზით, რის გამო? — თევზების სიმრავლით, თევზების სიმრავლის გამო. DE-ში მოქმედებითს ცვლის **გან** თანდებულიანი ნათესაობითი, რაც აგრეთვე ქართულში მიზეზის გარემოების გამოსახატავად არის გამოყენებული. ამნაირი მდგომარეობა გვაქვს დღესაც. შდრ. გამოთქმები ბევრი მუშაობით თავი მტკივა, ბევრი მუშაობისაგან თავი მტკივა, გვალვით გაფუჭდა ყანები, გვალვისაგან გაფუჭდა ყანები და სხვა. ამ ხაზის სათავე, როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში გვქონდა.

B. მოქმედებითი ით (დთ) ნიშნით

გაცილებით უფრო ფართოდაა გამოყენებული მოქმედებითი მარტივი **ით** (**დთ**) ნიშნით. ამ ბრუნვის ძველისძველი ფუნქციები სწორედ ამ ნიშანთანაა დაკავშირებული. ეს ფუნქციები, როგორც უკვე ვთქვით, ზემოთ სხვა მიზნებით არის განხილული, სათანადო მაგალითებიც იქ არის მოყვანილი. აქ მხოლოდ დავასახელებთ ამ ფუნქციებს და ამ შრომის სათანადო გვერდებზე მივუთითებთ, სადაც ამა თუ იმ ფუნქციაზე არის საუბარი.

3. მოქმედებითი ვითარების გარემოებად

მოქმედებითი ბრუნვა მარტივი **ით** ნიშნით ყველაზე ხშირად ვითარების გარემოებად არის გამოყენებული. ძველ ტექსტებში ასეთი ფორმები წარამარა გვხვდება. ასეთი მოქმედებითი მოგვიგებს კითხვაზე: **როგორ** (ძველი ქართულით: **ვითარ?**). მაგალითები:

ლოცვით და **მარხვით** აღვასრულეთ დღე იგი (პარხ. 866 b); **მოთმინებით** ვრბიოდით (ებრ. 12, 1); **სიხარულით** შეიწყნარა, **ცრემლით** გარე განვიდა, **სიმდაბლით** მოიკითხა, წარვიდა **სწრაფით**, **ჴირით** მოიყვანეს იგი (კიმ. I, 205, 19), რაჲთა ვცნა **ზედა-მიწევნით**, წარვიდა **მშჯდობით**, იტყჳს **წადიერებით**, **სრბით** მიეგებოდა, **მუჴლ-დადგმით** ეტყოდა, **ჴუშმარიტებით** ასწავებ, მოვიდა **შიშით** და **ძრწოლით** და სხვა მრავალი.

---

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძ. გვ. 46.

უფრო მოგვიანო ძეგლებში ეს წესი ზოგჯერ დარღვეულია და მოქმედებითს უჩნდება ემფატიკური ა. უფრო ხშირად ეს მაშინ ხდება, როცა ასეთ მოქმედებითს მოჰყვება რაიმე მსაზღვრელი, რომელიც ჩვეულებრივ საზღვრულს ამ ა-თი უკავშირდება, მაგალითად: **სულ-თქუმით** აღმოუტეო ჴმაჲ ჩემი და ვიტყოდი **სულ-თქუმითა** სულისა ჩემისაჲთა შეპყრობილი. იობ 10, 1 ლაგ. აქ ერთი და იგივე სიტყვა ორჯერ არის წარმოდგენილი მოქმედებითის ფორმით: ერთჯერ მარტივი ფორმით (**სულ-თქუმით**), მეორეჯერ სრულით (**სულ-თქუმითა**). ეს იმიტომ, რომ მას აბლავს თავისი მსაზღვრელი (სულისა) და მსაზღვრელის ნსაზღვრელი (ჩემისაჲთა).

ხანდახან ამ მიზეზის გარეშეც გვხვდება ვითარების გარემოება სრული დაბოლოებით:

არცა გულის-წყრომით ზრახვიდა მათ, არამედ **სახიერებითა** და **სიმშჯდითა**, ნაბ. სწავ. (H) 19[1].

4. მოქმედებითი გამოსვლითი ბრუნვის მნიშვნელობით (=ადგილის გარემოებას)

აქ უნდა გავარჩიოთ ორი შემთხვევა:

ა) მოქმედებითის ნიშანია **ით** სუფიქსი (ქალაქ-ით);

ბ) **ით** სუფიქსს ერთვის **ი** და ვღებულობთ რთულ სუფიქსს **ით-ი** (ქალაქ-ითი ქალაქად).

ა) ით ნიშნიანი მოქმედებითი

ძველ ქართულში ძალიან გავრცელებული იყო მოქმედებითი ბრუნვის გამოყენება გამოსვლითი (დაწყებითი) ბრუნვის მნიშვნელობით. უფრო ხშირად ასეთი მოქმედებითი უთანდებულოდ იხმარებოდა (რითაც განსხვავდებოდა თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან), მაგრამ ზოგჯერ თანდებულებსაც დაირთავდა. უთანდებულო მოქმედებითის მაგალითებია:

მოვედ **ბანაკით**, განაძეს იგი **ქალაქით**, გამოვიდა ეშჳ **ტყით**, რომელი გამოვალს **უდაბნოჲთ**, **აბანოჲთ** გამოსრული, გამოვიდეს მიერ **კიდობნით**, რაჟამს გამოხჳდე **კარით**, შესრული **სარკუმლით**...

ასეთი მნიშვნელობისაა ტერმინები: აღმოსავალით, ბღუარით, დასავალით, სამხრით, ჩრდილოჲთ, მზის-აღმოსავალით, მზის-დასავალით.

თანდებულიანი მოქმედებითის მაგალითებია:

მზის-აღმოსავალითგან, ფერჴითგან, მჴრითგან, ბეჭითგან, იდაყჳთგან. ძირითგან, თავითგან, გზითგან...

სარკუმულით გამო, ნავით გამო, ღრუბლით გამო, მაღლით გამო, მაყულოვანით გამო...

---

[1] უფრო ვრცლად ნ. ხუმოთ, გვ. 199 — 203.

ზეცით გარდამო, ცით გარდამო, მთით გარდამო და სხვა[1].

ბ) ით-ი ნიშნიანი მოქმედებითი

გამოსვლითი ბრუნვის შინაარსით იხმარება მოქმედებითი ბრუნვის თავისებური სახეობა, სადაც ით-ს ბოლოს ერთვის ი და ეღებულობთ რთულ ით-ი-ს. ასეთ მოქმედებითს ყოველთვის თან სდევს იმავე სახელის ვითარებითი ბრუნვა: **ქალაქითი** ქალაქად, **სოფლითი** სოფლად, **სენაკითი** სენაკად და სხვა. ჩვეულებრივი შინაარსი ასეთი გამოთქმისა არის: ქალაქიდან ქალაქში, სენაკიდან სენაკში (სენაკ-სენაკ) და სხვა. ამგვარი ფორმები ძველ ქართულში ერთგვარ ტექნიკურ გამოთქმადაა ქცეული და მხოლოდ ადგილის აღსანიშნავად არ იხმარება, მას ფართო გამოყენება აქვს აგრეთვე დროის აღსანიშნავადაც, მაგრამ ამაზე ქვემოთ. უფრო ვრცლად ამ საკითხზე ნ. ზეზოთ, გვ. 215 — 219.

5. მოქმედებითი დროის გარემოებად

აქაც არის გასარჩევი ორი შემთხვევა:
ა) როცა მოქმედებითის ნიშანია ით და
ბ) როცა მისი ნიშანია რთული ით-ი.
ეს შემთხვევები უნდა ცალ-ცალკე იქნეს განხილული.

ა) ით ნიშნიანი მოქმედებითი

ით ნიშნიანი მოქმედებითი გადმოგვცემს დროის გარემოებასაც. აქაც გვაქვს თანდებულიანი და უთანდებულო ფორმები. უთანდებულო მოქმედებითის მაგალითებია: დღით, ღამით, დილადთ, აღებით (=აღებიდან), მრავლით წლით და სხვა. გაცილებით უფრო ხშირია თანდებულიანი მოქმედებითი. თანდებულად ამ შემთხვევაში გვხვდება **გან**. მაგალითები:

მრავლით ჟამითგან, მიერ დღითგან, სამით წლითგან, საუკუნითგან, ცისკრითგან, განთიადითგან, სიყრმითგან, სიჩჩოდთგანვე, დასაბამითგან, დასასრულითგან და სხვა. ასეთივე ფორმებია აგრეთვე ზმნიზედად ქცეული **მიერითგან, ვინადთგან** და სხვა.

ხშირად არის ამ შინაარსით გამოყენებული აგრეთვე საწყისებიც, მაგალითად: დაბადებითგან, ჯუარ-ცუმითგან, დაყუდებითგან, მოსლვითგან, (ქრისტჱს) აღმაღლებითგან, გარდაცვალებითგან, (ელისაბედის) მიდგომითგან და სხვა. (უფრო ვრცლად ნ. ზემოთ, გვ. 219 — 224).

ბ) ით-ი ნიშნიანი მოქმედებითი

დროის აღმნიშვნელ სიტყვებში ით-ი წარმოება დროს უჩვენებს. ასეთი გამოთქმებია: **დღითი** დღედ, **ჟამითი** ჟამად და სხვა. ამათგან პირველის

[1] უფრო ვრცლად ნ. ზემოთ, გვ. 203 — 215.

მნიშვნელობაა „ყოველდღე“, „ყოველდღიურად“, მეორისა — „დროდადრო“. ასეთივე გამოთქმაა აგრეთვე შეკუმშული „წლითი წლად“ და შეუკუმშავი „წელითი წლად“, რომლისაგანაც მიღებულია შემდეგ „წელიწადი“. ასევე დროს აღნიშნავს აგრეთვე ამ წარმოების ნიმუშები: **დილითი** დილად, **კჯრიაკითი კჯრიაკედ**, **მწუხრითი** მწუხრად და სხვა.

მაგრამ დროის გარემოების აღნიშვნისას ამ წარმოების თავისებურება ისაა, რომ მოქმედებითი აქ ცალკეც იხმარება და ვითარებითის დართვა აღარაა საჭირო. ამის მაგალითებია:

არა დაწნიხეს იგი (ღჯნოჲ) **დილითი** არცა მწუხრი, იერ. 48, 33; ისმოდენ ვალალებაჲ **დილითი** და ღაღადებაჲ სამხრის, იერ. 20, 16 (უფრო ვრცლად ამ საკითხზე ნ. ზემოთ, გვ. 224 — 226).

6. მოქმედებითი მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობით (=ადგილის გარემოებას)

მოქმედებითის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, აღნიშნოს მოქმედების მიმართულება გარკვეული **პუნქტისაკენ**. იგი მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციას ასრულებს. ახალ ქართულზე ასეთი ფორმები უნდა გადმოვცეთ მიცემითით ან ნათესაობითით **ში** ან **კენ** თანდებულის დართვით, ამიტომ ძველი ქართულის წარვიდა „თარშით“ (გარკვეულ შემთხვევებში) იქნება: წავიდა **თარშისაკენ**, **თარშში**. ასე: **ჩრდილოჲთ კერძო** იქნება ჩრდილოეთისაკენ; ასევე: „აღმოსავალით“ არა მარტო „აღმოსაველეთიდან“ იქნება (რასაც ზემო პუნქტში გავეცანით), არამედ აგრეთვე „აღმოსავლეთისაკენ“.

აწნაირი მოქმედებითი გვხვდება უთანდებულოდაც და თანდებულითაც. უთანდებულო მოქმედებითის ნიმუშებია: წარავლინნა ცათგანნი რომელნიმე **კახეთით** და რომელნიმე **კუხეთით** და სხუანი **ზენა-სოფლით** (ლიტ. ქრესტ. 158, 16); პირი **აღმოსავალით** ვიქციეთ (ზარზმ.) და სხვა. ეს მაგალითები ნიშნავს: ზოგი გაგზავნა კახეთში (**კახეთისაკენ**) და ზოგი — **კუხეთში** (კუხეთისაკენ); სხვები—**ზემო მხარეში**; პირი ვიბრუნეთ **აღმოსავლეთისაკენ**.

თანდებულიანი მოქმედებითის ნიმუშებია (თანდებულად აქ გვხვდება მხოლოდ **კერძო**):

სამხრით კერძო (=სამხრეთისაკენ), დასავალით კერძო (=დასავლეთისაკენ, დასავლეთში), აღმოსავალით კერძო, ჩრდილოჲთ კერძო, ბღუარით კერძო, მთით კერძო (=მთისაკენ) და სხვა (ვრცლად ნ. ზემოთ, გვ. 226 — 234).

7. მოქმედებითი პარონომაზიულ გამოთქმებში

პარონომაზიულ გამოთქმებში გვაქვს ზმნის წყვილი ფორმა, რომელთაგან ერთი (ჩვეულებრივ პირველი) საწყისია, მეორე ზმნის პირიან ფორმას წარმოადგენს. ეს საწყისი მუდამ მარტივი ბრუნვის ნიშნით არის ხოლმე წარმოდგენილი. ამის ნიმუშებია: **წარწყმედით** წარწყმდენ, **განკაფით** განიკაფნეს, **ცხორებით** სცხონდე, **ხედვით** ჰხედვიდენ, **თრევით** მოგითრიო, **ჰამით** ჰამოს; **სიკუდილით** მოკუედინ და სხვა. ზოგჯერ (უფრო იშვიათად)

ზმნის პირიანი ფორმა საწყისს წინ უსწრებს, მაგალითად: უწყი **უწყებით**, შეჟამა **შეჟმით**, მოუძლურდენ **უძლურებით**, აიძულეს მათ **იძულებით**, მოვკლათ იგი **მოკლვით** და სხვა.

თუ ზმნის საწყისი და პირიანი ფორმა სხვადასხვა ფუძისაა, ასეთ გამოთქმას სემასიოლოგიურ პარონომაზიას ეძახიან: **განთხევით განმიშორენ** ჩუენ, **განგსწავლო** შენ **განკითხვით**, **აღმოცენებით აღმოჰყედ**, **განისხირპენ განრთხმით** და სხვა.

პარონომაზიული გამოთქმები ხშირად გეხვდებოდა ძველად, მაგრამ გავრცელებულია დღესაც სალიტერატურო ქართულშიც და სალაპარაკო ენაშიც (**მოსელით** მოვიდა, მაგრამ არაფერი ჰამა, დაწერით დაწერა, მაგრამ არ წაიღო)[1] და სხვა.

8. მოქმედებითი ზოგ ზმნასთან

ძველ ქართულში არის ზოგიერთი ზმნა, რომლებთანაც მოქმედებითი იხმარება. ეს ბრუნვა, რასაკვირველია, შინაარსით არის დაკავშირებული ამ ზმნებთან. ასეთი ზმნებია: **ხადა**, **წოდება**, **წესა**, **სახელის-დება**, **ჴმობა** და სხვა. მაგალითები: **უფლით** ჰხადის მას, **მამით** ნუვის ჰხადით (=მამას ნურავის უწოდებთ), **მაცთურით** ჰხადოდეს (=მაცთურს ეძახდნენ), მიწოდა მე **სახელით** სამ გზის (=სახელი დამიძახა), უწესეს **ულმრთოებით**, **კერპით** სახელ-სდებდა (კერპს ეძახდა), უჴმო **ვაც-ბოტობით**, რომელსა უჴმობენ კაცნი **დევობით** (=დევს ეძახიან) და სხვა.

ასეთივე ხასიათისაა კიდევ მოქმედებითის ხმარება **შეკრვა**, **დაყუენა** (დაყუნება) და ზოგ სხვა ზმნასთან, მაგალითად: და შეკრან იგი **ჴელით** და **ფერჴით**. კრული **ფერჴით**, **ჴელით** რეზითა (ი. 11, 44 C). აქ **ფერჴით** და **ჴელით** ზემოთ აღნიშნული წესის მიხედვით არის მოცემული მარტივი ნიშნით („კრულ"-ს ახლავს), **რეზითა** კი ემფატიკური ანითაა წარმოდგენილი, რადგან იგი ჩვეულებრივი უბრალო დამატებაა, მოგვიგებს კითხვაზე: რით? — შეკრული იყო **რეზითა** (სახვევლით). სხვა მაგალითებს მკითხველი იპოვის ამავე შრომაში ზემოთ და აქ აღარ გაეიმეორებთ (ნ. გვ. 244 — 250).

9. მოქმედებითი გარკვეული (ხოციალური?) მდგომარეობის გამომხატველ ფორმებში

ძველ ქართულში გვაქვს მოქმედებითში დასმულ სახელთა ისეთი ფორმა, რომელიც პიროვნების გარკვეულ (სოციალურ თუ თანამდებობრივ (მდგომარეობაზე მიუთითებს. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: ამირა მუმნმა ნერსე ერისთავი „განუტევა კუალად **ერისმთავრობით** აქა, ქუაყანადეე თჳსა" (აბო 184, 30), ე. ი. როცა ნერსე დაბრუნდა

[1] ვრცლად ნ. ზემოთ, გვ. 234 — 244. ნ. აგრეთვე კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, პარონომაზია ქართულში: იბერ.-კავკ. VI, 1954, გვ. 461 — 499.

სამშობლოში, ის ისევ **ერისმთავარი** იყო, ისევ ერისმთავრის მდგომარეობაში (თუ თანამდებობაზე) იყოო. ასეთივე გამოთქმებია: არა გიტეონ შენ **ქრისტიანებით**, ცხონდებოდა იგი **ერისკაცებით** (ე. ი. ერისკაცი იყო და ისე ცხოვრობდა), აღასრულნა ყოველნი დღენი **უპოვარებით** (ე. ი. სიღარიბეში დაასრულა მთელი სიცოცხლეო), პოვეს... არისტაკე უდაბნოსა **მარტოდმყოფებით** და სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 250 — 252).

10. მოქმედებითი კომპოზიტებში

ძველ ქართულში გვაქვს ისეთი კომპოზიტები, რომელთა პირველი შემადგენელი ნაწილი შეიცავს მოქმედებითს ბრუნვაში დასმულ სახელს, რომელსაც მარტივი **ით** ნიშანი აქვს. ამგვარი კომპოზიტები ახალ ქართულში, როგორც ცნობილია, საერთოდ, მცირეა. ძველი ქართულის ასეთი კომპოზიტებია: ჴელით-წერილი (დღევანდელი ხელწერილი), ჴელით-ქმნული, ჴელით-უქმნელი (დღევანდელი ხელთუქმნელი), ჴელით-საქმარი (დღევანდელი ხელთსაქნარი), თუალით-მხილველი (=თვით-მხილველი), პარით-მემღერი (=მოცეკვავეა ერთგვარი), კირით-ხუროჲ (=კალატოზი), ქვით-კირი, სასყიდლით--დადგინებული (=მოჯამაგირე, დაქირავებული მუშა), ძლევით-შემოსილი (დღევანდელი ძლევამოსილი), წყლით-რღუნაჲ (დღევანდელი წარღვნა ← წყალთ რღვნა), მუცლით-მეზღაპრჱ, ინაჯით-ჯდომაჲ და ბევრი სხვა (ვრცლად ნ. ზემოთ, გვ. 252—261).

11. მოქმედებითი ზომა-წონისა და სხვა სათვალავთა აღმნიშვნელ სიტყვებში

ძველ ქართულში **ით** ნიშნიანი მოქმედებითი არის წარმოდგენილი ზომის, წონისა და სხვა სათვალავ ერთეულთა აღმნიშვნელი სახელები. უფრო ხშირად აქ გვხვდება მანძილისა და წორის გამომხატველი სიტყვები. ამის ნიმუშებია: და სიმაღლჱ ერთისაჲ მის ქუთორაჲსაჲ **სამით წყართით** (4 მეფ. 25, 17). ეს ნიშნავს: მისი სიმაღლე **სამი წყართა** იყოო. კიდევ: მიდგომილ იყო **სამით თჯთ** (ლიტ. ქრესტ. 5, 44), **შჯდით ცით** წინა-უძღოდეს მას (იქვე, 12, 25). ასეთი სიტყვებია აგრეთვე: სიგრძით, სივრცით (=განით), სიღრმით, სიმაღლით, ზომით და სხვა, რომლებიც ხშირად გვხვდება სპეციფიკურ გამოთქმებში ძველი ქართულის ძეგლებში (ნ. ზემოთ, გვ. 261—264).

12. მოქმედებითი სახელის, ტომის, მოდგმისა და მისთ. აღმნიშვნელ სიტყვებში

მოქმედებითი მარტივი **ით** ნიშნით გვაქვს აგრეთვე მაშინაც, როდესაც მიუთითებენ ამა თუ იმ პიროვნების სახელზე, ტომზე, მოდგმაზე, შთამომავლობაზე, ერზე და სხვა. მაგალითები: პოეს კაცი კჳრინელი, **სახელით** სიმონ, **სახელით** ლაზარე, **სახელით** ნიკოდემოს, **ნათესავით** ასური ზღუსკიდელი,

ნათესავით მეგჯპტელი, ტომით სარკინოზი, ბუნებით სარკმოზი და სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 264 — 266).

13. მოქმედებითი კითხვაზე რადთა (რით?)

ამ კითხვაზე ჩვეულებრივ უპასუხებს მოქმედებითი, რომელსაც სრული ბრუნვის ნიშანი აქვს (ით-ა); ასეთი მოქმედებითი უბრალო დამატებას წარმოადგენს. მას უკვე გავეცანით ზემოთ (გვ. 721—723). მაგრამ ზოგჯერ თითქმის მსგავსიშინაარსის მოქმედებითს მარტივი ით ნიშანი აქვს. ამნაირი მდგომარეობა უფრო ძველი ვითარების მაჩვენებელია და ნაშთის სახით შეჰორჩენილია ძველ ქართულშიც. აი ამის რამდენიმე ნიმუში:

თუალი იგი ძოწეული... სამკურნალოდ არს **სტომაქით** სალმობიერთა და **მუცლით** სალმობიერთა (თუალთ. 65, 24); **სისხლით** იბანენით (სპევს. 76, 5) და სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 266—267).

14. მოქმედებითი ზოგ სპეციფიკურ გამოთქმაში

ით ნიშნიანი მოქმედებითი წარმოდგენილია აგრეთვე ზოგ სპეციფიკურ გამოთქმაში. უფრო ხშირად აქ გვხვდება **თავი**, რომელსაც ნაცვალსახელის მნიშვნელობა აქვს და ბუნებრივია, თუ ემფატიკური ა არ გააჩნდეს. ასეთი გამოთქმებია: **თავით თჳსით** (რაც ნიშნავს: **თვითონ, თავად**), **თავით შენით, თავით ჩემით, თავით თქუენით, თავით ჩუენით, გულით თჳსით, გულით შენით** და სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 267).

15. მოქმედებითი ერთადობის, თანაობის გამოსახატავად

მოქმედებითი **ურთ** თანდებულის დართვით გამოხატავს თანაობას, ამა თუ იმ საგანთან ერთად ყოფნას. უფრო ხშირად ეს ადამიანთა აღმნიშვნელ სახელებში იხმარება. ახალ ქართულში ასეთი გამოთქმები გადავარდნის გზაზეა დამდგარი, მათ ცვლის **ით** სუფიქსიანი სახელი, რომელიც ვითარებითში დგას: დედითურთ — დედიანად, ძმითურთ — ძმიანად და სხვა. ძველ ქართულში მოქმედებითი ბრუნვა **ურთ** თანდებულის დართვისას მუდამ მარტივი ნიშნითაა წარმოდგენილი. მაგალითები: მოვიდა სიბა... ათხუთმეტით **ძითურთ** და **ცოლით** და **მონით** და **მჳეღლით** (2 მეფ. 19, 17). აქ თანდებული **ურთ** ერთ სახელს ახლავს (ძითურთ), მაგრამ იგი ყველას ეკუთვნის, რომლებიც აქაა წარმოდგენილი (ცოლით=ცოლითურთ, მონით=მონითურთ, მჳეღლით=მჳეღლითურთ). ასეთივე ფორმებია: დედითურთ, ძმებითურთ (=ძმებიანად, ძმებთან ერთად), მოყუსებითურთ (=ამხანაგებიანად, ამხანაგებთან ერთად), ვეცხლითურთ და ყოვლით ჴურჭრითურთ, მჳედრებითურთ და მრავალი სხვა (ნ. ზემოთ, გვ. 268).

16. მოქმედებითის ით ნიშანი ახალი ფუძეების საწარმოებლად.

ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ მოქმედებითი ბრუნვის მარტივი ნიშანი **ით** გამოყენებულია ახალი ფუძეების საწარმოებლად (მოქმედებითი ბრუნვის ფორმა აღებულია ახალ ფუძედ და კვლავ ნაბრუნებია). ამნაირი გზა სახელთა წარმოებისა ძალიან გავრცელებულია ახალ ქართულში (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი... ბრძანებითი, კითხვითი, კავშირებითი... დაკვრითი, დამატებითი, შემოქმედებითი, შემთხვევითი...), იგი ფართოდ იყო გამოყენებული ძველადაც. დავიმოწმებ რამდენიმე მაგალითს ძველი ტექსტებიდან:

წყლულებამან **ზაკუვითმან** განამრავლნის ბრძჯრნი, ზირაქ 27, 28; ქდომამან **სწრაფითმან** დასთხიის სისხლი, იქვე, 28, 12; კუალი არს გულისა კეთილისაჲ პირი მხიარული და გამოცხადებაჲ იგავთაჲ არს ზრახვაჲ **შრომითი**, იქვე, 13, 28 (შრომითი = напряжённый); ცხორებაჲ **დაშრომითი**, სინ. მრავ. 95v (= გაჭირვებული, გაწვალებული, დამქანცველი); აღსრულებად **ნეფსითისა** ამის სლვისა ჰირსა ამას შინა, პარხ. 427 a; ბევრეულნი უჰორცოთანი აღსძრვენ მორწმუნეთა **ღმრთის-მსახურებითსა** ღაღადებად და სიტყუად, იქვე, 458 a; **რისხვითი** იგი ბრძანებაჲ ღმრთისაჲ წყალობად გარდააქციეს, სინ. მრავ. 103 v; უდაბნ. 55 rb; ეგე სასუმელი **მარჯუენითი** არს ნათლისაჲ სარწმუნოებაჲ წმიდისა სამოციქულოჲსა ეკლესიაჲსა ზიარებაჲ, ხოლო **მარცხენითისაჲ** ეგე სიბნელე არს მწვალებელთაჲ და მედგრად ურწმუნოთაჲ, იქვე, 711 b; **სასყიდლითი** იგი არა არნ მწყემსი, ი. 10, 12 C (სასყიდლითი = მოჯამაგირე, დაქირავებული მუშა) და სხვა მრავალი. ხოლო ისეთი ფორმების შესახებ, როგორიცაა **ნათესავითი** ნათესავად, **თესლითი** თესლად, **ქალაქითი** ქალაქად, **წლითი** წლად, **მწუხრითი** მწუხრად და სხვა, ზემოთ გვქონდა საუბარი (გვ. 215—219; 224—226).

თავი მეშვიდე

ვითარებითი ბრუნვის ფუნქციები

ვითარებითი ბრუნვის შესახებ, როგორც აღნიშნული გვაქვს, მოგვეპოვება ა. ჩიქობავას ცნობილი გამოკვლევა „მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის“ [1]. ამ შრომაში გამორკვეული და აღნუსხულია აგრეთვე აღნიშნული ბრუნვის ფუნქციებიც (**ძირითადი მნიშვნელობანი**, როგორც ავტორი ამბობს). ა. ჩიქობავას ამ შრომაზე დაყრდნობით ვითარებითი ბრუნვის ფუნქციებზე საუბარი აქვს ქ. მიქელაძესაც [2]. ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების გარკვევა იყო საგანი ვ. თოფურიას მოხსენებისა „ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში“ [3].

ქვემოთ გათვალისწინებულია აღნიშნულ შრომათა შედეგები.

ვითარებითი ბრუნვა ერთ-ერთი უძველესი ბრუნვაა, „თუმცა ჩვენი ენის სტრუქტურისათვის ის ისე სპეციფიკური არ არის, როგორც მოთხრობითი ბრუნვა“ [4]. არის მთელი რიგი შემთხვევები, როცა ვითარებითის შეცვლა სხვა რომელიმე ბრუნვით სრულიად უმტკივნეულოდ შეიძლება. უფრო ძველი ძეგლების ენაში ვითარებითს ისე ფართო ასპარეზი არა აქვს დათმობილი; იმ ადგილას, სადაც შემდეგ ვითარებითი დამკვიდრდა, უწინ სხვადასხვა ბრუნვა იხმარებოდა (წრფელობითი, მიცემითი, მოქმედებითი). შემდეგ და შემდეგ ვითარებითმა თანდათან გაიფართოვა მოქმედების არე; მნიშვნელოვან წილად მოხდა ეს სხვა ბრუნვათა ფუნქციების შეკვეცის ხარჯზე. მეორე მხრივ, ზოგი ძველი ფუნქცია ვითარებითს ახალ ქართულში აღარ გადმოჰყოლია. ორივე სახის სათანადო მაგალითებს ქვემოთ ჩვენ საკმაოდ გავეცნობით.

1. ვითარებითი უბრალო დამატებად

საზოგადო სახელებში ვითარებითის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია არის უბრალო დამატების გამოხატვა. ის მოგვიგებს კითხვაზე **რად?** ამ კითხვის

---

[1] ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 9—31.

[2] ქ ე თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველს ქართულში: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი I, 1941, გვ. 190—196.

[3] სტალინის სახელობის თბილ. სახ. უნივ. სამეცნიერო სესია, 1942 წ. 13 აპრილი. ნ. მოხსენებათა თეზისები, გვ. 88.

[4] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

პასუხი ვითარებითს მოითხოვს, მაგალითად: დაჰრენით საჴნისნი თქუენნი[1] **ჯრმლად** და მანგლები თქუენი — **ლახურებად**, ამოს 4, 10; დაადგინა მათ ზედა **მამასახლისად** ბერი. ვინმე პატიოსანი, კიმ. I, 247, 25. **რად** დაჰრეს საჴნისნი და მანგლები?— **ჯრმლად და ლახურებად**; **რად** დაადგინეს ბერი? — **მამასახლისად**.

ყველაზე მეტად ამნაირი შინაარსის ვითარებითი გვხვდება განსაზღვრულ ზმნებთან; მათ შორის უფრო ხშირია **(გარდა)ქცევა, ცვალება, (შე)ქმნა, ყოფა, წოდება, წამება, სახელის-დება** (სამი უკანასკნელი უფრო გვიანდელი ხანის ძეგლებში) და სხვა. ამათგან პირველი სამი ზმნა იმდენად დამახასიათებელია ამ მხრივ, რომ ჩვენთვის საინტერესო ბრუნვის ზოგიერთი სახელწოდება ამის მიხედვით არის შერქმეული: **გარდაქმნითი** (დ. ჩუბინაშვილი, პ. კვიცარიძე), **ცვლილებითი** (დ. ყიფიანი), **გარდაქცევითი** (ა. ჩიქობავა). რად გარდაიქმნა? (რად შეიქმნა?) რად გარდაიქცა? რად შეიცვალა? ამაზე პასუხია: მამად, ყრმად, მონასტრად იქმნა, წყალი ღჳნოდ გარდაიქცა, გოდებაჲ სიხარულად გარდაცვალა და სხვა. ეს „მამად“, „მონასტრად“, „ღჳნოდ“, „სიხარულად“ სხვა არაფერია, თუ არა უბრალო დამატება. ყველა ამ სიტყვას დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და შემასმენლისზე ლაპარაკი არ შეიძლება. მაგალითები ტექსტებიდან:

გ ა რ დ ა ქ ც ე ვ ა: სადა-იგი გარდააქცია წყალი **ღჳნოდ**, ი. 4, 46 C; რომელმან გარდააქცია ზღუაჲ **ჴმელად**, ფსალმ. 65, 5; და გარდავაქციო გლოვაჲ მათი **სიხარულად**, იერ. 31, 13; ბრწყინვალებაჲ იგი თჳსი **ბნელად** გარდაიქცა, ი. ჯავ. აღწ. 229, 11; აწ უკუე ნუ სიყუარულსა მას **სიძულილად** გარდააქცევთ, პარხ. 424 b.

ვნებითის ფორმებიც ასეთსავე თვისებას გვიჩვენებს, ე. ი. სახელი აქაც ვითარებითში დგას, ეს სახელი აქაც უბრალო დამატებაა: დღე **ღამედ** გარდაიქცა, ი. ჯავ. აღწ. 164, 22; სიბარული **მწუხარებად** გარდაიქცა, შუშ. 148, 20.

ბიძგეობასთანაც ვითარებითი გვაქვს: წყალი იგი **ღჳნოდ** გარდაქცეული, ი. 2, 9 C.

ც ვ ა ლ ე ბ ა: საჴუმილი ცუარად შეცვალეს ყრმათა, სას. პოეზ. 139, 100; ცვალებდა ტაძარსა მას... კათოლიკე ეკლესიად, ისტ. ქრესტ. 287, 28; გოდებაჲ... **სიხარულად** გარდასცვალე, ი. ჯავ. აღწ. 110, 15 ქვ.; შეცვალეთ გლოვაჲ **სიხარულად**, იქვე, 158, 3; რამეთუ მამაჲ მარადის მამაჲ არს და არა იცვალების **ძედ**, გინა თუ სულად, და სული მარადის სული არს და არა იცვალების **მამად**, გინა თუ **ძედ**, პარხ. 283 b; ეშმაკი იცვალის **ანგელოზად**, 2 კორ. 11, 14; რამეთუ **ორბად** და **კუროდ**, **ოქროდ** და **ვეცხლად** შეიცვალნეს, პარხ. 1168; წყევისა... **კურთხევად** შემცვალებელო, ი. ჯავ. აღწ. 160, 20.

[1] ხელნ.: თქუენი.

(შე)ქმნა: ნუ შეიქმთ სახლსა ჴამისა ჩემისასა საჴაკროდ, ი. 2. 16 C: მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი, მ. 19, 4; ესე ქმნა დასაბამად სასწაულთა, ი. 2, 11; სადა-იგი ქმნა წყალი ღჳნოდ, ი. 4, 46; ბჭეხარებაჲ თქუენი სიხარულად გექმნეს, ი. 16, 20 C; შექმნეს იგინი წიგნად, კიმ. I, 50, 37; აჰა ესერა ყრმად ჩჩჳლად შევიქმნები, სეან. 371 a: დოლისყანად მონახტრად უკუანაჲს იქმნა, ხანძთ. 120, 16 და თჳთ იქმნა ხიძედ, ლიტ. ურთ. 175, 2; ხედ დიდ იქმნა მთასა მას ზედა, იქვე, 180, 31.

ყოფა: ხოლო თქუენ ჰყავთ იგი ქუაბად ავაზაკთა, ლ. 19, 46 (სხჳაგან ყველგან: ქუაბ ავაზაკთა, მ. 21, 13, მრ. 11, 17; ლ. 19, 46 C); თავი თჳსი ძედ ღმრთისა ყო, ი. 19, 7 (შდრ. ...ძე ღმრთის ყო C); გყო შენ მამად ნათესავთა, ეგსტ. 166, 24; იგი არა იყოს თქუენდა სიავად და თქუენ არა იყვნეთ მას შინა ჯორცად, ეზეკ. 11, 11; და ვიყო მე თქუენდა ღმრთად და თქუენ იყვნეთ ჩემდა ერად, იერ. 7, 23 (მაგრამ: ...და ძე ვიყო თქუენდა ღმერთ, იერ. 11, 4).

წოდება: კლდედ უწოდო, მამ. სწავ. 41; (შდრ. იქვე: ნაყოფ უწოდო); რომელსაცა კლდედ უწოდა უფალმან, იქვე, 44; მიწად და ნაცრად უწოდდა თავსა თჳსსა, იქვე, 209; ძაღლად მკუდრად და გრწყილად და მატლად და საყუედრელად კაცთა და შეურაცხად ერისა უწოდდა თავსა თჳსსა, იქვე; ძედ ზეცისა ჩინებისად იწოდე, სას. პოეზ. 181, 17; წოდებულ არს დედად წმიდათა, აბო 184, 12; უწოდს მას ნათლად სოფლისა, პარხ. 287 a; კიდობნად სიწმიდის იწოდე, სას. პოეზ. 50, 116; გეწოდოს მოწამედ უფლისა, იქვე, 123, 87; ჰეროდე მელად იწოდა, სახისმეტყ. 18, 25; უწოდე ეკლესიად, ხანძთ. 109, 2; რომელსა უწოდა ხძლად თჳსა და ჯორცად, ლიტ. ურთ. 174, 12; უწოდს ძმად და ძედ და მოყუსად, იქვე, 173, 24; შვილად ღმრთისად ვიწოდე, ი. ჯავ. აღწ. 153, 6.

წამება: ძედ გწამა, სას. პოეზ. 408, 65; წამებდა ძედ საყუარელად, იქვე, 112, 277; 409, 69.

სახელის-დება: რომელსა სახელ-სდებთ პოხიდონად, ი. ჯავ. აღწ. 178, 37; თავად სიძედ სახელ-იდვა, ლიტ. ურთ. 174, 13; მორკინალად სახელს-ვსდვა ...მჴედრად სახელ-ვსდვა, მამ. სწავ. 41; სახელს-იდევ ქრისტეანედ, სას. პოეზ. 178, 26; სახელ-ედვა ღმრთისა მიერ მღდელთ-მოძღურად, ებრ. 5, 10; სახელის-დებად მათდა ღმრთად, ებრ. 11, 16; სახლისა მაოჳრებელად სახელ-სდებდა, შუშ. 150, 27.

თუ დავუკვირდებით აქ წარმოდგენილ ზმნებს, რომლებთანაც უბრალო დამატებად ვითარებითი ბრუნვაა წარმოდგენილი, დავინახავთ, რომ ყველა მათგანი გარდაქცევას, გარდაქმნას, სხვად შეცვლას გულისხმობს. მართლაც, ქმნა წყალი ღჳნოდ ნიშნავს, რომ გარკვეული ნივთიერება უწინ წყალი იყო და მერმე ღვინოდ შექმნა, ღვინოდ გადააქცია. აკი მეორე ხელნაწერში სწორედ ეს გარდააქცია გვაქვს (გარდააქცია წყალი ღჳნოდ, ი. 4, 46 C); ასევე, ყო ქუაბად იქნება: სამლოცველო სახლი იყო და ავაზაკთა ბუნაგად (ქუაბად) გადააქციეს; წოდება-ცა და სახელის-დება-ც ასეთსავე შინაარსს შეიცავს. ასე რომ, გარდაქცევის, გარდაქმნისა თუ შეცვლის მომენტი

ყველა ამ ზმნაში წინა პლანზეა წამოწეული. ამიტომაა, რომ ყველა მათთან ასე ხშირად იხმარება ვითარებითი.

მაგრამ აქ ხაზი გვინდა გავუსვათ ერთ გარემოებას. ბევრი ამ ზმნათაგანი (ქმნა, ყოფა, წოდება, სახელის-დება) უძველეს ძეგლებში ვითარებითის ნაცვლად წრფელობითს გვიჩვენებს და სათანადო სახელები არა უბრალო დამატებას წარმოადგენენ, არამედ პირდაპირ დამატებას (უწოდა **სახარება**), ქვემდებარეს (კაც ეწოდა), ან შემასმენლისს (ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა). ვითარებითი ამ შემთხვევაში გვეულინება წრფელობითის კანონიერ მემკვიდრედ; ამ უკანასკნელის რღვევისა და ხმარებიდან თანდათანი გამოსვლის შემდეგ ზოგი მისი ფუნქციის შესრულება სწორედ ვითარებითმა იკისრა. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ბევრია ისეთი, რომლებსაც უფრო ძველი ძეგლები წრფელობითის ფორმით წარმოგვიდგენს, ან რომლებშიც წრფელობითისა და ვითარებითის პარალელური გამოყენება დადასტურებულია. ასეთია, მაგალითად, გიყოფიეს ქუაბად ავაზაკთა და გიყოფიეს ქუაბ ავაზაკთა, ესე ქმნა **დასაბამად** სასწაულთა (ი. 2, 11 DE) და ესე ყო **დასაბამ** სასწაულთა (C), მწუხარებად თქუენი **სიხარულად** გექმნეს (ი. 16, 20 C) და გექმნეს თქუენ ესე **საწამებელ** (ლ. 21, 13), უწოდე **ეკლესიად** (ხანძთ.) და უწოდა **სახარება** (ხანძთ.) და ბევრი სხვა. ამ პარალელურ ხმარებაში ჩვენ ვხედავთ ერთგვარ ბრძოლას, შემოქმედებითს ჭიდილს ძველსა და ახალ ფორმებს შორის, რადგანაც, როგორც ცნობილია, ძველი ფორმები ასე ადვილად და ერთი დაკვრით არ გადიან ხმარებიდან, ვერც ახალი ფორმები ახერხებენ ერთბაშად დამკვიდრებას ენაში. აი ამ მდგომარეობის, ამ გარდამავალი საფეხურის ასახვას წარმოადგენენ ისეთი მაგალითები, რომლებშიც ერთსა და იმავე დროს, ერთდროულად არის მოცემული (ძველი) წრფელობითისა და (ახალი) ვითარებითის ფორმები. ამ პარალელური ხმარების ნიმუშებია:

და ესერა მექმნა მე ნაკადული იგი **მდინარე**[1] დიდ და მდინარე ჩემი შემექმნა **ზღუად**, ზირაქ 24, 33; და იყვნეთ თქუენ მისა **მონა** და **მსახურად**, 1 მეფ. 8, 17; და ვიყო მათა **ღმერთ** და იგინი იყვნენ ჩემდა **ერად**, ებრ. 8, 10; და იყვნეთ თქუენ ჩემდა **ერად** და მე ვიყო თქუენდა **ღმერთ**, იერ. 11, 4 (შდრ. და ვიყო მე თქუენდა **ღმრთად** და თქუენ იყვნეთ ჩემდა **ერად**, იერ. 7, 23); და იყვნეთ თქუენ მათა **სამკჯდრებელად** და არღარა იყვნეთ თქუენ **უშვილო** მათგან, ეზეკ. 36, 12; ყვნეს იგინი **განმწმედელად** სულთა კაცთასა და **განმანათლებელ, განმათავისუფლებელ**, სას. პოეზ. 177, 11; ეწოდოს მათ **ნათესავ** სიმართლისა და **ნერგად** უფლისა, ესაია 61, 3; და ასულნი თქუენნი მიგიხუნეს და ყვნეს **საცხებელის-მგბოლველ** და **მეჭოთნედ** და **მეპურედ**, 1 მეფ. 8, 13.

მაგრამ ასეთი მონაცვლეობა გვაქვს არა მარტო ზემოთ მოყვანილ ზმნებთან, არამედ სხვებთანაც. ასე, მაგალითად, ზმნა „გამოითარგმანების"

[1] ხელნ.: მდინარე.

(„ითარგმანების") უფრო ძველ ძეგლებში წრფელობითს შეიწყობდა, მერმე და მერმე — ვითარებითს: რომელ ითარგმანების: **მოვლინებულ**, ი. 9, 7 C; რამეთუ ისრაჱლი ითარგმანების: **ერ** ღმრთისა და **მონა** ქრისტჱსა, ევსტ. 172, 26. მაგრამ: რომელი გამოითარგმანების ლიგჳრიონი **კუდად**, თუალთ. 16, 9; რომელ ითარგმანების **მოვლინებულად**, ი. 9, 7 DE.. ასევე პარალელურად იხმარება ეს ორი ბრუნვა შემდეგს ზმნებთანაც: ითქუმის ეშმაკიცა **ლომ** და **ლეკუ** ლომის, თუალთ. 38, 22, მაგრამ: ითქუმის მერმე ქრისტე **ცხოვრად**, ითქუმიან მოწაფენიცა მისნი **ცხოვრად**, იქვე, 38, 24; **ხატ** სიწმიდისა გამოშჩნდი, სას. პოეზ. 99, 34, მაგრამ: სათნოებისა **ხატად** ჴეშმარიტად გამოშჩნდი, იქვე, 100, 49; ხოლო თქუენ გარქუ **მეგობარ**, ი. 15, 15 D, მაგრამ: ...**მეგობრად** E; არღარა გეტყჳ თქუენ **მონა**, ი. 15, 15 ლაგ., მაგრამ: ...**მონად** DE. ასეთი პარალელური ხმარება წრფელობითისა და ვითარებითისა სხვაგანაც ხშირად გვხვდება, მაგრამ სანიმუშოდ აქ მოყვანილიც საკმარისია.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ვითარებითი წრფელობითის მემკვიდრედ გვეელინება. მაგრამ ზოგჯერ ვითარებითი მოქმედებითის მონაცვლედაც გამოდის. ზემოთ არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, რომ ზმნა **ხადა** ჩვეულებრივ მოქმედებითს იწყობს: თქუენ ნუვის ჰხადით **მოძღურით**, მ. 23, 8; უკუეთუ სახლისა უფალსა **ბერზებულით** ჰხადოდეს, მ. 10, 25. მაგრამ ამავე ზმნასთან შემდეგ და შემდეგ ვითარებითიცაა წარმოდგენილი: თავით თჳსით ჰხადის ღმერთსა **მამად**, მოქც. 8, 2; **მამად** თქუენდა ნუვის ხადით, მ. 23, 9 C; მარიამს **ღმრთის-მშობლად** ჰხადი, ისტ. ქრესტ. 291, 28; **ღმრთისა** დაბადებულსა **ღმრთად** ვხადოდითა, ევსტ. 173, 6. ასეთია კიდევ: არა დასცხრებოდა იგი **ფსალმუნებითა** (აბო 186, 38) და: დასცხერით **ცილობად** ჩუენდა მომართ, უდაბნ. 31 vb და სხვა.

2. ვითარებითი ადგილის გარემოება

ვითარებითი ბრუნვის ერთ-ერთი უძველესი და ძირითადი ფუნქციაა, აღნიშნოს ადგილის გარემოება. იგი უპასუხებს კითხვებზე: **სად? საით? სანამდის? საითკენ?** პირველ ორ კითხვას უთანდებულო ვითარებითი მიუგებს ჩვეულებრივ, იშვიათად თანდებულიანიც (კერძო, მიმართ): შევიდა **ტაძრად**, წარემართა **იერუსალჱმდ**, განვიდა **უდაბნოდ**, შემოვიდა **ქართლდ**, წარვიდა **ზღჳს-კიდედ**, წარვიდა **მთად კერძო**, აღიხილნა **ცად მიმართ** და სხვა. ახალ ქართულში ასეთ შემთხვევაში ვითარებითი ნაშთის სახით არის შემონახული აქა-იქ: **მინდვრად** გავიდნენ სახნავად, ჩამოვიდა **ხოფლად**... ჩვეულებრივ კი დღეს მსგავსი გამოთქმები თანდებულიანი მიცემითით გადმოიცემა: **უდაბნოში** წავიდა, **ქართლში** შემოვიდა, **ტაძარში** შევიდა, **იერუსალიმში** გაემგზავრა, **მთისკენ** წავიდა, **ცაში** აიხედა. იშვიათად მიცემითი უთანდებულოდაც გვხვდება: **მოსკოვს** გაემგზავრა, იქიდან **ბელგრადს** გაემართა და სხვა.

მესამე კითხვას **მდე** თანდებულიანი ვითარებითი უპასუხებს: **ქალაქამდე, დაბამდე, მდინარემდე, მთამდე, ქუყანამდე, ხოფლამდე** და

სხვა, ვითარებითი ბრუნვის სწორედ ეს თვისება იყო გათვალისწინებული, რომ მას სახელად ერქვა **მიმართულებითი** (ნ. მარი, ი. სიხარულიძე, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია).

ვითარებითი ადგილის გარემოებად გასაგები მიზეზების გამო უფრო გეოგრაფიულ სახელებშია წარმოდგენილი, ხშირია აგრეთვე საზოგადო სახელებშიც. აქ დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი.

ს ა დ? ს ა ́ ი თ?

კარად სამეუფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში, შუშ. 146, 4; რაჟამს მოვიდა იგი **ქართლდ**, აბო 185, 20; თავადი განეშორის **უდაბნოდ**, ლ. 5, 16; შევიდა იესუ **ტაძრად**, მ. 21, 12 C; გამოვიდეს **ჴმელად**, ი. 21, 9 C; მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს **იერუსალ(ე)მდ**, მ. 2, 1; რომელთა გწყურის, წარვედით **წყლად**, ი. ჯავ. აღწ. 87, 4 ქვ.; მოვიდა იგი **ქალაქად მცხეთად**, ევსტ. 160, 18; წარვედ **სახიდ** შენდა, მ. 9, 6; რომელი ჰურიასტანს იყოს, ივლტოდენ **მთად**, მ. 24, 16; არცალა მისრულ ვართ **ჰრომდ**, სვან. 26 a; წარვიდა დავით სიოლტოლით **გეთდ**, 1 მეფ. 27, 4; წარგზავნა **ქუეყანად** თჳსად **აფხაზეთად**, ხანძთ. 139, 4; მოვიდეს **ხანძთად**, იქვე, 110, 35; და წარვიდა მამად მაკარი **ოპიზად**, იქვე, 151, 28.

აქვე უნდა დავასახელოთ ისეთი მაგალითები, როგორიცაა: საბერძნეთა, ჯოჯოხეთა, ასურეთა, სპარსეთა, კახეთა, სივნიეთა და სხვა. როგორც გამორკვეულია[1] და ზემოთაც უკვე გვქონდა ამაზე მსჯელობა (გვ. 409 — 411), აღნიშნული ფორმებიც ვითარებითი ბრუნვის ნიმუშებია, რომელთაც ბრუნვის ნიშნად ა სუფიქსი აქვთ.

კითხვაზე **სად? საით?** უპასუხებს აგრეთვე ფუძეგაორკეცებული ფორმა ვითარებითისა, როგორიცაა: ქალაქად-ქალაქად, დაბად-დაბად: თავადი ვიდოდა **ქალაქად-ქალაქად** და **დაბად-დაბად**, ლ. 8, 1; ქადაგნი იგი მისნი **ქალაქად-ქალაქად** დაედგინნეს, მოც. 15, 21; უკურთხნეს მათ **ეკლესიად--ეკლესიად** ხუცესნი, იქვე, 14, 23; იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი **ადგილდ-ადგილდ**, მ. 24, 7; მოიბნ კაცად-კაცადმან ცხოვარი **სახლად-სახლად**, გამოსლვ. 12, 3.

ბოლოს, აქვეა გასათვალისწინებელი ისეთი ფორმები, როგორიცაა: ქალაქითი **ქალაქად**, სენაკითი **სენაკად**, კარითი **კარად**, ბჭითი **ბჭედ**, ადგილითი **ადგილად** და სხვა, რადგანაც ესენიც უპასუხებენ კითხვებზე: **სად? საით?** ამ ფორმებზე ზემოთ სხვა თვალსაზრისით იყო საუბარი (გვ. 215 — 219 და სხვა), მაგალითებიც იქვე იყო მოყვანილი და ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ.

ადგილის გარემოების გადმოსაცემად ვითარებითის ზემოთ განხილული ფორმები ერთადერთი სრულებითაც არ არის. როგორც უკვე ნაწილობრივ,

---

[1] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ. გვ. 15—22.

ზემოთაც გვქონდა შენიშნული, ამაზე ფუნქციის აღსანიშნავად ვითარებითის პარალელურად ძველ ქართულში მიცემითიც გვეველინება. მიცემითი უფრო ხშირად გვხვდება, როცა **ადგილ-მთებარეობაა** აღსანიშნავი (იქცეოდა **იერიქოს**), მაგრამ ხშირია აგრეთვე მისი გამოყენება სწორედ **მიმართულების** გამოსახატავადაც. ამ მხრივ, ვიმეორებ, მიცემითისა და ვითარებითის ფუნქციები ემთხვევა ერთმანეთს: ორივეს თანაბრად შეუძლია ადგილის გარემოება აღნიშნოს, ორივე მოგვიგებს კითხვაზე: **სად**? მიცემითისა და ვითარებითის პარალელურად ხმარება კარგად ჩანს ერთი და იმავე ნათარგმნი ძეგლის სხვადასხვა რედაქციაში ან ხელნაწერში, ხან კიდევ თვით ერთსა და იმავე ხელნაწერში, სადაც ერთი და იმავე **შინაარსის** მქონე ფორმები სხვადასხვა **ადგილას სხვადასხვანაირად** არის გადმოცემული: ერთგან მიცემითით, მეორეგან — ვითარებითით. ვუჩვენოთ აქ რამდენიმე ასეთი შემთხვევა.

A. ვითარებითი და მიცემითი სხვადასხვა ხელნაწერის ერთსა და იმავე ადგილას

არა შევიდეს **სახლად** (გამოსლვ. 9, 19, ლაგ.) და: ...**სახლსა** (ოშკი); იოვანე **საპყრობილესა** მიეცა (მ. 4, 12 D) და: **საპყრობილედ** მიეცა C; დაემკვდრა **კაფარნაუმს** (მ. 4, 13 D) და: დაეშენა **კაფარნაომდ**[1] C; შეგაგდონ შენ **საპყრობილესა** (მ. 5, 25 DE) და: **საპყრობილედ** შეგაგდონ შენ C; რაჲსა გამოხუედით **უდაბნოსა** ხილვად (მ. 11, 7 DE) და: ...**უდაბნოდ** C; შეაყენა იგი **საპყრობილესა** (მ. 14, 3 DE) და: ...**საპყრობილედ** C[2]; წარვედ **ზღუად** (მ. 17, 27 DE) და: მიველ **ზღუასა** C; მიაქციე **მახლი** ეგე **ადგილსავე** თჳსსა (მ. 26, 52 DE) და: ...**ადგილადვე** თჳსსა C; წინა-გიძღჳს **გალილეად** (მ. 28, 7 DE) და: ...**გალილეას** C; აღვიდა **მთასა** (მრ. 3, 13 DE) და: ...**მთად**[3] C; მოვიდეს **სახლსა** (მრ. 3, 20 DE) და: ...**სახედ** C; შეველს ...**მუცლად** (მრ. 7, 19 DE) და: ...**მუცელსა** C; ვითარცა გამოვიდა იგი **გზასა** (მრ. 10, 17 DE) და: ...**გზად** C; შთავარდი **ზღუად** (მრ. 11, 23 DE) და: შთაგდებად **ზღუასა** C; მოივლინა... **ქალაქად** გალილეაჲსა (ლ. 1, 26 DE) და: **ქალაქსა** გალილეელთასა C; მოვიდა... **ტაძრად** (ლ. 2, 27 DE) და: ...**ტაძარსა** მას C; ორნი კაცნი აღვიდოდეს **ტაძრად** (ლ. 18, 10 ლაგ.) და: ...**ტაძარსა** მას CDE; მირბიოდა **საფლავად** (ლ. 24, 12 DE) და: ...**საშარესა** მას C; არა მოვიდის **ნათელსა** (ი. 3, 20 DE) და: ...**ნათლად** C; მოვიდის **ნათელსა** (ი. 3, 21 DE) და: ...**ნათლად** C; მოვიდა... **ქუეყანად** ჰურიასტანისა (ი. 3, 22 DE) და: ...**ქუეყანასა** მას ჰურიასტანისასა C; მოვიდა ...**კანად** გალილეაჲსა (ი. 4, 46 DE) და:

---

[1] გამოცემაში გასწორებულია: **კაფარნაომს**.

[2] თუ რამდენად დიდი იყო რყევა ამ ბრუნვების არჩევანში, ჩანს იქიდანაც, რომ C-ს გადამწერს ჯერ აქ „**საპყრობილეს**“ დაუწუოია, მაგრამ ზემდეგ მიცემითი ვითარებითად გადაუსწორებია. სხვა მაგალითების მიხედვით არა ჩანს, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელნაწერი უპირატესობას ვითარებითს ანიჭებდეს: იქ მიცემითის ხმარების შემთხვევები უფრო ხშირია.

[3] ხელნ.: მთათ.

...კანას გალილეაჲსასა C; არღა მოსრულ იყო იესუ დაბად (ი. 11, 30 DE) და: ...დაბასა მას C; შთაიგდო თავი თჳსი ზღუად (ი. 21, 7 DE) და: შთავარდა ზღუასა C; არა შორს იყუნეს ქუეყანასა (ი. 21, 8 DE) და: ...ჴმელად C.

ამ მაგალითების მიხედვით არა ჩანს, რომ, ვთქვათ, ვითარებითის ხმარება მხოლოდ ერთ ხელნაწერს (ან ერთ ძეგლს) ახასიათებდეს, მიცემითისა—სხვას. ისინი თითქმის თანაბრად ხმარებიან. ოთხთავის სამი (CDE) ხელნაწერიდან ამოღებული მაგალითების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ[1], ვნახავთ, რომ ორივე ბრუნვა მათში თანაბრად იხმარება: მიცემითი C-ში 25-ჯერ არის წარმოდგენილი, ვითარებითი — 22-ჯერ; DE-ში პირიქით: მიცემითი 22-ჯერ გვხვდება, ვითარებითი — 25-ჯერ. ასევე დაახლოებით თანაბრად გვხვდება ისინი სხვა ხელნაწერებშიც. ასეთი თავისუფალი არჩევანი იმის მაჩვენებელია, რომ ორივე ბრუნვა ამ ფუნქციისათვის ბუნებრივი და დამახასიათებელია ქართულისათვის და გადამწერს სრულიად ნებისმიერად შეუძლია შეცვალოს ერთი მეორით. ამავე დებულებას უნდა ადასტურებდეს ის გარემოებაც, რომ თვით ერთსა და იმავე ხელნაწერში ერთ ადგილას ვითარებითი გვხვდება, მეორე ადგილას სრულიად მსგავს შემთხვევაში — მიცემითი. მაინც დავსძენთ, რომ უფრო ძველ ძეგლებში შედარებით მეტად აღნიშნული ფუნქციისათვის ვითარებითი გვხვდება, შედარებით ახლებში — მიცემითი.

B. ვითარებითი და მიცემითი ერთისა და იმავე ხელნაწერის სხვადასხვა ადგილას

ორ-ორი შევიდა ნოეს[2] თანა კიდობანსა მას (დაბ. 7, 9 ლაგ.) და: შევიდა ნოს[3] თანა კიდობნად ორ-ორი (იქვე, 7, 15); განიპო წყალი იგი იმიერ და ამიერ და განვიდეს ორნივე იგი ჴმელად (4 მეფ. 2, 8 ლაგ.) და: განიყუნეს წყალნი იგი იმიერ და ამიერ და განვიდა იგი ჴმელსა (იქვე, 2, 14); რომელნიმე შთაითხინენ ჯოჯოხეთა (მამ. სწავ. 121) და: და სხუანი შთაითხინენ მღჳმესა ქუესკნელისასა (იქვე); მე... შთავედ უდაბნოდ (კიმ. I, 19, 13) და: წარვიდა უდაბნოსა (იქვე, 20, 16); მიიტაცა იგი ჭუაბად თჳსა (იქვე, 20, 29) და: მიქცევად ჭუაბსა (იქვე, 20, 28); აღვიღეთ ლავრად (იქვე. 20, 35), არა მოქცეულ იყო ლავრად (იქვე, 21, 1) და: ნიხჳდე ლავრასა (იქვე. 22, 33), ვიდრემდის მოვიდა ლავრასა (იქვე, 22, 37); შევიდა ეკლესიას (იქვე, 207, 29) და: შევედით ეკლესიად (იქვე, 208, 5); დათჳ შევიდა მტილად (იქვე, 302, 4) და: შევიდა ოდესმე დათჳ მტილსა (იქვე, 301, 35); მოვალს იორდანეს (სას. პოეზ. 207, 69), მობუედ იორდანეს (იქვე, 209, 131) და: მობუედ იორდანედ (იქვე, 207, 89); იხილნეს ძმანი მათნი შეყუენებულნი. საპყრობილესა (პარხ. 1161), და შეეყენნეს იგინი ერთობით საპყრობილესა

[1] ყველა მაგალითი აქ არ მოგვიყვანია.
[2] ხელნ.: ნოვეს.
[3] ხელნ.: ნოეს.

კესარიას (იქვე, 1162) და: რომელნი გუშინ შეეყენნეს **სპაყრობილედ** (იქვე, 1162); აღვედ **ტაპაკსავე**, ვითარცა ძმაჲ შენი (იქვე, 1015 a) და: და აღვიდა **ტაპაკად** (იქვე); და აღჴდა წმიდაჲ იგი **გოდოლსაგე** მას თჳსსა (იქვე, 749 a) და: და აღვიდა **გოდლად** თჳსა (იქვე, 749 b). მსგავსი მაგალითები ყოველ ხელნაწერში შეიძლება დავძებნოთ, მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის აქ მოყვანილიც სრულიად საკმარისია. მაშასადამე, ნათელია, რომ მიმართულების გადმოსაცემად ვითარებითი და მიცემითი ძალიან ხშირად ცვლიან ერთმანეთს, ორივე ბრუნვა ბუნებრივად უპასუხებს კითხვებზე **სად? საით?** მაგრამ თავიდანვე ამ მიზნისათვის უფრო ვითარებითი უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

სანამდის?

სანამდის, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ **მდე** თანდებულიან ვითარებითს იგუებს პასუხად, უთანდებულო ვითარებითს იგი არ დაესმის. მაგრამ აქ უნდა გავარჩიოთ ორი შემთხვევა: კითხვაზე **სანამდის?** უპასუხებს ადგილის გარემოებაც (მთამდე, მდინარედმდე) და დროის გარემოებაც (კვრიაკედმდე, მწუხრამდე, აღსრულებამდე). მართალია, ამ უკანასკნელი ტიპის მაგალითებს შეიძლება დავუსვათ კითხვა **როდემდის?** და ამით გავმიჯნოთ ისინი ადგილის გარემოებისაგან, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში **სანამდის**-იც ბუნებრივად ეგუება მათ კითხვად. როდის გვაქვს ამ კითხვაზე ადგილის გარემოება, როდის დროისა?—პირველი მაშინ, როცა **მდე** თანდებული დაესმის ადგილის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს (ზღუამდე, საზღვრამდე, ბორცუამდე, სოფლამდე, ეზომდე, ქუეყანამდე, მდინარედმდე, მთამდე...). ან საგნის აღმნიშვნელ არსებითს სახელებს (ბედმდე, თავადმდე. მჭრადნდე, მკრდამდე): დროის გარემოება გვაქვს დროის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებთან (მწუხრამდე, დილამდე, ცისკრამდე, წლამდე, შაბათამდე), აგრეთვე საწყისებთან (აღსრულებამდე, მოსლვამდე, სიკუდიმდე, განთენებამდე, ჴმობამდე, ქათმის ყივილმდე...).

მდე თანდებულთან ერთად ძველსავე ქართულში გვხვდება მისი **მდის** სახეობაც, მაგრამ საქმის შინაარსისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს: ორივე ითხოვს ვითარებითს. დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი:

განიყვანნა იგინი ვიდრე **ბეთანიამდე**, ლ. 24, 50; განვიდეთ ჩუენ ვიდრე **ბეთლემდმდე**, ლ. 2, 15; ელვაჲ... ჩანნ ვიდრე **დასავალამდე**, მ. 24, 27; აღმაღლდა **ცათამდე** განკითხვაჲ მისი და აღიწია **მიმასკულავამდე**, იერ: 51, 9; ხოლო პეტრე მისდევდა მას შორით ვიდრე **ეზოდმდე** მღდელთ-მოძღურისა, მ. 26, 58; კიდითგან ცისაჲთ ვიდრე **კიდედმდე** მისა, მ. 24, 31; მოიყვანეს იგი ვიდრე **წუერადმდე** მთისა მის, ლ. 4, 29; რომელსამე მჴარსა ეხეთქნა და ორად განეპო ვიდრე **მკრდადმდე**, ამონ. 213, 38; როკაენ და იქცევინ იგი კარითი კარად **მიბჭედმდე** ქალაქისა, 1 მეფ· 21, 13.

ხაითკენ?

ამ კითხვას უპასუხებს **კერძო** თანდებულიანი ვითარებითი, მაგალითად: **მთად კერძო**, რაც ნიშნავს: „მთისკენ", „მთის მიმართულებით". როგორც

ფიქრობენ, სწორედ ამ კერძო-საგან უნდა იყოს მიღებული დღევანდელი კენ: კერძო → კერძ → კერ → კენ[1]. ოღონდ კენ დღეს ბოლოდ ნათესაობითს ბართავს, კერძო კი ძველ ქართულში ხშირად იხმარებოდა როგორც ვითარებითთან, ისე მოქმედებითთან (აღმოსავალით კერძო), ძალზე იშვიათად მას ნათესაობითთანაც შეხვდება კაცი (მის კერძო). მაგალითები:

აღიძრა ერი შენი მთად კერძო, ნაუმ 3, 18; იწრაფონ ზღუად კერძო, იქვე, 2, 5; წარვედ ამიერ აღმოსავალად კერძო, 3 მეფ. 17, 3; იესუ... წარვიდა ზღუად კერძო, მრ. 3, 7 C (=ზღვისკენ, ზღვაზე. შდრ. რუს. тарагд.: к морю. DE-ში უთანდებულო ვითარებითია: ზღჳს-კიდედ); მოვიდა დალმანუთად კერძო, მრ. 8, 10 C; წარვიდა მთად კერძო მწრაფლ, ლ. 1, 39; იელტოდედ მთად კერძო, ლ. 21, 21 C და სხვა. ზოგი ამ მაგალითთაგანი დღეს შეიძლება სხვა თანდებულით გადმოვცეთ: წავიდა მთაზე (მთისკენ) და სხვა.

შეიძლება აქვე იქნეს დასახელებული აგრეთვე მიმართ თანდებულიანი ვითარებითი. ამასაც შეიძლება დავუსვათ კითხვა: საითკენ? რა მიმართულებით? მაგალითები:

რაჲთა ჰხედვიდეს ქუაბებად მიმართ მათა, ამბაკუმ 2, 15; აღიპყრნა ჴელნი და თუალნი ზეცად მიმართ, ლიტ. ქრესტ. 162, 5; იხედვიდა გზად მიმართ, 1 მეფ. 4, 13; სულთ-ითქუნა ცად მიმართ, მოქც. 85, 8; და ჴმობდა საკურთხეველად მიმართ კაცი ღმრთისაჲ, 3 მეფ. 13, 2.

3. ვითარებითი დროის გარემოებად

ვითარებითი ბრუნვა გამოყენებულია აგრეთვე დროის გარემოებადაც. იგი მოგვიგებს კითხვებზე: როდის? (რა დროს?) როდემდის? (რა დრომდის? ხანამდის?). პირველ მხთგანს უთანდებულო ვითარებითი უპასუხებს: ცისკრად, წუხრად, საღხრად, პირველად და სხვა. მეორეს მიუგებს მდე თანდებულიანი ვითარებითი: წუხრამდე, სამხრამდე, ცისკრამდე... შაბათამდე, კჳრიაკედმდე... აღსრულებამდე, გათენებამდე... განვიხილოთ ესორი ჯგუფი ცალ-ცალკე.

როდის

უთანდებულო ვითარებითი დროის გარემოებას აღნიშნავს ისეთ სიტყვებში, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობა გარკვეულ დროზე მიუთითებს; ასეთებია: წუხრი (წუხრად), ცისკარი (ცისკრად)... შაბათი (შაბათად), კჳრიაკე (კჳრიაკედ)... ჟამი (ჟამად, ჟამად-ჟამად) და სხვა. დროის გარემოებას გადმოსცემს აგრეთვე ვითარებითში დასმული რიგობითი რიცხვითი სახელები: პირველად, მეორედ, მესამედ.

[1] ა. შანიძე, გრამატ. საფუძ., გვ. 622.

როგორც ვხედავთ, დროის გარემოების გადმოსაცემად ძველ ქართულში გამოყენებული იყო ყველა ძირითადი ბრუნვა (გარდა სახელობითისა და მოთხრობითისა):

წრფ. ღამე, დღე, დილეულ, განთიად;
მიც. შუა-ღამეს, დღეს, დილას განთიადს(ა), ცისკარს, მწუხრს(ა), ორშაბათსა;
ნათ. სამხრის, მწუხრი(ს), ზამთრის, ზაფხულის, წუთის;
მოქმ. ღამით, დღით;
ვით. მწუხრად, ცისკრად, სამხრად, მსთუად, ჟამად, პირველად.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში აქედან შემოგვრჩა მიცემითი, რომელსაც გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს, დარჩა მოქმედებითიც (დღით, ღამით). წრფელობითის გადავარდნასთან ერთად გაქრა მისი გამოყენება დროის გარემოებად; გადაშენდა ნათესაობითიც. ვითარებითის ზემოთ ნაჩვენები სახეებიდან აღარ გვაქვს **მწუხრად, ცისკრად, სამაგიეროდ პირველად, მეორედ, ნესამედ** დღესაც ხშირ ხმარებაშია.

დავიმოწმოთ მაგალითები ტექსტებიდან:

და მოკუდა მეფე **მწუხრად**, 3 მეფ. 22, 35; და დაწვინნა აქლემნი გარეშე ქალაქსა მას ჯურღმულსა თანა წყლისასა **მიმწუხრად**, დაბ. 24, 11; დიდსა ორშაბათსა **ცისკრად**, ი. ჯავ. აღწ. 89, 13 ქვ.; დიდსა სამშაბათსა **ცისკრად**, იქვე, 90, 12; ხოლო მათ მომზადეს ძღუენი მოსლვად იოსებისა **სამხრად**, დაბ. 43, 25; მასვე დღესა.... მწუხრისა **ჟამად** შეკრბენ, ი. ჯავ. აღწ. 96, 10 ქვ.; **მსთუად** განთიად აღდგა, მრ. 1, 35 C.

დროის გარემოებას გადმოსცემს აგრეთვე ამნაირივე მნიშვნელობის ფუძეგაორკეცებული ფორმები (დროის აღმნ. ლექს. ერთეულები), მაგალითად:

მეფეთა ისრაჱლისათა **ჟამად-ჟამად** წინაჲსწარმეტყუელი აღუდგინის ღმერთმან, ხანძთ. 110, 7; განვიდოდის მჴეცალი შენი **ღამედ-ღამედ** ჴევსა ამას, იქიდით 11, 17; **დღესასწაულად-დღესასწაულად** ჩუეულ იყო ბჭე იგი მიტევებად ერთისა პყრობილისა ერსა მას, მ. 27, 15 C; აღვიდიან მშობელნი მისნი **წლად-წლად** იერუსალჴმდ, ლ. 2, 41 C.

აქვე შეიძლება დავასახელოთ დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების ცნობილი ფორმები, როგორიცაა: დღითი **დღედ**, წლითი **წლად**, ჟამითი **ჟამად**, წელიწადითი **წელიწადად** (ზაქ. 14, 16); მწუხრითი **მწუხრად** (პარხ. 644 a) და სხვები, რომლებიც აგრეთვე იმავე კითხვაზე (**როდის?**) უპასუხებენ.

ბოლოს, მოვიყვანთ აგრეთვე რიგობითი რიცხვითი სახელების ნიმუშებსაც, როცა ისინი ამავე კითხვაზე მიუგებენ და დროის გარემოებად არიან გამოყენებული:

დაეგე **პირველად** ძმასა მას შენსა, მ. 5, 24; აღმოიღე **პირველად** დირჱ თუალისაგან შენისა, მ. 7, 5; ჰკითხვიდა მას **მეორედ** მღდელთ-მოძღუარი იგი, ბრ. 14, 61; წარვიდა **მესამედ**, მ. 26, 44 და სხვა.

როდემდის? (სანამდის?)

ამ კითხვაზე უპასუხებს **მდე** თანდებულიანი ვითარებითი. როგორც აღნიშნული გვქონდა, აქ შემოდის ორი ჯგუფის სახელები: ა) ისეთი სახელები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობა დროზე მიუთითებს (წუხრამდე, ცისკრამდე, შაბათამდე), და ბ) საწყისები. ერთიცა და მეორეც უპასუხებს კითხვაზე როდემდის? (სანამდის?). მაგალითები:

ა) არსებითი სახელები

და იმარხვიდა იგი დღითი დღედ ვიდრე **მწუხრამდე** და მწუხრი ეზიარის, კიმ. I, 161, 6; ხოლო იგინი მივიდეს განთიადითგან და ილოცვიდეს ვიდრე შუა **სამხრამდე**, სვან. 291 b; აცადეთ იგი ერთად აღორძინებად ურთიერთას, ვიდრე **ჟამამდე** მკისა, მ. 13, 30; რაჲთა არა დაადგრეს გუამი მისი ჯუარსა ზედა **შაბათამდე**, ი. 19, 31; იყო შენ დადუმებულ ...ვიდრე **დღედმდე** ყოფად ამისა, ლ. 1, 20; შეეწიოს ღმერთი დილითგან **დილამდე**[1], ფსალმ. 45, 3; მაშინ დაადგა იგი ღამესა მას ვიდრე **განთიადამდე** დაუჯდომელად ვედრებასა შინა, პარხ. 944 გ.

გვხვდება ხანდახან აგრეთვე **განთიადმდე**: და დაადგრა ადგილსა მას ნეტარი იგი ვიდრე **განთიადმდე** ლოცვასა შინა, კიმ. II, 151, 27; ვიდრე **განთიადმდე** აღივსნეს რუენი და ჴევნი ყოველთაგან მდინარეთა, იქვე, 198, 20.

ბ) საწყისები

და ვიდრე **ოხრამდე** ქუეყანისა და ვიდრე **გამობრწყინებამდე** ვარსკულავთა და ვიდრე **დამყარებამდე** საფუძველისა სამოთხისაჲსა, 3 ეზრა 6, 2; ვიდრე **აღმოცენებამდე** შუენიერებაჲ ყუავილთაჲ და ვიდრე **განძლიერებამდე** სიმტკიცჱ ძლევათაჲ, იქვე, 6, 3; ვიდრე **აღსლვამდე** მისა ნავსა მას, მრ. 4, 1; და იყო მუნ, ვიდრე **აღსრულებამდე** ჰეროდესი, მ. 2, 14; მუნ დაადგერით, ვიდრე **გამოსლვამდე** მიერ, მ. 10, 11; ძრვა იყო დიდ ზღუასა მას ზედა, ვიდრე ნავისა **დაფარვამდე** ღელვათაგან, მ. 8, 24; რაჲთა დგეს ეგე ჩემდა **მოსლვამდე**, ი. 21, 22 C; არა დაიბანნა ვიდრე პურისა **ჭამამდე**, ლ. 11, 38; ვიდრე ქათმისა **ჴმობამდე**, სამ გზის უვარ-მყო მე, მ. 26, 34; რომელ-იგი ეწოდა ანგელოზისა მისგან ვიდრე **ყოფამდე** მისა მუცელსა დედისასა, ლ. 2, 21 და ბევრი სხვა.

4. ვითარებითი ვითარების გარემოებად

ვითარებითი ბრუნვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფუნქციაა ვითარების გარემოების გამოხატვა. იგი უპასუხებს კითხვებზე **როგორ? რამდენად?** (რა ფასად?). ამათი პასუხი იქნება: კეთილად, მეყსეულად, ცუდად,

[1] ხელნ.: დილემდე.

ჰეშმარიტად, ზოგად (=ერთად) ...მალიად, მძაფრიად, ფრიად, მაგრიად... ოც და ათ დრაჰკნად და სხვა. ვითარებითი ბრუნვის ამ თვისების გამო იყო, რომ გრამატიკოსები ამ ბრუნვას უწოდებდნენ **მოდალობითს** (მ. ბროსე), **ზმნისზედითს** (თ. ჟორდანია), **ზმნისზედათს** (მ. ჯანაშვილი). ამ ბრუნვის ახალი სახელწოდებაც — ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი (ა. შანიძე) აქედანვე გამომდინარეობს. ყველა ამ ტერმინში, როგორც ვხედავთ, მხედველობაშია მიღებული ამ ბრუნვით გამოხატული გრამატიკული ფორმის ზმნიზედური მნიშვნელობა.

ყველა ის სიტყვა, რომელიც აქ ვითარების გარემოებად გვხვდება, არ არის სავსებით ერთნაირი არც ფორმისა და არც შინაარსის მიხედვით. ამიტომ მათი განხილვა ცალ-ცალკე სჯობს.

ა) პირველად აქ შეიძლება დავასახელოთ ჩვეულებრივი ზედსართავების ვითარებითი ბრუნვის ფორმა. როგორც ცნობილია, ზედსართავი სახელის ასეთი ფორმა (ვით. ბრ.) ყოველთვის პასუხობს კითხვაზე **როგორ** და ვითარების გარემოებას გამოხატავს. ამის მაგალითებია:

კეთილად წინაწარმეტყუელა თქუენთჳს ესაია, მ. 15, 7 (კეთილად= კარგად); უკეთურნი იგი **უკეთურადცა** წარწყმიდნეს, მ. 21, 41 C; დაადგრა **უტყუად**, ლ. 1, 22; გზასა ღმრთისასა **ჰეშმარიტად** ასწავებ, მ. 22, 16; რასა აქა სდეგით დღე ყოველ **ცუდად**, მ. 20, 6 C (**ცუდად**=უსაქმოდ); **ამაოდ** მსახურებენ მე, მ. 15, 9; რბიოდეს ორნივე **ზოგად**, ი. 20, 4; მათ **მეყსეულად** დაუტევეს ბადე მათი, მ. 4, 20.

„მეყსეულად“ გაქვავებულად არის შემორჩენილი ვითარებითში, მაგრამ იშვიათად შესაძლებელია სხვა ბრუნვის ფორმებსაც წავაწყდეთ: რამეთუ **მეყსეული** და მოულოდებელი შიში დაეცა მათ ზედა, სიბრძ. 17, 14. ამ ფორმაში კარგად ჩანს მისი მნიშვნელობა: **მეყსეული** — უეცარი, სასწრაფო თუ სწრაფი. ამ შინაარსის გაგებას ხელს უწყობს მის გვერდით მეორე ზედსართავის ხმარება: მეყსეული და **მოულოდებელი**. მართლაც, უეცარი იმიტომაა უეცარი, რომ ის მოულოდნელია... ამ ტიპის მაგალითები ყველაზე მეტია და აქ აღარ გამოვუდგებით მათს დამოწმებას.

ბ) აქ შეიძლება შეგვხვდეს თითქმის ყოველგვარი წარმოების მიმართებითი ზედსართაები, მაგრამ ყველაზე ხშირია უ — ო აფიქსებით ნაწარმოები სახელები და უარყოფითი მიმღეობანი უ — ელ აფიქსებით. პირველის მაგალითები იქნებოდა: უშჯულოდ, უსასყიდლოდ, უჟამოდ, უმიზეზოდ, უმკჳდროდ, უმსჯავროდ, უნდოდ, უსასოდ და სხვა. უფრო ხშირია მიმღეობები, რომელთა ნიმუშებიც არის: განუგებელად, დაუყდუნებელად, უდრტჳნველად, განუკითხველად, განუქარვებელად, უზაკუველად, დაუსრულებელად, უნებელად და ბევრი სხვა. დავიმოწმებ ორიოდე ნიმუშს ორივე წარმოებისას.

უ — ო - დ

ამას ყოველსა ეტყოდა იესუ იგავით ერსა მას და **უიგავოდ** არას ეტყოდა მათ, მ. 13, 34 C; **უსასყიდლოდ** მიგიღებიეს, **უსასყიდლოდცა** მისცემდით, მ. 10, 8; ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ იღოცავნ და **უღარღილოდ** ფსალმუნებენ გონებითა თჳსითა, აბო 192, 13; გულს-მოდგინედ ისმენდე და მეცა **უწყინოდ** ყოველი გითხრა და გაცნობო შენ, ევსტ. 166, 17.

უ — ელ - ად

რაჲთა **უჟდუნებელად** საღმრთოჲთ კერძო სულიერადი შრომაჲ აღასრულონ, თუალთ. 62, 17; **დაუცადებელად** ქადაგებდეს სახელსა ღმრთისასა, ლიტ. ქრესტ. 28, 1; **განუგებელად** ვქმენ, რამეთუ წიგნი არა მიწერად გეც, ხანძთ. 119, 16; **დაუცხრომელად** შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერჴნი მისნი, შუშ. 156, 36; და დაგუესხნეს ჩუენ ზედა ერი მრავალი სარკინოზთაჲ **უგრძნობელად**, ამონ. 203, 35; **უნებელად** ედებოდა მას განტევებად დღესასწაულსა მას ერთი პყრობილი, ლ. 23, 17 და ბევრი სხვა.

გ) ძალიან ხშირია აგრეთვე უფროობითი ხარისხის ფორმები, როგორიცაა: უმეტჷსად, უფროჲსად, უშორესადრე (ლ. 24, 28), უმჯობჷსად, უმცირჷსად, უდიდჷსად და სხვა.

დ) მხოლოდ ვითარების გარემოებად არის გამოყენებული ისეთი წარმოება, როგორიცაა: მალიად (← მალ-ივ-ად), ფრიად, მძაფრიად, მდუმრიად, ძნიად, მრგულიად, უნებლიად, ტკბიად, ღრმიად, ტფიად, მაგრიად, სრულიად და მრავალი სხვა. ზოგი ამათგანი მხოლოდ ვითარებითი ბრუნვის აღნიშნული ფორმით არის გაქვავებულად შემორჩენილი და სხვა ბრუნვის ფორმები არ გააჩნია (ფრიად); ზოგსაც მოეპოვება სხვა ბრუნვის ფორმები, მაგრამ სხვა საწარმოებელი სუფიქსით, რის გამოც მათი ერთ სიბრტყეზე მოქცევა არ შეიძლება. ასეთებია, მაგალითად: ძნიად, ტკბიად, ტფიად. ამათი ძირებისგანაც, მართალია, იწარმოება სხვა ფუძეები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ბრუნვის ფორმები (ძნ-ელ-ი, ტკბ-ილ-ი, ტფ-ილ-ი), მაგრამ სულ სხვა სუფიქსის გამოყენებით: ძნელი და ძნიად, ტკბილი და ტკბიად, ტფილი და ტფიად არ არის ერთისა და იმავე **ფუძის** სხვადასხვა ბრუნვა. **ძნელ-ს** (აგრეთვე **ტკბილ**-სა და **ტფილ**-ს) ყველა ბრუნვის ფორმა აქვს, მაგრამ **ძნიად**-ს გაყინულად შერჩა მხოლოდ ვითარებითის ფორმა, ამ ფუძის სხვა ფორმები არ არის ცნობილი. ასევე ითქმის **ტკბიად**-სა და **ტფიად**-ზედაც. მაშასადამე, მხოლოდ ვითარებითმა ბრუნვამ შემოგვინახა ზოგი უძველესი წარმოების ვითარების გარემოებიც გაქვავებული სახით შერჩა ამ ბრუნვას და მხოლოდ ფორმები, რომლების აღსანიშნავად არის გამოყენებული.

ე) ვითარების გარემოებას გადმოსცემს აგრეთვე ისეთი ფუძეგაორკეცებული სიტყვები, როგორიცაა: გუნდად-გუნდად, ასოდ-ასოდ, ზჯნად-ზჯნად, მცირედ-მცირედ, ნაწილად-ნაწილად და სხვა. ამნაირი კომპოზიტები მხოლოდ ვითარებითს ბრუნვაში გვაქვს და არ შეიძლება სხვა რომელიმე ბრუნვაშიც შეგვხვდეს (გუნდი-გუნდი, გუნდმან-გუნდმან). მაშასადამე, ეს კომპოზიტები ვითარებითი ბრუნვის სპეციფიკური კომპოზიტებია. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ამნაირი რთული სიტყვები პირველ ნაწილს (ხან მეორესაც) ფუძის სახით წარმოადგენს, მაგალითად: გუნდ-გუნდად, ასო-ასოდ (ან: ასო-ასო), ნაწილ-ნაწილად (ან: ნაწილ-ნაწილ), ჯგუფ-ჯგუფად, გროვა-გროვად, დას-დასად და სხვა. როგორც ჩანს, ამ მაგალითებში კომპოზიტის პირველი ნაწილის ბრუნვის ნიშანი დაკარგულია: ნაწილად-ნაწილად → ნაწილ-ნაწილად (→ ნაწილ-ნაწილ), დასად-დასად → დას-დასად და

სხვა. ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შემთხვევები აქა-იქ ძველ ქართულშიც გვაქვს. მაგალითად: მცირე-მცირედ (ისტ. ქრესტ. 274, 28) და სხვა.

აქ დავიმოწმებთ ნიმუშებს ტექსტებიდან:

შეკრბებოდეს **გუნდად-გუნდად** ძენი იგი ბენიამენისნი, 2 მეფ. 2, 25; და განუყოფდა ყოველსა მას ერსა **ნაწილად-ნაწილად**, 2 მეფ. 6, 19; და აღიღო დანაკი სპეტაკი და დაკლა კრავი იგი და იწყო დაჭრად **ბრძჯლად-ბრძჯლად**, რაეაჲ 83, 4 (რუს. თარგმ.: мелко-намелко. ეგევე სიტყვა ნ. მარის მიერ გამოცემულ აღწერილობაში გამარტივებული სახით არის წარმოდგენილი: **ბრძჯლ-ბრძჯლად**, Опис. 207, 7 ქვ.); მაშინღა **ნელიად-ნელიად** გამოვიდოდა ყოველი ერი, მოქც. (ისტ. ქრესტ. 271, 25); დავჭრა აწვე გუამი შენი **ასოდ-ასოდ**, პარხ. 1013 a; ესე ყოველი **მცირედ-მცირედ** გამოცხადებულ არს, **მცირედ-მცირედ** გამოცხადნების წარჩართებითა ღმრთისა სიტყჳსაჲთა, კიმ. II, 168, 29; ვინ არს ესე, რომელი გამოვალს უდაბნოჲდთ, ვითარცა **ბურჭუად-ბურჭუად** კუამლისა აღსლვაჲ, იპოლ. 26. 3; **ბუდედ-ბუდედ** ჰქმნე იგი შინაჲთ და გარეჲთ ნაფთითა და ფისითა, დაბ. 6, 14 ლაგ.; **ხორშად-ხორშად** აღაშენო[1] ქუეშე საბლებად, დაბ. 6, 15 ლაგ.; მეფემ არს ბნელისაჲ, რომელი იქადოდა **დიდად-დიდად**, პარხ. 759 ს; და შეკრბა იგი **ზჳნად-ზჳნად** და დაყროლდა ქუეყანაჲ, გამოსლვ 8, 14; და აღიძრა ყოველი კრებული ძეთა ისრაჱლისათაჲ უდაბნოჲსაგან სინაჲსა **ბანაკად-ბანაკად** თითოეული მათი, იქვე, 17, 1 და სხვა.

ამ ტიპის სახელებიდანაა ნაწარმოები ახალი ფუძეები, რომლებიც უკვე იბრუნების ჩვეულებრივად, მაგალითად: ენად-ენადი (მოც. 10, 46); ნათესავად-ნათესავადმან (გამოსლვ. 12, 21); სახედ-სახედთა (ბოლნ. 21—22); ასოდ-ასოდი (ეზეკ. 24, 6); ტომად-ტომადმან (ეზეკ. 45, 9); ფერად-ფერადსა (ბოლნ. 22, 2); პირად-პირადითა სენითა (მ. 4, 24 C), პირად-პირადთაგან სენთა (მრ. 1, 34 C); ბურქუად-ბურქუადი კუამლი, იპოლ. 25, 39); მსგავსად-მსგავსადი, თესლად-თესლადი (დაბ. 1, 11, 12 ლაგ.). ზოგჯერ კომპოზიტების პირველი სიტყვის ფორმა აქაც არის გამარტივებული (ბრუნვის ნიშანი ჩამოცილებული აქვს), მაგალითად: **ძჯრ-ძჯრადისა** ამისთჳს შემთხუევისა (კიმ. I, 142, 29); **ძჯრ-ძჯრადითა** ტანჯვითა (იქვე, 145, 24); **ძჯრ-ძჯრადთა** ამათგან წყლულებათა (იქვე, 149, 23) და სხვა.

ვ) კითხვაზე **რადენად?** (რამდენად ღირს? რამდენად განყიდეს?) აგრეთვე ვითარებითი მიუგებს. ასეთ ფორმებსაც ვითარების გარემოებად თვლიან[2].

უფრო ძველ ძეგლებში ფასისა და ღირებულების აღმნიშვნელი სიტყვები ნათესაობითში იდგა: სამასის **დრაჰკნის**, ოც და ათ **ვეცხლიხ** და სხვა. მაგრამ შემდეგში და შემდეგში ასეთი კონსტრუქცია ვითარებითით იცვლება.

---

[1] ხელნ.: აღაშენო.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, 1952, გვ. 37.

დღეს ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივად ვითარებითი გვაქვს: გაყიდეს 2 **მანეთად**, იყიდეს 5 **თუმნად** და სხვა. ამნაირი კონსტრუქციის სათავე, როგორც ვთქვით, ძველ ქართულში გვაქვს უკვე. მაგალითები:

რაჲთა იყიდნეს იგინი თითო დრაჰკნად და კუალადცა ორნი ერთ **დრაჰკნად** ყოველნივე, თხრობ. 42, 13; და მიჰყიდეს იოსებ ისმაიტელთა მათ ოც და ათ **დრაჰკნად**, დაბ. 37, 28 ლაგ. (შდრ. ოშკი: ...ოც **დრაჰკნის**).

აქ, როგორც ვხედავთ, ვითარებითი ძველი ნათესაობითის ნაცვლად არის წარმოდგენილი.

ზ) უფრო მოგვიანო ხანის ძეგლებში ვითარებითი გველინება აგრეთვე ძველი მოქმედებითის მონაცვლედ. ასე, მაგალითად: იყო: წარვედ **სწრაფით** ვანად ჩემდა (შუშ. 154, 4), შერმე შეიცვალა: წარვედ **სწრაფად**; იყო: შევიდა **ძლით**, მერმე შეიცვალა: შევიდა **ძალად**; იყო: მივიდოდა **ფრჯით**, მერმე შეიცვალა: მივიდოდა **ჭუეითად** და სხვა.

5. ვითარებითი მიზნის მარეგლებად

ვითარებითში დასმული სახელების რამდენიმე ჯგუფი გადმოსცემს მიზნის გარემოებას. ესენი გვიპასუხებენ კითხვებზე: **რად? რა მიზნით?** აქ უნდა გავარჩიოთ სახელთა ორი ჯგუფი: მიმღეობები და საწყისები.

მიმღეობანი

მიმღეობა, რომელიც მიზნის გარემოებას გადმოსცემს, ენებითი გვარისაა, მომავალ დროს გამოხატავს და საწარმოებელ აფიქსებად აქვს სა—ელ. ამნაირი ფორმებია: სადიდებელად, სალოცველად, საკვსენებლად, საქებელად, საწამებელად და სხვა.

ყველაზე ხშირად ასეთი ფორმების გამოყენებას ხელნაწერთა ანდერძებში ვხვდებით. ეს ანდერძები ხელნაწერის მომგებელთა ან გადამწერთა მიერ არის შეთხზული და დართული და ამიტომ სრულიად უპრეტენზიო და ბუნებრივი სალაპარაკო ენით არის შესრულებული. ენის ბევრი ბუნებრივი თვისება და განვითარების ახალ-ახალი ნიშნები ძალიან ხშირად სწორედ ამ ანდერძებში იჩენს თავს. დავიმოწმოთ ამის რამდენიმე მაგალითი:

სადიდებელად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა (ჯრუჭის ოთხთავის ანდერძი: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ა. შანიძის წინასიტყვაობა, გვ. 021); შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე **სალოცველად** ყოველთა ძმათა შატბერდელთა (პარხლის ოთხთავის ანდერძი, იქვე, გვ. 035); ღირს მყო... აღწერად წმიდასა ამას[1] წიგნსა **სადიდებელად** სახელისა მისისა წმიდისა და **საქებელად** ყოველთა წმიდათა მისთა და **განსანათლებელად** ყოველთა ეკლესიათა და **სალხინებელად** ცოდვილისა სულისა ჩემისა და **სალოცველად** სულსა მოძღუართა, მშობელთა და ძმათა ჩემთა სულიერთა და ჴორციელთათჳს, ი. ჯავ. აღწ. 15, 6—2 ქვ.; **სალოცველად** და **მოსაკვსენებელად** თავისა და სულისა ჩუენისათჳს, Опис. 58, 12 ქვ.; **სადიდებლად** ღმრთისა და **სალოცველად** ღმრთივ გჳრგჳნოსანთა მეფეთა ჩუენთა, Опис. 196, 10.

[1] გამოც.: ამის.

როგორც დავინახეთ, ზოგჯერ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო სახელის ფორმაა საქმარისი მიზნის გარემოების გადმოსაცემად (უკანასკნელი მაგალითი), მაგრამ ზოგჯერ ეს არ არის მიჩნეული საკმარისად და მომდევნო დამატებას **თჳს** თანდებული აქვს დართული (სულისა ჩუენისა**თჳს**), სწორედ ის **თჳს** თანდებული, რომელიც დღეს აუცილებელია მიზნის გარემოების გადმოსაცემად საწყისს დაერთოს (სწავლისათვის, მუშაობისათვის, წერისათვის, ხვნისათვის...). მაგრამ უძველეს ხელნაწერებსა და წარწერებში ეს **თჳს** არ არის (ან იშვიათადაა): აღვაშენე საყოფელი ესე **საჴსენებელად** სულისა ჩემისა, **თავყანისაცემელად** დედათა (თეშესტიას წარწერა). ოთხთავის მაგალითებიც არ შეიცავს **თჳს** თანდებულს: **სახჴელად** მოვედ სოფლისა ამის, ი. 9, 39 C; ხოლო აძან ნაკლულევანებისაგან თჳსისა ყოველი, რაჲცა აქუნდა, შემოწირა **საცხორებელად** მისა, მრ. 12, 44[1]; ნუ იქმთ წინაშე კაცთა **სახილველად** მათა, მ. 6, 1 C (შდრ. რუს. თარგმ. с тем, чтоб они видели вас); ყოველთა საქმეთა მათთა იქმედ **საჩუენებელად** კაცთა, მ. 23. 5 (с тем, чтобы видели их люди); სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქუმოდის, რომელცა-ესე ყო, **საჴსენებელად** მაგისა, მ. 26, 13 (в память её); შეწირე შესაწირავი შენი, რომელი ბრძანა მოსე, **საწამებელად** მათა, მ. 8, 4 (во свидетельство).

იმის საჩვენებლად, თუ როგორ გადადის ენა ერთი სახეობიდან მეორეზე (როგორ უმატებს **თჳს** თანდებულს), როგორ ერთიმეორის გვერდით იხმარება ორივე სახეობა ზოგიერთ ძეგლში, მოვიყვანთ ერთ ადგილს მეათე საუკუნის ხელნაწერიდან, სახელდობრ ნაწყვეტს იოვანე ბერას ანდერძიდან:

ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა... **სალოცველად** სულისა ჩემისა ცოდვილისა და **სამოძღურებელად** თავისა ჩემისა და **სალოცველად** სულისა მშობელთა ჩემთა(ჲ)სა და ყოველთა თჳსთა ჩუენთა**თჳს**, სულიერთა და ჴორციელთა, და **სალოცველად** მეფეთა ჩუენთა**თჳს** (ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ა. შანიძის წინასიტყვაობა, გვ. 034). როგორც ვხედავთ, ერთ ხელნაწერში, ერთ გვერდზე, ერთმანეთის მიყოლებით სავსებით ბუნებრივი და შესაძლებელი ყოფილა ეწერათ „**სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა**“ და „სალოცველად მეფეთა **ჩუენთა**თჳს“. შემდეგში და შემდეგში მიმღეობის ფორმებთან სრულიად გაქრა **თჳს** თანდებულის ხმარება, სამაგიეროდ ამ თანდებულმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი საწყისებთან და, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, დღეს მიზნის გარემოების გადმოცემის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა სწორედ **თვის** თანდებულიანი საწყისია (გადაწერისათვის, შესრულებისათვის).

---

[1] სხვა ვერსიებში ხახგასმული სახელი პირდაპირ დამატებად არის წარმოდგენილი (τὸν βίον, ἀλλήλοις, пропитание). ამათ მისდევს ადიშიც: შეწირა... **საცხორებელი** თჳი. მაგრამ DE-სა და მათი მიმდევნო ხელნაწერების წაკითხვა აშკარად გამოყოფს ამ სიტყვას მიზნის გარემოებად: ყველაფერი შესწირაო თავისთავის **გადასარჩენად**, **ხახსნელად**...

საწყისები

მიზნის გარემოებას გადმოსცემს აგრეთვე ვითარებითს ბრუნვაში დასმული საწყისი. იგიც უპასუხებს კითხვებზე: **რად? რა მიზნით?** ყველაზე ხშირად აქ გვხვდება საწყისი **ნადირობად**, ან მისი შინაარსის შემცველი სხვა სინონიმები, როგორიცაა: **სათხევლობად, თევზობად** და სხვა. ქართული საწყისის თვით ბუნება ისეთია, რომ ის ადვილად იგუებს გარკვეულ მიზანს ამა თუ იმ მოქმედების დასახელებისას. ამიტომაა, რომ საწყისის მიერ ამ ფუნქციის შესრულება დადასტურებულია უძველეს ქართულ ძეგლებში. მსგავსსავე მოვლენას ვხვდებით საშუალო ქართულის ძეგლებში; იგი ახალი ქართულის კილოებისათვისაც (ამა თუ იმ სახით) არ არის უცხო. დავიმოწმოთ მაგალითები ტექსტებიდან:

ამცნო მსახურსა მას და ჰრქუა: ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა. და თჳთ **ნადირობად** წარვიდა. შუშ. 151, 2. **ნადირობად**, რასაკვირველია, ნიშნავს „სანადიროდ". „ნადირობა" ზოგადი შინაარსის შემცველი სიტყვაა: ის ნიშნავს ნადირობას ფრინველებზე, ცხოველებზე, თევზებზე და სხვა. თითოეული ამ სახისათვის გვაქვს სპეციფიკური ტერმინები იმისდა მიხედვით, თუ **რით** ხდება ნადირობა, ან **რაზე** ხდება ნადირობა. პირველი თვალსაზრისის მიხედვით არის შექმნილი ტერმინი „სათხევლობა". „სათხეველი" გარკვეული სახის (ე. წ. სასროლ)- ბადეს ერქვა ძველად, „სათხევლობა" ამიტომ ასეთი „ბადით თევზაობა" იქნება. ეს ტერმინი დადასტურებულია ოთხთავში: ჰრქუა მათ სიმონ-პეტრე: წარვიდეთ **სათხევლობად**, ი. 21, 3. „წარვიდეთ სათხევლობად" იქნება: წავიდეთ (ბადით) სათევზაოდ. მეორე მომენტის მიხედვით გაკეთებულია **თევზობა**, რაც გვხვდება ზემოთ მოყვანილ ადგილას ადიშის ოთხთავში: ჰრქუა მათ სიმონ-პეტრე: მივიდე **თევზობად**. აქ შემასმენლის რიცხვია შეცვლილი: **მივიდე** და არა **მივიდეთ**. მივიდე თევზობად = წავალ სათევზაოდ.

მაგრამ **თევზაობის** მაგივრადაც შეიძლება ზოგადი ცნიშვნელობის **ნადირობის** (ნადირების) ხმარება, როგორც ყოველი ზოგადი ტერმინი გამოიყენება ამა თუ იმ კონკრეტული სახისათვის. ამის ნიმუშს იძლევა ოთხთავის ერთი ადგილი:

ჰრქუა სიმონს: შეავლინე ნავი ეგე ღრმად და ჰსდევით ბადჱ თქუენი **ნადირობად**, ლ. 5, 4. Ბ-ში აქ გვაქვს საწყისის ებ სუფიქსიანი სახეობა: **ნადირებად**. **ნადირობად** (ნადირებად), ეჭვი არაა, აქ თევზის ჭერას, თევზზე ნადირობას, თევზაობას ნიშნავს. ეგევე ტერმინი (მიცემითში) თევზის მიმართ მეორე ადგილასაცაა. მოხსენებული: განკჳრვებამან შეიპყრა იგი და ყოველნი მისთანანი **ნადარობასა** მას **თევზისასა**, რომელი შეაყენეს, ლ. 5, 9.

ნადირობა გარეულ თხებსა და სხვა ველურ ცხოველებზე მოხსენებულია სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში, სადაც გიორგი ჩორჩანელის შესახებ ნათქვამია:

ხოლო უმრაველსსთა ჟამთა **ინადირობნ** იგი ადგილთა მათ ცხროჲა წოდებულთა, რამეთუ იყო მუნ სიმრაველჱ **თხათაჲ** და **სხუათა ნადირთა** ველურ-

თავ (ისტ. ქრესტ. 220, 36). აქ ზმნა წარმოდგენილია პირიანი ფორმით (ინადირობნ), საწყისად აქაც **ნადირობა** გვექნებოდა.

შეიძლება ასეთი სახის ნადირობა იყოს ნაგულისხმევი შუშანიკის მარტვილობის ზემოთ მოყვანილ ადგილას.

მაგრამ მიზნის გარემოებას გადმოსცემს არა მარტო ამ ზმნის საწყისი. ეს მოვლენა ფართოდაა გავრცელებული ძველ ქართულში და გასაგებია, რომ ასეთ საწყისთა წრე ერთობ დიდია, მაგალითად:

წარვიდა მიერ **ქადაგებად** და **სწავლად** ქალაქებსა მათსა, მ. 11, 1; ოდეს ყოველი დაბადებული წარმოდგეს **განკითხვად** წინაშე საყდართა დაუსაბამოჲსა ძისა ღმრთისათა (პარხლ. ოთხთ. ანდერძი, იქვე, გვ. 035); მოვედ **განყოფად** კაცი მამისაგან, მ. 10, 35; რომელნი მოსრულ იყვნეს **ხმენად** მისგან და **განკურნებად** სნეულებათაგან მათთა, ლ. 6, 18; წარავლინნა იგინი... **განკურნებად** უძლურთა, ლ. 9, 2; მოხუედ აქა უწინარჱს ჟამისა **ტანჯვად** ჩუენდა, მ. 8, 29; ჴიიყვანეს იგი **ჯუარ-ცუმად**, მ. 27, 31 C: **შჯად** სოფლისა ამის მოსრულ ვარ მე, ი. 9, 39. **შჯად** აქ ნიშნავს „გასასამართლებლად". აკი ამიტომაც C-ში იგი გადმოცემულია ჴიზნის გარემოების მეორე შესატყვისი ფორმით: **სასჯელად** მოვედ სოფლისა ამის. **სასჯელად** და მისი მსგავსი ფორმები (სადიდებელად, სალოცველად), როგორც ვნახეთ, სწორედ მიზნის გარემოებისათვის იყო ზედგამოჭრილი.

მაგრამ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ არა ყველანაირი საწყისი და არა ყოველთვის გადმოსცემს მიზნის გარემოებას. ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში საწყისი დამოკიდებულია სხვა ზმნებზე. ყველაზე ბშირად ასეთი ზმნებია: წარვიდა (წარვიდა ნადირობად), წარავლინა (წარავლინა განკურნებად), უტევა (უტევე დაფლვად), მისცა (მიგეც თქუენ კელმწიფებაჲ **დათრგუნვად** ზედა გუელთა და ღრიაკალთა, ლ. 10, 19) და სხვა.

ჰანური საწყისის ამნაირი ფორმების ანალიზისას ა. ჩიქობავა წერდა: „ყველა ამ შემთხვევაში მასდარი დამოკიდებულია სხვა ზმნაზე: წავიდა, მოვიდა—საძებრად, ბოსაკლავად, საყიდლად, სათხოვრად, საზიდად... მხოლოდ ასეთ კონტექსტში აღნიშნავს მასდარის მიმართულებითი მიზანს, და არა — ყველგან"[1]. ქვევით ავტორი ეხება მსგავს მოვლენას ძველ ქართულში და დასძენს:

„სწორედ ამავე პირობებშია, ძვ. ქართულში მასდარის მიმართულებითი რომ მიზანს გადმოსცემს: მოვიდეს ხილვად ჰადიშ. ლკ. 18, 35, უტევა შესლვად ლკ 8, 51, წარავლინნა ქადაგებად ლკ 9, 2, აღვიდა ლოცვად 9, 28"[2]. მაგრამ, როგორც ვთქვით, ასეთ ზმნათა წრე საკმაოდ დიდია ძველ ქართულში.

---

[1] ა. ჩიქობავა, მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში: იბერ.-კავკ. V, 1953, გვ. 41.

[2] იქვე, გვ. 42.

მაშასადამე, ქართული ენის უძველეს ძეგლებში საწყისი ვითარებითს ბრუნვაში (გარკვეულ შემთხვევებში) მიზნის გარემოებას გამოხატავდა: ნადირობად წარვიდა=სანადიროდ წავიდა, სათხეელობად, თევზობად=სათევზაოდ და სხვა. საწყისის მიერ ასეთი შინაარსის გამოხატვა გადმოეცა საშუალო ქართულს. ამის ნათელი ილუსტრაციაა „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ტაეპი, სადაც იკითხება:

დაჯდა წერად ანდერძისად (788, 1). „დაჯდა წერად“ აქ, ცხადია, ამას ნიშნავს: საწერად დაჯდა, წერისთვის დაჯდა, დაჯდა, რომ დაეწერა.

მსგავსი მდგომარეობა დაცული უნდა ჰქონდეს ქართული ენის კილოებსაც.

ინგილოურში, მაგალითად, ძველი ქართულის „ნადირობად“ წარმოდგენილია ფორმით „ნადიროვან“, რომელსაც სავსებით ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ძველი ქართულის აღნიშნულ ფორმას, ე. ი. ის ნიშნავს „სანადიროდ“, მაგალითად:

არსენაჲ და ვასილი ნადიროვან წასჳლაჲ (250, 1)[1]=არსენას და ვასილის სანადიროდ წასვლა; ნადიროვან მიდიანყ (250, 14)=სანადიროდ მიდიან ხოლმე; მოჲ, ნადიროვან წაჳდეთაე (250, 25)=მოდი, სანადიროდ წავიდეთო; შენთან ნადიროვან წასჳლაში (250, 27)=შენთან სანადიროდ წასვლისას და სხვა.

ფორმა „ნადიროვან“ ძალიან ჰგავს ძველი ქართულისას. ობ და ებ სუფიქსები ინგილოურში იცვლება ოვ და ევ-ად (ეს უკანასკნელი სახელებშიც და ზმნებშიც): რაჲ ლაპარიკოვა (250, 26)=რას ლაპარაკობ; ჰალა მე ვერ მცნოვ (251, 1)=ჯერ მე არ მიცნობ; მასლაათოვენ (251, 5)=მასლაათობენ; ერთ ამბოვს (256, 20)=ერთი ამბობს და სხვა.

ებნგვიან (250, 4)=ეუბნებიან (=ეძახიან); ერ პატრა ლეკევი სოფელ არის (250, 5)=ერთი პატარა ლეკების (=თათრების) სოფელია; ხათაჲ არ დააკლდევაე (250, 28)=საფრთხე არ დაეკლდებაო (=ასცილდებაო); სახლევ (257, 9)=სახლები; ემ გადევმა თქრს (259, 11)=ამ ბიჭებმა თქვეს და სხვა.

ნადიროვან-ის ნ შეიძლება დაუკავშირდეს ვითარებითის ნიშანს დ-ს. ასე რომ, ძველი ქართულის „ნადირობად წარვიდა“ და ინგილოურის „ნადიროვან წაჳდეთაე“ ერთსა და იმავე ხაზზე ძევს და ერთისა და იმავე რიგის მოვლენებია; ნადიროვან-ს იგივე ფუნქცია აქვს, რაც ჰქონდა ძველი ქართულის ფორმას ნადირობად.

6. ვითარებითის ბრუნვაში დასმული საწყისის ბუნება

ქართული იმ ენათა ჯგუფს ეკუთვნის, რომელთაც არ გააჩნიათ ევროპული ენების infinitiv-ი. მაგრამ ევროპულ ენათა ამ კატეგორიის გადმოცემა ძველ ქართულს ხშირად უხდებოდა, რადგანაც მას მჭიდრო ურთი-

[1] რ. ლამბაშიძე, ინგილოური კილო: თბილ. უნივ. შრომები, ტ. 30—31 B, 1947.

ერთობა ჰქონდა ბერძნულთან. ბერძნულ ენაში კი ასეთი კატეგორია არსებობს.

პირველ ხანებში უცხო ენების აღნიშნული კატეგორიისათვის ქართული ენა მიმართავდა ჩვენებურ საწყისს, რომელსაც ვითარებითში დასვამდა და ამ infinitiv-ის შინაარსის გადმოღებას აკისრებდა. ასე წარმოიშვა ძველი ქართულის კარგად ცნობილი ფორმები: იწყო მან **ხიტყუად** (он начал говорить). შემძლებელ არს **აღდგინებად** (может воздвигнуть), კაცმან ამან იწყო **შენებად** და ვერ უძლო **აღსრულებად**, ლ. 14, 30 (этот человек начал строить и не мог окончить), რაჲსათჳს ჩუენ ვერ შეუძლეთ მას **განძებად**, მრ. 9, 28 (почему мы не могли изгнать его), ვინაჲ ძალ-გჳც აქა **განძღებად** პურითა ესოდენი ერი, მრ. 8, 4 (чтобы накормить их), იწყეს **განზრახვად**, ლ. 5, 21 (начали рассуждать) და ბევრი სხვა.

ასეთი საწყისების თავისებურება ძველ ქართულში ის იყო, რომ სათანადო ობიექტებს ისინი სახელობითსა და მიცემითში ითხოვდნენ (მოძიებად ვალს ჰეროდე და წარწყმედად **ყრმასა მაგას**, მ. 2, 13; ...წარწყმედად **ეგე** C), ე. ი. საწყისი იმავე ბრუნვაში იწყობდა ობიექტს, რომელშიც გარკვეულ შემთხვევებში იწყობდა პირიანი ზმნა (წარსწყმედს **ყრმასა მაგას**, წარწყმიდა **ყრმაჲ ეგე**). ამ თვისების გამოა, რომ ასეთ ობიექტს ა. შანიძე პირდაპირ ობიექტს უწოდებს[1]. ამათ გვერდით გვხვდება აგრეთვე ნათესაობითიც. იგი აქ მტკიცედ მკვიდრდება და ახალ ქართულში საწყისთან მხოლოდ ეს ბრუნვაა ცნობილი (დაწერა **წიგნისა**, დამუშავება **ყანისა**). ვითარებითს ბრუნვაში დასმულ საწყისთან (უბრალო) ობიექტი ნათესაობითში თვით უძველეს ძეგლებშიც გვხვდება) ეგულების ჰეროდეს მოძიებად **ყრმისა მაგის**, მ. 2, 13 C). ამიტომ მთლად მართებული არ იქნება ასეთი ნათესაობითის უახლეს ფორმად მიჩნევა.

უცხო ენათა infinitiv-ის გადმოსაცემად ამ ცდას ნაყოფი არ გამოუღია, იგი მალე იქნა უკუგდებული.

იყო ძველ ქართულში უცხო ენათა ამ infinitiv-ის გადმოღების სხვა ცდებიც. ერთი იმათგანი გარკვეულ შემთხვევებში ისევ საწყისს მიმართავდა, მაგრამ ახლა უკვე ნათესაობითში დასმულს (მუდამ ნათესაობითის მარტივი **ის** ნიშნით): არა უნდა **შესლვის**, ლ. 15, 28 C (не хотел войти), არა უნდა **სუმის**, მ. 27, 34 (не хотел пить), მაგრამ ამნაირი ცდა უფრო უდღეური გამოდგა და ისიც ადრევე ჩაკვდა[2].

ამ ცდების წინააღმდეგ თვით ძველ ქართულში იყო ჩასახული და შემდეგში და შემდეგში უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა infinitiv-ის გადმოცემა ჩვენი ჩვეულებრივი საწყისით სახელობითს (და მიცემითს) ბრუნვაში. ეს ბრუნვა იმდენად ბუნებრივი აღმოჩნდა ამ საქმისათვის, რომ ერთხელ დაწყებული გამოყენება სახელობითისა (და მიცემითისა) შემდეგში ერთადერთი

[1] ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, გვ. 311.

[2] დაწვრილებით ამის შესახებ ნ. ზემოთ, გვ. 174—183.

გახდა. დღეს ასეთ შემთხვევაში საწყისს სახელობითში (და მიცემითში) ვსვამთ და სათანადო (უბრალო) დამატებას ნათესაობითში ეუწყობთ, მაგალითად: მან წიგნის **კითხვა** დაიწყო, მოსაელის **აღებას** აპირებენ, ყურძნის **კრეფა** დაამთავრეს, არხის **გაყვანა** გადაწყვიტეს, ბოსტნის **დაბარვას** მიჰყვეს ხელი და სხვა. უცხო ენათა infinitiv-ის გადმოსაცემად ზემოთ მოყვანილ ფორმებს (მან წიგნის კითხვა დაიწყო) დღეს მოცილე არა ჰყავს.

7. ვითარებითი რთულ ზმნებში

ვითარებითი ბრუნვის ფორმა გამოყენებულია რთული ზმნის შემადგენელ ნაწილად. ასეთი ზმნები ცოტაა (ძველ) ქართულში. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია: ყურად-ღება, მუცლად-ღება, გულად-ღება. ვითარებითი ამ შემთხვევაშიც თავისი ძირითადი ფუნქციით უნდა იხმარებოდეს (მიმართულებას უნდა აღნიშნავდეს) და „ყურად-ღება" „ყურთან მიტანას", ე. ი. გაგონებას, შესმენას უნდა ნიშნავდეს. **ყურად-იღო**, ამიტომ, იქნება „ყურთან მიიტანა" (ამბავი სიტყვა...), ე. ი. გაიგონა, გაიგო, შეისმინა. ასევე უნდა ითქვას **მუცლად-ღებისა** და **გულად-ღების** შესახებაც. მაგალითები:

ყურად-ღება

ისმინე შენ აწ, ცაო, და **ყურად-იღე**, ქუეყანაო, სას. პოეზ. 78, 45; **ყურად-იღე**, ღმერთო, ლოცვისა ჩუენისაჲ, ფსალმ. 54, 1; ი. ჯავ. აღწ. 92, 14 ქვ. (=услышь, боже); **ყურად-იღეთ** და ისმინეთ ჴმისა ჩემისაჲ, ესაია 28, 23.

როცა მოსასმენი თუ გასაგონი (პ. ობიექტი) მრავლობითში დგას, ეს აისახება ზმნაშიც. და რადგანაც ღება ზმნა, როგორც ცნობილია, ფუძემონაცვლეა, მრავლობითში აქაც გვექნება ღ ძირის ნაცვლად ხუ: **ყურად-იხუენით** სიტყუანი ჩემნი, მოც. 2, 14. ამ უკანასკნელის საწყისი იქნებოდა „ყურად-ხუმა" → „ყურად-ხმა" [1].

ახალ ქართულში **ყურადღება** უცვლელად გადმოვიდა, ოღონდ მას არსებითი სახელის მნიშვნელობა აქვს ძოპოვებული. ზმნის ისეთი პირიანი ფორმები, როგორიცაა: „ყურად-იღო, ყურად-იღეთ", რომლებსაც კაცი აქაიქ ჯერ კიდევ მოისმენს, ულტრა არქაულია და სიცოცხლის ნიშანწყალი არ გააჩნია.

მუცლად-ღება

მუცლად-ღება ძველ ქართულში დაორსულებას, ბავშვის მუცელში ჩასახვას ნიშნავდა. იგი არ იყო ამ ცნების გამომხატველი ერთადერთი სიტყვა. მისი მონაცვლე იყო მარტივი ზმნა მ ი დ გ ო მ ა (ი/უ—2). ასე, მაგალითად,

---

[1] უბრალო მანის მეზობლად იკარგება. შდრ. თქმული → თქმული (მ. 13, 35 D); განხუმულნი → განხმულნი (მრ. 1, 10 D; ი. 1, 51 D).

„ყურად-ხმა" მოგვაგონებს ძველი ქართულის „გულის-ხმა"-ს აგებულებას. „გულისხმის-ყოფა" ნიშნავს გულთან მიტანას, ე. ი. გაგებას, მიხვედრას, შეტყობას.

DE რომ მუცლად-ღებას იყენებს, C-ში მიდგომაა ამის მაგივრად აღებული, მაგალითად: DE: და აჰა ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშვე ძე და უწოდი სახელი მისი იესუ; C: და აჰა მიუდგე და შვე ძე და უწოდი სახელი მისი იესუ, ლ. 1, 31 (რუს. თარგმ.: и вот, зачнёшь во чреве, и родишь сына, и наречёшь ему имя Иисус).

იყო თუ არა რაიმე განსხვავება ამ ორ სიტყვას შორის, ახლა ძნელია ამის თქმა. ფაქტი ისაა, რომ ისინი ერთმანეთის ნაცვლად არა მარტო აქ, საერთოდ ხშირად იხმარებიან. ჩვენთვის საინტერესო სახელის ვითარებითის ფორმა აქაც ადვილი გასაგებია (თუ: აქ უფრო ადვილი გასაგებია) და ის რაიმე განმარტებას არ საჭიროებს. მოვიყვანოთ სხვა მაგალითებიც:

რასათჳს მაიძულებთ მე თხრობად, ვინაჲ მუცლად-ვიღე იგი, რომლისათჳს მრავალ გზის ცილობით წინა-აღმიდგებით მე, ლიტ. ქრესტ. 23, 43; რაჲთამცა მუცლად-იღო თავადი უფალი და შვა პორციელად, კიმ. II, 67, 24; რაჲთა გაუწყო მუცლად-ღებაჲ ჩემი, ლიტ. ქრესტ. 23, 40; რომელნი უწინარეს მუცლად-ღებისა ჩუენებულ იყვნეს, მრავ. 310, 38. როგორც აქ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ამ რთულ ზმნაში პირდაპირი ობიექტი ჯერ კიდევ არის შერჩენილი (მუცლად-ვიღე იგი, მუცლად-იღო თავადი უფალი...).

გულად-ღება, გულად-ხუმა → გულად-ხმა

გულად-ღება და გულად-ხმა სრულიად კანონზომიერი, სწორი და ბუნებრივი პარალელური ფორმებია გულის-ხმისა. გულის-ხმა-ში მეორე სიტყვა ხმა (← ხუმა) მხოლოდ მრავლობითის ფუძით არის წარმოდგენილი, გულად-ღება-სა და გულად-ხმა-ში კი ორივე რიცხვია დაცული იმისდა მიხედვით, თუ რომელი რიცხვის ფორმით არის მოცემული ის სახელი, რომელიც „გულად უნდა იღონ": თუ მხოლობითისა, მაშინ გულად-ღება გამოდგება, თუ მრავლობითისა, მაშინ — გულად-ხმა.

მნიშვნელობა ამ საინტერესო სიტყვისა, ჩვენი აზრით, დაახლოებით იგივე უნდა იყოს, რაც გულის-ხმას (თუ გულისხმის-ყოფას) ჰქონდა: გაგება, მიხვედრა, შეტყობა. გულში ჩამარხვა, დამახსოვრება. ამ საინტერესო სიტყვაზე ჩვენ სხვაგან უფრო ფართოდ გვაქვს მსჯელობა. აქ კი ჩვენი მიზნებისათვის საკმარისი იქნება რამდენიმე მაგალითი დავიმოწმოთ:

რამეთუ იყო იგი წარჩინებულ და ყოველთა უპატიოსნეს სამეუფოსა პალატსა შინა, უმეტესადღა გულად-იღო შიში ღმრთისაჲ, კიმ. I, 63, 27; ჰმადლობდა ღმერთსა დასლვისათჳს წუერთაჲსა, ღმრთისა მიერ გულად-იღო საქმე ესე, რაჲთა დამდაბლდეს და არა აღმაღლდეს სიდიდითა წუერთაჲთა, კიმ. II, 155, 12.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების საწყისად უნდა მივიღოთ გულად-ღება (გულად-იღო შიში, საქმე...).

ქვემოთ მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომლის საწყისადაც უნდა მიღებულ იქნეს გულად-ხმა, რადგანაც პირდაპირი ობიექტი მრავლობითში დგას (გულად-იხუნა ყოველნი):

და ესრეთ ყოველნივე საღმრთონი წერილნი ძუელისა და ახლისა სჯულისანი, რომელნი ოდენ ჩუენსა ენასა პოჴნა, ყოველნივე კეთილად **გულად-ჰხუნა**, ლიტ. ქრესტ. 192, 9.

8. ვითარებითი კომპოზიტებში

ვითარებითი ბრუნვა გამოყენებულია აგრეთვე ისეთ კომპოზიტებში, როგორიცაა: მრგულიად-დასაწუველი, ყოვლად-დასაწუველი, მაგრიად-მოისარი, მალიად-მსრბოლი, ყოვლად-წმიდა და სხვა. მაგრამ ვითარებითს ბრუნვაში აქ დასმული სახელი ჩვეულებრივ ვითარებითს ზმნიზედად გვეელინება და ამიტომ აქ ჩამოთვლილი წყვილი სიტყვების კომპოზიტური ძალა სუსტდება, ისინი ორ სიტყვადაც შეიძლება გაიგოს კაცმა. მაგრამ თუ ანგარიშს გავუწევთ იმ გარემოებას, რომ ეს წყვილები თითქმის ყოველთვის ასე ერთად იხმარება, აგრეთვე მხედველობაში გვექნება, რომ ისინი ჩვეულებრივ ერთ ცნებას აღნიშნავენ (მაგ., მალიად-მსრბოლი = შიკრიკი) და უცხო ენებზედაც ერთი სიტყვით (კომპოზიტით) გადმოიცემა, მაშინ შეიძლება ეს და მათი მსგავსი სიტყვები ერთ რთულ სიტყვად (კომპოზიტად) მივიჩნიოთ. მაგალითები:

და შეყუარებად მოყუასი ვითარცა თავი თჳსი; და უფროჲს არს ყოველთა **მრგულიად-დასაწუველთა** და მსხუერპლთა, მრ. 12, 33 C. ეს რთული სიტყვა სხვა ენებზეც ერთად იწერება, მაგალითად: ἐλοκαύτωμα, *ολοκάρπωμα*, всесожжение...)[1]. ეს სიტყვა სხვაგანაც ხშირად გვხვდება: **მრგულიად-დასაწუველნი** თქუენნი არა შეწირულ არიან და საკუერთხნი არა მთნდეს[2] მე, იერ. 6, 20. გვხვდება იგი ამ სახით ეზეკიელთანაც (43, 27). იქვეა მოცემული ამ სიტყვის სინონიმი, მსგავსად აგებული კომპოზიტი: **ყოვლად-დასაწუველი**.

როგორც ვთქვით, შეიძლება აქვე დავასახელოთ აგრეთვე **მაგრიად-მოისარი**-ც:

ფარულად მოუწოდა ერის-კაცსა ანჩელსა, ლიბრსა და გლახაკსა და **მაგრიად-მოისარსა**, და აღუთქუა მიცემად სამი გრივი ფეტჳ და ხუთნი თხანი და წარავლინა ხანძთად მოკლვად მამისა გრიგოლისა, ხანძთ. 145, 5; ძენი ეფრემისნი ძლიერნი და **მაგრიად-მოისარნი**, ფსალმ. 77, 9.

ასეთივე უნდა იყოს კიდევ **მალიად-მსრბოლი**, რომელსაც ხშირად „მალე-მსრბოლი“ ენაცვლება (ლიტ. ქრესტ. 366, 30; 409, 37).

9. ვითარებითის ად (დ) ნიშანი ახალი ფუძეების საწარმოებლად

ბოლოს, აქაც დავსძენთ, რომ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი (ად, დ) გამოყენებულია ახალი ფუძეების საწარმოებლად (ვითარებითი ბრუნვის ფორმა აღებულია ახალ ფუძედ და კვლავ ნაბრუნებია). დღეს ენის ეს

[1] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, 1945, ა. შანიძის წინასიტყვაობა, გვ. 043.
[2] ხელნ.: მსთნდეს.

რესურსი ძალიან ფართოდ არის გამოყენებული ახალ-ახალი ფუძეების საწარმოებლად. მაგალითად, დღეს გვაქვს ამ გზით მიღებული ახალი სიტყვები: კუშშვადი, კვეცადი, ბრუნებადი, უღლებადი, ცვალებადი, ფერადი, გულადი, პურადი, ტანადი, პირველადი; ტექნიკური ტერმინები: ჰედადი, ღუნვადი, ღერადი და მთელი რიგი სხვა სიტყვები. ამნაირი წარმოების სათავე ძველ ქართულში არის მოცემული; იქაც ძალიან ფართოდ იყო ეს ხერხი გავრცელებული, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე მოქმედებითის ნიშნის გამოყენება (შრომითი, რისხვითი...).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ძველ ქართულში ამგვარი წარმოების სიხშირე საწყისებში. ასეთ წარმოებასთან იქ ახალი გრამატიკული მნიშვნელობაც იყო დაკავშირებული: იგი ასრულებდა მიმღეობის როლს, რომელსაც მომავალი დროის გაგება ჰქონდა და ერთგვარ აუცილებლობას გამოხატავდა. ასე, მაგალითად, **განკრწნადი** არის ის, რაც აუცილებლად უნდა გაიხრწნეს, რაც აუცილებლად გაიხრწნება, **ყოფადი** — რაც აუცილებლად უნდა იქნეს (იქნება), **დადნობადი** — რაც აუცილებლად უნდა დადნეს (დადნება), **კლვადი, დაკლვადი** — რაც აუცილებლად უნდა დაიკლას (დაიკვლება), უნდა დაკლან და ბევრი სხვა.

აღნიშნული ფორმების მნიშვნელობა კარგად ჩანს ისეთ შემთხვევებში, როცა მოცემულია დაპირისპირება ჩვენთვის საინტერესო ფორმისა და წარსული დროის მიმღეობისა, მაგალითად: წარსრული და წარსლვადი, დაცემული და დაცემადი, მოწევნული და მოწევნადი, შობილი და შობადი, ყოფილი და ყოფადი, წამებული და წამებადი და სხვა. ამგვარი დაპირისპირება ხშირად გვხვდება ძველ ტექსტებში, რომელთაგან ზოგს ქვემოთ ვუჩვენებთ.

ამნაირ ფორმებს ძველ ქართულში კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებდა. მათ ფუძეს ყოფა მეშველი ზმნის პირიანი ფორმები ემატებოდა და მომავალ დროს აღნიშნავდა, განსაკუთრებით ისეთ მომავალ დროს, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს; მას ნორმატიული მნიშვნელობა ჰქონდა: ყოფად არს=აუცილებლად იქნება (მოხდება), შობად არს=აუცილებლად იშობა; (მიერ გზით) წარსლვად იყო=აუცილებლად უნდა წასულიყო (იქ გზით), აუცილებლად (იმ გზაზე) უნდა გაევლო და სხვა. მაგრამ ამ ფორმების ამნაირი მნიშვნელობა შემდეგში თანდათან მიიღია და გაქრა კიდეც. აქ აღარ განვაგრძობთ მსგავსი ფორმების შესახებ საუბარს, მოვიყვანთ მხოლოდ მაგალითებს.

სახელები

სარცხჳნელ არიედ მამისა შვილნი უსწავლელნი და ასული, ნაშობი **ნაკლულევანადი**, ზირაქ 22, 3; ცუნდრუკებაჲ **ცუდადი** უძჯრუს არს სიკუდილისა, იქვე, 26, 6; ზეცისა იგი სამკჳდრებელი ქრისტჱს მიერ განმზადებული **აღუძრველადი** თუალითა იხილა და მეყსა მკჳდრ ხოლო იქმნა, PO, 85, 15; რაჲთა უყდუნებელად საღმრთჲთ კერძო **ხულიერადი** შრომაჲ აღასრულონ, თუალთ. 62, 17; გულისხმა-ვყავ **წულილადთა** მათ ყოველთა გამოძიებაჲ, სვან. 178 b; დიდად შუენიერ არს, იყოს თუ ვინმე მსგავს ჩინე-

ბული იგი მჩინებელთა თჳსთა და **ძმადნი** იგი თუ ემსგავსნენ სიძესა მას, იქვე, 466 b; და შექმნა იგინი რებეკა **ჰამადად**, დაბ. 27, 14 ლაგ. (ორმაგი წარმოებაა: **ჰამა-დ-ად**. **ჰამად-ი** უკვე არსებით სახელად არის ქცეული და „საჰმელს“ ნიშნავს).

საწყისები

რამეთუ **განჯრწნადმან** ჴორცმან დაამძიმის სული, სიბრძ. 9, 15; ვითარ-იგი **შობადთა** წილ საცხოვართა გამოჰსცა ქუეყანამან ბზიკი, იქვე, 19, 10; მაუწყენ ესეცა: რომელ წარსრულ არიან ჟამნი იგი, უფროჲს არიანა, ანუ **წარხლვადნი**, 3 ეზრა 4, 45 (=წასული დრო უფრო დიდია (მეტია) თუ **წახახვლელიო**, რაც აწი უნდა წავიდესო); რამეთუ წარსრულნი უწყნი, ხოლო **წარხლვადნი** არა უწყნი, იქვე, 4, 46; ყოველსავე საქმესა **დალპოლვადხა** მოაკლდეს და მოქმედიცა იგი თანავე წაოწყმდეს, ზირაქ 14, 20 (=დასალპობი, რაც უნდა დალპეს აუცილებლად, რაც დალპება); მიიყვანებოდის ჭენებით და ყურიმლის-ცემით... ვითარცა კრავი **დაკლვადი**, მამ. სწავ. 235; რომელი არა ბუნებასა მას **განრყუნადსა** ესმის. PO, 98, 17; და შეურაცხ-ყოთ მყინვარი ესე **დადნობადი** და კაცნი მოვიძულნეთ, ჰილ-ეტრ. 109; რომელმან აღმართნი დაცემულნი და განაძლიერნი **დაცემადნი**, იქვე, 119; რომელ არიან პირველ წამებულთა მოწამეთა კრებულნი და უკუნაჲსკნელ **წამებადთანი**, თარგმ. გამოცხ. 7, 10; არა თავს-ვიდებთ პატივსა უპატიობისასა, ფასი მომცე აქა **დარჩომადი**, დიდებაჲ უუავილებრ **დაცჳნებადი**, პარხ. 435 b; დაემორჩილენით ბრძანებასა მეფეთასა და განსთავისუფლდეთ სატანჯველთა ამათგან მოწევნულთა და **მოწევნადთა**, პარხ. 1079 a; არღარა გჳქმს ჩუენ მცხინვარებაჲ მზისაჲ ამის ხილულისა და **შეცვალებადისაჲ**, იქვე, 1084 b: ნაცვალად პატივისა შენისა მწრაფლ წარმავალისა და **შეცვალებადისა**, იქვე, 1111 a; და არცა უდებ იქნა, არცა მცონარ, არამედ ესრეთ იყო, ვითარცა დღითი დღედ **მოსიკუდიდი**, იქვე, 1297; შენთჳს მოვსწუდებით ჩუენ მარადღე და შევირაცხებით ჩუენ, ვითარცა ცხოვარნი **კლვადნი**, ფსალმ. 43, 26; ერი **დაბადებადი** აქებდი უფალსა, ფსალმ. 101, 17 და ბევრი სხვ.

ერთი სიტყვა მოქმედებითისა და ვითარებითის ნიშნებითაა ნაწარმოები: **გულითადი** (პარხ. 990 a)[1].

---

[1] მეორე ამნაირი სიტყვა — ძირითადი — ძველ ქართულში არა ჩანს.

თავი მერვე

წოდებითი ბრუნვის ფუნქცია

წოდებითს ერთადერთი ფუნქცია მოეპოვება, მისი დანიშნულებაა მიმართვა ამა თუ იმ პირისადმი (საგნისადმი), რომ მისი ყურადღება მიიქციოს, მოახედოს. ამ მიმართვის შემდეგ რაც ხდება, ის წოდებითს არ ეხება და მის ფუნქციებში არ შედის. ჩვეულებრივ ამ მიმართვის შემდეგ გვაქვს ბრძანებითი წინადადება, ხანაც კითხვითი და ხან სხვა ხასიათისა, მაგრამ წოდებითის შინაარსი ყოველთვის ერთი და იგივეა — მიმართოს გარკვეულ პირს, მოახედოს ის და მოამზადოს მოსასმენად.

მიმართვა ზოგჯერ ერთ პირს ეხება: მამო ჩუენო, მ. 6, 9; ჶ დედაკაცო, მ. 15, 28; მოძღუარო სახიერო, მ. 19, 16; შვილო, მ. 21, 28 და სხვა. ზოგჯერ მიმართვა ბევრს ეხება და სათანადო სახელი მრავლობითშია. ძველ ქართულში ამ შემთხვევაში გვაქვს ჩვეულებრივ ნარიანი მრავლობითი: ორგულნო, მ. 16, 3; მცირედ მორწმუნენო, მ. 8, 26.

შეიძლება წოდებითის ფორმას თავისი მსაზღვრელიც ახლდეს. ისიც, რასაკვირველია, წოდებითში იქნება დასმული: მონაო ბოროტო, მ. 18, 32; ნაშობნო იქედნეთანო, მ. 3, 7 და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში წოდებითის ფორმა ერთი და იგივეა, ის ამის მიხედვით არ იცვლება.

წოდებითი, როგორც ცნობილია, ყველაზე ახალი ბრუნვაა ქართულში. უფრო ძველად მის ფუნქციებს წრფელობითი ასრულებდა. ამის გადმონაშთი შემონახულია ძველ ქართულში, სადაც წოდებითის შინაარსი წრფელობითის ფორმითაა გადმოცემული: მოძღუარ, გუნებავს შენგან სასწაულისა ხილვაჲ, მ. 12, 38; უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა, შუშ. 151, 30. შემდეგში, როცა წრფელობითი გადავარდა და მისი ფუნქციების შესრულება სახელობითმა იკისრა, წოდებითის შინაარსი სახელობითის ფორმით გადმოიცემოდა: ჶ ნათესავი ურწმუნოჲ და გულარძნილი, ვიდრემდის თქუენ თანა ვიყო, ვიდრემდის თავს-ვიდებდე თქუენსა, მ. 17, 17; ხული ეგე არაწმიდაჲ, განვედ კაცისა მაგისაგან, მრ. 5, 8 და სხვა. მაგრამ ამ საკითხებზე ზემოთ (გვ. 73 — 85) უკვე გვაქვს საუბარი და აქ არ არის საჭირო მისი განმეორება.

წოდებითი ბრუნვის ნიშანი ო სულ ბოლოს, თითქმის ჩვენ თვალწინ გაიჩინეს საზოგადო სახელებმა. ადამიანების სახელები კი დღესაც, როგორც უძველეს ქართულში, წოდებითის შინაარსს ისევ ფუძის სახით გადმოსცემს,

აქ ძველებურად არავითარი ნიშანი არ მოეპოვებათ: პავლე, მოდი აქ; თამარ, დაწერე წერილი; დავით, წავიდეთ ქალაქში და სხვა. მაგრამ საზოგადო სახელების ძლიერი გავლენით სალაპარაკო ენაში (ზოგ კილოში მეტად, ზოგში ნაკლებად) აქაც ჩნდება წოდებითის ო და კაცი ხშირად გაიგონებს ხოლმე ასეთ გამოთქმებს: თამარო, სადა ხარ? დავითო, გარეთ გამოიხედე! ჰა, პეტრეჳ, არ გაბრიყვდე (ი. ჭავჭ. 501, 4) და სხვა. მაგრამ ახალი სალიტერატურო ქართული მაგრად უღობავს გზას ასეთ ფორმებს და არ აძლევს საშუალებას, ლიტერატურაში დამკვიდრდეს.

საძიებლები

ა) პირთა სახელებისა

ა

აბულაძე ილ. 014, 015, 017 — 019, 021, 025, 027, 8, 22, 253, 365, 472.
ასათიანი ირ. 518
ახვლედიანი გ. 112, 467, 468

ბ

ბარამიძე ალ. 027, 365
ბატონიშვილი დავით 23
ბენეშევიჩი ვლ. 017, 108
ბლეიკი რ. (Blake R.) 015
ბოპი ფ. (Bopp F.) 1
ბროსე მ. 23, 289, 743

გ

გაბუური ბ. 234, 286
გაიოზი 23
გაფრინდაშვილი შ. 300
გენკო ა. 6

დ

დეეტერსი გ (Deeters G.). 1, 292, 697, 609
დირი ა. (Dirr A.) 340
დოდაშვილი ს. 23, 334
დონდუა ვ. 387, 388, 390, 391
დონდუა ქ. 6, 12, 133. 289, 296, 297, 299, 305, 597, 601, 610, 613

ვ

ვარლაამი (საქ. არქიეპისკოპოსი) 23

თ

თოფურია ვ. 11, 29, 38, 39, 46, 47, 63, 64, 72, 73, 81, 85, 106, 204, 215, 227, 363, 369, 386, 398, 468, 470, 471, 492, 499, 501, 502, 507, 515, 516, 526, 565, 684, 713, 731, 736

ი

იმნაიშვილი ი. 016, 019, 024, 8, 39, 72, 76, 174, 293, 494, 534, 536, 642, 649, 659, 673, 678. 681, 718
ინგოროყვა პ. 019, 65, 110, 254
იოსელიანი პ. 23

კ

კათალიკოზი ა. 23
კეკელიძე კ. 014 — 019, 022, 024, 8, 12, 19, 194, 271, 320, 325, 336, 391, 610, 633
კვაჭაძე ლ. 678
კვიცარიძე პ. 333
კიზირია ა. 12. 589. 597. 611, 680, 681
კიკნაძე ლ. 12, 101, 584, 586, 589, 591. 597 599. 601 — 603, 611 — 613, 620
კოტეტიშვილი ვ. 371

ლ

ლომთათიძე ქ. 444
ლომთაძე ე. 300
ლორთქიფანიძე ქ. 021

მ

მანჯგალაძე ა. 430
მარი ნ. 014—018, 020, ,022. 026, 3—6, 23, 25, 35, 36, 62, 82, 111, 132, 133, 138, 189, 216, 255, 280, 281, 296, 292, 336. 352, 354, 361, 467, 470, 481, 488, 495, 498. 506, 525, 526, 586, 587, 608, 609, 618, 619, 631, 642, 645, 654, 736
მარტიროსოვი ა. 112. 233, 320, 328, 333, 342, 345 — 347, 351, 352, 354, 709

მაჭავარიანი გ. 443
მაჭავარიანი დ. 34
მაჭავარიანი მ. 100
მელითაური მ. 66
მეფისაშვილი რ. 019
მიქელაძე ქ. 636, 731
მოსკალსკაია ო. (Москальская О. Н.) 320
მრეველიშვილი მ. 649
მუსხელიშვილი ლ. 019, 63

ნ

ნემიროვსკი მ. 320

ო

ორბელიანი ს-ს. 457

ქ

ქორდანია თ. 585, 608, 623, 631, 743
ქღუნტი ს. 243

რ

როგავა გ. 12, 516, 520, 521
რუდნკო ბ. 74, 636

ს

სიხარულიძე ი. 736
სობოლევსკი ს. 181, 182

ტ

ტრომბეტი ა. (Trombetti A.) 1

ფ

ფაშალიშვილი თ. 024
ფირალოვი გ. 23

ქ

ქავთარაძე ი. 28
ქართველიშვილი იოანე 23
ქუთათელაძე ა. 334

ღ

ღამბაშიძე რ. 750
ღლონტი ა. 385

უ

უაუხჩიშვილი თ. 111
უაუხჩიშვილი ს. 019, 30, 504
უიუშიძე ი. 014, 352
უუბანეიშვილი ს. 015, 019, 025

შ

შანიძე ა. 015, 017—020, 027, 028, 2, 5 — 9, 17, 24, 25, 30 — 34, 40, 46, 47, 49, 50, 63, 68, 73, 81, 82, 106, 109, 111, 119, 132, 133, 174, 189, 217, 218, 225, 233, 234, 243, 253, 255, 268, 269, 277, 286, 301, 307, 320, 321, 324, 328, 333, 334, 346, 347, 352, 360, 364 — 366, 375, 385, 386, 391, 397, 408, 421, 433, 435, 441 — 444, 451, 453, 464, 466, 468, 478, 480, 484, 485, 488, 489, 492, 495, 497, 498, 503, 506 — 508, 515, 518, 520, 521, 524 — 526, 533, 539, 541, 565, 570, 575, 576, 585, 594, 601, 610, 618, 621, 637, 641, 649, 653, 655, 672, 680, 693, 699, 700, 723, 740, 743, 745, 747, 751, 754
შანიძე მ. 022
შანშოვანი ზ. 22
შარაძენიძე თ. 12, 272
შენდელსი ე. (Шенделс Е. И.) 677
შუხართი ჰ. (Schuchardt H.) 2. 34, 69, 682

ჩ

ჩიქობავა ა. 026, 027. 4. 5, 9, 10, 22, 24, 28, 29. 32. 38 — 42, 47, 50, 64, 69. 73, 82, 83, 90, 100, 119, 121, 133, 147, 189, 204, 215, 216, 218, 223, 227, 228, 245, 270, 271, 280, 281, 299, 301, 305, 313, 330, 366, 386, 408, 426, 427, 432, 451, 455, 462, 463, 467, 488, 491, 492, 495, 497 — 499, 505 — 507, 510, 518, 534, 536, 556, 558, 612, 636, 640, 642, 649, 653, 658, 668, 682, 683, 731, 736, 749
ჩუბინაშვილი ი. 23
ჩხენკელი სტ. 020, 12, 83, 337, 338, 365, 366, 380, 385, 589, 591, 597, 611, 620, 621, 632

ც

ცაგარელი ა. 020, 22, 23
ცამცაშვილი ა. 66
ცორელი ფ. (Zorell F.) 1. 2. 23 — 25, 149 176, 190, 198, 292, 303, 305, 597, 609, 610, 625, 642, 658
ცხადაძე ა. 66, 67, 243

ძ

ძოწენიძე ჭ. 12

წ

წერეთელი კ. 234, 242, 244, 727

ჭ

ჭაჭავაძე ი. 82, 558
ჭინჭარაული ა. 433

ჯ

ჯავახიშვილი ი. 015, 019, 020, 027, 5, 6, 9, 82, 268, 466, 467, 495, 560
ჯანაშვილი მ. 015, 743
ჯანაშია ს. 018, 333, 391, 444, 609, 651
ჯაჯანიძე პ. 021
ჯეირანიშვილი ე. 303
ჯიშიაშვილი ა. 112, 354

ბ) გაანალიზებული და დაფიქსირებული ფორმებისა

ამ საძიებელში მოყვანილია წიგნში გაანალიზებული და დამოწმებული ფორმები შერჩევით (უფრო მეტად მნიშვნელოვანი). სათანადო ადგილების პოვნაში მკითხველს დაეხმარება ერცლად შედგენილი შინაარსი.

ფორმათა დალაგებისას სახელებისათვის გამოსაყენებლად აღებულია მათი ფუძე, ზმნებისათვის—საწყისი ფორმა. პრეფიქსიანი მიმღეობანი საწყისის მიხედვითაა მოცემული: „მოუდრეკელი“-სათვის გამოსავლად „მოდრეკა“ აგებულია ზმნა, „დამთრგუნველი“-სათვის — „დათრგუნვა“ და ა. შ.

ა

აბანოს 144
აბიბოსეთი 387
აბრამეანი 436
აბრაჰამითგან 378
აგარეანი 436
აგუსტოსა 698
ადამითგან 378
ადგილსავე 737; ადგილად 37; ადგილადვე 37, 378; ადგილდ 36; ადგიდ 17, 36; ადგილდ-ადგილდ 36, 736; ადგიდ-ადგიდ 36; ადგილადგილ 37; ადგილითი ადგილად 736
ადგილობანს, ადგილებანს 144
აეროვანი 434
აეაზაკთ-მთავარი 163
აერის-ყოფა 50
აზალეანი 391
(შორის) აზარიაეთსა 389
აზოტდ 412
ათასის-თავი 151
ათეული 479, 484, 485
ათერამეტი 466 — 468
ათურამეტი 466, 467
ათშჯდმეტი 468
ათჩჯდმეტი 468
ათცამეტი 468
ათცხრამეტი, აცხრამეტი, ცხრამეტი 469
აღელეა 18
აღიზის-მოქმედი 167
აღის-წუერი 151
ამაოდ 743
ამაოსმოქმედი 167
ამბორის-ყოფა 141
ამენი 18
ამრღუე 131
ანანიაეთნი 389
ანგელოზთამდე 278
ანგელოზთ-მთავარი 163
ანთრაკეები პატიოსნები 310
ანტე: ანტისა, ანტესსა 97
არა-ჲ 18, 542
(მძლავრთა) არაბთასა (მოთხ.) 601
არაბიადთ კერძო 233
არაგუ, არაგუსა 122
არგნითა 56
არე: არჩსთა, არისად 97
არვე: არვად 101
არიმათიადთ 713, 714
არმაზდ 412
არ-სიწყნარები 95
ასარ-ი: ასრის დანგი 50
ას და მეათრვამეტე 482
ას და მეორე 482
ას და მეოცე 482
ას და მეჩვიდმეტე 482
ას და მეცხრამეტე 482
ასეული 479
ასის-თავი 151
ასკალონდ 412

ასოდ-ასოდ, ასოდ-ასოდი 745
ასულით[ურთ] 288 (= ასულებით); ასული ეგე (წოდ.) 80
ასურასტანით კერძო 231; (ქალთა) ასურასტანელთაჲსა (მიც.) 604; ასურასტანელთაჲსანი 629
(ძეთა) ასურთასა (მოთხ.) 600; ასურთაჲსაჲ 629
ასურეთა 409; ასურეთად 410
აფთრისაჲ 50
აქაჲთ 210
აქლემებთა 314
აღდგინებად 751
აღებად ცხედარი 673
აღმოსავალსა 695; აღმოსავალით 232, 724, 726; აღშოსავალით კერძო 230, 232, 233, 346, 726 (= აღმოსავლეთისაკენ)
აღმოსავალით-კერძოჲ 258
აღმოღებად წუელი 673
აღმრცენებით აღმოჰქედ 235, 727; აღმოცენებადმდე 742
აღსლვადმდე 742
აღსრულებად 751; აღსრულებად სიმართლე 673; აღსრულებადმდე 742
აღვრთამდე, აღვრთამდის 277
აღუძრველადი 755
აღშჱნება: აღაშჱნო 108 (= აღაშჱნო)
აჩრდილის-მწერალი 169
ახლის-პირით-გუემული 151, 260
ახლის-პიროვანი 151
ახლოს 143, 694
ახოვნისა 56

ბ

ბაბილონ (წოდ.) 415; ბაბილონდ, ბაბილონად 414
ბადის-პირი 151
ბანაკით 724; ბანაკად-ბანაკად 745
ბარადა 34
ბარკლითგან 54
ბარსაბაეთი 389
ბევრი 466
ბეთლემ (წოდ.) 415; ბეთლემად 17; ბეთლემდმდე 413; ბეთლემო 403, 416
ბეთსაიდა (წოდ.) 415
ბეთსამით კერძო 231 (ნ. ბეტსამუნით)
ბერსაბე (წოდ.) 415
ბეტსამუნით 232 (ნ. ბეთსამით)
ბეჭთამდე 278
ბეჭდის-თუალი 15
ბეჭდითა 61
ბირთჳ, ბირთუნი, ბირთუები 123
ბირთჳს-სახე 123
ბნელი 425
ბნობის-ფერი 159
ბობღნითა, ბობღნებითა 56
ბოლოსა 695
ბოროტი 425
ბოროტის-მოქმედი 167
ბორცუსა, ბორცუნი, ბორცუთა 123
ბოსლისა, ბოსლისაგან 58
ბოსტნისა, ბოსტნად, ბოსტნებსა 56
ბრძანების (გნებავს) 177
ბრძენი 429; ბრძენისა, ბრძნისა 71; ბრძნისაგან, ბრძნად 61; ბრძენისაჲ 69
ბრძენთ-მთავარი 163
ბრძკლად-ბრძკლად, ბრძკლ-ბრძკლად 745
ბრწყინვალები ტაძრები 92
ბუდედ-ბუდედ 745
ბუვი, ბუვისათჳს 120
ბუმბლის 66
ბუნებით (სარკინოზი) 265, 729
ბურჭუად-ბურჭუად 129, 745; ბურჭუად-ბურჭუადი 130, 745
ბღუარით 724; ბღუარით კერძო 726
ბჳები, ბჳები, ბჳებსა, ბჳებითა 94; ბჳეთამდე 278; ბჳეთადმდე 279; ბჳითი ბჳედ 736

გ

გაბრიელითა 378
გადმოხრილი (იდგა) 676
გალილეად, გალილეას 737
გამალებული (სჳამდა) 676
გამობრწყინებადმდე 742
გამოსლვის (უნდა) 176; გამოსლვადმდე 742
გამომღებელი ნაოფსა 690
გამოცდილი მოძღურებასა, გამოუცდელი ქმარსა 692
გამოცემის (უნდა) 176
გამოცხადების (უნდა, უნდეს) 176, 177; ...(ცეგუულების) 178, 719
განმგებელი მონაგებსა 690; განუგებელად 744
განზრახვად 751
განთიად 649; განთიადსა 697; განთიადმდე, განთიადადმდე 41, 742
განკაფით განიკაფნეს 235, 726
განკვრეტული (მირბიოდა, მიუგებდა, დაეცა) 679
განკურნებად 749

განმმზადებელი ადგილსა 690
განმრავლების (უნებე) 177
განნათლება: განმანათლებელ გონებასა 691; განსანათლებელად 746
განრისხებული (გამოვიდა) 678
განრყუნადი 756
განსუენების (ქნებავს) 178
განსწავლა: განგსწაველო შენ განკითხვით 235, 727
განსხირპვა: განისხირპენ განრთხმით 235, 727
განტეების (უნდა) 176
განყენების (უნდა) 176
განყოფად 749
განჩუბრებული (ხედავს) 678
განცუბრებული (დაშთა, დაადგრეს) 679
განცხადებულა 41
განძებად 751
განძლიერებადმდე 742
განძღებად 751
განკმლისა 58
განკრწნადი 756
გარდამოსაქანელთა მათმდე 278
გარე: ველსა გარე, მთასა გარე 355, 696
გარეგნით 56
გარეჲთ (გარჱთ) 209
გარეშე: გარეშჱთა, გარეშჱთ, გარეშეჲთა, გარეშჱჲთა, გარეშეთ 96
გაჩუმებული (იჯდა) 676
გარის-გარე 197
გაქანებული (მიდიოდა) 676
გაშტერებული (ვიკექ) 676
გაჩუმებული (იჯდა) 676
გაჩქარებული (მიდიოდა) 676
გეთდ 412
გემოჲს-მოყუარება 165
გენესარეთა 410
გეჰენიაჲს, გეჰენიაჲსასა, გეჰენიისა, გეჰენიისაჲ 105
გზას 144; გზითგან 724; გზად მიმართ 740; გზები 95
გინების-მოყუარე 165
გიხაროდენი 18
(მი)გლახაკისამდე 338
გოდლის-მშენებელი 169
გოდოლსაე, გოდლად 739; გოდლადმდე, გოდლები 64
გოდრითა, გოდრებსა 64
გოფორით კერძო 233
გრძიად 463
გუნის-ფერი 160
გუამიერი 432
გუბები 91
გუგისა, გუგათა 104
გულად-იღო 753; გულად-იხუნა 754
გულარძნილი (წოდ.) 79, 757
გულითადი 756
გულის-გდება 138
გულის-სიტყუა (გულს-ეტყოდა) 137
გულის-წყება 138
გულისხმა, გულისხმის-ყოფა 752, 753
გულ-ჰყრობილ შენდობასა 692
გულს-დგინება 135
გულს-დგმა (გულს-ედგა) 138
გულს-დება (გულს-ედჲა) 138
გუნდი 316; გუნდად-გუნდად 745
გუნდასა, გუნდაჲსა 104
გურიაჲთურთ 378

დ

დაბა, დაბან-ი: დაბასა, დაბად 738; დაბისაგან, დაბით 714; დაბად-დაბად 736; დაბნებთა 314
დაბადებადი 756
დაბადებულთადმდე 279
დადნობადი 756
დადუმების (მინდა) 176
დავითისისაჲ 631
დავრდომილი (იდეა) 678, 679
დათრგუნვად 749; დათრგუნველი ხატსა 691
დათჳ, დათუსა, დათუნი 123
დაკლებულ შეუნიერებასა 692
დაკლეადი 756
დალპობილეადი 756
დამარხვად ყოველი 673
დამბლისა 54
დამკვდრებულითურთ 289 (= დამკვიდრებულებით
დამორჩილებაჲ ბრძანებასა 693
დამოწაფებულთა მისთაჲთურთ 276
დამშდგრისა, დამშთურისა 50
დამწურითა 52
დან (წოდ.) 415; დანდმდე 413
დანაისა 104
დანაკის-კუდი 152
დანიელეთ ზედა 388
დარღუევად ტაძარი ესე 673; დამარღუეველ ბანაჲსა 691
დარჩომადი 756
დასავალს 144; დასავალით 724; დასავალით კერძო 231, 346, 726
დაფარვადმდე 742

დაფიქრებული (მიდიოდა) 676
დამშრეტელი წყალსა 691
დაშროშითი 730
დაუცდებელად 744
დაცემადი 756
(სიმრავლისათჳს) დაცემულთა (ნათ.) 596
დაცვის (უნდა) 176
დაცვნებადი 756
დაწერილები წიგნები 312
დაწესებისად 591
დაწოლისას 699
დაკსნად წერილი 673; დამკსნელო ძალსა 690
დედით 207; დედათაგანსაცა 633
დედაზარდლის-ქსელი 152
დედათ-დიაკონი 162, 718
დედლად 54, 72; დედალად 72
დედიერ-მამიერი 432
დედის-დედა 152
დედის-ძმა 152
დედოფლისად 54
დევობით (უქმობენ) 248
დიაკონ (წოდ.) 83
დიდად-დიდად 745
დიდებისად 591
დიდებულადა 34
დიდროვანი 435
დილაგთ. დილითგან, დილითლა 221; დღლითი 225, 726; დილამდე 742
დილეულ 650
დიოკლიტიანემდე 379
დის-წული 152, 717; დის-წულაკი 152
დოთაიმდ 412
დოლის-ყანა 152
დრაქმაგანსა 105
დრაჰკნის 745; დრაჰკნად 746
დუმილსა 698
დღე 651, 652; დღეჱ 108; დღესა 697; დღჱსა 109; დღისამდე 338; დღედმდე 742; დღეთამდე, დღეთადმდე 279; მიდღეთა მათმდე 278; დღეთა მათგან (ზოქმ.) 274; დღითი დღედ 224. 725
დღეს 147, 697
დღე-საშუალს 149, 697
დღესასწაულად-დღესასწაულად 741
დღეს-დღე 147

ე

ებისტოლე ნ. ეპისტოლე
ებნითა, ებნისასა 56
ეგრეჱთ (= ეგრჱთ) 108
ეგრის-წყალი 152, 717
ედემეანი 435
ევფრატით კერძო 231, 346
ეზოგან-მოძღუარი 169
ეკლისა, ეკლითა 54
ეკლესიას 144, 738; ეკლესიად 738; ეკლესიაგსა, ეკლესიაგსაჲ, ეკლესიაგსაგან, ეკლესიაგსათა, ეკლესიისა 105; ეკლესიად-ეკლესიად 736
(სამოსლითა) ელვარჱთა 97
ელიანოსითურთ 354
ენასა 695; ენად-ენადი 745
ენდროგს-ფერი 160
ეპისკოპოს (წოდ.) 83
ეპისკოპოსობის (უნდეს) 177
ეპისტოლეს შესახებ 99; ებისტოლებით 91
ერგასი, ერგასისი 466, 470
ერგასეული, ერგასისეული 480
ერთი 534
ერთავადა 35
ერთიანათა 34
ერთი-ერთი 524, 525
ერთმან-ერთი 526
ერთშაფათი 698
ერი 315, 316; ერითთურთ 354
ერის-თაჲ 152; 717; ერის-თჳსა, ერის-თჳადცა 31, 57; ერისთავთა-ერისთავი 57, 198
ერის-კაცი 152
ერისკაცებით, ერისკაცობით 251
ერის-მთავარი 153
ერისმთავრობით 251, 727
ესევითარისა, ესევითარითა; ესევითრისა, ესევითრითა 31, 50, 564
ეტლებითა შემკულებითა 310; ეტლეები 95, 307; ეტლებითურთ 354
ეტლის-თუალი 153
ეჭვთ 130
ეშმაკთ-მთავარი 163
ექუსი 466
ეშჯ 123
ეჩუაჲ, ეჩჳთა, ეჩოჲ 130

ვ

ვარხჯ, ვარხჯსა 123
ვაჟკაცურადა 34
ვაცები ჭრელები 311
ვაც-ბოტობით (უქმო) 248
ვაჭარ სიტყუასა 692
ველთად 594
ველის-პირი 153

ველის-ყრდელი 153
ვენაკები განგებულები 310
ვენაკის-მოქმედი 167
ვენაკოვანი 435
ვერა-ჲ 542
ვერძისამდე 337, 713
ვერხუსა 123
ვერხუნარი 123
ვეშაპად 69; ვეშპისაჲ, ვეშპად 57; ვეშაპთად 594
ვეცხლით-მოსილი 257
ვეცხლით-ფრდილი 259
ვეცხლით-სყიდული 259
ვეცხლის-მოქმედი 167
ვეცხლის-მოყუარე 165
ვეცხლის-მკედელი 169
ვეცხლის-უურკელი 153
ვიდრე: ვიდრე ამბორის-ყოფასა, განრინებასა, ზრახვასა, სასოებასა, სიმდიდრესა, სხმასა, ყოფასა, ცხორებასა 701; ვიდრე არა დაბრკოლებასა, დგმასა, შეხებასა 701; ვიდრეღა განშორებასა, დატევებასა, ცოდვასა, ცხორებასა 701; ვიდრეღა არა გულის-წყრომასა, დატკებნასა, დგმასა, სხმასა 702
ვინ: ვიეთ. ვიეთგან, ვიეთა 508; ვიეთდა 509
ვინაჲ, ვინაჲთ, ვინაჲთგან 208, 209, 725
ვინმე: ვიეთმე; ვიეთამე 509, 510
ვნებათ 112

ზ

ზაკუვითი 730
ზამთრისა 50
ზარგანქდილი (წარვიდა) 679
ზატიკის-ზატიკი 197
ზაფხულის-პირი 153
ზედაჲს-ზედა 197
ზეთის-ხილი 153; ზეთის-ხილთაჲსასა 630
ზემოჲთ 209
ზენა-სოფლით 231, 726
ზეპირ 657
ზესკნელს 144, 694
ზეცას 145, 694; ზეცად მიმართ 740; ზეცათ 112; ზეცისად 591; ზეცისათაჲ, ზეცათაჲსაჲ, ზეცათაჲსანი 629
ზეწრითა 50
ზიარი პირსა 692
ზოგი 467, 534; ზოგად 743
ზოგის-ზოგი 197
ზორობაბელითურთ 377
ზროხით[ურთ] 288 (= ძროხებით)
ზჳნად-ზჳნად 745
ზუარაკებითა სპეტაკებითა 311
ზურგის-ძუალი 153
ზღაპრობასა 699
ზღუს-კიდე 153, 740
ზღუს-პირი 153
ზღუს-ფერი 160
ზღუს-ქალი 153
ზღუაჲ, ზღუასა, ზღჳსაგან 130; ზღუას 145; ზღუასა, ზღუად 737; ზღუად კერძო 740; ზღვის დონედან 99
ზღუდე 109; ზღუდეები 94
ზღუდის-ზღუდე 197

თ

თაბორდ 412
თაგუი 122, 123; თაგუსა 123
თავით 233; თავისა თჳსისამდე 339; თავითგან 724
თავადი 527, 528, 570
თავით თჳსით 495 — 497, 729
თავის-მოყუარე 165
თავის-უფალი 153
თაეყანისაცემელად 747
თანაბარ 658
თანა-მდებ გჳპენიასა 691
თანა-მორბედ მაღლსა 692
თარშით 227, 231, 726
თაფლის-ფერი 160
თაკჳ, თაკუმან, თაკუთაჲ 123
თევზისა (გული-მითქუმიდა) 178
თევზის-ფერი 160
თევზობად 748
თეკუასა, თეკუად, თეკუაჲთ 130
თესლები ქუეყანისანი 313
თესლად-თესლადი 745
თთუე 652; თთუეჲ 107; თთუჱ, თთჳსაჲ 131, თთუესა 131, 697
თთჳს-თაჲი 153
თივლოვანი 434
თითითურთ 352 (= თითებით)
თითოეული 530, 570, 657
თირკმლითურთ 58
თიქის-მოქმედი 168
თორნეჲ 107
თოშეთა 410
თრევით მოგითრიო, თრევით მოითრია, თრჭეთ მოითრიეს 237

თუალ ცასხენ. ასხენ) 477, 638; თუალისა, თუალით. თუალითა, თუალისაგან, თუალისაჲ 30. 713; თუალებსა პატიოსნებსა 311
თუალით-მხილველი 254, 728
თუალთ-ღება. თუალთ-ხუმა 143
თუალთ-ყოფა 143
თუალიერი 432
(ღუეთა მამათა) თქუენთაჲსა (მიც.) 604
თქუმით 235
თხიერი 432
თხუთმეტ 469

ი

იაკობითურთ 354, 377
იგი (— კი) 361 — 362
იგი (კი) 361 — 362
იდაყუსა. იდაყუნი 123; იდაყუთგან 123, 724
იდუმალ 654
იეზაბელად 379
იერუსალჱმ (წოდ.) 415; იერუსალჱმდ 412, 736; იერუსალჱმისათჳს 629
იორ-ფერი 160, 717
იჳრგან 501
ინაკით-დაისუა 261
ინაკით-ზის 260; ინაკით-ჯდომა 261, 728; ინაკით-მჯდომარე 261
ინჩახუსა 123
იორდანეს, იორდანედ 738; იორდანეო 416; იორდანით კერძო 232
იოსებითურთ 377
იოვანჱთურთ 378;იოჰანეთურთ 354, 378
ირემისაჲ 69; ირმისა 61
ისმაელისთაჲ 632
ისო იოსედეკეანი 391
ისრაჱლ (წოდ.) 74; ისრაჱლისთაჲ, ისრაჱლისათჳს, ისრაჱლისათჳს, ისრაჱლისათჳსა, ისრაჱლისათაჲსა, ისრაჱლისათჳნი 629
ისრებითა 51
ისრის-ჴერი 154
იქედნისად 592; იქედნეჲსაო 97
იშჳნით 416
იჳსა. იჳსჲსა, 123; იჳსთა 124
იხეი 122, 124

კ

კადნიერი 433
კაბისასა 57, 618
კალოჲს-ჴერი 154
კარით 724; კარად, კარითი კარად 736
კარვისა. კარვად 57
კარაულითურთ 289, 353 (= ვირებით)
კასტელს 145
კაფარნაუმ (წოდ.) 415; კაფარნაუმს, კაფარნაომდ 737
კაცითურთ 288, 353 (= კაცებით); კაცისად 591; სხუებიცა კაცები 312; კაცისაჲსათჳს 706; კაცისათაჲ 623; კაცთაჲსამან 629; კაცთაჲსანო 630; (ნეშტთა) კაცთამან 599; (ნეშტთა) კაცთა (მოთხ.) 599, 602; (ნეშტთა) კაცთასა (მოთხ.) 600; (ძეთა) კაცთა (მიც.) 605; კაცთა მათგან (მოქმ.) 274
კაცად-კაცადი 529, 529
კაცთ-მოყუარისაგან 112
კაცის-ჴერი 160
კახეთით 231, 726; კახეთა 17, 410
კედლისაგან, კედლისასა 58
კეთილი 427, 428; კეთილის (გულმან-უთქუა) 178; კეთილად 743
კეთილის-მოქმედი 168
კეთროვანი 434
კეისარ (მოთხ.) 83
კილობით (არა დასჴრებით) 250
კერპით და კერპთ-მსახურად (სახელ-სდებდა) 248
კერძო 467
კეცის-ჴური 154
კიბეები 94; კიბისად 592
კიდითგან 214
კიდის-კიდე 197
კიდობანსა, კიდობნად 738; კიდობნით 724
კითხეის (უნდა) 176
კირით-ხუროჲ 255, 728
კისრით 233
კიცუი 122; კიცჳ, კიცუსა 124
კლდეებსა 94
კლდის-პირი 154
კლდოვანი 435
კლვადი 756
კლიტეებ 94
კობლითა, კობლები, კობლებითა 54
კოზმან-დამიანეთასა 390
კონონეთნი 388
კოტრისა 64
კრავისათანი 629
კრებული 316; კრებულთა მისთაჲთურთ 276
კჳკჳრის-სახებ 92
კჳრიაკითი, კჳრიაკედ 726 (წ. კ. კუირიაესა).
კჳრიელსონი 18

კუალს-დგინება 137
კუამლის-ფერი 160
კუერცხის-გული 154
კუკი 120
კუირიაესა 698
(ნაშობთა მიმართ) კუროთასა (ნათ.) 606
კუროჲს-თავი 154, 717
კურთხევის (უნდა. ენებოს) 176, 178; კურთხევისად 591
კუტალაითა 104
კუხეთით 231, 726
კხოეთა 410

ლ

ლავრას 145; ლავრასა, ლაერად 738
ლაკნები სავსეები 312
ლაკუაჲ, ლაკჳსა, ლაკჳსაჲ, ლაკჳსასა, ლაკუანი 130
ლამაზ 658
ლამპრისა 51
ლანძჳ, ლანძუსა 124
ლაქისდ 412; ლაქისდმდე 413
ლაშქრისა 51; ლაშქრისად 591
ლახურებითა, ლახურებად 51
ლახურის-პირი 154
ლახუროსანი 436
ლეკუ, ლეკეთა 124
ლეღოვანი 435
ლეღჳ, ლეღუსა, ლეღჳსაგან 124
ლეღჳს-კუერი 154
ლერწმის, ლერწმითა 57
ლერწმოვანი 435
ლომის-ლეკჳ 154
ლომის-ფერი 160
ლოცვასა 698
ლურჯის-ფერი 160
ლუსკუმასა 695
ლხინებისად 591

მ

მაგრითა 51; მაგრიად 17, 463
მაგრიად-მოისარი 463, 754
მადამელთაჲსაჲ 629
(ქალთაგან) მაკნებელთასა (ნათ.) 606
(ქალთა მტერთა) მათთაჲსა (მიც.), (ქალთა მაკრებელთა) მათთაჲსა (მიც.), ქალთა წარმტყუენელთა) მათთაჲსა (მიც.) 604
მაკრინაჲთურთ 378
(მარჯუეებსა) მალაკებსა 312
მალიად, მალიადი 463
მალე-მსრბოლი, მალიად-მსრბოლი 463, 754
მამით, მამებითგან 207
მამათ-მაჳლობა 163
მამათ-მამლობა 163
მამათ-მთავარი 163
მამალად 72; მამლად 54, 72
მამაო ჩუენოჲ 18, 19
მამასახლისობით 251
(დედიერ-)მამიერი 432
მამის-მოყუარე 165
მამონაჲსა 105
მამფლისაჲ 54
მანაებად 104
მანანაჲსა, მანანაჲთა 105
მანვე (წარმოუძღუა) 684
მანგლები 75
მანდაჲთ 210
(წყლითა) მანკიერი, მანკიერება 431
მანქნის-საბელი 113, 154; მანქნისა-საბელი 113
მართლისა, მართლისაჲ 54; (ბაგეთა) მართალთამან 599; მართალთასა (ციტყჳ) 618
მართლ 656
მართლიად 464
მართჳს-მოყუარე 131, 165
მართუენი 131
მარიამითურთ 377; მარიამეთა 386
მარტოდმყოფებით 251, 728
მარტჳრიაჲსანი 105
მარღჳ 124
მარჩბიეი 467
მარცუალ (მდოგჳს), (მდოგჳს-)მარცუალ 124, 154
მარცხენით 210
მარცხენითი 730
მარცხენით-კერძოჲ 258
მარხვასა 698, 699; მარხვისა (გუწადოდამცა) 178
მარხვის-მოყუარე 165
მარჯუე. მარჯუედ 131; მარჯუეები 94; მარჯუეებსა მალაკებსა 131, 312
მარჯუენეჲ 107; მარჯუენით 210
მარჯუენითი 730
მარჯუენით-კერძოჲ 258
მატყიერი 431
მაჭუსიერება 434
მაღლის. მაღლით 54; მაღლით გამო 724; მაღლები ზღუდეები 312
მაღნარისათჳ 629
მაყუღოვანით გამო 724
მაჩჳ 124
მაცთერით (ჰხადოდეს) 246

მაცხოვარ (წოდ.) 74; მაცხოვრისა, მაცხოვრად 53; მაცხოვრისად 591
მახლობელი ეგე ჩემი (წოდ.) 80
მახლობელად დაბასა, ტაძარსა, წყაროებსა, ეკლესიასა, სალიმსა 691; მახლობელად ქუაბისა, წყაროებისა, ტაძრისა 691
მახვლოსანი 436; მახვლოსანითა 69; მახვლოსნები 56; 436
მბრძოლ კელმწიფებასა 691
მგბრისა 51
მგლისაჲ 58
მგზავრ 655, 656
მდაბლისაჲ, მდაბლითა 54
მდგომარეები 94. 312; მდგომარებსა 92
მდევარისა 69; მდევრად 51
მდელოჲს-მძოვარი 169
მდიდარი 428; მდიდრისაჲ 51; მდიდრისაჲსა 706
(მეჭმნა იგი) მდინარე 734; მდინარები 91
მდინარის-კიდე 154
მდოგჳს-მარცუალი 124, 154
მდუმრისა, მდუმართა 51; მდუმრიად, მდუმრიადი 463
მეათჱ (= მეათედი) 485
მებრიად 464
მეგობარ 646; მეგობრისა 51
მეგჳპტელთაჲსანი 629
მედგრისა 51
მეეზოვესაკენ 99
მეერგასისე 483
მეექუსეო 562
მეზუერე 107
მეინაკე 424
მეისრები 92
მეკეცე 424
მემრუშე 109
მეშტილე 424
მენავეთ-მოძღუარი 164
მენსტჳსაჲ 131
მეორესაგან, მეორეთი 99; მეორედ 741; მეორეო 562
მეოცდაათე 482; მეოცდაათესა და მეორესა 472, 482
მეოცდაერთე 482
მეოცდა მეათექუსმეტე 482
მეოხ მოტევებასა, წყალობასა 692
მეპურეთ-მოძღუარი 164
მჯრმე 480
მესამედ 741
მესამედი 485
მესაპყრობილეთ-მთავარი 163
მესაპყრობილეთ-მოძღუარი 164
მეტყუეჲს მდგომარეობა 98
მეუფე 109; მეუფეჲ 107; მეუფისად 591; მიმეუფისამდე 337, 713
მეფასებისასა 92
მეფასეთ-მთავარი 163
მეფე (წოდ.) 84, 85; მეფე (სახ.) 107; მეფეჲ 107; მეფისამდე 338, 712; მეფისაჲსასა 625; მეფეთამდე 277, 608
მეფეთ-მეფე 198
მეყს 62, 147
მეყსეული 743; მეყსეულად 62, 743; მეყსეულად 41
მეშურდლემან 65
მეცნიერი 432; მეცნიერი შჯულსა 692
მეძვისა 57
მეწამულის-ფერი 160
მეხუთჱ (=მეხუთედი) 485
მზარაულთ-მთავარი 164
მზარაულთ-მოძღუარი 164
მზის-თუალი 154, 705
მზის-ქალაქი 155
მთას 145; მთისაგან, მთითგან 714; მთით გარდამო 212; მთით კერძო 346, 726; მთად 736; მთათ 112; მთად კერძო 740; მთათადმდე 278; (თავთა) მთათა (მიც.) 605
მთავრად 51; (ყრმათა მათ) მთავართამან 599
მთავრობის (გინდეს, უნდეს) 176, 177
მიღრეკილი ბოროტსა 692
მიერითგან 725
მილიონი 466
მიმდემ 657
მისაელეთ ზედა 388
მისნისა 56
მისვლისას 699
მისთანაჲთურთ 353
მისლვის (მნებავს, გეგულების) 177, 178; მისულის (უნებ) 177
მიღებად კუართი 673
მიცემად სული 673
მიწათა (მოქმ.) 272
მიწის-ფერი 160, 705, 717
მიწოვნისა 56
მკლისაჲ 54
მკელობლისაჲ, მკელობრები 58
მკრდისა, მკრდისაჲ, მკრდადმდე 62
მკლის-მჭამელი 54
მკოდვისაჲ 64
მკკრცხლ 655
მკუეთრ 654

მკურის-კევი 155
მკურნალი წყლულსა 691
(საძაგელსა მას) მოაბელთაგსა 605
მობერმე 456
მობრტყე 457
მოგრძე 457
მოგუ, მოგო, მოგუნი 124
მოგუთ-მთავარი 164
მოუდრეკელი ბოროტსა 692
მოზე 457
მოთეთრე 456
მოთმინე ცემასა 692
მოთხე 457
მოთხეებსა 94
მოუკლებელ 42
მოკლვის (უნდა) 176
მოკრივესათვის 99
მომკუეთელი თმასა 691
მომლოდებელო სიკეთესა 690
მომზე 457
მომკუდრისა 51
მომრგუალე 456
მომრუმე 456
მომრუშე 455
მომქავო 457
მომცრო 457
მომწითურე 456
მონითურთ 268, 288 (= მონებით)
მონადირესათვის 99
მონასტრისა მისგან, მონასტრით 714
მონაწილედან 99
მომპოვნებელ გკრგუნსა 689; ...წოგნსაცა 690
მორიგესათვის 99
მორჩილ მსახურებასა 692; ...სიტყუასა 689
მორცხუე, მორცხუესა 132
მოსავ ძალსა 691
მოსპთურთ 354, 378; მოსეთურთ 378
მოსიკუდიდი 756
მოსლვისათჳსა 630
მოსპეტაკე 456
მოსწრაფე განკურნებასა 691
მომატყუებელი სიმყრალესა 691
მოღუწისა, მოღუაწად 115
მოღმრთე 457
მოყვითანო 457
მოყმები 95
მოყუთანე 456
მოყუარედ 31; მოყუარე მორჩილობასა 691
მოყუსისა, მოყუსად, მოყუსებითურთ 58; მოყუსითურთ 289 (= ამხანაგებითურთ); მოყუსათა მისთაჳთურთ 353
მომცემელი მადლსა 690
მოძიებად 751
მოძმები 96
მოძულე განსუენებასა 691
მოძღუარ (წოდ.) 75, 757; მოძღურისა 52
მოწაბლე 456, 457
მოწამებ, მოწამები, მოწამებისა 91
მოწფისა, მოწფისაჲ, მოწფითურთ 113; მოწაფითურთ 287 (= მოწაფეებითურთ); მოწაფითთურთ 354
მოწევნადი 756
მოწითანე 457
მოწითლე 457
მოწლო 457
მოწფის-მოწაფე, მოწაფის-მოწაფე 113, 155
მოწყალე 82
მოხარულ სიკუდილსა 692
მოხუცებულითურთ 288 (მრ.-ის მნიშვნ.); მოხუცებულისად 591
მოქმელე 457
მოსაკსენებელად სულსა 692; მოსაკსენებელად 746
მოჯირითესაგან 100
მპარვისა 57
მრავალი 563; მრავლისა, მრავლით 54; მრავლებითა მოყუსებითა 312
მრგულიად 463
მრგულიად-დასაწუელი 463, 754
მროწლე: მროწლად 101
(თუალთა) მრუშეთამან 599
(ნუ) იმრუშებ 110
მრუშებითმცა (თქუა) 248
მრჩობლ 658; მრჩობლი 467
მრწამსი 19
მსახურნი შჯულსა 692
მსგავსად-მსგავსადი 745
მსთუაჲ, მსთუასა 130; მსთუად 130, 741
მსტოერად 51
მტერ 646; მტერისასა, მტერად 29
მტუერისა, მტუერად 29
მტილსა, მტილად 738
მტკაველითა 58
მტკივნისა 56
მტკივრითა 51
მტყუვრად 52
მუნით 210
მუცელსა, მუცლად 737; მუცლისა 58; მუცლითგან 211
მუცლად-ღება 752, 753

მუკლით-მეზღაპრე 259; 728
მუკლითგან 211
მუკლის-თავი 155
მფრინველთაგანთგან 276
მღდელი ეგე დიდი (წოდ.) 80; მღდელისა, მღდელისაგან, მღდელისაჲ 30; მღდელთასა (ვიტყუ) 618
მღდელთ-მთავარი 164
მღდელთ-მოძღუარი 164
მყინვარითა, მყინვარისაჲთა 72; მყინვრითა 52, 72; მყინვრისანი 52
მყის. მყისა შინა 61, 331
მყოვარ ჟამ 650
მყოვრიად 464
მყურითა 52
მშიერი 432
მშჯდობის-მოქმედი 168
მშჯდობის-მოყუარე 165
მშჯლდის-საბელი 155
მშჯლდ-კაბარჭები შემზადებულები 311
მჩაგრაჲ ძალამ 558
მჩურითა 52; მჩურთა (მოქმ.) 273
მჩხრეკლისათჳს, მჩხრეკლისაჲ 54
მცენარეთამდე 278
მცირე 114; სენაკებსა მცირებსა 92, 311; მცირედ-მცირედ 745
მცნების-მოყუარე 165
მცურვლები 55
მცხეთად 736
მძაფრიად, მძლაფრიად 464
მძიმებითა 92
მძლავრ 655; მძლავრი 425
(მჴეცთა შუენათა) მძუინვარეთამან 599
მძღურად 52
მწიგნობრისა 52
მწიგნობართ-მთავარი 164
მწიგნობართ-მოძღუარი 164
მწრაფლ, მსწრაფლ 654
მწუანის-ფერი 160, 428
მწუანოვანი 435
მწუანოსანი 436
მწურისა 52
მწუხარებისად 591
მწუხრსა 697; მწუხრად 741; მწუხრითი მწუხრად 726, 741
მწყემს 285 (მრ.-ის გაგებით)
მწყემსთ-მთავარი 164
მხლისა 55
მხედველ მატლსა 690
მამხილებელი კეშმარიტსა 691
მკრითა, მკრადმდე 52; მკრითგან 724; მკართადთგან 275
მკედრ 656
მკედრებითა რჩეულებითა 310
მკეელისა 55; მკეელად 69
მკეცთ-ბუნება 163
მხეცის-ბუნება 155
მკიის-ფერი 160
მკცოვანი, მკრცოვანი 435; მკცოვნისა 56

ნ

ნადირებად, ნადირობასა, ნადირობად, ინადირობნ 748; ნადიროვან 750
ნაზარეველ 577
ნაზარეთა 17, 410
ნაზოგალი 485
ნავით გამო 212, 724
ნავთ-სადგური 163
ნავის-უფალი 155
ნავღლისა, ნავღლითა 58
ნათელი 425; ნათელსა, ნათლად 58, 737; ნათლისა 58; ნათლისად 591
ნათლით-შემკული 258
ნათლით-შემოსილი 258
ნათლის-მამა 155
ნათლის-ღება 140
ნათლის-ცემა 140
ნათესავი (წოდ.) 79, 673 — 674, 757; ნათესავით 265, 729; ნათესავად-ნათესავადმან 745; ნათესავთაგანთგან 276
ნათესავ-ტომიერი 432
ნაკლულევანადი 755
ნაკუერცხალითა 70; ნაკუერცხლითა 55
ნაკუერცხლის-ფერი 161
ნამწურისა 52
ნანდეილ 656
ნანდჳლ 656
ნაპრალებნო 303, 314
ნასიბნდ 412
ნასკჳ 124
ნატუნავისათაჲ 628
ნაყოფიერი 432
ნაშობიერი 432
ნაცრითა 52
ნაცრის-ფერი 161
ნაძოვანი 124, 435
ნაძუი 122; ნაძჳ 124; ნაძუთად 594; ნაძუთამდე 278
ნაწლევით(ურთ) 289 (= ნაწლაებით)

ნახეკარი 467
ნეზვ, ნეზუსა 124
ნელიად 464; ნელიად-ნელიად 464, 745
ნელსაცხებლითა, ნელსაცხებლისაჲ 60; ნელსაცხებელთა (მოქმ.) 272
ნერწყუსაგან 125
ნერწყუაჲ, ნერწყუანი 130
ნესტვ, ნესტუსა, ნესტო, ნესტუნი 125; ნესტუისასა 122
ნეტარ არიანი 19
ნეძვ, ნეძუსა 125
ნჩბაჲ 110
ნიად 464
ნიგუზისაჲ, ნიგუზისასა 64
ნიგუზოვანსა 64
ნიკოდემოსითურთ 377
ნიორისა 31
(საკვრველებსა) ნიშებსა 312; ნიშჩბი 110
ნოენბერსა 698
ნოვჩს თანა (= ნოვჩს თანა), ნოვჩსნი (= ნოვჩსნი) 108
ნონოსეთ 388
ნუგეშინის-ცემის (უნდა, გნებავს) 176, 177
ნურაჲ 543

ო

ობლისაჲ, ობლად 64
ოთხმეოცი 470
ოთხშაბათსა 698
ოქდონბერსა 698
ოკეანეს ქარები 99
ოპიზად 736
ორმეოცი 470
ორშაბათსა 698
ოფლიერი 431
ოქრეანი 435
ოქროჲსად 591
ოქროჲთ-მოსილი 257
ოქროჲს-მჭედელი 169, 705; ოქროჲს-მჭედლისათაჲ 58
ოქროჲს-ფერი 161, 717
ოცდაათეული 479, 480
ოხჭნისათაჲ 56
ოჯრად 61

პ

პავლეეთნი 387
პამფილიაჲთ კერძო 232
პაპსა, პაპმან, პაპისა, პაპას, პაპაჲსა 105
პარით-მემღერი 255, 728
პატრისა 114
პატივის-მოყუარება 166
პატივის-ცემა 141
პატივოსანად, პატივოსნად 71; პატიოსანი 436
პატრიაქ (წოდ.) 83
პერულის-ფერი 161
(წმიდაჲ) პეტრე განისუენა 684; პეტრეე 758
პეტრე-პაულეთაჲ 390
პეშვთა 125
პილენძის-გესლი 155
პილენძის-მოქმედი 168
პილოჲს-ძუალი 155
პილოჲს-ძუალედი 155
პირ (ათქს) 638
პირად-პირადითა, პირად-პირადთაგან 745
პირველად 741; პირველთაჲე მათ (მოქმ.) 276; პირველთამდე 278
პირმოკუმული (იუსრვებოდა, მისდევდა) 675, 676
პირუტყუი 122; პირუტყუსაგან, პირუტყუთა 125
პოვნიერი, სიტყუა-პოვნიერი 433
(რტოთა მათ) პრაკთასა (მოთხ.) 601
პურის-მთხოველი 169
პურის-მტე 155; პურის-მტებმან 91
პურის-რთული 169

ჟ

ჟამ 649, 650; ჟამსა 697; ჟამად 741; ჟამადმდე 742; ჟამად-ჟამად 741; ჟამითი ჟამად 224; 725, 741
ჟამიერი 431

რ

რაჲ 513, 535; რად 513; რაჲთა (= რომ) 512
რაჲთა, რაჲთგან 103
რაჲსა, რაჲსათჳს, რაჲსგან 103, 511
რასჟამს, რაჲჟამს, რაჟამს 147, 697
რეკაჲ კარსა 693
რვაჲ 466
რიდებაჲ ნებასა 693
რიეურაჟუს 148
რისხვითი 730
რიცხჳ, რიცხჳსაგან, რიცხჳთ 125
რკინისად 591
რომელთა-მათ 361
როჰიკის-მიმცემელი 170
რტოჲთურთ 353 (= რტოებით)

რუვნი 119; რუნი 120
რუას-თავი 155
რქათამდე 277
რქუმა: გარქუ მეგობარ, გრქუა მოწა 641

ს

საბანეანი 391
საბელითა 70; საბლითა, საბლისაჲ, საბლებითა 59
საბერძნეთა 409
საგზლად 55
საგზებლად 59
სადაჲთ 208
სადიდებელად 746; სადიდებელა 41
სადუკეველითურთ 288 (= სადუკევლებით)
საებისკოპოსოს 145
სავანეჲ 107; სავანესა 695
სავარძლსა, სავარძელთა, სავარძელნი, სავრძლითა, სავრძლები 67, 68
სავაპროს 145
(ლაკნები) სავსეები 94
საზღვარად 70; საზღვრისაგან, საზღვრით 52, 713; საზღვართაგან (მოქმ.) 274
სათაკუე 123, 132
სათნოებათა (მოქმ.) 273
სათნოების-მოყუარე 166
სათხევლითა 59
სათხევლობად 748
საკარები, საკართაჲ 92
საკაცებითა 91
საკითხვისასა 57
საკრებულო 424
საკრველთა მათგან (მოქმ.) 275
საკუერთხები დიდ-დიდები 310
საკუმეველთა (მოქმ.) 272
საკურთხეველისა, საკურთხეველად 59; საკურთხეველად 740; საკურთხეველა 17, 41
სალათიელანი 391
სალმობიერი 432
სალოცველად 746; სალოცველა 41
სალტები 92; სალტეები 94
სალხინებელად 746
სამამასახლისოს 145
სამამოს 145
სამარე 424; სამარები, სამარებსა, სამარებისა 90; სამარეები, სამარეებსა 94
სამართალი 426; სამართალითა, სამართალები 70; სამართლად 54
სამარიაჲთ კერძო 231
სამარობნით 713
სამარხოსი 695
სამეოცი 470
სამეფოს 145
სამზარეულოს 145
სამიზნედან 99
სამკვდრებელისადმდე 339
სამნო 424
სამოელითურთ 377
სამოთხეს 145, 694; სამოთხესა 695; სამოთხისა მისგან, სამოთხით 714; სამოთხები 92; სამოთხეებ, სამოთხეები 94
სამოსელები 72; სამოსლისა 59; სამოსლითა 72; სამოსლად 59; სამოსლითა სპეტაკებითა 312, 549; სამოსლები სპეტაკები 312
სამოსლის-მრცხელი 170
სამოცეული 479
სამოძღურებელად 747
სამღვისაჲ 31
სამღდელო 424
სამშაბათსა 698
სამშჯულითა 55
სამწყსო 424
სამხრით 230, 232, 233, 724; სამხრით კერძო 726; სამხრად 741; სამხრადმდე 742
სამხრით-კერძოჲ 258
სანახესა, სანახისაგან, სანახეთაგან, სანახებსა 93
სანთლად, სანთლებითა 59
სანთლის-პირი 155
საპყრობილეს 145, 695; საპყრობილესა 145, 737, 738; საპყრობილედ 737, 739; საპყრობილეს კარებს 99; საპყრობილეთა (მოქმ.) 273
სარეცელისაჲ 71; სარეცლად 59, 71
სარკუმლით 59, 212, 724; სარკუმლებით 59, 207; სარკუმელთაგან (მოქმ.) 274; სარკუმელთამდის 278
სარტყელები, სარტყლები 71; სარტყლითა, სარტყლად 59
სასარჩულეთი 99
სასიკუდინეთა (მოქმ.) 97
სასიმინდეთან 99
სასმენელთა ამათ (მოქმ.) 272
სასუმელისა 72; სასუმლად 59, 72; სასუმლისასა 59
სასუმლის-მოყუარე 165
სასუფეველისა 72; სასუფეველად 71; სასუფევლად 59
სასყიდლისა 59
სასყიდლითი 730

სასყიდლით-დადგინება, სასყიდლით-მოდგინება 256; სასყიდლით დადგინებული 59, 256, 728
სასჯელად 747, 749
სატანაჲს, სატანაჲსა 104
საუნჯე 424; საუნჯეთა (ვით.) 277
საფასე 424; საფასჱ 107; საფასეები 94
საფასის-მოყუარე 166
საფლავისაგან 215; საფლავისაჲსა 706
საფრკე 424
საფუძველითა, საფუძველადმდე 30
საფქველისად 59
საქაღალდეჲდან 99
საქებელად 746
საქმე 107, 109; საქმჱ (უნდეს) 177
საქმის-მაწყეველი 170
საქმროსღა 146, 698
საქონდაკრები 92
საკორწინე 107
საყდრისა 52; საყდართამდე 278
საყოფელისა, საყოფელად 70; საყოფლისა, საყოფლად 59
(ქმათაგან) საყვრთასა (ნათ.) 606
საყურეს თამაშმა 99; საყურები 93
საშუებლითა, საშუებლისაჲსა 60
საჩუენებელად 747
საცხებლისა 60
საცხოვრისა, მისაცხოვრადმდე 53; საცხოვართამდე 278; საცხოვართადმდე 279
საცხორებელად 747
საძაგელი 426
საძოვრისაგან 52
საწამებელად 747
საწერტელები, საწერტლები 71
საწნეხლისაგან, საწნეხლისანი 60; საწნეხლისათაჲ 629
საწრფელო 22
საწყობელით კერძო 232, 346
საჭმლად, საჭმლისა, საჭმლითა 60
საჭურის 284 (= საჭურისები)
1. სახე (= дом): სახესა 39; სახედ 17, 39, 40, 737
2. სახე (лицо, вид): სახები 92; სახეები 94
1. სახელ-ი (= дом): სახელი, სახელსა, სახელ-საგან 39.
2. სახელ-ი (имя): სახელით 247, 264, 728
სახელის-დება: სახელ-სდებთ პოსიდონად, სახელ-სდებდა სახლისა მაოხრებელად, სახელს-იდევ ქრისტეანედ, სახელ-სდვა მორკინალად, მჭედრად, სახელ-ედვა მღდელთ-მოძღურად, სახელის-დებად ღმრთად 733; კერპით სახელ-სდებდა 727; სახელის-დება 140
სახელოვანად 70; სახელოვნად 56
სახიერ (წოდ.) 76, 77; სახიერი 432; სახნიერი 433
* სახილ-ი: სახიდ 17, 40, 736
სახილვისათჳს 57
სახის-მოქმედი 168
სახლსა, სახლად 40, 737; სახლად-სახლად 736; სახლშიით 234; ფართოები სახლები 312; სახლებსა თლილებსა 310
სახლის-წული 155
სახუევლითა 60
საჯედარისა 70; საჯედრისაგან, საჯედრებითა 52
საკმარად 70, 72; საკმრისა 72; საკმრისათჳს 52; საკმრითა 53; საკმრად 52, 72
საკორცები 92
საკსენებელად 747
საკსენებელთ-მოძღუარი 164
საკსრად 53
სელომდ 412
სენაკებსა მცირებსა 92, 311; სენაკითი სენაკად 725, 736
სესხების (უნდეს, ენებოს) 177, 178
სერტყოვანი 433 — 434
სეტყუაჲ 130, 131
სეფის-კუერი 155
სთულისაჲ, სთულისათა 60
სთუნლით კერძო 233
სიავისათაჲ 629
სიბრძნის-მოქმედი 168
სიბრძნის-მოყუარე 166; სიბრძნის-მოყუარეები 94
სიგლახაკის-მოყუარე 166
სიდონ (წოდ.) 415; სიდონდმდე 413
სიენიეთა 409
სივრცჱ (= სივრცჱ) 108
სიზმარისა 70; სიზმრითა 53
სიკუდილდ, სიკუდიდმდე 37; სიკუდილით 229; სიკუდილით მოკუედინ 726; სიკუდილდ კერძო 228; სიკუდილისად 592
სიმართლისად 591
სიმარჯუე 132
სიმაღლეჲ 107; სიმაღლჱ (= სიმაღლჱ) 108; სიმაღლეთა (ვით.) 276
სიმონითურთ 377
სიმრავლე 316
სიმძლავრებითა 92

სინამდვილედან 100
სინანულის (უნებს) 177
სისხლის-მოყუარე 166
სისხლის-მჭამელი 170
სისხლის-ფერი 161
სიონ (წოდ.) 415; სიონით კერძო 232; სიონო 416
სიტყვს-გება 141; სიტყვს-გებასა 698
სიტყვს-მოქმედი 168
სიტყუაჲ, სიტყჳსა, სიტყჳთა 131; სიტყჳსამდე 338; სიტყუასა 698; სიტყუად 751
სიტყუა-პოვნიერი 433
სიქადულის-მოყუარე 166
სიცილდ 38
სიცოცხლით კერძო 228
სიცრუჱთა მათაგან (მოქ.) 275; სიცრუჱსათაჲ 629
სიცხეჱ (= სიცხჱ) 108
სიწმიდეჲ 107
სიწმიდის-მოყუარე 166
სკჳთიაჲთ კერძო 233
სლვის (მნებავს) 177
სმენის (უნდა, უნდეს, გინებს) 176, 177, 719; სმენად 749
სმენის-მოყუარე 166
სოგალიმით 233
სოლომონისთანი 632
სომხითა 410
სოფლისა, სოფლით, სოფლებსა 60; სოფლითი სოფლად 725; სოფელშიით 234; სოფლებნიცა, სოფლებთა 314; (ყოველთაგან) სოფელთა (მოქმ.) 274; სოფლებითურთ 354; სოფლისაჲსა 706; სოფლისათაჲ 629; სოფელთაჲსაჲ 629; სოფლებისანი 632; სოფლებისათანი 622, 631, 632
სოფლის-მოყუარე 166
(მეფეთამდე) სპარსთა 608; სპარსთაჲსაჲ 629
სპარსეთა 409
სპასალრად 53
(სამოსლითა) სპეტაკებითა 312, 549
სპეტაკის-ფერი 161
სრულების (გნებავს) 177
სრულიად 464
სტამნებისაჲ 56
სტეფანეთურთ 378
სტომაქით სალმობიერი 266, 729
სტუმრად 53
სტუმრის-მოყუარე 166
სუბუქი 114
სუდარითა 71; სუდრითა 53, 71
სუეტის-თავი 156
სული ეგე არაწმიდაჲ (წოდ.) 79, 674, 757; სულები არაწმიდები 311
სულთ-თქუმა 143
სულიერადი 755
სულნელებისად 591
სუმის (არა უნდა) 176, 751
სუმუროვანი 435
სურდმდე 413
სძალისაგან 70; სძლისა 55
სძის-ფერი 161
სწავლასა 698; სწავლის (მნებავს, გნებავსა, ეგულებოდა) 177, 178, 719; სწავლად 749
სწავლის-მოყუარე 166
სწავლულ დაბადებასა 692
სწრაფითი 730
სხამეანი 435
სხვაგვარ 658
სხუა 533, 571; სხუაჲ, სხუასა, სხჳსა, სხჳთ 131
სჯად ნ. შჯად

ტ

ტალავრები 53
ტაპაკსავე, ტაპაკად 739
ტაძარს 146; ტაძარსა 695, 737; ტაძრისა 53; ტაძრისა მისგან 713; ტაძრით 53, 713; ტაძრად 53, 736, 737; ტაძრები მაღლები 310; ტაძრები დიდ-დიდები 311; ბრწყინვალები ტაძრები 312
ტბის-ყურძენი 156
ტევნისა 56
ტირიდ 37
ტკბიად, ტკბიადი 463, 744
ტომით 265, 729; ტომად-ტომადმან 745
ტრფიალ შჯულსა 692
ტჳნო(ჳ)ანი 435
ტჳრთოსანი 436
ტჳროს (წოდ.) 415; ტჳროსდ 412
ტფიად 463, 744
ტფილისა 411
ტყავის-მოქმედი 168
ტყით 724
ტყუეჲ 107; ტყუე, ტყუჱ, ტყუეთა 132

უ

უადეილე 444; უადეილეს 445
უახნაურჱს 451
უამე 444
უარე 444
უაღრეს 447

უაწ 444
უბნისაგ, უბნებსა 56; უბნებთაგან 314
უბნის-კარი 156
უბოროტეს წყლულებასა 446, 700
უბრძნეს 448
უბრწყინვალესსა 418, 449
უგანცხადებულესად 450
უგრილეს 446
უგრძნობელად 744
უგულებელს-ყოფა 142
უგულისხმის-მყოფელეს 451
უგულს-მოდგინე 444
(ბაგეთა) უგუნურთა (მოთხ.) 601
უგუნურებისად 591
უდაბნოს 146; 694; უდაბნოსა, უდაბნოდ 737, 738; უდაბნოდთ 724; უდაბნოდანგან, უდაბნოდთ 714; უდაბნოდასად 591; უდაბნოდასათანა 630
უდაბნოდს-მოყუარე 166
უდარეს საშინელებასა 700; უდარჱს 447; უდარჱსი 449
უდბად, უდბისა 62
უდიდებულეს 450
უდუხჭირესი 449, 451
უეცრადა 34
უვარის-ყოფაჲ 718
უველურეს 450
უზესკნელესსი 449
უზეშთაეს 446
უკადნიერესად 449
უკეთჱსი 451
უკეთეურადცა 743
უკუანა 444
უკუანასკნელთაგან (მოქმ.) 274, 550
ულოპორეთა 410
უმართლე 444
უმარჯუ 125; უმარჯუე 444, 445; უმარჯუჱსად 451
უმახლობელსს 448, 450
უმახჯლჱს 446
უმგბერითა 51
უმედგრესი 449
უმეტე 444; უმეტჱს 447
უმეცარ დიდსა და კნინსა 692
უმკუეთელს. უმკუეთელსსი 446, 448, 449, 450
უმოლხინე 444
უმორწმუნესი 451
უმოსწრაფეს 446
უმრაველს 447
უმრისხანჱს 451
უმრწამესი, უმწამჱსსი. უმწამეასმან 452
უმრწემე 444; უმრწემჱსი, უმწემჱსსმან, უმწემესსმან 451
უმსხო 444, 448
უმშჯდჱს 450
უმცრო 444; უმცირჱს 445; უმცროჲს მესამედსა ნაწილსა 700
უმძიმე 444
უმძუნვარეს 450
უმწარჱს 446
უმწრკულეუანეს 451
უმწუხარჱს 451
უმჯობე 444; ხუმჯობეს 109; უმჯობეს საცხოვარსა 700
უნათლე 444, 446; უნათლჱს 446
უნარჩევესი 449
უნები (= ჰნეებრ), უნებით (= ჰნეებით) 95
უნებელად 744
უპორებით 251, 728
ურთიერთას 525
ურიცხუ. ურიცხეთაგან 125
ურმის-თუალი 156, 705, 717; ურმის-თუალისაგან, ურმის-თუალითა 30, 61
ურჩეულეს 448
უსაკრველჱსად 451
უსარგებლეს 445
უსარწმუნოეს 451
უსასყიდლოდ. უსასყიდლოდცა 743
უსაწადელეს 450
უსაწყალობელჱს 450; უსაწყალობელეს 446
უსახნიერესი 451
უსაქმარჱსად 451
უსიტყუ 125
უსუბუქე 444, 445
უსულგრძელჱს 450
უსულჩცირეს 451; უსულჩცირესი 449
უტკბოს 446
უტკბილეს 450
უტყჳ. უტყუსა. უტყუთა 125
უუბადრუკეს 452; უუბადრუკჱს 448
უუგუნურჱს 448, 452; უუგუნურეს 452
უუშუერეს 446, 452
უუძლურჱსი 452
უუქმარჱს 452
უფალ შაფათსაცა 692; უფლისად 592; უფლისა, უფლით 55; უფლით (ტკუჯს მას) 248; უფლისადა 710; უფლისათჳსა 630
უფლის-მოყუარე 166
უფლის-ცირე 156
უფატრჱსსა 449

უფრო 444, 450
უფსკრულისაჲ 632; უფსკრულთა (მოქმ.) 273
უფუფუნეულცსღა 451
უქუეშოეს 447, 451
უქუესკნელეს 448
უღლისა 60
(გზათა) უღმრთოთასა (მოთხ.) 600
უყდუნებელად 744
უშეგინებულეს 451
უშეურაცხეს 451
უშეუძველესი 450
უშინაგანცს 451; უშინაგანცსსა 449
უშურითა 61
უცბისა, უცბად 63
უცხო-თესლთამდე 277; უცხო-თესლთაჲსანი 629
უძლიერცს 448
უძკრე 444, 450; უძკრეს 446
უწინ 444
უწინარე 444
უჯეშმარიტე-რე 444; უჯეშმარიტესადრე 449
უხუ. უხუად 125
უჯელოვნეს 451
უჯმარად 70; უჯმრისა, უჯმრად 53
(მკედართაგან) უჯორცოთასა (ნათ.) 606

ფ

ფარისეველთასა (ციტ.) 618
ფაროსანი 436
ფასიერი 431; ფასნიერი 433
ფაჩუნიერი 433
ფერად-ფერადსა 745
ფერჭ (ასხენ) 638; ფერჭით 233; ფერჭითგან 724; ფერჭითურთ 289 (= ფეხებით); ფერჭთამდე 278; ფერჭთადმდე 279; ფერჭთაჲთგან 275
ფესჳ. ფესუსა, ფესჳსა, ფესუები 126
ფეტჳ 126
ფეტჳს-მარცუალი 126, 156
ფინიკიაჲთ კერძო 231
ფინიკოჳანი 435
ფიქლით 55
ფიჩჳ 126
ფიცრით, ფიცრები 53
ფიცხელისა 70; ფიცხელითა 70, 72; ფიცხელად 70; ფიცხლისა, 60, 72; ფიცხლითა, ფიცხლად 60
ფიჯჳთა, ფიჯჳსაჲ, ფიჯუნი 126
ფრთებ 92; ფრთეები, ფრთეებითა 94
ფურცლოვანი 434
ფუტკრისა 53
ფუშნიერი 433
ფუცხუსა, ფუცხჳთა, ფუცხუები 126; ფუცხუითა 122

ქ

ქათმის-ყივილს 148; ქათმის-ყივილდმდე, ქათმის ყივილამდე 37
ქალითთურთ 354
(ძეთა) ქალთა (მოთხ.) 601
ქალაქისაგან, ქალაქით 714; ქალაქით კერძო 346; ქალაქად-ქალაქად 736; ქალაქითი ქალაქად 218; 725, 736; ქალაქთამდე 277; ქალაქთა მათმდე 278; ქალაქებთა 314; ქალაქისათაჲ 624
ქალწულებასა 698
ქანაანით კერძო 231
ქართლდ 17, 412, 414, 736
ქების-მოყუარე 166
ქელობით 230
ქველის-მეტყუელების (ცნებავს) 177
ქველის-მოქმედ (წოდ.) 77; ქველის-მოქმედი 168
ქვით-კირი 255, 728
ქვით-ხუროჲ 255
ქვის-მკდელი 170
ქმარ 638; ქმრისა 53
ქმნა (შექმნა): შეიქმთ სავაჭროდ, შექმნნა მამაკაცად და დედაკაცად, ქმნა დასაბამად, შექმნეს წოგნად, ყრმად შეიქმნები, მონასტრად იქმნა, იქმნა სიძედ, ხედ იქმნა, სიხარულად გექმნეს 733; მექმნა იგი მდინარე, შემექმნა ზღუად 734
ქმრიელი 432
ქმრის-ცოლი 156
ქოთნის-სახენი 56
ქორები ფართოები 310
ქორაზინ (წოდ.) 415
ქორწიდ 37
ქორწინების (შინდა) 176, 719
ქრისტე 382; ქრისტემან, ქრისტესა, ქრისტჱს, ქრისტჱსთჳს, ქრისტჱთურთ, ქრისტედ 378, 379, 381; ქრისტჱსისაჲ, ქრისტჱსთაჲ, ქრისტჱსისაჲთა 632
ქრისტეანეთადა 710; ქრისტეანეთაჲსაჲ 629
ქრისტეანებით 251, 728
ქსნით 416
ქუაბსა, ქუაბად 738; ქუაბებად მიმართ 740
ქუესკნელს 146, 694
ქუეყანისაგან, ქუეყანით, ქუეყანად 31, 112; ქუეყანასა, ქუეყანად 737; ქუეყანაჲ ეგე ეუ-

დაბსი (წოდ.) 79, 673; ქუეყანისამდე 337; ქუეყანისათჲ 628; ქუეყანისათანი 629
ქუეყანით-მკმობელი 259
ქუეყანის-მოქმედი 168
ქურუმთ-მოძღუარი 164, 718

ღ

ღამე 651; ღამეჩ (= ღამეც) 108; ღამებში, ღამებადა 96; ღამედ-ღამედ 741
ღამის-თევასა 698
ღაწუსა, ღაწუთა 126
ღელეჲ 107; ღელებსა 91
ღელოვანი 435
ღირსი ჯუარსა 692
ღმრთისა, ღმრთით, ღმრთად 63; ღმერთი ეგე წარმართთაჲ (წოდ.) 80; ღმრთისაჲსაჲ 625, 632; ღმრთისად 591, 592; ღმრთისაჲსა 706; ღმრთისანი 629, 632
ღმრთით-ქმნული 257
ღმრთით-შემოსილი 257
ღმრთით-შეწნებული 257
ღმრთის-მოყუარე 166
ღმრთის-მსახურებითი 730
ღრჱიად 464
ღრუბლისაჲ 60; ღრუბლით გამო 60, 724; ღრუბელთა (მოქმ.) 273; ღრუბელთამდე 278
ღრღედისასა 618
ღუნითა, ღუნისასა 120; ღუნოთა (მოქმ.) 272
ღუნის-მნე 156
ღუნის-მსუმელი 120
ღუნის-ფერი 161
ღურღლოვანი 434
ღუძლის-ყური 156
ღუაწიდ 38
ღუაწლით-შემოსილი 257

ყ

ყელის-ცხე 156
ყოველი 531, 570; ყოელისაგან, ყოელით, ყოელად 60; ყოელით კერძო 213; ყოელად, ყოელადეე 570; ყოველნი იგი კაცები, ყოველნივე მამები 313; ყოეელთამდე 278; ყოელითთურთ 354
ყორნისაჲ 56
ყოფა: ძედ ყო, ჰყავთ ქუაბად, გყო მამად, ვიყო ღმრთად. იყოს სიავად, იყენეთ ერად, კორცად 733; გიყოფიეს თქუენ (იგი) ქუაბ (ავაზაკთა) 643; ყოფის (უნდეს, გნებავს) 177, 178; ყოფადმდე 742
ყრმეებისა 95
ყჳრიდ 37
ყურ გადგან 477; ყურ ასხენ 638
ყურად-ღება, ყურად-ხუმა 752
ყურიმლის-ცემასა, ყურიმლის-ცემად 55
ყურის-ძირი 156
ყურცსთა 98
ყურძნისაჲ 61
ყურძნის-ჴრელოჲა 156

შ

შაბათსა 697, 698; შაბათადმდე 742
შაბათის-გზა 156
შაეადა 35
შატბერდო 416
შაშჳ 126
შებორკილებად იგი 673
შეგესემინთა 18
შეკრულები ვეცხლი 313
შემასმენლობითი (Prädikativ) 25
შემმატებელ დიდებასა 690
შემსგავსებულა 41
შესაკრებლით, შესაკრებლისაჲ 60
შესაკრებელთ-მთავარი 164
შესლეასა 698; შესლეის (უნდა) 176, 751
შეტყუილდ 38
შექმნა ნ. ქმნა.
შეცვალებადი 756
შეძინების (უჩნ) 178
შემძლებელ კსნასა 690
შემწირველად მსხუერპლსა 690
შეწუხების (უნდა) 176
შეწყნარების (გნებავს) 177
შვილ 285, 638; შვილით, შვილითურთ 288 (= შვილებით)
შვილიერი 432
შვილის-მოყუარე 166
შვილის-შვილი 156
შცნ(ᲗᲐ), შცნნი 110
შცვიდა, შცსრულ იყო 110
შცურაცხ-ყვეს 110
შცმიყუარა 110
შცსაძლებელ 110
შციწყნარებს, შცგიწყნარნენ 110
შიგნის-შიგანი 197
შინაჲთ 209
შიშულისა 61

შობითგან 223; მშობელო ღოდსა 690; შობალისად 591
შობადი 756
შობიერი 432
შორით 210
შორის ერისა მის 322; შორის ვერძისა და ვაცისა 323
შორს 144, 694
შრომითი 730
შრომის-მოყუარე 167
შრომნისა, შრომნითა 57
შვდი 466
შვდეული 479
შოვა-ღამესა 697
შუა-სამხარს 148
შუა-ღამეს 147, 697
შუების (გუნდეს) 177
შუების-მოყუარე 165
შუენიერი 432; შუენიერი (წოდ.) 80
შურდულსა, შურდულითა, შურდულთაგან, შურდღლისათა 65
შურდლის-ქვანი 65, 157
შფოთის-მოყუარე 165, 167
შჯად 749
შჯულის-მასწავლელი 170
შჯულის-მდებელი 170
შჯულის-მეცნიერი 170
შჯულის-მოყუარე 167
შჯულის-მოძღუარი 170

ჩ

ჩარადოვანი 435
ჩაფები ახლები 311
(შესავალთა ზღურბლთა) ჩემთაჲსა (მიც.) 604
ჩორდ 412
ჩრდილოჲთ 724; ჩრდილოჲთ კერძო 229, 346, 726
ჩრდილოჲთ-კერძოჲ 258
(შამით) ჩუენითთურთ 354
ჩუენების (გუნებს) 177
ჩუეულებათავე (ვით.) 276
ჩუკნითა 61
ჩქარ 658
(სულთა ყრმათა) ჩჩკლთაჲსა (მოთხ.) 601

ც

ცით 728; ცად მიმართ 740; ცათამდე 277; ცათა მაღალთაჲთ 276; ცისათანი 629; ცათაჲსაჲ 624; ცათაჲსანი 629, 632
ცალადა 34
ცალიერი 431
ცერცჳ 126
ცეცხლის-ფერი 161
ცვალება: ცვალებდა ეკლესიად, სიხარულად გარდასცვალე, ცუარად შეცვალეს, შეცვალეთ სიხარულდ, იცვალების ძედ, სულად, მამად, შეიცვალნეს ორბად და კუროდ, ოქროდ და ვეცხლად, იცვალოს ანგელოზად, კურთხევად შემცვალებელო 732
ცილობის (უნდეს, უჩნდეს) 177, 178
ცისკარს 148, 697; ცისკრისა 53, 697; ცისკრად 31, 53, 741
ცის-კიდე 157
ცის-სარტყელი 157
ცის-ფერი 161
ცისფეროვანი 435
ცოცხუები 126
ციხები 91; ციხეთა მათგან (მოქმ.) 274
ციხის-თავი 157
ციხის-ციხე 197
ცმელოვანი 435
ცნობის (გინდეს, გჳნებს, გნებავს) 176, 177, 719
ცოდვის (უნებე) 177; ცოდვათაჲსაჲ 629
ცოლ (ესხნენ) 284
ცოლიერი 432
ცოლის-და 157
ცომოვანი 435
ცოცხალ 657; ცოცხლითა 55
ცუდადი 755
ცხებათ 112
ცხედრისა, ცხედრითა, ცხედრად 53
(აღჳრთამდის) ცხენთა (ვით.) 607
ცხენის-ფაფარი 157
ცხოვარ (არიან) 284; ცხოვრისაჲ 53; ცხოვრით-(ურთ.) 288 (= ცხვრებით).
ცხოველს-მყოფელისამდე 339
ცხორების (უნდეს, გნებავს, კელ-ეწიფების) 177, 178; ცხორებით სცხონდე 726

ძ

ძლით 55; ძალოჲსაჲ 629
ძალთა 34
ძარღჳ, ძარღუსა 126
ძარღუეანი 435
ძაღლის-თავი 157
ძაღლის-მწერი 157
ძაღლის-ფერი 161
ძე 107, 638; ძეჲ 107; ძეჱ (= ძჱ) 108; ძჱო, ძჱნი 109; ძით 288, ძითურთ 268, 288,

353 (= ძეებით); ძეებ, ძეებსა, ძეებით, ძეებითურთ 94
ძელით-ხუროებაჲ 256
ძეძკ, ძეძუმან 127
ძირითგან 724
ძის-ცოლი 157
ძლევით-შემოსილი 257, 728
ძლიერი 428
ძმათასა (იტყჳს) 618
ძმადი 756
ძმის-მოყუარე 167
ძმის-ცოლი 157
ძმის-წული 157
ძუძურადა 34
ძნელოვანი 434
ძნიად 463, 744; ძნიადი 464
ძოწეულის-ფერი 161
ძუძუჲს-მტე 157
ძუძუჲს-მწოვარი 170
ძჳრ-ძჳრადისა, ძჳრ-ძჳრადითა, ძჳრ-ძჳრადთა 745
ძჳრის-მოკსენე 170
ძუალად, ძუალადმდე 29; ძუალთამდე 278
ძუეი, ძუეისაჲ, ძუენი 120
ძღუენად 70; ძღუნითა, ძღუნად 61
ძღუნის-მიმპყრობელი 171
ძღუნის-შემწირველი 171

წ

წადიერ წინამძღურობასა 692; წადიერად 432
წათოსანნი, წათოსნები 436
წამლისა, წამლად 55
წამება: წამებდა ძედ, ძედ გწამა 733; წამების (უნდა) 177
წამებადი 756
წამის-ყოფა 141
წამლეანი 435
წარპარვის (უნდა) 176
წარსლვის (უნდა, გნებავს, ჰნებავს, ენება, ეგულებოდა) 176, 177, 178, 719
წარსლვადი 756
წარჩინებულთაჲთურთ 275, 353
წარწყმედით წარწყმდენ 240; წარწყმედად ყრმასა მაგას 751; წარმწყმედელ სულსა 690; წარწყმედისად 591
წასელისას 699
1. წელ 650, 651; წელსა 697; წლის, წლითგან, წლადმდე 61; წლად-წლად 741; წლითი წლად 726, 741
2. წელთამდე 278
წელიწადისაჲ, წელიწადისასა 71; წელიწდისა, წელიწდისასა 58; წელიწადითი წელიწადად 741
წერად 750
წერაქუითა 127
უწესნ უღმრთოებით 727
წიგნები სამეუფოები 310; მიმოდაწარძღუანებულები წიგნები 312
წიგნის-კითხვასა 698
წიგნის-ტყავი 157
წიდოვნისად 591
წილჳნისა 57, 416
წინაჲთ 209
წინა-აღმდგომ ბრძანებასა 691
წინამძღუარ 638; წინამძღურად 52
წინაწარმეტყუელთა (მოქმ.) 274; წინა-წარმეტყუელთასა (ციტყჳ) 618; (ძეთა მათ) წინაწარმეტყუელთასა (მოთხ.) 600
წინწილაჲთა, წინწილისაჲ, წინწილითა 104
წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ (წოდ.) 80; წმიდითთურთ 354
წმიდაო ღმერთოჲ 19
წოდება: ეწოდა კარ, ტარიგ, მწყემს, ლოდ საკიდურ, მარგალიტ, მარილ, ყუაკილ, ანგელოზ, კაც. ღმერთ, ნათელ, ქუეყანა, მარცუალ მდოგჳს, მატლ, მზე სიმართლის 638; ეწოდა მოციქულ, სახარება 641; უწოდა ნათლად, ძმად და ძედ და მოყუასად; მიწად და ნაცრად უწოდდა, ძაღლად და გრწყილად და მატლად და საყუედრელად და შეურაცხად უწოდდა; უწოდა კლდედ, სძლად და კორცად; უწოდე ეკლესიად; შვილად ეწოდე, იწოდე ძედ, კიდობნად; იწოდა მელად; გეწოდოს მოწაფედ; წოდებულ დედად 733; სახელით მიწოდა 246 — 247
მწოვარად ძუძუსა 691
წრფელი 21, 22, 429
წრფელობითი 21, 22, 23
წჳმისათაჲ 628
წუერითა 249; წუერები გრძელები 312
წუთ 651
წულილადი 755
წუნობის (გიჩს) 178
წუსწუთ 148, 697
წულისა, წულით, წულისასა 55
წუალობის-მოყუარე 167
წულით-მაკე 259
წულით-მანკიერი 259
წულით-რღუნაჲ 258 — 259, 728
წულის-კიდე 157

წულის-ფერი 161
წყარო-ს-თავი 157, 717
წყრთით 728
წყურიელი 432

ჯ

ჯამით ჯამოს 241, 726; (პურისა) ჯამადმდე 742
ჯამადი 756; ჯამადისა (გულმან-უთქუა) 178
ჯაბუკითურთ 288 (= ჯაბუკებით); (ყრმებითურთ და) ჯაბუკთაჲთ 275
ჯაბუკოვანი 435
ჯაკუნტალი 55
ჯემშარიტებით (უწოდს) 247
ჯურუერთა მათთა (მოქმ.) 273

ხ

ხადა: ჰხადის უფლით, ჰხადით ღმრთით, მოძღურით, მამით, ჰხადოდეს მაცთურით, ბერზებულით, კერპით 246, 727
ხადად 38
ხანძთად 736
ხარ ნ. გიხაროდენი.
ხარაზისამდის 340
ხარისხი 453; ხარისხთაჲთგან 275
ხატიერებაჲ 432
ხაჭუაჲ, ხაჭუისა 131
ხᲫსა 109; ხისთაჲ 628; ხეები, ხეებსა 94
ხვალისამდე, ხვალისადმდე 339
ხვალის-დღე 158
ხილვის (უნდა, სწადოდა) 176, 178
ხილვის-მოყუარე 167
ხორშად-ხორშად 745
ხუასტაგის-მოყუარე 167
ხუთეული 479. 480
ხუთშაბათსა 698
ხუროებით-მეცნიერებაჲ 256
ხუროთ-მოძღუარი 164
ხუცეს (წოდ.) 77, 78, 757; ხუცისა, ხუცად, ხუცითურთ, ხუცესმან, ხუცესთა 63

ჴ

ჴამლები განგლესილები 311
ჴამლის-საბელი 158
ჴევნებნი, ჴევნებთა 314
ჴელ (ასხენ) 638; (შეკრან) ჴელით და ფერკით 248, 727
ჴელთ-ბორკილა 163
ჴელთ-გდება 142
ჴელთ-დება 142
ჴელთ-საქმარსა 699
ჴელით-მსახური 254
ჴელით-საქმარი 253, 728
ჴელით-საძიებელი 254
ჴელით-უქმნელი 253, 728
ჴელით-ქმნული 253, 728
ჴელით-წერილი 253, 728
ჴელმწიფებითურთ 92; ჴელმწიფეებსა 94
ჴელოვანი 435; ჴელოვნისაჲ, ჴელოვნად 57
ჴელოვანთ-მოძღუარი 164
ჴიდის-ჴიდი 197
ჴმელსა, ჴმელად 738
ჴმობა: უჴმობენ დევობით 248, 727; უჴმო ვაცობითობით 248, 727; (ქათმისა) ჴმობადმდე 742
ჴნარცესა 127
ჴნარცოვანი 434
ჴორც და ძუალ (არა ასხენ) 285; ჴორცის (გულის-უთქუმიდა), ჴორცისა (გული-მითქუმიდა) 178; ჴორცთასა (განიზრახვენ) 618
ჴორცის-მჭამელი 171
ჴოკბისასა 64, 618
ჴრმლად 55; ჴრმლები ჴდილები 55, 311
ჴსენებაჲ სახელსა 693
ჴურელებით 207

ჯ

ჯაჭვ, ჯაჭუთა 127; ჯაჭუითა 122
ჯაჭუს-მოქმედი 169
ჯერკულითა 55
ჯინჭველისა 71; ჯინჭელისა 61
(მდგომარეები) ჯორები 94, 312
ჯოკოხეთს 146, 694; ჯოკოხეთით 233; ჯოჯოხეთა, ჯოკოხეთად 17, 410; ჯოკოხეთისანი 629
ჯუარითა, ჯუარად, ჯუარისასა 30
ჯუარის-მცემელი 171
ჯუარს-ცუმა 138; ჯუარ-ცუმად 749
ჯურღმულები აღმოკუეთილები 310; ჯურღმულისათაჲ 629

ჰ

ჰამბავისა, ჰამბავითა 29
ჰასაკისამდე 339
ჰᲩ 18
ჰინდოეთა 410
ჰორლისა, ჰორლითა, ჰორლებსა 64

ჰორლის-პირი 158
ჰორლოსანი 436
ჰრამაათ კერძო 232
ჰრომდ 412, 736
ჰუნეები, ჰუნეებსა, ჰუნეებითა 94; ჰუნები 91, 92; ჰუნებსა 91; ჰუნებითა 91, 92
ჰურიათად 594; (ხუცესთა) ჰურიათამან, (მსახურთა) ჰურიათამან 599; (მთავართა) ჰურიათასა (მოთხ.) 601; (მსახურთა მათ) ჰურიათა (მოთხ.) 599, 602; (მთავართა) ჰურიათა (მოთხ.) 602; (მღდელთ-მოძღუართა მათ) ჰურიათა (მოთხ.) 602; (მღდელთ-მოძღუართა და მოხუცებულთა) ჰურიათა (მოთხ.) 603; მწიგნობართა და ფარისეველთა) ჰურიათა (მოთხ.) 603; ჰურიათაგანი, ჰურიათაგანსა 629
ჰურიასტანდ, ჰურიასტანად, ჰურიასტნად 416; ჰურიასტანისათა 628